V 5859
2

რჩეული ნაწერები

ქ ა რ თ უ ლ ი კ ლ ა ს ი კ უ რ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა

ნიკო ნიკოლაძე

= რჩეული ნაწერები =

სიმონ ხუნდაძის
რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით

ქ ა რ თ უ ლ ი წ ი გ ნ ი
წ ფ ი ლ ი ს ი

301(47.922)(09)+899.962.1.09+899.962.1-92

ქართული კლასიკური მწერლობა

ნიკო ნიკოლაძე

ტომი პირველი

=მოგონებანი=
პუბლიცისტური წერილები

1865—1868

K 5559/5

ქ ა რ თ უ ლ ი წ ი გ ნ ი
M C M X X X I

ამხ. ა. ფ. მიასნიკოვის სახ. სტამბა, გამ. „ზარია ვოსტოკა"-სი რუსთაველის პრ., 36

შეკვეთა 447. მთავლიტი 1789. ტირაჟი 4000.

ნიკო ნიკოლაძე
(1864 წ.)



ნიკო ნიკოლაძე
(1868 წ.)

რედაქტორისაგან

ნიკო ნიკოლაძე 60-იანი წლების ახალთაობის ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი იყო. იგი თითქმის 68 წლის განმავლობაში ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას და თავისი სიკვდილამდე უკანასკნელ დღემდე არ გაუგდია ხელიდან კალამი. სამწუხაროდ, მისი ნაწერების ძლიერ მცირედი ნაწილი არის გამოცემული ბროშურებისა და პატარა წიგნაკების სახით სხვადასხვა დროს. ნიკოლაძე ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა როგორც ევროპის პრესაში, ისე რუსეთისა და ადგილობრივ ქართულს ორგანოებში. ყველა ეს მისი ნაწერი რომ შეგროვდეს ერთად და გამოიცეს იგი 20 ტომშიაც ვერ მოთავსდება.

ამჟამად ჩვენი გამოცემა მიზნად ისახავს მიაწოდოს ქართველ საზოგადოებას ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერები ექვს ტომად.

წერილების შერჩევის დროს ჩვენ უმთავრესად შემდეგი ძირითადი პრინციპებით ვხელმძღვანელობდით: ერთი მხრივ, ვარჩევდით ისეთს წერილებს, რომელიც მაშინდელი ეპოქის დამახასიათებელი იყო, რომელიც ეხებოდა ეპოქის მიერ წამოყენებულ ძირითად და დამახასიათებელ პრობლემებს და არსებითად გამოხატავდა ამა თუ იმ ინტელიგენტთა ჯგუფის მსოფლმხედველობასა და მისწრაფებებს; მეორე მხრივ, შერჩევის დროს ყურადღებას ვაქცევდით ისეთ წერილებსაც, რომელიც დამახასიათებელი იყო თვით ნ. ნიკოლაძისათვის, რომელიც ყველაზედ უფრო გამოხატავდა ავტორის მსოფლმხედველობასა და აზროვნებას, მის ერუდიციასა და პუბლიცისტურ ხერხებს, მის სტილსა და ლიტერატურულ გემოვნებას.

შემდეგ, რედაქტორის მიერ უარყოფილია პრინციპი ტომების თემატიურად დალაგებისა. ამ შემთხვევაში იგი ფიქრობდა, რომ პუბლიცისტური ნაწერების გამოცემა უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლოა ქრონოლოგიური წესით; ეს წესი, ერთი მხრივ, საშუალებას იძლევა მკითხველს ნათლად უჩვენოს თვით მწერლის თანდათანი ზრდა, მისი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ევოლიუცია, მეორე მხრივ,—გააცნოს ისტორიული თანრიგეობის მიხედვით

ის საკითხები, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში წამოიჭრებოდა. ამრიგად, ქრონოლოგიური წესით მკითხველი უფრო ღრმად და სრულად ეცნობა, როგორც ეპოქის (ან ეპოქების) შინაარსს, ისე თვით მწერლის თანდათანობით განვითარებას. გარდა ამისა, პუბლიცისტ-მწერლის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ ძლიერ ხშირად იგი ერთდა იმავე წერილში მრავალ სხვადასხვა თემას ეხება და ამიტომ ტეხნიკურადაც ხშირად შეუძლებელი ხდება მათი თემატიურად დალაგება.

სწორედ ამ მოსაზრებით ნიკო ნიკოლაძის ექვსტომიანი რჩეული ნაწერები ჩვენ დავალაგეთ უმთავრესად ქრონოლოგიური წესით და მხოლოდ ცალკე ტომებში შევეცადეთ—რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო—თემატიური წესიც გამოგვეყენებია. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს მესამე ტომი, რომელშიაც თავმოყრილი იქნება მთელი მისი რჩეული მხატვრული ნაწერები და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რასაკვირველია, თვით ტომში ქრონოლოგიურად დალაგებული; გარდა ამისა, ზოგიერთ ტომს დაერთობა შესავალის სახით სხვადასხვა დროს დაწერილი მისი მოგონებანი და სხვა წერილები, რომელიც უფრო ნათელს გახდის იმავე ტომში წარმოდგენილ მასალას.

ტომების მიხედვით მასალები შემდეგნაირად იქნება განაწილებული.

პირველ ტომში—დაიბეჭდა მისი მოგონებანი საოციან წლებზე და 1865—1868 წლების პუბლიცისტური წერილები.

მეორე ტომში—დაიბეჭდება 1869—1876 წლების წერილები გაზ. „დროებიდან", „კრებულიდან" და ნაწილობრივ „ტფილისის უწყებიდან".

განყოფილების მიხედვით ამ ტომში მოთავსებული იქნება წერილები: ახალთაობასა და მის საამოღვაწეო პროგრამაზე, საბანკო საკითხებზე, აგრარულსა და გლეხთა საკითხზე, ერობასა და თვითმართველობაზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე და სხვა.

მესამე ტომში—მხატვრული და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. გარდა რამოდენიმე მხატვრული ნაწერისა, მოთავსე-

ბული იქნება—კრიტიკა და მისი დანიშნულება ლიტერატურაში, კრიტიკული წერილები: გრ. ორბელიანზე, ი. ჭავჭავაძეზე, ნ. ბარათაშვილზე, დ. ყიფიანზე, გ. წერეთელზე, აკაკი წერეთელზე, ან. ფურცელაძეზე, პოლემიკურ-კრიტიკული წერილები „ვეფხის ტყაოსანზე", რუსეთისა (ნეკრასოვი, გარშინი, გ. უსპენსკი, ტოლსტოი და სხვა) და უცხოეთის მწერლებზე.

მეოთხე ტომში—1876—1883 წლების პუბლიცისტური წერილები. ამ ტომში მოთავსებული იქნება მისი სტატიები „ტფილისის უწყებიდან", „ობზორ"-იდან, „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი"-დან და აღნიშნულ წლებში გამოცემული მისი რამოდენიმე ბროშურა ქართულს, რუსულსა და ფრანგულს ენებზე.

მეხუთე და მეექვსე ტომებში—შემდეგი წლების პუბლიცისტური წერილები. აქ შევა წერილები გაზ. „ნოვოე ობოზრენიე"-დან, „კავკაზ"-იდან, ჟურ. „ბოამბე"-დან და სხვა ორგანოებიდან. აგრეთვე მთელი რიგი მისი პოლემიკური და ეკონომიური შინაარსის ბროშურები.

ყოველ ტომს, გარდა თავისი შესაფერისი წინასიტყვაობისა, რომელშიაც შეფასებული იქნება მარქსისტული სოციოლოგიის თვალსაზრისით წარმოდგენილი მასალები,—დართული ექნება **რედაქტორის შენიშვნები**, რომელშიაც განხილული იქნება ტექსტთან დაკავშირებული საკითხები და განმარტებული უმთავრესი საკითხები—თანამედროვე მკითხველისათვის გაუგებარი.

მეორე ტომიდან დამატების სახით მოთავსებული იქნება ნიკო ნიკოლაძის ის **კერძო წერილები**, რომელსაც საზოგადოებრივ-ისტორიული ხასიათი აქვს და რომელიც ნათელს მოფენს ჩვენი ინტელიგენციი სსაქმიანობასა და მისწრაფებებს.

უკანასკნელ ტომში მოთავსებული იქნება ნ. ნიკოლაძის ნაწერების ვრცელი ბიბლიოგრაფია და ავტორთა და საგანთა საძიებელი.

პირველი ტომის მასალები ორი სხვადასხვა გვარ განყოფილებისაგან შესდგება: მოგონებებისა და 1865—68 წლების წერილებისაგან. დიდი უმეტესობა ამ წერილებისა თითქმის სრულიად უცნობია

ქართველ საზოგადოებისათვის და პირველად მხოლოდ ახლა ქვეყნდება ქართულად. პირველ განყოფილებაში მოთავსებული მოგონებანი უმთავრესად გვისურათებს იმ საზოგადოებრივ ატმოსფერას, რომელშიაც აღიზარდა 60-იანი წლების ახალი თაობის ქართველი ინტელიგენცია; მეორე განყოფილებაში მოთავსებული წერილები დაწერილია იმ პერიოდში, როდესაც ნიკოლაძე ფაქტიურად რუსეთის მაშინდელ ემიგრაციაში იყო მოქცეული და ოპოზიციონურ ბრძოლას აწარმოებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამ ტომის შესახებ მეტს არაფერს ვიტყვით წინასიტყვაობაში, რადგან შესაფერის ცნობებს მკითხველი ვრცლად შესავალ წერილსა და რედაქტორის შენიშვნებში იპოვის. *)

15. XI. 30.

*) ყოველ წერილს შენიშვნები ცალკე აქვს გაკეთებული. ბრჩხილებში ჩასმული ციფრი აღნიშნავს გვერდს, რომელზედაც მოთავსებულია განსამარტავი საკითხი, ხოლო შავით აწყობილი—თვით განსამარტავ საკითხს.

ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე

ნარკვევი მიხი აზროვნებიდან

ნიკო ნიკოლაძე

I. ეპოქის ხასიათი

„ყოველ საზოგადოებაში თვითოეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით მე ეს ახალი სარგებლობა მოუტანე ჩემ ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე, ახალი ძალა შევძინე და ახალი გზა გაუხსენი უკეთესი ცხოვრებისაკენ“ [1].—ასე სწერდა ნ. ნიკოლაძე ამ სამოციოდე წლის წინად, როდესაც იგი 60 და 70-ანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციის სამოღვაწეო გეგმებს ამუშავებდა.

(ნ. ნიკოლაძე აღნიშნული ეპოქის ღვიძლი შვილი იყო; იგი იმ საზოგადოებრივ-ობიექტიურმა პირობებმა წარმოშვა, რომლითაც მაშინდელი ეპოქა ხასიათდებოდა, და იმ იდეოლოგიასა და საზოგადოებრივ აზროვნებაზედ აღიზარდა, რომელიც მაშინდელი ახალი ინტელიგენტის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა.) ტყუილა არ სწერდა ნ. ნიკოლაძე, რომ „თვითოეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევსო“. ეს ტვირთი საკუთარი ეპოქის მიერ არის დაკისრებული ახალთაობის ინტელიგენციაზე და ვისაც სურს გაიგოს ამ ტვირთის შინაარსი,—ე. ი. ის ძირეული ამოცანები, რომელიც ეპოქამ დააკისრა გადასაწყვეტად თავისი დროის ახალგაზრდობას, და ის როლიც, რომელიც ამავე ახალი თაობის ინტელიგენციამ ითამაშა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში—უწინარეს ყოვლისა თვით ეპოქის შესწავლას უნდა მიაქციოს თავისი გულისყური და გამოარკვიოს ის სოციალ-ეკონომიური ამოცანები, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტიურმა ვითარებამ წამოაყენა. პიროვნება და პიროვნებათა ჯგუფი ან წრე თავისი ეპოქისა და თავისი საზოგადოების—კლასის—პირმშო შვილია და ამიტომ მის სამოღვაწეო პროგრამასა და აზროვნებას თავისი ეპოქის დაღი აზის: ის აზროვნებს ისე, როგორც ამას თავისი ეპოქა უკარნახებს,—ის მოღვაწეობს იმ პროგრამით, რომელსაც ამ ეპოქაში არსებული საწარმოო ძალები და თავისი კლასის ინტერესი მოითხოვს.

---

[1]) ნ. სკანდელი: „ჩვენი ახალგაზდობა“ — „კრებული“ № 2. გვ. 189--190, 1871 წ.

ნ. ნიკოლაძე საკმაოდ დიდ ფიგურად ითვლებოდა ჩვენი 60-ანი წლების ახალი თაობის ინტელიგენტთა რიგებში; მისი მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მეტად თვალსაჩინო და საინტერესო არის. მაგრამ მასაც იგივე ამოცანები აინტერესებდა, როგორც 60-ანი წლების ჩვენ დანარჩენ ახალთაობის ინტელიგენციას. ნ. ნიკოლაძემ შეიძლება ეს ამოცანები სხვა ფორმებით გადასწყვიტა, ის პრობლემები სხვა სახით ასახა, ვინემ მისმა თანამედროვე თაობამ, მაგრამ ძირი, საფუძველი ამ ამოცანებისა და პრობლემებისა მაინც ერთი იყო ყველასათვის, მისი ძირეული შინაარსი ერთი საფუძვლიდან მომდინარეობდა: იგი შეეხებოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მდგომარეობის, განვითარებისა და შემდეგი წარმატების საქმეებს. ეს საკითხები მჭიდროთ იყო დაკავშირებული ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ახალ საზოგადოებრივ ფორმაციაში გადასვლის ამოცანებთან.

მაგრამ როგორი იყო არსებითი შინაარსი ამ ობიექტიური პირობისა და როგორი ფორმით ესახებოდა ინტელიგენტს საქართველოს შემდეგი განვითარების შესაძლებლობა?

ნ. ნიკოლაძე თითქმის სამოცდა-ხუთ წელზე მეტი ეწეოდა საზოგადოებრივ-პრაქტიკულსა და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. პირველად, როდესაც მან გაახილა თვალები და გამოვიდა ცხოვრების სარბიელზე სამოღვაწეოდ, საქართველო ბატონყმური წყობილების არტახებით იყო შეკრული და ჯერ კიდევ გაბატონებული ნატურალური მეურნეობა რღვევის პროცესებს განიცდიდა. მაგრამ 60—70-ან წლებში, როდესაც საქართველოში მოისპო ბატონყმობა და ახალი ეკონომიური ფაქტორები შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში,— საქართველომ საგრძნობლად წარსდგა წინ ნაბიჯი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისაკენ და მთელი შემდეგი პერიოდი ამ ახალი საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცების ნიშნის ქვეშ ჩატარდა.

მაგრამ ნატურალური მეურნეობის დაშლა ჩვენში მე-XIX-ე საუკუნეს დასაწყისიდანვე დაიწყო; განსაკუთრებით აღსანიშნავია 30-ნი წლები, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის ასე თუ ისე ნორმალური პირობები შეიქმნა და სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთისა და რუსეთის მაზრებთან საგრძნობი გახდა. 30-ან წლებში როზენის პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება ფართოდ განვითარებია სავაჭრო ურთიერთობა ამიერ კავკასიაში და ამით ფართო ბაზარი შეექმნა რუსეთის სავაჭრო კაპიტალისათვის ჩვენს მხარეში. მართლაც ამიერ-კავკასიის სავაჭრო

ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან და რუსეთის ბაზრებთან 30-ან წლებში საგრძნობლად განვითარდა [1]). მაგ. 1822 წ. ამიერ-კავკასიის საერთო სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან უდრიდა 1.289.108 მანეთს. 1830 წ.—3.092.983 მანეთს; 1836 წ.—4.252.954 მ., 1840 წ. 5.941.998 მან. [2]) მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წარმატების საქმეში ვორონცოვის ეპოქა და ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა ამიერ-კავკასიაში ეს „ლიბერალი“ მეფის მოადგილე. მისი მთავარი მიზანი და სამოღვაწეო პროგრამა იმაში გამოიხატებოდა, რომ ამიერ-კავკასია მაგარი ეკონომიური რგოლებით გადაეჯაჭვა რუსეთის ბაზრისათვის და რუსეთის კაპიტალისათვის ფართო სამოღვაწეო სარბიელი გაეხსნა ჩვენს მხარეში. ვორონცოვის ამ პოლიტიკურ-ეკონომიური პროგრამის შედეგი იყო ის ღონისძიებები, რომელიც სავაჭრო გზების გაყვანასა, რუსეთის კაპიტალისტების მოწვევასა, სასოფლო-მეურნეობის რაციონალურ მოწყობასა, „პრიკაზას“ დაარსება და სხვა მრავალ ეკონომიურ ხასიათის საქმიანობაში გამოიხატა. ამით ვორონცოვმა ძლიერ შეუწყო ხელი ჩვენში ნატურალურ-ბატონყმურ მეურნეობის დარღვევასა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას.

შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის ომს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საერთო ცხოვრების წარმატებისა და შემდეგი განვითარების საქმეზე. როგორც საერთოდ მთელი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე საქართველოშიაც ყირიმის ომის გავლენა მეტად დიდი და მნიშვნელოვანი იყო. თუ, ერთი მხრივ, ძახ ხელი შეუწყო ჩვენი ეკონომიური ცხოვრების კაპიტალისტური გზით განვითარებას, მეორე მხრივ, ნათელყო ძველი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების უვარგისობა და ჩამორჩენილობა. ამ ომმა გააძლიერა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კრიზისი, ხელი შეუწყო სოციალური კლასების ამოძრავებას, გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ნატურალურ მეურნეობას, გამოააშკარავა ძველი იდეოლოგიისა და აზროვნების სრული უვარგისობა. 1873 წ. ნ. ნიკოლაძე სწერდა: „ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები მოხდა, რომ მოთაყვე პირებს მარტო გაჩუმებით და წაყრუებით, ზურგის წახრით მოქმედება აღარ გამოადგებოდათ. ორმოცდათხუთმეტის ომმა საზოგადოებრივი ცვლილებების საჭიროება გამოააშკარავა. ამ ცვლილებებმა მამაპაპუ-

[1]) იხ. O. Евецкий: „Статистическое описание Закавказского Края“ 1835 წ.

[2]) Н. Шавров: „Обзор производительных сил кавказского наместничества“, გვ. 343, 1880 წ.

რი ცხოვრება და ჩვეულებები შესძრა, ძველებური რწმუნებები მოჰ-კაფა, ახალი განწყობილება კარზე მოგვაყენა. ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდამ შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა, და კაცის ხელით შეიცვლება. რისთვის დაწესებულა რომელიმე კანონი, სასარგებლოა ის საზოგადოებისათვის, თუ სავნებელი, დარჩეს ის თუ შეიცვალოს, ან როგორ შეიცვალოს, რა დაარსდეს მის მაგიერ,—ეს კითხვები თვითვე კაცის გონებით და მოაზრებით გამოიკვლევაო. ამას მიხვდა ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ხალხი". 1) მაგრამ ომმა გამოააშკარავა არა მარტო ჩვენი ეკონომიური წყობილების უვარგისობა, არა მარტო ნატურალურ მეურნეობაში შეიტანა რღვევის ელემენტები, არამედ ნათელყო მთელი სოციალური შენობის სიდამპლე და მოძრაობაში მოიყვანა მოწინავე სოციალური ფენები. 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა გრანდიოზული აჯანყება ამ მოვლენის უდიდესი სიმპტომი იყო. ყირიმის ომის შემდეგ საქართველოში არ შეწყვეტილა გლეხთა მოძრაობა; მთელი 1857—62 წლების განმავლობაში პარტიზანული გამწვავებული ბრძოლები წარმოებდა მემამულეთა და გლეხთა შორის საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში და ეს იყო უდიდესი მაჩვენებელი იმისა, რომ ბატონყმური ურთიერთობა და ძველი სოციალური დამოკიდებულება აღარ შეესაბამებოდა ცხოვრების შემდეგ განვითარებას. იგივე ნ. ნიკოლაძე 1865 წ. „კოლოკოლ"-ის ფურცლებზე სწერდა: „ოსმალეთის 1853—56 წ. წ. ომის შემდეგ გლეხთა განთავისუფლების საკითხი საქართველოში საზოგადოებრივი წყობილების ყველა ელემენტს აღელვებდა და თავიდანვე მიიღო მან დამოუკიდებლად თავისი სოციალური ხასიათისა, პოლიტიკური ბალანსის ხასიათი. ამ საკითხის წამოყენებას არ შეეძლო არ გაეღვიძებია ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტინქტები და რადგან გლეხთა საკითხი, მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული ჩარევისა, იზრდებოდა საქართველოში არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება დაუკავშირდა გლეხთა საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტას და რაღაც ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა". 2)

---

1) ნ. სკანდელი: „ახალი ახალგაზდობა" — „კრებული" № 1, გვ. 279—80, 1873 წ.

2) Рио Нели: „Освобождение крестьян в Грузии"—жур. „Колокол" № 198, 1865 წ.

მაგრამ ჩვენი 60-ანი წლები მარტო გლეხთა მოძრაობითა და უკმაყოფილებით არ ამოიწურება. ამ ეპოქას კიდევ ორი შესანიშნავი ფაქტი ახასიათებს: ერთის მხრივ, ახალთაობის ინტელიგენციის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე, მისი აქტიურად ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრების ვითარებაში და, მეორე მხრივ, ტფილისის ამქართა და ხელოსანთა გრანდიოზული აჯანყება 1865 წ. ეს ფაქტები ნათლად და გარკვევით ამტკიცებდა ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმური ურთიერთობის კრიზისისა და ახალი ეკონომიური და სოციალური ფაქტების შექმნას ჩვენი ცხოვრების ვითარებაში. ცხოვრება ნელა, მაგრამ ზაინც საგრძნობლად შეიიოდა ახალი ვითარების კალაპოტში. ყირიმის ომმა საგრძნობლად წასწია წინ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება. ომის შემდეგ ამიერ-კავკასიის პორტად რედუტ-კალეს ნაცვლად აირჩეულ იქნა ფოთი, სადაც 1863 წლიდან ენერგიულად შეუდგენ პორტის მოწყობას, ამავე ხანებში დაიწყეს იმერეთის სამხედრო გზის მოწყობა, შეუდგენ გემთა სვლის მოწესრიგებას,—1857 წ. გემთა მოძრაობა სწარმოებდა რიონით ორპირამდე,—და ჩქარი საფოსტო-საპოსაჟირო და საბარგო საზღვაოსნო მიმოსვლის გახსნას შავ ზღვაზე რუსეთის „ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ საშუალებით [3]). ყველა ეს ზომები, თავის-თავად ცხადია, მეტად შეუწყობდა ხელს ჩვენი სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებას სხვადასხვა ქვეყნებთან. უცხოეთთან ამიერ-კავკასიის ვაჭრობა 1856 წ. უდრიდა 5.657.323 მანეთს, 1860 წ.—7.368.084 მან., 1865 წ.—13.193 ათას 798 მან., 1871 წ.—15.388.718 მან. მაგრამ რაც აღნიშნულია, ეს ის არ არის, რომ ყირიმის ომის შემდეგ, ერთი მხრივ, გაცხოველდა სავაჭრო ურთიერთობა რუსეთის ბაზრებთან და, მეორე მხრივ, საგრძნობლად გაძლიერდა ამიერ-კავკასიის ნედლეულის ექსპორტი,—ასე მაგ. 1856 წ. გატანილი იყო 1.307.262 მანეთის ნედლეული, 1876 წ.—6.180.453 მან. აღსანიშნავია ახალი პორტის—ფოთის მოღვაწეობა: აქედან 1862 წ. შემოტანილი იყო 296.169 მანეთის საქონელი; 1863 წ.—476.723 მან., 1865 წ.—712.889 მან., 1876 წ.—10.262.478 მან. აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად საგრძნობელი გახდა სასოფლო მეურნეობისა და წარმოების საქმის წინ წაწევაც. 1863 წ. გაზ. „გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა“ სწერდა: „თავის დღეში არა ყოფილა ამთენი მსურველი ახალის მაშინების ანუ ახალი თესლების დაბარებისა, არც ამთენი მთხოვნელი სხვადასხვა თესვის ნაწილებზედ დარიგებისა, არც მომხმარები მამულზედ ამთენი ფული-

[3]) იხ. შავროვის დასახელებული წერილი გვ., 336.

სა. ბოლოს დროს თფილისში და გარეშე აშენდა რამთენიოდე ქარხნები, რომელნიც არ შეარცხვენდნენ თვით ევროპის მხარესა და გამოჩნდენ მამულის მკეთებელნი სოფლებშიაც, სადაც მოაწყვეს თავიანთი მამულები მშვენიერს და ნნგარიშიანს წესზედ" [1]).

ეს ფაქტები გარკვევით ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი ცხოვრების ბატონყმურ ფორმებში უკვე შეიჭრა კაპიტალისტური ურთიერთობის ფაქტორები და ამით უკვე საგრძნობი გახდა ძველი ეკონომიური წყობილების რღვევისა და განადგურების პროცესი.)

ბატონყმობის მოსპობამ უდიდესი ცვლილებები გამოიწვია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა ეკონომიურად გლეხობა კვლავ მემამულის საექსპლოატაციო ობიექტად დასტოვეს, მაგრამ ბატონისა და ყმის შორის ძველი დამოკიდებულების გაუქმებით ახალ სოციალურ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი. ამ პერიოდში ჩვენი ეკონომიური ცხოვოეია სწრაფი ნაბიჯით წავიდა კაპიტალისტური მიმართულებით. ძველი ნატურალური მეურნეობის ფორმები საგრძნობლად შევიდა დარღვევის პროცესში და ახალი ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ჩამორჩენილი და განუვითარებელი მხარე, სწრაფი ტემპით ჩაება საერთო კაპიტალისტურ ურთიერთობის ფერხულში რკინის გზის გაყვანა, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება, სამთომადნო-მრეწველობის გაცხოველება, საშინაო და ხაგარეო ვაჭრობის გიგანტური ზრდა, ქალაქის მცხოვრებთა სწრაფი გამრავლება და სხვა—აი ის კონკრეტული ფაქტები, რომელშიაც გამოეხატა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ტემპი საერთოდ ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში. ეს იყო პერიოდი, როდესაც ჩქარი და საგრძნობი ტემპით ხდებოდა საქართველოს ძველი ეკონომიური წყობილების გადასვლა ახალ სამეურნეო პერიოდში. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ პერიოდში ეს განვითარება კაპიტალისტური ურთიერთობისა საქართველოში უფრო საგრძნობი გახდა ტ უფრო ჩქარის ტემპით განვითარდა. 80-ნი და 90-ანი წლები სწორეთ კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფად განვითარებით ხასიათდება ჩვენში. ჭიათურის მარგანეცის, ბაქოს ნავთისა და სხვა საექსპორტო საქონლის საერთაშორისო ბაზარზე გამოსვლამ ამიერ-კავკასია მაგარი რგოლებით გადააჯაჭვა მსოფლიო კაპიტალის ინტერესებს—და—იგიც ამ კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტად გადაიქცა.

[1]) იხ. „გუთნის დედა" № 1, 1863 წ.

მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში არ შეეძლო თავისი შესაფერისი ცვლილებები არ გამოეწვია სოციალურ ურთიერთობაში და საერთოდ გავლენა არ გამოეწვია ცხოვრების საერთო ვითარებაზე. ამას თავიდანვე გრძნობდა ჩვენი ინტელიგენცია. იმავე 1873 წელს ნ. ნიკოლაძე სწერდა: „ახალმა მეცნიერებამ ჩვენში მარტო ცალკე ფეხი შემოადგა. ის შემოვიდა ჩვენში მარტო ტეხნიკური მხრით, შემოვიდა რკინის გზით, ტელეგრაფით, ცეცხლის გემით და სხვ. იმან გაიმარჯვა მით, რომ ყველასათვის უეჭვო და ცხადი შეიქმნა, რომ ვერაფერი თოხარიკი, ვერაფერი ხარკამეჩი ვერ იმოქმედებს იმდენს, როგორც ერთი უბრალო ორთქლმავალი. ეს აზრი ჩაიჭრა ხალხის ტვინში. უწინდელ დროში რომ ეს საქმე მომხდარიყო, ორთქმავალს სასწაულებს მიაწერდენ და იტყოდენ, აი ბატონო, ილია წინასწარმეტყველი რომ ზეცას ცეცხლის ეტლით ავიდაო, ეს ყოფილა თურმეო. მაგრამ დღეს ყველა ხედავს, რომ ორთქლმავალი კაცის ხელით გაკეთებულია, კაცის გონებით გამოგონებულია, და ყველამ იცის, რომ მამა აბრაამს ის არ ჰქონია, და მამა იაკობი აქლემით დაიარებოდა. ეს დიდი საქმეა, ეს გარეშოება ბევრ ცრუმორწმუნეობას სპობს და შოსპობს ხალხის ტვინში, და ღრმათ შესცვლის მის აზრს და მოქმედებას“ [1]).

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ დაშალა ძველი სოციალური დამოკიდებულებანი და სრულიად ახალი საზოგადოებრივი კლასები წარმოშვა ჩვენში: ერთი მხრივ—ეკონომიურად დაცემის გზას დაადგა თავად-აზნაურობა, მეორე მხრივ—ღრმა მნიშენელობის დიფერენციაცია მოხდა გლეხობაში და მცირედი ნაწილი თუ „გაკულაკდა“, დიდი უმეტესობა დაეცა ეკონომიურად, მესამე მხრივ—ამ გაღატაკებულ ელემენტებიდან ჩამოყალიბდა საქართველოს მუშათა კლასი, პროლეტარიატი, ხოლო მეოთხე მხრივ—საგრძნობლად გაძლიერდენ ბურჟუაზიული ელემენტები. თავადაზნაურობის დაცემა, გლეხთა დიფერენციაცია, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის წარმოშობა თავისი სოციალ-ისტორიული შინაარსით თუ ერთი მხრივ ახალი საქართველოს წარმოშობის პროცესს გამოხატავდა, მეორე მხრით—ეს ძველი საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების ღრეევის პროცესის მაჩვენებელიც იყო. ჰართლაც, თავად-აზნაურობის დიდი ნაწილის, ძველი მძლავრი და მეთაური წოდების, ეკონომიური დაცემა უკვე თვალსაჩინო იყო ყველასათვის. 1876 წ.

1) ნ. სკანდელი: „ახალი ახალგაზდობა“ — „კრებული“ № 1, გვ. 303—04, 1873 წ.

მეფის მოადგილისადმი გაგზავნილ თხოვნაში თავად-აზნაურობა სწერდა: „ბატონყმობამდი ჩვენ მუქთი მშრომელნი გვყავდნენ ჩვენდა სარჩენად და იოლად გამოვდიოდით, გაჭირებაში არ ვიყავით. მაგრამ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, ჩვენი მდგომარეობა სრულიად შეიცვალაო. ჩამოგვართვეს ყმები, მოგვესპო მუქთი მშრომელი, მუშები გაძვირდნენ, დაგვედვა ვალები, და რადგან იმდენი ღონის-ძიება აღარა გვაქვს, რომ თავის დროზე გადახდა შეგვძლებოდა, ამ ვალში გვეყიდება მამულები, ჩვენ კი ვიღუპებით, ვლატაკდებით, უმიწაწყლოთ ვრჩებითო“ [1]). ერთ-ერთ სოფლიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „მე და ჩემი ნაცნობი ვდგევართ სწორეთ შუა სოფელში იმნაირ მაღალ ადგილზე, საიდამაც სოფლის ყველა კუნჭული ნათლათ სჩანს. ჩვენ თვალწინ გვიდგება თავადისშვილების სახლები, რომლებსაც საცოდავათ ჩამოსტირით პირისახე; ყველაფერი დასძველებიათ: ბალკონები, მოაჯირები, ყავარი სრულებით დახეთქიათ; ზოგიერთს ადგილას ფიცრები ამოცვივნულან;—ერთი სიტყვით ეს სახლები მაცქერალს თითქმის ასე ეუბნებიან: „რამდენიმე წლის წინეთ ჩვენ პატრონს მუქთი მუშა ბევრი ჰყავდა და ჩვენი გამშვენიერებისათვის არაფერს ზოგავდენ, ეხლა კი ისეთი დრო დადგა, რომ თავიანთ თავის გამოკვებაც უჭირდებათ, არა თუ ჩვენი გაახლება“. თავადიშვილების სახლების შემდეგ ჩვენ ყურადღებას იპყრობს გლეხების სახლ-კარი: ზოგიერთ მიწის სახლებთან კოპწიათ გამოჭიმულან ქვითკირის სამ ოთახიანი, ან ორ ოთახიანი სახლები; ზოგიერთ მათგანს აქვს ბალკონი ანუ გვარიანი კარაბანი და ზევიდან მუხის ახალი ყავარი. ამ სახლებს რო უცქერის კაცი, არა სჯერა, რომ ეს სახლები გლეხებს ეკუთვნოდეს... ეგენი ამ უკანასკნელ წელიწადებში ძალიან წინ წამოვიდენ“ [2]).

საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე. თუ ერთი მხრივ ეცემა და ნადგურდება ძველი ბრწყინვალე წოდების ნაწილი, მეორე მხრივ სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობის ნიადაგზე ვითარდება ახალი „კულაკური“ ფენები გლეხობაში: ესენი იყვენ სოფლის ბურჟუაზიული ელემენტები, წარმოშობილნი ახალ ეკონომიურ ვითარების საფუძვლებზე მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ მთელი გლეხობის მდგომარეობა გაუმჯობესდა ბატონყმობის მოსპობის შემდეგ პერიოდში. წინააღმდეგ, თუ მცირე ნაწილმა ისარგებლა ახალი პირობებით, სამაგიეროთ დიდი უშეტესობა ქართველი გლეხობისა ეკონო-

[1]) „საზოგადო კრება ტფილისის თავად-აზნაურთა“ — „დროება“ № 48. 1876 წ.

[2]) თაგვიეთელი: „ქალაქიდამ ზოვლამდე“—„დროება“ № 62, 1876 წ.

მიურად დაეცა, გალატაკდა; მისი პირობები ახალ სამეურნეო პერიოდში გაუარესდა. აქედან წარმოსდგა ის გამწვავებული ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში მემამულეთა და გლეხთა შორის მიწის საკითხის გარშემო. აქედანვე წარმოსდგა ის ფაქტიც, რომ გალატაკებული გლეხობის ნაწილი იძულებული შეიქმნა დაეტოვებია თავისი სოფელი და საარსებო წყარო ქალაქებში ეძებნა. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა ჩვენში ახალი სოციალური კლასი—პროლეტარიატის სახით. როგორც აღვნიშნეთ, მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში გლეხთა უკმაყოფილება და მოძრაობა არ შეწყვეტილა. სვანეთის გლეხთა აჯანყება 1875—6 წლებში, სამეგრელოს—იმავე წლებში, ქიზიყის—1878 წელს, ნათლად ამტკიცებდა იმას, რომ ბატონყმობის მოსპობამ გლეხობა ვერ დააკმაყოფილა, ვერ დაამშვიდა და ეს გალატაკებული და შეურაცხყოფილი წოდება იარაღით ხელში ფიქრობდა თავისი უფლების მოპოებასა და მდგომარეობის გაუმჯობესობას. ზუგდიდის მაზრის გლეხთა აჯანყების შესახებ, ადგილობრივი მთავრობა ოფიციალურად აცხადებდა: „ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ცხრა წელიწადი რომ შესრულდა, შუაგულ რუსეთის ბევრ ადგილებში უწესოება და ხალხის მღელვარება მოხდა, რადგან გლეხებს ეგონათ, რომ, ამ ცხრა წლის შემდეგ, ნაბატონევსა და ნაყმევს შუა ყოველი დამოკიდებულება და კავშირი უნდა მოისპოსო. ამგვარივე უწესოება, საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევა და უფროსების გაუგონლობა მოხდა, საუბედუროთ, კავკასიის სანამესტნიკოშიაც... ამ ორის სოფლის (ლიასა და ფახულამის) გლეხებმა განაცხადეს, რომ რადგან ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ცხრა წელიწადი შესრულდაო, ამის გამო ჩვენ ვალდებულად აღარ მიგვაჩნიაო, რომ რაიმე გადასახადი ვაძლიოთ ჩვენს ადრინდელ ნაბატონევსაო, და მართლაც აღარ აძლევდნენ. ვერც მომრიგებელ შუამდგომლისა, ვერც საგლეხო პრისუტსტვიის წევრისა და ვერც თვით ქუთაისის ღუბერნატორის დარიგებამა და საგლეხო წესდებულების განმარტებამ ვერ დაარწმუნა გლეხები რომ ისინი სცდებიან... მოუახლოვდა ჯარი სოფელს თუ არა, დამორჩილების მაგივრად, ვინც კი მამა-კაცები იყვნენ სოფელში, გავიდნენ და ახლო-მახლო სოფლებს აქეზებდნენ, რომ ერთად გაუწიოთ წინააღმდეგობაო“ [1]). არა ნაკლებ საყურადღებო იყო გლეხთა აჯანყება 1878 წელს სიღნაღში [2]).

---

1) იხ. „ზუგდიდის უეზდის არეულობა“—გაზ. „დროება“, № 80, 1876 წ.

2) იხ. გაზ. „Обзор“ № 162, და სხვა ნომრები, 1878 წ. და ა. კვერ—ძეს წერილი: „ქიზიყის ამბოხება 1878 წ.“—„ივერიის ბიბლიოთეკა“ № 8, 1905 წ.

აღნიშნული ფაქტები იმას ამტკიცებს, რომ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ პერიოდში სრულიად არ დამყარებულა „მშვიდობიანი“ განწყობილება საქართველოში. წინააღმდეგ, ახალმა სამეურნეო პირობებმა უფრო გაამწვავა წოდებათა შორის ურთიერთობა, გააღატაკა გლეხობა და მოსწყვიტა იგი თავის სახლკარს და გადაისროლა ქალაქებში, ამით გაღრმავდა კლასთა ბრძოლა და ამ ბრძოლამ ახალი ფორმები მიიღო.

ამრიგად მთელი მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარი კაპიტალისტური ურთიერთობის მშობიარობის პროცესს წარმოადგენს. რღვევა ნატურალური მეურნეობისა და კაპიტალისტურ-ეკონომიკის განვითარება იყო ის ბაზა, რომელზედაც აღმოცენდა ახალი დამოკიდებულება სოციალურ კლასებს შორის, ახალი განწყობილება და ურთიერთობა მთელს საზოგადოებაში.

მაგრამ ეკონომიურსა და სოციალურს სფეროში მომხდარ ცვლილებებს არ შეეძლო თავისი შესაფერისი ცვლილებები არ გამოეწვია საზოგადოებრივ აზროვნებაშიაც. როგორც ცნობილია, იდეოლოგია სოციალ-ეკონომიური პირობების ანარეკლს წარმოადგენს. ის მნიშვნელოვანი პროცესები, რომელსაც ადგილი აქვს ობიექტიურ ცხოვრების ვითარებაში, თავის-თავად იწვევს მზგავსსავე პროცესებს აზროვნებისა და იდეოლოგიის სფეროშიაც. იდეოლოგიის სამყარო, თითქოს მოწყვეტილი და განკერძოებული ობიექტიურ გარემოსაგან, არსებითად თავის მასაზრდოებელ წყაროს ამ ობიექტიურ გარემოდან იღებს. უდაოა ის ფაქტი, რომ ჩვენი უახლოესი ისტორიის 50—60-ანი წლები ქართულ კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების რენესანსს წარმოადგენს. მაგრამ ეს გამოცოცხლება ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისა გამოწვეული იყო იმ საგრძნობი ცვლილებებით, რომელიც ჩვენი ცხოვრების ეკონომიურსა და სოციალურს პირობებში მოხდა.

ახალი თაობის ინტელიგენციის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე—ეს ბურჟუაზიული აზროვნების იდეოლოგიისა და პროგრამის შემოჭრა იყო ჩვენი ცხოვრების ფონზე. უკვე ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენში მძლავრი ბურჟუაზიული კლასი არ ჩამოყალიბებულა და რომ ამ ბურჟუაზიას, შემდგარს უმთავრესად სომხისა და უცხო ტომის ელემენტებისაგან, არ შეეძლო და არც სურდა პოლიტიკური ბრძოლის წარმოება ახალი ცხოვრებისა და ახალი პირობების შესაქმნელად; იგი პასიურად ეგუებოდა ცარიზმის სახელმწიფოებრივ არტახებს და აქტიურად აწარმოებდა ეკონომიურ ბრძოლას. სამაგიეროთ, ამ ბურჟუაზიული კლასის ისტორიული მისიის შესრულება პოლი-

ტიკურსა და იდეოლოგიურს სფეროში ჩვენი ცხოვრების პირობებმა ახალ თაობის ინტელიგენციას დააკისრა. ამ ინტელიგენციის აზროვნება, იდეოლოგია, პროგრამა და საქმიანობა უკვე გამოხატავდა ბურჟუაზიულ მისწრაფებებსა და ბურჟუაზიულ კულტურას. მაგრამ, ვინაიდგან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყო სავსებით მომწიფებული ახალი ვითარების შინაარსის მიხედვით და მასთანვე კაპიტალისტურ ურთიერთობას თავისებურ ობიექტიურ გარემოში უხდებოდა განვითარება, ამიტომ 60-ანი წლების ახალთაობის ბურჟუაზიული იდეოლოგიაც თავისებური სახით იყო წარმომდგარი და იგიც ობიექტიური გარემოს მოუმწიფებლობის ნიშანს ატარებდა. ეს გარემოება ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ.

60-ან წლებში საქართველოში გაჩაღდა ბრძოლა ორთაობათა შორის, თავისი ისტორიული მნიშვნელობით, გამოხატავდა ორი საწინააღმდეგო მსოფლიოს ბრძოლას: ეს იყო ბრძოლა ფეოდალურ-სქოლასტიურ აზროვნებასა და დემოკრატიულ-რაციონალისტურ აზროვნებას შორის; თავისი სოციალურ-ეკონომიური საფუძვლებით, თავისი ისტორიული შინაარსითა და მნიშვნელობით აქ ორი საქართველო შეეჯახა ერთი მეორეს: საქართველო მიმავალი, ბატონყმური, ძველი და საქართველო მომავალი, მშობიარობის პროცესში მყოფი, ახალი, ბურჟუაზიული. ახალი თაობის ინტელიგენციამ შეგნებულად თუ შეუგნებლად ასახა თავის აზროვნებაში, თავის სამოღვაწეო პროგრამაში ის, რაც ცხოვრების რეალურ სინამდვილეში ხდებოდა: იგი იდეოლოგიის სფეროში გამოხატავდა იმ ღრმა მნიშვნელობის მშობიარობის პროცესს, რომელიც ბატონყმურ საქართველოდან ბურჟუაზიული საქართველოს წარმოშობა გამოიხატებოდა. ახალი თაობის ინტელიგენცია უკვე გრძნობდა და ხედავდა, რომ ცხოვრების ახალი მოთხოვნილების არაფერი გაეგებოდა ძველი თაობის ინტელიგენციასა, რომ ახალმა დროებამ ისეთი საკითხები წამოაყენა გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგება და გადაწყვეტა აღარ შეეძლო ძველ თაობას, ცხოვრება წინ წავიდა და მისი შესაფერისად მიყოლისათვის აღარ ჰქონდა ძველი თაობის ინტელიგენციას შესაფერისი ძალა და ცოდნა. ამ საკითხის შესახებ იგივე ნ. ნიკოლაძე სწერდა: „ძველი თაობის დამხობა ჩვენში დღეს ბრმისთვისაც ცხადი საქმე შეიქნა. ჩვენი ხალხის და საზოგადოების ცხოვრება, ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, იმ ნაირათ დატრიალდა და შეიცვალა, იმას ისეთი მოთხოვნილება და საქმეები დაუხვდა გზაზე, ის ისეთ დაბრკოლებებს წააწყდა, რომ ძვე-

ლებურმა ჭკუამ და გამოცდილებამ პირი დააღო, დამუნჯდა და ძალა-უნებურათ თავისი უვარგისობა და უმეცრება აღიარა... ჩვენი საზოგადოების დამრიგებლებს და წინამძღოლებს, ჩვენი ხალხის თავებს მაზანდა წაუხდინა ახალი ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებამ. ამ სასიამოვნო უბედურებას ვერც იმათმა ჭაღარა თმამ უშველა, ვერც ძველმა დიდებამ. ყველაფერი შემუსრა და შეურაცხჰყო ახალმა დროებამ და მისმა დაუზოგველმა მოთხოვნილებამ... მართლაც, რა სამკვიდრებელი დარჩა ჩვენ ძველ თაობას? ეკონომიური მხრით იმას გაღარიბებული და გატყავებული ხალხი და უმოქმედო, უხეირო აზნაურობა ღუპავს. პოლიტიკური მხრით — ზნედაცემული, გაცალცალკევებული საზოგადოება, რომელსაც არა თუ ძველი გმირების სული დაუკარგავს, მათი სახელიც არ ახსოვს. ზნეობითი მხრით—გაფლიდებული უხასიათობა, დაცემული ხელის ლოკვა, ძლიერის თაყვანისცემა, სამართლიანობის დავიწყება. ლიტერატურული მხრით—დაცემული მწერლობა, დავიწყებული ენა, დაფანტული და დამახინჯებული ძველი ლიტერატურა. გონებითი მხრით—სრული უაზრობა, ძველი ჩვენი ისტორიის უცოდინარობა, ახალი ცხოვრების გაუგებრობა“ [1]).

როგორც აღვნიშნეთ, 60-ანი წლების ჩვენი ინტელიგენცია ღრმად გრძნობდა ახალი ცხოვრების დასაწყისს საქართველოში; იგი ნათლად ხედავდა, რომ ძველი ცხოვრების ფორმები შეუბრალებლად იმსხვრეოდა „განახლებული გრიგალის ქროლვითა“ და მის წინ აღიმართა უდიდესი პრობლემა თუ რომელი გზით სჯობია საქართველოს საერთო ცხოვრების წარმატება, რომელი ფორმა საზოგადოებრივი წყობილებისა შეესაბამება მისი განვითარების საქმეს. ეს ინტელიგენცია რუსეთის 60-ანი წლების განმათავისუფლებელ მოძრაობის, დემოკრატიულ-რადიკალურ მიმდინარეობასა და რაციონალისტური აზროვნების ნიადაგზედ იყო აღზრდილი. მას სწამდა გონების, ცოდნის, განათლების უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროგრესის ფაქტორებს იგი, იდეოლოგიის სფეროში, სწორაზროვნებაში ეძებდა; მას სჯეროდა, რომ თუ ინტელიგენცია სწორ აზროვნებასა და პროგრამას გამოამუშავებდა იგი შესძლებდა ამ პროგრამისა და აზროვნების მიხედვით ცხოვრების გარდაქმნას, მის რაციონალურს საფუძვლებზე მოწყობას. აქედამ წარმოდგა ის დიდი

[1]) ნ. სკანდელი: „ახალი ახალგაზრდობა“—„კრებული“—გვ. 275—6, 299—300, 1873 წ.

იმედები, რომელსაც 60-ანი წლების ჩვენი ინტელიგენცია ამყარებდა კრიტიკულად მოაზროვნე ახალ თაობაზე: ეს იყო ის სოციალური წრე, რომლის საშუალებითაც ცდილობდა მოწინავე ინტელიგენცია თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. ეს არც გასაკვირია: რაციონალისტური აზროვნებისა და იდეალიზმის საფუძვლებზედ აღზრდილი მოწინავე ინტელიგენცია ჩვენი ცხოვრების მაშინდელ პირობებში ვერც ერთ სოციალურ ძალას ვერ ხედავდა, გარდა იმავე ახალთაობის ინტელიგენციისა, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყოს დაყრდნობა და მისი ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორად გადაქცევა; მხოლოდ ეს სოციალური ფენა სჩანდა ცხოვრების ფონზე, მხოლოდ ის აზროვნებდა კრიტიკულად და მოქმედებდა აქტიურად. ამიტომ ახალი თაობის ინტელიგენციის დარაზმვა, მისი გარკვეული სამოქმედო პროგრამით შეიარაღება და მათი საშუალებით ცხოვრების ახალ საფუძვლებზე მოწყობა — ჩვენი მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრების თითქმის მორიგ ამოცანად გადაიქცა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ ინტელიგენციის აზროვნება, მისი პროგრამა და საქმიანობა მაშინდელი ისტორიული პირობების მიხედვით იმ საზოგადოებრივი წყობილების მშობიარობას უწყობდა ხელს, რომელიც უნდა წარმოშობილიყო ბატონყმურ საქართველოდან: ე. ი. ახალი თაობის ინტელიგენცია ბურჟუაზიის სასარგებლო საქმეს აკეთებდა, ობიექტიურისტორიულად მისი ინტერესებისთვის იბრძოდა. ამრიგად ამ ახალი თაობის ინტელიგენციის აზროვნებაში ჩვენს ცხოვრებაში დაწყებულმა რენესანსმა თავისებური იდეოლოგიური გამოხატულება ჰპოვა

ნ. ნიკოლაძე ამ განახლებული ეპოქის ღვიძლი შვილი იყო; იგი 60-ანი წლების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებმაც ნათლად დაინახეს ძველი ბატონყმური საქართველოს აღსასრული, ნათლად იგრძნეს, რომ საუკუნოებით განმტკიცებული სოციალ-ეკონომიური საფუძვლები ჩვენი ცხოვრებისა ახალი ფაქტორების ზეგავლენით თავშეუკავებლივ ირღვეოდა და ისახებოდა ახალი ცხოვრება, ახალი დამოკიდებულება და ახალი სამოღვაწეო სარბიელი. ნ. ნიკოლაძემ ყველაზედ მძლავრად იგრძნო ახალი საქართველოს მშობიარობის პროცესი, ყველაზე ნათლად დაინახა ახალი სოციალური კლასების წარმოშობა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა. აი, ამ ახალი ობიექტური პირობების მიხედვით შეუდგა იგი თავისი სამოღვაწეო პროგრამის შემუშავებას, უკეთ რომ ვსთქვათ, 60-ანი წლების რუსეთის ახალი აზროვნების მიხედვით სრულიად ახალი გეგმების შემუშავებას საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ საფუძვლებზე მოსაწყობად.

როგორი იყო მისი სამოღვაწეო პროგრამის შინაარსი და როგორი სოციალურ-კლასიური საფუძვლები ედვა სარჩულად მის საქმიანობას? ამ ნარკვევის მთავარი მიზანიც ის არის—ვრცლად გასცეს პასუხი აღნიშნულ კითხვებზე.

II. დამახასიათებელი მომენტები მისი მოღვაწეობიდან და ცხოვრებიდან

უნდა გულახდილად—აღინიშნოს, რომ ნიკოლაძის-პიროვნება და მისი აზროვნება ჯერ ჯეროპით, სამწუხაროთ, არ არის სათანადოთ შესწავლილი, ისე, როგორც სხვა ჩვენი მწერლებისა და პუბლიცისტების მოღვაწეობა და საქმიანობა არ არის შესწავლილი და გამორკვეული. მეორე მხრით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობასა და აზროვნებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების წინ წაწევისა და მისი ევროპიულ საფუძვლებზე განვითარების საქმეში. ვინც ზერელეთ მაინც გაეცნობა ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ ნაწერებს, იგი უყოყმანოდ აღიარებს იმ ფაქტს, რომ თავისი ეპოქისათვის ნ. ნიკოლაძე ფართოდ და ღრმად მომზადებული პიროვნება იყო: იგი საფუძვლიანად იცნობდა ევროპისა და რუსეთის მაშინდელ ლიტერატურულ-მეცნიერულ საკითხებს და თავისი მომზადებით მთელი თავით მაღლა იდგა მრავალ მაშინდელ ქართველ ლიტერატორებზე. ისტორიამ მას ერთ დროს ქართველი ახალი თაობის ფალავანობაც აღგუნა, როგორც ამას სწერდა ილია ჭავჭავაძე ერთ თავის კერძო წერილში. მართლაც, ნ. ნიკოლაძის მიერ 70-ან წლებში გაჩაღებული ენერგიული ბრძოლა ძველი თაობის წინააღმდეგ და მისი საქმიანობა ახალ ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამის შემუშავების საქმეში—ერთს უშეხანიშნავად პერიოდს წარმოადგენს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. გაზ. „დროებისა“ და ჟურნალ „კრებულის“ მნიშვნელობა ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში მეტის-მეტად დიდი არის; ხოლო 1870-73 წლებში, როდესაც ეს ორი პერიოდული გამოცემა ნ. ნიკოლაძის უახლოესი თანამშრომლობითა და ხელმძღვანელობით გამოდიოდა, ჩვენმა პუბლიცისტიკამ უმწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია. ამ ორგანოებმა შეესძლეს ჩვენი ცხოვრების მიერ წამოყენებულ მრავალ საჭირბოროტო საკითხებისთვის გაეცათ პასუხი, მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემები წამოეყენებინათ და ამით გაემდიდრებიათ ჩვენი აზროვნების სალარო. და სწორეთ ამაში გამოიხატებოდა ნ. ნიკოლაძის მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავისი სოციალური შთამომავლობით ნ. ნიკოლაძე არ ეკუთვნოდა იმ წოდებას, რომლიდანაც წარმოსდგა მრავალი ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მწერალი მე-XIX-ე საუკუნის 80-იან წლებამდე. ნიკოლაძე იმ წოდებიდან წარმოიშვა, რომლის კონსოლიდაცია ასე თუ ისე გასულ საუკუნის 30-ან წლებში დაიწყო და საგრძნობლად გაიზარდა ვორონცოვის ეპოქასა (1844-54) და 60 იანი წლების პერიოდში, როდესაც ახალი ეპოქის ფაქტორებმა გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ნატურალურ მეურნეობას და ხელი შეუწყო ახალ სამეურნეო ურთიერთობის განვითარებას: იგი ქართველი მესამე წოდების წრიდან იყო წარმოშობილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ 30-იან წლებიდან საქართველოში საგრძნობლად ვითარდება სამოქალაქო ცხოვრება და სავაჭრო ურთიერთობა. მართალია, ეს მოქალაქეთა ფენა სომხისა და რუსის ნაციონალურ ელემენტებიდან შესდგებოდა, მაგრამ თავის ისტორიულ მისიას იგი მაინც ასრულებდა იმდენად, რამდენადაც მაშინდელი ცხოვრების მთავარ ამოცანას შეადგენდა ეკონომიური ცხოვრების წინწაწევა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარება. როგორც თვით ნ. ნიკოლაძეც გადმოგვცემს თავის მოგონებაში, მისი წინაპრები თავ. აბაშიძეების ყმები იყვნენ, ხოლო „ბაბუა მისი“ მე-XVIII-ე საუკუნეში ვაჭრობდა თავის მებატონეს და ქართლისათვის შეუფარებია თავი, შემდეგ, XIX-ე საუკუნის დასაწყისში იგი კვლავ გადასახლებულა იმერეთში, დასახლებულა ქუთაისში და თავისი ხელობა ვაჭრობა განუგრძია. ამავე გზას დასდგომია ნ. ნიკოლაძის მამა, იაკობი, რომელსაც იმ დროს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, როდესაც ჩვენში ჩქარი ტემპით ვითარდებოდა სავაჭრო კაპიტალი—ეს იყო 30-40-იანი წლები, ცნობილ ვორონცოვის ეპოქა და ყირიმის ომის პერიოდი, რამაც მეტად განავითარა ჩვენში ე. წ. „პოდრიადჩიკობა“ და სავაჭრო ურთიერთობანი. იაკობ ნიკოლაძე საკმაოდ დახელოვნებულ ვაჭრად სჩანს ნ. ნიკოლაძის მოგონებებით: იგი საკმაო დიდი ძალის ქონების და კაპიტალის მეპატრონე გამხდარა; მისი სავაჭრო მოღვაწეობის სფერო მარტო ქუთაისით და საქართველოს სარბიელით არ შემოიფარგლებოდა, იგი უკვე რუსეთის ბაზრებზედაც დაიარებოდა სავაჭროთ და ხშირად პირადათ ევროპის ბაზრებსაც ეწვეოდა. ამრიგად აბაშიძეების ყმის შვილი ქალ. ქუთაისის საპატიო წევრი—საკმაოდ მძლავრი „პოდრიადჩიკი“ და დიდი ქონების ვაჭარი ხდება *). აი ამ ახალ სო-

*) 1865 წ. 22 იანვრის თარიღით ქუთაისიდან პარიზში იაკობ ნიკოლაძე ერთ თავის კერძო წერილში თავის შვილს ნიკო ნიკოლაძეს სხვათა შორის სწერს

ციალურ წრიდან წარმოიშვა ნ. ნიკოლაძე, და აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენი 60-იანი წლები, რომელიც თავის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული შინაარსით გამოხატავდა ჩვენი საერთო ცხოვრების რენესანს,—მარტო თავად-აზნაურული ინტელიგენციის გამოსვლით სამოღვაწეო ასპარეზზე არ ხასიათდება; ჩვენი ცხოვრების ფონზედაც უკვე სჩანს ახალი პიონერები „რ ა ზ ნ ო ჩ ი ნ უ რ ი“ ინტელიგენციისა: თუ რუსეთში ამ პერიოდში „რ ა ზ ნ ო ჩ ი ნ უ რ ი“ ინტელიგენტის ძლავრი ფენა წარმოიშვა და მისმა მეთაურებმა (ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა და სხვებმა) ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს რუსეთის დახავსებულ წყობილების წინააღმდეგ, საქართველოში, რასაკვირველია, ასეთს მძლავრ ამოხეთქას ახალი ინტელიგენციის ფენებისას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ცხოვრების ისტორიულმა ვითარებამ მაინც თავისი ჰქნა და წ ი ნ ა მ ბ რ ძ ო ლ ნ ი ამ „რაზნოჩინურ“ ინტელიგენციისა უკვე გამოჩნდენ ჩვენი ცხოვრების ფონზე,—ესენი იყვნენ: დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, პ. უმიკაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვები. ეს უკვე მეტად დამახასიათებელი და მძლავრი სიმპტომი იყო იმისა, რომ შემდეგ პერიოდში ეს „რ ა ზ ნ ო ჩ ი ნ უ რ ი“ ინტელიგენციის უფრო მძლავრი და მრავალრიცხოვანი კადრები გამოვიდენ სამოღვაწეო ასპარეზზე: მართლაც, 70-80-იანი წლების ჩვენი ინტელიგენციის სოციალური შემადგენლობა ნათლად ამტკიცებს ამას: „დ ი ა კ ვ ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი“ (აკაკის თერმინოლოგიით) სინონიმი იყო „რ ა ზ ნ ო ჩ ი ნ ო ბ ი ს ა.“

ამრიგათ, ზემოდ მოყვანილი ფაქტები ნათლად და გარკვევით გვიმტკიცებს იმას, რომ ნ. ნიკოლაძე თავისი სოციალური შთამომავლობით არ ეკუთვნოდა მაშინდელ გაბატონებულ საზოგადოებრივ

შემდეგს: „ჩვენი ქარვასლა გავათავე, იმედი მაქვს ღვთისაგან ფულს ბლომათ გამოვიტან პრიკაზიდან იმის გირაობით, მაგრამ მინდა ერთი ფაბრიკა გავჭართო, ბანბა აქ ბევრი მოდის ადგილები წყალი და შეშა ბევრი გვაქვს ერთი სახელოვანი საქმე ვქნათ შვილო რომ იმერეთში ჩვენი სახელი დარჩეს არა თუ ჩემი მე მინდა ის ფაბრიკა შენი სახელით იყოს თუ გსურს თუ არა და ჩემი სახელით მაინცა, მანდ შემიტყეთ რა ფასად შეიძლება ამერიკის მომქსოვი მაშინა გამართოს კაცმა ან ოსტატი რა-ფასათ დადგება წლით რომ იქირაოს, ერთი სიტყვით ერთი შუათანა ფაბრიკა დაუნიშნე ყოვლის გამართულობით რა ფასათ დაჯდება რასაკურველია იანგარიშებენ ბანბას უნდა პენტდეს ართავდეს და სამოსელს ქსოვდეს იმისთანა ფაბრიკა უნდა იქნეს გათეთრებაც რომ შეეძლოს გონიერათ გამოიკითხე, და საჩქაროთ მომწერე. შენს აზრს შევამსგავსებ ჩემს აზრზედ, და თუმც მოვახერხე და დიდი სუმმა არ მოუნდა ხომ საქმეს შეუდგები თუ ვერ შევწვდი და გავჩუმდები (პაპიტკა ნი უბიტკა) აბა ვნახო შენი აზრი როგორ შემეწევა“ (წერილის დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში—ქუთაისის მუზეუმში).

ფენას; იგი მესამე წოდების წრიდან არის წარმოშობილი და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი საზოგადოებრივი აზროვნების დასახასიათებლად. როგორც ასეთი, იგი ბურჟუაზიული ინტელიგენციის მეთაურად და წინამძღოლად უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

ამ მომენტებთან ერთად აღსანიშნავია ის ვარეშოებაც, რომ ნ. ნიკოლაძე აღზრდილია რუსეთის 60-იანი წლების გონებრივ მოძრაობაზე; ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და მთელი „სოვრემენნიკ"-ის ჯგუფი იყო ის დაუშრეტელი წყარო, საიდანაც ჩვენი 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენცია კრეფდა თავის მასაზრდოებელ გონებრივ წყაროს; ამ მწერლების ლიტერატურაზე აღიზარდნენ ისინი და თავისებურათ შეითვისეს მათი სწავლა. ი. სტეკლოვი ერთ თავის ნარკვევში სწერდა შემდეგს: „კერძოდ, ჩერნიშევსკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა კავკასიელთა ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა მაშინდელი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან (ი. ისარლიშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. გ. და დ. ვ. ღოღობერიძეები, კ. შ. ლორთქიფანიძე, ეჯიბოვი და სხვანი). მრავალი მათგანი შემდეგში, როდესაც ისინი ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები გახდენ, თავის თანამემამულეთა შორის რუსული რადიკალიზმის პოპულიარიზაციას შეუდგენ. „სოვრემენნიკ"-ისა და ჩერნიშევსკის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე 60-იანი წლების სომხეთის ჟურნალისტიკა (სტ. ნაზარიანი, მ. ნალბანდიანი და სხვანი). და თუ შემდეგ პერიოდში კავკასიამ ასეთი საპატიო ადგილი დაიჭირა რევოლიუციის რიგებში, ეს უნდა მიეწეროს ჩერნიშევსკის დამსახურებას, რომელმაც პირველმა დათესა იქ სოციალიზმის თესლი".[1])

(რუსეთის სტუდენტობა და რევოლიუციონური ახალგაზრდობა თავიდანვე იტაცებდა ნ. ნიკოლაძეს. იგი განსაკუთრებულის სიმპატიებით იხსენიებს თავის მოგონებებში რუსეთის ინტელიგენციას. 1872 წელს იგი სწერდა: „შესანიშნავია ის ერთნაირობა, რომელიც აბეჭდია თითქმის ყველა იმ ახალგაზრდების საქციელს, რომელნიც მე რუსეთში გამიცვნია, ჩემ რუსეთულ ნაცნობებში ასობით ყოფილან ისეთები, რომელთაც მშვენიერი ნიჭი და სურვილი ჰქონიათ, რომელნიც ჩინებულ გზაზე მდგარან, პატიოსანი მიმართულების და მიზნის ალით სავსენი ყოფილან და აღტაცებით, ყმაწვილური ენერგიით და თავდაუზოგველობით შედგომიან თავიანთ შრომას. მათი პირველი ნაბიჯები, მათი მოქმედების დასაწყისი, მათი ალი და

1) Ю. Стеклов: „Н. Г. Чернышевский и революционное движение 60-х годов". ჟურნ. „Вестник Комакадемии" № 27, გვ. 173-4, 1927 წ.

პირდაპირი მიზნის სდევა მე ყოველთვის აღტაცებაში მომიყვანდა და იმედით მავსებდა". [1])

ნ. ნიკოლაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც პირადათ იცნობდა ჩერნიშევსკისა და მის მოწაფედ ითვლებოდა. იგი სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც მაშინდელ პეტერბურგის უნივერსიტეტში შეეიდა სტუდენტად და მხურვალე მონაწილეობა მიიღო იმ მოძრაობაში, რომელიც 1861 წლის სტუდენტთა არეულობის სახელწოდებით არის ცნობილი. სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის ნ. ნიკოლაძე სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად (გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ისარლიშვილი, ბ. ლოლობერიძე, ჭალიხაზიშვილი და სხვანი.) დააპატიმრეს და რამოდენიმე თვით კრონშტატის ციხეში მოათავსეს. [2]) ეს იყო პირველი ისტორიული ფაქტი, როდესაც ქართველმა ინტელიგენციამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო რევოლუციონურ-დემოკრატიულ მოძრაობაში და რუსეთის რეაქციონურ ძალებთან ერთად გამოვიდა საბრძოლველად. როგორც აღვნიშნეთ, ქართველ სტუდენტობას აღფრთოვანებასა და ენერგიას მატებდა არა მარტო რუსეთისა და ევროპის მაშინდელი რევოლუციონურ-ოპოზიციონური მოძრაობა, არამედ რუსეთის ის გონებრივი მოძრაობაც, რომლის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი ნ. ვ. ჩერნიშევსკი იყო. ნ. ჩერნიშევსკის ჯგუფმა და მისმა ლიტერატურულ-მეცნიერულმა ძოღვაწეობამ მეტად დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციაზე, ახალგაზრდა სტუდენტობა ხარბად დაეწაფა იმ დემოკრატიულ-ოპოზიციონურ ნაკადს, რომელიც მოსჩქეფდა ჟურნალ „სოვრემენნიკ"ის ფურცლებზე და რომელიც დაუზოგველად იტაცებდა მაშინდელ მოწინავე თაობას. ამრიგად ნ. ნიკოლაძის სოფლმხედველობა და მისი საზოგადოებრივი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა რუსეთის 60-იანი წლების გონებრივი და საზოგადოებრივი მოძრაობის ზეგავლენით. იმავე 1872 წ. იგი სწერდა: „წარმოიდგინე ეხლა, მკითხველო, რომ ეს პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი გამიცვნია, სადაც პირველათ ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინსა და გულს. რაღაც უცნაური ძალა და გავლენა ეძლევა ჩვენს გრძნობიერებაზე ყოველ იმ ალაგს, სადაც ჩვენ სიყმაწვილეში ზნეობის ფეხი აგვიდგამს, სადაც

[1]) ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძის): „სხვათა შორის"—„კრებული" № 4 გვ. 137-8, 1873 წ.

[2]) ცნობა ამის შესახებ მოთავსებულია „კოლოკოლ"-ში (იხ. № 114, 1861 წ. და წვრილებით იხ. ნ. ნიკოლაძის: „მოგონებანი სამოციან წლებზე").

ჩვენ ბედნიერნი ან უბედურნი ვყოფილვართ, სადაც ჩვენს გრძნობას მძლავრი მღელვარება გაუვლია, სადაც ჩვენ გვიშროშია და პირველ-ჯერ გამარჯვების ან დამარცხების კვამლით თავბრუ დაგვხვევია და განსაცდელი გაგვიცდია.—კაცს უყვარს ამნაირი ადგილი, ის ნიადაგ შშვენიერი სურათებით და ფერით იხსენიებს: იმას, თუნდ ცხრა მთას გადაღმა იყოს" [1]).

ასეთი არის ის საზოგადოებრივი ფონი, რომლის ზეგავლენითაც ჩამოყალიბდა ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური სოფლმხედველობა. იგი ტიპიური „სამოციანელი" იყო. მაგრამ შემცდარი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ნ. ნიკოლაძე ბოლომდე შერჩა თავის ახალგაზრდობაში შეთვისებულ აზრებს და არ განიცადა თავისებური ცვლილებანი და ევოლუცია ჩვენი ცხოვრების რეალურმა სინამდვილემ ღრმა გავლენა მოახდინა მის სამოღვაწეო პროგრამაზედაც და იგიც ისტორიულ ცხოვრების ვითარებასთან ერთად რადიკალურად შეიცვალა. ამ მხრივ ნ. ნიკოლაძის აზროვნების განვითარებაში ორი დიდი პერიოდი უნდა აღინიშნოს. დაახლოვებით 80-იანი წლების დასაწყისამდე ნ. ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამასა და აზროვნებას კვლავ ახასიათებს „მესამოციანელთა" სოფლმხედველობა; მიუხედავად იმისა, რომ მისმა აზროვნებამ 60—70-იან წლებში განიცადა საგრძნობი ევოლუცია, იგი მაინც მესამოცე წლების რუსეთის მოღვაწეების დიდ გავლენას განიცდის და თავის სამოღვაწეო პროგრამას მათი სოფლმხედველობის მიხედვით იმუშავებს. დაახლოებით 1868 წლიდან, როდესაც მან თავი დაანება ემიგრაციას და დაბრუნდა საქართველოში, იგი ლეგალურად შეუდგა ახალი თაობის ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამის შემუშავებას და ასოციაციებს, შეერთებული შრომის, აგრარული საკითხის, საბანკო საქმეებსა და სხვა მრავალი საჭირბოროტო კითხვების პრაქტიკულად გადაჭრას. ამ კითხვებს იგი მესამოციანელთა საზომით აშუქებდა, მაგრამ უკვე სჩანდა გადახრა მარჯვნით—რადიკალურ აზროვნებიდან ლიბერალურ სოფლმხედველობისაკენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მისი და ბეჩნიკოვის—რედაქტორობით გამოცემული პატარა ჟურნალი „ს ო ვ რ ე მ ე ნ ო ს ტ-"ი (1868 წ.), რომელშიც იგიუკვე ეარყოფს ემიგრანტობასა და იატაკ ქვეშ მუშაობას და მოითხოვს ლეგალური ბრძოლის წარმოებას არსებულ წყობილების წინააღმდეგ. ეს უკვე იყო დასაწყისი იმ ცვლილებისა, რომელიც შემდეგში, 80-იან წლებში გარკვევითა და ნათლად მოხდა ნ. ნიკოლაძის სოფლმხედველობაში

[1]) იგივე გვ. 148—9,

მიუხედავად ამისა, მისი სამოღვაწეო პროგრამა 70-იან წლებში საგრძნობლად უახლოვდებოდა „მესამოციანელ თა“ სოფლმხედველობას.

60-70-იანი წლები წარმოადგენს მეტად შესანიშნავ ხანას ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობაში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ რუსეთის 60-იანი წლების ბუმბერაზის ნ. გ. ჩერნიშევსკის საგრძნობი გავლენა განიცადა, 1864-68 წლებში ეგი საზღვარგარეთ იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის ემიგრაციაში.[1]) 1865 წ. ნ. ნიკოლაძე უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა გერცენის „კოლოკოლს-“ი.[2]) 1866 წ. იგი ნ ი კ ი ფ ო რ ე გ . . . . . ს ფსევდონიმით ჟენევაში ბეჭდავს ბროშურას: „М о л о д о е п о к о л е н и е и п р а в и т е л ь с т в о“, რომელიც უარაყოფს ტერორისტულ აქტებს, მაგრამ სასტიკ ბრძოლას უცხადებს რუსეთის მთავრობას. 1868 წელს მის მიერ გამოცემული „С о в р е м е н н о с т ь“ იმ მიმდინარეობას გამოხატავდა რუსეთის ემიგრაციაში, რომელიც მოითხოვდა რუსეთში დაბრუნებასა და მიზანშეწონილ ბრძოლის გაჩაღებას ხელისუფლების წინააღმდეგ ლეგალურის საშუალებით. ამ ჟურნალის შესახებ გერცენი „კ ო ლ ო კ ო ლ“-ში სწერდა: „ჩვენ მივიღეთ ახალ რუსულ ჟურნალის „Современность“-ის სანიმუშო ნომერი. მიმართულება საკვლებით რადიკალური და სოციალისტურია. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მივესალმოთ რუსეთში მომქმედ პარტიის ამ ახალ ორგანოს შრომის ასეთი განაწილება ძლიერ სასარგებლო იქნება“.[3]) 1869 წელს ნ. ნიკოლაძე ბრუნდება საქართველოში. ამავე წელს გაზ. „დროები“-ს რედაქტორობას კისრულობს ცნობილი პუბლიცისტი სერ. მ ე ს ხ ი-და დგება ახალი ჯგუფი ახალგაზრდობის სერ. მესხის, ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის მეთაურობით. ეს ჯგუფი არსებობდა 1877 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ნ. ნიკოლაძე მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა გაზ. „დროება-“ში (მხოლოდ 1874—75 წლებში არ უთანამშრომლია ამ გაზეთში) და ჟურნალ „კრებულში“, რომელიც 1871-73 წლებში გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით. 1873-77 წლებში იგი თანამშრომლობდა გაზ. „Т и ф л и с с к и й В е с т н и к“-ში, რომელიც ბებუთოვის რედაქტორობით გამოდიოდა. ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული მოღვაწეობა ამ ჟურნალ-გაზე-

---

[1]) რუსეთის მთავრობას იგი შეტანილი ყავდა ემიგრანტთა სიაში და ძასზე დაწესებული იყო საიდუმლო ზვერვა.

[2]) პირველ ხანებში გერცენი აღფრთოვანებით შეეგება ახალგაზრდა ემიგრანტს. შემდეგში გერცენსა და ნ. ნიკოლაძის შორის ცხარე კამათს ჰქონდა ადგილი.

[3]) გერცენის ნაწერები ტ. XV. გვ. 227—35.

თებში მეტის-მეტი ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო. მის წერილებს მეტად დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ მოსწავლე-ახალგაზრდობაზე. მისი სტატიები ცოცხალი ენით ძყო დაწერილი და ჩვენი ცხოვრების მთელ რიგ ღრმა მნიშვნელოვან პრობლემებს ეხებოდა.

მაგრამ თუ ერთი მხრივ ახალი თაობა აღფრთოვანებით ეგებებოდა ნ. ნიკოლაძის წერილებსა და მოღვაწეობას, სამაგიეროთ ადგილობრივი ხელისუფლება ფხიზლად ადევნებდა თვალს მის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ყოფნის დროს მეფის აგენტები გაფაციცებით აგროვებდენ ცნობებს მისი მოღვაწეობის შესახებ. 1870 წ., როდესაც მან ითხოვა რუსულად გაზეთის გამოცემა, მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოს გამგე სენატორი ბარონი ნიკოლაი ჩამოსთვლის რა ნიკოლაძის ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას 1861 და 1864-68 წლებში, აღნიშნავს რა მის ლიტერატურულ შრომებს მთავრობის წინააღმდეგ მიმართულს, ატყობინებს საცენზურო კომიტეტს, რომ დიდმა მთავარმა მეფის მოადგილემ შეუძლებლად სცნო ნება მისცეს ნიკოლაძეს გამოსცეს რაიმე გაზეთი ან ჟურნალი ტფილისში. მასთანავე ბარონ ნიკოლაი სთხოვს საცენზურო კომიტეტს ჭკვიანურად ადევნოს თვალყური, რომ ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობას არ ექნეს ცუდი გავლენა იმ გაზეთებსა და ჟურნალებზე, რომელიც კომიტეტის ნებართვით გამოდის [1]). ამრიგად ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობას და ცდილობდა საცენზურო არტახებით შეებორკა იგი.

განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ნ. ნიკოლაძის ბრძოლა ადგილობრივი ცენზურული პირობებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ გაზ. „Обзор"-ში (1878—80). ეს ორგანო ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით და მისი უახლოესი თანამშრომლობით გამოდიოდა და მიზნად ისახავდა ქართველთა ინტერესების დაცვას რუსეთის საზოგადოების წინაშე. „Обзор"-მა აშკარად მიიღო მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათი და თავგამოდებით ებრძოდა ადგილობრივ ცენზურულ პირობებს, რისთვისაც ნ. ნიკოლაძე რამოდენიმეჯერ მისცეს სამართალში [2]) „Обзор"-ის პროცესმა და ნ. ნიკოლაძის ბრძოლამ ამ ორგანოს საშუალებით თავის დროზე დიდი ყურადღება მიიპყრო. რ. ს.-დემოკრატიულმა პარტიამაც დიდი ყურადღება მიაქცია ამ ბრძოლას და შესაფერისი ადგილი დაუთმო მას „რუსეთის ბეჭდვითი საქმის

1) ცენტროარქივი: Дело Кавказского цензурного комитета № 1311, 1870 წ.

2) იხ. „Первый процесс обзора" 1879 წ.

მდგომარეობის დასახასიათებელ მასალებში" [1]). ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ აპატია ნ. ნიკოლაძეს ეს თავხედობა და იგიც ადმინისტრატიული წესით გადაასახლეს 1880 წლის ზაფხულში სტავროპოლში. 1881 წლის თებერვალში ნ. ნიკოლაძე ვაანთავისუფლეს გადასახლებისაგან და ნება დართეს ეცხოვრა პეტერბურგში. აქ ის შედის რკინის გზის სამსახურში. (1883 წ. იგი მოწვეული იქნა ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობაში. ამის შემდეგ იწყება ნ. ნიკოლაძის პრაქტიკული მოღვაწეობა სხვადასხვა სამრეწველო და საქალაქო დაწესებულებებში. ამით დამთავრდა პირველი პერიოდი ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა. ამ პერიოდში მას ახასიათებდა რადიკალური აზროვნება და ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. მთავრობა მას სდევნიდა და იგი ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.)

ამრიგად, დაახლოებით 80-იან წლებამდე ნ. ნიკოლაძე ოპოზიციაში უდგა მთავრობას და რადიკალურ მიმდინარეობას ეხმარებოდა. ამიტომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება გავაცნოთ მას ეანდარმერიის ცნობები ამ პერიოდის ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ. ქვემოდ შოყვანილი ცნობა ამოღებულია გალიცინის მიერ 1887 წ. გამოცემულ წიგნიდან: „История социально-революционного движения в России":

—„ნ. ი. ნიკოლაძე, დაბადებულია ქუთაისის გუბერნიაში, ფოთის მოქალაქე, ყოფილი სტუდენტი სანქტპეტერბურგის უნივერსიტეტისა, შემდეგ რედაქტორი გაზეთ „Обзор"-ისა, რომელიც გამოდიოდა ტფილისში რუსულ ენაზე. 1861 წ. მონაწილეობდა სტუდენტა არეულობაში. 1864 წ. გაემგზავრა საზღვარ გარეთ, სადაც 1866 წ., ჟენევაში დაბეჭდა ბროშურა სათაურით: „მთავრობა და ახალი თაობა", რომელიც შედგენილი იყო 1866 წ. 4 აპრილს ვერაგულ თავდასხმის გამო. 1868 წ. ნიკოლაძე ელპიდინთან [2]) ერთად ბეჭდავდა რევოლუციონურ შინაარსის ფურცლებს სათაურით: „ჰერქვეშური სიტყვა" და „თანამედროვეობა", რის გამოც რუსეთში დაბრუნების შემდეგ იმყოფებოდა პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ, და მისი თხოვნა, რომ მიეცათ მისთვის ნებართვა ტფილისში გაზეთი „Обзор"-ის გამოცემისა, უარყოფილ იქნა.[3])

---

[1]) იხ. „Материалы для характеристики положения русской печати" выпуск I, გამოცემა „Союза Русских социаль-демократов", ჟენევა, 1898 წ. გვ. 27—36.

[2]) ელპიდინი იყო გამომცემელი. აღნიშნულ „Современность"-ს ნიკოლაძე სცემდა მეჩნიკოვთან ერთად.

[3]) „Обзор"-ის გამოცემა პირველად ნიკოლაძემ 1870 წ. ითხოვა.

1872 წ. ნიკოლაძემ შუამდგომლობა აღძრა რათა განეთავისუფლებიათ პოლიციის მეთვალყურეობისაგან, ვინაიდან მისთვის აუცილებელი იყო ტფილისიდან ხშირად გამგზავრება სხვა ქალაქებში, როგორც საკუთარი კომერციული საქმეების, ისე მცირეწლოვან თავის და-ძმების საქმეთა გამო, რომელთა მზრუნველიც ის იყო. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა არა მარტო ტფილისიდან თავისუფლად წასვლა-მოსვლის სახით, არამედ ნება მიეცა აგრეთვე ემოგზავრა საზღვარგარეედაც; პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფისაგან კი ის არ განუთავისუფლებიათ, ვინაიდან ქუთაისის გუბერნატორის ატესტაცია მას სახავდა არაკეთილსაიმედოთ. ნიკოლაძის საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას მის ბარგში აღმოჩენილ იქნა სალიტერატურო დაზგა [1]) და ორი ფუთი წიგნები, უმთავრესად სოციალისტური შინაარსისა, რომელთა შორის ბევრი აღკრძალული წიგნები იყო, და აგრეთვე ციურიხის ქართული საზოგადოების „ულეს ლი"-ს სხდომების სამი ოქმი. [2]) ამის გამო, 1873 წ. აგვისტოში, მაისევ აეკრძალა გასვლა მისთვის მიჩენილ საცხოვრებელ ადგილიდან, მაგრამ ოქტომბერში, ვინაიდან ნიკოლაძისათვის უკიდურეს აუცილებლობას შეადგენდა საქმეების გამო საზღვარგარეთ წასვლა, მას მიეცა საზღვარგარეთ გასვლის ნებართვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ თუ საზღვარგარეთ ყოფნის დროს იქონიებდა კავშირს ემიგრანტებთან, მაშინ, რუსეთში დაბრუნების შემდეგ მას დაამკვიდრებდენ სამშობლოში და აეკრძალებოდა მიჩენილ ადგილის დატოვება. საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას ნიკოლაძე გაჩხრეკილ იქმნა ვერეგბოლოვსა და ფოთში, მაგრამ მას საეჭვო არაფერი აღმოაჩნდა. 1875 წ. ის ცხოვრობდა ქუთაისში, სადაც ქალაქის თვითმართველობის ხმოსნადაც კი იქმნა არჩეული. აზნაურმა იაგორ იოსელიანმა, [3]) რომელმაც გახსნა ამავე წელს დაარსებული კავკასიის რევოლუციონური წრე-განაცხადა, რომ ნიკოლაძე იყო ამ წრის ერთ-ერთი უაქტიურესი წევრი. მაგრამ ამ საქმეში მისი უშუალო მონაწილეობა ძიებით არ იქმნა დამტკიცებული, ამიტომ მისი საქმე სასამართლოს აღარ გადა-

[1]) 1873 წ. ნიკოლაძემ მიქელაძესთან და იზმაილოვთან ერთად გამოსცა ათი ნომერი ხელთნაწერი გაზ. „დ რ ო შ ა" ას-ას ცალად. აღნიშნული დაზგა ამ მიზნისათვის ქონდა გამოყენებული და საქართველოშიაც აპირებდა ამ საქმის გაგრძელებას.

[2]) საზ. „ულელი" დაარსდა 1873 წ. ციურიხში. ამ საზოგადოების შესახებ გაზ. „დროება-შიც არის მოთავსებული წერილი (იხ. № 16. 1873 წ.).

[3]) ამ ი. იოსელიანმა გასცა ქართველ რევოლუციონერთა ორგანიზაციები 1876 წ. საბუთები ამის შესახებ ინახება რევ. მუზეუმში.

სცემია. 1877 წ. ოსმალთა კომპანიის დროს ნიკოლაძე იყო სამხედრო კორესპონდენტი და იმყოფებოდა გრაფ ლორის-მელიქოვის კორპუსთან, გრაფის შუამდგომლობის თანახმად ის განთავისუფლებულ იქმნა პოლიციის მეთვალყურეობისაგან. 1878 წ. ნიკოლაძეს მიეცა გაზ. „Обзор"-ის გამოცემის ნებართვა, მაგრამ მისი მოქმედების კანტროლისათვის დაწესებულ იქმნა ფარული მეთვალყურეობა. ნიკოლაძეს გაზეთი მიჰყავდა მთავრობისათვის სავსებით საწინააღმდეგო მიმართულებით, რამაც გამოიწვია განკარგულება მისი გამოცემის შეწყვეტის შესახებ. ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვის გამო, რომელშიაც სასტიკად ილაშქრებდა ადმინისტრაციის წინააღმდეგ და აგრეთვე საზოგადოთ მის მიერ გამოცემულ გაზეთ „Обзор"-ის არაკეთილსაიმედო მიმართულებისათვის 1880 წ. ის გადასახლებულ იქმნა სტავროპოლში, სადაც იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ".

80-იანი წლების დასაწყისიდან იწყება მეორე დიდი პერიოდი ნ. ნიკოლაძის აზროვნების განვითარებაში. ის საზოგადოებრივ-სოციალისტური ელემენტები, რომელიც პირველად ახასიათებდა მის სოფლმხედველობას, თანდათან კარგავს თავის შინაარსს და ნ. ნიკოლაძეც ორივე ფეხებით ბურჟუაზიულ სამოღვაწეო პროგრამის ნიადაგზე დგება. აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ ამ პერიოდიდან ნიკოლაძეში უფრო მეტყველებდა პრაქტიკი მოღვაწე—ვინემ მებრძოლი პუბლიცისტი. იგი ამუშავებდა მთელ რიგ პრაქტიკებს ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ. აღმშენებლობისათვის, მონაწილეობას იღებდა მთელ რიგ საწარმოო წამოწყებებში, რომელთაც დიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. მას აინტერესებს ტყიბულის ქვანახშირისა და ტყიბულის რკინისგზის შტო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ საქმის მოწესრიგებაში; მისი ყურადღების ცენტრად ხდება ჭიათურის შავი ქვა და რკინის გზა, სურამის გვირაბი, ბაქოს ნავთი, სხვადასხვა ქალაქების მუნიციპალიზაციის საკითხი, ელევატორის და ელექტროფიკაციის საქმე და მრავალი სხვა, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამრიგად იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჩვენი ცხოვრების კაპიტალიზაციის საქმეში; მისი სოფლმხედველობაც და იდეოლოგიაც ამ მიმართულებით იქნა განვითარებული: იგი საქართველოს ბურჟუაზიის იდეოლოგი და მებაირახტრე გახდა, მაგრამ რადგანაც ეს ბურჟუაზია ჯერ კიდევ ვერ იყო მომწიფებული და აქტიური საქართველოში, ამიტომ ნ. ნიკოლაძემაც ვერ შეძლო ბურჟუაზიული კლასის მეთაურობა და ბურჟუაზიულ პარტიის

ჩამოყალიბება: იგი ჯერ კიდევ უჯარო გენერალი იყო 80—90-იან წლების საქართველოში.

ამრიგად 80-იანი წლებიდან ნიკოლაძის ძველი რადიკალური სოფლმხედველობა და საზოგადოებრივი პროგრამა აშკარა ბურჟუაზიული სოციალ-პოლიტიკური პროგრამით შეიცვალა. ნ. ნიკოლაძის აზროვნების ამ კრიზისის აშკარა მაჩვენებელი იყო ის როლი, რომელიც ნ. ნიკოლაძემ ითამაშა იმ მოლაპარაკებაში, რომელიც სწარმოებდა რეაქციონურ „Священная дружина"-სა და რევოლუციონურ „Народная Воля"-ს პარტიის შორის. ამ მოლაპარაკებასა და ნიკოლაძის როლს ამ საქმეში მოკლედ შევეხები ქვევით. ახლა შევეხოთ ნიკოლაძის სოციალურ აზროვნებას.

III. სოციალური მსოფლმხედველობა

ახალგაზრდა ნიკოლაძის სოციალური სოფლმხედველობის შემუშავებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა რუსეთის 60-ანი წლების სოციალისტურმა აზროვნებამ და დასავლეთ ევროპის უტოპიურმა თეორიებმა. 60-ანი წლების რუსეთის სოციალისტური აზროვნება, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი,—ნაროდნიკული შინაარსისა იყო; მართალია მათ აზროვნებაში უხვად იყო გაბნეული შუცხიერული სოციალიზმის ელემენტები, მაგრამ ეს მაშინდელი ახალი თაობისათვის სრულიად შეუმჩნეველი იყო. მათ უმთავრესად და ძირეულად ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერებში ნაროდნიკულ-უტოპიური სოციალიზმის თეორია დაინახეს და მისი მიმდევრები გახდენ ამ მხრივ ნ. ნიკოლაძის 60—70-ან წლების ნაწერებში აუცილებლად არის ჩერნიშევსკისა და საერთოდ ნაროდნიკული სოციალიზმის გავლენა.) მეორე მხრივ, 60-ან წლებში დასავლეთ ევროპის აღორძინებულმა მუშათა მოძრაობამ და სოციალისტურმა აზროვნებამ დიდი გავლენა მოახდინა მის სოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, საზღვარგარეთ ყოფნის დროს (1864—68) იგი ხარბად დაეწაფა იქაურ სოციალისტების ნაწერებს და ნარკვევებსაც სწერდა მათს შესახებ [1]) ამ მხრივ მისი ყურადღება უმთავრესად მიიპყრო სენ-სიმონისა და ჟუი ბლანის სოციალურმა თეორიებმა.

[1]) 1864 წ. 19 ოქტომბერს საზღვარგარეთიდან იგი სწერდა კ. ლოროკიფანიძეს: . . . „არ დაგავიწყდეს, მაშინ (1862 წ.) ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის წიგნები მქონდა, და იმათ კითხვაში მავიწყდებოდა შიმშილი; და ეხლა—ჩერნიშევ-

თანახმად ზემოდ დასახელებულ სოციალისტების თეორიისა, ნიკოლაძეც თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების უარყოფით მხარეს ხედავს ამ წყობილების მოუწესრიგებლობაში: კონკურენცია, ანარქია და ექსპლოატაცია ერთი კლასისა მეორე კლასის მიერ—აი რა ახასიათებს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებას ნიკოლაძის შეხედულებით. მისთვის, როგორც იდეალისტურ აზროვნებაზე აღზრდილისათვის, უცნობი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონები; მისი აზრით ისტორიას ამოძრავებს განსაზღვრული თეორია, შეგნება, ცოდნა; რომელ ეპოქაშიაც როგორი თეორია და აზროვნება არის გაბატონებული, საზოგადოებრივი წყობილებაც ამ აზროვნების მიხედვით ეწყობა; კაპიტალისტური წყობილება ბურჟუაზიული აზროვნების მიხედვით აშენდა; სოციალისტურ-ასოციაციური აზროვნება საფუძვლად უნდა დაედვას ახალ საზოგადოებრივ ფორმაციას, ჰარმონიულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ასეთი არის ნიკოლაძის სოციოლოგიური მსოფლმხედველობა. მისთვის კაპიტალისტური საზოგადოება არ წარმოადგენს ისტორიულად აუცილებელს საზოგადოებრივ ფორმაციას. და ამიტომ, მისი აზრით, იგი შესაძლებელი არის, თუ საზოგადოებაში მომწიფდება აზრი, დღესვე შეიცვალოს ჰარმონიულ-ასოციაციური წყობილებით.

ნიკოლაძე კაპიტალიზმსა და მაშინდელ ევროპის საზოგადოებრივ წყობილებას აკრიტიკებდა წმინდა იდეალისტური საზომით.

სკი და დობროლიუბოვი რა არი? ფურიე და სენ-სიმონი მკონდა". ერთ ხანს იგი „ყველა უტოპისტურ-სოციალისტის თეორიებშიაც დაეკვიანებულია, ჩერნიშევსკიც კი „ტრუიზმად" მოჩვენებია. იმავე ლორთქიფანიძეს სწერს: „აქ (ევროპაში) არის ცხოვრება. აქ მუშაობს ჭკუა და აზრი ისე, როგორც რუსეთში თავის დღეში არ იმუშავებს. იცი რატომ მინდა ლუი ბლანის გადათარგმნა? ამიტომ რომ მეშინია ჩემი სტატიის დაწერა: ყოველ დღეს აქ ახალ ახალი გზით მუშაობს ჩემი აზრი და ძალიან ხშირად, ის რაც ჯუშინ დამტკიცებული და დაურღვეველი მეგონა, დღეს ირღვევა ერთი სულის შებერვით. მართალი გითხრა ეხლა მე არც ერთი მწერალი არ მომწონს.—ფურიე-ხომ-თითქმის სრულიათ ჩამივარდა ჩემს აზრში, აგრეთვე როგორც სენ-სიმონი და თითქმის ლუი ბლანიც. ჩერნიშევსკის თეორია ტ რ ი ი ზ მ... ამ საგანზე მე მოგწერ დაწვრილებით ერთი თვის და ნახევრის შემდეგ, როცა გავიცნობ კიდევ ორი სამის ეკონომისტების თხზულებებს (ძველებიდგან.) მე უფრო დიდი რამე მეგონა ფრანცუზული სოციალიზმი, და დიდი რამე კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამეა დარჩენილი შესამუშავებელათ"... 1866 წ. სწერდა: „...ორი თვის მერმე მოგწერ ესე იგი გადმოვწერ პირველ 100 გვერდს ჩემი „Записки по политической экономии"-იდან. ფურიეს და სენ-სიმონის სისტემა აწერილი მაქვს, ეხლა მაკლია: ტომას მორო, კამპანელა, კაბეტ, შემდეგ, ლუი ბლან და სხვანი". (იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი ქუთაისის მუზეუმში).

იგი ნათლად ხედავდა, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობა თავისი კონკურენციით, მოუწესრიგებლობითა და ექსპლოატაციით, იწვევდა უკმაყოფილებას სოციალურ წრეებში და ბრძოლას უფრო სამართლიანი წყობილების დამყარებისათვის. 1875 წ. ერთს თავის წერილში იგი სწერდა:

„დედამიწის ზურგზე დღეშდე არ არის არც ერთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილება აღიარებული ყოფილიყოს დამაკმაყოფილებლად. ყველაზე უფრო ცივილიზაციაქმნილი და ბედნიერი ხალხები,—ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები—სხვებზე რომ არ ვილაპარაკოთ,—იტანჯებიან საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის მოუწესრიგებლობით. მათ შეიგნეს, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი სამუდამოდ არ უნდა არსებობდეს, რომ საჭიროა ლტოლვა უფრო სამართლიან წყობილებისაკენ, საზოგადოებრივ მოვალეობისა და უფლების უკეთეს განაწილებისაკენ; თანამედროვე წყობილებით უკმაყოფილება, მისწრაფება მსოფლიოში ადამიანური დამოკიდებულების, „საზოგადოებრივი ჰარმონიის“ დამყარებისაკენ ყოველ ერში არსებობს“ [1]).

ამრიგად, ნიკოლაძემ ერთი მხრივ, რუსეთისა და დასავლეთის სოციალისტური აზროვნების ზეგავლენით, მეორე მხრივ, ევროპის საზოგადოებრივი წყობილების შესწავლით ნათლად შეიგნო, რომ დღევანდელი კაპიტალისტური საზოგადოება „დაავადებული არის მძიმე სენით“, რომელიც მოითხოვს განკურნებას, შესაფერისს წამლობას. მაგრამ როგორი გზითა და საშუალებით შეიძლება არსებულ წყობილების განკურნება, უკეთ, როგორი საზოგადოებრივი წყობილების ფორმებში არის შესაძლებელი ნამდვილი, ჰარმონიული წესწყობილების დამყარება, რით უნდა შეიცვალოს თანამედროვე ანარქიული და ექსპლოატაციაზე აგებული, კლასთა ბრძოლითა და ომებით დაქუცმაცებული ძველი წყობილება? ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტის დროს ნიკოლაძის აზროვნებაზე—დიდი გავლენა მოახდინა ნ. ჩერნიშევსკისა და სენ-სიმონ-ლუი ბლანის ნაროდნიკულმა და ასოციაციურმა თეორიებმა. ნიკოლაძეს სრულად დაუკმაყოფილებლად მიაჩნდა პრუდონის სისტემა; იზიარებდა რა იგი პრუდონის მიერ წარმოებულ კრიტიკას კაპიტალისტური წყობილების შესახებ, სრულიად არ მიაჩნდა მისი გეგმები მიზანშეწონილად „ჰარმონიულ წყობილების“ დამყარების საქმეში;—ნიკოლაძე სწერდა:

---

[1]) Н. Николадзе: „Капризы пера“—„Тиф. Вестник“ № 110, 1875 г.

„პრუდონის სისტემის შემოღება ვერ აღმოფხვრიდა საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების არსებით ბოროტებას—მეტოქეობის სრულსა და განუსაზღვრელ ბატონობას; იგი ვერ მოსპობდა იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს არა მარტო სხვადასხვა ხელობასა და წოდების შორის, არამედ ცალკე პირებს შორისაც, რომელნიც ერთსადაიმავე ხელობას მისდევენ. ფრანგ მწარმოებელთა დაქუცმაცებული მდგომარეობა აუცილებლად გამოიწვევდა მათ შორის გამწვავებულ ბრძოლას, რომელიც თავის მხრივ მთელი მრეწველობის ურთიერთობას ანარქიად გადაიქცეოდა. პრუდონის სისტემა ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა. საფრანგეთის მრეწველობის დღევანდელ პირობებში ჩვენ ვამჩნევთ შეურიგებელ ომს ერთი მხრივ კაპიტალისტებსა და მეორე მხრივ მუშებს შორის; შემდეგ—ურთიერთ ბრძოლას თვით კაპიტალისტების შორის და ასეთსავე ოფლენას მუშებს შორის; ამჟამად ერთი მხარე თავიდან-ფეხებამდე იარაღშია ჩამჯდარი, მაშინ როდესაც მეორე მხარე შიშველ-ტიტველი დაიარება. პრუდონის სისტემა ამ მდგომარეობას შესცვლიდა იმ მხრივ, რომ ორივე მხარე შეიარაღებული აღმოჩნდებოდა, თუმცა არა ერთნაირად. მიუხედავად ამისა ანარქია და მწარმოებელთა შორის ომი კვლავ იწარმოებდა ძველებური სიმწვავით, თუ უფრო მეტად არა. პრუდონი გააფთრებით ებრძოდა მონათესავე ინტერესების ყოველგვარ შეერთებას, მწარმოებელთა გარკვეული რაოდენობის შეამხანაგებას საერთო წარმოებისა და ეკონომიური მოხმარების საფუძვლებზე. პრუდონი ისეთივე ულმობელობით ებრძოდა ამხანაგობებს, როგორც აჟიოტაჟს და ერთნაირად შეფასებას აძლევდა როგორც ერთის, ისე მეორეს მომხრეებს“ [1]).

„ნდა აღვნიშნოთ, რომ აქ პრუდონის სისტემის სრულიად საფუძვლიანი კრიტიკა არის მოცემული. როგორც ცნობილია, პრუდონი მსხვილ კერძო საკუთრებას უწოდებდა ქურდობას, მაგრამ წვრილი კერძო საკუთრება, საკუთარ შრომაზე აგებული, პრუდონს წმინდათა-წმინდათ მიაჩნდა. აქედან წარმოსდგა მისი თეორია „საკუთრების გათანასწორებისა“, ცალკე ყოველი პიროვნების მესაკუთრედ გადაქცევისა; პრუდონს არ სწამდა წარმოებისა და მოხმარების კოლექტიური ფორმები; როგორც წარმომადგენელი წვრილ-ბურჟუაზიული ინდივიდუალური ანარქიზმისა, იგი მთელი თავისი არსებით ებრძოდა კომუნისტურსა და სოციალისტურ-ასოციაციურ თეორიებს.

1) იხ. მისი წერილი: „წერილი პრუდონზე“—„რჩეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 156—7.

პრუდონის ინდივიდუალისტური სისტემა სრულიად ვერ მოსპობდა თანამედროვე ანარქიასა და კონკურენციას და ამ მხრივ ნიკოლაძემ იგი საფუძვლიანად უარყო. ნიკოლაძეც მომხრე იყო და იგი არსებითად იცავდა იმ აზრს, რომ საზოგადოებრივ წყობილებას საფუძვლად შ რ ო მ ა დასდებოდა, რომ საზოგადოებრივი ჰარმონია მხოლოდ შრომის პრინციპზე იყო შესაძლებელი დამყარებულიყო. მაგრამ ეს შრომა ასოციაციურ-კოლექტიურ ფორმებში უნდა ჩამოყალიბებულიყო და არა ინდივიდუალურს ფორმებში, როგორც ამას ფიქრობდა პრუდონი.

არკვევს რა ნიკოლაძე 60-ანი წლების რუსეთის ახალი თაობის სამოღვაწეო პროგრამას, სწერს:

„ახალი თაობის აზრით ადამიანის ღირსების ერთად-ერთი დამცველი არის მხოლოდ შრომა, რომელიც სხვას არავის დააწვება კისრად... ამან აიძულა ახალი თაობა ხელი მოეკიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირიანად გარდაქმნისათვის—ყველასა და თვითეულისათვის საკუთარი და არა სხვისი შრომით ცხოვრება სავალდებულოდ აღიარებინა. გამოდიოდა რა ამ დებულებიდან, ახალთაობის საზოგადოების მართებული, ადამიანური მოწყობის აუცილებელ პირობად მიაჩნდა შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც საზოგადოების ყოველი წევრი განურჩევლად—უზრუნველყოფილი იქნება შრომის იარაღით“ [1]). ეს არის ის ძირითადი დებულება, რომელიც საფუძვლად ედება ნიკოლაძის ასოციაციურ სისტემას—ე. ი. იმ სისტემას, რომელიც მან დასავლეთ ევროპის სოციალისტებიდან და ჩერნიშევსკის მიმდევრებიდან ისესხა. მისი აზრით „ფართედ და რადიკალურად შეცვლა დრომოჭმული ორგანიზაციისა“ შესაძლებელია შრომის ასოციაციებისა და მიწის თემური წყობილების გზით, რომელიც ფართო გასაქანს მისცემს ხალხს და აამაღლებს მას კულტურულ-ეკონომიურად. თავის სადისერტაციო შრომაში განიარაღების შესახებ, რომელიც 1868 წ. წარუდგენია ციურიხის ბურჟუაზიულ უნივერსიტეტისათვის, ნიკოლაძე სწერს: „ეს რეფორმა (ე. ი. ასოციაციების, ამხანაგობების შემოღება. ს. ხ.) ერთი იმ აუცილებელ რეფორმათაგანია, რომელმაც უნდა შეანელოს განუსაზღვრელ კონკურენციის სიმწვავე. მართლაცდა პოლიტიკურ ეკონომიის კანონის თანახმად, მუშა—საქონლის შემქნელი, რომელიც წელში გაწყვეტილია რეალურ ცხოვრების სიმძიმის ქვეშ, ნაკლებ ხელფასსა სჯერდება,

[1]) Никифор Г.... „Правительство и молодое поколение“ 1866 г. —„რჩეული ნაწერები“ ტ. I, გვ. 235.

ოლონდ თავის მუშაობით იმდენი იშოვოს, რომ იმით შეიძინოს, რაც არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა... მხოლოდ საამხანაგო ცხოვრებას, მკვიდრათ მოწყობილს და ყოველგვარ საქონლით ხელგამართულს, საწარმოვო კოოპერაციასთან შეერთებულს, შეუძლია მუშები კონკურენციის კლანჭებისაგან გაანთავისუფლოს: საამხანაგო ცხოვრების წყალობით, იმ ცხოვრების, რომელიც ერთსა და იმავე დროს საწარმოოც იქნება და მომხმარებელიც, მუშას შეეძლება თავის დროზე გამოიყენოს სათადარიგო თანხა" [1]).

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ ასოციაციურ ფეორიასთან ერთად ნიკოლაძემ ჩერნიშევსკიდან და რუსეთის 60-ანი წლების სოციალისტურ აზროვნებიდან გარკვეული ნაროდხიკული თეორიაც შეითვისა. როგორც ცნობილია, რუსეთის ნაროდნიკები რუსეთის მიწის მფლობელობის თემურ ორგანიზაციას დიდ ყურადღებას აქცევდენ და მასში ხედავდენ ერთ-ერთ გზასა და საშუალებას სოციალიზმის გასახორციელებლად. იმ პერიოდში ნიკოლაძემ უკრიტიკოთ შეითვისა ჩერნიშევსკის შეხედულება თემისა და თემურ წყობილებაზე. 1865 წ. იგი სწერდა: „ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთად-ერთ ფორმას, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია. ასეთი წყობილება სწორედ იმიტომ იქნება სასარგებლო საქართველოსათვის, რომ ყველა სხვა წყობილებაზე უკეთესად, და, უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ ის შეუწყობს ხელს, შეძლებისამებრ, ხალხის კეთილდღეობის სრულ განვითარებას, რაც თავის მხრით, ხელს შეუწყობს ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ძალ-ღონისა და ნიჭის განვითარებას... საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების იდეალი, ჩვენის აზრით, ყველაზე ადრე რუსეთისათვის არის განსახორციელებელი, რადგან ამ წყობილების მთავარი პრინციპი— თემობრივობა, შეძლებისამებრ, რუსის ხალხმა შეინარჩუნა" [2]).

აქედან შემუშავდა ნ. ნიკოლაძის პრაქტიკულ-პოლიტიკური გეზიც—რუსის ხალხთან და ახალთაობასთან ერთად უნდა იბრძოლოს საქართველომ ახალი წყობილების განხორციელებისათვისო.

---

1) „რჩეული ნაწერები", გვ. 344—5.

2) Рио-Нели: „Освобождение крестьян в Грузии"—„Колокол" № 199, 1865 წ., რჩეული ნაწერები გვ. 174—5.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასოციაციების, ამხანაგობების თეორიის ქადაგებას და შრომის თემური წყობილებას არა ერთხელ დაბრუნებია ნიკოლაძე თავის წერილებში 70-იან წლებში. 1873 წ. იგი სწერდა: „ამ მიმართულების (გულისხმობს რუსის სოციალისტებს. ს. ხ.) უმთავრესი პრინციპი — შეერთებული, ამხანაგური შრომის და ცხოვრების გამართვა—ათასი წლობით არსებობს რუსეთელ ხალხში, რომელსაც მიწა-წყლის საზოგადოებრივი მფლობელობა (общинное землевладение) და ამხანაგობრივი (артел) საქმის წაყვანა ძვლებშიაც გამჯდარი აქვს... რაც უფრო მეტი დახმარება და გონიერი ხელმძღვანელობა მიეცემა რუსეთში ამ ამხანაგობებს, რომელნიც რუსეთის ხალხს თავისთავათ დაუარსებია, რაც უფრო მეტი პრაქტიკული მხრით დაუახლოვდება ამ ხალხს ახალი მიმართულების პირები, მით უფრო და უფრო გაადვილდება რუსეთის გონებითი გახსნის საქმე, მით უფრო დაახლოვდება ის დრო, როცა ამ გახსნას გონიერი გზა მიეცემა და მის წინ ეხლანდელი დაბრკოლება და წინააღმდეგობა მოისპობა“. 1) ამავე საკითხის შესახებ 1879 წ. სწერდა:

„იმავე მოძრაობის მეოხებით, რუსეთში მიხვდენ, რომ მათს ცხოვრებაშიაც ყოფილა ზოგიერთი იმისთანა მხარეები, რომელიც ევროპის განათლების მომხრეებსაც კი მოეწონება და აღტაცებაში მოიყვანს. გამოჩნდა მაგალითად, რომ ჩინებული რამ ყოფილა რუსეთის ძველი ჩვეულება შრომის განაწილებისა (артели) და მიწის-მფლობელობისა (община), თითქმის ისეთი ყოფილა როგორც იდეალად უჩვენებენ ევროპის რეფორმატორები (ე. ი. სოციალისტები)“. 2).

ასე სწერდა ნიკოლაძე 70-იან წლებში მიწის თემური წყობილებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის საქმეში. ჩვენ ქვევით დავინახავთ, თუ როგორ გამოიყენა მან ეს ფორმა მიწის მფლობელობისა ჩვენში აგრარული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. არა ნაკლები ენერგიით ეწეოდა იგი პროპაგანდას ასოციაციების და ამხანაგობების დაარსების და მნიშვნელობის შესახებ. 3) 1879 წ. იგი სწერდა:

„შრომის და ძალის შეერთებით, და ერთი მიზნისაკენ მიმართვით ხალხი იმისთანა საქმეებს ახერხებს, რომელსაც ვერც ერთი

1) ნ. სკანდელი: „რუსეთის ცხოვრება“—„კრებული“ № 5-6, გვ. 383—4 1873 წ.

2) ნ. ნიკოლაძე: „საახალწლო“—გვ. 255-ხ, 1880 წ.

3) იხ. ნ. სკანდელი: „ამხანაგობის ძალა“—„სასოფლო გაზეთი“—№ 10, 11 1870 წ.

კერძო პირი, რაგინდ გონიერი იყოს, მარტოხელად ვერ მოერეოდა, და ვერც ათასი ან ათი ათასი გენიოსი, ცალცალკე მშრომელი, ვერ გაარიგებდა. ღიდი ეკონომია, დიდი სარგებლობა, ან სიადვილე მოსდევს შრომის გონიერ შეერთებას: ჯაფა მაშინ ყველას გაუადვილდება და შრომის ნაყოფი ყველასათვის მატულობს... გონიერი შრომის შეერთება, რიგიანი დისციპლინა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ათასი კაცის ტვინი და გონება საქმეს ეხმარებოდეს, რომ რაც მათ ძალა ან მოხერხება აქვთ, სულ ერთიანად შრომაზედ იყოს მიქცეული"... [1])

ასე სწერდა ნიკოლაძე 60-იან და 70-იან წლებში ასოციაციებისა, ამხანაგობებისა და თემური წყობილების შესახებ. ასეთი იყო ჰისი სოციალური თეორია. იმ ხანებში იგი თავგამოდებით იცავდა ამ თეორიას და ცდილობდა მის ცხოვრებაში განაღდებას. 1876 წ. ი. ჭავჭავაძესთან კამათის დროს ნიკოლაძე სწერდა: „ეკონომიურ და საზოგადოებრივ მეცნიერებაში ორი უმთავრესი მიმართულება იყო ამ ჩვენს საუკუნეში. ამ ორს მიმართულებებს შუა მთელი ორმოცი წლის განმავლობაში დაუცხრომელი ბრძოლა იყო ატეხილი. პირველი მიმართულება, რომელსაც ჰქვია „ბურჟუაზიული", და რომლის წარმომადგენელი იყო ჟან-ბატისტ-სე, ამტკიცებდა, რომ ქვეყანაზე ყველაფერი კარგათ მიდის, ოღონდ ნურც მთავრობა, ნურც საზოგადოება ნუ გაერევა ეკონომიურ საქმეებშიო. „აღებ-მიცემობის თავისუფლება" დაამყარეთო, ქვეყანას მის მეტი არაფერი სჭირიაო... „მე ქარხანა მაქვს, მუშებს ვამუშავებ, ჭირა არ ჰყოფნისთ იმათ, შიმშილით კვდებიან. თუ არ ყოფნისთ, წაბრძანდნენ, სადაც მეტი მისცენ იქ იმუშავონო". ეს გახლავსთ ბურჟუაზიული მიმართულების აზრი. სე ითარგმნება „აღებ-მიცემობის თავისუფლების" ფრაზა. ამის წინააღმდეგათ ის მიმართულება, რომელსაც ჰქვია „საზოგადოებრივი", [2]) ამბობს: საზოგადოება შედგება ცალ-ცალკე პირებისაგან, და

---

1) ნ. ნიკოლაძე: „საახალწლო"—გვ. 331—32, 1880 წ.

2) ნიკოლაძე „საზოგადოებრივის" ქვეშ გულისხმობს სოციალისტურს. ეს სხვა წერილებითაც მტკიცდება. მაგ. იხ. მისი წერილი: „საფრანგეთის საქმეებზედ"—„მოამბე"—8, გვ. 147-55, 1894 წ.

ნ. ნიკოლაძემ და მაშინდელმა ინტელიგენციამ შეგნებულად შემოიღეს თვრმინი საზოგადოებრივი სოციალიზმის ნაცვლად. ეს ცენზურა ძალდატანებისგანაც იფარავდა. მათ. რომ სოციალურის ქვეშ ნ. ნიკოლაძე სოციალისტურს გულისხმობდა შემდეგი მისი ციტატაც ამტკიცებს:

„მესამე ნაწილი ყველაზე უფრო მცირედი იყო მოთავეების რიცხვით, მაგრამ თან ყველაზე უფრო ძლიერიც პარიჟში, რადგანაც იმას მთელი პარიჟელი მუშა-ხალხი თანაუგრძნობდა. იმას მოთავეთ ლუი ბლანი, კონსილერანი, ვიდალი,

თავის საკუთარი სარგებლობისათვის მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ არც ერთი მისი წევრი არ დაიჩაგროს, არ წახდეს, სწორეთ ისე, როგორც კაცი თითეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფრთხილდება... უფ. ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელიც ამ ოც-და-ათი წლის წინათ სუფევდა მეცნიერებაში (ე. ი. ბურჟუაზიულს. ს. ხ.) მე ყოველთვის, ყველგან, ყველაფერში ვებრძოდი ამ მიმართულებას, ამიტომ რომ ვეკუთვნი „საზოგადოებრივ" მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კაი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზიული მიმართულება". [1]).

ასეთს სოციალურ თეორიებს ქადაგებდა ნ. ნიკოლაძე 70-იან წლებში. თუ როგორი სახე მიიღო ამ საინტერესო თეორიებმა პრაქტიკულ განხორციელების დროს და რაში გამოიხატებოდა მისი ნამდვილი ისტორიულ-სოციალური რაობა—ამას შემდეგ დავინახავთ.

ახლა საინტერესოა გავიგოთ ის, თუ როგორი მეთოდითა და საშუალებებით, გზებით ცდილობდა ავტორი თავისი თეორიების რეალურად განხორციელებას, როგორი იყო მისი ბრძოლის საშუალებანი?

ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ „Социальные движения нашего времени только тогда превращаются в политические перевороты, когда политические силы страны решаются противостоять им, чему служат подтверждением события социальной истории Западной Европы". [2]) მაგრამ შეცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ ნ. ნიკოლაძე რევოლიუციონური თეორიის მომხრე იყო. წინააღმდეგ, რევოლიუციონური მეთოდი მას

ხანდისხან პროდონი და სხვა უდგა, და საზოგადო სახელათ „სოციალური (საზოგადოებრივი) პარტია" ერქვა, იმ მიზეზით, რომ ეს პარტია ამტკიცებდა, რომ ხალხის ბედნიერებისა და განთავისუფლებისათვის საჭიროა ცვლილების მოხ დენა არათუ მარტო პოლიტიკურ წესში. მთელ საზოგ დოებრივ განწყობილებაშიაც და კანონშიც. (ნ. სკანდელი: „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება' „კრებული" № 3, გვ 73-4, 1873 წ.).

ერთ კერძო წერილში კრიტიკოს ხ ომ ლ ე ლ ს ნიკოლაძე სწერდა 1915 წ... „1879 წ. სოლოვიევის ელმწიფეზე სროლის შემდეგ, სიტყვა „სოციალიზმი" ბევრათ უფრო მეტათ აკრძალული იყო ჩვენში ცენზურისაგან, ვინემ ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის დრო, როცა ის ყველას მარტო ტეორიულ უტოპიათ მიაჩდა, და არა მებრძოლ ძალათ. ამის გამო, არც მე შემეძლო მისი ხმარება, თვარა მთელი ჩემი სტატია აღიკრძალებოდა" (იხ. „განთიადი" № 8, გვ. 23, 1915 წ.).

1) ნ. ნიკოლაძე: „მრუდე გამოსარჩლება"—„დროება"—№ 47, 1876 წ.

2) Н. Николадзе: „Социальные движения"—„Тиф. Вестни к"—№ 110 1875 г.

არ მიაჩნდა მიზანშეწონილად და მთელ რიგ წერილებში უარყოფდა მას მისი აზრით. რევოლიუციისა და ძალდატანებით შეუძლებელი არის დიდი სოციალური ხასიათის ტრანფორმაციის მოხდენა. როდესაც 70-ან წლებში რევოლუციონური ნაროდნიკების დავალებით პ. ლავროვმ ლონდონში გამოსცა რევოლუციონური ორგანო „Вперед“ და ახალთაობის ინტელიგენციას მოუწოდებდა „ხალხში გასვლისაკენ“ რევოლუციის მოსამზადებლად, ნიკოლაძემ „ტფილისის უწყებაში“ სასტიკად გაილაშქრა მის წინააღმდეგ და უარყო მისი რევოლუციონური მეთოდი.[1] იგი ამ შემთხვევაში წინააღმდეგი არ იყო ინტელიგენციის ხალხში გასვლის, იგი ამ მეთოდს მხარს უჭერდა; მაგრამ ინტელიგენციას მისი აზრით, ხალხი რევოლუციონური ბრძოლისათვის კი არ უნდა მოემზადებია, არამედ მშვიდობიან პრაქტიკულ მუშაობით ეზრუნა ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ახალი სოციალური ურთიერთობისათვის პირობების მოსამზადებლად. ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ ასეთი მუშაობის მეთოდით იგი არსებითად ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის მიმდევარი იყო [2]). უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მეთოდი არ შეესაბამებოდა ჩერნიშევსკის საერთო აზროვნებას, რომელიც რევოლუციონურ ნაროდნიკულ სოციალიზმის წარმომადგენლად ითვლებოდა რუსეთში. ამ მხრივ ნიკოლაძეს ჩერნიშევსკის მოძღვრება ყალბად ჰქონდა გაგებული.

არ შეიძლება აქ არ შევეხოთ მის წერილს—„Луи Блан и Гамбетта“-ს, რომელიც 1883 წლის ჟურნ. „Отечеств. записки“-ს პირველ ნომერში იყო დაბეჭდილი. ლუი ბლანის თეორიების შესახებ გამოთქმულ აზრებიდან მტკიცდება, რომ იმ ხანებში ნიკოლაძეს აღარ აკმაყოფილებდა „წვრილი წრეებისა“ და ამხანაგობების შედგენის მეთოდი და იგი სახელმწიფოებრივ სოციალიზმისაკენ გადახრილა. იგი სწერდა:

„...Республика обязана главным образом Луи Блану приобретением прочных и страстных симпатий рабочего сословия... Весь громадный талант свой посвятил он преимущественно достижению этой цели. Он взялся убедить рабочих, что только республика достаточно сильна, чтобы добиться „экономической правды“ в жизни народа... Против политиков и социалистов, проповедывавших достаточность

[1]) Н. Николадзе: „Капризы пера“—„Тиф. Вестник“ № 90, 1875 წ.

[2]) იხ. მისი წერილები „სოვრემენნოსტ“-ში —„რჩეული ნაწერები“ გვ. 257—302.

последовательных преобразований, путем отдельных реформ, в строе современных экономических отношений. Луи Блан создал и выдвинул доктрину государственного социализма, основанную на коренном переустройстве всего государства на социальный лад, доктрину, нашедшую таких последователей и ревнителей, как Лассаль и Карл Маркс... Уверения Луи Блана, что одна только республика может разрешить „социальный вопрос", что без нее нельзя достигнуть экономического освобождения, давно уже перешли в область общеупотребляемых аксиом". [1]).

გარდამავალი პერიოდის მიჯნაზე ძლიერ ჩქარა მისი სახელმწიფოებრივი სოციალიზმის თეორია სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის თავისებური ფორმებით შეიცვალა; ობიექტიური ცხოვრების ვითარებამ ძლიერ მალე დაარწმუნა იგი იმაში, რომ ერთადერთი ფორმა საწარმოო ძალების განვითარებისა და ეკონომიური ცხოვრების წინმსვლელობისა კაპიტალისტური წესწყობილება არის და მხოლოდ ამ ურთიერთობის განმტკიცებით არის შესაძლებელი ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება; მეორე მხრივ, მისი აზრით კაპიტალიზმის ერთ-ერთი დამცველი ძალა, რუსეთის პირობებში ცენტრალისტური ხელისუფლებაა. ამას ჩვენ ნათლად დავინახავთ ამ ნარკვევის მეხუთე თავიდან.

ზემოდ მოყვანილ მასალებიდან მკითხველმა ნათლად დაინახა, რომ ნიკოლაძემ 60-70-ან წლებში თავისებური გავლენა განიცადა, როგორც რუსეთის 60-იანი წლების უდიდესი წარმომადგენლის— ნიკ. ჩერნიშევსკის მოძღვრებისა, საიდანაც მან თავისებურად შეითვისა ნაროდნიკულ-სოციალისტური აზრები და თემური წყობილების მნიშვნელობა, ისე დასავლეთ ევროპის უტოპიურ სოციალიზმის, საიდანაც გადმოიღო ასოციაციური თეორიები.

ამ თეორიების შეერთებამ და საქართველოს გაუპოხიერებელ ნიადაგზედ გადმონერგვამ, სადაც ჯერ კიდევ საწარმოო ძალები განუვითარებელი, მოუმწიფებელი იყო და კაპიტალისტური ურთიერთობა

---

[1]) Н. Николадзе: „Луи Блан и Гамбетта"—„Отечеств. Записки" № 1 1883 წ. არის ცალკე წიგნათაც—გვ. 38, 39-40, 44, 1919 წ.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ წერილის გამო ჟურნალს, რომლის რედაქტორი იყო ნ. მიხაილოვსკი, შინისტრის განკარგულებით მეორე სასტიკი გაფრთხილება მისცეს, იმიტომ, რომ ნიკოლაძე, მათი აზრით, „ხოტბას ასხამდა ფრანგ-კომუნისტებს". (იხ. В. Евгеньев: „Очерки по истории социалистической журналистики XIX в.".

მძიმე პირობებში იკაფავდა გზას, ნიკოლაძის აზროვნებას გარკვეული სოციალური შინაარსი მისცა. არსებითად მისი თეორია, გამოყენებული საქართველოს სინამდვილეში, არა კაპიტალიზმის განვითარებას ეწინააღმდეგებოდა ჩვენში, არამედ ხელს უწყობდა მის სწრაფ მსვლელობას;—გრძნობდა რა ნიკოლაძე ევროპის ტექნიკისა და ეკონომიკის უპირატესობასა და საჭიროებას, იგი ცდილობდა ამ ფაქტორების განვითარებისათვის ჩვენში ასოციაციური და კოლექტიური ფორმები მიეცა. პრაქტიკულად და ისტორიულად მეცხრამეტე-70-იან წლების ასოციაციურ-ნაროდნიკულმა სოციალიზმმა საქართველოს პირობებში ბურჟაზიული შინაარსი მიიღო. ამიტომ მისი აზროვნება ფორმალურად სოციალისტური იყო, საქმით—ბურჟუაზიული. იგი იმ მიმდინარეობის წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი ეწოდება, და რომელიც ფორმალურად „უპროლეტარო კაპიტალიზმის"—უკეთ, უკაპიტალო კაპიტალიზმს—ქადაგებდა.

ნიკოლაძის 70-ანი წლების სამოღვაწეო პროგრამის გაცნობა ნათელ სურათს მოჰფენს მისი აზროვნების ნამდვილ სოციალურ შინაარსს.

IV. 70-იან წლების სამოღვაწეო პროგრამა

1. ახალთაობის მოვალეობა და მისი როლი

ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ მიაქცია ყურადღება ნ. ნიკოლაძემ, ეს იყო ახალთაობის დარაზმვა ძველი, დახავსებული წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაქმნელად. მაგრამ ახალგაზრდობის დარაზმისათვის საჭირო იყო შესაფერისი სამოღვაწეო პროგრამის გამომუშავება, ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ წამოჭრილ პრობლემების შესახებ შესაფერისი აზრის შემუშავება. ნ. ნიკოლაძის 70-იან წლების დასაწყისის წერილები სწორეთ ამ მხრივ არის საინტერესო: აქ იგი ცდილობს არ დატოვოს არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და ახალგაზრდობას მისცეს გარკვეული სამოღვაწეო გეგმა. გლეხთა საკითხი იყო იგი, საბანკო საქმე, ლიტერატურული პრობლემები თუ ერობის შემოღება, მრეწველობისა თუ ქალაქის თვითმართველობის საქმე,—ნიკოლაძე ცდილობდა თავისი პრინციპიალური შეხედულება გამოეთქვა მათ შესახებ და გარკვეულ გზას დასდგომოდა.

მისი აზრით ჩვენი ცხოვრების მოწესრიგება და მეთაურობა უნდა ეკისრა ახალთაობის ინტელიგენციას. იგი როგორც იდეალისტურ სოციოლოგიურ საფუძვლებზედ აღზრდილი, ცხოვრების განვითარების საქმესაც იდეალისტური თვალსაზრისით უყურებდა: მოწინავე ინტელიგენციას თავისი პრაქტიკული მუშაობით შეუძლია შეუცვალოს გეზი ცხოვრების მრუდე მიმდინარეობას და მისცეს მას უფრო სწორი და მიზანშეწონილი მსვლელობა, ასე ფიქრობდა ავტორი.

ნიკოლაძე სწერდა: „ეს ახალი მიმართულება გვაიმედებს და ძალას გვაძლევს ჩვენ; ახალი თაობა, თავისი რწმუნებით, თავისი იმედით, თავისი მხურვალე სურვილით და აღტაცებით გვაახლოვებს ჩვენ იმ მიზანს, რომელიც გულ მომაკვდინებელ სიშორეში გვეჩვენებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში ფეხი შევადგით. ...ამ ახალი თაობის მომავალ მოქმედებაშია მთელი ჩვენი იმედი და რწმუნება... მისი მომავალი ჩვენთვის ჩვენი საკუთარი მომავალია"... [1]).

აქედან ცხადია, თუ როგორ დიდი როლის შესრულებას აკისრებდა ნ. ნიკოლაძე ახალგაზრდობის ინტელიგენციას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატების საქმეში.

როგორც უკვე ცნობილია, 60-იან წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი თაობის ჯგუფი, რომლის მეთაური და სულის ჩამდგმელი ი. ჭავჭავაძე იყო. ამ ჯგუფს კარგად იცნობდა ნ. ნიკოლაძე, იგი მის წევრადაც უნდა ჩაითვალოს. მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში, ახალი იდეებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით გატაცებულ ნ. ნიკოლაძეს ვეღარ აკმაყოფილებდა ი. ჭავჭავაძის ჯგუფის პროგრამა და სამოღვაწეო გეზი. იგი სწერდა

„1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსილი შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზრდული აღტაცება... გონების იარაღათ იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებათ ნათელი აზრი მიუძღოდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონ-ყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე მაღლა დადგა, ეს ერთი მხრით ძველი თაობის განუკურნველ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და მეორეს მხრით

1) ნ. სკანდელი: „ახალი ახალგაზრდობა"—„კრებული" № 1, გვ. 336 1873 წ.

გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამაღლება.“ [1]).

რას უწუნებს ნიკოლაძე 1861 წ. სამოღვაწეოდ გამოსულ ახალთაობას? მოუსმინოთ ისევ მას:

„ჩვენში—განაგრძობს იგი,—1861 წლის თაობას, ისეთი წევრები სჭიროდა, რომელნიც დამზადებული და გაჩვეული ყოფილიყვენ მაშინდელი საზოგადოებრივი საქმეების მმართვაში. საუბედუროთ ეს თაობა ჩვენს ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა... იმას გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება, საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებები, იმან არ იცოდა, თუ რა და რა ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა, რანაირ მოქმედებას და დისციპლინას თხოულობს ბრძოლის საჭიროება“... [2]) მეორე ადგილას ავტორი სწერს: „სიტყვით უწინდელი ახალგაზდობა ერთს აშბობდა, საქმით მეორეს შვრებოდა. მაგ ზნეობით ცხოვრებაში რაღაც საზარელი განხეთქილება მოჩანდა რომელიც თითქმის სრულიად აბათილებდა იმ ჩინებულ აზრებს, რომლის მქადაგებლად ეს ყმაწვილები გამოდიოდენ. ისინი საქციელით თითქო შერიგებას ეძებდენ ძველ თაობასთან, და ძლიერ ბევრ თავაზიანობას იჩენდენ ძველი ცხოვრების შესახებ. იმათში საკმაო რწმუნება არ მოიძებნებოდა, და თან თავგამომეტება, ნიადაგ მიზნისაკენ ლტოლვა: ამის მაგიერ სჩანდა მუდმივი უხასიათობა, თავის დაღუნვა, გულხელდაკრეფა, მცირედი, თითქმის შეუნიშნავი ნამყოფით დაკმაყოფილება“. [3]).

ასეთი იყო ნ. ნიკოლაძის შეხედულება 1861 წელს სამოღვაწეოდ გამოსულ ახალთაობაზე და მისი აზრი სწორი იყო. როგორც ცნობილია, ამ ჯგუფის საუკეთესო წარმომადგენლებმა „რეფორმის“ შემდეგ პერიოდში სახელმწიფო სამსახურს მიჰმართეს და უბრალო მოხელეებად გადაიქცენ. [4]) 70-ანი წლების ახალთაობის ინტელიგენციას ასეთი შეგუება ცხოვრების ვითარებასთან არ შეეძლო; მისი

[1]) ნ. სკანდელი: „ახალი ახალგაზდობა“—„კრებული“—№ 1, გვ. 285, 291, 1873 წ.

[2]) იქვე, გვ. 291, 285—6.

[3]) იქვე: გვ. 333—4.

[4]) იხ. ამის შესახებ გ. წერეთლის წერილი, „ქვალი“ № 46. გვ. 815. 1897 წ.

აზრით ჯერ კიდევ დიდი საქმე იყო გასაკეთებელი საქართველოში ჯერ კიდევ მთელი რიგი კარდინალური კითხვებისა იყო გადასაწყვეტი და ინტელიგენციას მისი პრაქტიკულად გადაწყვეტა მხოლოდ ენერგიული ბრძოლით შეეძლო, მხოლოდ მიზანშეწონილი პრაქტიკული მოღვაწეობით განახორციელებდა. იგივე ნიკოლაძე სწერს:

„ეხლანდელი თაობა უფრო მტკიცე და უფრო ძნელი დასაკმაყოფილებელია. ის შერიგებას როდი ეძებს: ის დარწმუნებულია, რომ შერიგება შეუძლებელი საქმეა, სანამ ერთი თაობა მეორეს სრულიად არ დაემორჩილება და იარაღს არ დაყრის, და რადგანაც იმას თვითონ იარაღის დაყრა არ სურს, ის ცდილობს ძალით დააყრევინოს იარაღი თავის მოწინააღმდეგეს. იმას იმედი და რწმუნება უღვივსის გულში. მისთვის პატიოსანი მიმართულება მარტო ლაზათიანი იტყვების გამოთქმაში კი არა, საქმით უნდა გამოიხატებოდეს. ის საქმეს ეძებს და აფასებს. და,—ეს ყველაზე უფრო შესანიშნავია—იმას დიდათ არაფრათ უღარს გაჭირვების ან შეეწროების გამოვლა იმისთვის, რომ მისი მოქმედება და საქციელი მის სიტყვებს ეთანხმებოდეს. ის თავის გამარჯვებას არც სხვის დახმარებაში ეძებს, არც უნაყოფო დიპლომატიაში, არც გულხელ დაკრეფილ ცდაში. იმას მარტო თავისი საკუთარი თავის, საკუთარი შრომის, საკუთარი ძალის იმედი აქვს... ჩვენ ერთი სურვილის, ერთი ნების, ერთი აზრის და ერთის მოქმედების ქონვას უნდა შევეჩვიოთ, რომ ჩვენი გონიერი მოქმედებით, ჩვენი შეერთებული და ერთი მიზნისაკენ მიდრეკილი ძალით, ჩვენი დისციპლინით უკანასკნელი მეხი დავსცეთ ჩვენს ძველ თაობას და დამპალ ცხოვრებას. მარტო ამრიგი ამხანაგური განწყობილებით შეგვეძლება ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება და პატრონობა. მარტო ამით შევიძენთ ჩვენ საზოგადოებრივ ძალას, მარტო ამით მოვიპოვებთ საზოგადოების თანაგრძნობას და ხალხის თანხმობას“... [1]).

საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე. ახალი თაობის ინტელიგენცია, ის, რომელიც თავის სამოღვაწეო პროგრამას ბატონყმობის მოსპობის შემდეგ პერიოდში იმუშავებს, მარტო ხალასი აზრების წამოყენებით კი არ კმაყოფილდება, არამედ პრაქტიკულ მოქმედებასაც მოითხოვს თავისი პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად. ამისათვის იგი მტკიცე ჯგუფის, ორგანიზაციის დაარსებასაც ცდილობს. მისთვის საღი სიტყვა არ არის საკმარისი, მას მიზანშეწონილი საქმეც ესაჭიროება. ხოლო ამ საქმისათვის

[1]) იქვე, გვ. 334, 328.

საჭიროა შეერთებული და მტკიცე ორგანიზაცია. მოუსმინოთ იმავე ნიკოლაძეს, თუ როგორ ასაბუთებს იგი ასეთი ორგანიზაციის, პარტიის დაარსების საჭიროებას. იმავე წერილში იგი სწერს:

„ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენში, ნამდვილი ბრძოლაა. ვისაც ჩვენში ცხოვრება და მოქმედება სურს,—თუ კი იმას ცხოვრება ჯამაგირის ან შემოსავლის ქეიფიანურ ხარჯვათ არ მიაჩნია,—ის თავის საქციელს და მოქმედებას ისე უნდა აწყობდეს, თითქოს საბრძოლველათ ემზადებოდეს; ამისათვის აუცილებელი საჭიროა ამხანაგებთან დაახლოება, საერთო მოქმედების დამარაგება, საერთო პლანის გაწესება, ისე რომ მთელ ახალგაზრდობას არა თუ მარტო საერთო მიზანი, მაგრამ საერთო გზაც ჰქონდეს. პარტიებზე ბევრი რამ იყო თქმული, მაგრამ ის კი ბევრს არ ახსოვს, რომ ყოველ საზოგადოებაში, რა გინდ ჩამოვარდნილი და ბნელი იყოს ის პოლიტიკური მხრით, აშკარათ ან მალულათ სდუღს პარტიული ცხოვრება. ეს ჩვენშიაც ასეა. ჩვენშიაც ძლიერ განსხვავებით და მტკიცეთ იხატება პარტიების მოქმედება, პარტიული ცხოვრება. და როცა პარტიებს შუა ბრძოლა სდუღს, როცა გაცხარებული წინააღმდეგობა და ქიშპობაა იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას ერგოს საზოგადოების წინამძღოლობა და ერის თაოსნობა, საქმე თითქმის ყოველთვის იმ პარტიას სასარგებლოთ სწყდება, რომელსაც არა თუ მარტო ხეირიანათ დამზადებული წევრები ყავს, თან გონიერი გამოყენება შეუძლია თავისი წევრების ძალისა და ცოდნისა. ამ გამოყენების ნებას მარტო ერთობა, მარტო დისციპლინა აძლევს პარტიას... პარტიების ცხოვრებაში საქმე მარტო ბრძოლაში როდი მდგომარეობს. ყველაზე უფრო მძიმე და გავლენიანი საქმე პარტიებისათვის იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიხმარს რომელიმე პარტია თავის გამარჯვებას, რას გაარიგებს და გააწყობს ის როცა ბრძოლის ასპარეზი ხელში დარჩება, როგორ გამოიყენებს ის თავის გავლენას და დააგვირგვინებს თავის შრომას“. [1]).

უდაოა, რომ ენერგიითა და სიცოცხლით აღსავსე ახალთაობის ინტელიგენცია დაუზოგველად ებრძოდა ძველ თაობას და ცდილობდა ხელში ჩაეგდო „ჩვენი საზოგადოების წინამძღოლობა და ერის თაოსნობა“, რომ გარდაექმნა საზოგადოებრივი წყობილება ახალს საფუძვლებზე. ეს პირველი მნიშვნელოვანი ცდა იყო ჩვენი ინტელიგენციის მიერ ცხოვრების სათავეში მოქცევისა და ამას დიდი საზოგადოებრივი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: ამ

[1]) იქვე, გვ. 327, 329—30.

ინტელიგენციის პირით ახალი, ჯერ განუვითარებელი ბურჟუაზიული ურთიერთობა და ნორჩი, ჯერ მოუმწიფებელი, დაუდეგელი ბურჟუაზიული კლასი მეტყველებდა.

ინტელიგენციის ამ პრაქტიკულ მოღვაწეობის საფუძვლებზე 70-ან წლებში ჩვენში ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი; თავისი საზოგადოებრივ მისწრაფებებით და კლასიური საფუძვლებით—ერთი მათგანი გამოხატავდა წვრილ-ბურჟუაზიული ფენების მისწრაფებასა და იდეოლოგიას, ხოლო მეორე—ახლად ჩამოყალიბებულ ბურჟუაზიული წრეების მისწრაფებას. ეკონომიურმა აუცილებლობამ და ახალმა პირობებმა ჩვენი ძველი ურთიერთობის რადიკალურად გარდაქმნა მოითხოვა, მაგრამ ამ მოთხოვნილებას წინ ეღობებოდა თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აპარატი და ძველი სოციალური ფენები. ბრძოლა ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ წვრილ-ბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულმა ფენებმა ორი სხვადასხვა გზით განავითარა: პირველი რევოლიუციონური მეთოდით, ძალდატანებით ცდილობდა არსებული წყობილების მოსპობას და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დაფუძნებას,—სწორედ ასეთი გზით იბრძოდა ნაროდნიკული ორგანიზაცია, რომელიც ჩვენში 1872—73 წლებში ჩამოყალიბდა და რომელიც რუსეთის რევოლიუციონური ორგანიზაციების ერთ-ერთ ფრთას წარმოადგენდა. [1]) მეორეს მეთოდი მშვიდობიანი და ლეგალური იყო; იგი ფიქრობდა მშვიდობიანის გზით აქტიური მონაწილეობა მიეღო ცხოვრების ახალ ვითარებაში, ახალ დაწესებულებებში და მიეცა მისთვის გარკვეული სახე. ამ გზას დაადგა ის ჯგუფი ახალთაობისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1869 წ. გ. წერეთელი სწერდა 1897 წ. ამ ჯგუფის შესახებ:

„...1866 წლიდან გამოჩნდა ახალი უფრო პროგრესიული მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩნდა მეორე დასი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869-დან 1877-მდე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“—„კრებული“-ს რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამათვე შემოუერთდა განკერძოებულად მოღვაწე პოეტი აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესიულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი“. [2]).

[1]) იხ. სიმ. ხუნდაძე: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ტ. II, 1927 წ.

[2]) იხ. „კვალი“—№ 46, გვ. 816, 1897 წ.

ამ პროგრესიულ-დემოკრატიული დასის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი შეიქმნა ნ. ნიკოლაძე 70-იან წლებში. მისმა სოციალისტურმა და ასოციაციურმა თეორიებმა პრაქტიკულ საკითხების დამუშავების დროს გარკვეული ბურჟუაზიული შინაარსი მიიღო. ასოციაციურ-საზოგადოებრივი შრომის ფორმა პრაქტიკაში უნდა ბურჟუაზიული შინაარსით ავსილიყო და ასედაც მოხდა. ცხოვრების რეალურმა ძალამ, ობიექტიური პირობების საჭიროებამ მისი სოციალური თეორიის გარეგანი ფორმა საპნის ბურთივით დაამსხვრია და მას ის შინაარსი მისცა, რომელსაც მაშინდელი მატერიალურ-სოციალური პირობები და აუცილებლობა მოითხოვდა. ამ თავისებურ ბრძოლას ნ. ნიკოლაძის მოძღვრების „ფორმასა“ და „შინაარს“ შორის უფრო ნათლად ცალკე საკითხების განხილვის დროს დაინახავთ. ახლა საერთოდ გავიცნოთ ის კონკრეტული ამოცანები, რომელიც ნიკოლაძეს და მის ჯგუფს აინტერესებდა აღნიშნულ პერიოდში. იგივე ნიკოლაძე სწერდა:

„ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში ცხოვრება ისე წაყრუებული და მიძინებული აღარ არის, როგორც ამ თხუთმეტი წლის წინეთ იყო. ვინ არ იცის, რომ გლეხების განთავისუფლებამ ზოგიერთი მხრით ახალი ეკონომიური მდგომარეობა შექმნა, რომელიც ხშირათ აფიქრებს ჩვენ საზოგადოებას? ვინ არ იცის, რომ ამ ცვლილებას და სასამართლოების ახალ წესს შესანიშნავი ცვლილებები მოსდევენ ქალაქების და მაზრების გამგეობაში, და—როდესმე—ჩვენში ქალაქების საზოგადოებრივი გამგეობა და ერობა (земство) შემოიღება? ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში თითქმის ყოველგან სურვილი იბადება, რაც შეიძლება უფრო სარგებლიანათ გამოიყენონ პატრონებმა თავიანთი მიწა-წყალი და ადგილ მამული? ვინ არ იცის, რომ ის მოძრაობა სამსახურის ადგილების შოვნისათვის, რომელიც ამას წინეთ ჩვენ საზოგადოებაში სუფევდა, დღეს გვარიანათ გაგრილებული და ძალა-კლებულია, რადგანაც ყველასათვის ცხადი საქმე შეიქნა, რომ სამსახურის ხეირიანი ადგილები ყველას ვერ გაწვდება და საბიადაგოთ ყველას ვერ დააკმაყოფილებს? ეს ყველასათვის ცხადია. მაშასადამე შემდეგში ჩვენ საზოგადოებას ბლომათ დასჭირდება სხვადასხვა ხელოვნებაში და სწავლაში დახელოვნებული ახალგაზრდები. როცა საზოგადოების წინ, მაგალითად, ერობის საქმე წარმოდგება, მაშინ ახალგაზრდობას მარტო ორიოდე გრძნობიერი სიტყვის თქმა რიდილა ეყოფა კაცების თანასწორობაზე. როცა საზოგადოების ხელში, ვთქვათ, შკოლების გაწყობა, საავადმყოფოების დაწესება, გზების გაყვანა, ხარჯის შეკრება და სხვა იქნება, მაშინ ახალგაზრ-

ლობას, კეთილი და პატიოსანი სურვილის მეტი, ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნის გამოჩენა დასჭირდება, იმ ცოდნის, მაგალითად, რომელიც გზების გაყვანას, ხარკის განაწილებას, შკოლების მშართვას და სხვას შეეხება. თუ მაშინ ახალგაზრდობას საკმაო წევრები არ ეყოლება ამ გვარ ცოდნაში დახელოვნებული, თუ, ვთქვათ, იმან თვითონ, თავისი საკუთარის ძალით, ვერ მოახერხა ხალხის საქმეების გამგეობა, რაც შეეხება შკოლებს და მალაზიებს, გზას და ბეგარას, სასოფლო და სამაზრო სესხებს და სხვა. შენი მტერია ცუდათ წავა მაშინ როგორც მთელი ერობის საქმე (რადგანაც ძველ თაობას ამ საქმეში სულ არაფერი ესმის), ისე ჩვენი ახალგაზრდობის გავლენა საზოგადოებაზე და ხალხზე.“ [1])

ამრიგათ ნიკოლაძის აზრით ახალმა საზოგადოებრივმა პირობებმა ახალი ამოცანები დაუსახა განსახორციელებლად ახალთაობას; საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება და სოციალური ურთიერთობანი თავის განვითარების ახალ ფაზაში შედიოდა და ინტელიგენციის მოვალეობაც იმაში გამოიხატებოდა ავტორის აზრით, რომ მას მეთაურობა გაეწია და აქტიური მონაწილეობა მიეღო ჩვენი ცხოვრების ახალ საფუძვლებზე გარდაქმნის საქმეში მაგრამ ეს გარდაქმნა თანდათანობით იყო შესაძლებელი: იგი არ მოითხოვდა არც რევოლუციასა და არც ძალდატანებას: მშვიდობიანი, ნელი და მიზანშეწონილი მუშაობა ინტელიგენციისა მიაჩნდა ნიკოლაძეს ჩვენი ცხოვრების ერთად-ერთ წინ წამწევ ფაქტორად. როგორც ვიცით, მან დიდი ხნით ადრე უარყო რევოლუციონური მეთოდი; მისი გაგებით ჩერნიშევსკი უარმყოფელი იყო რევოლუციისა და მშვიდობიან მეთოდს აღიარებდა საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. ნიკოლაძე ჰფიქრობს, რომ ინტელიგენცია უნდა გ ა ვ ი დ ე ს ხ ა ლ ხ შ ი არა რევოლუციის მოსახდენად, არაუედ ფართო კულტურული მუშაობის საწარმოებლად, ხალხის დასახმარებლად, მშვიდობიანი წრეების შესაქმნელად და სხვა, „რათა ამით თანდათანობით შევქმნათ ის ძალა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველის უფრო ფართოდ და რეალურად გარდაქმნას შესძლებს“. [2]) ასეთივე აზრი შან გაატარა თავის წერილში—„რ უ ს ე თ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა“, რომელიც 1873 წელს დაიბეჭდა „კრებულში“. ამ წერილში ავტორი პირდაპირ ამბობდა, რომ „ხალხში ჩასახლებულ“ ინტელიგენციის წყალობით „...ხელ-ახლავ აღიძრება საზოგა-

[1]) იქვე, გვ. 308—310.

[2]) იხ. „Два поколения“,—„Современность“ № 6, გვ. 86—7, 1868 წ. ან „რჩეული ნაწერები“ ტ. I. გვ. 269.

დოებაში გაუმჯობესებული და გამძლავრებული ზნეობითი გრძნობა და მაშინ ხელ-ახლავ უპირატესობა იმ მიმართულებას მიეცემა, რო მელსაც საფუძვლათ საზოგადოების ზნეობითი და გონებითი გახსნ უძევს... უნდა გავიხსენოთ, რასაც ზემოთ ვამბობდით იმ პირების გავლენაზე, რომელნიც წვრილმან მაზრებში ჩასახლდენ, და რომლებმაც თან ახალი შეხედულობა და ჩვეულებები ჩაიტანეს. თუმცა დღეს იმათი ძალა და გავლენა მარტო წვრილმან წრეებზეა შესამჩნეველი მაგრამ იმათ გაცალ-ცალკეევებულ მაგალითს და ძალას მომავალში დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს რუსეთელი საზოგადოების ზნეობით ცხოვრებაში" [1]).

ამსახით ნიკოლაძე იმ პერიოდში მომხრე იყო იმისა, რომ ინტელიგენციას ეკისრა ახალი ცხოვრების შეთაურობა, ეწარმოებია კულტურულ-საზოგადოებრივი მუშაობა და ხალხში ჩასახლებულ იყო ავტორი იმ აზრისა იყო, რომ ყოველ ახალ წამოწყებულ საზოგადოებრივ საქმეში ინტელიგენციას აქტიური მონაწილეობა მიეღო და შეეტანა მასში ახალი სული, ახალი იდეები. თუ რამდენად შესძლებდა ინტელიგენცია თავის მიზნების განხორციელებას და საზოგადოებრივი ცხოვრების თავის პროგრამის მიხედვით გარდაქმნას—ეს მეორე საკითხია. რასაკვირველია, ისტორიულ-ობიექტიური გარემოება და ძალა თვით ახალი თაობის ინტელიგენციის პრაქტიკული მოღვაწეობაც მაშინდელი ისტორიულ-საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობას დაემორჩილებოდა. ამ გადაგვარებას ვერ ასცდებოდა და ვერც ასცდა ინტელიგენცია. მაგრამ ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს ახალი თაობის ინტელიგენცია მხურვალე გრძნობით, გარკვეული პროგრესიული პროგრამითა და აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობით ცდილობდა ძველი ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნას.

ნ. ნიკოლაძის მაშინდელი აზროვნების დასახასიათებლად და პრაქტიკულ სამოღვაწეო გეგმების გასაგებად საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ ნიკოლაძე იმ პერიოდში მთავრობისადმი მტრულად იყო განწყობილი და ამიტომ იყო, რომ იგი ინტელიგენციას მოუწოდებდა „სახელმწიფოს" გარეშე და მის საწინააღმდეგოდ,—თვითა საზოგადოებაში ეძებნა თავისი სამოღვაწეო სარბიელი და დასაყრდენი ძალა. ერთს თავის წიგნაკში იგი სწერდა:

„...ახალთაობას არ შეეძლო მეფის ალექსანდრე მე-II-ის ცრურეფორმატორულ მთავრობასთან ხელჩაკიდებული სიარული. ეს ორი

[1]) ნ. სკანდელი: „რუსეთის ცხოვრება"—„კრებული"—№ 5—6, გვ. 393—4, 1873 წ.

ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ძალა მალე უეჭველად უნდა დასტაკებოდა და დაეწყო ურთიერთ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ორ ბანაკს შორის შეუძლებელია რაიმე, დიაღ, ოდნავი რაიმე დაახლოება, შეუძლებელია რაიმე მორიგება, წარმოუდგენელია ოდნავი დათმობაც კი, გარდა მოქმედების ასპარეზის დათმობისა. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი დაუნდობელი და შეუბრალებელია... ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებია, რომ ალექსანდრე მე-II-ის მთავრობა მოწინააღმდეგე იყო, არის და იქნება ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული ყოველგვარი მოძრაობისა და, მაშასადამე, მოწინააღმდეგე ახალთაობისა" [1]).

სწორეთ აქედან წარმოსდგებოდა ნიკოლაძის პრაქტიკული პროგრამის შინაარსიც. იგი რევოლუციონურ ომს არ უცხადებს ხელისუფლებას, მაგრამ არც მასთან თანამშრომლობა სურს. დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა საზოგადოებაში და ხალხის სასარგებლოდ—აი ამისი სამოღვაწეო სარბიელი; შეერთებული შრომის დაწესება და ასოციაციური პრინციპების გატარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში—აი მისი ამოცანები.

ქვევით ჩვენ დავინახავთ თუ როგორ სახეს ღებულობდა ეს მისი „ასოციაციური" თეორია, როდესაც პრაქტიკულ ცხოვრებას უახლოვდებოდა და რეალურად ცდილობდა ხორცის შესხმას.

როგორც ვწერდით, ამ ახალი თაობის ინტელიგენციის სახით ჯერ კიდევ სუსტი და ხერხემალგაუმაგრებელი ბურჟუაზიული კლასი მეტყველებდა ჩვენში. ისტორიულად, ეს მომქმედი და ჯანსაღი, მაგრამ ერთობ მცირე რიცხოვანი ინტელიგენცია ჩვენში ცდილობდა გაეკეთებია ის საქმე, რომელიც ბურჟუაზიას უნდა შეესრულებია და მის ისტორიულ მოვალეობას შეადგენდა ინტელიგენცია მოკლებული ფაქტიურად თავისი კლასის მტკიცე ბრძოლის საფუძველს, თვით ცდილობდა თავისი კლასის მისიის ასრულებას და ცხოვრების მაღლობების დაპყრობას, რომ ამით, შეგნებით თუ შეუგნებლად, ბურჟუაზიული ურთიერთობის სწრაფი განვითარების შესაძლებლობა ფაქტად ექცია. საერთოდ აქ უნდა ვეძიოთ ახალი თაობის ინტელიგენციის აქტივობისა და მისი სამოღვაწეო პროგრამის ისტორიული და სოციალ-კლასიური ფესვები.

---

[1]) Никифор Г... „Молодое поколение и правительство" 1866 წ., რჩეული ნაწერები, ტ. I. გვ. 240.

საკითხის სისწორით გაგებისათვის, მკითხველმა წინდაწინ უნდა იცოდეს, რომ ჩვენში თავისებურ ისტორიულ და საზოგადოებრივ ობიექტიურ პირობებში ვითარდებოდა ბურჟუაზიული აზროვნება და იდეოლოგია. ჩვენში ჯერ კიდევ ბურჟუაზია უხერხემლო იყო და ბურჟუაზიის კლასიური ბრძოლა მოუმწიფებელი როდესაც ბურჟუაზიული აზროვნება უკვე შემოიჭრა და ბურჟუაზიული იდეოლოგია თავისებური ფორმებით განვითარდა.)აქ მექანიკური მეთოდით ვერაფერს ვერ ახსნი, თუ არ მოიმარჯვე მარქსიზმის დიალექტიური მეთოდი კვლევა-ძიებისა. რასაკვირველია, ბურჟუაზიული იდეოლოგია ჩვენში ციდან არ ჩამოსულა და არც მექანიკურად გადმონერგილა უცხო ქვეყნებიდან, იგი ჩვენი საერთო ცხოვრების მაშინდელ საწარმოო ძალთა განწყობილებისა და ეკონომიური მდგომარეობის ნიადაგიდან ამოცენდა. რომ ჩვენი ცხოვრების განვითარება კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ მიექანებოდა,—ეს დღეს ყველასათვის უდავო ფაქტია; რომ ამ საფუძველზე უნდა ამოცენებულიყო თავისებური ბურჟუაზიული იდეოლოგია და აზროვნება — ესეც უდავო ფაქტათ უნდა გადაიქცეს. ამ საკითხის ნათელსაყოფად საინტერესო იქნება მოვიყვანოთ გ. პლეხანოვის შემდეგი დებულება „...ახალი უჩვეულო ურთიერთობა გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიხოლოგიაზე და ძლიერ ცვლის მას... საზოგადოების ზოგი წევრი... რომლისთვისაც მავნებელია ძველი წყობილება, ემხრობა წინსვლითი მოძრაობას; მათი ფსიხოლოგია იმ საწარმოო ურთიერთობათა მიმართულებით იცვლება, რომელიც ერთდროს ძველ, დრომოჭმულ ეკონომიურ ურთიერთობათა ადგილს დაიჭერს. როგორც ხედავთ, ეკონომიასთან ფსიხოლოგიის შეგუება გრძელდება, მაგრამ თანდათანობითი ფსიხოლოგიური ევოლიუცია წინ უსწრებს ეკონომიურ რევოლიუციას".[1])

თუ ამ სოციოლოგიურ დებულებას ჩვენს სინამდვილეში მომხდარ ზემოდ აღნიშნულ საზოგადოებრივი მოვლენის ასახსნელად გამოვიყენებთ, მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება თუ როგორი გზით შემუშავდა ჩვენში 60—70-იან წლებში ბურჟუაზიული იდეოლოგია. ის ღრმა ეკონომიურ-საზოგადოებრივი კრიზისი, რომელსაც მთელი ჩვენი ცხოვრება განიცდიდა გასულ საუკუნის 50-60 წლებში, არსებითად გამოწვეული იყო ძველი ნატურალური მეურნეობისა და ბა-

1) გ. პლეხანოვი: „მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე" გვ. 165—6.

ტონყმური წყობილების რღვევის პროცესებითა და საწარმოო ძალების კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ განვითარების ტენდენციებით. მოწინავე ინტელიგენციის ნაწილმა ნათლად იგრძნო ძველი წყობილების რღვევა-განადგურება და მისი ფსიხოლოგიაც—და მაშასადამე აზროვნებაც,—იმ საწარმოო ძალთა ძიმართულებით გახვითარდა, რომელსაც ჩვენი დრომოქმედი ეკონომიური წყობილების ადგილი უნდა დაეჭირა. ამ ახალი ეკონომიური ურთიერთობის არსებითი შინაარსი კაპიტალისტურ წყობილებაში გამოიხატებოდა და ის ინტელიგენტთა წრეები, რომელნიც ებრძოდენ ბატონყმურ წყობილებას, ძალაუნებურად ბურჟუაზიის სასარგებლო საქმეს აკეთებდენ, ბურჟუაზიული კლასის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავდენ.

2. აგრარული საკითხი

60-იანი წლების რეფორმები მოლიბერალო და კონსერვატიულ იმართულების ისტორიკოსების მიერ დიდი რეფორმების სახელწოდებით არის მონათლული. მაგრამ რუსეთის რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენციამ (ჩერნიშევსკი და მისი ჯგუფი) იგი სამარცხვინო რეფორმის სახელწოდებით მონათლა და ხალხს მოუწოდა შეიარაღებული ძალით დაემსხვრიათ ახალი მონობის დამკანონებელი თვითმპყრობელობა და დაეწესებიათ რევოლუციონური დიქტატურა [1]). არა ნაკლები სამარცხვინო იყო და ქართველი გლეხისათვის შემავიწროებელი საქართველოში ჭატარებული გლეხთა „რეფორმა", რომელმაც მხოლოდ გარეგნულად, იურიდიულად გაანთავისუფლა გლეხი ბატონყმურ უღლისაგან, ხოლო ეკონომიურად იგი უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააგდო. არსებითად უმიწოდ განთავისუფლებული გლეხი მაგარი არტახებით იქმნა მიკრული მეპატრონეზე და სწორედ ამ ეკონომიურ მონობას გამოხატავდა ის ახალი ინსტიტუტი, რომელიც დროებით-ვალდებულთა სახელწოდებით არის ცნობილი მაგრამ გლეხს სტანჯავდა არა მარტო უმიწობა და მემამულის კვლავ ბატონობა, არამედ ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის სიმძიმე და მრავალგვარი სახელმწიფო გადასახადები, საეკლესიო გადასახადები [2]) და ვაჭარ-ჩარჩოთა დავალიანება. რეფორმის საშუალებით ეკონომიურად გალატაკებულ გლეხობას ახალმა ეპოქამ—კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ უფრო უარესი მდგომარეობა

1) იხ. ჩვენი მონოგრაფია: „ნ. გ. ჩერნიშევსკი". 1929 წ.

2) 1902 წ. გურიაში აჯანყებული გლეხები პირდაპირ უარს აცხადებდენ საეკლესიო ბეგარის გადახდაზე (იხ. ცენტრ. არქივში ოფიციალური წერილი: Аграрно-революционное движение в Гурии в 1902—4 г".)

შეუქმნა. ახალი ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით ჩვენი სოფლის ცხოვრება შეირყა და საგრძნობი მნიშვნელობის დიფერენციაცია დაიწყო; გლეხობის საგრძნობი ნაწილი ქალაქისაკენ წავიდა ლუკმა პურის საძიებლად და სწორედ აქედან წარმოსდგა პირველი კადრები საქართველოს მუშათა კლასისა. გლეხთა უკმაყოფილება და მოძრაობა რეფორმის შემდეგ პერიოდში აჯანყებასა და მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლაშიაც გამოისახა. 1875—76 წლების გლეხთა არეულობა სვანეთში, 1876 წლის — სამეგრელოში, 1878 წ. ქიზიყში, 1902 წლის გურია-სამეგრელოში, მიმართული იყო, როგორც თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აპარატის თვითნებობის წინააღმდეგ, ისე მემამულეების საწინააღმდეგოდაც. მ ი წ ი ს ა კ ი თ ხ ი, მ ი ს ი ხ ე ლ ა ხ ა ლ ი გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ა და მ ო წ ე ს რ ი გ ე ბ ა ა ხ ა ლ ს ი ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე—ქართველი გლეხობის მთავარ ამოცანად გადაიქცა.

ქართველი გლეხის ეს შევიწროებული მატერიალური მდგომარეობა ყველასათვის დასანახი იყო. ამას არც მოლიბერალი მემამულენი მალავდენ; მაგ. კახელი მემამულე რ ა მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ო ვ ი თავის პატარა ბროშურაში 1880 წ. სწერდა:

„Дефицит в экономической жизни крестьянина составляет каждый год 17 руб. Положение временно обязанных крестьян платящих бывшим помещикам повинности, а также выкупивших с пособием от правительства полевые земли и усадьбы своего надела, обязанных вносить в казну выкупные деньги, еще печальнее“... [1]).

ასე სწერდა კახელი მემამულე; მაგრამ ქართველი გლეხის ეკონომიურ მატერიალური სივიწროვე და მის კისერზე დადგმული ახალი მონობის უღელი უფრო საგრძნობი და თვალსაჩინო იყო ახალი თაობის ინტელიგენციისათვის. გაზ. „დროება“, ჟურნ. „სასოფლო გაზეთი“ და „კრებული“ არსებით ყურადღებას აქცევდა გლეხთა მდგომარეობას და ცდილობდა მათი მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. გ. წერეთელი, [2]) ს. მესხი [3]) და სხვები ამ საკითხს დასტრიალებდენ თავზე.

ნიკო ნიკოლაძემ ჯერ კიდევ 1865 წ. მიაქცია ყურადღება გლეხთა საკითხს და თავის შესანიშნავ წერილში, რომელიც გერცენის

[1]) Рамаз Андроников: „Наше общество и его современное стремление“ გვ. 20, 1880 წ.

[2]) იხ. მისი წერილები „სასოფლო გაზეთში“ აგრეთვე „დროება“ № 1, 1866 წ.

[3]) იხ. მისი წერილი „დროება“ № 12, 1875 წ.

1865 წლის „კოლოკოლ"-ის ფურცლებზე დაიბეჭდა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თვითმპყრობელობის საგლეხო რეფორმა საქართველოში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაძისათვის საზღვარგარეთ ფართო მოედანი იყო ჯადაშლილი თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის და ამიტომ მან თავის წერილით სავსებით შესძლო მოწინავე, ახალთაობის ინტელიგენციის აზრის გამოთქმაც აღნიშნულ საკითხზე.

თავის წერილში ნიკოლაძე გადაჭრით და ძირეულად გმობს საგლეხო რეფორმის დებულებებს. იგი სწერს:

„ახალი „კანონდებულებანი", რომელიც მაღალფარდოვანი სიტყვებით გვაუწყებენ, რომ „გლეხთა ყმობა... საბოლოოდ ისპობაო", მიზნად ისახავენ მხოლოდ ახლანდელი „statu quo-ს (ე. ი. ბატონყმობის) განმტკიცებას და ყველა მისი მთავარი საფუძველის საუკუნოდ დაკანონებას და განმტკიცებას... რადგან ბატონყმობის კვლავ ხელუხლებლად დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო, რუსეთის მთავრობამ, რუსეთის ბნელეთის მოციქულობის ისტორიაში სახელგანთქმული ნ. ბეზობრაზოვის რჩევით, გლეხთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა, უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები... რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩება... მაშასადამე, თუ მთავრობამ ამ მხრივ ვისიმე მდგომარეობა გაუმჯობესა, ყოველ შემთხვევაში არა გლეხებისა, არამედ უფრო თავად-აზნაურობისა... სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა მცარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება" [1]).

ასე შეაფასა ნიკოლაძემ 1864 წლის საგლეხო რეფორმა საქართველოში და ეს შეფასება სრულიად სწორი იყო. იგი სწორ ანალიზს უკეთებდა იმ „რეფორმას", რომელმაც ახალი მონობის უღელი დაადგა ქართველ გლეხობას. ავტორი კარგად ხედავდა, რომ ახალმა „დებულებამ" გლეხობა არსებითად შებორკა და კვლავ მემამულის სრულ ეკონომიურ მონობაში დასტოვა. რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენტს არ შეეძლო არსებითი პროტესტი არ განეცხადებია ამ ახალი ბატონყმობის წინააღმდეგ და არ წამოეყენებია გლეხთა მოთხოვნილება. იმავე წერილში ნიკოლაძე სწერდა: „...ხალხს მიწა სჭირდება, თავისი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფა, შრომის თავისუფლება და პირადი თავისუფლებისა და მისი ოჯახის ხელ-

1) Рио Нели: „Освобождение крестьян в Грузии"—„Колокол" № 199, 1865 წ. რჩეული ნაწერები, ტ. I. გვ. 177, 179,—80, 1931 წ.

უხლებლობის გარანტია ადმინისტრატიული და ყოველგვარი სხვა თვითნებობისაგან, მას სჭირდება ამორჩეული სასამართლო და ბევრი რამ სხვა, რაც თქვენ (თვითმპყრობელობამ) არ მიეცით, არც გსურთ მისცეთ და არც შეგიძლიათ მისცეთ" [1]).

ვფიქრობთ, ამ პროგრამით ნ. ნიკოლაძემ ნათლად და სისწორით გამოხატა მაშინდელი გლეხობის მისწრაფებანი; მართლაც, გლეხს მაშინ მიწა სჭირდებოდა და ადმინისტრაციისთვითნებობისაგან უზრუნველყოფა; ერთი სიტყვით, მიწა, კარგი მოხელე და თავისუფალი შრომა—აი რაში გამოიხატებოდა მაშინდელი გაუნათლებელი გლეხის მოთხოვნილება. ნიკოლაძემ ეს სისწორით აღნიშნა „კოლოკოლ"-ის ფურცლებზე.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნ. ნიკოლაძე არა ერთხელ შეხებია გლეხთა საკითხის მოწესრიგებასა და აგრარულ კითხვას, როგორც „დროება-კრებულის" ფურცლებზე, ისე ადგილობრივ რუსულ გაზეთებში („ობზორი" და „ტფილისის უწყებანი,") და ცალკე ბროშურაში. მაგრამ აქ, ცენზურის სასტიკ პირობებში, იგი ვერ ახერხებდა მთავრობის პოლიტიკის კრიტიკასა და გმობას აგრარულ საკითხში და ამიტომ დადებდა პროექტებს აყენებდა მიწის საკითხის მოსაწესრიგებლად.

„გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისაგან თავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისაგან, ბიწა დაუმკვიდრეთ მყვლეფელებისაგან და მუქთი მჭამელებისაგან დაიხსენით, ან ასწავლეთ, თუ რაგზით დაიხსნას თავი, სასარგებლო, გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, სიკეთე, ნამდვილი რეალური სიკეთე მოუტანეთ მას რჩევით და საქმით, და მაშინ ნახავთ, რომ მარტო ამ ნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება... აი, მარტო მაშინ დაადგება ჩვენი ხალხი გაძლიერების გზას... აი მარტო მაშინ დამტკიცებთ, რომ მამულიც გყვარებიათ და მისი მსახურებაც გცოდნიათ". [2])—აი ის პროგრამა, რომელიც დაუსახა ნიკოლაძემ განსახორციელებლად 70-იან წლებში ქართველ მოწინავე ინტელიგენციას.

მან კარგად იცოდა, რომ ქართველი გლეხობა ეკონომიური მონობის ქვეშ გმინავდა, რომ წოდებათა შორის უკმაყოფილება უმაღლესად იყო განვითარებული ჩვენში, რომ ხალხის გაუნათლებლობა და უმეცრება დიდათ აფერხებდა მისი წარმატების საქმეს. მან კარ-

1) იქვე,—რჩეული ნაწერები გვ. 184.

2) ნ. ნიკოლაძე: „საახალწლო" გვ. 322—23, 1880 წ. არის მეორე გამოცემა: „მამულის სიყვარული და მსახურება" გვ. 101—2, 1914 წ.

გად იცოდა,რომ ,,ხალხში ნამდვილი ერთობა მარტო მაშინ დამყარ-
დება, როცა იმისი ეკონომიური ცხოვრება გათანას-
წორდება, როცა ხალხი ეკონომიურად გათავისუფ-
ლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა'' [1]).

სრულიად არ არის გასაკვირი, რომ ნიკოლაძემ თავიდანვე დი-
დი ყურადღება მიაქცია გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას, შეი,
მუშავა ახალი აგრარული პროგრამა და მოითხოვა ხალხის კულტუ-
რულ-სოციალური აღორძინება შეერთებული შრომის საფუძველზე.

როგორც ვიცით, იმ პერიოდში იგი ჩერნიშევსკის დიდ გავ-
ლენას განიცდიდა და შრომაში, სასარგებლო წარმოებაში ხედავდა
ეცხოვრების უმთავრეს წყაროს; ვინც ჰქმნის სასარგებლო შრომას
წევა ცხოვრებისათვის საჭირო და სასარგებლო წარმოებას იგი არის-
საზოგადოების მამოძრავებელი ძალა. აქედან წარმოსდგა მისი უარ-
ყოფითი დამოკიდებულება თავად-აზნაურობისადმი, სრული თანაგრ-
ძნობა მშრომელი გლეხობისადმი. [2]).

---

[1]) იხ. ,,საახალწლო''—გვ. 340; ,,მამულის სიყვარული''... გვ. 118—19.

[2]) საინტერესოა მკითხველს გავაცნოთ აქ გაკვრით მისი შეხედულება თავად-
აზნაურობაზე. ნიკოლაძე, რომლის აზრები ამ შემთხვევაში მიმართული იყო ი. ჭავ-
ჭავაძის წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თავად-აზნაურობამ თანამე-
დროვე პირობებში დაჰკარგა ყოველგვარი ,,საწარმოო'' მნიშვნელობა და იგი ზედ-
მეტ ბარგად გადაიქცა ხალხისათვის. 1880 წელს იგი სწერდა:

,,Дворянство, как сословие—уже не может никакой роли играть в жизни народа. Перенося взоры свои от этой стороны дела к стороне чисто экономической, мы видим, что то же самое дворянство, активная роль которого вполне упразднена, получает с народа за услуги предков своих, ровным счетом четвертую часть с продуктов народного труда, и получает всякий раз путем борьбы, споров, пререканий. Экономическая противоположность интересов, разумеется, никогда не может повести ни к чему иному,кроме охлаждения между сословиями, имеющими такие противоположные интересы. Конечно наивные и недалекие идеалисты,увлеченные благородными мечтаниями о всеобщем мире, о гармонии между сынами одной и той же родины, могут обманывать себя и других насчет ничтожества таких враждебных отношений. Хлопочите энергически об устранении несправедливых сторон в современных экономических отношениях дворянства к крестьянству, стремитесь к созданию для обоих этих сословий активной, производительной роли, примирите их интересы и только тогда дождетесь вы устранения тех плачевных фактов и явлений,которые теперь вызывают в вас столь же наивный, как и безплодный плач'' (,,Обзор'' № 496. 1880 ₹.)

აქვე უხდა შევნიშნოთ, რომ ამ წერილის შინაარსი არსებითად მიმართული იყო ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ და გამოხატავდა ბურჟუაზიული ინტელიგენციის შეხედულებას წოდებათა ურთიერთობის შესახებ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობისა და აგრარული საკითხის მოწესრიგების დროს იგი სამგვარ საშუალებას მიმართავს: 1) გლეხებმა შეერთებულად გამოიყიდონ მიწები მემამულეებისაგან და დაიმკვიდრონ საერთო საკუთრებად; 2) საადგილ-მამულო და სასოფლო ბანკებში დაეხმარონ გლეხებს მიწის გამოყიდვას და შეერთებულ ამხანაგობათა დაარსებაში; 3) თვით სახელმწიფომ ითავოს მიწის გადაცემა გამოყიდვით გლეხობაზე და დააკანონოს; თემობრივი წესი მიწის მფლობელობისა და მოხმარებისა. ვინაიდგან ეს საშუალებანი არ ეწინააღმდეგებოდა ერთი-მეორეს, ამიტომ ნიკოლაძე დროგამოშვებით ხან ერთს მიმართავდა, ხან მეორეს.

განვიხილოთ უფრო ახლოს მისი აგრარული პროგრამა და გლეხთა ეკონომიური განთავისუფლების საშუალებანი.

1871 წელს „სასოფლო გაზეთი"-ს ფურცელზე, რომელიც 1868 წლიდან გ. წერეთელის რედაქტორობით გამოდიოდა და გლეხობის ინტერესებს ემსახურებოდა, ნ. ნიკოლაძე ვრცლად ეხება თავადაზნაურობას და გლეხობის ეკონომიურ-აგრარულ მდგომარეობას და სწერს:

„მისდა საუბედუროთ, იმას (თავად-აზნაურობას) დედის რძითვე შეუსვამს შრომის ზიზღი და უცოდინარობა. ეს ერთი. მეორე მისი უძლურება ის არის, რომ უწინდელ მის ბატონობას მისთვის ხელგაშლილი ცხოვრება დაუსწავლებია, და ამნაირი ცხოვრების საშუალება კი ცოტა დაუტოვებია... და რადგანაც თავად-აზნაურობის უმეტეს რიცხვს, ერთის მხრით უწინდელი ჩვეულებაებები დიდს ხარჯს აძლევენ, და მეორეს მხრით უცოდინარობა და უფულობა მიწიდან სარგებლობას უჭრიან, უეჭველია, რომ ადრე თუ გვიან ამ თავად-აზნაურობის ადგილ-მამული მათი ჩვეულების დასაკმაყოფილებლათ გაიყიდება და სხვის ხელში გადავა. მაგრამ ვის ხელში? გამყიდველი ჩვენში ბევრია, და შემდგომში კიდევ გამოჩდება უფრო მეტი. მყიდველი ვინ არის, ან ვინ იქნება? გლეხი-კაცი სულს ეხლაც ძლივს იბრუნებს,—ისე დამჩაგვრელი იყო მისთვის წარსული ჩვენი ცხოვრება. მისი მდგომარეობა, ცოტათი არ იყოს, მარტო ეხლა კეთდება, მათი გათავისუფლების შემდეგ, და განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყანაში ცოტაოდენი აღებ-მიცემა და მისვლა-მოსვლა გაიმართა, გლეხი-კაცი ურგის გამართვას იწყებს. მაგრამ, ეხლაც უწინდელ მის ცხოვრებას მასზე დიდი გავლენა აქვს. ეხლაც კიდევ მძიმეთ აწევს გლეხ-კაცს უწინდელი უმეცრების ტვირთი. დღეს იმას შეუძლიან ცოტათი თავის თავისთვის იმუშავოს, მაგრამ მის ახალ-დაწესებულს, გუშინდელ

შრომას არც იმოდენა ძალა აქვს, არც იმოდენა ხეირი, რომ გლეხ-კაცს მკვიდრათ შეეძლოს თავისი ოჯახის კეთილდღეობის დაფუძნება. ერთი სიტყვით, იმას უწინდელზე უკეთ შეუძლია ოჯახის რჩენა, მაგრამ იმას ჯერ კიდევ დიდხანს არ შეუძლია ამ ოჯახისთვის ადგილ-მამულის ყიდვა. რაკი წვრილი თავად-აზნაურობა მიწის გამყიდველი შეიქნება და გლეხების უმეტეს ნაწილს ყიდვა არ შეეძლება, მყიდველი ვილან დაგვირჩა?—ცხადია, რომ ყიდვის შეძლება მარტო სხვილ-სხვილ ნაბატონარებს და ვაჭრებს ექნებათ, და თითქმის მთელი მიწა-წყალი რამდენიმე ხნის შემდეგ იმათ ხელში გადავა. ეს პირები მიწა-წყალს მისთვის კი არ ყიდულობენ და იყიდიან, რომ მისი შემუშავება ჰსურდეთ—არა. მათ შემუშავების თავი არა აქვსთ. არც ამისთანა მცირე საქმისთვის სცალიან. ისინი მიწას იყიდიან იმ განზრახვით, რომ შემდგომში იჯარით, ღალით გასცენ ეს მიწა, მიაქირაონ ის იმ პირებს, რომელთაც უმიწოთ გაძლება არ შეუძლიანთ, ესე იგი გლეხ-კაცობას, და სამაგიეროთ შემოსავლის წილი მიიღონ. ეს „წილი“ მით უმეტესია, რაც უფრო ნაკლები საკუთარი მიწა აქვსთ გლეხ-კაცებს, და რაც უფრო მეტი მიწა-წყალი შეგროვილია ერთ პირის ხელში. ზოგან ეს წილი მოსავლის მეათედია, ზოგან მეხუთედი. და ერთ სოფელში მთელი მიწა ერთ პირს რომ ეჭიროს, შეიძლება რომ მიწის მქირავებელმა პატრონს ღალათ შემოსავლის ნახევარიც მისცეს. მაშასადამე, ეხლანდელი მიწის ქირა უფრო და უფრო იმატებს იმავე წესით, როგორც ეფრო და უფრო შემცირდება წვრილმანი მიწის-პატრონების რიცხვი, და გაძლიერდება ჩვენში სხვილ-სხვილი მიწის პატრონობა.—და აქედან ცხადია, ამასთანავე გაძნელდება მიწის შემმუშავებელის, ესე იგი გლეხ-კაცობის მდგომარეობა“ [1]).

ნიკოლაძე სრულიად საფუძვლიანად აღნიშნავდა იმ ღრმა მნიშვნელობის ტენდენციას, რომელიც შეადგენდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამახასიათებელ თვისებას: წვრილ თავად-აზნაურობის დაცემასა და მიწების კონცენტრაციას მცირეოდენის ნაწილის ხელში, ამასთან ერთად გლეხობის მდგომარეობის გაუარესებას, მათი ეკონომიურ-მატერიალური პირობების დამოკიდებულებას სხვილი მემამულე-ვაჭრებისაგან, ე. ი. სოფლის ახალი მებატონისაგან. ავტორი ნათლად ხედავს, რომ ბატონყმურ უღლიდან ახლად განთავისუფლებულ გაღატაკებულ გლეხს აღარ შეუძლია ინდივიდუალური გზით ეწიოს ბრძოლა და შეიძინოს მისთვის საჭირო და მასაზრდოებელი მიწა;

---

[1]) ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე: „ამხანაგობის ძალა“—(რა გზით შეიძინება მიწა-წყალი?)—„სასოფლო გაზეთი“—№ 1, გვ. 1—2, 1871 წ.

ნიკოლაძე გრძნობს რა ქართველი გლეხის ასეთს ტრაგიკულს მდგომარეობას, ცდილობს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი ახალი სამოღვაწეო გეგმები და გზები უჩვენოს მათ. იგი სწერს:

,,რითი შეუძლია ეხლა გლეხ-კაცობას ისეთ ნაირათ დაიკავოს საქმე, რომ შემდგომში მისი მოსავლის ნახევარი მიწის ღალათ არ გადიოდეს, და თან მიწის შოვნა—საღალოთაც—დამადლებით არ მიაჩნდეს! ან უკეთ ვთქვათ, რითი შეუძლია ეხლა გლეხ-კაცობას ახალნაირი ,,ბატონ-ყმობის'' დაარსება მოშალოს? ცალ-ცალკე არც ერთ გლეხს ამ საქმეში არაფრის გარიგება არ შეეძლება. მაგრამ გლეხ-კაცები ერთმანეთის ხელის გაწყობას და დახმარებას ჩვეული რომ იყვნენ, და მათში ამხანაგობა დანერგილი რომ იყოს, მისი მდგომარეობა შემდგომისათვის ერთი ათასჯერ უკეთესი იქნებოდა... სოფლის მცხოვრებლებმა რომ ერთიანათ, მთელი სოფლით პირობა მისცენ რომელიმე ადგილის გამყიდველს, რომ მთელი სოფელი ხუთი ან ექვსი ან ათი, ან ოცი წლის განმავლობაში თქვენ მიწის ფასს გარდაგიხდისო; ამ ფასში, წელიწადში, ამდენ და ამდენ მანეთს მოგცემსო, ვითომ რომელი მიწის გამყიდველი იტყვის უარს ამისთანა სანდო საქმეში?.. სოფლის მცხოვრებლებმა ნაყიდი მამულის ფასი რომ გაინაწილონ და წელიწადში თითო კომლმა ხუთი მანეთი ან მეტ-ნაკლები იხადოს,—ვითომ ეს გადასახადი შეუძლებელია? ვითომ ხეირი არ ექნება სოფელს, რამდენიმე წლის განმავლობაში თავი გაიჭირვოს, როცა ამ გზით მიწა-წყლის შეძენვა შეეძლება? ეს ნაყიდი მიწა მთელ სოფელს რომ ეკუთვნოდეს, და თვითონ სოფელი რომ აძლევდეს იმას თავის გლეხებს სამუშაოთ, სამი ან ოთხი წლით, ან ათით როგორც რუსეთშია,—ვითომ ძნელი გასარიგებელია ეს საქმე? ვითომ ათასჯერ უფრო მეტი ხეირი არ იქნება, მიწა-წყალი რომ თვითონ გლეხ-კაცობას და მთელ გლეხ-კაცობას ჰქონდეს, რომ გლეხობაში ყველანი ერთი პირნი და ერთმანეთის დამხმარენელნი იყვნენ? ვითომ ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმე არ იქნება, რომ გლეხ-კაცობას თავისი შრომის იარაღი—ესე იგი მიწა—ხელში ჰქონდეს და ამის გამო შრომის ნაყოფიც იმასვე რჩებოდეს, მერმე ისე, რომ მის შუა დაჩაგრული და უნაწილო არავინ იყოს? ყველა ეს კითხვები განსაკუთრებით უნდა იქცევდენ გლეხ-კაცობის ყურადღებას. დღეს ჩვენ ეს კითხვები და ეს საქმე გაკვრით გავშინჯეთ.—მაგრამ, წლეულს, შემდეგი ნომრიდანვე დაწყებული, ჩვენ ვეცდებით დაწვრილებით, გარკვევით გამოვუხატოთ ჩვენ მკითხველებს თუ რა ნაირათ, რა გზით შეიძლება მიწების გამოყიდვა პატრონებიდან, და

ამ მიწების ამხანაგობრივი განაწილება და სარგებლობა, როგორც ეს საქმე რუსეთშია გაწყობილი“ [1]).

ამრიგად ნიკოლაძე ურჩევს გლეხობას შეადგინონ ამხანაგობანი, ასოციაციები, შეერთებული ძალით გამოიყიდონ მემამულეებისაგან მიწები და შემოიღონ სოფლებში თემობრივი წესი მიწის მფლობელობისა, სწორეთ ისეთი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა რუსეთში. ნიკოლაძე ფიქრობს, რომ თემური მფლობელობა მიწისა საუკეთესო საშუალებაა გლეხთა მატერიალურ-ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ერთ-ერთი უდიდესი იარაღი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაქმნელად. აქ ნათლად სჩანს რუსეთის ნაროდნიკული აზროვნებისა და განსაკუთრებით ნ. ჩერნიშევსკის გავლენა ნიკოლაძეზე. ჩვენი ავტორი იმ ხანებში სრულიად დარწმუნებული იყო, რომ თემობრივი წესი მიწის სარგებლობისა ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების წინ წამწევი უდიდესი ფაქტორია. იგი სრულიად ვერ ამჩნევდა, ისე როგორც რუსეთის ნაროდნიკები, რომ მიწის თემური მფლობელობა ძველი დახავსებული, საზოგადოების მიერ უკვე განვლილი ისტორიული წყობილების ფორმა იყო, რომ იგი თვით რუსეთში ახალი ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით რღვევას განიცდიდა და გლეხობაში ფართოდ ვითარდებოდა ინდივიდუალური წესი მიწის საკუთრებისა; რომ თვით საქართველოში ეს თემური მფლობელობა მიწისა წარსულში არსებობდა, იგი განვლო საქართველოს ისტორიული ცხოვრების განვითარებამ და მისი ძველი სახით აღდგენა შეუძლებელი იყო. ამრიგად ნიკოლაძე ცდილობდა ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ა დ აღედგინა ის, რაც ისტორიის მიერ გაბწყრილი იყო და რაც დიდი ხნის წინეთ აღმოფხვრილიყო საქართველოში. აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ თუ რუსეთის ნაროდნიკები შოითხოვდენ რუსეთში არსებულ თემების შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა ს, გ ა დ ა რ ჩ ე ნ ა ს რღვევისაგან და მათ განვითარებას სოციალისტური მიმართულებით; საქართველოს ახალი თაობის ინტელიგენციისათვის უფრო მწვავედ იდგა საკითხი: ისინი მოითხოვდენ მიწის თემური მფლობელობის ხელოვნურად შ ე ქ მ ნ ა ს საქართველოში, რომ შემდეგ მტკიცე დასაყრდენი ჰქონოდათ სოფლის მეურნეობის სოციალისტური მიმართულებით გასავითარებლად. სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა მათი მიწის თემური მფლობელობის, კოოპერაციების, ასოციაციების, ამხანაგობა-კოლექტივების სოფლის მეურნეობაში შემოღების გეგმები. 60—70-აინ წლებში ასეთმა

1) ნ. სკანდელი: „ამხანაგობის ძალა“—„სასოფლო გაზეთი“ № 1, გვ. 2, 1871 წ.

გეგმებმა ფართოდ გაიდგა ფესვები ჩვენს ახალ თაობის ინტელიგენციაში; საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ 70-ან წლებში „გუთნის დედის“ ფურცლებზე ანტონ ფურცელაძე თავგამოდებით ჰქადაგებდა მიწების თემურ მფლობელობის შემოღებას[1]). 60-ანი წლების ჩვენი მწერლების დებულებებიდან და არგუმენტაციიდან შორს არ წასულა არც ა. საბუელი, რომელმაც 1906 წ. წიგნაკი გამოსცა მიწის საერთო მფლობელობის შესახებ[2]).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის დიდი განსხვავება, რომელიც ნიკოლაძისა და რუსეთის რევოლუციონურ ნაროდნიკებს შორის არსებობდა ამ საკითხის შესახებ. 60—70-ანი წლების ნაროდნიკობა აგრარული საკითხის მოწესრიგებასა და გლეხთა ეკონომიურ განთავისუფლებას მონობისაგან რევოლუციონური მეთოდით მოითხოვდა და მათი აგრარული პროგრამა შეწონილი, შეფარდებული იყო მთელ მათს სამოღვაწეო პროგრამასთან, ნიკოლაძისათვის ასეთი მეთოდი მიუღებელი და მიზანშეუწონელი იყო; იგი ცდილობდა მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებია ეს საქმე: გლეხობას გამოეყიდა შეერთებული ძალითა მიწები მემამულეებისაგან.

როდესაც ჩვენში დაისვა საკითხი ბანკების დაარსების შესახებ, ნიკოლაძე ენერგიულად შეეცადა საბანკო საკითხი დაეკავშირებია აგრარულ საკითხთან და ბანკების საშუალებით მოეხდინა მიწების გადაცემა გლეხობაზე.

1914 წელს დაწერილ ერთს პატარა შენიშვნაში იგი სწერდა: „ამ საგანზე (ე. ი. ხალხის ეკონომიური განთავისუფლებასა და შეერთებულ შრომის შეჩვევაზე), განსაკუთრებით იმათზე, რომ ამ (ეკონომიური) განთავისუფლების შეძენა მოხერხდებოდა ჩვენის საადგილმამულო ბანკების აგრარულსა და მელიორაციულს პოლიტიკაზე დამყარებით, ბევრი ვიქადაგე ამას წინათ, 1873—1876 წლების მწერლობაში და საზოგადო კრებებზე“.

1873 წელს იგი სწერდა ამ საკითხების შესახებ:

„დროება“-ს ბევრჯერ გამოუხატვია შეწუხებული და თითქმის უიმედო მდგომარეობა კახელი გლეხკაცობისა, რომელსაც უფულობა და ვალები უკანასკნელ ღონისძიებას აკლებენ და უმძიმეს ტვირთათ აწევენ. ბევრჯერ გამოთქმულა ჩვენს გაზეთში აზრი, რომ ამ გასაჭირს

[1]) ან. ფურცელაძე: „მამულის საერთო მფლობელობა“—„გუთნის დედა“ № 9, 10, 11, 1874 წ. ცალკე წიგნაკად გამოვიდა 1881 წელს. იხ. აგრეთვე რეცენზია ამ წიგნზე „იმედში“.

[2]) იხ. ა. საბუელი (ა. ჯორჯაძე): „როგორ უნდა გადაწყდეს მიწის მფლობელობის საქმე ჩვენში“. 1906 წ.

რომელიც მარტო კახეთს კი არა, მთელ საქართველოს სიცოცხლეს უჭირვებს, ჩვენი ხალხი ასცილდება ზოგიერთი საზოგადო ცვლილებაებით და—ცოტაოდნათ მაინც—სახალხო, სასოფლო ბანკების დაარსებით და გამრავლებით. ეს სასოფლო ბანკები, ვამბობდი, ჩვენ, იმ გასაჭირიდამ მაინც დაიხსნიან ჩვენს ხალხს, რომ გარდასახადის შევსების დროს და სხვა წვრიმანი საჭიროების წინ ის ურიის ვალში აღარ ჩავარდება და თითქმის მთელს თავის შემოსავალს ორიოდე თუმნის სარგებელში მაინც არ გასცემს. ესეევ აზრი ავრცელა გ. წერეთლის „სასოფლო გაზეთმა“ და დღეს ჩვენ შეგვიძლია სრული ბედნიერებით ვთქვათ, რომ უნაყოფოთ არ ჩაუვლია ჩვენი მწერლობის სიტყვასა და მაგალითს... ვიმეორებთ, ეს ისეთი საჭიროებაა ჩვენი ხალხისთვის, რომელზედაც დამოკიდებულია, თუ მოული ეხლანდელი სიძნელე არა, ძრიელ ბევრი წვრიმანი გაჭირვება და უსიამოვნება. ამ ბანკების შემწეობით ჩვენი ხალხი ცოტაოდნათ მაინც განთავისუფლდება მისი გაღარიბებული და დამამხობელი მოვალეებისაგან, და სხვა რომ არაფერი იყოს ესეც ბევრია. მაშ ვისარგებლოთ ამ ადვილი საშვალებებით; ჩვენებურ ყმაწვილებს ნამდვილი სურვილი რომ ჰქონდესთ ხალხისთვის სარგებლობის მოტანისა და დახმარების მიცემისა, ამისთანა საქმეში ბევრი ღაღადისი და ქადაგება ჩვენ როდი დაგვჭირდებოდა. ყმაწვილები აიღებდენ ხელში ამნაირი ბანკის წესდებას და წაუკითხავდენ სოფლელებს, აუხსნიდენ მის სიადვილეს და სარგებლობას, ასწავლიდენ დასაწყისში საქმის წაყვანას და გაუმართავდენ მთელ საქმეს. მაგრამ ამაებს ჩვენში არავინ ჰკიდებს ხელს. ან კი, მართლაც რომ ვსთქვათ, როგორ უნდა მოჰკიდონ ხელი: ხუმრობა ხომ არაა ბარათის მოწერა რედაქციაში, წესდების პირის მისაღებათ, და მისი გარდაცემა თავის საკუთარ სოფლის მცხოვრებლებისათვის? ეს თავის სამტკვრევი შრომაა. ბევრათ უფრო ადვილია უგზო-უკვლო ქუჩა-ქუჩა თრევა და სტუმრათ სიარული, სადაც, გლეხებთან ლაპარაკის მაგიერ, უფრო ადვილი და სასიამოვნო საქმე აქვთ ამ ყმაწვილებს: ენის მიტან მოტანა, ჭორიკანაობა, ბანქოს თამაში და ცეკვა. არა, ამისთანა ახალგაზრდობის მიხედვით ჩვენი სოფლელები ამ საქმეს ნუ წაუყრუებენ. თავიანთ თავზე იქონიონ იმედი გლეხებმა და თვითონვე საქმეს ხელი მოჰკიდონ, როგორც გონიერათ მოიქცენ წინანდალის, კონდოლის და კისისხევის მცხოვრებლები. გლეხებმა უნდა იცოდენ, რომ ჩვენი ყმაწვილები იმნაირათვე უსარგებლოთ ჩაკვდებიან უსაქმო ხეტიალში, როგორც მათი მამები ჩაკვდენ“ [1]).

[1]) ნ. სკანდელის მეთაური წერილი,—„დროება“ № 41, 1873 წ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის საინტერესო ფაქტი, რომ 60-ანი წლების მეორე ნახევარში და 70-ან წლების დასაწყისში ეკონომიურად მეტად შევიწროებული ქართველი გლეხობა სტიქიურად ეძებდა გამოსავალს შექმნილ პირობებიდან და როდესაც ამავე ხანებში ქართველ თავად-აზნაურთა წრეებში დაიწყო მოძრაობა და კამათი ბანკების დაარსების შესახებ, ამან გლეხობაზედაც მოახდინა გავლენა და აქაც შეუდგენ სასოფლო ბანკების დაარსების საქმეს. ეს საკითხი შეესაბამებოდა „დროება-სასოფლო გაზეთი"-სა და „კრებული"-ს გამოღვაწეო პროგრამას. მათი გეგმები სწორეთ იქითკენ იყო მიმართული, რომ გლეხობა გადაერჩინა გაპროლეტარებას, გალატაკებას და სხვადასხვა საშუალებით ხელი შეეწყოთ მათი მატერიალური და კულტურული აღორძინებისათვის. სასოფლო—სახალხო ბანკი ერთ-ერთ ასეთს იარაღს წარმოადგენდა და აღნიშნული ჯგუფიც დაბეჯითებით მოუწოდებდა ინტელიგენციას დახმარება გაეწია ხალხისათვის ამ შეძმე საქმის მოწყობაში. თავის მხრივ რედაქციები არ ზოგავდენ ძალ-ღონეს ამ საქმის წარმოებისათვის. ნ. სკანდელის წერილში ვკითხულობთ:

„გარდა ამისა, რომ ტფილისში უბრალო მოხელეებმა მოინდომეს თავისთვის პაწაწა ხელის გამწყობი ბანკის გამართვა, და ერთგულათ შეუდგენ ამ საქმის აღსრულებაში მოყვანას, თელავის მაზრაშიაც გლეხ-კაცობას მოუნდომებია ამგვარივე სასოფლო ბანკების დაარსება. სამს სოფლის საზოგადოებას კახეთში: კონდოლის, წინანდლის და კისისხევისას, გადაუწყვეტია საამხანაგო ბანკების დაარსება, და „სასოფლო გაზეთი"-ს რედაქციის შემწეობით კიდეც შეუდგენია ამ ბანკების წესდება, რომელიც გუშინ თფილისელ გუბერნატორს მიართვენ ამ სოფლისაგან გამოგზავნილმა გლეხებმა. უეჭველი საქმეა, რომ ეს წესდება მალე დამტკიცდება და ასრულებაშიაც მოიყვანება; მაშასადამე ჩვენი ხალხი ამ გვარი ბანკების სარგებლობის მაგალითს მალე თავის საკუთარი თვალითაც ნახავს. „დროების" და „სასოფლო გაზეთი"-ს რედაქციებს გამზადებული აქვთ ამ გვარივე წესდებები, ისე რომ სხვა სოფლების საზოგადოებებს მოთხოვნის მეტი არა დასჭირდებათ რა მათ მიღებისათვის და დასამტკიცებლათ წარდგენისათვის. ამასთანავე „დროების" რედაქცია ამზადებს სამაგალითო წიგნებს, რომელნაც ყოველ სასოფლო ბანკს უნდა ჰქონდეს ანგარიშის, შემოსავლის და გასავლის ჩასაწერათ, წევრებისათვის მისაცემლათ და სხვა და სხვა... ასე რომ სასოფლო ბანკების გამართვაში ჩვენს სოფლელებს არაფერი დაბრკოლება და სიძნელე აღარ დახვდებათ, თუ კი თვითონ სოფლელები ბანკის

დაარსებას მოინდომებენ და თავიანთში ამის შესახებ გარდაწყვეტილებას მიიღებენ“ [1]).

ჩვენ განგებ ამოვსწერეთ ასე ვრცლად ეს ციტატა, რომ მკითხველისათვის დაგვენახებია, თუ ერთი მხრივ როგორი ტენდენცია იყო წარმოშობილი ქართველ გლეხობაში ეკონომიურ შევიწროების ნიადაგზე და, მეორე მხრივ, როგორ სამოღვაწეო პროგრამას აყენებდა მაშინდელი ახალი თაობის ინტელიგენცია. როგორც დავინახეთ, „დროების“ ჯგუფი მოუწოდებდა ახალ თაობის ინტელიგენციას ხალხში გასვლას, ხალხში მუშაობასაც, მაგრამ არა რევოლუციის მოსახდენად, არა გლეხების ასაჯანყებლად, არამედ მშვიდობიანი მუშაობისათვის, სახალხო ბანკების დაარსების, ეროობის შემოღების, კოოპერაციის განვითარების, შკოლების დაარსებისა და სხვა გეგმების მახედვით. რასაკვირველია ასეთი სამოღვაწეო პროგრამა, რომელიც ენათესავებოდა რუსეთის ნაროდნიკების მემარჯვენე მიმდინარეობის პროგრამას, ვერ გადაარჩენდა ქართველ გლეხობას ეკონომიურ განადგურებისაგან. მაგრამ ისტორიულად ასეთი ორგანიზაციების შემოღებას შეეძლო ხელი შეეწყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის, სოფლად გამოეწვია დიფერენციაცია გლეხობაში და, მაშასადამე, დაეჩქარებია ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზაციის პროცესი. ასეთი როლი უნდა ეთამაშა ისტორიულ-აუცილებლობის გამო იმ სამოღვაწეო პროგრამას, რომელსაც ნიკოლაძე აყენებდა 60-70-ან წლებში.

ქვევით ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით იმას, თუ როგორ აგრარულ პოლიტიკას მოითხოვდა ნიკოლაძე საადგილ-მამულო ბანკებისაგან, ახლა აღვნიშნავთ, რომ იგი ამ საშუალებაზედაც არ შეჩერებულა და პირდაპირ დასვა საკითხი, რომ აგრარული უთანასწორობის მოწესრიგება უმთავრესად და ძირეულად სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენსო. მისი აზრით ამხანაგობები და დაწესებულებანი დიდი ხნის განმავლობაში ვერ შესძლებენ ამ საკითხის მოწესრიგებას, სახელმწიფოს კი შეუძლია უახლოეს დროში გადასწყვიტოს ეს მეტად დიდი და მნიშვნელოვანი საკითხი. 1878 წელს იგი სწერდა:

„საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია გაადვილება თანდათანი გადასვლისა მიწის საკუთრების სწორედ იმ წოდების ხელში, რომელიც ცხოვრობს რა მიწის დამუშავებით, საჭიროებს მიწას, როგორც თავისი შრომის უმთავრეს იარაღს, უდავოდ წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს, და... მაშასადამე, მისი

[1]) „დროება“ № 41 1873 წ.

გადაწყვეტა არც შეიძლება და არც უნდა მიენდოს კერძო პირებს, არამედ იგი შედის თვით სახელმწიფოს მოვალეობაში და მის კომპენტენციაში... საკითხი მიწის საკუთრების მიწის მომქმედთა წოდების ხელში გადასვლის შესახებ, ამრიგად, წარმოადგენს პირველ მნიშვნელობისა და ძირითად საშუალებას სახელმწიფოს თანამედროვე დაბრკოლებათა გადასაწყვეტად, ამიტომ იგი მოითხოვს გადაწყვეტას არა სხვა ვინმესაგან, არამედ თვით სახელმწიფოსაგან, რომელსაც საშვალებაც აქვს და შესაძლებლობაც მოაწესრიგოს იგი ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებელი სახით. კერძო საზოგადოებათა ხელში, დაწესებულება, რომელიც მოინდომებდა ასეთი ამოცანის განხორციელებას, ძალა უნებურად იძულებული გახდებოდა ამოქმედოს მიკროსკოპიული დოზებით—დღეს ერთი გლეხის მდგომარეობა გაეუმჯობესებია, ხვალე მეორესი და ასე შემდეგ. ამ სახით მთელი საუკუნეები გავიდოდა, ვინემ კერძო დაწესებულება შესძლებდა ქვეყნის აგრარულ მდგომარეობის ძირითად გარდაქმნას". [1])

დაადგა რა ნიკოლაძე იმ გარკვეულ-რეფორმისტულ გზას, რომ სახელმწიფომ, მთავრობამ უნდა გაატაროს ხელახალი რეფორმა და ძირიანად შესცვალოს ზანამედროვე აგრარული ურთიერთობანი, იგი გარკვეულ გეგმასაც უყენებს მთავრობას განსახორციელებლად; ნ. ნიკოლაძე ჰფიქრობს, რომ მთავრობამ უნდა დააკანონოს მიწის მფლობელობის თემური ფორმა და თანდათან ხელი შეუწყოს მიწების გადასვლას სოფლის საზოგადოების ხელში. იმავე წერილში ნიკოლაძე სწერდა:

„მაგრამ... ამ რთული ოპერაციის სწორი წარმოება მოითხოვს მიწის თემური წყობილების ძლიერ ბევრი და მნიშვნელოვანი ჩვეულებების გამოყენებას. საგლეხო თემები, გამოიყიდიან რა ვადა-გაშვებულ მამულებს, ამით ისინი გარკვეულ ვალდებულებებს ამყარებენ ბანკთან. ამ მოვალეობათა პირნათლად შესრულებისათვის საჭირო იქნება პროპორციონალური მონაწილეობა მასში ყოველი გლეხის ოჯახისა ან ერთეულისა, მასთანვე ამასთან შეფარდებული სარგებლობა მათ მიერ გამოყიდულ მამულებისა... ყველა ეს გარემოება მოითხოვს კანონმდებლობის გზით წინასწარ გამომუშავებას წესისა და პირობების ცალკე ოჯახების მონაწილეობის შესახებ საერთო გამოყიდვისა და საერთო მოხმარების საქმეში, ე. ი. მ ო ი თ ხ ო ვ ენ

[1]) იხ. წერილი: „Будущность нашего кредита"—„Обзор"—№ 186, 1878 წ.

კანონების კოდიფიკაციას სათემო მეურნეობის შესახებ"[1]).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაძის გეგმა აგრარული საკითხის მოწესრიგების საქმეში საკმაოდ უახლოვდება იმ გეგმებს, რომელიც ნ. ჩერნიშევსკიმ წამოაყენა თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში: ჩერნიშევსკი მაშინ მოითხოვდა მიწების გამოყიდვას და თემური წყობილების გაძლიერებას[2]). ნიკოლაძე არ მოითხოვს უფასოდ გადაცემას მიწებისას გლეხებისათვის; მისი მთავარი აზრი იმაში გამოიხატება, რომ თანამედროვე აგრარული ურთიერთობა რადიკალურად უნდა შეიცვალოს და გლეხობას უნდა გადაეცეს მიწები. ხოლო ეს გადაცემა უნდა მოხდეს არა რევოლუციითა და ძალდატანებით, არამედ სრულიად მშვიდობიანი გზით, თავად-აზნაურთა ინტერესების მხედველობაში მიღებით: მშვიდობიანი გამოყიდვა მიწისა ერთადერთი სამართლიანი და სწორი გზა არის, ნიკოლაძის აზრით, აგრარული საკითხის მოსაწესრიგებლად ამ შემთხვევაში ნიკოლაძე მთავარ როლს სახელმწიფოს ანიჭებს, ხოლო არა ნაკლებ სურს გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო ბანკები და გლეხთა შეერთებული ძალა ამ საკითხის მოწესრიგების საქმეში. ასეთი არის ნ. ნიკოლაძის აგრარული პროგრამა: მას სურს აგრარული ურთიერთობის მოწესრიგების გზით ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო ასოციაციებისა და თემების დაარსებას.

მკითხველის ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ იმ გარემოებაზე, რომ მას სურს აგრარული საკითხის ამგვარი სახით მოწესრიგების საქმეში გამოიყენოს სახელმწიფო აპარატი, ე. ი. თვითმპყრობელობა, რომელიც თავისი სოციალ-ეკონომიური საფუძვლებით მსხვილ მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდა; თვითმპყრობელობამ 1861—64 წლებში საკმაო მოფიქრებისა და ათასგვარ პრრექტების შემდეგ, გარკვეული დებულებები შეიმუშავა გლეხთა საკითხის მოწესრიგების შესახებ და იგი რეალურადაც გაატარა ცხოვრებაში; ის აგრარული ურთიერთობა, რომელიც განმტკიცდა რუსეთსა და საქართველოში და რომელიც ასე არ მოსწონდა იმ ხანებში ნიკოლაძეს—ნაყოფი იყო რუსეთის თვითმპყრობელობის გარკვეულ სოციალ-ეკონომიურ პოლიტიკისა; და ახლა მისი რადიკალურად გარდაქმნის ცდა იმავე თვითმპყრობელობის აპარატის საშუალებით აშკარა უტოპიზმი იყო. როგორც ქვეშით დავინახავთ ამ უტპიზმის გზას იგი გარკვევით დაადგა 80-ან

[1]) ნ. ნიკოლაძე: „Будущность нашего кредита"—„Обзор" №-190, 1878 წ.
[2]) იხ. Н. Чернышевский ტ. IV, 1906 წ.

წლებში და სწორეთ ამ უტოპიზმით იყო ჩამოწვეული მისი მონაწილეობა „ნაროდნაია ვოლია“-სა და „სვიაშჩენნაია დრუჟინა“-ს მოლაპარაკებაში. ამ შემთხვევაში ნ. ნიკოლაძე დიდი მანძილით დასცილდა „მთავრობისა და ახალი თავობის“ და „გლეხთა განთავისუფლების“ ავტორს, უკეთ თავის საკუთარ პოლიტიკურ სოფლმხედველობას 60-ან წლებში.

როგორც ვხედავთ, ნიკოლაძე 60—70-ან წლებში ძლიერ დაინტერესებული იყო გლეხთა საკითხით, აგრარული ურთიერთობის მოწესრიგებით და არ ტოვებდა შემთხვევას, რომ არ გამოეთქვა ამ კითხვების შესახებ თავისი შეხედულება. 1879 წელში ერთ თავის პატარა ბროშურაში იგი კვლავ უბრუნდება ამ საგანს და სწერს:

„მიწა-წყალი ხალხს ხელიდგან გამოეცალა და მთელი ხალხი იმ კაცთ ყურმოჭრილ ყმად გადაიქცა, რომელნიც უსაქმოდ ცხოვრობდენ და უსაქმობის გამო მარტო სიამოვნებაში ან ქეიფში ფლანგავდენ ხალხის შრომით ნაწარმოებს... ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ აი ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს, რომ შემდეგში ერთიანად მოისპოს ჩვენში ამგვარი უსამართლობა და უგუნური ფლანგვა ხალხის ძალისა და შრომის. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი მდგომარეობიდგან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ეკონომიურ სამართლიანობას გვიახლოებს, ჩვენი მამულის სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს, და ნიადაგ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავლეს ნაწილს გავუადვილოთ თავის განთავისუფლება ეხლანდელის დამოკიდებულის მდგომარეობისაგან. ხალხი მაშინ გაძლიერდება, მაშინ დაძმობილდება, მაშინ შეადგენს ერთ ძმურ ოჯახს, როცა სადაო არა ექნებათ რა სხვადასხვა წოდებას, როცა ყველანი შრომას გაერთობიან და შრომას ისე გაინაწილებენ, რომ თვითეულის შრომა ყველა სხვის შრომის გაადვილება იქნება და არა გაძნელება“ [1]).

არ შეიძლება არ მოვიყვანოთ პარალელი ნ. ნიკოლაძესა და ილ. ჭავჭავაძის შორის აგრარული საკითხის მოწესრიგების საქმეში. 70-ან წლებიდან, როდესაც ილ. ჭავჭავაძე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე გახდა, მთელი მისი სამოღვაწეო პროგ-

[1]) ნ. ნიკოლაძე: „საბალწლო“, გვ. 317—19, ან „მამულის სიყვარული და საბურება“, გვ. 97—8, 1914 წ.

რამ თავად-აზნაურ[illegible]ლიბერალიზმის მატარებელი იყო და არსებითად აგრარ[illegible]კაპიტალიზმის იდეოლოგიას გამოხატავდა. ი. ჭავჭავაძე [illegible]მამულ[illegible]და ამ პერიოდში, რომ 1864 წ. რეფორმამ მიწის საკითხი ჩვ[illegible]მარეო[illegible]საფერისად გადასწყვიტა და მას ერთხელაც არ მოუწადინებია[illegible]შინჯა 1864 წ. „საგლეხო დებულება“ და დაესვა საკითხი მ[illegible]ბლად [illegible]გადაცემისა გლეხებზე[1]). ამ მხრივ იგი ბოლომდე დარჩა აგ[illegible]ძე[illegible]ი კაპიტალიზმის იდეოლოგი. როგორც დავინახეთ ამ საკითხ[illegible]მიწ[illegible]ოლაძე ბევრად რადიკალური იყო ჭავჭავაძეზე. აქ იგი ნათლად [illegible]ამოხატავდა სამრეწველო ბურჟუაზიის რადიკალურ იდეოლოგიას ჩვენში. ჩვენი აზრით, ი. ჭავჭავაძის გამოსავალი წერტილი თავისებური თ ა ვ ა დ - ა ზ ნ ა ურ ულ - ა გ რ ა ურ ულ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი იყო, ხოლო ნ. ნიკოლაძის—ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი.[2])

რაც შეეხება საერთოდ ნიკოლაძის აგრარულ პროგრამას,—რომელსაც ჩვენ კიდევ შევეხებით მისი საბანკო პოლიტიკასთან დაკავშირებით,—მიუხედავად იმისა, რომ აქ ავტორი უხვად იყენებს ოციაციურ პრინციპსა და თემობრივ მიწადმფლობელობის ფორმას—ამ პროგრამაში ნათლად მოსჩანს სამრეწველო კაპიტალისა და ბურჟუაზიის მისწრაფებანი. როგორც ვიცით, 60-ანი წლების რეფორმები თავისი შინაარსით ნაწილობრივ გამოხატავდა ბურჟუაზიულ რეფორსას; ვინაიდგან ამ რეფორმის გამტარებელი იყო პოლიციურ-თავადაზნაურული თვითმპყრობელობა, მანაც უხვად დასტოვა ბატონყმური ურთიერთობის ნაშთები და განსაკუთრებით სიცხადით ეს აგრარული ურთიერთობის სფეროში იყო ნათელი, სადაც გლეხი ეკონომიურად დამონებულ მდგომარეობაში დარჩა ყოფილ ბატონსა და ახალ მემამულეს. ეს გარემოება კი მეტად აფერხებდა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების საქმეს რუსეთსა და საქართველოში. გლეხის ეკონომიურად მიჯაჭვა მემამულეზე, უდიდეს ბაზარს ართმევდა ხელიდან სამრეწველო კაპიტალს, რადგან ეკონომიურად დამონებული გლეხი მემამულის საექსპლოატაციო ობიექტი ხდებოდა და ამით მას

[1]) იხ. მისი „ცხოვრება და კანონი“ დაწერილი 1877—81 წლებში.

[2]) ი. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის საწინააღმდეგო შეხედულებანი აგრარულ საკითხის გარშემო, ნათლად სჩანს მათ შ ე ხ ე დ ულ ებ ა შ ი ა ც, ხ ი ზ ა ნ თ ა ს ა კ ი თ ხ შ ი ა ც: მაშინ, როდესაც ჭავჭავაძე ხიზნებს არენდატორებათ სთვლიდა და მათი მხოლოდ უმიწოთ განთავისუფლების მომხრე იყო, ნიკოლაძეს ის დიდ შეცდომათ მიაჩნდა და მოითხოვდა ხიზნების მიწით განთავისუფლებას. ამ საკითხის შესახებ მან ჭავჭავაძის შეხედულებათა წინააღმდეგ წერილიც დაბეჭდა თავის „ობზორში“ (იხ. მისი: Хизанский вопрос „Обзор“ № 470, 1880 г.)

ეკარგებოდა მოხმარებითი უნარიანობა. აქ მოწვეულ არმოსდგა ის, რომ
სამრეწველო კაპიტალი რუსეთში არ შეძენნაია დ ყოფილიყო მაშინ
შექმნილი აგრარული ურთიერთობით კმაყოფილი მანამ, და იგი ბუნებრივად მოითხოვდა გლეხის განთავისუფლებას" ალის ახალ მონობისაგან, რადგან, ეკონომიურად მოღონ საკუთრებული გლეხი
სამრეწველო კაპიტალის მთავარ. ...ანას შეადგენდა ფართო ბაზრის შექმნისა და ნწლების საქმეში
აქედან ბუნებრივია, რომ რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენციამ
არსებითი ყურადღება მიაქცია გლეხთა საკითხს და შექმნილ აგრარულ
ურთიერთობას საქართველოში. სამრეწველო კაპიტალიზმის ინტერესს
ეკონომიურად მძლავრი და პიროვნულად განთავისუფლებული გლეხი
შეადგენდა. ეს ბურჟუაზიული მიდგომა საკითხისადმი ნათლად სჩანს
ნიკოლაძის წერილშიაც.

„რაც უნდა პატიოსანი იყოს კაცი,—სწერს იგი—თუ მცირე მამული არა აქვს, იმას მეზობლებში დიდი ნდობა—ფულის ანგარიშში,—
არ ექნება, ამიტომ რომ ვისაც ფული აქვს, ნიადაგ იმას ცდილობს,
იმნაირს კაცს არ ჩაუგდოს ხელში, რომლისაგანაც იმისი ამოგება გაუძნელდება, და პატიოსან, მაგრამ უმამულო კაცს—უბედურება რომ რამ
შეემთხვეს, მასზე გასესხებული ფული დაკარგული შეიქნება... რა
თქმა უნდა, რომ ეს ნდობა მარტო ფულის სესხებაზე კი არ არის,
ყველაფერში, ანგარიშში, პირობის შეკვრაში, მიწა-წყლის საღალოთ
აღებაში, მიყიდვაში,—უმამულო პირს ნდობა არა აქვს, ამიტომ რომ
ვინც იმას ენდობა, დარწმუნებული არაა, რომ ხვალ, ზეგ მის გადახდის ღონე არ ექნება." [1])

„დროება-კრებულის" მიდგომა გლეხთა საკითხში და აგრარულ ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში არსებითად გამოხატავდა რადიკალურად მოაზროვნე ბურჟუაზიული ინტელიგენციის შეხედულებებს. აქ, რასაკვირველია, სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს არა პრობლემის გადაწყვეტის გარეგან ფორმაში, არამედ მის არსებით სოციალ-ეკონომიურ შინაარსში. „დროების" მოწინავეში ვკითხულობთ: „ჩვენი აზრით, ამჟამად არაფერზე არ უნდა გვქონდეს ჩვენ ისე მიქცეული ყურადღება, როგორც ამ გლეხების ნადელის საქმეზე, ჩვენი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობა იმაზეა
დამოკიდებული—ექნება ჩვენი ხალხის მომეტებულ ნაწილს მიწა-წყალი, სახლ-კარი, ერთი სიტყვით, თვისა საკუთრება თუ არა. თუ
ამ მომეტებულ ნაწილს სამყოფი ადგილ-მამული ექნება, მაშინ ჩვენში დამკვიდრდება კეთილ-დღეობა, თუ არა—ხეირი არ დაგვეყრება[2])

[1]) ნ. სკანდელი: „რა რიგად მოიპოვება მიწა-წყალი"—„სასოფლო გაზეთი" № 2. გვ. 2, 1871 წ.

[2]) იხ. „დროება" № 24, 1870 წ. მეთაური წერილი.

როგორც აღვნიშნეთ, ისტორიულ ობიექტიურ—ეკონომიურ პირობების გამო გლეხის გამამულიანება და მისი განთავისუფლება მემამულის კაბალურ მდგომარეობისაგან ჩვენში სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესსაც შეადგენდა და ამიტომ რადიკალური ინტელიგენცია შეგნებითა თუ შეუგნებლად ასახავდა ამ ბურჟუაზიის მისწრაფებებს. თავის წერილში ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ მემამულეთა ხელში მიწის დაგროვება იწვევს მიწის სიძვირესა, ღალის, საგლეხო-საბეგრო გადასახადის გადიდებასა და ამით გლეხის ეკონომიურად სავსებით დამონებას მემამულისაგან. სამრეწველო კაპიტალის ინტერესიც სწორედ ის იყო, რომ გლეხს „თავისი შრომის ნაყოფი“ თვით შერჩენოდა, განთავისუფლებულიყო მემამულის ზედმეტი ბეგრისაგან და ეკონომიურად თავისუფალი გლეხი სამრეწველო და საავჭრო კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტათ გადაქცეულიყო. ისტორიულად გლეხთა და აგრარული საკითხის ამ სახით მოწესრიგებაში ერთი მეორეს ეჯახებოდა მემამულე-თავად-აზნაურობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ინტერესები; პირველი საბეგრო-საბატონო სისტემის განმტკიცებით კვლავ ცდილობდა გლეხი თავის კაბალურ მდგომარეობაში დაეტოვებია და ამით უზრუნველეყო თავისთვის სხვისი შრომისა და შრომის ნაყოფით არსებობა. მემამულეთა ამ მისწრაფებას სავსებით აკმაყოფილებდა ის ხურიდიულ-ეკონომიური პირობები, რომელშიც ჩაყენებული იყო ჩვენი გლეხობა რეფორმის შემდეგ პერიოდში,—განსაკუთრებით, დროებით-ვალდებულთა და ხიზანთა ინსტიტუტები, და მემამულეებიც ენერგიულად იბრძოდენ ამ მდგომარეობის განმტკიცებისათვის. ხოლო თავის თავად ეს ინსტიტუტები აფერხებდა ჩვენში ბატონურ-ფეოდალურ ნაშთების მოსპობის შესაძლებლობას და ეკონომიურ-სოციალურად ხელს უშლიდა სამრეწველო კაპიტალისტურ ურთიერთობა-განვითარებას ჩვენი სოფლის მეურნეობაში. ამაში გამოიხატებოდა ბის ამ წოდების ეკონომიური მისწრაფების კონსერვატიულ-რეაქციონური მხარე. წინააღმდეგ, სამრეწველო ბურჟუაზიის პოლიტიკა უფრო რადიკალური და პროგრესიული იყო იმდენად, რამდენადაც მისი ეკონომიური ინტერესები მოითხოვდა ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების აღმოფხვრას სოფლად, მოითხოვდა გლეხის განთავისუფლებას მემამულის კაბალისაგან და მის თავისუფალ მწარმოებლად გადაქცევით გლეხობის საერთო საავჭრო-კაპიტალისტურ ურთიერთობაში ჩაბმას; ამ პოლიტიკით ბურჟუაზიას სურდა გლეხი თავის საექსპლოატაციო ობიექტად გადაექცია და ეს ზედმეტი შრომის ნაყოფი, რომელსაც ბეგარისა, იჯარისა და სხვა სახით გლეხობისაგან ითვი-

სებდა თავად-აზნაურობა, ბურჟუაზიის ჯიბის გასაძლიერებლად წასულიყო.

ნიკოლაძის მთელი აგრარული პოლიტიკა გამომხატველი იყო საერეწველო-კაპიტალისტური განვითარების ამ ტენდენციისა და არსებითად ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა ისტორიულ-ობიექტიური პირობების გამო. იმდენად, რამდენადაც მისი პროგრამა მოითხოვდა ფეოდალურ-ბატონყმურ ნაშთების აღმოფხვრას სოფლად და გლეხის თავისუფალ მწარმოებლად გადაქცევას—სოციალ-ეკონომიურად ამის შედეგი იქნებოდა კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრა სასოფლო მეურნეობაში და მთელი ჩვენი ცხოვრების სწრაფად განვითარება ახალი გზით [1]. ამაში იმარხება ნიკოლაძის აგრარული პროგრამის პროგრესიული მხარე. ამრიგად გლეხთა საკითხის წამოყენებითა და აგრარული პროგრამის შემუშავებით ნიკოლაძემ ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას მიაქცია ყურადღება და არსებითად იგი იმ სახით გადასწყვიტა, როგორც ამას ახალი, კაპიტალისტური ცხოვრების ტენდენცია და მისი ეკონომიური საჭიროება მოითხოვდა.

3. საბანკო პოლიტიკა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თავსამტვრევ ამოცანად გადაექცა ინტელიგენციას ბატონყმობის მოსპობის შემდეგ საქართველოში—ეს ბანკის საკითხი იყო. როგორც უკვე ცნობილია, ბატონყმობის მოსპობით ქართველ თავად-აზნაურობას ხელიდან გამოეცალა ერთ-ერთი მათი მასაზრდოებელი წყარო; ასე თუ ისე გლეხი ფორმალურად განთავისუფლდა ბატონის უღლისაგან და ამით მე-

[1]) აი რას სწერდა იგი 1871 წ. ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის და მისი შემდეგი განვითარების შესახებ: „მეცხრამეტე საუკუნეში, ჩვენ სწორეთ იმ იარაღს ვხმარობთ მეურნეობაში, რომელიც ნოეს წარღვნის დროს თავის კიდობანში გადურჩენია, და იმავე წესით ვხნავთ, ვთესთ, მოსავალს ვიყვანთ, როგორც ნოეს დროს. იმ საქმეს, რომელსაც ეხლა ევროპაში და რუსეთში ორი კაცი უნდება, ჩვენში—ზოგი უფულობის და უფრო მეტი უმეცრების გამო—ოცი და ოცდა ათი კაცი აკვდება; იმ მიწიდან, რომლიდგანაც ხეირიანი მემამულე რუსეთში და სამზღვარს გარეთ ათ საპანე ღვინოს ან პურს მოიყვანდა, და თან ბალახითაც ისარგებლებდა ან სხვა წვრილმანი საგნებით, ჩვენში მეოთხედ საპანეს ძლივს ილებენ... ჩვენმა საზოგადოებამ რომ ხეირიანი იარაღი, თესლები და სხვა სამეურნეო მოწყობილება გიმოიწეროს, და ფულის მეორე მეოთხედი ხეირიანი, ნიჭიერი ყმაწვილების ხეირიანათ სამეურნეო ნაწილში ასახდელათ მოიხმაროს, ხუთი-ათი წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჯაათდებოდა მაინც, თუ არ გაოცდებოდა...“ (ნ. სკანდელი: „ჩვენი ახალგაზდობა“—„კრებული“ № 2. გვ. 182—84, 1871 წ).

მამულის ეკონომიური მდგომარეობაც შეიცვალა. ეი ასეთს კრიტიკულ პირობებში დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ მ ა წამოაყენა საკითხი სათავად-აზნაურო ბანკების დაარსების შესახებ [1]). ამ ბანკების საშუალებით ცდილობდა დ. ყიფიანი გადაერჩინა თავად-აზნაურობა საბოლოო განადგურებისაგან და შეენარჩუნებია მისთვის თავისი ძველი ეკონომიურ-მატერიალური უპირატესობა და წოდებრივი პრივილეგიები. ბანკის დაარსების საქმეს აღფრთოვანებით შეეგება ახალი თაობის ინტელიგენცია და მისი ორგანო გაზ. „დროება", რომელიც 1866 წლიდან გ. წერეთლის რედაქციით გამოდიოდა. ამ ინტელიგენციის საბანკო პროგრამა განსხვავდებოდა თავად-აზნაურთა საბანკო პოლიტიკისაგან. 1897 წ. გ. წერეთელი სწერდა: „საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის (ახალი თაობის ინტელიგენცია) ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას. ამის მაგიერათ ის ურჩევდა მოკლე სამრეწველო ბანკების წეს-წყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და საქალაქო სამრეწველო კრედიტი და ერთი ამგვარი წვრიმანი ბანკი კიდეც დაარსა იმ დროს თფილისში წვრიმან მოვაჭრეთათვის". [2])

ნ. ნიკოლაძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო 70-იან წლებში საბანკო საკითხების გარშემო გამართულ პოლემიკაში. პირველად მთელ რიგ წერილებში გაარკვია მან ბანკის დანიშნულება და მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებისა და ეკონომიური ურთიერთობის წარმატების საქმეში. შემდეგ 1873 წლიდან იგი დაუცხრომელ პოლემიკას აწარმოებდა ჯერ ქუთაისის ბანკის მეთაურის ბ ე ს. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ (1876 წ.) ტფილისის ბანკის მეთაურის—ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ის წინააღმდეგ.

როდესაც ეცნობით ნ. ნიკოლაძის საბანკო პოლიტიკას და ითვალისწინებთ ყველა ის მომენტებს, რომელსაც იგი აყენებს ბანკის საკითხში,—თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ამ გეგმებში წამოყენებულია, როგორც წმინდა უტოპიური ხასიათის დებულებები, ისე რეალური მოსაზრებანი. ნ. ნიკოლაძის საბანკო პოლიტიკაში შეიძლება შემდეგი ძირითადი მომენტები იქნეს აღნიშნული:

1. ბანკი ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წინ წამწევ უდიდეს ფაქტორად. იგი ფიქრობს, რომ ბანკის დაარსებით სწრაფი ნაბიჯით წაიწევს წინ ჩვენი საწარმოო ძალები და განვითარდება სამრეწველო ურთიერთობა. 1872 წელს იგი სწერდა:

[1]) ეს საკითხი ვრცლად განხილულია ჩემს მონოგრაფიაში დიმიტრი ყიფიანის შესახებ.

[2]) იხ. „კ ვ ა ლ ი" № 46, გვ. 816, 1897 წ.

„...დღეს მთელი ჩვენი ადგილ-მამულის შემოსავალი ძლივს აუდის ჩვენი საზოგადოების ვალების სარგებლის გარდახდას. ეს სამწუხარო მდგომარეობა დიდ ხანს ვერ გაგრძელდება. პოლიტიკური ეკონომიის და საზოგადოების ცხოვრების კანონები იმრიგათვე აუცილებელი და შეურყეველი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები. როგორც ამ ბუნების კანონების ძალით კაცი რამდენიმე წამის მეტს ვერ გასძლებს, წყალში რომ თავიანათ ჩაიყურყუმალოს, აგრეთვე ვერც საზოგადოება და ვერც კერძო პირი ვერ იცხოვრებს დიდხანს ვალის აღებით, თუ მისი შრომის ან მამულის შემოსავლისაგან, ვალის სარგებლის გარდახდის გარდა, იმოდენა კიდევ არ დარჩა, რომ თავის საკვებათ ჰყოფნიდეს. ყოველთვინ, როცა აღებული ვალი ვალის ამღების მამულს არ აუმჯობესებს, ესე იგი, იმის შემოსავალს არ ადიდებს, ვალი კაცის დამღუპველია... ჩვენი საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობა ამ მიკლე ხანში უნდა შეიცვალოს... ჩვენს საზოგადოების ამ მოკლე ხანში ან სრული ეკონომიური დაღუპვა ელის, ანა და ნელნელი და მძიმე გამომთელება, ყუათზე და ღონეზე მოსვლა,—ესე იგი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება“ [1]).

ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ „ეკონომიურ ცხოვრებისათვისაც მოძებნილია და გამოკვლეულია სხვადასხვა გვარი საშვალებები გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოსაყენებლად“. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად მას მიაჩნდა ბანკი. ერთ თავის რუსულ წერილში იგი სწერდა: „Кредит благотворен и полезен как сила к увеличению производительности страны. Он—средство и, как всякое средство, стоит в прямой зависимости от цели, к которой должен вести“. [2]) ამრიგად, ნიკოლაძის გაგებით ბანკმა და კრედიტმა ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ვაჭრობის, ჩვენი მრეწველობის, ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების განვითარებას; უკეთ რომ ვსთქვათ,—ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას უნდა ემსახუროს. 1872 წელს იგი სწერდა:

„ჩვენ ქვეყანაში ფული არ არის.—ეს, თუმცა სამწუხარო ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებაა. ჩვენ ქვეყანაში რაც ფულია, ის ჩვენ საკუთარ მოთხოვნილებას, ჩვენ ძუძუ-მწოვარ აღებმიცემობას და ცხოვრებას არ ყოფნის. მაშასადამე ჩვენ ბანკს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ აქ, ჩვენ ქვეყანაშივე, იშოვის იმ ფულს, რომელიც სჭირია ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს. ეს ფული ბან-

---

[1]) ნ. სკანდელი. „ბანკის საქმე“—„კრებული“ № 6, გვ. 163—64, 1872 წ.
[2]) იხ. „Тифлисский Вестник“ № 92, 1875 წ.

კმა უნდა გააჩინოს, დიახ, გააჩინოს, ესე იგი მოგვგვაროს საიდანაც მოახერხებს, შორიდამ თუ ახლოდამ, როგორც იმას და ჩვენ უფრო ხელს მოგვცემს. მაშასადამე, ჩვენი ბანკის პირველი ნაბიჯი, პირველი ხელის განძრევა იმაში მდგომარეობს, რომ მოიწვიოს ფული, დაანახოს ფულის პატრონებს, რომ იმათი ფული იმათ სარგებელს მისცემა და არც დაიკარგება". [1])

ასეთს ამოცანას უსახავდა ბანკს 70-იან წლებში ნიკოლაძე. უდავოა, რომ ეს პროგრამა ბურჟუაზიული ხასიათისა იყო და შემდეგში მისი საბანკო პოლიტიკაც ამ გზით განვითარდა როდესაც ნიკოლაძემ თავი გაინთავისუფლა 60-იანი წლების „უტოპიურ აზრებისაგან", იგი ბანკში ნათლად და გარკვევით ხედავდა ბურჟუაზიულ დაწესებულებას და იგიც ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების უმთავრეს ფაქტორად მიაჩნდა. 1894 წ. ერთ თავის მიმოხილვაში იგი სწერდა:

„უპირველესი საგანი საადგილ-მამულო ბანკის ზედმოქმედებისა მეურნეობაზე და წარმოებაზე ის გახლავსთ, რომ გონიერ მეურნეს გაუადვილოს და გაუიაფოს მეურნეობის გაუმჯობესობა... მეორე მხარე საქმისა,—მაში მდგომარეობს, რომ ბანკს უფლება და საშვალება ჰქონდეს ხანგრძლივი კრედიტი გაუხსნას იმ ამხანაგობებს თუ სინდიკატებს, რომელნიც შესდგებიან სხვადასხვა წარმოებების საერთოდ წასაყვანად, ანდა წარმოების საერთოდ გასაძღოლად" [2])

1870 წ. ბანკის როლის შესახებ ნიკოლაძე სწერდა:

„მაშინ ბანკის ფული კუდაბზიკოაბში და პრანჭიაობაში კი არ ხაიხარჯება"—ის მოხმარდება მხოლოდ ქარხნების გამართვაში, მამულების გაუმჯობესებაში, ნამუშევრის გასასაღებლად გადატან-გადმოტანაში. მაშინ ბანკის შემოსავალი დაეხმარება ტეხნიკურ სწავლის გავრცელებას თავის მხრით, გააერთიანებს როგორც ბანკის შემოსავალს, აგრეთვე მთელი ქვეყნის სიმდიდრეს, ძალას და ბედნიერებას" [3]).

როგორც ქვევით დავინახავთ, 80-იან წლებიდან ნ. ნიკოლაძეს გარკვევით შეითვისა ბურჟუაზიული პროგრამა და სავსებით გაინთავისუფლა თავი „ბუნდოვან ასოციაციურ თეორიებისაგან". მისმა საბანკო პოლიტიკამაც გარკვეული და ნათელი ბურჟუაზიული შინაარის მიიღო.

---

[1]) იხ. „კრებული" № 6, გვ. 187, 1872 წ.

[2]) ნ. ნიკოლაძე: „გამარჯვება ავალებს"...—„მოამბე" № VI გვ. 171—72" 1894 წ.

[3]) იხ. „დროება" № 19, 1870 წ. წერილი: „ჩვენი საზოგადო საქმეები".

2. მაგრამ ამ წმინდა ბურჟუაზიულ პროგრამის გვერდით 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძე ბანკს უტოპიური გეგმების განხორციელებასაც ავალებდა. ერთი მხრივ იგი ფულის „მოზიდვასა", მრეწველობისა და აღებ-მიცემობის განვითარებას აკისრებდა ბანკს, მეორე მხრივ, ვაჭრობისა და თავისუფალი ეკონომიური საქმიანობის შეზღუდვასაც ავალებდა იმავე ბანკს. 1876 წელში ი. ჭავჭავაძესთან კამათის დროს იგი სწერდა:

„ამავე თეორიით ბანკის საქმეშიაც, საზოგადოებრივი ბანკები იმისათვის არიან დაარსებულნი, რომ ურთიერთის შეერთებით და თავდებობით თანხა და ნდობა მოიპოვონ, და დაიხსნან გაჭირვებული ხალხი ურჯების და მათი მსგავსი კაპიტალისტების ხელიდამ. მეორეს ძხრით ბანკები გამართული აქვთ თვითონ კაპიტალისტებსაც, რომ „წესიერათ", „კანონიერათ" სცარცვონ ხალხი... საზოგადო მეცნიერებამ გამოიგონა საზოგადოებრივი ბანკები სწორეთ იმისათვის, რომ დაარღვიოს აღებ-მიცემობის თავისუფლება იმ ვაჟბატონებისა, რომელნიც ხალხს სცარცვავდნენ, და არა იმისათვის, რომ ამ ვაჟბატონებს ხელი გაუწყოს თავისუფალ გლეჯაში და ცარცვაში. როცა ჩვენი ბანკების წესდებები სდგებოდნენ, მაშინ უფ. ჭავჭავაძეს და ლოლობერიძეს ვაცნობილი რომ ჰქონოდათ საზოგადოებრივი მეცნიერება, ისინი უსათუოთ ისე შეადგენდნენ ბანკის წესდებებს, რომ ბანკი გამოდგომოდა ჩვენს საზოგადოებას, თავადაზნაურობას, ხალხს, ესე იგი იმათ, ვისაც ფული ჭირიათ, და არა იმ ოციოდე პირთ, რომელნიც ფულს იღებენ გასასესხებლათ. საუბედუროთ, რადგანაც იმათ არ სცოდნიათ ეს მეცნიერება, რადგანაც იმათ დღეს შეშმარიტებათ მიაჩნიათ ის, რაც ამ ოცდაათი წლის წინათ მეცნიერებამ დაარღვია და სავნებლათ იცნო, რაღა გასაკვირველი უნდა იყოს, რომ დღეს უფ. ჭავჭავაძეს ჩემი აზრები სასაცილოთ მიაჩნია... ეს გახლავთ მხოლოდ მიზეზი ჩვენი უთანხმოებისა: უფ. ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ სუფევდა მეცნიერებაში. მე ყოველთვის, ყველგან, ყველაფერში ვებრძოდი ამ მიმართულებას, ამიტომ რომ ვეკუთვნი „საზოგადოებრივ" მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კაი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზიული მიმართულება" [1]).

ამ ვრცელი ციტატიდან ნათელი ხდება მკითხველისათვის, რომ ნიკოლაძეს სურდა ბანკისათვის სოციალური ცხოვრების ორგანიზატორის როლი დაეკისრებია და გადაექცია იგი ასოციაციური პრინ-

[1]) ნ. ნიკოლაძე: „მრუდე გამოსარჩლება".—„დროება" № 47, 1876 წ

ციპის გამტარებლად ჩვენს ცხოვრებაში. რასაკვირველია, ეს უტოპია იყო და არსებითად ეწინააღმდეგებოდა იმ გეგმას, რომელსაც იგივე ნიკოლაძე აკისრებდა იმავე ბანკს. აქ ნათლად სჩანს მისი სამოღვაწეო გეგმის გაორება: ერთი მხრივ ბურჟუაზიულ ურთიერთობის ნიადაგზე ღგომა, მეორე მხრივ—„სოციალური" თეორიების დაცვა. დიდ ხანს ამ მდგომარეობაში ყოფნა შეუძლებელი იყო და ბოლოს „ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ მ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე მ" სძლია „ასოციაციური თეორიების" უტოპიზმი. როგორც ვთქვით, იგი შემდეგში დიდ ყურადღებას აქცევდა მრეწველობის განვითარების საქმეს საქართველოში და ბანკსაც დიდი როლი უნდა ეთამაშნა ამ მიმართულებით; ე. ი. ხელი უხდა შეეწყო ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის.

3. ნ. ნიკოლაძის საბანკო პროგრამას მესამე პრაქტიკული მხარეც ჰქონდა. ერთი მხრივ, იგი ცდილობდა, რომ ბანკს ხელი შეეწყო მიწების გლეხობაზე გადასვლისათვის, მეორე მხრივ—ბანკს ხელი უნდა შეეწყო იმ საქმისათვის, რომ ქართველი ხალხის მ ი წ ა-წ ყ ა ლ ი არ გადასულიყო უცხოელების ხელში. აქ უკვე სჩანდა საბანკო საქმესთან ნაციონალური მომენტის დაკავშირება. იმავე წელში იგივ სწერდა:

„ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი და საფუძველი ჩვენში ის იყო, რომ თუ ჩვენ არ გვექმნა ჩვენი საკუთარი ბანკი, ჩვენთვის და ჩვენ მიერ დაარსებული, მთელი ჩვენი მამულები ხელიდამ წავვიდა და სხვას დარჩება. მარტო ამ ჭკუიანურმა მოაზრებამ გაუკვლია ჩვენში გზა ამისთანა მძიმე და უცნობ საქმეს, როგორიც ყველგან საზოგადოებრივი ბანკის დაარსებაა. მაშასადამე, უმთავრესი მიზანი ბანკის წესდების შემდგენელისა ამაზე უნდა ყოფილიყო მიზმანებული, რომ ჩ ვ ე ნ ი მ ა მ უ ლ ე ბ ი ხ ე ლ ი დ ა ნ ა რ წ ა გ ვ ი ვ ი დ ე ს და ჩ ვ ე ნ ვ ე დ ა გ ვ რ ჩ ე ს. ამ უმთავრესს მიზანშია მეორე, აგრედვე მძიმე და საჭირო მიზანი: ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას: მის შვილების აღზრდას, განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა" [1])

ზევით ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ სჭრიდა აგრარულ საკითხს 70-იან წლებში ნიკოლაძე და როგორ როლს ანიჭებდა ამ საკითხის მოწესრიგებაში სახალხო ბანკებს. როდესაც დაარსდა სათავად-აზნაურო ბანკები, ნიკოლაძემ საზოგადოების არსებითი ყურად-

[1]) ნ. ნიკოლაძე: „ქ უ თ ა ი ს ი ს ბ ა ნ კ ი ს ს ა ქ მ ე"—„დროება" № 35, 1876 წელი.

ღება მიაქცია იმ გარემოებაზედაც, რომ ამ ბანკს ეზრუნა გლეხთა საკითხის მოწესრიგებაზე საქართველოში. იმავე ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართულ თავის წერილში იგი სწერდა:

„ეფიქრნათ უფ. ჭავჭავაძეს და ბ. ღოლობერიძეს ამ საგანზე, შეედგინათ ცალკე წესი მამულების გამოყიდვაზე სახლის-კაცების, მეზობლების—ან გლეხების შეერთებით, დაეწესებიათ მთელი სოფლის ან უბნის მცხოვრებლების დამოკიდებულება ბანკთან... უფრო ვნახავდით მაშინ, უცხო ქვეყნელებს დარჩებოდათ ჩვენი მამულები, თუ ჩვენებურებს. იმას მაინც ვერ იტყვის უფ. ჭავჭავაძე, რომ გლეხები სიხარულით არ ყიდულობდნენ მიწებს, ყოველთვის, როცა ფასის განაწილება და რამდენიმე წლის ვადით გარდახდა შეუძლიანთ?.. გაუადვილოთ სახლი-კაცებს და გლეხებს ფულების გარდახდა, გავანაწილოთ გარდასახადი ცალ-ცალკე თითოეულ კაცზე, გაუადვილოთ სოფლელებს ან უბნებს ამხანაგობების შედგენა და ამხანაგობით მამულის ყიდვა, და ვნახოთ მაშინ, ვინ უფრო მეტ ფასს მისცემს, გარეშე, თუ მეზობელი“[1]).

ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ ქართველი თავად-აზნაურობა ვერ შეინარჩუნებდა მიწას და იგი აუცილებლად უნდა გადასულიყო სხვა ნაწილების ხელში, მასთანვე მის პრინციპიალურ შეხედულებას შეადგენდა ის, რომ მიწა მიწის მუშის ხელში ყოფილიყო. მაგრამ ბანკის დაუხმარებლად, გალატაკებული გლეხობა ვერ შესძლებდა მიწის პირდაპირ, უშუალოდ თავად-აზნაურობისაგან შეძენას, იგი პირველად გამდიდრებულ ვაჭრების ხელში გადავიდოდა და შემდეგ მათგან დაწინაურებულ გლეხთა ხელში. ბანკს შეეძლო ეს პროცესი დაეჩქარებია და ხელი შეეწყო გლეხობაზე უშუალოდ ამ მიწების გადაცემისათვის. „ორიოდ-სამიოდე წლის შემდეგ ამ საქმის რაციონალური და ენერგიული წარმოებით, სწერს ნიკოლაძე—დიდი ნაწილი მიწებისა, დანაწილებული, გადავიდოდა მიწის მომქმედთა წოდების ხელში, და ამით, ყოველკვარ შერყევის გარეშე განხორციელებული იქნებოდა ჩვენი ეპოქის ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი რეფორმა“ [2])

ნიკოლაძის სურვილი, რომ აგრარული რეფორმა გაეტარებია სათავად-აზნაურო ბანკების საშუალებით და ამით ბანკი გაეხადა სოციალური ცხოვრების ერთ-ერთ რეგულიატორად—აშკარა უტოპიზ-

[1]) იგივე: „მრუდე გამოსარჩლება“—„დროება“ № 47, 1876 წ.

[2]) Н. Николадзе: „Наш Год“—„Кавказский Альманах“ 1877 г. под редакцией Шахтахтанского гз. 101—05, 1877 წ. იხ. აგრეთვე წერილი: „Будущность нашего кредита“—„Обзор“ № 189, 190, 1878.

მი იყო. ჯერ ერთი უტოპიური და განუხორციელებელია საერთოდ ის დებულება, რომელიც ფიქრობს რომ ბანკს შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნისა და მოწესრიგების საქმეში, თუ ამასთან ერთად პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების შესაფერისი ცვლილებები არ მოხდარა აღნიშნული მიმართულებით; ცნობილია, რომ ბანკი მაშინ ხდება „სოციალურ ძალად", როდესაც ამისათვის მატერიალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში უკვე დაწყებულია შესაფერისი ტრანსფორმაცია და, რაც აუცილებელია, პოლიტიკური აპარატი,—სახელმწიფო ამ მიმართულებით აწარმოებს თავის მუშაობას. ნიკოლაძემ უტოპისტებიდან ისესხა ეს თავისი დებულება ბანკის მოვალეობის შესახებ. მაგრამ ამ თეორიის უტოპიური შინაარსი ამით არ მოსპობილა. უმთავრესად აღსანიშნავია ის, რომ ნიკოლაძე უტოპიურ საბანკო თეორიას უკავშირებდა სათავად-აზნაურო ბანკის საქმიანობას და ფიქრობდა ამ ბანკის საშუალებით „შეეზღუდა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის თავისუფლების პრინციპი", შეეწყვეტა კონკურენცია და ხელი შეეწყო ასოციაციების განვითარებისათვის. ცნობილია, რომ ბანკი თავად-აზნაურობამ თავის ინტერესებისათვის დაარსა, თავის კლასიურ წოდებრივი და ეკონომიური უპირატესობის შესანარჩუნებლად გამოიგონა. ასეთს შემთხვევაში ნიკოლაძის საბანკო პოლიტიკის შეგუების ცდა თავად-აზნაურობის ბანკის პრინციპების აშკარა ულოლიკობა იყო და ნიკოლაძის ეს ცდაც ჰაერში დარჩა გამოკიდებული.

მაგრამ რაც ცხოველი, პროგრესიული და ისტორიულად გამართლებული იყო ნიკოლაძის პროექტში ეს გამოიხატებოდა სამრეწველო ბანკების დაარსებასა და საგლეხო ბანკების გახსნაში. ეს უკანასკნელი ბანკი იაფი კრედიტის მიწოდებით დახმარებას აღმოუჩენდა გლეხობას მიწის შეძენაში და რამოდენადმე გაუადვილებდა მას მძიმე ეკონომიური მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლას. როგორც დავინახეთ ამ მიმართულებითაც აწარმოებდა ნიკოლაძე თავის პრაქტიკულ მუშაობას და სწერდა პუბლიცისტურ წერილებს. ჩვენი ეკონომიურ-სოციალური ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით სწორედ სამრეწველო და საგლეხო ბანკების დაარსების ცდა წარმოადგენს ინტერესს.

4. ბრძოლა თვითმმართველობისა და ეროვნების შემოღებისათვის

როგორც უკვე ვიცით, რეფორმის შემდეგი პერიოდი ჩვენში ხასიათდება კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებით, რაც გამოიხატა

რკინის გზების გაყვანაში, ქალაქის მცხოვრებთა ჯრდაში და საქალაქო თვითმართველობის შემოღებაში, ჩვენი აღებ-მიცემობის გაფართოებაში რუსეთისა და უცხოეთის ქვეყნებთან, შინაური ვაჭრობის გაძლიერებაში, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებაში, სამთო-მადნიმრეწველობის განვითარებაში და სხვა. ამ ახალ ეკონომიურ ხასიათის ფაქტორებს თან უნდა მოყოლოდა „შესაფერისი“ ცვლილებაც საზოგადოებრივ ზედნაშენშიაც; მართლაც რუსეთის „რეფორმების“ დიდი ნაწილი საქართველოშიაც გაატარეს. როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც სახელმწიფოებრივი შენობა და მისი აპარატი თანდათან გადადიოდა პოლიციურ-თავადაზნაურულ წყობილებიდან თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიულ წყობილებაზე: გლეხთა რეფორმის, სასამართლოს რეფორმების, სოფლის მართველობის საქმეების, საქალაქო თვითმართველობის შემოღება ჩვენში უკვე საგრძნობ ისტორიულ მნიშვნელობის ფაქტებს წარმოადგენდა. მართალია ეს რეფორმები კუდშეკვეცილი და შევიწროებული იყო, მართალია ისინი რადიკალურ ცვლილებებს ვერ იწვევდენ ჩვენს ურთიერთობაში, ვერ უხსნიდენ საკმარისად გზას კაპიტალისტურ-საზოგადოებრივ დამოკიდებულებას ჩვენში, მაგრამ ეს შეკვეცილი „რეფორმებიც“ ნათლად გამოხატავდა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობას.

ნ. ნიკოლაძესა და მთელ ჩვენ ახალთაობის ინტელიგენციას კარგათ ესმოდათ ამ „რეფორმების“ მნიშვნელობა და მათი ხასიათი. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ „რეფორმა“ ვერ შეეხო ჩვენი ცხოვრების ძირეულ საკითხებს და ვერ გარდაქმნა იგი რადიკალურად. ამიტომ ამიერ-კავკასიასა და საქართველოში, მისი აზრით, საჭირო არის არა მხოლოდ მართველი პირების შეცვლა, არამედ სერიოზული, რადიკალური გარდაქმნა თვით დაწესებულებებისა და წესწყობილების. „ჩვენი ცხოვრების ყოველ საკითხში,— დაწყებული გლეხთა საკითხიდან და დამთავრებული თვითმართველობის რთული საკითხებით, არ არის არც ერთი, როშელიც არ წარმოადგენდეს ფართო და კეთილშობილ სარბიელს სერიოზული და ღრმა რეფორმატორის წარმატებითი მოღვაწეობისათვის“ [1]) სწერდა იგი. ამიტომ საჭიროა ნიკოლაძის განმარტებით ჩვენი ცხოვრების გარდაქმნა თვითმმართველობის საფუძვლებზე და მისი დახავსებული წესწყობილების აღმოფხვრა ჩქარის ტემპით წავიდეს წინ. აქეთკენ იყო მომართული მისი სამოღვაწეო პროგრამა.

[1]) Н. Николадзе: „Наш год“— „Кавказский альманах“ გვ. 97-8. 1877 წ.

ჩვენი მრეწველობისა და ფაბრიკა-ქარხნების განვითარების საქმე თავიდანვე იპყრობდა ნიკოლაძის ყურადღებას. ის კარგად გრძნობდა, რომ ქვეყნის წინ წამწევი ძალა ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებაში გამოიხატებოდა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის აუცილებელი პირობა იყო ერის წარმატების და წინმსვლელობისათვის. მართალია თეორიაში ნიკოლაძე „ასოციაციურ პრინციპს" ქადაგებდა, მაგრამ მისი პრაქტიკული საქმიანობა და პროგრამა „შეუფერავ" კაპიტალიზმის განვითარებას უწყობდა ხელს. ხოლო ცნობილია, რომ 70-ინ წლების დასაწყისში მან არსებითი ყურადღება მიაქცია ტყაბულის ქვანახშირის საქმეს და აქტიურად შეუდგა ამ სხვილი სამრეწველო წამოწყების მოწესრიგებას როდესაც ტფილისში გახშირდა ფაბრიკა-ქარხნების დაარსება, იგი მხურვალედ მიეგება ამ ფაქტს და აღნიშნა მათი დიდი მნიშვნელობა ჩვენი ცხოვრების წარმატებისათვის. [1])

ძიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე თეორიაში ებრძოლა ვაჭრობასა და კონკურენციას, პრაქტიკაში ახალი თაობის ინტელიგენციას პირდაპირ მოუწოდებდა ვაჭრობისათვის მოეკიდა ხელი. ნიკოლაძე ნათლად ხედავდა, რომ ჩვენში ვაჭრობა მახინჯ სახეს ღებულობდა და სპეკულიაცია ვითარდებოდა. აკრიტიკებდა რა იგი სასტიკად მაშინდელ ვაჭრობის წესს, ინტელიგენციის საყურადღებოდ სწერდა: „ეხლა მიბრძანეთ, რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომ ეს ვაჭრობა კი არა, ღმერთმა იცის, რაა? როგორ არ იცის იმან, რომ ვაჭრობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებული, აზრიანი, პატიოსანი კაცი ცდილობს შეიტყოს, რა ადგილს იშოვნება იაფათ რომელიმე საგანი, რა გზით უფრო სახეიროა ამ საგნის გადატანა, და რა საშუალებით შესაძლებელია ამ საგნის საჩქაროთ გასაღება, რომ მასში გაცემული ფული მალე უკან დაბრუნდეს, და ხელმეორეთ ახალი საგნის მოპოებაში და მოტანაში გამოადგეს? რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომ ვაჭრობა იმასაც კი უნდა ცდილობდეს, რომ ჩვენი ქვეყნიდან, ნაღდი ფულის მაგიერათ, ისეთი საგნები გაჰქონდეს, რომელთაც ჩვენში გასავალი არა აქვთ, მაგრამ სხვა ადგილებში კი კარგი ფასი ადევთ? რატომ არ იცის ამ ახალგაზდობამ, რომ ჩვენში ამისთანა საგნები ძლიერ ბევრია, და ჩვენი ქვეყნის სიკეთე იმას ითხოვს, რომ ამ საგნების გასასაღებელი ადგილი და გზა მოძებნოს ვაჭრობამ?.. უეჭველია, რომ ამ დანიშნუ-

[1]) იხ მისი წერილი: „მირზოევის მატყლის საქსოვი ფაბრიკა ტფილისში"—„დროების" № 48, 1871 წ.

ლების ასრულებისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ვაჭრობას ხელი მოჰკიდონ ხეირიანმა, გონიერმა და ნასწავლმა პირებმა.“ [1])

აუცილებლად აღსანიშნავია ეს მოწოდება ინტელიგენციისადმი მიმართული. ნიკოლაძე აქ პირდაპირ აღიარებს, რომ ვაჭრობა და მასი საქმის წესიერად მოგვარება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საერთო ცხოვრების წარმატებისა და ეკონომიური ძლიერების მოსაპოებლად.

70-იანი წლების უკანასკნელ ხანებში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მრეწველობის განვითარების საქმეს საქართველოში და ამიერ-კავკასიაში. არა ნაკლები ინტერესით სწერდა იგი სავაჭრო და სამრეწველო ბანკების გამოყენების საქმეების შესახებ ჩვენი მრეწველობის წარმატებისათვის. მას უდიდეს მნიშვნელობის ფაქტორად მიაჩნდა რუსეთისა და ევროპის კაპიტალის შემოჭრა საქართველოში. ნიკოლაძე დარწმუნებული იყო, რომ ღარიბი და ჩამორჩენილი საქართველო ვერ შესძლებდა თავისი საკუთარი რესურსებითა და კაპიტალით იმ დიდ ეკონომიურ ბრძოლაში წარმატების მიღწევას, რომელიც აღმოცენებული იყო საერთაშორისო კაპიტალის საფუძველზე. აქედგან წარმოსდგა მისი სამრეწველო პროგრამაც: გამოყენება უცხოეთისა და რუსეთის კაპიტალისა ჩვენი საწარმოო ძალების განვითარების საქმეში ისე, რომ ამ კაპიტალმა არ გადააქციოს ჩვენი ქვეყანა უბრალო კოლონიალურ სფეროდ და არ მოახდინოს მისი ექსპლოატაცია აქედან ნედლი მასალის გატანითა და თავის ქვეყნიდან საქონლის შემოტანით.

აღსანიშნავი არის ნიკოლაძის სავაჭრო და სამრეწველო გეგმები რუსეთ-ოსმალეთის 1877—78 წლების ომთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ომმა დიდათ შეუწყო ხელი ამიერ-კავკასიის ეკონომიურ განვითარების საქმეს, ხოლო ომის შედეგები უფრო საინტერესო გახდა ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის: ბათომის შემოერთებითა და შავ ზღვაზე რუსეთის პოლიტიკური წონის გადიდებით—ფართო გზა გაეხსნა რუსეთის სავაჭრო ურთიერთობას უცხოეთის ქვეყნებთან და ამიერ-კავკასიაც ფართოდ ჩათრეულ იქნა ამ ეკონომიურ ურთიერთობაში. ამ პერიოდიდან უფრო სწრაფი ნაბიჯით განვითარდა ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობა.

ეს გარემოება თავიდანვე კარგად ესმოდა ნიკოლაძეს. თავის ცნობილ „Обзор“-ში არა ერთი და ორი წერილი უძღვნა ზემოდ

[1]) ნ. სკანდელი: „ჩვენი ახალგაზდობა“—„კრებული“ № 2, გვ. 186—88, 1871 წ.

აღნიშნულ ფაქტებს. ერთს თავის საინტერესო წერილში იგი ამტკიცებს, რომ შავ ზღვაზე რუსეთის გაბატონება და ბათომის შემოერთება ხელს შეუწყობს რუსეთის ეკონომიურ განვითარებას, მრეწველობისა და მიწადმოქმედების აყვავებას, ხოლო ეს გარემოება თავის მხრივ გამოიწვევს ამიერ-კავკასიის ეკონომიურ წარმატებას [1]). მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე თეორიულად თითქოს ებრძოდა კერძო ვაჭრობის გინვითარებასა და მის შეზღუდვას მოითხოვდა, არსებითად მისი სამოღვაწეო პრაქტიკული პროგრამა ამ ვაჭრობის განვითარებისთვის იყო მიმართული, სავაჭრო გზების ძებნისა და საშუალებებს ემსახურებოდა. [2]) ბათომის შემოერთების საქმეშ მასში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ ვიწრო ნაციონალისტური თვალსაზრისით, როგორც მაგ. დიმ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე და სხვები იხილავდენ ამ საკითხს, არამედ ფართო ეკონომიური პერსპექტივების თვალსაზრისით იხილავდა ამ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს. [3]) მისთვის ბათომის შემოერთება დასაწყისი იყო ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აყვავებისა და წარმატებისათვის.

როგორც მკითხველი ხედავს, ამ პრაქტიკულ ხასიათის წერილებში ნათლად სჩანს ნ. ნიკოლაძის ეკონომიური მისწრაფებების ბურჟუაზიული ხასიათი. ამ შემთხვევაშიაც ჩვენი ცხოვრების ისტორიულ-ეკონომიურმა მოთხოვნილებამ ძირი გამოუთხარა მის „ასოციაციურ“ უტოპიურ თეორიებს და მისი სამოღვაწეო პროგრამაც ობიექტიურ ისტორიულ-პრაქტიკულ მოთხოვნილებებს შეუფარდა. ასე ხდებოდა ნიკოლაძის გადასვლა უტოპიურ თეორიიდან ბურჟუაზიის პრაქტიკულ სამოღვაწეო პროგრამის ნიადაგზე. როგორც ქვევით დავინახავთ, შემდეგ პერიოდში ნ. ნიკოლაძის აზროვნება და მისი სამოღვაწეო პროგრამა სწორედ ამ უკანასკნელი მიმართულებით განვითარდა.

არა ნაკლებ ინტერესს იწვევს ნ. ნიკოლაძის პროგრამა და მისი წერილები ქალაქის თვითმართველობის, ერობისა და სოფლის თვითმართველობის საქმეების შესახებ. უდავოა, რომ ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენცია 60—70-იან წლებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებ-

---

1) იხ. მისი წერილი: „Значение Черного моря для России и владеня Батумом для Черного моря“—Обзор“ № 176, 177, 1878 წ.

2) იხ. მისი წერილები: „Экономическое значение торговых Городов“.

3) იხ. წერილი: „Батум и Поти“, Обзор № 221, 1878 წ.

და თვითმართველობის საქმეს. თვითმართველობის განვითარება საზოგადოებაში—ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილება იყო ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამისა.

როგორც ცნობილია, 1864 წელში შემოიღეს ერობა. მიუხედავად თავისი კლასიური წოდებრივი შინაარსისა, მას მაინც ჰქონდა მნიშვნელობა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში ეს კუდშეკვეცილი ერობაც კი არ შემოუღიათ. ნ. ნიკოლაძე მთელ რიგ წერილში აყენებდა ერობის შემოღების საკითხებსა და აღნიშნავდა მის დიდ მნიშვნელობას ჩვენი ცხოვრების წარმატების საქმეში. 1871 წ. მან სპეციალური წიგნაკიც გამოსცა ამ საკითხის შესახებ:"

„საზოგადო საქმეები: ერობა, მისი დანიშნულება და წესდება," რომელიც წინასწარ დაიბეჭდა 1871 წ. „კრებულსა" და „სასოფლო გაზეთში" (№ 16, 17, 18.) ამ წერილში ჩვენ ვკითხულობთ:

„...ერობას შეუძლია დაიქირაოს ვინც კი უნდა, სხვადასხვა ერობისათვის საჭირო საქმეების გასაკეთებლათ, შეუძლია გუბერნიის ან უეზდის სახელით ვალი აიღოს, შეუძლია ბანკის დაარსება, რკინის გზების გამართვა თავის საკუთრებათ ან... აქციების გამოშვებით, შეუძლია გამოსცეს წესდება და სხვადასხვა სახელმძღვანელო დარიგება ერობის სამსახურის დარიგებაზე... ეს დაწესებულება მეტისმეტათ სასარგებლოა საზოგადოებისათვის, თუ თვითონ ეს საზოგადოება წინ დახედვით და გონიერად ირჩევს თავის წარმომადგენლებს ხეირიანი კაცის ხელში. როგორც გვიჩვენებს რუსეთის მაგალითი, ერობა ხალხის გამაბედნიერებელია... ყველა ადვილათ მიხვდება, რომ ჩვენ მდგომარეობაში ყველა ეს უფლებები ძლიერ შესანიშნავი და სანდომი არიან. და ეს მათი ღირსება ჩვენ თვალში უფრო გადიდდება, როცა ჩვენ გავიხსენებთ, რომ ერობის ყველაზე უფრო უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავლენებს, ჩვენ პატრონათ ჩვენვე გვხდის. ეს გარემოება, მარტო ეს,—ეს არაოდეს არ უნდა დავივიწყოთ!—გვამაღლებს კაცობის ხარისხამდე, ადამიანს ღირსებას გვაძლევს და გვაჩვევს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას". [1])

---

1) ნ. სკანდელი: „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება"—„სასოფლო გაზეთი" № 18, 1871 წ.

რასაკვირველია, ნიკოლაძის იდეალს 70-იან წლებში არ შეადგენდა 1864 წლის თავად-აზნაურული ერობა. რამდენადაც შესაძლებელი იყო ცენზურულ პირობების გამო, იგი აკრიტიკებდა ამ ერობას და ხალხს უხსნიდა ნამდვილი დემოკრატიული ერობის მნიშვნელობას საერთო ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. აი როგორ აგვიწერს იგი რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის საქმიანობას რუსეთის ერობებში: „ზოგიერთ ერობებში, სადაც—უმთავრესობა ან გავლენა ამ მიმირთულების პირებს (მხედველობაში ნაროდნიკები ყავს. ს. ხ.) ეკუთვნის, კიდეც დაწესებულია ერობის საშუალებით ხალხის სასარგებლოთ სხვადასხვა ამხანაგობების გამართვა და ბევრჯერ შესამჩნეველი დახმარება მისცემია იმ ამხანაგობებს (артели), რომელიც თვითონ გლეხებს გაუმართავთ. სხვაგან ერობის საშუალებით გამართულია სამაგალითო ქარხნები (ყველისა და კარაქის საკეთებელი მაგალითად), რომლის შემწეობით გვარიანათ გაუმჯობესებულია გლეხკაცობის მდგომარეობა. ძლიერ ბევრ ადგილას შიმშილისა და სურსათის ნაკლულევანების დროს, ან სხვანაირ ხალხის გაჭირვებაში, ამავე მიმართულების პირობებს ერობის მოქმედებისთვის ხეირიანი და პრაკტიკულათ სასარგებლო ხასიათი მიუციათ, ისე რომ გლეხ-კაცობას ერობის მხრივ ნამდვილი დახმარება მისცემია. და არა ის ვითომ—დახმარება, რომლის სახელით ზოგიერთ სხვა ერებში ხალხს ატყავებდენ და უკანასკნელ ლუკმა-პურს სტაცებდენ ან აშხამებდენ.“ [1])

ასე სწერდა ერობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ნიკოლაძე 70-იან წლებში და უნდა აღვნიშნოთ, რომ არანაკლები ენერგიული თავდადებით იბრძოდა იგი 80—99-იან წლებში საერობო თვითმართველობის შემოღების შესახებ. [2]) ამ მხრივ იგი ერობის ერთ-ერთ პატივისმცემელ და ენერგიულ მქადაგებლად უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

არა ნაკლებ ბრძოლას აწარმოებდა იგი როგორც პრესაში, ისე პრაქტიკულადაც ნამდვილი საქალაქო თვითმართველობის შემოღებისათვის. როგორც ცნობილია, რუსეთში ახალი საქალაქო დებულება გამოქვეყნებული იქნა 1870 წ. ჩვენში იგი გაატარეს 1874 წელს. ეს მნიშვნელოვანი აქტი იყო ჩვენს საქალაქო ცხოვრებაში მით, რომ ქალაქის ბურჟუაზიულ ნაწილს საშუალება ეძლეოდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების მოწესრი-

[1]) ნ. სკანდელი: „რუსეთის ცხოვრება“ „კრებული“ № 5—6, გვ. 380—81. 1873 წ.

[2]) იხ. მისი წერილი ერობის მნიშვნელობაზე 1897 წ. „მოამბე-“ში.

გებაში. ნიკოლაძე სრულიად საფუძვლიანად სწერდა, რომ ამ ახალი დებულებით მოხდა... „Переход городского хозяйства от полиции в руки выборных граждан". [1]) ნიკოლაძის ბრძოლა ქალაქის თვითმართველობის გაჯანსაღების საქმეში ერთს შესანიშნავ ეპიზოდს წარმოადგენს ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის ისტორიაში. წინად, როგორც თვით ნიკოლაძეც მოწმობს, ქალაქის მართველობის საქმეში პოლიციური რეჟიმი მეფობდა. მაგრამ საქალაქო ცხოვრების განვითარებამ და ახალი ბურჟუაზიული კლასის სწრაფმა ზრდამ ბუნებრივად გამოიწვია ახალი სისტემა ქალაქის მართველობის საქმეში. ახალი ინტელიგენცია, რომელიც თავისი საქმიანობითა და აზროვნებით ასე თუ ისე გამოხატავდა ბურჟუაზიის ინტერესებს, დაჟინებით მოითხოვდა ქალაქის თვითმართველობაში ენერგიული და მომქმედი პირების გაყვანას, რომელიც შესძლებდენ ქალაქის ეკონომიური და კულტურულ-საზოგადოებრივი საქმეების მოწესრიგებასა და მის განვითარებას სწორი გზით. იმავე ნ. ნიკოლაძის მოწმობით, წინად ქალაქის თავად გენერლებსა და საპატიო პირებს და ან მამულით მდიდარ პირებს ირჩევდენ; დრომ მოიტანა, რომ საქალაქო საქმე ენერგიულ პირებს ჩაბარებოდათ, [2]) ამ მიმართულებით განავითარა ნ. ნიკოლაძემ თავისი ძოლვაწეობა და პოლემიკა ქალაქის თვითმართველობის გაჯანსაღებისათვის რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში. მისი წერილები „ტფილისის უწყებისა" [3]) და „ობზორ"-ში [4]) დამახასიათებელია სწორედ იმ მხრივ, თუ როგორი სამეურნეო პოლიტიკა და სამოღვაწეო პროგრამა აინტერესებდა 70-იან წლებში ბურჟუაზიას. ამ ბურჟუაზიას ერთად-ერთი სარბიელი ჰქონდა იმ ხანებში, სადაც მას შეეძლო აქტივობა გამოეჩინა და აგიც ენერგიულად იბრძოდა თავისი ინტელიგენციის საშუალებით ამ მიმართულებით.

უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ 70-იან წლებში, რამდენადაც ეს მაშინდელ ცენზურულ და პოლიტიკურ პირობებში შესაძლებელი იყო, ნიკოლაძე იბრძოდა დემოკრატიული საქალაქო თვითმარ-

---

[1]) იხ. მისი წერილი: „Задачи городского хозяйства"—„Тифлисский Вестник"—№ 99, 1875 წ.

[2]) იხ. მისი მოწინავე წერილი.—„Новое Обозрение" № 2471, 1890 წ.

[3]) იხ. მისი წერილები: „Задачи городского хозяйства",—Тифлисский Вестник" № 99, 102, 109, 112, 1875წ.

[4]) იხ. მისი წერილები: „Что сделано тифлисским гор. общественным управлением в 1877 г. (№ 265, 266, 267) და „В тифлисской думе" (№ 299)—„Обзор"—1878 წ.

თველობისათვის და საარჩევნო ცენზის გაუქმებისათვის. 1878 წელს ტფილისის პრესაში მან პირველმა წამოაყენა საქალაქო არჩევნებში ცენზის გაუქმება და გარკვევით წამოაყენა დემოკრატიული პლატფორმა. როდესაც 1878 წელს დაისვა საკითხი ქალაქის საბჭოს გადახალისებისა და ახალი არჩევნების შესახებ, ნიკოლაძე ღრმად შეეხო საკითხსა და აღნიშნა, რომ „საქალაქო საქმეების მოსაწესრიგებლად საზოგადოებრივმა მეცნიერებამ დიდი ხანია გამონახა შესაფერისი საშუალება", ავტორი სწერდა:

„ყოველთვის, როდესაც წარმომადგენლობითი დაწესებულებათა საფუძვლად დადებულია ცენზი, კრებები, რომელნიც ამ სისტემის მიხედვით არის შემდგარი, განსხვავდებიან თავიანთი აპატიური და გულგრილი დამოკიდებულებით საზოგადოებრივ საქმეებისადმი. ეს გასაგებიც არის. ცენზი საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს. უმთავრესად შემძლებელ პირებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს მსხვილ მესაკუთრეებს წვრილთან შედარებით... დამახასიათებელი თვისება უმეტესი შეძლებული პირებისა და მდიდრების იმაშია, რომ მათ აქვთ უამრავი თავიანთი საკუთარი საზრუნავი საქმეები და ინტერესები, რომელნიც ძლიერ ხშირად დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ საქმეებს... ამ თვალსაზრისით, საერთო საშვალებად აპატიის მოსპობის საქმეში, შეიძლება გამოდგეს მხოლოდ მცხოვრებთა მთელი მასის მონაწილეობის მიღება თვითმართველობაში და არჩევნებში, ხოლო წარმომადგენლობაში — რაც შეიძლება მეტი რიცხვის მონაწილეობა იმ წრეებისა, რომელნიც საზოგადოებრივ მეცნიერებასა და ისტორიაში ცნობილია უნარიანობის სახელწოდებით... ყველაზე უკეთესი საშვალებაა აიძულო ხმოსნები იმოქმედონ კეთილსინდისიერად, გამოიხატება: საკანონმდებლო სფეროში — ცენზის გაუქმებაში, ხოლო პრაქტიკულ სფეროში — წესიერი კანდიდატების არჩევაში" [1]).

ამ წერილიდან ნათლად სჩანს, რომ ნიკოლაძის აზრით ქალაქის თვითმართველობის გასაჯანსაღებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ერთი მხრივ, ცენზის გაუქმება და არჩევნებში ყველა მცხოვრებლის მონაწილეობის მიღება, ხოლო, მეორე მხრივ, — ქალაქის საქმეების გადაცემა მოწინავე ინტელიგენციისათვის.

ასეთი არის ამ დემოკრატიული პროგრამის შინაარსი. ამ გზით სურდა რადიკალურად მოაზროვნე ბურჟუაზიულ ინტელიგენციას გა-

---

[1]) იხ. „Обзор" № 256 1878 წ.

მოეყენება დემოკრატიული მასა თავისი კლასის, ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის საქმეში.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქალაქისა და საერთოდ თვითმართველობებისა და დემოკრატიული ერობების შემოღება ბურჟუაზიისა და დემოკრატიული ინტელიგენციის საარსებო ინტერესს წარმოადგენდა.) ბურჟუაზიას ამ თვითმართველობების შემოღებით აინტერესებდა ქალაქის ეკონომიური ცხოვრების ხელში ჩაგდება და ორგანიზაციულად გამოსვლა სამეურნეო სიმაღლეების დასაპყრობად; ინტელიგენციას — ფართო სარბიელი ბრძოლისა და არსებობისათვის; მოკლებული პოლიტიკურ ბრძოლის სარბიელსა და შებორკილი თვითმპყრობელობის არტახებით, რადიკალური ბურჟუაზიული ინტელიგენცია თვითმართველობებსა და ერობაში ხედავდა დემოკრატიულ წყობილების ორგანოებსა და ერთ-ერთ იარაღს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისტორიულად, მართლაც ამ ქალაქის თვითმართველობების გარშემო მოახერხა ბურჟუაზიამ და ინტელიგენციამ დარაზმვა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1879 წ. ქალ. თვითმართველობის არჩევნების გარშემო გამართული ბრძოლა. [1]).

3. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐ

ასეთი იყო ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამა 70-იან წლებში. როგორც მკითხველმა დაინახა, მას არ დაუტოვებია განუხილველი არც ერთი ღირსშესანიშნავი საკითხი, რომელიც მაშინდელმა ჩვენმა ცხოვრებამ წამოაყენა გადასაწყვეტად. შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლაძე მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის მეთაური და ხელმძღვანელი იყო. მისი წერილები იმ პერიოდში აღსავსეა სიცოცხლით და სიახლით. ამ წერილებში ფეთქს რაღაც ახალი ძალა, რომელიღაც ახალი სოციალური ფენის ჩვენი ცხოვრებისათვის უჩვეულო მისწრაფება.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული და ახლა კიდევ აღვნიშნავთ, რომ იმ პერიოდის ნიკოლაძის წერილებს აშკარა რადიკალიზმი და დემოკრატიზმი ახასიათებს; [2]) აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმ პერი-

---

[1]) იხ. ჩემს მონოგრაფიაში დიმ. ყიფიანის შესახებ.

[2]) 1875 წელს ერთს წერილში ეხება რა სოციალური მოძრაობის ძირეულ პრობლემებს, ნ. ნიკოლაძე სწერს: „Народная жизнь везде представляет неудовлетворительные стороны. Скрыть их невозможно. Народ везде стремится к лучшей обстановке. Задержать это стремление также невозможно. Следовательно, нужно открыть и этим сторонам жизни и этим стремлениям широкий и законный выход. Все это нужн

ოდში ნიკოლაძე სასტიკად ებრძოდა ლიბერალიზმსა და ააშკარავებდა მის შემცდარ მაარეებს. ლიბერალიზმის კრიტიკის დროს ნიკოლაძე პირდაპირ იყენებდა ნ. ჩერნიშევსკის შეხედულებას ამავე საკითხზე. /მისთვის ლიბერალიზმი ნიშნავდა ქედის მოხრას არსებულ უსამართლობის წინაშე, შეგუებას თავად-აზნაურობასა და ცხოვრების სიმახინჯესთან./ ლიბერალიზმს—ნიკოლაძის აზრით არ შეუძლია ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლა და ხალხის ეკონომიური და კულტურულ-ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება; ამიტომ ლიბერალების ფრაზები დაშორებულია მიზანშეწონილ საქმიანობას.

აი როგორ ახასიათებდა იგი ლიბერალიზმსა და ლიბერალების საქმიანობას 1878 წელს:

„Но, скажите на милость, разве в аграрных волнениях по временам возникающих у нас благодаря односторонному решению вопроса, не повинны мнимые либералы во имя либерализма разжигавшие рабовладельческие страсти наших феодалов. Мы имеем честь принадлежать, и мы всегда принадлежали, к тому направлению русской печати, которое не удовлетворяется либеральными фразами и либеральными этикетами, а добывается существенного прогресса в экономическом и нравственном положении народа. С точки зрения этого направления, либеральные фразы не имеют ни какой стоимости, если оне не подтверждаются делом улучшения быта массы“, (Н. Николадзе: „Кесарево Кесареви“...—„Обзор“ № 173, 1878 წ.).

აღზრდილი 60-ან წლების რუსეთის ორი დიდი ბუმბერაზის ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის სოციალისტურ აზროვნებაზე და დასავლეთ ევროპის საუკეთესო—სოციალისტების ნაწერებზე,—ნიკოლაძე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ადვილად ითვისებს სოციალისტურსა და ასოციაციურ-ნაროდნიკულ თეორიებს./ მაგრამ როდესაც მისი ასოციაციური თეორიები პრაქტიკულად ცდილობს ხორცის შესხმასა და რეალურად განხორციელებას, ნიკოლაძის სოციალისტური უტოპიზმი საპნის ბურთივით იმსხვრევა და ხელში გვრჩება ბურჟუაზიული პროგრამა რადიკალურად და დემოკრა-

изучить внимательно, законные стремления и потребности нужно удовлетворить по мере сил и средств, попыткам к улучшению нужно дать простор, словом нужно отнестись с большим доверием к здоровому смыслу народа, к честным силам интеллигенции“ (Н. Николадзе: „Капризы пера“—„Тиф. Вестник“ № 110, 1875 წ.).

ტიულად მოაზროვნე ინტელიგენტისა. ამით უკვე მზადდება ნიადაგი მაში შემდეგი პერიოდის მოღვაწეობისათვისაც, რომელიც უმთავრესად ბურჟუაზიული ლიბერალიზმით ხასიათდება.

სად უნდა ვეძიოთ ნიკოლაძის აზროვნების ასეთი ევოლიუციის ძირითადი მიზეზები? რასაკვირველია, ჩვენი მაშინდელი ცხოვრების სოციალ-ეკონომიურ საფუძვლებში. როგორც უკვე ვიცით, 50-60-70-ან წლებში ჩვენში კაპიტალიზმი და კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა თავისებურ ობიექტურ პირობებში ვითარდებოდა. ერთი მხრივ, ჩვენი ცხოვრების ეკონომიური (ნატურალური მეურნეობის სიძლიერე) და სოციალური (თავად-აზნაურობის ბატონობა და გლეხობის მიჯაჭვა მიწაზე, ბურჟუაზიის უძლურება) მოუმწიფებლობა და, მეორე მხრივ, რუსეთის თვითმპყრობელობის თავად-აზნაურულ-პოლიციური სახელმწიფოებრივი აპარატი ძლიერ აფერხებდა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის შესაფერისად განვითარების საქმეს. რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ზეგავლენითა და სხვა საზოგადოებრივი ხასიათის ფაქტორებით მწვავე კრიზისს განიცდიდა ჩვენი მაშინდელი ძველი საზოგადოებრივი წყობილება, მაგრამ ახალი ურთიერთობის წარმოშობა, განვითარება და განმტკიცება მეტის-მეტად მძიმე პირობებში ხდებოდა,—ახალი წყობილების ამ მშობიარობის პროცესს თან სდევდა ღრმა ტკივილები და წინააღმდეგობანი. ბუნებრივია, რომ ასეთს მოუმწიფებელსა და დაუდუღებელ საზოგადოებრივ ეპოქაში უნდა წარმოშობილიყო მოუმწიფებელი საზოგადოებრივი თეორიაც. ახალი თაობის ინტელიგენციამ ეს დაუდუღებელი და მოუმწიფებელი ცხოვრების შემდეგი განვითარების პროცესი ასოციაციურ-კოლექტიურ ფორმებში წარმოიდგინა. უკეთ რომ ვსთქვათ, მას სურდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის ის ფორმები და სახე მიეცა, რომელიც თეორიულად რუსეთისა და ევროპის საუკეთესო თეორეტიკოს-სოციალისტებმა შეიმუშავეს. მაგრამ ეს მისწრაფება ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებისა ასოციაციებისა, კოოპერაციებისა და კოლექტიურ მეურნეობისაკენ ნაკარნახები იყო მთელი ჩვენი მაშინდელი სოციალ-ეკონომიური წყობილების ობიექტიური პირობებით,—საწარმოო ძალთა მოუმწიფებლობით, ახალი ურთიერთობის სისუსტით, ბურჟუაზიული ფენების უაქტივობით;—ამ მძიმე პირობათა გადალახვის აუცილებლობამ მოწინავე ინტელიგენცია ძალა-უნებურად

ბიიყვანა იმ შეგნებამდე, რომ ახალი საწარმოო ძალთა და ურთიერთობათა განვითარება ინდივიდუალიზმის გზით შეუძლებელია, რომ ამისათვის საჭიროა მთელი სასიცოცხლო ძალების დარაზმვა, კოლექტიურად შეერთება და ბრძოლა. აქედანვე წარმოსდგა ინტელიგენციის პოლიტიკური რადიკალიზმიც, მიმართული ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც აფერხებდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებას ჩვენში და რომელიც სპობდა ყოველგვარ თავისუფალ მოქმედებისა და აზროვნების შესაძლებლობას. მაგრამ ჩვენი ინტელიგენციის ხელში ეს უცხო სოციალური თეორიები შეფარდებული ჩვენი ცხოვრების ვითარებასთან, არსებითად ღებულობდა „უკაპიტალიზმო კაპიტალიზმისა“ და „უპროლეტარო კაპიტალიზმის“ სახეს. უკეთ რომ ვსთქვათ, უტოპიურ თეორიასა და ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილების და აუცილებლობის შორის გარკვეული ხასიათის კონფლიქტი მოხდა: ცხოვრების ლოგიკამ და თეორიამ სძლია ჭრელი თეორია; საწარმოო ძალთა განვითარების მოთავსება ასოციაციურ-კოლექტიურ ფორმებში შეუძლებელი შეიქმნა, ეკონომიური ცხოვრების ვითარებამ თავისი ბუნებრივი კაპიტალისტური სახე მიიღო; ჩვენს მოწინავე ინტელიგენციას ისე არაფრის ეშინოდა, როგორც ჩვენი ხალხის „პროლეტარობაში ჩაცვენისა“, მისი მთავარი მიზანი ის იყო, რომ პროლეტარიზაციის პროცესი აეცილებია ქართველი ხალხისათვის; —აქ უკვე სჩანდა მისი კლასიური შიში მომავალი მტრის წინაშე. ცხოვრებამ ამ შემთხვევაშიაც თავისი გზით იწყო წინსვლა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად სწარმოებდა პროცესი მუშათა კლასის ჩამოყალიბებისა ჩვენში; მაშასადამე,—პროცესი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის კლასიური ბრძოლის გამწვავებისა და გაღრმავებისა. და როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვევით სწარმოებს კლასიური ბრძოლა, როდესაც სოციალური დაპირისპირება საზოგადოებრივ ფენებისა ააშკარაოზე გამოჯ ის,—ინტელიგენცია გარკვევით სდგება იმ კლასის ბანაკში, რომლის ინტერესებსა და მისწრაფებებს იგი გამოხატავს. აქ მარხია ერთი მთავარი მიზეზი ნიკოლაძის აზროვნების ცვლილებისა 80-90-ან წლებში.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნიკოლაძის პროგრამას და აზროვნებას 60-70-იან წლებში არ ყავდა ჩვენში მტკიცე დასაყრდენი სოციალური ძალა: გლეხობა ჩვენში განუვითარებელი იყო. არც ცდილობდა ნიკოლაძე ამ სოციალურ წრეზე დაყრდნობას; ბურჟუაზია იმ ხანად უმნიშვნელო და, მაშასადამე, უაქტივოც, ერთად ერთ აქტიურ ძალას თავად-აზნაურობა წარ-

მოადგენდა, მაგრამ იგი არ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი სამოღვაწეო ასპარეზად (საუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წოდებასთან მორიგებისათვის ნიკოლაძეს ხშირად სჭირდებოდა დიდ კომპრომისებზე წასვლა). უმთავრესი წრე, რომელზე დაყრდნობასაც ნიკოლაძე ცდილობდა და რომელიც მას მოაჩნდა ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორად, ეს—ახალი თაობის ინტელიგენცია იყო. მაგრამ ამ ინტელიგენციამ ვერ გაამართლა თავისი დაპირებანი და იგიც ვერ მოსდომხრილი შეეგუა ცხოვრების მოთხოვნილებებს. 1877 წ. ნიკოლაძე სწერდა: „შარშან (1876 წ.) ბანკების და აზნაურობის კენჭის ყრის დროს, ჩვენმა საზოგადოებამ პირველათ დაინახა საქმეში ჩვენი, ვითომ, ახალი თაობა, და ეს თაობა წარსდგა საზოგადოების წინაშე, მეტის-მეტი ბნელის მხრით. მის მაგიერ, რომ იმას თვალი აეხილა გაუნათლებელი და უმეცარი ხალხისთვის, მის მაგიერ, რომ იმას ესარგებლებია საქვეყნო ყრილობით ხალხის გონების ასამაღლებლათ, მის მაგიერ, რომ იმას ეძებნა მარტო საზოგადო სიკეთე, პირადი სარგებლობის დავიწყებით, ამ თაობამ დაივიწყა ყველაფერი, რასაც უწინ ამბობდა. იმან ისარგებლა საზოგადო უმეცრებით, და თვალი აუხვია უიმისოდაც დაბნეულ ხალხს... ჩვენი თაობა შერცხვა ხალხის წინ, შერცხვა მით, რომ გამოდგა უმეცრების ექსპლოატატორებით, ხალხის უძლურებით მსარგებლათ“... [1])

ასე მოხდა ნიკოლაძისავე დახასიათებით ახალი თაობის ინტელიგენციის გადაგვარება, მისი შერიგება არსებულ საზოგადოებრივ წყობილებასთან, და უდავოა, რომ ეს ახალი თაობის ინტელიგენცია ველარ გამოდგებოდა ახალი იდეებისა და პროგრამის გამტარებლად ცხოვრებაში.

ამრიგად ნიკოლაძე თითქოს მოსწყდა რეალურ სინამდვილეს, მას გამოეკალა დასაყრდენი სოციალური წრე და ასოციაციურ-უტოპიური თეორია ჩვენის ცხოვრების საჭიროებისათვის გამოუსადეგარი გამოდგა, და სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ნიკოლაძის აზროვნების კრიზისის მეორე მიზეზი, მისი სოფლმხედველობის ევოლიუციის წყარო ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მიმართულებით: იმდენად, რამდენადაც ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობა ვითარდებოდა და მტკიცდებოდა, რამდენადაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იჭრებოდა ახალი ფაქტორები და საზოგადოებრივი ურთიერთობა გარკვეულ ბურჟუაზიულ ფორმებს ღებულობდა, ასე ვსთქვათ რამდენადაც მწიფდებოდა ცხოვრების ახალი სოციალ-ეკონომიური პირობები,—ამ-

---

[1]) ნ. ნიკოლაძე: „საახალწლო გოდება“—„დროება“ № 1, 1877 წ.

დენადვე ეს ფაქტორები იწვევდა ნიკოლაძის საზოგადობრივ აზროვნებისა და სამოღვაწეო პროგრამის შეგუებას ცხოვრების ვითარებასთან, მისი იდეოლოგიის განვითარებას წმინდა კაპიტალისტური ურთიერთობის მიმართულებით. წინად მისი ასოციაციურ-სოციალური თეორიები ასე ადვილად ვერ ეგუებოდა ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებასა და განვითარებას. ამიტომ მათ შორის ხდებოდა ზემოდ აღნიშნული საინტერესო კონფლიქტები. შემდეგ პერიოდში მისი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ს ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი და პ ო ლ ი ტ ი კ ურ ი ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა სავსებით შეგუებული იყო ჩვენი ბურჟუაზიის რეალურ სოციალ-ეკონომიურ მოთხოვნილებასა და ინტერესებთან.

მასთანავე მან, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგმა ნათლად დაინახა, რომ ჩვენს პირობებში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება მთავრობის დახმარების გარეშე შეუძლებელი არის,— აქედან მისი პოლიტიკური რადიკალიზმი—პოლიტიკური ოპორტუნიზმით შეიცვალა თვითმპყრობელობის მიმართ.

განვიხილოთ ახლა მეორე პერიოდის მისი სამოღვაწეო პროგრამა.

V. ნ. ნიკოლაძე როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგი

1. წინასწარი შენიშვნები

80-იან წლების დასაწყისში ნიკოლაძის საერთო სოციალ-პოლიტიკური აზროვნების კრიზისის მაჩვენებელი იყო ის პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც მან გადასდგა ცნობილ „სვიაშჩენნაია დრუჟინასა“ და „ნაროდნაია ვოლიას“ შორის მოლაპარაკების დროს. თავის დროზე ნიკოლაძის პოლიტიკამ დიდი კამათი გამოიწვია პრესაში. რასაკვირველია, ამ წერილში ამ საკითხს ჩვენ შევეხებით გაკვრითა და იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო არის მისი აზროვნების დასახასიათებლად.

როგორც ცნობილი არის, 70-იან წლების მიწურულებში რუსეთის რევოლუციონური ნაროდნიკობა ბრძოლის ახალ ტაქტიკას დაადგა: მან პირველ რიგში დააყენა პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობის საჭიროება და ამ თავის მიზნის მიღწევას იგი ცდილობდა შეთქმულების მეთოდით, დინამიტებით, ბომბებითა და ტეროორით. მტკიცეო შეკავშირებულმა მცირერიცხოვანმა რევოლუციონურმა ორგანიზაციამ თავზარი დასცა რუსეთის დიდ-ტანიან სახელმწიფოს მა-

რთველებს; განსაკუთრებით თავზარდამცემი იყო მათთვის ალექსანდრე მეორეს სიკვდილი 1881 წელს მარტში. მაგრამ რევოლუციონური ორგანიზაცია, რომლის მოსასპობათ და წინააღმდეგ მიმართული იქნა მთელი სახელმწიფოს მექანიზმი, მარტო ამით არ კმაყოფილდებოდა და ახალი ტერორისტული აქტებით ემუქრებოდა ალექსანდრე მესამესაც. რეაქციონურ წრეებში დაიბადა აზრი გარდა პოლიციისა, ჟანდარმებისა და პროკურორებისა „ნაროდნაია ვოლიას“ წინააღმდეგ აემოძრავებიათ აგრეთვე ფარული რეაქციონური ორგანიზაცია, რომელსაც ევალებოდა დაეცვა მეფე ახალ თავდასხმებისაგან და გაეგოთ მთელი საიდუმლოება რევოლუციონური პარტიისა, მისი საბოლოო განადგურების მიზნით. სწორედ ამ საფუძველზე აღმოცენდა ე. წ. „Священная дружина“. ამ ორგანიზაციამ მოიწადინა საიდუმლო მოლაპარაკება გაემართა „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიასთან, ვითომდა მთავრობის სახელით, რომ გაეგო რევოლუციონური პარტიის ფარული ზრახვები და შემდეგ შესაფერისი ღონისძიებანი მიეღო. [1]) ერთ დროს სენაკის მაზრის უფროსად ნამყოფმა ლიტერატორმა კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ მ ა, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციის აგენტი იყო და რომელიც დიდი ხნიდან იცნობდა ნიკოლაძეს, უკანასკნელს, ერთი საუბრის დროს, მიმართა წინადადებით, რათა მას გაემართა მოლაპარაკება რევოლუციონურ პარტიასთან ტერორის შეწყვეტის შესახებ, ხოლო თავის მხრივ მთავრობა აუცილებლად დაადგება შესაფერისი რეფორმის გზასო.[2]) ნიკოლაძემ არ იცოდა, რომ ბოროზდინი აღნიშნული „დრუჟინის“ აგენტი იყო, იგი დასთანხმდა მოლაპარაკებოდა ამის შესახებ ცნობილ ვორონცოვ-დაშკოვს. ნიკოლაძემ წინასწარ ამის შესახებ შეატყობინა პუბლიცისტს ნ. კ. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი ს, რომელმაც თანხმობა მისცა ნიკოლაძეს დაეწყო მოლაპარაკება ვორონცოვ-დაშკოვთან. [3]) ვორონცოვ-დაშკოვთან მოლაპარაკების პროგრამა ნიკოლაძემ მიხაილოვსკისთან და კრივენკოსთან ერთად შეიმუშავა. თავის მოგონებაში ნიკოლაძე სწერს: „Программа, которую я должен был проводить, заключалась в приглашении правительства стать на путь социальных, вернее, экономических улучшений народного быта, с значительным в

[1] დაწვრილებით იხ. В. Богучурский: „Из истории политической борьбы в 70-х и 80-х г. г. XIX-века“ გვ. 268—386, 1912 წ.

[2]) იხ. „Записка К. А. Бороздина с примечаниями Николадзе“—“Былое“ № 10, 1907 წ.

[3]) მიხაილოვსკიმ ამის შესახებ პატარა „მოგონებაც“ დასწერა, იხ. „Революционная Россия“ № 54, ან „Былое“ № 9, 1907 წ.

этом смысле расширением сферы воздействия печати и земского или общественного самоуправления". [1]) ვორონცოვ-დაშკოვს მოლაპარაკების დროს არავითარი დაპირებანი არ მიუცია ნიკოლაძისათვის, მხოლოდ სთხოვა გაეგო რევოლუციონური პარტიის აზრი ამის შესახებ და აიღებს იგი ხელს თუ არა ტერორისტულ აქტებზე და არალეგალურ მოღვაწეობაზე, მთავრობამ რომ განახორციელოს ზოგიერთი რეფორმები. ამ კითხვების გამოსარკვევად ნიკოლაძე გაემგზავრა საზღვარგარეთ „ნაროდნაია ვოლია-ს" ცენტრალური კომიტეტის წევრებთან მოსალაპარაკებლად. მიუხედავად იმისა, რომ პარტია მზად იყო დათმობაზე წასულიყო, რასაკვირველია, ამ მოლაპარაკებას არაფერი შედეგი არ მოყოლია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ თითქოს მისი გავლენით გაანთავისუფლეს ჩერნიშევსკი ოცი წლის ტყვეობიდან. რასაკვირველია, ჩვენ ამ მოლაპარაკების ისტორიას არ ვსწერთ; უმთავრესად გვაინტერესებს ნიკოლაძის პოლიტიკური ხაზი ამ მოლაპარაკების დროს. ნიკოლაძის მთავარი მიზანი იმისკენ იყო მიმართული, რომ როგორმე შეერიგებია მთავრობა და რევოლუციონური ინტელიგენცია: მთავრობას უნდა გაეტარებია ცხოვრებაში შესაფერისი სოციალური რეფორმები, გაენთავისუფლებია გლეხი ბონობისაგან, დაეცვა არტელი და თემი და ხელი შეეწყო ხალხის მატერიალურ-ეკონომიურ აღორძინებისათვის ინტელიგენციას ხელი უნდა აეღო რევოლუციასა და ტერორზე, შესდგომოდა ლეგალურ მოღვაწეობას და დახმარება გაეწია მთავრობისათვის ხალხის სასარგებლო რეფორმის გატარებაში. ასეთი გზა მარტო ნიკოლაძეს არ აურჩევია: ამ გზას დაადგა საგრძნობი ნაწილი რუსეთის ნაროდნიკებისა 80—90-იან წლებში ამ მემთხვევაში ნიკოლაძე ორი ძირითადი დებულებიდან გამოდიოდა: ლეგალური მოღვაწეობით ინტელიგენცია უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს ვინემ რევოლუციისა და ტერორის გზით; მეორე მხრივ, იგი მოითხოვდა მთავრობისაგან რეფორმებისა და თვითმართველობის შემოღებას. ეს პოლიტიკა სავსებით ეგუებოდა ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელსაც ერთი მხრივ რევოლუციის ეშინოდა, ხოლო მეორე მხრივ, ვერც მთავრობის პოლიტიკას იზიარებდა სავსებით და მოითხოვდა მისგან ბურჟუაზიის სასარგებლო რეფორმებს. როგორც ქვევით დავინახავთ, თვითმართველობის პრინციპისათვის

[1]) Н. Николадзе: „Освобождение Чернышевского".—Былое № 9, გვ 256, 1906 წ. არის ცალკე წიგნათაც გამოცემული 1917 წელს. მის არქივში ინახება აგრეთვე ვრცელი წერილი ამავე საკითხის შესახებ თავ. შჩერმაკოვისადმი მიწერილი 1885 წელს.

მას შემდეგშიაც არ უღალატნია, მაგრამ ეს თვითმმართველობა მოკლებული იყო იმ რადიკალურ-დემოკრატიულ შინაარს, რომელიც მან 60-იან წლებში შეიმუშავა. ლეგალიზმი და კანონიერების დაცვა, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის კულტურულ-ეკონომიური მოღვაწეობა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ჩვენში და თვითმმართველობათა შემოღება და გაფართოება—აი ის პროგრამა რომელსაც ემსახურებოდა იგი 80-იან წლებიდან მოყოლებული.

არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ ერთი ფაქტი. როგორც ვიცით, 1865 წ. გერცენის „კოლოკოლ"-ში მან წერილი მოათავსა გლეხთა განთავისუფლების შესახებ საქართველოში; 1887 წ. ეს წერილი და მისი ავტორი რიო ნელი კვლავ მოიგონა „ნოვოე ვრემია"-მ კატკოვის გრდაცტალებასთან დაკავშირებით. თავის საპასუხო წერილში („Старые ошибки"), რომელიც არ გაუშვია მაშინდელ ცენზურას, ნიკოლაძე სწერს: „Нам дело нет до г. Рио-Нели и до его статьи Из его статьи... мы увидели, что это был юный энтузиазм... Неужели для зрелых публицистов и историков литературы заявление какого-то безвестного юноши, решительно не подкрепленные ни единым жизненным фактом, могли перетянуть вековые уроки истории и здравого смысла"? ცხადია, უკვე ლაქაცებულსა და გონება დადინჯებულ ნიკოლაძეს აღარ მოსწონდა თავისი ახალგაზრდობის პერიოდის რადიკალური აზრები და მისწრაფებანი: ლიბერალურად განწყობილ ბურჟუაზიის იდეოლოგი ალმაცრულად უყურებდა ჩერნიშევსკის სკოლაში აღზრდილ ახალგაზრდა რადიკალ ნიკოლაძეს.

მაგრამ ადასანიშნავია-ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში იგი არც თავის ძველ მასწავლებლებს, და მათ შორის ჩერნიშევსკისაც არ იწყენარებდა. ერთს თავის საპოლემიკო წერილში იგი სწერდა 1913 წელს:

„ჩვენი ეგრედ წოდებული „მოწინავე" ხალხი ჯერ კიდევ მეტაფიზიკურ გავლენის ქვეშ იმყოფება... სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე ძველ, მეტაფიზიკურ, მოაზრებას ვერ ასცილებიან... ამ მოვლენის მიზეზი ის არის, რომ სოციალურ და პოლიტიკურ საგნების მასწავლებლად ახალგაზრდობას რუსეთში კანტისა და ჰეგელის მეტაფიზიკით გაჟღენთილი მწერლები, ბელინსკი, ჰერცენი, ჩერნიშევსკი, ლავროვი, სტრუვე და სხვა ჰყავდა. ამ სკოლის გავლენისაგან თავის დაბსნა და თანამედროვე მეცნიერული ეკონომიკის თუ პოლიტიკის შეთვისება მეტათ ძნელია... აი რა მიზეზით ბევრ ჩვენს მემარ-

ცხენეს თავი მეტად დაწინაურებულად მიაჩნია და ის კი ვერ შეუმჩნევია, რომ მისი აზრები მარტო მაძინის დროს, ამ სამოცი წლის წინათ, ეპატიებოდა იმ დროის მოწინავეს; ეხლა კი მცოდნე კაცის თვალში უვიცობად ითვლება". [1])

ამრიგად 60-იან წლებში შემუშავებული სამოღვაწეო პროგრამა მის „თვალში უვიცობად ითვლებოდა". ასე დაიმორჩილა ახალმა ეპოქამ ნიკოლაძე, გასწმინდა იგი ახალგაზრდულ იდეებისაგან და გატაცებისაგან და საესებით შეუფარდა მისი აზროვნება და მოღვაწეობა ბურჟუაზიის აზრსა და მოთხოვნილებას.

ნიკოლაძის აზროვნების კრიზისისა და მისი პოლიტიკური სოფლმხედველობის ცვლილებების საუკეთესო გამომხატველი იყო, აგრეთვე, მისი წერილი ლევ ტიხომიროვის შესახებ. როგორც ცნობილია 80-იან წლების მეორე-ნახევარში „ნაროდნაია ვოლია"-ს პარტიის ერთ-ერთმა მეთაურმა უარყო თავისი წარსული და თვითმპყრობელობის მხარეზე გადავიდა. თავის წიგნში: „Почему я перестал быть революционером"?—ლ. ტიხომიროვი ამტკიცებდა, რომ რუსეთში სერიოზული რეფორმების გატარება შესაძლებელი არის მხოლოდ არსებულ კანონებთან შეფარდებული პოლიტიკური მოქმედების გზით; არა რევოლუციით, არამედ მთავრობის დარწმუნებითა და ზემოქმედებით არის შესაძლებელი წინსვლელობაო. ნიკოლაძე თავის წერილში საესებით იწონებს ლ. ტიხომიროვის ამ ნაბიჯს და თავის მხრივ დასძენს: „Тихомиров приходит теперь к убеждению, которому масса других деятелей—и мы в том числе—пришли с первых же шагов нашей юношеской мыслы—что вернее, целесообразнее, разумнее другой путь". [2]) მაგრამ რაში უნდა გამოხატულიყო ეს „გონიერი გზა" ცხოვრების განახლებისა და წინმსვლელობისათვის? ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ უხეში ძალადატანებისა და უკანონო მოქმედების მეთოდმა უკვე მოსჭამა თავისი დრო, ახლა იწყება იდეური ბრძოლის პერიოდი, რომელსაც მხოლოდ ერთად-ერთს შეუძლია წაიყვანოს ხალხი თავისი ძალების ყოველმხრივი გაყვავებისა და მტკიცე კეთილმდგომარეობის შექმნისაკენ. მაგრამ ვინ უნდა უხელმძღვანელოს ამ ბრძოლას და როგორ ფორმებში უნდა წარმოებდეს იგი? მოუსმინოთ თვით ნიკოლაძეს. იმავე წერილში იგი სწერდა:

„По нашему глубокому убеждению, шаг, сделанный г. Тихомировым, и в котором „Московские Ведомости" осно-

[1]) ნიკო ნიკოლაძე: „ჩემ პოლიტიკაზე" გვ. 55—6, 1913 წ.

[2])Н. Николадзе: „На праздники"—„Новое обозрение"—№ 1620, 1888 წ

вательно усматривают присутствие „гражданского мужества“, в том только случае возымеет ожидаемое этою газетою воздействие на дальнейшия судьбы умственной жизни и политической деятельности наших подростающих поколений, если, со стороны правительства, приняты будут соответственные меры к расширению сферы полезной деятельности свежих сил нашего общества. Я не о ломке и извращении „основ“ тут говорю, а о тех последовательных улучшениях в сфере самоуправления, которые находили бы молодыя наши силы к скромной, но ощутительно полезной работе во благо сограждан. От химер, безплодно поглативших столько юных жизней и богатых задатков, есть одно только средство: реальный труд над общественною пользою. Нужно организовать такой труд, нужно обставить его всеми желательными гарантиями и успешности, и стройности, и отсутствие уклонений в сторону, а эта трудная задача принадлежит компетенции одного лишь правительства“. [1])

ასე სწერდა 80-იან წლებში ნიკოლაძე და ეს მისი აზრები მა-ჩვენებელი იყო იმისი, რომ საქართველოს ბურჟუაზიული ინტელიგენ-ციის ფენები უკვე დაადგენ თვითმპყრობელობასთან შეგუების და მის-წინ ქედის მოხრის გზას.

თვალი გადავავლოთ ნიკოლაძის უკანასკნელი პერიოდის სამო-ღვაწეო ეკონომიურ პროგრამასა და იგი საინტერესო გასაღებს მო-გვცემს მისი პოლიტიკური სოფლმხედველობის სისწორით ასახსნელად.

2. ეკონომიური პროგრამა

80—90-იანი წლები საერთოდ რუსეთისა და კერძოდ ამიერ-კავკასიისა, და საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების ისტორიაში-უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ შესანიშნავ ეპოქად. რუსეთ-ოსმალეთის ომმა მეტად შეუწყო ხელი ჩვენში ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებას, ხოლო რუსეთისა და ევროპის კაპიტალის შემოკრამ-მეტის-მეტად გააცხოველა ჩვენი სამთომადნო მრეწველობა და საფა-ბრიკო ცხოვრება. ამიერ-კავკასიის უდიდესი საწარმოო ცენტრის—ბა-ქოს ნავთის წარმოების გაცხოველებამ, ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის წარმოების წამოწყებამ, ამიერ-კავკასიის უდი-დესი მაგისტრალის ბაქო-ბათომის რკინის გზის გაყვანამ მთელს-ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში უდიდესი გარდატეხა მოახდინა და-

1) იქვე.

ფართო სარბიელი გადაშალა წარმოებისა და სააღებ-მიცემო ფრონტზე. ჩვენი ცხოვრების ასეთმა ეკონომიურმა განვითარებამ პრაქტიკულად ჩაითრია ჩვენი ინტელიგენცია და გარკვევით დააყენა იგი ბურჟუაზიული ურთიერთობის მშენებლობის გზაზე. ნ. ნიკოლაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც იგრძნო ამ დიდი ეპოქის დასაწყისი და მთელი თვისი შემდეგი პრაქტიკული მოღვაწეობა გარკვევით შეუფარდა ამ ახალი ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობას მისი სამოღვაწეო ეკონომიური პროგრამაც ამ ახალ ურთიერთობის საფუძვლებზედ იყო აღმოცენებული. 1887 წ., როდესაც მარსელ დეპრეს მიერ აღმოჩენილი „თეთრი ნახშირი"—ელექტრონი მისაწვდომი შეიქმნა მთელი კაცობრიობისათვის, ნიკოლაძემ ნათლად იგრძნო ამ დიდი ფაქტორის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა და საღ? გონებით განსჭვრიტა, თუ როგორ ცვლილებებს გამოიწვევდა ამ დიდი ძალის გამოყენება ჩვენი ცხოვრების პირობებში. იგი სწერდა: „ვოცნებობ იმის თაობაზე, თუ რა შედეგი მოელის ჩვენს მთიანქვეყანას ახლო მომავალში, როცა რევოლუცია მოხდება... ნუ გეშინიათ, სახეში მაქვს მშვიდი, აუცილებელი რევოლუცია ეკონომიურ წესწყობილებაში, რევოლუცია ფინანსებში, მრეწველობაში, რომელიც უკვე იწყება ჩვენს თვალწინ. ამ რევოლუციას არც აფეთქებ? არც სისხლის ღვრა, არც ტახტების და საკურთხევლის ლეწვა მოსდევს; მაინც მისი შედეგი ბევრათ გადააჭარბებს საფრანგეთის 1789 წლის „დიდ რევოლუციის ნაყოფს". [1])

მრეწველობის განვითარება, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება, სამთამადნო მრეწველობის ორგანიზაცია, რკინის გზების გაყვანა, საშინაო და საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება, ბანკების დაკავშირება ვაჭრობასა და მრეწველობასთან, ქალაქის თვითმართველობათა ჩაბმა ეკონომიური ცხოვრების აღორძინების საქმეში, სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების კაპიტალიზმის გზით განვითარება—აი ის ძირეული საკითხები, რომლითაც დაინტერესებული იყო 80—90-იან წლებში ნიკოლაძე, რომელსაც იგი თვისი პრაქტიკული მოღვაწეობითა და ნიჭიერი კალმით ემსახურებოდა.

ნიკოლაძემ სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობა და საჭიროება ნაციონალური პოლიტიკის საზომითაც განიხილა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მწერლები უკვე 70-იან წლებში გრძნობდენ „ნაციონალური კაპიტალის" შექმნის საჭიროებას. გ. წერეთელი ამ მიმართულების პიონერად უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

1) იხ. „Новое обозрение" № 1328, 1887 წ.

ნიკო ნიკოლაძემ უფრო მკვეთრად ეს საკითხი 80-იან წლებში წამოაყენა. მან ნათლად დაინახა, რომ ეკონომიურად განუვითარებელი და ჩამორჩენილი ქვეყანა უფრო დაწინაურებული ქვეყნის მონა-მორჩილი ხდება, რომ მრეწველობისა და ტექნიკის მხრივ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები ეკონომიურად დაუძლურებულ ერს თავის საექსპლოტაციო ობიექტად აქცევს. ამით ნიკოლაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის პერიოდში ერების დამონება ხდება არა მარტო პოლიტიკური საშუალებებით, არამედ ეკონომიური მეთოდებითაც. ამიტომ თუ გვინდა ჩვენი ერის წარმატება და თავისუფლება, უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მისი ეკონომიური აღორძინების და წარმატების საქმესო. „მას შემდეგ კაცობრიობის მდგომარეობა ისე შეიცვალა,—სწერს იგი 1894 წ.—რომ თუ რომელიმე ხალხმა ასი და ათასი მილიონის საღირალი რკინის გზები, ფოშტები, გემები და საზოგადოდ, საშრომო იარაღეულობა (оборудование) არ შეიძინა, ის ხალხი მალე უნდა გაბდეს უფრო მდიდარი და გამართული მეზობლის მონად და მაშასადამე, მისი წევრებიც რა გინდ ნიჭიერი და ენერგიული იყვნენ, ცარიელი თვისი ნიჭით და ენერგიით საერთო მონებას ვერ გადარჩებიან“. [1])

როგორი არის ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა, როგორ პირობებში არის საქართველო თავის ეკონომიური წყობილებით? ნიკოლაძეს კარგათ ჰქონდა შესწავლილი ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა: იცოდა ჩვენი ბუნების სიუხვე და დოვლათიანობა, მაგრამ მასთანვე ნათლად ხედავდა, რომ ეს ბუნებრივი სიმდიდრე ხელუხლებელი იყო და ჩვენი მხარე „მრეწველობის უქონლობამ სხვისი ხარჯის მძლეველად გადააქცია“, ჩვენში ჯერ არავინ „ცდილობს, რომ თავისი ძალა, ცოდნა და იარაღი გონიერად, ოსტატურად გამოიყენოს შასალის საქონლად გადაქცევისათვის“. „საქართველოს ბუნება დიდადაც მდიდარია, მაგრამ მისი სიკეთე ბევრით არაფერათ დასტყობია არც ქართველობას, არც ქართველებს,—სწერდა ავტორი,—როცა რომელიმე ხალხი თავისი ქვეყნის ბუნებას გულ-ხელ დაკრეფილი შესცქერის, იმას ჩვენ დროში ის სირცხვილი და ზარალი მოელის, რომ უცხოეთის დაბეგრული მონად ხდება. უცხოეთიდან ელის და ყიდულობს ის ყოველგვარ საქონელს და მოწყობილებას, იარაღს, სამოსელს, წამალს. მისი შრომისა და შემოსავლის უმეტესი ნაწილი

---

[1] ნ. ნიკოლაძე: „საფრანგეთის საქმეებზედ“ — „მოამბე“ — № VIII, გვ. 154, 1894 წ.

უცხოეთს ამდიდრებს, ამ ნაყიდი საქონლის სიმაგიეროდ.'' [1]) ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩვენი სიმდიდრის გამოყენება, გადამუშავება, ვყიდით იაფად უმთავრესად ნედლეულ მასალას და ვყიდულობთ უფრო ძვირად ამ ჩვენი მასალებიდან გადამუშავებულ საქონელს; ჩვენ ბევრად მეტი შემოგვაქვს საქონელი, ვინემ გაგვაქვს ნედლეული. ,,დიდი ანგარიში და წინასწარმეტყველობა როდი სჭირია კაცს იმის გასაგებად, რომ ეს მდგომარეობა, თუ არ შეიცვალა ჩვენ მხარეს დასწევს კი არა, აუცილებლად გააკოტრებს და ამოაგდებს: საქართველოს ბუნების სიმდიდრე ამ მომავალს ვერც აგვაცდენს და ვერც შეაჩერებს მის მომდინარეობას''. [2]) რაში უნდა ვეძიოთ გამოსავალი ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან; როგორი გზით მოუწოდებს ნიკოლაძე ახალ თაობის მოღვაწეობას ეკონომიურ ფრონტზე? მისი სამოღვაწეო პროგრამის შინაარსი მრეწველობისა და ვაჭრობა-აღებ-მიცემობაში გამოიხატებოდა. ავტორი სწერს:

,,მრეწველობის უქონლობა ცხადი, უდიდესი ნიშანია ქვეყნის ჩამოქვეითების და უკან ჩამორჩენისა. ამ ქვეყნის ბედში არავითარი ცვლილება არ მოხდება თვალსაჩენი, არც გონებრივი, არც, საზოგადო, არც პოლიტიკური მხრივ, სანამ ის, მრეწველობის საშვალებით, ეკონომიურ მონობისაგან არ დაიხსნის თავს უცხოეთის ხელიდან. აიღეთ რომელიც გსურდეთ იმ ერის ისტორია, ყოველგან ცხადად დაინახავთ, რომ მისი აღორძინება, მისი გონებრივი სიფხიზლე, მისი განვითარება აღებ-მიცემობის, მრეწველობის ზედ-დართული შედეგი და ნაყოფი ყოფილა. თვით ისეთი ქვეყანა რომ გავიხსენოთ, რომელიც ნიადაგ პოლიტიკურად დამოუკიდებელი, თავისუფალი ყოფილა... მისი მდგომარეობაც აგვიხსნის, რომ ეს თავისუფლება ნამდვილი მონობაა: პოლიტიკურად მთავარის მონაა, ეკონომიურად უცხოეთის მრეწველობისა. საცა მრეწველობა არ არსებობს, და— საცა, მაშასადამე, აღებ-მიცემობა, ვაჭრობა თან-და-თან უფრო და უფრო აუძლურებს ხალხს და ქვეყანას, იქ უმეტესი ნაწილი ერისა ნიადაგ დაბალი მუშაა დაწინაურებული უცხოეთისა. მის შრომას ხვავი არა აქვს, რადგანაც დაწინაურებული უცხოეთი დაბალ მუშას, ეკონომიური კანონების ძალით, მარტო იმოდენ ქირას ან ფასს აძლევს, რამდენიც საჭიროა მუშის სიკვდილისაგან დახსნისათვის... ამ მხრივ ყოველი ევროპიელი ან რუსეთელი ქარხნის მუშა უფრო თა-

---

1) ნ. ნიკოლაძე: ,,საჭირო-ძალა''—,,მოამბე'' №VIII, გვ. 123, 1894 წ.
2) იქვე, გვ. 126.

ვისუფალია, ვინემ ჩვენებური გლეხი, რომლის ფიზიკური შრომა თითქმის ერთიანად ხშავს გონების გახსნას.“ [1])

ნაციონალური მრეწველობის განვითარების საქმე საქართველოში, ნიკოლაძის აზრით, მეტის-მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება:—„რაც უფრო მეტი დრო გადის, რაც უფრო წინა-და-წინ მიდის უცხოეთი, მით თან-და-თან ძნელდება ჩვენებური წარმოების და მრეწველობის დაარსება“. მაგრამ ისტორიული საჭიროება მოითხოვდა ამ სიძნელის დაძლევასა და ქართული „საკუთარი მრეწველობის დაარსებასა და გაძლიერებას“. ნიკოლაძის აზრით, ქართველმა საზოგადოებამ და ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მდგომარეობას და დაეხმარონ ნაციონალური კაპიტალის განვითარების საქმეს საქართველოში. ამ მხრივ, ერთ-ერთ ღონისძიებად ნიკოლაძეს მიაჩდა მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ს ი ს ტ ე მ ი ს შემოღება და მისი საშუალებით დაცვა ქართული ნორჩი მრეწველობისა უცხოეთის კაპიტალის გამანადგურებელ გავლენისაგან. მაგრამ მარტო მფარველობითი სისტემით, ავტორის აზრით, შეუძლებელია ჩვენი მრეწველობის აღორძინება. ჩვენში ფულისა და კაპიტალის ნაკლებობაა: „ფული, ეს უმჯობესი და სასწაულ-მომქმედი იარაღი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ჩვენში თავის პირდაპირ დანიშნულებას ერთიანად ასცილდა“. ფულის სიმცირემ და ნამდვილი მრეწველების არ ყოლამ შეაფერხა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობა, მაგრამ ამას დაძლევა და შესაფერისი კაპიტალის დაგროვება მრეწველობისათვის შესაძლოა იქ,—„საცა ერთმანეთის მიყოლვა და მხარში შედგომა იციან, საცა შეერთებული შრომა შესაძლოა, რომ თვითეულმა ერთი პატარა ნაწილი თავის ქონებისა საამხანაგო საქმესთვის გამოიმეტოს... უამისოდ კი, ჩვენს დროში, როცა თითქმის მთელი ქვეყნის მრეწველობა და წარმოება, ამხანაგობის ძალით, შეერთებული შრომით და ქონებით, უშველებელ უთვალავ მილიონებს აგროვებს და ატრიალებს“ [2])—ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადავსდგამთ წინ ეკონომიურ ასპარეზზე.

ამრიგად ამხანაგობათა და აქციონერულ საზოგადოებათა დაარსება ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდა ნიკოლაძეს ჩვენში მრეწველობისა და წარმოების განვითარებისათვის,—უკეთ, ნაციონალური კაპიტალიზმის შექმნისათვის. მკითხველი თვით მიხვდება თუ 60—70-ანი წლების შ რ ო მ ი ს ასოციაციები და ამხანაგობანი რო

---

1) იქვე. გვ. 128.
2) იქვე გვ. 133.

გორ შეიცვალა 80—90-ან წლებში მრეწველთა აქციონერულ საზოგადოებათა პროგრამით; რასაკვირველია, იქაც და აქაც ნიკოლაძეს შეერთებული ამხანაგობის პროგრამა ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ მაშინ, როდესაც 60—70-ან წლებში იგი სასწორს მშრომელთა კლასისაკენ ხრიდა და მათ ეყრდნობოდა, 80—90-ან წლებში იგი მრეწველთა კლასის განვითარებასა და გამარჯვებაზე ზრუნავდა.)მართლაც, ნიკოლაძემ ამ პერიოდში გარკვევითა და ნათლად განაცხადა, რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აღორძინება და მისი მეთაურობა მხოლოდ ბურჟუაზიულ კლასს შეუძლიაო. „ჩვენი წარმატება თხოულობს, რომ რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება ბლომად იზრდებოდეს ჩვენში ეგრედ წოდებული შუათანა დასი (среднее сословие)... თქვენ ევროპის მეცნიერებისაგან დაწუნებული ბურჟუაზია მოგწონთ., გენატრებათო, გაიკვირვებენ. დიაღ, გვენატრება ჩვენთვის და არა ევროპისათვის. როცა ევროპა—ამ ასი, ას ორმოცდაათი წლის წინად—სწორედ იმნაირსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიაც დღეს ჩვენა ვართ. ყველაფერი, რაც კი შიგ ახალგაზრდა, გულწრფელი, პატიოსანი და შორს-გამჭვრეტი იყო სწორედ იმ შუათანა დასის მომხრე გახლდათ, რომელსაც დღეს ბურჟუაზიას ეძახიან. ისტორიული პროგრესის კანონი თხოულობდა ამას და ეხლაც ამასვე თხოულობს ჩვენგნით. ერის და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონებისაგან, უმეცრებისა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყოველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია ყოფილა და იქნება. ყოვლად შეუძლებელიც არის, რომ ეს სხვაფრივ იყოს“. 1)

ასეთი გარკვეული ენით დაიწყო წერა ნიკოლაძემ ბურჟუაზიის როლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ჩვენი ცხოვრების წარმატების საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაძე არა მარტო მრეწველობის საქმეს აქცევდა დიდ ყურადღებას, არამედ საგარეო და საშინაო ვაჭრობის მოწესრიგების პროგრამასაც აყენებდა.

ავტორმა კარგად იცოდა, რომ ერის ეკონომიური აღორძინებისათვის „ყველაზე უმეტესად ჩვენი წარმოების, და განსაკუთრებით მრეწველობის გაძლიერებაა საჭირო“. მაგრამ მასთანვე მან კარგად იცოდა, რომ „ვაჭრობა განუყრელი ძმობილი ყოფილა წარმოებისა. ვაჭრობა ორის გზით ამრავლებს ქვეყნის ქონებას: ერთის მხრით ბაზარსა შოულობს მოსავლისათვის, და მით წარმოების ასპარეზს თანდათან აფართოვებს, და მეორეს მხრით—აადვილებს,

1) იქვე, გვ. 136—7.

ააიაფებს ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ამიტომაც ხეირიანად წარმოებული ვაჭრობა, თუ შემომქმედი არა, მომქმედი ძალა მაინც არის ერის საეკონომიო ცხოვრებაში, და ისეთი ძალაა ურომლისოდაც წარმოება, შემომქმედი შრომა ქვეყნისა აუცილებლად შემცირდებოდა". [1])

რაკი ავტორმა ვაჭრობა ასეთ დიდ ეკონომიურ ფაქტორად აღიარა, ცხადია მას უნდა ეზრუნა იმისათვისაც, რომ აღებ-მიცემობის საქმე და ქართველ ვაჭართა წრეების მდგომარეობა შესაფერისად მოწესრიგებულიყო. ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ ქართველ ვაჭართა კლასი სუსტი იყო და გამოუცდელი,) იგი სწერდა: „ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი კაცი, სავაჭრო ასპარეზზე, სრულიად განკერძოებულ მდგომარეობაშია. ვაჭრობა უფულოდ, უკრედიტოდ, ყოვლად შეუძლებელია, ის ვაჭრობა კი არაა, ტანჯვა და სულის-ხაფვაა. ყოველს ვაჭარს ჩვენში, სომეხია, თუ ურია, თუ ბერძენი, თუ უცხოელი, საკმაო ნდობა და კრედიტი აქვს სახელმწიფო და კერძო ბანკებში.. მარტო ჩვენი ვაჭარია მარტოხელა, თავის საკუთარ ძალაზე მინებებული". [2]) ამრიგად მოწინავე პირების წინაშე მეტად დიდი ამოცანა არის აღმართული მოსაწესრიგებლად: მან უდიდესი ენერგია უნდა გამოიჩინოს ქართული ვაჭრობის საქმის ორგანიზაციაში. „ჩვენმა ინტელიგენციამ.—სწერს ნიკოლაძე—ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ ლეთის შადლით ახლად დაბადებულ მეშარეთულებას, ახლად გალვიძებულ ვაჭრობის სურვილს, ახლად აღორძინებულს გამბედაობას შესაფერი შემწეობა აღმოუჩინოს საკმაო სერმიისა და კრედიტის შოვნით. ეს პირდაპირ მოვალეობაა ჩვენის ინტელიგენციისა, თუ იმას მართლა სურს, რომ ხანგრძლივად ფრთა არ მოეკვეცოს ჩვენის ერის ვაჭრულს ნიჭს და გამბედაობას... ნუ გვგონია, ვითომ ამ მხრით არაფერი შეგვეძლოს, ბევრის მოხერხება შეგვიძლია, ჯერ ერთი-ერთმანეთთან დაკავშირებით, ამხანაგობათა შედგენით: საკმაო კაპიტალების შედგენა შეიძლება ჩვენშიაც, სააქციონერო თუ სხვა საურთიერთო კავშირის შემოღებით". [3])

როგორც ვხედავთ 80—90-ან წლებში ნიკოლაძემ გარკვევით წამოაყენა თავისი ბურჟუაზიული ეკონომიური პროგრამა და პრაქტიკული ღონისძიებანიც დასახა მის განსახორციელებლად. იყო დრო, როდესაც ნიკოლაძე ენერგიულად ებრძოდა ვაჭრობას და მო-

---

[1]) ნ. ნიკოლაძე: „საქონლის გამზიდავი ვაჭრობა"—„მოამბე"—№XII, გვ. 128, 1894 წ.

[2]) იქვე, გვ. 138.

[3]) იქვე, გვ. 137—39.

ითხოვდა მის შეზღუდვას ასოციაციებისა და კოოპერაციების დაარსების საშუალებით. მაგრამ ეს იყო შორეულ წარსულში, ახალგაზრდობის პერიოდში, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უტოპიური იდეებით გატაცების ხანაში. დრომ თავისი გაიტანა, ისტორიამ ახალგაზრდულ ოცნებას ფრთები შეაჭრა, ფერი შეუცვალა და დღეს ნიკოლაძის ლოზუნგად გადაიქცა: „ევროპიულად ვითვალისწინებდეთ და ვეპყრობოდეთ ვაჭრობას, ღირსეულს პატივს ვცემდეთ მისს ღირსებას, ვცდილობდეთ მისის ნაკლის გასწორებას“.[1]) და როგორც შავინახეთ, ეს „ღირსეული პატივისცემა“ ნიკოლაძის აზრით იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ „მკვიდრი საფუძველი მისცემოდა ჩვენს გამზიდავ ვაჭრობას: ერთის მხრით რიგიან კავშირთა გამართვით მწარმოებელთა შორის, და მეორეთი—ხელრიანის კრედიტის შოვნით გამზიდველებისათვის. ამ საქმეს სრული თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა წარმომადგენლობამ, ჩვენმა მოწინავე თაობამ, ზოგან ურთიერთობის დასაარსებლად ან განსახორციელებლად, და ზოგან კი მთავრობის მოქმედების ან შემწეობის გამოსაწვეველად.“[2]) ამრიგად ნიკოლაძე მოითხოვდა შეერთებული შრომის დაარსებას ვაჭარ-მრეწველებისათვის, ასოციაციების და ამხანაგობების ჩამოყალიბებისა სავაჭრო ბანკის მოწესრიგებას. აქაც შეგვეძლო გაგვეხსენებია ის ფაქტი, რომ წინად ნიკოლაძე მშრომელთა ასოციაციების დაარსებას ქადაგებდა ჩვენში, დაჟინებით მოითხოვდა გლეხთა შეერთებას თემური წყობილების ფორმებში;—დღეს მის იდეალად და დასაყრდენ ძალად საქართველოს ბურჟუაზიული კლასი და კაპიტალისტური ეკონომიკა გადაიქცა. ამგვარად, ნიკოლაძე ნორჩი ქართველი სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო; მისი პროგრამა და სამოღვაწეო გეგმები არსებითად და ძირეულად გამოხატავდა იმ კლასის ინტერესებს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ თამაშობდა თავის შესაფერისს როლს ჩვენი ცხოვრების ვითარებაში; იგი ჯერ კიდევ ნორჩი და მოუმწიფებელი იყო, მან იმ ხანებში ვერ შესძლო ორგანიზაციულად ჩამოყალიბება და აქტიურად გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს უდაო ფაქტია; მაგრამ მისი მისწრაფებანი, მისი კლასიური ინტერესები და პროგრამა მ...ელი თავისი სიმძიმით გამოიხატა როგორც ნიკოლაძის, ისე გ. წერეთლის ნაწერებში.[3]) შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის სამოღვა-

1) იქვე, გვ. 142.
2) იქვე, გვ. 141.
3) გ. წერეთლის შესახებ ის. ჩემი წერილი მისი ნაწერების სრული კრებულის პირველ ტომში.

წეო გეგმები საფუძვლად დაედვა მე-XX-ე საუკუნეში აღმოცენებულ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამას, და სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ნიკოლაძეც ამ პარტიის წევრი გახდა.

/აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ არ. ჯორჯაძის მიერ მე-XX საუკუნის დასაწყისში „ცნობის ფურცელში" წამოყენებული გეგმები ნაციონალური კაპიტალის და ნაციონალური ბურჟუაზიის შექმნის შესახებ, არსებითად განმეორება იყო იმისა, რაც ბევრად ადრე წამოაყენა გ. წერეთელმა და ნ. ნიკოლაძემ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ჯორჯაძის ბურჟუაზიული გეგმები გამოხვეული იყო სოციალ ფედერალიზმის მანტიაში, ხოლო ნ. ნიკოლაძეს უკვე განვლილი ჰქონდა ეს „ავადმყოფობა" და ყოველ საგანს თავის ნამდვილი სახელწოდებით ნათლავდა.

საერთოდ ნიკოლაძის ეკონომიური პროგრამა განხილული და შეფასებული უნდა იქნეს თავისი ეპოქის მიხედვით. იმ ხანებში, როდესაც ზემოდ მოყვანილი აზრები იწერებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა ეკონომიურად აუცილებელ ეტაპს წარმოადგენდა ჩვენი ცხოვრების განვითარების საქმეში. იმ პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება და კლასები იტანჯებოდენ არა მარტო კაპიტალიზმის განვითარებით, არამედ მისი განუვითარებლობითა და ჩამორჩენილობით. მიუხედავად იმისა, რომ 80—90-ან წლებში ჩვენი ეკონომიური ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ, მაინც კაპიტალიზმის განვითარებას მრავალი მიზეზი ეღობებოდა წინ, უმთავრესად კი ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები, დარჩენილი ჩვენი სოფლის მეურნეობაში. იმ ხანებში კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში ეკონომიურად აუცილებელს და უაღრესად პროგრესიულ ფაქტორს წარმოადგენდა. ნიკოლაძეც იმ ხანებში თავისი ეკონომიური პროგრამით ჩვენი ცხოვრების ამ რეალურ მოთხოვნილებას ემსახურებოდა, ისტორიის მიერ რადიკალურად წამოყენებულ ამოცანის გადასაწყვეტად ზრუნავდა.

მაგრამ ის გზა და პროგრამა, რომელიც იმ ხანებში დაუსახა განსახორციელებლად საქართველოს მოწინავე წრეებს ნიკოლაძემ, თანამედროვე საქართველოსათვის უკვე განვლილი და ისტორიის არხივშია ჩაბარებული. ერთ დროს პროგრესიული და ცხოვრების წინ წამწევი ეკონომიური პროგრამა, თანამედროვე საზოგადოებრივ-ისტორიულ პერიოდში რეაქციისა და ცხოვრების უკან დამწევ ფაქტორად გადაიქცა. დღეს პროლეტარიატის ბატონობისა და გარდამავალ პერიოდის პირობებში საწარმოო ძალთა განვითარება და ცხოვრების წინმსვლელობა შესაძლებელი არის მხოლოდ და მხოლოდ

სოციალისტური წარმოების გზით, მთელი ჩვენი ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის საშუალებით.

სწორედ ამიტომ, ნიკოლაძის ეკონომიურ პროგრამას მხოლოდ ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს იმის გამოსარკვევად, თუ ლიბერალური ინტელიგენცია როგორი გზითა და როგორი პროგრამით ემსახურებოდა საქართველოს ეკონომიური წარმატების საქმეს.

3. პოლიტიკური სოფლმხედველობა

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის ბურჟუაზია ისტორიულ პირობების გამო არ წარმოადგენდა არსებულ წყობილებისადმი რევოლუციონურად განწყობილ კლასს. გარკვეულმა ობიექტიურმა გარემოებამ მთელი რუსეთის ბურჟუაზია ორ მოწინააღმდეგე სოციალურ ძალთა შორის მოაქცია: თვითმპყრობელობასა, რომელიც მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდა, და ახლად ამოძრავებულ მუშათა კლასს შორის; ბურჟუაზიას ამ ორ სოციალურ ძალისაგან ერთ-ერთი უნდა აერჩია თავის მოკავშირეთ: მას დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება არ შეეძლო. ობექტიურმა პირობებმა მთელი რუსეთის ბურჟუაზია აიძულა თავისი პოლიტიკის სასწორი თვითმპყრობელობისაკენ გადაეხარა და მასში ეძებნა თავისი მოკავშირე ძალა. ამას თავისი ეკონომიური და სოციალური მიზეზები ედვა საჩრულად. ერთი მხრივ, მთელი რუსეთის ეკონომიური წარმატებისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გზები ღრმად გადაეჯაჭვა თვითმპყრობელობის პოლიტიკასა და საქმიანობას; მეორე მხრივ, ბრძოლა და შერყევა თვითმპყრობელობის საფუძვლებისა რუსეთში ირსებითად, ისტორიულ პირობების გამო, ნიშნავდა თვით კაპიტალისტურ წყობილების შერყევასა და ძალა-უფლების გადასვლას რევოლუციონურად განწყობილ პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელში. ასეთს პირობებში მთელი რუსეთის ბურჟუაზიამ რუსეთში ვერ ითამაშა ის რევოლუციონური როლი, რომელიც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ კლასს ხვდა წილად მე-XVIII საუკუნისა და მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევრის პერიოდებში. რუსეთში ბურჟუაზიული კლასი არსებითად მიემხრო მთავრობას და დაუპირისპირდა მუშათა კლასის განმათავისუფლებელ რევოლუციონურ მოძრაობას, როგორც მისი კლასიური მოწინააღმდეგე ძალა; იგი მხოლოდ ოპორტუნისტული გზით, რეფორმისტულ მშვიდობიანი საშუალებებით ცდილობდა ემოქმედა თვითმპყრობელობაზე და აეძულებინა ის შემოეღო რუსეთში ერთგვარი პარლამენტარული სისტემა; არსებითად რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური მისწრაფებანი

კონსტიტუციონალური მონარქიის იქით არ მიდიოდა. ამ შემთხვევაში ბურჟუაზიას სურდა პარლამენტარული წესის შეშოლებით მთავრობა თავის გავლენის ქვეშ დაეყენებია და ძალა-უფლების ერთ-ერთ მესაპეედ ისიც გამხდარიყო. ამრიგად რუსეთის ბურჟუაზია თვითმპყრობელობის შერყევასა და მის დამხობას კი არ ცდილობდა, არამედ მის შეგუებას კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებასთან, უკეთ—მის გადაყვანას მშვიდობიან-რეფორმისტული გზით კაპიტალისტურ წყობილების საფუძვლებზე.

როდესაც ნიკოლაძის პოლიტიკურ სოფლმხედველობას ითვალისწინებთ 80-იან წლების მეორე ნახევრიდან მოკიდებული, თქვენ ნათლად გრძნობთ, რომ მისი სამოღვაწეო პროგრამა საერთოდ არაფრით არ განსხვავდება, გარდა მცირედი დეტალისა, რუსეთის ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და პარტიების პროგრამისაგან ეს არც გასაკვირია. ისტორიულ-ეკონომიური აუცილებლობის გამო ჯერ საქართველოს კიდევ ნორჩი ბურჟუაზიული ფენები ღრმად შეექსოვენ რუსეთის კაპიტალიზმის ინტერესებს და ჩვენი ინტელიგენციის ბურჟუაზიული ნაწილიც კარგად ხედავდა ამას და ამის შესაფერის პოლიტიკურ პროგრამას იმუშავებდა. ნიკოლაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც თავიდანვე კურსი აღებული ჰქონდა რუსეთის ბურჟუაზიაზე და ბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან თანამშრომლობისაკენ. მან თავიდანვე დაჰგმო „უკიდურესობისა" და რევოლუციონერი ძალდატანების ტაქტიკა. 1913 წ. იგი სწერდა: „უკიდურესობის მომხრე ვერსად ასცილდება სოციალ-დემოკრატიის გავლენას. ცხოვრება მარტო ამ პარტიას აწოდებს თავ უზოგავი ბრძოლის მასალად: მუშას, უქონებო, უიმედო ხალხს, როდესაც დასაკარგავი არა აქვს-რა და ყოველი ნაძალადევი მოგებას უქადის. ქართველობის მიზნები კი მარტო ზომიერების გზით მიიწევა." ნიკოლაძეს ქართველობის მაგივრად თავისუფლად შეეძლო ეხმარა ქართველი ბურჟუაზია, რადგან მხოლოდ ამ კლასის ინტერესები და მისი ისტორიული პირობები მოითხოვდა ზომიერების გზით სიარულს, მხოლოდ ამ კლასსა და ქართველ თავადაზნაურობას დააკისრა ისტორიამ რუსეთის ტახტთან და რუსეთის ბურჟუაზიასთან ერთად სიარული.

როგორც წინა თავიდან დავინახეთ, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნიკოლაძის მთავარ ყურადღებას ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარება და ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კლასის ჩა-

---

[1] ნ. ნიკოლაძე: „ჩემ პოლიტიკაზე" გვ. 67, 1913 წ.

მოყალიბება იპყრობდა. ერთ დროს თუ იგი ქართველი პროლეტარიატის საკითხითაც იყო დაინტერესებული,[1] აღნიშნულ პერიოდში ნიკოლაძის პროგრამიდან სავსებით ამოშლილი იყო ქართველი მუშათა კლასი და მასზედ ზრუნვა. 894 წ. იგი სწერდა: „ჩვენში, განსაკუთრებით განათლებულ საზოგადოებაში, ის შემცდარი აზრი მეფობს, ვითომ აზნაურობაზე სჯა და ცდა „მოდნა“ როდიაო. ეხლა „მოდნა“, თურმე, ქარხნების მუშებზე ზრუნვა ყოფილა. წარმოიდგინეთ ჩვენი უბედურება: ქარხნების მუშებზე უნდა ვიზრუნოთ, და არც ქარხნები გვაბადია, არც ქარხნის მუშები.“ [2]) ნიკოლაძეს აწუხებს ის აზრი, რომ „ჩვენც ამ უარსებო ქარხნის მუშებზე ვანთხევთ ცრემლს“, ვინემ ვზრუნავთ აზნაურთა სოციალური მდგომარეობის მოწესრიგებაზე, ფაბრიკა-ქარხნების გახსნასა და ბურჟუაზიული კლასის გამრავლებაზე. იმ პერიოდში (90-იანი წლები), როდესაც ჩვენში უკვე ყალიბდებოდა მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა და ჩვენი მუშათა კლასის მოძრაობა უკვე გადადიოდა სტიქიურ-ეკონომიურ მოძრაობიდან პოლიტიკურ-რევოლუციონურ და ორგანიზაციურ მოძრაობაზე, ნიკოლაძემ, როგორც ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგმა და მისი ინტერესების გამომხატველმა, ნათლად დაინახა ახალ მოძრაობასა და სოციალურ ფაქტორებში თავისი კლასიური მტერი და ენერგიული ბრძოლა გამოუცხადა პირველსაც და მეორესაც. მაშინ, როდესაც ახალი ს.-დემოკრატიული ინტელიგენცია მუშათა კლასს მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციონურ ბრძოლისაკენ, ნიკოლაძე ქართველ მოწინავე საზოგადოებას უქადაგებდა მთავრობასთან შეთანხმებასა და მშვიდობიან მოლვაწეობას. 1894 წელს იგი სწერდა:

„მთავრობის მოქმედება და მიმართულება რუსეთში, როგორც ყოველს განათლების გზაზე დამდგარს სახელმწიფოში, არ შეიძლება ცოტაოდნად მაინც არ მიჰყვებოდეს საზოგადო აზრის და შეხედულების მსოფლოობას. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო უდიდესი გავლენა აქვს ძისს მმართველობაზე მისის ერის რწმენას და მოაზრეობას. ვისაც ჰსურს, რომ მთავრობის მოქმედება ხელს უწყობდეს ჩვენს ინტერესებს, ან მაფს ზრდას ხელს მაინც (არ) უშლიდეს, ის უნდა მიხვდეს, რომ ამისთვის ყოვლად საჭირო მმართველობას, და უფრო საზოგადოებას, გავაგებინოთ, დავაჯერებინოთ, დავაძახსოვრებინოთ სიმართლე, ხისწორე და სიკეთე...მთავრობის „ში-

---

1) იხ. „რჩეული ნაწერებში“ ტ. I გვ.195—97. გაზ. „დროება“ № 48, 1871 წ.

2) ნ. ნიკოლაძე: „აზ ნაურობას რა უშველის?“—„მოამბე № IX, გვ. 125 1894 წ.

მართულებაც* იმ ათასისა და ათი ათასის გადაწყვეტილებიდან გროვდება, რომელთაც მმართველები სხვა-და-სხვა საქმეების განხილვის დროს ადგენენ ხოლმე.“[1])

ამრიგად მთავრობაზე ზემოქმედებით შესაძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ზრუნვა. რასაკვირველია, როდესაც ნიკოლაძე საზოგადოების ინტერესებზე სწერდა, მას მხედველობაში ჰქონდა გაბატონებული წრეების ინტერესები, უწინარეს ყოვლისა ქართველი ნორჩი ბურჟუაზიის მისწრაფებანი ⁄ მოთხოვნილებები. ნიკოლაძე სავსებით დარწმუნებულია იმაში, რომ სწორი და მიზანშეწონილი მოქმედებით სავსებით შესაძლებელი არის „ჩვენი საზოგადოების“ მისწრაფებების დაცვა. „თვითეული ამ საქმის ახსნა, დაცვა, გადარჩენა, გამოკეთება შეუძლებელი არ არის ჩვენთვის“ სწერს იგი, ყველამ იცის, რომ როცა კი ვიმეცადინეთ რომელისამე კერძო თუნდ საზოგადო საქმისათვის, ის საქმე თითქმის ყოველთვის, ჩვენის სურვილისამებრ დაბოლოვდა კიდეც. ყოველთვის, ნიადაგ, შეუწყვეტლად რომ ვმეცადინეობდეთ, შეიძლება ყველა ჩვენის საქმის გადაწყვეტას დღი დაესვას, ჩვენი ღერი მიეცეს“.[2])

იყო დრო, როდესაც ქართველი თავად-აზნაურობისა და მისი ინტელიგენციის დროშაზე აღბეჭდილი იყო მათთვის ურყევი პოლიტიკური ლოზუნგი: რუსეთის ტახტის ერთგულება და „სამშობლოს“ სიყვარული. რუსეთის თვითმპყრობელობა ჩვენი თავად-აზნაურობისათვის თავისი არსებობის უმთავრეს წყაროდ გადაიქცა. დადგა დრო, როდესაც ქართველი ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები ამავე ტახტში ეძებენ დამხმარე ძალას მთელი რუსეთის მასშტაბით დაწყებულ რევოლუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ ბურჟუაზიას მაინც თავისებური ინტერესი ჰქონდა და საკითხისადმი თავისებურ მიდგომით ხელმძღვანელობდა თავისი მოღვაწეობის დროს. მისთვის, თუ ერთი მხრივ, თვითმპყრობელობა აუცილებელ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა, მეორე მხრივ, იგი ცდილობდა ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები შექმნილიყო რუსეთში, რომელიც ფართო გასაქანს მისცემდა სამოღვაწეოდ ბურჟუაზიულ კლასს. იმავე წერილში ნიკოლაძე სწერდა:

„თან-და-თან უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა უწყებათა უმაღლესს წარმომადგენელთ, რომელნიც

1) ნ. ნიკოლაძე: „მიწად-მოქმედების მინისტრის მოგზაურობა“—„მოამბე“ № X, გვ. 148—149, 1894 წ.

2) იქვე, გვ. 149.

მოდიან ჩვენში საქმის ადგილობრივე გასაჩხრეკად. მათ ჰსურთ საკუთარის თვალით ჰნახონ და გაჰზომონ აქაური გარემოება და მდგომარეობა... ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ეს დიდი ბედნიერებაა. რაც უფრო ახლო გაგვიცნობენ და შეგვისწავლიან ჩვენი მმართველები, მით უმჯობესია ჩვენთვის: მით უფრო გონიერად და სამართლიანად, მით უფრო თვალ-ახელით წაიყვანენ მერე ჩვენს საქმეებს, რომლის ბედი და უბედობა ამ ჟამად სრულს მათს უფლებაშია... ჩვენი ერი რომ უფრო განათლებული იყოს, ამდენ ხანსაც იმას კი არ ძოუცდიდა, რომ თვით მმართველებს მოეხდინათ აქაურობის გაცნობა: თვითონვე ეცდებოდა მათთვის თვით გაეცნო და თავისი მდგომარეობა დაენახვებინა. გადავიდა თუ არა ჩვენგან ჩრდილოეთისაკენ მმართველობის ძალა—მაშინვე თან უნდა გაგვეყოლებინა ჩვენი სიმართლის და ინტერესების მუდმივი წარმომადგენელი, გამომთქმელი და დამცველი ორგანოები. უამისოდ ჩვენ ვერ ვივარგებთ, ვერ გავძლებთ". [1])

ასე სწერდა ნიკოლაძე 90-იან წლებში და ამ თავისი პოლიტიკური გეზით იგი არ განსხვავდებოდა იმ პოლიტიკურ პროგრამისაგან, რომელიც თავად-აზნაურულმა ინტელიგენციამ შეიმუშავა 30-იან წლებში 32 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ; ნიკოლაძე ამ მხრივ გრ. ორბელიანის, დიმ. ყიფიანისა და სხვათა პოლიტიკური პროგრამის გამგრძელებელი იყო; ის უკვე გამოეთხოვა 60—70-იან წლებში შემუშავებულ თავის რადიკალურ-პოლიტიკურ პროგრამასა და ახალი ოპორტუნისტული გზით იწყო მოღვაწეობა. მაგრამ ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის ინტერესები და მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაინც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. პირველი მომქმედი და პროგრესიული კლასი იყო, რომელიც ცდილობდა ახალი ცხოვრების შექმნასა და მის მეთაურობას: იგი ცდილობდა გამოეხატა მთელი მოწინავე ერის ინტერესები, გამხდარიყო მის მესაჭედ და ხელმძღვანელად. ძველი პოლიტიკური წყობილების ფარგლები და ფორმა მისთვის ერთობ ვიწრო და შემზღუდველი იყო. ამიტომ იგი მოითხოვდა ამ პოლიტიკური წყობილების ფარგლების გაფართოებას უფრო აქტიურ და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. აქედან წარმოსდგა მთელი რუსეთისა და ქართველ ბურჟუაზიის ლიბერალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი, რომელიც საარჩევნო სისტემის შემოღებისა და ადგილობრივ თვითმართველობების ფუნქციების გაფართოებაში

---

[1]) ნ. ნიკოლაძე: „მიწად-მოქმედების მინისტრის მოგზაურობა"—„მოამბე" № X, გვ. 148, 1894 წ.

გამოიხატებოდა. ამ გზით ცდილობდა ბურჟუაზია მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში და ფითქმის სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო ადგილობრივ მართველობისა. ასეთი პოლიტიკური პროგრამა სრულიად არ სპობდა რუსეთის თვითმპყრობელობის საფუძვლებს; ამ პროგრამის მიზანი იმაში გამოიხატებოდა, რომ რუსეთის აბსოლიუტურ მონარქიისათვის კონსტიტუციონალური შინაარსი მიეცა და შეეგუებია იგი კაპიტალისტური ურთიერთობის ინტერესებისათვის. ნიკოლაძე კვლავ დარჩა თვითმართველობის მქადაგებელი (მაგრამ ახალი გაგებით.

„. . . თვი-მმართველობა უმჯობესი სკოლაა საზოგადოების აღზრდისა,—სწერდა იგი 1895 წ. —ამ თვით-მართველობაში, რაც შეტს რიცხვს აქვს მინიჭებული კენჭი, და რაც უფრო გონება გაუხსნელია უმრავლესობა, მით უფრო მეტი დრო სჭირია მას გამოცდილების შესაძენად, განსაკუთრებით იქ, საცა უფლება ეცაბედათ და ერთბაშად მიჰნიჭებია ყველას. ესაა თანამედროვე დემოკრატიის ზოგიერთი ნაკლულევანების მიზეზი. ის „მეცნიერები", რომელნიც, ამ მიზეზებით იწუნებენ და ჰგმობენ დემოკრატიას—როგორც ტენი, მაგალითად, ან რენანი—უსამართლოდ ივიწყებენ ამ გარეშოებას. სამართლიანად რომ სჭრიდნენ, ისინი დარწმუნებული იქნებოდნენ, რომ მათგან ნაქები ფორმას მართვისას დემოკრატიაზე ასჯერ უფრო მძიმე ნაკლულევანება ჰქონდა, არა თუ თავის პირველ-დაწყებით სტადიაში, რომელშიაც დღეს იმყოფება დემოკრატია ყველგან, თვით სიბერის დროსაც" [1])

ამრიგად, ნიკოლაძის შეხედულებით „ჩვენს დროში, მთელი ევროპიის ბედის ამზრით, არჩევანი ერის წყობილების და ბედის საძირკველია" [2]) თვით-მმართველობა და დემოკრატიული წყობილება საუკეთესო გაოანტიაა წინმსვლელობისა და წარმატებისათვის; —"ხეირიან განწყობილებას, რიგიან წესს და კანონმდებლობას" [3]) შეუძლია ალმოფხვრას ყოველგვარი არეულობა, უთავბოლო ბრძოლა და მთელ საზოგადოებას მისცეს საშუალება აქტიური მიზანშეწონილი შემოქმედებისა და მოღვაწეობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე თვითმმართველობისა და „არჩევნებით წესს"—პარლამენტარიზმს უკმევდა გუნდრუკს, იგი მაინც თავის მოღვაწეობის მეორე პერიოდში არასოდეს არ მისულა რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობის ქადა-

1) ნ. ნიკოლაძე: „ახალი ვითომ-ცვლილება საფრანგეთში".—„მოამბე"—№ 2, გვ. 125, 1895 წ.

2) ნ. ნიკოლაძე „შინაური მიმოხილვა"—„მოამბე" № 5 გვ. 141, 1894 წ.

3) ნ. ნიკოლაძე: „ბათუმის არჩევნები"—„მოამბე" № III, გვ. 166, 1895 წ.

გებამდე ბ ნამდვილ დემოკრატიული წესწყობილების დამყარების საჭიროებამდე. ამ მხრივ იგი ცდილობდა „თვითმმართველობაც“ და „დემოკრატიზმიც“ შეეფარდებია თვითმპყრობელობის პრინციპთან, ამ უკანასკნელისათვის მიეცა ლიბერალურ-კაპიტალისტური შინაარსი. ნიკოლაძის ეს ბურჟუაზიულ-ლიბერალური სოფლმხედველობა განსაკუთრებული სიძლიერით ნათელი შეიქმნა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ნიკოლაძეს არ სურდა ამ რევოლუციის არსებითი სოციალ-ეკონომიური შინაარსი დაენახა: მას არ სურდა გაეგო ის აუცილებელი პირობა, რომ რევოლუციას ძირიან-ფესვიანად აღმოეფხვრა ფეოდალური წყობილების ნაშთები, გაენთავისუფლებია გლეხობა მონურ მდგომარეობისაგან, გადაეცა მათთვის მიწები, უაღრესად დემოკრატიული წყობილების დამყარებით შეექმნა პირობები საზოგადოების შემდეგი თავისუფალი განვითარებისათვის; ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ ამ დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ რევოლუციის მამოძრავებელ ძალად და მის ხელმძღვანელად გადაიქცა რუსეთის პროლეტარიატი მშრომელ გლეხობის დახმარებით; და იგი სწორედ ამ ფაქტში ხედავდა თავის კლასისათვის დამღუპველ ფაქტორს. იგი რუსეთის ბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან ერთად გრძნობდა, რომ პროლეტარიატის გამარჯვება და მისი მეთაურობა საფრთხეს უმზადებდა იმ კლასს, რომლის ინტერესებსა და მისწრაფებებსაც იგი გამოხატავდა, ამიტომ მას სურდა მოძრაობა ვიწრო პოლიტიკურ ფარგლებში მოექცია. 1905 წ. დაწერილ წერილში ნიკოლაძე სწერდა:

„შეერთდით ყველა: რუსი, თათარი, ფრანგი, სომეხი, ქართველი, ურია, ლეკი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და მღვდელი, ღდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უმეცარი თვითმმართველობის დროშის ქვეშ! მარტო ამ დროშას, ამ ერთობას შეუძლია ამ წესის დამყარება, რომელიც მოსპობს ყველაფერს, რაც ურიგო, უსამართლო ან სავნოა ჩვენს ცხოვრებაში და ურთიერთობაში. თუ კი ეს ერთობა ვიქონიეთ და დავიცეთ, ვერავითარი ძალა ვერ წინააღუდგება ჩვენს წარმატებას, ჩვენში სრული თვითმძართველობის დაარსებას. ამას არც არეულობა სჭირია, არც მსხვერპლი, არც სისხლის დაღვრა. საჭიროა მხოლოდ რუსეთს და შთავრობას დავანახვოთ, დაუმტკიცოთ, რომ მთელი ჩვენი მხარე, განურჩევლად ერობისა, რჯულისა, წოდებისა და ქონებისა, იმასვე თხოულობს, რისთვისაც იბრძვის რუსეთის ინტელიგენცია... ჯერ ამ ჟამათ, აუცილებლათ საჭირო და გადაუდებელი მარტო ერთი საქმეა: იმ საერთო შენობის პოლიტიკური თავისუფლების აგება, რომლის მფარველობის ქვეშ ყველასათვის შე-

საძლო შეიქნება წესიერი, სამართლიანი შრომა და ბრძოლა თავის კერძო ინტერესების სასარგებლოდ. დღეს ყველა მოვალეა დროებით მიწაში ჩამარხოს ყოველგვარი ნაციონალური, სოციალური, რწმუნებრივი დროშა და მარტო ერთ საერთო რუსეთის თვითმმართველობის დროშას გულწრფელად და დაუზოგველად ემსახუროს. მარტო ეს დროშა დაუმკვიდრებს ჩვენს ქვეყანას და ყველა მის ერებს თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას". [1])

ამრიგად, ნიკოლაძე ცდილობდა გრანდიოზული სოციალ-პოლიტიკური შინაარსის რევოლუცია, რომელსაც რადიკალურად უნდა გარდაექმნა მთელი რუსეთის პოლიტიკური და აგრარული შენობა, ვიწრო პოლიტიკურ პროგრამის ფარგლებში მოექცა; იგი, დამფრთხალი რუსეთის და საქართველოს პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის გრანდიოზული ბრძოლით, ცდილობდა ამ მოძრაობისათვის კლასიურ-სოციალური შინაარსი გამოეცალა და თავადი და გლეხი, ბურჟუა და პროლეტარი, ღარიბი და მდიდარი ერთ უღელში შეება და ერთი მიზნით აემოძრავებინა; მისი მთავარი პოლიტიკური მიზანი ამ შემთხვევაში ლიბერალურ-ბურჟუაზიული თავისუფლებისა და თვითმმართველობის შემოღებაში გამოიხატებოდა. მაგრამ ეს უნდა განხორციელებულიყო არა რევოლუციონური მეთოდით, არამედ „რუსეთის პროგრესიულ ელემენტებთან თანამშრომლობითა და მთავრობაზე მშვიდობიანი ზემოქმედებით". ასეთი იყო ქართველი ბურჟუაზიული კლასის მისწრაფება 1905 წლის რევოლუციაში; ეს მისწრაფება უყოყმანოდ და გაბედულად გამოხატა თავის პუბლიცისტურ წერილებში ამ კლასის ნიჭიერმა იდეოლოგმა და მათი ინტერესების დამცველმა ნიკოლაძემ. უნდა ვსთქვათ, რომ ნიკოლაძის 1905 წლის პროგრამა თითქმის არაფრით არ განსხვავდება იმ პოლიტიკურ ხაზისაგან, რომელსაც დაადგა მთელი რუსეთის ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია: სოციალ-კლასიურმა მდგომარეობამ გრანდიოზული რევოლუციის პროცესში ბუნებრივად გააერთიანა ყველა ერის გაბატონებული კლასის პარტიები და იდეოლოგები.

ჯერ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაძე არა მარტო მებრძოლი პუბლიცისტი იყო საქართველოს ბურჟუაზიისა, არამედ მის პრაქ-

---

1) ნ. ნიკოლაძე: „მამაშვილური რჩევა"—„კლდე" № 38, გვ. 4-5, 1913 წ. იხ აგრეთვე მისი პოლემიკური ბროშურა „Горе имеим сердца" (1906 წ.) რომელშიაც იგი უარყოფს რევოლუციონურ ბრძოლას და მოითხოვს თანამშრომლობას რუსეთის პროგრესიულ ელემენტებთან.

ტიკოსი-მეთაურიც. იგი არა მარტო კალმით ხელში, როგორც გამოცდილი პუბლიცისტი და პოლემისტი, ებრძოდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მისწრაფებებს, მათ მოძრაობასა და მათ ხელმძღვანელ პარტიებს, არამედ როგორც მეთაური ერთ-ერთ ბურჟუაზიულ დაწესებულების—ფოთის ქალაქის თვითმმართველობისა—იძულებული შეიქნა ზომები მიეღო და ქალაქში წესიერების დასაცავად გამოეწვია მთავრობის ჯარი ფოთში [1]).

უნდა ვსთქვათ, რომ როდესაც ნიკოლაძე სწერს თვითმმართველობის შემოღების შესახებ და ამტკიცებს, რომ „თუ ჩვენ გვსურს განათლებული ქვეყნის ბედს დაუკავშირდეთ, ჩვენც წარმომადგენლობაში უნდა ვეძებდეთ და ვეცნობოდეთ წარმატების ღონისძიებას“-ო [2])—ამ შემთხვევაში იგი ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამოდიოდა და ბურჟუაზიისათვის ცდილობდა შეექმნა ბრძოლისა და მოღვაწეობისათვის შესაფერისი ორგანოები. იმდენად, რამდენადაც ნიკოლაძე ეხება ხალხის მონაწილეობის საკითხს წარმომადგენლობით და საარჩევნო საქმეში— ამ შემთხვევაში ავტორის მთავარი მიზანი იყო ხალხის ფართო მასა ბურჟუაზიისა და მისი ინტელიგენციის გავლენის ქვეშ დაეყენებია, გამოეყენებია იგი თავისი ინტერესებისათვის და მისი წარმომადგენლობა ეკისრა. ნიკოლაძემ, როგორც ძველმა გამოცდილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, კარგათ იცოდა, რომ ერის მეთაურობასა და ახალი ცხოვრების მესაჭეობას იმ ჯგუფს მიანიჭებდა ისტორია, რომელსაც ხალხის მასა დაუჭერდა მხარს. მისი „დემოკრატიობაც“ ამ მასის მიმხრობისაკენ იყო მიმართული. მართლაც ბუნებრივი იყო, როდესაც ჩვენში 90-ან წლებში ს. დემოკრატია ფართო მასიურ მუშაობას შეუდგა და მოიწადინა თავისი გავლენის ქვეშ დაეყენებია სოფლისა და ქალაქის დემოკრატიული ფენები, ბურჟუაზიასაც უნდა ეზრუნა ამ მასის დაპყრობაზე და თავისი გავლენის ქვეშ დაყენებაზე. ნიკოლაძემ ნათლად დაინახა ამ საკითხის მომწიფება ჩვენში და გარკვევით წამოაყენა იგი თავის პუბლიცისტურ წერილში, მაგრამ რადგან ჩვენი ბურჟუაზია უხერხემლო იყო და თვით ბრჟუაზიული პარტია ჯერ არსად სჩანდა, ამიტომ ლოზუნგი ლოზუნგათ დარჩა და ცხოვ-

---

1) იხ. „Кавказ“ № 30, 1906 წ. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1908 წ. იგი ერთს თავის წერილში მთავრობას უსაყვედურებდა, რომ მან ვერ გააუმჯობესა ა.-კავკასიაში პოლიცია, რომლის მთავარ მოვალეობას შეადგენს წესრიგის დაცვა, რომელსაც თანამედროვე პირობებში ბევრნაირი საშუალებებით ებრძვიან. (იხ. Н. Николадзе: „Заброшенный Кавказ“—გაზ. „Новое время“ № 11620, 1908 წ.)

2) ს. ნიკოლაძე: „წარმომადგენლობა არჩევნებში“—„მოამბე“ № XI, გვერდი, 121, 1894 წ.

რებამ თავის გზით იწყო დენა. ერთს თავის პუბლიცისტურ წერილში იგი სწერდა:

„ნამდვილი თვითმმართველობა, როგორც მთელი განათლებული კაცობრიობა დარწმუნდა, შესაძლოა მარტო წარმომადგენლობის წესით, რადგანაც მარტო ამ წესის შემწეობით დაარსდა უცხოეთში სამართლიანობა და თავისუფლება, თანასწორობა და სიმართლე... ყველამ გაიგო, რომ წარმომადგენლობა ყოფილა მეორე და უაღრესი ნაბიჯი თუ საფეხური თვით-მმართველობისა... ამ ქვეყნებშიაც (შვეიცარია და სხვა.) ხალხის აზრის გამომთქმელი, ხალხის საქმეების მმართველი, ხალხის ბედის გადამწყვეტელი მაინც ხალხის წარმომადგენლობაა, რომელიც მარტო იშვიათ დ სამძიმო შემთხვევაში ისე არ მოიყვანს აღსრულებაში თავის განაჩენს, თუ ჯერ ხალხს არ აჩვენა და არ ჰკითხა—თანახმა ხარ ამ განაჩენისა თუ არაო“ [1]).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხის წარმომადგენლობისა და გამოყენების საკითხი საარჩევნო საქმეებში განსაკუთრებული სიძლიერით წამოიყენა წინ ჩვენს ბურჟუაზიას 90-იან წლებში გაჩაღებულმა ბრძოლამ ქალაქის თვითმმართველობის გარშემო სხვადასხვა ერის ბურჟუაზიულ ფენებს შორის. აქ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შევეხოთ ნიკოლაძის პოლიტიკას, ერთი მხრივ, ამიერ-კავკასიის ერთა ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში, და, მეორე მხრივ, ქალაქის საარჩევნო საქმეებში.

როგორც უკვე ცნობილია, ახალი საქალაქო დებულება 1874 წ. ხელნა შემოღებული ამიერ-კავკასიაში; ამ დებულებამ გზა გაუხსნა ბურჟუაზიას ქალაქის თვითმართველობისაკენ სამოღვაწეოთ და ამით ქალაქის თვითმართველობა გადააქცია ბურჟუაზიის ბატონობის ციტადელად თვითმპყრობელობის პოლიტიკური ბატონობის პერიოდში. ცნობილია, აგრეთვე, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ რეფორმის შემდეგ პერიოდში ძლიერ გაამწვავა კლასიური და ეროვნული ურთიერთობანი. 70-ან წლებში უკვე სჩანს უკმაყოფილებანი სომხის კაპიტალის შემოტევისა და გაბატონების ნიადაგზედ აღმოცენებული; მაგრამ ამ პერიოდში სოლიდარობის დროშა უფრო მაღლა ფრიალებდა, ვინემ ბრძოლისა და უკმაყოფილების დროშა. სომხისა და ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი

---

[1]) ნ. ნიკოლაძე: „წარმომადგენლობა არჩევნებში“—„მოამბე“ № XI, გვ. 120, 1894 წ.

(გ. წერეთელი, პ. იზმაილოვი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და სხვები.) ნათლად გრძნობდენ, რომ საჭიროა ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობა და მათი შეთანხმებული მოღვაწეობა [1]). ამ პროგრამის შესახებ 1894 წ. ნიკოლაძე სწერდა:

„როცა ჩვენს ქვეყანაში ჩვენმა თაობამ მიძინებულ საზოგადოებას თვითმართველობის და თვითმოქმედების იდეალი დაუდგინა, ყოვლად შეუძლებელი იყო ჩვენთვის, განსაკუთრებით ტფილისში, თავდაპირველადვე არ დავχახებოდით იმ სიძნელეს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წარმატებას წინ უდგამს მისი მრავალ-რχულიანობა, მრავალ-ენაობა, მრავალ-Ჰოდგმობა. ბევრი ვეძებეთ მაშინ, ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ სხვა გზა და იარაღი ვერა ვიშოვეთ-რა. ეი ამ საფედერაციო პრინციპის მეტი... კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ 1870-ში დადგენილი პროგრამა მარტო ჩვენა და სომხებს კი არ შეეხებოდა, შიგ, ერთსა და იმავე პრინციპის ძალის ქვეშ, მოყოლებულნი იყვნენ ყველა ის ერნი, რომელნიც ჩვენს მხარეში სცხოვრობდენ. ჩვენი პროგრამა საყოველთაო სიკეთისაკენ იყო მიმართული, რადგანაც, უამისოდ ყოვლად შეუძლებელია ცალკე რომელისამე ერის განვითარება: მას ყველა სხვების χიბრი და მტრობა დაამხობს“... [2])

უნდა შევნიშნოთ, რომ ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში განჭიცებული ეს ერთა სოლიდარობის იდეა არსებითად გამოწვეული იყო იმ ობიექტური გარემოებით, რომ ქართველი ბურჟუაზია χერხნობით სრულიად ნორჩი და განუვითარებული იყო, ხოლო სომხის ბურჟუაზია თავისი ეკონომიური საქმიანობით უაღრესად პროგრესიულ როლს ასრულებდა. მაგრამ ეს მშვიდობიანი განწყობილება 90-იანი წლების ეკონომიურმა განვითარებამ არსებითად დაარღვია: კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას ამიერ-კავკასიაში თან მოყვა თავისი ბუნებრივი თანამგზავრი: კლასიური და ეროვნული ანტაგონიზმის გამწვავება; მართლაც. 90-იან წლებში სასტიკად დაეტაკა ერთი მეორეს, ერთი მხრივ, სომხის ბურჟუაზია და ქართველი თავად-აზნაურობა; მეორე მხრივ, იგივე სომხის ბურჟუაზია და ქართული ბურჟუაზიული ფენები თავისი ინტელიგენციის მეთაურობით. ნიკოლაძე დაავიდანვე—70-ან წლებიდანვე მონაწილეობას ღებულობდა ქალაქის თვითმმართველობის საქმეებში, ივი ახლოს იცნობდა ამ საქმეებს და

---

1) იხ. გ. წერეთლის წერილები: „ჩვენ და ჩვენი დროება“—გაზ. „დროება“ № 16, 1876 წ.

2) ნ. ნიკოლაძე: „ბათომის არჩევნები“—„მოამბე“—№ III ᲒᲕ. 171, 1895

თავიდანვე ქართველი და სომხის ინტერესების შეთანხმების პროგრამით გამოდიოდა. 1893 წლის არჩევნებმა, რომელშიც სომხის მსხვილმა ბურჟუაზიამ დიდ გამარჯვებას მიაღწია და დიდი უმეტესობა ქართველ ამომრჩეველებისა გააშავა, გადამჭრელი როლი ითამაშა; შემდეგ ხანებში მდგომარეობა უფრო გამწვავდა. ნიკოლაძემ არსებითი ყურადღება მიაქცია ამ მდგომარეობას და მთელ რიგ წერილებში შეეცადა გაერკვია ამ ბრძოლის მიზეზები და წარმოედგინა ერთა შორის მშვიდობიანობის დამამყარებელი გეგმები. [1]) 895 წ. იგი სწერდა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ:

„ჩვენი მდგომარეობაც ამ გვარია. არაფერი გვაბადია, არც ჩვენ, არც ჩვენს მეზობლებს. ყველანი, თითქმის უმეტნაკლებოდ, ერთნაირად ღატაკნი ვართ, არა თუ მარტო პოლიტიკურად, ეკონომიურადაც. და მის მაგიერ, რომ საერთოდ, და გინდ ცალ-ცალკე ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის ვშრომობდეთ, იმის მაგიერ, რომ რასმე ვიძენდეთ, ვსწავლობდეთ, ვაკეთებდეთ, ერთმანეთს მივდგომივართ და ვწეწთ, ვგლეჯთ, ვაოხრებთ ერთმანეთს, და როცა გასაოხრებელიც არა გვრჩება-რა ხელში, სხვასაც ვაცდენთ, და ჩვენს თავსაც, ამ ყოვლად უნაყოფო ურთიერთშორისო ბრძოლით“. [2])

ნიკოლაძე ცდილობს ეს „ყოვლად უნაყოფო ურთიერშორისო ბრძოლა“ მოსპოს და ხელი შეუწყოს ერთა სოლიდარობის განმტკიცებას. მისთვის საინტერესოა ერთი მხრივ, საერთოდ დაამყაროს ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობა და შემოიღოს უფლებათა და მოვალეობის განაწილების შესაფერისი ფორმები, ხოლო მეორე მხრივ, მოაწესრიგოს საქალაქო არჩევნებისა და ამ ნიადაგზედ აღმოცენებული ურთიერთ ბრძოლის საკითხი. ამ საკითხების გადასაწყვეტად, ავტორი ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წყობილებას მიჰმართავს და იქ ეძებს შესაფერის საშუალებებს. ეხება რა შვეიცარიის პოლიტიკურ წყობილებას და ერთა ურთიერთობის საქმეს ავტორი სწერს:

„...მათ შორის კავშირი ისეთია, რომ შვეიცარიელ იტალიელს, ყელიც რომ გამოსჭრათ, იტალიისაკენ ვერ გადიბირებთ, ვერც შვეიცარიელს ფრანგს—საფრანგეთის რესპუბლიკისაკენ, ვერც შვეიცა-

1) იხ. მისი წერილები: „Как прекратить племенные распри“—„Новое Обозрение“ № 4567, 1897 წ. „Органические пороки городского самоуправления“,—„Кавказ“ № 18, 19, 1899 წ. „Еще о пороках тиф. самоуправления“,—იქვე, № 32, 33, 1899 წ. იხ. აგრეთვე წიგნი: „Армяно-грузинские отношения“, 1920 წ.

2) ნ. ნიკოლაძე: „ბათომის არჩევნები“ „მოამბე“—№ III გვ. 164. 1895 წ.

რიელ გერმანელს—გერმანიის იმპერიისაკენ. აი რა თვისება ჰქონია თურმე ხეირიან განწყობილებას, რიგიან წესს და კანონმდებლობას: არა თუ მტრები დაამეზობლა და ძმებად გადააქცია, თვით საკუთარი გვარ-ტომობაც კი დაავიწყებინა მათ და სამი გადამტერებული, სხვაგან ყოველგან ერთმანეთის მებრძოლე ხალხისაგან ერთი ახალი ეროვნება დაჰბადა. რომ მოახდინა ეს სასწაული, ეს ძლიერება, ეს სიკეთე? იმ ყოვლად უბრალო პრინციპმა, რომელსაც მეცნიერებაში ს ა ფ ე დ ე რ ა ც ი ო პ რ ი ნ ც ი პ ი ჰქვია და რომელსაც ჩვენებურად ასე გადმოსთარგმნის კაცი: „მეც ვიყო და შენც იყავიო". [1])

ამრიგად, ნ. ნიკოლაძემ კვლავ გაიხსენა 70-იან წლებში ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მიერ შემუშავებული ფედერაციის პრინციპი და ერთა ურთიერთობის მოწესრიგების საქმე „ხეირიან განწყობილებას, რიგიან წესს და კანონმდებლობას" დაუკავშირა. ამ შემთხვევაში, ნიკოლაძე სრულიად საფუძვლიანად მიუთითებდა შვეიცარიის მაგალითზე, სადაც თვითმართველობისა და ფედერალიზმის პრინციპი შეფარდებული იყო ერთა სოლიდარობის საქმესთან. შვეიცარიის მაგალითის მიხედვით ნიკოლაძე სწერდა:

„კავკასიის მდგომარეობა მოითხოვს ამ ცემენტის ხმარებას. აქ ისტორიას სამოციოდე სხვადასხვა ფერის ხალხი მოუთავსებია ერთად, არც ერთი მათგანი იმდენად ძლიერი არ ყოფილა, რომ მთელს მხარეზე კიდით-კიდემდე, საკუთარი ბეჭედი დაესვა, ან მტკიცე ერთობა დაედგინა. დღეს, გვინდა თუ არა, სულ ერთია, მეზობლები უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისა, ერთისა და იმავე ჭაპნის მწეველნი, ერთნაირი უფლებათა პატრონი, ერთისა და იმავე მოვალეობის მტვირთველნი. დროა მივხვდეთ ყველანი, რომ რაკი ამ მდგომარეობიდან არც ერთს ჩვენგანს არც გაქცევა შეუძლია, არც სხვების გადენა, მეტი საშველი არავისა გვაქვს: უნდა ერთმანეთში მოვთავსდეთ და მოვრიგდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება იყოს, და არა სრულიად უსაგნო, უგუნური წეწვა-გლეჯა ერთმანეთისა, ვინ იცის ვის სასარგებლოდ". [2])

ამ გზით ფიქრობდა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგი 70—90-იან წლებში ერთა ურთიერთშორის საკითხის მოწესრიგებას ამიერკავკასიაში. ჩვენში გავრცელებული იყო აზრი, რომ საქართველოში ფედერალიზმის პრინციპი პირველად არ. ჯორჯაძემ და მისმა პარტიამ წამოაყენა მე XX-ე საუკუნის დასაწყისში. როგორც მკითხველ-

1) ნ. ნიკოლაძე: „ბათომის არჩევნები" — „მოამბე" № III გვ. 166, 1895 წ.
2) ნ. ნიკოლაძე: „ბათუმის არჩევნები" „მოამბე" № III გვ. 167, 1895 წ.

მა დაინახა, ეს არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს: ფედერალიზმის პრინციპი ჯერ კიდევ 60—70-იან წლებში წამოაყენა რადიკალურ-ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ და მას მწერლობაში იცავდა 90-იან წლებში ნიკოლაძე. მაგრამ ნიკოლაძის 90-იან წლებში გამოქვეყნებული წერილები მით იყო საინტერესო, რომ აქ მან მოინდომა ეროვნული ურთიერთობის მოწესრიგების საკითხთან დაეკავშირებია მუნიციპალური საკითხი და თავის პროექტს საფუძვლად დაუდვა ნაციონალურ-კურიალური სისტემა: მას სურდა მუნიციპალური არჩევნების დროს გამოეყოთ ეროვნული საარჩევნო უბნები და ამ გზით გატარებული ყოფილიყო ეროვნული პროპორციონალური პრინციპი; ამ პროპორციონალურ პრინციპის მიხედვით „თვითეული ერი თავის წრიდან აირჩევდა საბჭოში ხმოსანთა იმგვარსავე პროცენტს, რა პროცენტსაც შეადგენს იგი სხვა ერთა შორის". [1]) ამ პროპორციონალურ-კურიალური სისტემით ფიქრობდა 90-იან წლებში ნიკოლაძე ერთა ურთიერთობის მოწესრიგებას მუნიციპალური არჩევნების დროს.

მაგრამ ეს პროექტი თავისი შინაარსით აშკარა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული იყო. ქართველი ბურჟუაზია ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი და უხერხემლო ვერ ახერხებდა აგრესიულ პოლიტიკაზე გადასვლას სომხის კაპიტალის მიმართ და ნიკოლაძის მუნიციპალურ-კურიალური სისტემაც ერთგვარი თავდაცვითი საშუალება იყო სომხის კაპიტალის თავდასხმის საწინააღმდეგოდ აღმართული.

მაშინ, როდესაც საქ. თავად-აზნაურობა მისი იდეოლოგის ი. ჭავჭავაძის სახით აშკარა თავდასხმაზეგადადიოდა სომხის ბურჟუაზიის მიმართ და მთელ სომხობას უცხადებდა ბრძოლას, ქართველი უხერხემლო ბურჟუაზიის იდეოლოგი თავდაცვის ზომებზე ფიქრობდა და მოწადინებული იყო ერთა უთანხმოების საკითხი კანონიერების ფარგლებში მოექცია და უფლებისა და მოვალეობით ჩარჩოებით განსაზღვრა.

„მათ შორის,—სწერს ნიკოლაძე,—ცხადია, სწარმოებს ბრძოლა, რომელიც, სამწუხაროთ, სრულიად ... არის რეგულიარიზაციაქმნილი არც კანონით, ხელისუფლების მიერ, ამიტომ ბოლოს და ბოლოს შეუძლია მიგვიყვანოს ერთა შორის გაცხარებულ სიძულვილამდე. მაშინ როდესაც, შესაფერი რეგულიარიზაციის წყალობით კი, რომელიც კანონიერ ფარგლებში იქნება ჩაყენებული, ეს ბრძოლა უსა-

---

[1]) Н. Николадзе: „Органические пороки городского самоуправления"— „Кавказ" № 19, 1899 г.

თუოდ გადაიქცეოდა ერთა ეკონომიურ და ზნეობრივ წარმატების წყაროდ და ფაქტორად"...[1]) მეორე წერილში ავტორი სწერდა: „... თვითოეული ერის უფლებანი და ინტერესები ისე, როგორც თვითეული ფიზიკური და იურიდიული პიროვნების ინტერესები პატივსადები და რეალური არის იმდენად, რამდენადაც არ შეეხება და არ აზიანებს დანარჩენ ერთა და პიროვნებათა უფლებებს. აქ. არის საზღვარი უფლებათა და დანაშაულობის შორის... ჩვენ ჩვენსას ვიცავთ და სხვისას არ ვეტანებით და არ უარვყოფთ სიცოცხლის და ბედნიერების განმტკიცებისათვის არავის უფლებას. ეს ერთად-ერთი მკვიდრი საფუძველია და ერთადერთი ლიბერალური ხასიათის გადაწყვეტაა საკითხისა. ეს არის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დოქტრინა, 1789 წლის პრინციპებია, რომელიც თანამედროვე მოქალაქობის და ცივილიზაციის საფუძვლად არის დადებული".[2])

ასეთი იყო ნ. ნიკოლაძის ეროვნული პოლიტიკა. ჩვენში ბევრს სწერდენ იმის შესახებ, რომ ნიკოლაძეს არა აქვს არავითარი ეროვნული პროგრამა და იგი უარყოფს საქართველოს ინტერესებსო. არსებითად ეს შეცდომა იყო. მას გარკვეული ეროვნული პოლიტიკა და პროგრამა ჰქონდა შემუშავებული, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა იმ ხანებში ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებსა და მის ეკონომიურ მოთხოვნილებებს; ისტორიულად მრავალი მუხლები მისი ეროვნულ პროგრამიდან საფუძვლად დაედვა არ. ჯორჯაძის მოძღვრებას, რომელიც არსებითად რადიკალური ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნიკოლაძის მუნიციპალურ პროგრამის პროპორციონალური წარმომადგენლობის ზოგიერთი მუხლი სავსებით გაიმეორა ჯორჯაძემ 1911 წ. საქალაქო არჩევნების კამათის დროს [3]).

მაგრამ ახლა აუცილებელია ნ. ნიკოლაძის ეროვნული პოლიტიკა შევაფასოთ ისტორიულად. სად უნდა ვეძიოთ ამ პოლიტიკისა და პროგრამის სოციალური საფუძვლები?—რასაკვირველია, ქართველი ბურჟუაზიის სოციალურ-ეკონომიურ პირობებში. უდავო ფაქტად უნდა იქნეს აღიარებული, რომ ჩვენში კაპიტალისტური განვითარების ინტერესები და საჭიროებანი ეკონომიურად აუცილებელ საჭიროებად ხდიდა რუსეთის კაპიტალის დახმარებას; უფრო მეტი, ჩვენი ნორჩი და მცირე-რიცხოვანი ბურჟუაზია პირველ ხანებში არანაკლები სიმპატიებით ეპყრობოდა ადგილობრივ სომხის ბურჟუაზიას,

1) იქვე.
2) Н. Николадзе: „Еще о пороках тифлисского самоуправления",— „Кавказ" № 33, 1899 г.
3) იხ. არ. ჯორჯაძე: თხზულებანი, ტ. 5, გვ. 217—226, 1914 წ.

ეინაიდან ამას მისგ ეკონომიური ინტერესები მოითხოვდა. სწორედ ამ ეკონომიურ ინტერესების საფუძველზედ აღმოცენდა ის ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც ქადაგებდა 60—70-იან წლებში ნიკოლაძე და რომელიც მტკიცე კავშირის დამკვიდრებას მოითხოვდა ყველა ერებთან. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ა/კავკასია სწრაფი ნაბიჯით მიექანებოდა კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ და რამდენადაც რუსეთის სამრეწველო კაპიტალი ენერგიულად ანვითარებდა აქ თავის კოლონიალურ პოლიტიკას, იმდენადვე ნაციონალური კაპიტალისა და ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესები და, შეგნება მტკიცდებოდა და ეკონომიურ ბრძოლის პროცესში ვითარდებოდა თავდაცვითი ინსტიქტი. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილი რუსეთიდან გამოყოფის, სეპერატიზმის პროგრამას იმ პერიოდში არ აყენებდა.[1]) ამისათვის ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული ეკონომიური ნიადაგი. ამ შემთხვევაში მას ამოძრავებდა ის ღრმა ეკონომიური ინტერესები რომლითაც გადაჯაჭვული იყო საქართველოს სამეურნეო ცხოვრების ვითარება რუსეთის კაპიტალისტურ ვითარებასთან. ფედერალიზმი და თვითმართველობის ორგანოები თავდაცვითი ხასიათისა იყო ქართველი ბურჟუაზიისათვის რუსეთის კაპიტალის აგრესიულ პოლიტიკისაგან. ამ საშუალებით მას სურდა თავიც დაეცვა და კავშირშიაც ყოფილიყო რუსეთის ბურჟუაზიასთან. ასეთივე ინტერესებიდან გამოდიოდა იგი სომხის ბურჟუაზიის მიმართაც. მაგრამ იმდენად, რამდენადაც კაპიტალისტური განვითარების ნიადაგზე უკანასკნელი უფრო აგრესიული ხდებოდა და ეჯახებოდა ქართველი ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებს (ქალაქის თვითმართველობა და სხვა), იმდენადვე ბრძოლა მათ შორის უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. ეს ნათლად სჩანს თვით ნიკოლაძის ნაწერებიდანაც: 90-იან წლების უკანასკნელ ხანებში მისი კილო და კამათი სომხის ბურჟუაზიის მიმართ უფრო მწვავე და მკაცრ სახეს ღებულობდა. რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძის პროექტის—პროპორციონალური და კურიალური საარჩევნო სისტემის ცხოვრებაში გატარება არა თუ ვერ შეანელებდა ერთა შორის ბრძოლას, არამედ უფრო მკაცრსა და დაუნდობელ სახეს მისცემდა მას: ამ სისტემით ბურჟუაზიულ ფენებს საშუალება მიეცემოდათ ნაციონალურ ორგანიზაციებში დარაზმულიყვენ და ამის მიხედვით ერთა ბრძოლაც უფრო გაღრმავდებოდა. ნიკოლაძე მუნიციპალურ საქმეებში ნაციონალური ურთიერთობის მოწესრიგებას

[1]) როგორც მეორე ნარკვევში ვწერ, ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის გამომხატველი იყო გ. წერეთელი და მისი პოლიტიკური პროგრამაც სხვა შინაარსისა იყო.

ცდილობდა კაპიტალისტური წყობილების დაცვისა და მისი შემდეგი განვითარების საფუძვლებზე; მას სურდა ნაციონალური ბურჟუაზიების საშუალებით დაემყარებია ერთა სოლიდარობა. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება იწვევს სხვადასხვა წინააღმდეგობათა გაღრმავებას და მათ შორის ნაციონალური ანტაგონიზმის გაღრმავებასაც გაბატონებულ კლასებს შორის. ამ ანტაგონიზმის ძირეულად აღმოფხვრა და მტკიცე ურთიერთობის დამყარება ერთა შორის შესაძლებელია თვით კაპიტალიზმის ლიკვიდაციის გზით; მისი გატარება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის ბრძოლითა და მისი ბატონობით, რადგან მხოლოდ ეს კლასი არის ინტერნაციონალური ბუნების მატარებელი. საბჭოთა ტფილისის ათი წლის ისტორიამ ყველაზედ უფრო ნათელყო ეს დებულება.

საინტერესო არის მოკლედ თვალი გადავავლოთ ნიკოლაძის პოლიტიკური აზროვნების ვითარებას საერთაშორისო ომისა და დიდი რევოლუციის პერიოდში. ომის პერიოდში იგი, რასაკვირველია, მხარს უჭერდა მოკავშირეთა გამარჯვებასა და რუსეთის განმტკიცებაში მცირე აზიასა და კონსტანტინეპოლში იგი ხედავდა საქართველოს ეკონომიური აღორძინების უდიდეს საწინდარს. რევოლუციის წინა ხანებში ნიკოლაძე თანამშრომლობდა „რ უ ს კ ა ი ა ვ ო ლ ი ა ს“ რედაქციაში და თავის წერილებში არა ერთხელ გამოუთქვამს, რომ თვითმპყრობელობამ ვერ შესძლო საქმის ხელმძღვანელობა და კრიზისი მოსალოდნელი არისო. 1917 წლის თებერვალის რევოლუციას მან ბურჟუაზიის თვალსაზრისით შეხედა. იგი ფიქრობდა, რომ რუსეთში დემოკრატიულ-ცენტრალისტური რესპუბლიკა დამყარდებოდა ფართო ადმინისტრატიული და კულტურული თვითმართველობით. რასაკვირველია, ოქტომბრის გადატრიალებას იგი მტრულად შეხვდა. ნიკოლაძე 1917—21 წლებში მხურვალე თანამშრომლობას ეწეოდა მენშევიკურ მთავრობასთან. როგორც ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მეთაური საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი ემიგრაციაში მოხვდა და მენშევიკებთან ერთად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ ობიექტიურმა გარემოებამ მას დაანახვა, ერთი მხრივ, ქართველი ემიგრაციის გახარწნა და ყოფილი მენშევიკური მთავრობის საქმიანობის სრული უნიადაგობა, მეორე მხრივ,—საბჭოთა წყობილების განმტკიცება და მისი ეკონომიური აღორძინება; ნიკოლაძემ გადაჭრით უარყო ემიგრაციის საქმიანობა და დაბრუნდა საბჭოთა საქართველოში. რასაკვირველია, საბჭოთა ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების ნამდვილი კ ლ ა ს ი ურ - ს ო ც ი ა ლ ურ ი შინაარსისა და მნიშვნელობის მას არაფერი გაეგებოდა.

იგი ამ ალორძინებაში მხოლოდ ეკონომიურ წარმატებას ხედავდა და მეტს არაფერს. უკეთ რომ ვსთქვათ, ნიკოლაძე ბოლომდე დარჩა ბურჟუაზიულად მოაზროვნე მწერალი და საბჭოთა ეკონომიური ალორძინება მას ხიბლავდა როგორც პრაქტიკ-მოღვაწეს, დიდი პროექტებისა და დიდი საქმეების მეთაურს.

ამავე რწმენათა და შეხედულებით 1928 წ. ჩავიდა საფლავში 60-იანი წლების ეს უკანასკნელი სახელგანთქმული მოღვაწე.

სიმონ ხუნდაძე

20/XI. 30.

ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲒᲘᲜᲘ

წარსულიდან

(ნაწყვეტები)

ამ ასი წლის წინეთ

ბაბუა-ჩემი (მამი-ჩემის მხრით) აბაშიძეების ყმა ყოფილა. როგორც თითქმის ყველა ნიკოლაძეები, ის ზემო იმერეთში ცხოვრობდა სოფელ სკანდეს, რომელიც იმერეთის მეფეების საზაფხულო სადგომი იყო. სახელად მას მამუკა (მათე) რქმევია. ახალგაზრდობაში ის მებატონეს გაქცევია და ქართლს გადავარდნილა, ცხინვალის არე-მარეში. ეს ჟამობამდე ბევრად უფრო ადრე მომხდარა, სოლომონ დადის დროს, ალბათ მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ქართლში მამუკა ონიაშვილებს ჩასიძებია: მათი ქალი ტასო შეურთავს, რომლისგან სამი ვაჟი და იმოდენივე ქალი ჰყოლია. ორი ამათგანი ქართლშივე გაუთხოვებია. დანარჩენი ოჯახით ის ქუთაისს გადმოსახლებულა მეცხრამეტე საუკუნის ოცდაან წლებში, იმ დროს, როცა რუსებმა იმერეთში მეფობის ხსენება მოსპეს. ამ ცვლილებაში მამუკას უფრო ის მუცლის გვრემა ჰქონია, რომ იმერეთის მეფობასთან ერთად აბაშიძეების ბატონობაც შეიმუსრა, იმისათვის, რომ ისინი სოლომონ მეორეს აბრიყვებდენ, ეხმარებოდენ რუსების წინააღმდეგ უიმედო ბრძოლაში, დამარცხების შემდეგ გაქცეულ მეფეს ტრაპიზონს გადაყვენ და იქ დაიხოცენ. მათ ჩამოერთვათ ყმები და ქონება. როცა სახელმწიფო მოხელეები აბაშიძეების გლეხების სიას ადგენდნენ, მამუკას სახელი, როგორც დიდი ხნის გადაკარგულის, არავის გახსენებია. ამნაირად ის ყმობისაგან განთავისუფლდა და ქუთაისელ მოქალაქეებში ჩაირიცხა.

იმ დროს ქუთაისი სულ სხვა ყოფილა. მარტო ძველი ქალაქი, გორაზე, დანგრეულ ციხის და ბაგრატის ტაძრის გარშემო, მჭიდროთ დასახლებულად ჩაითვლებოდა. შენობა შენობახე მიკრული იყო, ეზო-ეზოზე. აქ სამღვდელოების მართველობა სახლობდა: იმერეთის მიტროპოლიტი დავით, თავის კრებულით, გაქცეული მეფის მსახურთ და მოხელეთ შთამამავალნი: ხელფუფლისშვილები, მანჯეიშვილები (შემ-

დეგ ჯვარად დაირქვეს მარჯანოვები), ღულაძეები, ჩარკვიანები და სხვა. იმავე გორის მეორე წვერზე, წმინდა გიორგის ეკლესიის ირგვლივ, ჯაბაშვილები სახლობდენ, ბესიკის შვილის შვილები. მათ გვერდით, ცაცხვებს ქვეშ, ლორთქიფანიძეები, რომელთაც მაშინ ნალბანდებს ეძახდენ. ეს იყო ძველი ქუთაისის მოსახლეობა.

ამ ძველ ქალაქს, როგორც ძველ ციხეებს, ერთობ ძნელი მისადგომი გზა ჰქონდა ყველა მხრივ: დასავლეთით, ვაკე იმერეთიდან, ამ გორაზე მიდგომა მარტო „ხ ო რ ხ ი თ“ შეიძლებოდა.

ეს სახელი ერქვა ძლიერ ვიწრო ბილიკს, რომელზედაც ორი იმერული ჯორი ძლივს აუვლიდენ მხარს ერთმანეთს, და რომელიც კლდეში გამოკვეთილი იყო მთის კიდეზე, რიონის მარჯვენა ნაპირით, სადაც შემდეგ, 1859—1860 წ., მთელი ფერდობი ლაღმებით ჩათალეს და გზატკეცილი გაიყვანეს თეთრი ხიდედან ძველ ჩანგრეულ ხიდემდე. ამ ხორხზე ჩინებულად გახედნილ ჯორებსაც კი ეძნელებოდათ სიარული, ისეთი საზარელი იყო რიონის ჯურღმულის ზევიდან დანახვა. საშხრეთით, რიონის მარცხენა ნაპირიდან, გორაზე ეჭყავდა მარტო სიპ კლდეში ამოჭრილ ვიწრო კიბეს, რომელითაც მხოლოდ ქვეითად შეიძლებოდა სარგებლობა. აღმოსავლეთით გორაზე ასვლა შეიძლებოდა დაფარულ გვირაბით, რომელიც ძველ დროში გაყვანილი ყოფილა ციხიდან წყალრომდი, აღმართის შუაგულამდე. ჩრდილოეთით ციხეს და გორას კავკასიონის მთავარ ქედის უკანასკნელი შტო ფარავდა.

ამ მთის წვერზე წამოსკუპულ ნაციხვარს და ტაძრის ნანგრევს სამხრეთით, მდინარის გაღმა, მეორე გორაკი ახლდა, სახელად „მ წ ვ ა ნ ე უ ყ ვ ა ვ ი ლ ა“, საიდამაც რუსის ჯარმა, სოლომონ დიდის დროს, ზარბაზნებით დაანგრია თათრების ხელში ჩავარდნილი ქუთაისის ციხე და თათრების ჯარი გარეკა. ეს გორაკი წარმოადგენს განკერძოებულ მწვანე გრანიტის კლდეს, რომლის სიმაგრეს რიონის სამხრეთისკენ დენა ამ ადგილას შეუხრია და დროებით დასავლეთისაკენ მიუმართავს. ეს მდინარე, როგორც ქუთაისამდე, ისე ქუთაისის დაბლა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიისწრაფის, სანამ მცირე კავკასიონის ძირს მიადგება და იქ საბოლოოდ დასავლეთისკენ არ დაეჭანება ზღვამდე. მწვანე-ყვავილას ძირში თავდება დიდი კავკასიონის უკანასკნელი კვალი და ვაკე იმერეთის თვალ-უწვდენელი მდაბლობი იშლება.

როცა ბაბუა-ჩემი იმერეთს დაბრუნდა, ქუთაისს, რიონს გაღმა, სამხრეთით, მარტო სამ ალაგას მოსახლეობის ნასახი ჩნდა. მწვანე-ყვავილას ძირში, რიონის პირად, მეფეების დროიდან ებრაელები

ესახლენ, რომელთაც აქ ქვითკირის თორა ჰქონდათ. ბევრათ უფრო დაბლა, აგრეთვე რიონის მარცხენა ნაპირზე, მეფეებს ახალციხიდან გადმოსული ფრანგები (კათოლიკენი) დაესახლებიათ, ვაჭრობის მოსაწყობათ. მათგან მოშორებით, სულ მიკუნჭულ ტყის-პირა ადგილზე, ესახლენ სომხები, ორმოცოდე ოჯახი, მათ სასაფლაო ფიცრულ ეკლესიასთან. ფრანგების მოსახლეობის დაბლა, ძველი ხიდის ყურეს მიშენებული ჰქონდა რამდენიმე ფიცრის დუქანი, რომელთაგან უკანასკნელი, წყლის-პირა, საყასპო იყო. ამავე მდაბლობზე, აქა-იქ, რუსის ჯარის სადგომათ, თიხით შელესილი ტკეჩის ფარდულები იდგა. რიონის მთელი მარცხენა მხარე ტყეს გავდა და ძლიერ იშვიათად იყო დასახლებული. იმერული მოსახლეობა უფრო ქუთაისის გარეშე ცხოვრობდა სოფლად, ერთმანეთზე დაშორებით, ცალკე პატარა სოფლებში: აბულაძეები—ჭომას, ასათიანები—ქვიტირს, ავალიანები—გუმათს, მესხები—რიონს, ქვარიანები—მწვანე-ყვავილაზე და სხვა. ამათ მოსახლეობას ის განკერძოვებული თვისება ჰქონდა, რომ თითქმის ყველა ეს მოსახლე აზნაურები იყო, უყმო და ძლიერ მცირე მიწა-წყლის პატრონი. ირჩენდნენ თავს ისენი ზოგი წისქვილის მუშაობით, ზოგი ხე-ხილის შენებით, უფრო მეტი-კი—საკუთარი ხელით, თავიანთი ვენახის მოკლით, აბრეშუმის და სიმინდის მოყვანით.

ჩვენს ოჯახს მათთან დაახლოვებული მეგობრობა და საქმიანობა ჰქონდა: მამა-ჩემი მონახევრე იყო ივანე ავალიანის წისქვილში, ლორთქიფანიძეების ქვების სამტვრევში, აბულაძეებს შვილებს უნათლავდა. დღე არ გავიდოდა ისე, რომ ვინმე მათგანი ჩვენსა არ მოსულიყო ჯორზე შემჯდარი, რამე მოსაკითხით, და სამაგიეროთ ჩვენი ნათლისდედებისათვის არ წაეღო ან საკაბე, ან საჩოხე, ანა და სხვა რამე, რაც სოფელში ძნელი საშოვარია. ჩვენ ყველას ნამეტნათ გვიხაროდა მათი მოსვლა, განსაკუთრებით ივანე ავალიანის; ეს ერთობ მსუქანი და მძიმე მოხუცი ერთ-ნამცეცა ჯორზე იჯდა. მისი ფეხები მიწაზე მიეთრეოდენ. მოვიდოდა ის სიცილით და მხიარულებით, ყველასათვის ჰქონდა სათქმელი რამე საკისკასო ამბისა. დიდი და პატარა მას შეხაროდა, უმასპინძლდებოდა და დარჩენას ეხვეწებოდა. მის ჯორს ჩვენ, როგორც საკუთარ საყვარელ საჯდომს, ვუვლიდით.

ამნაირად უმეტესი ნაწილი მაშინდელი ქუთათლების ან უკლუხო აზნაურებისგან, ან უცხოელეთისაგან შედგებოდა: ებრაელ, სომხების ან ფრანგების ხელოსნების და მეწვრილმალეთაგან. მდაბალი წოდების ქართველი კაცი მათ შორის ალბათ ადგილს ვერ პოულობდა. როგორ და რა საშუალებით მოახერხა ბაბუა-ჩემმა ასეთ პირობებში

ამ ქალაქში ცოლ-შვილით დასახლება და ლოკმა-პურის შოვნა,— ეს მისი საიდუმლოებაა. უეჭვო კი ისაა, რომ მამუკა მრავალი ათეული წლის განმავლობაში ერთად-ერთი უბრალო წოდების ქართველი კაცი ყოფილა, რომელმაც ქუთაისში, არა თუ ოჯახის დასახლება და რჩენა, ყველა მცხოვრების ნდობის დამსახურებაც შესძლო.

მაშინდელი იმერეთი და მისი დედა-ქალაქი ალბათ ნამეტნათ ჩამორჩენილი ყოფილა ქართლზე, თუ ბაბუა ჩემის ოჯახი მეზობლებში მალე დაწინაურებულათ და სამაგალითოდ გამხდარა. მის წევრებს ქართლიდან ბევრი ისეთი ცოდნა, ხელსაქმე, იარაღი და ჩვეულება ჩამოეტანათ, რაც იმ დროს სრულიად უცნობი ყოფილა იმერეთში. მათ სადგომიც უკეთ მოუწყვიათ, შინაური მუშაობაც უმჯობესად გაუმართავთ, საჭმელების კეთებაც ხვავიანათ მოუხერხებიათ ადგილობრივ მცენარეებისაგან. ქართლიდან ბაბუა-ჩემის ოჯახს ნიადაგი მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა შეენახა, რის გამო იქედან ხშირად უცნობი სასმელ-საჭმელი თუ საქონელი მოდიოდა.

იმერეთში მათ ქართლიდან შემოუტანიათ ბევრი ხელსაქნარი და ჩვეულება, რომელთ ღირსებას მეზობლები დიდხანს პირადათ მამუკას და „მამუკაშვილებს" აწერდენ. ნახევარი საუკუნის განმავლობაში მამუკას ოჯახი იმერეთში ყველას ქართველად მიაჩნდა. უეჭველია, ამ გარემოებას, აგრეთვე, როგორც იმ ოჯახის შედარებით შეძლებას და რიგიანობას, შესამჩნევათ უნდა აღეზარდა ქუთაისლების პატივისცემა ახალ მოსულებისადმი.

იმის მაჩვენებლად, თუ სანამდი მიდიოდა ეს პატივისცემა, შეძლია ის გარემოება მოვიყვანო, რომ მამუკას უფროსს ვაჟს, გრიგოლს, ქალი მიათხოვა ერთმა უმჯობესთაგანმა ქუთათელმა აზნაურმა, მდიდარმა ივანე ბაქრაძემ, რომელმაც საკუთარი ხარჯით ააშენა ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის ძვირფასი სამრეკლო. ამ ბაქრაძის ოჯახის გავლენის დასახასიათებლად ისიც კმარა, რომ მისი უფროსი ვაჟი, ნიკო, ათ წელზე მეტს ქუთაისის მაზრის უფროსად იჯდა იმ ხანაში, როცა ეს თანამდებობა და მაზრის სამსაჯულო ჯერ კიდევ განუყოფლად ერთ და იმავე პირს ებარა. ასეთი ოჯახის დამოყვრება უბრალო გლეხისათვის, გინდა სულ ბევრი ვსთქვათ, მოქალაქისათვის, წარსული საუკუნის ოცდაათიან წლებში, ძნელად წარმოსადგენი უნდა ყოფილიყო. დაურთავ, რომ ელისაბედ ბაქრაძის ქალი, რომელიც ბიძა-ჩემმა შეირთო, სილამაზით მთელი ქალაქის ყურადღებას იწვევდა, არა თუ მაშინ,— რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც,— როგორც მისი მეორე და, მარიამი, რომელიც შეირთო მდიდარმა რაჭველმა მებატონემ, ივანე მხეიძემ, სეფე მხეიძის მამამ.

მამუკას ოჯახის ასეთი საამაყო დამოყვრება ბაქრაძეებთან, რომ არც სულ უსაფუძლოდ უნდა ჩაითვალოს, გვიჩვენებს ბევრად უფრო საპატიო დაგვირგვინება მამუკას მეორე ვაჟის, იაკობისა (მამი-ჩემის) და უმცროს ქალის, სოფიოს გათხოვება. ფოთის აღების დროს 1828 წ., მოუკლავთ დიდი-ჯიხაიშელი მებატონე ფირან ლორთქიფანიძე, რომელსაც ქვრივათ დარჩენია მზეხათუნ ქაჯაიას ქალი და ობლათ ორი ქალიშვილი, ლიზა (ელისაბედ) და თეო. ქვრივი შემდეგ თავად მანუჩარ მიქელაძეს შეურთავს, იმ კონსტანტინე მიქელაძის მამას, რომელიც რუსების ჯარს წინამძღოლობდა სვანეთში 1875 და იქ მაწინ მოკლულ იქნა. ამ მანუჩარ მიქელაძემ თავისი გერები მათ დედას არ მოაცილა, კულაშს წაიყვანა და გაზარდა, მათ ქონებას და გლეხებს უპატრონა და, როცა ობლები წამოიზარდნენ, რიგიანათ გაათხოვა. უფროსი 1839-ში მამა-ჩემს მისცა, უმცროსი კი—ბესარიონ ხელთუფლის შვილს, რომლის წინაპრები შთამამავლობით იურისკონსულტები (ხელთუფალნი) იყვენ იმერეთის მეფეებისა და რომელიც იმ დროს ქუთაისის სამჯავროში მდივნის თანამდებობას ასრულებდა. დამავიწყდა მეთქვა, რომ მანუჩარ მიქელაძე მამა იყო მაია მიქელაძის ქალის, რომლის შვილმა, გიორგი ზდანოვიჩმა, დედის პატივისმცემით, პსევდონიმათ მ ა ი ა შ ვ ი ლ ი დაირქვა. ეს მაია მიქელაძის ქალი და დედაჩემი ერთ ლოგინში გაიზარდენ და სიკვდილამდი მხურვალე მეგობრებათ დარჩენ.

მამიდა-ჩემი სოფიო იმავე ხანებში შეირთო შემძლე გურულ მებატონემ, თავადმა მაქსიმე შალიკაშვილმა. მათი შვილი მიხეილ მსხვერპლი გახდა 1905-ში თავის წინაალმდეგობის მაშინდელ მოძრაობისადმი: ის რევოლიუციონერებმა მოჰკლეს.

სრულიად უბრალო, უსწავლელ გლეხისათვის ასეთი მიღწევები ამუკას იშვიათ მეცადინეობის და გონიერების მაჩვენებელი იყო. მართლაც, მის გარდაცვალების შემდეგ ხალხში დიდხანს იგონებდენ და აქებდენ მამუკას რიგიანობას და გულკეთილობას, რომელთაც იმ ბნელ დროშიც ზოგჯერ მეტი შეძლებიათ, ვინემ დიდკაცურ შთამამავლობას.

პირველი შთაბეჭდილებანი

მე დავბადებულვარ 14 ენკენისთვეს (სექტემბერს) 1843 წ. ჩემზე უწინ ჩემს მშობლებს ქალიშვილი ნატალია ჰყოლიათ. ჩემი თავი მახსოვს ოთხი წლიდან, როცა ბებია-ჩემი ტასო ჩემმა წაქცევამ და ტახტის ყურეზე წარბის გაჩეხამ გაამწარა. მახსოვს მისი ცრემლები და მოგლა, ნისი პირის ახე. გარდაცვალება კი მისი არ მახსოვს. მახსოვს

კიდევ 1849-ს ხოლერა, როცა ჩვენი ოჯახი სოფელ ოფირჩხეთს დაიხიზნა ლორთქიფანიძეებისას, ქუთაისიდან ჩრდილოეთით, შვიდი ვერსის მანძილზე, რიონის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ მდინარის ბევრად მაღლა, მთაზე.

სრულიად არ მახსოვს ბიძა-ჩემი გრიგოლ: არც მისი დაქორწინება, არც სიკვდილი და დამარხვა. თავის ოჯახობით, ის სულ სხვა უპანში მდგარა, ვინემ ჩვენ. მას საკუთარი სახლი ჰქონდა იმ ქუჩაზე, რომელიც ეხლა ოლქის სასამართლოსკენ მიდის. მილიციის მმართველობიდან, ჩვენ კი იმ ქუჩაზე ვიდექით, რომელსაც ამას წინეთ ივანოვის საბელი ერქვა, ეხლა კი ლენინასას უძახიან. აქ მამა-ჩემს აეშენებია ორ სართულიანი სახლი, რომლის „პალატი“ ქვიტკირის იყო და ზედა ოთახები ფიცრული. ბაბუაჩემს მისი შვილი გრიგოლ თავის სიცოცხლეშივე გამოეყო, როცა ცოლს რთავდა. თითონ-კი ცოლ-შვილით მამი-ჩემის ოჯახობასთან დარჩენილა. გრიგოლს ერთი ვაჟი და სამი ქალი დარჩა. ალბათ ის გადაცვლილა ან მეორე ხოლერობაზე 1849-ში, ან უფრო ადრე. ის მემახსოვრებოდა ბაბუა-ჩემის ავადმყოფობის დროს ცოცხალი რომ ყოფილიყო. ბაბუა-ჩემს ორი დანარჩენი მისი ვაჟიც თავის სიცოცხლეშივე რომ ყოფილიყო, დიდ სიკეთეს იზამდა, რადგანაც ბიძა-ჩემმა ვანემ თითქმის მთელი სიცოცხლე იმაში გაატარა, რომ მამა-ჩემს მონაწილეობას უჩიოდა. ვანე ჯერ თითქმის ბავშვი იყო ბაბუა-ჩემის კარგათყოფნობის დროს.

ბაბუა-ჩემის ავად გახდომა და ლოგინათ ჩავარდნა მახსოვს კარგად. რა ნაზი სიყვარულით მეპყრობოდა ის მუდამ, სულ არ მიცალებდა და მეფერებოდა. ბევრი მოვლის და ექიმობის შემდეგ მამა-ჩემი და მისი დები დარწმუნდენ, რომ მამუკას ასეთი შეუპოვარი ავადმყოფობის მიზეზი ჩვენგან მისი სალოცავების დავიწყება უნდა ყოფილიყო. ორივე უფროსი მამიდა-ჩემი ჩამოვიდა ქართლიდან. მათ გაიხსენეს, რომ მალე ხუთი წელიწადი გახდება, რაც ჩვენი ოჯახიდან არავის არც ჩხარის წმინდა გიორგი, არც სკანდე და, რაც ბევრად უფრო მძიმეა,—გორის-ჯვარი მოულოცავს და რაც მათი ბეგარა გვეკო, არ გადუხდია. მოიწვიეს ყველა საპატიო ხუცესი და მკითხავი, —მათ დააფასტურეს, რომ ამ „ხატების“ მოლოცვა ავადმყოფისთვის აუცილებლად საჭიროა. შემდეგ გაზაფხულზე მამა-ჩემმა იქირავა კაბეჩის ურემი, რომელშიაც ჩააწვინეს სანახევროთ მკვდარი ბაბუა-ჩემი. მას გაგვაყოლეს მამიდა-ჩემი სალომე და მე, შვიდი წლის ბავშვი. ალბად შეურმე მეტად სანდო და გამოცდილი ადამიანი უნდა ყოფილიყო, რომ მას სამი მოსავლელი მეზავრი ანდვეს, რომელნიც

მას იმ დროის უგზოობაში ქუთაისიდან ჯერ ჩხარს უნდა მიეყვანა, იქიდან სკანდეს, შემდეგ ცხინვალს, გორს, და გორის ჯვრის წვერზე აეყვანა და ბოლოს ქუთაისს დაებრუნებია. ამ პირველი ჩემი მოგზაურობის გარემოებები დღესაც ისე დაწვრილებით მახსოვს, როგორ, გუშინდელი ამბები, თუ არა ბევრად უკეთ.

მამა-ჩემი ჩვენს ურემს ცხენით გამოყვა შინიდან—სიმონეთამდე, სადაც ვისაუზმეთ. საუზმის დროს არც ავადმყოფზე, არც იმაზე, თუ სად რა უნდა გვექნა და ვინ უნდა გვენახა, ხმა არავის ამოუღია. მუსაიფი სულ იმაზე ტრიალებდა, რომ ქუთაისს ცხოვრება ნამეტნად გაძვირდა და მალე შეუძლებელი გახდებოდა. მამა ჩემი ჩიოდა, რომ მოზრდილი ურემი შეშა სამ მანეთზე ნაკლებ აღარ იშოვებოდა, კი ყველრული ორ შაურად ღირს და კვერცხი-თითო ფარათ, ხანდისხან ორათაც იყიდება. ექვსი თათრული ფარა იმ დროს ერთ რუსულ კაპეიკს უდრიდა. საუზმე რომ გათავდა, მამა-ჩემი ჯერ თავის დას, მერე მეურმეს და ბოლოს მე გადაგვეხვია, გამოგვეთხოვა და შინ დაბრუნდა, ჩვენ კი ზემოსკენ გავემგზავრეთ. დღისით ორჯერ-სამჯერ დღეში ვასვენებდით კამეჩებს, ღამ-ღამობით კი თავს ხან სოფლად, ხან სადმე ტყეში შევიფარავდით. ბაბუა-ჩემი დაუნძრეველად ურემში იწვა, მამიდა-ჩემი და მე კი—უფრო ხშირად ურმის ქვეშ, იშვიათად კი—მოსახლეობის ქოხებში. რასაკვირველია, გაგება არა მაქვს, თუ რამდენი დღე და ღამე ვიმგზავრეთ, ან რომელ სოფლამდი რამდენი დღის მგზავრობა დაგვჭირდა. როგორც იქნა, მივაღწიეთ ჩხარს. ავადმყოფი შევიყვანეთ მის დიდებულ წმინდა-გიორგის ეკლესიაში, სადაც მას სამი დღე და სამი ღამე უნდა გაეთია. ჩვენც იმავე ეკლესიაში ვათევდით ღამეს თითქმის უძილოთ, ავადმყოფის მოვლაში. გზა ჩხარიდან სკანდემდი მეტად ძნელი გვეჩვენა. ურემი ხშირად გვერდზე დგებოდა, რაც ავადმყოფის ლოგინში დაკავებას გვიძნელებდა. სკანდედან ალამდე აგრეთვე გაჭირვებული მოგზაურობა გვქონდა. ყოველ სოფელში, სადაც კი საყდარს შევხვდებოდით, მამიდა-ჩემი კრავს ყიდულობდა და პარაკლისს ახდევინებდა ავადმყოფის სახელზე. მაგრამ ეკლესიებში ლოცვა მას სრულიადაც არ უშლიდა ყოველგან, საცა კი ვჩერდებოდით, აგრეთვე ადგილობრივ მრჩევლები ეძებნა, რომლებს უბედური მამა-მისის იღბალზე ეკითხებოდა და ყველა ჩვენ შინაურ საქმეებზედაც. სხვათა შორის, განსაკუთრებული გამოკითხვის საგანი ყოველთვის მე ვიყავი და ჩემი მომავალი ბედი. ალში ერთმა უკბილო მკითხავმა მამიდა-ჩემი უზომოთ გაახარა წინასწარმეტყველობით, რომ მე უბედნიერესი კაცი ვიქნები: ხელმწიფის სასახლის

ხილვას ველირსება. მეორემ, ცხინვალში, დამარწმუნა, რომ ბაბუა-ჩემს არ ჩამორჩები სახელით და შეძლებითო.

მას აქეთ, რაც ქართლში გადავედით და სოფელი ალი გავიარეთ, ჩვენ ტყეში ძილი და დაბინავება არსად დაგვჭირებია. მამიდა ჩემს ყველგან, როგორც ნაცნობს და მოკეთეს ღებულობდენ, მამუკას როგორც თავისიანს უყლიდენ. ცხინვალს რომ ჩაველით, თითქო შინ დავბრუნებულვიყოთ. აქ კი ხანს დავრჩით: მამიდა-ჩემს არა თუ ცხინვალში, მთელ მის არე-მარეში ეკლესიის ნასახი ბ ნანგრევი არ დაუტოვებია, რომ საწირავი არ შეეწიროს, ლოცვა არ მოეხადოს და წინდაწინ რამდენიმე წლის შესაწირავი არ დაეტოვებიოს. ყველა ამ სალოცავებში ის და მე, ჩვენი ქართველი ნათესავების გაყოლით, დიდი მოწიწებით მივდიოდით, თავ-ტიტველა და ფეხ-შიშველა, როგორც აუტანელ სიცხეში, ისე ნიალვარ წვიმაშიაც. ჩემ დღეში არ მინახავს ისეთი მხურვალე ვედრება, ცრემლის ღვრა და დაუზოგავი მუხლმოდრეკა, როგორსაც მაშინ მამიდა-ჩემი შეუწყვეტლად აწარმოებდა. საუბედუროთ, ავადმყოფის მდგომარეობაზე არც ლოცვას, არც საწირავს, არც საყდრების ქვის იატაკზე თავის ბეთქებას არავითარი გავლენა არ ჰქონდა: ბაბუა-ჩემი იწვა ლოგინში, თითქმის ერთიანად გრძნობა-დაკარგულიის ჩვენც ძნელად გვენდობოდა და ძნელად გვცნობილობდა და ძლიერ იშვიათად რამე გასაგებ სიტყვით მოგვმართავდა ხოლმე. ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავდით, ამ იმედს მღვდლებიც გვაძლევდენ და მკითხავებიც, რომ გორის ჯვრის ბეგრის გადახდის და შინ (ქუთაისს) დაბრუნების შემდეგ ჩვენი ვედრება გაჭრის და ავადმყოფი გამოკეთდებაო.

ამ ბნედით წაველით გორს, მოვიარეთ იქაური ეკლესია, მართლ-მადიდებელი და სომხების, ყველას ძღვენი მივართვით და ფეხ-შიშველა, ვეაბელით. ყველგან ბევრი ნათესავი და მოკეთე აღმოგვიჩნდა, ყველგან ჩინებულად მიღებული ვიქენით. ბოლოს უცნაური აღმართით ავედით გორის-ჯვრის წვერზე. კაბბეჩებმა ავადმყოფის ურეში ძლივ-ძლივს აათრიეს ამ მთაზე. ტაძარში, როგორც ჩხარს ავადმყოფს ლოგინი დაუგეთ, გავატარებინეთ სამი დღე და სამი ღამე. ეკნ იცის რამდენი კრავი და ფული შევწირეთ ამ მრისხანე ხატს, რომ შას ეპატივნა ჩვენთვის ბეგრის გადახდის დაგვიანება. რასაკვირველია, რომ ამ გორის ჯვრიდან ჩამოსვლამდე ჩვენი მოგზაურობის ყველაფერი გარკვეულად მახსოვს. მას აქეთ კი, რაც ჩვენი ურემი იქიდან ჩამოხრიგინდა, სრულიად აღარაფრის ხსოვნა არ შენახულა ჩემს მეხსიერებაში, არც დაბრუნების გზის შესახებ, არც თუ ჩემს სახლში რა მოხდა დაბრუნების შემდეგ. ამის მერმე მახსოვს ის,

თუ რა სიცხე იყო, როცა მწვანე ყვავილის სასაფლაოდან შინ ვბრუნ-დებოდით ბაბუა-ჩემის დამარხვის შემდეგ, რა გამწარებულად წრი-პინებდენ ჭრიჭინები და დაღონებული იყო აუარებელი ხალხი, რო-მელიც ჩემ დედ-მამას თავზე ეხვია იმ ნაშუადღევს; სავსებით დარ-წმუნებული ვიყავი, რომ როგორც ეს ჩვენი ოჯახი, ეს ხალხი და ჭრი-ჭინებიც უბედურ ბაბუა-ჩემს იგლოვდენ.

მაშინდელი სკოლა

შემდეგი ჩემი მახსოვრობა სწავლას შეეხება. ჩემ დას ნატალიას, რომელიც სამი წლით უფროსი იყო ჩემზე, წერა-კითხვას ასწავლიდა ჩვენი უახლოესი მეზობელი, ქვრივი, რომელსაც ყველა სეროს-ცოლს ეძახოდა, გვარად ოცხელი. ქალალდის მაგიერ მას საწერ მასალათ ძროხის ბეჭი ჰქონდა. სწავლა, რასაკვირველია, მარტო ქართულად სწარმოებდა. დედა-ჩემი მშვენიერი მწიგნობარი იყო: ამ ენაზე მთე-ლი „ვეფხის ტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. ბევრ სხვა ნაბეჭდ და ხელ-ნაწერ ქართულ წიგნებს მუდამ დღე ნასადილევს უკითხავდა მამა-ჩემს. ჩვენ ბავშობიდანვე გვიყვარდა მისი ყურისგდება. მე ისეთი ახალ-გაზრდა მიმაბარეს სასწავლებელში, რომ დედიჩემის ნამზით ყაზახს, მაქსიმე ვაშაკიძეს, მეტი საქმე არაფერი ჰქონია, გარდა იმისა, რომ დილას მხარზე შევესვი და სკოლაში წავეყვანე და შუადღის ხანს იმავე წესით შინ მოვეყვანე. სასწავლებელი სულ ახლო იყო ჩვენთან, მაგრამ გზა მაინც მეტად ძნელი იყო, ეკლიანი და ტალახიანი. სკო-ლაში ყველაფერს რუსულად გვასწავლიდენ, თუმცა ეს ენა მოსწავ-ლენთ სრულიად არ ესმოდათ, ალბად სასწავლებელში მე ბევრი ვერა ვისწავლე რა: მამა-ჩემმა მალე რუსული ენის მასწავლებელს ნადეჟ-დინს პენსიონერათ მიმაბარა. კვირა საღამოს წამიყვანდენ მის სად-გომში, ფრანგების ეკლესიასთან, სადაც შაბათამდი უნდა დავრჩენი-ლიყავ. ვერ წარმოიდგენს ხორც-შესხმული ადამიანი გადია-ჩემის ანაიას წუხილს და წყევლა-კრულვას მის თაობაზე, რომ მე მას მომა-შორეს. წყევლიდა ის მარტო ნადეჟდინის ოჯახობას. მართალი ვსთქვა, საშინლად ვნაღვლობდი შინაურებთან დაშორებას და ისეთ ყოფ-ნას, სადაც ვერავის ვერას ვასმენდი და არავისი არაფელი მესმოდა. მგონია იქ დიდხანს არ დავრჩენილვარ, მალე სხვანაირ ოსტატს მიმაბარეს. მამა-ჩემს საშინლად ეთაკილებოდა, რომ თითონ უსწა-ვლელად იყო დარჩენილი: ქართული წერა-კითხვის და ანგარიშის მეტი არა იცოდა-რა. ამიტომ ის არავითარ ხარჯს და მეცადინეო-ბას არ ზოგავდა ჩემი რიგიანად აღსაზრდელად. როცა ნადეჟდინმა მოკლე ხანში ვერაფერი მასწავლა, მიმაბარეს ტფილისის გიმნაზიიდან

დათბოვნილ უფროსს კლასების შეგირდს, პეტრე ჩარექოვს, რომელთან ნასადილოებით დავიარებოდი ყოველ დღე, ორიოდ-სამ საათის ვადით. მას უნდა აეხსნა ჩემთვის, რასაც სასწავლებელში დილაობით გვასწავლიდენ. ის საშინელი პრანჭია იყო: ტანისამოსს იცვამდა ისეთს, როგორიც ქუთაისს ახლავის ენახა, გახამებულ პერანგებს ატარებდა და მბზინავ წაღებს, პირს ყოველ ცისმარე დღეს იპარსავდა და ულვაშებს სადგისებივით იწკაპინებდა. ჩვენთან თავი ამპარტავნათ ეკავა, სულ რუსულად, ბრძანების კილოზე გველაპარაკებოდა; ქართულს, სანამ ძლიერ არ გაუჭირდებოდა, სულაც არ ხმარობდა. ის უფროსი შვილი იყო მისსავით გრეხია ლარიბი აზნაურის, ანტონ ჩარექიშვილის, რომელსაც მას გარდა, ათიოდე სხვა ვაჟი-შვილი ჰყავდა და არც ერთი ქალი. მთელ ამსიდე ოჯახს მისი ჭკვიანი და მშრომელი ცოლი ინახავდა თავის მკერვალობით. ჩემ მასწავლებელ პეტრეს ის ქარა, რომელსაც შეგირდებს ახდევინებდა, ტანისამოსზე ძლივს ყოფნიდა. ამ ოჯახის ყველა დანარჩენი შვილები, ერთის გარდა, რომელიც ჩვენთან გამოიზარდა, სულ უსწავლელად დარჩა.

ჩარექოვს, ჩემს გარდა, ბევრი სხვა შაგირდიც ჰყავდა. მათში ყველაზე უფრო ნათლად ორი დამახსოვრდა. იმავე უბანში, საცა ჩარექიშვილებს სახლი ედგათ, ერთი მოხუცი მდიდარი ფრანგის ქალი ცხოვრობდა, რომელსაც ყველა მადმუაზელს ეძახდა. ეს იყო ფრანგის მიცვალებული კონსულის გამბას ქალიშვილი და მემკვიდრე. ამ კონსულს ვორონცოვმა ორმოციან წლებში უწყალობა იმერეთის მეფეებისეული დიდებული აჯამეთის ტყის უმეტესი ნაწილი იმ პირობით, რომ გამბას ადგილობრივ მებატონეებისთვის მაგალითი ეჩვენებია, თუ საფრანგეთში მიწას როგორ ამუშავებენ, ან რა და რაის მოწევა იციან. გამბას ალბათ მართლა ნდომებია ამ დავალების აასრულება. მას საფრანგეთიდან მთელი კრებული მოეყვანა მებაღეების, მებოსტნეების და სხვა და სხვა ხელობის ხალხისა. საუბედურეოთ, ის მალე მომკვდარა, მის ქალს ტყეში მარტო ვერ გაუძღია და ქუთაისს გადმოსახლება ურჩევია. მის მახლებლებისაგან მახსოვს გვარები ძმის კამპოკასოების, მზარეული ბერნოსი და მებაღე მარრის. ამ ორი უკანასკნელის შვილები ჩემთან ერთად სწავლობდენ ჩარექოვთან. ჩვენი სწავლა იმაში მდგომარეობდა, რომ ოსტატი გვამეორებინებდა რაც იმ დილას სკოლაში ხვალისთვის სასწავლებლად დაგვინიშნეს და სახალიოთ გვამზადებდა. რუსულ გაკვეთილს გვაკითხებდა და ხანდისხან ქეც გვიხსნიდა. მერე „პერემენას“ გვიცხადებდა, რომელსაც ჩვენ, შაგირდები, კოპის თამაშში ვატარებდით, ან ბაღში ხეებზე ატოტყებაში. ბერნოს შვილმა, კარლოს, სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში დაამ-

თავრა, ჩემზე ორი წლის შემდეგ. მერე დაასრულა სამხედრო საექიმო აკადემია, პეტერბურგში ექიმი გახდა და შორაპნის მაზრის ექიმად მოკვდა. მის პატივისცემით კარლო ჩხეიძეს მისმა მშობლებმა სახელად კარლო დაარქვეს. მეგალე მარრის შვილს, იაკობს, სწავლა დიდ-ხანს არ გაუგრძელებია; მამა მისის გარდაცვალების შემდეგ ის გურიაში, დედასთან წაიყვანეს, სადაც მას მალე ცოლი შერთეს. მისი შვილი-ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, ნიკო მარრი ბრძანდება.

ჩარექოვის ცუდი ის იყო, რომ წამდა-უწუმ გსჯიდა სულ უბრალო დანაშაულობისათვის. სახელმწიფო სკოლაში, რომელიც მალე გიმნაზიად გადააქციეს, ბავშვებს ძლიერ იშვიათათ სჯიდენ, ისეც მარტო დიდი ცელქობისთვის სჯიდენ რამდენიმე საათით ბნელ ოთახში დამწყვდევით, სწავლის გათავების შემდეგ უსადილოთ სკოლაში დატოვებით, სულ იშვიათად—გაწკეპით. ჩემ გიმნაზიაში ყოფნის დროს არ მახსოვს, რომ აქ ვინმე დაესაჯოთ ამ სამარცხვინო სასჯელით. ჩარექოვს კი ის ალალად მიაჩნდა. საკმაო იყო ვინმე ჩვენგანს მამა ბისის ლელვის ხეზე შესწრებოდა,—იმავე წამს ყველა შაგირდებს ოდის დიდ ოთახში შეყრიდენ, ბავშვებს ორ-მწკრივად დარაზმავდა, დამნაშავეს ნიფხავს ჩაახდევინებდა, იატაკზე დააწვენდა, მის თავს და ფეხებს მოზრდილ ამხანაგებს გააკავებინებდა, ხელში ბზის ლინეიკას აიღებდა და მით საკუთარი ხელით ღრიალა ბავშვს ტიტველა ტანზე სცემდა. ყველასთვის, მის გარდა, ეს მწარე საცოდაობა იყო. ის კი რალაცნაირ აღტაცებით აწარმოებდა ამ ულვთო წვალებას. ყოველ-ბვარ დანაშაულობისათვის მას ამ ერთი დასჯის მეტი სხვა არა ჰქონია-რა. განსხვავება ხანდისხან მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ ლინეიკის მაგიერ ის ხან წკეპლებს ხმარობდა, ხან ჯინჭრის კონას,—საკვირველია, რომ ჯინჭარი დასჯილებს ყველაზე ნაკლებ სძულდათ.

სახელმწიფო სასწავლებელში სწავლა მეტად ძნელად მიდიოდა. უმეტესი ნაწილი შაგირდებისა, თვით მოსამზადებელ კლასშიაც,—წვერ-ულვაშებიანი ვაჟკაცები იყვნენ, ახლად ჩამოყვანილები სოფლიდან. რუსულის მათ არა გაეგებოდათ-რა, ხან როგორც ქართულის,—მათ მასწავლებლებს. სწავლა კი მარტო რუსულად და რუსულ წიგნების შემწეობით წარმოებდა, ჩვენს მოსამზადებელ კლასში მასწავლებლად გვყვანდა ახალგაზრდა გერმანელი, კარლ ივანიჩ გაუსმანი, რომელიც ამ ბოლო დრომდენაც გორის სამოსწავლო სემინარიაში მსახურობდა. როცა ის ვერას გააგებინებდა მოზრდილ შეგირდს, მიბრძანებდა: შედექ სკამზე ამ შეგირდის გვერდით, მიწვდი მის ყურს და ჩასძახე, თუ რას ვეუბნევიო. კლასში მე ყველაზე უფრო პატარა და დაბალი ვიყავი; გაუსმანს იმედი ჰქონდა, რომ ჩემი და-

საქმება მოზრდილების თავმოყვარეობას წააქეზებდა. მოზრდილები კი ბრაზდებოდენ და უმოწყალოთ მცემდენ, თითქო მათი შერცხვენა ჩემი ბრალი ყოფილიყოს.

მოსამზადებელ კლასში, ჩემ განყოფილებაში, ასამდე შეგირდი ვიყავით, უმეტესი ნაწილი მოწიფული ვაჟკაცი, როგორც წელან ვსთქვი. ჩვენ გვერდით მეორე მოსამზადებელი კლასიც იყო მოწაფეთა ამდენივე რიცხვით. ამ ორას ყმაწვილიდან მარტო შვიდმა გავათავეთ გიმნაზია ცხრა წლის შემდეგ. დანარჩენი ნელ-ნელა გზაში გვრჩებოდა. თითქმის ყოველ ორშაბათს შევიტყობდით ხოლმე, რომ ამა თუ იმ ჩვენ ამხანაგს გუშინ ჯვარი დაუწერიაო. ორიოდეჯელ ისიც გვითხრეს, — გუშინ-წინ ესა და ეს ჩვენი ამხანაგი მოიტაცეს, დაათვრეს და დააქორწილესო. ამათში ერთი ჩემი ახლობელი ნათესავიც ერია, რომელიც მაშინ ჯერ თხუთმეტი წლის არ იყო.

მე სულ ახლად შეყვანილი ვიყავი სასწავლებელში, როცა შიგ უცნაური ამბავი მოხდა. სასწავლებლის დასათვალიერებლად რუსეთიმწიფის მემკვიდრე, ალექსანდრე ნიკოლაევიჩი გვეწვია, რომელმაც შემდეგ იმეფა ალექსანდრე მეორეს სახელით. უმაღლესს კლასში მან უფროს შეგირდს, წვერ-ულვაშა ახალგაზრდას, ვინმე პატარიძეს ჰკითხა რუსულად, რამდენი წლის ხარო; უბედურს ეგონა რამდენი ხანი სწავლობო, და მიუგო „ტრი გოდო ვაშე იმპერატორსკოე ვისოჩესტვო“-ო. როცა მემკვიდრე ღიმილით გავიდა კლასიდან, შერცხვენილმა სასწავლებლის გამგემ საწყალი ყმაწვილი უმაღლეს კლასიდან დასამზადებელში დააბრუნა და გვერდში მომისვა. რასაკვირველია, პატარიძე დიდხანს აღარ დარჩენილა სასწავლებელში. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ის შემხვდა ზესტაფონს, შორაპნის პოლიციაში მდივნის თანამდებობის აღმსრულებლად, წელმოხრილი მოხუცი.

სწავლა ჩვენს გიმნაზიაში მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ ზეპირად უნდა გვესწავლა რუსულ სახელმძღვანელოებში მასწავლებლისაგან დანიშნული ადგილები, რომლის აზრი თითქმის არავის ჩვენგანს არ ესმოდა. ზოგიერთები მთელ წიგნს იზეპირებდენ სრულიად გაუგებრად, თუთიყუშივით.

ამ ხანების მახსოვს კიდევ ჩვენი ოჯახობის მოგზაურობა დღეობებზე დიდ-ჯიხაიშში, ხრნს და კულაშს, სადაც ნათესავებს ვეწვეოდით ხოლმე; დილაობით ეკლესიაში წირვას ვისმენდით და ნაშუადღევს ვუყურებდით ჯირითს თვალუწვდენელ მინდვრებზე, რომელიც იმ დროს ყოველ საყდარს გარს ერტყა. დიდი მზადების და მოკაზმის შემდეგ ქალები ვერცხლის რახტით შემკულ ცხენებზე შესხდე-

ბოდენ, კაცები რაშის შზგავს აჯილღებზე და მთელი არე-მარე ივსებოდა რახტის რაწკუნით. დიდებული კრება, დოღი, ჯირითი და მხიარულება საღამომდი გრძელდებოდა. თითოეულ ასეთ დღეობაზე მეოთხედი იმერეთი მაინც იკრიბებოდა. განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ხონის გიორგობა, 23 აპრილს. ყველა ამ ხვთაობებს არა თუ თავად-აზნაურობა ესწრებოდა თავის უთვალავი მხლებლებით, გლეხკაცობაც ცოდვათ თვლიდა გამოკლებოდა მას. ყველაზე უფრო წარმოუდგენელი ხალისით მთელი ხალხი ბურთის თამაშში იღებდა მონაწილეობას. ბურთი ყოველთვის შემოსილ მღვდელს, ხანდახან არქიელსაც, გამოჰქონდა მინდორზე, მოოქრული ვერცხლის სინზე. ახალ-კვირაობით დღეობას კულაშს იხთიდენ, მაცხოვრის მინდორზე; აღდგომის შემდეგ მეორე კვირას დიდი ჯიხაიშის ქაშვეთობა იყო, მესამე კვირას—გეგუთობა, შვიდ მაისს,—კოხინჯრობა—ქვიტირს, და ასე თითქმის ყოველ კვირა დღეს ქვემო-იმერეთის რომელიმე სოფელი სადღეობოთ ნათესავთ და მეგობრებს პატიჟობდა. ვერცერთი მიტინგი ვერ აჯობებდა ხალხისთვის, იმ უგაზეთო დროში, ამ ძველებურ ყრილობებს, დღეს სულ გადავარდნილებს. ადამიანი ამ კრებაზე წარმოუდგენელი სისწრაფით ტყობილობდა ახალ ცნობებს.

განსაკუთრებით ხშირათ დავიწყეთ ასეთ დღეობებზე სიარული მას შემდეგ, რაც მამა-ჩემმა 1852-ში იკისრა მთავრობისთვის ქვიტ-კირის ხიდის აშენება ყულევის (რედუტ-კალეს) გზაზე, მდინარე ცივზე, სოფელ თეკლათის სიახლოვეს. მან შეიძინა ტარანტასი, რომლითაც ინჟენრები მოყვანდათ მუშაობის დასაოვალიერებლად, ე ტარანტასი ჩვენც გვატარებდა ხონს და კულაშს უქმე დღეებში. ამას გარდა, ამავე ტარანტასით მე ხშირად დავყავდი მამა—ჩემს სამეგრელოში, როგორც ცივის ხიდზე, ისე მის მეგობრებ-თავად მაქსიმე ქოჩაკიძესთან (ჩვენი პოეტის, გიორგი ჭალადიდელის მამასთან), გრიგოლ მხეიძესთან და სხვებთან, სადაც რამდენჯერმე დიდებულ ჭალა-დიდის ტყეში ირემზე ნადირობასაც დავსწრებივარ.

ა ხ ა ლ - ნ ე რ გ ი

ბაბუა-ჩემი პირველი ქართველი ყოფილა, რომელსაც ვაჭრობა დაუწყია იმერეთში, იქნება საქართველოშიაც. მანამდე ქართველები ვაჭრობას თაკილობდენ და მას მარტო უცხოელები აწარმოებდენ: ებრაელები, სომხები, ფრანგები, რომელთაც ძველ დროიდან მოსახლეობის ნება ჰქონდათ მინიჭებული ზოგიერთ ქალაქის და სოფლების განკერძოებულ უბნებში. დანარჩენ ადგილას მათ მარტო დანიშნულ დღეებში შეეძლოთ საქონლის გამოფენა და გაყიდვა. ამ უცხოე ნე-

ბის ჩვენში ცხოვრება რამდენიმე საუკუნის საქმეა: მათგან არავის, სამღვდელოების გარდა, ქართულის მეტი სხვა ენა აღარ სცოდნია; ყველას ჩვენებური ტანისამოსი ეცვა, კაცსაც და ქალსაც. ებრაელს კიდევ გაარჩევდა ადამიანი იმერლისაგან, მოუპარსავ წვერით და კავებით (კიკინებით), სხვებს კი ადგილობრივ ხალხისაგან გარჩევა აღარ ჰქონდათ. რა გინდა ღარიბი ყოფილიყო იმერელი კაცი, ვაჭრობას მაინც არ კადრულობდა. გლეხიკაცის ცოლი ბაზარში ქათამს ან გოჭს გასაყიდათ რომ გამოიყვანდა, პირისახეს თათრის ქალივით აიხვევდა: არავინ წამესწროს ასეთ საზიზღარ საქმეზეო.

ბაბუა-ჩემს, აბაშიძეების დამხობის და თავის განთავისუფლების შემდეგ, ოჯახის სარჩენად მიწა-წყალი აღარ გააჩნდა, რადგანაც მამა-პაპური მიწა მებატონესაგან გაქცევამ დააკარგვინა. ვაჭრობის დაწყების მიზეზი ეს უნდა ყოფილიყო. ჯერ, რასაკვირველია, მეწვრილმანეს ხელობას შეუდგებოდა და ალბათ დიდ ხანს იწვალებდა თავს ამ დარგში, სანამ უფრო მოზრდილ საქმეებისთვის ხელს გაიმართავდა. მერე მას გაუბედავს რიონის პირველ მებატონე ივანე ავალიანისთვის წისქვილის საზიაროთ მოწყობა. ამ წისქვილის არხი გამოყვანილი იყო სოფელ გუმათის დაბლა, შუა გზაზე ქუთაისიდან ოფირჩხეთს. წისქვილს უვლიდა მიწა-წყლის მეპატრონე ავალიანი, ძლიერ სხვილი და მძიმე კაცი, ხუმარა, მხიარული, მემუსაიფე, რომლის მოსვლა ჩვენსა ერთ-ნამცეცა ჯორზე, მიწაზე ფეხის თრევით, მთელ სახლისთვის ნეტარებას შეადგენდა. წისქვილს გვარიანი შემოსავალი მოჰქონდა, ჩინებული მოვლა ჰქონდა და მას მთელი მხარე შენატროდა. ოცდაათიან წლების ნახევარში მამუკა და მამუკას შვილები ვაჭრობისთვის მარტო ტფილისს კი არა, რუსეთშიაც დაიარებოდნენ. მამუკას უფროსი შვილი, გრიგოლი, და მამა-ჩემი იმ ხანებში საქსონიაშიც ყოფილან ლეიპციგის იარმუკაში, სანამ კიდევ შეიძლებოდა საზღვარ-გარეთიდან რუსეთში საქონლის შემოტანა. იმ დროიდან ჩვენს ოჯახში დიდ ხანს ინახებოდა საინები და ჭურჭელი საქსონიის ხელობისა, მუქი ლურჯი სურათებით, რომელსაც ვხმარობდით როცა დიდი სტუმრობია გვქონდა. ბაღში, ვენახის ბოლოს, დიდ ალუჩას ჩრდილში, კოინდარზე გაფენდენ ფარდაგს, ზედ გაშლიდენ ლურჯი ჩითის გრძელ სუფრას, თეთრად დახატულ დანა-ჩანგლით, თეკზებით და ატმებით, რომლის გარშემო ფეხმოკეცილი დასხდებოდენ სტუმრები და მასპინძლები. იქვე ღელის ნაპირზე, შიშინით იწვებოდა შამფურზე მწვადები, ხან გოჭი, ხან კრავი. ღვინოს დოქებით ჩვენს ჭაში აცივებდენ. დიდ ხანს გრძელდებოდა მამი-ჩემის თარის კვრა და სტუმრების მღერა: „ლოთებო ნეტავი ჩვენა, დღეს მოგვეცა შვება-

ლხენა!“... ეს სიმღერა ბავშობიდან ხშირად მესმოდა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სანამ ვიყავი, მე არც ერთი ლოთი მთვრალი არ მინახავს, თუმც მხიარული თითქმის ყველა დგებოდა სუფრიდან.

ამავე დროს (ოცდაათიან წლების ნახევარში) ჩვენ ოჯახს მით დატყობია კეთილდღეობა, რომ ორ-სართულიანი ოდა გაუშენებიათ უწინდელ დაბალ სახლის მაგიერად. იმ ხანებში ძალიან ცოტა ხალხს ედგა ოდები, უმრავლესობა დაბალ, უიატაკო და უბუხრო სახლებში ცხოვრობდა. ამ სახლებს დახეთქილ მუხის ფიცრებიდან აშენებდენ ისე, რომ რკინის ლურსმანს არ ხმარობდენ. სარძიკვლის ლერძაყინ-ში ფეხს ჩაუდგამდენ სვეტებს, რომელთაც ორივე მხრით ღარებს უტოვებდენ, რომ ამ ღარებში ფიცრები ჩაეშენებიათ. როცა ფიც-რებს ასე ჩადგამდენ სვეტებში, ამ სვეტების თავებზე ჩამოაცვამდენ კოჭებს, რომ ქარს სვეტების და ფიცრების დანგრევა აღარ შეძლე-ბოდა. იატაკის მაგიერობას დატკეპნილი თიხა შვრებოდა, და სახუ-რავისას — ისლი. შუაგულ სახლში კერა იდგა, რომლის კვამლი სახუ-რავის სათავეში გადიოდა. ოდებს კი სულ სხვა ოსტატები და სულ სხვანაირად აშენებდენ,—ან წაბლის, ან ძელქვის ერთი ზომის და სიგრძის დახერხილ ფიცრებიდან. არც მათ აშენებაზე ხმარობდენ რკინას და ლურსმნებს: ეს ფიცრები შეკრულნი იყვენ კუთხეებში ჩაჭდობილ ნიკბებით და შუა გულ რიკებით. რა გინდ მძლავრი ქარი ყოფილიყო ამ ერთმანეთში ჩაჭდოვებულ ფიცრებს ის ვერ დაძრავდა და შეარყევდა. როგორც ოდების, ისე დაბალ სახლების ფიცრებს, შენების დროს, ნიშნე-ბით აჭდოვებდენ, რომ შემდეგ სახლის დანგრევა და ერთი ადგილიდან მეორეში გადატანა შეუცდომლათ შესძლებოდათ, ისე, რომ არც ერთ ფიცარს თავის ადგილი არ შეცვლოდეს. ოდებს და მგონი დაბალ სახლებ-საც იმ დროს ჩვენში მარტო თათრის ხელოები გვიშენებდენ. იმერლები-დან ეს ხელობა არავის სცოდნია. პირველი რაჭველი დურგალი, ბე-სარიონ დათეშიძე, მამა ჩემმა ტფილისიდან ყირიმის ომის დაწყების წინ მოიყვანა. ამ ნიჭიერმა და ღრმად პატიოსანმა ოსტატმა, რომე-ლიც მამა-ჩემის სიკვდილამდე ყველა ჩვენ სადურგლო მუშაობას აწა-რმოებდა, გამოზარდა უთვალავი მოდგმა რაჭველ დურგლების და ოსტატებისა. ჩვენს ოჯახში ის შინაური კაცი იყო მუდამ, მისი შვი-ლი, ყარამან, ჩვენსას გაიზარდა მამა-ჩემის ხელმძღვანელობით და დიდ ხანს მის თანაშემწეთ იყო. შემდეგ ეს ყარამანი შესანიშნავი მეტყევე გამოდგა და დიდი ქონების პატრონი შეიქნა.

რუსეთში მამა-ჩემს მამუკა აგზავნიდა აგრეთვე ოცდა-ათიან წლებიდან. იმ დროს ქუთაისიდან რუსეთში სავაჭროდ მარტო სამი კაცი დაიარებოდა: გორიდან გადმოსახლებული სომეხი პეტრე მღებ-

როვი, აგრეთვე გორელი ფრანგი გაბრიელი ენდრონიკაშვილი და მამა-ჩემი. გზაფხულზე ისინი შეიკაზმავდენ ცხენებს, დაიბარებდენ შინ: მღებროვი—ტერტერას, ენდრონიკაშვილი—პატრს, მამა-ჩემი—დეკანოზს, გადაახდევინებდენ მთელი ნათესაობის თანდასწრებით პარაკლისს, ტირილით დაჰკოცნიდენ ცოლ-შვილს და მიდიოდენ რუსეთში ტფილისის და კავკავის გზით. დაქანცულ ცხენებს გაჰყიდდენ კავკავში, საიდანაც დაქირავებულ ფურგონით მიდიოდენ როსტოვით მაკარიის (ნიჟნი ნოვგოროდის) ბაზრობაზე. იქედან ნაყიდ საქონელს ცხენებით გზავნიდენ ჯერ როსტოვს, სადაც რკინეულობას და თევზეულობას ყიდულობდენ, და მერმე ყველაფერს ერთად ჩალავადრებით კავკავის ქედით ქუთაისს აგზავნიდენ. უჯდებოდათ ეს გზა მამასიხლის ფასად: არა ნაკლებ ხუთი მანეთისა ფუთი. საქონელი სველდებოდა, იკარგებოდა, ფუჭდებოდა გზაში, მომვლელი სად იყო, ერთ ჩალავადარს ათი ცხენისთვის უნდა ეპატრონა. ვაჭრების მოგზაურობა თითქმის ნახევარი წელიწადი გრძელდებოდა. მამა-ჩემს როსტოვში რომ გემები ენახა და გაეგო, რომ ისენი საქონელს ზღვით ზიდვენო, ეკითხა—შავ ზღვაზედაც შეუძლიანთ ამათ სიარულიო? ყულევშიც მიიტანთ საქონელსო, რა ფასათ? და სხვ. როცა ეს ყველაფერი გამოიკვლია, ის ჩაცივებია ორივე თავის მგზავრს, საერთოდ ვიქირავოთ დიდი გემი და ზღვით წავიღოთ საქონელიო. ხუმრობაა, ფუთი საქონელის ყულევს მიტანა ხუთი მანეთის მაგიერ, ათ შაურად დაგვიჯდებაო. მგზავრებს უსვრიათ ქვა და თავი შეუშვერიათ: გაგიჟდა კაცო, თუ რას როშავ, ჩვენ ქე რა გვეხარჯება: ამ ქირას ხომ მაინდელი იხდის, ზღვას როგორ ვანდობთ ჩვენს ქონებას და სიცოცხლესო? იმ წელიწადს მამა-ჩემს ველარ გაუბედნია ამ ზღვის გზის სინჯვა. მაგრამ შემდეგ მოგზაურობის დროს პირჯვარი გადაუწერია, უქირავნია შუათანა ზომის გემი, ჩაულაგებია შიგ თავისი საქონელი, ჩამჯდარა და გამოუწევია ყულევისკენ, რომელიც მაშინ ერთად ერთი გემსადგომი იყო ამიერ-კავკასიისთვის. ბედს არ გაუწირავს გამბედავი ახალგაზრდა. გემი ყულევს მშვიდობით მიადგა ბევრად უფრო ადრე, ვინემ ჩალავადრებმა კავკასიის ქედი გადაიარეს. შემდეგ წელიწადს მამა-ჩემმა ყულევიდანაც ქუთაისამდი საქონლის წაღება გაიადვილა: ნავებით აიტანა ორპირამდი, საიდანაც ქუთაისამდე სულ ურემი ერთ დღეს ადის. ზღვის გზით საქონლის მოზიდვა მამა-ჩემს თურმე უფრო იაფად დაუჯდა, ვინემ მის მეტოქეებს. ამ მიზეზით მან შესაფერად გააიეფა ყველაფერი, რითიც კი ვაჭრობდა. მეწვრილმანე ვაჭრებმა იმწამსვე დააფასეს ეს ფასებში განსხვავება მას და მის მოცილეებს შუა. ამის შემდეგ მამა-ჩემს ტოლი ალარ ჰყავდა ვაჭრებში.

საკვირელი კი არის, რომ ამ მაგალითს ტიდხანს არავითარი გავლენა არ ჰქონია მღებროვზე და ენდრონიკაშვილზე. ისინი რამდენიმე წელიწადს თავიანთ საქონელს ძველებურათვე ხმელეთით გზავნიდენ, სანამ თითქმის ერთიანად არ დაჰკარგეს მუშტარი.

უნდა გვახსოვდეს, რომ არა თუ იმ დროს, ათი-თუთხმეტი წლის შემდეგაც ორმოცდა-ათიან წლებშიც, რუსეთს მარტო იალქნის გემები გააჩნდა, არა თუ სავაჭროდ, სამხედრო საჭიროებისათვისაც. მთელი შავი ზღვის ფლოტი ყირიმის ომის წინ იალქნის გემებიდან იყო შემდგარი. ორთქლის გემი მარტო ორიოდე ჰყავდა მთავრობას შავ ზღვაზე ადმირალების და ხელმწიფის შვილების სამგზავროდ. იალქნის გემებით მოგზაურობა კი მართლაც ძნელი და სახიფათო იყო. მამა-ჩემაც ვერ ასცდა ამგვარ ხიფათს. ყირიმის ომის დროს მთელი შავი ზღვა რუსეთის მტრების ხელში იყო და ჩვენში საჭირო საქონელი რუსეთიდან უწინდლურად ხმელეთის გზით მოგვდიოდა, იმ განსხვავებით, რომ ფუთი საქონლის მოტანა თუმანზე მეტი ჯდებოდა. ომი რომ შეწყდა 1856-ის გაზაფხულზე, მამა-ჩემმა მაკარიის იარმუკას აღარ უცადა, მოსკოვს საჩქაროდ გაემგზავრა იაფი საქონლის მოსაზიდათ. მოსკოვს და როსტოვს ნაყიდი საქონელი მან დიდ გემებში ჩააწყო და გაემგზავრა ყულევისკენ. ეს შემოდგომის დამლევს ყოფილა. გავიდა ენკენისთვე, მას ოქტომბერი მოყვა, დაილია ნოემბერი, დეკემბერში ის ვაჭრებიც დაბრუნდენ თავიანთი საქონლით, ვინც ხმელეთის გზას ჯერეც არ ანებებდენ თავს, —მამი-ჩემის და მისი გემის ხსენება არსაით ისმოდა. ყველა დარწმუნდა. რომ იაკობ მამუკაშვილი თავის საქონლით შემოდგომის ქარიშხალში დაიღუპებოდაო. ჩვენ ისეთ გლოვაში ვიყავით, თითქო შინ კუბო გვდგომოდეს. შობის კვირაში მამა-ჩემი უეცრად მოგვადგა კარზე. გვიამბო, რომ მისი გემი აღელვებულ ზღვას სამი თვის განმავლობაში ბურთივით უთრევია ერთი კუთხიდან მეორესკენ, ხან სინოპთან გაურიყავს, ხან ყირიმის ნაპირებზე, სანამდი ყულევს მიუყვანია. მამი-ჩემის ბედნიერად დაბრუნებას მთელი ქალაქი გვილოცავდა და დღესასწაულობდა. მაშინ გვითხრეს, რომ სანამ გემი დაღუპული ეგონათ, მამი-ჩემის მოცილე ვაჭრები თურმე დაცინვით იხსენიებდენ მის დაღუპვას: ვერ მოისვენა, თავის ქონება შმაგ ზღვას ანდო, სხვისი ჯობნა უნდოდაო და სხვა. მაგიერათ მისმა მოტანილმა აუარებელმა საქონელმა შესამჩნევად გააიაფა იმერეთის ცხოვრება. რაშიც მისი მეტოქეები ხალხს მანეთს ახდევინებდენ, მამი-ჩემის საწყობები ამ ფასის ნახევარს, ან მესამედს ილებდენ. გაზაფხული ჯერ კიდევ არ დამდგარიყო, რომ მთელი ეს საქონელი ხალხმა დაიტაცა და მამა-ჩემს ხელახლად დას-

ჭირდა კაცის გაგზავნა რუსეთში, ახალ სავაჭრო მასალის დასაბარებლათ.

ვაჭრობაში რომ ფეხი მოიმაგრა, მამა-ჩემმა ახალ ხელობასაც მოჰკიდა ხელი: ყველაზე უფრო საჰეირო საქმე, მისი დაკვირვებით, იყო მთავრობისაგან შენობების, ან გზის კეთების ნარდათ აღება. ამ ხელობას დიდი თანხა არ სჭიროდა საკუთრად, რადგან თვითონ მთავრობა სესხად იძლეოდა თანხას, როცა მას გირაოდ რაიმე მამულს ან შენობას წარუდგენდა მოიჯარადრე. პირველად მამა-ჩემმა ასეთი სახლის კისრება გაბედა ორმოცდა-ათიან წლების დასაწყისშივე, როცა ნარდათ აიღო ქვიტკირის ხიდის აშენება მდინარე ცივზე, რომელიც რიონს ეროვის სენაკის მაზრაში, სოფელ თეკლეთთან. არის სულ სხვა მდინარე ცივი, რომელიც ყულევთან ერთვის მდინარე ხობს თავის ტოტით, მდინარე ციით. იმ მდინარე ცივს, რომელზედაც მამა-ჩემს ხიდი უნდა აეშენებია, თვისება აქვს,—უეცრად საშინელი მომატება იცის, გზებს სპობს რამდენიმე დღით, ნაწვიმარზე, მთელ თავის სიგრძეზე. ყულევის გზა მაშინ, როგორც ეხლა ფოთის, ეკის მთის ძირში გადიოდა, თეკლათის სოფელთან, ცოტათი ჩრდილოეთით იმ ადგილისა, საცა შემდეგ ახალ სენაკი ააშენეს. როცა ამ ხიდის აშენებას საჯარო ვაჭრობით სცემდენ, მამა-ჩემმა ყველა სხვა მეტოქეებზე ნაკლები ფასი დანიშნა, რადგან წინადვე მორიგებული ყოფილიყო ადგილობრივ მეპატრონეებთან—საზიაროდ ვიმუშავოთო, და მასთან მტკიცეთ გამოეკვლია, თუ რა დაჯდებოდა მასალა და ხელფასი. ამ საქმეს ის მეტად გულ და გულად შეუდგა, უნდოდა ამ პატარა მუშაობაზე საფუძვლიანად შეესწავლა მთავრობისთვის საიჯარო საქმეების გარემოებები, რომ მერე დიდრონი შენობების ნარდათ აღება შეძლებოდა. ამ მუშაობაზე მან პირველად გამოიყენა საიდუმლო, რომელიც მისთვის ერთ მეგობარ ბერძნის კალატოზს გაემხილა: „თუ გინდა სიმაგრე მისცე ქვიტკირს, რომელსაც წყალი ეხება, კირს და სილას რომ ზილავდე, შიგ დაფქვილი, კარგად გამომწვარი აგური ჩაუმატეო“. მოგეხსენებათ, ყირიმის ომამდე ჩვენში ცემენტი არავის ენახა და მისი კეთება არავინ იცოდა. ცივის ხიდის შენების დროს იმ კალატოზის რჩევა მამა-ჩემს ძლიერ გამოადგა. მდინარე რომ მოიმატებდა და ახალ ნაშენ კედლებს გადაივლიდა, ქვიტკირი არ იშლებოდა, თუ ორი-სამი დღის ამოყვანილი იყო. ცემენტიც ხომ მიტომ იძენს სიმაგრეს, რომ იმ ქვაში, საიდანაც ის კეთდება, იგივე თიხა ურევია, რომლისგან აგური იწვება.

ცივის ხიდი ჯერ კიდევ გათავებული არ იყო, როცა მამა-ჩემმა ქუთაისს თითქმის პირველი ქვიტკირის სახლის შენება დაიწყო ჩვენი

ეზოს სიახლოვეს, სკაპცებიდან ნაყიდ ადგილზე, იმ ალაგის პირდაპირ, სადაც სახელოვანი მხატვარი გაგარინის გეგმით დაიწყეს გელათის ტაძრის მგზავს ეკკლესიის შენება.

ჯერ ბაბუა-ჩემმა და მის შემდეგ მამა-ჩემმა მათ მოსახლეობის გარშემო მალე შეიძინეს საკმაო ადგილი, მშვენიერი ბაღის გასაშენებლათ, რომელიც სამი ქცევა მაინც იქნებოდა. ეს ბაღი რუსების ჯარის სადგომ ფარდულის უკან მდებარეობდა. ფარდულში военно-рабочая როტა იდგა, შემდგარი სულ მოხუცი სკაპცებიდან, რომელთაც, ნიკოლოზ პირველის დროს, სიკვდილამდი მუდმივი სამსახური ემართათ და მათი როტის უფროსი ნებას აძლევდა კერძო პირებთან ემსახურათ, იმ პირობით, რომ ქირის ნახევარი უფროსისთვის მიეტანათ. ზოგიერთ ამ სკაპცებს ფარდულის სიახლოვეს საკუთარი ქოხები ჰქონდათ მიდგმული, სადაც ცოლები უდგათ და რამე სამუშაო მოწყობილებას აწარმოებდენ. როცა როტის ფარდული დაძველდა, დაინგრა და მის მაგიერ ახალი ქვითკირის კაზარმა გააშენეს სულ სხვა ადგილას, სკაპცების ქოხები მათ საკუთრებათ ჩარჩა. ეს ქოხები მამა-ჩემს შეუყიდნია, იმ მიწითურთ, რომელიც მათ ქვეშ და გარშემო იყო. ქალაქის ავლა-დიდება, მიწა-წყალი და საქმეები იმ დროს სანამ ქუთაისის გუბერნია გაიხსნებოდა, სულ უბრალო მაზრის უფროსს ებარა, გუბერნიის გახსნის შემდეგ კი—მარტოხელა პოლიცმეისტერს. მათთან საქმის მოწყობა, ისე, რომ მიწის მითვისებას არავინ გამოკიდებოდა, ძლიერ ადვილი ყოფილა და არც ძვირათ ჯდებოდა თურმე. იმ ადგილას, სადაც როტის ფარდული იდგა, რომელსაც წინ როტის უფროსის, კაპიტან ვიტეს, ერთსართულიანი შენობა ჰქონდა მიშენებული, ბულვრის მხრით, შემდეგში ეკკლესიის შენება დაიწყეს და მიატოვეს, ისე რომ მთელი ეს მხარე დიდხანს, სამოცდაათიან წლებამდე, მიყრუებულ სანაკლო ნანგრევს წარმოადგენდა. ამ ნანგრევებზე, რომლებზეც სახელოვანი მხატვარი გაგარინის გეგმით გელათის ტაძრის მსგავსი ეკკლესია უნდა აშენებულიყო, სამოცდაათიან წლებში ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა ბლეხებიდან მოკრეფილ ფულით დაამთავრა გაგარინის მიერ დაწყებული ტაძარი, რომელსაც საარქიელო სობორო დაერქვა. როგორც კი გაგარინმა ამ ტაძრის საძირკველი გაათხრევინა, ამ საძირკვლის პირდაპირ, აღმოსავლეთის მხრით, ქუჩის გადაღმა მამა-ჩემმა ქვითკირის სახლის შენება დაიწყო ნათალი ქვისაგან. პლანი, რასაკვირველია, გაგარინს დაახატვინა. შენობის კარი და ფანჯარა სულ ვენეციურად თაღიანი იყო. ჯერ საძირკველი და პირველი სართული არ დამთავრებულიყო, რომ მამა-ჩემს ორ-მხრივ აუტეხეს დავა. ქალაქის სამმართველო ამტკიცებდა,

რომ ადგილის გამყიდველ სკაპეცს ის მიწა არ ეკუთვნოდა, დროებით სამხედრო მთავრობიდან ჰქონდა მიცემული საცხოვრებლადო. მეორე მხრით დავობდა ბიძია ვანე: სანამ მე და ჩემი ძმა არ გავყრილვართ, ყველაფერი მისი ჩემი საზიაროაო. შენობა სამუდამოთ შეჩერდა ნახევარ გზაზე. ამ მარცხს მამა-ჩემისთვის გული არ გაუტეხია. „კაცი ვერ გახდები, სანამ კუნთებში ტალახი არ მოგხვდებაო,“— იცოდა მან თქმა ამისთანა შემთხვევებში. ირკვევდა მარცხის მიზეზს. ჭკუას ახე ვასწავლიო. ამ მიტოვებულ სახლს მისთვის ხელი არ შეუშლია, მაშინვე მისდგომოდა ბულვარის პირდაპირ, ქვიტკირის ორსართულიანი სახლის აშენებას, შემდეგ მან კიდევ ოთხი სხვა ქვითკირის სახლი აიშენა ქუთაისში საკუთრივ თავისთვის, გარდა ამ შენობებისა, რომელსაც მთავრობისთვის და სხვა და სხვა უწყებებისთვის ნარდათ აშენებდა.

როცა მამა-ჩემმა ქვიტკირის სახლი ააშენა ქუთაისს, მთავარ ანგელოზის ეკლესიის გვერდით, ბულვრის პირ-და-პირ (ეს იყო 1851-ში) მთავრობის სურვილით, მან ზედა სართული ახლად დაარსებულ ქუთაისის „კეთილ-შობილთა“ კლუბს მიაქირავა. მახსოვს რა ამბით მრირთო, პირველ საახალწლო ყრილობაზე წასასვლელათ, დედა-ჩემი. მგონია, თვეზე მეტი გაგრძელდა მისი მზადება. გაუთავებელი მითქმა-მოთქმა ატეხა იმ ამბავმა, რომ ამ ყრილობაზე ახალგაზრდა ქალებს აფიცრები გულ-ჩახუტებული აცეკვებდენ თურმე. მახსოვს კიდევ ჩემი დედ-მამის დავა, მათ დაბრუნების შემდეგ იმ ყრილობიდან. ქუთაისს იმ დროს უცნაური ოჯახი ცხოვრებდა, რაჭველი ჭიჭინაძეების. სახელათ ოჯახის თავს ბესარიონი ერქვა. თანამდებობით ის ინტენდანტის მოხელე იყო. როგორც მან, ისე მის ცოლმა, რუსული ჭოპორტულათ იცოდენ; მაინც შინ და გარეთ ქართულის ხმარებას შუდამ დევნიდენ. მათ სახლში ამ ენაზე ვერავინ ხმახ ვერ ამოიღებდა. მათი შვილები ყველა ერთიანათ გარუსდა და რუსეთში ჩარჩა. აი ამ ჭიჭინაძის ცოლს, ხონელ ქუთათელაძის ქალს და მამა-ჩემის ძველ ნაცნობს, ვახშამზე, იმ საახალწლო ყრილობის დროს, დამტვრეულ რუსულით ეკითხა თურმე მამა-ჩემისთვის, როცა მისგან სიტყვა „ჯინჭარი“ გაეგონა: „Что такое чинчарк?“ ალბათ მამა-ჩემი იმ დროს შეზარხოშებული იქნებოდა საახალწლო შაფინსკით და თავს ვერ შეიკავებდა. მას მოურიდებლათ უპასუხნია: „ჯინჭარი, ქალბატონო, ის მცენარეა, რომლის კრეფით ხონს წიევები დათუთქული გქონდაო“. ადვილათ წარმოსადგენია, რა ცეცხლი მოედებოდა თავმოყვარე კუდაბზიკას. დედა-ჩემი სასტიკათ აყვედრებდა ქმარს ასეთს მეტიჩრობას: რა შენი საქმეა სხვისი ყვე-

დრეგბაო. მთვრალმაც კი არ უნდა დაკარგო ჭკუაო. მამა-ჩემი ხმას არ იღებდა, მხიარულათ კისკისობდა, ოღონდ კი ბოლოს თქვა: „მაგისთანას ისე უნდაო“.

მამა-ჩემს ტფილისიდან ყოველი ახალი წიგნი მოდიოდა ქართულ ენაზე, რომელიც იქ იბეჭდებოდა. სიყმაწვილეში ის ერთად იზრდებოდა თურმე გორს ზ. ანტონოვთან, რომელმაც ქართული თეატრის დაარსების შემდეგ, ვორონცოვის დროს, თავი იჩინა ნიჭიერი კომედიებით: „მზის დაბნელება საქართველოში“, „ოთხი ცოლის ქმარი“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და სხვ. როცა ქუთაისს გორიდან ამბავი მოვიდა, ანტონოვი ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა, გაგიჟდა და მოკვდაო, მამა-ჩემმა ის როგორც ახლო ნათესავი იგლოვა. მეორე იმ დროის ავტორი და მსახიობი შეიფარიანი, აგრეთვე მისი კარგი ნაცნობი ყოფილა. მათგან იყო, თუ სხვაფრივ, მას ყველა ახალი ქართული წიგნი მოდიოდა. მიღებისთანავე დედა-ჩემი მათ თავიდან ბოლომდი გადაგვიბულბულებდა, დიდს და პატარას, ქმარ-შვილს და მოსამსახურეს. გიორგი ერისთვის კომედიებიდან ან არჩილ მეფის ლექსებიდან ბევრმა ჩვენგანმა ზეპირათ დიდ-ძალი ადგილები ვიცოდით. ეს კითხვა უკეთესი გასართობი იყო ჩვენს სახლში. როცა ყირიმის ომის დაწყების შემდეგ, ქართული წიგნების ბეჭდვა დიდხნობით მოიხპო, ჩვენთვის ეს დიდ დანაკლისად შეიქნა. დედა-ჩემი ძველ წიგნებს უბრუნდებოდა და განმეორებით გვიკითხავდა. თავიდამ ბოლომდი წაგვიკითხა მან, სხვათა შორის, ბროსეს გამონაცები „ქართლის ცხოვრება“, რომლის სრული რუსულ-ფრანგული გამოცემა, მამა-ჩემს ძვირფასს ყდებში ჰქონდა შეძენილი თვითონ მარიუს ბროსესგან, როცა ეს მეცნიერი ქუთაისს ჩამოსულა ორმოციან წლებში, არ ვიცი, საიდან ან როგორ გაცნობია მამა-ჩემი, მამას კი მოხუცებულობამდე უყვარდა ბროსეს გაცნობის გახსენება და მის ახირებულ ქართულის დაცინვა: როცა ყოველად-წმინდაზე ავიყვანე, ბაგრატის ტაძრის საჩვენებლათ, გვიამბობდა ხოლმე მამა-ჩემი, მკითხა: „უკვე ესე ტაძარი მრავალ ჟამიერ აღშენებულ არსო“. ძლივს, ძლივს მივხვდი, რას მეკითხებოდაო. ქართულს ვერ ლაპარაკობდა, ასეთი წიგნები კი დაუბეჭდია ქართულათ უცხო ქვეყნის კაცს. ისწავლე, შვილო, ხომ ხედავ სწავლას რა არ შეძლებია, მარიგებდა ის.

ᲨᲔᲠᲘᲛᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

მამა-ჩემი ცივის ხიდის შენების დროს რომ სამეგრელოში ხშირად დაიარებოდა, ბევრ იქაურ მცხოვრებს დაუმეგობრდა. დიდ მებატონეებიდან დაწყებული, რომელთაც ბატონიშვილებს უძახდენ,

უკანასკნელ გლეხებამდი, მას ყოველ წოდების ხალხში ნათლიმამები, ძმობილები, მეგობრები ჰყვანდა, ყოველგან გულდანდობილათ ღამის გათევა შეეძლო და თავის სახლი ყველასთვის კარ-დაფენილათ მიაჩნდა. აი როგორ გვიხსნიდა ის მაშინ განსხვავებას იმერეთს და სამეგრელოს შუა: მისი აზრით, სამეგრელოში რამდენიმე, ძლიერ ცოტა, ნეტად მდიდარი მებატონე იყო, ვისაც შეძლებით ვერც ერთი იმერელი თავადიშვილი ვერ შეედრებოდა. მაგიერათ მთელი ხალხი ბევრად უფრო ღარიბი იყო, ვინემ იმერეთში. იმერეთშიო, იტყოდა მამა-ჩემი, ბევრი შუათანა შეძლების მოსახლეებია ჩინებულად მოწყობილი და დამოუკიდებელი. სამეგრელოში კი ასეთები ძლიერ იშვიათად შეხვდება კაცს: ყოველი აზნაურიშვილი რომელიმე ბატონიშვილის მხლებელია. თავისთავად კი სულ უძლურიაო. მეგრელების მას მეცადინეობა, შრომის მოყვარეობა და გამჭრიახობა მოსწონდა.

იმ დროს სამეგრელო თითქმის სრულიად დამოუკიდებელი იყო რუს-მთავრობაზე. მთავრად სამეგრელოში მაშინ დავით დადიანი იჯდა; იგი თავის სამთავროში იშვიათად იცდიდა: უფრო ტფილისს ატარებდა დროს, ვორონცოვის წრეში, სამეგრელოს კი მისი მდივნები მართავდენ. ცოლად მას ჩვენი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი ეკატერინე ჰყავდა, გრიბოედოვის ქვრივის და ბარონ ნიკოლაის ცოლის და, მეტათ ლამაზი და შნოიანი. დავით დადიანი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა კაცი იყო, როცა ყირიმის ომის დაწყების წინ ქუთაისს ამბავი მივიდა, სამეგრელოს მთავარი გარდაიცვალაო. ამ ამბავმა მეტად შეაწუხა ურიცხვი ნათესაობა, მათ შორის მოხუცი იმერეთის მიტროპოლიტი დავითი, გვაროვნობით წერეთელი, მიტროპოლიტად ნაკურთხი მეფობის დროს. მახსოვს რა მწარე ქვითინით დასტიროდა ეს თოვლივით გათეთრებული მღვდელმთავარი სამეგრელოს მთავრის კუბოს, როცა ის ტფილისიდან ქუთაისს შოასვენეს მარტვილში დასამარხად. მთელი ქუთაისი კი არა, შეიძლება თქვას კაცმა, მთელი იმერეთი, გურია და სამეგრელო დაესწრო ამ გასვენებას. მე იმ დღეს დიდი ბედნიერება მერგო წილათ: საშინლად მიყვარდა მთავარ-ანგელოზის მაღალ სამრეკლოზე აფორთხვა და ზარების რეკვა: ნაბრძანები იყო, რომ დილიდან საღამომდი ზარების რეკვა არ შეწყვეტილიყო, სანამ დავითის კუბო ქუთაისს ესვენა. დილილ დიაკვნებს რომ მოსწყინდებოდათ, ბევრი ხვეწნა და ქრთამის ძლევა აღარ მჭირდებოდა სამრეკვლოზე ასაშვებათ.

დავით დადიანის მაგივრად მთავრის მოადგილეთ მისი ქვრივი დანიშნეს. მრჩევლებათ მას დაუნიშნეს, თუ მან აიყვანა, მისი მაზლები—გრიგოლ და კონსტანტინე დადიანები. იმ თავად-აზნაურობა-

ში, ვის სახლშიც იმ დროს მამა-ჩემი ხშირად დაიარებოდა ცივის ხიდის საქმეებზედ და ხან მეც მატარებდა, დავით დადიანის გულწრფელი გლოვა ისმოდა. მას ყველა აქებდა—მუყაითი პატრონი იყო თავის ქონებისა, მამულს კარგად უვლიდა და აუმჯობესებდა, ჩვენც გვეხმარებოდა ვენახის, ხე-ხილის ხვადაგის შენებაშიო, უსამართლობა სძულდაო. მის ძმებს კი ამაების არაფერი სწამთო: ნადირობის მეტს რას დასდევენო.

დავით დადიანის გასვენების შემდეგ მალე გარდაიცვალა მიტროპოლიტი დავითი, რომელიც აგრეთვე დიდის ამბით წაასვენეს ზემო იმერეთისკენ. მის დასამარხათ გამოგზავნეს ეპისკოპოზი ექვთიმე (წულუკიძე), რომელიც მალე მის მაგიერათაც დაინიშნა იმერეთის ეპისკოპოზათ. ის დედი-ჩემის შორე-ახლო ნათესავი იყო. მის წირვის დროს მე ხშირად სტიხარს მაცმევდენ და არქიელის კვერთხს მაძლევდენ, მის წინ სატარებლად. უნდა მოგახსენოთ, რომ დავით მიტროპოლიტის დროსაც მე ზეპირად ვიცოდი არა თუ ყველა ლოცვები—მთელი წირვაც, განსაკუთრებით რაც მთავარ დიაკონს უნდა ელრიალა. იმ ხანათ უაღრესი იდეალი მე არ მ-ონია—ბერათ ამეკვეთა თავი და გელათის მონასტერში მელოცა. მართალია ხშირად მაკანკალებდა შიში-გელათის მაცხოვრის თვალებს რომ ვერსად ვაავექცეოდი, საითაც არ უნდა წავსულიყავ, თვალები ყველგან გამომყვებოდენ და დაკვირვებით მიცქერდენ,—მაინც იმედი მქონდა, რომ როცა წამოვიზრდებოდი, ამ შიშს მოვერევოდი. ეპისკოპოზ ექვთიმეს მოჰყვა მთავარი დიაკონი მიხეილ ჯანელიძე, საკვირველი ხმის პატრონი (ტენორი), რომლის წირვას მთელი ხალხი მართლა რომ მოწიწებით ისმენდა. ის ათ წელიწადზე მეტს ასრულებდა თავის ძნელ სამსახურს, ყველა შემდეგ იმერეთის არქიელებთან; მისი ხმა, როცა ის სახარებას კითხულობდა,—განსაკუთრებით კი დიდ-მარხვის პირველი კვირის წირვაზე, ან დიდი ხუთშაბათის ფეხის ბანაზე,—ისეთი გრძნობით და ძლიერებით იყო სავსე, რომ მსმენელი ცრემლს ვეღარ იკავებდა და ზოგი ხმამაღლაც მოთქვამდა. მე მაშინ ტანზე ბალანი ამებუძგებოდა ხოლმე და დიდხანს შეუჩერებლათ მაკანკალებდა. გაბრიელ ეპისკოპოზმა, ჯანელიძე რომ მასთან სამსახურში მოხუცდა და დასუსტდა, მას ბერათ აღკვეთა ურჩია და ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტობა ჩააბარა. იმ ღირსებაში ჯანელიძე ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

ყულევის გზის გაბთავება არ დაცლია რუსის მთავრობას, არც ცივის ხიდის აშენება—მამა-ჩემს.

წვიმიანი შემოდგომის დღე იყო 1853 წლის, მამა-ჩემი მოიჭრა ცივის მუშაობიდან და დიდხანს რაღაცას საიდუმლოთ ეჩურჩულებოდა დედა ჩემს. ბოლოს ჩვენც გავიგეთ ძეზობლებისაგან, რომ წყეულ-

შეჩვენებული თათრები (სხვა მხრივ იმ დროს მათ ჩვენში არავინ იხ-სენიებდა) შვალამეზე მიჰპარვიან საზღვრის სიმაგრეს შ ე კ ვ ე-თ ი ლ ს (უკრეპლენიე სვ. ნიკოლაია) სადაც რუსის ჯარის ერთი-როტა იდგა დარაჯათ. თათრებს მძინარე რუსებისთვის ყელი გამო-უჭრიათ, ამბის წამომღებიც კი არ დაუტოვებიათ. მალე რუს-ხელმ-წიფემ ოსმალოს ომი გამოუცხადა. ქუთაისი შეინძრა. მასში მუდამ დღე ახალ-ახალი ჯარი და უფროსები მოდიოდა. გაზაფხულზე მამა-ჩემი დაემზადა შესასვლელად მილიციაში, რომელსაც მთელ საქარ-თველოში ჰკრეფდენ რუსის ჯარის დასახმარებლად, რადგანაც ჩვენი-მხარე იმ დროს თითქმის უჯაროთ იყო: რაც კავკასიაში რუსებს ჯა-რი გააჩნდათ, სულ ლეკებს და შამილს ჰყვანდა გაკავებული მთებში. ერთ კვირა დღეს მამა ჩემმა მოიწვია მთავარ-ანგელოზის ასწლოვანი დეკანოზი იესე გიორგაძე, დაჩოქილმა გადაახდევინა პარაკლისი ყვე-ლა ჩვენი ნათესავების და მოსამსახურეების თანდასწრებით, გადაჰ-კოცნა ცრემლიან თვალებით ყველა ისენი, მხარზე თოფი გადიკიდა, შეხტა ცხენზე და ჭიან-ჭიანით გაჰქრა ქუჩის მოსახვევში. დედა-ჩემი ბევრს ტიროდა მას შემდეგ. გავიდა რამდენიმე თვე უამბოთ. ერთ ღამეს ჩვენი საწოლი ოთახი განათდა, მხიარულად ახმაურდა. თურ-მე მამა-ჩემი ომიდან მოსულიყო და შინაურებს ხმა მაღლა ბრძოლის ამბავს მოუთხრობდა. საქმე ალბათ ჩოლოხის საქმეს შეეხებოდა. რა დამავიწყებს მამიჩემის შემდეგ ნაამბობს: „სროლა რომ ატყდა, ჩვენ ეკლესიის აქეთ ვიდექით და თათრები გალავნის გადალმა. მტერს ბევრი ზარბაზანი ჰქონდა და ყუმბარები არ ეზოგებოდა. დიდხანს გაგრძელდა სროლა, რომელიც გვარიან ზიანს გვაძლევდა. სალდათის ჯარი ჩვენ ნაკლები გვყვანდა და მილიცია მტერს შეტაკებას ვერ უბედავდა. ამ დროს, ვხედავ, საყდრის გალავანზე შეხტა თავის ალის-ფერი მუნდირით უზარმაზარი ალექსანდრე მიქელაძე (მწერალი მე-ველეს მამა) და საზარელი ხმით დაგვიღრიალა: „თათრები მირბიან, ბანაკი და ბარგი არ გავატანოთო“. მთელი მილიცია იმავე წუთში გალავანს გადახტა და სროლაში გართულ თათრებს ისეთი სიმამა-ცით თავს დაესხა, რომ არა თუ ზარბაზნები, თოფებიც კი დაავიწ-ყდათ. რაკი დავინახე უპატრონოთ ამდენი ზარბაზანი, ერთ მათგანს შევახტი: ვიფიქრე ამით დავამტკიცებ, რომ ჩემი წართმეულია მტრის-გან-მეთქი. ამ დროს მომვარდა ბრაზმორეული სალდათი, რომელიც ხიშტზე წამოგებას მიპირებდა. ვიფიქრე, ამ სულელს თავი რისთვის მოვაკვლევინო, ზარბაზნები აქ სხვაც ბევრი იშოვება, ხერხი სჯობია ლონეს-თქო; მივანებე სალდათს ის ზარბაზანი, მე კი მოვიხადე ბო-ხოხი და შევტენე მეორე ზარბაზანს, სანამ მკლავი მიმწევდა. თათა-

რი რომ გაიქცა და ყველაფერი დამშვიდდა, მივიყვანე მილიციის უფროსი და ვაჩვენე ჩემი ალაფი, ჩემი გარუჯული ბოხოხი, იმის ნიშნათ, რომ ზარბაზანი მართლა ჩემი ნაშოვნი იყო. უფროსი ჯვარზე წარდგენას დამპირდა".

იმ ღამეს ჩვენსა არავის უძინია; არც მეორე დღეს ჰქონია ვისმე ჩვენგანს მოსვენება ნათესავების და მეზობლებიდან. ყველას ომის ამბები სწყუროდა და ატკბობდა.

იმ წელიწადს (1854) ბრძოლა ჩვენს მხარეზე მარტო გურიაში სწარმოებდა. ჩვენი ჯარი იმარჯვებდა, ქუთაისს მოიტანეს და მთელ ქალაქს აჩვენეს წაკვეთილი თავი ხასან-ბეგ თავდგირიძის, რომლის დამარცხება და მოკვლა იმოდენათ სასახელო საქმეთ მიაჩნდათ, რომ მისი გაფითრებული თავი ქუთაისიდან დიდი ამბით ტფილისს გაგზავნეს ხალხის საჩვენებლად. იმ ხანებში გურულებმა თავი ისახელეს შემოსულ თათრების გამწარებული დევნით. ლევან და მალაქია გურიელებმა მოკრიფეს ხალხი და თათრებზე ნადირობა გამართეს. როცა შემოსეულ მტერს ჩვენს საზღვრებიდან გარეკდენ, თითონ გადიჭრებოდენ ქობულეთში და რაც შეეძლებოდათ, უფრო მეტ ზიანს ატეხდენ თავზე. შემოდგომაზე ჩვენი სამზღვრები სულ გაწმენდილი იქნა მტრისაგან, რუსის ჯარის დაუხმარებლად, მარტო ჩვენებური მილიციის მეოხებით. იმ დროს ეს ღვაწლი სავსებით დაფასდა, არა თუ ადგილობრივ მთავრობისაგან, თავათ რუს-ხელმწიფისგან. მამა-ჩემს შეუნახავს თავის ქალალდზე უმაღლესი მადლობა, რომელიც მაშინ გამოუცხადა მანიფესტის სახით ჩვენს ხალხს იმ ერთგულობისათვის და სამსახურისთვის, რომელიც ქართველობამ რუსეთს გაუწია მაშინდელ საშინელ განსაცდლის დროს. ბევრჯერ დაგვჭირებია შემდეგ ამ საბუთის გახსენება და თქმა, რომ მტერი და მოყვარე ჭირში და არა ლხინში იცნობა-თქო, როცა მერმე მზაკვარმა ჩინის მძებნელებმა ქართველებს რუსეთის ორგულობა შესწამეს.

შემდეგ გაზაფხულზე (1855) მარტში, ადრე დილით გიმნაზიაში მიქდიოდი, რომელიც მაშინ ახალი გადაყვანილი იყო ოქროს-ჩარდახის მინდორზე. ბულვარი რომ გავიარე, მამა-ჩემი შემხვდა თვალცრემლიანი, დაბრუნდი შვილო,—მითხრა მან დაღონებულის ხმით,—დღეს სწავლა არ გექნებათ. დედა შენს უთხარი: მოგვიკვდა ჩვენი ხელმწიფე, დავრჩით ობლად უპატრონოთ, აწი ვეღარავინ მოუვლის და უშველის უბედურ რუსეთს. ნიკოლოზ პირველს ის მერმეც დიდხანს თაყვანს სცემდა, როგორც ბევრი სხვა მასზე უფრო ნასწავლიც. მას ნიკოლოზი ბევრჯერ ენახა ჩვენში და რუსეთში და ნამეტანად მოსწონდა. მისი შემკვიდრის კი არა სწამდა რა: მეფური მას არა-

ფელი ცხებიაო. ნიკოლოზის სიკვდილმა მთელი ქუთაისი დააღონა. მართლაც, მას შემდეგ ყირიმის ბრძოლის ველიდან ცუდი ამბების მოსვლა დაიწყო. რუსის ჯარი ყველგან მარცხდებაო, მტერმა შავ-ზღვაზე თითქმის ყველა რუსის გემსადგურები დაიპყრო, სევასტოპოლი ალყით ალიღო და სხვა. რამოდენათ გურიაში ჩვენი საქმე კარგად მიდიოდა, სანამ თათარი მარტო ხმელეთით გვესხმებოდა, იმოდენათ მდგომარეობა შეიცვალა, როცა მტერმა სევასტოპოლის აღებით განთავისუფლებული და გაამაყებული თათრის ჯარი, ომერფაშის თაოსნობით, ზღვით შემოგვასია აფხაზეთის მხრით.

ეს ჯარი სრულიადაც არ ჩამოჰგავდა იმას, ვინც ჩვენ ადრე გვებრძოდა: ის ევროპეულად გაწრთვნილი, გამოწყობილი და დაიარაღებული იყო. ენგურამდი არავითარი წინააღმდეგობა არ დახვედრია. ენგურზე კი რუხის ციხის ნანგრევებთან, მას შეაგებეს ჩვენებური მილიცია და ორიოდე ბატალიონი რუსის ჯარისა, თავადი ივანე მუხრან-ბატონის ხელმძღვანელობით. სანამ ჩვენ ჯარს და მილიციას საქმე ხმელეთით შემოსულ თათრის რაზმებთან ჰქონდათ, რომელნიც ჩვენებურ მილიციაზე უკეთ მოწყობილნი არც კი იყვნენ, ომის ბედი ჩვენ გვწყალობდა: იმარჯვებდა ის, ვინც თავის სახლკარს იცავდა და არა სხვისას იკლებდა. მაგრამ, როცა ჩვენს თითქმის უიარაღო მილიციას დაეტაკა მტერი, რომლის შტუცერს ბევრად უფრო შორს მიჰქონდა ტყვია მიზანში და ბევრად უფრო ხშირად შეეძლო სროლა, ვინემ არა თუ ჩვენებურ კაჟიან-ჩახმახებიან ფილთებს, არამედ რუსის ჯარის თოფებსაც,—ჩვენებისთვის წინააღმდეგობა შეუძლებელი გახდა, მტრის ახალმა იარაღმა თურმე აუარებელი ხალხი დახოცა ჩვენის მხრით. ამ ბრძოლაში მოჰკლეს ჩვენი მეგობარი, მოხუცებული პოლკოვნიკი იოსელიანი, განთქმული და პატივცემული მეომარი, რომელზედაც რუსის ჯარს ბევრი ქების ლექსი ჰქონდა გამოთქმული. მაშინდელმა პოეტმა კასრაძემ ჯარის უფროსს ივანე მუხრან-ბატონს სანახევროდ ქართულ და სანახევროდ თათრულ ენაზე გაკიცხვის ლექსი უძღვნა, რომლისგან აქამდი მახსოვს:

„ბეიუქ ადამ გურჯისტანდამ მუხრან-ზადე ივანე,
ბევრი ნამსახური გქონდა, რაზე დაიგვიანე?“

ამ რუხის ბრძოლას, რომელშიაც რუსის ჯარი მწარეთ დამარცხდა, უშველებელი გავლენა ჰქონდა მთელ ჩვენ მხარეზე. სამეგრელო თითქმის ერთიანად თათრების ხელში ჩავარდა. ორპირს რაც ჯარებს სურსათი ჰქონდა დამზადებული, მუხრან-ბატონმა ერთიანად დააწვევინა,—თათრებს არ ჩაუვარდეს ხელშიო; ამ ცეცხლის ალი ქუ-

თაისშიც მოჩნდა და ხალხს გულს უხეთქდა. გიმნაზია და სხვა ყველა სასწავლებლები დახურეს და ბავშვები დაითხოვეს.

როცა მამა-ჩემი შინ დაბრუნდა ამ რუხის ბრძოლიდან, ის სულ სხვა გუნებაზე იყო, ვინემ ჩოლოხის საქმის შემდეგ. მან გაოცებით გვიამბო თათრის ჯარის უპირატესობა რუსისაზე დაიარაღების მხრით. შტუცის სასწაულებს მისი გონება დაემონებია. მან რამდენიმე შტუცის ტყვია მოიტანა მოგრძო წვერიანი და მათგან განგმირული ხე, ძვალი, ჯიბის საათი. როგორც თითქმის ყველა ქუთაისლებს, მაშინ მასაც ეგონა, რომ ომერ-ფაშა მალე იმერეთსაც ისე ადვილადვე დაიკავებდა, როგორც სამეგრელო დაიპყრო და ეს საშინლად აწუხებდა. თავის შიშს ჩვენ ის როდი გვიმხელდა, მაგრამ სახე სულ აშლილი ჰქონდა. როცა შინ ამოდიოდა, ის დედა-ჩემთან ჩურჩულში ატარებდა დროს, ჩვენთან კი დაღონებულად იყო გაჩუმებული. ბოლოს ჩაალაგებინა რაც სახლში თუ ბაღაზიაში ხეირიანი რამ ეგულებოდა, შეგვსვა ყველა ცხენებზე და წაგვიყვანა იმავე ოფირჩხეთს, იმავე ლორთქიფანიძისას, სადაც ექვსი წლის წინეთ დახიზნული ვიყავით ᲔᲚᲚᲔᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ჩვენთან ერთად იქვე ბესარიონ ხელთუფლიშვილის ოჯახიც გადიხიზნა. ლორთქიფანიძეებმა უკეთესი თავიანთი ოდა დაგვითმეს და ისე მიგვიღეს, როგორც უახლოესი მახლობლები. ეს რამდენიმე თვე, რომელიც ჩვენ მაშინ აქ გავატარეთ, მოზრდილებს მართალია აწუხებდა, მაგრამ ჩვენ, ბავშვებს, ქეიფათ გადაგ ვექცა. მე ჩემი დები და დეიდაშვილები ყოველ დღე ტყეში დამყავდა მთებზე, სადაც ხან ყვავილებს ვკრეფდით, ხან წყაროებზე პაწია წისქვილებს ვაშენებდით, ხან მაღლობზე ავდიოდით და ძირს, შორიდან, რიონის დენას და გალმა მხარის მშვენიერ სოფლებს დავცქეროდით. შაბათობით მამა-ჩემი ამოდიოდა ქუთაისიდან, ახალ ამბებით და ბევრნაირ ძღვნით ჩვენთვის და ჩვენი მასპინძლებისათვის. ხან და ხან მამას მე ერთი კვირით ქუთაისს მივყავდი, თუმცა იქ, როგორც ჩვენი გიმნაზია, ისე ყველა სხვა სასწავლებელი დათხოვნილი იყო. ქუთაისი იმ დროს სულ დაცარიელებულს გავდა. საწყალ იესე გიორგაძეს დიაკვნებიც გაქცეოდა. წირვა-ლოცვას ის მარტოდ-მარტო სწირავდა. ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს ისეთი მშვენიერებით, მოწიწებით და სარწმუნოებით მწირველი, როგორც ეს ას-წლოვანი, ერთიანად მილეული მოხუცი. ხშირად გამიგონია, რომ მარტო მას და მისივე ხნის კაცს, იმერეთის მიტროპოლიტს დავითს, შეუნახავთ ძველებური ქართული წირვა-ლოცვის კილო და ჩვეულებანიო.

ერთხელ რომ ასე ჩამიყვანა ქუთაისს მამა-ჩემმა, მოისმა მხიარული ზარების რეკვა ყველა ეკლესიებზე, მერე ზარბაზნის სროლა

და მალე მთელმა ქალაქმა აღტაცებით შეიტყო, რუსებს ყარსი აუ-ღიათო. იმ ორი თვის წინეთ კი ხმა იყო გავრცელებული, რომ ვო-რონცოვის მაგიერად დანიშნულმა მეფის მოადგილემ მურავიევმა ყარ-სზე ალყა მიიტანა და ბრძოლა წააგო. იმ საღამოს სალაპარაკო ყველას ის ჰქონდა, რომ ფრანგების პატრმა დონ-ანტონი გლახის-შვილმა ყარსის აღება არ იდღესასწაულა პარაკლისით და ზარის რე-კით, სანამ მრისხანე გუბერნატორმა კოლიუბაკინმა მისი დატუსაღე-ბა არ ბრძანაო.

ჩვენებს მაშინვე გული გაუმაგრდაო. ყარსის აღების ამბავი ელ-ვასავით გავრცელდა მთელ იმერეთში. შემდეგ დღეებშივე ქალაქი ხალხით აივსო. ყველა სულ სხვა თვალით იყურებოდა და იმედით სავსე მოჩნდა, ვინემ წინა კვირეებში. მცოდნე პირები ხალხს არწმუ-ნებდენ, ომერ-ფაშა ყარსის საშველად მოდიოდა, აწი კი უკან და-ბრუნდებაო. მამა-ჩემიც ამაში ისეთნაირად დარწმუნდა, რომ ოფირ-ჩხეთიდან ჩვენ ჩამოყვანას შეუდგა. როგორც კი გავრცელდა ამბავი, რომ ომერ-ფაშის ჯარი ვერ მოერია სამეგრელოს უგზაობას და ზუ-გდიდს უკან დაბრუნებულაო, ჩვენ ქუთაისს გადავსახლდით. მალე ყველა სხვა დახიზნულიც ჩამობრუნდა. ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩადგა, თუმც ომი ჯერ კიდევ გათავებული არ იყო.

ეს ამბები მოხდა 1855-ის დამლევს. მთელი ხალხი—ვერ წარ-მოიდგენს კაცი სიდან—დარწმუნდა, რომ ომი გათავდაო. ნამდვილი ზავი კი ხუთი თვის შემდეგ შეიკრა პარიჟში. ბრძოლის ველისაგან ალარაფერი შეტაკების ამბავი ალარ ისმოდა; ჯარის მისვლა-მოსვლა შეწყდა. ყოველი კაცი თავის კერძო საქმეს შეუდგა. შკოლები გაიხ-სნა. ამ დროიდან მახსოვს ერთი სათაკილო ამბავი, რომელიც დიდ-ხანს მწვავედ მაწუხებდა.

იმ წლებში ჩვენ ყველანი დიდი პატრიოტები ვიყავით, რასა-კვირველია ამ გრძნობის ძალით მეტად ცუდი თვალით უყურებდით იმ მასწავლებლებს, რომელნიც მტრის ბანაკიდან მიგვაჩნდა. უნდა იცოდეთ, რომ იმ დროს ჩვენ გიმნაზიაში თათრულს და ფრანგულ ენას სავალდებულოთ გვასწავლიდნენ. პირველს ახალციხელი მოლლა მოხუცი ომარ-ეფენდი გვასწავლიდა, რომელიც ჩვენ დიდი ხანია შე-ჩვეული გვყვანდა. მეორეს კი ტფილისიდან ახლად მოსული ცეტი ფრანგი, ვიღაც გ ა ი ა რ დ ი, რომელსაც ნაბეჭდი შრომაც ჰქონია, ფრანგული ენის გრამატიკა. ეს ყმაწვილი სირბილით შემოიჭრებოდა ხოლმე კლასში და სკამზე გიჟურად დაეხეთქებოდა, თითქო ვინმე მოსდევსო. ჩვენ ის თავიდანვე ავითვალისწუნეთ და ნამეტნად შევი-ძულეთ მას შემდეგ, რაც ფრანგებმა ყირიმში გაიმარჯვეს და სევას-

ტოპოლი წაგვართვეს. მაშინ მე ამხანაგათ მყავდა ბესარიონ ხელთ-უფლიშვილის დის-წული მეძმარიაშვილი, წვერულვაშიანი აბალგაზრდა, ქვეშ-ქვეშა და გაოსტატებული. მან მირჩია, მოდი ეს ურჯულო დავსაჯოთ. მანვე პლანიც შეადგინა სწორედ რომ უღმრთო. მოიტანა წვრილი ნემსები და მასწავლებლების საჯდომ სკამზე დაასო მისი მოსვლის წინ, როცა მოსწავლენი ეზოში თამაშობდენ. სწავლა რომ დაიწყო, მასწავლებელი შემოიჭრა კლასში და თავისებურათ დაასკდა საჯდომს. მოისმა მისი ველური ბღავილი. იმავე სისწრაფით, როგორითაც შემოვიდა, უბედური გაიჭრა ინსპექტორის ოთახისაკენ, თავის დასისხლიანებული ტანის საჩვენებლად. ინსპექტორათ ძლიერ მკაცრი ადამიანი გვყვანდა. ივანე განგესოვი. იმ წამსვე კლასი დაკეტეს და ყველა მოსწავლეს ჩოხების საქილეები გაგვისინჯეს: ალბათ აზრით, რომ დამნაშავე ის იქნება, ვისაც ნემსები ამოუჩნდებაო, ნემსები უპოვეს ორ მოსწავლეს: კოწია წულუკიძეს და სამხონ აბაშიძეს. არც ერთ მათგანს, არც მეორეს, გაგებაც არ ჰქონიათ ჩვენი დანაშაულობის. წამოაქციეს ორივე უბედური და უმოწყალოთ გაწკეპლეს. რაც მე იმ დღეს ნამუსის მხილება, წუხილი და სირცხვილი გადამწყდა, მცოდნე კაცი რომ დამკვირვებოდა, ალბად დანაშაულს შემატყობდა. მაინც ვერ გავბედე გამოტყდომა და მეძმარიაშვილის გაცემა. გაიარდი მას შემდეგ დიდ ხანს აღარ დარჩენილა ჩვენს მასწავლებლად.

ყირიმის ომის გათავების შემდეგ რომ გიმნაზია ხელ-ახლათ გახსნეს, მე მესამე კლასის მოწაფე ვიყავი. გიმნაზია იმ დროს უვაროვის ტიპის იყო. გვასწავლიდენ საღმრთო რჯულს, ბუნებით საგნებს (ზოოლოგიას, ბოტანიკას, მინერალოგიას), ისტორიას, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, რიტორიკას და პიიტიკას; ენებს: რუსულს, ქართულს, თათრულს და ფრანგულს. ეს ოთხი ენა ყველა მოწაფისთვის სავალდებულო იყო. როცა მეხუთე კლასში გადავდიოდით, გვეკითხებოდნენ: აპირებთ თუ არა უნივერსტეტში სწავლის გაგრძელებაო. ვინც აპირებდა, იმას ლათინური ენის სწავლა უნდა დაეწყო, ვინც არა და ის კანონების გაცნობას უნდა შედგომოდა. მასწავლებელი სულ რუსები (სასულიერო წოდების სემინარისტები) იყვენ, უმეტესი ნაწილი ან უზომოთ დაბერებული, ან გალოთებული. მარტო ორი მათგანი ახლად კურს დამთავრებულნი იყვენ უმაღლეს სასწავლებელში და თავიანთ მოვალეობას ერთგულათ ეპყრობოდენ, დანარჩენები სულ უფრო იმას მეცადინეობდენ, თუ რა მიზეზი ეპოვათ, რომ მათი გაკვეთილი გამოეტოვებიათ. მეოთხე კლასამდი სწავლა სულ უბრალო იყო: ზეპირათ უნდა გვესწავლა გაკვეთილი, სი-

ტყვა-სიტყვით ისე, როგორც სახელმძღვანელოში იყო დაბეჭდილი. უმეტეს ნაწილს მოწაფეთაგანს გაგებაც არ ჰქონდა თუ რას ნიშნავდა ამ რიგათ გაზეპირებული ნაწყვეტი: ის რუსულ ენაზე იყო დაწერილი, რომელიც ჩვენ კლასში მარტო ორ-სამს გვესმოდა, ისეთებს, რომელნიც მათ პატრონებს რუსული ენის კერძო მასწავლებლებს, ანდა რუსულ ოჯახებში ყავდათ მიბარებული ამ ენის შესასწავლათ. ჩვენს განყოფილებაში ასეთები მარტო ორი ვიყავით: იმერეთის არქიეპისკოპოსის მდივნის ბესარიონ ლოლობერიძის შვილი სისო, და მე. დანარჩენი მშვენიერათ გადიბულბულებდენ გაკვეთილს, ჩვენზე ბევრათ უკეთ, მაგრამ რომ გეკითხათ—ქართულათ მითხარი რა წაიკითხეო, უნდა დამუნჯებულიყვნენ. გაზეპირებულის გაგება არ ჰქონდათ. მასწავლებლები სრულებითაც არ ფიქრობდენ აეხსნათ, რასაც ასწავლიდენ. ყველაზე გასაგები, რასაკვირველია, ქართული ენის გაკვეთილები იყვენ, რომელსაც გვასწავლიდა ქართველი გიორგი დიდებულიძე. ის გვაძლევდა ზეპირათ სასწავლებლათ ნ. ბარათაშვილის და სხვა პოეტების „ცისკარში“ დაბეჭდილ ლექსებს. მარტო ამაში მდგომარეობდა ჩვენი ამ საგნის შესწავლა. დიდი პატივისცემა არც ამ მასწავლებელს ჰქონია ჩვენი, არც ჩვენ მისი. მას ჩვეულებათ ჰქონდა ტანისამოსის ღილში გაიყრიდა მარჯვენა ცერს, ლექსის კიდეზე ხელს გულზე იტყაპუნებდა და ისე დასეირნობდა კლასის ერთი კუთხიდან მეორესკენ. ღრმათ ჩაფიქრებული, თითქო სულ სხვა საგნებზე დარდობდა, ვინემ იმ გაკვეთილზე, რომლისთვის ყური უნდა ეგდო. ჩვენც მას ვბაძავდით, ჩოხის ღილებს შუა ცერს ვიყრიდით და გაკვეთილ ლექს გულზე ხელის ცემით ვუკითხავდით. პასუხათ ის, გულგრილათ და ღიმილით, მოგვაძახებდა ხოლმე: „თქვე ვირებო, მხეცებო“ და საქმე ამით თავდებოდა. მიმართავდა მორიგ მოსწავლეს დანიშნულ ლექსის წასაკითხავათ. კეთილი კაცი იყო, სრულიად უწყინარი. სულ სხვა ხასიათი ჰქონდა თათრული ენის მასწავლებელ მოლას ომერ-ეფენდის. წამ-და-უწუმ გული მოდიოდა, ხშირად სრულიად უჩიზეზოთ, და მაშინ ჩემი მტერი ჩავარდნოდა ხელში. ერთხელ გაკვეთილი რიგიანათ ვერ ვუპასუხე. მან ქინჩში ხელი ისეთი ძალით მკრა, რომ კინალამ კედელზე ტვინი მიმასხმევინა. ბევრ მოსწავლეს ხშირათ ცხვირიდან სისხლს ადენდა. მისი საშინლათ გვეშინოდა და სრულიად არა გაგვეგებოდა რა. დიდი გაჭირვებით გავიზეპირეთ სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში რამდენიმე გვერდი ყაზანში დაბეჭდილი ბულდანოვის სახელმძღვანელოსი, რომელშიაც თათრული სიტყვები რუსული ასოებით იყო დაბეჭდილი და ჩვენ ზეპირად უნდა გვესწავლა, ასე: „Бен—я, сен—

ты, о—он", და სხვა. უმჯობესმა მისმა მოწაფემ ზეპირათ იცოდა სულ ბევრი—ოთხი გვერდი ამ სახელმძღვანელოსი; სუსტები—კი ერთ გვერდსაც ძლივს ერეოდენ. როცა ესენი რამეს შემცდარათ უპასუხებდენ, ომერ ეფენდი მათ კინჩხზე მწარეთ ხელს წაკრავდა, რაც ნიშნავდა—დაიჩოქეო, და დაუმატებდა: „тарпэт не лублу". ხშირათ, მის გაკვეთილის გათავებისას ნახევარი კლასი დაჩოქილი იყო. ფრანგული ენის მასწავლებელი უფრო იმით გვსჯიდა, რომ გრძელ დარიგებას გვეუბნებოდა ფრანგულ ენაზე, რომელიც ჩვენგან სულ არავის ესმოდა. ბოლომდი ვერ მიხვდა საწყალი, რომ მისი ქადაგება ჩვენთვის გაუგებარი იყო. თვითონ კი კმაყოფილი რ'ებოდა საკუთარი მჭევრ-მეტყველობით, და მის მოსმენის მეტს არაფელ სასჯელს არ გვაყენებდა. ყველაზე ძნელი ჩვენთვის რუსული ენის სწავლა იყო: მისი მასწავლებელი რაღაც უხეშ გრამატიკით იწყებდა გაკვეთილს. ჩვენგან უმეტეს ნაწილს ერთი სიტყვაც კი არ ესმოდა ამ გრამატიკისა, არც მასწავლებელს ესმოდა რამე ჩვენი ქართულის. რუსულ წიგნზე გვიხაზავდა საიდან სანამდი უნდა გვესწავლა ზეპირათ სტრიქონები და რომელი სიტყვები უნდა დაგვეტოვებია უსწავლელათ. ნამდვილი ტანჯვა იყო ასეთი სწავლა: უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა სასწავლებელს ისე სტოვებდა, რომ იმ წყეული გრამატიკის მესამე გვერდს არ გადაცილებულან, არც არაფელი იმ პირველ სამი გვერდის ჩარჩენიათ ჭკუაში.

ყველაზე უფრო გულპიწი მასწავლებელი მთელ გიმნაზიაში ჩემ დროს იყო გარუსებული ბერძენი ტაგანროგიდან სერებრიაკოვი, რომელიც არითმეტიკას გვასწავლიდა. სულ უმიზეზოთაც მოსწავლის მწარეთ გალახვა შეეძლო, ისე გახელდებოდა ხოლმე. როცა ალგებრის სწავლა დაგვაწყებინეს, ვკითხე: ეს ხომ ისევ ის არითმეტიკა ყოფილა, რომელიც უკვე ვიცით, რაღა საჭიროა ახალი საგნის შესწავლა მეთქი. სერებრიაკოვი იმ დროს დაფასთან იდგა და ზედ რაღაც ანგარიშს სწერდა. პასუხის მაგიერ მან ხელში რომ უშველებელი სარსი ეჭირა, საშინელი რისხვით მესროლა, თავი დროზედ რომ არ დამეღუნა, სარსი შუბლში მომხვდებოდა და მომკლავდა. მე ამცილდა და ქვითკირის კედელში ორი თითის დადებაზე ჩაერჭო, ისეთი დაუზოგველი ძალით იყო ნასროლი. ეხლამდისაც ვერ ამიხსნია, რით გააბრაზა სერებრიაკოვი ჩემმა უმანკო კითხვამ. იმ დღის აქეთ მე მისი გაკვეთილი აღარ დამიმზადებია, არც მას ჩემთვის რამე უკითხავს. ვერ იანგარიშებს ადამიანი, რამდენი დამაკლდა ამით ჩემ სწავლაში: არითმეტიკის თავიდანვე განმეორება და ალგებრის შესწავლა ხელმეორეთ დამჭირდა სამზღვარ გარეთ, როცა ოცდა-ხუთი წლის კაცი ვიყავი.

ერთი სიტყვით, მგონია არც ერთ სასწავლებელში დედა-მიწაზე არ უნახავს კაცს ისეთი დაშორება და გულგრილობა მასწავლებლებს და მოსწავლეთ შუა, როგორც ქუთაისის გიმნაზიაში იმ დროს, როცა ჩვენ იქ ვსწავლობდით. უფროსებიდან არც ერთი ტკბილი სიტყვა, არც ერთი მამობრივი დარიგება არ გაგვიგონია. ისინი ჩვენზე მარტო შიშით, ტუქსვით, დასჯით მოქმედობდენ. მაისის პირველ დღეებში ჩვეულება გვქონდა მთელი გიმნაზიის მოსწავლეთ ფული უნდა შეგვეკრიფა და „ფსონი“ უნდა გაგვემართა ჰომის ჭალებში: ყველა უფროსები და მასწავლებლები უნდა დაგვეპატიჟა, დაგვეთრო, ცალ-ცალკე ხელით გვექანებია. აი, იმ დღესაც კი არ მომხდარა, რომ მეგობრული გაწყობილება დამყარებულიყო, თუნდა მარტო იმ ერთი დღით, მასწავლებელთ და მოსწავლეთ შორის. ისენი ჩვენ ნიადაგ გვიღრენდენ, ჩვენ კი მათ ვერიდებოდით და ყველაფერს ვუმალავდით.

1927 წ.

სტუდენტობის პირველი დრო [1])

სახარე ხბოს საძოვარში შეეტყობა....
ანდაზა.

I

გასტუდენტების წყურვილი.—კარის წინ ლოდინი.—კანკალი და რეკვა.—პეტერბურგელი ქალის სურათი.—ღლავი.

... ხომ ძლიერ უნდა გაველახეთ მთელი ერთი თვის ტროიკით მგზავრობას? მოსვენება ხომ ძლიერ უნდა გეჭირვებოდა იმ დილას, როცა პეტერბურგში ჩავედით? რა ბრძანებაა! პირის დაბანა რას ჰქვია, ისიც ძლივს მოვასწარით. ჩამოვხტით თუ არა, იმ წამსვე დამტვერიანებული და წელ-მოწყვეტილები ვასილის კუნძულისაკენ გავექანეთ. სული როდი გვითმენდა: იქ იდგა ჩვენი სტუდენტობა, იქ ჩვენც გველოდა გასტუდენტება. ერთი იფიქრეთ, აბა, რა მოგვაცდევინებდა, რა გაგვაჩერებდა, ან რა დროს მოსვენება იყო!..

კარგათ მახსოვს, ნიკოლოზობა დღე იყო, 9 მაისი 1861.. გზაზე, რაღაც ეკლესიის წინ, ხიდის ყურთან, დიდი პარადი გაემართათ. ისე გატენილი იყო ქუჩა ჯარით თუ მცქერლებით, რომ გაღლა ძლივს მოვახერხეთ... ხიდზე რომ შეველით, დავინახეთ ვაება, სახლის-ოდენა ყინულები, რომელიც მდინარეს ზღვისკენ მიჰქონდა. ალბათ ესეც მიმზიდველი სანახავი ყოფილა, ამიტომ რომ მთელი ხიდი ხალხით იყო გაჭედილი. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, უსაქმო და საქმიანი, აღტაცებით შეჩერებოდა ამ მყინვარების მტვრევა-მუსვრას. წამ-და-უწუმ მდინარე ამ უზარ-მაზარ მყინვარებს ხიდის ბურჯს ატაკებდა, და მაშინ მთელ ხიდს ალმასის მტვერი მოედებოდა რომელშიაც მაისის მზის შუქი აქა-იქ ცისარტყელას იკეთებდა ხოლმე. ხალხის აღტაცებას საზღვარი როდი ჰქონდა... მაგრამ ჩვენგანი ამაებს აბა ვინ ათხოვებდა ან თვალს, ან ყურადღებას? რისი პარა-

---

1) რაღა თქმა უნდა, რომ ამ მოთხრობაში მოგონებული და გადასხვაფერებული არა არის რა, მომქმედი პირების სახელის მეტი.

ავტორი.

დი, სადაური მყინვარები. გასტუდენტება გველოდა-მეთქი ვასილის კუნძულზე!

მივაწიეთ, როგორც იქნა. მოვძებნეთ ის სახლი, სადაც ძველი სტუდენტი ღრეჭია იდგა: იმის ადრესი მოსკოვში გვქონდა ნაშოვი. შიშით და კრძალვით ჩამოვარაწკუნეთ ზარი მისი კარების წინ. კარი მაინც დიდხანს დაგდული დარჩა. ხმის ამოუღებლათ ერთმანეთს მივჩერებოდით ჩვენ სამივე. ვერც კი ვბედავდით ერთმანეთისთვის გვეკითხა: „იქნება მეორეჯერ დარეკვა სჯობდესო?“.

სამნი ვიყავით მეთქი. ხნითაც და გამოცდილებით უფროსი ჩვენგანი იყო საულ ქერაძე, ხასიათიანი და ულელ-გამწევი ყმაწვილი... მეორე იყო გიგო თავძარა, რომელსაც ყველა მისი ამხანაგები „უშნოს“ უძახოდით, ამიტომ რომ სახით ყველაზე უფრო შნოიანი იყო. და მესამე—მე. უნდა მოგახსენოთ, რომ ახლათ შესრულებული მქონდა მაშინ მეთექვსმეტე წელიწადი, და ტანადობითაც ისე პატარა ვიყავ, რომ ყველა „ციდა-ნახევარს“ მიძახოდა. სამივე ჩვენი ხარჯით ვიყავით მოსული, სამივეს ეგზამენი გვქონდა დასაჭერი უნივერსიტეტში შესასვლელათ. სამივეს გვეგონა, რომ ერთი საათი თუ დავკარგეთ ნამეტანი, ეგზამენის დაჭერას ველარ მოეასწრებთო. დრო მიდიოდა, ამისთანა საჭირო დრო, და კარს კი მაინც არავინ გვიღებდა!

გავბედეთ, ბოლოს, ხელმეორეთ ზარის ჩამოკვრა: უფრო მაგრათ და გულიანათ კი დავრეკეთ, გაქვსთ სიცოცხლე! გასჭრა იღბალმა, კარი გაიღო, თითქმის იმავ წამს. გამოჩნდა ახალგაზრდა მსახური ქალი, გვარიანათ ჩაწვირიანებული. მოხეხილ ტაშტის ძირს ჩამოგავდა. შორიდამ მისი რგვალი და ბრტყელი პირისახე, რომელსაც ხან ყვითელი ფერი დაჰკრავდა, ხან წითელი. ვაება პირისახის შუაგულში ჩვენებურ ღილსავით დაკერებული იყო ერთი ნამცეცა ცხვირი, და ისიც ზეითკენ იწევდა, ჩალისფერ თმისკენ. მარჯვნივ და მარცხნით ამ ცხვირს ჩაჩხვლეტილი ჰქონდა ერთი ცუცქუნა მიწკურული თვალები, უწამწამო და უწარბო. ტუჩი კი, მაგიერათ, გაქვსთ სიცოცხლე, ყურიდამ ყურამდე წვდებოდა...

კითხვის მაგიერ ქალმა,—იმ ქვეყანაში, თურმე, ამ ნაირ სულიერსაც ქალს ეძახიან—ეს ვაება პირი ღლავივით გააღო.

— უფალი ღრეჭია შინ ბრძანდებაო,—ჰკითხა იმას ქერაძემ, თავისი ნაჩვევი ვედრების ხმით, და თან, ჩვეულებრივ, თავი ისე მოიაწყლა, თითქო სიონის გლახა ყოფილიყოს.

— Тома, тома, ხრინწიანათ თქვა ქალმა და კარი მაშინვე მოგვიგდო.

ადვილათ მივხვდით, რომ ეს რუსულ дома-ს ნიშნავდა. მართ-ლაც, ორიოდ-სამი წუთის შემდეგ იმავე ქალმა ხელახლავ კარი გა-გვიღო და ღრეჭიას ოთახში შეგვიყვანა.

II

ღრეჭიას ოთახი.—ღიმილი.—რა მიამა მისი მხიარული თანაგრძნობა!—გა-მოკითხვა.—პირველი დაბეზღება და პირველი დარდი.—გახარებული ღიმილით შეგებება ნაგინები კაცისა.—პირველი ეჭვი.—ნაგინები მაგინებელს აქებს.—ნუ თუ კაცი სასახელო საქმეს თავს დაანებებს?

მოზდილი ოთახი იყო ეს ოთახი. ორივე მის ფანჯარაზე წი-გნები და ქაღალდები ელაგა, წესიერათ, რიგ-რიგა. ფანჯრებს შუა რომ სტოლი იდგა, ზედ სამოვარი დავიწყებოდათ ჩაის ჭურჭლი-თურთ. ლოგინზე იჯდა ერთი უცნობი სტუდენტი, რომელსაც არხე-ინათ ფეხი ფეხზე გადაედო. მის პირდაპირ, სტოლის წინ, იჯდა თვითონ ღრეჭია. ჩვენი შესვლა და მისი წამოხტომა ერთი იყო.

საშინლათ იამა ჩვენი ჩასვლა. მკვიდრი ძმის ნახვა ისე ვერ გა-ახარებს კაცს, უეჭველია: ოთხი-ხუთი წლის უნახავი ძმების შეყრას დავსწრებივარ, და არც ერთის პირისახეზე არ შემიმჩნევია იმისთანა გახარების და სიამოვნების ღიმილი, როგორც ჩვენ შესვლაზე ღრე-ჭიას პირზე ალიბეჭდა. თვალები აუთამაშდა, ტუჩი მიეწკურა, და მთელ პირისახეს დატკბობის, ნეტარების დაღი დაესვა. მეტათ მია-მა ამის შემჩნევა. საკვირველი რამეა უცხოეთში მარტოობის გრძნო-ბა. გული ნიადაგ ისე მტკივნელობს, თითქო ვისმეს განგებ ის ძა-ფები დაეჭრას, რომლითაც გული სხეულს მობმული აქვს. რა გინდ საქმე გქონდეს უცხოეთში, რა გინდ შრომაში იყო გართული, ეს გრძნობა და ეს ტკივილი მაინც გასუსტებს, გერევა, გძლევს... ეძებ ვის მიეკედლო, ვის დაუძმობილდე შენიანს, რომ ამ წყეული მარტო-ობის ძალას მოერიო. ნათესავათ იქცევა მაშინ შენთვის ყოველი შე-ნი ქვეყნის შვილი, ოღონ კი ხელი არ გკრას და თავიდამ არ მოგი-შოროს... ეხლა წარმოიდგინეთ, ღრეჭია რა დაახლოვებულ ნათესა-ვათ უნდა მჩვენებოდა იმ დილას, ამ ალერსიანი შეგებების წყალო-ბით! გული ისე დამიშოშმინდა და დამიტკბა, თითქო დედაჩემის კალთაში ჩამედო თავი...

დავსხედით მორიდებით, ბევრი პატიჟის შემდეგ. მასპინძელმა დედ-მამის მშვიდობა და სიმრთელე გამოგვკითხა, ნათესავების ამბავი, გზის გარემოება. ქუთაისში კურსი წლეულს რამდენმა კაცმა შეას-რულაო, იმათგან რამდენი აპირებს რუსეთში წამოსვლასო, და სხვა და სხვა. ყველა ამ კითხვებს შესაფერი პასუხი მივეცით.

— ეს ყველა კარგიო,—გვკითხა მაშინ ღრეჩიამ,—მაგრამ თქვენი ხარჯით ხართ მოსული, თუ სტიპენდიის იმედითო? [1]

მე უპასუხე, რომ ჩემი ხარჯით ვაპირებ თავის დარჩენას. ჩემმა მგზავრებმა კი უთხრეს, რომ ჯერჯერობით ჩვენი ხარჯით უნდა ვიცხოვროთ, და მერე იმედი გვაქვს, სტიპენდია გვიშველისო.

— რამდენი ფული მოგივა მამი-შენისაგანო,—მკითხა მაშინ მასპინძელმა.

— მამამ სამ-სამი თუმანი დაშპირდა თვეში, ბატონო.

— ცოტაა, ცოტა, მაგრამ რა გაეწყობა! ტანისამოსის ფულს ხომ გამოგიგზავნის ამის გარდა?

— რა მოგახსენო. არაფერი უთქვამს; მითხრა, თვეში სამ თუანს გამოგიგზავნიო.

— უნდა მიწერო, რომ არ გეყოფა. ტანისამოსის ფული ცალკე უნდა იყოს.

— მივწერ, ბატონო.

— თქვენ რამდენი მოგივა შინიდან?—მიუბრუნდა მასპინძელი ქერაძეს.

— ხან თუმანი, ხან თუთხმეტი მანეთი, ბატონო. მამა-ჩემი ღარიბი კაცია, მეტი არც კი შეუძლია,—უპასუხა ქერაძემ, და თავისებურად გაწითლდა თავიდან ფეხებამდი.

— არ გეყოფა, სრულებით არ გეყოფა,—მწუხარე თავის ქნევით გამოთქვა ღრეჩიამ, და მიუბრუნდა თავძარას.

— თქვენა?

— მე ყოველ თვეში ოცდა ხუთი მანეთი მექნება, ტანისამოსის ფულიც ბლოშათ მომივა...

— თქვენ ერთათ დადექით, ერთ ოთახში, — უთხრა მასპინძელმა თავძარას და ქერაძეს,—დღესვე მოვაძებნინებ ოთახს და სადილის საქმელ ალაგსაც აგიჩენთ. თქვენ კი,—მომიბრუნდა,—ბერიშვილთან დადექით. ის ეხლა მარტო დგას. ორ-ორი უნდა იდგეთ ერთათ, თუ გინდათ, რომ მაგ ფული გეყოთ. გიპატრონებთ აქ, ეგზამენს დაგაჭერინებთ, და საქმე კარგათ წავა.

ამ დროს ღრეჩიას ძმა შემოვიდა. პირკოცნის და გამოსალმების შემდეგ იმას ორივე ჩემი მგზავრი გაატანეს ოთახის მოსაძებნელათ. დავრჩი მარტო.

---

[1] ზოგიერთ სტუდენტებს მთავრობა თვეში ოცდახუთ მანეთს აძლევს, ოთხი წლის განმავლობაში, იმ პირობით, რომ სწავლის დასრულების შემდეგ ექვსი წელიწადი ემსახურონ. ამ ფულს „სტიპენდია“-ჰქვია.

— აქ თქვენი ბიძაშვილია, დათა. არ გინახავს ჯერ? სულ სხვანაირი, ეჭვიანი და შემპარავი ხმით, დაბლა მკითხა ღრეჭიამ.

— არა, ბატონო, ჯერ არ მინახავს. წიგნი მაქვს იმასთან, მაგრამ არ ვიცი სად დგას.

— რა წიგნი? ვისგან?

— მამა ჩემმა გამომატანა, ჩემი თავი ჩააბარა, კარგათ მოუარეო, უპატრონეო, ნათესავი ხარო, სისხლი ერთი გაქვთო, როგორც მოგეხსენებათ...

— ჰო, კარგათ გიქნია, რომ ჯერ ჩემთან მოსულხარ,—მითხრა ღრეჭიამ და ხმა უფრო დაიმდაბლა. მერე სკამი ჩემსკენ მოიჩოჩა და ჩურჩულით დამიწყო ლაპარაკი. გამიკვირდა, ამ კაცს რა აჩურჩულებს მეთქი: ამ ოთახში ჩვენს მეტი არავინაა, ვინ გაიგონებს ქართულ ლაპარაკს? მაგრამ, ვიფიქრე, ალბათ ასე უნდა-თქო.

— დათა ურჩი ყმაწვილია, ჩვენ მოგვშორდა და ცალკე დგას, ვიღაც პოლშელებთან, თუ რუსებთან. ცუდი ყოფაქცევისაა, იცოდე. იმის ნურაფერს დაუჯერებ... ისა და აკაკი წერეთელი ბევრ ცუდს გვიგონებენ, ყური არ უგდო, თორემ წაგახდენენ. აქ ჩვენი კაცი უცხოს არავის უნდა იცნობდეს, თორემ დაიღუპება... მორიდებით უნდა იყო, ჩვენების მეტს არავის იცნობდე... წადი რა გაეწყობა, რაკი წიგნი გაქვს, მაგრამ თავი კი მაინც მოშორებით დაიკავე: არამც და არამც მასთან არ დადგე.

საშინლად მეწყინა ეს სიტყვები. მეწყინა იმიტომ, რომ ყველა სტუდენტები ანგელოზები მეგონა, და ეხლა კი ვხედავდი, რომ ორი მათგანი წაწყმენდილა... დავლონდი ძლიერ, მაგრამ ხმა კი ვერ ამოვიღე.

— როდის წახვალ შენ ბიძაშვილთანო,—მკითხა მასპინძელმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— არ ვიცი ღმერთმანი, აღარც კი მინდა აწი წასვლა, ან ქე რათ წავიდე მაგისთანა კაცთან?

— არა, წასვლით უნდა წახვიდე, неловко будет... წიგნიც გაქვს გადასაცემი... ნათესავიც არის შენი... წადი, მაგრამ თავი განზე დაიჭირე...

ძაღლი ხსენებაზეო, რომ იტყვიან, სწორეთ ისე მოხდა: კარი გაიღო და ჩემი ბიძაშვილი დათა შემოვიდა, მხიარული, უდარდელი სახით, პირმცინარე, ჟინჟღილივით ანთებული...

თავბრუ დაეცხა, როცა დავინახე, რომ ეს კაციც ჩემმა მასპინძელმა სწორეთ იმნაირივე ალერსით და იმგვარივე სახით მიიღო

როგორითაც ჩვენ შეგვეგება... ეს ნაგინები კაცი, რომელთანაც საქმის დაჭერა სავნებია, სათაკილოა!..

როდილა მახსოვს, როგორ გადამეხვია ჩემი ბიძაშვილი, რა მკითხა და რა მითხრა, რა მივუგე, რა უთხარი, ვიმეორებ, თავბრუ დასხმული ვიყივი, არ ვიცოდი დღე იყო თუ ღამე, სიზმარში ვიყივ, თუ ცხადათ ვმოქმედობდი.

მარტო ის მახსოვს, რომ მასპინძელი ცოტა ხანს შემდეგ ადგა და სადღაც წავიდა, ჩვენ კი გვითხრა, მომიცადეთ, ეხლავ მოვალ და ბერიშვილთან წაგიყვანო.

გავიდა ღრეჭია თუ არა, ჩემმა ბიძაშვილმა თვალი გააყოლა და აღტაცებით მითხრა—რა ბიჭია, რო იცოდე, ესეც არის ეგზამენები გაათავა. სულ „პიატები“ მიიღო ყველა საგნებში; მეორე თუ მესამე კანდიდატი გამოდის...

ხმას ვერ ვიღებდი მაინც.

— ვერც რუსმა ვერავინ აჯობა, ვერც პოლშელმა, ვერც მალოროსმა. მარტო ერთი ხ—ცკი იყო მაგის ტოლი, ისიც პოლშელია. ორივემ პროფესორებს წყალსავით მიაყარეს პასუხები... ეხლა შაგან დისერტაცია უნდა დაწეროს... მაგის ალაგას, რომ ვიყო, უნივერსიტეტში დავრჩებოდი, საზღვარ-გარეთ გამგზავნიდენ და პროფესორად გამოვიდოდი...

ფრთა-შესხმულ ტყუილათ ჩავთვალე ეს უკანასკნელი სიტყვა. შესაძლებელი რომ იყოს პროფესორობის მიღება, რომელი გიჟი უარს იტყოდა? სასახელო საქმეა პროფესორობა, „ისტორიაში ჩაიწეროს ამით სახელს კაცი“ და ამ გვარ მომავალს გადარეულის მეტი, აბა ვინ გაცვლის ჩინოვნიკობაზე? არა, ვფიქრობდი, უეჭველია, რომ მიულწეველი საქმეა პროფესორობის შოვნა, თორემ აბა ღრეჭია,—ჭკვიანი და მცოდნე ღრეჭია,—იმაზე უარს როგორ იტყოდა!

— წიგნი მაქ შენთან-თქო, ამოვიღე ბოლოს ხმა.

— ვისგან?

— მამა-ჩემისგან. მაგრამ სასტუმროში დამრჩა, სადაც ჩამოვ-ხტენით, ბარგში.

— ბარგი რომ გადმოიტანო, შინ მომიტანე. აი ჩემი ადრესი. ჩვენები არ გინახავს წამოსვლის დროს?

სანამ მისი სახლეულობის ამბავს და გარემოებას მოუთავებდი, ღრეჭიაც დაბრუნდა. იმას ბერიშვილი გზაზე შეხვედროდა და თან წამოეყვანა.

ჩააბარეს ჩემი თავი ბერიშვილს და გამატანეს ოთახის სანახავად და ბარგის გადასატანად.

III

ჩემი ოთახის სურათი.—უწიგნობა და უკითხველობა.—სტუდენტების სადილ-რას ველოდი და რა დამხვდა?—პატრის-კუდი და მისი ატეისტობა.—ბიუხნერი წაგიკითხავს?—ატეისტის ლოცვა შუაღამეზე და ამ ლოცვის შედეგი.—ღარიბი სტუდენტების მორთვა მდიდარ თერძთან და მეჩეკმესთან.—ვალი რით გადავიხადოთ?

იმავ დილას ბერიშვილთან დავსახლდი... ერთ პატარა ოთახში, რომლის მარტოხელა ფანჯარა უზარმაზარი სახლის ვიწრო და შმორიან ეზოში გადიოდა, გამიკეთეს ლოგინი, ბერიშვილის ლოგინის პირდაპირ. მარტო პატარა სტოლი ეტეოდა ამ ორ ლოგინს შუა, ფანჯრის წინ, ორიოდე სკამი და პირისსაბანი ტაშტი შეადგენდა დანარჩენ ჩვენ მოწყობილებას. საშინლად გამიკვირდა, რომ ამ სტუდენტის ოთახში წიგნის ხსენება არსაით იყო. გაუმხილე ჩემი გაკვირება ახალ ამხანაგს.

— წიგნის საყიდელი ფული ვინ მოგვცაო, — მწუხარეთ მიპასუხა. მთელი წელიწადი აქა ვარ, და აი ამ სამშაურიანი წიგნის მეტი ვერ მიყიდნიაო. ესა სთქვა და მიჩვენა პატარა წიგნი, ლეიფციგში იაფათ გამოცემული სალიუსტის ისტორია, ლათინურ ენაზე.

— მაშ კითხვით რას კითხულობთ?

— თუ წავეყარეთ სადმე, ვითხოვთ წიგნს და წავიკითხავთ. მაგრამ ან კითხვის დრო ვის აქვს! ჯერ დილით ლექციებია, ხომ, და ლექციები. მერე ნასადილევს, ჩვენებური ყმაწვილები საეგზამენოთ უნდა ვამზადო... ისე დაიქანცები, რომ კითხვა კი არა, წოლაც გაგიჭირდება...

ვერც ამისი გამეგო რა. სტუდენტი რომ არას კითხულობდეს გაგონილა? თუ კი გიმნაზიაში ვასწრებდით კითხვას, ნუ თუ აქ უკითხველათ უნდა გამოვიზარდოთ?

სადილობის დრო მოახლოვდა; წავედით საჭმელათ. შემიყვანეს რაღაც ბნელ და ნოტიო ოთახში, სადაც შუაგულ გრძელი სუფრა იყო გაშლილი, და მის გარშემო ოციოდე ყმაწვილი კაცი ისხდა. ჩვენი ქართველი სტუდენტობა თითქმის ერთიანათ იქ იყო თავმოყრილი. დავსხედით. ამიხსნეს, აქ სადილი ხუთ შაურათ ღირსო, ან თვეში შვიდ მანეთადო.

კარგი იყო სადილი თუ ცუდი,—ამას ვინ სდევდა. ვინ კითხულობდა!.. გავძეხით კი და, იმ ორი თავით, რომელიც მოგვერთვა... ჩეჰდა თავად უფრო სმენად ვიყავი გადაქცეული, ვინემ ჭამათ. მართლაც, ყურადღების ღირსი იყო მაშინდელი გაკვრა გამოკვრული ლაპარაკი.... ზოგი ტანსაცმელზე და თერძზე მუსაიფობდა, ზოგი შინიდან ფულის ლოდინზე. ზოგი სოფლათ საგაზაფხულო გასვლაზე,

ზოგი ახალ-გათავებულ ეგზამენებზე. ყბედობა იყო, რაღა, უთავბოლო უმიზნო... სულ სხვა ნაირათ გამოხატული მქონდა თავში სტუდენტების საერთო სადილი... უეცრათ ჩემ პირდაპირ მჯდომმა სტუდენტმა, ბასილ აბაზაძემ, რომელსაც შარშან ქუთაისის გიმნაზიაში ღვთის-მავედრებელ და დონ-ანტონის მორჩილ ყმაწვილათ ვიცნობდი, ლაპარაკი დაიწყო ამ უცნაური სიტყვით:

— მასე პატარა რომ ხარ, როგორი სტუდენტი იქნები? შენ ალბათ ღმერთი უნდა გწამდეს. და პასუხისთვის არ მოუცდია, ხარ-ხარი დაიწყო: ჯერ რა დროს შენი სტუდენტობაა.

რა ვიცოდი, რა მეთქვა პასუხად? კარგია კიდევ, რომ პასუხს არავინ მთხოვდა.

— ბიუხნერის თხზულება წაგიკითხავსო? — ხარხარის შემდეგ მკითხა აბაზაძემ უფრო დამჯდარი სახით.

ორი წლის წინეთ მძიმე და ხანგრძლივი ავათმყოფობის დროს, როცა ლოგინში ვიწექ და ფიქრის გარდა საქმე არაფერი მქონდა, დაიწყო და დალაგდა ჩემში მოაზრება ამგვარ საგნებზე. ამ ავათმყოფობის დროს, ამავე ფიქრით გატაცებულმა, აზრის გამოსაკვლევათ გარდავიკითხე და გავიცანი, რაც კი რომ საღმთო წერილის წიგნი იშოვებოდა ქუთაისში. ერთი სიტყვით, ზედმიწევნით და საკუთარი შრომით, უხელმძღვანელოთ, გაცნობილი მქონდა ის საჯანი და ის აზრები, რომელზედაც ეხლა ეს გუშინდელი პატრის-კუდი ასე მაღალ კილოზანათ მემუსაიფებოდა.

— ბიუხნერი არ წამიკითხავს, მიუგე, მაგრამ შენ მითხარ, ასე უცებ ღმერთი რამ დაგავიწყა? შარშან არ იყო, ქუთაისში შუბლს იმტვრევდი დონ-ანტონის წინ მეტანიებით-თქო?

— ბიუხნერი წაიკითხე და ჩემსავით განათლდებიო — დარწმუნებული ხმით მიპასუხა. წამო ჩემთან და გათხოვებ მასთხზულებასო. დღესვე განათლდები, დღესვეო.

ამის მეტი არა გამიგონია-რა ღირს-შესანიშნავი იმ დღეს სუფრაზე, რომ ტვინში ჩამჯდომოდეს.

ავდექით თუ არა სუფრიდამ, ღრეჭიამ გვითხრა, — ჩემსა მოდით სამივენი, თერძთან უნდა წაგიყვანოთ, ტანისამოსი შეგიკეროსო. ასე ვერ ივლით პეტერბურგშიო, სირცხვილია, ქართველი სტუდენტები ხართ, კარგათ უნდა ჩაიცვათ, რომ აქაურებმა ჩვენზე ცუდათ არ იფიქრონო.

ახალ ნასადილევს წაველით ნევის პროსპექტისაკენ, გამოჩენილ თერძთან, რომელსაც სახელათ რაუზერი ერქვა. ჩვენ სამს ღრეჭია და ბერიშვილი წაგვყვა. ბერიშვილი სადღაც სხვაგან თავის საქმეზე შიდიოდა და გზაც იქითკენ ჰქონდა.

გზაზე ბერიშვილმა აბაზაძის ლაპარაკი გაიხსენა.

— ერთ ამბავს გეტყვი, მითხრა, იმ ვაუბატონზეო, ასე რომ ყვირის „ღმერთი არა მწამს, ბიუხნერი წამიკითხავს, განათლება ამაშიაო“ და სხვა და სხვა; იცი, თვითონ მაგას რა დაემართა? ამას წინათ შენი ბიძაშვილი დათა დარჩენილიყო მასთან ღამე და მის ოთახში დაწოლილიყო. აბაზაძე მაშინ ღრეჭიას ძმასთან ერთად იდგა. დაიძინეს სამივემ. ერთიც ვნახოთ შუაღამეზე წამომდგარა აბაზაძე, — დღისით რომ იძახის ღმერთი არ არისო,—დაუჩოქნია ლოგინზე და ფრანგულ ლოცვებს ბუტბუტებს თურმე... გამოიფვრიტა დათამ, დაინახა ეს ამბავი. მაშინვე თურმე ღრეჭიას ძმას მიუჩოჩდა, უნდოდა ეს სეირი ეჩვენებინა, მაგრამ აბაზაძე ლოგინზე მოტრიალდა, ალბათ რამე ხმაურობა გაიგონა, მობრუნდა და თანაც ლოგინი ჩატეხა: ჩავარდა თურმე საწოლის ქვეშ. ხმაურობამ ღრეჭიას ძმაც გამოაღვიძა, დათამ იმას მაშინვე ლოცვის ამბავი უთხრა. სანთელი აანთეს, ნახეს საწოლის თავში, ბალიშის ზევით, პაწია ჯვარცმა დაუკიდია ამ ჩვენს ატეისტს... აბაზაძეს უარის თქმა აღარ შეეძლო, ის მაშინვე გამოტყდა და შეეხვეწა — ნურავის გაუმხელთო. ეხლა ჰგონია, რო ეს ამბავი არავის გაუგია, ის კი არ იცის, მაგ საწყალმა, რომ მთელმა ჩვენმა სტუდენტობამ შეიტყო ეს სასაცილო შემთხვევა...

მოგეცათ დღეგრძელობა, ბევრი ჩვენ ამ ამბავმა გვაცინა!..

რაუზერმა ზომა აიღო ჩვენი ტანისამოსის შესაკერავათ. ფასზე ღრეჭია გაურიგდა, აგრეთვე როგორც ფულის გადახდის ვადებზე. საზაფხულო ტანისამოსი უნდა შეეკერა, ისეთი, რომ სექტემბრამდე გვყოფნოდა, ფასათ თითოსთვის ექვსი თუ შვიდი თუმნისა, და ჩვენ ეს ფული ოთხი თვის განმავლობაში უნდა გადაგვეხადა, თვეში თუმან-ნახევარის ანგარიშით...

რაუზერიდამ მეჩექმე გოზესთან წაგვიყვანეს. თორმეტ-თორმეტ მანეთათ შეუკვეთა იმას ღრეჭიამ თითოსთვის ჩექმა-კალოში. ესეც ნისია იყო, მაგრამ მალე კი უნდა გავესტუმრებინა.

დავბრუნდით შინ. ღრეჭია მისსა დავტოვეთ და სამივე ახალმოსულები ერთათ ჩაის დასალევათ წავედით, ქერაძის და თავძარას ახალ ოთახში.

ვიმუსაიფეთ ცოტა პეტერბურგის სიდიდეზე, მისი სახლების სიმაღლეზე, მისი ქუჩების სიგრძეზე, გავიკვირვეთ, შევადარეთ ქუთაისის სახლებს და ქუჩებს, ჩაი დავლიეთ, ერთი სიტყვით, განცხრომას თავი მივეცით. აბაზაძის საწოლს ქვეშ ჩავარდნა თუნდ ოთხჯერ-ხუთ-

ჯერ უამბეო ერთმანეთს. რაღა, კარგ გუნებაზე ვიყავით, სანამ ქერა-ძემ განცხრომა არ მოგვიშხამა ამ უადგილო შენიშვნით:

— ეს ყველა კარგი, მაგრამ დღეს რომ ეს ვალი კისერზე დამადვეს, ამ რაუზერის და გოზეს ვალი, საიდამ და როდის უნდა გადავიხადო?

იმავ ადგილას მიწა რომ გახეთქილიყო და შიგ მთელი პეტერბურგი ჩაეტანა, ისე არ გავკვირდებოდი, როგორც ამ უბრალო კითხვამ გამაოცა.

ჯერ, რასაკვირველია, უსიამოვნო კითხვის თავიდამ მოშორება მოვინდომე:

— მამას მივწერ, და ის გამომიგზავნის მეთქი.

— მამაშენი შენ გამოგიგზავნის, შენი ვალის გასასტუმრებელს. ვთქვათ, გიგოს მამაც მასე იზამს, მაგრამ მამა-ჩემს რომ არ შეუძლია? ლამის მთელი ერთი წლის სახარჯო ფული მივფლანგე დღეს. რაუზერს და გოზეს თუ მივეცი ეს ფული, ქე რაღა ვქამო, ან თავი რითი ვირჩინო.

ვიფიქრეთ ბევრი, ვიდავეთ, მაგრამ კითხვა კი მაინც ისევ კითხვათ დარჩა: ვერ გავარჩიეთ და ვერ ავხსენით.

— ალბათ ასე უნდა, ჩვენზე უკეთ ძველმა სტუდენტებმა არ იციან?...

ამით დავკმაყოფილდით.

IV

ნამდვილი სტუდენტური ოთახი.—როგორ იდგენ მაშინ ღარიბი სტუდენტები.—პოლშელები.—„ქვეყნის დარდი".—დაუვიწყარი თვალები.—პირველი კაცური სიტყვა.—ჩემი ბიძაშვილის სიტყვა იმაზე, თუ ჩვენებს რისთვის ეშორდა.

მეორე დღეს, საღამოს, ავდექი და ჩემ ბიძაშვილთან წაველ, წიგნი წაუღე.

შორს კი იდგა ჩვენგან ის დალოცვილი. ეკატერინის კანალზე, უშველებელი ბინძური სახლის მეოთხე, თუ მეხუთე ეტაჟაში, ერთი ნამცეცა ოთახი ექირავნა, რომელშიაც ის და ორი სხვა პოლშელი სტუდენტი ერთად იდგენ. რაც ჯერ ქართველების ოთახში არ მენახა, ის აქ დამხვდა, მათი ოთახი სწორეთ იმ სტუდენტურ ოთახს ჰგავდა, როგორც რომანებში სწერენ ხოლმე სტუდენტების ყოფაცხოვრებას. ყელ-ჩამომტვრეულ ბოთლში სანთელი ერჭო, ეს გახლდა შანდალი. სტოლზე და ფანჯრებზე უთავბოლოოთ დაგდებული წიგნების ფურცლებს შუა თამბაქო და მოწაწევი პაპიროსები ეყარა. ია-

ტაკზე ალაგ-ალაგ წიგნი ეგდო, სხვაგან—ნაწერი ქაღალდი, კუთხეში—დაგლეჯილი ჩექმები, ჩუსტებათ გადაქცეული კალოშები, და სხვა ამ გვარი ხორაგი. ლოგინი, მთელი ერთი თვე არავის გაესწორებია. ზედ საბნობას პალტო და შინელი შეებოდა. არც ბალიშის პირის, არც ზეწრის ხსენება არსად იყო. მუთაქის მაგიერათ ბალიშის ქვეშ წიგნები ეწყო, და ერთ საწოლს რომ ფეხი მოტეხოდა, ფეხის მაგიერ იმის ქვეშ წიგნები დაელაგებიათ. ერთი თითის სისქე მტვერი ედო ყველაფერს, რაც კი იმ ოთახში მოიძიებოდა. სტოლზე უთავბოლოთ ეყარა წიგნები, შავი პურის მონაჭერი, ძველ ქაღალდში გახვეული მარილი, კუპატი, თამბაქოში არეული შაქარი, ჩაის ჭიქა, რძის ბოთლი და სხვა და სხვა.

თვითონ ოთახიც ამ მორთულობას შეეფერებოდა. დაბალ კედლებს ერთობ ვიწრო და დაბალი ფანჯრები ჰქონდათ დატანებული. ზედ დაკრული შპალერი ალაგ-ალაგ აფრეწილი და გამცვდარი იყო. დროთა ვითარებისაგან ჭერს იმგვარი სიყვითლე დატყობოდა, როგორიც ერთობ მოხუცებული კაცის ჭაღარა თმას ჰფერავს. შმორის სუნი და ნოტიობა კედლებსაც შეთვისებოდა, ჭერსაც და იატაკსაც.

სამი კაცი ეტეოდა ამ ერთიდა ოთახში. ორს მათგანს კრავატი ედგა საწოლათ, ომარხნობის დროისა, დამტვრეული და წვირით გალიფული. მესამე იწვა პატარა დივანზე, რომელზედაც ხუთი წლის პავშიც ძლივს დაეტეოდა. ჩემი ნათესავი სტოლთან იჯდა და პაპიროსებს ტენიდა. ერთი მისი ამხანაგი დივანზე იყო გაშხვარჯული და მეორე—ლოგინზე. ორივეს ხელში წიგნები ეკავა, როცა ოთახში შევედი.

გაცნობის შემდეგ ერთი იმ პოლშელთაგანი ჩაის მზადებას შეუდგა. სამოვარი შეუკეთა, პურის და ჩაის საყიდველათ წავიდა... მეორე, ზრდილობის მოთხოვნისამებრ, წამოჯდა იმავ დივანზე, რომელზედაც წინეთ იწვა.

მუსაიფი დიდხანს უმნიშვნელო საგნებზე და კითხვებზე ტრიალებდა: რუსეთი როგორ მოგეწონაო, რუსის ხალხი რა ხასიათის გეჩვენაო, გზამ რამოდენათ შეგაწუხაო და სხვა. პოლშელი ძლივს ამტვრევდა რუსულ ენას. ლაპარაკი იმას თითქმის იმოდენათ უჭირდა, რამდენათაც მე; გამოთქმა და ენის კილო კი უფრო გაძნელებული ჰქონდა.

მოვიდა მეორე პოლშელიც.—მისი პირისახე და გამოხედულება დიდხანს არ დამავიწყდება, თუმც ის კაცი მე მის მეტათ აღარც კი შემხვედრია ჩემს სიცოცხლეში. იქნებოდა ოცდახუთი-ოცდაექვსი წლისა, და არა მეტი. პირთხელი და პირსუფთა, შუბლმაღალი,

ღრმათ ჩაცვენილი თვალებით და ერთობ თხელი ტუჩებით, ის წამებულს ან წამებისთვის გამზადებულს ჩამოგავდა. ლოყებზე იმას ის რგვლათ შემოხაზული ფერი აჯდა, რომელიც ხშირათ ისე ამშვენიერებს ჭლექიან ახალგაზდა ქალს. გრძელი წაბლისფერი თმა ლომსავით გადმოშვებული ჰქონდა მხრებზე... მაგრამ საქმე არც ამ პირისახეში იყო, არც ამ თმაში, არც ამ ფერში: რაც იყო,—თვალები იყო, მათი გამოხედულობა, მათი საკვირველი ძალა... მოსვენებულათ, უბრალოთ შემოგხედავდა ეს კაცი თავისი ცისფერი თვალებით, დაგაკვირდებოდა, და უცებ გაუგებარი მწუხარება გაგიჯდებოდა მთელ ტანში. როდი იცოდი, თუ რა დარდი ჰკლავს ამ კაცს, რა ფიქრი აწუხებს, რა სევდა ერევა, გრძნობდი კი, რომ მთელი მისი გული, მთელი მისი სხეული ავსებულია რაღაც უსამზღვრო მწუხარებით, და უკითხავათ, გამოუკვლევათ, თქვენც თანაუგრძნობდით ამ უცნობ და უცნაურ დარდს. ერთი სურათია რაფაელის, რომელსაც „Mater dolorosa" ჰქვია. აი, სწორეთ ამავე გვარი თანაგრძნობით და სევდით ივსება, ვინც კი ამ სურათს დააკვირდება ხოლმე.

პირველი კაცი, რომელმაც პეტერბურგში პირველი კაცური სიტყვა მითხრა,—ის სიტყვა, რომელიც ცხოვრების ყოველდღიურ ხასიათს ერთბაშათ მიგავიწყებს და უცებ იდეალისკენ აგწევს, აგაფრენს, გაგაუმჯობესებს—ეს კაცი გახლდათ. ამ გვარი სიტყვისთვის ვიყავ წამოსული რუსეთისკენ, მისი იმედით მიყვარდა სტუდენტობა, მისი პატივი აგერ სამი წლის განმავლობაში მემარხა გულში... მთელი ორი დღე, რომელიც ჩვენ სტუდენტებთან გავატარე, ნიადაგ იმას ველოდი—აბა როდის შომესმება ეს სიტყვა-თქო, აბა ვინ შეეხება ამ ჩემი გულის სიმს-თქო... და ამ კაცმა პირდაპირ, მოუმზადებლათ, უკითხველათ, დაჯდა თუ არა, თითი ზედვე დაადო...

მთელ ტანზე თმა ამეგუძგა მაშინვე, და თავიდამ ფეხებამდი იმ ჟრუანტელმა დამკრა, რომელიც „ზეგარდამო შთაგონებას" ჩვევია თურმე...

რაში მდგომარეობდა ეს სიტყვა?—მთელ მუსაიფში, რომლის მოყვანა აქ შეუძლებელია და რომლის დასაწყისი ამ კითხვამ დასდვა:

— თქვენ ეხლა მთელი რუსეთი გამოიარეთ, კიდიდამ კიდემდი, ამისთანა ღირს-შესანიშნავ დროს... იქნება ყური მოჰკარით აქა-იქ, სადმე, გლეხი ხალხი რა აზრისაა ახალ მის „გათავისუფლებაზე?"

საჭირო არც კი უნდა იყოს მთელი ჩვენი საუბრის მოყვანა, მარტო იმას ვიტყვი, რომ გათენება მოახლოვდა, და ჩვენი მუსაიფი

ჯერ მაინც არ გათავებულიყო.. მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს, რომ ჩემი მხრით სათქმელი ბევრი არაფერი მექნებოდა. მაგრამ საკითხავი კი ძლიერ ბევრი მქონდა, იმდენი, რომ კაცს ჩემთვის ნება მოეცა, იქნება მთელი ერთი კვირის განმავლობაშიაც ვერ დამეცალა ჩემი კითხვების გუდა...

მართალი უნდა ვთქვა, ძლიერ გამიკვირდა, როცა შევნიშნე, რომ ჩემმა ბიძაშვილმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ ბაასში. ლრეჭიას სიტყვის შემდეგ იმას როგორღაც აღერღილი უცქერდი. დიდს რასჰე, რასაკვირველია, მუსაიფში ვერ შევამჩნევდი, მაგრამ იმ ღამეს, იქ, ყრუც რომ დაგვსწრებოდა, ისიც მიხვდებოდა—ამ ყმაწვილს გრძნობა ჰქონიაო...

დილას ყველანი ერთათ გამოველით გარეთ და ვასილის კუნძულისაკენ ერთათ გავემგზავრეთ. პოლშელები წინ მიდიოდენ. დათა და მე ქართულათ ვმუსაიფობდით, შინაურ საქმეებზე. როცა ჩვენმა მუსაიფმა გულითადი, ძმური ხასიათი მიიღო, თავი ველარ მოვიკავე და გამოუტყდი, დიდათ მწყენს, რომ ჩვენებურ სტუდენტობას მოშორებიხარ-თქო.

— რა ვქნა, ძმაო, მიპასუხა, მეც ძლიერ მწყენს ეგ მოშორება, მაგრამ რა გაეწყობა, ვერ მოვთავსდით ერთათ, ერთმანეთი ვერ შევიგუეთ... ერთობ ბევრი უფროსები ჰყავთ იმ დალოცვილებს, ერთობ ნამეტანი ბრმა მორჩილება აქვთ უფროსებისა... ლრეჭიაც ნამეტნავათ უფროსობს, და რა ვქნა, ყურმოჭრილ ყმათ ვერ გაუხთი, თუმც პატივს კი ძლიერ ვცემ და ძლიერათაც მიყვარს, ღმერთმა ხომ იცის...

პოლშელებმა ფეხი აუჩქარეს და სადღაც მარცხნივ გადაუხვიეს, როგორც კი ხიდზე გავედით მასაქეთია არცერთი იმათაგანი არ მინახავს, არც მათი ამბავი გამიგონია. იმავე ზაფხულს გაქრენ სადღაც, თითქო ჯურღმულში. ერთი მათგანი, ეს, როჰელიც იმ ღამეს მემუსაიფებოდა, ბევრი ვეძიე, მაგრამ მისი კვალიც კი გაჰქრა... ორი წლის შემდეგ გაზეთში შემხვდა მისი გვარი, ომში მოკლულების სიაში. ის იყო, თუ სხვა მისი მეგვარე, არ ვიცი...

V

ფილიპე ბერიშვილი.—ორი სული ერთ გვამში.— მისი ხასიათი.—რა აზრით თავს იკავებს ის მოკმედებისაგან.—ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ჯერჩიოს.—ლათინური ენის სწავლა.—ნაოსნობა.

ივნისის დამდეგამდი ისევ პეტერბურგს უნდა დავრჩენილვიყავთ — ასე გადაწყვიტა ლრეჭიამ,—და მერე, „აგარაზედ“ გადაგვიყვანდენ, საზაფხულოთ. მაშასადამე, ოციოდე დღე უნდა გამეტარებია ფილიპე ბერიშვილთან, მის პატარა ოთახში.

ფილიპე და მე მალე დავძმობილდიო. საკვირველი ქმნილება იყო ეს კაცი. მისთანა ახირებული და თან სასიყვარულო პირი არც მაქნამდი შემხვედრია სადმე, არც მას შემდეგ. ამ კაცის კანში ბედს, ორი წინააღმდეგი ხასიათის პირი ჩაუკვეტებია. ერთი მათგანი თავაზიანი, თავდაკავებული, გონიერი, გულგრილი და სხვისთვის თავგამომეტებული ქმნილებაა, ფაქიზიანი, მორიდებული, ფრთხილი, სუფთა და შორს გამჭვრეტი. მაგიერათ ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რამოდნათ ჯიუტი და თავისნებაა, რამოდნათ აჩქარებული და ცეცხლმოდებულია მეორე... სანამ ფილიპე მოთმინებიდან გამოვა, სანამ მას რამე გააცეცხლებს ან აღაშფოთებს, მასში პირველი ხასიათი სჩანს და მოქმედებს. მაგრამ „ბზიკი რო უკბენს“, „ჯორზედ რო შეჯდება,“ ეს ხასიათი მეორეს უთმობს ადგილს. მაშინ თქვენ წინ წამოდგება გაჭარხლებული, თვალებ გამოკუსული, ათრთოლებული კაცი, რომელსაც როდილა რამე ახსოვს, და რომელიც მზათაა გალეწოს და შემუსროს ყველაფერი, რაც კი წინ დახვდება, ან ხელში მოხვდება... ვერ დაითვლის კაცი, მაშინ მის მწარე სიტყვებს, ვერ წარმოიდგენს მის შფოთვას, წყრომას და რისხვას...

წეღან ვთქვი, ფაქიზი ხასიათის არის-მეთქი. ავათმყოფობამდიან მისული ეს მისი სიფაქიზე. არ შეუძლია ოთახში დარჩეს მოსვენებით, თუ უწესობა რამ დაინახა შიგ, ან მტვერი, ან დანგრეულათ დაწყობილი წიგნები, ან უთავბოლოთ დაყრილი ტანსაცმელი... რაგინდ საჭირო საქმეზე იყოს თქვენთან მოსული, მაშინვე საქმეს თავს დაანებებს და ქადაგებას დაგიწყებსთ: „როგორ იქნება ასე ბინძურათ ცხოვრებაო, ვერ მიალაგებინებდი, განა, ამ ოთახსო, ან შენ თვითონ ვერ დააწყობდი რიგზე წიგნებს და ტანსაცმელსო“? და თუ ერთობ დაახლოვებული ამხანაგი იყო თქვენი, მაშინ ,—ქადაგების მაგიერ,—როცა დაინახავდა, რომ აქ სიტყვა როდი გადისო,—თვითონ შეუდგებოდა ოთახის დალაგებას... ერთათ როცა ვიდექით, ოთახში წესიერების დამცველიც ის იყო, ჩაის გამკეთებელიც (შენ სუფთათ ვერ გააკეთებო), ჩაი-შაქრის მყიდველიც, მზრუნველიც და მშრომელიც. სიყვარულით კისრულობდა ყველაფერს... სტუმარი რომ მოუვიდოდა, თუ დაინახავდა, რომ მის ტანსაცმელს ბუნდღი მოდებია, მაშინვე მუსაიფს შეწყვეტდა, ადგებოდა, სტუმარს ნელა მიუახლოვდებოდა და ტანსაცმელიდამ ბუნდღლს ნაზათ ორი თითით ააცლიდა, მერე სინათლეზე დამკვირვებელი თვალით გასინჯავდა, ფანჯარასთან მიიტანდა და ფაქიზათ სულს შეუპერავდა; ისე მოიცილებდა ბუნდღლს ოთახიდამ... გაქვსთ სიცოცხლე, ჩვენ ყველა ამისთანაებზე დავცინოდით ხოლმე! და თვითონ ფილიპეც იცინოდა, დიდ-

ხანს, მთელი თვეობით, სანამ დაცინება ილაჯს არ გაუწყვეტდა, და თხოვნას არ დაგვიწყებდა,— თავი დამანებეთო. მერე, ხვერწნა რომ არ გაუვიდოდა და გაფრთხილება არაას უშველიდა, ერთს თავისებურათ შემოგვიტევდა, შემოგვკივლებდა, გაცეცხლდებოდა ორი მინუტის ვადით, ილრიალებდა, რასმეს დაამტვრევდა, გულს მოიკლავდა ან მოიქავებდა... და ისევ ძველებურათ ტკბილ, თაეაზიან და ფაქიზ ფილიპეთ გარდიქცევოდა.

ფილიპე ბევრს ფიქრობდა, ბევრს კითხულობდა იმ დროს, ჩვენ ყმაწვილებში ის ცოდნით როდი ვისმეს ჩამოუვარდებოდა. მისი ნიჭი იშვიათათ გამოჩენილა, ამიტომ რომ, თუმც დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ ამ ნიჭს მიწაში მარხავს. ერთობ მძიმეთ, ერთობ სინდისიანათ უცქერს ცხოვრებას და მოქმედებას. საქმეს კაცმა მარტო მაშინ უნდა მოკიდოს ხელიო, ამბობს, როცა ხელში ყველაფერი მზათა აქვს საქმის ბოლომდი მისაყვანათო... ყველას რომ ასე ემოქმედოს, ბევრი არაფერი გაკეთდებოდა ქვეყანაზე... ყოველი კაცი ვალდებულია ერთი ნაბიჯი მაინც წაადგმევინოს წინ თავის დროს და თავის თანამედროვეს. ჩვენ რომ იმას უცადოთ, თუ როდის მოგვეცემა საშუალება ხალხს სრული და საბოლოო სიკეთე ერთბაშათ მივანიჭოთ, ვინ იცის, იქნება ამისთანა საშუალება ჩვენ დღეშიაც არ გვეღირსოს?.. ის ჰქენი, რაც შეგიძლია, რისიც ღონე გქონდეს, რაც მოხერხდეს, დიდი იყოს, თუნდ მცირე. გაბედე, სცადე, და თუნდ არა გამოვიდეს რა, ამ გაბედვასაც და იმ ცდასაც სარგებლობა მოსდევს. აუხოცველი კვალი მაინც დარჩება, ერთ ადამიანს მაინც გაეფხიზლება, ერთი წუთის ვადით მაინც შეწყდება ის საზოგადო დუმილი, რომელიც ხალხს გონებაზე ტყვიასავით აწევს... რამდენჯერ მოუნდომებია ფილიპეს ჟურნალის, ან გაზეთის დაარსება, და ვერ გაუბედამს: საკმაო ფული არა მაქვსო, საკმაო თანამშრომელი არა მყავსო, რომ გაზეთი ნამდვილათ, ს ა მ უ დ ა მ ო თ დავაარსოო. ამის გამო ჯერ იმას არც სამუდამო რამ დაუარსებია, არც დროებითი. დაეწყო, დალოცვილს, დაე სამუდამო ნუ ყოფილიყო, დაე მარტო ორიოდ-სამი თვე ეცოცხლა მის გაზოცემას. განა იმ სამი თვის განმავლობაში ცოტა აზრი გამოითქმებოდა, ცოტა მოძრაობა მოხდებოდა, ცოტა სარგებლობა მოიტანებოდა? ამ მხრით მისი მოაზრება იმ თრიის მოქმედებას ჩამოგავს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ნიგოზს ბოჭდა: მოხუცებულობის დროს მოვიხმარო. დაბერდა თრია, ნიგოზი ბევრი მოაგროვა, მაგრამ საუბედუროთ სიბერესთან კბილები დააკლდა, და ბლომათ მოგროებული ნიგოზი ვეღარც კი მოიხმარა...

საყოველთაოთ განთქმულია მისი მიუდგომლობა, მისი ხასიათის სიმაღლე და გონების სისწორე. ყველამ დაინახა, შარშან ქუთაისის ბანკის კენჭის ყრის დროს, რამოდენათ მართალი ვიყავით ჩვენ ყველანი, ვინც ამ „უმოქმედო კაცის“ ნიჭს და ჭკუას ისე მაღლა ვაფასებდით და ვაფასებთ... დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი უფრო აშკარათ გამოაჩენს ამას... მაგრამ ჩემ საგანს ერთობ დავშორდი. დაუბრუნდები ისევ პეტერბურგს.

როგორც კი დავსახლდი ფილიპესთან, იმან მაშინვე თავისი სამშაურიანი წიგნი აიღო და მომაჩეჩა: ლათინური ისწავლე საეგზამენიოთო. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემ დროს გიმნაზიებში ყველას კი არ ასწავლიდენ ლათინურ ენას. ვისაც სურდა, ის ლათინურს სწავლობდა, და ვისაც არა, ის კანონებს. რადგანაც მამა-ჩემს არამც და არამც არ უნდოდა ჩემი გაგზავნა მაღალ სასწავლებელში, და რადგანაც ის სიყრმიდანვე ვაჭრათ მამზადებდა, ამისათვის გიმნაზიაში კანონებს ვსწავლობდი, და არა ლათინურს. და რაკი, გიმნაზიის გათავების შემდეგ, გავჯინდი და მამას ძალა დავატანე უნივერსიტეტში გასაგზავნათ, ეხლა ლათინური უნდა მესწავლა, ეგზამენის დასაჭერათ. ფილიპე გახდა ამ საგანში, ჩემ პროფესორად.

რამდენი წვალება გამოვარონიე იმ უბედურს. უნდა გამოვტყდე-ჩემისთანა ზარმაცი არა გაუჩენია-რა ღმერთს სწავლისათვის. „ურროკის“ დამზადება და სწავლა ყოველთვის ჟამათ მიმაჩდა. არც გაწყრომას, არც შეგონებას, არც დარიგებას, არც ხვერწნას, არც დატკბობას არასოდეს გავლენა არ ჰქონია ჩემზე. ამ შემთხვევაში, არც გიმნაზიაში, არც პეტერბურგს. ხშირათ მომინდომია, თვითონ მესწავლა ეს წყეული „ურროკები“. ხშირათ თავისთვის ძალა დამიტანებია, ხშირათ მითქვამს ჩემ გულში: „სირცხვილია, სხვა სწავლულობს, და შენ კი ვერა-თქო, სხვა გჯობნის, სხვა გასწრობს-თქო,“ მაგრამ არც ამას გაურიგებია რა... ჩემ ბუნებას ყველაფერი, რაც კი დაწესებული, ნაჩვევი, წინათვე განსაზღვრული და კალაპოტში ჩასმულია—ეწინააღმდეგება, როგორც ცეცხლს—წყალი. მახსოვს, გიმნაზიაში კანონებს გვასწავლიდენ, და არასოდეს იმ კანონების დასი ხეირიანათ არ დამიმზადებია, თუმც წიგნები კარგი შქონდა. მეომებოდა მასწავლებელი, სულ ნოლებს მიწერდა დავთარში, მიწყრებოდა, ინსპექტორს და მშობლებს მასმენდა, მსჯიდა, მაგრამ არა გაეწყო რა, ვერ ვისწავლე და ვერ... ერთიც ვნახოთ, მასწავლებელი ავათ გახდა. სამი თვის განმავლობაში კლასში ფეხი არ შემოუდგამს. არავინ იცოდა ჩვენში, როდის დაიწყებდა სიარულს. ხშაც გავარდა—კანონების სწავლა მოისპობა ერთი

ანათო. ერთხელ, როცა თავისუფალი ვიყავით, გავშალე მისი საგნის წიგნი და უსაქმურათ კითხვა დავიწყე. გამიტაცა საგანმა, და სანამ მთელი წიგნი არ გავათავე, არც ერთ სხვა მასწავლებლისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. ამ კითხვით ისე შევისწავლე ის საგანი გიმნაზიაში, რომ შემდეგ უნივერსიტეტშიაც კი გამომადგა მისი ცოდნა...

აბა იფიქეთ, რას მასწავლიდა ფილიპე! დამიწყებდა თუ არა თარგმნას, მაშინვე თავში ათასი ოცნება და აზრი გამკრავდა. დაღუნავდა თავს ფილიპე, გვერდით რომ მომისვამდა, ჩაიყურყუმალებდა ლათინურ წიგნში და დაიწყებდა: Bellum scripturus sum, quod populus Romanus cum Jugurtha, rege Numidarum, gessit...

ის მაშინ ამის მეტზე როდი რასმეზე ჰფიქრობდა. იმას მაშინ მარტო ის ახსოვდა, რომ bellum-ომია, scriptum sum—ვწერო და სხვა. მე კი მაშინვე თავში ის მეხატებოდა, რომ კარგი სანახავი რამ უნდა იყოს ომი, რომ დიდი არაფერი უნდა ჰყოფილიყოს იუგურტას ომი, რომ ამ ომსაც ომს უძახიან, და ნაპოლეონის ომებსაც—ომს, და სხვა და სხვა. ერთობ შორს გამიტაცებდა ხოლმე ამნაირი მოაზრება, და საქმე ხშირათ იმით გათავდებოდა, რომ ვფიქრობდი: „რომაელების მაგიერ იმ ომში იუგურტას რომ გაემარჯვა და რომაელები დაელეწა‘ ვინ იცის, იქნება ქვეყნისა და კაცობრიობის ბედი ამით შეცვლილიყო. იქნება, მაშინ, მე პეტერბურგს კი არ ვიქნებოდი, სადმე ტუნისის ან ტანგერის უნივერსიტეტში შესვლას ვეპირებოდი?“ ფილიპე კი თავისას კითხულობდა:

— . . . . Quascumque urbis et argos manu ceperat...

და მკითხავდა:

— ხომ გესმის, manu ceperat?... ceperat წარმოებს ზმნისაგან capio, cepi, captum, capere, რომელიც ნიშნავს „ვიღებ, ვიტაცებ“ manus, manus, ხელია manu ceperat „ჰალათ აღებას, დამორჩილებას, დაპყრობას“ ნიშნავს.

მაგრამ, რაკი შემომხედავდა, იმ წამსვე ჩემ გაშტერებულ პირისახეზე წაიკითხავდა, რომ ყური არ მიგდია არც მის კითხვისთვის, არც მის ახსნისათვის.

— იმე, იმე, რავა იქნება, შე კაცო, თუ სწავლულობ, ქე ისწავლე...

— უკაცრავათ, ჩემო ფილიპე, უკაცრავათ, მეტს აღარ გაწყენინებ, აწი კი ყურს გულმოდგინედ დაგიგდებ...

დაიწყებდა ხელახლავ თავიდამ „Bellum scripturus sum“ და ბოლოს, ათიოდ წუთის შემდეგ, შემომხედავდა:

— რომ არც ეხლა მიგდებ ყურს?...

ოთხჯერ-ხუთჯერ რომ ტკბილათ მეტყოდა ამისთანა საყვედურს, მეექვსეჯერ წიგნს თავში მესროდა, წამოხტებოდა ბზიკსავით და გავარდებოდა გარეთ...

სინიდისი და თავმოყვარეობა მაიძულებდა მაშინ თვითონ ამეღო წიგნი და გულმოდგინეთ მესწავლა. მაგრამ ტვინში რომ არცმაშინ არაფერი შემდიოდა! შტერსავით ვუცქერდი ხოლმე წიგნს, ნახევარი ან მთელი საათის განმავლობაში, ვატრიალებდი მის ფურცლებს, ფრჩხილით ვნიშნავდი მის სიტყვებს, თუთიყუშსავით ვიმეორებდი, ხან ნელი ხმით, ხან ხმა მაღლა, „Bellum scripturus sum," ბოლოს დავაფურთხებდი წიგნს, წამოვხტებოდი, ნევის კენ გავსწევდი, ავიყვანდი ნავს და ვსეირნობდი წყალზე ორი-სამი საათის განმავლობაში...

ტუჩკოვის ხიდის ახლო იდგა ჩვენი სახლი. ხიდს გაღმა პეტროვის პარკია, რომელშიაც ბევრი ტბა და თხრილებია გაყვანილი. იქ მიყვარდა ნაოსნობა. იქ პატარა ნავებს აქირავებდენ, საათში ხან აბაზათ, ხან ორ აბაზათ. პატრონი ნავს ჩაგვაბარებდა და გაგვიშვებდა, უმენავოთ. ნავის ნიჩაბი მირჩევნოდა სალიუსტისაც და იუგურტასაც...

VI

პირველი ჩემი რობინზონობა.—რა რიგათ გავრჩით ზღვაში სიკვდილზე.—იმედი უიმედობაში.—გადავრჩით!—საყვედური, დარიგება და სინანული.

ერთხელ, ფილიპე რომ გამექცა და წიგნს მარტო უჯექი, შემოვიდენ ჩემთან ქერაძე და თავძარა. ორივეს ისიც იყო სწავლა გათავებიათ და სეირნობა განეზრახათ, რადგანაც ჩინებული, მშვენიერი საღამო იყო.

— მოდი, ყმაწვილებო, ნავით ვისეირნოთ პეტროვის პარკში,— უთხარ იმათ. რა კაია რო იცოდეთ, რა სასიამოვნოა!

ორივე დამეთანხმა. წავედით. გაველით თუ არა ტუჩკოვის ხიდზე, თავძარამ ხიდის ყურში ნავები დაინახა.

— აი ნავებიო,—თქვა,—აქ ვიქირაოთო.

— თვითონ პარკში ვქირაობ მეთქი.

— სულ ერთი არაა, განა?—აქვე ვიქირაოთო.

მე რომ ნავებს ვქირაობდი უწინ, ვქირაობდი იმ ადგილას, საცა პეტროვის პარკში ნევიდამ პატარა რტო შედის. ის რტო იქვე ტბათაა გაფართოებული, და ასიოდე საჟენის იქით ხელახლავ ნევას შეერთვის. ჩვეულებათ მქონდა, ამ რტოს მივყვებოდი ნავით, ტბას

გავიარდი, ნევაში შევიდოდი, და ბოლოს ისევ იმ ადგილს ვბრუნ-დებოდი, სადაც ნავებს აქირავებდენ. ტუჩკოვის ხიდთან კი ნევიდამ მეორე, უფრო დიდი რტო გამოდის. ვიფიქრეთ—ალბათ ეს რტო იმ-გვარათვე უვლის პეტროვის პარკს და ნევაში მალე ჩაერთვება, რო-გორც მეორე პატარა რტო-თქო, ამის გამო ნავით იმ რტოს (Жда-новка-ს) ავყევით.

ვიარეთ ნახევარი საათი. ნიჩბები მე მეკავა.

— ბიჭო, ამ რტოს მგონია შორს მივყავართ, თქვა ქერაძემ.

— ქე სად უნდა წაგვიყვანოს, ისევ ნევას არ უნდა შეუერთ-დეს-თქო,—მიუგე.

— მოდი დავბრუნდეთ, ეშმაკს თვალი არ უჩამს, ქე არ დავიბნეთ.

— რაღა დროს დაბრუნებაა, ამდენი გზა გამოწვივლია, ბარე-ღამ ცოტა კიდევ გავიაროთ!

ვიარეთ კიდევ ერთი საათი: ნევა არსაით მოჩდა. დაბრუნება სჯობს-თქო, მეც ვიფიქრე, მაგრამ სირცხვილით ვერ გამოვსთქვი. სა-შინლათ კი გამეხარდა, როცა ქერაძემ ისევ უწინდელი წინადადება შემოიტანა: იმ წამსვე დავთანხმდი.

მაგრამ მაშვინ თავძარეამ დაიძახა: რაღა დროს დაბრუნებაა, აი, ნევაც გამოჩნდაო.

მართლაც. გამოჩნდა ნევა და ჩვენც ამაყად შიგ შევცურეთ. გავიარეთ თუ არა ცოტა ოდენი ალაგი, მაშინვე შევნიშნეთ, რომ წყა-ლი ერთობ ჩქარია: ისე გააქანა ნავი, როგორც შურდული... მივი-ხედ-მოვიხედეთ: ეს ჩვენი ნევა როდია, ის ნევა, რომელიც ტუჩკო-ვის ხიდთან და ჩვენი სახლის წინ ჩამოდის: ეს რაღაც სხვა წყალი ყოფილა... მაშინვე გამჭრიახათ მივხედით: ალბათ ეს სხვა რამე შტოა ნევისა, და უეჭველია, რომ ისიც ჩვენ ნევას, დიდ ნევას, უნდა ერ-თვოდეს. გავყვეთ ცოტათი და მალე დაგვაყენებს სწორ გზაზედო, ვიფიქრეთ. გავყევით, ან სხვა რაღა გზა და ღონე გვქონდა: წყალი თავისით მიგვაქანებდა... არ გაუვლია ნახევარ საათს, შევხედეთ, ამ გაქანებულმა წყალმა ზღვაში ამოგვაყოფინა თავი, მოგეხსენებათ, კარგ ფერზე არცერთი ჩვენგანი არ იქნებოდა: ზაფრანის სიყვითლემ ყველას გადაგვიარა, მაგრამ შეშინების გაშოჩენას ვერავინ ბედავდა. მაგარი ეს იყო, რომ შენობა როდი რამ ჩნდა გარშემო, და ღამეც შემოგვეპარა. იქნებოდა ათი საათი, ან მეთერთმეტე... მართალია, მაისში ძლიერ ღია, ნათელი ღამეები იცის პეტერბურგში, მაგრამ მაინც ღამე იყო და ღამე...

შეგვატოპინა თუ არა წყალმა შუაგულ ზღვაში, გაგვსილა. ავი-ღეთ ხელში ნიჩბები, დავაჭირეთ სილას, დავძარით ნავი, მაგრამ

ორი მინუტის შემდეგ ისევ სილაზე გავრჩით. დავანებეთ თავი და დავსხედით სულის მოსაბრუნებლათ. თავიდამ ფეხამდი ისე გაწუნწული ვიყავით—ზოგი სიმწრის ოფლით, ზოგი დაღალულობის ოფლით,—თითქო ისიც იყო წყალში ამოვევლეთ ვისმე.

მოვიბრუნეთ სული.

— რა ვქნათ ეხლაო,—დაბალი ხმით იკითხა თავძარამ.

— ეს სულ შენი ბრალიაო,—პასუხის მაგიერ მომიბრუნდა ქერაძე.

რაღა მქონდა სათქმელი? გავჩუმდი მუდოსავით, თავჩაღუნული.

—რაზე დაგვლუპე, შე წყეულოო,—მომდგა მაშინ თავძარა, რაკი დაინახა, რომ მეც ვგრძნობდი ჩემ პირშაობას. მომდგა და გემოიანათ, მადიანათ ლანძღვა დამიწყო: შენ ასეთო შენ ისეთოო.

—არა, ჩვენ რისთვის ავყევით,—ბანს აძლევდა მას ქერაძე: მაგ არ იყო, ფოთში კინაღამ დაგვლუპა, ნავით რომ ზღვაში შეგვიყვანა?

სათქმელი არაფერი მქონდა, და სწორეთ აშან ამომაღებინა ხმა, ამან ამომიდგა ენა.

—რა მოხდა, შე კაცო, რა უყოთ მერე, რა დიდი საქმეა-მეთქი? ხომ არ დავლუპულვართ ჯერ, დავისვენოთ და გზას ვიპოვით. ჩემს კისერზე იყოს, თუ თქვენ რამე მოგეწიოს-თქო.

ისეთი მარჯვე ხმით ვსთქვი ეს, თითქო მართლა დარწმუნებული ვყოფილიყავ, რომ ადვილი იყო ჩვენი შველა. მეტი არ აქვს ჩემ მტერს, მე იმედი მაშვინ არ მქონოდეს არავითარი. ის კი გამკრა თავში, რომ „ჩემ კისერზე იყოს“, და რაკი დავიღუპებით, ქეეის გაახსენდება საყვედური: საკმაოდ დასჯილი მაინც ვიქნები-თქო...

ავიღეთ ხელ-ახლა ნიჩბები და ხელ-ახლავ დავძარით ნავი. ნიავმა და წყალის მოძრაობამ გაგვიტაცა კიდევ რამდენიმე მხარი.

ბოლოს გვეღირსა იმედი. გამოჩდა შორს, ძლიერ შორს, მოოქრული გუმბათი ისაკის სობოროისა. მეტი არაფერი ჩნდა იმ ადგილიდამ წყლის გარდა. არც ერთი შენობა არ მოჩნდა პეტერბურგისა. ნაპირიც შორიდამ სხვილ თოკს გვანდა, წყალზე შავათ გაჭიმულს.

გადავწყვიტეთ: მოვაბრუნოთ ნავი, ჰირი მოოქრულ გუმბათისკენ უყოთ და ვინიჩბოთ სამივემ; მოვძებნოთ ნევა, რომელიც უნდა იყოს, დიდი გინდ პატარა, და ავყვეთ, ისაკის სობორომდი. იქიდამ ხომ ადვილად ვიპოვით ჩვენ სახლს.

როგორც გადავწყვიტეთ, ისეც მოვიქეცით. ვინავეთ, ვინიჩბეთ, ვიწვალეთ, და მეორე დღეს დილის თერთმეტ, თუ თორმეტ საათზე მივადექით ტუჩკოვის ხიდს. ოფლით ვიყავით გაღვრილნი, ხელებზე ტყავი

გვქონდა გადამძვრალი, ფეხები დაბრუშებული გვქონდა, ძვლები გვტკიოდა და სხეული. გვშიოდა ისე, რომ მგელს გავგლეჯდით. ქვნეშით, კვნესით, ვაივაგლახით მივედით შინ. მენავეს საათი დაუტოვეთ გირაოთ, რადგან იმდენი ფული ჯიბეში არავის გვედო, რომ თექვსმეტი საათის ქირა გადაგვეხადა.

შინ რომ მივედი, ოთახი ცალიერი დამხვდა. მაშინვე ლოგინზე გავიშხლართე: მეტისმ ტმა დაღალვამ შიმშილიც დამავიწყა. და იმწამსვე რომ დავიძინე, მეორე დილის საღამომდი არ გამომღვიძებია. ბევრი მაღვიძა, თურმე, ფილიპემ, ბევრი მარწია, ბევრი წყალი მასხა, მაგრამ გაღვიძებით კი ვერ გამომაღვიძა...

ამის თაობაზე მეორე დღეს საღამოს დიდი საყვედური გვერგო და დიდი ამბავი მოხდა. მოვიდა ჩვენსა ღრეჩია და სამივეს ძლიერ გაგვიწყრა: ეს რას გავსო, როგორ შეიძლება მარტო თრევაო, ვის გაუგია ყმაწვილის ამნაირი ქცევაო, რომ დამრჩვალიყავით, მერე რას აპირობდით, და სხვა და სხვა მოვინანეთ დიდათ და პირობა დავდევით—მეტს აღარ ვიზამთ ამისთანა უსაქციელობასო...

VII

ჩვენი აგარა შავ წყალზე.—ოთახების დარიგება.—საულ ქერაძე.—ხასიათი და ენერგია.— ხუცესი და ჯორი.

იმ დროს უნივერსიტეტის სწავლა შეწყვეტილი იყო. ეგზამენებზე ჰქონდა ყოველ კაცს მივარდნილი შრომა, და ლექციები სექტემბრამდი როდი დაიწყებოდა. ამის გამოისობით ბევრი ჩვენებური ყმაწვილები, განსაკუთრებით ქართლ-კახელები, შინისკენ გამგზავრებულიყვნენ. მე რომ მიველ პეტერბურგს, იქ არც ი. ჭ. დამხვდა, არც ბევრი სხვა.

დადგა თუ არა პირველი ივნისი, შევკარით მაფრაშაში რაც ბარგი და ბარხანა გვქონდა, ვიქირავეთ ურემი და გავსწიეთ სოფლად „შავ-წყალზე". იქ ღრეჩიას თავისთვის სახლი ექირავნა და ჩვენთვისაც იქ დაენიშნა დგომა.

მისი ნებართვით ფილიპეს ექირავნა სამ-თვალი სადგომი, ხის სახლი მეზონინში, ესე იგი სახურავ ქვეშ რო ოთახებს დაატანებენ. კარგი სუფთა სადგომი კი იყო, ფართოც, მშრალიც, არც ძვირი იყო ნამეტანი. შიგ ხუთი კაცი უნდა დავმდგარვიყავით, და სამი თვის ქირა შვიდ თუმან-ნახევარი უნდა მიგვეცა. თითოს გვხვდებოდა ხუთ-ხუთი მანეთი თვეში...

სახლს წინ ბოსტანი ჰქონდა, ყვავილებით სავსე. საუბედუროთ ის ბოსტანი ქვედა მდგმურს ჰქონდა მიქირავებული და ჩვენ შიგ.

შესვლა არ შეგვეძლო. უკან პატარა ეზო იყო, მაგრამ ის ეზო სახლის პატრონს ჰქონდა მიჩენილი, რომელიც ისევ ცალკე სახლში იდგა. ჩვენ მარტო გზა გვქონდა შემოსასვლელი: ბოსტნის გვერდით უნდა გაგვეარა, მერე სახლის კედელთან, ბოლოს ეზოსთან უნდა შეგვეხვია და ჩვენ კიბეზე ავსულიყავით. ჩვენ სადგომს კიბე უკანიდამ ჰქონდა დატანებული, იმ მხრით, საცა სახლის პატრონი იდგა.

ჩიჭებულათ მოვთავსდით ამ სადგომში: ფილიპე და ვ. ს. (ქართველი სტუდენტი) ერთ თვალში მოთავსდენ, რომელსაც ის ბარაქა მაინც ჰქონდა, რომ სხვებსავით გასავალი არ ყოფილა. დიდ შუაგულ ოთახში, რომელიც ზალისამებრ, სხვაზე უფრო ნათელი და ლაზათიანი იყო, დაბარგდენ თავძარა და ქერაძე. მე მარტოხელა დავრჩი: მერგო შესავალი და გასავალი პატარა ოთახი, რომელიც ეზოსკენ და კიბისკენ იხედებოდა ერთი ნამცეცა ფანჯრით. ყველანი დავკმაყოფილდით ამ განაწილებით, ყველანი მოვეწყვენით თავის ნებიერათ: გავიმართეთ სტოლები, გავშალეთ წიგნები და შეუდექით სწავლას.

თითოეულს ჩვენგანს, ახალ მოსულს, ხუთი საგნიდამ უნდა დაეკავა ეგზამენი. ქერაძეს ჩემსავით ლათინური არ უსწავლია გიმნაზიაში, და თავძარას თუმცა ლათინური ესწავლა, მაგრამ ატესტატის სისუსტით სხვა საგნებში წელი უნდა გაემაგრა...

სწავლას შეუდექით—მეთქი, რომ მოგახსენეთ, მართლა ის კი არ გეგონოთ, ვითომ შრომას ყველა ერთნაირი მუყაითობით გავებით. წელანაც ვთქვი, სწავლაში დიდი ზარმაცი გახლდი-თქო. თავძარა ცოტათი მჯობნიდა ამ მხრით, მაგრამ ბევრათ კი არა... მაგიერათ ჩვენ ორივეს ალაგას შრომობდა და მოღვაწეობდა ქერაძე, რომელთანაც დროა მკითხველი გავაცნო.

ესეც ერთი ახირებული ყმაწვილი გახლდათ... საზოგადოთ, უნდა შენიშნოს კაცმა, რომ ჩვენ ქართველობას იშვიათათ დაჰყვება ხრლმე ხასიათი, მუყაითობა. ბევრი ჩინებული, სასიყვარულო, აღმტაცი თვისება აქვს ჩვენ ხალხს, არც ჭკუა აკლია, ღვთის მადლით, მაგრამ ერთი ზნე ბედათ დაუტანებია ღმერთს ჩვენთვის. ნემეცივით ან სომეხსავით ვერ ეტყვის ჩვენი კაცი თავის თავს: „აი, ამა და ამ მიზნის მიღწევა მინდა, და რაც უნდა დამემართოს, რაც უნდა შემხვდეს წინ, ამ ჩემ გზას და მიზანს არ ავცილდები, თავს არავის შევაცდენინებ, სხვა ახალი უმჯობესი მიზანი რომ შემხვდეს, არ გავეკიდები, ჩემსას არ დავივიწყებ, თუნდ დავრწმუნდე, რო გროშათ არ ღირებულა“. და თუნდ უთხრას კიდეც თავის თავს ამისთანა სიტყვა, ვერ გასტანს და ვერ აასრულებს ამ თავის განზრახვას, ვერ მიალევს იმას მთელ თავის სიცოცხლეს, ვერ დაიხშობს თვალებს

ყველაფრისთვის, რაც კი ამ მიზანს არ შეეხება... ხომ მართალია, მკითხველო, რომ ჩვენ კაცს, იმერელი იყოს, გინდ კახელი, გურული, გინდ მეგრელი, ქართლელი, გინდ სვანი, არ მოსდევს ამისთანა თვისება?

აქ მე იმას კი არ ვსჯი—კარგია ეს თვისება, თუ ავი, სასარგებლო, თუ სავნებელი, საქები, თუ საძრახი, იმას ვამბობ მარტო, იშვიათათ გამოყვება-მეთქი ჩვენ კაცს ამ გვარი თვისება. და რადგანაც არ ნინდა, რომ მკითხველი მის ხასიათზე შეცდეს, ამ საგანს უფრო გარკვევით გამოვხატამ.

ეს თვისება „ენერგია“ როდია. ენერგია ამ შინაგან ძალას ჰქვია, რომელიც კაცს მოსვენებას არ აძლევს და მუდამ ჯლინქვებს ჰკრავს, წინ სწევს რომელიმე წინეთ განზრახვილ და ხანდისხან სრულიათ განუმარტებელ მიზნისკენ. ენერგიით სავსე კაცი ხან ღობეებს მოედება, ხან ყორეს, ხან მთას მივარდება, ხან ბარს. ის ყველაფერს სცდის, ყველაფერს ხმარობს, ამიტომ, რომ მის ენებით ანთებულ თვალებისთვის აღარაფერი არსებობს, გარდა იმ ძალისა, რომელიც მას მიზნისაკენ სწევს. ის თვითონ კი არ მიდის მიზნისკენ, მიზანი მიიტაცებს იმას თავისკენ. ის თვითონ კი არ ლაგმავს თავის თავში სხვადასხვა ბუნების მოთხოვნილებას, რომ ერთიანათ თავის მიზანს მიეცეს. არა. ყველა ეს მოთხოვნილებები თავის თავათ ჰქრებიან მასში, ამიტომ რომ ენერგია მათ ადგილს აღარ უტოვებს, და ისე ჰკლავს, როგორც ვენახში დარგული დიდი ნიგვზის ხე ახლო-მახლო ამოსულ ვაზს აღარ ახარებს.

სულ სხვა რიგია „ხასიათი“, მუყაითობა. ამ თვისებას თვითონ კაცი აღმოზდის თავის თავში. ყოველ ქმნილებას კი არ შეუძლია ენერგიული გამოვიდეს: ამისთვის საჭიროა იშვიათი ნერვები, სისხლი, იშვიათი სხეული... მაგრამ ყოველ კაცს შეუძლია „ხასიათი“ შეიძინოს, ყოველ კაცს შეუძლია მუყაითი შეიქნეს. ხასიათიანი კაცი თითონ ლაგმავს თავის თავს, თითონ ახშობს ზოგიერთ თავის მიდრეკილებას და აძლიერებს ზოგიერთ სხვას. ის თავის თავს ნებას არ აძლევს გადაცილდეს წინათვე აღნიშნულ გზას, და ძალას ატანს ფეხი აუჩქაროს ამ გზაზე სიარულსა. ის ემორჩილება მარტო თავის გონებას, მაშინ, როდესაც ენერგიის მქონე კაცი მარტო თავის ვნებას (страсть) ემონება. პირველი მოქმედებს და გრძნობს ტკივინით, და მეორე—კი გულით...

მკითხოს იქნება ვინმემ, რომელი სჯობიაო. ხომ გსმენიათ ანდაზა: „ზოგს ხუცის ცოლი უყვარს, ზოგს ხუცის ქალიო“? ჩემდა თავათ, ორნივე მიყვარს. და ხუმრობა იქით იყოს, ორივე ეს თვისე-

ბა საჭიროთ მიმაჩნია საზოგადო ცხოვრებისთვის... ზოგი დროა, როცა საზოგადოებას „ხასიათიანი“ მსახურნი სჭირია, ზოგი კი იმისთანა დრო დადგება ხოლმე, როცა ენერგიული პირები აუცილებლათ საჭირონი და მეტის მეტათ გამოსადეგნი არიან... მდიდარი და ბედნიერი საზოგადოება ის არის, რომელსაც ორნაირივე ქმნილებებიბლომათ ჰყავს...

იმას მოგახსენებდით, რომ ქერაძე „ხასიათიანი“ კაცი იყოთქო. ისე წურთვნიდა თავის თავს, როგორც მონადირე მიმინოს გაწვრთნის ხოლმე... გაგონილი გექნებათ, ალბათ, იმ ხუცის ამბავი, რომელმაც მოინდომა თურმე ერთხელ თავისი ჯორი ჭამაზე გადაეჩვია. უკლო და უკლო საწყალს თივა და ქერი, და ბოლოს იქნამდი მიიყვანა, რომ ნახევარ მუჭა თივას აძლევდა დღეში და ერთ ბეწვა ქერს.

— ისე კარგათ შეეჩვია ჩემი ჯორი შიმშილსო,—ამბობდა თურმე ეს ხუცესი,—რომ ორიოდე კვირა კიდევ დასცლოდა, ჭამას ერთიანათ გადაეჩვეოდაო. საუბედუროთ, მომიკვდა ის საწყალი: რაღაც ავათმყოფობა დაემართა, ბატონო, გახდა ისე, რომ ძვლისა და ტყავის მეტი არაფერი შერჩენია, და მოკვდა, საწყალი, ისე მტერი მოგიკვდა!

სწორეთ ამნაირათვე ეპყრობოდა თავის თავს ქერაძე. დაიწყო ჯერ შიმშილის შეჩვევა. თანა და თან უკლო საჭმელი. პურსაც ნაკლებ იღებდა, ხორცსაც, წვენსაც და საკმაზსაც: აქაო და ნაკლულევანებას და სიღარიბეს უფრო ადვილათ ავიტანო. მერე მისდგა „სიამოვნების“ დევნას. შრომას უნდა შეეჩვიოო, და ამისათვის საჭიროა, რომ სიამოვნებას გადავეჩვიოო. სიარული ხომ რაა, ან სეირნობა ან გაცინება, ან მუსაიფი: ამაების ნებასაც აღარ აძლევდა თავის თავს. რაღა, დაყუდებული შეიქნა თავის სტოლთან და წიგნებთან, მერე მიაწვა, ბატონო, ამ სტოლს და ამ წიგნებს და დღე და ღამ აკვდებოდა გამწარებით, ოფლის ღვრით... „გამწარებითო“, რომ მოგახსენებთ, ხუმრობა არ გეგონოთ. დიახ, სწორეთ გამწარებით სწავლულობდა, ამიტომ რომ წიგნს და მეცნიერებას ეომებოდა. ის იმიტომ კი არ სწავლულობდა, რომ მეცნიერება მიიტაცებდა ან შიიზიდავდა იმას თავისაკენ, რომ ყოველ ახალ ცნობაში ის დატკბობას ჰპოულობდა, რომ სწავლა მისთვის ბუნების მოთხოვნილებას, საჭიროებას შეადგენდა. არა, სრულიადაც არა. იმან იცოდა, რომ სწავლა საჭირო და სასარგებლოა, რომ უსწავლოთ ის წახდება, და ამის გამო ის იმავე გამწარებით სწავლულობდა, როგორითაც მუშა კაცი

თოვლსა და ბუქში უზარმაზარ ხეს სჭრის ტყეში... არც ეხალისება ამ მუშას თავისი შრომა, არც ბუნების მოთხოვნილებათ მიაჩნია ცულდის ტრიალი. იმას მარტო ის ამოქმედებს, რომ იცის კარგათ: „ზამთარი დგას, ეს დაწყეული და ღვთისაგან შეჩვენებული. სიცივეა საშინელი. ცოლშვილი და ნათესავობა, მეზობლები და კეთილის მყოფლები შინ სიცივით კვდებიანო. მოვჭრი ამ ოხერ ხეს, შეშათ დავჭრი—დავაპობ, შინ წავიღებ, ყველა გათბება, დატკბება, და მეც ხელს მოვითბობ, დავისვენებო!“

დიახ, გამწარებულათ სწავლულობდა ეს კაცი, მოუსვენებლივ, შეუწყვეტომლათ. უნდა შეგეხედა მაშინ მის პირისახისთვის: გეგონებოდა—საძაგლათ სძულს ამ კაცს თავისი სწავლაო. იმისთანა დაღრანჯვით უყურებდა წიგნს, როგორითაც კაცი ჯულაბს ან საფალარათო ზეთს სვამს ხოლმე... მაგრამ სწავლას კი მაინც ერეოდა, სწავლაში სხვებს მაინც სჯობნიდა და ასწრებდა. დიდი საქმეა ბეჯითობა, მონდომვა, ძალის დატანება!..

ჩვენ ყველანი დიდ პატივს ვცემდით ქერაძეს ამისთანა ხასიათისთვის. ყველანი ვგრძნობდით, რომ ჩვენზე უფრო მაღლა სდგას ეს კაცი ამ თავისი თვისებით, რომ პატივ საცემია, მიბაძვის ღირსია ეს მისი მეცადინეობა და მუყაითობა. ხანდისხან სინდისი ჩვენც გაგვამხიზლებდა: ჩვენც წაბაძვით სტოლებს მივეკვრებოდით, მოვინდომებდით მუყაითობას, მაგრამ წაგვძლევდა სული და მალე ავხტებოდით: „არ ძალგვიძს ძმაო, არ ძალგვიძს,“ ვიტყოდით თავის გასამართლებლათ, და გავსწევდით ლოგინისკენ ხან დასაძინებლათ, ხან მოსასვენებლათ. ის კი ძეგლსავით იჯდა თავის სტოლთან, და ხშირათ, ძლიერ ხშირათ, როცა ნაშუაღამევს გამოგვეღვიძებოდა ხოლმე მის წინ დანთებული სამთელი პირუტყვ საყვედურათ გვიდგა თვალწინ...

იმ ხუცესის არ იყოს, და მისი ჯორის, ქერაძეც აკი კინაღამ მიეჩვია შიმშილს, კინაღამ აკი გარდაეჩვია სრულებით ყოველი ბუნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, იმანაც აკი კინაღამ მიაღწია თავის მიზნამდი. ხუთი თუ ექვსი წელიწადი იწვალა ამნაირათ, და ცოტათი რომ დასცლოდა, უსათუოთ დააბოლოებდა სწავლას: მაგრამ საუბედუროთ, ცოტა რომ უკლდა გათავებამდი, რაღაც ავათმყოფობა დაემართა. გულის კანკალი აუტყდა, ისე გახდა, რომ ძვლისა და ტყავის მეტი არაფერი შერჩენია, და ექიმებმა ის მაშინ ჩვენკენ გამოისტუმრეს... უთხრეს: მოისვენეო, კარგათ სვი და კარგათ სჭამეო, თორემ მალე საიქიოს წაბრძანდებიო...

VIII

აგარა. — ეგნატე ბაყაყაშვილი.—მისი ავტორიტეტობა. —„ჰაივენგო“ ერთ დღეს წავიკითხეო!—რა დროს რაზე ფიქრობდა ჩვენი სტუდენტობა.—„თვითონ ბესარიონმა თქვა“.—მაშინდელი ავტორიტეტები.—ჩვენში რეპუტაცია და სახელი როგორ ფუძნდება.—მართლა გვეხმარებოდენ ძველი სტუდენტები ახლებს, თუ მარტო სიტყვით.—წიგნის კითხვა და წიგნის კითხვის დევნა ძველი სტუდენტებისაგან.—„შენც ილიკო ჰავჰავაძესავით წახდებიო!“

„შავრ-წყალი“, სადაც ჩვენ აგარათ ვიდექით, ერთი ჭაობიანი, ნოტიო, ჩამპალი და მართლა შავი ადგილია, პეტერბურგის სიახლოვეს „ნოვაია დერევნიას“ და სტროგანოვის პარკის გვერდით. შავ-წყალს პატარა ღელეს უძახიან, რომლის გაჩერებული და ხავსმოდებული წყალი კუპრსავით შავათ მოჩანს, მისი დამპალი ძირის გამოისობით .. ეს ღელე დიდ ნევკას ჩაერთვის. ამ ღელის პირათ გაუშენებიათ პატარა ქოხები და სახლები, რომელსაც პეტერბურგში მცხოვრები წვრილი ან შუათანა ჩინოვნიკობა აგარათ ჰქირაობს ხოლმე ზაფხულობით. აქ არც ჰაერია ხეირიანი, არც წყალი, არც მცენარეობა. რისთვის იხაშმავს იქ თავს კაცი, ეს მარტო ღმერთმა უწყის...

აქ, ჩვენს გარდა, ბევრი სხვა ჩვენი სტუდენტები დასახლდენ, ზაფხულის გასატარებლათ, ყველაზე შესანიშნავი, რასაკვირველია, ის მოსახლეობა იყო, რომელსაც ღრეჩია, ეგნატე და მიხა ბაყაყაშვილი შეადგენდა, ამიტომ რომ შიგ პირველი მათგანი ერია...

ეგნატე ბაყაყაშვილი ღირს-შესანიშნავი ქმნილება გახლდათ დიდი ხმა და გავლენა ჰქონდა იმას ჩვენ სტუდენტობაში ჩემსობას ღრეჩიას შემდეგ, ის ითვლებოდა მეორე მოთავეთ. ყველა ამბობდა, ძლიერ გამოცდილი, ერთობ გონიერი და მეტის-მეტათ მოხერხებული ყმაწვილიაო, ჩინებულათ ნასწავლი და ჭკუიანიო. ჩვენ ხომ იმას ვერ გავიგებდით, მართალი იყო ეს, თუ არა, ვერ ავწონიდით ხომ მის ჭკუა-გონებას, და, რასაკვირველია, ჩვენც ის გვეგონა, იმას ვიმეორებდით, რასაც უფროსები, ძველები ამბობდენ. მართალია, თვალში კი გვეცა, როგორც კი ცოტაოდნათ დაუახლოვდით, ბევრი მისი ახირებული მოქმედება, მაგრამ ბრიყვობათ ჩვენ ამას როგორ ჩამოვართმევდით, ჩვენს თვალსა და ჭკუას როგორ ვენდობოდით? ალბათ გონიერია, ვფიქრობდით, თორემ უფროსები გონიერათ რათ ჩათვლიდენ-თქო!..

რაში მდგომარეობდა მისი გონიერება, რით იყო ის სხვაზე უკეთესი, ამის ამხსნელი და დამამტკიცებელი ჩვენ არც ერთი შეთმხვევა არ გვქონია. პირდაღებული ლენჩათ დაიარებოდა; თუ იტყოდა რამეს,

ისეთს იტყოდა, რომ არც ღვთის ყოფილიყოს, არც კაცისა; და ვერც ერთ ჩვენ კითხვაზე მოხერხებულ პასუხს ვერ იძლეოდა. უნდა გენახათ, რა ბრძნულ სახეს მიიღებდა, როცა ვისმე ახალ ნაყიდ რამეს დაუნახავდა. იფიქრებდი—მსოფლიო კითხვებს სწყვეტსო, ქვეყნის გადასავალი ამის ხელშიაო, ისე მოიღუშებოდა და ჩაფიქრდებოდა. მერე იმ „სამჯავრო“ გამოხედულობას მიიღებდა, რომლითაც სამსაჯულოს თავმჯდომარე ბრალდებულს ჰკითხავს ხოლმე: „შენ გაბრალებენ ამა და ამ კაცის მოკვლას. აღიარებ თუ არა შენ თავს დანაშაულათო“, და ამ სახით გვკითხავდა: რა მიეცი ამ საგანშიო?—ფასს ეტყოდი. ბრძნულათ მიიხედ-მოიხედდა, სწორეთ ისე, როგორც თავმჯდომარე თავის წევრებს გადახედავს ხოლმე, თავს ნელათ, დარბაისლურათ გააქნევდა, და ბოლოს გარდასწყვიტდა: „მაგ ფასის ნახევრათაც არ ღირს, მოუტყუებიხართო“. ამას სწორეთ იმ სახით იტყოდა, როგორც თავმჯდომარე გამოთქვამს: „ვიცანით რა ბრალდებული დამნაშავეთ...“ და საქმე ამით გარდაწყდებოდა.

ორჯერ სამჯერ რომ ამისთანა „დოპროსი“ გვიყო,—ესეც უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერი, რასაც ვიყიდდით, მისთვის და ღრეჭიასთვის უნდა გვეჩვენებია,—მოვინდომე მისთვის რაიმე ოინი მექნა. ერთხელ შაქრის საყიდლათ გამგზავნეს პეტერბურგში. წაველ და ტოლკუჩკაზე ფირკლის პერანგი ვიყიდე, ისე იაფათ, ისე იაფათ, რომ მეტი სწორეთ აღარ შეიძლებოდა: ორი აბაზი მივეცი, ალბათ ნამკვდრევი იყო, ან მონაპარი. რო დავბრუნდი და უფროსებს ნავაჭრი საჩვენებლათ მივუტანე, მის კითხვაზე, თუ ამ პერანგში რა მიეცი, აშარათ უთხარი: „სამი შაური-მეთქი“. სამშაურათ ხომ იმისთანა პერანგს ტოლკუჩკაზე კი არა, ვერსად ვერ იშოვიდა კაცი.

— მოუტყუებიხართო, ჰსთქვა, ძვირათ გიყიდიაო, ეს ორშაურათაც არ ღირსო.

ვინც იქ დაგვესწრო, იმათგანი ბევრი მიხვდა, რომ ამგვარი პერანგის შოვნა სამშაურათ კი არა, ექვსათაც შეუძლებელია. ზოგიერთმა ამ აზრის გამოთქმა გაბედა.

უმრავლესობას კი ეგნატე ბაყაყაშვილის სიტყვა სჯეროდა: ავტორიტეტი იყო, რაღა!

შეიქნა ლაპარაკი. მიუბრუნდი იქ მჯდომ ღრეჭიას, მიუშვირე პერანგი და მოვახსენე:

— ნახეთ, ბატონო, და თქვით—შეიძლება ამისთანა პერანგის შოვნა ორშაურათ?

შეწუხდა ღრეჭია. არც ჰო უნდოდა ეთქვა, არც არა. მაინც არ მოვშორდი. ბოლოს, როგორც იქნა, წარმოსთქვა:

— ჰო, ეს სულ შემთხვევაზეა დამოკიდებული... ხან შეიძლება... ხან არა!..

იცით, ვერ გავბედე გამეგზავნა, რომ იმ პერანგში ორი აბაზი მქონდა მიცემული! მარტო ფილიპეს გამოუტყდი, ისიც სამი დღის შემდეგ!

ერთხელ ამ ყმაწვილთან აკაკი მივიდა (ხომ ყოველთვის უცნაურს წაატყდება, ის წყეული!). უნდა მოგახსენოთ, რომ ეგნატე ბაყაყაშვილი ჭოლოკისავით წვრილი და მაღალი გახლდათ. გამოსულა ეზოში ეს ვაება კაცი, ცერებზე შემდგარა, ხტის მაღლა და ქშინავს. ჰაერს ყლაპავს. უყურა იმას აკაკიმ, უყურა, უყურა და ბოლოს ჰკითხა: რას შვრები, რა დაგემართა, რა გახტუნებსო?

— ვა, განა არ იცი? სუფთა ჰაერს ვყლაპავ... იმ დღეს აკი პროფესორმა გვითხრა, რომ რაც უფრო მაღლა აიწევა კაცი ატმოსფერაში, მით უფრო სუფთა ჰაერს ნახავსო!.. მასაქეთ სულ ასე ვცდილობ ვისუნთქო...

მიხა ბაყაყაშვილი, რომელიც იმასთან და ღრეჭიასთან იდგა, იყო ერთი კრავი ღვთისა, შესაწირავათ განმზადებული... ის სულ ბავშვი იყო, ჩემი ხნისა. ჩემსავით, ან იქნება ჩემზე უფრო დანდობილი და გამოუცდელი. იმასაც, ჩემსავით, „ყველაფერი მართალი ეგონა," ან, როგორც ფრანცუზები გესლიანათ ამბობენ ხოლმე, „il croyait que c'est arrivé!".

ამათთან ხშირათ დაიარებოდენ ახლო-მახლო აგარებიდან სხვა ჩვენი სტუდენტები, რომლებს შორის ბევრი მაკვირვებდა. იყო ერთი მეკუპროვი, რომელსაც სწორეთ ჩემი მუშტის ტოლა თავი ჰქონდა, და რომელიც ყოველთვის იმისთანა სისულელეს გამოთქვამდა, იმისთანა ვაება სისულელეს, რომ მისი ცნობა მეც ქე შემეძლო. გაოცებული ვიყავი, ამისთანა კაცი სტუდენტათ რამ გახადა, მერე მეოთხე კურსის სტუდენტათ, უფროს სტუდენტათ! დაგვინახა თუ არა, გვკითხა:

—ვალტერ-სკოტის „ჰაივენგოზე" რა აზრის ბრძანდებითო?

—სასმელია თუ საჭმელი-თქო, წამცდა.

შებრალებით გადმომხედა და მითხრა: „წაიკითხე და მაშინ შეიტყობო".

ფილიპემ ხელი მომკიდა და გამასეირნა.

—მაგას რომ ჩვენ საქმე უქენით, რომ იცოდე, სიცილით მოკვდებიო. თავის დღეში წიგნი არ წაუკითხავს. აუღია ერთხელ, ვალტერ-სკოტის რომანი „ჰაივენგო", და კითხვა დაუწყია. შეველით მის ოთახში, ვნახეთ, ეს კაცი ფურცლებს ითვლის წიგნისას. გადაი-

თვალა თავიდამ ოცდაათი ფურცელი, ნიშნად ჩადვა შიგ ქაღალდი, და წიგნი გადადო. ამასობაში ვიღაცამ გარედ გაიხმო. მაშინ ერთმა ჩვენთაგანმა წიგნი ხელში ჩაიგდო, გადმოთვალა ბოლოდან ოცდაათი ფურცელი, და ქაღალდი ნიშნად იქ ჩააკვეხა. ერთიც ვნახოთ, საღამოს დაუწყია წიგნის კითხვა იმ ადგილიდამ, სადაც ამხანაგმა ქაღალდი ჩაუკვეტა, და რასაკვირველია, დარჩენილი ოცდაათი ფურცლის წაკითხვა მალე გაუთავებია... მეორე დღეს ვისაც კი შეხვდებოდა, ყველას ამახარობლებდა: „ჰაივენგო" ერთ დღეს წავიკითხეო, თავიდამ ბოლომდე ერთ დღეს წავიკითხეო, ღმერთს გეფიცებით, წავიკითხეო"... იმას კი ვერ მიხვდა, საწყალი, რომ შუაში ორასი ფურცელი გამოატოვებინეს!..

სხვაც ბევრი იყო ამავე ძალისა და ჭკუის პატრონი... ყველანი ერთნაირათ, გაბერილათ, ბრძნულათ დაიარებოდენ, ყველას ისე ეკავა თავი, თითქოს მეცნიერების დედა ბოძი ყოფილიყო, ყველა ისე მედიდურობდა, რომ წარმოდგენა შეუძლებელია. შეიკრიბებოდენ ხოლმე ხშირათ, დასხდებოდენ ოთახში, ან ეზოში და დაიწყებდენ... სიჩუმეს. სათქმელი არა ჰქონდათ რა, თუ თქმა ეზარებოდათ, ან ეშინოდათ, ეს ვინ იცის. ხშირათ დავსწრებივარ ამათ შეყრილობას, და ღმერთმა ხომ იცის, რომ სრული უმანკოებით და გულწრფელობით მინდოდა გამეგონა მათი მუსაიფი, მინდოდა „ჭკუა მესწავლა", შემეტყო როგორ უნდა მზადდებოდეს, რას უნდა მისდევდეს ჩვენი დროინდელი ახალგაზრდა. მაგრამ ერთი ხეირიანი სიტყვა რაა, ერთათ ერთი, ისიც არ გამიგონია. საკვირველიცაა, მართლა, 1861 წლის ზაფხულზე, როცა გლეხები თავისუფლდებოდენ, როცა სტუდენტების მოძრაობა მზადდებოდა, როცა მთელ ევროპას ის უცხო ალი ჰქონდა მოდებული, რომელიც გარიბალდის გმირობამ აანთო, პეტერბურგში, რუსეთის სატახტო ქალაქში, ოცზე მეტი ჩვენი ახალგაზრდა იდგა, და მათ მუსაიფში, მათ სიტყვებში ერთი უბრალო ხსენება არ ყოფილა რაიმე საზოგადო მიზნისა, ან საზოგადო საქმისა, ან მოვალეობისა, ან და მზადებისა. გინდ მათ შორის ყოფილიყო კაცი, გინდ მთიულებს შუა, მივიწყებულ და მიყრუებულ ოსურ სოფელში, სულ ერთი იყო: ლაპარაკი ნიადაგ უმნიშვნელო, საყოველდღეო, კერძო საქმეზე ბრუნავდა, კერძო თავმოყვარეობაზე, კერძო ინტერესებზე, და მეტზე კი არაფერზე.

—სანამ ი. ჭ. იყო აქ,—მეტყოდა ხოლმე ფილიპე,—მსჯელობას და ლაპარაკს ქე მაინც გაიგონებდა კაცი, ხანდისხან, მამულის სიყვარულზე. ის წავიდა, და ეხლა რაუზერზე ან გოზეზე თუ გაიგონებ სჯას, მეტზე არაფერზე...

მაგიერათ უშველებელი „ავტორიტეტობა“ იყო დაფუძნებული ამ ყმაწვილების შუა. აზრს კი არავინ ამტკიცებდა, საფუძველი კი არავის მოჰყავდა მსჯელობისა, სხვის ფიქრს კი არავინ არღვევდა თავისი მოაზრებით ან საბუთებით, არა. ყოველი კაცი თავის აზრს მკვახეთ გამოსთქვამდა: „დაიჯერე, რადგანაც ვთქვიო“. ამ ნაირათ მოქმედებს კაცი ყოველთვის, როცა მას თავისი აზრი თვითონ შრომით და ტვინის ჯაფით კი არ შეუძენია,—სხვისგან მიუღია მზა-მზარეულათ. გულ-წრფელად უკვირდა ყველას, როცა ჩკენოაგანი ვინმე ბაჟშურათ იკითხავდა: „რისთვისაა, მაგას ასე რათ ფიქრობ?“ მახსოვს ერთხელ, ამ გვარ რეგვენული კითხვებით მოვაბეზრე თავი ერთ ჩვენ ყმაწვილს, ხაბარდაძეს, რომელიც რაღაც ჩემთვის გაუგებარ აზრს გამოთქვამდა. ძალიან და ძალიან რომ ჩავაცივდი,—ამიხსენი-მეთქი, იმან ახსნისა და მტკიცების მაგიერ ეს აპოკალიპსური სიტყვა მითხრა:

—თვითონ ბესარიონმა (ღოღობერიძემ) სთქვა ესო...

ვინც იქ იყო, აკაკის გარდა, ყველა იმ წამსვე დარწმუნდა, რომ ცხადი და აშკარა პეშმარიტება ყოფილა ეს აზრი, რადგანაც ის „თვითონ ბესარიონმა გამოთქვა“. და თუმც მეტი საბუთი, ან დამტკიცება აღარავის სჭიროდა, მოლაპარაკემ თავის აზრს ხელმეორეთ კვერი დაჰკრა და სულმთლა ძირამდი ჩაგვირეტა ტვინში ამ მეორე საბუთით:

—ღრეჭიაც სწორეთ მაგვე აზრისაა!...

ამის თქმამ, ხომ, მგონია ურწმუნო აკაკიც დააჯერა...

საკვირველი საქმეა ამგვარი „ავტორიტეტობის“ დაფუძნება. მარტო ბესარიონზე, ან ღრეჭიაზე კი არ ვამბობ ამას,—საზოგადოთ ყველა იმ დროის ავტორიტეტებზე ვლაპარაკობ, და ღმერთმა უწყის, რამდენი ავტორიტეტი იყო იმ დროს ჩვენ სტუდენტობაში. ერთი ხომ წელან გაგაცანით, ეგნატე ბაყაყაშვილი, ცერზე შედგომილი ჰაერს რომ ყლაპავდა. იმას გარდა ოთხი თუ ხუთი კაცი იყო კიდევ, სრულიათ უმნიშვნელო და ფუტურო, რომლის უძღურება და სისუღელე შემდეგმა ბათმა ცხოვრებამ და მოქმედებამ საკმაოდ დაამტკიცა. მაგრამ იმ დროს ყველა ისინი ავტორიტეტათ ითვლებოდა... რისთვის ითვლებოდა, რით დაიმსახურეს ნდობა, რით დაამტკიცეს ჭკუა ან ცოდნა, ამ კითხვებზე ვერავინ პასუხს ვერ მოგცემდა და დღესაც ვერ მოგცემს... ასე სჩვევია ყოველთვის უმეცარ და უგნურ საზოგადოებას. ერთ ვისმე წასცდება კაცის ქება: იტყვის წინდაუხედველათ, წამოროტვით, „ამა და ამ კაცმა, ვთქვათ ქიმია კარგათ იცისო.“ მეორე ამის ნათქვამს გაიმეორებს, იმიტომ, რომ აწონა არ

შეუძლია,—იცის იმ კაცმა ქიმია, თუ არა. მესამე და მეოთხე დაიჯერებს იმავე მიზეზით, თვითონ ის კაციც თავს შეიფერებს, და ორიოდე წლის შემდეგ მთელს საზოგადოებაში სარწმუნოების მუხლათ იქმნება ჩათვლილი ის აზრი, რომ ამ კაცზე უკეთესი ქიმიკოსი დედამიწის ზურგზე არ მოიძიებაო. რამდენი ამ გვარი ავტორიტეტი გვყავდა ამ დროს! ვის ეგონა მაშინ, რომ ბოკლი, გიზო, ოგუსტენ ტიერრი, ან სხვა რომელიმე ისტორიკოსი ღრეჩეიას ნეკის ფრჩხილათ ღირდა? რა ბრძენი ისტორიკოსის სახელი ჰქონდა მას დავარდნილი! ვინ მოიფიქრებდა, რომ ისტორიის მეცნიერებას საიდუმლო ან დაფარული რამ ექნებოდა მისთვის? ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ საქართველოს მის გვამში ნესტორიც დაებადა, ტიერიც, კარამზინიც და გიზოც. და ეს დიდი ჩვენი ისტორიკოსი, ეს ბრძენი, მცოდნე ქვეყნის ისტორიისა, ექვსი თვის განმავლობაში ჭაპან-წყვეტით წერდა თავის კანდიდატურ დისერტაციას „საგონაროლაზე". სწერდაო, რომ ვთქვი, ტყვილი მოგახსენეთ, ამიტომ რომ მისი ნაწერი უბრალო თარგმანი გახლდა ერთი ფრანცუზული რომანისა საგონაროლას ცხოვრებისაგან. ამისთანა ფილოლოგები, კანონის მცოდნენი, ბუნების მეცნიერების გამომძიებლები, სხვანიც ბევრნი გვყვანდა, ყოველ სპეციალობაზე თითო-თითო. ყველანი ფუტუროები გამოგვიდგენ ცხოვრებაში, ღლავსავით უმეცარნი, უცოდინელნი, უხეირონი... მაგრამ ასე იცის ერთხელ დაარსებულ რეპუტაციამ: ათი თუთხმეტი წლის უმოქმედობა და უხეირობა საჭირო იყო, მათის მხრით, რომ მათი უვარგისობა დამტკიცებულიყო... გონიერ და განათლებულ საზოგადოებაში კი ათი ან თუთხმეტი წლის შრომა და სარგებლობის მოტანაა საჭირო, რომ ვისმე რეპუტაცია დაფუძნდეს, დამტკიცდეს, დაარსდეს.. უკეთმართათ მოდის ჩვენში ყველაფერი!

ხშირათ, თითქმის ყოველ დღე, დაიარებოდენ ჩვენთან ჩვენი უფროსი სტუდენტები. დილას ერთი მოვიდოდა, ჩაგვიხედავდა წიგნში და სწორეთ იმავე სიტყვას გვეტყოდა, იმავე საქციელს დაადგებოდა. საღამოს—მესამე და მეოთხე. ერთხელ მაინც ეთქვა რომელიმე მათ. განს, თუ როგორ უნდა ვისწავლოთ, რა სახით უფრო ადვილია სწავლა, რანაირათ შესაძლებელია მისი გაადვილება და ჩაღრმავება... ეს ჩვენც კარგათ ვიცოდით, რომ უნდა გვესწავლა, მაგრამ როგორ უნდა გვესწავლა, ამის გაგება არავის ჰქონდა ჩვენთაგანს. ერთი ჩვენთაგანი ზეპირათ სწავლობდა მთელ სალიუსტს და ყველა მისი სიტყვების მნიშვნელობას დიაკვანისავით იზეპირებდა. მეორე მარტო დედააზრს იხსომებდა, - მესამე გრამატიკულ ფორმებს იბეჯითებდა- რომელი ამათგანი იდგა სწორ გზაზე, რომელი იყო შემცდარი? ამას

ჩვენ არავინ გვიხსნიდა, თუმც კითხვა არ დაკლებიათ ჩვენი მხრით.

—„ისწავლეთ, ისწავლეთ“,—ბრძნულათ გვიმეორებდა ყველა...

მომბეზრდა ეს სიტყვებიც და ლათინური ენის სწავლაც. გაგონილი მქონდა ჩვენი სტუდენტებისაგან, რომ ეგზამენის დროს ვინც სალიუსტის დასაწყისს კარგათ ახსნის და გადათარგმნის, ის ჯეროვანათ გამოვა განსაცდელიდანო. მთელი სალიუსტი გადვიკითხე რუსულათ, კლევანოვის თარგმანში. თითოეული მისი სიტყვა დედანთან შევასწორე, ამ დედანის სიტყვები თავში ჩავიბეჭდე და გარდავწყვიტე: რაც მოხდეს, მოხდეს-თქო. მითხრეს, ათიოდე თავის ცოდნა საკმაოაო; მითხრეს კიდევ, პირველ ოთხ თავს არასოდეს არ გკითხავენ ეგზამენის დროსო. მეც ეს პირველი ოთხი თავი მივატოვე და სწავლას იმ ადგილიდამ შეუდექი, რომელიც იწყება სიტყვებით: „Bellum scripturus sum“, შევისწავლე თუთიყუშსავით შემდეგი ათი თავი, და მივატოვე შრომა. დანარჩენ ოთხ საგანში საკმაოდ მომზადებულს ვგრძნობდი ჩემ თავს და ამ მიზეზით მიუბრუნდი ნავს, ნევას, ზღვის-პირს და კერძო წიგნების კითხვას...

ზემოთაც ვთქვი, „წიგნების კითხვა“ იმ დროს იშვიათი და უჩვეული საქმე იყო ჩვენ სტუდენტობაში. მე კი, ბავშობიდამ კითხვის ნაჩვევს, ამ ჩვეულების მიტოვება არ შემეძლო. უნდა გარდამეკითხა, რაც კი ჩამივარდებოდა ხელში. მესამე და მეოთხე კლასში რომ ვიყავი, გიმნაზიაში, ჩვენ ერთი ახირებული მეზობელი გვყავდა, უდაბნოელსავით მდგომი ტამოჟნის ჩინოვნიკი ტ—ი, რომელსაც შინ ასი თუ ორასი წიგნი ჰქონდა. მთელი მისი ბიბლიოთეკა გადავიკითხე, თუმც იმ დროს რუსული ენა არც კი მესმოდა... გიმნაზიის გათავების დროს რაც კი რამ წიგნი ჰქონდა ვისმე ქუთაისში, რაც კი რამ ჟურნალი მოდიოდა ამ ქალაქში, ქართული თუ რუსული, სულ გადაკითხული მქონდა, კარგიც და ავიც. რასაკვირველია, იმის გაგება და დაფასება სად შემეძლო, რა იყო იმ წიგნებში ხეირიანი, რა იყო ჭკვიანური, და რა—ბრიყვული... ეკითხულობდი ყველაფერს, ამიტომ რომ კითხვა ჩემთვის საჭიროებას შეადგენდა, იმისთანა საჭიროებას, ურომლოთაც გაძლება არ შემეძლო. პეტერბურგში, რასაკვირველია, წიგნებს დავეწაფე. დღე არ გავიდოდა ისე, რომ ორი-სამი წიგნი არ მეყიდა ტოლკუჩკაზე, ზოგი ორშაურათ, ზოგი აბაზათ. ხშირათ დამმართნია, რომ უფროსი სტუდენტები შემოსულან ჩვენსა და უნახავართ ლოგინზე წამოწოლილი, წიგნის მკითხველი მაშინ, როდესაც ჩემი ამხანაგები ლათინურს სწავლობდენ. ყოველთვის იმას მეტყოდენ ის დალოცვილები, მაგ კითხვაში დროს ნუ ჰკარგავო, შენი სასწავლელი ისწავლეო, ეი, როგორც შენი ამხანაგები შვრებიანო.

ერთხელ ღრეჭია მოვიდა ჩვენსა და „Современник"-ის კითხვაზე წამესწრო. ისე გატაცებული ვიყავი ამ კითხვით, რომ მისი შემოსვლა ვერც კი შევნიშნე და ფეხზე ვერც კი წამოვხტი... დაათვალიერა ყველაფერი, ნახა, რომ თავძარა და ქერაძე საქმეს აკეთებდენ, ლათინურს სწავლობდენ, მე კი „დროს ვკარგავდი", შემობრუნდა ჩემ ოთახში, წიგნი გამომართვა და ტკბილათ დარიგება დამიწყო:

— შენ ამაებში დროს ნუ კარგავ, საქმე გააკეთე,
როკები ისწავლე... თორემ ეგზამენს ვერ დაიჭერ და დარჩები უსაქმოთ...

დიდხანს მიქადაგა ამ საგანზე, ძლიერ ბრძნულად, მაგრამ რა ვქნა, განა ქადაგებით შეიძლება სმას ან ჭამას გადააჩვიო კაცი? წავიდა თუ არა, ისევ იმ წიგნს დავუბრუნდი...

ჩემ დღეში არ დამავიწყდება ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა სტუდენტმა, ერთმა ავტორიტეტმა გამოთქვა ჩვენსა, როცა „Современник"-ის კითხვაზე წამესწრო.

— გაიხსენე ჩემი სიტყვაო,—მითხრა,—თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილლერის, ბაირონის და ვალტერ-სკოტის კითხვის მეტს არას შვრებოდა და, დაესხა თავსლაფი, ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა: უდიპლომოთ წაბრძანდა... აბა ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?...

სასაშიშრო იყო ეს გაფრთხილება, დამაჯერებელი იყო ეს დარიგება, მაგრამ... წავიდოდენ თუ არა უფროსი სტუდენტები, ისევ ჩემ წიგნებს დავეწაფებოდი, და როცა კითხვით დავიღალებოდი, ავიყვანდი ნავს და ზღვისკენ მარტო გავწევდი. ნევას უჩემოთაც მიჰქონდა ნავი, მე კი ოცნებას თავს მივანებებდი და ვფიქრობდი, ვფიქრობდი იქამდი, სანამ თავბრუ დამეხვეოდა...

IX

ჩემი ბიძაშვილის ავადმყოფობა.—სიკვდილი და დამარხვა.—ლატაკის მდიდრათ გამოყვანა.—მდიდრები მათხოვრობენ.— საათების დაგირავება.—ვის დაატყდა თავზე მდიდრული დამარხვა?—ბესარიონ ღოლობერიძის ნახვა.—რანაირი კვანტი მოსდო მას ღრეჭიამ?

ივნისის დამდეგს ღრეჭია მოვიდა ჩვენთან დაღონებული.

— ესეც არის წიგნი მომივიდაო,—მითხრა,—შენი ბიძაშვილი ძალიან ავათ გამხდარა, მასთან გვიბარებენო.

მაშინვე წავედით სამნი: ღრეჭია, ფილიპე და მე.

დათა ძლიერ შორს იდგა ჩვენგან. ოხტას მაღლა რაღაც სოფელია, პეტერბურგზე ხუთიოდე ვერსით მოშორებული, და იქ ვიღაც რუსის ჩინოვნიკის ოჯახში ოთახი აეღო. მითხრეს, იმ ოჯახში ახალ-

[illegible] ქალი იყოო, ოჯახის პატრონის და, ცოლათ აპირებდა მის შერთვას, როცა კურსს გაათავებდაო.

წაველით ორთქლის გემით საზაფხულო ბაღამდი, იქედამ ერთი ნაწილი გზა ეტლით გავიარეთ, და მეორე,— წყალს გაღმა,— ქვეითათ. გზაზე ბევრი არავის ულაპარაკნია, და, მართლაც ვთქვა, არც ლაპარაკის თავი ჰქონდა ვისმე. ოციოდე სიტყვა დახარჯა ღრეჩიამ იმაზე, თუ „აი რა ცუდია ამხანაგების მოშორება, თავის ნებაზე სიარული და სხვა. ჩვენთან რო ყოფილიყო, ის დალოცვილი, ხომ არაფერი დაემართებოდაო“. ღრმათ ჩამებეჭდა თავში ეს აზრი, რომელიც იმ დროს უეჭვო ჭეშმარიტებათ მიმაჩდა.

მიველით, ავათმყოფი ვნახეთ. მისთანა სანახავი თქვენ მტერს! სამთელსავით დამდნარიყო საბრალო, ლოყებზე ცეცხლი ეკიდებოდა... ექიმმა გამოგვიცხადა—მაგის მორჩენა ჯაინოზ ექიმსაც არ შეუძლიაო; საშინლათ გაციებულაო, ანთება დამართნიაო, და თან „ჩქარი ტლექი“; ბევრი გაძლოს კიდევ, ბევრი, ერთ კვირას თუ გაატანს მეტს ვერაო.

იმ დღეს საღამომდი სამნივე იქ დავრჩით. საღამოს კი მარტო მე დამტოვეს ავადმყოფის მოდარაჯეთ: თუ რამ დაემართოს, იმ წამსვე შეგვატყობინეო. ავადმყოფს აღარც ლაპარაკის საღავათი ჰქონდა, აღარც ცნობა შეეძლო კაცისა. ხანდისხან გამოიხედდა, თითქო მობრუნდაო, გვიცნობდა ყველას, და ორიოდე სიტყვის თქმას მოახერხებდა. მერე ისევ სიცხე მოერეოდა...

ხუთი დღე რიგით გავატარეთ მის სასტუმალთან: ერთ დღეს ერთი უდარაჯებდა და უვლიდა, მეორე დღეს მეორე, მესამეს—მესამე და სხვა. მარტო ის მიკვირს: მარტო ჩვენ, ახალ მოსულებს, რათ გვერგო დარაჯი. მე, ვთქვათ, ნათესავი ვიყავი და ქეც რომ ვისმე დაეშალა, არ მოვშორდებოდი. მაგრამ თავძარა და ქერაძე რათ გაამწესეს და მიუჯინეს, მაშინ, როცა ძველებს თავი არავის შეუწუხებია ღამე დარაჯით, ფილიპეს გარდა?

პეტრეპავლობა დღეს საწყალი დათა გარდაიცვალა. მაშინ მთელი ჩვენი სტუდენტობა დატრიალდა. შეიქნა ერთი მოუსვენარი წასვლა-წამოსვლა, ფაცა-ფუცი, პატიჟი, მზადება... დაიბარეს ყველა ჩვენებური სტუდენტები და კანვოელები, ვინც კი მოიძიებოდა პეტერბურგის ახლო-მახლო. ღრეჩიამ გამოაცხადა, ქართველი კაცი მოკვდა და დიდი პატივით უნდა დავმარხოთო, არავინ იფიქროს, ქართველები ღარიბნი არიანო. ამას ყველა დაეთანხმა, და მეც ძლიერ გონიერათ მიმაჩდა ეს გარდაწყვეტილება. მარტო ერთმა გარეგოებამ შემაჩერა და ჩაფიქრა. მეორე დღესვე ღრეჩიამ ფილიპე

უნივერსიტეტში გაგზავნა და თხოვნა შეატანია—ამა და ამ გარდაცვალებული სტუდენტის დასამარხათ ფული მოგვეცითო. წესი ყოფილა თურმე, ღარიბი სტუდენტი რომ მოკვდება, ბის დასამარხავათ შვიდ თუმანს ხარჯავდა უნივერსიტეტი თუ სასტუდენტო კასსა, კარგათ არ მახსოვს რომელი. თავში გამკრა: „ბიჭო, ეს რაღას ჰგავს: თუ გვსურს ღარიბებათ არ გამოვჩდეთ, ღარიბათ თავს რაღათ უწოდებთ, და თუ სამოწყალოს ვთხოულობთ, ქე რაღათ ვაპირებთ ქვეყნის გაკვირვებას მდიდრული დამარხვით?“ ამსანაგებს გაუზიარე ეს ჩემი ეჭვი, მაგრამ ძველებმა მითხრეს—„ასე სჯობიაო“ და დიდი დაკვირვების დრო ჩვენგანს, მართალი ვთქვა, არავის ჰქონია...

იმავ დღეს ღრეჭიას განკარგულებით შევკრიბეთ რაც ვისმე ჩვენ ყმაწვილებთაგანს ოქროს ან ვერცხლის საათი ჰქონდა და ლომ. ბარდში გავგზავნეთ დასაგირავებლათ. მოგვივიდა ოცდა-სამი თუმანი. დიდათ მიამა ეს გარემოება. ძმობა ამისთანა უნდა-თქო, ვიფიქრე, ასე უნდა გაჭირვებაში ერთმანეთის დახმარება!..

დიდი ამბით და სიუხვით დავმარხეთ საბრალო დათა. კუბო ისე მდიდრულათ იყო გაწყობილი, რომ უკეთესი შეუძლებელი იქნებოდა, მლვდლები და დიაკვნები უთვალავნი იყვნენ, მგალობლების რაზმი აუარებელი... ტახტრავანგი, ეტლები, გამყოლი ხომ იყო და იყო... მართლაც ყველას უკვირდა, ყველას ასე ეგონა, ძლიერ მდიდარ კაცს, ძლიერ გამოჩენილ კაცს მარხავენო...

...როცა დავბრუნდით ღრეჭიამ ძმამეთ მითხრა:

— მიწერე მამა-შენს—ფული გამოავზავნინოს საბრალო მიცვალებულის დედას. ის საათები უნდა დაიხსნა და პატრონებს დაუბრუნო...

— არაფერი აქვს, ბატონო, იმ საწყალ ჩემ ბიცოლას... ღარიბია და ღატაკი, საიდამ მოახერხებს ამდენის გამოგზავნას...

— მაშ მამა-შენი დაეხმაროს...

— მივწერ, ბატონო...

მივწერე, მაგრამ მიწერით რა გამოვიდოდა? მთელი ერთი წელიწადი ვიხადე ეს ვალი. ჯერ ერთის საათი დავიხსენი, მერე მეორესი, მესამესი და სხვა და სხვა. ჩემი საკუთარი საათი კი იქ ჩარჩა...

ამ დამარხვის დღეს ვნახე პირველათ ბესარიონ ლოლობერიძე. ის ჩვენ ყმაწვილებს ნაკლებათ ეკარებოდა. ვიკითხე ამის მიზეზი: მიამბეს შემდეგი:

— ამას წინეთ კავკასიელი სტუდენტები შევკრბით და ერთობის დაარსება მოვინდომეთ. გვინდოდა ბიბლიოთეკა და კასსა გაგვემართა. ატყდა უთანხმობა იმაზე, მარტო ქართველები უნდა მი-

ვიღოთ ამ ჩვენ წრეში, თუ სხვა კავკასიელებიც, მაგალითათ სომხები, ლეკები, რუსები და სხვა. ბესარიონი იმ აზრისა იყო, ყველანი უნდა შივიღოთო, აქ ჩვენ სადავო რა გვაქვსო, ერთი ქვეყნიდამა ვართო. მაგრამ ნიკო ღრეჭია ამას არ ეთანხმებოდა. მართალიც უნდა ვთქვათ, არ უყვარდა იმას ბესარიონი და რაკი დრო და შემთხვევა იშოვა, კვანტი მოსდო. გადიბირა თავისკენ ქართველები, და ბესარიონი ჩვენი წრისგან უნდა გასულიყო. მასაქეთ იშვიათათ გვწყალობს.. განზე დგას...

— ახ, ნეტავი იმათ შეტაკებას დავსწრებოდი-თქო, ვიფიქრე და ვთქვი: რა კაი იქნებოდა მათი ბაასი, რა კარგათ დაიწყებდენ მსჯელობას, რა საბუთებს და მოაზრებებს მოიყვანდა ორი ამისთანა ჭკვიანი კაცი...

— დავესწარი, მაგრამ არც ბაასი ყოფილა, არც აზრების შეტაკება, არც ახსნა. ერთბაშათ აყაყანდა ყველა, ვინც კი დაესწრო. და გასაკვირველიც იყო ამ ორი ავტორიტეტის შეტაკება: არ ვიცოდით რომელს გავყოლოდით. მაგრამ მერე საქმე ჩურჩულით გათავდა. ღრეჭიამ გვითხრა,—ჩვენ რომ ბიბლიოთეკა დავაარსოთ, სომხები ბევრნი მოვლიან და წაგვართმევენო, და ყველა ამით დაჯერდა...

X

ეგზამენი.—თავის თავის იმედი.—რა ადვილათ დავიკავეთ სასაშიშრო ეგზამენები.—მარგო.—ახალი ქუდი.—სიხარული და ცელქობა.—ხბო.

ივლისი უმნიშვნელოთ დაილია: არაფერი მომხდარა ამ თვეში ისეთი, რომ დიდი, სამახსოვრო შთაბეჭდილება ჰქონოდა ჩემ გონებაზე. მუდამ დღე ვსწავლობდით, ან ვკითხულობდით, ან დავსეირნობდით, ყოველ დღეს ერთნაირათ ვატარებდით. მაგიერათ შემთხვევებით და შთაბეჭდილებით მდიდარი შეიქნა ჩემთვის შემდეგი აგვისტო. ჯერ ხომ იმით, რომ ამ თვეში ეგზამენი უნდა დამეჭირა და ნამდვილი სტუდენტი უნდა გავმხდარიყავი, მერე მით, რომ ამ თვეშივე პეტერბურგს უნდა დავბრუნებულიყავით ყველანი, და ბოლოს მით, რომ ამ თვის განმავლობაში ბევრი ახალი სტუდენტი მოვიდა საქართველოდამ: მათ შორის იმყოფებოდა ოთხიოდე ქუთაისელიც,— ჩემი ამხანაგები...

მარიამობის წინ დღეებში ღრეჭიამ და ფილიპემ პეტერბურგში წაგვიყვანეს და უნივერსიტეტში შეგვიძღვენ ეგზამენის დასაჭერათ. ბევრს ჩვენგანს ათაქთაქებდა შიში იმ დილას, ბევრს ცოდვილსავით აკანკალებდა... საკვირველია ეს გარემოება: საულ ქერაძე ისეთი შესახედავი იყო ამ დღეს, როგორც გინახავთ კუბოდამ ამოღებული

შესუდრული მკვდარი! დამზადებული კი ჩვენზე უკეთესათ იყო და ყველაზე უფრო მეტი კი იცოდა! რით აიხსნება ეს თვისება? ათასჯერ ნაკლებ ვიყავი დამარაგებული, ათასჯერ ნაკლები ვიცოდი შასზე, მაგრამ ერთი წუთის განმავლობაშიაც ეჭვი არ შემპარვია გონებაში, რომ ვაი თუ ეგზამენი ვერ დავიკავო და უნივერსიტეტში ვერ შევიდე-თქო. არავითარი საფუძველი არ მქონია მეფიქრა, რომ უსათუოთ დავიჭერ ეგზამენს, და მტკიცეთ დარწმუნებული კი ვიყავ, რომ დავიჭერდი. ბრიყვობაა ეს, რასაკვირველია, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ დიდ ძალას აძლევს ხოლმე კაცს ამგვარი რწმუნება, ამ ნაირი იმედი თავის თავისა ან თავის ვარსკვლავისა...

ნუ დაივიწყებთ, რომ ციდა-ნახევარი ტანი მქონდა, რომ პირტიტველა ვიყავ, როგორც ბაღანა, რომ რუსულ ენას ძლივს ვამტვრევდი. ნუ დაივიწყებთ იმას, და წარმოიდგინეთ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ზალაში, ეგზამენატორების წინ წამომდგარა ამ სახის ბაღანა, ოთხასიოდე წვერ-ულვაშიან ვაჟკაცებს შუა... ბევრს ეგონა ვისმე სტუდენტს პაწია ძმა მოჰყოლია სეირის საცქერლათო... პროფესორს რომ მიუახლოვდი (იმ წელიწადს პროფესორები და გიმნაზიის მასწავლებლები აჭერინებდენ ეგზამენს), გაკვირვებით მკითხა: ნუ თუ შენც საეგზამენოთ მოსულხარო? რუსული მწერლობისგან უნდა დამეჭირა მასთან ეგზამენი. მკითხა, განა წაგიკითხავს რამე რუსული ლიტერატურიდამო? გამეცინა და მიუგე—დიახაც წამიკითხავს-თქო. პუშკინს იცნობო?—დიახ-მეთქი.—გოგოლსო?—კი ბატონო.—რა წაგიკითხავს მათი ნაწერიო?—ყველაფერი, რაც კი უწერიათ-თქო.—„Кавказский пленник" წაგიკითხავს, გახსოვსო?—ზეპირათაც მახსოვს-თქო.—აბა წადით და დამიწერეთ თქვენი შეხედულობა ამ თხზულებაზე: თქვენი ქვეყანაა შიგ აწერილი, კაჯკასია, და გასინჯეთ, რამოდენათ სწორეთ არის გამოხატული შიგ თქვენი ქვეყნის ბუნება, ჩვეულებები, ხალხი, ან ცხოვრება.

დავჯექი თუ არა საწერათ, პროფესორიც გვერდით მომიჯდა. პირდაპირ მითხრა; მინდა ჩემი თვალით დავინახავ, მართლა თქვენ დაწერთ, თუ სხვა ვინმე დაგიწერსო (ეს ხშირათ ხდებოდა ხოლმე იმ დროს. იმავე დღეს მე თვითონ დაუწერე თხზულება ორ ჩვენებურ ყმაწვილს.) ვწერდი მარდათ და პროფესორი იმავ წამს კითხულობდა ყოველ სიტყვას, რა წამსაც დავწერდი.

მოიწონა ჩემი ჩქარი წერა, მოიწონა აზრის სიახლეც და ენის სისწორეც.

— ამას თქვენ წიგნში ვერ ამოიკითხავდითო,—მითხრა,—ვინ გითხრა ეს აზრებიო, ვინ გასწავლიდა ქუთაისს რუსულ ლიტერატურასო?

— არავინ, ბატონო, თვითონ ვკითხულობდი და ეს ფიქრები მომივიდა კითხვის დროს-თქო.

— სხვა საგნებიც ასე კარგათ გაქვს დამზადებულიო?—მკითხა.

— არა, ლათინურში ვარ მეტის მეტათ სუსტი, თითქმის არაფერი ვიცი, ზეპირათ ვისწავლე რამდენიმე თავი „იუგურტას ომისა"—მეტი არაფერი ვიცი სრულებით.

წამიყვანა მაშინვე იმ სტოლისკენ, საცა ლათინური ენიდამ აქერინებდენ ეგზამენს და რაღაც ჩაუჩურჩულა პროფესორს. მაშინვე მომიბრუნდა ეს უკანასკნელი და მითხრა—მობრძანდით, რა იცით, მითხარითო.

გამოუტყდი და უთხარი—არაფერი ვიცი, „იუგურტას ომის" ათიოდე თავის მეტი-თქო.

გაშალა სალიუსტი, მიათითა „Bellum scripturus sum"-ს მიათითა და მთხოვა წამიკითხეო.

გადავაბულბულე უცებ: ზეპირათ ვიცოდი ის თავი.

— ჩინებულათ გცოდნია ეს თავიო, დაცინვით მითხრა, სხვა რა იცი კიდევო?

— ცხრა პარაგრაფი კიდევ მაქვს ნასწავლი, მეტი კი ვერ მოვასწარი-თქო.

— გეყოფა ესეცო. სამი დაგისვა თუ ოთხიო?

— რაც თქვენი ნება იქნეს, ის დამისვით...

— მაშ ოთხს დაგისვამთ, რადგანაც რუსული ლიტერატურა კარგათ გცოდნიათ...

თავი დაუკარ და მოვშორდი. დამრჩა საღმრთო-წერილი, რომელიც ჩინებულათ ვიცოდი, და ფიზიკა, რომელიც გულით მიყვარდა. ორივე ამ საგანში კარგი ნიშანი მივიღე. უკანასკნელ საგანში კი—ფრანცუზულ ენაში,—წავფორხილდი გვარიანათ: იმ წყეულმა მარგომ გარდამიშალა თავისი დაწერილი წიგნის ბოლონდელი თავები, და მითხრა, გადმომითარგმნეო. მეც არ ვიცი რას გადაუთარგმნიდი, როცა წიგნის პირველი ფურცლებიც ძლივს მქონდა შესწავლილი. დამისვა ორი.—ფეხებზე მეკიდა მისი ნიშანი. ნოლიც რომ დაეწერა, უნივერსიტეტში მაინც მიმიღებდენ.

ერთი სიტყვით, ისეთი ადვილი იყო იმ წელიწადს ეგზამენები, რომ ვინც კი იყო მოსული იმ დღეს ჩვენი ყმაწვილები, ყველა ჩინებულათ გამოვიდა განსაცდელიდამ: ყველანი სტუდენტათ მიიღეს. ცეკვა-ბუქნით დავბრუნდით შინ, გახარებულები, ფრთაშესხმულები... თავძარამ ვერც კი მოითმინა: იმ წამსვე ახალი ქუდი იყიდა გზაზე, ლურჯი მაუდით შემოყოლებული, სტუდენტური ფორმის ქუდი...

ღმერთო შეგცოდე, შეც რომ იმ დღეს ჯიბეში ფული მქონოდა, იქნება მეც გაყბრიყვდებოდი და თავძარას მაგალითს წავბაძავდი.

მი

ოროლა საათს გრძელდებოდა. ჩვენც ყველას ის მართლა ლამაზ და მშვენიერ რამეთ მიგვაჩნდა, რადგანაც ჩვენ თვალში სილამაზე ქალის სურათში მდგომარეობდა, და ვინაიდან ჭიჭიკო ქალს ჩამოგავდა, ჩვენც ვფიქრობდით—მშვენიერიაო. ის კი არ ვიცოდით მაშინ, რომ ვაჟის სილამაზის დამფასებელი მარტო ქალი ყოფილა, და ქალებს თურმე არაფერათ მოსწონთ ქალური პირისახის, ან ხასიათის პატრონი ვაჟი...

მახსოვს, ერთხელ ჩ—ის ცოლმა ხუმრობით მითხრა:

— ამბობდენ, კავკასიელები და განსაკუთრებით ქართველები, ძლიერ ლამაზები არიანო, და თქვენებში კი ჯერ არც ერთი მართლათ ლამაზი, მშვენიერი კაცი არ შემხვედრიაო.

— ნუ თუ ჭიჭიკოც არ მოგწონს-თქო, — გაკვირვებით ვკითხე.

— ჭიჭიკო? მომიგო და გარდაიკასკასა. განა ისიც კაცებში ითვლება, მერე ლამაზ კაცებში? ის ხომ ვაჟი არაა, ის ქალია, გასათხოვარი ქალი... ის ქალს კი არ მოეწონება...

მისი კოპწიობა იყო ამის მიზეზი, თუ სხვა რამე, არ ვიცი, მაგრამ თავის დღეში ვერ მოახერხა ამ კაცმა, ვისმე ჩვენგანს დაახლოვებოდეს, ვინმესთან ამხანაგობა, ძმური, გულითადი მეგობრობა გაემართა. იყო თავისთვის, ყველას იცნობდა, ყველასთან ტკბილი განწყობილება ჰქონდა, მაგრამ არც მეგობარი, არც ძმაკაცი იმას თავისდღეში არ ღირსებია, არც გიმნაზიაში, არც შემდგომ, უნივერსიტეტში, არც ბოლოს, ცხოვრებაში... ისე დაჭკნა, ისე გამოფუტურდა, რომ ხორცშესხმულ ადამიანს აზრადაც არ მოსვლია, ერთხელ მაინც ჩაეხედა მის გულში, ერთხელ მაინც ეკითხა მისთვის, — რას გრძნობ, რას ფიქრობ...

მაგივრათ, მასთან ერთათ მოსული გოგიტა ლენჩი ერთბაშათ ჩვენი ამხანაგი შეიქნა, გულითადი ამხანაგი, ისეთი, რომელსაც კაცი არც თავის აზრს დაუმალავს, არც მის აზრს დაუტოვებს გამოუკვლეველათ... მართალია, პირველი კვირის განმავლობაში ცოტაოდენი უთანხმოება ატყდა ჩვენსა და იმის შუა, მაგრამ რა მალე მოვთავსდით, რა მალე დავძმობილდით!..

ეს უთანხმოება აი რის გამოისობით ატყდა. ლენჩი ღვთის-მავედრებელი კაცის შვილი იყო, ღვთისა და უფროსების შიშში და მორიდებაში აღზრდილი. პეტერბურგს ის მოვიდა ყმაწვილური სარწმუნოებით სავსე. უწინ, გიმნაზიაში, არაფერს ეჭვს და არავითარ ფიქრს მასთან საქმე როდი ჰქონდა თურმე. მარტო ურროკების სწავლაში იყო გართული, და ურროკების მეტი სრულიათ არაფერი იცოდა... რაღა ბევრი გავაგრძელო ხორცშესხმული უმანკოება იყო ყველაფერში, რაც ეჭვს, ანალიზს, კრიტიკას შეეხება...

მოვიდა თუ არა, ჩვენმა ყმაწვილებმა, ბასილ აბაზაძის მსგავსებმა, გახუმრება დაუწყეს: „არ გრცხვენიაო, მაგეები როგორ გწამსო, ეხლანდელ დროში კაცი აი როგორ უნდა ფიქრობდესო, სისულელე და ამაოთმორწმუნება არის ეს ყველაფერიო, ბიუხნერი წაიკითხეო,“ და სხვა და სხვა.

გარეტდა კაცი, გამოლენჩდა ერთიანათ, დაიბნა... ნაფიქრი არ ჰქონია თავის დღეში ამ გვარი რამ და ამის გამო ამ სიტყვებს მასზე სწორეთ იმისთანა გავლენა ჰქონდათ, როგორც თქვენზე ექნება კაცს, უკნიდამ რომ მოგეპაროს და თავზე კეტი გშვლიპოს. დააღო პირი და გაჩუმდა.

ამ გაჩუმებამ სხვები წააქეზა. მოხსნა თავი დაცინვის გუდას, და მიაყარეს ამ გაოცებულ კაცს ახალი და ახალი ფრაზები...

— თავი დამანებეთ, თქვენი ღვთისგულისათვისო, — მორიდებით იხვეწებოდა ლენჩი, არ მსურს მაგნაირი სიტყვების სმენაო, ყურს ნუ მიბილწავთო, ცოდვაა დიდიო...

ვინ დაიჯერებდა? ბოლოს ილაჯი გაუწყდა და წაეჩხუბა ყველას. მაგრამ არც მაშინ მოუსვენეს. გათავდა მით, რომ ამ ყმაწვილმა ტირილი დაიწყო: ისე გულ ამოსკვნილათ იტირა, როგორც გინახავთ ძუძუმწოვარი ბავშვი.

ლენჩი რომ ბევრი სხვა ყმაწვილებსავით უნიჭო ან უტვინო კაცი ყოფილიყო, იმას რომ შესძლებოდა სხვა და სხვა აზრის მიღება მოუნელებლათ, ჩაუღრმავებლათ, შეუთვისებლათ, ის არც იტირებდა, არც იწუხებდა. ის იმავე უდარდელი სახით გაიმეორებდა ახალ მოდურ სიტყვებს, როგორითაც ბასილ აბაზაძე და მისი მსგავსი ყმაწვილები მოქმედებდენ, მაგრამ ეს სულ სხვა კაცი იყო. მისთვის აზრი ფრაზა როდი იყო, რომლის ხმარება, მიღება ან მიტოვება ისე ადვილია, როგორც პერანგის ჩაცმა და გამოცვლა. არა. მისთვის აზრი მთელი ცხოვრება იყო. ეს ახალი სიტყვა უნდა შეედარებია და შეემოწმებია იმას ყველაფერთან, რაც მაქნამდი განაგონი, ან ნასწავლი ჰქონდა, და ეს შრომა ერთობ მძიმე და ხანგრძლივი რამ არის ყოველი ტვინიანი კაცისათვის. უწინ-შეთვისებულ აზრებსა და ახლად გაგონილ ფიქრს შუა ტვინიანი კაცის თავში ტყდება უშველებელი, გამწარებული ბრძოლა... მთელი სხეული მონაწილეობას იღებს ამ ბრძოლაში: ხშირათ ამ შინაგან, უჩინარ ბრძოლას დიდი, ან მძიმე ავადმყოფობა მოსდევს...

ლენჩსაც ასე დაემართა, ჯერ გაჩუმდა და თავის კუთხეში მიჯდა. მერე ფიქრს შეუდგა ყველაფერზე, რაც კი გაეგონა, ბოლოს ხურვება დაემართა. ჩაწვა ლოგინში და მთელი ერთი კვირა სიცოც-

ხლისა და სიკვდილის შუა იყო გარჩენილი. ძმურად უვლიდით ყველანი. მორჩა როგორც იქნა, — სიყმაწვილემ თავისი გაიტანა. მორჩა, და ორ ნაირად მორჩა. წამოდგა ეს კაცი და ველარ ვიცანით. გაეცოცხლებია ის ფიქრს და აზრის მუშაობას. წამოდგა აღტაცებული, ენერგიით სავსე, ახალი ოცნებებით და მიზნით გატაცებული, მოსიყვარულე, თავდასადებლათ გამზადებული... ძველი აღარაფერი დარჩენილა მასში, სხეულის მეტი. წამოდგა, და წარმოუდგენელი ენებით შეუდგა წიგნების კითხვას, აზრების გამოკვლევას, ძმურ მუსაიფს ჩვენთან, ვისაც ადრე გვქონდა გამონავალი მისგან ახლად გავლილი გზა.

მალე ჩვენ პატარა სახლობაში ახალი, უფრო პატარა წრე შედგა თავის-თავათ: მივჯდებოდით ხოლმე კუთხეში ჩვენ სამნი—ქერაძე, ლენჩი და მე, ხანდისხან ფილიპეც მოგვიჯდებოდა, და ვიწყებდით სჯას, მოაზრებას, „ხმა მაღლა ფიქრს,“ გადავარჩევდით, რაც მაქამდი გვსმენოდა, ან წაგვეკითხა, ვსჯიდით თითოეულ აზრს, რომელიც კი თავში გაგვკრავდა, ვაშენებდით ოცნებებს, როგორც პაწია ბავშვები ბანქოს სახლებს აწყობენ, ან და ვისხედით ჩუმათ, ჩაფიქრებული... მერე მოვშორდებოდით ერთმანეთს, კითხვას ვიწყებდით, და ისევ ერთად ვსჯიდით ახალ ამოკითხულ აზრებს... ასე ვფიქრობდით ერთათ, და ასე ვსჯიდით ერთმანეთის გამოკითხვით ყველაფერს, რასაც კი დავინახავდით.. ვიგრძნობდით ან შეეხვდებოდით... ასე მიფრინავდენ დღეები და კვირეები, თითქო ერთი წუთის მეტი არ გაგვეტარებია...

მაშინდელი ჩვენი დაახლოვება ხანგრძლივი შეიქნა. ერთათ გავატარეთ მთელი ის დრო, რომელიც ჩვენ პეტერბურგში დავრჩით, და შემდეგაც ხშირად შეგვხვდერია ერთად შრომა, ან ერთად ყოფნა... ჩვენ ოთხს ბევრი ახალ-მოსული ყმაწვილები დაგვიახლოვდენ შემდეგში, და გვარიანათ გადიდდა, გაძლიერდა ის ერთი-ნამცეცა წრე, რომელსაც ბავშვებს შუა განუზრახველათ დაარსდა „შავი წყლის“, აგარაზე. გარწმუნებთ, იმ დროს არც ერთს ჩვენგანს აზრადაც არ ჰქონიათ თავისი კერძო თავმოყვარეობა, ან სარგებლობა. მაშინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო სჯობია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლათ... რამდენს იცინოდენ უფროსი სტუდენტები, ამ ჩვენი სჯისთვის ყური რომ მოეკრათ, ან რა ბრძნულათ დაგვიწყებდენ დამტკიცებას, რომ ჯერ ლექციები უნდა შეისწავლოს სტუდენტმა,

დიპლომი მიიღოს, კარგი შემოსავლიანი და გავლენიანი ადგილი იშოვოსო სამსახურით და მერე, თუ უნდა, ხალხის ბედზე იფიქროს, ან იზრუნოსო!.. მაგრამ ჩვენ როდილა უმხელდით იმათ არც ჩვენ სჯას, არც ჩვენ აზრებს. ისინი თავიანთ გზაზე იდგენ, ჩვენც ჩვენსას დავადექით...

XII

პეტერბურგში დაბრუნება. — კრუჩი და მისი ჭუჭულები.— ღრეჭიას გავლენის დავარდნა. — ახალი ჩვენი სადგომი.— საღვიძარი საათის ყიდვა.—ღრეჭიას რისხვა. — ჩემი აბუნტება. — სტუდენტების პირველი სამდურავი ჩემზე. — მწუხარება.

აცივდა თუ არა, აგვისტოს მიწურულში, აგარა მივატოვეთ და პეტერბურგს დავბრუნდით. ღრეჭიას უნივერსიტეტის კურსი დასრულებული ჰქონდა და უნივერსიტეტში სიარული აღარ სჭიროდა. დისერტაცია უნდა წარედგინა და დიპლომი უნდა მიეღო, ამას კი ხომ, ორჯერ-სამჯერ მისვლაც ეყოფოდა. ალბათ ამ მიზეზით იმან ვასილის კუნძული მიატოვა და შუაგულ ქალაქში, მეშჩანკის ქუჩაზე, სადგომი მოიძებნა, ჩვენც თავის გვერდით, ახლო-მახლო ქუჩებში მოგვიძებნა ოთახები, თუმც სამი ვერსტი გზა იყო იქიდამ უნივერსიტეტამდი, და თუმც ყოველდღე ორჯერ, და ხან მეტჯერაც, უნდა გაგვეევლო ეს გზა. მართალია, იმ დროს გვარიანათ შერყეული იყო ჩემ თვალში, აგრეთვე როგორც ზოგიერთი ჩვენი ამხანაგების თვალშიც, მისი ავტორიტეტი ან გავლენა, მაგრამ ჩვენ ყველანი იმას ვჯერდებოდით, რომ ჩვენ საკუთარ გულში აღარ გვწამდა მისი სიტყვა, აღარ გვქონდა მისი ნდობა. პირდაპირ წინააღმდეგობას კი ვერც ვბედავდით, არც ვფიქრობდით. გვესმოდა, რომ სუსტი ქმნილება ყოფილა, წვრილმანი მიზნის მდევარი, მაგრამ ვიცოდით და ვხედავდით, რომ ჩვენი წინააღმდეგობა სხვებს თვალს ვერ აუხელდა, რადგანაც სხვებიც მისივე მსგავსნი იყვენ. ამიტომ ვფიქრობდით— თავი დავანებოთ, წაუყრუოთ, ხომ მაინც მალე უნდა მოგვშორდეს, ნულარ ვაწყენიებთ რამეს-თქო... ასე ვფიქრობდით, მაგრამ, თუმც მას განკარგულებას ვემორჩილებოდით, ღიმილს ან დაცინვას კი არ ვაკლებდით ჩუმჩუმათ.

გადავსახლდით პეტერბურგს. ფილიპე და მე ისევ ერთათ დავდექით, ქერაძე და ლენჩი ჩვენს ახლო დადგენ. თავძარა ვიღაც ახალმოსულ ყმაწვილს მიეკედლა. ღრეჭია და მისი ძმა იმ სახლში დადგა, საცა სადილის საჭმელათ უნდა გვეარა ჩვენ ყველას. ამ ნაირათ ის ყოველ დღე, სადილობის დროს, გვათვალიერებდა...

საზამთრო ტანისამოსი ისევ რაუზერს შეუკვეთა ჩვენთვის ღრეჭიამ. ეს მანეთზე მეტი გვიჯდებოდა თვითეულს ეს ტანისაპოსი, რადგანაც მარტო ერთი შინელი, ბობრის ტყავის საყელოიანი, ხუთ თუმნათ ღირდა. ყველას კარგათ გვესმოდა, რომ საშუალება არა გვაქვს ამ გვარი ტანსაცმელის შეკერვისა, მაგრამ ღრეჭიას წყენას მოვერიდეთ. მარტო ლენჩმა დაიძრო თავი: წავიდა ჩუმათ ტოლკუჩკაზე და თვრამეტ მანეთათ იყიდა ჩინებული საზამთრო შინელი, თითქმის იმისთანა, როგორშიაც ჩვენ ხუთი თუმანი უნდა მიგვეცა რაუზერისათვის. დიდი საყვედური უთხრა იმას ღრეჭიამ, ძლიერაც გაუჯავრდა, მაგრამ ნაყიდ შინელს ხომ ვერ შეამგუნებდა...

უნივერსიტეტში ლექციები იმ დროს დილის რვა საათზე იწყებოდა. ენკენისთვეში, პეტერბურგში, რვა საათზე ჯერ ისევ ბნელა. ღამით ექვს საათზე უნდა ავმდგარიყავით, ჩაი დაგვემზადებია და გვესვა, რომ ლექციების დაწყებისათვის რვა საათზე მოგვესწრო, რადგანაც ქვეითათ უნდა გაგვეარა სამი ვერსტი. არც ერთს ჩვენგანს საათი არ გვქონდა: აკი დათას დასამარხავათ დავაგირავეთ ყველა ჩვენი საათები. ამის გამო ფილიპემ და მე გადავწყვიტეთ, ერთი უბრალო კედლის საათი ვიყიდოთ ისეთი, რომ ჩვენი გაღვიძება შეეძლოს-თქო. წავედი და ვიყიდე სამ მანეთნახევრათ „საღვიძარი საათი“, რომელიც საათობასაც შვრებოდა და დანიშნულ დროზე გამწარებულათ რაწკუნს იწყებდა, სანამ არ გამოვიღვიძებდით. თორმეტი წელიწადი სინიდისიანათ ემსახურა ფილიპეს ამ სამ მანეთ-ნახევრიანმა საათმა...

როცა დავბარგდით და ღრეჭიამ ყველა ჩვენი ყმაწვილების ოთახები მოიარა დასათვალიერებლათ, იმან ამ საათს ყურადღება მიაქცია.

—სახლის პატრონის არის, ხომ, ეს საათიო,—გვკითხა.

—არა, ეს საათი მე ვიყიდე, სამ მანეთ-ნახევრად.

უნდა გენახათ, რა სახით გაიცეცხლდა მაშინ ეს მუდამ თავდაკაჟებული და ნიადაგ ტკბილი კაცი!

—რას გავს ესო,—შემომძახა,—როგორ შეიძლება ასე ფულის ფანტვაო, რატომ არ ჰკითხავ უფროსებსო, შენ ჯერ ქვეყნის ვალი გაწევს დაგირავებული საათების და რაუზერისაო, ჯერ გოზეს ვალიც არ გაგისტუმრებია, და ფულებს ასე უსარგებლოთ ფლანგამო! სხომის არ ქნა ამ გვარი საქმე, თორემ...

ეს ის უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც ჩემი გამწარების ფიალა აავსო და გადაღვარა.

—რაც უნდა თქვათ და რაც უნდა ქნათ,—შიუგე ,იმას,—მაინც ვერ დამაჯერებთ, რომ სტუდენტისთვის შესაძლო იყოს უსაათოთ

ლექციების მისწრება. ეს საათი სამ მანეთ-ნახევრათ ღირს, საჭირო იყო მისი ყიდვა, და მისი უყიდველობა აღც რაუზერს გამასტუმრებინებდა, არც გოზეს. მასე მაგრათ თუ გიყვარდათ ეკონომია, რაუზერის და გოზეს ვალი არ უნდა დაგეტეხათ ჩვენ თავზე. უსარგებლო ფულების ფანტვა თუ გნებავთ აი იმათი ვალის აღება იყო...

გაშრა და გაყვითლდა ეს კაცი. ალბათ თავის დღეში არ გაეგონა ამ გვარი წინააღმდეგობა, ალბათ აზრშიაც არასოდეს მოსვლია რომ ბჟღარტები კრუხს ჭკუის სწავლებას გაუბედაენ...

ხმა აღარ ამოუღია; ადგა და გავიდა...

უშველებელი ყაყანი და ხმაურობა ატეხა ჩვენებურ ყმაწვილებში ამ ჩემმა „წინააღმდეგობამ.“ რასაკვირველია, ყველანი ერთ-ხმით მამტყუნებდნენ, ყველა ამას ამბობდა—როგორ გაბედა, როგორ მისცა თავის თავს ნებაო, ყველას ღრეჩიას მხარე ეკავა, ფილიპეს, ლენჩის და ქერაძის მეტს. ესენი კი დავობდენ, კარგათ ჰქნა ნიკოლაძემ, კარგათ უთხრაო, გვეყოფა ამდენი გაჩუმება და ყურმოჭრილობაო...

ერთიც ვნახოთ, სადილათ რომ მივედი ამ „ბუნტის“ შემდეგ, ჩვენმა ყმაწვილებმა გან-განზე ცქერა დამიწყეს. ზოგი თითქო უკადრისობდა ჩემთან ლაპარაკს, ზოგს თითქო ეშინოდა ჩემი ხმის გაცემა... რა იყო ამის მიზეზი?.. ღმერთმა იცის!.. მეტის მეტათ კი მეწყინა ეს გარემოება. ვფიქრობდი ჩემთვის: რა დაუშავე ამ კაცებს, რა ვქენი საუკადრისო, რით ვაწყენინე?.. ნუ თუ მარტო ჩემი საკუთარი თავის გასათავისუფლებლათ ვეწინააღმდეგე ღრეჩიას? . განა ძმებათ არ მწამს, ძმებსავით არ მიყვარს ყველა ეს ყმაწვილები, რომელნიც ეხლა ზურგს მაქცევენ? განა თვითონ იმათთვის უკეთესი არ იქნება, ღრეჩია რომ ასე უხეიროთ არ უხვევდეს იმათ თვალს? ანდა თუნდ მარტო ჩემი თავის გასათავისუფლებლათ მექნა ეს წინააღმდეგობა, იმათ რაღა ხელი აქვთ ჩემთან, რათ უნდა მეშდუროდნენ, რომ ჩემი საკუთარი ღირსება სხვა ნაირათ მესმის და ჩემ პიროვან უფლებას სხვა გვარათ ვიცავ? მე ხომ არ ვემდური იმათ: როგორც უნდათ, როგორც ესმით ისე იცხოვრონ და იმოქმედონ. მაშ ისინი ძალას რაღათ მატანენ, რათ ცდილობენ ისე მაცხოვრონ, ისე მამოქმედონ, როგორც იმათ სურთ? რათ მაიძულებენ თაყვანი ვცე იმ კერპს, რომელიც, იმათ სწამთ და მე კი აღარ. რას ჰგავს, ღმერთო ჩემო, ეს საქციელი? ამდენი კაცი, ამდენი სტუდენტი ასე უსამართლოთ რათ მექცევა? ვაი თუ მტყუანი ვიყო, ვაი თუ ისინი იყვენ მართალი? მაგრამ რომ არ მესმის რა დავაშავე? ისე მოვიქეცი, როგორც მესმოდა, როგორც ჭკუა მიჭრიდა: სხვის უფლებას არ შევხებივარ, არაფერი დამიკლია სხვისთვის, მაშ რაში შევცდი, რა ვქენი ცუდი ან სავნებელი?

გულწრფელათ გაუზიარე ეს ჩემი აზრი და მწუხარება ფილიპეს, ლენჩს და ქერაძეს. ერთათ ვიწუხეთ, ერთათ ვშინჯეთ საქმე, და ბოლოს გადავწყვიტეთ: კაცმა ისე უნდა იმოქმედოს, როგორც სინიდისი და ჭკუა უბრძანებდეს. თუ დაემდურება ამისთვის ვინმე ან დაუმადლებს, ეს მისი საქმე როდია. ვისაც უნდოდეს, ის დაემდუროს ან გაუწყრეს, ვისაც უნდოდეს, ის დაუტკბეს ან დაემადლიეროს... გადავწყვიტეთ ეს და დავისვენეთ...

XIII

ღრეჭიას პროგრამა... ჯერ გავმდიდრდეთ, მერე ხალხს ვემსახუროთ.—მისი ხასიათი და მოქმედება.—რათ მოვშორდი იმას?—ზზა ბედნიერი.

საკვირველი ის იყო, რომ ყველა ჩვენებურ სტუდენტებზე ნაკლებ თვითონ ღრეჭია მიწყრებოდა და მემდუროდა, ისე ალერსიანათ შევხვდებოდით ყოველ დღე, საღილობის დროს, თითქო ჩვენ შორის თავის დღეშიაც არ გამოთქმულიყოს საწყენი სიტყვა, მეფერებოდა, უწინდლურათ, რჩევას მაძლევდა, მემუსაიფებოდა, მიტკბებოდა უწინდელზე უფრო მეტათ, და არა ნაკლებ. მართალია, მესმოდა კი, რომ ეს ფარისეველობაა-თქო, მაგრამ ქე რა უნდა მექნა? ნუთუ პირდაპირ ზურგი უნდა შემექცია? უეჭველათ შევაქცევდი ზურგს და ერთიანათ მოვშორდებოდი, ერთი წელიწადიც რომ ჰქონოდა ჩვენთან გასატარებელი. მაგრამ დღე-დღეზე წასვლას აპირებდა. ღირდა განა ახალი წინააღმდეგობის ატეხათ? ამის გამო ვიფიქრე—თუ ძალა არ დამადგა, თუ ხელ ახლავ არ გამიმწარა, ხმას არ ამოვიღებ, დაე წავიდეს თავისათვის-თქო.—ჩემ გულში კი უკვირდებოდი ყოველ მის სიტყვას, ყოველ მის საქციელს ვწონავდი, მინდოდა გამეგო: რა ამოქმედებს ან რა აძლიერებს ამ კაცს დაწარჩენ სტუდენტებში-თქო. ღრმა დაკვირვების და მოაზრების შემდეგ აი რა აზრს დავადექ.

ერთობ უგრძნობი კაცი იყო ეს ჩვენი ღრეჭია; ერთობ წვრილმანი მიზნის მდევარი, მაგრამ ეს მისი წვრილმანობა შეადგენდა მთელ მის ძალას. თავის ღღეში არ დაკარგვია იმას მხედველობიდამ მისი მიზანი, და მთელი მისი მეცადინეობა, მთელი მისი ჭკუა და გონება იმაში იხარჯებოდა, რომ ამ მიზნამდი მიეღწია. მიზანი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველანი დაეკმაყოფილებია, ყველანი მოემადლიერებია, ავიც და კარგიც, მტერიც და მეგობარიც... ჩვენ სუსტნი ვართ, ამბობდა, წელი უნდა გავიმაგროთო, და მარტო მაშინ შეგვეძლება ვიფიქროთ ხალხის ან მამულის სიკეთეზეო. ეს პროგრამა ერთობ მოხერხებულია ყველასთვის, ვისაც—შჩედრინის ქალწულივით—კაპიტალის შეძენაც სურს და უმანკოების დაცვაც... თავს იმდაბლებს

კაცი თბილი ადგილის საშოვნელათ,—შეუძლია თქვას—ამას საკუთარი სარგებლობისათვის კი არ ვშვრები, მამულის სიყვარულისათვის ვითმენო: მინდა წელი გავიმაგრო და მერე სარგებლობა მოუტანოო. უსინდისობას ჩადის კაცი ფულის ან სიმდიდრის შესაძენათ, კიდევ თავის გამართლება შეუძლია,—ხალხის სიკეთისთვის მომაქვს ეს მსხვერპლიო, მინდა გავძლიერდე, რომ ხალხს უკეთ გამოვადგეო... იმას კი ივიწყებს ამისთანა კაცი, რომ ორიოდე, თუნდა ასიოდე პირის გაძლიერება არც მამულს არგებს, არც ხალხს. ისევ ძველებურათ ბნელი რჩება ეს ხალხი; ძველებურათვე გაუგებარი რჩება მისთვის მისი მდგომარეობის სიმწარე და მისი მომავალის უხეირობა; ძველებურათვე დახშულია მისთვის ის აზრი, რომ ამ მდგომარეობის შეცვლა, ამ მომავალის გაუმჯობესება საჭიროც არის და შესაძლებელიც... იმის მაგიერ, რომ ეს აზრი გაუთქვლიფოთ ხალხს თავში, იმის მაგიერ, რომ თვითონ ხალხი გავაღვიძოთ და გავაძლიეროთ, ჩვენ თუ მარტო საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ვიზრუნეთ, ხალხს ქე რა უნდა ვარგოთ? მაგარი ისაა, რომ ბოლოს ჩვენ მიზანს ვივიწყებთ, და რაც უწინ საშუალება გვეგონა, ის მიზნათ გვექცევა. რაკი ჩვენ საკუთარ მდგომარეობას გავაუმჯობესებთ, რაკი გავლენიან ადგილს შევიძენთ, რაკი გავდიდკაცდებით, ჩვენ მარტო იმაზე ვიწყებთ ზრუნვას, რომ ადგილი არ დაგვეკარგოს, სიმდიდრე არ წაგვერთოს. ეს ერთი. მეორეც ისაა, რომ თუ კი მთელ ჩვენ ყმაწვილურ ალს და ძალას ადგილის ან სიმდიდრის ძებნაში ჩავლევთ, რაღა ღონე დაგვრჩება შემდეგისთვის ხალხის ან მამულის სასარგებლოთ? ცოტა გვინახავს, განა, ამ პროგრამის მქონე პირი, რომელთაც ადგილიც დიდი უშოვნიათ, ფულიც ბლომათ შეუგროვებიათ, და ქვეყნისათვის კი მაინც არა ურგიაო რა? ან დღეს რაღას უკეთებენ ქვეყანას, ხალხს და მამულსაც ეს ღრეჭიები, დღეს, როცა იმათ გავლენიანი ადგილიც ხელში აქვთ და ფულებიც ბევრი შემოდის? რა გააკეთეს? რა რჩევა მისცეს იმათ ქვეყანას, ეხლა როცა ხმა დიდი აქვთ და თქმის მეტი არ დაეხარჯებათ? რა მსხვერპლი უძღვნეს იმათ მამულს ან ხალხს იმ სიმდიდრიდამ, რომელიც ამ ოცი წლის განმავლობაში ბოჭეს და ჭკრიბეს? რა სარგებლობა მოუტანეს? ხომ ყველამ იცის, რომ არაფერი. იმასაც კი ნუ დავივიწყებთ, რომ სიმდიდრის ბოჭვა და კრეფა იმათ ჩვეულებათ დაჰყოლიათ, ზნეთ გადაქცევიათ. და ამის მაგიერ, რომ გაძლიერების ან გამდიდრების შემდეგ ხალხს ან მამულს ვემსახურებითო, ისინი დღეს ხალხს და მამულს ატყავებენ და უშველებელ ჯამაგირს ახდევინებენ, იმისთანა სამსახურისთვის, რომელიც გროშათაც ძლივს ღირს...

ამ ადვილი პროგრამით დაიარაღებული ღრეჭია საქმეს მით იადვილებდა, რომ ყველას ეფერებოდა, ყველას იეზუიტურათ პირში უცინოდა, ყველას ემსახურებოდა, ცდილობდა ყველა მოეყიდა ტკბილი სიტყვებით, თუ ადვილი სამსახურით. თავისას არაფერს დაიკლებდა, გროშსაც არ გამოიმეტებდა—ამიტომ, რომ ებრაელზე უფრო ძუნწი და კრიჟანგი იყო, —მაგრამ ისე ტკბილი თანაგრძნობით მოაჩვენებდა კაცს თავს, ისე ჩაუძვრებოდა სულში, ისე დაფაცურდებოდა, რომ ყველა ჰფიქრობდა—რაც შეუძლია შვრებაო... სადაც არაფერი დაეხარჯებოდა, იქ მაგისთანა დამხმარე ღმერთმა ყოველ ჩემ კეთილს მისცეს: ოთახსაც მოგიძებნიდა (შენი ხარჯით), წიგნსაც გითხოვდა (სხვისგან), მასწავლებელსაც აგიჩევდა (სხვებში), ლექციებსაც კი დაამზადებანებდა (სხვებს)... შემდეგში, ცხოვრებაში, შვილსაც მოგინათლავდა, დასაფლავებაზედაც დაგამშვენებდა, ადგილსაც ითხოვდა შენთვის, შეშფოთებასაც შეგპირდებოდა. ერთი სიტყვით წვრილმან დახმარებით ან ხელის გაწყობით, შემწეობით, მოგიყიდავდა, გადაგიბირებდა... კეთილშობილურ გრძნობას და აზრებს კი არ აღვიძებდა, ან ზდიდა შენში, ისეთ სიმებს შეეხებოდა შენი გულისა, რომელიც პიროვან სარგებლობას, კერძო კომფორტს და თავმოყვარეობას მოსდევს... იქნება გონიერ ანგარიშათ ჩათვალოს ვინმემ ეს მოაზრება, და მართლადაც ოსტატური არის. კეთილშობილური გრძნობა და თავგანწირულობა იშვიათია ქვეყანაზე. ას კაცზე იქნება მარტო ერთს ჰქონდეს გულში ამ გვარი სიმები... მაგიერათ ყოველ კაცს უყვარს კომფორტი, ადგილის შოვნა, სიმდიდრე... ფული ან დიდკაცობა რომ დაანახო ან დაპირდე ხალხის გროვას, იქნება მარტო ორმა-სამმა შემოგაქციოს ზურგი, დანარჩენი კი ყველა შენ გამოგზდევს. მაგიერათ მარტო კეთილშობილურ გრძნობაზე რომ მიიწვიო ესევე გროვა, ქადაგება ან ხვეწნა რომ დაუწყო,—თავგანწირვით ემსახურეთ ხალხს, თავი დადევით მის სიკეთისათვისო, — იქნება მარტო ერთი-ორი გამოგყვეს, სხვანი კი ყველანი გაგექცევიან...

ამისგამო ღრეჭიას ყოველთვის ის პირები მიეკედლებოდენ— და ეხლაც ის პირები ეკედლებიან, — ვისაც ყველაფერზე მაღლა თავისი კერძო სარგებლობა აქვს დაყენებული. ადვოკატები, ადგილის მაძიებელი ჩინოვნიკები, კერძო თავმოყვარეობით გატაცებული პირები—აი ვინ შეადგენდა ყოველთვის, და ვინ შეადგენს დღემდინაც, მისი მომხრეების რაზმს, ორიოდეს გამორიცხვით...

ერთი და იგივე მისი დარიგება სულ სხვა ნაირათ მოქმედებდა სხვა და სხვა პირზე. ჩვენ ოთხს ზიზღს მოგვგვრიდა ხოლმე მი-

ში ქადაგება იმაზე; თუ „თავი როგორ უნდა დაიკავოს კაცმა, როგორ უნდა მოაჩვენოს ყველას მცოდნეთ, მდიდრათ, დამყოლათ და მორჩილათ“, ან მისი აზრი, რომ მარტო ამისთანა საქციელით შეიძლება ამაღლდეს და გაძლიერდეს კაცი. სხვებზე კი ამავე ქადაგებას სულ სხვა-ნაირი გავლენა ჰქონდა: „ბარაქალა, რა მოხერხებული, რა ჭკვიანი კაციაო, რა სასარგებლო რამეებს გვასწავლისო“. მის წახედვით სუსტი და კერძო სარგებლობის მდევარი ყმაწვილი ზურგს იმაგრებდა: „ცუდი რომ იყოს ჩემი მიზანი, ღრეჭია როდი გვიქებდაო, აი, ჭკუიანი ღრეჭიაც მაგას გვირჩევსო“... ბევრი ყმაწვილი გარყვნა და წაახდინა ამ მაგალითმა, ბევრს იმისთანას ფრთა შეასხა და სიაშრე მიანიჭა, ვინც უამმაგალითოთ ჩუმათ, მალულათ, მორცხვათ მოჰყვებოდა ფულის ბოჭვას... აი, ჩემი აზრით, მისი გავლენის საფუძველი ეს არის, ეს გახლავს აგრეთვე ის განუსაზღვრელი ენება, ის საწამლავი, რომელიც ამ ფარისეველთ შკოლამ ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაში შეიტანა და გააძლიერა...

თავიდამვე, ბავშობიდამ, მძულდა ყოველგვარი ფარისევლობა და თვალმაქცობა: ჭირივით მიმაჩდა თავის მოჩვენება იმათ, რაც არ ვიყავი. რასაკვირველია, ამ გრძნობის პატრონს არაფრათ უნდა მპიტნავებოდა ღრეჭიას ქადაგება და საქციელი. რაკი გავშინჯეთ ეს ქადაგება, ან ეს საქციელი, რაკი ავწონეთ და შევადარეთ ჩვენ მოვალეობას, სულ სხვა აზრს და საქციელს დავადექით. სულ სხვა გზა და მოვალეობა გვეხატებოდა ჩვენ წინ, სულ სხვანაირი საქციელი საჭიროთ გვეჩვენებოდა, სულ სხვა რიგ აზრებს შეუდექით... ამის გამო ღრეჭია მალე შორებელ კაცათ გაგვიხდა. იმას თავისი საკუთარი გზა აქვს თქო, ვფიქრობდით, და ჩვენ—ჩვენი. ღმერთმა ხელი მოუმართოს, გზა დაულოცოს, ჩვენ კი ჩვეს გზას უერთგულოთ-თქო...

XIV

ლექციების დაწყება.—კოსტომაროვი. — სტასიულევიჩი.— სპასოვიჩი.— სხვა პროფესორები. — სტუდენტების არეულობის დასაწყისი. — ქარიშხალი მყუდრო დღეს.—სხოდკა.—ჩვენი ყრილობა.

გაიხსნა უნივერსიტეტი. პროფესორებმა ლექციების კითხვა დაიწყეს. ისეთი სიხარულით და სურვილით დავიარებოდი ამ ლექციებზე, რომ კაცს ეგონებოდა, საქეიფოთ მიდისო. პირველი ლექცია ჩემ დღეში არ დამავიწყდება. გული ისე მიძგერდა, ისეთი აღელვებული ვიყავი, და ისეთი მოწიწებით გადავიქეც სმენათ, თიოქო პირველჯერ საყვარლის ნახვა მღირსებოდეს და მისი ტიკტიკით ვტკბებოდი. კოსტომაროვი კითხულობდა ამ პირველ ლექციას, და მისი საგანი

იყო რუსული ისტორიის წყაროების აწერა. რომ იცოდეთ, რანაირი ყურადღებით ვისმენდი ნესტორის მატიანეს გარკვევას! პროფესორის ტუჩებს შევყურებდი, როდის იქნება შემდეგი სიტყვა გამოსთქვასთქო... მაშინაც მოხუცებული იყო კოსტომაროვი, მაგრამ მაინც დიდი ენერგიით კითხულობდა თავის საგანს: ხმა მაღლა, გარკვევით, თითოეულ სიტყვას კვერს ჰკრავდა ხოლმე, და ექვსასი თუ შვიდასი მისი მოწაფე ისე გულმოდგინეთ უგდებდა მას ყურს, რომ ბუზის ფრენაც კი შეიტყობოდა იმ სიჩუმეში. სტუდენტებს გარდა ათიოდე ქალიც დაიარებოდა იმ ლექციებზე—ყველანი შავათ ჩაცმული თავიდამ ფეხებამდი, ყველანი წარბ-შეღუშული, თავმოკავებული... ისინი პირველ რაზმში ისხდენ, და თითოეული მათგანი ცდილობდა პროფესორის სიტყვების ჩაწერა მოესწრო...

მეორე ლექცია სტასიულევიჩის იყო, საშუალო საუკუნოების ისტორიიდამ. ეს სულ სხვანაირათ კითხულობდა. მსწრაფლათ, სხარტულათ, გადაბმულათ ისე მოგვაყარა სიტყვები და ფრაზები, რომ გათავებამდე არც კი შეჩერებულა. როგორც გინახავთ დიმპლიპიტო, ისე არაკუნებდა სიტყვებს, და შორიდამ ჩვენ ტი-ტი-ტი-ტის ან ტა-ტა-ტა-ტას მეტი არაფერი გვესმოდა. რამდენათაც ღრმად ჩაფიქრებული შუბლშეკრული იყო კოსტომაროვი, იმოდნათ მოშაქრული, ალერსისმთხოვი და მომღიმარე იყო სტასიულევიჩის პირისახე. პირველი თითქო არც კი გვნიშნავდა, თითქო მარტო თავისთვის ან მარტო ვიღაც სხვებისთვის კითხულობდა თავის ლექციას. მეორე კი თვალებში შემოგვჩერებოდა, თითქო ჩვენ დათანხმებას ან მოწონებას თხოულობდა: იმას ნიადაგ იმისთანა გამოხედულება ჰქონდა, თითქო მოწმეთ მოვყავდით— ხომ კარგათ ვკითხულობო, ხომ ენა არ მიჩერდებაო, ხომ უცბათ ვლაპარაკობო, ხომ კაი ბიჭი ვყოფილვარო? პირველი უხეიროთ იყო ჩაცმული: ძველი მოდის პერანგი იცვა, რომელსაც აქა-იქ ფოლაქები აკლდა, გახეხილი და მოფლაშული სერთუკი, შემოცვეთილი და გაწვირიანებული შარვალი. მეორე კი გაწკიპარტებული იყო: სარკესავით ბზინავდა მისი თოვლისფერა პერანგი, და ახალ-ახალი ტანისამოსი ტანზე ისე ადგა, როგორც კალაპოტზე... ერთი თითქო საგანგებოთ, იმისთანა სიტყვებს ამბობდა და იმისთანა აზრებს გამოთქვამდა, რომ ჩვენ ყველას უნდა გვწყენოდა. ეხლაც მახსოვს ერთი იმისთანა აზრი. „ეხლანდელ დროშიო,—თქვა,—მოდათ მიღებულია წინ-წაწევის, პროგრესის აზრებიო. სჯობია უკან დავიხიოთ, ჩვენი ძველების ცხოვრებას დაუკვირდეთ და ჭკუა იმათგან ვისწავლოთ“! შეუპოვრათ გვესროლა ეს აზრი, სწორეთ იმავე საახით, როგორითაც რაინდი მოწინააღმდეგეს გამოითხოვდა ხოლმე

შუბის სროლით: აბა შემეტაკეო, დამცი თუ ბიჭი ხარო. მართლაც ერთიანათ მთელ ჩვენ მოაზრებას და რწმუნებას ეწინააღმდეგებოდა ეს ახირებული აზრი, მაგრამ მისი მამაცობა, მისი გამბედაობა მომეწონა... სტასიულევიჩი კი ტკბილათ ლიბერალობდა: თავის საგანს აქა-იქ ჩაურთვიდა ხოლმე ზოგიერთ იმისთანა ფრაზას, რომლითაც იმდროინდელ შემთხვევებს ან გარემოებას შეეხებოდა... იმისთანა რასმე იტყოდა, რაც ჩვენ ყველას ტვინში გვიჯდა, და რისი გამოთქმაც ჩვენ ყველას გვიამებოდა, გულს მოგვიფხანდა, დაგვაკმაყოფილებდა... მთელი უნივერსიტეტი ტაშს დაუკრავდა მაშინვე, აღტაცებით ხრიალს დაიწყებდა... მაგრამ ჩემ საკუთარ თვალში კოსტომაროვის გაბედულობა უფრო ძვირფასი იყო და მოსაწონი, თუმც კოსტომაროვის აზრის მომხრე არ ვიყავი და დიდ შეცდომათაც მიმაჩდა მისი შეხედულობა... მართალიც ვთქვათ, არაფერი გმირობა გახლავს იმისი გამოთქმა, ან იმის გამეორება, რაც ყველას სწამს და ყველამ იცის... გმირობა ისაა, როცა კაცი შეუპოვრათ მთელ ხალხის გროვას შეეტაკება, მისი აზრის წინააღმდეგ წავა, ახალ შეხედულობას ბურთივით წინ წაუგდებს, ახალ ნათელს თვალში მიახალებს... რა უყოთ, გინდ შემცდარიც იყოს ეს ახალი აზრი ან სინათლე — ტვინს ხომ მაინც აუთამაშებს და მოძრაობაში მოუყვანს ხალხს, ხომ უფრო მტკიცეთ დაარწმუნებს ნაცნობ ჭეშმარიტებაზე? მაგიერათ, რა კარგია, როცა ეს ახალი აზრი თან ახალ ჭეშმარიტებათაც გამოდის!

მესამე ლექცია, რომელსაც დავესწარი, სპასოვიჩის ლექცია იყო. ეს სულ სხვანაირათ კითხულობდა. რუსულ ენაში ხშირათ წაუბორძიკდებოდა ხოლმე ფეხი, და საჭირო სიტყვების მოძებნა, ან გახსენება ხშირად უჭირდებოდა. მაგრამ რა ეშხიანათ კითხულობდა მაინც, რა ცეცხლით, რა გულითადი ალტაცებით. ყველაფერს ივიწყებდა, რაკი ლაპარაკს დაიწყებდა. ენებით აივსებოდა მისი თვალები, ეშმაკი გაუჯდებოდა ტანში, და ლოთიანათ, შეუპოვრათ იწყებდა ის მაშინ თავის აზრების მტკიცებას. გეგონებოდათ, მემუსაიფება, მაგრამ ვერ მხედავსო, მაჯერებს, მაგრამ ვერ მნიშნავსო, მის წინ ვდგავარ, ხელს მკიდებს, მანძრევს, მატრიალებს, ჯლინქვებს მკრავს, მაგრამ აღარ ახსოვს, თუ მის წინ კაცი დგასო... და როცა ერთიანათ ყველა თავის საბუთებს, ან დამტკიცებებს ამოგილაგებდათ, უკან დაიხევდა და შემოგაჩერდებოდა გაუმეებული: ნუ თუ ეხლაც არ დარწმუნდიო? იყო ერთ მოუსვენარ ხელების შლაში, თითების ტრიალში, ცმაცურში. ხან საზარელი ხმით შესძახებდა წარმოდგენილ აზრის მოწინააღმდეგეს, თითქო ტან-და-ტან შეტაკებია მტერს და მისი განგმირვა უნდაო. ხან ჩურჩულით, ნაზი, დაბალი ხმით ლაპა-

რაკობდა, თითქო საყვარელს ეველრებოდეს,—თუ გიყვარდე დამიჯერე, გამყევი, მოსიამოვნეო... ისე გაგიტაცებდა, ისე დაიპყრობდა შენ აზრს, ისე გამუშავებდა ტვინით, რომ დაქანცული, დაღალული, თავ-ბრუ დახვეული გამოდიოდი მის ლექციიდამ. მაგიერათ არც ერთი მისი ნათქვამი აზრი აღარ დაგავიწყდებოდა სიკვდილამდინაც...

მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს იმ აღტაცებას, რომლითაც მივფრინავდი ხოლმე უნივერსიტეტში ამისთანა ლექციების ყურისსაგდებლათ. სხვა პროფესორებიც ბევრი გვყავდა, არც ერთის ლექცია არ გამომიტოვებია, რასაკვირველია, მაგრამ ყველას ეს სამი სჯობდა. სხვანი რაღაც უფერულები იყვენ, უძვლო-უფსონი, წელმოწყვეტილები. კითხულობდენ რაღაც უხალისო საგნებს სრულიათ უხალისო ხმით... კაცს ეგონებოდა,—წიგნი აუღიათ, ცუდათ გაკვეთილი, და შიგ კითხულობენო... მაგრამ, როგორც წელან ვთქვი, მათ ლექციებზე მაინც მუყაითათ დავიარებოდი: მინდოდა ყველა მენახა, ყველა გამესინჯა, ყველასათვის ყური დამეგდო, რომ შემდეგში უფრო გონიერათ შემძლებოდა უმჯობესის ეარესისგან გარჩევა, და იმ საგნის ამორჩევა, რომელსაც გულდაგულ უნდა მიეწოლოდი....

* * *

საუბედუროთ—ან, იქნება, საბედნიეროთაც—ერთ კვირასაც არ დამცლია ლექციების ყურის გდება.

შაბათი დღე იყო. კოსტომაროვის ლექცია იყო იმ დღეს უკანასკნელი. მის ლექციებზე ყოველთვის თითქმის მთელი უნივერსიტეტი ესწრებოდა. გათავდა თუ არა ლექცია, ზოგიერთმა სტუდენტებმა დაიყვირეს,—დიდ ზალაში წავიდეთ ყველანიო, იქ სხოდკა უნდა მოვახდინოთო, ჩვენ მდგომარეობაზე და ჩვენ საჭიროებებზე მოვილაპარაკოთო. წარმოიდგინეთ შემოდგომის ტკბილი, უშოძრაო ტკბილი, წარმოიდგინეთ იმისთანა დღე, როცა სრული მყუდროებაა ბუნებაში, როცა ნიავიც კი არა ჰქრის და ძზე ალერსიანათ დაცქერის ქვეყანას. წარმოიდგინეთ, რომ ამისთანა მყუდრო დროს უცებ, უეცრათ, მოულოდნელათ თქვენ წინ, ოც ნაბიჯზე, მეხი ვარდება, ქარიშხალი ტყდება და მთელი არე-მარე ბნელდება... რა გავლენა ექნება თქვენზე ამნაირი შემთხვევას?.. აი სწორეთ ამისთანა გავლენა იქონია ჩემზე,—და ყველა ჩვენებზედაც,—იმ მოულოდნელმა გამოცხადებამ „სხოდკა გავმართოთ. ჩვენ საჭიროებებზე მოვილაპარაკოთო“. არც ერთი ჩვენგანი არ ელოდა ამას, არც ერთი მომზადებული არ იყო.

სხვა ლექციებიდამ გამოსული სტუდენტებიც აქტის დიდი ზალისკენ მიიჩქაროდენ. ორი ათასი სტუდენტის ტალღამ გაგვაქანა და შეგვყარა ყველა იმ ზალაში...

იმავე საღამოს ღრეჭიამ ყველანი დაგვიბარა, ბესარიონიც მასთან მოსულიყო. ორივემ გამოგვიცხადა, სტუდენტები მთავრობისთვის თხოვნის მირთმევას აპირებენ, უნდათ „დემონსტრაცია“ მოახდინონო, და ჩვენც, ქართველებს, გვპატიჟობენ, მონაწილეობა მიიღეთო. რუსებიც ამას გვითვლიან და პოლშელებიცო, და სირცხვილი იქნება იმათ რიცხვში რომ გამოვწყდეთო...

რა მოხდა დილანდელ სტუდენტების „სხოდკაზე“ და რა მუსაიფი, ან შეტაკება იყო ჩვენი ქართველობის ყრილობაზე,—ამის აწერა ცალკე თხზულების საგანს შეადგენს. როდისმე იმასაც გიძღვნით...

ამ გარემოებით თავდება ჩემი სტუდენტობის „პირველი დრო“, ის დრო, როგორც, მგონია, არც ერთს ჩემ შემდეგ წასულს, არც ერთს ეხლანდელ სტუდენტს არ შესწრებია,—პატრიარხობის და პატრიარხული დრო ჩვენი ქართველი სტუდენტობისა...

1879 წ.

მოგონებანი სამოციან წლებზე.

ნარკვევი პირველი

I

1861—1862 წ.წ. პეტერბურგში.—სტუდენტების მღელვარება.—პირველი პროკლამაციები.—პეტრეპავლეს სიმაგრეში და კრონშტადტის კაზარმებში.—ნ. გ. ჩერნიშევსკის გაცნობა.

„ეს იყო ახალ გაზაფხულზე“,—როგორც ამბობს პოეტი. გაზაფხული დამიდგა არა მარტო მე,—მთელ რუსეთს და ევროპასაც-კი. მწარე ჩაგვრის შემდეგ, როდესაც მჩაგვრელნი 1848 წლისთვის შურს იძიებდნენ, განთიადი ხან აქ, ხან იქ გაიელვებდა ხოლმე. იტალია გაერთიანების გზაზე იდგა. გარიბალდიმ თავისი მამაცი „ათასეულით“ ის-იყო დაიპყრო ორივე სიცილია,—მთელი ქვეყანა ტაშით აჯილდოვებდა გმირს. საფრანგეთში ნაპოლეონ მესამე ლიბერალურ დათმობაზე წავიდა. სოლფერინოში განადგურებული ავსტრია პარლამენტარიზმს ამყარებდა. ამერიკა ზანგთა მონობას სპობდა. ბოლოს ჩვენში, საქართველოსა და რუსეთში, გლეხებს ანთავისუფლებდნენ. გაზაფხული იდგა როგორც ბუნებაში, ისე ცხოვრებაში. 1861 წლის მარტი იყო. ვემზადებოდი პეტერბურგისკენ, უნივერსიტეტში შესასვლელად.

ადვილი არ იყო ამ გამგზავრების უფლების მოპოება. მამა-ჩემი საიჯარადრო მშენებლობის საქმეში თავის თანაშემწედ მამზადებდა. იგი ხაზინისთვის ყაზარმებს აგებდა, მოსაზღვრე სადარაჯოებს, სასწავლებლებს, და მისთვის ერთგული განსწავლილი ხელქვეითი იყო საჭირო. ქუთაისის გიმნაზია, სადაც მან ამ აზრით მიმაბარა, იმ დროს უვაროვის ტიპისა იყო. იქ, მშობლური ქართულისა და აგრეთვე რუსულის გარდა, გვასწავლიდნენ: ოსმალურს, ფრანგულს, საბუნებისმეტყველო საგნებს და მათემათიკას. მეხუთე კლასიდან უმაღლეს სასწავლებელში წამსვლელი ლათინურის გაკვეთილებს ჰკიდებდა ხელს, სხვები-კი ამ საათებს კანონთ-მეტყველებას ანდომებდნენ.

მამა-ჩემმა მაიძულა ეს უკანასკნელი დარგი ამერჩია. კანონებისა და მათემათიკის მასწავლებლებად იყვნენ გადმოსახლებული პოლონელები—კ ო ხ ა ნ ო ვ ს კ ი და რ ო დ ზ ე ვ ი ჩ ი. ორივე გატაცებული თავი-

სუფალი მოაზროვნე და ამავე დროს თავზეხელაღებული ლოთი იყო. მათი გაკვეთილები, როცა-კი ამ გაკვეთილებს არ აკლდებოდენ, რევოლიუციის ნამდვილ ქადაგებას წარმოადგენდა, მაგრამ ჩვენი კლასის რვა მოწაფიდან მხოლოდ ორს, სიმონ ღოღობერიძეს[1]) და მე, ბავშობიდანვე რუსის ოჯახებში აღზდილთ, გვესმოდა მათი გადაკრული სიტყვების დაფარული აზრი და მნიშვნელობა. დანარჩენნი გაკვეთილებს სახელმძღვანელოდან იზეპირებდნენ—„აქედან აქამდე“, და მეტ წილად არც-კი გაეგებოდათ წაკითხულის აზრი.

იმ წლის ზაფხულს, როდესაც მეხუთე კლასში გადამიყვანეს, მამა-ჩემმა საზაფხულოდ ფოთს წამიყვანა თავისი იქაური საქმეების და მამულების გასაცნობად. ფოთი მაშინ მთლად ტყესა და ჭაობში იყო დამალული. ფოთმა შემძღვნა მალარია, რომელმაც წელზე მეტი ლოგინად ჩამაგდო. ჩემდა სანუგეშოდ, მამა მაწვდიდა და მიწერავდა წიგნებს და ჟურნალებს, რომელთაც უსაქმურობის გამო გულმოდგინეთ ვკითხულობდი. განსაკუთრებით მაინტერესებდა ბაუმანის „ილიუსტრაცია“. ამ (1859) წელს ეს ჟურნალი დიდ ადგილს უთმობდა საფრანგეთის იმპერატორის მოკვლის განზრახვას, ორსინის გასამართლებას და სიკვდილით დასჯას. გიმნაზიის სამი უფროსი კლასის (მაშინ გიმნაზიაში შვიდი კლასი იყო და არა რვა) მოწაფეთა ბიბლიოთეკიდან (ეს ბიბლიოთეკა დაარსა ზოოლოგიის მასწავლებელმა ნ. ს. ლევანდამ) მიგზავნიდნენ ჟურნალების „Русский Вестник“-ის და „Современник“-ის ახალ-ახალ წიგნებს, რომელთაც მე გატაცებით ვკითხულობდი პირველი ფურცლიდან უკანასკნელამდე. ერთი წლის ავადმყოფობის დროს სრულიად ჩამოვრჩი გიმნაზიის კურსს, მაგრამ, სამაგიეროდ გადავიკითხე მრავალი რამ, სასარგებლოც და უსარგებლოც. ასე მეგონა, რომ არა მარტო ლიტერატურაში, პოლიტიკაშიაც ჩემთვის საიდუმლო აღარაფერი იყო. ამან შემაყვარა კითხვა და მეცადინეობა. როდესაც 1859 წლის შემოდგომაზე მოვრჩი, ხელი მოვკიდე სახელმძღვანელოებს და ერთბაშად ორი გამოცდა ჩავაბარე: მეხუთიდან მეექვსეში და მეექვსიდან მეშვიდეში. მაშინ გამოცდას აბარებდნენ და სწავლას ათავებდნენ დეკემბერში და არა მაისში, როგორც შემდეგ შემოიღეს, ახალი წესდების ძალით.

მეშვიდე კლასში მე ჟურნალები და გაზეთებიც-კი უფრო მაინტერესებდა, ვიდრე გაკვეთილები. მაგრამ მაინც სასწავლებელი ურიგოდ არ დავამთავრე. აი აქ წამოიჭრა უთანხმოება უნივერსიტეტში

1) სიმონ ბესარიონის ძე, შემდეგში პედაგოგი, ავტორი მთელი რიგი სტატიებისა საქართველოს ისტორიიდან, გარდაიცვალა 1914 წელს.

წასვლის შესახებ. მშობლებს არაფრის გულისთვის არ უნდოდათ ჩემი გაშვება რუსეთში. მაშინ მხოლოდ 17 წლისა ვიყავი. მამა-ჩემს, რომელიც არა ერთხელ ყოფილა მაკარიის იარმუკაზე (ნიჟნი-ნოვგოროდშია) და მოსკოვში, იქაური ჰავა ამძიმებდა. ამას გარდა, უნივერსიტეტში შესასვლელად, რაკი ლათინური არ მესწავლა, საჭირო იყო დამატებითი გამოცდის ჩაბარება, ხოლო წინა წელს ასეთ გამოცდებზე დამარცხდნენ ჩემზე გულმოდგინე და ნიჭიერი ყმაწვილები, მაგალითად, ბრწყინვალე პოეტი აკაკი წერეთელი. მე ალბად თავს ვერდავახწევდი ჩვენ ყრუ და მივარდნილ ადგილებს, რომ ჩვენი გენერალ-გუბერნატორი გ. რ. ერისთავი არ დამხმარებოდა. მისი შვილისშინა მასწავლებელი, ცნობილი ქართველი არქეოლოგი დიმიტრი ბაქრაძე დაინტერესდა ჩემი პატარა წერილებით ქართულ ჟურნალ „ცისკარ“-ში: მან გამოიკითხა ჩემი ამბავი და, გაიგო რა, რომ უნივერსიტეტში არ მიშვებდნენ, ამის შესახებ გ. რ. ერისთავს აცნობა, ამ უკანასკნელმა დაიბარა მამა-ჩემი და ურჩია, უსათუოდ აესრულებინა ჩემი სურვილი. მამა-ჩემი, რომელიც ძალიან აფასებდა გონიერ მმართველს (მან გაიყვანა ყუბანში ცნობილი „ერისთავის“ არხი) დაემორჩილა ამ რჩევას, დაემორჩილა არა მარტო შიშით, არამედ სრული ნდობით.

უფრო ძნელი იყო იმ დროს ასეთი ტანჯვით მიღებული ნებართვის სისრულეში მოყვანა. უნდა წავსულიყავით ადრე, მარტში, რადგანაც გზაში თვეზე მეტს მოგვიხდებოდა ყოფნა, ხოლო შემდეგ დიდხანს უნდა გვემეკადინა, რათა მოგვესწრო გამოცდებისთვის მომზადება. მივემგზავრებოდით სამი სწავლა-დამთავრებული: დ. ნ. აბდუშელი[1]), გ. ს. მესხი[2]) და მე. ჩვენმა მამებმა ფოთამდე გაგვაცილეს, საიდანაც გზას ზღვით უნდა გავდგომოდით კერჩამდე. ქუთაისიდან ორპირამდე ვიმგზავრეთ ეტლით, მშვენიერ გზატკეცილზე, რომელიც ის იყო გაიყვანეს „რიონის ნაოსნობასთან“ კავშირის დასაჭერად. მაგრამ ორპირიდან ფოთამდე ვიმგზავრეთ არა გემით, არამედ ნავით,—ეკონომიისთვის. ჯერ არ გათენებულიყო, როცა გზას გაუდექით, ხშირი ნისლი იდგა, და მხოლოდ გვიან საღამოთი, როცა დაბნელდა, მივედით ფოთში. გავიარეთ ას ვერსამდე მდინარის მიხვეულ-მოხვეული მიმართულებით.

გემის მოლოდინში მთელი შემდეგი დღე ფოთის ციხეში გავა-

[1]) დავით ნიკოლოზის ძე, შემდეგში ნოტარიუსად ნამყოფი ქუთაისში; გარდაიცვ. 1918 წელს.

[2]) გიორგი სიმონის ძე, გაზეთ „დროებას“ ცნობილი რედაქტორის, სერგეი მესხის უფროსი ძმა; გარდაიცვალა სამოცდაათიან წლების დასაწყისში.

ტარეთ. ეს ციხე მაშინ წარმოადგენდა ლიმონების და ფორთოხლების სურნელოვან წალკოტს, გაშენებულს ოსმალეთის ბატონობის დროს, ადგილობრივი ფაშების მიერ, მე-XVI საუკუნის ციხის მაღალი კედლების ძირში. კედლები იცავდნენ ძვირფას მცენარეებს. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ეს კედლები დაანგრიეს და მისი ქვა ნავთსადგურის აგებას მოახმარეს, წალკოტი გახმა ადგილობრივი ქარებისაგან. მის ადგილას ეხლა ქალაქის ბაღია, სადაც ვეღარ ხეირობს სუბ-ტროპიული მცენარე, ისეთიც კი, როგორიც სოხუმში და ბათომში ხარობს აფარებული მთების წყალობით.

ერთი დღის შემდეგ ოსმალეთის ბათომიდან მოვიდა გემი „დიდი მთავარი კონსტანტინე“ და გაჩერდა რეიდზე, ნაპირიდან ოთხი ვერსის მანძილზე; მდინარის პაწია გემმა „აკკერმანმა“ ფოთიდან წაგვასხა. რიონზე ეს „აკკერმანი“ გოლიათს ჰგავდა, მაგრამ, როდესაც იგი ზღვის გემთან გაჩერდა, ტიკინს დაემსგავსა. როცა გამოთხოვებას შეუდექით, ჩვენმა მამებმა მწარე ქვითინი მორთეს, თითქოს მართლა სასიკვდილოთ გვამზადებენო. ყველანი გააკვირვა განსაკუთრებით მამა-ჩემის ტირილმა, იმიტომ რომ იგი მაგარ, თითქმის გულქვა კაცად იყო ცნობილი. ამან საოცრად იმოქმედა ჩემზე, ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ორასი მანეთის და გემის ბილეთის გადმოცემამ; ჩემს თანამგზავრებს მგონი ამის ნახევარიც არ მიუღიათ.

გადმოვხტით კერჩში, რომ შემდეგი გზა ხარკოვსა და კურსკისკენ მოსკოვამდე საფოსტო ეტლებით განგვეგრძო. აღდგომა მელიტოპოლში გაგვითენდა. ბევრი დრო უნდა ამ გზის და ყველა იმის აღწერას, რაც ექვსი კვირის მომქანცველი მგზავრობის დროს შეგვემთხვა. ეს ის დრო იყო, როცა განთავისუფლებული გლეხობა პირველ „სადღესასწაულო დღეებს“ ზეიმობდა. გზაში მრავლად გვხვდებოდნენ ძალზე მთვრალი გლეხები, დედაკაცებიც-კი, და ამას ვხსნიდით მათის აღტაცებით დიდი ხნის სანატრელი თავისუფლების მიღების გამო. ამაოდ ვცდილობდი მუსაიფი გამება იამშჩიკებთან, რომ გამეგო მათი განწყობილება და შთაბეჭდილებები. მაგრამ ვერაფერს გავხდი და ხეირიანათ ვერაფერი ვავიგე მათგან. მათს გულჩახვეულობას ვხსნიდი იმით, რომ მომცრო ტანისა ვიყავი. უწვერ-ულვაშო და ბავშური შესახედაობა მქონდა, გარდა ამისა იამშჩიკებს ჩვენ მგონი მებატონეთა შვილებათ მივაჩნდით. მე უზომოთ განმაცვიფრა იმ გარემოებამ, რომ, როდესაც ეკატერინოსლავსა და ხარკოვს შუა, გზაზე, ჩვენ შემოგვხვდა ტ ა ო ა ს შ ე ვ ჩ ე ნ კ ო ს კუბო, არც ერთს იამშჩიკს, არც სტაროსტას და არც ზედამხედველს, ვისთანაც არ მოგვიხდა ლაპარაკი, წარმოდგენა არ ჰქონდათ განსვენებული პო-

ეტის შესახებ. მცენსკთან, მემამულის სახლის მეზობლად გაშენებულ რომელიღაც სადგურზე წავაწყდით სურათს, რომელმაც ძალზე გაგვაოცა: ხსენებული სახლის აივნიდან არა მარტო მამაკაცები, მანდილოსნებიც-კი გაწითლებული,—მაგრამ არა სირცხვილისაგან,—სახეებით გაჰყურებდნენ და სტკბებოდნენ ულაყი და ჭაკი ცხენის შეხვედრით. ჩვენ, მიჩვეულნი ქართველი ქალის მორცხვობას და მოკრძალებას, ამ სცენამ პირდაპირ გაგვაშტერა...

ბოლოს, დატანჯულებმა სადგურის სტაროსტებთან და ზედამხედველებთან დავიდარაბით, იმ სტაროსტებთან, რომელთაგანაც ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე გვესმოდა: „ცხენები არ არისო“, როგორც იყო მივაღწიეთ მოსკოვს, საიდანაც გამგზავრება რკინის გზით შეგვეძლო. რკინის გზამ ჩვენზე უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე გემმა. განსაკუთრებით გაგვაოცა იმან, რომ 600 ვერსის მანძილი მოსკოვიდან პეტერბურგამდე, მთელი კვირის ნჯღრევის ნაცვლად, 24 საათში გავქროლეთ, ისიც სულ ოთხ მანეთად კაცის თავზე.

II

პეტერბურგში ჩავედით 9 მაისს.

იმის გასაგებად, თუ რა სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მაშინ სტუდენტობა, საკმაოა შემდეგი ფაქტი: ჩასვლისთანავე პირველ ყოვლისა აღტაცებით გვიამბობდნენ იმპერიის უპირველეს ჩინოსანის თავად ორლოვის გაგიჟების ამბავს: გადმოგვცემდნენ, ორლოვი გაგიჟდა იმ აზრზე, რომ იგი ღორია, და პურსაც ეხლა მხოლოდ გეჯიდან სჭამს, ოთხზე დამდგარიო.

მეორე დღესვე ჩაუჯექით კიუნერის ლათინურ გრამატიკას. ოთხი თვე არ გაგვიმართავს წელი, ისე გულმოდგინეთ ვმეცადინეობდით. სექტემბრის პირველ რიცხვებში ვაი-ვაგლახით ჩავაბარეთ საბედისწერო გამოცდა, რომელმაც სტუდენტის სახელწოდებით დაგვაჯილდოვა და მწვანე ქუდის დახურვის უფლება მოგვცა.

მაგრამ ბევრად უფრო ადრე გამოცდამდე უფროსი კურსების სტუდენტებს შორის ხმები დადიოდა ცვლილებათა შესახებ უნივერსიტეტის რეჟიმში. ამ ხმებით ყველა შეშფოთებული იყო, ამბობდენ, ხელმწიფე აღელვებულია სტუდენტობის „თავაშვებულობით“, უფროკი მისი მონაწილეობით „დემონსტრაციაში“, რომელიც კათოლიკეთა ეკლესიაში მოხდა. ეს დემონსტრაცია გაიმართა იმ სრულის გამო, რომელიც ჯარმა ვარშავაში აუტეხა ხალხს, როდესაც იგი ეკლესიიდან გამოდიოდა, სადაც გადახდილ იქნა პანაშვიდი პოლონეთის

წინანდელ აჯანყებებში დაღუპულ მსხვერპლთა სულის მოსახსენებლად. სტუდენტთა ამ „დემონსტრაციის“ გამო გადაყენებულ იქნა სახალხო განათლების მინისტრი ლიბერალი ე. პ. კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი. მის ადგილზე დაინიშნა ადმირალი გრაფი პ უ ტ ი ა ტ ი ნ ი; პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის უფროსად ასახელებდნენ კავკასიის ომებში ნამყოფს გენერალს ფ ი ლ ი პ ს ო ნ ს. ამბობდნენ, სტუდენტთა შორის სამხედრო დისციპლინის გასანმტკიცებლად განზრახვაა დაუბრუნდნენ ნიკოლოზის დროის წესებს, როდესაც სტუდენტებს ჯარის მსგავსად წრთვნიდნენო, იმავე აზრით განზრახულია განსაკუთრებული „მატრიკულების“ შემოღებაო, რომ საზოგადო პოლიციამ შესძლოს თვალყური ადევნოს სტუდენტობას, რომელიც მანამდე მას არ ემორჩილებოდა. სასტიკად აიკრძალა ყოველგვარი კრება, თავმოყრა, კასები, ამხანაგური გარჩევა დავების და შეტაკებების. გააუქმეს ფორმის ტანისამოსიც, რომელშიაც სტუდენტები მოხელეებს ემსგავსებოდენ და რომელიც პოლიციას ხელს უშლიდა სტუდენტების დაჭერის დროს; პოლიციას-კი მაშინ უვიცობის, სისასტიკის და მეკრთამეობის საშინელი სახელი ჰქონდა გავარდნილი. ჩვენ, ახლად ჩასულებს, ეს ამბები შიშსა და სასოწარკვეთილებას გვგვრიდა: განა ამისთვის დავძლიეთ ესოდენი დაბრკოლება, ვიბრძოლეთ და ვიტანჯეთ იმისთვის, რომ უნივერსიტეტის განადგურებას მოვსწრებოდით?...

მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ ყოველივე ეს ხდებოდა ყირიმის ომის შემდეგ, რომელმაც გამოააშკარავა სამხედრო ორგანიზაციის სრული ჩამორჩენილობა და რომელმაც საოცრად გაუტეხა სახელი არა მარტო სამხედრო უწყებას, არამედ მთელ მთავრობასაც. სასაცილო ამბებს აფიცრების შესახებ დასასრული არა ჰქონდა, განსაკუთრებით სტუდენტთა წრეებში. ამგვარ სულისკვეთებას, (რომელიც—უნდა ითქვას—უცხო იყო კავკასიისთვის, სადაც ჯარის პრესტიჟი ძალზე ასწია თავ. ბარიატინსკის მიერ შამილის დამარცხებამ), ყველაზე უკეთ ააშკარავებდა ნიჭიერი მოამბის ი. ფ. გ ო რ ბ უ ნ ო ვ ი ს მიერ შექმნილი ტიპი „გენერალ დიტიატინისა“, რომელიც უაზრო და გაბერილი ფორმალიზმის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. მაინც განსაცვიფრებელი იყო, რომ იმ დროს, თითქმის 1864 წლამდე, თითონ სამხედრო პირებსაც კი სავსებით შეგნებული ჰქონდათ თავისი დამცირებული მდგომარეობის კანონიერება. „სწავლულებთან“ შეხვედრის დროს, ისეთ „სწავლულებთან“ შეხვედრის დროსაც-კი, როგორსაც ახლად გამომცხვარი სტუდენტობა წარმოადგენდა, აფიცრობა განიცდიდა ნამდვილ „კონფუზს“, რომელიც ამავე სახელწოდების მოთხრობაში საუცხოვოდ ასწერა შ ჩ ე დ რ ი ნ მ ა.

და ეი ასეთ დროს სახელგატეხილი მხედრობის წარმომადგენლებს უმორჩილებდნენ მთელ ჩვენს სამოსწავლო უწყებას და სხვათა შორის რუსული მეცნიერების სახელსა და სიამაყეს, ხოლო ასეთი იყო ჩვენ თვალში უნივერსიტეტის ყველა პოპულიარული პროფესორი. განა შესაძლებელი იყო პროტესტისა და გულის წყრომის გრძნობით არ გავმსჭვალულიყავით?

იმ ხანებში ჩვენ, ქართველი სტუდენტები, ცოტათ თუ ბევრად, მოწყვეტილი და დაშორებული ვიყავით დანარჩენ სტუდენტობას, მაგრამ 1861 წლის ზაფხულის აღტყინებული სულის-კვეთება ნელ-ნელა ჩვენც გადმოგვცა იმ ჩვენი უფროსი ამხანაგების მეოხებით, რომელთაც კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ რუსს და, განსაკუთრებით, პოლონელ სტუდენტობასთან. ჩვენ წრეში, პოეტის ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1861 წლის ზაფხულს (სწორედ ჩვენი ჩასვლის წინ), უდავო გავლენა მოიპოვა ნ ი კ ო ღ ო ლ ო ბ ე რ ი ძ ემ[1]), რომელიც იმ შემოდგომაზე ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტს ასრულებდა და რომელიც იერონიმე სავონაროლაზე საკანდიდატო დისერტაციის მზადებაში იყო. ღოღობერიძე ჯერ ისევ მოწაფეობის დროს დაუმეგობრდა თავის მასწავლებელს ლ. პ. ზ ა გ ო ურ ს კ ი ს, გადმოსახლებულ პოლონელს და ჭკუამახვილ დიპლომატს, რომელიც ორმოცდა-ათიანი წლების ნახევარში ახალგაზრდობის შორის გაბატონებულ ლიბერალურ განწყობილებას მეტად მოხერხებულად ეროვნულ ელფერს აძლევდა და ეროვნულ კალაპოტში აყენებდა.

მეორე ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე, ბ ე ს ა რ ი ო ნ ი,[2]) რომელიც აგრეთვე ათავებდა ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტს, პირველზე უფრო ვიწრო შეხედულების კაცი იყო. მან ნიკოლოზზე გაცილებით ადრე დაამთავრა გინმაზიის კურსი. შემდეგ, სანამ უნივერსიტეტში წასასვლელ ფულს მოაგროვებდა, დიდხანს მასწავლებლობდა ქუთაისში. პეტერბურგში იგი ცხოვრობდა გაკვეთილებით, აგრეთვე მსახურობდა შინაურ მასწავლებლათ მდიდარ სომეხ შანშიევის ოჯახში. ჩვენს პეტერბურგში ჩასვლამდე, ორიოდე წლის წინად, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ნიადაგზე ორ მოგვარეს შორის სერიოზული განხეთ-

[1]) ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ძ ე, ძმა სიმონ ბესარიონის-ძე ღოღობერიძისა; მსახურობდა საქართველოში ჯერ მასწავლებლათ, შემდეგ სამოსამართლო უწყებაში; სულ ბოლოს იგი შეიქნა მსხვილი შავიქვის მრეწველი. გარდაიცვ. 1912 წელს.

[2]) ბ ე ს ა რ ი ო ნ ლ ე ვ ა ნ ი ს ძ ე; პირველ ხანებში პედაგოგი; 1876 წლიდან ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარე; გარდაიცვალა 1878 წელს.

ქილება მოხდა. მაშინ მოდაში ‘ძმოვიდა ეგრეთწოდებულ სათვისტომოთა დაარსება. ასეთ ორგანიზაციას ჰქონდა სალარო, ბიბლიოთეკა, ჰყავდა საამხანაგო სასამართლო და სხვა. იგი წესდების ძალით მოქმედებდა და მის საქმეებს კომიტეტი განაგებდა. ამ საქმეში ვერც ქართველები ჩამორჩებოდნენ სხვებს. წესდების შედგენის დროს უთანხმოება ჩამოვარდა. ერთნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ კასა და, განსაკუთრებით, ბიბლიოთეკა წმინდა ქართული უნდა იყოსო; მეორენი კი უმჯობესად სცნობდნენ მთელ ორგანიზაციას საერთო-კავკასიური ხასიათი მისცემოდა. ამ უკანასკნელ აზრზე იდგნენ ისეთი „ქართველები“, როგორც თავ. ნ ა პ ო ლ ე ო ნ ა მ ა თ უ ნ ი, გ ა მ ა ზ ო ვ ი და აგრეთვე ბ. ლ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე. „ქართველობად“ მაშინ იწოდებოდნენ სომხებიც, როგორ ყოფილ საქართველოს სამეფოდან გამოსულნი და მხოლოდ ქართულ ენაზე მოლაპარაკენი, რომელთაც სომხური სულ არ იცოდნენ. უმრავლესობა მათ წინააღმდეგ წავიდა; ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდენ მას; ესენი ამტკიცებდენ, რომ მიზანშეწონილია დაარსდეს რამოდენიმე კავკასიური სათვისტომო ქართველების, სომხების, რუსების, ლეკების და სხვათა. და მათ შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირიო. ნ ი კ ო ლ ო ზ ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ენერგიულად იცავდა ამ აზრს, და ამ აზრმა გაიმარჯვა კიდეც. აი მას შემდეგ ბ. ღ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ნაკლებად იჭერდა ჩვენთან საქმეს. იგი უკვე ხანში შესული კაცი იყო; წვერებში უკვე ჭაღარა შერეოდა. ჩვენი სტუდენტობის შორის იგი გამოირჩეოდა თავისი მუყაითობით და ნაკითხობით; უთუოდ ასაკი უშლიდა ხელს უფრო დაახლოვებოდა თავის ამხანაგებს: იგი მუდამ მარტო იყო და მიუკარებელი. იგი კუნძულებზე ცხოვრობდა, გარუსებული სომხის შანშიეის ოჯახში, რომლის შვილებსაც უნივერსიტეტისთვის ამზადებდა. ჩვენ მას თითქმის სულ ველარ ვხვდებოდით.

კალმით ვერ ავწერ იმ აღტაცებას, რომელიც ჩვენ გამოვცადეთ მაშინ, როცა უნივერსიტეტში მიგვიღეს. საერთო ფეხის ხმას ჩვენც ავყევით: დავდიოდით არა იმ პროფესორების ლექციებზე, რომელთა მოსმენაც ფაკულტეტის წესებით სავალდებულო იყო ჩვენთვის, არამედ მთელი სტუდენტობის საყვარელ პროფესორების ლექციებზე, ასეთები იყვნენ: ვ. დ. ს პ ა ს ო ვ ი ჩ ი, კ. დ. კ ა ვ ე ლ ი ნ ი. პ. რ ე დ კ ი ნ ი, პ. ვ. პ ა ვ ლ ო ვ ი და სხვა. მათ მოსასმენად იმდენი სტუდენტობა გროვდებოდა, რომ უდიდესი აუდიტორია, მეთერთმეტეც-კი ვერ იტევდა ყველას: ნახევარი საათის შემდეგ სუნთქვა აღარ შეიძლებოდა.

ზოგჯერ პროფესორი იძულებული იყო სააქტო დარბაზში გასულიყო, სადაც სტუდენტთა უმრავლესობა ფეხზე ისმენდა ლექციას. ლექციების სპეციალური ხასიათის მიუხედავად, მაინც გული გწყდებოდა, რომ ლექცია უფრო დიდხანს არა გრძელდებოდა. კოსტომაროვის ლექციებზე, მაგალითად, ლაპარაკი იყო რუსეთის ისტორიის წყაროებზე, მატიანეთა სხვა და სხვა დროს გადაწერილ ნაშთების ღირსებებსა და დეფექტებზე. მიუხედავათ ამისა, არა მარტო ფილოლოგები, არამედ ჩვენც, იურისტები და მათემატიკოსებიც კი, გატაცებით ვიჭერდით ყოველ მის სიტყვას, ყოველ წვრილმანს და ვცდილობდით ჩაგვეწერა ჩვენს რვეულში.

ჩვენ მაშინ სტოლიარნის ვიწრო შესახვევში ვცხოვრობდით, მეშჩანკაზე, და იქიდან გაჭენებული ცხენივით მივხტოდით, რასაკვირველია ფეხით, ლექციაზე, რომ ადრიან მიგვესწრო, კათედრის მახლობლად ადგილი დაგვეჭირა და პროფესორის ყოველი სიტყვა ჩაგვეწერა; ლექციის დროს სულ-განაბული ვუსმენდით პროფესორს, რომ ნათქვამიდან არ გამოგვპარიყო არც ერთი სიტყვა იმაზე, რაც ასე გვიტაცებდა და გვიზიდავდა, ხოლო გვიტაცებდა რუსული მეცნიერების მომავალი ბედის გაგება. ხშირად სიტყვებიდან გამოგვყავდა ის, რის თქმაც პროფესორს შეიძლება სულაც არ მოსვლია აზრად და რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონია თანამედროვე ცხოვრებასთან.

თითქმის ყველა კურსს სტენოგრაფიის მცოდნე სტუდენტები იწერდნენ და პროფესორების მიერ, მათი შემოწმების შემდეგ ეს კურსები მეორე კვირასვე ფურცლებად გამოდიოდა, ლითოგრაფიის წესით გადალებული, ზოგჯერ-კი სტამბაშიც დაბეჭდილი. ეს ფურცლები საკმაო იყო გამოცდების ჩასაბარებლად. მაგრამ ეს არ გვიშლიდა დავსწრებოდით ლექციებსაც. იმ შემოდგომაზე ლექციებზე არა ნაკლებ გვაინტერესებდა სხვა საკითხებიც: ვანზრახული ცვლილებანი უნივერსიტეტის რეფორმაში, საკითხი „მატრიკულების“ შესახებ და სხვა ყველა ამის შესახებ ცხარე ლაპარაკი იყო აუდიტორიაში მეზობლად მსხდომ სტუდენტებს შორის. ამ საკითხში აზრთა სხვაობა არ იყო. ყველა ერთსულოვნათ გამოსთქვამდა თავის განკიცხვასა და პროტესტს მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ.

მაგრამ ზოგიერთ ჩვენგანს სხვა რამეც იზიდავდა; ასეთ „სხვა რამეს“ წარმოადგენდნენ პირველი თავისუფალი მსმენელი „სტუდენტი ქალები“, რომელნიც იმ წელიწადს პირველად დაუშვეს ლექციების მოსასმენად და რომელთაც მოსალოდნელი წესები განათლების კარების დახშობას ემუქრებოდა. ასეთი მსმენელი ქალი სულ ექვსამ-

დე იყო. მათ შორის განსაკუთრებით ირჩეოდა ორი და, გვარად კ ო რ ს ი ნ ი; ესენი იყვნენ ქალიშვილები ცნობილი იტალიელი არქიტექტორისა, ისაკის სობოროს ამშენებელის, მონფერანის თანამშრომლისა. ერთი და, ნატალია[1]), მართლაც საუცხოვო სილამაზის პატრონი იყო, იგი მოგაგონებდათ მშვენიერ სურათს—„ნეაპოლიტანელ ყრმას“. მეორე მსმენელი ბ ლ ი უ მ მ ე რ ი, და იყო ლიტერატორისა, რომელიც ნახევრად სლავიანოფინურ ჟურნალს „Светоч“-ში თანამშრომლობდა და რომელიც ორი წლის შემდეგ ბერლინში „Свободное Слово“-ს სცემდა; იგი თეთრ-ყირმიზი ქალი იყო ოდნავ ავადმყოფური იერით. ყველა თავისუფალი მსმენელი-ქალი გულმოდგინეთ იწერდა ლექციებს, საზოგადოდ ეს ქალები მეტის-მეტად თავ-დაჭერილათ იქცეოდენ, უბრალო, შავ ტანისამოსს იცვამდნენ, ყველა მათ ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა. ეს ის დრო იყო, როცა მ. პ. ბ ი ხ ა ი ლ ო ვ ი გულმოდგინეთ ქადაგებდა ყბადაღებულ ქალთა ემანსიპაციას. ჟურნალმა „Современник“-მა, სადაც მიხაილოვის წერილები იბეჭდებოდა, საზოგადოების შეგნებაში განამტკიცა ის აზრი, რომ ემანსიპაციას საერთო არაფერი აქვს არა მარტო გარყვნილობასთან, არამედ სალონურ თავაშვებულებასთანაც. ამ ქადაგების ერთ-ერთ მცნებას წარმოადგენდა „ქალისადმი პატივისცემა“, რომელიც იქამდე მიდიოდა, რომ ზოგს ემანსიპაციაქმნილ ქალებთან უბრალო დაახლოვებაზედაც ხელს აღებინებდა.

ლექციები სექტემბრის მეორე კვირას დაიწყო. ათიოდე დღის შემდეგ ტანისამოსის დასაკიდში, იმ ადგილას, სადაც ჩვენი მოხუცი შვეიცარი, ოთხად მოღუნული ს ა ვ ე ლ ი ჩ ი, რომლის მეხსიერებიდან ჯერ კიდევ არ წაშლილიყო „მეთორმეტე წლის წმინდა ხსოვნა“, სტუდენტების სახელზე მოსული ფულის უწყებებს ჰკიდებდა,—გაჩნდა ჯერეთ რუსეთში არ გაგონილი რამ: დაბეჭდილი პ ო ო კ ლ ა მ ა ც ი ა „К молодому поколению“ ეტყობოდა, იგი საზღვარ-გარეთ იყო დამზადებული. ამას მოწმობდა ის თოვლივით თეთრი ქაღალდი, რომელზედაც პროკლამაცია იყო დაბეჭდილი და რომლის მსგავსიც იმ დროს რუსეთში არ მოიპოვებოდა; ამასვე მოწმობდა მისი შრიფტი, ბევრად უფრო კოხტა და ლამაზი, ვიდრე ის, რითაც მაშინდელი რუსული ჟურნალები იბეჭდებოდა. სათაურს ქვეშ პროკლამაციას ამშვენებდა წვრილი ასოებით დაბეჭდილი ეპიგრაფი, კ. ფ. რ ი ლ ე ე ვ ი ს მთელი ნაწარმოები: „Я-ль буду в роковое время

[1]) შემდეგში ცოლი ნიკოლოზ ისაკის ძე უ ტ ი ნ ი ს, რომელიც მოღვაწეობდა 1862 წ. „მიწა და თავისუფლებაში“, იმავე ხანებში ემიგრაციაში გავიდა, მაგრამ 1877 წელს უკანვე დაბრუნდა რუსეთში.

позорить гражданина сан". როგორც ცნობილია, რილეევის ლექსი ასე თავდება:

Пусть юноши, не разгадав судьбы,
Постигнуть не хотят предназначенья века,
И не готовятся для будущей борьбы
За угнетенную свободу человека:
Они раскаятся, когда народ, восстав,
Застанет их в об'ятьях праздной неги
И в буйном мятеже ища свободных прав,
В них не найдет ни Брута, ни Риеги.

ეს იყო პირველი მერცხალი დაწყებული არეულობისა. ერთმა სტუდენტთაგანმა, მგონია ნ ე კ ლ ი უ დ ო ვ მ ა ჩამოიღო კედლიდან პროკლამაციის ფურცელი და გამოაცხადა, რომ სააქტო დარბაზში წაიკითხავს მას ყველას გასაგონად. აუდიტორიებიდან გამომავალი სტუდენტები გაჰყვენ მას. ნეკლიუდოვი შედგა მაგიდაზე, რომელზედაც ოქროს ფოჩებიანი წითელი მაუდი იყო გადაფარებული, და დიდის პათოსით წაიკითხა პროკლამაცია. გულის ფანცქალით ვუსმენდით მის მაღალ ხმას, რომელიც თანდათან აფრთოვანებაში გადადიოდა. პროკლამაცია თავიდან ბოლომდე ახალი გამოცხადება იყო ჩვენთვის. იმიტომ კი არა, რომ ოპოზიციონურ ლიტერატურას არ ვიცნობდით, შევრი ჩვენგანი კითხულობდა „Колокол"-ს, „Полярная звезда"-ს და მაშინ ისკანდერის ფსევდონიმით უფრო ცნობილი გერცენის სხვა ცალკე გამოცემებს; მაგრამ იქ დაცინვასთან, სარკაზმთან გვქონდა საქმე, ეს პროკლამაცია კი, გარდა იმისა, რომ ცალკე პირებსაც და მთელ მთავრობასაც ჰკიცხავდა, მოგვიწოდებდა აშკარა ბრძოლისაკენ ძველი რეჟიმის დასამხობად, და არა მხოლოდ გასასწორებლად. ანათემასავით გაისმოდა პროკლამაციის გამანადგურებელი ტონი. ჩემზე, ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა. ჟრუანტელმა დამიარა მთელ ტანში. მომაგონდა მსგავსი გრძნობა, რომელიც განვიცადე ათი წლის წინად, როცა მოვისმინე იმერეთის ასწლოვანი მიტროპოლიტის დავითის მთავარ-დიაკვნის მრისხანე ხმით წარმოთქმული ანათემა გ რ ი შ ა ო ტ რ ე პ ი ე ვ ი ს ა და მ ა ზ ე პ ა ს წინააღმდეგ. მაგრამ ნეკლიუდოვის გარეგნობა, ზემოდ მოყვანილი ლექსი და ძალაუნებური ცახცახი, გამოწვეული პროკლამაციის საჯარო კითხვით და ისიც საიმპერატორო პეტერბურგის უნივერსიტეტის ხალხით გაჭედილ სააქტო დარბაზში, ახლაც თვალწინ მიდგას, როგორც ცოცხალი სურათი.

მთელი კვირის განმავლობაში მხოლოდ ამ ამბავზე ვლაპარაკობდით. ამბობდნენ, რომ საიმპერატორო ოჯახის წევრებმა და პეტერბურგის წარჩინებულმა პირებმა ფოსტით მიიღეს ეს მოწოდებაო. ბევრმა თავიანთი ბინების შესავალ კარებთან იპოვეს. მეფეს კი მოუვიდა სხვა მოსახსენებელ ქაღალდებთან ერთადო.

უფრო გვიან ისიც გავიგეთ, რომ მისი გამავრცელებელი პოეტი მიხაილოვი შეიპყრეს და პეტრეპავლოვის საპყრობილეში ჩასვესო. საკვირველი იყო: ლაპარაკისა და მითქმა-მოთქმის საგანი პროკლამაციის შინაარსი და დასკვნები კი არ იყო, არამედ მისი მოვლინება და გავრცელების ფორმა: ჩემთან, ყოველ შემთხვევაში, არავინ შესულა იმის გარჩევაში, თუ რამდენად მისაღები თუ მიუღებელი იყო მოწოდების აზრები. ამ მხრით, ეტყობოდა, რომ ყველანი ეთანხმებოდნენ მის შინაარს. ჩვენს წრეში არავინ ყოფილა ისეთი, რომ მეფისა და მთავრობის დამცველად გამოსულიყო, იმ მეფისა და მთავრობის, რომლებმაც—სულ ნახევარი წელიწადი თუ იქნებოდა—გააუქმა ბატონყმობა. ყველა აღტაცებული იყო, რომ ცენზურისაგან თავისუფალი მოწოდება ხელიდან ხელში გადადიოდა ყველას მიერ შეძულებული მთავრობის ცხვირ წინ.

III

შემდეგ კვირას, რამდენადაც მახსოვს, შაბათი იყო, სტუდენტებმა და თავისუფალ-მსმენელებმა თავი მოიყარეს იმავე სააქაო დარბაზის წინ. ამ შემთხვევაში ისინი წინასწარ აკრძალული სხდომის გამართვას აპირებდენ. დარბაზის კარები დახშული დახვდათ. სტუდენტებმა, რომელთა რიცხვი ახლა გაცილებით მეტი იყო, ბევრი არ დააყოვნეს: შეამტვრიეს კარები და დარბაზიც მყისვე გაიჭედა ხალხით. დიდ ხანს ყურთა სმენა არ იყო,—ყველა ერთად ლაპარაკობდა. მაგრამ უცბად შეწყდა აურ-ზაური. სიჩუმე დამკვიდრდა. იმ მაგიდაზე, რომლიდანაც ერთი კვირის წინ „ახალ თაობის“ დიატრიბები გაისმოდა, ასულიყო უნივერსიტეტის რექტორი პლეტნევი ჯერ კიდევ მხნე მოხუცი. გაპარსული პირისახე კათოლიკეთა ბეჯითს მოქადაგეს მიუგავდა. ეცვა იმნაირადვე. თავის სანახაობით და უფრო სიტყვით იგი სწორედ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც გვაგონებდა პუშკინის მისადმი მიძღვნილ „ევგენი ონეგინის“ წინასიტყვაობაში სტრიქონებს:

„...души прекрасной,
Святой исполненной мечты“.

მოსიყვარულე მამის ხმით მიმართა რექტორმა შეკრებილთ და სთხოვა დაშლილიყვნენ, რათა უბედურება არ შემთხვეოდა მეცნიერების ტაძარს, რომლის წინააღმდეგ მტრები ისედაც ილესავდენ კბილს. არ იყო თქმული: „რეაქცია აპირებს თავის წამოყოფას", მაგრამ მის სიტყვას ეს აზრი კი ჰქონდა... მაგრამ, მართლაც წმინდა წყლის ოცნება, ქიმერა იყო იმის ფიქრი, რომ სტუდენტობა მას დაუჯერებდა.

ერთი სიტყვითაც არავის მოუწონებია მისთვის, რაცა სთქვა, უკმაყოფილება კი გაისმა მთელ დარბაზში. ჩამოვიდა თუ არა მაგიდიდან, მყისვე სხვანაირმა სიტყვებმა დაიგუგუნეს. ჯერ ილაპარაკა უმაღლესი კურსების სტუდენტმა ნ ი კ ო ლ ო ზ უ ტ ი ნ მ ა, ცნობილი იჯარადრის შვილმა და ჩვენი პროფესორის—იურისტის ბორისის ძმაც. იგი ჰყვიროდა,—კმარა რაც ველოდეთ და ვითმინეთო! ჩვენი დუმილია სწორედ იმისი მიზეზი, რომ არამზადები და უვიცები ასე გათავხედდენ. „ვაშა"-თი და ტაშის კვრით შეეგება მის სიტყვებს დარბაზი. მას შემდეგ ილაპარაკეს სხვებმა იმავე კილოზე. ნაკლები „ვაშა" არც მათ დაუმსახურებიათ.

ამათში განსაკუთრებული სიფიცხე ეტყობოდა იურისტს ნ ე კ ლ ი უ დ ო ვ ს, რომელიც ათავებდა კურსს, თუ დამთავრებულიც ჰქონდა. ქორული გამოხედვა ჰქონდა და თვალები გადმოქაჩული. იგი შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად იყო დ უ რ ნ ო ვ ო პირველისა და გ ო რ ე მ ი კ ი ნ ი ს დროს, ალექსანდრე III მეფობის ბოლო ხანებში და ნიკოლოზ II მეფობის დასაწყისში. ამ თანამდებობაში გარდაიცვალა.

ორატორების სიტყვის შინაარსი ერთი იყო: შეუძლებელია მეცნიერების უფლებათა შეზღუდვა. ხოლო არავის უთქვამს, თუ როგორ და რა ღონისძიებით უნდა დაეცვათ ეს უფლებები.

მეორე დღეს კვირას, სექტემბრის 24-ს, ისიც იყო ვისადილეთ მ. ი. სემიონოვის ქალთან, რომელიც თვეში 7 მ. 25 კ. გვაქმევდა ნისიად სადილს ქართველ სტუდენტებს და ფრანგ ორიენტალისტს ე ა ბ ა ს, რომ სასადილოში შემოვიდნენ ორივე ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე, ნ. ბ. და ბ. ლ., რომლებიც დიდი ხანია ერთად არ გვენახა. ახლა ისინი ყოვლად შეთანხმებული მეგობრების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. ერთი რომ დაიწყებდა ლაპარაკს, მეორე დაათავებდა. ღოღობერიძეებმა გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა „დემონსტრაციაზე" გამოდისო და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. დემონსტრაცია კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ სტუდენტები თავს მოიყრიდნენ ჯერ უნივერსიტეტში და მერე ნევის პროსპექტით

და ვლადიმირის ქუჩით გაემართებოდნენ, რათა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის წარედგინათ მოთხოვნილება უნივერსიტეტის წინანდელი წესრიგის დაცვისა და მატრიკულის შემოღების წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებიათ.

მოვისმინეთ ეს ცნობა, და იმის მაგიერ, რომ პასუხი მიგვეცა გაკვირვებით დავდუმდით. ბოლოს „პროტესტის" წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა დ. ნ. ა ბ დ უ შ ე ლ მ ა. იგი კიბოსავით გაწითლებულიყო, ბორძიკობდა და ისე ლაპარაკობდა. მან სთქვა, ჩვენ იმისთვის ვართ აქ ჩამოსული, რომ უნდა ვისწავლოთ, და არა მთავრობას ვასწავლოთო. მთავრობა ჩვენ, რასაკვირველია, არ გაგვიგონებს და უკან სახლში გაგვაბრუნებსო, რაც ჩვენთვის გაცილებით უარესია, ვიდრე ციმბირში წასვლაო. ჩვენი მშობლები დაგვამწარებს ყოველ ლუკმას ტყვილა ხარჯების გაწევისათვისო. ღოღობერიძეებს არც კი სჯეროდათ, რაც მოისმინეს. ახალგაზრდობა ყოველთვის ემორჩილებოდა მათ და პირველად წააწყდენ ახლა ურჩობას. მათ ის უპასუხეს, რომ შეუძლებელია ქართველები ჩამორჩენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო. ამაზე კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ[1]) შენიშნა, რომ ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ. რუსეთში, პოლონეთში, მალოროსიაში ბევრია ნასწავლი ხალხიო. ეს ქვეყნები უინტელიგენციო არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავოს პირისაგან დედამიწისა, ჩვენში კი საქმე სხვანაირია. ჩვენ ქართული სტუდენტობის პირველი თაობა ვართ. ჩვენ რომ ახლა დავბრკოლდებით, ქართველ მამებს შემდეგ ვერც კი გააგონებ—შვილები უნივერსიტეტში გამოგზავნონო. ძველებურად საკადეტო კორპუსებში მიაბარებენ, მით უმეტეს ეს უფრო ადვილი საქმეა და არც ფულის დახარჯვაა საჭირო. ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ ღოღობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო. ეს კი საკმაო იყო იმისთვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც შეგვეხეთქა.

კამათში მონაწილეობა არ მიმიღია. ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდა ვიყავი, ტანით პატარა და უწვერულვაშო, ყველას ბავშათ მივაჩნდი, გარდა ამისა კიდევ იმიტომ, რომ თვით დემონსტრაციას მე ვთვლიდი განუხორციელებელ ოცნებათ. მე ვერ წარმომედგინა, რომ მთავრობა, რომელიც მე კავკასიური გაგებით სიბრძნის წყაროდ მეჩვენებოდა, დაუშვებდა დემონსტრაციის მოხდენას ქუჩებში. მთავრობა

[1]) კირილე ბეჟანის-ძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე; გარდაიცვალა 1917 წელს.

ნევის ხიდეებს გახსნის და ამით გათავდება ყველაფერი მეთქი, ვფიქრობდი. მე და კირილეს ცნობისმოყვარეობამ დაგვძლია მხოლოდ და ამიტომ გავემართეთ უნივერსიტეტისაკენ, დარწმუნებული კი ვიყავით, რომ სასახლის ხიდი გახსნილი იქნებოდა და ზედ მოძრაობა მინიმუმამდე დაყვანილი.

წინააღმდეგ ჩემი წარმოდგენისა, დემონსტრაცია არა თუ მოხდა, უფრო თვალსაჩინოდ და დიდებულად ჩატარდა, ვინემ მის მომწყობთ ჰქონდათ წარმოდგენილი. რამდენიმე ათასი სტუდენტი, მწყობრად მიიმართებოდა სასახლის ხიდეზე, ნევის გასწვრივ და დაბრკოლება არსად არ შეხვედრია. მალე შეუხვიეს ვლადიმირსკის ქუჩით და გავიდნენ კოლოკოლნაიაზე, დმიტროვსკისა და პოვარსკის შესახვევებთან. პროცესიის თავი ყაზანის ტაძართან იყო, ხოლო ბოლო სასახლის ხიდზე. „მალაია სადოვაიას“ ქუჩასთან შემოგვხვდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (ახლანდელის მამა), რომელიც სადღაც მიჰქროდა „ლიხაჩით“. მან გააჩერა ცხენი და იკითხა, სად მიდიან სტუდენტებიო? უპასუხეს, რომ მზრუნველთან მიდიან მატრიკულების წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. მაშინ ბრძანებას და მორჩილებას მიჩვეული ხმით ბრძანა: „разойтись“! და გაუდგა თავის გზას. პროცესიამ კი თავისი გზა განაგრძო: მზრუნველი თავის ბინაზე არ აღმოჩნდა. ჩვენ დიდ ხანს ველოდეთ მას და, ალბად, მალე გავიფანტებოდით სადილის საჭმელად, რომ არ გამოჩენილიყო პრეობრაჟენსკის პოლკი მთელი თავისი შეიარაღებით. ყველას ისე მოეჩვენა, თითქოს პოლკი დიდი მთავრის მიერ ყოფილიყო გამოგზავნილი. პოლკი ნელ-ნელა გაიშალა და ალყად შემოერტყა კოლოკოლის ქუჩის, სამხრეთის მხარის ქვაფენილს და დაიჭირა ვლადიმერის და ნიკოლოზის ქუჩებში გასავალი; პოლკის უფროსები და გენერალიტეტი მოთავსდნენ ვლადიმერისა და კოლოკოლის ქუჩების კუთხეში. ოფიცრებმა და ადიუტანტებმა წინადადება მისცეს სტუდენტებს დაშლილიყვნენ. სტუდენტებმა უპასუხეს, რომ მზრუნველის სანახავად იყვნენ მოსულნი. ამასობაში ჯარისკაცებმაც გასტენეს თოფები (მაშინ თოფები ლულიდან იტენებოდა ზუმბით). ისინი შორიდან გვიჩვენებდნენ ტყვიებს,—გვაფრთხილებდნენ—კი არა ვხუმრობთო. ამან ბევრი ჩვენგანი შეაშინა და კიდევაც იკადრეს გაქცევა პოვარის შესახვევით. კირილე ლორთქიფანიძე,—და მეც არ მინდოდა მას ჩამოვრჩენოდი,—(ერთ ოთახში ვცხოვრობდით) აგრეთვე დ. აბდუშელი და კიდევ სხვები გაედევნენ მათ და უკან დააბრუნეს, ეხლა ჩვენსა და ჯარისკაცებს შუა ჩააყენეს.—რა კი ერთხელ მოვ'ულვართ, მორჩა, ჩვენი უნდა გავიტანოთო,—

უთხრეს. საბედნიეროდ საქმე მშვიდობით დამთავრდა. საიდანღაც ფ ი ლ ი პ ს ო ნ ი ც გაჩნდა,—შუატანის, ჩასუქებული, ნებიერი გამომეტყველებისა და პირსავსე კაცი, რომელიც ღია და მხიარულ თვალებით იცქირებოდა. მას გენერალური შტაბის მუნდირი ეცვა, ხოლო დაჭრილი ხელი მხარზე ჰქონდა შესახვევით დაკიდებული. თმასა და ბაკენბარდში ჭაღარა შერეოდა. ფილიპსონმა სულ ახლო გაიარა იმ ჯგუფთან, რომელთანაც მე ვიდექი. ამ შემთხვევის წყალობით გარკვევით გვესმოდა მისი საუბარი სტუდენტებთან. უფრო დაუახლოვდით, როცა იგი სრულიად დამშვიდებით შეუდგა იმის განმარტებას, რომ საქმიანი მოლაპარაკების წარმოება ქუჩაში მოუხერხებელია და ამისთვის უნივერსიტეტში წავიდეთო. უფროსმა სტუდენტებმა უპასუხეს, რომ წავიდოდით იმ შემთხვევაში, თუ პრეობრაჟენსკის პოლკი მოიხსნებოდა და თავის სადგომს დაუბრუნდებოდა. ფილიპსონი მყისვე გაეშურა გენერალიტეტთან, საიდანაც მალე მობრუნდა უფრო მხიარული, ვინემ საზოგადოდ იყო. მან გვითხრა, რომ პოლკი წავაო. მართლაც პოლკი მალე მოიხსნა და წავიდა. ფილიპსონმა გამოგვიცხადა, გენერალ-გუბერნატორს აღუთქვი, რომ პასუხს ვაგებ სტუდენტების ყოფაქცევისათვისო.

სრულიად მოულოდნელად მზრუნველთან მოსაუბრე სტუდენტებმა ქართველ სტუდენტების ჯგუფს დააკისრა გაჰყოლოდა ფილიპსონს უნივერსიტეტამდე. ამაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ ქართველების ჯგუფმა ამ მისსიის შესრულება მე და გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს მოგვანდო. გ. ჯავახიშვილს სტუდენტები მეტ სახელად „ბატს" ეძახდნენ მისი ბატივით დარხეული სიარულისათვის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იგი ცნობილი იყო, როგორც კეთილი და უაღრესად წესიერი კაცი. საფიქრებელია, რომ სტუდენტებს ეჩოთირებოდათ ასეთი ულამაზო და პასუხსაგები დავალების ასრულება, და ჩვენც ამისთვის დაგვასახელეს. მართლაც მე და ჯავახიშვილი ყველაზე უფრო დაბალი ვიყავით და ანგარიშსაც ყველაზე უფრო ნაკლებად გვიწევდნენ. თუმცა პატარები ვიყავით—თითქმის ბავშვები შედარებით, მაგრამ ფილიპსონს მაინც ეჩოთირებოდა ჩვენთან სიარული. ნევის პროსპექტამდე ის თავაზიანად გვესაუბრებოდა. გამოგვკითხა, ვინ ვიყავით და საიდან. როცა გაიგო ჩვენი ქართველობა, მოიგონა რამდენიმე ქართველი ოფიცრის სახელი და მამის სახელი, რომლებიც სამსახურში ყოფილიყვნენ მის ხელქვეით. მის მიერ დასახელებულ ოფიცრებში რამდენიმე ჯავახიშვილის ნათესავი აღმოჩნდა, რამდენიმე კიდევ დედა-ჩემის. შემდეგ მოიმიზეზა გზის სიშორე და დაჭრილი ფეხი და გვთხოვა დაგვეჯერებია კავკასიის ოფიც-

რის პატრონსანი სიტყვა. რომ თვითონ წავიდოდა უნივერსიტეტში და იქ მოგვიცდიდა,—თვითონ ავიღე ხომ ჩემს თავზე პასუხისმგებლობაო, გვითხრა. მაგრამ ჩვენ ვერ გავბედეთ, მონდობილობა პირნათლად არ შეგვესრულებია,—უარი უთხარით, ვერ მიგატოვებთ-თქო. მაშინ მზრუნველმა წინადადება მოგვცა, მასთან ერთად ეტლით გავმგზავრებულიყავით. ამან კი დაგვარწმუნა, რომ ფილიპსონი მართლა წავიდოდა უნივერსიტეტში. ვენდვეთ და თავი მივანებეთ.

სანამ უნივერსიტეტამდე მივაღწევდით, მთელი გზის მანძილზე, სტუდენტებმა სული გაგვიმწარეს საყვედურებით: რად დაანებეთ თავი, იგი საზამთრო სასახლეში შეივლიდა უთუოდ და ახალს ჯარს გამოაყვანიებს ჩვენს წინააღმდეგო.—როგორ იქნება? ვიმართლებდით ჩვენ თავს.—განა კოლოკოლის ქუჩაზე არ ჰყავდა მზად ჯარი, და თვითონ არ გაუშვა? რომ ნდომოდა მით ესარგებლნა, ვინ უშლიდა ხელს?

ფილიპსონი, მართლაც, უნივერსიტეტში დაგვხვდა. მას არა თუ ჯარი, მკველებიც კი არ ახლდა თან. მხოლოდ რამდენიმე „ბუდოჩნიკი“—როგორც მაშინ ვეძახდით პოლიციელ დარაჯებს—თავის ჩვეულებრივ პოსტზედ იდგენ სანაპირო ქუჩაზე.

ფილიპსონის წინადადებით სახელდახელოდ არჩეული იქმნა „დეპუტაცია“, რომელიც უნდა წარსდგომოდა განათლების მინისტრს და ჩვენი საჩივარი მოეხსენებია. ამის შემდეგ ჩვენც მშვიდობიანად დავიშალენით ჩვენ-ჩვენ სახლში. როგორც საკუთარი თავით, ისე ფილიპსონითაც ყველანი ფრიად კმაყოფილი ვიყავით. მაგრამ... ვაი, რომ ეს კმაყოფილება მხოლოდ ერთ ღამეს გაგრძელდა!

IV

მეორე დილას, როცა უნივერსიტეტში მივედით, მისი ორივე შესავალი კარი დაკეტილი დაგვიხვდა. ზედ განცხადება იყო გაკრული, რომ უნივერსიტეტი დაკეტილია და სტუდენტებიც დათხოვნილები არიან. შესავალ კარებს იცავდა პოლიცია. გაოცებული სტუდენტობა ჯგუფ-ჯგუფად დადიოდა მდინარის განაპირა ქუჩაზე. მალე უნივერსიტეტის წინ შეგროვდა სხვა ახალი ჯგუფებიც,—შემდგარი მწერლებისა, პროფესორებისა, მღვდლების და ქალებისაგან. ჩვენ ახლებს, ძველი სტუდენტები შორიდან გვაჩვენებდენ გამოჩენილ პირებს,—არტილლერიის პროფესორებს პ. ლ. ლავროვს და ნ. ენგელგარდტს, სატყეო აკადემიის პროფესორს ნ. ვ. შეალგუნოვს „Отечественные записки“-ს თანარედაქტორს ალბერტინის, გამო-

მცემელს ნ. ლ. ტ ი ბ ლ ე ნ ს და ბევრს სხვას, ყველას ვერ ვიგონებ. ჩვენ გავვოცდით, როცა ყველა ეს პროფესორები სამხედრო ტანისამოსში და ჩინებში დავინახეთ. საქმე იმაშია, რომ იმ დროს ყველანი, ვისაც კი გათავებული ჰქონდა უმაღლესი ტექნიკური, სამთო, სატყეო, საინჟენერო ან საარტილერიო სასწავლებლები, და თვით გზათა ინჟენერებიც-კი სამხედრო ტანისამოსს ატარებდენ — ისეთივე მოქარგული ხავერდის საყელოთი და სამაჯეებით, ისეთივე აქსელბანტებით, როგორიც ჰქონდათ ცარიზმის რეჟიმის უკანასკნელ დღეებში გენერალური შტაბის ოფიცრებს.

სხვადასხვა უწყება მხოლოდ იმით განირჩეოდა, რომ ზოგი მათგანის ნაქარგები, ღილები და აქსელბანტები ვერცხლისა იყო, ზოგისა კი ოქროსი; ზოგი ამ აქსელბანტებს ატარებდა მარჯვენა მხარზე, ზოგი კი—მარცხენაზე. მაყურებელთა ეს სხვადასხვა ჯგუფები, რომელნიც მოდიოდენ იმ დღეს და შემდეგ დღეებშიაც, რათა დამტკბარიყვნენ ჩვენი „მოძრაობით“ და ამით გამოეცხადებინათ ჩვენთვის თანაგრძნობა, მართალი გითხრათ უცნაურ და საკვირველ სანახაობას წარმოადგენდა. ამას შეეძლო შეცდომაში შეეყვანა არა თუ მხოლოდ ისეთი ბავშვები, როგორც ჩვენ ვიყავით, ბევრი ჩვენზე უფროსებიც, როცა ხედავდენ ამოდენა წარჩინებულ პირებს, შემკულთ ჩინ-ორდენებით, რომელნიც ტაშს გვიკრავდენ და ყვავილებს გვესროდენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ მთელი რუსული საზოგადოება ჩვენთან არის და რომ მთავრობის დღეები დათვლილია. არა თუ მანდილოსნები, არამედ ხშირად თითონ ეს წარჩინებული პირებიც მოგვართმევდენ ხოლმე მშვენიერ თაიგულებს, რომლებისთვისაც არც კი ვიცოდით რა გვექნა. ჩვენში ცოტაღა დარჩა ისეთი, რომელსაც არ სჯეროდა, რომ მთელი რუსეთი ჩვენთან არის.

მაგრამ ეს მოჩვენება იყო. მალე ცივი წყალი გადაგვესხა, როცა შევიტყეთ, რომ ღამე დაუჭერიათ ჩვენ მიერ გუშინ არჩეული დეპუტატები და ჩაუსვამთ პეტრე-პავლეს სიმაგრეში. თუ ამ დრომდი ჯერ კიდევ გვერივნენ ისეთი სტუდენტები, რომელნიც დემონსტრაციის წინააღმდეგნი იყვნენ და მეცადინეობის გაგრძელება სურდათ, ამას შემდეგ ისინიც უკიდურესნი გახდენ. არა, შეუძლებელია დამშვიდებული მეცადინეობა მაშინ, როცა თავს გადგას ასეთი საზიზღარი მთავრობა, რომელიც ამგვარ სისაძაგლეს სჩადის! და ან როგორ შეგვეძ ლო ჩვენ შუა გზაზე შეჩერება, როცა ერთის მხრით ჩვენ ვხედავდით ცბიერ მთავრობას, რომელიც მეცნიერების შეცვლას აპირებდა სამხედრო წრთვნით. ხოლო მეორე მხრით კი რუსული საზოგადოება, მისს საუკეთესო მეცნიერთა და მწერალთა სახით,

ტაშს უკრავდა ჩვენს მოძრაობას მთავრობის წინააღმდეგ. ადვილი წარმოსადგენია რა აღტაცებაში იქნებოდენ მთავრობის განკარგულებათა გამო ჩვენი მოძრაობის დამწყები მეთაურები, როცა ხედავდენ, რომ ეს კიდევ უფრო ამხედრებს სტუდენტობას. მარტო ამ დატუსალებამ დეპუტაციისა, რომელიც მზრუნველის წინადადებით იყო არჩეული, უფრო მეტი გავლენა იქონია, ვიდრე ეს შეეძლო მოეხდინა ყველა აგიტატორებისა და პროპაგანდისტების შეერთებულ ძალებს.

ამის შემდეგ დაიწყო და გაიბა ყოველდღიური ყრილობები ცის ქვეშ, ჯერ უნივერსიტეტის ეზოში,—სანამ ისიც არ დაგვიკეტეს,—და შემდეგ კი მდინარის განაპირა ქუჩაზე და მოედანზე უნივერსიტეტის წინ. ვიდრე შეიძლებოდა ეზოთი სარგებლობა, ორატორები ადიოდენ შეშებზე, რომელიც დალაგებული იყო საჯენებად ზამთრისათვის. ხოლო როცა ყრილობები ქუჩაში გადმოვიდა, ორატორები ადიოდენ მდინარის პარაპეტზე, ან და უნივერსიტეტის ბალჩის ღობეზე. და ეს გრძელდებოდა დღითი-დღე. რასაკვირველია, რაც უნდა მჭევრმეტყველი და მოსწრებულები არ ყოფილიყვნენ ჩვენი ორატორები, მაინც მასალა მათი ახალი ამბებისა და მთავრობის მხილებისა თანდათან კლებულობდა. დაიწყო ერთი და იმავის განმეორება, მსმენელების რიცხვი დღითი-დღე კლებულობდა; სამაგიეროდ ამავე პროპორციით იზრდებოდა „თანამგრძნობთა“ რიცხვი, მეტადრე ქალების წრიდან. თითქო განგებ, ამას ამინდიც ხელს უწყობდა. მშვენიერი მშრალი შემოდგომა იყო.

ხელმწიფე ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა, ფოთსა და ქუთაისში; აქ იგი ნადირობდა თავადების ბაღებში, შინაურ ჯეირნებზე. საქართველოში ამ დროს ჯერ კიდევ მზადდებოდა გლეხების განთავისუფლების პროექტები, ამიტომ საჭირო იყო ქართველ თავად-აზნაურობის გულის მოგება და დატკბობა. იგი სტუმრად იყო შამილის დამამარცხებელ ახალგაზრდა ფელდმარშალთან თავად ა. ი. ბარიატინსკისთან. პეტერბურგის მთავრობა, სამხედრო გენერალგუბერნატორი ანენკოვი და ობერ-პოლიცმეისტერი გენერალი პატკული ვერ ბედავდენ უიმისოდ რაიმე სასტიკი ზომების მიღებას, მით უფრო, რომ საქმე ეხებოდა ცალკე უწყებას, სამოსწავლოს, რომელიც მაინ სრულებით არ ექვემდებარებოდა და რისთვისაც არც ჰასუხს აგებდენ. შამილის დამამარცხებელი ახალგაზრდა ფელდმარშალი თავადი ა. ი. ბარიატინსკი წინააღმდეგი იყო სატახტო ქალაქსა და კავკასიას შორის ტელეგრაფის გაყვანისა; მისი აზრით ამას აუცილებლათ თან მოჰყვებოდა კავკასიაში მთავარმართებლო-

ბის გაუქმება, ანა და უკიდურეს შემთხვევაში — მისი დამოუკიდებ-ლობის შემცირება. ამიტომ, სანამ ხელმწიფემდე მიაღწევდა მოხსენება სტუდენტების არეულობის შესახებ სატახტო ქალაქში და შემდეგ მისგან მოვიდოდა მითითებანი, რა ღონე ეხმარათ ჩვენს საწინააღმდეგოთ,—ორ კვირაზე მეტმა დრომ გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვიყავით სატახტო ქალაქში თუ ბატონები არა, ყოველ-შემთხვევაში ნამდვილი გმირები; პოლიციისა და სამოსწავლო მთავრობის სრული უმოქმედობის გამო, ჩვენ ყოველ დღე ვიკრიბებოდით, ვიგებდით ახალ ამბებს, უმთავრესად ღამე დატუსაღებულთა შესახებ,—უზიარებდით ერთმანეთს აღშფოთებას, ვტკბებოდით მაყურებელთა ცქერით, მეტადრე თაიგულებიანი ქალებით, და მხოლოდ სადილობის დროს დავიშლებოდით. ასე გაგრძელდა 25 სექტემბრიდან—13 ოქტომბრამდე. უნდა ვიფიქროთ, რომ როცა ამიერკავკასიაში მივიდა მეფესთან მოხსენება სტუდენტობის არეულობის შესახებ, კავკასიის დამპყრობმა ბარიატინსკიმ, რომელიც პირადი და საყვარელი მეგობარი იყო ალექსანდრე II-სი, ურჩია მეფეს არეულობის დაუყოვნებლივ მოსპობა. იყო ეს მისი რჩევით თუ არა, მხოლოდ ამგვარი ბრძანება მართლაც მიღებულ იქმნა. და ორშაბათს ოქტომბრის 13-ს, როცა ჩვენ ჩვეულებისამებრ შევიკრიბენით უნივერსიტეტის მთავარ შესავალთან, და ყრილობა არც კი დაგვეწყო, უეცრად გამოჩნდა ჯარი და სწრაფად და მოხერხებულად ალყა შემოგვარტყა. ჩვენ შეგვრეკეს უნივერსიტეტის ეზოში, რომელიც ამდენიხანი დაკეტილი იყო ჩვენთვის. აქ დაიწყო გრძელი და მოსაწყენი ამბავი, ჯერ ჩაგვწერეს, შემდეგ გამოგვიძახეს, და ამაზედ სამი საათი მაინც წავიდა, თუ მეტი არა. დაჭერილი ვიყავით ასამდე ყმაწვილკაცობა. მაგრამ სანამ ეს გაჭიანურებული ამბავი დატუსაღებულთა სიის შედგენისა გრძელდებოდა, ცნობა ჩვენი დატუსაღების შესახებ სწრაფად მოსდეს ქალაქს „მაყურებლებმა". როცა კი გამოგვიყვანეს უნივერსიტეტის ეზოდან დასავლეთის კარებით, რომ ტუჩკოვის ხიდით პეტროპავლოვსკის ციხეში წავეყვანეთ, ამ დროს უეცრად იმ ჯარს, რომელიც გარს გვერტყა, თავს დაესხა სტუდენტების დიდი ბრბო, რომელსაც სურდა გაენაწილებია ჩვენი ხვედრი. ყველანი დაიბნენ, არა თუ ჯარისკაცები, მათი უფროსებიც. ეს თავდასხმა ჩვენი განთავისუფლებისათვის რომ ყოფილიყო მოწყობილი, მაშინ, რასაკვირველია არავითარი რყევა არ იქნებოდა და იმ წამსვე იხმარდენ ჩვენზე ხმალსაც და თოფსაც. ეხლა კი იერიში გარედან მოჰქონდათ, და ეს ჩვენი განთავისუფლებისათვის კი არა, არამედ რათა თითონ დატყვევებული ყოფილიყვნენ. ეს უმაგალითო შემთ-

ბევრა იყო: აე ძალაუნებურად დაიბნეოდი. თავდამსხმელი სტუდენ-ტობა სამასზე მეტი იყო. დაიწყო რაღაც ხელჩართული ბრძოლის მაგვარი. გვარდიელები ცდილობდენ დაეშალათ სტუდენტებისათვის მათი რიგების დარღვევა. მაინც ას ორმოცდაათმა ყმაწვილმა მოა-ხერხა რიგის დარღვევა და ჩვენ წრეში შემოიჭრენ, თუმცა ამ დროს ბევრს მათგანს დაუმტვრიეს გვერდები და ერთს კი—თავიც გაუხე-თქეს. სტუდენტთა ბრბოს დანარჩენი ნაწილი გაჰფანტა ცხენოსან ჟანდარმთა ესკადრონის უეცარმა იერიშმა, რომელმაც შუაზე გააპო მათი რიგები. ყოველივე ეს, რამდენიმე წუთის საქმე იყო: სტუდენ-ტების ხელჩართული ბრძოლა წრეში შესასვლელად, ესკადრონის თავდასხმა, ასორმოცდაათი სტუდენტის შემოჭრა ჩვენს წრეში, და დანარჩენი „სოლიდარული“ სტუდენტობის განაპირება მოედნის შო-რე კუთხეში. ამასთან არა მცირედი რიცხვი სტუდენტებისა, ცხენე-ბით გათელილი ან კონდახით ნაცემი, ეყარნენ ქვაფენილზე.

ჩვენი პირველი ალყის შემორტყმა უნივერსიტეტთან დილით ათ საათზე მოხდა. ციხეში მიგვიყვანეს საღამოთი. მაგრამ ციხეშიაც დიდხანს ვიდექით ეზოში იმავე ყარაულით, ვიდრე გაანთავისუფ-ლებდენ ჩვენთვის რამდენიმე კაზემატს: ეს კაზემატები ფანჯრებით ნევაზე გადიოდენ, სასახლის პირდაპირ, ცოტა ჩრდილოეთით იმ ადგილიდგან, საიდანაც ციხის კომენდანტი ზეიმით გადადის ხოლმე ნევას ნოვიგაციის გასახსნელად. სანამ ჩვენ ეზოში ვიდექით გაუპტ-ვახტის წინ, ძველმა სტუდენტებმა შეამჩნიეს მის ფანჯარაში პოეტი მ. ლ. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი რომლის ცნობა ძნელი არ იყო მისი კალმიკური სახის გამო (პოეტის დედა კალმიკების მფლობელი მთავრის ქალი იყო).

ჩვენ ყველამ დაბლა თავი დაუკარით და ისიც დიდხანს გვიქ-ნევდა თავს, თითქო ყველას ცალ-ცალკე. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა პოეტი უკვე გარდაიცვალა კატორღაში, მე სხვადასხვა სარ-წმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ პროკლამაცია „ახალ თაობისადმი“, რომლის გამო იგი დაიღუპა, არ ეკუთვნოდა მას, არამედ შედგენი-ლი იყო და საზღვარზე გამოტარებული ნ. ვ. შ ე ლ გ უ ნ ო ვ ი ს მიერ. პოეტმა მთელი ბრალდება თავის თავზე მიიღო, რომ ამით თავიდან აეშორებინა ჩხრეკა და დაპატიმრება პუბლიცისტის ლ. პ შ ე ლ გ უ-ნ ო ვ ი ს მეუღლისათვის, რომელსაც მძიმე ბრალდება დაედებოდა. ამ ქალისაგან მას ჰყავდა ძეტად სიმპატიური ვაჟიშვილი, რომელიც ადრე დაიღუპა დარდისა და სიღატაკისაგან. სამოციან წლებში ცნო-ბილი პორტრეტი—მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი ც ი ხ ე ში,—დახატული იყო იმ საღამოს ერთი სტუდენტის მიერ ჩვენი ჯგუფიდან.

V

ვიდრე კაზემატებში შეგვიყვანდნენ, ჩვენ ხელახლა დაგვთვალეს სიის მიხედვით, პლაც-ადიუტანტის თანადასწრებით, რომელმაც ხელწერილი მისცა ჩვენ მომყვან ყარაულს პარტიის მიღებაში. სულ აღმოჩნდა 240 კაცი. ეს სწორედ ის სიაა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გამოქვეყნებული იყო „Колокол"-ში. [1]) ჩვენ მოგვათავსეს რვა დაბალ, ბნელ და ნოტიო თაღებიან კაზემატში, რომლებიც ისე დაბლა იყო მოთავსებული, რომ თითქმის მდინარის გასწვრივ მდებარეობდა. კაზემატები შეერთებული იყო ერთი მეორესთან, ასე რომ ეს რვა კაზემატი ერთ დიდ ოთახს წარმოადგენდა; განათებული იყო ოდნავ მბჟუტავი, თაღებში დაკიდებული ფარნებით. არავითარი ავეჯი, არც საწოლი, არც ნაალი და საბანი. ცოტახნის დგომის შემდეგ, ჩვენ დაღლილობისგან ჯერ ჩავსხედით და შემდეგ კი, დავწექით, ცარიელს, მაგრამ საკმარისად სუფთა იატაკზე, ვინც სად იდგა, უჭმელ-უსმელები. მეტად გაუჭირდათ ეს ღამე მათ, ვინც-კი იმ დილას ჩემსავით უჭმელი გამოვიდა, მარტო პიჯაკით. მაინც მგონია, რომ იმ ღამეს, მიუხედავად საშინელი დაღლილობისა, თითქმის ჭრაგის ეძინა.

დილას დაიწყო დანაწილება ცალკე ჯგუფებად, სათვისტომოების მიხედვით. პოლონელები მოეწყვენ ყველაზე უფრო დაშორებულ ოთახში. უკრაინელებმაც მოაწყვეს აგრეთვე ცალკე რადა, და გვარითობდენ თავიანთი მშვენიერი სიმღერით, რომლის პირველს ამბობდა ყირიმელი ხ ა რ ტ ა ხ ა ი. მათ ჯგუფშივე იყვნენ ე ვ ტ უ შ ე ვ ს კ ი, შემდეგ განთქმული პედაგოგი და მათემატიკური სახელმძღვანელოების ავტორი, და გ უ ლ ე ვ ი ჩ ი, ორთავენი დაუღალავი მისტიფიკატორები, რომლებიც წამ და-უწუმ ავრცელებდენ სახუმარო ჭორებს და სიცილით ხოცავდენ ყველას. ქართველები ცოტანი ვიყავით, ამიტომ ცალკე არ გამოვყოფილვართ. ჩვენ, კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს თ ა ნ და აბდუშელთან ერთად, მოვხვდით ჯგუფში, სადაც პირველობდა თავისუფალი მსმენელი ი გ ნ ა ტ ი პ ი ო ტ რ ო ვ ს კ ი. მისკენ მ ე მ ი ზ ი დ ა ვ დ ა ის გარემოება, რომ მას ვიცნობდი როგორც ცოცხალ წერილების ავტორს „Современник"-ში, საერთო სათაურით: „Погоня за лучшим". შემთხვევით მის გვერდში მოეწყო სრულიად საწინააღმდეგო მიმართულების მიმდევარი, სემინარელი ლ ი ნ ე ვ ი, კოსტრომელი, [2]) რომე-

[1]) № 114, 1861 წლის.

[2]) გადაასახლეს სამშობლოში, სადაც გარდაიცვალა 1862 წელს.

ლიც დიდის ხალისით მიხსნიდა ჩვენი ტყვეობის მთელი ხნის განმავლობაში ჰეგელის ფილოსოფიის ტერმინოლოგიას და თავისებურობას. იქვე მახლობლათ იწვნენ სხვა სტუდენტებიც, რომლებსაც ჩვენ დაუახლოვდით ყრილობებისა და მღელვარების ამ კვირეებში: ლევ სადარინი[1]) და როჟდესტვენსკი[2]); ისინიც აგრეთვე გატაცებულნი იყვნენ ლიტერატურით და ჟურნალიზმით. ყველა ესენი ჩემთვის ცოცხალ ენციკლოპედიას წარმოადგენდენ: ისინი მაძლევდენ პასუხს ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც მაშინ მაინტერესებდა. თუმცა მათი ახსნა სხვადასხვა ნაირი იყო და ზოგჯერ ერთი მეორის საწინააღმდეგოც, მაგრამ ესეც მომწონდა, რადგან მაიძულებდა ფხიზლად ვყოფილიყავი და მეც გამენძრია ტვინი.

ჩვენი დატყვევების ცოტა ხნის შემდეგ როჟდესტვენსკიმ დასწერა (ლექსად) „Послание К. М. Л. Михайлову", რომელიც დიდად მოეწონა სტუდენტობას. ეს „წერილი" იწყებოდა შემდეგ ნაირად:

Из стен тюрьмы, из стен неволи,
Мы братски шлем тебе привет.
Да усладит печальной доле
Тебя, любимый наш поэт.
Проклятым гнетом самовластья
Нам не дано тебя обнять,
Чтоб дань любви и дань участья
Тебе, учитель, наш воздать... და სხვა.

სტუდენტები, როცა კითხულობდენ და აქებდენ ამ წერილს, რასაკვირველია, არც კი ფიქრობდენ, რომ იგი მართლაც მიაღწევდა მიხაილოვთან. როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი აღტაცება, როცა რაღდენიმე დღის შემდეგ მიღებულ იქნა პოეტის პასუხი: „სტუდენტებს", რომელმაც ბევრს ცრემლები გვაფრქვევინა. არა მგონია, რომ ვინმე ჩვენგანს სიკვდილამდე დავიწყებოდეს ეს ნაგრძნობი და სისხლით დაწერილი სტრიქონები:

Крепко, дружно вас в об'ятья
Всех бы братья, заключил,
И надежды и проклятья
С вами б вместе разделил.

---

[1]) 1864 წელს სახელმწიფო საბჭომ „დასავლეთ გუბერნიებში მომხდარ აჯანყებებში მონაწილეობის მიღების გაბზრახვისთვის" მას მიუსაჯა უფლებათა ახდა და ჯარის კაცად გაგზავნა დამსახურების უფლებით, რუსეთში დაბრუნდა 1878 წელს, მაგრამ მერე ვეღარსად შევხვდი.

[2]) იგ. ა., ავტორი 1869 წ. გამოცემულ ბროშურისა: „მ. ა. ანტონოვიჩისა და ი. გ. ჟუკოვსკის ლიტერატურული დაცემა", რომლის გულისათვისაც მე მას დავშორდი და შემდეგ აღარ მინახავს.

Но тупая сила злобы
Вон из братского кружка,
Гонит в снежные сугробы
В тьму и холод рудника.
Но и там на зло гоненью
Веру лучшую мою
В молодое поколенье
В сердце свято сохраню.
В безотрадной мгле изгнанья
Твердо буду света ждать,
И душой одно желанье
Как молитву повторять:
Будь борьба успешней ваша,
Встреть в бою победа вас,
И минуй вас эта чаша
Отравляющая нас!

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ლექსი ჩვენზე: ჩვენ გავიზარდენით ჩვენსავე თვალში და კიდევ უფრო გავმტკიცდით ჩვენს გადაწყვეტილებაში გვებრძოლნა სრულ გამარჯვებამდე, რომ ამით გაგვემართლებინა ჩვენი დანაპირი, რომელსაც აძლევდა როჟდესტვენსკი მიხაილოვს თავისი ლექსის ბოლოში: „Вызовем из снежной дали сынов свободы и тебя!“

იმავე როჟდესტვენსკიმ დასწერა ციხეში სხვა ლექსი—მიბაძვა გრაფ ლევ ნიკ. ტოლსტოის ცნობილი „ს ა ლ დ ა თ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ი ს“ ყირიმის დამარცხების გამო:

Как восьмого сентября
Мы за веру и царя
От француз ушли. (bis)

როჟდესტვენსკის სიმღერა, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ტლანქი იყო. ჩემს მეხსიერებაში დარჩა მხოლოდ ორი მისი ტაეპი:

Как однажды, в понедельник,
Всей полиции бездельник
Поткуль, генерал, (bis)
Нам поставя в обвиненье
Своей рожи оскорбленье
В крепость нас сажал (bis). და სხვ.

გამოჩნდნენ მიყვარულნი, რომელნიც ხოროთ მღეროდენ ამ სიმღერას ხმა-მაღლა, მეტადრე მაშინ, როცა პლაც-ადიუტანტი ჩამოივლიდა ხოლმე.

VI

მაინც ამ ობმოკიდებულ კაზემატებში, სადაც წმიდა ანტონის საჭმელით ვიკვებებოდით, კვირაზე მეტი არ დავრჩენილვართ, თორემ უთუოდ დავსნეულდებოდით. შემოდგომის ერთ დილას, ნეგასთან ჩასავალ პატარა კიბეს მოადგა ძველის-ძველი სამხედრო გემი, რომელზედაც დაგვსხეს ყველანი, ისე როგორც ვიყავით. არავის უთქვამს, თუ სად წაგვიყვანდნენ. ყიელას გვეგონა, რომ შლისელბურგში მივყავდით. ქროდა სუსხიანი ცივი ქარი და სცრიდა წვრილი წვიმა ფოთლ-ნარევი. ნეგა აზვირთებული იყო. მე მარტო პიჯაკი ბეცვა, ვკანკალებდი, როგორც ვერხვის ფოთოლი — კბილი კბილს აღარ ხვდებოდა. აქამდის ვერ გამიგია, როგორ გადავრჩი მაშინ გაციებას. ჩვენ მივცურავდით ასეთ მდგომარეობაში მთელი ოთხი საათი, თუ მეტი არა: გემი ძველი იყო და უძლური; რის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ კრონშტადტს. მაგრამ აქ ჩვენ ისეთი შეხვედრა მოგველოდა, რომ ერთ წამში დაგვიყუჩა ყველა ჩვენი წყენა და გაჭირვება. როცა ჩამოგვსხეს გემიდან და კონვოიმ ციხისკენ წაგვიყვანა, ოღონდ გამოპრანჭულმა გვარდიელებმა კი არა, არამედ გარნიზონის საცოდავმა ჯარისკაცებმა — რომლებიც ჯერ კიდევ ნიკოლოზ I-ის დროის ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი, — მოულოდნელი სანახაობა წარმოგვიდგა; წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება და აღტაცება, როცა ციხის კარებთან დაგვიხვდა ქალების გრძელი რიგი, ორივე მხრით გაბმული; მიუხედავათ საშინელი დარისა, ისინი უღმერთოდ მორთულიყვენ; და ვიდრე ამ მომხიბლავ წრეს გაგვატარებდენ, ჩვენსკენ მოდიოდა ყვავილების თოვლი, თუმცა ეს ყვავილები ჯარისკაცებს უფრო ხვდებოდა, ვიდრე ჩვენ. ან კი საიდან იშოვეს ამ დროს იმდენი ყვავილები, საოცარია. ოვაცია პირდაპირ გულის ამაჩუყებელი გამოვიდა. რასაკვირველია, ამის შემდეგ წამების ჯვარი უკვე აღარ გვამძიმებდა, არამედ გვართობდა კიდეც. ვაი, რომ ჩვენს მემკვიდრეებს „მოძრაობის“ საქმეში, აღარ ხვდებოდენ ასეთის პატივით. მათთვის ტუსაღობა აღარ იყო დღესასწაული.

ჩვენ მიგვიყვანეს ყაზარმებში, რომელიც ფანჯრებით ფინეთის ზღვის ყურეს დასცქეროდა, ორანიენბაუმისკენ. ეს ყაზარმა ჰოსპიტალისათვის იყო დანიშნული, მაგრამ სრულებით ახალი იყო, და როგორც ეტყობოდა, ჯერ უხმარებელი. აქ ყოველს ჩვენგანს ერგო საწოლი, ახალთ-ახალი ორმაგი ნაალით და სუფთა ნარმის საცვლებით. ორ-ორ ადამიანზე მოდიოდა ერთი პატარა მაგიდა. ფანჯრები უშველებლები იყო, რასაკვირველია ორმაგი, ახლად გარეცხილები.

ქრონშტადტის ციხეში დაპატიმრებულ სტუდენტთა ჯგუფი

(გადაღებულია 1861 წლის ბოლოს)

მარცხნიდან მარჯვნით პირველ რიგში სხედან: კოვალენსკი, ევტუშევსკი, ისარლიევილი და გულევიჩი.

მეორე რიგში სხედან: ნ. ნიკოლაძე, ალხაზიშვილი, ბეს. ღოღობერიძე და გ. წერეთელი.

მესამე რიგში დგანან: ჯარისკაცები, ოფიცერი და სტუდენტები: ა. ჩოლოყაშვილი, პიოტროვსკი, ფატუროვსკი, დავ. ღოღობერიძე, დუკლოვსკი და კირ. ლორთქიფანიძე.

ოთახები სინათლით იყო სავსე და ჩვენ მაშინვე ვიგრძენით სითბო. მაღალი კედლები ცისფერი საღებავით იყო შეღებილი, ხოლო კარები და ფანჯრები-კი თოვლის მსგავსი თეთრი ფერით. საზოგადოთ აქ ყველაფერმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ციხის შემდეგ, თითქოს მშვენიერ სასახლეში დაგვასახლეს. ეს პირველი დღე იყო დაპატიმრების შემდეგ, როცა თავისუფლად ამოვისუნთქეთ: გემრიელად და ბლომად გვაჭამეს, და შემდეგ კი რჯულზე გამოვიძინეთ.

ორმა თვემ, ამ კაზარმაში გატარებულმა, ისეთი მოგონება დატოვა ჩემში, თითქოს იგი იყოს უბედნიერესი დღეები ჩემი ცხოვრებისა. საკვირველია, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფს, არც ერთხელაც არ შეუწუხებივარ ფიქრებს არც ჩემი ბედის შესახებ, არც მშობლებზე, და საზოგადოდ არაფერს ამ ქვეყნიურზე. ჩემი საწოლი იდგა კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს და ლ ი ნ ე ვ ი ს შუა. იქვე ახლოს იდგა ი გ ნ ა ტ ი პ ი ო ტ რ ო ვ ს კ ი ს საწოლი, და ყველაზე ხშირად მე მას ვებაასებოდი; მან მომაჯადოვა იმით რომ, ჩემს უწესრიგო და გაურჩეველ ნაკითხობაში შეიტანა ერთგვარი წესი და მისცა ის ჩონჩხი და გაშუქება, რომელიც მე სწორედ მეჩვენებოდა.

იგი მეუბნებოდა, რომ დადგა ბრძოლის ხანა, ეხლა უკვე აღარ რჩება დრო ხანგრძლივი სწავლისათვის, და არც არის საჭირო ჩააკვდე მეცნიერების წვრილმანებს, ვიწრო ლაბორატორიულ მუშაობას. უნდა ჰაერში იშერდე „დასკვნებს“, რომელიც გამოჰყავთ მეცნიერებს სხვა უფრო ვიწრო ხასიათის მეცნიერული ნაშრომებიდან. ჩვენ ხომ პროფესორებათ არ ვემზადებით, არამედ „მოქალაქეებად“, და ჩვენთვის სრულებით საკმარისია დასკვნები, ჩვენთვის ზედმეტია თითონ სამზარეულო, სადაც მეცნიერება მზადდება. დასკვნები კი მზადა აქვთ ისეთ მწერლებს, როგორიცაა ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი და დ ო ბ რ ო ლ ი უ ბ ო ვ ი; ისინი სწორედ იმას ემსახურებიან, რომ აღჭურვონ ახალი თაობა თანამედროვე ცოდნის ყველა დებულებით, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევით,—და განსაკუთრებით კი იმ მეცნიერებით, რომელიც, როგორც თავისუფლების მქადაგებელი, არ შედის სახაზინო სასწავლებელთა კედლებში. როცა პიოტროვსკიმ დაინახა, რომ მე ვკითხულობდი ბელინსკის თხზულებათა მერვე ტომს (პუშკინზე), მან ამიხსნა, რომ არა ღირს „წვრილმანების“ შესწავლა. ყველაფერი, რისიც ცოდნა საჭიროა ამ საგნების შესახებ, მშვენივრად არის გადმოცემული და განმარტებული ჩერნიშევსკის ნარკვევებში „Гоголевский период русской литературы“. ეს წერილები უნდა წაიკითხოს ყოველმა განათლებულმა კაცმა. ხოლო თანამედროვე ისტორიის შესახებ, რომელიც უნივერსიტეტებში

სრულებითაც არ კითხულობენ,—უნდა გაეცნო მისსავე წერილებს: „პარტიათა ბრძოლა საფრანგეთში“, „კავენიაკი“, „პროცესი მენილმონტანელი ოჯახისა“ (ე. ი. სენ-სიმონისტებისა) და სხვა, განსაკუთრებით კი მისივე ხელ-მოუწერელი წერილები „Современник“-ის ყოველ ნომერში, „პოლიტიკის“ სათაურით. წერილი „პროცესი ნენილმონტანელი ოჯახისა“,—მით არის კიდევ საყურადღებო, რომ იგი, ისე, როგორც დობროლიუბოვის ნეკროლოგი რობერტ ოუენზე, გვაცნობს თანამედროვე სოციალიზმის დებულებებს, თუმცა მასზე ლაპარაკი და მისი ხსენებაც-კი სასტიკად აკრძალულია პრესაში.—ბევრი ამ წერილთაგანი მე უკვე წაკითხული მქონდა, მაგრამ პიოტროვსკის კომენტარიებმა მათ სულ სხვა, უფრო ღრმა მნიშვნელობა მისცეს. პიოტროვსკი კომენტარიებზე გულუხვი იყო, შეც გულმოდგინეთ ვუსმენდი მას.

ამ დროს, ყაზარმაში, რომელსაც კიბე ორ განყოფილებად ანაწილებდა, ჩვენ 240 ტუსაღმა, დავაარსეთ ჩვენი რესპუბლიკა, არჩეული მთავრობით; მთავრობას ყოველ კვირა უნდა ჩაებარებია ანგარიში ჩვენი საერთო ყრილობისთვის, რომელიც იკრიბებოდა ცალკე პალატაში; ჩვენ ცარიელად გვქონდა დატოვებული ერთი ოთახი—„საზოგადო ზალა“ როგორც ასეთი ყრილობისათვის, ისე კონცერტებისათვის, სალიტერატურო-სადეკლამაციო საღამოებისათვის, სანიმუშო სასამართლოებისათვის და სხვა... კრონშტადტის მანდილოსნებმა დიდის სიამოვნებით გვათხოვეს ორი ფორტეპიანო და მუსიკის მოყვარულნი უკრავდენ მასზე მორიგეობით. ფორტეპიანოები, ჩვეულებრივ, ყაზარმის განყოფილებებში იდგა, მაგრამ კონცერტების დროს ისინი საზოგადო „ზალაში“ გადაგვქონდა, სადაც წესისამებრ გამართული იყო ჩვენი დუქანი პაპიროსებით, ტკბილეულებით და სხვა ასეთებით; მას ცალკე არჩეული კომიტეტი განაგებდა. ჩვენ დავბინავდით დიდი ხნის ვარაუდით. ხაზინის ხარჯზე საკმაოდ კარგი საზრდო გვქონდა, დილით და საღამოთი გვაძლევდენ ჩაის თუნუქის კრუჭკებით, და შუადღისას—სადილს, ორ თავს. კვირაობითკი კრონშტადტის მანდილოსნები რეგულიარულად გვიგზავნიდენ მშვენიერ სადილს შესანიშნავი დესერტის დართვით. გარნიზონის მთავრობა, რომელსაც ჩვენ ვებარეთ, არამც თუ წინაალმდეგი არ იყო საზოგადოების ამგვარ თანაგრძნობისა, არამედ თვითონაც, თუმც ეს უცნაურად გვეჩვენება ეხლა, მონაწილეობას იღებდა ჩვენს საღამოებში. ყველას ვვეცვა ერთნაირი საავადმყოფოს ხალათები, ნაცრისფერი, სალდათური მაუდისა, ნარმის სალდათურივე საცვლები და უქუსლო ჩუსტები. ამგვარ „საპატიმრო“ ტანისამოსში ჩვენ ძა-

ლიან გვიყვარდა ხოლმე სურათის გადაღება, ჯგუფებად, გაუპტვახტის ბაქანზე, ჩვენი ყაზარმის წინ, უკანმდგომი გარნიზონის ჯარის-კაცებით, და გვერდზე კი—ოფიცრებით. ამის ნებართვას სიამოვნებით გვაძლევდენ, და ამ გვარ ფოტოგრაფიებს ჩვენ დიდხანს ვინახავდით, როგორც წმინდათა წმინდას იმ ამხანაგთა მოსაგონრად, რომელიც ამის შემდეგ მალე დაიღუპენ. ჩვენს სალიტერატურო საღამოებსა და კონცერტებზე ესწრებოდა არა მარტო ჩვენი გარნიზონის ოფიცრობა, არამედ კრონშტადტის უმაღლესი მთავრობაც, რომელთა ყოფნა სრულებითაც არ უშლიდა ჩვენ მსახიობებს ემღერათ ხოროთი და სოლოთ აკრძალული სიმღერები, რაც ჩვენს დაუცხრომელ ტაშისცემას იწვევდა. მათ შორის, ყოველთვის ყველაზე მეტი ტაში ერგებოდა ხოლმე ოგარევის ლექსს „თავისუფლება“. მეტადრე ამ ხანას:

Но если б грозила беда иль невзгода,
И рук для борьбы захотела свобода,
Сейчас полечу на защиту народа.
И если паду я средь битвы суровой,
Скажу, умирая, могучее слово:
Свобода! Свобода!

კრონშტადტის ადმირალები უსმენდენ ამას არა ნაკლების სიამოვნებით ვიდრე ჩვენ. და ეს სრულებითაც არ გვაკვირვებდა. ჩვენ გვეგონა მეზღვაურნი იმიტომ იყვნენ რადიკალები, რომ დიდხნობით რჩებოდენ ხოლმე უცხოეთის ნავთსადგურებში, სადაც ითვისებდენ თავისუფლების სიყვარულს, ევროპიულ ჩვეულებათა და წესწყობილების ზეგავლენით. მაგრამ სალიტერატურო საღამოებზე უფრო მეტად გვიტაცებდა „საჯარო სასამართლო“, „ნაფიცთა სასამართლო“, რომელსაც დროგამოშვებით მოვაწყობდით ხოლმე ყველა თავისი ატრი-ბუტებით,—ბრალმდებელით, დამცველებით, მოსამართლეებით, ბოქაულებით და სხვა. ყველა დიდის ენტუზიაზმით ვესწრებოდით ამას ჩვენც—სტუდენტობა, გარნიზონის ოფიცრობა და კრონშტადტის მთავრობაც. იმ დროს სასამართლო რუსეთში სინონიმი იყო მექრთამეობისა და ყოველგვარი გაიძვერობისა. ჩვენზე—მეტად ძლიერი და წაუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა უნივერსიტეტში ორი-სამი კვირის განმავლობაში მოსმენილმა ლექციებმა: სპასოვიჩისა—სისხლის სამართალზე და უტინისა—სამართალის წარმოებაზე; ისინი ადარებდენ რუსეთის კანონმდებლობას ევროპიული სამართლის პრაქტიკასთან, მეტადრე ინგლისის სამართალთან, და ამით „სამართლის რეფორმის“ იდეა მათი წყალობით შევიდა ახალი თაობის მიერ დასახული ათი მცნების რიცხვში. სასამართლოს მსვლე-

ლობის სანიმუშო წარმოდგენებს, რომელიც იმართებოდა უნივერსიტეტში და ჩვენს ყაზარმაში დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა დამსწრე საზოგადოებისათვის. ამ გვარი პროცესები იმართებოდა ჩვენთან თითქმის ყოველ კვირა იურიდიული ფაკულტეტის უფროს კურსის სტუდენტების ხელმძღვანელობით და ინგლისური სასამართლოს ყველა წესრიგის დაცვით, ზოგჯერ ჩვენ შორის მომხდარი რაიმე საქმის გამო, მეტ ნაწილად კი მოგონილი ბოროტმოქმედების განსახილველად. ზოგი სახელდახელოდ გამოცხობილი პროკურორების და ვექილების ენამჭევრობა პირდაპირ გასაოცარი იყო. იმ პირთათვის, რომელნიც, როგორც მე, ესწრებოდნენ ამგვარ სანიმუშო სასამართლოს, აღარ იყო მოულოდნელი, როცა ხუთი წლის შემდეგ 1866 წლის შემოდგომაზე გაიხსნა ახალი სასამართლოები (1864 წლის 24 ნოემბრის წესდების თანახმად) და უეცრად გამოჩნდა მთელი პლეადა პირველ ხარისხოვან სასამართლოს მოლვაწეების და ორატორებისა. აქ არაფერი იყო გასაოცარი, ისინი აღზარდა ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერებამ, მისი სტუდენტური ამხანაგური სასამართლოს პრაქტიკით, რომელსაც ტყუილად კი არა სთვლიდენ მაშინდელი რუსეთის მმართველები „უკულმართ აზრების პროპაგანდათ“.

მაგრამ ამ ენტუზიასტურ სულიერ განწყობილების დროს ჩვენც გვქონდა ხოლმე დღეები მწუხარებისა და გულისწუხილისა: მთელ სტუდენტობას თავზარი დასცა ნოემბრის შუა რიცხვებში მოსულმა ცნობამ დობროლიუბოვის სიკვდილის შესახებ. მარტო პიოტროვსკის არ დაუღვრია ცხარე ცრემლი ამ ამბის გაგებაზე. განსვენებულს მე უკვე ვიცნობდი მისი წერილებით. მაგრამ მე ის მაკვირვებდა, რომ ჩემს გარშემო მყოფი სტუდენტობა აფასებდა დობროლიუბოვის სულ სხვა წერილებს, და არა იმ წერილებს, რომლებიც მე ყველაზე მეტად მაღელვებდა. ჩემზე და ზოგ ჩემ ტოლებზე დიდი და ხანგრძლივი გავლენა მოახდინა 1860 წლის ბოლოში დაბეჭდილმა წერილმა ნეაპოლიტანურ სამეფოს დაცხობის შესახებ. იგი ჯერ მხატვრულად ასწერდა მეფის ტახტის ურყეველ სიმაგრეს, რომელიც დამყარებული იყო ხალხის უმეცრებაზე, და შემდეგ—თუ როგორ დაეცა იგი თავბრუდამსხმელი სისწრაფით გარიბალდის ერთი ხელის აქნევით. ამ საოცარი მოვლენისაგან მიღებული შთაბეჭდილების ქვეშ, დობროლიუბოვის წერილი ჩვენ ისე გავიგეთ, რომ ასევე ადვილია რუსეთის ტახტის აფეთქება. ამნაირათვე გესლით სავსე ლექსები იაკობ ხამისა, ვითომდა თარგმნილი დობროლიუბოვის მიერ ხან „ავსტრიულიდან“ ხან „ნეაპოლიტანურიდან“, ჩვენ ისე გვესმოდა,—

—როგორც თავაშვებული დაცინვა ჩვენი საკუთარი წესებისა და მთავრობის შეხედულებათა. ხოლო საკუთრივ კრიტიკული წერილები განსვენებული მწერლისა, უნდა გამოვტყდე, ნაკლებ მაღელვებდა, და მგონი რომ პიოტროვსკისაც, როგორც შევამჩნიე.

პიოტროვსკი მეტად ნერკიული და გრძნობიერი ყმაწვილი კაცი იყო. ალბათ მისი ასეთი გადაჭარბებული ნერვიულობით უნდა აიხსნას მისი თავისმკვლელობა საპყრობილედან გამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ, სულ უბრალო უსიამოვნების გამო ნ. ა. ნეკრასოვთან, რაც ასწერა ა. ი. პანაევა-გოლოვაჩოვამ თავის მემუარებში. დობროლიუბოვის სიკვდილმა ის დიდ მწუხარებაში ჩააგდო. ლინევი, რომელიც ძალიან დაუახლოვდა მას, ნუგეშის საცემად ეუბნებოდა, რომ „ს ო ვ.რ ე მ ე ნ ნ ი კ ი“ მდიდარია ნიჭიერი ხალხით: ერთი ჩერნიშევსკი რათა ღირს. მაგრამ არც ეს ანუგეშებდა დაღონებულ ყმაწვილს.

—ჩერნიშევსკი მეტად ფრთხილია. დობროლიუბოვის მაგიერობას ის ვერ გასწევს, მეტადრე ეხლა, როცა გამბედაობა ყველაზე მეტად არის საჭირო. ის ერთხელაც არ მოვიდა ჩვენ ყრილობაზე, თუმცა ძალიან დაინტერესებული იყო და ყველას ეკითხებოდა ჩვენს ამბავს. დობროლიუბოვი კი, კარგათ რომ ყოფილიყო, არამც თუ მოვიდოდა, არამედ, ვინ იცის, თუ სად წაგვიყვანდა.

მიუხედავად ამისა, იგი ყველა იმ დროინდელი მწერლებიდან არავის არ სცემდა თაყვანს ისე, როგორც ჩერნიშევსკის; ლინევს, რომელიც მიჰდევარი იყო კ ო ს ი ც ა ს ი (სტრახოვისა) და ძმების დ ო ს ტ ო ე ვ ს კ ე ბ ი ს ჟურნალის „Время“-სი, პიოტროვსკი დიდ-ხანს ეკამათებოდა ჩერნიშევსკის წერილის გამო, რომელიც მიმართული იყო გერცენის წინააღმდეგ, და ეხებოდა საკითხს, რომელიც ასე ძვირფასი იყო ნეო-სლავიანოფილი ლინევისათვის, სახელდობ: მოიტანს თუ არა სლავიანობა ახალ სისხლსა და ცხოვრების ახალ ფორმებს დამპალ დასავლეთის გასაახლებლად. კიდევ უფრო მეტი კამათი გამოიწვია ახლად მიღებულმა და საჯაროდ წაკითხულმა ჩერნიშევსკის ახალმა წერილმა—„ეროვნული უტაქტობა“,—რომელიც ამხელდა და ანადგურებდა აქსაკოვის კვირეულ ჟურნალს „День“. იგი, წინააღმდეგ სლავიანოფილებისა, იცავდა პოლონელების მისწრაფებას, რამაც ენტუზიაზმი გამოიწვია პოლონელთა წრეში, და აგრეთვე სხვა წრეებშიდაც.

ამავე ხანებში, ნოემბრის შუა რიცხვებში, როგორც იქნა გვეღირსა და პეტერბურგიდან ჩამოვიდა უმაღლესი მთავრობისაგან დამტკიცებული კომისია სტუდენტების არეულობის გამოსაძიებლად და გასასამართლებლად. თავმჯდომარედ დანიშნული იყო პროფესორი საპოლიციო უფლებისა ი. ე. ა ნ დ რ ე ე ვ ს კ ი.

მისი საგანი მთავარი იყო იურიდიული ფაკულტეტის ჩემს განყოფილებაში, და მახსოვს ამიტომ წაველი მომესმინა მისი შესავალი ლექცია, რომელიც მან სიტყვა-სიტყვით ასე დაიწყო: „ის ნაწილი ფილოსოფიური მეცნიერებისა, რომელსაც საპოლიციო უფლება ეწოდება, მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო“... თუმცა მის აუდიტორიაში არც ერთი ქალი არ იყო. დაუმატეთ ამას ფლიდი გამომეტყველება მისი სახისა, შემპარავი ტონი და თქვენ მიხვდებით, თუ რისთვის ავიძულიეთ იგი, სრულიად დამოუკიდებლად იმ უსიმპატიო სახელისა, რომელსაც მისი საგანი ატარებდა, ჩვენ სრულებითაც არ გაგვიკვირდა, რომ იგი დაენიშნათ ჩვენი სასამართლოს თავმჯდომარედ.

კომისიამ მარტო ის-ღა გააკეთა, რომ დაგვირიგა დაბეჭდილი დასაკითხავი ფურცლები, ურიცხვი კითხვებით, სადაც საკუთარი ხელით უნდა ჩაგვეწერა დაწვრილებით საპასუხო ცნობები. მათ შორის იყო ისეთი უცნაური კითხვები, როგორც მაგალითად: ვემუქრებოდით თუ არა ჩვენ დამატყვევებელ ოფიცრებს, რომ მათი სახელები ზიზღით იქნებოდა მოხსენებული „Колокол“-ში. უფროსი სტუდენტები, იურისტებიდან, შინჯავდენ ჩვენ ფურცლებს, რომ არ გაგვერთულებია ჩვენი მდგომარეობა მოუფიქრებელი პასუხებით. მეორე დღეს ჩვენი პასუხები, აღბეჭდილი ჩვენი ხელმოწერით, ჩამოგვართვეს და წაიღეს პეტერბურგში.

გაიარა კიდევ ორმა-სამმა კვირამ. არამც-თუ ნევა, უკვე მთელი ზღვაც დაიფარა სქელი ყინულით. ჩვენთან, ყინულის გზით, დაიწყეს სიარული ნაცნობებმა და ამხანაგებმა; მათ დაუბრკოლებლად უშვებდენ ჩვენ სანახავად. არა ერთხელ ჩვენც-კი გაგვიშვეს მარხილით სასეირნოდ ყინულზე და ქალაქში. ამხანაგებმა მოგვიტანეს სასიხარულო ამბები,—ჩვენმა „დემონსტრაციამ“ უკვე ნაყოფი გამოიღო. ხელმწიფემ, პეტერბურგში დაბრუნებისთანავე, განდევნა არა მარტო ობერ-პოლიცმეისტერი გენერალ-გუბერნატორთან ერთად, არამედ მზრუნველი ფილიპსონი და მინისტრი პუტიატინი, და მათთან ერთად ზოგიერთი სხვა მინისტრებიც, როგორც მაგალითად შინაგან საქმეთა მინისტრი. ნაცვლად მოხუცი, გადაყრუებული მინისტრეპისა, მან დანიშნა ახალგაზრდები და ლიბერალები, დიდი მთავრების კოსტანტინე ნიკოლოზის-ძის და ელენე პავლეს ასულის რჩევით, გვისახელებდენ ახალ მინისტრებსაც: ა. ვ. გოლოვნინი—განათლების მინისტრი და პ. ა. ვალუევი—მინისტრი შინაგან საქმეთა. კიდევ უფრო ადრე, ნაცვლად ძალზედაბერებული სამხედრო მინისტრის სუხოზანეტისა, დანიშნული იქნა დ. ა. მილიუტინი, კავკასიის არმიის შტაბის უფ-

როსად ნამყოფი ბარიატინსკისთან. ეხლა-კი უთუოდ ახალი ქარი დაჰბერავს. სალდათური სულის ჭაჭანებაც-კი არ იქნება უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის ახალ წესდებასთან ერთად მოისპობა მატრიკულები და ყველაფერი მშვენივრად წავა.... ურა!...

ასე დადგა დეკემბერი. ექვსს, დილით, უეცრად მოგვცეს წინადადება, გაგვეხადა და ჩაგვებარებინა სახაზინო ტანისამოსი და ჩვენი საკუთარი ჩაგვეცვა. ყაზარმის კარებთან გვიცდიდა ასამდე მარხილი სამ-სამი ცხენით შებმული. მათ სწრაფად გაგვაქროლეს გაყინულ ზღვაზე და ჩაგვიყვანეს პეტერგოფში, სადაც სპეციალური მატარებელი გვიცდიდა, და სწრაფადვე პეტერბურგში გავჩნდით. აქ, პეტერგოფის (ეხლა ბილტიის) სადგურზე გამოგვიცხადეს, რომ თავისუფალნი ვართ და შეგვიძლია წავიდეთ საითაც გვინდა, ოღონდ საკუთარი ხარჯით. აქვე მოგვცეს წინადადება, რომ საცხოვრებელი მოწმობის მისაღებად გამოვცხადებულიყავით არა წინანდებურად უნივერსიტეტში, არამედ ობერ-პოლიცმეისტერის კანცელარიაში, ზღვის დიდ ქუჩაზე-№ 20.

იქ მალე გავიგეთ, რომ საგანგებო კომისიის დადგენილებით, რაც უმაღლეს მთავრობასაც დაემტკიცებინა, ჩვენ ყველანი დამნაშავედ ვართ გამოცხადებულნი, და გაყოფილი ოთხ კათეგორიად. პირველ კათეგორიაში მოხვედრილი, არეულობის ხელმძღვანელებად ცნობილი შვიდი პირი, იგზავნებოდენ შორეულ გუბერნიებში. დანარჩენები, რომლებიც მეორე კათეგორიაში მოხვდნენ,—ასე თები იყვნენ უმთავრესად მეოთხე კურსის სტუდენტები,—ირიცხებოდენ უნივერსიტეტიდან ეგრეთ-წოდებულ „მგლის პასპორტით“, ე. ი. მათ უფლება ესპობოდათ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისა. მესამე კათეგორიას შეეძლოთ შესულიყვნენ იმავე კურსზე პროვინციულ უნივერსიტეტებში, მეოთხე კათეგორია, რომელშიდაც მოვხვდით ჩვენ, „ძუძუმწოვრები“, მშობლების თავდებობის ქვეშ გაგვიშვეს; ვისაც მშობლები არ გვყავდა,—მას პოლიცია აგზავნიდა სამშობლოში.

ყველანი გააოცა იმ ამბავმა, რომ უმთავრეს „მეამბოხეებად„ ჩაეთვალათ არა უტინი, ნეკლიუდოვი და სხვა ორატორები ჩვენი მიტინგებისა, არამედ თითქმის ყველასათვის უცნობი, უმაღლესი კურსების სტუდენტები: გენი, გერიკე, პოკროვსკი, სფრენკელი და მიხაელისი, რასაკვირველია ისინიც არ იყვნენ უმანკო აბრამის ბატკნები, მაგრამ ყველას გვაოცებდა თუ რითი იყო გამოწვეული, რომ მხოლოდ მათ დაატყდათ სასჯელის მთელი სიმძიმე. ეს საკითხი ბურუსით დაფარული დარჩა, ან როგორც ნათქვამია მაშინდელი სასჯელით ხარისხის ერთ შუქლში—„დიდი ეჭვის ქვეშ“.

ი, აქ კი შევწუხდი; დამაფიქრა ჩემმა ბედმა. მე უნდა წარმედგინა მშობლების ხელწერილი, რომ ამის შემდეგ არასდროს არ მივიღებდი მონაწილეობას რაიმე არეულობაში. წინაალმდეგ შემთხვევაში მე მელოდა სამშობლოში გადასახლება, რაც ჩემთვის მაშინ უფრო საშინელი იყო, ვიდრე კატორღაში გაგზავნა.

VII

იმ ხანად პეტერბურგში ჩამოვიდა „Колокол"-ის ნომერი წერილით „Исполин просыпается" (ბუმბერაზი იღვიძებს), და 13 ოქტომბერს დაჭერილი სტუდენტების სია.

ჩვენ ცას ვეწიეთ სიხარულისაგან: წარმოიდგინეთ, ეს ხომ ჩვენი სახით იღვიძებდა პირველად ბუმბერაზი რუსეთი. ჩვენი მღელვარება აქ აწერილი იყო, როგორც ახალი ხანის დასაწყისი რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში... ან და როგორ არ ავვსილიყავი სიამაყით და არ მოჭესურვა მონაწილეობის მიღება შემდეგს გმირულ ბრძოლებში. ასეთი პერსპექტივების შემდეგ, როგორ გადავსულიყავ იმის ფიქრზე, რომ მე, სამშობლოში დაბრუნებულს, მთელი სიცოცხლე მელოდა ოგურებისა და ფიცრების ანგარიშის წარმოება სანაპირო სადარაჯოებისათვის.

და სწორედ ამავე დროს დაიწყო ახალი პროკლამაციების გამოსვლა, თუმცა უფრო პატარა ფორმატით, და უფრო თავდაჭერილი შინაარსით;—ეს, უკვე ეტყობოდა, შინაური წარმოებისა იყო, დაბეჭდილი საბაზრო გამოცემების რუხ ქაღალდზე, ცუდი შრიფტით. ეს იყო სამი ნომერი „Великоросс-ის", რომელიც მოითხოვდა მხოლოდ წარმომადგენლობითს მმართველობას, რაღაც „ზემსკი სობორის" მაგვარს. ყოველივე ამან, და ამით გამოწვეულმა მღელვარებამ და კამათმა, მაიძულა მეძებნა რაიმე საშუალება, რომ პეტერბურგში დავრჩენილიყავ და თავიდან ამეცილებინა სამშობლოში გამგზავრება. ან კი როგორ წავსულიყავ, როცა უჩემოდ შესაძლოა რევოლიუცია მომხდარიყო?! გადავწყვიტე რისკი გამეწია, ამოვწერილიყავი წიგნებიდან, როგორც სამშობლოში გაბრუნებული, და ნამდვილად კი გადავსულიყავ ქალაქის ისეთ რაიონში, სადაც პოლიცია არც ისე იწუხებდა თავს, იქ მცხოვრები ჩინოვნიკებისა და სამხედრო ელემენტის დიდი რიცხვის გამო. ამისათვის საკმარისი იყო გადავსულიყავ ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ თ ა ნ, იმ დროს უკვე ცნობილ პოეტთან. ის ცხოვრობდა „ზახარიევის" ქუჩაზე, ახლო თავის ძმასთან, რომელიც ხელმწიფის „კონვოიში" მსახურობდა. მის მოხუც დიასახლისს იგი შვილივით უყვარდა და დათანხმდა არ გავეწერე სახლის წიგნში, ვიდრე „და-

მღუპველი კავკასიიდან“ არ მივიღებდი ახალ პასპორტს, ვითომ დაკარგულის ნაცვლად. ნამდვილად კი, ჩემი უნივერსიტეტის საცხოვრებელი მოწმობა იმ დროს ჩამომართვეს,—როცა პოლიციამ ღია ბარათი მომცა სამშობლოში წასასვლელად, რათა იქ მისვლისთანავე გამოვცხადებოდი ადგილობრივ მთავრობას. გავიხადე ჩემი პიჯაკი, ჩავიცვი ჩოხა, და თუ „კონვოელს“ არ ვგავდი, ყოველ შემთხვევაში მის მსახურს მაინც მოგაგონებდით. იშვიათად გამოვდიოდი გარეთ, რომ „დვორნიკს“ თვალში არ ჩავვარდნოდი. იმ უბნებში, სადაც სტუდენტობა მრავლად იყო, სრულებითაც არ დავდიოდი. სახლში გართული ვიყავი „Современник“-ის ძველი ნომრების შესწავლით, და ახალ ნომრებს ხომ გატაცებით ვეწაფებოდი.

წიგნების კითხვისაგან ცოტა ხანს ჩამომაშორა ჩემმა ჩოხამ, რომელიც ეხლახან ვახსენე. შობის დღესასწაულების წინ ჩემთან მოვიდა ორი ახალგაზრდა და მომხიბლველი მანდილოსანი; ერთმა მათგანმა, უფროსმა, მითხრა, რომ ის არის ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს მეუღლე, და მთხოვა მეთხოვებინა მისთვის სამასკარადოთ ჩემი ჩერქეზული კოსტუმი. ამ ქალის შესახებ მე ბევრი რამ მსმენოდა ამხანაგებისაგან, რომელნიც გაეცნენ მას ჩვენი პატიმრობის დროს და ხშირი სტუმრებიც იყვნენ მის ოჯახში.

თავისთავად იგულისხმება, რომ მე მაშინვე შევასრულე მისი თხოვნა. მას თან ახლდა უმცროსი და. ორივენი შავთვალები და შავგვრემანები იყვნენ; უფროსი ქართველ ქალსაც კი წააგავდა და გაცილებით უფრო მკვირცხლი იყო, ვიდრე უმცროსი. მას ო ლ გ ა ს ო კ რ ა ტ ო ვ ნ ა ს ეძახდენ.—როდესაც მიდიოდა, ბრძანების კილოთი დამავალა—ხვალვე მივსულიყავი მასთან კოსტუმისათვის და ჩაიზე „მე თქვენ გაგაცნობთ ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს“. მე არ მჯეროდა ჩემი ბედნიერება, სიხარულისაგან კინაღამ გონება დავკარგე.

როგორც იყო, წუთებისა და საათების თვლით, ველირსე შემდეგ საღამოს. ისინი სცხოვრობდნენ ვლადიმერის ქუჩაზე, სობოროს გვერდით. სტუმრები უკვე სასადილო დარბაზში უსხდნენ ჩაის. დიასახლისი ასხავდა ჩაის, მხოლოდ თვით ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი კი ოთახში არ იყო—ოლგა სოკრატოვნამ მითხრა, რომ ის მალე მოვაო. მაგიდის გარშემო ი ს ხ დ ე ნ თ ო რ მ ე ტ ა მ დ ე ს ტ უ მ რ ე ბ ი, მათ შორის მხოლოთ ორი ქალი იყო, ჩემი ნაცნობები. სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმაღლესი კურსებიდან, ახოვანი ლამაზი ყმაწვილები, მშვენიერ ტანისამოსით მოსილნი, წვერით, რომელიც მაშინ მოდაში იყო და დავარცხნილი თმებით la garibaldi. ბაასის დედაბერი, რომელიც ჩემს მეხსიერებაში ჩარჩა, იმაში მდგომარეობდა, რომ

ერთი სტუდენტთაგანი, ივანე ანდრონიკაშვილი, შემდეგში კახეთის გამოჩენილი მევენახე, აღფრთოვანებული იყო სენატში მიხაილოვის უშიშარი საქციელის ამბით, რომელმაც იქ გამოააშკარავა მთელი თავისი შეხედულებანი და თავის დასაცავათ სიტყვის ნაცვლად საბრალმდებულო სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის წინააღმდეგ. ჩერნიშევსკის მეუღლემ შეაწყვეტინა მას მისი აღფრთოვანება შენიშვნით, რომ ნიკოლოზ გაბრიელის ძე (მისი ქმარი) ძალიან სწუხს მიხაილოვის ასეთი საქციელის გამო. მისთვის სრულიადაც არ იყო საჭირო გამოტეხილიყო, არამედ ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა, რაც კი შესაძლებელი იყო, თავის გადასარჩენად. ჩვენ არც იმდენათ მრავალრიცხოვანი ვართ, რომ თვითვე გავყოთ თავი სახრჩობელას თოკშიო. ანდრონიკაშვილი ულერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ საწინააღმდეგო არა უთქვამს რა, მით უმეტეს რომ დარბაზში შემოვიდა ჩერნიშევსკი, რომელმაც დაამოწმა მისი მეუღლის უკანასკნელი სიტყვები ორი-სამი ნაჩქარევათ წარმოთქმული წინადადებით იმის შესახებ, რომ სისულელეა გულახდილობა ხელისუფალთა წინაშე, რომელთაც, სულერთია სიტყვებით ვერაფერს ჩააგონებ. ამ დროს მისმა მეუღლემ გააცნო ჩემი თავი ჩერნიშევსკის და დაუმატა, რომ მე ერთ-ერთი ციხეში ნამყოფთაგანი ვარ. მან მღიმარე სახით მომცა რამდენიმე კითხვა ჩემი შთაბეჭდილების შესახებ, რომელზედაც გაჭირვებით შევძელი მეპასუხნა აღელვების გამო, და შემდეგ მალე მიმანება თავი. მე სრულიადაც არ მწყენია ციხის შესახებ მისი კითხვების ნახევრად ირონიული ტონი; ვგრძნობდი ჩემდამი, როგორც ბავშისადმი, ასეთი დამოკიდებულობის სრულ ბუნებრიობას ისეთი ადამიანის მხრით, რომელიც ასე ნაკლებად ებოდიშებოდა გოლიათებს.

როდესაც ვეთხოვებოდი, ჩერნიშევსკის მეუღლემ მითხრა ყველა დიასახლისებისათვის ჩვეულებრივი ფრაზა: ხშირად შემოიარეთო. მე კი, მიუხედავათ ჩემი დიდი სურვილისა, არ შემეძლო მორიდებული არ ვყოფილიყავი, მით უმეტეს, რომ კარგა შორი მანძილი უნდა მევლო. მალე ქ-ნ ოლგას დას ისევ დასჭირდა ჩოხა-ახალუხი და იმათ გამოიარეს ჩემთან ეტლით, რომელშიდაც შესანიშნავი „რისაკი“ იყო გაბმული და წამიყვანეს თავისას. თანდათან შევეჩვიე იმათ და აღარ ვმორცხვობდი. სხვა ქართველ სტუდენტების მსგავსად, რომელნიც ყოველ დღე იყვნენ მათ სახლში, მეც მოვშინაურდი.

1858 წლის მალარიამ, როგორც ეტყობა, ძალიან შეაფერხა ჩემი ზრდა და ფიზიკური განვითარება: ძალიან პატარა ტანისა ვიყავი და სრულებით ბავშვური სახე მქონდა. ყველას უკვირდა და არავისა სჯეროდა ჩემი სტუდენტური ქუდისა, რომელსაც მე იმიტომ ვატარებდი, რომ ჩემ ბავშვურ შეხედულებას აქარწყლებდა. ერთხელ, როცა ჩვენ, ქართველ სტუდენტთა ჩვეულებრივ საზოგადოებაში, გარს უსხედით ჩაის მაგიდას და ჩერნიშევსკი, თავის ჩვეულების წინააღმდეგ, გამოვიდა სტუმრებთან ერთად ჩაის დასალევად, მისმა ცოლმა ჩემზე ლაპარაკის დროს უთხრა, რომ მე ერთად-ერთი კავკასიელი ვარ, რომელიც მას არ ეარშიყება, და ამისათვის მას მე განსაკუთრებით უნდა უყვარდე. ყველამ გადიხარხარა, რადგან მართლა სასაცილო იყო იმის ფიქრი, რომ ისეთს ღლაპს, როგორიც მე ვიყავ, არა შიყობაც დაეწყო. ყველაზე მეტი ჩერნიშევსკიმ იცინა. მე არ ვიცოდი როგორ გადამერჩინა ჩემი ამხანაგები, რომელიც ქ-ნმა ოლგამ ასე დაურიდებლად გასცა თავის ქმართან. როცა სახლში მივდიოდით, მე უთხარი ამხანაგებს:

— ხომ გეუბნებოდით, თქვე ოხრებო ამ ქალის თავისუფალი მოქცევა სრულებით იმას არა ნიშნავს, რომ ის თქვენ კისერზე ჩამოგეპორწიალებათ!

ჩერნიშევსკი იშვიათად გამოდიოდა ცოლის სტუმრებთან. მეტწილად ის კაბინეტში იჯდა, სადაც იშვიათად თუ შევიდოდა ვინმე. ერთად-ერთი პირი, რომელიც თავისუფლად შედიოდა მის კაბინეტში, მ. ა. ა ნ ტ ო ნ ო ვ ი ჩ ი იყო, რომელსაც ჩვენ დობროლიუბოვის მემკვიდრედ ვთვლიდით. მის და ქართველ სტუდენტების გარდა ჩერნიშევსკის ოჯახში დადიოდენ სტუდენტური საღამოებისა და კითხვების მომწყობნი და აგრეთვე უნივერსიტეტის ზოგიერთი პროფესორი. მაგრამ ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას აქ იპყრობდენ სამხედრო პირნი, გენერალური შტაბის აფიცრები, რომელთა შორის ბევრი პოლკოვნიკი იყო, მაგრამ ერივნენ გენერლებიც. მახსოვს მამაცი გამომეტყველების პოლკოვნიკის ე რ ა კ ო ვ ს კ ი, პოლონელი, ბრწყინვალე სილამაზის პატრონი, რომლის შესახებ ქ-ნი ოლგა გვეუბნებოდა, რომ ნ. გ. (ჩერნიშევსკი) ძალიან აფასებს მას, როგორც ჭკვიანსა და მრავალმხრივ განვითარებულ კაცსაო. ისიც თავისუფლად შედიოდა ჩერნიშევსკისთან კაბინეტში და დიდხნობით იჯდა მასთან. როცა ისინი ერთად გამოდიოდენ კაბინეტიდან, მე ყოველთვის მაკვირვებდა ღრმა პატივისცემა, რომელსაც სერაკოვსკი იჩენდა ჩერნიშევსკისადმი. ამ ყოველგვარი წარჩინების ნიშნებით აღჭურვილის და თავისი ბედის ვარსკვლავში მტკიცე რწმენით აღჭურვილ და თავმომწონე გმირის

შემყურეს, განა შეეძლო ვინმე ჩვენგანს წარმოედგინა, რომ ერთი წლის შემდეგ იგი ჩამოხრჩობილ იქნებოდა ვილნოში მურავიოვის მიერ?

დადიოდენ ქ-ნ ოლგასთან „სოვრემენნიკ"-ის სხვა თანამშრომლებიც, ანტონოვიჩის გარდა. მაგრამ ისინი მეტ წილად ბელეტრისტები იყვნენ, რომელნიც მე ნაკლებად მაინტერესებდენ. დიდი ნიჭის პატრონნი, ტურგენევისა და გრ. ლ. ნ. ტოლსტოის მაგვარნი, მაშინ ალარ დაიარებოდენ მასთან. მათ და „სოვრემენნიკ"-ს შორის დიდი ხანია თურმე უსიამოვნობა სუფევდა და ერთი წლის წინათ კი უკვე მომხდარიყო საბოლოო გათიშვა. ძალიან მინდოდა შევხვედროდი ი. გ. ჟუკოვსკის, რომლის ეკონომიურმა წერილებმა უკვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, მაგრამ როგორღაც ეს არც ერთხელ არ მოხერხდა. სწორედ იმ დღეებში მოდიოდა იგი ჩერნიშევსკისთან, როცა მე რაიმე მიზეზის გამო იქ არ ვიყავი.

იანვარში ქალაქში მოისპო ყოველგვარი მღელვარება. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული იყო უგანათ. თავ. ს უ ვ ო რ ო ვ ი,—განთქმული გმირის შვილის-შვილი. მისი კეთილი გულის ამბის გამგონემ, გავბედე და მივართვი თხოვნა ნება დაერთო პეტერბურგში დავრჩენილიყავ. როცა თხოვნაზე ჩემი გვარი წაიკითხა, მან ქართულად მკითხა: „ქართული იცი?" ჩემ პასუხად, რომ რასაკვირველია ვიცი მეთქი, მან ქართულადვე მითხრა—„კარგი", და ადიუტანტს უბრძანა განკარგულება მოეხდინა, რათა მოეცათ ჩემთვის სათანადო მოწმობა. ასე ადვილად მოხდა ჩემი განთავისუფლება არალეგალური მდგომარეობიდან.

VIII

ახალი 1862 წელი ისეთ პირობებში დადგა, რომ მას თითქო უფრო სასიკეთოდ უჩანდა პირი. ცენზურის უღელი, რომელიც კრინტს არ აძვრეინებდა არავის მღელვარებაზე ან რაიმე ამის მაგვარზე, ცოტათი შესუსტდა. გაზეთებში ხანდახან შეგხვდებოდათ წერილი, რომელსაც „თავისუფლების სუნი" უდიოდა, რაც მანამდის წარმოუდგენელი იყო. იმ წელს დაწყებულ იუმორისტულ ჟურნალ „გ უ დ ო კ ი ს" ყდის სათაურზე დახატული იყო ერთ კუთხეში დედოფალი მ ა რ ი ა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ვ ნ ა (რომელსაც „ხანჟის" სახელი ჰქონდა დავარდნილი) ბერთან ჩახუტებული; მეორე კუთხეში კი წარმოდგენილი იყო გერცენი, რომელიც უქადაგებდა ყმაწვილ-კაცობას და გლეხებს. პირველი ნომრის პირველ გვერდზე დახატულები იყვნენ ძალიან დიდის მსგავსებით ყველა ის ხუთი სტუდენტი, რომლებიც გადაასახლეს სტუდენტთა მღელვარების გამო. ჟურნალის გამომცემე-

ლი იყო მუსიკალური მაღაზია თ. სტელლოვსკისა, ხოლო რედაქტორი დ. მ ი ნ ა ე ვ ი („პოეტი გამკიცხველი"). მთელი ხუთი კვირის განმავლობაში ჟურნალის სათაური არ გამოუცვლიათ. ყოველ ახალ ნომერში სურათების მნიშვნელობა თანდათან უფრო ნათელი ხდებოდა: მასში სულ მეტად და მეტად მოსჩანდა სახეების სრული მსგავსება. და ხაზგასმული იყო დეტალები. მხოლოდ მეექვსე ნომრიდან სურათი მოხსნეს და შესცვალეს უბრალო, მოურთავი ასოებით. რედაქტორი კი სრულიად გადააყენეს. — სხვადასხვა სამოსწავლო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დარბაზებში თანდათან უფრო ხშირათ იმართებოდა ლიტერატურული საღამოები და საჯარო კითხვები, ყოველთვის სიტყვის გადაკვრით უნივერსიტეტის მღელვარებისა და პოლიტიკური მოვლენების შესახებ.

ხშირათ ამ საღამოებზე გამოდიოდენ გამოჩენილი მწერლები, როგორც ა პ. მ ა ი კ ო ვ ი, ნ ე კ რ ა ს ო ვ ი და სხვა. მაგრამ მეტ წილად კი ნაკლებად გამოჩენილი მოღვაწენი კითხულობდენ, როგორც პ. ვ. ი ნ ბ ე რ გ ი („ტამბოველი ჰეინე"), ძმები კ უ რ ო ჩ კ ი ნ ე ბ ი, და სხვანი. ერთხელ ვ. ს. კ უ რ ო ჩ კ ი ნ მ ა მეორე გიმნაზიის დარბაზში, გამოწვეულმა აპლოდისმენტებით bis-ზე, ცოტათი შექეიფიანებულმა, წაიკითხა ვითომდა ბერანჟედან თარგმანის სახით — შემდეგი ლექსი:

Над цензурою друзья
Смейтесь так же, как и я:
Ведь для мысли и для слова,
Откровенно говоря,
Нам не нужно никакого
Разрешения царя.
Если русский властелин
Сам не чужд кровавых пятен,
Не пропустит Головнин
То, что вычеркнул Путятин.
Над цензурою, და ხვა.
Монархическим чутьем
Сохранив в реформы веру
Что напишем, то пошлем
Прямо в Лондон, к Искандеру.
Над цензурою, და სხვა.

ბევრი სხვა ლექსი ამავე შესანიშნავ პოეტ-იუმორისტისა, წაკითხული იმ დროინდელ ლიტერატურულ საღამოებზე, დაიბეჭდა შემდეგ, როცა მოისპო წინასწარი ცენზურა, 1865 წელს. ზემოთმოყვანილი ლექსი კი, რამდენადაც ვიცი, ჯერ არსად დაბეჭდილა.

სტუდენტობის მთავარ ბინათ, უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ, გახდა ნ. ა. ს ე რ ნ ო-ს ო ლ ო ვ ი ე ვ ი ჩ ი ს წიგნის მაღაზია და სა-

მკითხველო, ნევის პროსპექტზე, პეტროპავლეს ეკლესიის სახლში. აქ ჩვენ საშუალება გვქონდა წაგვეკითხა ყველაფერი, რაც კი გვსურდა. რადგან იმ დროს არ იყო გაზეთების ცალკე ნუმრებად გაყიდვა ქუჩებში, ხოლო ჟურნალებზე მთელი წლით უნდა მოგეწერათ ხელი, ამიტომ ბიბლიოთეკა ყველასათვის დიდი ხელის შემწყობი იყო. აქვე შეიძლებოდა გაგება ყოველგვარი ისეთი პოლიტიკური და ლიტერატურული ახალი ამბებისა, რომელნიც არ იბეჭდებოდენ. აქვე ნახავდით ყველა იმდროინდელ გამოჩენილ პირებს და ზოგჯერ მათი გაცნობაც კი შეიძლებოდა. სერონ-სოლოვიევიჩი შეუდგა მაშინ შლოსსერის მრავალტომიან „მსოფლიო ისტორიის" გამოცემას, ჩერნიშევსკის რედაქტორობით.

ყველა ეს ხელშემწყო პირობები და გასართობები მაინც ვერ გვიწევდა უნივერსიტეტის მაგიერობას, რომელიც ჯერ ისევ დაკეტილი იყო. სამინისტრო, როგორც სჩანდა, დიდხანს აპირებდა ასეთი მდგომარეობის დატოვებას, რომ ამგვარად გაეწმინდა ქალაქი მოუსვენარი ახალგაზრდობიდან და იძულებულ ეყო ისინი გადასულიყვნენ პროვინციის უნივერსიტეტებში. მთავრობის ამ ვერაგ განზრახვის ჩასაშლელად უფროსმა სტუდენტებმა გამოითხოვეს თავ. სუვოროვისაგან ნებართვა საჯარო კითხვათა კურსების გახსნისა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. თითქმის ყველა ჩვენმა დათხოვნილმა პროფესორებმა მიიღეს მონაწილეობა ამ საჯარო კითხვებში, ე. ი. განაახლეს თავისი უნივერსიტეტის კურსები. მსმენელებს უნდა გადაეხადათ არა ყველა ლექციების ფასი, არამედ მხოლოდ იმისა, რომელზედაც ჩაეწერებოდენ. ამ „თავისუფალმა უნივერსიტეტმა", თავის გახსნისათანავე დიდი გავლენა მოიპოვა სტუდენტთა შორის და ამასთან მთელ განათლებულ საზოგადოებაში, მეტადრე მაღალ საზოგადოების მანდილოსანთა შორის. ყოველი ჩვენგანი უსმენდა დღეში ორ-სამ ლექციას მაინც, სწორედ ისე, როგორც უნივერსიტეტში, ე. ი. სცდილობდა შეეგნო და ჩაეწერა მათი შინაარსი. ჩვენ ვფიქრობდით გაგვეგრძელებინა ამგვარად მეცადინეობა შემოდგომამდე, როცა, ჩვენის აზრით, უნდა გახსნილიყო უნივერსიტეტი. მაგრამ „კაცი ბჭობდაო"...

მარტის დასაწყისში ლიტერატურული ფონდის სასარგებლოდ გაიმართა ლიტერატურული საღამო, თითქმის ყველა გამოჩენილ ლიტერატორთა და მეცნიერთა მონაწილეობით, მოიკაზე, რუადზეს, დიდ დარბაზში[1]), სხვათა შორის მაშინ პირველად გამოვიდა საზო-

[1]) 1862 წლის 2 მარტს.

გადოების წინაშე ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, თავისი მოგონებით დობროლიუბოვზე. ჩვენ ყველანი დარწმუნებულები ვიყავით, რომ ეხლა კი მოვესწარით ცენზურის გაბიაბრუებას. ჩვენმა ახალი ისტორიის პროფესორმა პ ლ. ვ ა ს. პ ა ვ ლ ო ვ მ ა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ იყო გადმოყვანილი კიევის უნივერსიტეტიდან, წაიკითხა „რუსეთის არსებობის ათასი წელი", დაბეჭდილი იმ წლის „აკადემიურ კალენდარში". მოხსენების დასასრულს პროფესორმა რამდენიძე თბილი სიტყვა დაუმატა, სადაც იგი იმედს გამოსთქვამდა ჩვენი წყობილებისა და დაწესებულებათა გადახალისების შესახებ. საზოგადოებამ, რომელიც იმ საღამოს მეტად აღფრთოვანებული იყო და განურჩევლად ყველას გააფთრებულ აპლოდისმენტებს უძღვნიდა, დააჯილდოვა იგი მხურვალე ტაშის ცემით და მრავალჯერ გამოიწვია ესტრადაზე. რაც უფრო ხშირად გამოდიოდა იგი საზოგადოების წინ, მით უფრო ხმამაღლა გაისმოდა „ვაშას" ძახილი. უზარმაზარი დარბაზი გრგვინავდა და ზანზარებდა ტაშის ცემისაგან.

ჩერნიშევსკის დებიუტი მიუხედავად საზოგადოების ასეთი განწყობილებისა, ან იქნება სწორეთ ამიტომ, ვერ გამოვიდა დამაკმაყოფილებელი. მას შეხვდენ ისეთი ოვაციებით, როგორიც ეშვიათად თუ ვისმე რგებია წილად. იგი კი არ კითხულობდა, არამედ საუბრობდა, ნელა, მორიდებით, თითქოს მეგობარს ელაპარაკებაო, დობროლიუბოვის გაცნობაზე, მის დამოკიდებულებაზე მშობლებისადმი, მის კეთილსინდისიერებაზე მუშაობაში და სხვა. არავითარი თეატრალობა, არავითარი სურვილი მსმენელთა ყურადღების მიპყრობისა, მით უმეტეს მათი გატაცებისა, აქ არ ჩნდა. მან ერთხელაც არ აიმაღლა ხმა. არც ერთი ჟესტი არ იხმარა. ყველაფერი უბრალო იყო. დროგამოშვებით იგი ხელს ჰკიდებდა თავისი საათის ძეწკვს. მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ იმან გაგვაკვირვა, რომ ჩერნიშევსკის არ წარმოუთქვამს არც ერთი სიტყვა ხელისუფლების მიერ ხალხის შევიწროებაზე, არაფერი უცენზურო, არავითარი დასკვნა არ გამოუყვანია; იგი ისევე უბრალოდ ადგა და გავიდა, როგორც ლაპარაკობდა. დარბაზი გაოცებისაგან გაშრა. არავის არა სჯეროდა, რომ ეს ჩერნიშევსკი იყო, ის ჩერნიშევსკი—რომელიც ისე დაურიდებლად თავს ესხმოდა ჟურნალ-გაზეთებში პირველ ხარისხოვან მოღვაწეებს. მის წრე-გადასულ პატივისმცემლებს მოეჩვენათ, რომ იგი გამოცვალეს, ისარგებლეს რა იმით, რომ ჩერნიშევსკი არსად და არასოდეს არ სჩანდა საზოგადოებაში და მისი პორტრეტის შოვნაც კი შეუძლებელი იყო. ქალებმა, რომელთაც გაგიჟებით უნდოდათ მისი ნახვა და მოსმენა, გადასწყვიტეს, რომ იგი სრულებით არ იყო საინტერესო.

ერთი დღის შემდეგ „სევერნაია პჩელა“, რომელიც მუდამ ჰკილავდა „სოვრემენნიკ“-ს, აღტაცებით აცხადებდა, რომ საზოგადოებამ სტვენით გააცილა ჩერნიშევსკი, რადგან იგი უზრდელად იქცეოდა, გაითხლაშა კათედრაზე, ათამაშებდა ძეწკვს და სხვა. ჩვენ ეს მით უფრო გვეწყინა, რომ არავითარი სტვენა არ ყოფილა იმ საღამოს არც ჩერნიშევსკისა და არც სხვის მიმართ.

რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ პ. ვ. პ ა ვ ლ ო ვ ი უმაღლესი ბრძანებით, განდევნილია სატახტო ქალაქიდან და გადასახლებულია ერთ-ერთ ყველაზე შორეულ გუბერნიაში, საღამოზე კადნიერი გამოსვლის გამო. მხოლოდ მაშინ ვაპატიეთ ჩვენ ჩერნიშევსკის მისი სიფრთხილე, და მივხვდით, რომ თავისდაჭერით მან თავი მოარიდა ამავე ბედს.

როგორც კი სტუდენტობამ გაიგო პავლოვის გადასახლების ამბავი, ატყდა ახალი ჩოჩქოლი. ლექციების გამგე კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა დაეხურათ კურსები პროტესტის ნიშნად. უმრავლესობა, და მეტადრე პროფესორები, ამაზე არ დათანხმდენ. კ ო ს ტ ო მ ა რ ო ვ ი ს მეთაურობით ისინი ამტკიცებდენ, რომ კურსების დახურვა—ეს სწორედ მთავრობისათვის იქნება ხელსაყრელი, რომ ეს ზიანს მოუტანდა მხოლოდ სტუდენტობას, რომელიც დარჩებოდა დაქსაქსული, უხელმძღვანელოდ; ხოლო უმთავრესად კი, სტუდენტობა მოკლებული იქნებოდა საზოგადოებასთან შეხვედრისა, და მასში პროპაგანდის გაწევის საშუალებას. ჩვენ ამ კამათის შესახებ ძალიან გვიან გავიგეთ, სწორეთ კ ო ს ტ ო მ ა რ ო ვ ი ს ლექციის წინ, რომელიც თურმე კომიტეტის უმცირესობას აერჩია თავისი წინადადების გასატარებლად. დიდი უმრავლესობა კოსტომაროვის მსმენელებისა, რომელთაც გაიგეს კამათის შინაარსი, წინააღმდეგნი იყვნენ კურსების დახურვისა. როცა ლექცია დაიწყო, დარბაზის ყველა კუთხიდან მოისმა ხმები: „არ გვინდა“, „ნუ კითხულობთ“ და სტვენა. სტუდენტობა პროფესორის გასამხნევებლად ტაშს უკრავდა და ყვიროდა „განაგრძეთ“, რაც უფრო მეტს ალიაქოთს ჰქმნიდა და უშლიდა კოსტომაროვს მიეპყრო პროტესტანტების ყურადღება. მან დიდხანს უცადა სიჩუმის ჩამოვარდნას, მაგრამ ყვირილი „ჩვენ გვინდა პავლოვი,“ როდი სკნარებოდა. რამდენჯერმე დააპირა კოსტომაროვმა ლაპარაკი, მაგრამ როგორც კი გააღებდა პირს, იმ წამსვე მოისმოდა ყვირილი „ძირს“, შტვენა, ყეფა, კატის კნავილი და ათასი უხამსობა. საბრალო სანახავი იყო კოსტომაროვი, რომლის სახე ისე გამოიცვალა ამ მოულოდნელი თავდასხმისაგან, რომ ძლივსღა იცნობდა ადამიანი. მან ნაღვლიანად მოკრიბა თავისი ქაღალდე-

ბი და ჩამოვიდა კათედრიდან, თვალ - ცრემლიანი. მისი ტანჯული სახე დიდხანს არ მომშორებია ხსოვნიდან. წინა დღეს კი მთელი ეს ახალგაზრდობა აღმერთებდა მას. ამ დროიდან დავრწმუნდი, რომ პოპულიარობა — ცარიელი სიტყვაა.

ამის შემდეგ ვერც ერთი პროფესორი ველარ ბედავდა გამოსვლას: სადაც კოსტომაროვს აუტეხეს შტვენა და აღარ მოუსმინეს, ვინღა შებედავდა უკიდურესთა წინააღმდეგ ხმის ამაღლებას? ეს იყო უკანასკნელი აქტი, იმ დროინდელი სტუდენტობის კოლექტიური გამოსვლებისა. მას შემდეგ ყველაფერი დაიქსაქსა. ყველა ჩვენგანისთვის დაიწყო ინდივიდუალური ძიების ხანა, რომელიც აღარ იყო ყველასათვის საჩინო და დამოკიდებული იყო შემთხვევითი ხასიათის გავლენებისა და პირობებისაგან, უკეთეს შემთხვევაში, ვიწრო წრეებისაგან.

IX

პირადათ მე, თუმცა ქართველ სტუდენტებთან ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემ დროს მეტ ნაწილს ვატარებდი იმ ყმაწვილებთან, რომელთაც დავუმეგობრდი ჩვენი დაქერის დღეებში, „ბაბილონის ტყვეობას“ რომ ვუწოდებდიო. პიოტროვსკის თავის მოკვლის[1]), და ლინევის სამნობლოში გადასახლების შემდეგ, მე დამრჩენ მეგობრები: ლევ სამარინი და რაუდესტვენსკი. იმათ გამაცნეს ე. სტოპაკევიჩი, „სოვრემენნიკ“-ის უფროსი კორექტორი, რომელსაც ახლად დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი. ის სცხოვრობდა სპასსკის შესახვევში, სენნაიას მახლობლად, სულ ახლოს ჩემთან, ყოველთვის იცოდა ყველა ახალახალი ამბები, ამასთან გულგახსნილი და საინტერესო ადამიანი იყო. უმთავრესი კი ის იყო, რომ ის მაძლევდა წასაკითხათ „სოვრემენნიკ“-ის წერილებს კორექტურებში, მათი გამოსვლის რამდენიმე კვირის წინ. მასთან მე საბოლოოდ ჩავები მოწინავე მოძრაობის ინტერესებში. ჯერ მე მაინტერესებდა „სოვრემენნიკ“-ის ხელნაწერების შედარება ცენზურში გატარებულ ფურცლებთან, რომელიც ხშირად ბრუნდებოდა წითელი მელნით დაჩითული. ზოგჯერ ზოგიერთ ფურცლებს სრულებითაც აღარ აბრუნებდენ. მათ მაგიერ სხვა ფურცლებზე ეწერა ხოლმე: „ეს და ეს წერილი დაკავებულია ცენზურულ კომიტეტში წარსადგენად“, — რაც იმას ნიშნავდა, რომ წავიდა და დაიკარგაო. მე დახარბებით ვკითხულობდი ასეთი წერილების ხელნაწერებს ან „თეთრ ფურცლებს“, რომლებიც მზადდე-

[1]) 1862 წლის 18 მარტს. — ნ. ნიკოლაძე ტ. I

ბოდა ავტორებისა და რედაქციისათვის. მალე ჩემი ინტერესი უფრო გააძლიერა სტოპაკევიჩის მეგობარი მოსკოველი სტუდენტების მისვლა-მოსვლამ; ესენი იყვნენ არგიროპულო, ზაიჩნევსკი და ბლინი (უფროსი). ისინი დადიოდენ ყოველთვის ცალ-ცალკე, და ყოველთვის ერთი და იმავე ჩემოდანით, რომელიც ვატენილი იყო ახლად დაბეჭდილ ლიტოგრაფიულ რვეულებით, ბიუხნერისა და ფეიერბახის მატერიალისტური თხზულებებითა, რომელთაც საიდუმლოდ სცემდა ეს წრე: „ძალა და მატერია", „რელიგიის არსი" და სხვა. იმ ჯერზე მათ მოიტანეს ახალი გამოცემის დასაწყისი: „ქრისტიანობის არსი", რომელიც მეც ავიღე გასავრცელებლად ქართულ წრეებში. ამ ყმაწვილებს თავი ეჭირათ, როგორც ნამდვილ შეთქმულებს. ჩემთან არავითარ გულღიობას არ ჩაჩენდენ, და მეც მერიდებოდა მათი გამოკითხვა მაგრამ მათი შეთქმულობა ჯერ კიდევ პრიმიტიული იყო: ხშირად სტოპაკევიჩთან ლაპარაკის დროს, ჩემი თანადასწრებით, მათ ბევრი რამ წამოსცდებოდათ ხოლმე, ასე რომ ხშირათ ადვილი იყო მათი მიხვედრა. მათ მიერ მოტანილი რვეულები სწორეთ ინავე ფორმატისა იყვნენ, როგორც ჩვენი უნივერსიტეტის ლექციები. მათი ლაპარაკიდან გავიგე, რომ მოსკოვში მათი წრე სცემდა უნივერსიტეტის მრავალ ლექციებს; თარგმანებს კი ისინი ჰბეჭდავდენ სხვათა შორის, და ამიტომაც იყო, რომ ამ კონტრაბანდას იოლად ასაღებდენ. ეს ყმაწვილები მე რამდენჯერმე ჩერნიშევსკის სახლშიც შემხვდენ.

როგორც სერნო-სოლოვიევიჩის ბიბლიოთეკაში, სანამ არ დაბეჭერეს იგი, ისე სტოპაკევიჩთანაც, ბევრი ლაპარაკი იყო ხოლმე იმ დროინდელ პოლემიკურ წერილებზე, სადაც რუსული პოლიტიკური ცხოვრება ერთად-ერთ გამოსახულებას ჰპოულობდა პრესაში. დიდი ხმაურობა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია მარტის ბოლოში თ. ევალდის წერილმა „ს. პეტერბურგსკია ვედომოსტი"-ში (რომელიც მაშინ იჯარით ქონდა აღებული ა. ა. კრაევსკის) სათაურით: Учиться или не учиться? ამ წერილში ის ამტკიცებდა, რომ სტუდენტობა აო უნდა ერეოდეს პოლიტიკურ საკითხებში, რომ მან ჯერ უნდა ისწავლოს. ამ საკითხის გამო „სოვრემენნიკ"-ის აპრილის ნომრისათვის სტამბაში იწყობოდა ჩერნიშევსკის გამანადგურებელი წერილი „წავლეს-კი?" (Научились-ли?). ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ სტუდენტობა დიდის სიამოვნებით იმეცადინებდა მარტო თავისი სწავლა-განათლებისათვის, თუ კი თვითონ მთავრობას არ ჩაება ის პოლიტიკურ ბრძოლაში უაზრო აკრძალვით სტუდენტური კასსებისა, ბიბლიოთეკებისა, კრებებისა და ამხანაგური გასამართლებისა სტუდენტო-

პის მეტი წილი ღარიბია და მცირე გაკვეთილებით და თარგმანებითა სცხოვრობს. ისინი ვერას გზით ვერ გაიტანენ თავს ურთი-ერთი დამხმარე კასებისა და საერთო საქმეების გარეშე. წერილში სრულებით ახალი კილო იყო აღებული მთავრობაზე ლაპარაკის დროს: იმ დროს ჯერ რუსეთში არავის დაეწერა ამგვარად მთავრობის შესახებ. როცა მე და სტოპაკევიჩი ვადარებდით ამ წერილის კორექტურასა და ბელთნაწერს, სტოპაკევიჩთან ვთქვი, რომ არ ღირდა ამ წერილის აწყობა: მას უსათუოდ არ გაუშვებენ, რადგან იგი მეტის-მეტად მწვავეა, მთავრობას ბრალსა სდებს და სხვა. სტოპაკევიჩი სამაგიეროდ მარწმუნებდა, რომ ჩერნიშევსკიმ იცის თავისი საქმე: მინისტრებათ ეხლა სულ ახალი ხალხია, და არა ისინი, რომელთაც ჩერნიშევსკი ჰკიცხავს; ეს ახალი მინისტრები არ დაიწყებენ ძველების დაცვას. მხოლოდ თქვენ, პროვინციელებს, გეჩვენებათ ეს წერილი მთავრობის საწინაღმდეგოთ, თორემ ცენზურა მასში მხოლოდ დაცემულთა გათელვას დაინახავს. როცა შიკრიკმა მოიტანა ცენზურის ფურცლები და მათთან ერთად წერილი „ისწავლეს-კი?“ რომელსაც ეწერა—„ნებადართულია ცენზურის მიერ“, გამოდგა, რომ სტოპაკევიჩი მართალი იყო. ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

მეორე პოლემიკა, რომელიც მაშინ ახალგაზრდობის საერთო ყურადღებას იპყრობდა, იყო „სოვრემენნიკ“-ის და განსაკუთრებით კი პირადათ ჩერნიშევსკის საწინაღმდეგო გალაშქრება და თითქმის დასმენა გაზეთ“ სევერნაია პჩელა“-ს მიერ, რომელიც ფ ა დ დ ე ი ბ უ ლ-გ ა რ ი ნ ი ს სიკვდილის შემდეგ 1859 წელში, პ ა ვ ლ ე უ ს ო ვ ი ს ხელში გადავიდა, და ზომიერ-ლიბერალური მიმართულების გახდა. „სევერნაია პჩელას“ პოლემიკის მთავარი ძარღვი ის იყო, რომ თუ ჟურნალი „სოვრემენნიკ“-ი და კერძოთ ნ. ჩერნიშევსკი არ ყოფილიყვნენ, ახალგაზრდობაში არავითარი მღელვარება არ იქნებოდაო. თუმცა ამ გალაშქრებასა და სისინს ჩერნიშევსკის წინააღმდეგ აწარმოებდენ ახალგაზრდა მწერლები ს. ლ ე ნ ს კ ო ვ ი და რუსეთში დაბადებული ინგლისელი ა რ ტ უ რ ბ ე ნ ნ ი, რომელსაც გერცენის ემისარის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ სტოპაკევიჩი და მისი მეგობრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი ხელმძღვანელი და შთამგონებელი იყო მისი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილება, რომელიც მაშინ განაგებდა მთავრობის შინაგან პოლიტიკას და პოლიტიკურ პოლიციას. შემდეგში, 1880 წელში, გრ. ლორის-მელიქოვის დროს, იგი გადანათლეს სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტად.

1862 წლის მაისის დასაწყიში, ქალაქში გავრცელდა ახალი დიდი პროკლამაცია „Молодая Россия,“ ყველაზე სასტიკი და

დაურიდებელი იმ დრომდის გამოსულ პროკლამაციებთან შედარებით. მათი ავტორები მიმართავდენ არა ახალგაზრდობას, ან საზოგადოებას, არამედ „ხალხს.“ იგი მოუწოდებდა არა მარტო მთავრობის ჩამოგდებისაკენ, არამედ მემამულეთა და მოხელეთა გაწყვეტისაკენ. სხვათა შორის მასში იყო ლაპარაკი გერცენის როლზე იმ დროინდელ საქმეში. პროკლამაცია ღირებულად სთვლიდა მისი მეორმოცე წლების ლიტერატურულსა, და მეორმოცდაათე წლების პირველი ნახევრის საგიტაციო მოღვაწეობას, მაგრამ მასთან „ახალგაზრდა რუსეთი“ ამტკიცებდა, რომ ამ ჟამად გერცენი უკან ჩამორჩა: ახლა იგი იმით არის გართული, რომ ჭკუას არიგებს მეფესა და მინისტრებს, მაშინ როცა იგი ზარს უნდა რეკდეს ხალხის მოსაგროებლად! ის უნდა მოუწოდებდეს ხალხს: „ცულებით, ბიჭებო, ეცით ამ არამზადებს, სადაც არ უნდა შეგხვდეთ!“ ამ პროკლამაციის უმთავრესი აზრის სისწორეს უსათუოდ ვადასტურებ. რასაკვირველია, იგი მეხივით გავარდა ქალაქში. მე მრომეჩვენა პირველად, რომ ეს თვით მესაზე განყოფილების ნაწარმოებია, რათა დაეშინებინა საზოგადოება და მოესპო მასში კეთილგანწყობილება ახალთაობისადმი. მაგრამ ეს ეპვი სისულელე გამოდგა: მთავრობა ხომრობა გაშვებით შეშინდა. მან მაშინვე გამოაცხადა ქალაქში სამხედრო წესები. იმ პირებს, როელზედაც ეპვი ჰქონდათ, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ ამ პროკლამაციის გავრცელებაში, აძლევდენ სამხედრო სასამართლოში ომის წესების თანახმად დასასჯელად. ამ სასამართლოს პირველი მსხვერპლი შეიქნა მთელი უნივერსიტეტის საყვარელი სტუდენტი ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი, რომელიც კრონშტადტში ჩვენთან ერთად იჯდა. მას დახვრეტა მიუსაჯეს და ეს დადგენილება მაშინვე დაიბეჭდა ყველა გაზეთებში. შემდეგ ის, მართალია, შეიბრალეს და კატორღაში გაგზავნეს, მაგრამ იქ იგი მალე დაიღუპა. ყოველგვარი ზომები იყო მიღებული ავტორების აღმოსაჩენად და პროკლამაციის დაბეჭდის ადგილის გამოსარკვევად. ჩხრეკას, დატუსაღებას, გადასახლებას არ ჰქონდა ბოლო და საზღვარი. დადგა ეგრეთწოდებული „პ ი რ ვ ე ლ ი ტ ე რ რ ი“. სწორედ ამ დროს „სევერნაია ჰჩელა“-ში დაიბეჭდა ფელეტონი, რომელსაც ლესკოვს აკუთვნებდენ (მაშინ ის სტებნიცკის ფსევდონიმით სწერდა). ამ წერილში, თუმცა გადაკრული სიტყვით, მაგრამ მაინც დღესავით ნათლად, იყო მითითებული, რომ „ახალგაზრდა რუსეთი“ ჩერნიშევსკის ნაწარმოებია, რომ მხოლოდ ისა სთვლის გერცენს ჩამორჩენილად, მხოლოდ ის ეკამათება მას.

ჩვენ ყველა, არა მარტო სტოპაკევიჩის ნაცნობები, არამედ მთელი სტუდენტობა, ამგვარმა დაბეზღებამ გულის სიღრმებდის

აგვაშფოთა. იყვნენ ყმაწვილები, რომელნიც ზოგი მოკვლას უპირებდა „სევერნაია პჩელა"-ს რედაქციის რომელსამე წევრს, და ზოგი კი ცემას. მაგრამ ბოლოს კეთილგონიერებამ თავისი ჰქნა და ზიზღით დავკმაყოფილდით. ლესკოვის ხსოვნას კი ამ ეპიზოდმა წარუშლელი დაღი დაასვა: მთელ თავის სიცოცხლეს ამის შემდეგ ის სულ „განმარტებაში" იყო, უარს ამბობდა თავის მონაწილეობაზე ამ დაბეზღებაში. მაგრამ მისი ძნელად თუ ვისმეს სჯეროდა.

ამის შესახებ, ე. ზ. ელისეევი („შინაურ მიმოხილვათა" ავტორი) „სოვრემენნიკ"-ში სწერდა, თუმცა ლესკოვის გვარისა და წერილის დაუსახელებლად, რომ დიდ ტალანტს, რომელიც „სევერნაია პჩელა"-ს გამოსვლებში იღებს მონაწილეობას, როგორცა სჩანს არა აქვს კარგად გათვალისწინებული თავისი მოქმედება; მაგრამ მოვა დრო, როცა მას შერცხვება თავისი ეხლანდელი მოღვაწეობისაო. „სოვრემენნიკ"-მა მხოლოდ ერთი ამ ფრაზით უპასუხა „სევერნაია პჩელა"-ს საქმე-საგმიროს. ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ იმოქმედა ჩემზე და როგორ მოგვწონდა ჩვენ ჟურნალის ამგვარი დელიკატობა.

„ისკრა"-მ მაშინვე აღნიშნა „სოვრემენნიკ"-ის ეს სისინი შემდეგის ლექსით:

Прошли года: старик Фаддей
Давно истлел в сырой земле
Но дух Булгаринских идей
Еще живет в его „Пчела."
Не убоявшись эпиграмм
Их Усов поз быть не мог:
„Так храм разрушеный всеж храм,
Кумир поверженный—все Бог!"

იყო თუ არა ეს დეენა მესამე განყოფილების შთაგონებული,— სულერთია, იგი ამ განყოფილების რწმენის გამომსახველი იყო, იმ რწმენის, რომ ჩერნიშევსკია უმთავრესი მომწყობი ყველა ამ „უწესოებათა" და მთელი ამ მოძრაობისა. ის რომ არ ყოფილიყო, არაფერი არ იქნებოდა რაო. მეტადრე გაძლიერდა ეს რწმენა იმ კოლოსალური შტაბეჭდილების შემდეგ, რომელიც მოახდინა საზოგადოებაში წერილმა „ისწავლეს-კი?" საზოგადოებამ ისე გაიგო მისი შინაარსი, როგორც მე. ეს იყო გედის სიმღერა ჩერნიშევსკის პუბლიცისტური მოღვაწეობისა. „სოვრემენნიკის" შემდეგი ნომრისათვის მომზადებული წერილები თითქმის ყველა „დაიჭირეს" ეე და სტოპაკევიჩი იძულებულნი ვიყავით გაგვეცა ნომერი დ რ უ ჟ ი ნ ი ნ ის მიერ თარგმნილი შექსპირის „რიჩარდ მეორე"-თი და ვიქტორ

ჰიუგოს „მიზერაბლებით.“ ამავე წიგნში დაიბეჭდა, დიდი ხნის აწყობილი სტოპანოვსკის პიესა, რომელსაც ბე გაუკეთე კორექტურა. ჩერნიშევსკის აკრძალული „პოლიტიკის“ მაგიერად დაიბეჭდა ე. ვატოსოვის წერილი იმ დროს ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ბისმარკის დებიუტებისა და ბოროტ მოღვაწეობის შესახებ. ვერ მოასწროამ მეხუთე წიგნმა გამოსვლა, რომ გამოცხადდა უმაღლესი განკარგულება ჟურნალ „სოვრემენიკ“-ისა და „რუსსკოე სლოვოს“ აკრძალვის შესახებ რვა თვის განმავლობაში.

X

მე საბუთი მაქვს დაჯერებით განვაცხადო, რომ „ახალგაზრდა რუსეთი“ მოსკოვში დაბეჭდა სტოპაკევიჩის სამმა მეგობარმა. რომელთაც შესახებ ზემოთ მქონდა საუბარი. ყოველ შემთხვევაში მე ამგვარი რწმენა დამებადა მათთან ლაპარაკის შემდეგ, და იმ ფაქტიდან, რომ მათ მეც გადმომცეს რამდენიმე ცალი ამ პროკლამაციისა ნაცნობებისათვის და გამოსული პროკლამაციების ჩემი კოლექციისათვის, რომელმაც მალე კინალამ არ დამღუპა და ამიტომ იძულებული გავხდი მთლათ ცეცხლისათვის მიმეცა იგი. ეთიკა ნებას არ მაძლევდა მიმემართა ამის შესახებ კითხვებით ან სტოპაკევიჩისთვის ან სხვა ვისმესთვის. მაგრაშ მაშვინ ეჭვიც არ მეპარებოდა იმაში, რომ ეს იმათი საქმე იყო და რომ ისინი აწარმოებდენ ამ საქმეს თავისი პასუხისგებით, მათ მიიყვანეს უკიდურესობამდე და აბსურდამდე სოციალისტური იდეები, რომლის მატარებელი იყო „სოვრემენიკ“-ი, მაგრამ მე აზრადაც არ გამიტარებია, რომ ჩერნიშევსკის შეეძლო მიიღო რაიმე მონაწილეობა ამგვარ უპირველეს ყოვლისა თვით მოძრაობისათვის საზიანო გამოსვლებში. ამისი ფიქრი ნიშნავდა კ.დ. კაველინის აზრის გაზიარებას, რომელიც სწორედ ამ ხანებში სწერდა გერცენს: „თავის დღეში არ მინახავს ადამიანი უფრო არეულ-დარეული („путанник“) ვიდრე ჩერნიშევსკიო“. ვფიქრობ, რომ კაველინმა შეადგინა ასეთი აზრი ჩერნიშევსკზე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მას სთვლიდა „ახალგაზრდა რუსეთის“ ავტორათ, რომელმაც მართლაც არივ-დარია მაშინდელი რუსეთის ცხოვრება.

ამ პროკლამაციის გამოცვლამ მართლაც ერთგვარი გზის გამოცვლა გამოიწვია რუსულ მოწინავე მოძრაობაში და რუსულ პოლიტიკაში. ამ პროკლამაციით დამთავრდა მოძრაობის აპოგეი, და სწრაფად დაიწყო მისი პერიგეი.

ამავე დროებში მთავრობამ ნება დართო თავისუფლად გაყიდვით რუსეთში შ ე დ ო - ფ ე რ რ ო ტ ი ს ბროშურა (ფსეედონიმი ჟურნა-

ლისტ ბარონ ფირქსისა, რომელიც შემდეგ რედაქტორი იყო ბრიუსელში რუსეთის მთავრობის ფრანგული გამოცემებისა) სათაურით „წერილი გერცენისა რუსეთის ელჩთან ლონდონში ბარონ ბრუნოვთან".

ამ ბროშურაში, რომელიც გამოცემული იყო გერმანიაში, მასხარად იგდებდენ გერცენის მუქარას, რომ ყოველი ბეწვი, ჩამოცვივნული გერცენის თავიდან, თავს დაატყდება რუსეთის მთავრობას, თუ კი მართლაც მოხდა მისი მოტაცება, რაც თითქო ამ დროს მზადდებოდა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში, რომ პრესაში წარმოითქვა გერცენის სახელი, იმ დრომდის სასტიკად აკრძალული. ამის შემდეგ „რუსკი ვესტნიკის" „სოვრემენნაია ლეტოპის"-ში, რომელიც იმ წელს გამოდიოდა ცალკე ყოველკვირეული ჟურნალის სახით, დაიბეჭდა მ. ნ. კატკოვის წერილი, თავდაუჭერელი ლანძღვით გერცენისა და ოგარევის ანტისახელმწიფოებრივი ბოლვაწეობის გამო, და მკითხველთათვის გაუგებარი პირადი ხასიათის გადაკვრით, რომელიც თავდებოდა ფრაზით: „ვიცით, რა ხალხიცა ხართო!" (Знаем мы, что вы за люди!). ამის შემდეგ თითქმის მთელმა მოსკოვის პრესამ, რომელიც აქამდის წმინდათ ინახავდა ბელინსკისა და გარნოვსკის ტრადიციებს, და ინგლისური ტიპის ლიბერალურ- პროგრესსიული მიმართულებისა იყო, უცბად გადაუხვია მარჯვნივ და რეაქციონური ელფერი მიიღო. კატკოვის წერილს შედეგად მოჰყვა მისი შერიგება მთავრობასთან. მან მაშინვე მიიღო იჯარათ „მოსკოვსკაია ვედომოსტი". მის ძველ მოიჯარადრეს ვ. ფ. კორშს მისცეს იჯარით „ს.-პეტერბურგსკაია ვედომოსტი", კრაევსკიმ კი სამაგიეროთ მიიღო ნებართვა გამოეცა საკუთარი „გოლოსი". ცენზურის გამგეობა, სახალხო განათლების სამინისტროს ხელიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ხერში გადავიდა, რომელმაც მაშინვე გაიჩინა საკუთარი ორგანო—„სევერნაია პოჩტა". ერთი სიტყვით ახალმა მთავრობამ დაამტკიცა, რომ მას ესმოდა ბეჭდითი სიტყვის მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრებაში, და სრულებითაც არ სურდა მის უცხო ხელში ჩაგდება. მეტადრე მტრულ ხელში ყოველივე ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც რადიკალური ჟურნალები „სოვრემენნიკ" და „რუსსკოე სლოვო" რვა თვით იყო დახურული.

თითქოს განგებამ, ამ დროს პეტერბურგში ივნისის აუტანელი სიცხეების დროს, ჩნდებოდა საშინელი ხანძრები, რომლებიც ხშირად ქალაქის სხვადასხვა ალაგას, ერთსა და იმავე დროს დაიწყებოდა

ხოლმე. ეს ამბავი თითქმის ორ კვირას გაგრძელდა. განსაკუთრებულმა შიშმა მოიცვა ქალაქის მოსახლეობა, როცა ცეცხლი მოიკიდა ეგრედწოდებულ „ტოლკუჩი რინოკს", ფიცრეულების უსწორ-მასწორო კონგლომერატს, რომელიც გაგრძელებული იყო ფონტანკიდან ვიდრე ბოლშაია სადოვაიამდე და ჩერნიშევის შესახვევიდან აპრაქსინის შესახვევამდე. აქ ბევრი ათასი ვაჭარი ჰკარგავდა მთელ თავის ქონებას. ცეცხლის გაჩენის პირველ დღეებშივე ხალხში გავრცელდა ხმები, რომ ცეცხლს სტუდენტები ან პოლონელები უკიდებენ. მიზეზად ასახელებდენ მებატონეთა შვილების შურისძიებას გლეხების განთავისუფლების გამო. იყო კიდეც რამდენიმე შემთხვევა, როცა მხეცურად გაუსწორდენ ყოვლად უდანაშაულო სტუდენტებს, რომელთაც ბრბომ სტაცა ხელი ქუჩაში, ცეცხლში ჩააგდო, და თან ზევიდან ანთებული შეშა დააყარა. რასაკვირველია, „სევერნაია პჩელა"-მ მაშინვე ისარგებლა ამ ხმებით, თითქო სტუდენტები არიან მიზეზი ცეცხლის გაჩენისა, და ყოველ ღონეს ხმარობდა ამ ხმების გასავრცელებლად. მე და სამარინმა გადავწყვიტეთ მოგვეწყო რაც კი შეიძლება მრავალრიცხოვანი ჯგუფი სტუდენტებისა, რომელიც ზარის პირველ ჩამორეკისთანავე მიეშურებოდა სტუდენტური ქუდებით ცეცხლის გაჩენის ალაგს და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა ცეცხლის ჩაქრობას, რათა დაემტკიცებინა ხალხისთვის, რომ სტუდენტები არა თუ ცეცხლის წამკიდებლები, არამედ მისი ჩამქრობები არიან, რომ მათ არა ფერი ჰშურთ ხალხის კეთილდღეობისათვის. იმ ორი კვირის განმავლობაში მეტის-მეტად ვმუშაობდით დაუსვენებლივ და ისე საშინლად გავშავდი. რომ ჩემი ცნობა ძნელი იყო. მაინც, მიუხედავათ ყოველივე ამისა, რამოდენიმეჯერ კინაღამ ცოცხლივ არ დაგვწვეს,[1]) და რასაკვირველია მიუხედავად ჩემი შრომისა, მაინც ვერ გავაქარწყლეთ ხალხში გავრცელებული ხმა. განსაკუთრებით ერთი სცენა დამახსოვდა იმ დროიდან, ცეცხლს გუზგუზი გაჰქონდა და ზღვასავით ფართოვდებოდა ყოველმხრივ „ტოლკუჩი რინოკის" უზარმაზარ მიდამოზე, როცა გაისმა ხმა, „მეფე მობრძანდაო". ღამის პირველი ან მეორე საათი იქნებოდა, ყველაფერი განათებული იყო ბრწყინვალე,

[1]) ერთხელ ხანძრის დროს მე დამაპატიმრა პოლიციამ უბნის უფროსთან წალაპარაკების გულისათვის, როდესაც ხალხმა დაპატიმრებული დამინახა, იფიქრა, რომ „ცეცხლის წამკიდებელი" დაიჭირეს და ცოტა მაკლდა ცეცხლში არ გადამიძახეს. საბედნიეროდ იქვე გამოჩნდა ახალგაზრდა ხელოსანი, რომელმაც დაადასტურა ჩემი სიტყვები, რომ მე დამაპატიმრეს, რადგან უბნის უფროსს, რომელიც ხალხსა სცემდა, მე საყვედური უთხარი. რომ ეს ხალხნი არა, უსათუოდ დამწვავდენ, რადგან ხალხმა ჩემი თავი უკვე გამოგლიჯა პოლიციელებს ხელიდან და ისინი იყო ცეცხლში მიპირებდენ ჩაგდებას.

თვალის მომჭრელი სინათლით: ჩვენ ყველანი, და ჩვენთან ერთად სიმწარით გაგიჟებული ვაჭრებიც, მივცვივდით სახელმწიფო ბანკის ჭიშკარს სადოვიაზე, რომლის წინ იდგა მეფე თავის ამალით. გეჩვენებოდათ, რომ ისინი უფრო აღტაცებული არიან ამ გრანდიოზული სანახაობის მშვენიერებით, ვიდრე ფიქრობენ იმაზედ, რომ განკარგულება გასცენ ცეცხლის საწინააღმდეგოთ ბრძოლისთვის. ამალის ყველა წევრები მხიარული და აღტაცებული იყვნენ; არავინ გენერალთაგანი ან ადიუტანტი არ დაძრულა განკარგულების გადასაცემათ. ბევრს მათგანს სერთუკები გახსნილი ჰქონდა, რაც მეტად საკვირველი იყო სამხედრო პირთათვის, როდესაც კი ქარმა მათ მხარეს დაუბერა და ნაპერწკლები მიაყარა მეფის ამალას, დაუძახეს ეტლებს, ჩასხდენ და სწრაფად გაქუსლეს. მხოლოდ ერთი-ორმა ვაჭარმა ამოიოხრა მწარედ: „Эх-ма"; დანარჩენები პირჯვარს იწერდენ. ამ წუთში ჩაქრა ჩემი უკანასკნელი მონარქისტული გრძნობები.

XI

ზაფხულში პეტერბურგი უცეცხლოთაც აუტანელია და ცარიელი. ეხლა კი ყოვლად შეუძლებელი გახდა მასში დარჩენა. წინა წელში ქართველი სტუდენტობა გადასახლდა სააგარაკოთ „ჩერნაია რეჩკა"-ზე. ეხლა მათ პავლოვსკი ირჩიეს, სადაც ბეც დავიქირავე ჩემთვის პატარა ოთახი შუაქალაქში. მე განზრახული მქონდა მომეკიდნა ხელი სერიოზულ კითხვისთვის „თვითგანვითარების" მიზნით, მაგრამ რაც უფრო მეტსა ვკითხულობდი, მით უფრო ნათლად ვხედავდი, თუ რა ცოტა რამ ვიცოდი. მაინც მე ჩაფლული ვიყავ მეორმოცანე წლების „ოტეჩესტვენნა ზაპისკ"-ების ძველ წიგნებში, გერცენის „წერილებში ბუნების შესწავლის შესახებ", როცა ამხანაგებისაგან შევიტყე, რომ ჩერნიშევსკის ოჯახიც გადმოვიდა პავლოვსკში საგარაკოთ. ოლგა სოკრატის ასულს მე იმ დღესვე შევხვდი მუსიკაზე სადგურის წინ. ორკესტრს მაშინ ლოტბარობდა და ქალების გულებსაც იტაცებდა განთქმული იოჰან შტრაუსი ვენის მაღალნიჭიერი კომპოზიტორი პოლკების და ვალსებისა. მის მოსასმენათ დადიოდა მთელი პავლოვსკი, დრო-და-დრო ჩამოდიოდენ აგრეთვე ცარსკოე სელოდან და პეტერბურგიდან. ჩერნიშევსკის მეუღლე და მისი დაი, მეპატიჟებოდენ დილის სეირნობაზე პავლოვსკის მშვენიერ პარკში და მეტადრე მის მომხიბლავ ტბებზე ნავით საცურაოთ; ნავზე დაუღალავად ვუსვამდი ნიჩბებს და თან ვუზიარებდი ოლგა სოკრატის ასულს ჩემს ნაფიქრს სადღეისო ლიტერატურულ და პოლიტიკურ საჭირბოროტო საკითხების შესახებ. ის კი გადმომცემდა მისი ქმრის აზრებს ამავე

საკითხებზე. ნავით ჩვენ ხშირად დავდიოდით ფერმაში, რომლის ახლო იდგა გიმნასტიური სავარჯიშო მოწყობილობა. აქ ჩვენ დიდხანს ვქანაობდით, ვტრიალებდით, ან კიდევ ვისვენებდით „ფანჩატურში", სადაც ოდესმე დედოფალი მარია ფეოდოროვნა, პავლე I-ის ქვრივი, იკრებდა თავის გარშემო პოეტებსა და მწერლებს, ჟუკოვსკისა და კარამზინის მეთაურობით. ქ-ნი ოლგა ხუმრობდა ხოლმე, რომ ეხლა სამეფო კარის ჩვეულებანი ის აღარ არის, რაც იყო, რომ ეხლა მწერლები აღარ უყვართ იქ, პირიქით, ისინი სძაგთ მეფეებსო.

ფიქვის სურნელებით გაჟღენთილ ამ ჯანსაღ ატმოსფერაში ჩვენ მთელ დღეებს ვატარებდით, სანამ ჩერნიშევსკი პეტერბურგში იყო. როცა კი ის ჩამოდიოდა პავლოვსკში, ცოლი აღარ შორდებოდა მას. მაშინ მეც უფრო ხშირათ ვხვდებოდი ჩერნიშევსკის და უკეთ ვაკვირდებოდი ამ ადამიანს. მეტადრე მაშინ, როცა ოლგა სოკრატის ასულის თხოვნით დავბინავდი მათ აგარაკზე და დავდექი მეზონინში მის ძმასთან ერთად, რომელიც იმ დროს ჩამოუვიდათ სარატოვიდან.

ჩერნიშევსკი იყო შუატანისა, ბლონდინი, ბეცი, ოქროს სათვალეებით. დადიოდა ყოველთვის ძალიან სწრაფათ, აჩქარებით. დილიდან შუაღამემდე სულ მუშაობაში იყო გართული. ახლობლების სიტყვით მან არავითარი გართობა არ იცოდა: არ დადიოდა არც თეატრში, არც კონცერტებზე, არც კლუბში და არც ნაცნობებში. კარტი, რომელიც იმ ხანად მაინც მეტად გავრცელებული საყოველთაო გასართობი იყო, არც კი იცოდა როგორ დაეჭირა ხელში. რაღა მოსახსენებელია, რომ იგი არა თუ არ სვამდა, არამედ თამბაქოსაც არ ეწეოდა. ცოლი და შვილები—საშა და მიშა, გაგიჟებით უყვარდა, პირდაპირ აღმერთებდა. თვით ოლგა სოკრატის ასული ზრუნავდა ჩერნიშევსკიზე ისე, როგორც მხოლოდ დედას შეუძლია იზრუნოს ძუძუთა ბავშვზე. ის გვარწმუნებდა, რომ ჩერნიშევსკი არ არის ამ ქვეყნიური, არაფერი გაეგებარა ცხოვრებისა, და რომ არვინ იზრუნოს მისთვის, ის შიმშილით მოკვდება. ოლგა სოკრატის ასული და არა ჩერნიშევსკი, მისივე სიტყვებით, აწარმოებდა ანგარიშს ნეკრასოვთან, „სოვრემენნიკ"-ის გამომცემელთან, თორემ ჩერნიშევსკის არც კი ემახსოვრებოდა, თუ რამდენი ერგება ჰონორარი.

ჩემდამი დამოკიდებულებაში ჩერნიშევსკის ისე ეჭირა თავი, როგორც ბავშთან. მე ეს არც მწყინდა: მე სრულებით ბუნებრივად მიმაჩნდა, რომ ასეთი მცოდნე ადამიანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი ტოლი, რომელმაც ჯერ არაფერი ვიცოდი. მე არც კი მომწონდა, როცა სტუმრები არ იყვნენ, რაკი მარტოს მხედავდა, დამიწყებდა ხოლმე საუბარს. მიყვარდა მისი ლაპარაკის ყურის გდება, როცა

ის სხვებს ემუსაიფებოდა. საუბედუროთ, მის საუბარს მეტ წილად ირონიული ხასიათი ჰქონდა. იგი ყოველთვის ხუმრობით ან ალეგორიებით ლაპარაკობდა, ან ისეთს პასუხს იძლეოდა, რომ მათი გაგება ასეც შეიძლებოდა და ისეც, და ზოგჯერ კი სრულებითაც ვერას მიხვდებოდი. მაინც მისი აზრებიდან, რომელიც მესმოდა, ან პირადად მისგან, ან მის ახლობლებისაგან, ისეთი წარმოდგენა შევადგინე, რომ ის ძალიან მდარე აზრისა იყო მეფისა და მისი მინისტრების შესახებ, დარწმუნებული იყო, რომ ისინი ვერ გაუძღვებოდენ და ვერ მოაგვარებდენ ომის შემდეგ აწეწილ საქმეებს, ვერც გლეხობის უკმაყოფილებას დააშოშმინებდენ მათი განთავისუფლების მანიფესტით, ან შინაური რეფორმების დაპირებით, არც პოლონეთის ახლად დაწყებული აჯანყება მოასწავებდა კარგ რამეს მთავრობისათვის. ამის წინ, გაზაფხულზე, გლეხთა განთავისუფლების მანიფესტის გამოცხადების დროს, იყო რამდენიმე, ვითომდა „გლეხობის აჯანყება". სოფ. ბეზდნაში (ყაზანის გუბ.) დახვრიტეს გლეხი ანტონ პეტროვი. ჩერნიშევსკი დიდ მნიშვნელობას აძლევდა როგორც ამას, ისე სტუდენტების მღელვარებას; მას იმედი ჰქონდა პროპაგანდა შეუწყვეტლივ გაიზრდებოდა იმ წრეებში, სადაც მოხვდებოდენ სტუდენტები კურსის დამთავრების ან შეწყვეტის შემდეგ. მას ძალიან კარგათ ესმოდა მასსის ინერციის ძალა და იცოდა, რომ ბოლოს და ბოლოს პროგრესი ერთბაშად ვერ გაიმარჯვებდა, რომ იქნებოდა რამდენიმე და საკმაოდ ბევრი გამარჯვებაც და დამარცხებაც. ბოლოს და ბოლოს, აპაში ეჭვი არ იყო, გაიმარჯვებდა სიმართლე და გონიერება, მაგრამ ეს ჩქარა არ მოხდებოდა, რომ არა ერთი თაობა,—ამას იგი ჩვენ, ახალგაზრდობას, არ გვიმალავდა,—შეეწირება მსხვერპლათ კეთილის გამარჯვებას. მაგრამ მას ამავე დროს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ სასოწარკვეთილება, რომელმაც მოიცვა უმაღლესი წრეები ყირიმის ომის შემდეგ, ლოგიკურის აუცილებლობით მიიყვანდა რევოლიუციამდე, რომლის გამარჯვება ხანგრძლივი არ იქნებოდა და რომელიც გამოიწვევდა სასტიკ რეპრესიებს რეაქციის მხრით მოწინავე ელემენტების წინააღმდეგ. მან იცოდა, რომ დაიღუპებოდა; მაგრამ არ ეგონა, რომ ეს ისე მალე მოხდებოდა. ერთი რამ მაკვირვებდა მასში: ეს იყო მისი უზომო რწმენა, რომელიც მეც კი გადაჰარბებულად მეჩვენებოდა, რწმენა სიმართლის უძლეველი ძალისა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე, რაც გონიერია, უძლეველია ბოლოს და ბოლოს, რომ პროგრესი შეუჩერებელი და უკვდავია. და კიდევ მას ჰყავდა ერთი ფეტიში—ხალხი. რახან ხალხში ერთხელაც არის გადავარდა ჰეშმარიტების თესლი, შეუძლებელია მას არ დახვდეს იქ

კეთილი ნიადაგი: იგი აუცილებლად ამოვა და მოიტანს დიდ მოსავალს, სასარგებლო ნაყოფს. რამდენჯერმე მინახავს ჩერნიშევსკი ამ თემაზე მოკამათე: სად იყო მაშინ მისი ირონია? ამ იშვიათ წუთებში მას ჰქონდა უკვე შეხედულება ნამდვილი მოქადაგის, ფანატიკოსის. ასეთ წუთებში ოლგა სოკრატის ასული, რომელიც საზოგადოდ არ მონაწილეობდა ხოლმე ქმრისა და სტუმრების საუბარში, ჩაერეოდა კამათში და მოხერხებულად სპობდა მას.

ჩვენი სტუდენტები ხშირათ ნახულობდენ ჩერნიშევსკის ოჯახს, მეტადრე როცა თითონ ჩერნიშევსკი ჩამოვიდოდა ხოლმე პეტერბურგიდან. გაიმართებოდა მაშინვე საუბარი და გამოკითხვა უკანასკნელი ამბების, რეფორმების და პოლიტიკის შესახებ. ჩერნიშევსკი ისეთის კილოთი ლაპარაკობდა ხოლმე ყოველივე ამაზე, რომ ვერ გაიგებდი, სად თავდებოდა სიმართლე და სად წყდებოდა დაცინვა. იმ დროს წინა რიგში იდგა არა პეტერბურგის, არამედ ვარშავის მღელვარების ამბები. მეფის მოადგილეთ პოლონეთში დანიშნული იყო დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, რომელმაც თანაშემწედ აიყვანა თავადი ველეპოლსკი. ორივე შეუდგა ძნელ საქმეს—პოლონელების შერიგებას რუსეთთან. პეტერბურგში მაშინ ცოტა იყო ისეთი, ვისაც სჯეროდა ამ ოცნებისა. სამხედრო პირთა შორის, რუსებშიაც კი, და მეტადრე მეცნიერთა შორის, ისეთი აზრი ტრიალებდა, რომ პოლონეთის სრული განთავისუფლება გააძლიერებდა რუსეთის სამხედრო ძალას, რადგან რუსეთისათვის პოლონეთი მხოლოდ ბორკილებს წარმოადგენდა. ამ დროს ხელიდან ხელში გადადიოდა—ამ აზრით შედგენილი, საკმაოდ დამაჯერებელი წერილი, რომელიც უმეტეს ნაწილად სტრატეგიული მოსაზრებით იყო დასაბუთებული. დიდი მთავრის რეფორმებიდან კი არა გამოდიოდა რა. როგორც ყოველთვის ხდება, უკიდურესებმა ობსტრუქციებს მიმართეს: ჯერ ველეპოლსკის მოკვლა განიზრახეს და შემდეგ—თვით მეფის მოადგილის. ჩერნიშევსკი მოელოდა აქ დამარცხებას და სამხედრო წერილის აზრს ადგა. ალბათ მან ეს აზრები შეითვისა 1857—1858 წლებში, როცა მეგობრობდა გენერალური შტაბის ოფიცრებთან ან და მათთან ერთად მუშაობდა ,,ვოენნი სბორნიკ''-ის რედაქტორად, რომელიც სამხედრო სამინისტროს ოფიციალური ორგანო იყო.

ვარშავის მღელვარებათა მიუხედავათ, ხანძრების ჩაქრობის შემდეგ, პეტერბურგში ყველაფერი დაწყნარდა. ჩერნიშევსკის ოჯახი მეტად ააღელვა იმ წინადადებამ, რომელსაც იძლეოდა გერცენი ,,კოლოკოლში'', ,,სოვრემენნიკ''-ის დახურვის გამო. მისი წინადადება იყო ეს ჟურნალი გადაეტანათ დასაბეჭდათ ლონდონში, მისი ხარჯით

ჩერნიშევსკისთვის ძნელი არ იყო აეხსნა თავისი მეგობრებისათვის, რომ ამ აზრის განხორციელება ყოვლად დაუშვებელი იყო. ამის შემდეგ ოლგა სოკრატოვნას შეატყობინა უფროსი კურსის სტუდენტმა და ჩვენმა ამხანაგმა დაპერის დროს ევგენი პეჩატკინმა, წიგნებით მოვაჭრის ძმამ და ქალალდის ქარხნის მოზიარემ, რომ ჩერნიშევსკის აუცილებელი დატუსაღება მოელის. მან შეაძლია ოლგა სოკრგტოვნას ფული და პასპორტი სხვის სახელზე, რომლითაც ჩერნიშევსკის შეეძლო საზღვარ-გარეთ წასვლა, სადაც შემდეგ ოლგა სოკრატოვნაც წავიდოდა; ჩერნიშევსკიმ კატეგორიული უარი განაცხადა ამ თავაზიან წინადადებაზე. ის ჩემთან ამტკიცებდა, რომ ემიგრანტად გახდომით ის მოსწყდება რუსეთს, „მის საზოგადოებრივ მაჯის ცემას" და უკან ჩამორჩენილი გადაიქცეოდა უსაქმო ყბედათ, ბუზღუნათ. ეს მისი სიტყვები მე ცხადლივ მახსოვს. ამ სიტყვებმა თითონ მე გადამარჩინეს შემდეგში ემიგრანტობისაგან. ამას ჩერნიშევსკი უმატებდა ხოლმე, ალბათ ცოლის დასამშვიდებლად, რომ თუ დაიპერენ კიდეც, როცა დარწმუნდებიან, რომ ბრალი არაფერი აქვს, იძულებულნი იქნებიან გამოუშვან. „ხომ არ შეუძლიანთ გამასამართლონ იმ წერილებისთვის, რომელნიც ცენზურის მიერ ნება დართულია, სხვა დანაშაული კი მე არაფერი მიმიძღვის",—ამბობდა იგი. ცოლიც დარწმუნებული იყო, რომ სხვა ბრალი მას არა ჰქონდა რა, მაგრამ მაინც ის მეტად ღელავდა და იძახოდა: „იმათ ეშინიათ მაგისი და არ გამოუშვებენ"-ო.

XII

არ მახსოვს რამდენმა ხანმა განვლო ამ ლაპარაკის შემდეგ, ჩერნიშევსკი პეტერბურგში იყო შლოსერის თარგმნის გამო, როცა იგი დაატუსაღეს, და თან წაიღეს ყველა მისი ქალალდები, კორექტურები, მისი ცოლისა და მშობლების წერილებიც კი. ჩერნიშევსკის განკარგულებისა და სურვილის თანახმად, ოლგა სოკრატოვნა, მაშინვე ქმრის დაპერის შემდეგ, გაუსწორდა ქალაქისა და აგარაკის ბინებს, ჩერნიშევსკის ბიძაშვილის, პროფესორი ა. ნ. პიპინის და მის ძმის სერგეის, რომელიც სერნო-სილოვიევიჩის წიგნის მაღაზიის გამგე იყო, დახმარებით, ჩაალაგა თავისი ნივთები და წავიდა სარატოვში, სადაც მათ თავისი სახლი ჰქონდათ, ჩერნიშევსკის მამის, სობოროს დეკანოზის მემკვიდრეობა. აქა ჰქონდა ნათქვამი დარჩენა ოლგა სოკრატოვნას ჩერნიშევსკის განთავისუფლებამდე. ოლგა სოკრატოვნა მიდიოდა ყოვლად უიმედო. გამოთხოვებისას მან გაიმეორა: „ისინი მას აღარ გამოუშვებენ!" ჩერნიშევსკის შესახებ ბრუნვა და შუა-

მდგომლობა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, იკისრეს ნეკრასოვმა და პიპინმა.

XIII

ჩერნიშევსკის ოჯახის წასვლის შემდეგ მე საშინელმა სევდამ შემიპყრო: მე ისევ ჩემ პატარა ოთახში გადავედი. კითხვა არ შემეძლო. წამდაუწუმ ხან ამხანაგებთან ერთად და ხან მარტოდ-მარტო დავდიოდი, ხან კოლპინოში, ხან პულკოვოში. რამდენიმე საათობით ვიჯექი ხოლმე იეორის მდინარეში, ვიჭერდი თევზებს და ამავე დროს ვეძლეოდი ფიქრებს იმ საბედისწერო საკითხების გამო, რომელნიც ჩემთვის აუხსნელი დარჩა, მიუხედავათ ყველა ჩემი მეცადინეობისა და გამოკითხვისა. რამდენი ხანი გავიდა ასე, არ მახსოვს. ამ ხნის განმავლობაში მე შესამჩნევად გავიზარდე. დაიწყო წვიმები და ძალაუნებურად მომიხდა სახლში ჯდომა. მაწინ მომივიდა აზრად დამეწერა მოთხრობა პეტერბურგის მხარის ხელ-მოკლე სტუდენტების ცხოვრებიდან. ეს მოთხრობა „ისკრას" რედაქციაში გავგზავნე. ორი კვირის შემდეგ მოთხრობა დაიბეჭდა. ამის შემდეგ მოვიდა ჩემთან ჟურნალის ლიტერატურული ნაწილის რედაქტორი, პოეტი, ბერანჟეს მთარგმნელი ვ. ს. კ უ რ ო ჩ კ ი ნ ი, რომელიც პავლოვსკში სცხოვრობდა. იგი მოვიდა, რათა ეთქვა ჩემთვის, რომ ჰონორარის მისაღებად, რომელიც სახუმარო არ იყო (75 მანეთი), მე უნდა შევსულიყავი კ უ ჟ ა ნ ჩ ი კ ო ვ ი ს წიგნის მაღაზიაში, სადაც „ისკრა"-ს კანტორაც იყო მოთავსებული. რედაქტორს თან ახლდენ თანამშრომლები, იმ დღეს მოსულნი ქალაქიდან და ლაზათიანად შეზარხოშებულნი. ესენი იყვნენ: ი. ფ. გ ო რ ბ უ ნ ო ვ ი, დ. დ. მ ი ნ აე ვ ი, პოეტი-მსახიობი ჟ უ ლ ე ვ ი („სკორბნი პოეტ") და ი. ი. დ ი მ ი ტ რ ი ე ვ ი, უკანასკნელის გარდა ყველანი მაგრა გადაკრულში იყვნენ. მე ამათ რიეს „მუსიკაზე", ნამდვილად კი მუსიკის ახლო რესტორანში, სადაც ქეიფის გაგრძელება დაიწყო. ჩემს გვერდით მჯდომმა გორბუნოვმა აღტაცებაში მომიყვახა. იმან წარმოადგინა გენერალი დიტიატინი, რომელიც ახალგაზრდა კავკასიელ სტუდენტს ასწავლიდა მთავრობის პატივისცემას. „ყმაწვილო, ყმაწვილო,—ჩიფჩიფებდა ის, როგორც უკბილო ბებერი,—მთავრობა ამდენს ზრუნავს თქვენთვის, გასწავლით, ჩინებს გაძლევთ, თანამდებობას გიმზადებთ, აი თქვენი სომეხი დელიანოვი რა მაღალ თანამდებობაზე აიყვანა, თქვენ კი, უმადურები, აჯანყებას აწყობთ?!!" აქ მან გამოიცვალა კილო და მრისხანებით განაგრძო:—„ეხლა, ცხონებულმა ხელმწიფემ ნიკალაი პავლოვიჩმა ინებოს აბრძანება კუბოდან და შეგხედოთ! ყველას თქვენ, არამზადებო, ბორკილებს დაგადებდათ. ტრენბურგის ლინეინი ბატალიონებში, ცოცხლივ კუბოში ჩაგჭედ-

დათ''. მეცა და ყველა დანარჩენებიც, სულ მთლად უცხოებიც კი, ვხარხარებდით ისტერიკამდის. მხოლოდ გორბუნოვი იყო სერიოზული და ძართლაც მრისხანე, თითქოს ეს ნამდვილი გენერალი უჯავრდებოდა ხელქვეითს. ვერვის გაეგო, როგორ შეიძლებოდა ისეთი ოლიმპიური სიმშვიდის შენახვა ამგვარ კომიზმთან? დიმიტრიევი გვიკითხავდა, იმ ნომერში აკრძალულ ნაწყვეტს, რომელიც დაეწერა კ ა ს ტ ო მ ა ტ ო ვ ს კ ა ტ ო ვ ი ს წინააღმდეგ, ძველი რუსული მატიანების ენით. თანამშრომლები მხოლოდ უკანასკელი მატარებლით წავიდენ პეტერბურგში.

კუროჩკინმა არა ერთხელ წამიყვანა კიდევ ,,მუსიკაზე''. როცა ის ფხიზელი იყო, დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა, რადგან ნიჭიერი და განვითარებული ადამიანი იყო. საძწუხაროთ, მე იშვიათად მინახავს იგი ფხიზელი, რედაქციის კრებების დროსაც კი. ის მიხსნიდა მე, რომ მეც, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ცვარ ღვინოს არა ვსამ, ვერ გავძლებ დიდხანს და მეც დავიწყებ ლოთობას ,,до положения риз'', რომ უამისოთ პატიოსანი ადამიანი ვერ იცოცხლებს რუსეთში, გაგიკვირდებაო!—აი ჩერნიშევსკი, უპასუხებდი მე, ყმაწვილი არ არის, მაგრამ არა სვამს! კუროჩკინი გაოცდა; ,,ჩერნიშევსკი! შემყვირა მან, შეხეთ ვის დამადარა! ჩერნიშევსკი გენიოსია, წმინდანია! განა ის ადამიანია! ჩვენ კი უბრალო ადამიანის შვილები ვართ!''

ერთხელ პეტერბურგიდან შუალამისას დაბრუნებული მე წავაწყდი კუროჩკინს, რომელიც ქალაქში მიმავალ მეგობრებს ეთხოვებოდა. როცა მათი მატარებელი დაიძრა, კუროჩკინს ფეხი აუცდა; ის კინალამ ბორბლების ქვეშ მოჰყვა. მე შევაკავე და როცა დავინახე, რომ ფეხზე ვერ იდგა ძლივს-ძლივობით დავსვი ,,დროშკაზე'' და სახლში წავიყვანე. სახლში მისმა ხასამ მადლობის მაგივრათ ვაჟკაცურის ბოხის ხმით ლანძღვა-გინება დაიწყო: ,,საცოდავ ადამიანს ათრობთ და მის ხარჯით ქეიფობთო''! და სხვა. მე მაინც დავეხმარე, რომ ის კიბეზე აეყვანა, გაეხადა და ლოგინში ჩაეწვინა. ამ გვარია,—ვფიქრობდი მე გზაში,—ადამიანების უსამართლობა! მაგრამ მაშინვე გადავედი იმ აზრზე, თუ როგორ შეუძლიათ ისეთ მალალი ნიჭის პატრონებს, როგორიც კუროჩკინია, ცხოვრება ამისთანა გარპიებთან, როცა ქვეყანაზე იმდენია მათი ღირსი ანგელოზები, აი თუნდ, მაგალითად, მინადორა სოკრატოვნა,[1]) რომელიც იძულებულია იცხოვროს მიყრუებულ ალაგას, სადაც არც კი ვის ესმის, რა უძირო სიყვარულის ზღვა არის მისი წმინდა გული!

[1]) ოლგა სოკრატის ასულ ჩერნიშევსკის დაი.

მე კიდეც დავაპირე. დამეწერა მოთხრობა ამ თემაზე, თუ რო-გორ იღუპება ნიჭიერი ხალხი შეუსაბამო ცოლქმრობისაგან, და დიდ-ხანს ვფიქრობდი ამ საგანზე, როცა აგვისტოს ერთ ნათელ დილას, ჩემთან ყოვლად მოულოდნელად შემოვიდა მამაჩემის უფროსი „ნო-ქარი" პასიკოვი, რომელიც ერთ დროს თავისთავს პასკევიჩს უწო-დებდა. იმან ამისხნა, რომ მამაჩემმა გაიგო ქართველი სტუდენტების შიერ მშობლებთან მიწერილ წერილებიდან, იმ ხიფათის შესახებ, რო-მელიც ჩემ თავს იყო და რომელსაც ისევ შეიძლებოდა ციხეში მივე-ყვანე, და დაეკალებინა ჩემი წამოყვანა ნებით თუ უნებლიეთ. მე გა-დავეხვიე, რადგან მასში ცით მოვლენილი მხსნელი დავინახე. პეტერ-ბურგი შემჯავრდა. არავითარ რევოლიუციას მასში მე აღარ ველო-დი. უნივერსიტეტი დაკეტილი იყო, საჯარო ლექციები დახურული, „სოვრემენნიკი" აკრძალული, სტოპაკევიჩი წავიდა სამარაში გამომ-ძიებლად. დანარჩენი ნაცნობები შევიდენ ზოგი გიმნაზიების მასწავ-ლებლებად, ზოგი აქციზის მოხელეებად და ზოგი სასამართლოს გა-მომძიებლად. ისეთი სტუდენტები, რომელთაგანაც შეიძლებოდა რისი-მე სწავლა, სულ წავიდ-წამოვიდენ. ჩერნიშევსკი და მისი ოჯახი აღარ იყო. დრო იყო სახლში წასვლისა. მოთხრობების წერა და კითხვა სახლშიაც შეიძლებოდა. მგზავრობა მიხდებოდა არა ძველი გზით, საფოსტო ეტლებით, არამედ რკინის გზით ნიჟნი-ნოვგოროდამდე. შემდეგ ვოლგით—ცარიცინამდე, მერე დონით—როსტოვამდე, იქი-დან აზოვისა და შაგი ზღვით ფოთში. რამდენი ახალი შთაბეჭდი-ლება, რამდენ მეგობარს ვნახავ გზადაგზა ახალ თანამდებობაში, რო-მელთაც მიაქვთ ხალხში სიმართლისა და სიკეთის ხმა.

ჩავალაგე ჩემს ნათელ ფერის ჩემოდანში ჩემი წიგნები, რომ-ლებშიაც იყო ეგზომ მრავალი უფრო ნათელი იდეები და იმ დღესვე გამოვუდექი შორეულ გზას.

1923
ლონდონი

წ ე რ ი ლ ე ბ ი
ემიგრანტობის პერიოდიდან
1865—1868

წერილი პრუდონზე

პრუდონის გარდაცვალების გამო

პიერ-ჟოზეფ პრუდონი სოფლის უბრალო მეკასრის შვილი იყო. იგი დაიბადა ბეზანსონის ახლოს. მასაც მამის ხელობისათვის უნდა შეეყო ხელი, რომ უალრესად ნიჭიერ პიერს კეთილისმყოფლები არ გამოსჩენოდენ და მისი ბედი სხვაგვარად არ წარემართათ. მათი მეოხებით პრუდონი შევიდა ბეზანსონის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ისწავლა წერა-კითხვა და ყველაფერი, რისი სწავლაც კი შეიძლებოდა სასულიერო სასწავლებელში. რამდენიმე ხნის შემდეგ პრუდონი იძულებული შეიქნა სასწავლებელი მიეტოვებინა, რადგან მის ოჯახს დახმარება სჭირდებოდა. ამ მიზნით პრუდონმა ბეზანსონის ერთ-ერთ სტამბაში დაიწყო მუშაობა ასოთ-ამწყობად. მუშაობისაგან თავისუფალ დროს იგი განაგრძობდა თავის მეცადინეობას. პრუდონი კითხულობდა იეზუიტური გამოცემებითა და ებრაული ენის სახელმძღვანელოთი დაწყებული, ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდა. სტამბაში თავისი პატიოსნებითა და მუყაითობით მან დაიმსახურა საერთო სიყვარული და ამხანაგების უდიდესი პატივისცემა. პრუდონი ამ რეპუტაციას შემდეგშიაც უმწიკვლოთ ინახავდა; ამიტომ იგი ამხანაგათ შეიყვანა ერთმა პატარა კამპანიამ, რომელსაც სასტამბო ხელოვნებაში რაღაც გაუმჯობესების შეტანა ჰქონდა მიზნათ დასახული. ახალ მდგომარეობაში ჩავარდნილი პრუდონი წინანდელზე უფრო გულმოდგინეთ შეუდგა მუშაობას და მოკლე ხანში ბეზანსონის საზოგადოებისა და იქაური აკადემიის ყურადღება მიიქცია: მან ფრიად ჩინებულად გამოსცა დაბადება, რომელსაც შენიშვნები ჰქონდა დართული, გამოუშვა ხალხისთვის საკითხავი წიგნები და, რაც უფრო საყურადღებო იყო, გამოაქვეყნა თავისი თხზულება ზოგადი გრამატიკის შესახებ. ამ თხზულებისათვის იგი დააჯილდოვეს ბეზანსონის აკადემიური პრემიით—ყოველწლიური პენსიით, რომელიც უდრიდა 1600 ფრანკს (400 მან.) ამ მოულოდნელმა ჯილდომ პრუდონს საშუალება მისცა გამგზავრებულიყო პარიზს და გულმოდგინეთ ჩასჯდომოდა ლიტერატურისა და ეკონომიური პრობლემების შესწავლას. 1840 წელს პრუდონმა ბეზანსონის აკადემიას თავისი რამდენიმე ახალი ნაწარმოები გაუგზავნა. მაგრამ ამ ნაწარმოებთ აკადემიური ხასიათი არ ჰქონდათ და აკადემიამ ისინი არ მოიწონა, აკადე-

მიურ საიდუმლოებს პრუდონი ჯერ კიდევ არ იყო განდობილი. ამიტომ შემდეგ წელს ბეზანსონში მან გაგზავნა თავისი ცნობილი ტრაქტატი: „რა არის საკუთრება?“ ამ თხზულების ხასიათმა დამსახურებული აკადემიკოსები იძულებული გახადა პრუდონისათვის პენსია მოესპოთ, ის პენსია, რომელიც მას საგრამატიკო ცდისათვის ჰქონდა მისჯილი. მაგრამ ივლისის მთავრობა ამ სასჯელით არ დაკმაყოფილდა. მან ცნობილ ეკონომისტ ბლანკის დაავალა პრუდონის თხზულების გარჩევა. მაგრამ ბლანკიმ განაცხადა, რომ პრუდონის თხზულების საფუძველში ვერაფერი ვნახე კანონისა და საზოგადოების საწინააღმდეგო და, მაშასადამე, პროცესის დანიშვნაც ზედმეტიაო. ბლანკის ამ განცხადების საპასუხოდ პრუდონმა გამოსცა მეორე ტრაქტატი იმავე საგნის შესახებ, სპეციალურად მიძღვნილი ბლანკისათვის. აქ პრუდონმა უფრო მეტის სიძლიერითა და სიმძაფრით გამოხატა თავისი აზრები. ამ თხზულებას მან მოაყოლა პატარა ბროშურა „Avis aux proprietaires“, რომლის გულისთვისაც პრუდონი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ პროცესი მის სასარგებლოთ დამთავრდა. ეს მოხდა 1842 წელს. 1842 წლიდან 1846 წლამდე პრუდონი, რომელიღაც კომერციულ წარმოებაში მსახურობდა ლიონში. ამ წარმოებას განზრახული ჰქონდა სამხრეთ-საფრანგეთის მდინარეებზე საქონლის გადაზიდვ-გადმოზიდვის საქმის მოწყობა. პრუდონმა მრავალი გაუმჯობესება შეიტანა ამ საზოგადოების საქმეებში. საზოგადოების მეპატრონეებს არა ერთხელ მიუმართავთ მისთვის წინადადებით და თხოვნითაც კი, რომ იგი საზოგადოებაში ამხანაგათ შესულიყო. მაგრამ პრუდონმა არ ისურვა საზოგადოების ამხანაგად გახდომა. ამ პერიოდში მან დაბეჭდა რამდენიმე ნაშრომი, უმთავრესად პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, ხოლო 1846 წელს მან გამოსცა თავისი საუკეთესო თხზულება — „ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა“.

თებერვლის რევოლიუციამ პრუდონს, ისე როგორც მისი დროის სხვა საზოგადო მოღვაწეებს, მოულოდნელად მოუსწრო. როგორც ვიცით, საქმე არჩევნების რეფორმას ეხებოდა და ჯერ კიდევ თებერვლის 24-ს ძალიან ნაკლებად ფიქრობდენ ერთ-ერთ ისეთ მესამე ხარისხოვან საკითხზე, როგორიც იყო ოპოზიციის მიერ საყოველთაო ხმის მიცემის მოთხოვნა. ეგრეთწოდებული ზომიერი ლიბერალ-რესპუბლიკანელები, რომელთაც სათავეში უდგენ ლამარტინი, გარნიე, პაჟესი, მარი et consort, ძლიერ შეშინდენ, როდესაც დაინახეს, რომ საქმე უკვე სახუმრო ხასიათს არ ღებულობდა. გართულების თავიდან ასაცილებლათ, მათ იკისრეს ამ საქმის მფარველობა, ანუ, რო-

გორც ისინი მაშინ აცხადებდენ, იკისრეს ამ საქმის პასუხისმგებლობა. ლუი-ბლანი, ლედრიუ-როლლენი და ბევრი სხვა 24 თებერვალს იმდენად დაბრმავებულები იყვენ, რომ სრულიად დაიბნენ და ასჯერ მეტი შეცდომა დაუშვეს, ვიდრე ზომიერებმა. ყოველივე ეს უკვე დიდი ხანია ცნობილია და არა ღირს ამ შეცდომათა სამწუხარო ისტორიის ხელახლა მოთხრობა. მე თუ შევეხე მას, მხოლოდ იმისთვის, რომ მეთქვა,—პრუდონი ამ დროს მდგომარეობის გამორკვევას უცდიდა ერთის თვის განმავლობაში: იგი თვალყურს ადევნებდა „დროებითი მთავრობის“ ყოველ ნაბიჯს, მის შეცდომებს და ყურს უგდებდა საზოგადოებრივ მოძრაობას. ბოლოს, როდესაც დარწმუნდა, რომ საქმე სერიოზულ ხასიათს ღებულობდა, პრუდონმა გადასწყვიტა შეერთებოდა საზოგადოებრივ მოძრაობას და შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყო საზოგადოებრივი საკითხის უკეთესი გადაჭრისათვის. ამ მიზნით მან დაარსა ყოველდღიური პოლიტიკური გაზეთი „ხალხის წარმომადგენელი“, რომელმაც 1848 წლის აპრილში დაიწყო გამოსვლა. პრუდონის საკმაოდ დიდი პოპულიარობა, რომელიც მან ჯერ კიდევ ძველი თხზულებებით მოიპოვა, იზრდებოდა, როგორც იტყვიან, არა დღეობით, არამედ საათობით. დამდეგ მაისის თვეში იგი 73,000 ამომრჩევლის მიერ „ნაციონალური საკრებულოს“ ღეპუტატად იქნა არჩეული. საკრებულოში მან დაიკავა ადგილი მარცხენა მხარეზე და მიიღო ფრიად ცხოველი, თუმცა სრულიად უშედეგო, მონაწილეობა კონსტიტუციისა და სხვა საზოგადოებრივი საკითხების გარჩევაში.

ამასობაში გარემოებები რთულდებოდენ და თებერვლის რევოლიუციას ნელ-ნელა სამარეს უთხრიდენ. უამრავი პარტიების: ბურბონისტების, ორლეანისტების, ბონაპარტისტების და სხვა ისტების რეაქცია თანდათან მძვინვარდებოდა და ზედიზედ ამარცხებდა ახალი წყობილების მომხრეთ. 1848 წლის 26 ივნისის გამარჯვებამ პარიზის პროლეტარებზე „ზომიერ“ პარტიას საშუალება მისცა აეტეხა დევნა იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელსაც მარცხენა ფრთა ეკავა „ნაციონალურ საკრებულოში“ და სხვათა შორის პრუდონის წინააღმდეგაც. „ხალხის წარმომადგენელი“ დაკეტეს სექტემბერში. შემდეგ თვეში პრუდონი შეუდგა ყოველდღიური გაზეთის—„ხ ა ლ ხ ი“-ს გამოცემას. ამ გაზეთს იგივე ბედი ეწვია, რაც „ხალხის წარმომადგენელს“. ამის შემდეგ პრუდონმა დაარსა კიდევ ორი გაზეთი: „ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ა“ და ისევ „ხ ა ლ ხ ი“. მათაც თავისი წინამორბედთა ბედი გაიზიარეს. ბოლოს და ბოლოს, 1849 წელს, პრუდონს მიუსაჯეს სამი წლის ციხე. პრუდონი საპატიმროშიაც არ სწყვეტდა თავის პუბლიცისტურ

მოლვაწეობას: საპატიმროში მან დასწერა რამდენიმე პოლიტიკური ბროშურა, თუმცა ერც ერთი მათგანი არ ყოფილა პრუდონის წინანდელ თხზულებათა ზომის. მათ შორის განსაკუთრებით შესანიშნავია ბროშურა: „Revolution démocratique démontrée par la coup d'état". მაგრამ მკითხველი საზოგადოება ისეთი ალარ იყო, როგორც 1848 წელს. ეხლა რეაქცია მძვინვარებდა მთელი თავისი სიძლიერით და მოძრაობა, ასე მოუმზადებლად და ოდნავად დაწყებული 1848 წ. ჩანასახშივე იქნა მოსპობილი. ყოველივე ეს იყო მიზეზი იმ გარემოებისა, რომ პრუდონის ახალ თხზულებებს აღარც ძველებური ხასიათი ჰქონდათ, აღარც წინანდელი გავლენა მკითხველთა მასაზე. 1858 წელს პრუდონს მისი წიგნისათვის—„De la justice" კვლავ მიუსაჯეს სამი წლის პატიმრობა, მაგრამ იგი გაიქცა ბელგიაში, სადაც 1862 წლამდე დაჰყო. ამ წლის დასასრულს იგი იძულებული შეიქნა პარიზს დაბრუნებოდა.

ოცდახუთი წლის დაუღალავმა მოღვაწეობამ და განსაკუთრებით იმ ეპოქამ, რომელიც ამ პერიოდს წინ უსწრებდა, თავისი საბედისწერო დაღი დაასვეს პრუდონს. ფიზიკურად და სულიერად დაქანცული იგი ბოლოს იძულებული იყო ემუშავნა საარსებო პურის მოსაპოვებლად (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), რათა გამოეკვება თავისი ოჯახი. ყოველივე ამან უდროოთ მოუღო ბოლო პრუდონს. მას ვერ უშველა ვერც მისმა რკინის აგებულობამ. იგი გარდაიცვალა 7 (19) იანვარს პარიზში. მას დარჩა ცოლი და ორი პატარა ქალიშვილი.

* * *

პრუდონი ცხოვრობდა პარიზის ერთ-ერთ ყოფილ გარეუბანში, პასსიში, ცოლითა და ორი ქალიშვილით. მათ ეკავათ სამი პატარა ოთახიდან შემდგარი ბინა. როგორც პრუდონის დამარხვის დროს ითქვა, იგი დაიბადა, ცხოვრობდა და გარდაიცვალა, როგორც პროლეტარი. მართლაც, დასაფლავების დღეს დილით მის ბინაზე გახვრეტილი გროშიც კი არ აღმოჩნდა. პრუდონის მეგობრები და ნაცნობები იძულებული იყვენ ერთმანეთში მოეგროვებინათ მისი დასამარხი ფული. რადგანაც დრო ძალიან ცოტა რჩებოდა, ფრანკ-მასონთა საზოგადოებამ გაიღო სესხი კუბოს საყიდლად და ბალდახინის საქირავებლად, გასვენების დროს ქუჩა გაიჭედა აუარებელი ხალხით, რომელიც ჟურნალისტებისა, ლიტერატორების, მეცნიერების, სტუდენტებისა და მუშებისაგან შესდგებოდა. ამ დროს, ამ ქუჩაზე, უნდა გამოევლო ორ ბატალიონს—სანაპიროსა და საიმპერატორო გვარდიას. როდესაც ჯარი, რომელსაც თავში მუსიკოსები მოუძღო-

დენ, გარდაცვალებულის სახლს მოუახლოვდა, ზოგიერთებმა ხალხიდან მიმართეს ჯარის მეთაურებს და სთხოვეს შეეწყვიტათ მუსიკის დაკვრა. პოლკოვნიკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეიწყნარეს თხოვნა და ჯარი ბარაბანის დაუკვრელად გაატარეს. ამით აცილებული იქნა თავიდან მოსალოდნელი სკანდალი და შეიძლება სისხლის ღვრაც. ჯარისკაცები ძალიან გაკვირვებული იყვენ, რომ სახლს, სადაც მიცვალებული ესვენა, არავითარი სამგლოვიარო სამკაული არ ჰქონდა და არც რაიმე ეტყობოდა გასვენებისა.

საფლავზე ჩვეულებისამებრ სიტყვები წარმოსთქვეს. ერთმა ორატორმა აღნიშნა, რომ პრუდონის ოჯახი უგროშ-უკაპიკოთ არის დარჩენილი, მაგრამ ეს არავის გაჰკვირვებია. ანდა რა იყო საკვირველი იმაში, რომ ადამიანმა, რომელმაც ორმოცი წლის განმავლობაში დღე და ღამე წელში გაუნართავათ იშრომა, ვერ შესძლო თავისი დასამარხი ფულის, რაღაც ასიოდე მანეთის შეგროვება? ასეთი ამბავი ხშირი მოვლენაა და ამ მხრივ პრუდონი პირველსა და უკანასკნელ მაგალითს არ წარმოადგენდა.

* * *

პრუდონის მოღვაწეობაში მთავარს შეადგენდა კრიტიკა თანამედროვე ევროპის საზოგადოებრივი წყობილებისა და იმ ღონისძიებების, რომელიც ამ წყობილების გასაუმჯობესებლად იყო წარმოდგენილი.

პრუდონს მისი გამჭრიახი გონება საშუალებას აძლევდა ეპოვნა წინააღმდეგობანი და ხშირად მრავალი უაზრობა იმ თხზულებებში, რომელიც მას ხელთ უვარდებოდა. ამან პრუდონში განავითარა უნდობლობა, რომელიც თავის მხრივ უნდა გადასულიყო სკეპტიციზმში. პრუდონი დარწმუნდა, რომ ეკონომიური მეცნიერება, სხვა მეცნიერებათა მსგავსად, და შეიძლება უფრო მეტადაც, უსუსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამიტომ პრუდონი იძულებული იყო საკუთარ თავში, საკუთარ გონებაში ეძებნა დასაყრდენი და უნდობლობა გამოეცხადებინა ყოველივე გარემო არსებულისათვის. ამასთანავე ერთად უნდა ითქვას ისიც, რომ პრუდონი თავიდანვე მწვავედ გრძნობდა საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების მთელ სიმძიმეს: პროლეტარის შვილს, ათი წლის ასაკიდან იძულებულს საკუთარი ძალომით ერჩინა თავი და მოხმარებოდა ოჯახს, მაინცდამაინც არაფრად უნდა ყვარებოდა არსებული წყობილება... როდესაც პრუდონი პირისპირ შეხვდა მძიმე სინამდვილეს, ცხადია, იგი უნდა შეხეჩებოდა მრავალ, წინააღმდეგობითა და შეუსაბამობით აღსავსე აზრს. ამ წი-

ნააღმდეგობათა ძიება პრუდონის გონებრივი განვითარების პირველსა და უმძიმეს ნაწილს წარმოადგენდა და ძალაუნებურად მას უნდა დამყარებოდა მისი შემდეგი მოღვაწეობა. რა გასაკვირალია ამის შემდეგ, რომ ახალგაზრდობიდგანვე შეთვისებული ჩვეულება,—ყველაფერში წინააღმდეგობის ძიება,—პრუდონს ახასიათებდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე?.. ერთხელვე ამ გზაზე დამდგარი პრუდონი, დიდი ყოყმანისა და საკუთარ თავთან სასტიკი ბრძოლის შემდეგ, იძულებული იყო განეგრძო სვლა ამავე გზით, გაეწმინდა ეს გზა ძველი შეცდომებისაგან და უკუეგდო ძველი ბალასტი ანუ უკეთ—მამაპაპეული ტვირთი. მის გონებაში საპატიო ადგილი უნდა დაეჭირა სკეპტიკიზმსა და უარყოფას, როგორც მის ერთგულსა და საუკეთესო მეგობრებს და თანამებრძოლებს მისი პირველი ახალგაზრდობის ხანგრძლივ ბრძოლაში.

პრუდონს არ შეეძლო არ გამოეძებნა ის დასაყრდენი წერტილი, ის აღთქმის ქვეყანა, რომლის გულისთვისაც მას უნდა უარეყო პრინციპები, რომელშიაც იგი დაიბადა და აღიზარდა... პრუდონის უარყოფას უღრმესი აზრი აქვს: იგი უარჰყოფს თანამედროვე ეკონომიურ უწესრიგობას იმიტომ, რომ მოსურნეა ეკონომიურ ურთიერთობათა უკეთესი, გონივრული ჩამოყალიბებისა. უკანასკნელს მთელი მისი სიღრმით პრუდონი თუმცა ვერ სწვდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფანატიკოსის რწმენით სწამს მისი გამარჯვება. პრუდონს არაერთხელ უთქვამს გულახდილად, რომ მას სავსებით ცხადათ არა აქვს წარმოდგენილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეორგანიზაციის საშუალებები და თვით ამ ურთიერთობათა მომავალი სახე; მაგრამ ეს რეორგანიზაცია რომ მოხდებოდა და უკეთესს საზოგადოებრივ წყობილებას გამოიწვევდა,—ამაში პრუდონს მგონი არაოდეს არ შესვლია ეჭვი. აქ უარყოფა ადგილს უთმობდა უკეთესი მომავლის მტკიცე და ურყევ რწმენას და რაც უფრო ღრმა იყო და ძლიერი პრუდონში ეს რწმენა, მით უფრო ძალუმად უნდა უარეყო მას ყოველივე, რაც მისი იდეალის განხორციელებას აბრკოლებდა...

თვით პრუდონის განვითარების პროცესსა და ცხოვრების პირობებს მის გონებაში უნდა განევითარებინათ უმთავრესად უარყოფის უნარი. მის აზროვნებას, დაქანცულ-დაღალულს სამოღვაწეო ასპარეზის გასასუფთავებლად ჩატარებული უმძიმესი მუშაობით, უკვე აღარ ეყო ძალა არა ნაკლებ მძიმე დადებითი შემოქმედებისათვის; მისი საღი ძალები მთლიანად შეიწირა ბრძოლამ,—ამის შემდეგ რაღა გასაკვირალია, თუ პრუდონმა ვერ შეჰქმნა ვერაფერი დადებითი, რომ მან მხოლოდ უარყოფითი სარგებლობა მოიტანა.

* * *

პრუდონის სოფლმხედველობის დასახასიათებლად, გავიცნოთ მისი ეკონომიური სისტემის შინაარსი.

საფრანგეთის თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობათა წყალობით კაპიტალისტთა უმეტესობა (მათ რიცხვში მიწათმფლობელნი) არავითარ მონაწილეობას არ იღებს წარმოებაში. პირიქით, მიწის რენტა და კაპიტალზე დაწესებული პროცენტები აფერხებენ წარმოებას: მათი მეოხებით კაპიტალისა და მიწის მეპატრონეთა საგრძნობ ნაწილს საშუალება ეძლევათ თავის საკუთრებას უმეტესად ისეთი გამოყენება მისცენ, რომელიც ქვეყნისთვის უსარგებლოა. კაპიტალისტთა უმრავლესობა, მაგალითად, უმჯობესად სთვლის თავისი კაპიტალი გამოიყენოს საბანკო და საბირჟო ოპერაციებისათვის, აჟიტაჟისათვის და სხვ., ვინაიდგან ასეთი საქმე თუმცა სახიფათოა, მაგრამ გაცილებით უფრო შეეფსავლიანია, ვიდრე სამანუფაქტურო და სამიწათმოქმედო წარმოება. ეს საბირჟო ოპერაციები თუ ერთ ნაწილს სწრაფად ამდიდრებს, მეორე ნაწილს ისეთივე სისწრაფით აკოტრებს ხოლმე. ამგვარად ეს კაპიტალი ციყვის ბორბალს წააგავს,—ზრდის ნაცვლად იგი ერთ დონეზეა გაჩერებული და ერთი ჯიბიდან მეორეში გადადის. ყოველივე ამან პრუდონში დაბადა, ცხადია, არა ახალი აზრი: საჭირო იყო კაპიტალზე ძალის დატანება, რათა მას უშუალო და ცხოველი მონაწილეობა მიეღო წარმოებაში. მაგრამ ამის მისაღწევად აუცილებლობას წარმოადგენდა კაპიტალზე პროცენტების მიღების შესაძლებლობა მოსპობილიყო. კაპიტალისტები მაშინ იძულებული შეიქნებოდენ თავისი კაპიტალი ან პირადი საჭიროებისათვის მოეხმარათ, ან კიდევ პირდაპირ და უშუალოთ წარმოებაში დაებანდებიათ. პროცენტების გასაუქმებლად პრუდონმა მოიგონა სახალხო ბანკის თავისებური ორგანიზაცია. ეს ბანკი მწარმოებლებზე გასცემდა სესხს პროცენტების გადაუხდევნებლად. ასეთი ბანკის არსებობა შესაძლებლობას მისცემდა ყველა მწარმოებელს გამოეტანა სესხი მიწისა ან საწარმოო იარაღის შესაძენად; მოსახლეობის მწარმოებელ ნაწილს უკვე აღარ დასჭირდებოდა კაპიტალისტებისათვის მიემართა სესხის ასაღებად. ამგვარად პროცენტული შემოსავლის არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მოისპობოდა და მაშასადამე პროცენტების რაოდენობაც საგრძნობლად შემცირდებოდა. მაგრამ პრუდონი ამით არ დაკმაყოფილდა. მან გამოიმუშავა მთელი კომბინაცია სხვადასხვა ხასიათის ზომებისა, რომელთაც საბოლოოდ უნდა აღმოეფხვრათ და მოესპოთ მიწის რენტა და

კაპიტალზე შემოღებული პროცენტები. პრუდონს იმედი ჰქონდა, რომ ამ ზომებით საფრანგეთში მოგროვილ მთელ კაპიტალს საწარმოო იარაღად გადააქცევდა და იძულებულს გახდიდა თვითეულ მიწათმფლობელს მონაწილეობა მიეღო საკუთარი მიწების დამუშავებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მიწა, ისე კაპიტალი თავის მეპატრონეებს უკვე შემოსავალს აღარ მისცემდა. პრუდონმა კაპიტალისა და უძრავ ქონებათა მეპატრონეებს, რომ ასეთი ულტიმატუმი წაუყენა, მეორე მხარეს მეტად ხელსაყრელი პირობები შესთავაზა: იმ მწარმოებლებს, რომლებიც პრუდონის სისტემას დაადგებოდენ, საშუალება მიეცემოდათ ესარგებლათ სრული თავისი შემოსავლით, თუ, რასაკვირველია, სახელმწიფო გადასახადებს არ მივიღებთ მხედველობაში. საწარმოო იარაღები და თვით მიწა მათ განკარგულებაში იქნებოდა, მწარმოებლებს აღარ დასჭირდებოდათ არავითარი ქირის გადახდა, ვინაიდგან თვით კაპიტალისა და მიწის მეპატრონენი ჩაებმებოდენ წარმოებაში და ამგვარად წარმოების მთელი შემოსავალი მწარმოებლის განკარგულებაში დარჩებოდა.

მკითხველები ხედავენ, რომ პრუდონის სისტემა რთულს არაფერს წარმოადგენს და იმისათვის, რომ ის შესაფერისად გავრცელებულიყო, ავტორი უნდა ამხედრებულიყო თანამედროვე საფინანსო სისტემის წინააღმდეგ. და მართლაც პრუდონი ებრძოდა მას მთელი თავისი სიცოცხლე ისე სასტიკად, რომ ფულის ტრიალისა, საფინანსო და საბირჟო ოპერაციებისა, ბირჟის საქმიანობის, აჟიოტაჟისა და სხვ. დაუძინებელი მტრის სახელი დაიმსახურა. პრუდონის აზრით მთელი ბოროტება, რომელიც აქვეითებს საფრანგეთს, გამოწვეულია ფულის მიზეზით. პრუდონის მიზანი იყო სრულ არარაობამდე დაეყვანა ეს ფული, თუ იგი საწარმოო იარაღებათ არ იქნებოდა ქცეული; მისი აზრით ფულის ერთად-ერთ დანიშნულებას ამ იარაღების ყიდვა შეადგენს, უკიდურეს შემთხვევაში იგი უნდა წარმოადგენდეს საშუალებას მრეწველობის ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლისათვის.

* * *

პრუდონის სისტემის შემოღება ვერ აღმოფხვრიდა საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების არსებით ბოროტებას—მეტოქეობის სრულსა და განუსაზღვრელ ბატონობას; იგი ვერ მოსპობდა იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს არა მარტო სხვადასხვა ხელობისა და წოდებების შორის, არამედ ცალკე პირებს შორისაც, რომელნიც ერთსა და იმავე ხელობას მისდევენ. ფრანგ მწარმოებელთა და-

ქუცმაცებული მდგომარეობა აუცილებლად გამოიწვევდა მათ შორის გამწვავებულ ბრძოლას, რომელიც თავის მხრივ მრეწველობის ურთუ-ლესს ანარქიად გადაიქცეოდა. პრუდონის სისტემა ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა. საფრანგეთის მრეწველობის დღევანდელ პირობებში ჩვენ ვამჩნევთ შეურიგებელ ომს ერთის მხრივ კაპიტა-ლისტებსა და მეორე მხრივ მუშებს შორის; შემდეგ—ურთიერთ ბრძო-ლას თვით კაპიტალისტების შორის და ასეთსავე მოვლენას მუშებს შორის; ამჟამად ერთი მხარე თავიდან ფეხებამდე იარაღშია ჩამჯდარი, მაშინ როდესაც მეორე მხარე შიშველ-ტიტველი დაიარება. პრუდონის სისტემა ამ მდგომარეობას შესცვლიდა იმ მხრივ, რომ ორივე მხარე შეიარაღებული აღმოჩნდებოდა, თუმცა არა ერთნაირად. მიუხედავად ამისა ანარქია და მწარმოებელთა შორის ომი კვლავ იარსებებდა ძველებური სიმწვავით; თუ უფრო მეტად არა. პრუდონი გააფთრე-ბით ებრძოდა მონათესავე ინტერესების ყოველგვარ შეერთებას, მწარმოებელთა გარკვეული რაოდენობის შეამხანაგებას საერთო წარ-მოებისა და ეკონომიური მოხმარების საფუძვლებზე. პრუდონი ისე-თივე ულმობელობით ებრძოდა ამხანაგობებს, როგორც აჟიოტაჟს და ერთნაირ შეფასებას აძლევდა როგორც ერთის, ისე მეორეს მომხრეებს.

* * *

პრუდონის შეხედულებები სხვა მის თანამედროვეთა შეხედუ-ლებებზე უფრო რევოლიუციონური არ ყოფილა. მიუხედავათ ამისა პრუდონის თხზულებებმა გაცილებით მეტი უკმაყოფილება და შიში გამოიწვია, ვიდრე მაგალითად ლუი ბლანის, ფურიერისტების, სენ-სიმონისტების და სხვათა მოძღვრებებმა.

რა იწვევდა ამ შიშს? მისი მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ მანერა-ში, რომლითაც პრუდონი გადმოსცემდა თავის იდეებს და, გარდა ამისა, იმ თვისებაში, რომელ ც ახასიათებდა პრუდონის ლიტერა-ტურულ ნიჭს. თქვენ იცით, რომ ორმოციან წლებში ფრანგული ლი-ტერატურა მდიდარი იყო ურიცხვი ნაირნაირი სახისა და ხასიათის თეორიებითა და პროექტებით. ისინი გაცილებით რადიკალური იყვენ პრუდონის პროექტთან შედარებით. მიუხედავათ ამისა, ამ თეორიებს ბურჟუაზიაში იმ შიშის მეათედიც არ გამოუწვევიათ, პრუდონის სისტემამ რომ გამოიწვია, რადგან ხსენებული თეორიები ან ძალიან სუსტად იყვენ ჩამოყალიბებული, ან კიდევ დიპლომატიურ-ხელოვნური ელფერით ხასიათდებოდენ... პრუდონი კი თავის იდეებს პირდაპირ გამოხატავდა. ამას კიდევ არაფერი უშავდა, მაგრამ უბე-

დურება იმაში იყო, რომ პრუდონი გადაჭარბებულად აზვიადებდა თავისი თხზულებების მკაცრ კილოს. იგი რეტს ასხავდა მკითხველს თავისი თხზულების პირველი ანბანიდან უკანასკნელამდე ათასნაირი არგუმენტითა და სილოგიზმით. იშველიებდა ჰეგელის ფილოსოფიას; თავისებურ პათოსს, რისხვასა და მეხს უგზავნიდა თანამედროვე უტოპისტებს და... მე შემეძლო ჩამომეთვალა კიდევ ასი სხვა. მაგრამ მკითხველისათვის ჩამოთვლილიც საკმარისია. პრუდონს არ გააჩნდა, ყოველ შემთხვევაში მას არ ემჩნეოდა, სენტიმენტალობის ერთი წვეთიც. იგი პირდაპირ და შეუპოვრათ წარსდგებოდა მკითხველის წინაშე, როძელიც შეჩვეული იყო ფრანგული ლიტერატურის სენტიმენტალობას; შეიარაღებული დიალექტიკითა და ძალიან ხშირად—საღი გონებით, საანგარიშო ცხრილით იღლიაში, არქივისა და სხვა დოკუმენტებით ხელში,—პრუდონი უდიერად აიძულებდა მკითხველს დაფიქრებულიყო აღძრულ საკითხებზე. მაშინ, როდესაც ზოგიერთი მწერალი ცდილობდა ბურჟუაზიისა და მკითხველი საზოგადოების მგრძნობიარე სიმებს შეხებოდა, სხვა უტოპისტები ცდილობდენ გრძნობებზე ემოქმედნათ და ამით განავითარეს მგრძნობიარობა საღი გონების საზარალოდ, პრუდონი მხოლოდ ანგარიშებსა და საბუთებს ეყრდნობოდა და ზიზღით დასცინოდა გრძნობიარობას და გულს. პრუდონს არ ახასიათებდა ლუი ბლანისა და სხვა მისი მსგავსი მწერლების სენტიმენტალობა, რის გამოც ფრანგი მკითხველების თვალში პრუდონი რაღაც არაჩვეულებრივად უხეშ და ალბად, საშიშარ ელფერსაც ღებულობდა. მისი დასაბუთების სიმძაფრე და ტლანქი ძალა ნავთს უმატებდა ცეცხლში, — პრუდონი მოსჩანდა რაღაც უცნაური სახით, რომელიც ბურჟუაზიას აგონებდა რობესპიერისა და მარატის აჩრდილებს... ამიტომ იყო, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე პრუდონის იდეები თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენდა და ბურჟუა-მკითხველში უფრო მეტ რეაქციას იწვევდა, ვიდრე ლუი ბლანისა და იმ დროის სხვა საზოგადო მოღვაწეთა ურადიკალურესი იდეები.

იანვარი. 1865 წ.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

„კოლოკოლ“-იდან

გლეხთა განთავისუფლება საქართველოში*)

I

ახალ „კანონდებულებებს“, რომლებიც რაოდენიმე ხნით განსაზღვრავენ ქართველი ხალხის სოციალურ ცხოვრებას, მხოლოდ ერთი უდავო ღირსება აქვთ; ეს „კანონდებულებანი“ ადასტურებენ, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძველ შენობას ხალხის თვითშეგნებამ საფუძვლები შეურყია და თუ იგი არ შეკეთდა და ბოძები არ შეედგა, დროის პირველივე ფრთის შემოქნევა მთელს შენობას დაანგრევს. რანაირიც უნდა იყოს ეს შეკეთება და ეს ბოძები, მათ ის მნიშვნელობა აქვთ, რომ მათი გამოჩენა დღის სინათლეზე შენობის სისუსტეს მოწმობს; ამას თვით რესტავრატორებიც არ მალავენ და ინსტიქტიურად გრძნობენ, რომ „რეფორმის საჭიროება საგრძნობია“ და აუცილებელი. მთავრობამ რუსეთში ბატონყმობის მოსპობის საკითხი რომ აღძრა, ამას, მიუხედავად მისი დადებითი ხასიათისა, დამთრგუნველი ხასიათი ჰქონდა ყოვლისავე იმის მიმართ, რაც მანამდე, თუმცა მძიმე და დამოუკიდებელ, მაგრამ მაინც სამარადისო სიწმინდედ ითვლებოდა. ამ საკითხის აღძვრამ, საერთოდ მთელი ხალხისა და, მეტადრე, მისი საუკეთესო ნაწილის ცხოველმყოფელსა და მიუვიწყებელ ინსტინქტებს სიცოცხლე შთაბერა და თვითმოქმედებისათვის აამოძრავა. თუმცა ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრის ხასიათი მეტეს-მეტად უმნიშვნელოა და, რაც უმთავრესია, მისი გადაჭრა ბევრად როდი გასცილებია წინანდელ გაყინულ წერტილს, მაგრამ მთავრობის მხრით წაბიძგების წყალობით საზოგადოებრივი წყობილების უხერხულობანი ხელშეუხლებლად აღარ ითვლება, გაუსწორებელი ბოროტების ნაცვლად, იგინი მიჩნეულია წარმავალ ბოროტებად, რომელთა მოსპობა დამოკიდებულია მხოლოდ თვით საზოგადოების ნება-სურვილსა და მოხერხებაზე. აი, რა შეადგენს საბატონო გლეხების ყოფა-ცხოვრების შეცვლის უმნიშვნელოვანეს დამსახურებას. ეს გარემოება, რამაც ასე მძლავრად წასწია წინ მანამდე მიძინებული საზოგადოებრივი თვითმოქმედება, აუცი-

*) „Законоположения о крестьянах, вышедших из крепостной зависимости в тифлисской губернии“ (რუსულ და ქართულ ენებზე) სპგ. 1864 წ. საიმპ. სამეცნიერო აკადემიის სტამბა.

ლებლად უნდა შეიცავდეს საზოგადოების მომავალი განვითარებისა და საზოგადოებრივი წყობილების ნორმალური მოწესრიგების შთანასახებს.

მაგრამ ხალხის მომავალი კეთილდღეობის ამ შთანასახების დამოუკიდებლად, გლეხთა საკითხის პრაქტიკული მხარე თავისთავადაც ძალიან მძაფრად ეხება მთელ ხალხს და ამიტომ მხოლოდ აბსტრაქციას ვერ დავჯერდებით; ახალ „ჯანონდებულებათა“ სიმძიმე გასრესს მოსახლეობის მთელ მასებს, რომელთა კეთილდღეობა, დოვლათი და თვით სიცოცხლეც კი დამოკიდებულია მეორეხარისხოვანი, მესამეხარისხოვანი და ზოგჯერ მეათეხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაზე. გლეხთა ყოფა-ცხოვრების ახალ წყობას მომავლისათვის უდიდესი არაპირდაპირი სარგებლობა მოაქვს, მაგრამ აწმყოს კი ანადგურებს და ფეხით სთელავს. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა, მთავრობას მართლაც მიზნად რომ ჰქონებოდა ხალხის კეთილდღეობა და სარგებლობა და არა აბსურდამდე მიყვანილი საკუთარი თავდაცვის იდეა. ის პირნი, რომელთაც ეინტერესებათ თანამედროვე მდგომარეობა და ხალხის განვითარების პროცესი, უფლება აქვთ ბატონყმობის საკითხის განხილვის დროს დაინახონ შორეული სარგებლობა საზოგადოების უაზრო და არაადამიანური წყობილების ოფიციალურ და საყოველთაო გმობაში. მაგრამ მათ მთავარი ყურადღება ისეთ ინტერესებს უნდა მიაქციონ, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებას აღელვებენ, ყურადღება უნდა მიაქციონ საზოგადოებრივი საკითხების ასე თუ ისე გადაჭრის სამართლიანობას ან მიზანშეწონილებას და, საერთოდ, ხალხის თანამედროვე მდგომარეობას. ჩვენ სწორედ ასეთი სახელმძღვანელო გეზი ავირჩიეთ საქართველოს გლეხთა საკითხის მოკლე ნარკვევში; ამ საკითხის გადაჭრა წარმოადგენს რუსეთის მთავრობის „coups de tête“ ათას-პირველს და, ეეჭველია, არა უკანასკნელ განმეორებას.

ოსმალეთის ომის (1853—1856 წ.) დროიდან გლეხთა განთავისუფლების საკითხმა ქართველი საზოგადოების ყოველი ელემენტი ააღელვა; ამ საკითხმა, თავიდანვე, მისი სოციალური ხასიათის მიუხედავად, პოლიტიკური ბალანსის ხასიათი მიიღო. ამ საკითხის აღძვრას აუცილებლად უნდა აეფორიაქებინა ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტინქტები და რადგან გლეხთა საკითხი, მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული მოქმედებისა და პაპურ-თვით მპყრობელური "pas de reveries"-სა საქართველოში იზრდებოდა არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი

ძალით განვითარდა და თავისი ბედიღბალი თანდათან გლეხთა საკითხის ასეთ თუ ისეთ გადაჭრას დაუკავშირა. რა შედეგი მოჰყვება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გამძაფრებას, რით დამთავრდება ეს დრამატიულ-ბუნდოვანი მდგომარეობა, ამის შესახებ ჩვენ რა თქმა უნდა, ვერ ვიმსჯელებთ; მაგრამ რადგანაც ამ დრამის დასასრულს, უეჭველია, ხშირი იქნება ტრაღიკული სცენები, მაგალითად, ჩერქეზების გაძევებისა ან პოლონელების გაჟლეტისა და გადაჩახლების მსგავსად, ამიტომ მომავლის უკეთესად გაგებისათვის საჭიროა თვალი გადავავლოთ მომქმედ პირთა ახლანდელ მდგომარეობას და თუ შესაძლებელი იქნება, მათს წარსულს ურთიერთობასაც.

ჩვენ ვერ განვიხილავთ საქართველოს სვე-ბედის საკითხს, იმასთან დაკავშირებით თუ რა იქნებოდა რომ პეტერბურგის სამეფო კარს არ მიეჩნია სასარგებლოდ რუსეთის იმპერიასთან საქართველოს შეერთება, ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მკითხაობა, თუ „რა იქნებოდა“ და „როგორ იქნებოდა“-ო, ძალიან მოგვაგონებს კიფ მოკიევიჩის ფილოსოფოსობას სპილოს კვერცხის შესახებ. ამავე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ საკითხი რუსეთთან შეერთების დროს საქართველოს ძალ-ღონის გამოფიტვის მეტ-ნაკლებობისა; ამიტომ ჩვენ ამასაც გვერდს აუქცევთ. ასევე მოვეჭცევით თვით შეერთების საშუალებასაც, თუმცა ამით სრულებითაც არ ვაპირებთ, რომ პეტერბურგის მთავრობას ცოდვათა მიტევება დაუდასტუროთ: რომ უფრო მალე მივადგეთ იმ საკითხს, როშელიც გვეინტერესება, ჩვენ „მომხდარ ფაქტზე“ შევჩერდებით და მასში მოვსძებნით გამოსავალ წერტილს.

1801 წელს საქართველოს დაეპატრონენ დამხმარე ჯაილები რუსეთისა; 1810 და 1811 წ. ახალმა რაზმებმა იმერეთი დაიპყრეს, 1824 წლიდან მათ გურია დაიჭირეს, ხოლო ბოლოს სამეგრელოც. ამ დროს ტფილისისა და პეტერბურგის „მმართველ სფეროებში“ უეჭველად უნდა აღძრულიყო საკითხი: როგორ გაეერთგულებინათ ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიისათვის—თუ იმიტომ არა, რომ გული შესტკიოდათ საქართველოსათვის და სურდათ დაეხსნათ იგი ახალ-ახალი სისხლის ღვრისაგან, იმიტომ მაინც, რომ დაეცვათ თვით პეტერბურგის სამეფო კარის ინტერესები. ეს საკითხი მართლაც აღიძრა და, როგორც მოსალოდნელი იყო, შემდეგნაირად გადაიჭრა: ხელი შეეწყოთ და, თუ საჭირო იქნებოდა, შეექმნათ კიდეც საქართველოში თავად-აზნაურობა, რუსეთის მთავრობის ერთგულად გაეხადათ იგი საკუთრების ინტერესებით, ჩინებით, საჩუქრებით და ჯამაგირით და სხვა არაფერი, თუ არ გავიხსენებთ რუსეთის ხიშტებსა და ზარბაზნის ყუმბარებს. ხოლო იმას, რომ თავად-აზნაურობის გარ-

და არსებობს და იარსებებს ხალხი, პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ იმისთვის მოაგონდა, რომ ეს ხალხი ერთგული ქვეშევრდომი თავად-აზნაურობის ერთგვარ ჯამაგირის წყაროდ გადაექცია.. აი, ასე გადაიჭრა რუსეთისადმი საქართველოს გაერთგულების საკითხი. თუმცა საკითხის ასე გადაჭრის გონება-მახვილობა ათასჯერ განმეორების გამო ჩვეულებრივი და გაცვეთილი ამბავია ყველა დესპოტიურ და კონსტიტუციურ სახელმწიფოში, მაგრამ იგი პატარა შენიშვნის ღირსი მაინც არის.

რუსეთის მთავრობამ სიტყვა „თავადი“ „კნიაზ“-ად გადასთარგმნა, სიტყვა „აზნაური“ კი „დვორიანინ“-ად და ამ ტიტულებს ერთგვარი პრივილეგიები დაუკავშირა; ამით მან თავის დანაშაულობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უსაძაგლესი დანაშაულობა ჩაიდინა: აზნაურების არსებობა სრულიად გასაგები იყო ძველს საქართველოში, მაგრამ თანამედროვე საქართველოში, რუსეთის მთავრობის ქვეშევრდომ საქართველოში აზნაურთა არსებობა არამც თუ ანაქრონიზმს წარმოადგენს, არამედ კანონით მოწესრიგებული ძარცვა-გლეჯაა. ეს წოდება, უკეთ რომ ვთქვათ, ადამიანთა ეს კატეგორია მოვალე იყო დაეცვა ხალხი გარეშე მტრებისაგან, რომლებიც საქართველოს არ აკლდენ. ამიტომ ხალხი ხალისით არჩენდა აზნაურებს, როგორც მის დამცველ ჯარს. ამით განისაზღვრებოდა ხალხის მთელი ბეგარა, მაგრამ ამ ბეგარასაც. იგი მხოლოდ ომის დროს იხდიდა; ხანგრძლივი მშვიდობიანობის დროს კი (რაც ფრიად იშვიათი იყო) ხალხი მხოლოდ მეფეს უხდიდა ბეგარას, იმასაც გამასპინძლების სახით, აზნაურები კი მიწათმოქმედებას მისდევდენ ან თავის სასარგებლოდ, რადგან ხალხიდან*) გამოსული აზნაურები მიწას გლეხების თანაბრად ჰფლობდენ, ან თუ ჯარი აზნაურების სახლ-კარისაგან შორს არ იდგა, თავადების სასარგებლოდ, და მთელი მუშაობის დროს ამ უკანასკნელთა ხარჯზე ცხოვრობდენ. ამით აიხსნება დიდძალი აზნაურების არსებობა საქართველოში. აზნაურებს ხალხი სარჩოს აძლევდა, რადგან მათ სარგებლობა მოჰქონდათ ხალხისათვის; აქ ხალასი ანგარიშის საქმეს ვხედავთ

სრულებითაც არა გვგონია, რომ ძველს საქართველოში საზოგადოებრივი ურთიერთობა სანიმუშოდ ყოფილიყოს მოწესრიგებული. თუ ჩვენ აქ აღვნიშნეთ ქართველი ხალხის დამოკიდებულება ჯარისადმი, ეს იმიტომ როდი ჩაგვიდენია, რომ ამ წყობილების დიბრუ-

*) აზნაურობას მეფეები უბოძებდენ განსაკუთრებული, შესანიშნავი გულადობისა და მამაცობისათვის.

ნება მოვითხოვოთ. არა, ამ წყობილებამ თავისი დრო მოსჭამა, რადგან საქართველოს არ სჭირდება გამუდმებული ომების წარმოება თავის მეზობლებთან; გარდა ამისა, შინაური და საგარეო მშვიდობიანობის დასაცავად ქართველი ხალხი რუსეთის მთავრობას იმდენსავე ხარჯს უხდის, რამდენსაც ძველად აზნაურებს უხდიდა და შეიძლება მეტსაც. ახლა აზნაურების მოვალეობას გარეშე მტრებისაგან ხალხის დაცვას — რუსეთის მთავრობა და ჯარი ასრულებენ; მაშასადამე, აქ საკმაოდ ნაღდი საქმეა, ეკონომიურად მაინც. მაგრამ მთავრობის სასარგებლოდ გაღებულ გადასახადთან ერთად, ხალხი მოვალეა ხარჯი აძლიოს თავად-აზნაურობასაც. რისთვის? რა სამსახურისათვის?

ჩვენი მოწინააღმდეგენი გვეუბნებიან: რუსეთის მთავრობამ საქართველო რომ დაიჭირა, მას იქ დახვდა ძლიერი ჯარი, რომლის არსებობა რუსეთის მთავრობის გვერდით შეუძლებელი იქნებოდა. მაშასადამე, საჭირო იყო ამ ჯარის დაშლა. მაგრამ საქართველოს ჯარის მსახურნი გვერილიასებად ან ყაჩაღებად რომ არ გადაქცეულიყვნენ, საჭირო გახდა მათი შომადლიერება, ასე ვთქვათ, პირში ბურთის ჩაჩრა; ამიტომ მთავრობამ ამ ჯარისაგან აზნაურობა შეჰქმნა.

ეს ასეა, მაგრამ ერთი პატარა შენიშვნა მაინც უნდა ვთქვათ: რაღა საჭირო იყო საშვილიშვილოდ დაკანონება იმ წესისა, რომელიც დროებითმა საჭიროებამ გამოიწვია? რუსეთის მთავრობა შეეშალა იმ აზრმა, რომ შესაძლებელია აზნაურები გვერილიასებად გადაქცეულიყვნენ და დაავიწყა სხვა გზის გამონახვა, მაგალითად, სამუდამო პენსიის დანიშვნა, ან მიწების დარიგება, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა. ან სავსებით კეთილ გონიერ ღონისძიებათა ნაცვლად მან ისეთი წესები დაამყარა, რომ გვერილიასებად ხდება მთელი ხალხი, მთელი გლეხობა. განა ეს გონიერი საქციელია? გორდიუსის კვანძის ასე განკვეთა განა მის გახსნად ჩაითვლება?

ახლა ვნახოთ, თუ რა ნაყოფი გამოიღო ასეთმა ღონისძიებამ ჯერ თვით აზნაურობისათვის: დაკანონება აზნაურობის იმ უფლებისა, რომ მას ეცხოვრა გლეხობის ხარჯზე, ვერაგზით ვერ გავრცელდებოდა de facto-თ ხელოვნურად შექმნილ აზნაურთა უმრავლესობაზე, რადგან მათი რიცხვი მეტის-მეტად დიდი იყო გლეხებთან შედარებით. რაკი მუქთახორა პარაზიტების ასეთი საარაკო გამრავლება ყოველგვარ ზომასა და საზღვარს სცილდებოდა და ხალხს ესოდენ დიდი უსაქმო ხროვის რჩენა არ შეეძლო, ამიტომ აზნაურთა უთვალსაჩინოესი ნაწილი მთავრობის ხელის შემყურე შეიქმნა და იძულე-

ბული გახდა ლუკმა პური ეძებნა სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახურში. სწორედ აქედან დაიწყეს აზნაურებმა ბედის ძიება: იმის ნაცვლად, რომ ხელი მიეყოთ მიწის დამუშავებისათვის, როგორც უბრალო მიწათმფლობელებს (რასაც მათ აზნაურის ტიტულის ღირსების შენარჩუნება უკრძალავდა), მათ იხუვლეს და, ჩადგნენ ჯარისკაცებად, იუნკრებად, გადამწერლებად, მოხელეებად; მათ დაიჭირეს გლეხების კუთვნილი მიწის ნაკრები და, რადგან მთავრობის ინსტრუქციით სასამართლოებსა და უფროს მოხელეობას აზნაურებისა და გლეხების დავა უეჭველად პირველთა სასარგებლოდ უნდა გადაეწყვიტათ, ამიტომ მთავრობის ასეთი და სხვა ამისთანა მზრუნველობის წყალობით აზნაურები, მართლაც, „დვორიანინ"-ებად გადაიქცნენ არა მარტო კანონით, არამედ ფაქტიურადაც. ასეთი იყო ახალი წყობილების პირველი შედეგი აზნაურებისათვის. ქვემოთ დავინახავთ, — ს შედეგი სამარადისო ვერ იქნებოდა, რომ იგი გარდამავალი იყო და რომ დროთა განმავლობაში, (თუნდაც წარმოუდგენელი შეუსაბამობა—ხალხის დაუსრულებელი მოთმინებაც რომ დავიჯეროთ) ამ შედეგს თვით აზნაურობის განვითარება უმზადებდა საფრთხეს, ვინაიდან ამჟამადაც კი ქართველი აზნაურობის დიდი უმრავლესობა უახლოვდება ყოვლად უმსგავს პროლეტარიატს, არა შრომისა, არამედ უმოქმედობისა, და ჯამუშობის პროლეტარიატს.

მაგრამ თუ ამ შეუსაბამო წყობილებას როდისმე უნდა გამოეწვია უნუგეშო შედეგები მთავრობისა და აზნაურობისათვის, ამ საბოლოო შედეგების აუცილებლობას ჰქმნიდენ, უმთავრესად, უაზრობისა და გახრწნის შთანასახები, რომლებსაც უხვად შეიცავდა უმართებულო საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არა აზნაურობის ცუდი ყოფაქცევა ან ახალი წყობილების კანონების საფუძველთა ხეიალვა. ის, რაც ამჟამად საქართველოში ხდება, ამ აზრის საუკეთესო დამამტკიცებელია: მართლაც, მთავრობაცა და აზნაურობაც იცავდენ რუსეთის წყობილების საქართველოში დამამყარებელ კანონდებულებათა არა მარტო საერთო ხასიათს, არამედ ყოველ წვრილმანსაც კი; ვინც მას ოდნავ წინააღმდეგობას გაუწევდა, მთავრობა ყველას დაუზოგველად უმასპინძლდებოდა და საამისოდ მიმართავდა დახვრეტას, ჩამოლრჩობას, კატორღას და გადასახლებას. მეორეს მხრით, მეფურად ასაჩუქრებდა იმას, ვინც ხელს უწყობდა რუსული ხასიათის კანონების დანერგვას. აზნაურობას კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობა, აფასებდა მთავრობის გულუხვობას, თავგამოდებით იცავდა მას და ხელში აძლევდა ყველას, ვისაც კი უკმა-

ყოფილება დაებადებოდა რუსეთის ბატონობისა, ან იმ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მიმართ, რომელიც რუსებმა დაამკვიდრეს და რუსის ხიშტების წყალობით არსებობდა. ლალატი არც ერთსა და არც მეორე მხარეს არ გამოუჩენია. პირიქით, აზნაურობა რუსეთის მთავრობას სიყვარულით შეჰხვაროდა და მადლობის მოჭარბებული გრძნობებისაგან თვალები ენაბებოდა; იგი ამ თვალებით გამოხატავდა ფინიას უსაზღვრო ერთგულებას და მთავრობისათვის სისხლის დასაღვრელად მზად ყოფნას. ამიტომ იყო, რომ მთავრობა თავზე ხელს უსვამდა თავის ასეთ მორჩილ ძეს. ყოველსავე ამას თითქოს უნდა უკლექცია საკუნებრივი მღელვარების ტალღა, იმდენად მტკიცე იყო რუსეთის მთავრობისა და ქართველი აზნაურობის დაშაკავშირებელი ჯაჭვი; მაგრამ, ვაგლახ!

Все житейское, земное
Разлетается как дым!

მართლაც, გამოირკვა, რომ ხალხს არ შეეძლო ესაზრდოებინა და ერჩინა ესოდენ მრავალრიცხოვანი აზნაურობა, რომელსაც მისთვის არაფერი სარგებლობა არ მოჰქონდა, არაფერ სამსახურს არ უწევდა, პირიქით, ძალ-ღონეს სწოვდა, მისი ჯაფისა და შრომის ნაყოფს ითვისებდა; თურმე ამ ხალხს სრულებითაც არ ეხარბებოდა „შესაწირავი კრავის“ მდგომარეობა, თურმე ისიც ოცნებობდა თავისი ბედნიერებისა და კეთილდღეობი- სათვის. ლაქია-აზნაურობამ და ყოველგვარი კანცელარიების და სამმართველოების მოაზნაურე ლაქიებმა ერთხმად წამოიძახეს ქალ-ბატონი პროსტაკოვას მსგავსად: „ხედავთ ამ არაბზადას! მასაც მოსდომებია ცხოვრება, თითქოს კეთილშობილი იყოსო!“ რუსეთის მთავრობა დაეთანხმა ამ აზრს და ხალხის საკმაო რაოდენობის დახვრეტისა, ჩამოლრჩობისა და გადასახლების შემდეგ ეს საქმე შორეულ საარქივო უჯრაში გადასდო, თითქოს გადაწყვეტილი ან „non avenu“.

მაგრამ საქმე თავისი გზით მიიმართებოდა: იმერეთის აჯანყების (1820 წ.) მარცხმა ვერ შეაჩერა გურიის აჯანყება 1841 წელს, კიდევ უფრო ნაკლებად შეაჩერა გლეხთა მოძრაობა 1855—1862 წლებში. მთავრობა ალღოთი ხვდებოდა, რომ „რეფორმის საჭიროება საგრძნობი“ იყო; ამიტომ მან ხელი მიჰყო მის განხორციელებას ზემოდან, რათა შეეფერხებინა მისი განვითარება ქვემოდან.

მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, რომ საქართველოს გლეხთა მოძრაობის მიზეზად მარტო რუსეთის მთავრობის უსამართლობა დი აზნაურთათვის „დვორიანინ“-ობის უპირატესობათა დაკანონება მიგვეჩნია. ცხადზე უცხადესია, ამ ლონისძიებამ ცეცხლს ნავთი დაასხა,

მაგრამ ბოროტების სათავეს ეს არ წარმოადგენს და არც მხოლოდ მის მოსასპობად არის მიმართული გლეხობის ძალ-ღონე: ბოროტების ძირი არის არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიურიც.

საქართველოში ,ამჟამად იგივე ბრძოლა სწარმოებს, რომელსაც რუსეთის, ევროპის და, თამამად შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს ძალ-ღონე ხმარდება: ეს არის მშრომელთა ბრძოლა შთამომავლობისა და კაპიტალის პრივილეგიების წინააღმდეგ, ე. ი., უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მშრომელ ღატაკთა სოციალური ბრძოლა მუქთახორა სიმდიდრის წინააღმდეგ.

საქართველოში ისე, როგორც ევროპის ყოველ სახელმწიფოში, ოფლის მღვრელ მშრომელ მასებთან ერთად ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებიც შრომისაგან გაანთავისუფლა წარჩინებულ ან მდიდარ მშობელთაგან დაბადების ბრმა შემთხვევამ, უთანასწორობა საზოგადოებრივი და კერძო დოვლათის და ამ დოვლათზე დამოკიდებული ბედნიერების განაწილების უსამართლობა—ისევე ძლიერია საქართველოში, როგორც სხვა სახელმწიფოებში. მშრომელი ხალხი მარტო ეკონომიურად და პოლიტიკურად კი არ არის დამოკიდებული შრომისაგან განთავისუფლებულ ადამიანებზე, არამედ, რაც უფრო აუტანელია, იგი პარიების დამამცირებელ და სამარცხვინო მდგომარეობაშიაც იმყოფება. შრომა პატივისა ან ღირსების მოსახვეჭ უფლებად კი არ ითვლება, არამედ დამცირებისა და სრული არარაობის სათავეა. ძალა-უფლება, სახელი და პატივისცემა თანზომილია არა შრომასა, ნიჭსა ან დამსახურებასთან, არამედ შთამომავლობასა, ტიტულსა, სიმდიდრესა და საკუთრების რაოდენობასთან. არავითარ შრომას, რაც უნდა ძალიან აღემატებოდეს იგი ადამიანის ჩვეულებრივ ძალ-ღონეს, არ ძალუძს ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანის გამოყვანა იმ წრიდან, რომელშიაც ის შთამომავლობის მიხედვით მოექცა; მან ამ წრეში უნდა იტრიალოს, იცხოვროს და მოკვდეს.

Без всякого следа
И без урока для детей.

როდესაც ამ აუტანელ და სულის შემხუთველ მდგომარეობას შევადარებთ იმ პირთა მდგომარეობას, რომელთა მთელს დამსახურებასა და ღირსებას კეთილშობილ ან მდიდარ მშობელთაგან დაბადების ჯაფა შეადგენს, და რომელთა მთელი ცხოვრება მხოლოდ დაუსრულებელი ტკბობა და სილაღეა, ძალა-უნებურად იბადება უამრავი საკითხი, მსგავსად ჰეინეს საკითხებისა:

От чего под нашей крестной
Весь в крови влачится правой;

От чего всегда бесчестный
Встречен почестью и славой?

ცნობილია, რომ ამ თემის მცირედი გაღრმავებაც კი ყოველს ხალად მოაზროვნე ადამიანს იმ წყობილების შეცვლის საჭიროების აზრს აღუძრავს, რომელიც დაამყარეს მძარცველებმა, უზურპატორებმა; ეს წყობილება დაფუძნებულია იმ კანონებზე, რომლებიც გამოსცეს ნაძარცვი და დატაცებული სიმდიდრისა და პრივილეგიების შენარჩუნებით დაინტერესებულმა პირებმა.

ჩვენ ბევრს არ ვილაპარაკებთ ამ წყობილების უვარგისობის შესახებ, რადგან მისი რიგიანად დანახვისათვის საკმარისია, თომ მკითხველმა თავის გარშემო მიიხედ-მოიხედოს.

ერთმანეთში არეული დაკანონებული უკუღმართობისა და ძალადობის მთელი ეს ოთურმა ხდება არა ფარულად, სიბნელეში, არამედ დღისით-მზისით, დღის სინათლეზე და, რასაკვირველია, ჩვენი მკითხველები კარგად დაინახავენ როგორც წვრილმან დეტალებს, ისე ყოველდღიური ცხოვრების ამოთეოზს. მაგრამ დაუბრუნდეთ საგანს.

ასეთი მდგომარეობის სიმძიმემ აიძულა ხალხი, თანამედროვე ჯვაროსნული ლაშქრობა დაეწყო შეუსაბამო სახოგადოებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქო ქართველ ხალხს შეესისხლხორცებინოს სოციალური მეცნიერების მთელი საფუძვლები და ამხედრებულიყოს საფრანგეთის, ან სხვა დეშა ოვების მოწოდებით. არა, ამ სტრიქონების დამწერმა სხვებზე კარგად იცის, რომ ქართველ ხალხს, როგორც ყოველ სხვა ხალხსაც, მთლად არა აქვს გარკვეული უკუღმართობის ყოველი წვრილმანი და ზედმიწევნით არ იცნობს მის წინააღმდეგ გამოსაყენებელ იარაღს. მაგრამ ხალხს ერთი რამ კარგად აქვს შეგნებული: ვაი-ვაგლახით ცხოვრება, როგორც აქამდე ცხოვრობდა ხალხი, პირდაპირ აუტანელია, ასეთი ცხოვრების სიდუხჭირე მოთმინების ყოველგვარ საზღვარს სცილდება და სჯობს დაიღუპოს იგი, ვიდრე ეფლობოდეს იმ ჭაობში, რომელიც მას ნელ-ნელა სისხლსა სწოვს და ძალ-ღონეს აცლის. როდესაც ხალხი ამ აზრს დაადგა, აი რა მოხდა:

ეს იყო 1855 წელს, შემოდგომაზე. ცნობილია, რომ ამ დროს რუსეთს ძნელი ომი ჰქონდა ევროპასა და ოსმალეთთან; ოსმალეთმა, ომარ-ფაშას სარდლობით, სამეგრელოში, რედუტ-კალეს მახლობლად, ჯარი გადმოსხა. ომარ-ფაშას ემისრებმა ხალხში ხმა დაჰყარეს: „მოკავშირენი ბატონყმობას მოსპობენო“, და, რამდენისამე დღის განმავლობაში მთელი სამეგრელო ომარ-ფაშას დანებდა; ქართველთა სამილიციო ჯარმა კი, რომელიც 1853 წელს ძალიან კარგად იბრძოდა

ოსმალების წინააღმდეგ, რუსებს უღალატა და ენგურზე რუსეთის ჯარი მიატოვა. საქართველო, ქართლ-კახეთი და იმერეთი მზად იყვნენ სამეგრელოსათვის მიეგებაძათ, მაგრამ თავადი ბებუთოვის ჯარებმა ეს ქვეყნები დაიჭირეს, ხოლო რამდენისამე თვის შემდეგ ომი პარიზის ტრაქტატით დამთავრდა. ეს შემთხვევა კარგად იცის რუსეთის მთავრობამ, ვინაიდან ალექსანდრე მე-II-ის იმ სამადლობელ სიგელში, რომელიც მიმართული იყო ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთადმი (1857 წლის იანვარი), განზრახ გამოეტოვებინათ სიტყვა „სამეგრელო“.

ჯერ კიდევ ცნობილ „რესკრიპტებამდე“, რომელიც პირველი სიები 1857 წლის დამლევს გამოჩნდა, ქართველმა გლეხებმა მანიფესტაციებს არ მიჰყვეს ხელი,—არამედ იარაღით ამეღავნებდენ თავის უკმაყოფილებას ბატონყმობის მიმართ. სამეგრელოს აჯანყებამ, რომელიც 1857 წლის ზაფხულს მოხდა, მთავრობას საბაბი მისცა, სამთავროდან გაეძევებინა დედოფალი დადიანი და მის ნაცვლად შეექმნა „სამეგრელოს დროებითი მმართველობა“. გურიის, იმერეთის და ქართლ-კახეთის გლეხთა სხვა აჯანყებანი დააცხრეს ჯარისკაცებმა და აზნაურთა მილიციამ, რომელიც საგანგებოდ ამ მიზნით შეადგინეს. გლეხები სრულებითაც არა მალავდენ, რომ მათი აჯანყების ერთად-ერთი მიზეზი—ბატონ-ყმობა იყო, ხოლო ერთად-ერთი მიზანი—მისი მოსპობა. 1858 წელს რომ განთავისუფლების ხმა გავარდა, ამ ამბავმა ცეცხლს ნავთი დაასხა და გლეხთა მოძრაობა უკიდურესად გაძლიერდა.

საკითხავია, ვისი მხარე უნდა დაეჭირა რუსეთის მთავრობას ამ სახალხო მოძრაობის დროს? უნდა ჩამდგარიყო თავად-აზნაურთა რიგებში, რომლებმაც მთელი რაზმები მოაწყეს გლეხთა დასაშოშმინებლად, თუ, პირიქით, გლეხობის მხარე დაეჭირა და დაეწყნარებინა თავად-აზნაურები? მთავრობისათვის ეს უკანასკნელი გზა იყო სასარგებლო, მაგრამ რადგანაც რუსეთის მთავრობას, წყალობითა ღვთისათა, ვერ დავწამებთ კარგსა და სასარგებლო თაოსნობა-საქმიანობას, ამიტომ ცხადი იყო, იგი თავად-აზნაურობას მიემხრობოდა გლეხობის წინააღმდეგ. მართლაც მან ეს გამოსავალი ირჩია, მაგრამ თუ როგორ შეასრულა იგი—ნება გვიპოძეთ ამაზე ცოტა რამ მოგახსენოთ.

პირველ ყოვლისა, გლეხობის წინააღმდეგ ეკზეკუციები აამუშავეს, რომლებსაც „აღელვებულ გონებათა დაშოშმინებას“ უწოდებდენ; მაგრამ ეს ღონისძიება გლეხების წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო „აღელვებული გონება“ თავად-აზნაურობას ჰქონდა, და, მაშასა-

დამე, საჭირო იყო მისი დაწყნარებაც. მაგრამ აქ მთავრობა უფრო სათნოდ მოქმედობდა; მან ასეთ ხერხს მიმართა: ჩვენ გლეხებს რუსეთში ვანთავისუფლებთ, ამბობდა იგი, რადგან იქ ეს საჭირო არისო; აქ კი გლეხთა განთავისუფლების დრო ჯერ არ დამდგარა, „ეს საუკუნეთა საქმეაო". თავად-აზნაურობა დროებით დაწყნარდა...

„ჩვენ მიერ გამოცემული 1861 წლის თებერვლის 19 მანიფესტით და ჩვენ მიერ იმავე დღეს დამტკიცებული დებულებებით რუსეთის საბატონო გლეხები ბატონყმობისაგან გავანთავისუფლეთ, მივანიჭეთ მათ სოფლის თავისუფალ მკვიდრთა უფლებანი და დაწვრილებით განვსაზღვრეთ მათი ურთიერთობა მიწათმფლობელებთან, მათი ვალდებულებანი და მათი საზოგადოებრივი მმართველობის წესრიგი".

„რადგან ბატონყმობა ამიერიდან მხოლოდ ამიერ-კავკასიაში რჩება და რადგან საჭიროდ ვცანით თანდათანობითი მოქმედება იქაურ გლეხთა განთავისუფლებისათვისაც, ჩვენ დავავალეთ კავკასიის მთავარმმართველობას—შეუდგეს სათანადო მოსაზრებათა შემუშავებას ამ საგნის გამო".

ასეა ნათქვამი „უმაღლეს ბრძანებაში", რომელიც წინ უძღოდა ახალ კანონდებულებებს გლეხთა შესახებ. ეს, ბატონებო, უავგუსტოესი სიტყვაა: თებერვლის 19-ის მანიფესტი 1861 წლის მარტს გამოვიდა. იმავე წლის სექტემბერს, მაშასადამე მანიფესტის გამოცემის დღიდან შვიდი თვის შემდეგ, იმპერატორი ქუთაისს ეწვია და იქაურსა და ტფილისის თავად-აზნაურობას სიტყვით მიმართა: საქართველოში არსებული წყობილების არავითარი ცვლილება არ მომხდენია და ამას არც ვაპირებ, ჯერ ამის დრო არ დამდგარაო. ამ სიტყვის გამო მთელს საქართველოში გავრცელდა ცნობილი ხალხური სიმღერა—„მეგონა": „მეგონა, მეგონა, ასე როდი მეგონა, თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის, ასე როდი მეგონა".

არ შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე მე-II-ის ეს სიტყვა ლიტონ სიტყვად დარჩენილიყოს: ფაქტები ყველაზე უფრო მჭევრად მეტყველებენ—აღელვებული გლეხების წინააღმდეგ მიმართული ეკზეკუციები ნათლად ადასტურებდენ, რომ მთავრობა მართლაც კარგა ხნით აპირებდა ქართველი გლეხების განთავისუფლების გადადებას. მაგრამ რადგანაც, ერთის მხრით, გლეხთა მღელვარება დღითი-დღე ძლიერდებოდა და სრულებითაც არ იღებდა იგი მშვიდობიანსა და უწყინარ ხასიათს, და რადგანაც, მეორეს მხრით, რუსეთის მთავრობა, საერთოდ, ძალიან არა ზრუნავს, რომ თავისი დაპირება წმინდად დაიცვას, ამიტომ გლეხთა ყოფა-ცხოვრების რეფორმის საკითხი გა-

დატანილ იქნა კანცელარიების სამეუფოში. აქ ისევ უნდა მოვიგონოთ ერთი გარემოება, რომელსაც ჩვენმა მკითხველებმა ყურადღება უნდა მიაქცინონ: 1862 წელმა ისე განვლო, რომ მთავრობამ არაფერი ითავა, თუმცა გლეხთა მუდმივი მღელვარება არ შეწყვეტილა. 1863 წელს პოლონეთის აჯანყებამ რუსეთს ევროპის ომის საფრთხე მოუვლინა; რუსეთის მთავრობამ ელდანაკრავივით მოიგონა სამეგრელოს ლალატი, ფაცი-ფუცით დეპეშა-დეპეშაზე აფრინა ტფილისში, სახელ-დახელოდ წამოაყენა გლეხთა საკითხი საქართველოში, დაავიწყდა საქმის თანდათანობითი კეთების ტრფიალი და აიძულა კავკასიის შმართველობა, რომ გლეხთა განთავისუფლების თუნდაც რამოდენიმე პროექტი წარედგინა. მთავრობა ფიქრობდა იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოს გლეხებისათვის პირში ბურთი ჩაეჩარა მომავალი განთავისუფლების პერსპექტივით და ამავე დროს არ შეელახა ამ ოლქების თავად-აზნაურობის ინტერესები. მთავრობის შეგნებაში საარსებო საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო ორივე მხრის დასაკმაყოფილებლად; თავად-აზნაურობაო—ჰფიქრობდა იგი, ჩვენი ერთგული დარჩება, ვინაიდან მისი ინტერესები შელახული არაა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხოლო გლეხობა ჩვენ მოგვემხრობა, როგორც ტფილისის გუბერნიის გლეხობის გამანთავისუფლებლებს და აგრეთვე ქუთაისის გლეხობის მომავალ გამანთავისუფლებლებსაც. შედარებას რომ მივმართოთ, ასეთი მდგომარეობა მოგვაგონებდა დღევანდლამდე გადაუჭრელი ამოცანის გადაჭრას „არც ნახირს დაუშავდეს რამე და მგლებიც მაძღრად იყვნენო“. ეს ხერხი ტაშის ღირსი იქნებოდა, რომ ორივე მხრის მოტყუებას მოწადინებულს რუსეთის მთავრობას მხოლოდ და მხოლოდ თავისი თავი არ გაესულელებინა: განთავისუფლების უსარგებლო, აბეზარ-მოსაყვანი ხრიკების და თვით ამ განთავისუფლების საფუძვლების უკმაყოფილო გლეხობა აშკარად გამოსთქვამდა თავის სიმპატიებს „განმანთავისუფლებლებისადმი, რუსეთის მტრებისადმი“, ე. ი. ევროპის სასარგებლოდ. მეორეს მხრით, თავად-აზნაურობა, რომელსაც ბატონყმობის არსებული წესების არავითარი ცვლილების გაგონებაც კი არ სურდა, გააოცა მთავრობის დამოკიდებულებამ ტფილისის თავად-აზნაურობისადმი და მანაც აშკარა დრტვინვა დაიწყო მთავრობისა ან მისი ქართველი აგენტების წინააღმდეგ. კმაყოფილი იყო მხოლოდ ბ. დიმ. ყიფიანის მსგავსი რამდენიმე პირი; მათ გლეხთა ცხოვრების რეფორმა მარჯვე პროექტებისა ან „კეთილგონიერი რჩევის“ სამაგიეროდ წარჩინებისა და დაჯილდოების სათავედ მიიჩნიეს. მაგრამ ამ ვაებატონებზე ლაპარაკიც კი არა ღირს.

II

შეიცვალა თუ არა მას აქეთ რუსეთის მთავრობისა, ქართველი ხალხისა და ქართველთა, ეგრედწოდებული, პარტიების ურთიერთი განწყობილება? ოდნავადაც არა, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ იმ გარემოებას, რომ მთავრობისათვის საგარეო ომის საფრთხემ განვლო, ხოლო ქართველი ხალხი დღითი დღე და უფროდაუფრო მეტად იმ-სჭვალება თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით. მცირეოდენადაც არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოში ამჟამად მეგობრები და კეთილის მსურველი არა ჰყავს, გარდა დიდი მთავრის კარის ერთი მუჭა კლევრეტებისა და ბობოლა მოხელეებისა. მაგრამ ცნობილია, რომ საზოგადოების ეს ნაწილი ძალიან მტკიცე არ არის თავის აზრ-შეხედულებათა მხრით არამზადობაში დაბადებული და სინდისის გაყიდვაში აღზრდილი, იგი მუდამ არამზადობას იჩენს ხალხისა და მთავრობის მიმართ და სინდისს ჰყიდის იმათ სასარგებლოდ, ვისაც ბედი გაუღიმებს. თუ ამ კატეგორიის პირებს ბიუმატებთ მცირე რიცხოვან დიდ მიწათმფლობელებს, რომელთა ინტერესების მიხედვითაც შედგენილია ახალი „კანონდებულებანი", მაშინ ჩვენ მივიღებთ რუსეთის მთავრობის მეგობართა თითქმის სრულ ნუსხას, ყველა დანარჩენი, ვინც კი ცოცხლობს და აზროვნობს, გამსჭვალულია ნაციონალიზმით, რომლის შესახებაც საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ.

ჩვენ არ გამოვეკიდებით რუსეთის მთავრობისათვის, ისევე როგორც ჩვენთვის და ბოლოს საქართველოსათვის საინტერესო საკითხს?! საქართველოში არსებულ ეროვნულ მისწრაფებათა განვითარების საკითხს; ჩვენი მდგომარეობა საუკეთესო საბუთია იმისა, რომ უარი ვთქვათ ამ განჭარტებაზე, რომელსაც ადვილად შეიძლება მოჰყვეს ინსინუაცია. მაგრამ ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, სახელდობრ, ჩვენი მწუხარება ამ მისწრაფებათა წარმატების გამო; ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, ძლიერ აქვს განვითარებული თუ არა ქართველ ხალხს ნაციონალიზმი, ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ, ჩვენის აზრით, ამ იდეის განვითარებას შეუძლია საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენოს ქართველი ხალხის მატერიალურსა და გონებრივ განვითარებას.

ნულარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც ამასწინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს. ჩვენის ღრმა რწმენით, ეროვნული მისწრაფება რომ გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს, მაგალითად, სამეგრელოს ამბავი რომ განმეორდეს და საქართველომ საფრანგეთისა,

ან ინგლისის მფარველობა მოიპოვოს (ჩვენთვის ერთიც და მეორეც სულერთია) საქართველო აშკარად და საკმაოდ დიდი ხნით დაჰკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიჭრას სამართლიანი და გონიერი საზოგადოებრივი წყობილების ის საკითხი რომელიც მას აღელვებს. ევროპის სახელმწიფოებმა, თუ საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება, საქართველო რომ ევროპის შინა პროვინციების დონემდეც კი აამაღლონ, საქართველო მაშინაც წაგებული დარჩება და მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით მოიგებს. ასეთი ვარაუდი აუცილებელია: უამრავი მიგალითი გვარწმუნებს, რომ ევროპის სახელმწიფოები დაუყონებლივ შეუდგებოდენ საქართველოს ცივილიზებას ალჟირის მსგავსად, ან მის ექსპლოატაციას ინდოჩინეთის მსგავსად. ასე მოხდებოდა მაშინ, თუ ეროვნული მისწრაფება გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, რაღას მოიტანდა მარცხი და რა არის მოსალოდნელი—გამარჯვება თუ მარცხი—ყველამ კარგად იცის... ჩვენი აზრი,—რუსეთის მფლობელობის უპირატესობა ევროპის მფლობელობასთან შედარებით,—„კოლოკოლ"-ის ქართველ მკითხველებს შეიძლება იმდენად ერეტიულად არ ეჩვენოთ, რამდენადაც უაზროდ. მათ რომ გაუგებობა გავუფანტოთ, რამდენსამე სიტყვას ვიტყვით ჩვენი დასკვნის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად.

ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთად-ერთ ფორმას, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია. ასეთი წყობილება სწორედ იმიტომ იქნება სასარგებლო საქართველოსათვის, რომ ყველა სხვა წყობილებაზე უკეთესად, და, უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ ის შეუწყობს ხელს, შეძლებისამებრ, ხალხის კეთილდღეობის სრულ განვითარებას, რაც, თავისი მხრით, ხელს შეუწყობს ხალხის გონებრივ და ზნეობრივი ძალ-ღონისა და ნიჭის განვითარებას. ყოველივე ეს ოდნავადაც არ მიგვაჩნია საეჭვოდ. მაშასადამე, რაკი ღრმად გვწამს ასეთი საზოგადოებრივი წყობილების დიდი სარგებლობა, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რაც შეიძლება ჩქარა განვახორციელოთ იგი საქართველოში და იმაზე ვიფიქროთ, თუ რა პირობებში უფრო მალე მოსახერხებელია ჩვენი იდეალის განხორციელება — ევროპის მფარველობისა, თუ რუსეთის მფლობელობის დროს?

საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების იდეალი, ჩვენის აზრით, ყველაზე ადრე რუსეთისათვის არის

ჯანსახორციელებელი, რადგან ამ წყობილების მთავარი პრინციპი — თემობრიობა, შეძლებისამებრ, რუსის ხალხმა შეინარჩუნა. რუსეთის თემი იდეალად არ მიგვაჩნია, მაგრამ იგი უფრო ბევრად შეეფერება ჩვენს წარმოდგენას საზოგადოებრივი წყობილების შესახებ, ვიდრე დასავლეთს ევროპაში გაბატონებული ინდივიდუალიზმის პრინციპი. აქაც პატარა განმარტებაა საჭირო: ჩვენ არა გვგონია, რომ დასავლეთი ევროპა ერთ წერტილზე გაყინულიყოს და უკეთესი ცხოვრების უნარი არ შესწევდეს ახალი ელემენტების — სლავებისა ან სხვა ვისიმე დაუხმარებლად. ამ მხრით, მოგვიტევონ „კოლოკოლ„-ის დიდად პატივცემულმა გამომცემლებმა, ჩვენ მთლად არ ვიზიარებთ მათს უპირველობას ევროპის თანამედროვე მოუწესრიგებლობის გამო. წინააღმდეგ მათი შეხედულებისა, ჩვენ გვწამს, რომ ევროპა ძაინც თავისას გაიტანს და მიაღწევს სასურველ იდეალს. ფუმცა თეორიულად მთლიანად არ დაუმუშავებიათ იგი ევროპის მოაზროვნეებს. მაგრამ ევროპის მუშაობა მეტის-მეტათ ძნელია; უმთავრესი კი ის არის, რომ იგი კიდევ დიდხანს უნდა ეწვალოს, რუსეთი კი, ჩვენის რწმენით, როგორც „კოლოკოლ„-ის ბატონ გამომცემელთა რწმენითაც, თუმცა მთლად განთავისუფლებული არ არის ამ მუშაობის სიძნელისაგან, მაგრამ ამ მუშაობას გაცილებით უფრო ადვილად გაუძღვება და სასურველ მიზანს ბევრად უფრო ადრე მიაღწევს, ვიდრე თანამედროვე მოძრაობა ევროპაში. ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაკი საქართველო თავის სვე-ბედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (ალარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ ალარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა ან სპარსეთზე, რომლებსაც საქართველოში არცერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის.

სულ სხვა საქმე იქნებოდა, რუსეთის ხალხური წყობილების ძირითადი პრინციპი თემი ქართველ ხალხს რომ ჰქონებოდა; მაშინ პოლიტიკური ორგანიზაციის გაუმჯობესება, თუნდაც ევროპიულ ყაიდაზე, არამც თუ არ შეფერხებდა ქართველი ხალხის ცხოვრების განვითარებას, არამედ, პირიქით, საუკეთესოდ შეუწყობდა ხელს.

რაკი საქართველოში სათემო პრინციპები სრულებით არ არსებობს, ევროპიულ „თავისუფლებას“ მხოლოდ ის შეუძლია, რომ ხალხის განსაზღვრულ ნაწილს მეტის-მეტად განუვითარებს ბურჟუაზიულ მიდრეკილებას; ეს კი ვერ მოხდება რუსეთის მფლობელობის

დროს, თუ ქართველები მოისურვებენ, ოდნავ მაინც იფიქრონ თავის თავზე და ისარგებლონ რუს მოსახლეობის მაგალითებით.

ამიტომ, ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, საქართველოს ეროვნული მისწრაფება გვერდზე გადადებულიყო, ხოლო თვით რუსეთის გარდაქმნის მოლოდინში ქართველი ხალხი გასცნობოდა როგორც რუსეთის სათემო მიწათმფლობელობისა, ისე საერთოდ მთელი სოციალური წყობილების ძირითად პრინციპებს.

თუ საქართველოს და რუსეთის ურთიერთი განწყობილების მიმოხილვის შემდეგ შევეხებით რუსეთის მთავრობის საქციელს ქართველი ხალხის მიმართ, ძალაუნებურად მოგვაგონდება „კოლოკოლ"-ის შემდეგი სიტყვები: „მთავრობას რომ გაეგო ეს ცხოველი ძარღვი და ცხოველი კავშირი ურთიერთობისა, მოძრაობის სათავეში იქნებოდა; მაგრამ იგი ვერ გაიგებს, რადგან უუნარო და უნიჭოა". მართლაც, მთავრობამ ოდნავადაც ვერ გაიგო ვერც თავისი მდგომარეობა, ვერც თავისი ინტერესები; იგი გატაცებული იყო ერთის სურვილით — ოთხად მოეღუნა გლეხობა ან, თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, ყინულზე გაეცურებინა იგი; მთავრობა ეცადა გაებედნიერებინა თავადაზნაურობა, რომელსაც გაგონებაც კი არ სურდა არა თუ გლეხთა განთავისუფლებისა, არამედ მათი მდგომარეობის შეცვლისაც კი. თავად-აზნაურობის მოძრაობა და მისი მტრული მანიფესტაციები, ამავე დროს გლეხობის პირველი მანიფესტაციები, რომლებსაც 1861 წლამდე რუსეთის მთავრობისათვის უაღრესად საკეთილო ხასიათი ჰქონდა, მთავრობისათვის მარჯვე საბაბს წარმოადგენდა, რომ მას თავად-აზნაურობასთან კავშირი გაეწყვიტა და გლეხობას დაჰკავშირებოდა.

მაგრამ მთავრობამ გლეხთა მოძრაობაში „ლონდონის (ამიერიდან ჟენევის) აგიტაციის" კვალი დაინახა, ხოლო გლეხთა ამორჩეული პირები მაძინისა ან ისკანდერის თავზე ხელაღებულ დისციპლებად მიიჩნია; გაბუსხებულ თავად-აზნაურობაში მან დაინახა მხოლოდ „ბუდუშჩნოსტ"-იდან ამოღებული ლიბერალიზმი: დაე თავადაზნაურობა იბუსხებოდეს ერთ დღეს, ორ დღეს, გულისწყრომა გაუვლის და საქვეყნოდ ხელახლა გადავეხვევით ერთმანეთსო — ჩვენი მეგობრის გულის გასამხიარულებლად, ჩვენი მტრების გულის გასახეთქად და კბილთა საღრეჭენადო.

ასე პეიტრობდა ჩვენი მთავრობა და ასეთი გზაც ამოირჩია. რას იზამ, კაცია და გუნებაო! ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვისი გულის გასამხიარულებლად განაახლეთ და გლეხთა სისხლით აღბეჭდეთ თქვენი კავშირი თავად-აზნაურობასთან, არ გეწყინოთ კია,

მაგრამ, ნება გვიბოძეთ, დავეჰვიანდეთ; ჩვენის აზრით, თქვენს მეგობრებს ოდნავი გამჭრიახობა მაინც რომ ჰქონებოდათ, პირველად თვითონ ისინი უნდა შეძრწუნებულიყვნენ და კბილთა ღრჭენა დაეწყოთ თქვენი გზა-აბნეულობის გამო... რას წარმოადგენდა თავადაზნაურობასთან კავშირი?

იმას, რომ რუსეთის მთავრობამ სრული უფლება მოგვცა, თუმცა საშუალება კი არა, გავიმეოროთ „კოლოკოლ"-ის სიტყვები: „მეფემ ხალხი მოატყუა".

თუ როგორ მოატყუა, ამას ახლავე დავინახავთ.

პირველ ყოვლისა, კაცს თვალში ეცემა შემდეგი გარემოება: ახალი „კანონდებულებანი", რომლებიც მაღალფარდოვანი სიტყვებით გვაუწყებენ, რომ „გლეხთა ყმობა... საბოლოოდ ისპობაო", მიზნად ისახავენ მხოლოდ ახლანდელი „statu quo"-ს განმტკიცებას და ყველა მისი მთავარი საფუძველის საუკუნოდ დაკანონებას და განმტკიცებას.

რადგან ბატონყმობის კვლავ ხელუხლებლად დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო, რუსეთის მთავრობამ, რუსეთის ბნელეთის მოციქულობის ისტორიაში სახელგანთქმული ნ. ბეზობრაზოვის რჩევით, გლეხთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები. მთავრობამ ეს რუსეთშიაც კი ვერ გაბედა. რეფორმა ამით დამთავრდა.

რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩება; მემამულე ვალდებული არ არის მიწის გამოსყიდვასაც კი დასთანხმდეს, რადგან ,,დამატებულ დებულებათა" მეცხრე მუხლი, რომელიც ახალ ,,კანონდებულებათა" კვინტესენციას წარმოადგენს, შემდეგს გვეუბნება: ,,გლეხებს მხოლოდ მემამულის თანხმობით შეუძლიათ საკუთრებად შეიძინონ მუდმივ სახმარებლად მიღებული მიწის ,,ნადელი", როგორც მთლიანად, სახელდობრ: საამოსახლო კარმიდამო, ბაღები, მინდვრის მიწები და სხვა სახმარი მიწები, ისე ამ ,,ნადელის" თვითეული, ცალკე ნაწილი".

ამ მუხლის შემდგომი დადგენილება მდგომარეობას მცირეოდენად სცვლის: ,,როდესაც დღევანდლამდე არსებული წესით მემამულის სოფლისაგან შეიქნება ,,პოსადი" ან დაბა, გლეხებს, როგორც ცალ-ცალკე კომლებს, ისე მთელ საზოგადოებას, მემამულის დაუთანხმებლადაც შეუძლიათ, 1861 წლის თებერვლის 19-ის გამოსყიდვის დებულების თანახმად, გამოისყიდონ თავისი საკარმიდამო მიწა და შეინარჩუნონ უფლება საძოვარზე, თანახმად იმ წესისა, რომელიც

შეეხება საძოვრებსა და საიალაღო ადგილებს; შენიშვნა ამა დამატებულ დებულებათა მე-12 მუხლისათვის" (მუხ. 10). ეს მუხლი აშკარად საუკეთესოა იმ მუხლთა და დებულებათა შორის, რომლებიც გლეხობის წინააღმდეგაა მიმართული; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეეხება მხოლოდ საკარმიდამო მიწასა და არა სახნავი, ან სათიბი მიწისა ან ბაღების გამოსყიდვას. რაც შეეხება მიწას, „ადგილობრივ დებულებათა" მე-6 მუხლს შეუძლია თვალი აუხილოს უკიდურეს ოპტიმისტსაც: „თუ გლეხების სახმარებლად სახნავი და სათიბი ადგილების დატოვების შემდეგ (ნუ დაივიწყებთ, განსაზღვრული სასყიდლითა, ან ბეგარით), მემამულეს ნახევარზე ნაკლები დარჩა საერთოდ იმ სახნავი და სათიბი ადგილებისა, რომლებიც მას ეკუთვნის იმ სოფელში, სადაც დასახლებულნი არიან გლეხები, მემამულეს უფლება აქვს თავის უშუალო განკარგულებაში დაიტოვოს ასეთი მიწების, ე. ი. სახნავი და სათიბი მიწების საერთო რაოდენობის ნახევარი". რა უნდა ჰქნას გლეხმა? სახნავი მიწის გამოსყიდვა მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია, პური კი აუცილებლად სჭირდება, გარდა ამისა სხვადასხვა ბეგარა უნდა მოიხადოს მთავრობისათვის. გულშემატკივარმა მთავრობამ დააკანონა, რომ გლეხებს უფლება აქვთ შეუთანხმდენ მემამულეებს სახნავი მიწის საღალოდ აღების შესახებ. რატომ მოხდა, რომ გლეხების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მთავრობამ თავად-აზნაურობისა და გლეხობის „ნებაყოფლობით შეთანხმებაზე" მიაგდო, მაგრამ არ სურს იმავე შეთანხმების საგნად გახადოს მიწის საღალოდ აღების სამაგიერო, ბეგარათა რაოდენობა ან ღირებულება? იმიტომ რომ ქვემოთ მოყვანილი დებულებანი გაცილებით უფრო საჭიროა თავად-აზნაურობისათვის, ვიდრე „ნებაყოფლობითი შეთანხმებაც" კი. საქმის ასეთ ვითარებას მოჰყვა შემდეგი მუხლები, რომლებიც ღირსნი არიან, უაღრესად საპატიო ადგილი დაიჭირონ დრაკონის კანონმდებლობაში.

„ადგილობრივ დებულებათა" 148-ე მუხლი: „მინდვრის სახნავი მიწისათვის გლეხები იხდიან გამოსაღებს, რომელსაც ეწოდება ღალა; ღალა შეადგენს მიწის ყველა ნაწარმოების მოსავლის მეოთხედს". შემდეგი მუხლი 149-ე „სათიბი მიწისათვის გლეხები იხდიან ნათიბის 1/3".

დღევანდლამდე, ე. ი. ბატონყმობის ეგრეთწოდებულ მოსპობამდე, მემამულეების მიმართ გლეხები შემდეგ ვალდებულებას ასრულებდენ: 1. ფულად იხდიდენ ერთს ან ორ მანეთს, ადგილის მიხედვით. 2. ხარკად ერთ საპალნე ღვინოს, იმდენსავე პურს, ყველაზე დიდი გადასახადის მიხედვით; უფრო ხშირად ან ერთს იხდიდენ, ან მეო-

რეს; საქონლიდან აძლევდენ ჩვეულებრივ ღორს და ათ ქათამს; 3. ბატონის ბეგარაზე მუშაობდენ კვირაში ორს, იშვიათად სამ დღეს. ახალი ბატონყმობა მხოლოდ საქონლის ხარკს სპობს, ამის ნაცვლად მემამულეების სასარგებლოდ აწესებს: 1. მიწის ნაწარმოებთა 1/4-ს და ნათიბის 1/3-ს, რაც გაცილებით უფრო სახეიროა მემამულეებისათვის; 2. სამი მანეთის გამოსაღებს საკარმიდამო მიწის ერთ დღიურზე (ნახევარ დესეტინაზე); 3. გლეხთა „ნადელის" ბეგარად არ ითვლება: ა) გადასახადი ან საერთოდ ბეგარა საწვავ მასალაზე და საზოგადოდ ხე-ტყის მასალაზე იმ მამულებში, სადაც ამ „დებულების" 32 და 33 მუხლთა თანახმად გლეხები მემამულეებისაგან მიიღებენ საწვავსა და საზოგადოდ ხე-ტყის მასალას; ბ) საერთოდ ყოველგვარი ბეგარა გლეხების კუთვნილ წისქვილებზე, აგრეთვე ფიჩხულზე და სხვა საყალნო საგნებზე და სხვა და სხვ. (ადგ. დებ. 138 მუხ.); 4. კულუხი, რომელიც გადიდებულია, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორჯელ ან სამჯერ წინანდელთან შედარებით: „ვენახებისათვის გლეხები იხდიან ღვინის გამოსაღებს, რომელსაც კულუხი ეწოდება; კულუხი შეადგენს მოსავლის ერთ მეოთხედს" (ადგილ. დებ. 146 მუხ.). ყოველსავე ამას უნდა მიუმატოთ 147 მუხლი: „ხილის და თუთის ბაღების ან ვენახებში მოქცეული ხეხილებისა და თუთის ხეების, აგრეთვე გლეხთა სახნავ და სათიბ მიწებზე მოქცეული კაკლის ხეების გადასახადი განისაზღვრება მემამულისა და გლეხების შეთანხმებით; თუ შეთანხმება ვერ მოხერხდება, გამოსაღებს მომრიგებელი შუამავალი განსაზღვრავს".

ესეც თქვენი მიწათმოწყობა ახალი ბატონყმობისა. მაშასადამე, თუ მთავრობამ ამ მხრით ვისიმე მდგომარეობა გააუმჯობესა, ყოველ შემთხვევაში არა გლეხებისა, არამედ უფრო თავად-აზნაურობისა...

გარდა ამისა, ხალხს ხე-ტყე სჭირდება საშენ და საწვავ მასალად; „ადგილობრივ დებულებათა" 30 და 31 მუხ. ნათქვამია: 30 მუხ.—მემამულენი ვალდებულნი არ არიან ხე-ტყე მისცენ გლეხებს საშენ მასალად; 31 მუხ. — მემამულენი ვალდებულნი არ არიან, აგრეთვე რომ საწვავი მასალა მისცენ გლეხებს უსასყიდლოდ. მაგრამ თუ თქვენ გგონიათ, რომ ყველა უფლება მარტო თავად-აზნაურებს აქვთ, ამოგიწერთ გლეხობის ერთ-ერთ უმთავრეს უფლებას; აი ეს უფლება: 32 მუხლის მე-5 პარაგრაფი: „გლეხებს უფლება აქვთ.... უარი სთქვან და არ მიიღონ საწვავი მასალა მომრიგებელი შუამავლის და საგუბერნიო საკრებულოს მიერ დაწესებული რაოდენობით და მათგანვე დაწესებულ ფასად ან ბეგარით"! ღმერთმანი, ყოველივე ეს დაბეჭდილია en toutes lettres ასეთი დაცინვის პასუხად გლეხობას უნდა

ამოეკრა თავად-აზნაურობის რომელიმე უცნაური ღერბი ასეთი წარწერით „mon droit“.

კიდევ რა სჭირდება ხალხს! ძველი დროის ოთხ საფუძველს შორის—მიწასა, ცეცხლსა, წყალსა და ჰაერს შორის პირველი ორი თავად-აზნაურობას მიეკუთვნეს; ვნახოთ, როგორ არის წყლისა და ჰაერის საქმე: „მემამულეს შეუძლია, რომ საერთო სახმარი წყლის ნაცვლად გლეხებს მიუჩინოს ცალკე სახმარი წყალი მათთან ნებაყოფლობითი შეთანხმებით, ან, თუ შეთანხმება ვერ მოხერხდება, მომრიგებელი შუამავლის ნებართვით სათანადო შემოღებული წესის თანახმად“ (ადგილ. დებულ. 15 მუხ.). „გლეხებს მიჩენილი ექნებათ ცალკე სახმარი წყალი, საერთოს ნაცვლად; წყალი გამოსადეგი და საკმაო უნდა იყოს და, შეძლებისამებრ, (როგორ მოგწონთ ეს „შეძლებისამებრ“!) სოფლისაგან უფრო შორს არ უნდა იყოს, ვიდრე წინანდელი წყალი იყო“. (მე-16 მუხ.).

საერთო სახმარებლად დარჩა მხოლოდ ჰაერი, მაგრამ მემამულეებს უფლება აქვთ ახალ კარმიდამოზე გადაასახლონ გლეხები. აი ეს ბუხლი: „მემამულეს უფლება აქვს მოითხოვოს და გლეხებისათვის საკალდებულოდ გახადოს კარმიდამოს გადატანა შემდეგ შემთხვევებში, რისთვისაც საჭირო არ არის გლეხების თანხმობა: 1. თუ გლეხის კარმიდამო იმყოფება 50 საჟენზე ახლოს, ხოლო ჯიხური, სამეჭედლო ან ცეცხლის შემეწეობით სამუშაო სხვა ნაგებობანი 100 საჟენზე ახლოს მემამულეთა იმ შენობებთან (რომელ შენობებთან? მაგალითად, ბოსლებთან ხომ არა?), რომლებიც აგებულია ამ დებულების გამოქვეყნებამდე; 2. თუ სოფლისა ან დასახლებული ადგილის ფარგლებს გარეთ, საბატონო მიწებს შორის, იმყოფება გლეხის ცალკე კარმიდამო, რომლისთვისაც ნავარაუდევი არ არის მინდვრის მიწების „ნადელი“; 3. თუ მემამულეთა და გლეხთა მინდვრის მიწების გამიჯვნისათვის საჭირო აქნება სოფლის რამდენიმე ან ყველა კარმიდამოს გადატანა“. (ადგილ. დებ. 56 მუხ.).

ყველა ეს კანონდებულება ფრიად ნათლად და მკაფიოდ არის დაბეჭდილი; სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება! კიდევ გამოჩნდებიან სკეპტიკოსები და სასწაულს არ ირწმუნებენ!..

კაცმა იღარ იცის, თუ რა გაიოცოს ბატონყმობის ახალი წესრიგისა—კადნიერება მთავრობისა, რომელიც ესოდენ აშუჩად იგდებს ხალხის საღ აზრს, თუ მის დედაბოძთა გონების წარმოუდგენელი სიჩლუნგე, ან ერთიც და მეორეც ერთად?.. მაგრამ დავუბრუნდეთ

„კანონდებულებებს“. ჩვენ დაწვრილებით არ განვიხილავთ ახალ „დებულებებს“ ქართველი გლეხების შესახებ, არც იმას აღვნიშნავთ, თუ რით განსხვავდება 1861 წლის თებერვლის 19-ის „დებულებისაგან“; ეს ამოცანა თვალსაჩინოდ აღემატება ჩვენი წერილის ზომას, უმთავრესი კი ას არის, რომ საკმაოდ უსარგებლო იქნება „კოლოკოლ“-ის მკითხველებისათვის; ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, თუ რადარა უმთავრესი თვისება ახასიათებს ბატონყმობის ახალ წესრიგს საქართველოში.

როცა მთავრობამ გლეხებს მიწა წაართვა და იგი თავად-აზნაურობას დაუმტკიცა, მთავრობას ის მაინც უნდა ექნა, რომ რამე დაეკანონებინა გამოსყიდვის შესახებ და ამასთანავე ხელი შეეწყო გლეხებისათვის ფულის სესხით. ეს მოვალეობა მთავრობამ შემდეგნაირად შეასრულა: ჯერ ერთი მიწის გამოსყიდვა, საერთოდ, და მისი ყოველი პირობა, ცალ-ცალკე, გადასაჭრელად მიანდო... როგორ გგონიათ, ვის? მემამულეთა „ნებაყოფლობით შეთანხმებას“ გლეხებთან! მიუხვდით თუ არა ამას! უმიწაწყლო, ულუკმა-პურო გლეხი, რომელსაც საშუალება არ გააჩნია, რამე სამუშაო იშოვოს, უნდა დასთანხმდეს მემამულის ყველა შესაძლებელ და შეუძლებელ პირობას, რომ თავი დააღწიოს თავისი მეურნეობის ნაწარმოებთა მეოთხედი ან მესამედი ნაწილის გაღებას; ასეთ მდგომარეობას „ნებაყოფლობით შეთანხმებას“ უწოდებენ! ეს გაცილებით უარესია, ვიდრე ყბად-აღებული სისტემა „laisser faire, laisser passer“, რადგან აქ მთავრობა მემამულეებს იცავს. გაუმარჯოს გონიერებას?! შემდეგ მთავრობა საქმეს იწყებს და სესხს ასახელებს. როგორ გგონიათ, რამდენს? ჯერ ორიოდე სიტყვა ვთქვათ „ნადელის“ რაოდენობის შესახებ.

„წესდება მიწის ძირითადი ნაკვეთის განსაკუთრებული ზომა; ეს ზომა შეადგენს მიწის იმ რაოდენობის ნახევარს, რომელიც მე-7 მუხლის თანახმად, ამ მიწების თვითეული სახისათვის აღიარებულია საკომლო მიწის „ნადელის“ უმაღლეს ზომად“ (ადგ. დებ. 35 მუხ.). მე-7 მუხლი ამბობს: „საკომლო მიწის ნაკვეთის უმაღლეს ზომად წესდება: სარწყავი მიწებისათვის—ათი დღიური*) თვითეულ კომლზე: ურწყავი მიწებისათვის—ოცი დღიური თვითეულ კომლზე. შენიშვნა: სარწყავი და ურწყავი მიწები იმით განისაზღვრება, თუ რომელი მათგანი ირწყვის მუდმივად მიგდებული წყლით და რომელი არა“.

*) „მიწის ადგილობრივი საზომი—დღიური ამა დებულებით მიღებულია დაკანონებული საზომის—დესეტინის ნახევრის აღსანიშნავად, სახელდობრ. 1200 კვ. საჟ.“ (დებულებათა შენიშვნა).

ე. ი. მიწის ძირითადი „ნაკელის“ ზომა განისაზღვრება სარწყავ მინდვრებზე 2½ დესეტინით, ზოლო ურწყავ მინდვრებზე—5 დესეტინით.

რანაირიც უნდა იყოს გამოსასყიდი ფასი (უეჭველია, ასეთ პირობებში დიდი იქნება), მთავრობა გლეხებს სესხად ჰპირდება: ტფილისის გუბერნიის უმეტეს ნაწილში „გამოსასყიდი სესხის რაოდენობა კომლზე ვერ აღემატება 350 მანეთის სესხს“; გორის მაზრის მთიან ნაწილებში და მთიულთა ოლქში (სადაც სარწყავი მიწა გაცილებით უფრო ძვირია) „გამოსასყიდი სესხის რაოდენობა ვერ აღემატება 250 მანეთის სესხს თვითეულ კომლზე“. ნება გვიბოძეთ, გკითხოთ, რას იყრდით ამ ფულით? ქალამნის ამოსხმას ხომ არ აპირებთ საქართველოში ამ ასიგნაციებით? ან როდის მოახერხებს ქართველი გლეხი, რომ ეს ფული გადაგიხადოთ? ან რადაია ვადაზე? თქვენ ამაზე როგორლაც არაფერს ამბობთ, გარდა შემდეგისა: გამოსასყიდი სესხის გადახდა ხდება იმ ვადაზე, რომელსაც შეთანხმებით აწესებენ კავკასიის მეფის ნაცვალი და ფინანსთა მინისტრი“ ესეც თქვენი გამოსყიდვა!

მაგრამ თუ ნებაყოფლობითი შეთანხმება ვერ მოხერხდება? იკითხავს მკითხველი. მაშინ, დაე, გლეხები ჰაერის სივრცეში გადაბარგდენ. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ რა პირობებში შეუძლია მას თავისი კარმიდამოს გადატანა; რაც შეეხება მინდვრის სახმარ მიწებს, გლეხს უფლება აქვს ან უცვლელად შეინარჩუნოს თავისი ახლანდელი მდგომარეობა და იხადოს თავისი შემოსავლის მეოთხედი და სხვა გამოსაღები, თუ მემამულე თანახმა იქნება, ან შეთანხმების გზას დაადგეს გამოსყიდვის საქმეში, ისევ და ისევ მემამულის კეთილი სურვილით, ან გადაიბარგოს სადაც უნდა, რასაკვირველია, თუ ნებართვას გამოსთხოვს მემამულეს და პასპორტს—მთავრობას;—რანაირ ნებართვას? აი რანაირს: „ამა წესების დამტკიცების დღიდან პირველი ცხრა წლის განმავლობაში თვითეული გლეხი მოვალეა, მემამულის სასარგებლოდ დაწესებული გამოსაღები იხადოს და თავის სახმარად ეჭიროს მიჩენილი საკარმიდამო და მინდვრის ნაკვეთები მთელი მათი შემადგენლობით; გლეხს შეუძლია უარი სთქვას მათზე მხოლოდ მემამულის თანხმობით“. („მიწათმოწყობის წესების“ მე-12 მუხ.). აქ უკვე საჭიროა, რომ სადღეგრძელო თავისუფლებისათვის დაილიოს.

კაცმა რომ იკითხოს, სადღაა აქ ბატონყმობის მოსპობა? ცარიელი სიტყვით ბევრი რამე შეგიძლიათ ილაქლაქოთ; მაგრამ თქვენს სიტყვას ვინ რას დაუჯერებს, როცა საქმე არ აგვირგვინებს მას. აბა, სადაა გლეხთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება? საკმარისია ოდნავ ჩაუფიქრდეს კაცი თქვენს „კანონდებულებებს“, რომ ცამდე აიყვანოს

ძველი ბატონყმობა, იმდენად აუმჯობესებს თქვენი დებულება ხალხის მდგომარეობას. ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მოეპოვება თუ არა რაიმე აზრი (საღს აზრს ვიღა დაეძებს) თქვენს, ეგრეთწოდებულ, რეფორმას, როდესაც მემამულე გლეხობის მთელი მიწების მფლობელობაში შეგყავთ, როდესაც გლეხებს წინანდელზე უარესად (იხ. ზემოთ) აბამთ მიწაზე, როდესაც, ბოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაჭრას გლეხს მისი მიწის ნახევარი (იხ. იქვე), როდესაც გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი? რაღა შეადგენს თქვენი რეფორმის შინაარს?

მოსპობა მემამულეთა უფლებისა, რომ თავიანი გლეხები გაამათრახონ, იტყვიან ზოგნი.

მაშ მოისმინეთ: „სოფლის საზოგადოებათა მოწყობის წესების“ მე-14 მუხლი ამბობს: „ზოგადი დებულებით“ განსაზღვრულ საფუძველთა თანახმად (149, 161 და 163 მუხ.) მემამულეს ენიჭება სამამულო პოლიციის უფლება და მბრძანებელობა მის მიწაზე დასახლებულ გლეხთა მიმართ“. ამას უწოდებენ ბატონყმობის მოსპობას.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ „დებულებათა“ ქვემოთ მოყვანილი მუხლის წაკითხვა შეიძლება ადამიანს ურჩიოთ, როგორც ძლიერი სიცილის გამომწვევი საშუალება მელანქოლიის წინააღმდეგ: „სამუდამოდ ისპობა ტფილისის გუბერნიის იმ გლეხთა ყმობა, რომლებიც დასახლებულნი არიან მემამულეთა მიწა-წყალზე ან დასახლებულნი არიან ხიზნებად სხვა მფლობელის ან უწყების (სახაზინო ან საეკლესიო) მიწაზე ან ცხოვრობენ ქალაქებსა და დაბებში“.

რა ხარხარს გამოიწვევდა ეს სტრიქონები, რომ ამავე დროს ხალხის საუკეთესო სისხლი არ გამოეწოვა.

ჩვენ გაკვრით აღვნიშნეთ ახალ „დებულებათა“ უმთავრესი თვისებანი, დანარჩენზე ლაპარაკიც არა ღირს, რადგან ყველა დეტალი საუცხოოდ ეთანხმება რეფორმის საერთო ხასიათს. მაგრამ დასასრულ არ შეგვიძლია გვერდი აუქციოთ რუსეთის მთავრობის ერთ შეცდომას.

ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა პირობებში მოჰკიდა ხელი მთავრობამ გლეხთა რეფორმას საქართველოში. მთავრობა სერიოზულად არის დარწმუნებული, რომ შესაძლებელია ხალხის უმიზეზოდ აღელვება და ამბოხება რომლისამე სააგიტაციო კომიტეტის მითითებით; ამას ადასტურებს თავადი გორჩაკოვის ცნობილი ნოტები პოლონეთის საკითხის გამო; მაშასადამე ამ მხრით რუსეთის მთავრობას სრულებით არ ვწამებთ ცილსა და უსაფუძვლო ეჭვებს არ ვქმნით მის მიმართ. მაშ ასე, რაკი მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ გლეხთა

მოძრაობა ლონდონში ჩაისახა, მან ხალხს ისეთივე ოინი დამართა, რომლის წყალობითაც მოპიბლა პეტერბურგელი ლიბერალები მსგავსი ბ. გრობეკისა et consorts. მაგრამ საბედნიეროდ ხალხს ასეთი პლატონიური სიყვარული არა აქვს გარეგანი სახის რეფორმებისადმი; გლეხის გაუთლელი ბუნება წინ მიიწევს და დაუბანელი საჯით შიგნით იყურება, ხომ არაფერია იქ უვარგისიო. თქვენის მაღალფარდოვანი სიტყვებით „გოლოს"-ისა და „ოტეჩესტვენნია ზაპისკი"-ს რომელიმე მოლიბერალო პუბლიცისტი მოხიბლეთ, ხალხს კი მიწა სჭირდება, თავისი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფა, შრომის თავისუფლება და პირადი თავისუფლებისა და მისი ოჯახის ხელუხლებლობის გარანტია ადმინისტრატიული და ყოველგვარი სხვა თავნებობისაგან, მას სჭირდება ამორჩეული სასამართლო და ბევრი რამ სხვა, რაც თქვენ მას არ მიეცით, არ გსურთ მისცეთ და ვერც შეგიძლიათ მისცეთ.

ხოლო თუ თქვენ ხალხის მოტყუებას არ ფიქრობდით, თუ ყოველივე ეს იმიტომ ჩაიდინეთ, რომ ღრმად დარწმუნებული იყავით— ხალხის უკმაყოფილება დაგხვდებოდათ და თქვენც მომარჯვებული ხიშტებითა და გამზადებული ზარბაზნებით მოსჯობდით ამ უკმაყოფილებას, მაშინ რაღად გჭირდებოდათ ცრუ განთავისუფლების მთელი ამ კომედიის გათამაშება? ან შეიძლება ძალიან გინდოდათ, რომ ხალხში თავისუფლების ლონდონური დოქტრინების ქადაგება გაჩაღდეს?

თუ ასეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონებო.

F. St. Germain. 1865 წლის ივნისის 10.

ჩვენი მომავალი ვექილები „მოსკოვის უწყების“ სამსჯავროს წინაშე

მოქალაქე პოდშივალოვის მკვლელების სისხლის სამართლის წესით გასამართლების გამო, რომელიც მოსკოვში მოხდა ამა წლის მაისის 29, „Московские Ведомости“-მ ივნისის 22, Premier Moscou-ში მოათავსა პატარა წერილი იმის შესახებ, თუ რანაირი უნდა იყოს ჩვენი მომავალი ვექილების მოღვაწეობა. ამ საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალი თაობისათვის, რომელიც, როგორც ვიცით, ძალიან ეტანება ვექილობას; ამიტომ დარწმუნებული ვართ, ჩვენი მკითხველები არ დაგვემდურებიან, თუ ამ საკითხის უმთავრეს ნაწილებს მოკლედ განვიხილავთ.

ბურიდიულ პრაქტიკაში ბრალდებულთა სამოსამართლო დაცვის ორი საშუალება არსებობს: ერთი—სამართლიანობისა ანუ ცოტად თუ ბევრად შედარებითი ჭეშმარიტების საფუძველზე, ე. ი., უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ადამიანობის გრძნობის საფუძველზე, მეორე—ამა თუ იმ კანონის მუხლის, ან საერთო ხასიათის საფუძველზედაც კი. ვთქვათ, მაგალითად, x-მა ერთი გირვანქა პური მოიპარა იმიტომ, რომ მას შიოდა, იმიტომ რომ, მუშა ხელის სიუხვისა და მუშაობის სიმცირის გამო, მას სამუშაო არ ჰქონდა და თავის რჩენა მხოლოდ ქურდობით, ან სხვა რომელიმე არა ნაკლები უკანონობით შეეძლო. ცხადია, x-ის გამართლების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თუ საქმეს კანონების თვალსაზრისით შევხედავთ: ამა და ამ კოდექსის ესა და ეს მუხლი ფორმალურად კრძალავს ქურდობას; ესა და ეს მუხლი კი ამა და ამ სასჯელს აწესებს. რაკი გამოირკვევა, რომ ეს დანაშაულობა ჩადენილია, მოსამართლეებმა ბრალდებულს კანონით დაწესებული სასჯელი უნდა დაადონ, ვექილს კი კანონების საფუძველზე მხოლოდ საბუთების მოყვანა შეუძლია სასჯელის შესამსუბუქებლად—ან კანონების ორაზროვნებას გამონახავს, ან რომელსამე ხრიკს გამოიგონებს. ასე ხდება უმეტეს წილად ინგლისში, და, ცხადზე-უცხადესია, ჩვენს სახელგანთქმულს „ინგლისურ აზრთა და მოსკოვურ საფუძველთა მოციქულს“ უნდა მოეთხოვა, რომ ჩვენებური ვექილები ამ გზას გაჰყოლოდენ.

მაგრამ კაცს რაც უნდა სუსტად ჰქონდეს შეგნებული ადამიანის ბუნების აუცილებელი მოთხოვნილებანი, მისთვის ცხადია, რომ ასეთ საქმეებში სიტყვა უნდა ეკუთვნოდეს სხვა რამეს და არა კანონიერების ვიწრო ცნებას. თუ კაცი დოქტრინიორობის ჯურღმულებში არ დახავსებულა და არ შთანთქმულა, მისთვის დღესავით ნათელია შემდეგი: ყოველთვის, როცა ერთმანეთს შეეჯახება, ერთის მხრით, ცალკე ინდივიდების ინტერესები, მეორეს მხრით, საზოგადოების ინტერესები, მაშინ კანონზე მაღლა,—რომელიც არამც თუ სრულყოფილი არ არის, არამედ ცოტად თუ ბევრად უსამართლოა ყველა არსებულ სახელმწიფოში,—უნდა იდგეს ჭეშმარიტება და სიმართლე; ეს ჭეშმარიტება და სიმართლე დამოკიდებული არაა არავითარ კანონდებულებაზე, თუნდაც იგი შედგენილი იყოს „ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ I-ის ბრძანებით“, თუნდაც მასზე ხელი მოწერილი ჰქონდეს ინგლისის თვითმმართველობისა და რუსულ-თათრული ბატონყმობის ზამოსკვორეჩულ დამცველთა არეოპაგს. დანაშაულობათა დიდ უმრავლესობას საუკეთესოდ უდგება შემდეგი საერთო წესი; არ არსებობს მოქმედება უმიზეზოდ, ე. ი. დანაშაულობა ხდება ინდივიდის განვითარებისა ან მისი ცხოვრების არახელსაყრელი პირობების ზედგავლენით; მაშასადამე, დანაშაულობის აღმოსაფხვრელად საჭიროა მოისპოს მძიმე და დუხჭირი პირობები, რომლებიც დანაშაულობას ჰქმნიან და ძალიან ხშირად აიძულებენ ადამიანს დანაშაულობა ჩაიდინოს, საფრთხეში ჩააგდოს საკუთარი თავისუფლება, ქონება და ხშირად სიცოცხლეც. ახალი მაგალითი რომ არ მოვიყვანოთ, ავიღოთ იგივე *x*. ვექილი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მოღვაწეობა, შეგნებულად მიდის თავისი გზით და მიზნად ისახავს დანაშაულობათა შესაძლებლობის აღმოფხვრას, ამ შემთხვევაში მარტო *x*-ის გამართლებას და კანონის ბრმა სიმკაცრისაგან დახსნას არ ეცდებოდა. უფრო დიდი მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ დანაშაულობის მთავარი მიზეზებისა და ამ დანაშაულობის პირობების გამორკვევით ხელს შეუწყობდა ისეთი მდგომარეობის შექმნას, როცა პატიოსანი მუშაკნი იძულებულნი არ იქნებიან სამარცხვინო საქციელი ჩაიდინონ მუშაობის ნაკლებობისა, ან ხელფასის სიმცირის გამო. ხოლო ასეთი სარგებლობის მოსატანად ყველაზე უფრო უკეთესი და ნაყოფიერი ის იქნებოდა, რომ გამოერკვია ამჟამად არსებული წესების ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც კაცს ყოველ წუთს ხვდება სასამართლოში გამართული მსჯელობის დროს და რომლებიც გამომდინარეობენ, ასე ვთქვათ, როგორც თვით საქმის ვითარებიდან, ისე თითქმის ყველა მისი ნაწილიდან. უეჭველია, ასეთ სარბიელზე

არა ერთხელ და ორჯელ მოხვდება ბიძგი თანამედროვე კანონებსაც და, მაშასადამე, კანონიერებასაც.

მართლაც, იოლი რამ არის ეს კანონიერება!

„Московские Ведомости“ ახლა მას თავგამოდებით იცავს, მაგრამ ეს გაზეთი, ან უკეთ რომ ვთქვათ, მისი რედაქტორები ხომ ებრძოდენ კანონიერებას, როდესაც გრძნობდენ, რომ კანონიერება და სამართლიანობა ერთი და იგივე არაა და რომ ამ ორ ტერმინს შორის გათხრილი იყო უდიდესი უფსკრული, რომელსაც ბატონყმობა ეწოდებოდა? ახლა ამ ვაუბატონებს უკვე აღარ სურთ შეიგნონ, რომ ბატონყმობის საკმაოდ ორაზროვანი და თანაც მეტის-მეტად უსამართლო გადაჭრის გარდა, ჩვენს ცხოვრებაში კიდევ არსებობს ათასნაირი პოლიტიკური, ეკონომიური, საზოგადოებრივი, ოჯახური და, ვინ მოსთვლის, რამდენნაირი უსამართლობა. ისინი ცდილობენ განამტკიცონ და სამარადისო ხელუხლებლობის ბეჭედით აღბეჭდონ თანამედროვე წყობილება; რაკი მას უკვე წმიდათა-წმიდის ხასიათი მისცეს, ცდილობენ საზოგადოებას ჩაუნერგონ ის აზრი და გრძნობა, რომ იგი კანონიერია. მაგრამ კატკოვის წინა პერიოდის (მოგვიტევეთ ასეთი გამოთქმა) პირთათვის ბატონყმობაც თავისებურ წმიდათა-წმიდას წარმოადგენდა, იგი კანონიერებათ (რასაკვირველია, მათის აზრით) უნდა მიჩნეულიყო; მაშ „Московские Ведомости“-ს ბატონი რედაქტორები რატომ წმიდათა-წმიდის შებღალვად არა სთვლიან თავის ჯვაროსნულ ლაშქრობას ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ? ჰოი, ბ. კატკოვო, რატომ არ დაინდეთ ეს წმიდათა-წმიდა, რატომ ჩაეცით მას თქვენი „Русский Вестник“-ისა და მთელი თქვენი პატიოსანი საალიტერატურო მოღვაწეობის ლახვარი და რატომ ახლა არ გსურთ შეიწყნაროთ ის აზრი, რომ სხვებს შეუძლიათ კიდევ გამონახონ ცოტაოდენი უსამართლობა იმაში, რაც თქვენ წმიდათა-წმიდად მიგაჩნიათ?

თქვენი წმიდათა-წმიდა ჩვენი არ არის; ჩვენ მასში ვხედენ უსამართლობასა, სისხლის მსმელობასა და ველურობას, უაზრობასა და საზიზღრობას ვხედავთ, რომ თვით ბატონყმობაც კი მხოლოდ კერძოობით მოვლენად მიგვაჩნია ამ ყოველგვარი უსამართლობისა, სიყალბისა და შეცდომების მორევში. და რადგანაც თანამედროვე საზოგადოებრივი სიდუხჭირის მთელი ამ ქაოსის ნოსპობისა და მის ნაცვლად სამართლიანი და სწორი წყობილების დამყარების საუკეთესო საშუალებას, ყველას აზრით, ის წარმოადგენს, რომ გამოირკვეს, როგორც თანამედროვე, ი ე შეძლებისამებრ საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილების მთავარი ხასიათი და თავისებურებანი, ამიტომ ჩვენთ-

ვის სრულიად გასაგებია, თუ თქვენ წელზე ფეხს იდგამთ და ცდილობთ, რომ პირველსავე სიტყვაზე კლიტე დაადოთ ჩვენი მომავალი ვექილების ისედაც უწყინარსა და მოკრძალებულ ენას.

საზოგადოებრივი ცხოვრება ყველგან ისე ეწყობა, რომ როდესაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი დარგი მოკლებულია თავისუფლებას, ან მოქმედების საშუალებას, საზოგადოებრივი ძალები გზას იკაფავენ და მუშაობენ სხვა, მათთვის ხელმისაწდომ დარგებში, სადაც კი მოღვაწეობა შესაძლებელია, ან სადაც უფრო მოხერხებული და ნაყოფიერია. ამ მხრით შედარებისათვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მცენარეთა ცხოვრება: როდესაც რომელიმე მცენარე მოკლებულია თავის ყლორტებს, ამ ნაწილის მასაზრდოებელი. წვენი მცენარის დანარჩენ ნაწილს ასაზრდოებს და ამგვარად აძლიერებს, გადაჭარბებითაც კი აძლიერებს მის განვითარებას. ჩვენთვის საინტერესო საკითხის მიმართ ეს საერთო წესი შეგვიძლია ასე განვმარტოთ: როცა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება არ არსებობს, როცა თავის მოყრა და საზოგადოებრივი კრება აკრძალულია, როცა არ არსებობს ის, რასაც პოლიტიკურ ენაზე „ტრიბუნა“ ეწოდება, მაშინ ადვოკატურა, თუ მთლიანად არ შთანთქავს, თვალსაჩინოდ მაინც მიიზიდავს ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეებს და ყველას, ვინც მისთვის ოცნებობს; იგი შეძლებისამებრ კეთილმოქმედებად გადაიქცევა, ან ბეჭდვითი სიტყვის, კრების და ტრიბუნის თავისუფლების მაგიერობას გასწევს. ჩვენ ოდნავადაც არ ვაჭარბებთ ადვოკატურის მნიშვნელობის შეფასებაში; პირიქით, გაცილებით უფრო მცირედ ვსაბავთ ჩვენი საზოგადოების მოლოდინს; და, რასაკვირველია, არც ჩვენზეა დამოკიდებული ადვოკატურის ძალ-ღონის სიმცირე, ან სიდიდე. „Московские Ведомости“-მ კარგად იცის ჩვენი ვარაუდის ჭეშმარიტება ამ საკითხში, ამის საუკეთესო დამადასტურებელია მისი წერილის კილო. ამ წერილის ავტორი დიდად ზრუნავს, რომ მომავალ ვექილებს ყოველგვარი სურვილი მოუკლას იმისა, რომ პოლიტიკურ პაექრობაში გაებან და სასამართლოში შეიტანონ ის გრძნობათა ღელვა, რომელიც ჩვენს საზოგადოებას დაუფლებია.

აქ საჭიროა დღის სინათლეზე გამოვიტანოთ „Московские Ведомости“-ს ერთი პატარა ხრიკი. „Московские Ведомости“ გატაცებულია სურვილით, რომ მომავალ ვექილებს მოუსპოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების საფუძველთა შერყევის ყოველგვარი საშუალება და ამიტომ პარალელი გაუკეთებია ორი ტიპის ვექილებს შორის: სერიოზული (იგულისხმე ინგლისელი) ვექილები, ამბობს წერილის ავტორი, გატაცებული არ

არიან რიტორობით და საკითხს ერთის თვალსაზრისით არკვევენ— მიუდგება თუ არა ესა თუ ის დანაშაული ამა თუ იმ კანონს, მართლაც აკვს თუ არა რომელსამე მუხლს ის აზრი, რომელსაც მას პროკურორი მიაწერს; ამგვარად, ასეთი ვექილი ბრალდებულს „კანონების მიხედვით“ ამართლებს. უ ა ზ რ ო ვექილები კი (იგულისხმე ფრანგი ვექილები. რათ სწამებს მათ ცილს წერილის ავტორი?) ამის ნაცვლად რიტორიულ ფრაზებს ხარჯავენ, ცდილობენ იმოქმედონ მსაჯულებისა ან საზოგადოების ჰუმანობაზე და... აქ ავტორი ხმას დაბლა უწევს და დასძენს... შეარყიონ სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლები. ამ მიზნით, დაასკვნის ავტორი, ისინი რიტორობას მიმართავენ და მხოლოდ ფრაზიორებს, რიტორებს და სოფისტებს წარმოადგენენო.

ჯერ ერთი, ეს სრულებით მართალი არ არის: ფრანგი ვექილების დიდი უმრავლესობა დამნაშავეებს, ან ბრალდებულებს ისეთივე ხრიკებით იცავენ, როგორც ინგლისელი „სერიოზული“ იურისტები; ინგლისშიც, როგორც ყური მოგვიკრავს, არიან „არასერიოზული“ ვექილები, რომლებიც ხშირად კანონების საფუძველს არყევენ. მეორე— საზოგადოებრივი რეფორმისათვის მებრძოლთა არევა რიტორებსა და სოფისტებში ისეთი საქმეა, რომელიც მთლიანად შეეფერება „Московские Ведомости“-ს ზნეს. მთელმა ქვეყანამ იცის, და თქვენმა უბედურმა მკითხველებმაც კი, რომ ის პირნი, რომლებიც ამხედრებული არიან თქვენი მოწონებული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, ფრაზებს კი არ ხარჯავენ, არამედ ფაქტებით გებრძვიან. საზოგადოების სამჯავროს წინაშე მათ გამოაქვთ ფაქტები, ფაქტები და კიდევ ფაქტები, შეულამაზებელი და ყოველგვარ სამოსელს მოკლებული; ყველამ იცის, რომ ამ სამოსელს, ე. ი. ფრაზებს, ფრაზებს და ფრაზებს, ანუ რიტორიკას, სოფიზმს თანამედროვე წყობილების დამცველნი შესთითხნიან ხოლმე, ე. ი. ისევ და ისევ თქვენ. საბუთები გნებავთ?

თუმცა ძალიან გინდოდათ უბედურ მსხვერპლთა სახელდახელოდ გამომცხვარი დამცველის ბ. ზორინის დატუქსვა, მაგრამ თქვენ ის არ დატუქსეთ, თუმცა ცოტაოდნად უჯავრდებოდით და აგრძნობინეთ კიდეც თქვენი უკმაყოფილება იმის გამო, რომ ბ. ზორინი არაპირდაპირ ამხედრდა სამხედრო სასამართლოს კომპეტენტობის წინააღმდეგ. მაგრამ გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რატომ პირდაპირ, აშკარად და მიუკიბ-მოუკიბველად არ უსაყვედურეთ უაღრესად დაბალი ყალიბის ფრაზებისათვის, მაგალითად შემდეგი სიტყვებისათვის: „გაიხსენეთ ვიქტორ ჰიუგოს „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასას-

ჯელისა", შეტადრე ამ დიდი ქმნილების ის ადგილი, როცა მსჯავრდადებულს სიკვდილის განაჩენს უკითხავენ, ის კი ამ დროს მთელ თავის გულისყურს აქცევს და შეჰხარის მზის სხივს, რომელმაც საპატიმროს სარკმელს გამოატანა და საკნის კედელს ეთამაშება". იცით, რა? ჩვენ ისეთი ადამიანები ვართ, რომლებიც ვცდილობთ დავარღვიოთ თქვენი წყობილება, ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე შივაღწიოთ ამას; ჩვენ „არასერიოზულნი", ეს კიდევ ცოტაა, უაზრონიც ვარ, მაშასადამე, სოფისტები და რიტორები, ასეა თუ არა? და აი, მოგახსენებთ: ისეთ რამეს, როგორიცაა ზემოთ ამოწერილი ტირადა, ჩვენ მჭერმეტყველების თაიგულს კი არ ვუწოდებთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აბდაუბდას, რომელიც გონიერ ადამიანს არ ეკადრება. მაგრამ ბ. ზორინი, ზემოთმოყვანილი ამონაწერის მთქმელი „სერიოზული" კაცია (თქვენებურად); იგი ბრალდებულებს იცავდა არა პოლიტიკური მოსაზრებით, ან თანამედროვე წესების კრიტიკის გზით, არამედ მხოლოდ იმით, რომ აღნიშნავდა სამხედრო სასამართლოს არა კომპეტენტობას, თანაც დიდის მოკრძალებით და, გარდა ამისა, მოწყალებასავით თხოულობდა სამუდამო საკატორღო მუშაობას ბრალდებულთათვის. ყოველივე ეს გიჩვენებთ, რომ რიტორები ჩვენ კი არა ვართ და ჩვენი თანამებრძოლნი, არამედ თქვენ და თქვენი მოკავშირენი. თუმცა, თქვენ ეს ჩინებულად იცოდით ჩვენზე უფრო ადრე, მაგრამ მაინც არ ითაკილეთ ასეთი... აბა, როგორ გითხრათ, ასეთი მალაყის გადასვლა. ჩვენ ეს აღვნიშნეთ არა თქვენთვის, არამედ მკითხველებისათვის. საქმესა და სიტყვაში ხმარებული ხერხი გვიჩვენებს მოღვაწეთა კეთილსინდისიერებას, რომელსაც გავლენა აქვს საქმის მიმდინარეობასა და განვითარებაზე; ადვილად გასაგებია, რომ ჩვენ დაუზარებლად ჩავებღაუჭეთ თქვენს ხრიკს, რათა თავშივე გაგვეჭარწყლებინა იგი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ შეჰდეგ რა გზას დაადგებით ადვოკატურის განვითარების შესაჩერებლად. თქვენი საუნივერსიტეტო დოქტრინიორობა, თქვენი სასკოლო კლასიფიკაცია ვექილებისა, თქვენი ბილეთები წარწერით „სერიოზული" და „არასერიოზულიო", ყოველივე ეს ცალ-ცალკე და შეერთებულად საუცხოოდ შეეფერება თავის სათავეს და ამასთანავე ერთად საშუალებას გვაძლევს თითქმის უტყუარად განვსჯვრიტოთ თქვენი მომავალი გზა თქვენთვის არ ახალ სარბიელზე—დამბეზღებელისა და საზოგადოების მომტყუებელის სარბიელზე.

„Московские Ведомости"-ს იერიშები მიმართულია არა იმდენად რიტორობისა და სოფიზმის წინააღმდეგ, რამდენადაც იმ მომავალი ვექილების წინააღმდეგ, რომლებიც ეცდებიან—ხალხის

დასანახად გამოჭიდონ ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისა და კანონმდებლობის სავალალო და არა ადამიანური მხარეები. „Московские Ведомости“-ს სურს, რომ პოლიტიკური და სოციალური გრძნობათაღელვა არ გასცილდეს სასამართლოს ხეროგილს, რომ ყოველივე იმან, რაც კი ადამიანის გულისყურს იზიდავს, რაც კი აშფოთებს და აღელვებს მას, გზა ვერ გაიკვლიოს და ვერ გაიჭაჭანოს სამსჯავროს პალატაზე, ერთი სიტყვით, ვექილი პოლიტიკურ ორატორად და ჟურნალისტად ვერ გადაიქცეს. ასეთი სურვილი საკმაოდ თანამიმდევრობითია „Московские Ведомости“-სათვის, მაგრამ, ვაგლახ! ადვილად ასასრულებელი ვერ არის, რადგან ზოგადი კანონი,—რომელიც „კანონთა კრებულში“ შეტანილი არაა და რომელიც, ამის მიუხედავად, გამონაკლისსა და გზის გადახვევას არ იწყნარებს,—გვეუბნება, რომ ჩვენში ვექილი გადაიქცევა იმად, რის დანახვაც ბ. კატკოვს არ სურს. ის ვექილად, და მხოლოდ ვექილად დარჩება მაშინ, როცა ბექდვითი სიტყვის თავისუფლება საშუალებას მისცემს დაურიდებლად გამოსთქვას თავისი აზრები ჟურნალებსა და ბროშურებში, როცა თავისუფლება კრებებისა და საერობო კრების პოლილიკური ტრიბუნისა საშუალებას მისცემს მას—პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმეებზე ილაპარაკოს სასამართლოს გარეშე და მონაწილეობა მიიღოს საერთო სახელმწიფოებრივი საქმეების ხელმძღვანელობასა და გარკვევაში. გამოტყდით, რომ ყოველივე ეს—თქვენისა და თქვენი მთავრობის, მეტადრე თქვენი საიმპერატორო კარის არსებობის დროს—ხალასი უტოპიაა.

რაც უნდა ჩაიდინოთ თქვენ და თქვენმა მთავრობამ, უეჭველია, საჯარო სასამართლო, თუ კეთილსინდისიერი და ცოტად თუ ბევრად უნარიანი ვექილები იქნებიან, მზის სინათლეზე გამოიტანს თანამედროვე სიდუხჭირის თითქმის ყველა მხარეს ისე, რომ მისი ნამდვილი სახე დაგვანახოს და შეგვაზიზღოს იგი; საამისოდ სრულებით არ არის საჭირო მჭერმეტყველება და რიტორობა, რომლებიც, როგორც ვიცით, გონებრივი უბადრუკობის საბურველს წარმოადგენენ. სასამართლო ხომ ჟურნალი არ არის: იგი, როგორც ექიმი, ან, როგორც, ძველად შინაური ხუცესი, ოჯახისა და კერძო ცხოვრების ყველა იმ კუნჭულში იყურება, რომელიც დაფარულია გარეშეთათვის და შესაძლებელია, მახლობელთათვისაც. ხოლო როდესაც საზოგადოების წინაშე გაჭრება კულისები და შირმები, რომლებიც დღევანდლამდე ოჯახური უთანახმოების უდიდეს ნაწილს ჰფარავდა, როდესაც ყოველის მხრით და თანდათანობით გადაიშლება ოჯახურ სევდა-ნაღველ-

თა და ტანჯვათა საიდუმლოება, როდესაც ყოველი დღე შეგვძლვნის რამდენსამე გასაოცარ ფაქტს, რაც თითქმის ყოველთვის შეადგენს საზოგადოების არსებული მდგომარეობის აუცილებელ და ლოლიკურ შედეგს, როდესაც კეთილსინდისიერი და უნარიანი ვექილები კეთილსინდისიერად და პატიოსნად განმარტავენ ამ ფაქტებს, დააჯგუფებენ მათ და მოუნახავენ სათავეს, მაშინ საზოგადოება ყოველსავე ამას ძალაუნებურად მიიღებს „ცნობად, ხოლო საჭირო შემთხვევებში სახელმძღვანელოდაც კი“.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ვექილების საუკეთესო და უნიჭიერესი ნაწილის მოღვაწეობა სწორედ ისეთი იქნება, როგორც ჩვენ ვამბობთ და რასაც, ცოტა არ იყოს, შეშინებული „Московские Ведомости“ მიმხვდარა: უნარსა და ნიჭს სწორედ ის შეადგენს, რომ შეძლებისამებრ მარტივად, რელიეფურად და ყოველთვის სწორად დაგვიხატოს და გვიჩვენოს არა მარტო ფაქტები, არა მარტო ამა თუ იმ მდგომარეობიდან გამოყვანილი დასკვნები, არამედ ამ ფაქტების წარმომშობი მიზეზებიც, ამ დასკვნების გამოყვანის გზებიც; თუ ყოველ წუთს განმეორებული ფაქტების ერთ ჯგუფად თავმოყრა და მათი გამომწვევი მიზეზის გამონახვა მოხერხდება, თუ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის მდგომარეობა ცხადყოფილი იქნება, მაშინ მარტო წარმოთქმული კი არა, არამედ გამოტანილიც იქნება სიკვდილის მკაცრი განაჩენი საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის წინააღმდეგ.

მაშასადამე, „Московские Ведомости“-ს იდეათა მომხრეებისათვის სრულიად ზედმეტი იყო—დაეწყოთ საჯარო სამსჯავროს საჭიროების ქადაგება. ხოლო ჯებირის გარღვევის შემდეგ იმაზე უკეთეს ვერაფერს ჩაიდენენ, რომ თავი შეჰყონ ნარღვევში, ე. ი. უყოყმანოდ და უდავიდარაბოდ დაემორჩილონ საქმეთა საერთო მიმდინარეობას.

მაგრამ ამას როგორ მოახერხებენ!

1865 წ. ივლისი.

ივნისის დღეები ტფილისში

Где народ, там и стон... Эх, сердечный.
Что же значит твой стон бесконечный?
Ты проснешся-ль, исполненный сил?..

იმის დასამტკიცებლად, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მთავრობის უჭკუობასა და თავისი სამწყსოს გაძღოლის უუნარიანობას, საკმარისია ვთქვათ, რომ ტფილისში ქალაქის მუშა-მოსახლეობამ ხელი გაუწოდა მოქალაქეებს, [1]) რათა ერთად გამკლავებოდენ რუსეთის მთავრობას. ჩვენ კვლავ გვაოცებს ის გარემოება, რომ საფრანგეთში რესპუბლიკის მომხრენი კავშირს ჰკრავენ ლეგიტიმისტებთან, ორლეანისტები ხელს უწვდიან კლერიკალებს საერთო მტრის—იმპერატორის მთავრობის დასამხობად. ჩვენში კი ის პირები, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ პარტიების ტაქტიკაზე და რომელთა შორისაც, საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობის სხვადასხვაობის გამო, მთელი უფსკრულია გათხრილი, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიან თავისი „საერთო მტრის" წინააღმდეგ და ავიწყდებათ, რომ გუშინ მოქალაქემ ტყავი გააძრო თავის დღევანდელ თანამებრძოლ მუშას და ხვალაც იგივე ამბავი განმეორდება. ასეთი წარმოუდგენელი, გაუგებარი კავშირი, ერთმანეთისადმი ოდითვე მტრულად განწყობილი ელემენტების ასეთი დაახლოება მხოლოდ რუსეთის მთავრობას შეეძლო გამოეწვია. საფრანგეთში ხომ იმას მაინც ვერ ეხედავთ, რომ მუშებს კავშირი შეეკრათ კაპიტალისტებთან, გლეხებს—მიწათმფლობელებთან.

რა უნდა ვთქვათ ასეთ უთავბოლო მთავრობაზე, მეტადრე რა უნდა უთხრათ მას?.. მკლავი გვიდუნდება, კალამი ხელიდან გვივარდება, როცა გავიფიქრებთ, რომ მას რამე უნდა ვურჩიოთ; არც ვაპირებთ, რომ მის ყურადსაღებად ავწეროთ ტფილისის ივნისის ამბები, რომლებიც სიცრუვით დაიწყო და სისხლით დაგვირგვინდა—მთავრობის სისტემის ამ ალფათი და ომეგათი.

თუ არ დავინახავთ—რას წარმოადგენს საქართველოს ქალაქის მოსახლეობა, თუ არ გამოვარკვევთ მთავრობის წინააღმდეგ მიმარ-

---

[1]) სიტყვებს „მოქალაქეებს" და „მუშებს" ავტორი ქართულად ხმარობს. ნ. ნიკოლაძე, ტ. I. რ ე დ.

თულ ბრძოლაში მონაწილე ჯგუფების ხასიათს და ისე ვილაპარაკებთ ამ უსარგებლო სისხლის ღვრის შესახებ, ეს ის იქნება, რომ მხოლოდ „ამბების" გარეგანი მხარე, ქუჩური ტლინკვა და მალაყები ავწეროთ. ასე რომ მოექცეულიყავით, საქმის შინაარსი გამოურკვეველი დაგვრჩებოდა და „არეულობის" მოსპობასთან ერთად „საქმის" ინტერესიც გაჰქრებოდა.

თუმცა „წესრიგი" დამყარდა და ყველაფერმა თავისი ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო, მაგრამ საალყო წესები მაინც ხელუხლებელი დარჩა. სწორედ ეს საალყო წესები წარმოადგენს იმ დამოკიდებულების „ჩვეულებრივ ხასიათს", რომელიც ქალაქის მოსახლეობასა და მთავრობას შორის აგრეთვე მის ცალკე ნაწილებს შორის არსებობს.

ჩვენს საზოგადოებას ავიწყდება, რომ რუსეთის მთავრობის ყველა აღსაშფოთებელი ღონისძიების სათავე სწორედ ის საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც შემუშავდა მთავრობის მზრუნველობის წყალობით, რომ ამ წყობილების გარეგანი ნიშნების წინააღმდეგ ამხედრება და უბედურების საფუძვლის ხელუხლებლად დატოვება არა თუ ულოლიკობაა, არამედ უსარგებლო საქმეცაა, ბოლოს, ავიწყდება ისიც, რომ თუ არსებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას ურიგდება, თუ იღებს მის statu quo-ს, აუცილებლად უნდა შეურიგდეს მის შედეგებსაც. ამგვარად, თუ ტფილისში მომხდარი სისხლის ღვრის წინააღმდეგ ავმხედრდებით და ხელუხლებლად დავტოვებთ ქალაქის მცხოვრებთა იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა ამ ამბებამდე და ამბების შემდეგ, ეს დაემსგავსება სისხლის დაავადების მკურნალობას კანზე ამოყრილი მუწუკების პალიატიური მოსპობის გზით. ქუჩებსა და მოედნებზე მომხდარი არეულობა გვიდასტურებს იმ უთანხმოებას, რომელსაც ფესვები ღრმად გაუდგამს ოჯახსა და საზოგადოებაში, სახლის ზღუდეებსა და დაზგებს იქით; გარეთ დამარცხებულნი შინ ბრუნდებიან და იქ, მყუდროებაში კვლავ განაგრძობენ წინანდელს, ათასგვარი ტრაღიზმით აღსავსე ცხოვრებას, ხოლო ქუჩებსა და საჯარო ადგილებში „წესიერება სუფევს"... თქვენ კორტეჟის ზუილის და ხმლის ჩახა-ჩუხის გამო წივილ-კივილის გაგონება არა გსურთ?—კეთილი, ძალიან საქებური საქმეა.

მაგრამ, თუ ასეა, კვალდაკვალ მისდიეთ უთანხმოებას ოჯახის კერამდე, გამოიკვლიეთ მისი ხასიათი და თავისებურებანი, იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას იგი და, რაც უმთავრესია, მხოლოდ კარგად მოფიქრების შემდეგ, იმოქმედეთ...

ამ წერილის მიზანია—გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს საქართველოს ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობა. კვლავ ვიმეორებთ: ჩვენ

შეხედველობაში გვაქვს არა ის, რომ მთავრობა დავარიგოთ, ან დავეხმაროთ მას. ჩვენი მიზანია დავამტკიცოთ, რომ მას თავის მოვალეობათა შეგნების უნარი არ შესწევს და ვნებს რუსის ხალხის ინტერესებს. თავისი საზოგადოების დამაზარალებელ აგენტს თანამდებობიდან გადააყენებენ ხოლმე; ჩვენ გვინდა ოდნავ მაინც ხელი შეუწყოთ რუსეთის მთავრობის ასეთსავე გადაყენებას...

საქართველოს ქალაქთა მოსახლეობა მრავალრიცხოვანი არ არის. იგი ცხოვრობს ტფილისში და ორ სამს უმნიშვნელო ქალაქში, მაგალითად, ქუთაისსა, გორსა და სხვა. ამ ქალაქებში იგი დღევანდლამდე მკვეთრად იყოფოდა ორ კლასად: მოქალაქეებად („მეშჩანები") და მუშებად*).

საქართველოში მუშას მოქალაქობის არავითარი უფლება არა აქვს. ის „მეშჩანინი" და დროებით გათარხნებულიც კი არ არის, ის გამოქცეული კაცია და სხვა არაფერი. ესენი არიან იმერელი, გურული, მეგრელი და რაჭველი გლეხები, რომლებიც არ ემორჩილებიან ბატონის ძალას და „ბატონის მათრახისთვის ვერ გაუძლიათ", ტფილისში მირბიან. პირიქით, ქართლელი და კახელი გლეხები (ტფილისის გუბერნია) თავს აფარებენ იმერეთსა, გურიასა და სხვა. პოლიციის უთავბოლობა და ლტოლვილთა მთელი ჯგუფების დაჭერის შეუძლებლობა ხელს უწყობს ბატონყმობის უბედურ მსხვერპლთ. მაგრამ რაკი ბუნებაშიაც კი არ არსებობს უეკლო ვარდი, ამიტომ ლტოლვილ გლეხთა თავისუფლებაც ყველაფრით მიმზიდველი ვერ არის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მთელი გლეხობა მიეტანებოდა „ნებაყოფლობით დაქირავებული ქალაქელი მუშების თავისუფალ ცხოვრებას". ოჯახსა და სამშობლოზე ხელის აღება გლეხს მემამულის ბატონობისაგან ანთავისუფლებს. მაგრამ სამაგიეროდ იგი ბურჟუაზიის და მოხელეობის ხელქვეითი, ლუკმა-პურის ძებნის მონად ხდება. დიდი უმრავლესობა ქვასა, ქვიშასა და კირს ეზიდება შენობების ასაგებად, ტომრებსა და სხვა მძიმე ტვირთს—ვაჭრებისათვის, წყალსა და შეშას—მცხოვრებთათვის, და ასეთი ჯაფისათვის იშვიათად იღებს ორ-სამ აბაზს... ევროპელ მუშას ოჯახი ჰყავს, ეს ოჯახი მას, მართალია, მძიმე ტვირთად აწვება, მაგრამ ხშირად ჭირ-ვარამ-

*) სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ ქალაქად მცხოვრებ თავადაზნაურთა შესახებ—ისინი იქ უცხონი არიან. რაც შეეხება საქართველოს ქალაქებში დასახლებულ მოხელეობას, ის ისეთივეა. როგორც რუსეთში; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საქართველოში მოხელეები უფრო უცხონი არიან ხალხისათვის, ვიდრე რუსეთში. საქართველოში ხალხსა და მოხელეებს მარტო ინტერესები კი არა, ენაც აშორებთ ერთმანეთს.

საც უქარვებს. ცოლშვილი ქართველ მუშასაც ჰყავს, მაგრამ „ცხრა მთას იქით". ცოლშვილის რჩენის სიმძიმე მას აწვება: თუ მუშის ოჯახი არ მოიხდის ბატონის ბეგარა-ვალდებულებას, ბატონი მის შვილებს მოჯალაბეებად წაიყვანს; ოჯახური ცხოვრების კარგ მხარეს კი ის მხოლოდ მოგონებით იცნობს... ლტოლვა და თავის გამოსყიდვა ბატონისაგან, ნალვა და თავის გამოსყიდვა პოლიციისაგან, ჯაფა და თითქმის სრული უიმედობა, რომ როდისმე თავს დაალწევს დუხჭირ ცხოვრებას, იმის შეუძლებლობაც კი, რომ ღვინის სმით დავიწყოს თავი, როგორც ამას სხვა ქვეყნებში სჩადიან—ასეთია ქართველი პროლეტარის სვე-ბედი.

რუსეთში ამ ჯურის ~~ხალხი~~ არ არსებობს. მალოროსიული „ბატრაკები" და ველიკორუსი ქალაქელი მუშები, ქართველ მუშასთან შედარებით, ნეტარებაში არიან; გაქცეულები კი იმდენად არ მუშაობენ რუსეთში, რამდენადაც „მოგზაურობენ". ასეთი განსხვავება ნაწილობრივ დამოკიდებულია აქა-იქ „უკანონოდ" ცხოვრებაზე, ნაწილობრივ—რუსეთის მთავრობის ხასიათზე კავკასიის გადაღმა. რუსეთში იმდენი სამხედრო პირები და ფელდფებლები არ არიან, რამდენიც საქართველოში; ამიერ-კავკასიას და მთელ კავკასიას ჯერ კიდევ თავი ვერ დაუღწევია სამხედრო დესპოტიზმის ბრჭყალებისაგან. აქ ყოველი პრაპორშჩიკი „გოროდნიჩს" მაინც უდრის და ყოველი პორუჩიკი—ისპრავნიკს. ასეთს, ყოველგვარ გარანტიას მოკლებულ მდგომარეობაში მუშას მხოლოდ ფულით შეუძლია თავის დახსნა მოძალადე ადმინისტრაციისაგან; მაგრამ რადგანაც საქართველოში საქალაქო ცხოვრება, მეტადრე ის, რასაც ვაჭრობა და მრეწველობა ეწოდება, მეტის-მეტად სუსტად არის განვითარებული, შრომით მონაგარი ფული ძლივს ჰყოფნის ბატონისა და სხვათა „უფლებისაგან" თავის გამოსასყიდად და უბადრუკი ცხოვრების გასაჩანჩალებლად. ყოველსავე ამას ზედ ერთვის ის, რომ მისი დამქირავებლები ანგარიშის გასწორების დროს ფულს აკლებენ; მუშა მათ ვერ გამოეკიდება, რადგან ეშინიათ, არ შეიპყრან და ბატონთან არ გაგზავნონ.

ქართველი ქალაქელი მუშებისათვის, საუკეთესო დროა შემოდგომა. ნიჟნი-ნოვგოროდისა და როსტოვის ბაზრობიდან მოტანილი საქონელი, აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, კაკლისა და ბზის ხე, რომლებსაც ეცხოელები ამზადებენ საზღვარგარეთ გასაგზავნად, ბოლოს, ქალაქად ჩამოსვლა თავად-აზნაურებისა, რომლებმაც ღალა-გადასახადები აჭკრიფეს, ყოველივე ეს ქალაქის ცხოვრებას ამოძრავებს და მუშახელს მოითხოვს. შემოდგომის დღეებში, ტალახსა ან

თოვლჭყაპში, ქარსა და წვიმაში მუშები ოფლს იწურავენ წლიური სარჩოს მოსაპოებლად, ზოგჯერ გადასახადის გასასტუმრებლადაც. შემდეგ, ნეტარი დღეების გათავებასთან ერთად, ეშვებიან სარდაფებში და ემალებიან პოლიციასა და ბატონის შიკრიკებს... ზაფხულობით მუშების ნაწილი დაბანდებულია შენობებზე, მათი ხელფასი გრძელ, პაპანაქება დღეებში არ აღემატება, საშუალოდ, 25 კაპიკს ვერცხლად.

ევროპელ პროლეტარს იმედი მაინცა აქვს, რომ გაჭირვებულ მდგომარეობას თავს დააღწევს; იგი იმედოვნებს თავისი პატრონის, ან ამხანაგების ნდობა მოიპოვოს, ასე თუ ისე დამოუკიდებლად მოეწყოს, თითო-ოროლა კაპიკი გადააჩინოს; მან იცის, რომ თუ კანონმდებლობა არ მფარველობს მის მეცადინეობას, არც დიდ წინააღმდეგობას უწევს; ამ კანონმდებლობის ბატონობის დროს ამა თუ იმ ინდივიდუუმს შეუძლია თავისი მდგომარეობა ისე შესცვალოს, რომ დიდი შეტაკება არ დასჭირდეს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. საქართველოში არაფერი ამის მსგავსი არ არის; კაცს რომ ჯიბეში თანხა ელაგოს კიდეც, წარნატება მაინც ძნელია; ამას ხელს უშლის არა მარტო მთავრობის თავნებობა, არამედ კანონმდებლობაც, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს გფარველობს, დანარჩენებს კი ხელ-ფეხს უბორკავს.

შემდეგ მეორე რიგში სდგანან „მოქალაქეები". მათი ცხოვრება, მუშების ცხოვრებასთან შედარებით, უფრო იოლია იმ მხრით, რომ ფულით ბევრი სიმწარის გაქარწყლებას ახერხებენ. ქართველი მოქალაქეების მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ რუსი მეშჩანინების მდგომარეობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოში მოქალაქეთა ეგრეთწოდებული მეშჩანური „უფლებანი" მეტად ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული. მოქალაქეობის მიღება ან მემკვიდრეობით ხდება, ან კიდევ „ქალაქის საზოგადოებას" მიაწერენ გათარხნებულ, უკეთ რომ ვთქვათ, თავდახსნილ გლეხებს, რომელთა მიწა ან მემამულეს რჩება, ან კიდევ ეს მიწა ვეღარ არჩენს მათ. ხელმართალი თუ ხელმრუდე ვაჭრობა, მუშებისა და ნახევრად გაღარიბებული თავად-აზნაურების ექსპლოატაცია არსებობის საშუალებას აძლევს მოქალაქეებს; ამ საშუალებებით ისინი თავის წუთისოფელს გაატარებდენ, მშვიდობიანად და შეგობრულად იქნებოდენ მთავრობასთან და მხოლოდ ერთ რასმე მოსთხოვდენ—„წესრიგის დაცვას", უცერემონიო მთავრობა რომ ძალიან ხშირად არ აფათურებდეს ხელებს მათს ჯიბეში და თითქმის უკანასკნელ კაპიკს არ აცლიდეს...

საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ამ ორ კლასს შორის შექმნილი მდგომარეობა, რასაკვირველია, მათს ურთიერთობას ვერ მოაწესრიგებდა: ინტერესების სხვადასხვაობას, უკმაყოფილებას, რომელსაც ექსპლოატაციას ჰქმნიდა და ასაზრდოებდა, ხშირად მოქალაქეებისა და მუშების გამწვავებული ურთიერთობა დანისა და ხანჯლის ტრიალამდე მიჰყავდა. უფრო მოსალოდნელი ის იყო, რომ, კლასიკური თქმით, „მზე თავის სრბოლას შესცვლიდა", ვიდრე ის, რომ მუშებსა და საქმის პატრონებს შორის თუნდაც სულ მოკლე დროის კავშირი დამყარდებოდა.

საქმის ასეთი ვითარების დროს მთავრობისათვის ადვილი იყო მართებულობის ფარგლებში მაინც დატეულიყო, ოდნავ მაინც უზრუნველეყო მუშების ხვედრი საპასპორტო სისტემის შეცვლითა და ეკონომიური მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესებით, ისე, რომ მოქალაქეების ქისას არ შეჰხებოდა.

რასაკვირველია, ეს ზომები მღელვარების მიზეზებს მთლად ვერ მოსპობდა, მაგრამ მისი გადადება ნაკლებად მძიმე დროზე მაინც შეეძლო; ახლა კი, როცა, „Московские Ведомости"-ს სიტყვითაც კი, „რუსეთი კრიზისს განიცდის", როცა მთავრობას ესოდენ ბევრი საზრუნავი აქვს,—ძალიან კაოგი იქნებოდა ზედმეტი დავიდარაბის თავიდან აცილება და დიდი უგუნურებაა ახალი თავსამტვრევი საქმის გაჩენა.

ახლად შემოღებული გადასახადების სიმძიმე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ნახევრად მშიერ მუშებსა და ჯარისკაცებს აწვებოდა; იგი გზადაგზა მოქალაქეებსაც აწუხებდა; მაშასადამე, თითქმის დანამდვილებით და წინდაწინვე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ხალხის უკმაყოფილებას საზღვარი ვერ დაედებოდა და იგი შეიძლებოდა ჭარიშხლად გადაქცეულიყო. რა აიძულებდა რუსეთის მთავრობას რომ ახირებულიყო, აუცილებლად თავისი გაეყვანა და ამით გაეძლიერებინა, თუ საფრთხე არა, თავისი მდგომარეობის სიმძიმე მაინც?

რუსეთის ფინანსები შერყეულია—ეს ყველამ იცის; მაგრამ ყველამ კარგად იცის ისიც, რომ გადასახადებითა და პოლიატივებით მათი გამოსწორება არ შეიძლება. საამისოდ საჭიროა მნიშვნელოვანი ეკონომიური რეფორმები და არა ხარკის დადება ქამრის ტარებისა, ან ძროხის ყოლისთვის. ასეთი წვრილმანი ხასიათის შეიწროება, იმის ნაცვლად, რომ ფინანსები გააუმჯობესოს, ხალხს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებს, ე. ი. ეს შევიწროება მარტო უსარგებლო კი არა, მავნებელიცაა. გადასახადების სიმძიმე აწვებათ,

უმთავრესად, მუშებს, მშრომელს, რომელიც ისედაც დაბეგრილია ათასგვარი გადასახადით; მაშასადამე, ეს გადასახადები ხალხს მართვა-გამგეობის სისტემასა და მთავრობის პირებს აძულებს, მაშინ როდესაც ამ გზით შემოსული ფული გადასახადების აკრეფაზე გაწეულ ხარჯსაც კი ვერ დაჰფარავს, არამც თუ საქმე შეამსუბუქოს ფინანსთა სამინისტროში.

ასეთი ხარკის შედეგი ის იყო, რომ ტფილისის მუშები შეუერთდენ მათთვის უცხო მოქალაქეებს; ეს იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი პროლეტარიატისა და ხალხისათვის წვრილი ბურჟუაზიული ექსპლოატატორები და მატყუარები მაინც უფრო ახლოს არიან, ვიდრე მსხვილი მბართველი ექსპლოატატორები და მატყუარები.

ამ უთავბოლო ამბებში ყველაზე გასაოცარი და სასაცილო ის არის, რომ მთავრობამ ისიც კი არ იფიქრა, რომ ახალი გადასახადების სიმძიმე დააწვება არა იმდენად მოქალაქეებსა, რამდენადაც ხალხსა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია მთავრობისათვის, ჯარსა. ბურჟუაზიას გადასახადი ძალიან სუსტად აწვება: იგი მას მომხმარებლებისაგან ჰკრეფს და, ამგვარად, მხოლოდ ხარჯის ამკრეფად გამოდის; მთავრობა ჰფიქრობდა მოქალაქეების გაცურებას, ეგონა—ისინი ვერ შენიშნავდენ, რომ საქონლის ფასის გადიდება პროპორციონალურად მოქმედებს მათი გასაღების შემცირებაზე. ისეთმა ვაჟბატონებმა, როგორც, მაგ., ორლოვსკი, ბარონ ნიკოლაი და თვით მიხეილ ნიკოლოზის ძეა, განიზრახეს ტფილისის მოქალაქეების მოტყუება, თუმცა ყოველი მათგანი ასჯერ უფრო ეშმაკია, ვიდრე ორლოვსკი და ათასჯერ უფრო ჭკვიანია, ვიდრე მიხეილ ნიკოლოზის ძე. მოქალაქეები, რასაკვირველია, უფრო შოხერხებულად მოიქცენ, ვიდრე მათი უავგუსტოესი და ბრწყინვალე პარტნიორები; მათ არც აცივეს, არც აცხელეს და ჯარისკაცებს ასეთი საუბარი გაუბეს:

— რათა „ვბუნტობ“? ვა, სწორედ რომ შენთვის: იმათ უნდათ, რომა ჩვენ არაყი და თამბაქო ძვირად მოგყიდოთ; ახლა მოუნდომებიათ, სამი შაური აძლიო „რუმკა“ არაყში...

— მედაჩემმა ღმერთმა, ესენი მართალი არიან, რათ ავიწროებენ საწყალ ხალხსაო?.. ამბობდენ ჯარისკაცები.

მთავრობამ რაკი ქალაქელები ვერ მოატყუა, რუსი საზოგადოების მოტყუება მოინდომა და თავის გამოცემებში დაბეჭდა: ამქრები მოითხოვდენ ახლად შემოღებული გადასახადების მოსპობას ან სხვა დროისათვის გადადებას, ხოლო მოქალაქეები და მათთან ერთად მუშებიც, მოითხოვდენ: მიუხედავად იმისა, გაუქმდება თუ არა

გადასახადი, ქალაქის ყველა საქმე განიხილონ და გადასწყვიტონ ქალაქის საზოგადოების ამორჩეულმა პირებმა, ქალაქის ყველა სამუშაოს სრულდებოდეს იმავე ამორჩეულ პირებთან შეთანხმებით და მათის მეთვალყურეობით, გადასახადებსაც ისინი აწესებდენ და ჰკრეფდენ, ერთის სიტყვით, მოითხოვდენ ქალაქის სრულ დამოუკიდებლობას, ანუ, როგორც ფრანგი ლეგისტები და პუბლიცისტები ამბობენ — franchises municipales.

როდესაც ხალხმა პოლიციასთან თავი მოიყარა, ქართველმა ულტრა სენტიმენტალურმა პოეტმა და ზომიერად „მომეშჩანე“ რუსმა ვიცე-მეფისნაცვალმა ორბელიანმა წაიბურტყუნა: ქალაქის საზოგადოებამ, რომელიც რკინის გზებსა და მიმოსვლის რიგიან საშუალებას მოითხოვს, გადასახადებზე უარი არ უნდა სთქვასო. ამაზე ხალხმა უპასუხა: ქალაქის საზოგადოებას არ სურს, რომ ბარონ ნიკოლაი მის ფულს ხარჯავდეს გზებზე უსარგებლო ხეების დარგვასა და გადარგვაზე, რომ თვითონ საზოგადოება ამ საქმეს გაცილებით უფრო იაფად დაისვამს, ვიდრე მთავრობის ქურდი მოხელეები და რომ მას სურს ფულის მომჭირნეობით ხარჯვა, რაც სრულებითაც არ შეაჩერებს სასარგებლო მუშაობის შესრულებასო. ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი par interim, იძულებული იყო მოესმინა ქალაქის არჩევნობითი ნმართველობის ორგანიზაციის ფორმალური მოთხოვნა, რომელიც შემდეგ განმეორებულ იქნა ვიცე-მეფისნაცვლის წინაშეც და ბარონ ნიკოლაის წინაშეც.

ამ მოთხოვნილებამ, რომელიც აჭრებმა გამოსთქვეს და რომელსაც მუშებმა მხარი დაუჭირეს, მიკიბულ-მოკიბული დაპირება გამოიწვია: „მიღებულ იქნება მხედველობაში და მოხსენდება მის უმაღლესობას — დიდ მთავარს მეფისნაცვალსო“. ამ დაპირების გამო, რომელსაც თან მოჰყვა გადასახადების აკრეფის გადადების პირობა, ქუჩებში არეულობა შესწყდა.

მღელვარება გამოიწვია ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის ორლოვსკის ბაქიობამ; მან მთავრობას მოახსენა—ქართველი ხალხი სრულიად ბედნიერი და კმაყოფილიაო; ეტყობა, რომელიმე ახალი იჯარის ხელში ჩაგდება უნდოდა. მიხეილ ნიკოლოზის ძემ იჯარა არ მისცა და უთხრა: რადგან ხალხი ბედნიერებაშია, საჭიროა მისი ცოტაოდნად მოწველა, რომ დოვლათმა არ გაალალოს, ან ჭკუას ძალა არ დაატანებინოს. ორლოვსკი შეშინდა, მოელაპარაკა ქალაქის თავსა და ხარჯების ამკრებს, უკანასკნელს დაჰპირდა აკრებილი გადასახადის თანხის 10 პროცენტს და ერთ როტას, tour prêter main-forté, თუ ხარჯის მიმცემნი უარს იტყოდენ, თვი-

თონ კი ბევრი აღარ უფიქრია, აიღო შვებულება და მოჰკურცხლა. მიხეილ ნიკოლოზის ძემაც, თუმცა „ორჯელ გაილაშქრა ჩერქეზების წინააღმდეგ“, სიფრთხილის თადარიგი დაიჭირა, ხელი მოაწერა ახალი გადასახადების დადგენილებას და სტუტგარდის გზით ს.-პეტერბურგს გასწია. დარჩა კარცოვი კოჯორში, ბარონ ნიკოლაი თავის მამულში და მათთან ერთად ორბელიანი.

როდესაც მოძრაობა დაიწყო, 20 ყაზახი გაგზავნეს თავისი განუყრელი მათრახით; ხალხმა ისინი უპატივცემულოდ გაისტუმრა უფროსებთან. ამ დროს მთავრობას გაახსენდა, რომ თუ იარაღი არ არის, ცელის ხმარებაც შეიძლება. (ალბად, პოლონეთის აჯანყება მთლად უსარგებლო არ გამოდგა რუსეთის მთავრობისათვის), ხოლო თუ ჯარისკაცები არ არიან—პოლკის თივისმთიბავთა გამოყენებაც მოხერხდება. სახელდახელოდ გამოწყობილმა უშარვლო „კოსინიორებმა“ ისეთი მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ხალხზე, რომ სტვენისა და სიცილის მეტი არაფერი ისმოდა; დარცხვენილმა კოსინიორებმა, ალბად, იმიტომ, რომ პოლონელებისაგან არაფერი უსწავლიათ, უკან მოჰკურცხლეს. ასე გაიარა ივნისის პირველმა დღემ.

საღამოთი კოჯრიდან დაბრუნდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი კარცოვი, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა მხიარული სუფრის შემდეგ; მან შეჰკრიბა სამხედრო საბჭო და გაჰყვიროდა — „აჯანყება!... პოლონელებთან შეთქმულება!.. დაჭკათ ამ არამზადებს!“

სამხედრო საბჭომ გადასწყვიტა ტფილისთან ჯარების მოგროვება და ზარბაზნების დაშენა, თუ არეულობა გამეორდებოდა. ორბელიანმა საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვა და მოითხოვა, ეს აზრი ოქმში შეეტანათ, როგორც საბუთი იმისა, რომ მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის იმ „ამბებში, რომლებიც შეიძლება ამ გადაწყვეტილებას მოჰყვეს“. არეოპაგი შეშინდა და აზრი გამოიცვალა: გადასწყდა მოლაპარაკების გამართვა „მეამბოხეებთან“.

ღამე ტფილისში ჯარები შევიდენ და ფორმალისტმა კარცოვმა მაშინვე ბანაკი მოაწყო: ერევნის მოედანზე შტაბი იყო, მიხეილის ხიდთან—გამაგრებული პუნქტი, ალექსანდრეს ბაღში—მხოლოდ ბანაკი უშტაბოდ და უპუნქტოდ. ამ „სიმაგრეებს“ შორის მიმოსელა სწარმოებდა, მიდი-მოდიოდა პატაკები, მიწერილობანი, მოხსენებანი დაბეჭდილ ბლანკებზე, რომლებიც კარცოვის ბრძანებით საგანგებოდ ამ ღამისათვის დაამზადეს, ხოლო ყაზახები, შიკრიკები და ადიუტანტები ცხენებს დააქროლებდენ. ნიკოლაიმ მადლობა გამოუცხადა

ჯარისკაცებს, ალბად, სიმარჯვისათვის, ხოლო კარცოვი გაჰყვიროდა-„ულმოდგინედ მოიქეცითო“; ორბელიანი თავის კოსინიორებს ამოჰფარებოდა და საქალებოში მალავდა ქალაქის თავს ვართანოვს; ნ. ჭავჭავაძე ხალხს არიგებდა, აბესალომოვი კი, რომელსაც „Кавказ“-ის პუბლიცისტმა ქება შეასხა, არც არავის არიგებდა, არც მალავდა, არც მალლობას უცხადებდა; სამაგიეროდ არც თვითონ იმალებოდა. ასე დადგა მეორე დღე.

ჯერ კიდევ პირველ დღეს, როცა ხარჯის ამკრები მოჰკლეს, საკუთრების ამ რაინდმა „თავისი ღირსების დაცვის ჟამს“ ორი თავდამცემი მოჰკლა; ორი სხვა რევოლვერით გამოასალმა წუთისოფელს დიდი მთავრის ამალის მთვრალმა ოფიცერმა ვასილ ზარიძემ. მეორე დღეს კუკიის ხიდთან 10 კაცამდე დაჰხოცეს ოფიცრის ბრძანებით, რომელიც იმის გამო იყო გაბოროტებული, რომ მას ქვები მოაზვედრეს.

სახლების ეგრეთწოდებული „გაძარცვის“ დროს არავის არაფერი მოუპარავს და არაფერი გაუძარცვავს, მიუხედავად ამისა, „მოღალატეების“ ქონება ყველგან გაანადგურეს. ქალაქის თავის სახლში ცალიერი კედლები დარჩა, მაგრამ ხალხმა სთხოვა მისი ოჯახის წევრებს—მშვიდობიანად წასულიყვნენ. ასევე სურდათ მოჰქცეოდენ მელიქოვის სახლსაც, მაგრამ ამისთვის საჭირო გახდა მის გვამზე გადაბიჯება, რაც შეასრულეს კიდეც.

საქმე იმით გათავდა, რომ მთავრობამ პირობა დასდო—მცხოვრებთა მოთხოვნილებას შეასრულებო. შეასრულებს თუ არა თავის პირობას, ამას მალე დავინახავთ.

1865 წ. სექტემბრის 9.

მთავრობა და ახალი თაობა

მკითხველს

... Истинно великие и полезные цели всегда достигаются только прямым и открытым образом действий, а не косвенными путями таинственных обществ, всегда оказывающихся и долженствующих оказаться бессильными...

Н. Г. Чернышевский

ნიღაბი ახდილია, საყვარელო მკითხველო; ადამიანებმა ღვთისგაჩენილ ქვეყანაზე შეულამაზებელი, თავისი ბუნებრივი სახით იწყეს გამოჩენა. ლიბერალიზმი და ფსევდო-დემოკრატიული პოლიტიკა არქივს ჩაჰბარდა და მის კარებს ალექსანდრე მე-II-ემ თავისი მძიმე ბეჭედი მიაკრა.

დიახ, მართალს ამბობენ გონიერი ადამიანები—ბოროტებაც კი არ არის კეთილის გარეშეო. და თუ 4 აპრილის გასროლას, სინდის ქვეშ რომ ვთქვათ, შეუძლებელია დიდი ბოროტება ვუწოდოთ, მაინც მას უფრო მეტი სიკეთე მოჰყვა, ვიდრე პირველ ხანებში შეიძლებოდა გვეფიქრა. ჩვენ ერთხელ კიდევ დავინახეთ, პოლონეთის აჯანყების შემდეგ, თუ რაოდენად დიდია უვიცობა ჩვენი საზოგადოებისა, რაოდენად მძლავრია მასში სხვისიჯამიოპის ინსტინქტები და რაოდენად აუცილებელია გარდაქმნა ამ საწყალისა და ამასთანავე სისხლისმოყვარული მასის ტვინისა, ვიდრე პოლიტიკური რეფორმებისა და რეფორმუნების (реформишки) ქადაგებას შეუდგებოდეთ...

ამასთანავე ერთად მთავრობა თავიდან იშორებს საბურველს და ყველას გასაგონად აცხადებს: მე განზრახვა მაქვს დავეყრდნო მხოლოდ და მხოლოდ იმ ელემენტებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან აწინდელი წყობილების ხელუხლებლობითაო. იგი ფიცულობს: რუსეთის ხალხის სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხარს დავუჭერ სიღატაკეს იმით, რომ უპირატესობას მხოლოდ და მხოლოდ თავადაზნაურთა და მესაკუთრულ ინტერესებს მივანიჭებ, ხოლო უვიცობასა და სიბნელეს—ხალხის მასებზე სულიერი ზეგავლენით გავაძლიერებო. ბოლოს, იგი გვპირდება: შევავიწროებ და მოვსპობ განათლებულ საზოგადოებაში აზროვნების განვითარებას, ხოლო ხალხში—ადამიანურ ცნებათა გავრცელებასაო.

შეუძლებელია თქვენ ეს ვერ შეამჩნიოთ, თუ კი უნარი გაქვთ რისამე შემჩნევისა; მიიღეთ მხედველობაში, რომ ყველაფერ ამას არა ერთხელ და ორხელ გეჩიჩინებოდათ ჩვენი ლიტერატურის ის ნაწილი, რომელსაც ეგრედწოდებული რეფორმების გაოგანი ბრწყინვა-

ლება თვალს ვერ უბრმავებდა. 1858 წლიდან, შაშასადამე, არა გუშინდელი დღიდან, თქვენ შეგეძლოთ შეგენიშნათ რუსეთის მთავრობის წმინდა კონსერვატიული ტენდენციები, ვინაიდან იყო ისეთი ხალხი, რომელმაც ეს შეამჩნია. ეს ხალხი თვალს გიხელდათ თქვენ, ალნიშნავდა მთავრობის უუნარობასა და უკეთურობას. ეს ადამიანები ცდილობდენ მიეთითებინათ თქვენთვის იმაზე, რომ აუცილებელია სხვანაირი ცვლილებები და უწინარეს ყოვლისა, საჭიროა საზოგადოების ზნეობრივ ცნებათა გარდაქმნა. თქვენ მოცემული გქონდათ ამ უკანასკნელი რეფორმისათვის საჭირო საფუძველი და ამ მხრით ბევრ სხვაზე უფრო ბედნიერ გარემოებაში იყავით... მაგრამ თქვენ ვერ ისარგებლეთ ამით...

ახლა სხვა დროება დადგა: თვითონ მოვლენები კისრულობენ დაამტკიცონ ამ მითითებათა საფუძვლიანობა. ის, რასაც ცხრა წლის წინედ შორსმჭვრეტი პუბლიცისტები ამჩნევდენ, ახლა თვალში ეცემა ყველას და თვითეულს, თქვენით დაწყებული. თქვენ ახლა თითქოს ჰხედავთ, რომ რუსეთის მთავრობა უკან მიტრიალდა, რომ „13 მაისის რესკრიპტი“ და ვალუევის მიერ მისი ცირკულიარული განმარტებანი მთავრობის სისტემის გარდატეხის, შემოტრიალების წერტილებია. არაფერი ამის მსგავსი არა არის რა, მკითხველო. მთავრობა დიდი ხანია აშკარა რეაქციას აწარმოებს იმ ადამიანთა წინააღმდეგ, ვისაც სურთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნამდვილი რეფორმა მოახდინონ; და ეს რეაქცია დაიწყო არა 1866 წელს, არა 1862 წ., არამედ ბევრად უფრო ადრე, სახელდობრ იმ დროს, როდესაც მთავრობამ იწყო გლეხთა ცხოვრების ვითომდა რეფორმის განხორციელება... მაგრამ ამ რეაქციას ამჩნევდენ მხოლოდ პუბლიცისტები. თქვენ კი, მკითხველო, მას ვერ ხედავდით და მთავრობის მკაცრი ღონისძიებები სამწუხარო გაუგებრობა გეგონათ. ახლა ჩვენებურმა მთავრობამ იკისრა გულახდილად განმარტოს თავისი მიზნები და მოქმედების სისტემა და ეს გულახდილობა თვალს აუხელს ძალიან ნაკლებად შორსმჭვრეტ ადამიანებსაც კი. მაგრამ თქვენ სამწუხარო მდგომარეობაში ხართ: უცაბედმა გულახდილობამ შეიძლება თქვენზე ძალიან მძაფრად იმოქმედოს და შეიძლება გონება დაგეფანტოსთ. რათა დაგეხმაროთ ამ უხეირო მდგომარეობაში, ჩვენ წარმოგიდგენთ „ორი მებრძოლი მხარის“ იოლსა და საკმაოდ ზერელე აბრისს. თქვენ თვითონ განსაჯეთ, რომელს მათგანს უნდა ეკუთვნოდეს თქვენი სიმპატიები და რომელს კიდევ—ანტიპატიები.

1866 წ. 25 ივნისი.

მთავრობა და ახალი თაობა

(1866 წ. 4 აპრილის გასროლის გამო)

. . . Силу новую.
Благородных, юных дней,
В форму старую, готовую,
Необдуманно не лей...

I

4 აპრილს შემდეგ რუსეთის საზოგადოება უცნაურ სანახაობას წარმოადგენს: ყველანი, ვინც კი მასში იყო ისეთი, ლაპარაკის და აზრის გამოთქმის უნარი რომ ჰქონდა, რასაკვირველია, „დევნილ ადამიანთა“ პატარა ჯგუფის გამოკლებით, ერთმანეთს ეცილებიან და ცდილობენ განაცხადონ თავისი აღშფოთება სროლის გამო, თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობები და, რაც ყველაზე უფრო გაუგებარია, ხალხისადმი თავისი სიყვარული. მთავრობა, დაწყებული თავისი ოფიციალური წარმომადგენლით—ხელმწიფით და გათავებული მიკროსკოპიული, ოფიციოზური ჯაშუშებით, ხელახლა ხდება საზოგადოების კეთილგანწყობილების საგნად, ასეც ვთქვათ, ხელახლა იწყებს მოდად შემოსვლას. იგი პირდაპირ აღვსილია საზოგადოებრივი თანაგრძნობის ნივთიერი და არანივთიერი ნიშნებით: ადრესებითა და „ვაშას“ ძახილით, დეპეშებითა და თხოვნებით—„ნუ დაინდობთ დამნაშავეებსო“, დეპუტაციებითა და სალონის სიტყვებით. საითაც კი გაიხედავს მთავრობა, ყოველგან კეთილმეგობრული მკლავები ხვდება, რომლებიც მზად არის გულში ჩაიკრას და მოუალერსოს მას. ყოველ მხრიდან ხელს იშვერენ მთავრობისაკენ და ცდილობენ დაიცვან იგი ჯაჭვდადებულის და ფუტლიარში ჩაჭედილი კარაკოზოვისაგან და არა მარტო მისგან, არამედ ყველა მის მოგვარეთა და ნათესავთაგან, მეშვიდე მუხლამდე...

საზეიმო ნადიმებს, აღტყინებულ ყიჟინას, საგაზეთო წერილებს დასასრული არ აქვს. ყველგან, სადაც კი. სამი ისეთი კაცი მაინც მოიპოება, რომელნიც იმდენად უზრუნველყოფილნი არიან, რომ ერთად გამოძღრენ,—იმართება „საზოგადოებრივი ბანკეტი“ და დესერტის დროს ითხზვება დეპეშა. პრეფერანსის თვითეული პარტია, „დურაჩკის“ თვითეული თამაში—თავდება ადრესით; თვითეული უხეირო ლიტერატორი, ოდესღაც ყველა რედაქციის კარი რომ მოუვლია. და მაინც ყველასაგან უკუგდებული დაბრუნებულა, ჯღაბნის

მრისხანე ეპისტოლეს რომელსამე გაზეთში, მოითხოვს დამნაშავის სიკვდილით დასჯას და იმას, რომ მისი წერილი დაისტამბოს „უახლოეს ნომერში ავტორის სახელგვარის სრულის ხელმოწერით"— შეუძლებელია ბოთლი ლუდი დაილიოს, მატლით სავსე ძეხვი შეიჭამოს, უიმისოდ, რომ მურავიოვის სადღეგრძელო არ ითქვას. ოჯახებში პატივსაცემი მამები და დედები, მოზრდილი და მოზარდი შვილებითურთ „ურას"-გაჰყვიროდენ, როდესაც გაიგეს, რომ მურავიოვი დაუნიშნავთ გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარედ და ცრემლმორეულნი (ალბად) ლოშნიდენ მის პორტრეტს.—

А потому что патриоты!

და ეს საოჯახო, წყნარი, თუმცა-ღა სისხლისმსმელი ბედნიერება, რომელსაც არსებითად თავისი მშვენიერება განმარტოებასა და მიჩქმალულობაში უნდა დაენახა. ცდილობს საჯაროზე გამოვიდეს, ყველა გამვლელ—გამომვლელს ეჩვენოს, მთელ ქვეყნიერებას (თუ რომ ეს ქვეყნიერება რუსულ გაზეთებს კითხულობს) ამცნოს თავისი მღელვარება და აღტაცება. ლაპარაკი არ ღირს საბრალობელ დობჩინსკიზე, რომელნიც შესთხოვენ ხლესტაკოვს,—უკაცრავად, კატკოვს: მოახსენეთ ხელმწიფესა და მინისტრებს, რომ ამა და ამ ქალაქში სცხოვრობს (დიაღ, სწორედ ასე მოახსენეთ!) აზნაური პეტრე ივანესძე, შვილი დობჩინსკისა. ამ ვაჟბატონების სურვილი, საჯაროდ გამოჰფინონ თავისი გრძნობანი და ამასთან ერთად თავისი პიროვნება— სავსებით კანონიერია, რაკი საოჯახო გრძნობანი ასე ამოძრავებულან და ცდილობენ საუკუნოებრივ კარჩაკეტილობას თავი დააღწიონ.

გაზეთები და ჟურნალები ცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ და გამოსთქვან. არა მარტო სიმპატიები იმპერატორის დინასტიისა და მურავიოვისადმი, არამედ ცდილობენ, გაარკვიონ კიდეც ეს სიმპატია იმ ინტერესების მიხედვით, მას საფუძვლად რომ უდევს და რაზედაც იგი დამყარებულია. ამნაირად, მაგალითად, გამოირკვა, რომ თავადაზნაურობის ნაწილი, რომელიც უკან მიილტვის, ხელმწიფეს გუნდრუკს უკმევს, როგორც ისეთს ძალას, რომელსაც შეუძლია მამაპაპურ წესების დაბრუნება. თავად-აზნაურობის ნაწილი, რომელიც მიისწრაფვის „იქითკენ, იქით",—ინგლისის ნისლიან ნაპირებისაკენ, თავის მ.რით, ხელმწიფეს ჩასჭიდებია, როგორც ისეთს საშუალებას, რომელსაც შეუძლია ჩვენს ნიადაგზე გადმოიტანოს ბრიტანული დაწესებულებანი და შეაზავოს იგი ჩვენებური ბატონების მეჯინიბურ ზნე—ჩვეულებასთან. ასევე გამოირკვა, რომ ლიბერალები, რომელთაც სურთ პროგრესი სხვისიჭამიობას შეუერთონ, ხოლო თავისუფლების პირობები—სხვის ხარჯზე ცხოვრების სურვილს, ხელმწიფის სახით

იფარავენ მუქთა პურის ჭამისა და მხიარულად ცხოვრების საკუთარ პრივილეგიებს. და თვითეული პარტია, ცინიკურად აღნიშნავს რა იმ სარფიანობას, რის გულისათვისაც იგი აღმერთებს თ ა ვ ი ს ხელმწიფეს, ცდილობს თავისკენ მ ი მ ა რ თ ო ს აწინდელი ყოვლადშემძლე ხელისუფლება და გასრისოს მისი შემწეობით ყველაფერი, რაც მისი პარტიის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ან მის სურვილებს არ შეეფერება.

საზოგადოების მასა პირდაპირ გააშტერა არა იმდენად აქამდე გაუგონარმა ამბებმა, რამდენადაც იმან, თუ როგორ დატრიალდა ეს საქმე ბატონყმობის „გამოცდილი“ პუბლიცისტ—კონსერვატორების წყალობით. ამ საზოგადოების ინსტინქტიური ზიზღი ყოველგვარი სისხლისღვრისადმი გადააქციეს სისხლისმსმელ სიძულვილად რუსეთის საზოგადოების მთელი ფენისადმი, თითქმის მთელი ახალი თაობისადმი, რომელიც იწყებს, ან სურს დაიწყოს ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ ცხოვრება. ძასას ჰგონია, თვითონ მას მოელის საფრთხე იმ ადამიანებისაგან რომელთაც სურთ ისწავლონ საკუთარი შრომით ცხოვრება, არავის აწვნენ ტვირთად და არც არავინ დაისვან კისერზე. საზოგადოება ვერ იცნობს ახალთაობის აზრებსა და სურვილებს, ანუ, უფრო სწორად რომ ითქვას, ამ ახალთაობის იმ ნაწილისას, რ ომელიც საზოგადოებრივი საკითხებითაა დაინტერესებული. საზოგადოება ყურადღებას აქცევს საქმის მხოლოდ გარეგან, დამახინჯებულ მხარეს, არ ჩაჭკვირვებია საკითხის არსს და უკუაგდებს მთლიანად ყველა მათ, ვინც თუნდ გარეგნობით მაინც განსხვავდება მამაპაპათა და მათ ზნე-ჩვეულებათაგან.

ახალთაობისადმი ამ სიძულვილთან ერთად საზოგადოება განიცდის მთავრობისადმი რაღაც გაღმერთების გრძნობას. მთავრობა მიაჩნიათ არა თუ თანამედროვე საზოგადოებრივისა და სახელმწიფოებრივი წყობილების განსახიერებად (ამას, რასაკვირველია, არავინ უარჰყოფს), არამედ მიაჩნიათ მთელი რუსის საზოგადოებისა და ხალხის წარმომადგენლად და მფარველად, იმ საზოგადოებისა და ხალხისა, რომელთა ინტერესებიც მოითხოვს სწორედ ამ წყობილების გარდაქმნას. საზოგადოების აზრები იმდენად აბნეულია, რომ მას ვერ შეუთვისებია სულ უბრალო და მარტივი აზრი: თუ მთავრობა თანამედროვე წყობილების განხორციელებაა, ეს წყობილება კი ამკარად ეწინააღმდეგება ღარიბი ხალხის მასათა ინტერესებს, ცხადია, იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება იმავე დროს ამ მასის წარმომადგენელი. მართალი რომ ითქვას, ამ საზოგადოებას არც თუ აქვს განსჯის უნარი: მისი გონებრივი განვითარება უკიდურესად სუსტია;

იგი მხოლოდ იმას გრძნობს, რომ მას ცხოვრება საშინლად უჭირს; მისი გონება და აზრი ამაზე შორს ვეღარ მიდის; ამას ერთვის ის უბედურება, რომ მას გვერდზე უდგას კატკოვი თავისი სატელიტებით, უდგას და ჭკუას ასწავლის. საზოგადოება, საბედისწეროდ, იძულებულია ამ ვაებატონების ანკესს წამოეგოს, შეეშინდეს მათ მიერ გამოგონილი და გაზვიადებული საფრთხობელასი, უაპელაციოდ და ნებაყოფლობით დაემორჩილოს იმ ტერორს, რომელსაც აღვივებენ კონსერვატორი პუბლიცისტები პრივილეგიან კასტათა ინტერესების გულისთვის. აი, რატომ არის, რომ საზოგადოება ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში—სავსებით და მთლად გაამართლებს ჩვენებური პუბლიცისტების მოლოდინს. ამ უბედურ საზოგადოებას, რომელიც აღზრდილია წარღვნის წინადროინდელი ცნებების მიხედვით, წამოზრდილა მუქთახორობაში, შესჩვევია დუმილსა და რომელსაც ოდნავი წარმოდგენაც კი არა აქვს სხვა, ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე—ფიზიკური საშუალებაც კი არა აქვს კატკოვსა და კომპ. დაუსხლტეს ხელიდან. უგნური, არაადამიანური ცხოვრების პირობებით გასრესილია იგი და მას არ შეუძლია თავისი გონებრივი გარდაქმნა მოახდინოს; რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში. ხოლო ეს ვადა სავსებით კმარა იმისათვის, რომ ჩვენებურ ბატონებს გამარჯვება არგუნოს, მართალია არა სამუდამო გამარჯვება, მაგრამ ასე თუ ისე ხანგრძლივი მაინც.

საზოგადოება უკვე დაადგა ამ გზას: ზამოსკვორეჩიელი პუბლიცისტების სტატიები მასში აღტაცებულსა და თანაც მორჩილ გამოხმაურებას ჰპოებს; ეს გამოხმაურება, როგორადაც მაღალ საგანს შეჰფერის, ხან უცხაური, ხან უგნური ფორმით იჩენს თავს. თუ ამნაირ მორჩილებას იჩენს ის საზოგადოება, რომელსაც თავისათვის არაფრად სასარგებლოდ მიაჩნია კატკოვის პრინციპების გამარჯვება, რაღა უნდა ითქვას იმ პარტიაზე, რომელსაც თავისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ამ გამარჯვებისათვის დაუკავშირებია?

...ბატონკაცური პატივმოყვარეობისა და ვიწროდგაგებული ინტერესების ამ გამოაშკარავებასთან ერთად, როგორც ენამახვილად სთქვა „Московские ведомости„-მ, ამ „პანურგის ფარას“ ბლავილთან ერთად,—განზე დგას დროებით დათრგუნვილი ახალგაზრდობა, რომელსაც სდევნიან თვითეულად და მთლიანად და რომელმაც, უმრავლეს შემთხვევაში, თვითონაც არ იცის, თუ რატომ სდევნიან. დროა, ბოლოს და ბოლოს, მივხვდეთ, რომ საზოგადოებრივი მდგომარეობით დაინტერესებულობა და ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საშუალებათა ძიება—მთელი ახალთაობის აუცილებელ კუთვნი-

ლებას როდი შეადგენს. თუ თანამედროვე წყობილების მომხრენი იტყვიან: ყველანი, ვინც ჩვენში ფიზიკურად ახალგაზრდა და ჯანსაღია, საზოგადოებრივი რეფორმის მომხრენი არიანო,—ეს მათი მხრით საკუთარი თავისთვის სიკვდილის განაჩენის გამოცხადება იქნება. ჩვენ გულწრფელად და მწვავედ გვძულს თანამედროვე წყობილება. მაგრამ ჩვენ ვერ ვბედავთ და არც შეგვიძლია გავბედოთ ვთქვათ, რომ ამ სიძულვილს იზიარებდეს თანამედროვე ახალთაობის თუნდაც უმეტესობა. შინაური აღზრდის დამაჩლუნგებელი სისტემა და ამაზე არა ნაკლებად გამომაყეყეჩებელი სისტემა სასწავლებლებში გამეფებული აღზრდისა—ძალიან ადრე, ჩანასახშივე ჰკლავს თავისუფალი აზროვნების ყოველგვარ გამოსახულებას; ამიტომ ჩვენ ვერ მივცემთ ჩვენს თავს ნებას ვთქვათ, რომ მთელს ახალთაობას შეეგნოს და მაშასადამე შეაგნებინებდეს სხვებსაც აწინდელი დროების ცხოველსა და საჭირბოროტო ინტერესებს. ჩვენს მსჯელობას ყველაზე კარგად ადასტურებს მოსკოვის სტუდენტების საქციელი, რომელთაც პარაკლისი გადიხადეს ივერიის ღვთისმშობლის ხატთან, კატკოვის ფანჯრებთან „ვაშას“ გაჰყვიროდენ; აგრეთვე საქციელი სხვა სასწავლებელთა მოწაფეებისა, რომელნიც ხატებს ყიდულობდენ და მოგროვილი ფულით პარაკლისს იხდიდენ. მიუხედავად ამისა, შესაძლებლობა რომ ჰქონოდეთ ერთბაშად გაჟლიტონ ახალი თაობა, უეჭველია, მას მართლაც გაჟლეტდენ. ჩვენებურ ჟურნალთა ეროდეებს სწორედ ის უნდათ, რომ აღიგავოს პირისაგან მიწისა ის თაობა, რომელსაც საშუალება ჰქონდა წაეკითხა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერები და თუ ეს ნაწერები არ წაუკითხავს, ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ მაინც გაუგონია მათ შესახებ. შემდგომ ისინი იკისრებენ იმ ახალგაზრდობის აღზრდას, რომელიც ამჟამად დედის მუცლად იმყოფება; მაგრამ ამას ისინი იზმენ იმ პირობით, თუ მათი დედები ნიღილისტკები არ იქნებიან და თუ ისინი არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩამომავალნი „ახალი ადამიანებისა“. ამ მხრით მათი სურვილები აღსრულდება: თმაშეკრეჭილ ქალებს ყოთელ ბილეთებს აძლევენ არა იმდენად იმისათვის, რომ დაამცირონ, რამდენადაც იმისათვის, რომ აღგავონ ისინი პირისაგან მიწისა მათი ბავშვებითურთ, რომელნიც, თანახმად დაკანონებული წესისა, უნდა გაიგზავნონ კანტონისტებად, ანა და, რაკი კანტონისტთა სკოლები დაიხურა, გაგზავნონ სამხედრო ხალხისათვის სხვა, ამაზე არა ნაკლებად ხელსაყრელ ადგილას.

ამნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილ ახალგაზრდობას, ბუნებრივია, რომ გზა უნდა აბნეოდა, გზაჯვარედინზე დამდგარიყო და

ამით კიდევ უფრო გაეძლიერებინა საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობის უცნაურობა. თავის-თავად ცხადია, აქ ლაპარაკი გვაქვს ახალი თაობის არა იმ ნაწილზე, რომელსაც განსაკუთრებული პირობებისა გამო თავისთვის მტკიცე და გარკვეული პროგრამა შეუმუშავებია და რომლებზედაც ამ წერილში გვექნება საუბარი. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ იმ უმრავლესობაზე, რომელსაც თავისი განვითარებით საზოგადოების მასისათვის ბევრად წინ როდი გაუსწრია. ვიმეორებთ, ამ უმრავლესობას გზა აებნა, მისი ერთი ნაწილი კატკოვის ღმუილის აყოლას იწყებს, მეორე ნაწილი კი მერყეობს და დუმილით იტანს მურავიოვის მათრახებს. ამ უმრავლესობამ რომ იცოდეს, თუ რისთვის სდევნიან მას, იგი, რასაკვირველია, შეეცდებოდა თავი დაეღწია ამ ორჭოფ მდგომარეობისათვის, შეეცდებოდა დაემტკიცებინა ყველასათვისა და თვითეულისთვის, რომ მას ოდნავადაც არ აქვს ის კანონსაწინააღმდეგო ტენდენციები, რომელთა აჩრდილიც კი ასეთ პანიკურ შიშსა ჰგვრის „თანამედროვე წყობილების ყველა მეგობარს“. მაგრამ თანამედროვე ორომტრიალის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ ერთი მხრით სდევნიან და თვითონაც არ იციან, ვის და რისთვის, ხოლო დევნილებმა არ იციან, ვინ სდევნის მათ და რატომ...

და ეს საყოველთაო ორომტრიალი და არევდარევა, ეს საყოველთაო ციებცხელება გამოიწვია იმან, რომ რომელიღაც ატაცებულმა ადამიანმა მოინდომა ხელმწიფისთვის რევოლვერი ესროლა. რანაირად არ განმარტავდენ ამ ამბავს! პირველ ხანებში ფიქრობდენ, რომ მსროლელი—პ ო ლ ო ნ ე ლ ი ა და ამბობდენ: ეს შურისძიებაა პოლონელთა მხრით პოლონეთის პოლიტიკურად მოკვლისა და განადგურებისათვისო. საზოგადოებას სურდა ამით საჩქაროდ თავიდან მოეშორებინა თავის მიერვე გამოგონილი კოშმარი. „Подписано что поляк и с плеч долой!“ მაგრამ აღმოჩნდა, რომ მსროლელი პოლონელი კი არა, წმინდა რუსია. აქ ისეთი კონფუზი მოხდა, რომ საყურებლად ღირდა: ადამიანები, რომელთაც სურდათ „თავის ხელმწიფისადმი რუსის ხალხის უქვეშევრდომილესი გრძნობები და საუკუნოებრივი სიყვარულის“ სახელი და დიდება (!) ხელუხლებლად დაეცვათ—გონებადაბნეულნი მივარდენ ფილოლოგიას, ისტორიას, ფილოსოფიას, არქეოლოგიას, ეკონომიას, ერთი სიტყვით, ყოველგვარ მეცნიერებას, რათა დაემტკიცებინათ, რომ ბოროტმომქმედი რუსი არ არის, ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა რუსი იყოს. ზოგიერთნი ფილოლოგიას იშველიებდენ და ამტკიცებდენ: ამის დამადასტურებელია თვითონ გვარი კარაკოზოვი: ყ ა რ ა—თათრულად შ ა ვ ს ნიშნავს; ი ო ზ ან

კოზ—თვალსა, მაშასადამე, ბოროტმომქმედი—თათარიაო. მაგრამ ამით შორს ვერ წავალთო, ამბობდენ სხვები. ამნაირად იმის დამტკიცებაც ხომ შეიძლება, რომ გოლშტეინ-გოტორბსკებიც რუსები კი არა, გერმანელები არიანო. ამიტომ რუსის ხალხის უქვეშევრდომილესი სახელის დამცველებმა ისტორიას მიმართეს და ცდილობდენ დაემტკიცებინათ, რომ იმ დროს, როდესაც გოლშტეინ-გოტორპის დინასტია ჩამოვიდა ჩვენში „საბატონოდ და სამთავროდ“, ესე იგი მე-XVIII საუკუნეში, კარაკოზოვთა გვარი ჯერ კიდევ არ ყოფილა შეტანილი სარატოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგვარეულო წიგნში. მესამენი ფიქრობდენ, შეიძლება კარაკოზოვები რუსის აზნაურები არ ყოფილან, მაგრამ რუსის მეშჩანინები, „პრიკაზის“ ხალხი, ან ამის მსგავსნი იყვნენო. ეყრდნობოდენ რა ამ აზრს, ისინი მიმართავდენ ფსიქოლოგიურ ფილოსოფიას, რათა დაემტკიცებინათ, რომ „ოჯახში თითო მახინჯი არ დაილევა“ და მყისვე გამოიგონეს ბოროტმომქმედის მელანქოლიური და იპოქონდრიული სულიერი განწყობილებაც კი.

მაგრამ ეს იყო პირველ წუთებში. შემდგომ წუთებმა რუსეთის საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლებს უფრო ღრმა და ფართო აზრები მოჰპერა. „რომელია ის წრე,—კითხულობდენ ისინი,—ამნაირი ბოროტება რომ დაჰბადა და აღზარდა? საიდან მიიღო მან თავისი კანონსაწინააღმდეგო აზრები?“ გაიგეს, რომ იგი მცირემამულიან აზნაურთაგანია და თავად-აზნაურთა ორგანომ მყისვე მოითხოვა მეშჩანებსა და გლეხობაში ჩარიცხვა იმ თავად-აზნაურებისა, რომელთაც არ აქვთ ამდენი და ამდენი ათასი დესეტინა მიწაო. შემდგომ მოითხოვეს: ყველა იმათ, ვისაც არ მოელის მემკვიდრეობად მიწის განსაზღვრული რაოდენობის მიღება, გონებრივი განვითარების გზა დაეხშოთ, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგინი ჭკუის კოლოფობას მოჰყვებიან, მოკვლას დაუპირებენ ხელმწიფესა და მსხვილ მემამულეებსაო. ეს მოთხოვნა უკვე „მიღებულია მხედველობაში“. გაიგეს აგრეთვე, რომ კარაკოზოვი გიმნაზიაში აღზრდილა და უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა. „აჰა, შეჰყვირეს განათლების ჩვენებურმა დამყაყებულმა ჩამქრობლებმა,—აი, თქვენი მაგნულკები, ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორის მანტიაში გამოწყობილნი, აი, სად ხარობს იდეები ხელმწიფის მკვლელობისა და გლეხკაცთა შორის მიწის განაწილების შესახებ!“ განათლების მინისტრი, რომელიც ბნელეთის მოციქულობაში არ ჩამოუვარდება არც ერთ კატკოვს, არც ერთს სკარიატინს და ასკოჩენსკისაც კი, ეს მინისტრი თავის ადგილიდან გადმოასკუპეს სწორედ იმიტომ, რომ მან, უნივერ-

სიტეტების უფროსმა, ოთხის წლის წინად ვერ შეამჩნია, რომ მისდამი რწმუნებულ ერთ-ერთ სასწავლებელში თავს იფარავდა ის ადამიანი, რომელიც გაილაშქრებდა თანამედროვე წყობილებისა და საკუთრების წმინდა, უწმინდესი პრინციპის წინააღმდეგ. „საჭიროაო,— გაიძახოდენ ათასგვარ ხმად გაზეთები, ბოროტება ძირიანფესვიანად აღმოვფხვრათო“, ე. ი. აღმოვფხვრათ ის გიმნაზიები, უნივერსიტეტები, თითქმის მთლად ის სახელებიცა და ქუჩებიც, სადაც კიოდესმე კარაკოზოვს ფეხი დაუდგამსო.

შემდგომ შეუდგნენ იმ მიზეზთა და მოძღვრებათა კვლევას, რომელთაც შეეძლოთ კარაკოზოვისათვის ბოროტმოქმედების ჩადენის აზრი ჩაენერგათ და აგრეთვე იმის გამოძიებას, თუ რა მიზნით ესროლა მან ხელმწიფეს. „მას ალბად მსხვილი მემაშულეების განადგურება თუ უნდოდა!“ გაჰყვიროდა თავად-აზნაურული გაზეთი. „არა, მას რუსეთის მთლიანობის დარღვევა სურდა!“ გაჰყვიროდა „Московские ведомости“ და ამ სროლას უკავშირებდა „Revue de Mondes“-სა, „Современник“-სა, რომელიღაც გერმანულ გაზეთსა და კიდევ ეშმაკმა იცის, სად დაბეჭდილ რომელიღაც სტატიებს. „სტყუითო,— გაჰყვიროდენ მესამენი,—იგი რელიგიის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მას უნდოდა ხელმწიფისადმი გულში ტყვიის დახლასთან ერთად— რუსეთის გულში ათეიზმი ჩაენერგაო“, „თქვენ ყველანი იმას ვერ ამბობთ, რაც საჭიროა,—ლულლულებდენ მეოთხენი,—ეს არის რევოლიუციური ასოციაცია (თუ ასოციაციური რევოლიუცია), რომელსაც სურს“... და ასე დაუსრულებლივ.

მთელი ამ ხმაურის გამო კარაკოზოვის სახელს, ალბად, თვით ალიბის საქმეს და ბარსელონის ცნობილ „გვირგვინოსანთა გაჟლეტის საზოგადოებას“ დაუკავშირებენ. მურავიოვის სახელია ამის თავდები...

II

მიუხედავად ჩვენი ნაფიცი პუბლიცისტების მიერ საქმის გაზვიადებისა, ჩვენ პრინციპიალურად საესებით თანახმანი ვართ განვიხილოთ ის მოტივები, რამაც გამოიწვია არა მარტო ხელმწიფის მოკვლის განზრახვა, არამედ საერთოდ საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობა. თანამედროვე მდგომარეობა კი შეიძლება ამნაირად დავახასიათოთ: მთავრობამ მოინდომა მოძველებული სახელმწიფოებრივი მანქანის გადაკეთება; ეს გადაკეთება ვერ აკმაყოფილებს იმ ადამიანებს, რომელთაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი გარდაქმნა სურთ. ხოლო იმისათვის, რომ ამ

უკმაყოფილებას მიუხვდეთ და მისი ძალოვნობა შევაფასოთ, მხედ-ველობაში უნდა მივიღოთ ის მოთხოვნილებანი, რამაც მთავრობის რეფორმები გამოიწვია, საჭიროა შევადაროთ დიდი მოლოდინი საბრალობელ სინამდვილეს, ერთი სიტყვით, საჭიროა განვიხილოთ რუსეთის უკანასკნელი ხნის სინამდვილის მსვლელობა. ვნახოთ ერთი, რანაირია ეს სინამდვილე.

გლეხთა განთავისუფლება დიდი ხანია საზოგადოებისა და მით უმეტეს — ხალხის მოთხოვნილება იყო. როდესაც რაზინმა მოსკოვის სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, მისკენ გარბოდენ ყოველ მხრიდან ყმები. რაზინის აჯანყების წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი — ეს იყო ხალხის სიძულვილი ბატონყმობისადმი. სტენკა რაზინის ამბოხება ხალხს აქამდე კარგად ახსოვს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სავსებით ხალხური იყო. რუსის ხალხს სტენკა ახლაც ცოცხალი რომ ჰგონია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ღრმად სწამს მომავალში ყოველგვარი ბატონყმობისგან განთავისუფლება. რაც უნდათ სწერონ რუსეთის მთავრობის ოფიციალურმა ისტორიკოსებმა, ეს ამბოხება და მისი გამარჯვება რაგინდ დიდხანს „კაბაცკაია გოლ“-ს მიაწერონ, მაინც უეჭველია, რომ რაზინის საქმით დაინტერესებული იყო მთელი გლეხობა და დაბალი ხალხი, ერთი სიტყვით, ყველა ის, ვისაც ბოიარების, მემამულეების და „პრიკაზნების“ უღელქვეშ აღარ ეცხოვრებოდა. მარტოოდენ ეს დაინტერესებულობა აძლევს რაზინის და მისი ამხანაგების პიროვნებას ისტორიულ აზრსა და ხასიათს, რამდენი „ორმოცკასრიანებიც გწებავთ ევვათ“ მათ. იგივე უნდა ითქვას პუგაჩოვის საქმეზე. მიუხედავად იმისა, რომ პუგაჩოველები ცდილობდენ სულ მთლად ამოეწყვიტათ მემამულეები და მათთან ერთად — მოესპოთ ბატონყმობა, ჩვენებური ისტორიკოსები ამ საქმეს კვლავ ისე უყურებენ, როგორც ვიღაც თავზეხელაღებული ადამიანის ბოროტ ლაშქრობას. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მივხვდეთ, რომ ცალკე პიროვნებათა ვერავითარი თავაღებულობა, ვერავითარი მათი სიმამაცე და ვერც ვერავითარი მათი მოხერხებულობა, თუ ეშმაკობა, ვერ გამოიწვევს ხალხის მოძრაობას, თუ ხალხის მასაში, ან, ყოველ შემთხვევაში, მის უმრავლესობაში, არ სუფევს იმ უკმაყოფილების ელემენტები, რომელსაც უკვე აღუვსია ხალხის სახელგანთქმული მოთმინების ფიალა. ცალკე პიროვნებათა და კასტების ყოველი მოქმედება, ყოველი მათი აზრები, რაგინდ კეთილშობილი და წმინდა იყოს ეს აზრები — მასებისათვის სრულიად უცხო რჩება; იგი მომაკვდინებელი გულგრილობით ხვდება მათ, ვიდრე არ იგრძნობს, რომ მის უკმაყოფილებისა და

ზემოხსენებულ ადამიანთა მეცადინეობას შორის ძირეული და განუყრელი კავშირი არსებობს. ამნაირ შემთხვევებში (უნდა ითქვას კი, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია) მასა ერევა საქმეში და ცალკე პიროვნებათა ცდას თავის საკუთარ საქმედ მიიჩნევს, თავის საკუთარ ხასიათსა და სახეს მისცემს ხოლმე მას.

ძალიან ძლიერი იყო, მაგალითად, პროპაგანდა, ძალიან დაუღალავნი იყვნენ პოლონელი რევოლიუციონერები ხალხში თავისი იდეალების და რუსეთის მთავრობისადმი სიძულვილის გავრცელების მხრით,—მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღწიეს, თუმცა მათ მხარეზე იყო ტომობრივი და სარწმუნოებრივი განსხვავება, აგრეთვე სიძულვილი რუსის ადმინისტრაციისადმი. პოლონეთის გლეხები საკმარისად დარწმუნებულნი როდი იყვნენ, რომ მათი „პანების“ საქმე მათივე საკუთარი საქმე იყო, რომ შლიახტის ბატონობის დროს უკეთესი ცხოვრება ექნებოდათ, ვიდრე რუსეთის ბატონობის დროს. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ პოლონეთის აჯანყებას ხალხი ჯერ გულგრილად შეხვდა, ხოლო შემდგომ აშკარა, პირდაპირი მტრობით... თუ ახლა უკვე შეუძლებელია ხალხი ააღელვოთ ისეთი მძლავრი საშუალებებით, როგორიცაა სარწმუნოებრივი ფანატიზმი და ხალხთა განსხვავება, საკითხავია, განა შეიძლება იგი ააღელვოთ იმნაირი უბრალო და ფუჭი გარემოებით, რომ ვინმე პეტრე მე-III, რომლის პიროვნებაც საეჭვო იყო ყველაზე გულკეთილისა და მიამიტი ადამიანებისთვისაც კი,— ვითომდა სჩიოდა: ტახტი ჩემმა საეჭვო ცოლმა წამართვაო? ასეთ ავანტიურას ორიოდე თავზეხელაღებული კაცი თუ აჰყვება, მაგრამ მათ ხომ სწორედ ამიტომ უწოდებენ ავანტიურისტებს.

მაშასადამე, უეჭველია, ხალხის მასათა ისეთი მძლავრი მოძრაობანი, როგორიც რაზინისა და პუგაჩოვის ამბოხებები იყო, შეუძლებელია სახალხო საქმე არ ყოფილიყო, არ ყოფილიყო საძულველი ბატონყმობის საწინააღმდეგო საყოველთაო პროტესტაცია; ამაზე არა ნაკლებ უეჭველია ისიც, რომ შეუძლებელი იყო ამ მოძრაობას ამაოდ და უკვალოდ ჩაევლო, რომ მას მომავალი მოძრაობის ელემენტები არ დაეტოვნა ხალხში. და მართლაც, ქვემოდ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ელემენტები იმუქრებოდენ ჩვენს ხანაში თავის ჩენას, მაგრამ მათ გამოვლინებასა და პუგაჩოვიანობის დროს შორის რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა ერთი საკმაოდ დიადი ამბავი, რასაც ერთგვარი კავშირი აქვს ამ სტრიქონთა საგანთან და რაზედაც ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ, ესაა 1825 წლის 14 დეკემბრის ამბავი.

ინდივიდუალურ თუ წვრილკოლექტიურ ცდებისადმი ხალხის მასების მხრით დამოკიდებულების შესახებ ნათქვამს—ძალიან კარგად ადასტურებს 14 დეკემბრის ამბოხება. თითქოს არაფერი ᲐᲙᲚᲓᲐ ამ ამბოხებას. მას მხარს უჭერდა ყველა ის, ვინც კი რისამე უნარის მქონე იყო რუსის განათლებულ საზოგადოებაში; მისი პროგრამა დაფუძნებული იყო ფრიად ჰუმანიტარულ, თავისუფალ საწყისებზე: იგი, სხვა მუხლთა გარდა, შეიცავდა გლეხთა განთავისუფლებას მიწით; ესეც ცოტაა. მას მხარს უჭერდა პეტერბურგში მყოფი ჯარის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. მიუხედავად ამისა, საკმარისი იყო რამდენიმე გასროლა, რომ არა თუ გაეფანტათ „მეამბოხეთა" ბრბო, არამედ ეს ამბავი ხალხის მეხსიერებიდანაც ამოეშალათ. მართლაც და, შერჩა თუ არა ხალხს 1825 წლის შეთქმულობის ისეთივე ხსოვნა, როგორიც, ვთქვათ, სტენკა რაზინის ამბოხებისა? 1825 წლის შესახებ ხსოვნა სცოცხლობს და კვლავ დიდხანს იცოცხლებს, მაგრამ არა ხალხის მეხსიერებაში, არამედ განათლებული საზოგადოების მცირეოდენ ჯგუფში. ამის მიზეზი ისაა, რომ ხალხს ხსენებული შეთქმულობის საქმე საკუთარ საქმედ არ მიუჩნევია. რასაკვირველია ამ შემთხვევაში ხალხი შემცდარი იყო, მაგრამ ეს შეცდომა მისი ბრალი როდი იყო. 14 დეკემბრის შეთქმულობა იდუმალად ᲔᲬᲧᲝᲑᲝᲓᲐ, როგორც ᲔᲬᲧᲝᲑᲐ საერთოდ ყოველი შეთქმულობა. მაგრამ ის, რაც კარგია საქმის ფორმალური მხარისთვის, ყოველთვის ასევე სასარგებლო როდია მისი არსის მიმართ. თუ სახელმწიფოებრივი წყობილების პირობები მოითხოვს სასტიკი საიდუმლოების დაცვას აჯანყების ადგილის და დროის შესახებ, ანა და შეთქმულთა რიცხვისა და ადგილმყოფობის შესახებ, ხალხის ცხოვრების პირობები ასევე მოითხოვს, რაც შეიძლება მეტად გახმაურებას იმ მიზნისას, რომელისაკენაც შეთქმულნი მიილტვიან. დეკაბრისტებმა ერთმანეთში აურიეს თავისი საქმის არსი და მისი ფორმალური მხარე. იდუმალად ინახავდენ რა თავის ორგანიზაციას, ამასთან ერთად იდუმალად რჩებოდათ თავისი სურვილები და ის კავშირი, რომელიც შეიძლებოდა გაბმულიყო მათსა და ხალხის საქმეს შორის. ესაა მათი უმთავრესი შეცდომა, რამაც, სხვათა შორის, ის სარგებლობა მაინც მოგვიტანა, რომ ახალი გზის აუცილებლობაზე მიგვითითა და ამით საშუალება მოგვცა ამ გზაზე სიარულისა.

14 დეკემბრის აჯანყება დათრგუნეს, მისი შემამზადებელი ელემენტები, ანუ, უფრო სწორად რომ ითქვას, ადამიანები—გაჰფანტეს. ნიკოლოზ I მთავრობას გაუადვილდა დაერწმუნებინა ხალხი, რომელიც განათლებული ხალხის ყოველგვარ მოქმედებას უნდო თვალით

უყურებს, რომ სენატის მოედანზე ზარბაზნის სროლა და ბრბოს დარბევა—აუცილებლად საჭირო იყო მამულისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. ვიმეორებთ, ხალხი ადვილად მოსტყუვდა, არც შეეძლო არ მოტყუებულიყო, ვინაიდან აჯანყებამდე მოწინააღმდეგე მხარეს არ მოუნდომებია ხალხთან ლაპარაკი, ხოლო მას შემდეგ უკვე აღარ შეეძლო გამოჭლაპარაკებოდა მას, თუნდაც მოესურვებინა. ასე დათავდა სენატის მოედნისა და ციმბირის მოედნების ტრაგიკული ისტორია ხალხის მასის მიმართ. რაც შეეხება მის გავლენას განათლებული უმცირესობის შემდგომს განვითარებაზე, ამ უკანასკნელმა, საზოგადოებრივ სცენაზე პირველ გამოსვლისთანავე—ბევრად უფრო მოფიქრებული მისწრაფებანი, ხალხის მოთხოვნილებათა ბევრად უფრო ნათელი და ღრმა გაგება, მოქმედობის სავსებით სხვა სისტემა გამოიჩინა...

ბატონყმობით ხალხის უკმაყოფილება სრულიადაც არ გამქრალა პუგაჩოვის ამბოხების ჩაქრობისთანავე. მან მძაფრად თავი იჩინა რუსეთის მთავრობის ყველაზე ტრაგიკული ეპოქის—ყირიმის ომის დროს. როდესაც პირველად ხმა გავარდა ლაშქრობის შესახებ და როდესაც იმპერატორის მანიფესტები აღნიშნავდენ რუსეთის საბედისწერო მდგომარეობას, ხალხში დიდმა აღტყინებამ იჩინა თავი სამშობლოს დაცვის საქმეში. ეს აღტაცება თითქოს ფრიად პატრიოტული იყო; მაგრამ მთავრობა მიხვდა, თუ რა ხასიათისა იყო იგი და იძულებული გახდა საშინელი ღონისძიებანი ეხმარა ამ გადამეტებული პატრიოტიზმის დასათრგუნავად. საქმე ისაა, რო გლეხები გროვდებოდენ ჯგუფებად, ჩალის ფასად ჰყიდიდენ მთელ თავის ქონებას, რათა საშუალება ჰქონებოდათ „ყაზახად წასვლისა“, ე. ი. როგორც მათ ესმოდათ, ბატონყმობისაგან განთავისუფლებულიყვნენ. ხალხური სიბრძნე გლეხკაცს უკარნახებდა: ადამიანს, რომელიც სამშობლოს დასაცავად მიდის, რომელიც სახლ-კარს სტოვებს და სიცოცხლეს არ ზოგავს სახელმწიფოსათვის, სრული უფლება აქვს მისგან განსაზღვრული მადლობა მიიღოსო; და გლეხკაცებს ეს მადლობა სხვა არად წარმოედგინათ, თუ არა მინიჭებად ადამიანური უფლებებისა იმ ადამიანებისათვის, რომელნიც მამულის სასარგებლოდ იღვწოდენ. გლეხებს ვერ წარმოედგინათ, რომ მამულის დამცველები, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კვლავ მონების, ყმების მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ჩაყენებული, რომ კვლავ მათი სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყვნენ მშვიდობიანათ შინმჯდომი ადამიანები, როდესაც ისინი, გლეხები, სამშობლოსათვის უკანასკნელს გროშს ხარჯავდენ და ამას კიდევ თავის სისხლს ამატებდენ. „მტერთან საბრძოლველად მივდივართო,—ამბობდენ გლეხები,—მივდივართ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ყაზახებად

მაშასადამე თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ნ ი ვიქნებით, როდესაც უკან დავბრუნდებითო. ჩვენის აზრით, აქ ლოლიკა უნაკლოა. მაგრამ ასე არ ფიქრობდა მთავრობა: კიევის მღელვარება დათრგუნეს სამხედრო ძალებით, ფორმალურად, როგორც წმინდა წყლის აჯანყება. შიდაგუბერნიათა სხვადასხვა ნაწილში იგივე, ან თითქმის იგივე ხდებოდა, რასაკვირველია, იმ განსხვავებით, რომ იქ საქმე ცოტად თუ ბევრად გახმაურდა.*)

გლეხობის საყოველთაო მოძრაობა ამ მხრით არ შეიძლებოდა უფრო სერიოზული მოძრაობის საკმაოდ ცხადი წინამორბედი არ ყოფილიყო. ყირიმის ომის შემდეგ ხალხში ისეთი საყოველთაო დრტვინვა იყო, რომ ამას ვერ შეამჩნევდა მხოლოდ წინასწარგანზრახულად, განგებისად დაბრმავებული თავად-აზნაურთა პარტია. ამ უკმაყოფილებას მალე მიხვდა იმპერატორი და ამისი შედეგი იყო 1857 წლის ოქტომბრის რესკრიპტები.

მკითხველი უკვე ხედავს, რომ თუ ჩვენ ასე ვრცლად შევჩერდით ისეთ შორეულ ამბებზე, როგორიცაა სტენკა რაზინის ან პუგაჩევის ამბოხებანი, მხოლოდ მიტომ, რომ რაც შეიძლება ნათლად გვეჩვენებინა: ალექსანდრე მე-II-ის მიერ ბატონყმობის მოსპობა არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა მისი პირადი საქმე, მისი მოპრიანება, სახელის მოხვეჭის სურვილი, ერთი სიტყვით, არ ყოფილა ამა თუ იმ ხელმწიფის კაპრიზი. ეს სხვა არა იყო რა, თუ არა რუსეთის ხალხის განვითარების აუცილებელი მოთხოვნილება. ხალხი, გრძნობდა რა ბატონყმობის მთელ სიმძიმეს, უკვე იწყებდა იმის შეგნებას, რომ აუცილებელი იყო მისი მოსპობა, რადაც უნდა დაჯდომოდა. ალექსანდრე მე-II რომ ტახტზე ავიდა, რუსეთი არეულ-დარეული დახვდა: იგი ხედავდა, რუსული პატრიოტული მოძრაობის ძალას, ხედავდა, თუ რა მსხვერპლი გამოიღეს ხალხმა და საზოგადოებამ; მაგრამ ამასთან ერთად იგი ხედავდა, რომ ეს მსხვერპლი და პატრიოტიზმი ამაო იყო, რომ მას ნთქავდენ საზიზღარი ადმინისტრაცია, საინტენდანტო, მოხელეები. დაჭრილთა სასარგებლოდ შენაგროვი ფული მთავრობის მოსამსახურეთა ჯიბეს არ სცილდებოდა, დაჭრილები კი ათასობით იხოცებოდენ, როგორც ძაღლები, იხოცებოდნენ წამლობის მოლოდინში, აუტანელი კვების გამო. წარსდგა რა პირდაპირ მოხელეობისა და არმიის ამნაირ წყობასთან, ალექსანდრეს, რასაკვირველია, ცვლილებებზე უნდა ეფიქრნა: მოხელეები, არმიისა და თავადაზნაურობასთან ერთად, მისთვის ხალხის უკმაყოფილების დასაწყნა-

*) ამ საქმის შესახებ საინტეროსო ცნობებს მკითხველი ჰპოებს ბერლინში 1862 წ. გამოცემული წიგნის „Материалы для истории освобождения крестьян при Александре II" პირველ ტომში.

რებლად იყო საჭირო და იგი მიხვდა, რომ იმნაირი მოხელეებით, რომელმაც ვერაფერი გაუკეთა იმ დროს, როდესაც მთელი ხალხი უჭერდა მეფეს მხარს, ვერას გახდები, თუ რომ ხალხის თუნდაც მარტო ერთი ნაწილი წინააღგიდგა. მაშასადამე, საჭირო იყო ხალხის დაშოშმინება, მისთვის პირში ბურთის ჩაჩრა. ასეთი რამ, სახელმწიფო საქმეების საერთო არევ-დარევის გამო, მიუცილებელ საჭიროებად იქცა. ალექსანდრე ამ აუცილებლობას ძალიან კარგად მიხვდა და გადასწყვიტა დამორჩილებოდა სწორედ იმიტომ, რომ რაც შეიძლებოდა ხელუხლებლად შეენარჩუნებინა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური წყობილების დანარჩენი ნაწილი, დრო მოეგო და ამასობაში სახელმწიფოებრივი მმართველობის დაჟანგული მანქანა შეეკეთებინა.

ვიდრე ამ უკანასკნელი აზრის დამამტკიცებელ ამონაწერებს მოვიყვანდეთ, ჩვენს თავს ნებას მივცემთ საგანს ცოტაოდნად გადავუხვიოთ და ალექსანდრე მე-II-ის პირად ხასიათს შევეხოთ. ჩვენში ძალიანაა გავრცელებული აზრი: იმპერატორს პირადად ფრიად კეთილი და სანაქებო განზრახვები აქვს, მაგრამ ამ განზრახვათა განხორციელებას ხელს უშლიან ის ადამიანები, რომელნიც იმპერატორს გარს ახვევიანო. ამბობენ: თავის-თავად ალექსანდრე მე-II-ს ძალიან ნაკლები სახელმწიფოებრივი უნარი აქვს, მაგრამ იგი შესანიშნავია მხოლოდ თავისი გაუგონარი გულკეთილობითო. ნამდვილად კი მთელი მისი მოქმედება, მას შემდეგ, რაც იგი თვითმპყრობელი მთავრობის მეთაურად არის, სულ საწინააღმდეგო რასმე ამტკიცებს და ეს არა მარტო გულქვაობის მხრით. ალექსანდრე მე-II სასახლის ყოველგვარ ინტრიგათაგან დამოუკიდებლად რომ მოქმედებს, ამას მოწმობს ის, რომ მიუხედავად სასახლის წრეების წინააღმდეგობისა, მან ჩაატარა, რამდენადაც სურდა, საგლეხო და სხვა რეფორმები. მაშასადამე, საკითხავია: შეგნებულად მოქმედებს იგი, იცის, საით მიდის, თუ თვალდახუჭულია? ემორჩილება თუ არა ამა თუ იმ პარტიის გავლენას, ყოველ შემთხვევაში წუთიერ მოგუნებებას, წარმავალ „შთაგონებას?“ მაგრამ ყველა ამ მოქმედებას, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ისეთი ერთობილობის დაღი აზის, ისინი ისე არიან ერთმანეთთან პიროვნების ცხოველი ძაფით დაკავშირებული, რომ შეუძლებელია აქ რაიმე ლაპარაკი პარტიის და მით უმეტეს წუთიერი შთაგონების გავლენაზე. მაშასადამე, ისღა დაგვრჩენია, რომ ვიგულისხმოთ ხანგრძლივი შთაგონება, ღვთის მადლის მსგავსი, რაზედაც ახლა ნაპოლეონ მე-III გვითითებს. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ხომ მკითხველის გასულელებას ნიშნავს. ნათქვამიდან ცხადია, რომ შესაძლებელია დავუშვათ უკანა-

სკნელი ათი წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობის მოქმედების მთლიანობის ასახსნელად მხოლოდ ერთი რამ — ესაა ალექსანდრე მე-II სრული, შეგნებული დამოუკიდებლობა. მართლაც და, საგლეხო რეფორმების დაწყებისთანავე, ჩვენ შეგვიძლია გამოვნახოთ მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტი, რომელიც დახმარებას გაგვიწევს ალექსანდრე მე-II-ის პოლიტიკის მოჩვენებითი ორპოფობის გამორკვევაში. ჩვენ ვლაპარაკობთ იმპერატორის იმ ცნობილ სიტყვაზე, რომლითაც მან მიმართა მოსკოვის თავად-აზნაურობას 1858 წლის აგვისტოში. „ბატონებო, — სთქვა მაშინ ალექსანდრე მე-II-მ, — ადრე თუ გვიან საჭირო იქნება ხელი მოვკიდოთ ბატონყმობის შეცვლას და საჭიროა ეს დავიწყოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდანო“. მაშინ ეს სიტყვები შეაფასეს, როგორც იმის დამამტკიცებელი, რომ იმპერატორს სურს ხელთ იგდოს მოძრაობა, აზრი მისცეს მას და ამით სიმტკიცე და ძალა შეჰმატოს. იმპერატორს ძლიერ კარგათ ესმოდა, რომ შესაძლებელი იყო მისი სიტყვები ასე უგნურად გაეგოთ. ამიტომ არ დავიწყებია იქვე გაეფანტა მეოცნებე ფილანტროპების ილუზიები. მან დასძინა: „მე თვითონ რუსეთის პირველი აზნაური ვარ და მინდა თავად-აზნაურობას ვესარჩლებოდე. მაშ მომეცით საშუალება მისი მოსარჩლე ვიყოვო“. ცხადია, იმპერატორს ამით სურს სთქვას: ჩემის აზრით, თავად-აზნაურთა ინსტიტუციების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფასადო და იგი მოითხოვს მისცენ ამ მიზნის მიღწევის საშუალება, ე. ი. მისცენ მას საშუალება, რადაც უნდა დაჯდეს, შეინარჩუნოს სათავადაზნაურო დაწესებულებანი.

ეს განცხადება ფრიად ნათელია, მაგრამ ხელმწიფე ამასაც არ სჯერდება. იგი ცდილობს ეს თავისი აზრი, რაც შეიძლება, მეტად დაღეჭოს და ისე ჩაუდოს პირში თავადაზნაურობასა, და ყველა იმათ, „ვისაც ჯერ არს“. იგი ანვითარებს და გადაკვრით ამბობს შემდეგს აზრს: თუ თავად-აზნაურობა არ მოინდომებს გლეხებს დაუთმოს პირადი თავისუფლება და მიწის ნაწილი, იგი მალე მთლად დაჰკარგავს ყველაფერს, რასაც ახლა ჰფლობსო. შემდეგ იგი არწმუნებს თავად აზნაურობას: ფიქრადაც არ მომსვლია შევამცირო პრივილეგიანი წოდების განსაკუთრებული მდგომარეობა; მე მინდა თავად-აზნაურობას ამიერიდანაც საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში იგივე ადგილი ეჭიროს, რანაირიც წინად ეჭირაო. არ ვიცით, სხვანაირად როგორ გავიგოთ, რით ავხსნათ შემდეგი, ჩვენის აზრით, სრულიად არა ორჭოფი სტრიქონები: „მე მიყვარს თავად-აზნაურობა და ტახტის დასაყრდენად მიმაჩნია. მე

საზოგადო სიკეთე მსურს, მაგრამ არ მინდა ამან თქვენ გაზარალოთ, ყოველთვის მზადა ვარ თქვენი მოსარჩლე ვიყო... მაშ, მომეცით საშუალება, თქვენი მოსარჩლე ვიყო. გესმით თუ არა, ბატონებო? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბატონებო, ისე მოიქეცით, რომ მე შემეძლოს თქვენი მოსარჩლეობაო".

განა შემთხვევითი რამ ასე ხანგრძლივი იქნებოდა, რომ საგლეხო რეფორმის დაწყებიდან დღემდე—ეს სიტყვა მთავრობის მოქმედების სახელმძღვანელო ხაზად დარჩებოდა? შეუძლებელია „დებულებათა" და მათი დამატებების უამრავ მუხლებში თუნდაც ერთი ისეთი სტრიქონის გამონახვა, გამონახვა შინაგან საქმეთა მინისტრის, საგუბერნიო კომიტეტების, მომრიგებელ მოსამართლეებისა და სხვათა და სხვათა ერთი განკარგულებისა მაინც, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს, ან გვერდს უვლიდეს ამ სავსებით ჩამოყალიბებულ პროგრამას. იქნებ ფატალობაა მიზეზი, რომ გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოსაწყობად იწვევენ არა გლეხთა დეპუტატებს, არამედ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს? შემთხვევის თამაში ხომ არ არის, რომ საგლეხო რეფორმის მეთაურად ნიშნავენ იმ ადამიანს, რომელმაც უმთავრესად სახელი გაითქვა თავად-აზნაურთა ინტერესების თავგამოდებული დაცვით, რომ საგლეხო საქმის კომისიათა და კომიტეტების ზედა და ქვედა ფენებში განგებ სჩრიან ბატონყმობის ცნობილ მომხრეებს? შემთხვევითია გახა, რომ ჟურნალებს, რომელნიც თავად-აზნაურობის ინტერესებს იცავენ, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, თითქმის სრული თავისუფლება ენიჭებათ, ხოლო იმგვარი სტატიის დაბეჭდვისათვის, როგორიცაა „Новые условия крестьянского быта",— მთელი ცენზურა შეაფუცხუნეს? არა, აქ საქმე რაღაც სხვანაირად არის...

საგლეხო რეფორმის პირველ დღიდანვე მთავრობა შემზადებულია გულუბრყვილო ადამიანთა ათასგვარი გატაცების წინააღმდეგ. იგი ცინიკურად, ურცხვად, საყოველთაოდ გაჰყვირის: გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ მიტომ მინდა, რომ ეს გაუმჯობესება თავად-აზნაურთა ინტერესებისათვის არის საჭიროვო. „Журнал Землевладельцев" ბანს აძლევს მთავრობას. იგი ეუბნება ლიბერალებს: ნუ გავიწყდებათ რომ ლაპარაკი სხვა არაფერზე გვაქვს, გარდა ყმების მდგომარეობის „გაუმჯობესებისაო". მთავრობა თავს უკანტურებს ამ ჟურნალს, ლიბერალები კი მაინც თავისას განაგრძობენ... პროვინციაში სასტიკ ღონისძიებებს ხმარობენ გლეხთა „შესაძლებელ" მღელვარებათა წინააღმდეგ. მთავრობა ჩქარობს გლეხები გაფცქვნას, გამოსწუროს ყველაფერი, რისიც გამოწურვა კიდევ შე-

საძლებელია. გლეხები ძალიან სჩივიან ამ უკანონობის გამო, მაგრამ მათ ყურს არავინ უგდებს. ისინი ცდილობენ წინააღმდეგობას—მათ „აწყნარებენ". და ასეა არა მარტო ერთ რომელსამე მაზრაში, არა ერთს რომელსამე გუბერნიაში, არამედ ყველგან, მთელ რუსეთში. შემდგომ ადგენენ კომიტეტებს, როგორც ზემოდ ვთქვით, თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისაგან; ეს, როგორც სჩანს, რომ განიხილონ იმ ადამიანთა საჭიროებანი, რომელთა ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგება თავად-აზნაურობის ინტერესებს; დიაღ, სწორედ ამ კომიტეტებს აქვთ დავალებული ხალხის ცხოვრების ახალი პირობები შეიმუშაონ. „ეს უბრალო გაუგებრობაა",—ამბობენ ოპტიმისტები. „ხელმწიფემ როდი იცის, თუ რა ხდება მის გარშემო, იგი გარშემორტყმულია ბატონყმობის მომხრეთა შაიკითაო". ვთქვათ, მართლაც ასეა. მაშ, რანაირად მოახერხა მან სასახლის ბურუსში შეემჩნია 1855 წლის „თავისუფალი ყაზახობის" ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რანაირად შეუმუშავდა მას რწმენა, რომ საგლეხო რეფორმა მიუცილებელი საჭიროებაა თავად-აზნაურობის კეთილდღეობისათვის? ან იქნებ იგი მაშინ მისნად იქცა, ან რომელიმე წმინდანი გამოეცხადა? რანაირად მოხდა, რომ ადამიანი, რომელიც ასე ნათლად ხედავდა ერთი წლის წინად რუსეთის მდგომარეობას, უცებ ისე დაიბნა, რომ ვერ მიხვდა უბრალო ჭეშმარიტებას: გლეხთა ცხოვრების მოწყობის ამბავი უნდა ეკითხოს თვითონ გლეხობას; ეს ასეა, რაკი აზრს ჰკითხავენ თავად-აზნაურობას, ვინაიდან თავად-აზნაურობის მასა, თავის განვითარებით, გლეხობაზე სრულიადაც არა სდგას მაღლა. ჩვენ არა გვგონია, რაიმე უცაბედი და სასწაულებრივი ცვლილება მომხდარიყოს, რომ ცბიერ მლიქვნელებსა და სასახლის მსახურთ მის გარშემო რაღაც სულ ახალი ჩინური კედელი აეგოთ. ჩვენი რწმენა იმაზეა დამყარებული, რომ ხელმწიფეს, რეფორმის დაწყების შემდეგაც იგივე ხალხი ახვევია გარშემო, რომელიც მას ბავშვობიდანვე ეხვია. რანაირად მოახერხეს მათ რაღაც ორ-სამ წელიწადში იმის გაკეთება, რის გაკეთებაც ვერ შესძლეს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, ესე იგი, რანაირად შესძლეს ხელმწიფისათვის საქმის ნამდვილი ვითარება დაემალნათ? ვიმეორებთ, აქ როგორღაც სხვანაირად არის საქმე...

ამნაირ პირობებში დაწყებული რეფორმა თითქმის „კარდახურულში" მიმდინარეობდა. ლიტერატურა შეეცადა ამ საქმეში ცხვირი წაეყო და თავისი აზრი ეთქვა; მაგრამ ყველაფერს, რაც ოდნავ მაინც ეწინააღმდეგებოდა მთავრობის პროგრამას, ან რაც არ შეეფერებოდა ალექსანდრე მე-II-ის მეშჩანურ იდიალს, სდევნიდენ და

ავიწროებდენ. ხოლო „Журнал Землевладельцев“-ს, „Русский Вестник“-ს და მსგავს ჟურნალებს მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებდენ. სხვათა შორის, აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: „Русский Вестник“-ის მსგავსი ჟურნალები ხანდახან ათავსებდენ ორჭოფულ წერილებს, რომლებშიაც ხშირად, სასხვათაშორისოდ—„ხალხის ინტერესებზედაც“ იყო ხოლმე ლაპარაკი. ამგვარს გამოცემებში მოთავსებული წერილებიც კი მთავრობის უკმაყოფილებასა და მრისხანებას იწვევდა. რაღა უნდა ითქვას იმ საშინელ შევიწროვებაზე, რომელიც თავს ატყდებოდა ორ-სამ ისეთ გამოცემას, რომელნიც ხალხის ინტერესებს თავად-აზნაურების ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ.

მიუხედავად ამ შევიწროება-ჩაგვრისა, ამ ჟურნალებში ხანდახან მაინც გააპარებდენ ხოლმე ცოტაოდენს იმას, რის თქმაც მათს თანამშრომლებს სწადდათ. ასეთი იყო, მაგალითად, სტატიები: „О новых условиях крестьянского быта“, ან სტატია „Труден-ли выкуп земли?“ რომლებიც „Современник“-ში დაიბეჭდა. ამგვარი სტატიების დაბეჭდვას სდევდა, ჯერ ერთი, ცენზორებისადმი საყვედური, მეორე მხრით ბრძანება, რომ მომავალში მსგავსი არა გაეშვათ რა და მესამე მხრით—უფრო მეტად შევიწროება-დაჩაგვრა იმ ჟურნალისა, რომელმაც დაბეჭდა მთავრობისათვის უსიამოვნო სტატიები. მეორე მხრით ამ სტატიების დამწერ ადამიანებს, ხედავდენ რა, თუ რა მცირედი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო საქმისათვის მათს წერილებს, აუცილებლად უნდა შეენელებინათ მეცადინეობა და თავისი მოღვაწეობა შემოეფარგლათ წვრილმანი შენიშვნებით გლეხთა საქმის ამა თუ იმ ცალკე წვრილმანისავე საკითხის შესახებ. ამნაირად, ამაოდ იკარგება იმ დროის საუკეთესო გონებათა უხვი ძალა და ასეთი დაკარგვა, მთავრობისაგან გამოწვეული, სავსებით შეეფერებოდა მთავრობისავე პროგრამას.

იტყვიან: ეს უკანასკნელი აზრი არაა მართალი; მთავრობას არ სურვებია, ლიტერატორები იძულებული გაეხადა თავიანთი ძალღონე ფუჭად და ამაოდ დაეხარჯნათო. ვთქვათ, მთავრობა, მართლაც, პატიოსნად და გულწრფელად იქცეოდა, არავითარი ფარული აზრი არ ჰქონდა და რომ მას მიზნად მხოლოდ ხალხის სიკეთე ჰქონდა დასახული. განა შესაძლებელია მთავრობა ასეთი უბიწო იყოს და იმავე დროს ეშინოდეს ცალკე მოქალაქეთა მიერ საერთო საქმისადმი ამნაირისავე უბიწო სიყვარულის გამოჩენისა? განა შესაძლებელია, მთავრობა არა თუ თვითონ არ უწყობდეს ხელს ამ გამოჩენასა და სიყვარულის გამომჟღავნებას, არამედ პირიქით, მიისწრაფოდეს, ყო-

ველგვარი არაოფიციალური აზრებისა და სურვილების დათრგუნვისა და მოსპობისაკენ? ხოლო რაკი რომელიმე მთავრობა ამ უკანასკნელისებურად მოქმედებს, აქედან, ცხადია, ის უნდა დავასკვნათ, რომ მისი განზრახვანი სრულიადაც არაა უბიწო და უნაკლო და იგი თრგუნავს ყოველგვარ აზროვნებას მხოლოდ იმიტომ, რომ ამ აზრებს შეუძლია ავნოს მის ფარულ განზრახვებს.

ცნობილი რეფორმის ნემდგომი მსვლელობა კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ გლეხთა საქმეში მთავრობა შეგნებულად მოქმედებდა თავად-აზნაურთა ინტერესების სასარგებლოდ და რომ იგი გარკვეულ პროგრამას მისდევდა: ყველა საკითხში, რომელიც ეკონომიურ ყოფას შეეხება, ყველგან, სადაც კი გლეხთა ინტერესები თავად-აზნაურობას ეჯახებოდა, კომიტეტები და სარედაქციო კომისია ყოველთვის უპირატესობას თავად-აზნაურობას აძლევდა და სრულიად უყოყმანოდ სწირავდა ხოლმე მათ გლეხთა ინტერესებს. მიწას ეხებოდა საქმე, თუ გლეხთა საზოგადოების შინაგან პოლიციას—ყველგან თავად-აზნაურობას უტოვებდენ ყველაზე არსებითს მის პრივილეგიებს. გლეხობა კი საქმეს მოიგებდა ხოლმე იმ პუნქტებში, რომელნიც წინათვე, რეფორმის დაწყებამდე, გადაწყვეტილი ჰქონდათ მსხვერპლად გაეღოთ, ოღონდ თავად-აზნაურთა დაწესებულებანი შეენარჩუნებიათ. ეს მსხვერპლი იყო: გლეხთა პირადი თავისუფლება და სამოსახლოს მიცემა; შემდგომ ამას დაემატა გლეხთა „ნადელების“ გამოსყიდვა. ეს მსხვერპლი რომ გაბედა, მთავრობამ კარგად იცოდა, რომ მიუხედავად ხალხის ცხოვრებაში ცხადი პროგრესისა, რაც გლეხთათვის პირადი თავისუფლების დაბრუნების შედეგი იყო, თავად-აზნაურობა მაინც შესძლებდა ამ თავისუფლებისათვის საზღვრის დადებას თავისი ეკონომიური და საზოგადოებრივი უპირატესობების წყალობით. რეფორმის მომხრეთა უმრავლესობა, ისევე, როგორადაც რეფორმის დამწყები, ფიქრობდა მხოლოდ თავისუფალი საქირაო შრომის შემოღებასა და განვითარებაზე. ამ საქირაო შრომის დროს მემამულეებს ისეთივე როლი უნდა ეთამაშნათ, როგორსაც დასავლეთ ევროპაში პატრონები პროლეტარების მიმართ თამაშობენ. მართლაც და, აბა, დააკვირდით ათასგვარ „კომისიათა“ წინასწარ ნამუშევარს, აგრეთვე „1861 წლის 19 თებერვლის დებულებებს“, მის უამრავ დამატებებს, დააკვირდით აგრეთვე გლეხთა საკითხზე დაწერილ უამრავ საჟურნალო სტატიებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენებური ოფიციალური და ვითომდა—ოპოზიციონერ ლიბერალ-რეფორმატორების შორეული ოცნებაც კი ამაზე შორს როდი მიდიოდა. და სრულიად

მართალი იყო დობროლიუბოვი, როდესაც ამ მდგომარეობას შემდეგნაირი სიტყვებით ახასიათებდა: „გამოჩნდება სადმე პატარა სტატია, რომელშიაც ამტკიცებენ, ნუ ამუშავებთ ადამიანებს სავსებით მუქთად, საჭიროა ეცადოთ, რაც შეიძლება იაფად დაიქირავოთო ისინი. ყველა აღტაცებულია და გაისმის ყვირილი, რომ ჩვენში ზოგადკაცობრიული საწყისები უკვე ჩინებულად გამომუშავებულა“.

ისეთი წყობილების დამყარება, რომლის დროსაც კაპიტალისა და მიწის საკუთრების ბატონობას არავითარი საზღვარი არ ექნებოდა,— საყოველთაო აზრი იყო საერთოდ ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ს ა, ჩვენი ისტორიის ლიბერალურ პერიოდში. ამ სურვილსა და ამის პროპაგანდაზე იყო დამყარებული მთელი წარმატება „Русский Вестник“-ისა. საერთოდ ყველა მუქთახორა, აღზრდილი ყმების შრომითა და გლეხთგადასახადით, ყველა მუქთამჭამელი, ამ გადასახადებით მცხოვრები, თავს ინუგეშებდა იმის იმედით, რომ სავალდებულო ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს მოსპობით არ ისპობა სავალდებულო შრომა, რომელიც შედეგი იქნება ცხოვრებისაგან იძულებისა და იმით, რომ რითიმე უნდა იცხოვრო. ამ იმედის განხორციელებისაკენ იყო მიმართული ყველა ჩვენებური რეფორმატორის მისწრაფება. ალექსანდრე მე-II არა თუ ეწინააღმდეგებოდა მათ, არამედ ხელს უწყობდა მათს მისწრაფებას, ვინაიდან ეს მისწრაფებანი სავსებით ეთანხმებოდა მის იდეებს გლეხთა რეფორმაზე. მისმა მთავრობამ ფრიად ნათლად დაინახა, როგორც ეს მოსკოკის თავად-აზნაურობისადმი მიმართვებიდან სჩანს, რომ პრივილეგიან წოდებებს, მაშასადამე მთელ თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებას,—გლეხობის მხრით აუცილებელი საფრთხე მოელის. იგი ამ საფრთხის თავიდან აცილებას ზოგიერთი დათმობების გზით ფიქრობდა, მაგრამ რადგან მის განზრახულებაში უმთავრეს როლს თამაშობდა არა სახალხო საქმე, არამედ თავად-აზნაურობის ინსტიტუციათა შენარჩუნება, ბუნებრივია, რომ იგი ცდილობდა საქმე შემოეფარგლა და რაც შეიძლება ნაკლები დათმობებით გასულიყო ფონს. რანაირიც უნდა ყოფილიყო გარემოება — მთავრობას უნდოდა მხოლოდ ისეთი შედეგები მიეღო, რომ მის საყვარელ პრივილეგიან ელემენტებს მაინც შერჩენოდათ მნიშვნელოვანი ეკონომიური უპირატესობანი. მას უნდოდა თავისი მომავალი კეთილდღეობა დაეფუძნებინა არა ერთი კლასის მიერ მეორის კანონით შეწყნარებულ ყმად ქცევაზე, არამედ ამ კლასთა ინტერესების ისეთ გაშინჯვაზე, რომლის დროსაც პრივილეგიანი წოდება შეუმჩნეველად, თითქოს შემთხვევით ეკონომიური მხრით დაიმონებდა განთავისუფ-

ლებულ გლეხობას. ამ მიზნით ფიქრობდენ გლეხებისათვის ჯერ მარტო სამოსახლო მიეცათ, ხოლო შემდეგ გადასწყვიტეს მიეცათ მათთვის უფლება ცოტაოდენი მიწა გამოესყიდათ. თავად-აზნაურობა კი, თანახმად მთავრობის პროგრამისა, მიწათა უმეტესობას შეინარჩუნებდა. და ვინაიდან ცხადი იყო, რომ მიწის ნაკლებობა იძულებულს გახდის გლეხებს მიწა იჯარით აიღონ ყოფილი მებატონეებისაგან, იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ ერთის მხრით გლეხობის გაჭირვებული და შევიწროებული მდგომარეობის გამო, ხოლო მეორე მხრით თავად-აზნაურობის არა შევიწროებულ და შედარებით კარგ მდგომარეობის გამო, თავად-აზნაურობა ხელახლა ჩაიგდებდა ხელში ხალხს.

ასეთი იყო საგლეხო რეფორმის პირვანდელი აზრი. თუმცა რეფორმის განხორციელების დროს, წინააღმდეგ რეფორმატორების სურვილისა, ამ პროგრამის ფარგლები ოდნავ გაფართოვდა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ პროგრამას საკმარისი მთლიანობით ასრულებენ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მას სავსებით განახორციელებენ. ამჟამად გლეხები კვლავ წინანდელი მემამულეების კაბალაში ცვივიან *) და ზოგიერთი მემამულე, ვისაც წინად საკმაოდ დიდი მიწები ჰქონდა, იწყებს „მესაკუთრეთა“ როლის თამაშს და ხელში იგდებს არა მარტო გლეხობას, არამედ მცირემამულიან თავად-აზნაურობასაც. არსებითად, ბატონყმობის მოსპობამ მხოლოდ ეს უკანასკნელი დააზარალა, იმიტომ რომ ისინი მუდამ ცხოვრობდენ არა თავისი მიწის შემოსავლით, არამედ თავისი ყმების საბეგრო მუშაობით. გლეხების პირადმა თავისუფლებამ განათავისუფლა ახლა ისინი ბეგრისაგან. ვინაიდან მცირემამულიან თავად-აზნაურებს ძალიან ცოტა მიწა რჩებათ, უმეტეს შემთხვევაში არც კი რჩებათ, რამე, ისინი მსხვილ მეშამულეთადმი ისეთსავე დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჩაცვივიან, როშელშიაც ახლა გლეხები არიან...

*) აი, მაგალითად, ფაქტი: „ჩვენ გვწერენ, რომ რიაზანის გუბ. პრონსკის მაზრაში, მემამულე ცენინს თავის განთავისუფლებული გლეხებისათვის ორი ათასი მანეთი ვერცხლი უსესხებია იმ პირობით, რომ კაპიტალის პროცენტები წელიწადში გადაეხადნათ მუშაობით. პროცენტები ისეთი დიდი აღმოჩნდა, რომ აუცილებელ მუშაობას მოითხოვს და გლეხებისათვის ვალის დაფარვა შეუძლებელი გახდა. სამწუხაროდ, ბატონყმობის ეს ახალი სახე, რომელიც სავსებით ძველ წყობილებას აღადგენს, გამონაკლისს და ერთეულ მოვლენას არ წარმოადგენს არა თუ მთელ რუსეთში, არამედ თვით რიაზანის გუბერნიაშიც. გლეხთა თავისუფლების განმტკიცებისათვის რუსეთი უნდა უმადლოდეს თავად-აზნაურობის საერთო უფულობას, თორემ ბოიარული ბატონყმობა გადაიქცეოდა მევახშურ ბატონყმობად („Колокол“ № 213. 1866 წ. 1 თებერვალი).

ყველაფერ ამას უნდა დაუმატოთ, რომ საგლეხო რეფორმის მთლიანობა და ერთობილობა ჩვენს ცხოვრებაში რაიმე ცალკე ეპიზოდს როდი წარმოადგენს. იგი სავსებით ეთანხმება და გადაბმულია იმ დანარჩენ რეფორმებთან, რომელსაც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ანხორციელებენ და რომელნიც ასეთივე მთლიანნი და ერთობილნი არიან.

გამოსყიდვის მოსპობამ, მაგალითად, სააქციზო მმართველობის დაარსება გამოიწვია. იგი სავსებით შეეფარდება ბურჟუაზიულ ინსტიტუტებს და სავსებითვე აკმაყოფილებს მეშჩანურ წყობილებას. საერობო დაწესებულებებში თითქმის განუსაზღვრელი უპირატესობა აქვს ასე თუ ისე მსხვილ საკუთრებას, ვაჭრებსა და სასულიერო წოდებას; გლეხობას კი მინიჭებული აქვს გავლენის უმნიშვნელო წილი: იგი მასში შეყვანილია მხოლოდ როგორც ბალასტი. საერობო დაწესებულებაში გლეხობას დიდი უფლებებიც რომ ჰქონდეს, მაინც პრივილეგიან კლასებისაგან იქნებოდა დამოკიდებული, ვინაიდან ეკონომიური წყობილების ათასგვარი უკულმართობის გამო ცხოვრებაში იგი მათგანაა დამოკიდებული. გარდა ამისა, თვით საერობო დაწესებულებათა როლი იმდენად უმნიშვნელოა საერთო სახელმწიფოებრივი ცხოვრების მექანიზმში, რომ შეიძლება კაცმა იფიქროს: ეს დაწესებულება რაღაც პაროდიაა, რომლის მიზანია ჩანასახშივე ჩაჰკლას საწარმომადგენლო დაწესებულებისადმი ყოველგვარი მისწრაფება. სასამართლოს წესით ფიზიკური დასჯის მოსპობა, რასაკვირველია, ფრიად და ფრიად საქებური რამ არის. მაგრამ ამას არ მოჰყოლია ამასთანავე დასჯის მოსპობა ადმინისტრაციული წესით თუ გავიხსენებთ, რომ გლეხთა საზოგადოებაში, თანახმად „19 თებერვლის დებულებებისა", პოლიცია მემამულეების ხელშია და რომ ისინი თავის წინანდელ გლეხებს გაჰგებლობენ, ცხადია, არც ძალიან აღგიტაცებთ ეს რეფორმა.*) გარდა ამისა, არის სამოსამართლო რეფორმა, საფრანგეთის სასამართლოთა წესის მსგავსად გამოთარგული მდიდარი მესაკუთრეების ინტერესებისადმი სავსებით შეფარდებული. ამნაირი მდგომარეობის გამო შეუძლო ადამიანი ძალიან იშვიათად შესძლებს დავა და საჩივარი აწარმოოს არა მარტო მდიდრების წინააღმდეგ (ეს საუკუნოებით ასე იყო და ეს შეუძლებელ საქმედ ითვლება), არამედ თანასწორთა წინააღმდეგაც. სასამართ-

*) ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფიზიკურ სასჯელთა მოსპობა არ ეხებათ გადასახლებულებსა და კატორღელებს. მერე რამდენია ციმბირში ისეთი გლეხი, რომელიც მემამულეს გაუსაჰართლებლად და გამოუძიებლად, თავისი უფლებით გადუსახლებია?

ლოს სხვადასხვაგვარი ხარჯები, ვექილები, ნატარიუსები და სხვა განგებ არის დაწესებული იმისათვის, რომ სასამართლოს კარი დაუხშონ იმ ადამიანებს, ვინც ჯიბესქელი არაა. გარდა ამისა, გავლენიან რეფორმატორების წრეში არსებობს რწმენა, რომ დამნაშავენი და საერთოდ მოპასუხენი უნდა დავიცვათ განსაზღვრული წესით, კანონით განსაზღვრული საბუთების და არა საღი მოსაზრებისა და სხვა რაიმეს მიხედვით.—ახლა დაგვრჩენია სასწავლებელთა რეფორმა, ანუ აღზრდის რეფორმა.

ორმოცდაათიანი წლების დამლევს ახალგაზრდებმა თითქმის ყველგან დაარსეს ეგრედწოდებული საკვირაო სკოლები, სადაც ხელოსნებისა და საერთოდ მშრომელი ხალხისათვის წერა-კითხვა და მეცნიერების ელემენტარული ცნობები უნდა ესწავლებინათ. მთავრობის მიერ შევიწროებათა გამო საკვირაო სკოლები თავიდანვე ფარიად სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნენ: მათ აფასგვარ მავნე განზრახვას აბრალებდენ, ფეხდაფეხ დასდევდენ, ზედამხედველობად უნიშნავდენ გიმნაზიის დირექტორებს, ხუცებსა და მსგავს უვიცებს, რომელთა მოვალეობა იყო, სადაც ჯერ არს დაებეზღებინათ მუქთი მასწავლებელი, თუ იგი ვითომდა რაიმე კანონის საწინააღმდეგო სიტყვას იტყოდა. ეს დევნა-შევიწროება თანდათან ძლიერდებოდა, ნელნელა ენერგიას უხშობდა ამ საქმეზე მომუშავე ახალგაზრდებს. სკოლებმა თანდათან დაცემა იწყეს: იქიდან საუკეთესო მასწავლებლებს ერეკებოდენ, ხოლო დარჩენილებს ათასგვარი საშუალებით პირში ბურთს სჩრიდენ. ასე რომ ხალხიც ბოლოს მიხვდა ამ ნაირი სკოლების უსარგებლობას და აღარ დაიარებოდა ტყუილ-უბრალოდ დროს დასაკარგავად. სკოლები ზედიზედ იკეტებოდა, ან ცარიელდებოდა. ასეთს სამწუხარო მდგომარეობაში იყო ეს სკოლები, როდესაც 1862 წელს პეტერბურგის ერთ-ერთ არტელში ერთმა რომელიღაც მუშამ მეორეს უთხრა: მიწა გლეხებს ეკუთვნისთ და მათ უნდა ეკუთვნოდესთ, მემამულეებს მასზე არავითარი განსაკუთრებული უფლებანი არ უნდა ჰქონდესთო. ამ სიტყვებს ყური მოჰკრეს ჯაშუშებმა და იგი მთავრობამაც გაიგო. მუშა დააპატიმრეს, დაჰკითხეს, ვინ ჩაგაგონა მაგისთანა აზრებიო. რასაკვირველია, ვერას გახდენ, რადგან მუშა ამბობდა; ეს აზრი ხალხში გამიგონია და ყოველდღე მესმის ბავშვობიდანვეო. მაგრამ მთავრობა ამას არ დასჯერდა. მთავრობამ გაიგო, რომ ზემოხსენებული მუშა ორჯერ-სამჯერ ყოფილიყო პეტერბურგის ახრის ერთ-ერთ საკვირაო სკოლაში; მან ისარგებლა ამ გარემოებით და გამოსცა განკარგულება, რომლითაც ყველგან, მთელ რუსეთში, საკვირაო სკოლები დაკეტილ იქნა...

ნიკოლოზ I დროს უნივერსიტეტებში სტუდენტთა რიცხვი განსაზღვრული იყო და თითქმის არც ერთს უნივერსიტეტს არ უნდა ჰყოლოდა ორას-სამას სტუდენტზე მეტი. 1858 წლიდან, როდესაც სტუდენტთა რიცხვის განსაზღვრა მოსპეს, ახალგაზრდებმა მიაშურეს უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებს სწავლისათვის. იწყეს მათი დევნა-შევიწროება, მაგრამ დაინახა რა, რომ ზომიერი ღონისძიებები ვერ მოქმედებდა, მთავრობამ გადასწყვიტა უფრო ენერგიული საშუალებები ეხმარა, რათა ერთბაშად გასწორებოდა მოსწავლე ახალგაზრდობას. საამისოდ მან გამოაცხადა: თვითეულმა, ვისაც სურს რომელსამე უნივერსიტეტში ლექციები ისმინოს, ყოველწლიურად 50 მ. ვერცხლი უნდა გადიხადოს სწავლის უფლებისათვის. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც არა გააჩნდათ რა, რომელთაც აქა-იქა გაკვეთილებით გაჰქონდათ თავი, ცხოვრობდენ 7—12 მ. ვერცხლად თვეში, ნახევრად შიმშილობდენ—ეს ნიშნავდა სწავლის განგრძობის საშუალების სრულს მოსპობას. მაგრამ მთავრობა ამასაც არ დასჯერდა: მან დაკეტა „სტუდენტთა სალაროები", რომელთაც სტუდენტების დახმარება შეეძლოთ, მოსპო ბიბლიოთეკები, საიდანაც მათ შეეძლოთ წიგნებით სარგებლობა, აკრძალა კრებები, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ თავისი საქმეები ისე მოეგვარებინათ, რომ ერთმანეთს დახმარებოდენ და ერთმანეთი გაეტანათ. მაგრამ ესეც ცოტად მიიჩნიეს: მიიღეს მრავალი წვრილმანი, უსარგებლო, უხეში და უბირი ღონისძიება, აკრძალეს უნივერსიტეტში თამბაქოს წევა, მოსპეს თამბაქოს საწევი ოთახები, შემოიღეს მატრიკულები და სხვადასხვა; ერთი სიტყვით, კანტონისტებზე უფრო მეტად შეავიწროეს სტუდენტები. თავის-თავად იგულისხმება, რომ მთავრობა სტუდენტების მხრით წინააღმდეგობას მოელოდა. როდესაც სტუდენტები შეიკრიბნენ და სთხოვეს მთავრობას მოესპო ეს შემავიწროებელი წესები, მათ წინააღმდეგ პოლკები გამოიყვანეს, ხოლო გადაცმული პოლიციელები ხალხს ეუბნებოდენ, სტუდენტები „ბუნტობენ", რადგან მეფემ გლეხები გაანათავისუფლაო (!)... სტუდენტები ციხეში ჩასვეს, მრავალი მათგანი სხვადასხვა შორეულ გუბერნიებში გაგზავნეს, ზოგი გადაასახლეს, უნივერსიტეტები დაკეტეს და ზემოხსენებული წესები ახლა განუკითხველად ბატონობს.

ამგვარად, მთავრობა ავიწროებდა და სდევნიდა სახალხო განათლებას საკვირაო სკოლების დახურვით. მას არ დავიწყებია შეევიწროებინა იმათი განათლებაც, ვისაც თავის მხრით შეეძლოთ ხალხი გაენათლებინათ. ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, ხდებოდა ჩვენი ისტორიის „ლიბერალური ეპოქის" დროს, 1861 წელს. ხელმწიფეზე

კი მაშინ ამბობდენ: იგი გულმოდგინედ კითხულობს „Колокол"-ს და მისთანა ლიბერალი სხვა არავინ არისო.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმ არაპირდაპირ ღონისძიებებთან შედარებით, მთავრობა რომ ხმარობდა ახალთაობის დასათრგუნავად თუ ძალით არა, ხერხით მაინც: მთავრობამ ჯაშუშების მთელი ურდო შეადგინა, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა ახალგაზრდების მიერ ნათქვამი, თუ უთქვამი სიტყვებისათვის. მაგრამ რათა უფრო ადვილად გამოეწვია ახალგაზრდები სალაპარაკოდ, მთავრობა ჯაშუშებს აწვდიდა საბეჭდ დაზგებს, აკრძალულ წიგნებს, ჟურნალებსა და სხვა. ჯაშუშები ახალგაზრდობას თავს ისე აჩვენებდენ, თითქოს პატიოსანი ადამიანები, მთავრობის მოწინააღმდეგენი ყოფილიყვნენ და ამით იწვევდენ მასში თანაგრძნობასა და დახმარებას. რაკი საქმეში მონაწილეობის საკმარის წერილობითს საბუთებს შეაგროვებდენ, ჯაშუშები თავის ნაცნობებს პოლიციას ჩაუგდებდენ ხოლმე ხელში, რომელიც მათ ციხეებსა და ციმბირისკენ ისტუმრებდა. ასე მოხდა, მაგალითად, 1861 წ. ყაზანის გუბერნიაში, სადაც ჯაშუშმა პორუჩიკმა პუშკარევმა საბეჭდი მანქანაც კი შეიძინა, რათა უფრო ადვილად გაება ახალგაზრდები ბადეში: იგივე ჩაიდინეს მოსკოვში 1862 წ. ვსეველოდ კოსტომაროვმა, ხოლო 1862 წ.—სტუდენტმა დოლჟიკოვმა, პეტერბურგში კი კანდიდატმა დიმიტრევსკიმ, რომელსაც პეტროვსაც უწოდებდენ. გარდა ამისა, მთავრობა ახალგაზრდათა შესახებ ავრცელებდა ათასგვარ სულელურ ჭორს, რასაც შეეძლო ხალხში მათ წინააღმდეგ აღშფოთება და შურისძიების გრძნობა გაეღვივებინა. მან დააბრალა ახალგაზრდობას პეტერბურგის ხანძარში მონაწილეობა, დაჭერილ არამზადებს სტუდენტურ ტანისამოსს გადააცმევდა ხოლმე და ასე ქუჩა-ქუჩა დაატარებდა; გლეხებს არწმუნებდა, სტუდენტებს გაუქმეპული ბატონყმობის აღდგენა სურთო და სხვადასხვა. ყველა ამ ღონისძიების მიზანი იყო ხალხში ახალგაზრდობისადმი სიძულვილის აღძვრა და ამნაირად ახალგაზრდობაში სწავლის ხალისის და ამასთან ერთად ხალხისადმი სარგებლობის მოტანის სურვილის ჩაკვლა. ასე შეავიწროეს ახალგაზრდების განვითარება და განათლება.

შემდგომ გამოსცეს წესები სახალხო სკოლებისათვის. ეს იყო 1864 წელს. თუმცა წერაკითხვის განვითარება და სახალხო განათლება ძალიანაა დამოკიდებული ხალხის მატერიალურ მდგომარეობაზე და შრომისაგან თავისუფალი დროის იმ რაოდენობაზე, რომელიც ხალხს შეუძლია სწავლას მოანდომოს, მაგრამ მაინც აუცილებელია, ყველას ჰქონდეს უ ფ ლ ე ბ ა სწავლისა, თუ კი იგი საამისო საშუალე-

ობს გამონახავს. რადგან მთავრობას არ სურდა ხალხისთვის საამისო ს ა მ უ ა ლ ე ბ ა მიეცა, ყოველ შემთხვევაში სწავლის უ ფ ლ ე ბ ა მაინც არ უნდა წაერთმია მისთვის. მთავრობამ ისე შეზღუდა ეს უფლება, რომ ახლა მთელი სწავლა-განათლება უვიცი ხუცების ხელშია. სახალხო განათლების ახალი კანონით სასულიერო წოდებას სავსებით განსაკუთრებული გავლენა აქვს მინიჭებული. თვითეულ სკოლას, სადაც უნდა გაიხსნას იგი, მეთაურად ხუცესი უნდა ჰყავდეს, ადგილობრივი მემამულე—მზრუნველად; იგი ექვემდებარება არქიელს, ისპრავნიკს და კიდევ ათას ამისთანა ჯანდაბას. რასაკვირველია, ამნაირი სკოლა ვერავის ვერაფერს ასწავლის, ვერავის ვერაფერ სარგებლობას მოუტანს, აჰიტომ ხალხი, ალბათ, არც დაიწყებს მასში სიარულს. მთავრობა კი ყვირილს მორთავს: აი, სკოლები დავხსენით, მაგრამ რას იზამ, როდესაც ხალხს სწავლა არ სურს, მას სკოლაში ტკბილი კვერითაც ვერ შეიტყუებო! კარგი კვერი კია, თქვენმა მზემ!

ალექსანდრე მე-II-ის დროს ბეჭვდითი სიტყვის მდგომარეობაც შეიძლება იმის საზომად მივიჩნიოთ, თუ რამდენად სურს მთავრობას ხალხში განათლების გავრცელება. 1862 წლამდე, ესე იგი გლეხთა საკითხის გადაწყვეტამდე, როდესაც ყოველი რიგიანი მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარდა, რომ ხალხის ცხოველი ძალები და მთელი მისი აზროვნებითი უნარი აემოძრავებინა, ჩვენში საშინელი, ბნელეთის მოციქული ცენზურა ბატონობდა. „ბეჭვდითი დებულება“ 1862 წელს უვარგისად სცნეს და იმავე ხანებში შეუდგნენ ახალი წესების შემუშავებას. 1862 წლიდან 1865 წლამდე ბეჭვდითი სიტყვა „დროებითი წესების“—ბატონობის ქვეშ იყო. ამ ხნის განმავლობაში აკრძალული იყო ახალი სტამბებისა და ლიტოგრაფიების გახსნა. საეთოდ, ცენზორების ბატონობას არავითარი საზღვარი არ ჰქონია. შინაგან საქმეთა მინისტრის უბრალო განკარგულებით აკრძალულ იქნა ჟურნალი „Время“ და გაზეთი „Современное Слово“ (1863 წ.) და ასე თუ ისე ხანგრძლივი ვადით შეჩერებულ იქნენ: „Совромен-ник“, „Русское Слово“ და „День“ (1862). წიგნებსა, ბროშურებსა და წვრილმან გამოცემებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. 1865 წლის 6 აპრილის ახალი „დებულება ბეჭდვითი სიტყვის“ შესახებ შედგენილია ადამიანის ყოველგვარი აზრის ჩასახშობად. ამ დებულების განსაკუთრებული თვისებაა—სასტიკი ღონისძიებანი იმ წიგნთა წინააღმდეგ, რომელნიც თავისი სიიაფით ხალხისა და საერთოდ შეუძლო ადამიანთათვის ხელმისაწვდომია. ეს ღონისძიებებია შემდეგი: თვითეული წიგნი, რომელშიაც ორიგინალური თხზულების 10 ფურცელზე,

ხოლო თარგმანის 20 ფურცელზე ნაკლებია, წინასწარ ცენზურას ექვემდებარება. ამ ზომის წიგნები კი გამომცემელს ისე ძვირად უჯდება, რომ მას არ შეუძლია მისი გაყიდვა მანეთ ვერცხლზე ნაკლებად. ხოლო ყველამ იცის, რომ ხალხი და შეუძლო ადამიანები ვერსად იშოვნიან წიგნების საყიდლად ამდენ ფულს. მთავრობამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მდიდრები, რომელთაც საშუალება აქვთ მნიშვნელოვანი თანხები დახარჯონ წიგნების შეძენაზე, დაინტერესებულნი არიან ახლანდელი წყობილების განმტკიცებაში. ამიტომ თავისუფლად დაწერილი წიგნები მათზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ. ამნაირად, ახალი „დებულება“ აშკარად მიმართულია ხალხის განვითარების წინააღმდეგ, თუ მას რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლია, მხოლოდ შეძლებულ ადამიანებს და გაზეთების ო.-სამ გამომცემელს, ბ-ნ კატკოვის, კრაევსკისა და კომპანიის მსგავსებს მოუტანს იგი სარგებლობას. „დებულების“ დანარჩენ მხარეებზე აქ საჭირო როდიღაა ვრცლად ლაპარაკი.

მაგრამ მთავრობის სურვილი, მიმართული ყოველი ცხოველი აზრის ჩახშობისაკენ, კიდევ უფრო შორს წავიდა: იგი არა თუ სდევნის და ავიწროებს ყველა ასე თუ ისე დამოუკიდებელსა და თავისთავადს მწერალს, არა თუ ასახლებს მათ სასამართლოს და გამოძიების გარეშე, არამედ წინასწარ აქვს მათთვის გამზადებული კატორღა და გადასახლება. თავისი განზრახვის შესრულებას იგი მხოლოდ იმიტომ გადასდებს ხოლმე, რომ ხელსაყრელ გარემოებას, პოლონეთის აჯანყებას, მემკვიდრის სიკვდილისა თუ ხელმწიფის მოკვლის განზრახვას უცდის,—როდესაც საზოგადოებრივი აზრი მის სასარგებლოდ ლაპარაკობს და მის მხარეზეა. ასე იყო 1864 წელს—ჩერნიშევსკის გადასახლების დროს, 1865 წ.—სერნო-სოლოვიოვიჩის გადასახლების დროს და ახლა, 1866 წელს ელისეევისა და სხვა მრავალთა გადასახლების დროს. ჯერ კიდევ 4 აპრილის სროლის დიდი ხნის წინად, 1863 წელს, სენატორი ჟდანოვი ეუბნებოდა ყაზანში პოლიტიკურ დამნაშავეებს: „ჩვენ (მთავრობასო), მადლობა ღმერთს, უკვე გვყავს ერთგული ხალხი; ახლა ჩვენი პოლიცია ნაპოლეონისას არ ჩამოუვარდება. რკინის გზის ვაგონებშიაც, საზღვარ-გარეთაც უკვე ჩვენიანები გვყავს. აი, ჩერნიშევსკი, თუმცა ჭკვიანი არამზადაა და მწარედაც დაგვცინის, მაგრამ ხომ მივჩქმალეთ. ჩვენი თვალი და ყური მივუჩინეთ ანტონოვიჩსა და ელისეევს, ვერას გახდებიანო“. ეს ჟდანოვის ნამდვილი სიტყვებია. *) ამას ჩვენ ვერაფერს დავუშაჯებთ...

*) იხ. „Колокол-ში, 1865 წ. 15 ოქტომბერი, სტატია—„Казанский заговор“.

ასე მოქმედებდა ალექსანდრე მე-II-ის ლიბერალური მთავრობა. ლიბერალები კი მაინც გულაჩუყებულნი იყვნენ და სიხარულის ქებათა-ქებას ასხამდენ გლეხთა განთავისუფლებას, ფიზიკური სასჯელის მოსპობას, წერაკითხვის გავრცელებას, თავდახსნის მოსპობას და აგრეთვე იმას, რომ ამიერიდან „სასამართლოებში იბატონებს სიმართლე და მოწყალება“... მაგრამ ისინი ხომ სწორედ ამიტომ არიან ლიბერალები!..

ახლა საკითხავია, შეეძლო თუ არა ყველაფერს ამას ახალთაობა დაეკმაყოფილებინა?—ვნახოთ.

III

თანამედროვე ახალთაობას არ შეიძლებოდა მიზნად ჰქონებოდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეენარჩუნებინა თავად-აზნაურთა ინსტიტუციები. მას არ სურდა და არც შეეძლო მიებაძნა იმ ცნობილი მაგისტრის ბეზობრაზოვისთვის, რომელიც, როგორც ალექსანდრე მე-II, მივიდა დასკვნამდე: თავად-აზნაურთა პრივილეგიების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ხალხისადმი დათმობითო. იგი ამ დათმობის მოხდენას აპირებდა შარლატნური საშუალებით—მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა გ ლ ე ხ ე ბ ს—მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა მ ი წ ე ბ ზ ე დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი ვ უ წ ო დ ო თ ო... ახალთაობის სურვილი თავადაზნაურთა ინტერესებზე უფრო შორს მიდიოდა: იგი ყველაფერზე მაღლა საერთო კეთილდღეობას აყენებდა. თუ ეს კეთილდღეობა ეწინააღმდეგებოდა რომელსამე პრივილეგიან წოდებას,—ახალთაობას ამისა არა ესაქმებოდა რა. იგი უყოყმანოდ სწირავდა მუქთახორა უმცირესობის ინტერესებს მასების სავსებით კანონიერ ინტერესებს. ამ მხრით ახალთაობა ძირეულად განსხვავდებოდა მთავრობისეული ლიბერალებისა და ოფიციალური რეფორმატორებისაგან.

სამართლიანობის უბრალო გრძნობა უკარნახებდა ახალთაობას, რომ ხალხთან თავად-აზნაურობის შეტაკების დროს მთელი მისი სიმპატიები სავსებით ხალხის მხარეზე ყოფილიყო. ახალი თაობა ფიქრობდა, რომ ის ვითომდა მსხვერპლი, რომელიც თავად-აზნაურობას უნდა გაეღო, უკვე დიდი ხანია ანაზღაურებულია იმით, რომ თავადაზნაურობა ასე დიდხანს ცხოვრობდა ხალხის ხარჯით; საუკუნოებრივი დამონება ხალხს სრულს უფლებას აძლევს მოითხოვოს არა მარტო ცარიელი დათმობა, არამედ თავად-აზნაურობის არსებითი პრივილეგიების მოსპობაო. ამნაირად, როგორც კი ლაპარაკი ჩამოვარდა სამოსახლოზე და იმ დროს, როდესაც ალექსანდრე მე-II სჯერდებოდა მოთხოვნას: „მე სამოსახლო ბინადრობად ვგულისხმობ არა

მარტო შენობას, არამედ მთელ სამოსახლო მიწასაცაო“, *) ახალი-თაობა მყისვე მიხვდა, რომ აქ ლაპარაკი უნდა გვქონდეს არა მხოლოდ სამოსახლოსა და სამოსახლო მიწაზე, არამედ მთელ მიწაზე, რომელიც ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. მას სავსებით გულწრფელად სწამდა ეს და გულუბრყვილოდ სჯეროდა იმის ნამდვილად არსებობა, რაც უნდა არსებულიყო. მან მყისვე ხელი მიჰყო მსჯელობას და დავას: რა უფრო სჯობია გლეხობისათვის, მიწის კერძო საკუთრებად მფლობელობა, თუ სათემო მფლობელობაო. პოლემიკამ დაამტკიცა ამ უკანასკნელის უპირატესობა; მაგრამ როდესაც ამ შედეგს მიაღწია, მან დაინახა, რომ უმთავრესი საქმე ჯერ გაკეთებული არ იყო და რომ მიწის კუთვნილება გლეხობისადმი—ფრიად სადაო საკითხი ყოფილა.

მაშინ ასტყდა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის საშინელი ბრძოლა, რომლის მოწმენიც ვართ დღეს და რის მოწმენიც კიდევ დიდხანს ვიქნებით: ახალი თაობა, თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით, დადგა იმ ხალხის მხარეზე, რომელიც მთავრობისა და თავად-აზნაურობის მეწველ ძროხად გადაქცეულიყო. რათა მისი ურთიერთობა ხალხთან თავისუფალი ყოფილიყო ყოველგვარი პარაზიტული განზრახვებისაგან, მან სავსებით ხელი აიღო პრივილეგიან მდგომარეობაზე და გადასწყვიტა ისე მომზადებულიყო, რომ საკუთარი შრომით ცხოვრების უნარი ჰქონოდა. თუმცა ეს გადაწყვეტილება სხვა მოსაზრებებზედაც იყო დამოკიდებული: ახალი თაობის აზრით ადამიანის ღირსების ერთად-ერთი დამცველი არის მხოლოდ შრომა, რომელიც სხვას არავის დააწვება კისრადო. აქედან ცხადია, რომ ახალთაობას სურდა შეენარჩუნებინა თავისი ღირსება და ძლიერთაგან ამა ქვეყნისა დამოუკიდებლობა. ამან აიძულა ახალი თაობა ხელი მოეკიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადად გარდაქმნისათვის—ყველასა და თვითეულისათვის საკუთარი და არა სხვისი შრომით ცხოვრება სავალდებულოდ აღეარებინა. გამოდიოდა რა ამ დებულებიდან, ახალთაობას საზოგადოების მართებული, ადამიანური მოწყობის აუცილებელ პირობად მიაჩნდა შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც საზოგადოების ყოველი წევრი განურჩევლად—უზრუნველყოფილი იქნება შრომის იარაღით. მაშასადამე, ამისთანა წყობილების დროს წოდებრივსა თუ სხვა უპირატესობას სრულიად ვერავითარი ადგილი ვეღარ ექნება. რაკი ასეთი პირობაა წამოყენებული, ცხადია, არც ერთ წოდებას და ადამიანთა არც

*) მოსკოვის თავად-აზნაურობისადმი მიმართული სიტყვიდან.

ერთ ჯგუფს არავითარი უფლება არა აქვს მხოლოდ იგი ჰფლობდეს მიწას, ი. ე. ჰქონდეს პრივილეგიათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრივილეგია. საზოგადოებრივი ცხოვრების ის წყობა, რომლის განხორციელებასაც ფიქრობს ახალი თაობა, დაფუძნებულია სწორედ ყოველგვარი პრივილეგიის მოსპობაზე და იმაზე, რომ მიწა სამფლობელოდ გადაეცეს მშრომელ ხალხს და გადაეცეს ისე, რომ ამნაირად მოწყობილ სახალხო შრომას მინიჭებული ჰქონდეს კანონმდებლობის სამართლიანი მფარველობა, როგორადაც იგი აქამდე მფარველობდა ძხოლოდ და მხოლოდ პრივილეგიან წოდებებს. სამიწათმოქმედო შრომის საერთო წყობას ახალი თაობა, ასე ვთქვათ, საერთოდ ყოველგვარი შრომის ორგანიზაციის ნორმად სთვლიდა. ამნაირად, მისი აზრით, სამანუფაქტურო, სამრეწველო, გონებრივი და ყოველგვარი სხვა სახის შრომა უნდა მოეწყოს იმავე საფუძველზე, რანაირზედაც მოწყობილია სამიწადმოქმედო შრომა, ე. ი. მოეწყოს მშრომელთა სრულს თანასწორობაზე და მათთვის, როგორც შრომის საშუალების, ისე მისი ნაყოფის მიცემაზე.

თავის-თავად იგულისხმება, რომ ხალხის ინტერესების ამნაირი გაგების დროს, თავად-აზნაურობის ეგრედწოდებულმა ინტერესებმა ხალხის ინტერესებს უნდა დაუთმოს ადგილი, ანუ, უფრო სწორად რომ ითქვას, შეედუღოს მათ. ყოველ შემთხვევაში ახალთაობას ხალხის ცხოვრების მოწყობის ასე გაგების დროს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო მაღლა დაეყენებინა თავად-აზნაურობის ინტერესები და ისინი რაღაც წმინდად და ხელუხლებლად მიეჩნია. მისთვის წმინდა და ხელუხლებელი იყო მხოლოდ ერთი რამ—საერთო კეთილდღეობა, მთელი ხალხის სიკეთე. ყველაფერი, რაც ამ სიკეთეს ეწინააღმდეგებოდა ან და მის განხორციელებას ხელს უშლიდა, ახალთაობას სავსებით ხელსახლებლად მიაჩნდა და სრულიადაც არ სთვლიდა მას წმინდად...

მაშასადამე, მთავრობამ საგლეხო რეფორმას ხელი რომ მოჰკიდა, ახალთაობას შეუძლებელი იყო მასთან ხელიხელჩაკიდებულს ევლო. მისი მიზანი განსხვავდებოდა მთავრობის მიზნებისაგან და მაშასადამე, განსხვავდებოდა საშუალებათა მხრითაც; მთავრობას თავად-აზნაურთა ინსტიტუციების შენარჩუნება სურდა, ახალთაობას კი ხალხის კეთილდღეობის გულისთვის მისი მოსპობა უნდოდა; მთავრობას უნდოდა გლეხები უმიწაწყლოდ დაეტოვებინა, ახალთაობას კი სურდა მიწა მიეცა მათთვის, სურდა ეკონომიურ ურთიერთობათა მართებულად მოწყობით მათთვის შრომა შეემსუბუქებინა; მთავრობას სურდა ხალხისა და თავად-აზნაურობის გათიშულობა დაეტოვებინა; ახალთა-

ობას კი უნდოდა—შეედუღებინა მათი სარგებელიანობა და ამით თავად აზნაურობა სახალხო საქმით დაეინტერესებინა. ეს ითქმის საგლეხო რეფორმის შესახებ.

დანარჩენი რეფორმების საქმეშიაც ახალი თაობა სწორედ ასევე მუდამ წინააღმდეგი იყო მთავრობისა და ხალხის მხარეზე იდგა. ახალი თაობა ყვიროდა ფიზიკური სასჯელის მოსპობაზე, როდესაც მთავრობას ფიქრადაც არ ჰქონდა ეს რეფორმა. ახალი თაობა ახლაც კიდევ ცდილობს ამ სასჯელის იმ ნაშთების მოსპობას, რომელიც 1863 წლის 17 აპრილის ბრძანების შემდეგ დარჩენილა. სამოსამართლო რეფორმის დარგში იგი ცდილობდა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ სისულელეა ადამიანის დასჯა იმისთანა უნებური მოქმედებისათვის, რომელიც სხვადასხვა გარემოებათა მიერ არის გამოწვეული. ამ აზრის დასამტკიცებლად იგი ამბობდა: ადამიანი ყოველთვის გარეშე გარემოებათა გავლენის ქვეშაა; ეს ისეთი გარემოებებია, რომლებიც მის პირად ნებისყოფაზე არ არის დამოკიდებული და რომლებიც უმეტეს შემთხვევაში თვით საზოგადოების მიერ-ვეა შექმნილი; ეს არახელსაყრელი პირობები იძულებულს ჰყოფენ ადამიანს მოიქცეს ასე და არა ისე, ხშირად დაარღვიოს ის კანონები, რომლებიც საზოგადოების გავლენიან ნაწილს გამოუცია მხოლოდ და მხოლოდ თავის სასარგებლოდ.

ბ ო რ ო ტ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ზ ე ამ საწინააღმდეგო შეხედულებას ახალი თაობა უმთავრესად იმიტომ ჰქადაგებდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ისეთს მასებს ატყდება თავს მთელი სიმძიმე, რომლებიც ფრიად არახელსაყრელსა და გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. მდიდრებს, რომელთაც მფარველობს ახლანდელი კანონები და ათასგვარი უპირატესობა, არაფერი აიძულებს დანაშაული, ან ბოროტმოქმედება ჩაიდინონ. თუმცა ისინი ყოველდღე ათასგვარ დიდსა და მცირე დანაშაულობას სჩადიან უკვე მარტო იმითი, რომ ხალხის შრომითა ცხოვრობენ, მაგრამ კანონმდებლობა მათ ფრიად თავაზიანად ეპყრობა; იგი ამ დანაშაულობას სრულიად არ სთვლის ყურადღების ღირსად და კანონის რაიმე საწინააღმდეგოდ. ასეთს მდგომარეობაში როდი არიან ხალხის მასები და საზოგადოდ ყველა ისინი, ვინც საკუთარი შრომით ცხოვრობენ: თვითეული მათი მისწრაფება ადამიანური უფლებებისადმი, ყოველი მათი სურვილი დაიცვან თავისი პიროვნება მდიდართა თვითნებობისა და ჟინიანობისაგან, თანამედროვე კანონმდებლობის მიერ დანაშაულობად, კანონის დარღვევად, საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცყოფად ითვლება. მაშასადამე, ცხადია, ახალთაობას არ შეეძლო მიზნად არ და-

ესახა ძირიანფესვიანად შეცვლა იმ კანონებისა, რომლებიც თანამედროვე წყობილებას ემსახურება, და იცავს; ამ მხრით იგი აუცილებლად უნდა შესტაკებოდა ალექსანდრე მე-II-ის მთავრობას, რომელიც ცდილობდა ხელუხლებლად დაეცვა ეს წყობილებაც და მისი განმასხვავებელი თვისებები—მქონებელთა მიერ ღარიბთა დამონებაც.

იურიდიულ დარგში ისევე, როგორადაც ეკონომიურში, მთავრობისა და ცრუ-რეფორმატორების უმთავრესი ძალ-ღონე იქით იყო მიმართული, რომ ამნაირ დამონებაზე დაეფუძნებინათ და გაეჩერებინათ სახელმწიფო წყობილება. ამ ვაჟბატონების აზრით იმაზე ბუნებრივი არა არის რა, რომ მიწიერი კეთილდღეობით დაჯილდოებულ ადამიანებს თითქმის სრული თვითნებობის საშუალება მიეცესთ. ის ადამიანები კი, რომელნიც ღვთის გაჩენილ ქვეყნად შიშვლები დაბადებულან, იმას უნდა დასჯერდენ, რომ მდიდრებს ხანდისხან ისინი დასჭირდებათ ხოლმე და მუშებად დაიქირავებენ. ერთი სიტყვით ამ ვაჟბატონების აზრით, ადამიანს, რომელსაც საკმაო ქონება არ გააჩნია, არც აქვს მიწიერი კეთილდღეობით სარგებლობის რაიმე უფლება. სიმდიდრესა და სიღარიბეზე ამნაირმა შეხედულებამ ჩვენებური კანონმდებლობა იმ შედეგამდე მიიყვანა, რომ იმ ადამიანებს, ვისაც მნიშვნელოვანი ქონება არ გააჩნიათ, სავსებით ზედმეტ ადამიანებად სთვლის და ღვთისანაბარად სტოვებს მათ; ასე რომ, თუ ისინი მდიდრებს შავი ან სხვა რაიმე მუშაობისათვის არ დასჭირდათ, მათ ერთი გზა-ღა დარჩენიათ—შიმშილით სიკვდილი.

ახალი თაობა კი საქმეს სხვა თვალით უყურებდა: იგი ამტკიცებდა, რომ ყველა ადამიანს თანაბარი უფლება აქვს ცხოვრებისა, რანაირიც გნებავთ იყოს მისი ქონებრივი და მემკვიდრეობითი უფლებები; და იქამდე, ვიდრე არ დაუმტკიცებიათ, რომ ზოგიერთი ადამიანი ფეხზე დეზებიანი იბადება,—როგორც ამბობდა ვოლტერი,—ხოლო ზოგიერთი კი ზურგზე კურტანითაო, უეჭველია, ყველა ადამიანს განურჩევლად თანაბარი უფლება აქვს მიწიერ დოვლათიდან თავისი წილიც მოითხოვოს.

უყურებდა რა ამ პრინციპის თვალსაზრისით იურიდიულ საკითხებს, ახალი თაობა კითხულობდა: რა საბუთით მოითხოვენ მდიდრები, რომელთაც თავის სასარგებლო კანონები გამოუციათ, რომ ხმაშეუბრუნებლად პატივსა სცემდენ ამ კანონებს ყველა ის მოქალაქენი და უმთავრესად ისინი, ვის წინააღმდეგაც მათი კანონმდებლობაა მიმართული და ვისაც ოდნავი მონაწილეობაც არ მიუღია მის შედგენაში. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ახალი წყობილებისთვის, რომელიც საზოგადოების ყველა წევრის სრულს თანა-

სწორობაზე იქნება დამყარებული, საჭიროა მოხდეს მთელი კანონმდებლობის ძირეული გარდაქმნა,—გარდაქმნა იმ კანონმდებლობისა, რომელიც მდიდრებისაგან და მდიდრებისთვისაა შექმნილი; ეს საჭიროა იმისათვის, რომ შეიქმნას ახალი კანონმდებლობა, შექმნილი ხალხის მიერ და ხალხისათვის. ასეთი კანონმდებლობა, ეკონომიურ ურთიერთობათა და საზოგადოებრივი აღზრდის ძირითად რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ზედმეტად ხდიდა ყოველგვარ სასჯელობისა ღონისძიებას, ვინაიდან იგი ძირიან-ფესვიანად სპობდა. დანაშაულობის ჩადენის ხელისშემწყობ მიზეზებს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთავრობას არც უფიქრია მხედველობაში მიეღო „თავზეხელაღებულთა ეს ბრიყვული (sic!) მოთხოვნები". სცვლიდა რა გლეხთა ცხოვრების ზოგიერთ მხარეს, იგი ცდილობდა დანარჩენი ყველაფერი ხელუხლებლად დაეტოვებინა, ისეთსავე მდგომარეობაში, რომელიც ყაჩაღთა და დამპყრობთაგან იყო დამყარებული ძალითა თუ მოტყუებით ხელში ჩანაგდები პრივილეგიებისა და სიმდიდრეთა შესანარჩუნებლად.

სახალხო აღზრდის საკითხშიაც ახალი თაობა მთავრობის წინააღმდეგ მიდიოდა და ასეც უნდა მოქცეულიყო. მთავრობა ცდილობდა ხალხი ფრიად აღმაშფოთებელ უვიცობაში, ყოველგვარ ადამიანურ ცნებათა უცოდინარობაში ემყოფებინა; მას სურდა ხალხი პირუტყვის მსგავს მდგომარეობაში დარჩენილიყო, რათა მას თავისი ინტერესები არ შეეგნო და არ მოეთხოვნა თავისი ბუნებრივი, უდავო უფლება ადამიანური და არა პირუტყვული ცხოვრებისა. რათა ამ მიზნისათვის მიეღწია, მთავრობამ, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, დაჰკეტა საკვირაო სკოლები; გაუძნელა ახალგაზრდებს სასწავლებლებში შესვლა, ხუცური, დამთრგნუველი ელემენტი შეიყვანა სახალხო სკოლებში, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ღონისძიება იხმარა ხალხის განვითარების შესაფერხებლად. ახალი თაობა კი, ასე გულმოდგინედ ეპყრობოდა რა საკვირაო სკოლებს და ასე გულმხურვალედ მიეშურებოდა რა უნივერსიტეტებისკენ, პირიქით, ცდილობდა, ხალხში რაც შეიძლება მეტი ჭეშმარიტი, ადამიანური ცნებები გაევრცელებინა. მან ამ აზრის განხორციელებაზე დროებით ხელი აიღო მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენებურმა მთავრობამ მას ხელ-ფეხი შეუკრა. მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, ახალთაობას თავი არ დაუნებებია იმის მეცადინობისთვის, რომ ხალხს მიენიჭოს, ჯერ ერთი, სწავლის უფლება, სავსებით უფასოდ, მეორე მხრით—მიეცეს სწავლის შესაძლებლობა. და ამ „შესაძლებლობად" იგულისხმება არა მარტო ყველგან უფასო სკოლების გახსნა, არა მარტო უნარიან და

საქმიან მასწავლებელთა (ქალთა და კაცთა) შემზადება; იგულისხმება აგრეთვე ეკონომიური წყობილების სისტემის ისე მოწყობა, რომლის დროსაც სკოლაში ბავშვის გაგზავნით ოჯახს არ დაეკარგება შემოსავლის ნაწილი და ბავშვები აღიზრდებიან ამ უკანასკნელთა შრომის გარეშე... ახალი თაობის საუკეთესო მისწრაფებანი აქეთ არის მიმართული, ვინაიდან ახალთაობას თანამედროვე ქაოსიდან ერთადერთ გამოსავლად სხვა არა მიაჩნია რა, თუ არა ხალხის ახალი თაობის განვითარება სწავლის გზით...

საჭიროა-ლაა განა ვილაპარაკოთ, თუ როგორ უყურებს ახალი თაობა „ბეჭდვითი სიტყვის" საქმეს? ვინ არ იცის, რომ ამ მხრით ახალი თაობა ყოველთვის ბეჭდვითი სიტყვის სრულს თავისუფლებას მოითხოვდა არა მარტო თავისთვის, არამედ თავის მოწინააღმდეგეებისთვისაც კი და რომ ბეჭვდითი სიტყვის სრული თავისუფლება მას ხალხის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად მიაჩნია?

სულ ზერელე, მიუდგომელი დაკვირვება ზემოხსენებული პარალელისა ცხადჰყოფს, რომ ახალთაობას არ შეეძლო მეფის ალექსანდრე მე-II-ის ცრუ-რეფორმატორულ მთავრობასთან ხელჩაკიდებული სიარული. ეს ორი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ძალა მალე უეჭველად უნდა დასტაკებოდა და დაეწყო ურთიერთ შორის, როგორც იტყვიან, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ორ ბანაკს შორის შეუძლებელია რაიმე, დიალ, ოდნავი რაიმე დაახლოება, შეუძლებელია რაიმე მორიგება, წარმოუდგენელია ოდნავი დათმობაც კი, გარდა, რასაკვირველია, მოქმედების ასპარეზის დათმობისა. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი დაუნდობელი და შეუბრალებელია... თუმცა, ახლა, საქმე ეს როდია: ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ალექსანდრე მე-II-ის მთავრობა მოწინააღმდეგე იყო, არის და იქნება ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული ყოველგვარი მოძრაობისა და, მაშასადამე, მოწინააღმდეგეა ახალთაობისა *).

IV

ფრიად უცნაურია, რომ ჩვენი საზოგადოების უფერული ადამიანები, რომელნიც არც ერთს ბანაკს მიჰკედლებიან, არც მეორეს,

*) თანამედროვე რუსეთის მოძრაობასთან გაუცნობელ მკითხველებს (და სწორედ ისეთებისთვის არის დაწერილი ეს სტატია), შეიძლება ეგონათ, რომ ჩვენ აქ განზოგადებული გვკონდა ახალთაობის სრული პროგრამა გადმოგვეშალა. სრულიადაც არა. ჩვენ ამ პროგრამიდან შევეხეთ მხოლოდ იმ მხარეებს, რომლებიც ეფარდებიან, თუმცა პირუკუღმა წესით, მთავრობის პროგრამას. დანარჩენ მხარეებზე ვრცლად ლაპარაკი საჭიროდ არ მიგვაჩნდა.

ერთხელაც არ დაჰკითხებიან გულახდილად თავის თავს: რომელი სჯობია ამ ორ ბანაკში?.. ეჭვს გარეშეა, აქ არჩევანი ძნელი როდია. მამაპაპათა ჩვეულებების დამცველთა და ახალი წყობილების მომხრეთა შორის არჩევანის მოხდენაში მერყეობა—შეუძლებელია. მაშ რატომ გაჩერებულან ჩვენებური უფერულები გზაჯვარედინზე?..

ყველაფერი აგრეაო,—გვეუბნებიან,—ცოდნით კი ვიცით, რომ ახალთაობის პროგრამა მთავრობისაზე უფრო პატიოსანი ან გონიერია, მაგრამ მანდ ხომ წ ი თ ე ლ ი დ რ ო შ ა ა რ ი ს ო!..

დიაღ, წითელი დროშით აფრთხობენ ხარებს ესპანეთში და ვირებს ზოგიერთ სხვა ქვეყნებში... ადამიანებს, რომელთაც მოჩვენებებისა და აჩრდილებისა ეშინიათ, არ უყვართ ფიქრი და აზროვნება, მათ ვერაფერს ჩააგონებ; რამდენიც გინდა ელაპარაკო, ისინი მაინც წითელ დროშაზე ათასგვარ სისულელეებს ილაპარაკებენ. მაგრამ უფერულ ადამიანთა შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, იქნებ ისეთებიც იყვნენ, რომელთაც საღი გონება შერჩენიათ არა თუ წითელი აჩრდილების, არამედ თვით მურავიოვის გავლენის პირობებშიაც კი. აი, ამ ადამიანებს გვინდა ვთხოვოთ, ჩაუკვირდენ გულის ხმიერად საქმის ვითარებას და სთქვან: განა შეიძლება ოდნავ მაინც პატიოსანი ადამიანი შეყოყმანდეს, თუ რომელ მხარეს უნდა თანაუგრძნობდეს, ან უკეთ რომ ვთქვათ, რომელს უნდა ეხმარებოდეს?

საგლეხო რეფორმას მთავრობა იწყებს სიტყვებით: „მე (ბ. ი. ხელმწიფეს) მიყვარს თავად-აზნაურობა, იგი ტახტის უდიდეს ყავარჯნად მიმაჩნია; მე საყოველთაო სიკეთე მსურს, მ ა გ რ ა მ ა რ მ ი ნ დ ა ა მ ა ნ თ ქ ვ ე ნ გ ა ვ ნ ო თ რ ა მ ე (თავად-აზნაურობას), მე ყოველთვის თქვენი მოსარჩლე ვარო“. ეს სიტყვა ცოტა უცნაურია, მაგრამ ვინ ამბობს ამას?—ლიბერალი, სულით ხორცამდე რეფორმატორული მისწრაფებებით გაჟღენთილი, გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი...

ახალი თაობა ბოროტგანზრახულებით უარს ამბობს იმპერატორის რეფორმებით აღტაცებული იყოს. იგი ლაპარაკობს: როდესაც საქმე მთელი 60 მილიონის კეთილდღეობას შეეხება, შეუძლებელია მათი ინტერესები რამდენისამე პირის გაზვიადებულს, უკანონო და განსაკუთრებულს ინტერესებს მსხვერპლად შევსწირო. და ასეთი ადამიანები, თურმე, დესპოტები და სისხლის მსმელები ყოფილან, სისხლის ღვარის დაყენება სურვებიათ; ისინი, თურმე, სხვა არაფერზე ოცნებობენ, თუ არა ნაჯახსა და დიქტატურაზე.

ლიბერალური, ჰუმანური მთავრობა გლეხთა ცხოვრების მოწესრიგებას ანდობს სწორედ იმ ადამიანებს, რომელნიც ყოველთვის გლეხთა ხარჯით ცხოვრობდენ და ასევე ცხოვრება სურთ. მთავრო-

ბა თრგუნავს გლეხებს, არ ინდობს მათს ინტერესებს და ძველის მაგივრად—ახალ ბატონყმობას ჰქმნის. სისხლმოყვარე ახალთაობა კი, რომელსაც, როგორც ვიცით, მხოლოდ დიქტატურითა და სიკვდილის დასჯით მოქმედება სურს, ამბობს: საჭიროა გლეხებსაც მოუსმინოთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში მათ ცხოვრების მოწესრიგებაზე, ახალ საფუძველზე მათი ცხოვრების მოწყობაზეა ლაპარაკი; ძალიან საქებურია ერთი დაინტერესებული მხარის მოსმენა, მაგრამ ამასთანავე აუცილებლად საჭიროა მეორესაც მოუსმინოთო. იგი არ ჩასციებია სიტყვა მ ს ხ ვ ე რ პ ლ ს, არავითარი მსხვერპლი არააო საჭირო,—ამბობს ის, საჭიროა მხოლოდ სერიოზულად განვიხილოთ საკითხი. მაშინ ცხადი გახდება, რომ თავად-აზნაურობისა და გლეხების ინტერესთა შედუღებით სისხლის ღვრის და შეტაკებათა გარეშეა შესაძლებელი საქმის მოგვარებაო. მაგრამ მთავარი ისაო,—განაგრძობს ახალი თაობა,—რომ თვითონ გლეხებს უნდა დავეკითხოთ; თუ ასე არ იქნა, მათ სრული უფლება ექნებათ ილაპარაკონ, რომ საზოგადოებრივი კანონები უმათოდ და მაშასადამე მათ წინააღმდეგ არის შემუშავებული. ამით კი გლეხებს კანონიერი საბაბი ექნებათ ხოცვა-ჟლეტისათვისაო...

მთავრობა ანხორციელებს თავის დებულებებს და ეშინია რა თავის მიერ გამოგონილი მოჩვენებებისა, ხალხის დრტვინვა საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის ნიშნად მიაჩნია. მთავრობა ხვრეტს ყველგან გლეხებს, ზარბაზნით ჰფანტავს მათს კრებებს, წკეპლავს, აპარტახებს, ციმბირში ასახლებს მათ—სამშობლოს საკეთილდღეოდ. ახალი თაობა კი იჩენს სისხლმოყვარეობას და ამბობს: რისთვისაა საჭირო ამდენი სისხლი? რა საჭირო იყო ხალხისათვის თავისუფლების დაპირება და მისთვის ახალი ბატონყმობის მიწოდება, უმიწოდ დატოვება? რა საჭირო იყო შემზადება და მოხდენა ამ ბოროტებისა ბეზდნაში და სხვა კიდევ ათას ადგილას? რა არის ეს ხვრეტა, როდესაც შესაძლებელია უმისოდ მოგვარდეს?

მთავრობა სპობს ფიზიკურ სასჯელს სასამართლოს წესით, მაგრამ დასძენს: ადმინისტრატიული გაწკეპლვა აუცილებელია, მას მოითხოვს ლიბერალური თანდათანობა, ზომიერი პროგრესი და, წარმოიდგინეთ, ჰუმანობაც კიო. გაწკეპლვაო (розги), გვარწმუნებს მთავრობა,—გლეხობისათვის უკეთესია, რადგან იგი რომ არ იყოს, გლეხებს ფულადი ჯარიმები და ფიზიკური სასჯელი დაეკისრებოდათო. ერთი სიტყვით, მთავრობა აცხადებს, რომ მას არ შეუძლია უჯოხოდ იოლად წასვლა. რათა უფრო ნათელჰყოს თავისი ლიბერალიზმი, იგი სტოვებს მათრახს გადასახლებულთა და კატორღელები-

სთვის. იგი ამბობს: ისინი ადამიანები ხომ აღარ არიან, საზოგადოების გარეწრები არიანო. იგი იმდენად დარწმუნებულია თავის შეხედულებათა სიმართლეში, რომ კატორღაში ჰგზავნის იმ ადამიანებს, ვინც ჰპედავს და ჰფიქრობს: არა კმარა ~~ერთ~~ მათრახის მოსპობა, საჭიროა გაწკეპლვაც მოისპოს, ადამიანის პიროვნებას უნდა ~~ვაფასებდეთ~~ დამნაშავეშიაც, ~~რომელიც~~ სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოებრივი უხეირობისა და კანონების უსამართლობის მსხვერპლიო.

პოლონეთი იძულებულია აჯანყდეს, რათა მიაღწიოს სრულუფლებიანობას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მთავრობა თრგუნავს მას; ერთს ღამეს აპატიმრებს ათი-ათასობით საუკეთესო ადამიანებს, რათა ჯარისკაცებად გაჰგზავნოს ისინი ორენბურგსა ან კავკასიაში. ჯგუფ-ჯგუფად ჰგზავნის მათ ციმბირსა და კატორღაში, მარცხნივ და მარჯვნივ ხვრეტს და აღრჩობს და ბოლოსდაბოლოს აპატიმრებს მთელ პოლონეთს; მან მოატყუა იქაური გლეხები, მებატონეების მიწებს თქვენ დაგირიგებთო, ახლა კი ამ მიწებს შიდა გუბერნიებიდან ჩასულებს ურიგებს. და მიუხედავად ყველაფერ ამისა, მთავრობას კიდევ ნდობა აქვს ჩვენებური გულკეთილი რადიკალების თვალში... ახალი თაობა კი ამბობს: რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს იბატონოს იმ ქვეყანაზე, რომელსაც სურს თვითონვე იყოს თავისი ბატონ-პატრონი და თვითონვე გაუძღვეს საკუთარ საქმეებს; სამართლიანობას რომ თავი დავანებოთ, ჩვენივე საკუთარი ინტერესები მოითხოვს პოლონეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, რადგან პოლონეთი რუსეთს იმაზე მეტი უჯდება, რასაც იგი იქიდან ღებულობსო...

მთავრობა ახშობს აღზრდის საქმეს, ჰკეტს სკოლებს, ავიწროებს და ჰხურავს უნივერსიტეტებს, ხელს უწყობს და, ასე ვთქვათ, ამარადისებს ხალხის უვიცობას. იგი კი მაინც ხალხის კეთილდღეობისადმი სამსახურის გულწრფელი სურვილით გაჟღენთილად მიაჩნიათ, მას კეთილ განზრახვებს მიაწერენ, მაინც ცდილობენ შეთხოვონ და დაარწმუნონ! ახალთაობაზე კი, რომელიც საკვირაო სკოლებს ხსნიდა, ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდა ხალხში განვითარების შეტანისთვის, მშაერ-მწყურვალი სწავლობდა, ამბობენ: მას „სწავლა არა სურს“, იგი ბოროტგამზრახველთაგან შესდგება, ხალხის კეთილდღეობას ეწინააღმდეგება; ახალგაზრდები დესპოტები არიან, რომელთაც სურთ ხალხი გაანათლონ წინააღმდეგ მისი სურვილისა; ისინი საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამარღვეველნი არიან, ერთი სიტყვით, ტირანები არიან და სხვა არაფერიო.

და ასე დაუსრულებლივ: მთავრობა თავის მაღალსა და კეთილ-შობილ თვისებებს ცხადჰყოფს სილატაკითა და უვიცობით, მასების დათრგუნვით, საკვირაო სკოლების დახურვით, გლეხებისათვის მიწის წართმევით, მუქთახორათა მთელი ხროვისადმი მხარის დაქერით, გადასახლებით, საკატორღო განაჩენებით, ჩამოლრჩობით, სულ უბრალო დანაშაულობისთვის სიკვდილით დასჯით, ეჭვით დაპატიმრებულთა სიკვდილით დასჯით, მურავიოვისა და კომპ. მოსურვებით, კატკოვის საამებლად სიკვდილით დასჯით. ახალდაობას კი მხოლოდ იმიტომ, რომ ბანს არ აძლევს საერთო უნისონს და უნდა თავისი აზრის გამოთქმის საშუალება მოიპოვოს, იმისათვის, რომ იგი ამ თავის აზრს მიკიბ-მოკიბულად მაინც ამბობს,—სთვლიან ტირანთა ბრბოდ, რომელიც ცდილობს „საზოგადოება ტერორით დაა-შინოს“ და გადატრიალებათა ქაოსით საკმარისად დასტკბეს. ახალ-თაობას სახელმწიფოს ღალატს, ყალბი ქალალდების მზადებასა და სხვა ამგვარ დანაშაულობას აბრალებენ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ფიქრობს გლეხებს უფლება აქვთ მიწის ფლობისაო და აგრეთვე იმიტომ, რომ იგი არ ეთანხმება რუსეთის ყალბი საზოგადოებრივი აზრის პრივილეგიან ორგანოებს.

... ყველაფერი ეს გაუგონრად უცნაურია, არა, მკითხველო? და რაც უფრო უცნაურია,—ყველაფერი ზემოხსენებული თავის-თავად, უბრალოდ გამომდინარეობს ჩვენებური საზოგადოებრივი საქმის მსვლელობის დაკვირვებიდან. ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რანაირად შეიძლება ყველაფერი ეს დავისა და შეხლა-შემოხლის საგანი იყოს. მიუხედავად ამ სიმარტივისა და უბრალოებისა, ჩვენში მთავრობასა და მის მოქმედებაზე, მის მოწინააღმდეგე ძალთა და მისწრაფებების შესახებ წარმოდგენის მხრით საოცარი ქაოსი სუფევს... ეჰ, ჩემო მკითხველო, სხვაც ბევრია საოცრება და ამაზე უფრო მნიშვნელოვანიც, რის დანახვაც შეგვიძლია, თუ კი მოვინდომებთ. საოცარია, მაგალითად რომ თქვენ ვერ ამჩნევთ, თუ რა სწრაფად მიექანება რუსეთი, თავისი მთავრობის წყალობით, უეჭველ გაპარტახებისაკენ და რარიგ სახელგატეხილია უკვე საზოგადოებრივი მდგომარეობა არა მარტო ეკონომიური, არამედ ზნეობრივი მხარითაც. საოცარია აგრეთვე, რომ თქვენ ვერ შეგიგნიათ თქვენი საკუთარი მდგომარეობა, ვერ შეგიფასებიათ საკუთარი ინტერესები; ასე რომ არ იყოს, თქვენ შეიგნებდით, რომ რუსეთის საზოგადოებასთან ერთად თქვენთვის უფრო ხელსაყრელია მომხრე იყოთ საზოგადოებრივი წყობილების ნამდვილი და არა ყალბი გარდაქმნისა—დიაღ, განა მარტო ეს არის საოცარი მკითხველო?

V

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ახალთაობას თავისებური raison d'etre ჰქონდა და ეს raison d'etre იძულებულს ხდიდა მას ოპოზიციურად ემოქმედა. ახლა ვნახოთ, თუ რა ფაზისები განვლო მისმა მოღვაწეობამ.

უწინარეს ყოვლისა, ახალი თაობა, რასაკვირველია, ცდილობდა ემოქმედა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, თუ რომ ეს კანონი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედების რაიმე შესაძლებლობას იძლეოდა. რუსეთის კანონებით აკრძალული არ იყო ახალ ცნებათა და აზრების საჯარო ქადაგება, ცხადია, იმ პირობით, თუ ცენზურა მის გავრცელებას ნებას დართავდა. მაშასადამე ახალთაობას შეეძლო ცდილიყო საზოგადოებაზე სალიტერატურო გზით ემოქმედნა—იგი ასეც მოიქცა.

1856 წლიდან ახალგაზრდებმა იწყეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა, ხელოვნებასა, მეცნიერებაზე და სხვათა შესახებ ახალ ცნებათა გავრცელება. ეს ცნებები ცენზურის ჯარდაკში ტარდებოდა და ცხადია ნაწილობრივად ჰკარგავდა ძალას. მაგრამ ახალგაზრდა მწერალთა, არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით, რომელთაც ამ საქმეს მოჰკიდეს ხელი, ამ ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებამდე მაინც აღწევდა. ამ აზრების გავლენით რუსეთის ლიტერატურაში დადგა ეპოქა, როდესაც ლიტერატურა მთლად მიძღვნილი იყო საზოგადოებრივი საკითხებისა და საერთო კეთილდღეობისადმი—წინააღმდეგ წინანდელი პერიოდისა, როდესაც ეს ლიტერატურა უმიზნოდ ემსახურებოდა რაღაც ნახევრად მკვდარსა და ნახევრად გახრწნილს ხელოვნებას. ამ ეპოქის სალიტერატურო მოღვაწეთა აზრით დასახული მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალება იყო—საზოგადოების ზნეობრივი განვითარება ყველა საკითხს, რომელიც წმინდა პოლიტიკურ მხარეს ეხებოდა, განსაკუთრებით მმართველობის ფორმათა საკითხებს, ახალი თაობა განზრახ გვერდს უვლიდა, ვინაიდან უსარგებლოდ მიაჩნდა მათზე ლაპარაკი იმ დროს, როდესაც საზოგადოება მომზადებული არ იყო საზოგადოებრივი მეცნიერების უმარტივესი ცნებების გაგებისთვისაც კი. ამნაირად, ახალი ლიტერატურის მთელი ყურადღება მიქცეული იყო მკითხველ წრეების ზნეობრივ განვითარებაზე, რათა ამათ, თავის მხრით, განევითარებინათ ის მასები, რომელთაც საშუალება არ ჰქონდათ წაკითხვის და წანაკითხის ჩაფიქრება-შეფასებისა.

თავის-თავად ცხადია, ლიტერატურის ახალი პერიოდის ასეთი მიმართულება ხელს ვერ უშლიდა მას იმ საკითხებსაც შეხებოდა, რომ-

ლებითაც დაინტერესებული იყო ხალხი და რაც საზოგადოებრივ კეთილდღეობას ეხებოდა. პირიქით, საზოგადოებრივი საკითხების დამუშავება თანამედროვე ახალთაობის სალიტერატურო მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია. მაგრამ ეს დამუშავება, როგორადაც მთელი მოღვაწეობა, სწარმოებდა სულ სხვა საფუძველზე, ვიდრე ლიტერატურის დანარჩენი ნაწილის მუშაობა. ზემოდ ჩვენ ვთქვით, რომ ახალთაობა მიზნად ისახავდა საერთო კეთილდღეობას, აქ ამას აუცილებლად უნდა დავუმატოთ, რომ იგი ამ კეთილდღეობის ერეკველ პირობად სთვლიდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისე მოწყობას, რომლის დროსაც საზოგადოების ცალკე წევრები სავსებით დაიკმაყოფილებდენ თავის ფიზიკურსა და გონებრივ მოთხოვნილებებს, რომლის დროსაც განვითარების სრულ თავისუფლებასთან ერთად—გონებრივ უნარს ფართო გზა მიენიჭებოდა. რუსეთის ლიტერატურის ახალ პერიოდს თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა ამ მიზნის მისაღწევ საშუალებათა ძიება. და ვინაიდან მთავრობის რეფორმები არ შეიცავდენ ამ საშუალებებს, ან მიზნად არ ისახავდენ ამას, ფრიად ბუნებრივია, რომ ამ რეფორმებს ტაშით ვერ შეხვდებოდა ახალი ლიტერატურა; ცხადია, ახალგაზრდებში ეს უკმაყოფილებასა და სერიოზული ბრძოლისთვის მზადებას იწვევდა... მართლაც, მთავრობის რეფორმები ეწინააღმდეგებოდა და განსხვავდებოდა ახალ სალიტერატურო მოღვაწეთა მისწრაფებებისაგან. ამ უკანასკნელებმა ფრიად მალე შეამჩნიეს ეს განსხვავება. ვინაიდან აუცილებლად საჭირო იყო მოქმედების საკუთარი სისტემის ამორჩევა, ახალთაობამ იწყო ა შ კ ა რ ა სალიტერატურო პროპაგანდა იმისა, რომ საჭიროა სხვანაირი ცვლილებები და სულ სხვა საფუძველზე დამყარებული გარდაქმნანი. ასეთი იყო ჩერნიშევსკის მეგობრების მოღვაწეობა, დაწყებული 1856-დან 1862 წლამდე.

ჩერნიშევსკი და მისი მეგობრები წარმოადგენდენ ახალს თაობას. ნინი მუშაობდენ მისი მისწრაფებების განსახორციელებლად და შეძლებისამებრ ასრულებდენ მის პროგრამას. მათს მოქმედებაში შხამიანი რომ არა ყოფილა რა და იგი რომ დღის სინათლეზე და არა ბნელეთში სწარმოებდა,—ეს საუკეთესოდ სჩანს ჩერნიშევსკის იმ რამდენსამე სტრიქონიდან, ამ სტატიის გარეკანზე რომ არის დაბეჭდილი. მაშ რა იყო ჩერნიშევსკის წრის ის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, რამაც მთავრობის რისხვა გამოიწვია? ეს იყო ის, რომ წრე მხარს უჭერდა გლეხების უფლებას მიწაზე, რომ იგი იცავდა სათემო მიწათმფლობელობას—წინააღმდეგ კერძო საკუთრებისა; იგი ცდილობდა საზოგადოებაში საკუთარი თაოსნობის აუცილებლობის შეგნე-

ბა გაევრცელებინა; იგი ცალკე ინდივიდუუმებს პირადი დამოუკიდებლობის და ადამიანური ღირსების შეგნებას უღვიძებდა; მისი დანაშაული, ბოლოს, ის იყო, რომ ყველაფერზე მაღლა საერთო კეთილდღეობას აყენებდა და ამის გულისთვის დასცინოდა ყოველგვარს მუქთახორობასა და ექსპლოატაციას... იგი ახალგაზრდობას უქადაგებდა: საკუთარი შრომით იცხოვრე, სხვას ნურავის დააწვები კისრად და ნურც სხვას ვისმე მისცემ ნებას ზურგზე შეგჯდესო. საზოგადოებრივი ზნეობის ამ საფუძველთა ქადაგება იყო მთელი ბოროტება იმ „სოციალისტური და მატერიალისტური“ მოძღვრებისა, ჩერნიშევსკის წრე რომ ჰქადაგებდა... მთავრობას ამ წრის მუშაობა ამბოხებისადმი მოწოდებად მიაჩნდა, მთელი მისი მუშაობა კი გამოიხატება ჩერნიშევსკის შემდგომი სიტყვებით: „მომავალი მშვენიერი და ბრწყინვალეა. შეიყვარეთ იგი, ესწრაფეთ მას, იმუშავეთ მისთვის, მოაახლოვეთ იგი, გადმოიტანეთ იგი აწმყოში, რამდენადაც გადმოტანა შეგიძლიათ: თქვენი ცხოვრება იმდენად იქნება ნათელი და კეთილი, სიხარულითა და სიამით აღსავსე, რამდენადაც შესძლებთ მასში მომავლიდან გადმოღებას. ესწრაფეთ მას, იმუშავეთ მისთვის, მოაახლოვეთ იგი, გადმოიტანეთ აწმყოში მისგან ყველაფერი, რის გადმოღებაც შეგიძლიათ“.

მთავრობას ძალიან შეეშინდა ამ მოძღვრებისა და შეუდგა თავისებურად მისდამი წინააღმდეგობას: მან გადასწყვიტა მთელი ეს ჰ ი რ ი გაესრისა და ციმბირში დაელპო. პირველ მსხვერპლად აირჩიეს მ. ლ. მიხაილოვი, რომელიც კატორღაში გაგზავნეს და რომელიც გასულ წელს გარდაიცვალა ციმბირის მადნებში. მას მიაყოლეს ჩერნიშევსკი, გაგზავნილი კატორღაში შეხანხლული დოკუმენტების ძალით, რომელთა სიყალბე თვით სენატმაც კი აღიარა *). დობროლიუბოვი უეჭველ კატორღას მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ მიხვდა და დევნათა დაწყებამდე გარდაიცვალა. „Современник“-ი, რომელიც იმ ხანებში ჩერნიშევსკის წრის ორგანო იყო, რვა თვით შეაჩერეს და მერე ისეთი მუხრუჭი მოუჭირეს, რომ ძლივს-ღა სუნთქავდა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ყოველგვარი ღონისძიება იყო ხმარებული პროპაგანდის, ჩერნიშევსკის წრის პროპაგანდის მსგავსის რისამე განმეორების წინააღმდეგ...

სალიტერატურო პროპაგანდაში შეეიწროებულმა ახალმა თაობამ ხელი მოჰკიდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საკვირაო სკოლებში.

*) ვთხოვთ მკითხველს ყურადღება მიაქციოს „Колокол“-ის სტატიას ჩერნიშევსკიზე (1864 წ. 15 სექტემბერი) და „Дело Чернышевского“-ს, რომელიც ნოთავსებულია „Колокол“-ში (1865 წ. 1 იანვარი.)

თუ როგორ ასრულებდა იგი თავის ამოცანას და როგორ იძულებული გახდა მასზე ხელი აეღო, მკითხველმა უკვე იცის წინა ფურცლებიდან... მაგრამ საკვირაო სკოლების ამ შევიწროების მთელი ხნის განმავლობაში, ე ი. 1859—1862 წ. ჯერ კიდევ შეიძლებოდა ლიტერატურაში მუშაობა. ხოლო როდესაც 1862 წლის ივლისში ერთსადაიმავე დროს საკვირაო სკოლები დახურეს და „ბეჭდვითი სიტყვის შესახებ დროებითი წესები“ გამოსცეს, ახალი თაობა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ თითქმის სავსებით წაერთვა თავის შეხედულებათა საჯაროდ პროპაგანდის საშუალება. მისი მოქმედების არე ისე შეავიწროეს, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო საჯაროდ გამოსვლასა და საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის ფიქრი... ახალი თაობა იძულებული გახდა ნაკლებს დასჯერებოდა და აუდიტორიად აერჩია არა მთელი საზოგადოება, არამედ ცოტად თუ ბევრად მრავალრიცხოვანი წრე...

ამნაირ „წრეთა“ ისტორია ჩვენებური საზოგადოებრივი ცხოვრების საკმაოდ საინტერესო მხარეს წარმოადგენს ამ უკანასკნელ ხანებში. საქმე აი, რა არის: რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც ერთნაირი რწმენა ჰქონდათ, ერთნაირად უყურებდენ მოვლენებსა და ცხოვრებას, ჯგუფდებოდენ სადმე ჩუმად და უხმაუროდ; ისინი ცდილობდენ, რაც შეიძლება უკეთესად მოწყობილიყვნენ როგორც მატერიალურის, ისე ზნეობრივის მხრით. ვინაიდან ეს ადამიანები არ ივიწყებდენ, რომ შრომა პირადი დამოუკიდებლობის და პირადი ღირსების შენარჩუნების ერთად-ერთი საშუალებაა,—ისინი შრომას აღიარებდენ თავიანთ ურთიერთობათა საფუძვლად. სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი ცდილობდენ თავიანთი შრომა ისეთ საფუძველზე მოეწყოთ, რაიც მათ მოთხოვნილებებს ყველაზე უკეთ დააკმაყოფილებდა და მათს რწმენასაც შეეფერებოდა. ეს იყო სათემო ასოციაციური წესი შრომისა. ამიტომ წრეები, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, ეწყობოდა საფრანგეთის და გერმანიის მუშათა ასოციაციების მსგავსად.

ერთი მიბრძანეთ, რასა ვნებს სახელმწიფოს ის, რომ რამდენსამე ახალგაზრდას სურს ასე იცხოვროს და არა ისე, სურს მუშად ყოფნა და არა პროლეტარ მოხელედ, სახელოსნოში მუშაობა ურჩევნია—წინკაროში წელმოხრილს სამსახურს? ახალგაზრდების მუშური წრეების მიზანი, დაწყებული 1862 წლიდან, სხვა არა იყო რა. თუ არა მცირეოდენად მაინც განხორციელება მართებული, ადამიანური ცხოვრებისა და რამდენადაც დღევანდელ პირობებში ეს მოსახერხებელია, თავიდან აცილება თავის თავისა და სხვათა ტანჯვისა. სწო-

რედ ეს მისწრაფება მიიჩნია მთავრობამ ფრიად საშიშრად. „ბარიკადების ამგები ადამიანებიო,—სწერდენ მთავრობის პუბლიცისტები, ისე საშიშნი როდი არიან, როგორადაც ეს ახალგაზრდანი, რომელნიც ჩუმად მუშაობენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გადასაკეთებლად, თანამედროვე წყობილების ძირითად საფუძველთა შესაცვლელადო“ *). აჰყვა რა ამ შიშს, მთავრობამ იწყო დევნა ყველა „მუშათა არტელებისა“, რომლებიც ახალგაზრდობას მოეწყო, როგორც პეტერბურგს, ისე მოსკოვს, ოდესას, სარატოვსა და სხვა ქალაქებში. წრეებს გააფთრებით შლიდენ, სახელოსნოებს ჰკეტდენ; რათა დევნილ მომუშავეებს ხელახლა არ მოენდომებინათ არტელების მოწყობა, მათ სხვადასხვა ქალაქებში აგზავნიდენ. რასაკვირველია, მათ იქ ფიქრადაც ალარ მოუვიდოდათ ასოციაციები ან მისი მსგავსი რამ დაეარსებინათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არავინ იყო, ვისგანაც შესაძლებელი ყოფილიყო რისამე შედგენა.

ამნაირად, მთავრობამ, ბოლო მოუღო რა ახალთაობის სალიტერატურო და პედაგოგიურ მოღვაწეობას, ბოლო მოუღო მის ყველაზე უვნებელ მოღვაწეობასაც—სამუშაო ასოციაციებს...

ახლა საკითხავია, რა უნდა ექნა ახალთაობას ამნაირი დევნის შემდეგ და რაღა დარჩენოდა მას? რა უნდა ეყო თავის ახალგაზრდა ძალებისათვის, რომელსაც გამოსავალი არ ჰქონდა? რაზე უნდა მოეხმარა ნებისყოფის ენერგია, რითი დაეკმაყოფილებინა მოქმედების წყურვილი, რანაირად უნდა გაჩერებულიყო გულზეხელდაკრეფილი, როდესაც ძარღვებში სისხლი უდუღდა და მთელ ორგანიზმში ნაღველა ჰქონდა განთხეული? და მერე, რა საშუალება გამოვიგონოთ იმ აღშფოთებისა და სიძულვილის დასაოკებლად, რასაც იწვევს ყოველი შეურყვნელი ადამიანის სულსა და გულში ის ყოველდღიური არამზადობის, დანაშაულობათა და უსამართლობათა სანახაობა, ჩვენს

*) იხ. სტატია გ. გოროხოვისა (ლესკოვისა)—„Н. Г. Чернышевский в его романе „Что делать“ („Северн. Пчела“, 1863 წ. ივნისი). გახსენებაზე: ეს სწორედ ის ლესკოვია (იგივე სტებნიცკი), რომელმაც პირველმა დაბეჭდა ჩერნიშევსკი ჯერ კიდევ პეტერბურგის ხანძართა ცნობილი ისტორიის დიდი ხნით ადრე. საქმე ასე იყო: 1862 წ. ჩერნიშევსკიმ დაბეჭდა „Современник“-ში „Материалы для биографии Н. А. Добролюбова“, რომელშიაც, სხვათა შორის, განსვენებული კრიტიკოსის მტრებს „შუბლმაგარ სულელებსა და გამოყეყეჩებულ უბირებს“ უწოდებდა. იმავე წლის მაისში გამოვიდა „Молодая Россия“ რომელშიაც ნათქვამი იყო: ა. ი. გერცენი თანამედროვეთა გონებრივ მოძრაობისაგან ჩამორჩენას იწყებსო“. ლესკოვმა „Северная Пчела“-ში დაბეჭდა: „ის ადამიანები, რომელთაც ისკანდერიც ჩამორჩენილად მიაჩნიათ, მალე მასაც გამოყეყეჩებულ უბირს, ან შუბლმაგარ სულელს დაუძახებენო“. თავის-თავად ცხადია, ეს არა თუ გადაკვრითი ნათქვამია, არამედ პირდაპირი მითითებაა, რომ ჩერნიშევსკი „Молодая Россия“-ს ავტორია.

სამშობლოში, ჩვენი ჰუმანიური მთავრობის მფარველობის ქვეშ რომ ხდება? რა უნდა ექნათ ამ ახალგაზრდებს, რომელთაც მთავრობამ წაართვა ყოველგვარი საშუალება განათლებისა და მოღვაწეობისა? რა უნდა ექნათ მათ, ვისაც დღეს თუ არა ხვალ მოელოდა ციხეში ჩასმა გაუსამართლებლად, ჩუმად, ნაფიც მსაჯულთა გარეშე, მოელოდათ, უეჭველი საკატორღო განაჩენი მოჭორილი დანაშაულობისთვის?

რამდენიც გნებავთ ვიფიქროთ ამ საკითხებზე, ჩვენ მხოლოდ ორ გამოსავალს ვპოვებთ ამ სამწუხარო მდგომარეობიდან:

1. ახალგაზრდებს შეეძლოთ განეგრძოთ თავისი მუშაობა, ყურადღება არ მიექციათ ორაფრისთვის, ვიდრე მთავრობას ხელში არ ჩაუვარდებოდენ, არ შეჩერებულიყვნენ მუშაობის დროს. იმ მოსაზრების გამოცკი რომ მათი მოღვაწეობა შეიძლება სასარგებლო ყოფილიყო მხოლოდ ორი-სამი, ან მარტო ერთი ადამიანისთვის; ან და,

2. თავხელაღებულნი გაშურებულიყვნენ ცხოვრებისაკენ, ეკეთებინათ ყველაფერი, რასაც წუთი უკარნახებდა, ესე იგი მოეწყოთ საშინელი შეთქმულებანი, განეზრახათ მოკვლა პირველი შეხვედრილი მოწინააღმდეგისა, ეძიათ ჩხუბი და დუელი (როგორც პუშკინსა და ლერმონტოვს), ელაზღანდარნათ, ერთი სიტყვით, ეძიათ შემთხვევა, რომ რამენაირად სიცოცხლე მოესპოთ.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ახალგაზრდებს შესაძლებლობა როდი აქვთ არჩევანი მოახდინონ ამ ორ გამოსავალს შორის: ყოველ ახალგაზრდას კი არ ეყოფა ენერგია კატორღელივით იმუშაოს და ამავე დროს იცოდეს, რომ იგი სარგებლობას ანიჭებს მხოლოდ ორსამ, სულ ბევრი,—სამ ახალგაზრდას; ყველას როდი ეყოფა, მოთმინება, რომ თავი შეუკავოს აღშფოთების გრძნობას და მარად ჟამს წყნარი გამომეტყველება იქონიოს, როდესაც გულში ჯოჯოხეთის ალი უტრიალებს... საჭიროა განვითარების განსაზღვრული დონე, რომ სწორ გზას მიაგნო, ყველანი, ვისაც ასეთი ენერგია ვერ ჰყოფნის, ვისაც ეს მოთმინება და განვითარება არ გააჩნია, ფაქტიურად მეორე კატეგორიისთვის არის განწირული...

მაშ ასე, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის მიმართულება და რწმენა სავსებით უარჰყოფს ყოველგვარი coups d'etat-ის, ყოველგვარი მოკვლის განზრახვისა და სხვა მსგავს საქციელთა ყოველგვარ აზრს, ახალთაობის ერთი ნაწილი მთავ-

რობამ მიიყვანა სამწუხარო აუცილებლობამდე, რომ მან თავისი ძალა და ენერგია ხარჯოს უვარგის, უსარგებლო მოქმედებაზე, როგორიც არის 1866 წლ. 4 აპრილის გასროლა.

იტყვიან: ასეთი რევოლიუციური საშუალებანი თანდაყოლილი თვისებაა ახალთაობის არა მარტო ერთი ნაწილისა, არამედ მთელი ამ კლასისა. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელნიც სრულიად ვერ იცნობენ ახალთაობის მისწრაფებებს, თავის დღეში ხელთ არ ჰქონნიათ ახალთაობის წევრის მიერ დაწერილი არც ერთი სტატია, იოტისოდენადაც არ იციან მისი პროგრამა. თანამედროვე ახალთაობას ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილების ძირეულ ბოროტებად მიაჩნია ბნელეთის ორი ძალა: უვიცობა და სიღატაკე. ამ ორ ძალას ეყრდნობა საზოგადოდ თანამედროვე წყობილების ყოველგვარი უპირობა და სიბილწენი. ცხადია, ახალთაობას, რაკი საქმის ვითარება ასე ჰქონდა წარმოდგენილი, თავისი ძალ-ღონე სწორედ ამ ძალთა მოსპობისაკენ უნდა მიემართა, რათა მიზეზის მოსპობით მისი შედეგებიც მოესპო. ხალხის განვითარება, მისთვის ადამიანურ ცნებათა მიწოდება, რამდენადაც შესაძლებელია მისი განთავისუფლება სიღატაკისაგან, — აი, რა არის ახალთაობის პროგრამა. მასში არც პოლიტიკური, არც სხვა ოაიმე ეშმაკობა არის, არაა არც მყვირალა ფრაზები, არც ბჭყვრიალა შელოცვა და წყევლა, ერთი სიტყვით, არ არის არაფერი იმის მსგავსი, რის ყურადღებასაც შევჩვეულვართ ყოველდღიურ პოლიტიკურ პროპაგანდაში. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ თანამედროვე ახალგაზრდობა დარწმუნებულია საზოგადოებისა და ხალხის გონებრივი გარდაქმნის აუცილებლობაში; იგი დარწმუნებულია, რომ ტყუილ-უბრალო დროს დაკარგვა იქნება მთავრობის ორიოდე პირთათვის ნოტაციებისა და დარიგებების კითხვა. თანამედროვე საზოგადოებას შეუძლია თავშივე ჩაჰკლას ყოველი რიგიანი მთავრობის ყოველი ცდა, თუ იგი მის ინტერესებს არ შეეფერება. ხოლო იმისთვის, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში განვახორციელოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი საწყისები, საჭიროა გარდავქმნათ თანამედროვე საზოგადოების ცნებები, დავიწყოთ მისი გონებრივი განვითარება, ჩავკლათ მასში სხვის ხარჯზე ცხოვრების სურვილი და პატიოსანი შრომისადმი სიმპატიები აღვუძრათ.

ამნაირი ამოცანის შესრულება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური რევოლიუციის, 1830 ან 1848 წ. რევოლიუციათა მსგავსის მოხდენა. ახალთაობას მშვენივრად ესმის ამ საქმის სიძნელე, მაგრამ იგი ამ მოსაზრებით საქმეს თავს. როდი ანე-

ბებს. ამით ჩვენ სრულიად იმის თქმა არ გვინდა, რომ ახალთაობას საჭიროდ არ მიაჩნია საზოგადოებრივ გარდაქმნის საქმეში კანონმდებლობის ჩარევა, რომ მას აზრადაც არა აქვს გადაშინჯოს და გადააკეთოს ის კანონები, რომელზედაც თანამედროვე წყობილებაა დამყარებული. არა, ამ მხრით, ის ძალიან ნაკლებად იზიარებს სეის და შულცე-დელიჩის სკოლის შეხედულებებს. მაგრამ მისი აზრით, რათა პოლიტიკურსა, საკანონმდებლოსა თუ ეკონომიურ რეფორმას სათანადო სარგებლობა მოჰყვეს, აუცილებლად საჭიროა, მან წინასწარ მოიპოვოს საზოგადოებისა და ხალხის განაზღვრული ნაწილის თანაგრძნობა და მომხრეობა; აუცილებელია, მაშასადმე, საზოგადოების შეგნებაში შეტანა იმ ახალი იდეებისა, რომელთაც მომავალი რეფორმა უნდა დაეშყაროს.

საკითხავია, შესაძლებელია თუ არა სახელმწიფო საქმეების შესახებ ასეთი გაგება დავუკავშიროთ ახლანდელი ამა თუ იმ გავლენიანის სახელმწიფო ადამიანების წინააღმდეგ გალაშქრებას? რა მნიშვნელობა აქვს აწინაირი ხალხისათვის, ამნაირი შეხედულების მატარებელთათვის, რომელიმე ალექსანდრე მე-II, ნიკოლოზ I-ს, ან ვინც უნდა იყოს მათ ადგილას? არავითარი. ხელმწიფის პიროვნებას, მისი მინისტრების პიროვნებას სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ახალთაობისათვის, რომელიც ბოროტებას ეძიებს არა ზედაპირზე ან გარეგან ნახარეში, არამედ უფრო ღრმად,—მასების უვიცობასა და სიღატაკეში, როგორც უკვე ზემოდ ვთქვით. განა ახალი თაობა ოდნავ მაინც მიუახლოვდება თავის მიზანს იმ უბრალო გარემოების გამო, რომ ტახტზე ალექსანდრე მე-II-ის მაგივრად ეჯდომება ალექსანდრე მე-III, ან კონსტანტინე I-ი? ცხადია, არა. ტახტზე პირადს ცვლილებებს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათა პირადისავე შემადგენლობისათვის. ახალი თაობა კი განზე სტოვებს, ცოტა თუ დიდი ხნით, როგორც ტახტს, ისე სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებს: ახლა მას მათთვის როდი სცალია. ხოლო რაკი ხელმწიფის შეცვლას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია ახალთაობისათვის, აქედან ცხადია, რომ იგი სრულიად არაა დაინტერესებული არავითარი მისი მოკვლით, მინისტრთა არავითარი შეცვლით, როგორადაც დაინტერესებული არაა, მაგალითად, სასახლის კარის ლაქიების, ან საალკოვო ფრეილინების შეცვლით...

მაშასადამე 4 აპრილის სროლის მსგავსი საქციელი სრულიად არ შედის ახალთაობის პროგრამაში. მაშ რითი აიხსნება იგი? იმით, რომ მთავრობამ გონიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ახალგაზრდობას ყოველგვარი გზა მოუჭრა. ხოლო ცნობილია, რომ

მოქმედება ყოველი ცხოველი ძალის და მაშასადამე ახალთაობისაც,— ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს. როდესაც რაიმე ბუნებრივს მოთხოვნილების გამოვლინებას რაიმე უძლეველი დაბრკოლება ხვდება წინ, როდესაც მას საშუალება არა აქვს ბუნებრივი, ნორმალური გზით გამომჟღავნდეს, იგი აუცილებლად თავს იჩენს ხოლმე ყალბი, მცდარი მიმართულებით, მაგრამ მაინც თავს იჩენს. ეს აუცილებელია, ეს კანონია... ფრიად ბუნებრივია, რომ ახალგაზრდები, რომელთაც არ იციან, როგორ მოიხმარონ თავისი ძალ-ღონე, გულხელდაკრეფილნი როდი სხედან, არამედ ბუზებს ჰხოცავენ, სკანდალებსა სტეხენ, ცეკვავენ შპიც-ბალებზე, კონსპირაციას ეწევიან სარდაფებში, ისვრიან მოედნებზე. აქ, საკვირველი არა არის რა. აქ სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ასეთი მძლავრი ბუნების პატრონი ადამიანები იძულებულნი არიან თავისი ძალ-ღონე შეალიონ სრულიად ამაო საგნებს; რომ ისინი ენერგიას ხარჯავენ ათასნაირ კატკოვებისა და მურავიოვებისადმი სრულიად ამაო და უმიზნო წინააღმდეგობაზე; რომ ისინი ტყუილა-უბრალოდ, ამაოდ იღუპებიან, მაშინ როდესაც სხვა პირობებში ისინი შეიძლება რუსეთის საუკეთესო მოქალაქენი ყოფილიყვნენ და მათს მოღვაწეობას შეიძლება მისთვის უსარგებლოდ არ ჩაევლო. ხოლო ახლა ვინ არის დამნაშავე, თუ არა მთავრობა?

თანამედროვე წყობილების დამცველებს, მგონია, ბედად აქვთ დაყოლილი, რომ მუდამ ასე დაემართოთ ხოლმე და იმედი გაუცრუვდეთ: ჩაიდენენ ათასგვარ სისულელეს, შეცდომებს, ბოროტებასა და უბირობას. და როდესაც თვით მათვე დაანახვებენ მათს მოქმედებას, ისინი ქრისტესა და ღმერთს ფიცულობენ, ჩვენ როდი ჩაგვიდენია. ესაო... მაგალითად, ისინი ქალს გონებრივი მუშაობის ყოველგვარ ნიჭს უხშობენ, ტიკინასავით რთავენ, ეუბნებიან, რომ იგი მხოლოდ სიყვარულისთვის არის გაჩენილი; ხოლო როდესაც ქალი მათ უჯერებს და სიყვარულს აყვება ხოლმე, ისინი აზარტით იწყებენ ყვირილს—„გვიშველეთო“. გარყვნილებას აბრალებენ მას და სრულიად არ უნდათ შეიგნონ, რომ თუ ქალი გარყვნილია, მხოლოდ იმ როლის გამო, რომელიც ქალს მათ მიუჩინეს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. სავსებით ასეთივე ამბავი ემართებათ სამოსამართლო კაზუსებშიაც; იგივე დაემართათ კარაკოზოვის საქმეშიაც. აბა, მოდით, სცადეთ ერთი და დაარწმუნეთ ჩვენებური კონსერვატორები, რომ მათ ასწიეს კარაკოზოვის ხელი და რევოლვერი... ვერ მოგართვესთ! ნამდვილად კი ცხადია, რომ დამნაშავენი მხოლოდ ისინი არიან და სხვა არავინ!...

ეჰ, ეს კიდევ არაფერი იქნებოდა, კონსერვატორებს უნარი რომ ჰქონდეთ თავისი შეცდომების აღიარებისა, იმაში გამოტეხისა, რომ მათი მუშაობის შედეგები სრულიად ვერ აკმაყოფილებს მოლოდინს. არა! ისინი შედეგებს უარჰყოფენ და თავიანთ მუშაობაზე კი ხელს არ იღებენ. და აი, ამ გარემოების გამო ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენებური სიზიფები ხელახლა იწყებენ თავიანთ მარადიულს, ფუჭ შრომას. მათ ფიქრადაც არ მოსდით, რომ კარაკოზოვის საქციელი მათი შოღვაწეობით არის გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი, რომ ისინი ხელმწიფესთან ერთად პირველნი არიან დამნაშავენი ხელმწიფისადმი სროლაში; მათ, ალბათ, ფიქრადაც არ მოსდით, რომ კარაკოზოვი,—მათი ქმნილებაა. არა, ისინი ბოროტი სიხარულით ამბობენ, რომ „ბოროტმოქმედი ოდესღაც ფრიად უკიდურეს სოციალისტურსა და მატერიალისტურ შეხედულებებს აღიარებდა“. აი, როგორ შესტოპეს!.. ძალიან შესაძლებელია, რომ კარაკოზოვი მართლაც იზიარებდა ახალთაობის თეორიულს შეხედულებებს, მაგრამ აქედან სროლამდე—„как до звезды небесной далеко!“

„ახლა კი ჩვენ უკვე ვიცით,—ჰყვირიან კონსერვატორები,—თუ ვისი ბრალია ეს სროლა; მიმხვდარი ვართ, ვისმა ხელმა გასტენა საბოროტმოქმედო დამბაჩა და ვისმა ხელმა გამოსწია ჩახმახს ხელმწიფის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს დემოკრატებმა, სოციალისტებმა ჩაიდინესო“. დაე იმეორონ მათ თავიანთი იერემიადები ახალ მოძღვრებათა წინააღმდეგ, დაე ათასგვარად სდევნონ და შეავიწროვონ ახალთაობის ორიოდე გადარჩენილი წარმომადგენელი და აგრეთვე ისინი, რომელთაც უკვე დიდი ხანია სტანჯავენ ციმბირის მადნებში. ყველაფერი ეს არ ახალია, ძველია. მაგრამ ამნაირი ქადაგება ფრიად დამახასიათებელია ზემოთქმულს შემდეგ...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენებურ სიზიფებს. „ახლა კი მივაგენით ის ბოროტების ფესვს, რუსეთს ძირს რომ უთხრის; ახლა კი მოვახერხებთ მის მოსპობასაო. უნდა ცხადვყოთ მათთვის, როგორადაც დავუმტკიცეთ 4 აპრილის გასროლაში პირდაპირი თანამონაწილეობა,—რომ ისინი ვერასოდეს ვერ მოახერხებენ თავიანთი მიზნის მიღწევას. მართლაც და, რათა თავის მიზანს მიაღწიონ, ჩვენებურმა კონსერვატორებმა და ჩვენებურმა მთავრობის ლომებმა არა თუ მთელი ახალი თაობა უნდა შეთქვლიფონ და აღგაონ პირისაგან მიწისა, არა თუ კატორღული კარანტინი უნდა შემოავლოს ყველას, ვისაც რაიმე შორეული დამოკიდებულება აქვს მასთან; მათ თავის მომხრეებსაც უნდა აუკრძალონ ბავშვების ყოლა. ეს ცოტა ძნელი საქმეა, მაგრამ ამას მოითხოვს „სახელმწიფოს გადარჩენის აუცილებლობა“,

ამას მოითხოვს ოჯახისა და საკუთრების უწმინდესი ინტერესები; ეს აუცილებლად საჭიროა წოდებრივი ზღუდეების შესანარჩუნებლად.. - თუ არა ასე, ახლადშობილებსაც ძარღვებში ახალგაზრდა, მდუღარი სისხლი აუჩქეფდებათ; ისინიც დაიწყებენ საზოგადო მოღვაწეობის რაიმე ასპარეზის ძებნას, ისინიც ყოველგვარად შეეცდებიან საქმეს მოახმარონ თავისი უხვი ახალგაზრდული ძალები. რაღას იზამთ? მთავრობისა და კონსერვატორების ბნელეთის მოციქულობის გამო მოღვაწეობის ყოველგვარი გზა დახშულია; გონებრივი განვითარების ყოველი საშუალება მოსპობილია; ახალგაზრდებს საქმე არა აქვთ რა და ისინი დაიწყებენ კვარტალნების გაღიზიანებას ტანც-კლასებში ტანის მოძრაობის უხეშობითა და უზრდელობით; ისინი „პატიოსან“ ხალხს ტრაქტირებში შეაშინებენ ყვირილითა და ფანჯრების მსხვრევით, შიშის ხარს დასცემენ კონსერვატორულ პუბლიცისტებს კონსპირაციებით და ხელმწიფის, კატკოვის, მურავიოვის და შეიძლება ტრეპოვის მოკვლის განზრახვით. რათა ეს საშინელება თავიდან ავიცილოთ, რათა საზოგადოებრივი წყობილების ახლანდელი სახე იქნეს შენარჩუნებული—საჭიროა ისეთი მსხვერპლი, როგორიცაა ეგრედწოდებული რეფორმების ნატამალის მოსპობაც კი; საჭიროა მეუღლეთა უნაყოფობის დაკანონება ოჯახისადმი პატივისცემის დასაცავად; საჭიროა ახალგაზრდების ქონების კონფისკაცია—საკუთრების პრინციპის დასაცავად და სიკვდილით დასჯა, სიკვდილით დასჯა დაუსრულებლივ—განსაზღვრულ პირთა პირადი ხელშეუხლებლობის პრინციპის საქადაგებლად. კონსერვატორებს შეუძლიათ გაძლონ მხოლოდ თავისი თანმიმდევრობის წყალობით,—ყოველი დათმობა ჰკლავს მათ და მოწინააღმდეგეებს აძლიერებს. დაე კონსერვატორებმა პირდაპირ და მტკიცედ იარონ თავიანთ გზაზე; დაე საზოგადოებრივ ურთიერთობათა „უკუღმართ“ იდეებთან ერთად აღმოფხვრან ყველაფერი, რაც რომ ჩვენს საზოგადოებაში ფიზიკურად ჯანსაღი და ახალგაზრდაა. ამით ისინი მიაღწევენ თავის ბურჟუაზიულ-მჭლე იდეალს—შშვიდსა და წყნარს ნავთსადგურს, კომფორტაბელური გემთსადგომით, სადაც არ იქნება კბილთაღრჭენა და ალიაქოთი... მერე, რა, რომ ორიოდე დღის შემდეგ ეს სადგომი მათ საფლავად გადიქცევა? მათს დღესა და წუთისოფელს კი გახვდება და...

მერე? მერე არაფერი. ის იქნება, რასაც ღმერთი ინებებს.

ხუმრობა იქით იყოს და,—მართლაც, რა სურთ ჩვენებურს კონსერვატორებს? ნუთუ მათ ჰგონიათ, რომ ძირიან-ფესვიანად ამოაგდებენ იმ იდეებს, ახალთაობის პროგრამის საფუძველს რომ შეადგენს? რა სიბრიყვეა! თითქოს შეიძლებოდეს ადამიანს ამოჰგლიჯო

მისი რწმენა, თითქოს არსებობდეს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ერთხელ მოპოებული ჭეშმარიტების პოსპობა. ძველად კონსერვატორები ცდილობდენ მოესპოთ ქრისტიანების შემცდარი სარწმუნოება, უნდოდათ მოესპოთ მათში მესიის მომავალი მოვლინების შესახებ სრულიად უნიადაგო იმედი, მაგრამ თვითონვე დამარცხდენ ბრძოლაში. რამდენადაც უფრო ძლიერი იყო მათი გაბოროტება, მით უფრო მეტად და მძლავრად მტკიცდებოდა ქრისტიანობა... ახლა კი ცდილობენ მოსპონ არა სარწმუნოება, არამედ შეგნება, დრომოჭმული ძველაძვულით და დაჟანგებული გაზით სურთ ამოჰგლიჯონ ადამიანებს მეცნიერებისაგან მოპოებული ჭეშმარიტებანი და ისიც ისეთნი, რომელთა განხორციელებაც სასარგებლოა მასებისათვის, სასარგებლოა ყველა ახალგაზრდა, პატიოსანი ადამიანისათვის... თუკი ძველი ქვეყნიერების შეერთებულმა ძალამ ვერ ჩაჰკლა ქრისტეს რამოდენიმე ათეული გულუბრყვილო მორწმუნის ოცნება,—ოცნება, რომელიც, ნამდვილად რომ ითქვას, არც არავის ათბობდა, არც არავის აცივებდა,—რა ძალას შეუძლია გლეხში ჩაჰკლას რწმენა იმისა, რომ მიწა მისია; ან ჩაჰკლას ახარგაზრდას შეგნება, რომ ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად საჭიროა უძიძებოდ და ულალაოდ, უმამასახლისოდ ცხოვრება? ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რათა ვერ დაინახოს, რომ ამნაირი ძალა ქვეყნად არ მოიპოება...

ამაოა ჩვენებური კონსერვატორების ჩხირკედელაობა. ახლა ისინი თავის ვითომდა გამარჯვებას ღღესასწაულობენ, მაგრამ გულში მაინც დიდი ხინჯი აქვთ. მათ იციან, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ ახალი აზრები შეუძლებელია მოკვდეს, რომ ეს აზრები ბოლოს ეფრო მეტის ძალით იჩენს თავს; იდეა, რამდენიმე ადამიანის შეგნებაში მაინც შევა,—შეუძლებელია უკვალოდ დაიკარგოს. და აი, კონსერვატორები ველად მფუწოდებენ ჯოჯოხეთის და ქვეყნის პოლიციის ყველა ძალას, მაგრამ ამაოდ:

. . . То, что с жизни взято раз,
Не в силах рок отнять у нас!

წერილები

„სოვრემენნოსტ“-იდან

რუსეთის ემიგრაცია

(მასალებიდან თანამედროვე საზოგადოების შესასწავლად)

Притворной нежности не требуй от меня... ბარატინსკი.

ბ-ნმა კელსიევმა პეტერბურგში გამოსცა წიგნი, რომელიც, ალბად, ჩვენი საზოგადოების ყურადღებას მიაქცევს რუსეთის ემიგრაციაზე. ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, რათა გამოვთქვათ რამდენიმე შენიშვნა. ეს შენიშვნები გამოიწვიეს არა ბ-ნ კელსიევის წიგნმა,—რომელიც ჩვენ ჯერ არ წაგვიკითხავს,—არამედ რუს ემიგრანტთა ყოფა-ცხოვრებამ და იმ პირობებმა, რომლებიც ჰქმნიან ისეთ ადამიანებს, როგორიც არის ბ-ნი კელსიევი, და ისეთ მოვლენებს, როგორიც მისი მონანიებაა.

რუსი საზოგადოება სერიოზულად გაოცდა, როდესაც გაიგო ბ-ნ კელსიევის რუსეთში დაბრუნება, და იგი დღემდე ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს იმისაგან, რომ „ყოფილი ემიგრანტი“ თავის ფელეტონებში ზოგჯერ ობსკურანტიზმის საკმაოდ გრძელ ყურებს გამოაჩენს ხოლმე. „როგორ თავსდება,—ფიქრობს საზოგადოება,—ასეთი ჩამორჩენილი აზრები სხვა ნაპირიდან მოსული, მაშასადამე, უაღრესად ლიბერალური (კარგი აზრით) ადამიანის თავში, როგორ ულალატა ასეთმა კაცმა თავის საქმეს და როგორ დანებდა იგი მთავრობას?“ წინადაც ხშირად გაისმოდა ასეთი კითხვები და ეხლა, ბ-ნ კელსიევის მოგონებათა გამო, წინანდელზე უფრო ხშირად გაიმეორებენ ამ კითხვებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დადებით განმარტებას ამაზე მაინც ვერ ვეღირსებით. ეს ამტკიცებს მხოლოდ ჩვენი საზოგადოების სიმჩატეს, იმ საზოგადოების, რომელმაც, ინსტიტუტის მოწაფე ქალის მსგავსად, შეჰქმნა თავისთვის ემიგრაციის წარმტაცი სახე და რომელიც სახეზმაროდ არ შეშფოთდა ეხლა, როდესაც თავის წინაშე ხედავს არა იდეალური მისწრაფებებით გამსჭვალულ და მძლავრი ფრთებით შემოსილ „სანატრელ“ ადამიანს, არამედ კუდმოკვეცილ ფრაზიორს, რომელსაც ლიბერალიზმის გაზეპირებულმა არტიკულებმა ხელი არ შეუშალეს დამორჩილებოდა ყველა ღატაკის, მატერიალური და გონებრივი ავლა-დიდების სიძუნწით დაჩაგრული ღატაკის საერთო ბედს.

ასეთი შემთხვევა შეიძლება განმეორდეს და, ალბად, არც დაიგვიანებს მისი განმეორება, რადგან ის მიზეზები, რომელთაც პირველი შემთხვევა გამოიწვიეს, სრულებითაც არ მოსპობილან მას შემდეგ, რაც ბ-ნი კვლსიევი ნებაყოფლობით დაბრუნდა სამშობლოში.

ეს მიზეზები კი აი როგორია. რუს ემიგრანტთა უმრავლესობა, როგორც ყოველგვარი ემიგრაციის უმრავლესობა, როგორც, დასასრულ, ყოველი უმრავლესობა, ეხლანდელ თავის მდგომარეობაში მოჰყვა, ასე ვსთქვათ, უცაბედად, ისე, რომ მას არა ჰქონდა ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რას აკეთებდა, და სად მიდიოდა. მის მოქმედებას ხელმძღვანელობდა უმთავრესად ჭაბუკური, უაღრესად მწვავე სიძულვილი მთავრობისადმი, სურვილი იმოქმედოს მის წინააღმდეგ, მის საკნად,—და სხვა არაფერი.

საზოგადოების თავბრუდამხვევი ცხოვრება 1858-1863 წლებში ყმაწვილ კაცებს უნერგავდა სიძულვილს მთავრობისადმი და არ უტოვებდა მათ დროს გონებრივი განვითარებისათვის,—ისინი ვითარდებოდენ ცალმხრივად, ითვისებდენ მხოლოდ იმას, რასაც ესვა მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების თუნდაც ოდნავი ბეჭედი. აზრთა ეს ნამსხვრევები უდროობის გამო ვერ ასწრებდა გადახარშვას ჭაბუკთა გონებაში, იმ ჭაბუკთა გონებაში, რომელნიც დილიდან საღამომდე ყურს უგდებდენ ქუჩის ხმაურს და რომელთა გახურებულ გონებასაც ეს ხმაური ეჩვენებოდა ხან საყვირის ხმად, ხან კიდევ „საბედისწერო ბრძოლის“ ყიჟინად. უდროობის გამო, ეს ჭაბუკები თავიანთი ტვინის იდუმალ კუნჭულებში აგროვებდენ უფრო ძლიერ (მათის აზრით) გამოთქმებს, უფრო „გონიერ“ აზრებს და აფორიზმებს, და გულუბრყვილოდ ფიქრობდენ, რომ სწორედ ეს არის „რწმენის გამომუშავება“. დრო კი მიდიოდა, და ამ ჭაბუკთა გონებრივი ჰორიზონტი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, რადგან, პოლიციური თვითნებობის წყალობით, ისინი იძულებულნი ხდებოდენ შეეზღუდათ ნაცნობთა და ურთიერთობათა წრე.—მაშასადამე, შეეზღუდათ დაკვირვება ნამდვილ ცხოვრებაზე, შეეზღუდათ იმ უბრალო შთაბეჭდილების მიღებაც კი, რომელსაც ადამიანს გარემო აწვდის.

მეტ წილად მათი გონებრივი ავლა დიდება ისეთ დაბალ დონეზე იდგა, რომ ჭაბუკებს არ შეეძლოთ დაენახათ ჩვენი საზოგადოებრივი უბედურების მიზეზები, არ შეეძლოთ ეძებნათ ხსნა არა მაღალ ფრაზებში და იაფ ფასიან უარყოფაში. ამ დროს ისინი იძულებულნი გახდენ თავი დაემალათ მთავრობისაგან, რომელიც სდევნიდა ყველაზე უფრო უწყინარ არსებებს ამ ქვეყნად, ისეთ არსებებს, რომელთა მთელ დანაშაულს წარმოადგენდა გამოუცდელობა ან კიდევ სუ-

ლის უბრალოება, რაც ხშირად გონებრივ უბადრუკობას უახლოვდებოდა.

დევნილთა შორის უეჭველად იყვნენ ნიჭიერნიც. პირველმავე შეტაკებებმა სინამდვილესთან, მათ მიერ გადატანილმა პირველმავე უბედურებამ და არა, ცოტად თუ ბევრად, გონიერ წიგნებში ამონაკითხმა, აიძულა ისინი გადაემუშავებიათ ზეზეურად მიღებული აზრები, რასაც შედეგად მოჰყვა უკვე შეკნეტული, ნამდვილი სიძულვილი არა მარტო მე-III განყოფილებისადმი, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი წყობისადმი, რომელიც მათ ეხლა უკვე, საკმაო დაწვრილებით, საქმით გაიცნეს, ამოწმებდენ და ავსებდენ რა იმ ცნობებს, რომელიც წარმტაც „წიგნაკებიდან“ ამოეკრიბათ და რომლის აზრიც მათთვის უფრო და უფრო გასაგები ხდებოდა. ამრიგად ფართოვდებოდა მათი ცოდნის საზღვარი, და პირვანდელი ბუნდოვანი მისწრაფება უფრო და უფრო ხელშესახები ხდებოდა, უფრო და უფრო ისხამდა ხორცს და ერთხელ და სამუდამოდ არკვევდა ამ ბედნიერთა ცხოვრებისა და მოქმედების ხასიათს.

სხვა ჯაბუკთა ბედი სულ სხვანაირად მოეწყო: იმათ, ვინც მთავრობას ჩაუვარდა ხელში, შიშით დამფრთხლებმა ათობით გააბეს მახეში სრულიად გარეშე პირნი და რასაკვირველია, ყველაზე მეტად თვითონ გაებენ. დანარჩენებმა წყნარი ნავთსაყუდელი ჰპოვეს ოჯახურ ცხოვრებაში, გადაიქცენ საუცხოვო ათანასი ივანოვიჩებად და ნოზდრევეებად, და მხოლოდ რამოდენიმე კაცმა, რომელთაც საზღვარ გარეთ გაქცევით უშველეს თავს, შეინარჩუნეს დღემდე, მცირეოდენი ვარიანტებით, 1858-1863 წლების რუსი რევოლიუციონერის თაიგულის მთელი სურნელება. აი სწორედ ესენი შეადგენენ რუსეთის ემიგრაციის უმრავლესობას.

საკითხავია: მართებულად იქცევა თუ არა ის ადამიანი, რომელსაც, ყოველივე ამის შემდეგ, ვერ მოუსაზრებია, რომ ამ ემიგრანტებისაგან არ შეიძლება მოველოდეთ რაიმე სისტემატიურს, საქმიანს, მოფიქრებულს? განა უფრო გონიერი არ იქნება დავასკვნათ, რომ იმ ადამიანებისაგან, რომელთაც ასეთი უბადრუკი ბედი განიცადეს, თანაც დიდი მატერიალური სიმწარე გამოიარეს, უნდა მოველოდეთ ყოველგვარ წინააღმდეგობას, შეცდომას და გატაცებას ყოველი მხრით და მიმართულებით?

აქ საყურადღებოა არა ის, რომ არსებობს ცრუ მიმართულებით ან ცალმხრივად განვითარებული ათი-ხუთმეტი კაცი,—განა ცოტა სიმახინჯე გვხვდება ცხოვრებაში?! ხომ არ შეიძლება ყველაფერზე შეჩერება! ემიგრაციის საკითხში არის სხვა, ბევრად უფრო მნიშვნე-

ლოვანი შხარე, ვიდრე ათიოდე კაცის ესა თუ ის ბედი: ეხლანდელი ემიგრანტები, მშობლიური წრისაგან მოწყვეტის გამო და მათი ინტერესებისთვის უცხო ადამიანთა შორის კარჩაკეტილი ცხოვრების წყალობით, დაცულ იქნენ, როგორც ზევით ითქვა, თითქმის იმავე სახით, რა სახითაც მათ რუსეთი დასტოვეს. რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ამ იშვიათი შემთხვევით და არ შევაფასოთ მთლიანი ორგანიზმი იმ მოჭრილი ასოს მიხედვით, რომელიც საკმაოდ კარგად იქნა დაცული სპირტში? იქნებ მაშინ დავინახოთ, რომ ამ ასოს ბედი ბევრად არის დამოკიდებული მდელი ორგანიზმის მდგომარეობისაგან.

იყო დრო, როდესაც ეხლანდელი ემიგრანტების მსგავსი ხალხი ჩვენი საზოგადოების სიმპატიებით სარგებლობდა. ეს უეჭველია. მეტიც: იყო დრო, როდესაც საზოგადოება მთელ თავის იმედს ამ ხალხზე ამყარებდა, მისგან მოელოდა ხსნას. ეს დრო, როგორც ვიცით, არც იმდენად დაგვშორდა, რომ მაშინდელი ამბები ძნელი დასაჯერებელი იყოს.

იმათ, ვინც ყველგან და ყველაფერში ბოროტ-მომქმედსა და დამნაშავეს დაეძებს, შეიძლება ნათქვამიდან დაასკვნან, რომ ემიგრანტთა უბედობაში თვით ემიგრანტები არ არიან დამნაშავენი. ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ ამას ისიც, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან საზოგადოებას, რომელიც მთელი საუკუნოების განმავლობაში მიეჩვია ქედის მოხრას და სიჩუმეს, ცხადია, პირი უნდა დაეღო და გაოცებას მისცემოდა პირველი თავისუფალი ფრაზების გაგონების დროს და ამ ფრაზების ავტორები უნდა მიეჩნია რაღაც არა ამქვეყნიურ, ზენაარ არსებებად. რაღად უნდა გაგვიკვირდეს, თუ შორს-გამჭვრეტელობას მოკლებულმა ტრიუმფატორებმა მართლაც ჩასთვალეს თავი საზოგადო მოღვაწეებად და დაარწმუნეს საკუთარი მე თავიანთ საფუძვლიანობაში და იმაში, რომ სულ მეტია შემდგომი შრომა პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე სერიოზული მომზადებისთვის? როდესაც ფრაზების უნაყოფობა გამოაშკარავდა და როდესაც საზოგადოებაში გაისმა პირველი მოწოდებანი „საქმისკენ", ე. ი. ენერგიული და არა წვრილმანი წინააღმდეგობის გაწევისკენ მთავრობისთვის, უკეთესნი წინა მომენტის ფრაზიორთაგან გაეშურენ იქითკენ, საითკენაც მათ დღის გმირნი უხმობდენ. საზოგადოება კვლავ ტაშით აჯილდოვებდა, კვლავ აღტაცებაში მოდიოდა, ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა მათ, რაც უფრო მეტად აქეზებდა მებრძოლთ ყოველგვარი სალტო-მორტალის ჩასადენად.

„საზოგადოებაა დამნაშავე!" „საზოგადოება საზიზღარია!" — იტყვიან ისინიენ, ვინც მუდამ დამნაშავეს დაეძებს. მაგრამ თუ საქ-

მეს ჩაუკვირდებიან, დაინახავენ, რომ საზოგადოება სულაც არ მოქმედებდა წინასწარ-განზრახული მიზნით, რომ თვითონ იგი ემორჩილებოდა ადამიანთა ცხოვრების საერთო ბედს. საზოგადოება გრძნობდა თავისი მდგომარეობის სიმწარეს და ხსნას გარეშეთაგან მოელოდა, მას კანკალს აწყებინებდა გარეშე დახმარების მიღების სულ მცირედი იმედიც კი, და საკუთარი თავის მოტყუებას იგი იმ ზომამდე აზვიადებდა, რომ გულწრფელად სწამდა იმ ადამიანთა ძალა, რომელნიც მას ჰპირდებოდენ სრულ ხსნას ყოველგვარი ზნეობრივი და მორალური უბედურებისაგან, ამავე დროს მას ავიწყდებოდა, რომ ეს ადამიანები მთელ თავიანთ იმედს ამყარებდენ საზოგადოების ძალებზე, რომლის ენერგიული ყოფაქცევაც მათ ასეთი ხსნის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ. ადამიანი სუსტია, უფრო სუსტია საზოგადოება, ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ იგი გალიუცინაციამდე მივიდა, თუ მან არსებული ფაქტი ჩასთვალა იმად, რაც მისმა ოცნებამ შეჰქმნა. ამასთან, ნუ დავიწყებთ, რომ ამ საზოგადოების წარსულმა მშვენიერი ნიადაგი მოუმზადა ნერვიულ მოუსვენრობას და გალიუცინაციებს.

მაშ, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის დამნაშავე? ეცით რა, მოდით, ხელი ავიღოთ გამომძიებლობაზე: არავინ არ არის დამნაშავე ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში. იმისთვის, რომ ადამიანთა საზოგადოებამ შესძლოს რაციონალური ცხოვრება, საჭიროა არა ერთი პრაქტიკული გამოცდა და გაკვეთილი. ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები, დაწყებული ყირიმის ომიდან დღევანდელ დღემდე, ისეთი გაკვეთილების რიცხვს ეკუთვნიან, რომელთაც რუსი ხალხისაგან დიდი ძალღონე, მრავალი სისხლი და ფული მოითხოვეს. დასანანია ეს დანაკლისი, მაგრამ რას იზამ—უამისოდ კაცობრიობა, როგორც ეტყობა, ვერ ახერხებს ნაბიჯის გადადგმას წინ.

იმ მრავალი მსხვერპლიდან, რომელიც საზოგადოებრივ სისულელეს შეეწირა, ემიგრაციას წილად ჰხვდა ყველაზე უფრო ორაზროვანი როლი. ნამდვილი თუ გნებავთ, ეს ემიგრაცია არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და არც შეიძლება სხვა რამეს წარმოადგენდეს. ამავე დროს სამშობლოდან მას უყურებენ ერთნი შიშით, ხოლო სხვები იმედით, და ამ გულუბრყვილო მაყურებელთაგან არავის მოსდის აზრად მხედველობაში მიიღოს ამ მსწრაფლწარმავალი იმედებისა და შიშის ამაოება. ამასაც თავისი საფუძველი აქვს.—ადამიანს, საზოგადოდ, უყვარს მოელოდეს ყველაფერს სხვისაგან და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ბეჭდავს იგი გადასდგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც ცოტად თუ ბევრად არღვევს მის ჩვეულებებსა და

სიმშვიდეს: აღშფოთდით რამდენიც გნებავთ—ეს თვი ადამიანის ბუნებაშია, მაგრამ აღშფოთებით მას ვერ განდევნით. სწორედ ამას ეყრდნობა ის იმედი, რომლითაც, კეთილგონიერებისა და საკუთარი სარგის მიუხედავად, შეჰყურებენ ემიგრაციას. რაც შეეხება მთავრობის მუდმივ შიშს, არც ამ შიშის განდევნა შეუძლია ადამიანის ძალღონეს: მთავრობა იმდენ ნაკლსა გრძნობს, მას იმდენად სუსტად შეიარაღებული და მტრის ცეცხლისთვის სრულიად ღია ადგილი მოეპოვება, რომ იგი არასოდეს არ დაიჯერებს და არც შეუძლია დაიჯეროს თავისი ვითომდა მტრის უმოქმედობა, რომლისთვისაც, როგორც მთავრობა ფიქრობს, საკმაოა თვალის გახელა და წადილი, რომ გაიმარჯოს ან საგრძნობი ზიანი მიაყენოს მთავრობას.

როგორც ხედავთ, არ შეიძლება გაფანტვა არც იმედებისა და არც იმ შიშისა, რომლითაც მთავრობა არის შეპყრობილი, ხოლო შეუძლებელისთვის თავის გამოდება არა ღირს. მაგრამ ამ გრძნობების გარდა, არის მესამეც, რომლის შეცვლაც ნაწილობრივ შეგვიძლია. ეს არის იმედის გაცრუება, რომელსაც განიცდიან ბევრნი ემიგრანტების ამა თუ იმ საქციელის შესახებ ცნობის მიღების დროს და რომელიც განსაკუთრებულის სიცხადით აშკარავდება ბ-ნ კელსიევის რუსეთში დაბრუნების გამო.

ზემოდ ითქვა, რომ იმედის გაცრუება გულუბრყვილობა იყო, ისეთივე გულუბრყვილობა, როგორიც იყო საკუთარი ოცნების ნაყოფით გატაცება. აქ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ იმედის გაცრუება მეტი იყო (მაშასადამე, მეტი იქნება შემდეგშიაც, თუ კვლავ განმეორდა ასეთი რამ) იმიტომაც, რომ ემიგრანტები, რამდენადაც ჩვენ გვგონია, არ არიან თანამედროვე წყობისა და მთავრობის ისეთი დაუძინებელი მტრები, როგორადაც მათ გულუბრყვილოდ თავი მოაქვთ და როგორ მტრებადაც ზოგჯერ მათ თავიანთი თავი მიაჩნიათ.

გულახდილად თუ ვიტყვით, ჩვენ ემიგრანტებს ძალიან ნაკლებად აქვთ გარკვეული იმ უკმაყოფილების მიზეზები, რომლებითაც ისინი არიან გამსჭვალულნი მთავრობის წინააღმდეგ, მეტიც: ჩვენ გვგონია, ეს მიზეზები სულ არ არსებობენ, რომ უკმაყოფილება მხოლოდ მოგონებაა, ისეთივე მოგონება, როგორიც არის რელიგიური დოგმატები განუვითარებელი ხალხისთვის, და რომ ეს უკმაყოფილება სრულებითაც არ უშლის ხელს მათი ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობას, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მთავრობასთან ან მისადმი სიძულვილთან. მართლაც და, როგორ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, რომ რაიმე სერიოზული სიძულვილით იყოს გამსჭვალული ის ხალხი, რომელიც უკვე ხუთი წელიწადი გულხელდაკრებილი ზის

და თავის უკმაყოფილებას და გრძნობებს გამოხატავს წვრილმანი ჭორებით მთავრობის პირებზე, აგრეთვე მაღალი ფრაზებით დესპოტიზმის ძალმომრეობაზე და მეფის საზიზღრობაზე.

აქ საჭიროა შენიშვნა. საზოგადოება მიეჩვია, რომ, ახალგაზრდობის გარდა, ემიგრანტების რიცხვში მოაქციოს ბჟნნი გერცენიც და ოგარევიც. თავის-თავად იგულისხმება, რომ, როდესაც წინა სტრიქონებს ვწერდით, ჩვენ ესენი მხედველობაში არ გვყოლია; მათი განვითარება და მოღვაწეობა სულ სხვანაირი იყო, და ეს მოღვაწეობა სრულებითაც არ შეადგენს საზოგადოების პათოლოგიის ნაწილს. მიუხედავად ამისა, ეს უკმაყოფილება მთავრობით გამოიხატება უფრო სიტყვით, ვიდრე საქმით. „კოლოკოლ"-ის გამომცემელთა იდეალები, მათი მისწრაფებანი, სიმპატიები და ანტიპატიები ჩამოყალიბდენ ოცდაათიან და ორმოციან წლებში, მაშინ კი ძნელი იყო მისწრაფება იმისკენ, რაც ახლა საქმით უკვე განხორციელდა. ახლა იმ დროის საუკეთესო კაცთა მისწრაფება მთავრობამ უკვე დააკმაყოფილა, და როგორც არ უნდა ეცადოს „კოლოკოლ"-ი შეუქმნას მთავრობას ოპოზიცია, იგი თავის ოპოზიციას საფუძველს ვერ გამოუძებნის, გარდა ისეთი უმნიშვნელო შემთხვევებისა, როგორიც არის გერმანელის არჩევა „რუსეთის წარმომადგენლად" საფრანგეთის მეფესთან ან სამოქალაქო უწყების მკვლელთა სიკვდილით დასჯა, ნაცვლად იმისა, რომ მათთვის სამუდამო ან ოცი წლის კატორღა გადაეწყვიტათ.

ჩვენ გავიხსენეთ ეს არა იმიტომ, რომ ვთქვათ რაიმე საწყენი „კოლოკოლ"-ისთვის. ცუდი არაფერია იმაში, რომ მისმა მოწინააღმდეგემ განახორციელა ის, რის განხორციელებაც „კოლოკოლ"-ს სწადდა. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ უეჭველ ფაქტს, რომ ახლა „კოლოკოლ"-ის გამომცემლებს სანატრელი აღარაფერი აქვთ, რომ ისინი ვეღარაფერს უსაყვედურებენ მთავრობას (თუ არ ჩავთვლით წვრილმანებს, ხოლო წვრილმანების უყურადღებობა არც „მოსკოვსკი ვედომოსტი"-ს სჩვევია), რომ მათ სიძულვილის საბაბი აღარა აქვთ და რომ ადრე თუ გვიან ხომ უნდა გათავდეს რითიმე ეს აურზაური. ესევე ხდება, — თუ ჩვენი დაკვირვება არ გვატყუებს, — ემიგრაციაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „კოლოკოლ"-ის გამომცემლებს თავის დროზე მეტად დიდი, ცხოველი და თამამი იდეალები ჰქონდათ, რომლისკენაც ისინი მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში პატიოსნად და გატაცებით მიილტვოდენ, ხოლო ახალგაზრდა ემიგრანტებს არასოდეს არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდათ, მათ მხოლოდ სისხლი უდუღდათ და ამ სისხლთან ერთად დაშოშმინდა „ცხოვრე-

ბის ყველა საკითხი“ და ყოველგვარი მისწრაფება გაურკვეველი უკეთესისადმი.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთ მდგომარეობაში ემიგრაცია დიდხანს ვერ დარჩება. რა გამოსავალს ჰპოვებს იგი—ეს საიდუმლოების წყვდიადით არის მოცული, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ემიგრანტი არ აღმოჩნდება ისეთი გონიერი, შორსგამჭვრეტელი და თანმიმდევარი, როგორც ბ-ნი კელსიევი, ე. ი. ყველა არ შეურიგდება თავის ვითომდა მოწინააღმდეგეს და არ დაბრუნდება სახლში, რათა ისარგებლოს ჩასუქებული ზვარაკით, რაც ასე ესაჭიროება მათ. ეს, გულახდილად უნდა ვთქვათ, ჩვენ ძალიან სამწუხაროდ მიგვაჩნია. მაგრამ რაკი არ მოველით მათგან ასეთ გაბედულ ნაბიჯს, გამოვთქვამთ იმ აზრს, რომ ურიგო არ იქნება, თუ ისინი, ყოველ შემთხვევაში, აშკარად „დაადგებიან კერძო ცხოვრების გზას“ და უზრუნველჰყოფენ თავიანთ თავს, ერთის სიტყვით, გახდებიან შვეიცარიის მშვიდობიან მოქალაქეებად, უწყინარ ბურჟუებად—ვაჭრებად, მკერავებად, ექიმებად, რადაც გნებავთ, მხოლოდ არა პოლიტიკოსებად და აგიტატორებად: ამ ასპარეზზე მათ უკვე გამოააშკარავეს თავიანთი უძლურება და უუნარობა.

ორი თაობა

Пережитое и передуманное. Воспоминания В. Кельсиева. С. Петербург, 1868.

ის აშკარა წინააღმდეგობანი და უამრავი შეცდომანი, რომლებითაც აღსავსეა ბ-ნი კელსიევის წიგნაკი, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კარგად ამ პუბლიცისტის დაუნდობლად დაცინვისა და მისი უაზრო და უნაყოფო მოღვაწეობის მკაცრად გაკიცხვისათვის. მაგრამ ბ-ნი კელსიევის მფგონებათადმი კრიტიკის ასეთი დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამის სავსებით ღირსია, ჩვენ ძალიან ზერელე საქმედ მიგვაჩნია. ჩვენ არავითარი ხალისი არ გვაქვს ამნაირად მოვეპყროთ მას, მით უმეტეს, რომ ჩვენებურ პუბლიცისტიკაში არ ყოფილა და არც იქნება ნაკლებობა იმნაირი ადამიანებისა, რომელნიც მეტნაკლები საბუთიანობით, მეტნაკლები გონებამახვილობით მის შუბლზე გახურებული შანთით ამოსდაღავენ სამარცხვინო სახელს — „რენეგატისას".

ჩვენ ძლიერ ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენებური კიფა მოკიევიჩების ყაყანს იმაზე, თუ რა და როგორ უნდა გაეკეთებინა ბ-ნ კელსიევს და რატომ მოიქცა იგი ასე და არა ისე. ჩვენ შევჩერდებით იმაზე, თუ რა ჩაიდინა მან და რას გვასწავლის მთელი მისი ნამდვილი ცხოვრება და არა იმაზე თუ როგორი იქნებოდა ეს ცხოვრება, თუ რომ და ვინიცობაა... საქმე არ ყოფილიყო... და სხვა. თუ ბ-ნი კელსიევის საქმისადმი ასეთი მოპყრობა ჩვენში ერთგვარ სინანულს იწვევს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ფურცლის ფარგლები ნებას არ გვაძლევს მკითხველებს დავუხატოთ მისი განვითარებისა და მოღვაწეობის სრული სურათი, იძულებულს გვხდის ორიოდე მთავარ შენიშვნას დავჯერდეთ.

ბ-ნი კელსიევის წიგნიდანა სჩანს, რომ იგი განვითარებულა საფრანგეთის რომანტიული ლიტერატურის (სპუს, დიუმას და სხვ. თარგმანების წყალობით) და რუსეთის მაშინდელი ეგრედწოდებული „ნატურალური სკოლის" გავლენის ქვეშ. პირველი აწვდიდა მის გონებას, მის „მისტიურ განწყობილებას" საზრდოს და უღვიძებდა ათასგვარ „მალალფარდოვან მისწრაფებებს. იგი ხიბლავდა მის გონებას

ან ოქროს მაგრად ჩაკეტილ კოშკებში ჩამწყვდეული მზეთუნახავების სახეებით, ან საიდუმლო შეთქმულებებით, რომელსაც მოსდევდა ეშაფოტისაკენ მიმართული დიადი პროცესიები, ჯალათის ცული და მახვილი და სხვა ამნაირი კუთვნილება ცხარე და გამახელებელი ლიტერატურისა. ეს მიმართულება, „აკრძალულ წიგნებთან“ ერთად, ბ-ნ კელსიევს, გარდა ზემოხსენებულისა, უღვიძებდა მაღალ „იდეალებსაც“: ჩაგრულთადმი სიყვარულს, შეუბრალებელი ტირანებისაგან მათი განთავისუფლების სურვილს, „რევოლიუციონური თავგადასავალისადმი“ მისწრაფებას და ა. შ. ნატურალური სკოლა, ესე იგი გოგოლისა და მისი მიმდევრების სკოლა (ბელინსკი! მას, რასაკვირველია, არ წაუკითხავს, რომ წაეკითხნა კიდეც, ვერ გაიგებდა); ამ მისწრაფებებს ასე თუ ისე ადამიანურ ხასიათს აძლევდა, ე. ი. არ-თმევდა მათ ოჩაფეხურ ხასიათს და ცოტაოდენ ბუნებრივ იერს აძ-ლევდა.

ამას დაერთო წრის გავლენა, მაგალითად პეტრაშევსკის შეთ-ქმულების ისტორია, რომელიც ბ-ნი კელსიევის გონებაში ამნაირად ალაბეჭდა:

„პეტერბურგში შეთქმულობაა, ვიღაც შეთქმულნი, ვიღაც საში-ნელი ადამიანები შეკრებილან, ამბოხება უნდოდათ მოეხდინათ.

„ყველაფერი შეიძრა, თითქოს რაღაც მოჩვენება, რამ გამოჩე-ნილიყოს, თითქოს მშვიდი და მხიარული სეირნობის დროს ყურთან ტყვიას გაეზუზუნოს. მაშინვე წარმოვიდგინე საზარელი, ფერმკრთალი ფიგურები გრძელი წვერებით (წვერის გაშვება მაშინ ჯერ კიდევ აკრ-ძალული იყო), გრძელი თმებით, წითელსარჩულიანი ფართო მოსასხამე-ბით, ხანჯლებითა და საწამლავებით; ისინი ფიცს სდებდენ, ადამიანთა-თავის ქალაზე, საკუთარი სისხლით აწერდენ ხელს, რაღაც შემზარავ საქმეს აკეთებდენ“ (გვ. 265).

ბ-ნი კელსიევის გონებრივი განვითარება წინ ვერ მიდიოდა. იგი გაიტაცა იდეალებმა, შეეჩვია აკრძალული წიგნების ფრაზებს, შეიყვარა ბ-ნი გერცენისა და 1853—1855 წლების ჩვენებური პატ-რიოტების სიტყვების გამო რუსის ხალხისა და რუსეთის მიწა-წყლის სიდიადე და გულწრფელად იწყო ქადაგება ტირანებისადმი სიძულ-ვილისა და სლავების საერთოდ, ხოლო რუსებისა კერძოდ—დიადი მომავალის ქადაგება.

ამასობაში რუსეთის ლიტერატურაში—არა აკრძალულში და არა ბელეტრისტულში, რომელიც ამიტომ ბ-ნი კელსიევის და მის მსგავს მოლვაწეთა ყურადღების ღირსი ვერ ხდებოდა,—სწარმოებდა სხვაგვარი მუშაობა: მაშინდელი ახალი თაობის წარმომადგენელნი,

ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი არკვევდენ იმ მიზეზებსა და ჩაგვრის პირობებს, რომელიც მძიმე ლოდად აწვა რუსეთის მაშინდელ ცხოვრებას; ისინი დაუღალავად ამტკიცებდენ „სვისტოკის“ გრძელსა თუ მოკლე სტატიებში და კრიტიკულ წერილებში, რომ ეს ჩაგვრა არც თუ ისეთი მოჩვენებითია, როგორადაც მრავალ ახალგაზრდას წარმოუდგენია და რომ რუსეთის ცხოვრების საზიზღარი მხარის წარმომადგენელნი მხოლოდ ჟანდარმები და მხოლოდ მესამე განყოფილება როდი წარმოადგენდა. ისინი ყოველ მოხერხებულსა თუ მოუხერხებელ დროს ცდილობდენ ის აზრი გაევრცელებინათ, რომ უნაყოფოა მაღალფარდოვანი ფრაზების ხარჯვა სახელმწიფოებრივი ცხოვრების საერთო წყობილების წინააღმდეგ ან მის საწინააღმდეგოდ უნაყოფო ლაშქრობანი. ისინი ამბობდენ: ახლა აუცილებელია ჩვენს მიერ ათვალწუნებული ყოფაცხოვრების ოდნავ მაინც შესაცვლელად უფრო მოსაზრებული და პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ, ჩვენი პირადი და ჩვენი ახლობლების ცხოვრება მოვაწყოთ იმნაირ საფუძველზე, რომელიც პატიოსან და სამართლიან საფუძვლად მიგვაჩნია, რათა ამით თანდათანობით შევქმნათ ის ძალა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველის უფრო ფართოდ და რეალურად გარდაქმნას შესძლებსო.

ბ-ნს კელსიევს ასეთი აზრები თავისი აგზნებული გონებისათვის ნაკლებად გაძოსადეგ საზრდოდ მიაჩნდა და, ცხადია, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ეს ყველაზე უფრო კარგად სჩანს იმ საბრალო სტრიქონებში, სადაც იგი ცდილობს დაახასიათოს რუსეთის საზოგადოებისადმი დობროლიუბოვის დამოკიდებულება. დანარჩენ კელსიევებს ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი „ოპოზიციონურ ლიტერატურად“ მიაჩნდათ. გატაცებულნი იყვნენ რა ამ ოპოზიციონური ხასიათით,—ესე იგი „Современник“-ის მოღვაწეობის მხოლოდ ერთი კერძო მხარით,—ისინი სრულიად ვერ ამჩნევდენ დანარჩენს, ზეპირად სწავლობდენ სტატიებს, მაგალითად სტატიას „Научились ли?“ „Третий сон Веры Павловны“, ალიუმინის სასახლის აღწერასა და სხვა, და გულწრფელადა და გულმართლად სჯეროდათ, რომ „Современник“-ის აზრებს იზიარებდენ. ამ ჟურნალის პროპაგანდის დადებითი მხარე მათთვის აქამდე ჯერ კიდევ ჩინურ ანბანს წარმოადგენს.

ამასობაში ცხოვრება წინ მიდიოდა. დაიწყო სხვადასხვა რეფორმები. ჰოი, საკვირველებავ—„უსაშინელესმა“ მესამე განყოფილებამ თავის ჟანდარმებს უბრძანა: ცემატყეპას თავი ანებეთ და პოლიტიკურ დამნაშავეებს დაპატიმრების დროს ზრდილობიანად მოე-

ქეცითო*). ჟურნალებს ნება მიეცათ კრინტი დაეძრათ „Колокол"-ზე, სლავთა „განთავისუფლებაზე" და ებეჭდნათ ფრაზები ადმინისტრაციის თვითნებობის წინააღმდეგ, „წარმომადგენლობითი ერობის" დასაცავად. ჩვენებური ყალბი რევოლიუციონერების ცნებები ყირამალა გადატრიალდა და წინანდელი რწმენის (რომელიც სულ რაღაც ხუთმეტ წუთში შეემუშავებინათ) მაგივრად თავი იჩინა ბრიყულმა ჯიუტობამ, დროშისადმი „არ ღალატის" სურვილმა. მათს უკმაყოფილებას სხვა საფუძველი არა ჰქონდა რა და შეუბრალებელმა მთავრობამ, თავისი ტირანიული პრინციპისადმი ერთგულმა, ახლა ფეხქვეშ უკანასკნელი ხაყრდენი გამოაცალა.

ტზრუნველყოფილ, მუშაობაში თუ შრომის რაიმე მსგავს საქმიანობაში დაბანდებულ ადამიანებს იოლად შეუძლიათ აიტანონ ასეთი მდგომარეობა: მათ შეუძლიათ თვალი დახუჭონ სინამდვილის წინაშე და მუდმივობის მოსასხამში გაეხვიონ. სულ სხვანაირია ბედი მშივრებისა, რომელნიც ებრძვიან გაჭირვებას. განსაკუთრებით მძიმეა მათი მდგომარეობა, როდესაც ისინი ხალხთან დაახლოებულნი არიან. მათ იციან, რომ შეუძლებელია ხალხის დაძვრა მთავრობასთან „საბრძოლველად" რაიმე აბსტრაქტული რელიგიური რწმენისა თუ მესამე განყოფილებისადმი სიძულვილის სახელით, იმ მესამე განყოფილებისა, რომელთა ჟანდარმებსაც, გარდა ყველაფვრ ზემოხსენებულისა, უბრძანეს, რომ „ცემატყეპისთვის" თავი დაენებებინათ. ბ-ნი კელსიევი მოჰყვა ამ კალაპოტში და რასაკვირველია, ხელი აიღო თავის გატაცებაზე.

სინამდვილისადმი დაკვირვებამ, რომელმაც იგი შიიყვანა იმ რწმენამდე, რომ შეუძლებელია მასების დაძვრა ტირანიისადმი სიძულვილის სახელით, იძულებულად გახადა იგი სხვაგვარი დასკვნაც გამოეტანა. ამოვწერთ ამ დასკვნას მთლიანად:

„წინად ყოველგვარი საქმე მიჩნეულ იქნებოდა ხოლმე კეთილ ან ავ საქმედ მხოლოდ და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებდა იგი მეცნიერებისა და აზროვნების უკანასკნელ მოთხოვნილებას. წინად, რაც უფრო დაუნდობელი იყო განაჩენი, მით უფ-

*) შეუძლებელია ჩვენი სიტყვებით გადმოგცეთ ის აღტაცება, რომლითაც განიმსჭვალა ბ-ნი კელსიევი, როდესაც დაინახა, რომ რუსის მოხელეები მას „ადამიანურად" მოეპყრნენ. მართალია იგი შეშფოთდა, როდესაც მას ეჭცეოდენ, სულ რაღაც რამდენიმე წუთის განმავლობაში, როგორც „ჩვეულებრივ" დამნაშავეს. მაგრამ ეს წვრილმანია. კიდევ უფრო აღტაცებულია იგი იმით, რომ ჟანდარმებს ნაბრძანები აქვთ ცემატყეპას თავი ანებონ. აღტაცებამ, რასაკვირველია, ხელი შეუშალა მას, მოჰგონებოდა, რომ ჟანდარმები ასეთისავე ერთგულებით ასრულებდენ და შეასრულებენ ამის საწინააღმდეგო ბრძანებასაც, რომლისაგან საზოგადოება ჯერჯერობით ბრაფრით არ არის უზრუნველყოფილი.

რო პატივს სცემდენ მას და მით უფრო სამართლიანად ეჩვენებოდათ იგი. თავისუფალი და გაბედული ხელით ანადგურებდენ ყველაფერს, ვინც უფრო გაბედულად უარყოფდა, ის იყო ყველაზე ქკუიანად და შორსმჭვრეტელად მიჩნეული და ეს უარყოფა მეორე ვნებად იქცეოდა. შეიკრიბებოდა ხუთი-ექვსი კაცისაგან შემდგარი წრე, ხმაურობდენ, ყვიროდენ; ყველანი ლაპარაკობდენ, არავინ არავის ყურს არ უგდებდა და ყველანი ცდილობდენ საკითხი დაეყვანათ მის თავდაპირველ საფუძვლამდე, სწორედ იმ საფუძვლამდე, რომელზედაც არაფერი პრაქტიკული და საცხოვრებო არ შეიძლება აეგოთ. თუ ერთი წამოიძახებდა სიტყვა „ბუდოჩნიკს", მეორე წამოიყვირებდა კონსტიტუციას, მესამე შთაგონებულად ჰქადაგებდა რესპუბლიკას, მეოთხე სოციალიზმს, ხოლო მეხუთე ყველას ამშვენებდა გონიერი საწყისებით, რომელიც არსებითად წარმოადგენდა განცხადებას: ყველა არქიებში ყველას მაინც მონარქია სჯობსო. ეს იყო ხანა სევასტოპოლთან დამარცხების შემდეგ ჩვენი უცაბედი გამოღვიძებისა; თითქოს ყველანი უცბად ძილისაგან გამოვერკვიეთ,—თვალს სინათლე სჭრიდა, ახალი იდეები მძლავრად იპყრობდა გრძნობას, თავს და გულს. და ჩვენ ახალი ჭეშმარიტებებით გატაცებულნი, ვამხობდით ყველა ძველს, ვამსხვრევდით ძველს კერპებს, ყველაფერს ვანგრევდით და თუ რასმე ვქმნიდით, მხოლოდ საკუთარ ფანტაზიაში. ეს იმ უბრალო მიზეზებისა გამო, რომ ჩვენ, პოლიტიკურ ცხოვრებასა და ყველაფერ იმ მხრით გამოუცდელობის გამო, რაც კაბინეთურისა და სალონურ ცოდნათა ფარგლებს სცილდებოდა, ნამდვილად არაფრის შექმნა არ შეგვეძლო"... (227—229).

აღინშნავს რა, რომ „პრინციპებზე ახლა ნაკლებად ლაპარაკობენ", ბ-ნი კელსიევი განაგრძობს:

„...ფანტასტიურმა წარმოდგენებმა a priori დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა, ფრაზას აზრი დაეკარგა, პრაქტიკულმა მხარემ სძლია თეორიული და ცხადია, ახალი საზოგადოება ამზადებს და გამოიმუშავებს ახალ მოღვაწეებს, რომელნიც წინ წაიყვანენ რუსეთს არა ფრაზის, არა უტოპიათა გულისათვის, არამედ შესაძლებელის გულისთვის, არც ძალიან წინ გაუსწრებს და არც დაივიწყებს, რომ „довлеет дневи злоба его" (230).

ფრიად სამწუხაროა, რომ ბ-ნი კელსიევის ცხოვრება სრულიად ამაოდ დაიმსხვრა და უფრო ცუდი კიდევ ის არის, რომ დაამსხვრია ბევრ სხვათა ცხოვრება, უფრო ძვირფასი არსებობა, რათა მისულიყო იმ დასკვნამდე, რომელსაც დიდი ხანია მიაღწია რუსეთის ლიტერატურამ. ამის დასადასტურებლად ჩვენ მოვიყვანთ ორს ამონაწერს,

რომელიც სრულიად ზედმეტი არაა ჩვენებური ახალგაზრდა „მოღვაწეებისათვის." სტატიაში „Литературные мелочи прошлого года" („Современник", 1859, № 1) დობროლიუბოვმა შემდეგნაირად დაახასიათა თავისი წინა თაობა:

„ამ თაობის ხალხი გამსჭვალული იყო მაღალი, მაგრამ რაოდენადმე განყენებული მისწრაფებებით. ისინი ესწრაფოდენ ჭეშმარიტებას, სიკეთე სურდათ, მათ ხიბლავდა მშვენიერება. მაგრამ ყველაზე მაღლა მათთვის პრინციპი იდგა. პრინციპად კი სახავდენ ზოგად ფილოსოფიურ იდეას, რომელიც მიაჩნდათ მთელი თავისი ლოგიკისა და მორალის საფუძვლად. ეჭვებისა და უარყოფის საშინელი ტანჯვით ჰპოვეს მათ თავისი პრინციპი და ვეღარასოდეს ვერ ახერხებდენ მის მძიმე და მომაკვდინებელი გავლენისაგან განთავისუფლებას. რაღაც პანთეისტური იყო მათ მიერ პრინციპის აღიარებაში: ცხოვრება მათთვის პრინციპის მსახურება იყო, ხოლო ადამიანი—პრინციპის მონა. ყოველი საქციელი, თუ იგი პრინციპს არ ეგუებოდა, დანაშაულობად იყო მიჩნეული, დაშორდენ რა, ამნაირად, სინამდვილეს და შესწირეს რა თავი პრინციპის მსახურებს, მათ შესაფერისად ვერ შეაფასეს საკუთარი ძალები და ბევრად იმაზე მეტი იკისრეს, ვიდრე მათ შეეძლოთ. მათს უმეტესობას მხოლოდ გონებით ჰქონდა შეგნებული პრინციპი და ამიტომ მარადის თავს ძალას ატანდა იმნაირი საქციელისათვის, რომელიც სრულიად არ ეგუებოდა მათს ბუნებასა და ზნეჩვეულებას. აქედან იყო მარადის ყალბი მდგომარეობა, საკუთარი თავის უკმაყოფილება, საკუთარი თავის გამაგრება და დაიმედება მაღალფარდოვანი ფრაზებით და მარადიული უხეირობა და მარცხი პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მათ ჩინებულად ჰქონდათ შეთვისებული განყენებული ლოგიკა, მაგრამ სრულიად ვერ იცნობდენ ცხოვრების ლოგიკას. ამიტომ იოლ საქმედ მიაჩნდათ ყველაფერი, რაც იოლად გამოიყვანებოდა სილოგიზმის საშუალებით, მაგრამ იმავე დროს მთელ ცხოვრებას სისხლსა და ხორცს აცლიდა, ცდილობდა თავის ლოგიკურ ფორმებში ძალით ჩატევას. შეიძლება ყველაფერი ამისათვის მათ თავი დაენებებინათ კიდეც, ცხოვრების წყნარი მსვლელობისათვის ოდნავ ჩაკვირვება რომ მოესწროთ. მაგრამ ბედი მათდამი ფრიად მკაცრი აღმოჩნდა: მან სასტიკად გადააბრუნა მრავალი საერთო და კერძო განსაცდელით და ისინიც დარწმუნდენ, რომ ცხოვრება არაკანონიერია და სულელური, რომ მხოლოდ პრინციპია ჭეშმარიტება და კანონიერი. მათ იწყეს გულმხურვალე ბრძოლა პრინციპისათვის, მაგრამ წააგეს ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე ბრძოლა და დაინახეს, რომ შემდგომი ბრძოლა შეუძლებელი იყო. მძიმე უკმაყოფილება-ღა

დარჩათ მათ გულში, მაგრამ არც ეს ყოფილა მთლიანი, მძლავრი და მომქმედი, ვინაიდან თვითონ ისინი არ იყვნენ მთლიანი ადამიანები".

და მეორე, შეეხო რა თანამედროვე ახალგაზრდა თაობის დახასიათებას, დობროლიუბოვმა მოგვცა შემდეგი პროგრამა:

„გარდასული თაობის ნაოფლარის გამო, ამ ადამიანებს პრინციპი ხვდათ უკვე არა ისეთი დიდი გაჭირვებით, როგორადაც მათს წინამორბედებს. ამიტომ ისინი არც თუ ისე მძლავრად იყვნენ მიჯაჭვულნი მასზე: მათ ჰქონდათ მისი შესაძლებლობის და ცხოვრებასთან შეფარდების საშუალება. შიშოიხედეს რა თავის გარშემო, გადასულ თაობათა ბუნდოვან აბსტრაქციათა და აჩრდილთა მაგივრად მათ დაინახეს ქვეყნად ადამიანი, ნამდვილი ადამიანი, სისხლისა და ხორცის მქონე, დაინახეს გარექვეყნიერებასთან მისი ნამდვილი და არა ფანტასტიური ურთიერთობებით. მართლაც, ისინი თითქოს უფრო დაწვრილმანდენ, დაჰკარგეს ის გახელებული მისწრაფებანი, რითაც გარდასული თაობა განირჩოდა. სამაგიეროდ ისინი ბევრად უფრო ჭკვიანენი და ცხოვრებასთან ახლომყოფნი იყვნენ... აბსოლუტური აზროვნების უსაზღვრო სფეროებიდან ისინი ძირს, მიწაზე ჩამოვიდენ და ნამდვილ ცხოვრებას დაუახლოვდენ. განყენებულ ცნებათა მაგივრად მათ ჰქონდათ ცოცხალი წარმოდგენანი; კეთილ ფაქტების წვრილმანები მათ უფრო მკაფიოდ წარმოიდგინეს, ხოლო ზოგად ცნებებს მკაფიობა დაეკარგათ. ახალი დროის ადამიანებმა შეიგნეს, შეიგრძნეს, რომ ქვეყნად აბსოლუტური არა არის რა, რომ ყველაფერს რელატიური მნიშვნელობა აქვს... მათთვის პირველი ადგილი ყოველთვის ადამიანს და მის პირდაპირ, ირსებითს სიკეთეს უჭირავს. ეს თვალსაზრისი გამოსჭვივის ყველა მათს საქციელსა და მსჯელობაში. მათი უკანასკნელი მიზანია—არა განყენებული იდეებისადმი სრული, მონური ერთგულება, არამედ კაცობრიობისადმი რაც შეიძლება მეტი სიკეთის მოტანა. მათს განსაკუთრებულს ყურადღებას იპყრობს არა ის მოვლენები, რომელთაც გრანდიოზული ან პათეტიური ხასიათი აქვთ, არამედ ისინი, რომელთაც ოდნავ მაინ გაუუმჯობესებიათ კაცობრიობის მასსათა კეთილდღეობა...

„აღიარებს რა ისტორიული განვითარების უცვლელ კანონებს, ახლანდელი თაობა არ იტვირთება განუხორციელებელი იმედებით, არ ჰფიქრობს, რომ მას შეუძლია თავისი სურვილისამებრ გარდაქმნას ისტორია, არ ჰფიქრობენ, რომ ისინი თავისუფალნი არიან გარემოებათა გავლენისაგან. ამნაირად, საკუთარი მდგომარეობის მკაფიო წარმოდგენა ნებას არ აძლევს მათ აზარტს აჰყვნენ და წვრილმანებს თავი გადაკლან. მაგრამ იმავე დროს ისინი არ ვარდებიან აპატიასა-

და უგრძნობელობაში, რადგან შეგნებული აქვთ საკუთარი თავის მნიშვნელობა. საკუთარი თავი მათ მიაჩნიათ მანქანის ერთ-ერთ ბორბლად, ერთ-ერთ იმ გარემოებად, რომელნიც მსოფლიოს მოვლენათა მსვლელობას განაგებენ".

ჩვენ შეგვეძლო, უკანასკნელი ათწლეულის პრაქტიკის მიხედვით, უფრო რელიეფურად აღგვესახა ჩვენი სიტყვებით ის თვისებები, რომლებიც ამ ორ თაობას განასხვავებდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ცხოვრებაში ამ თვისებებმა თავი იჩინა უკვე დობროლიუბოვის სტატიის დაბეჭდვის შემდეგ. მაგრამ ჩვენს სიტყვებს აჩრდილიც კი არ ექნებოდა დობროლიუბოვისებური ავტორიტეტისა. ამას გარდა ჩვენი მიზნისათვის საჭიროა ამონაწერები და არა დახასიათებინი.

ახლა მკითხველისათვის მიგვინდვია გადასწყვიტოს, რომელმა მიმართულებამ უფრო მეტი წააგო და რომელმა მოიგო ბ-ნი კელსიევის მონაწილეობის გამო; ვისი უვარგისობა გამოააშკარავა მისმა დაბრუნებამ და ვის შორსმჭვრეტელობას ადასტურებს ის ცალმხრივი უსრული დასკვნა, რომელიც, ბოლოსდაბოლოს გამოუტანია ბ-ნ კელსიევს და რომელ დასკვნამდისაც, ადრე თუ გვიან, თუ ცხადად არა, ყოველ შემთხვევაში გულში მაინც, მივლენ ის ადამიანები, რომელნიც ბ-ნი კელსიევის გზით ვითარდებოდენ.

ევროპის ცხოვრება

ნარკვევი პირველი

მკითხველისათვის ახალი ამბავი არ იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ამჟამად ევროპის საზოგადოებას გულწრფელად სწადია საგარეო და შინაური მშვიდობიანობა დაიცვას და მომავალში მის განსამტკიცებლად სერიოზული ზომები მიიღოს. ვინ არ იცის ეს? ვისაც ხელში აუღია ერთი რომელიმე დამოუკიდებელი გაზეთი; ვისაც ყურადღება მიუქცევია იმისათვის, თუ როგორ მოსწონს საზოგადოებას ის ბელეტრისტული და პუბლიცისტური ნაწარმოებნი, სადაც პროტესტია გამოთქმული საშხედრო განზრახვების წინააღმდეგ და ფარდა აქვს აადილი ეგრედწოდებულ სამხედრო დიდებისაგან გამოწვეულ აუტანელ მდგომარეობას; დაბოლოს,—ვისაც ახსოვს ათასნაირი „კონგრესები“, „საზოგადოებანი“, „ასოციაციები“, „ლიგები“ და სხვა „სამშვიდობოები“,—იგი ულაპარაკოდ და სიამოვნებით დაგვეთანხმება, რომ ამჟამად ევროპაში მართლაც სამშვიდობო განწყობილებებია გამეფებული.

ვიმეორებთ, რომ ვინც თანამედროვე საქმის ვითარებას იცნობს, მას ეჭვი არ შეეპარება ევროპის საზოგადოების ამ სამშვიდობო განწყობილებებში. ეს კიდევ ცოტაა. საფრანგეთში მომხდარი სხვადასხვა დემონსტრაციები, რომელიც ბევრჯერ ქუჩაში ხელჩარჩული ბრძოლით დამთავრებულა, იმას მოწმობს, რომ სამშვიდობო განწყობილებებს საზოგადოებაში ფესვი უფრო ღრმადა აქვთ გადგმული. ბევრი კიდეც ჰფიქრობს, რომ ამჟამად მთელი დასავლეთი ევროპის ფიქრსა და ოცნებას მხოლოდ შშვიდობიანობა შეადგენს.

აი საკითხი, რომლის შესახებ ყველას ერთნაირი შეხედულება არა აქვს. და ჩვენც პირველი პოლიტიკური ნარკვევის საგნათ ავირჩიეთ საკითხი—რამდენად სერიოზული და მტკიცეა ევროპის საზოგადოების დღევანდელი განწყობილება და მაშასადამე რამდენად საიმედოა მისი გადასვლა ცოტად თუ ბევრად კაცთმოყვარე სურვილების სფეროდან ცხოვრების სფეროში.

სამხედრო ძალადობის წინააღმდეგ დაწყებული რეაქციის პირველ სერიოზულ ნიშანს წარმოადგენდა ერკმან-შატრიანის ბელეტრი-

სტული ნარკვევები, რომელთა გამოქვეყნებაც დაიწყო მექსიკის ექსპედიციის დაწყების შემდეგ. ამ ნარკვევების ზღაპრულად დიდი მოწონება და გასავალი, ავტორის აზრით, მიეწერებოდა არა ამ მწერლების ლიტერატურულ ნიჭს, არამედ საზოგადოებაში გაღვიძებულ შეგნებას, რომ დაწყებულ ომიანობას ზიანის მეტი სარგებლობა არ მოჰქონდა და გარდა ამისა ეგი საგრძნობ ტვირთად აწვებოდა ქვეყანას. ამ ძირითად მოტივში ავტორებსა და საზოგადოებას შორის სრული თანხმობა სუფევდა. ნარკვევების ავტორნი საზოგადოების შეხედულებებს იზიარებდენ ცხოვრების სხვა დანარჩენ საკითხებზედაც. ასე რომ არ ყოფილიყო, მათ ნარკვევებს არავითარი გასავალი არ ექნებოდათ და საქმე დაბოლოვდებოდა მხოლოდ და მხოლოდ პირველი პროტესტით მთავრობის ყაზარმული სულისკვეთების წინააღმდეგ. მაშასადამე ერკმან-შატრიანის ნარკვევების საერთო მოტივს შეუძლია ასე თუ ისე დაახლოვებითი წარმოდგენა მოგვცეს ფრანგული საზოგადოების სამშვიდობო განწყობილებათა მთავარი საფუძვლების შესახებ. ეს საერთო მოტივი რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება გამოიხატოს:

ჩვენ,—ამბობენ ერკმან-შატრიანის ნაწარმოებთა მომქმედნი ან მოსაუბრე პირები,—ძლიერ კმაყოფილნი ვართ 1789 წლ. რევოლიუციით, იმიტომ, რომ მან მოგვანიჭა თავისუფლება და აგრეთვე უფლებები, რომელთაც ფეოდალ მებატონეთა აზრით ჩვენ მოკლებულნი უნდა ყოფილიყავით. ეხლა ჩვენ თავს ბედნიერად ვგრძნობთ, რადგან შეგვიძლია სადაც გვინდა და როგორც გვინდა ისე ვიმუშაოთ. მაშ დაგვანებეთ თავი, მოგვეცით საშუალება ჩვენთვის მყუდროთ ვიშრომოთ, არ გვინდა არც თქვენი წყალობა, არც თქვენი დიდება. ჩვენ გვსურს გულდამშვიდებით ვისარგებლოთ ჩვენი მონაგარით. ჩვენ არც არავინ გვძულს იმდენად, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადოთ,—არც არავინ გვიყვარს იმზომად, რომ მის დასაცავად ვიბრძოლოთ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ცხოვრება და ჩვენს დოვლათი. მოგვეცით საშუალება მოვიხმაროთ იგი.

ეს ჩვენი დასკვნა შესახებ ფრანგული საზოგადოების სოლიდარობისა ერკმან-შატრიანის ნაწარმოებთა ზემოთ დასახელებულ ძირითად მოტივთან სიმართლეს შეიცავს, მის გარდა კიდევ სხვა დამამტკიცებელ საბუთად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ის დიდი წარმატება, რომლითაც სამშვიდობო „კონკრესები“ და „ლიგები“ სარგებლობდენ.

და მართლაც, გასული წლის შემოდგომაზე ჟენევაში შეიკრიბა ცნობილი სამშვიდობო კონგრესი. ამ კონგრესისადმი აღძრულმა ინტერესებმა, ჯერ კიდევ მისი სხდომების გახსნამდე,—ყოველივე სა-

ზღვრებს გადააჭარბა, რასაც თვით კონგრესის ენტუზიასტებიც კი არ მოელოდნენ. ევროპის ყველა კუთხიდან, საზოგადოების ყველა ფენიდან მოდიოდა მოლოცვები, შეთანხმებები და ასე გასინჯეთ, ფულიც. ჟენევა ზომ სრულიად გაივსო ხალხით, იმ ხანებში მას რამოდენიმე ათასი კაცი მოაწყდა, რაც მარტო ამ ხალხის ცნობისმოყვარეობით არ იყო გამოწვეული. ყველას მშვიდობიანობა ეკერა პირზე, ყველას სწყუროდა იგი; მაგრამ, როდესაც ორატორების უმრავლესობამ „უკიდურესი შეხედულებები" გამოსთქვა „დესპოტიური" მთავრობის შესახებ და როდესაც ორიოდე გულუბრყვილო ყმაწვილმა კრინტი დასძრა იმ კავშირის შესახებ, რომელიც პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმათა შორის არსებობს,—საზოგადოებამ კონგრესს აშკარად და დაუფარავათ ზურგი უჩვენა და ეხლა რამდენიმე წევრის მიერ დაარსებული „მუდმივი კომიტეტი", საზოგბდოების სრული გულგრილობით გარემოცული, განაგრძობს ბუშაობას.

საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლებმა, დამოუკიდებელმა გაზეთებმა, ჟენევის კონგრესს გამოთხოვებისას თითქმის ერთსულოვნად უმღერეს შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ გვწადია მშვიდობიანობა, მაგრამ არა გვსურს ის ორომტრიალი, რომელსაც თქვენ გვთავაზობთ და თანაც აცხადებთ, რომ უმისოდ მშვიდობიანობის მიღწევა შეუძლებელია".

ჩვენ შეგვეძლო კიდევ მრავალი სხვა ფაქტის მოყვანა, რომ უფრო თვალსაჩინოდ გაგვეხადა თანამედროვე საზოგადოებრივი განწყობილების ძირითადი თვისებები, მაგრამ აქ ეს ორიც საკმარისია. თუ არ ვცდებით, აქედან სულ უბრალო დასკვნა გამომდინარეობს: მთავრობით უკმაყოფილო ბურჟუაზიას საქმის ვითარების შეცვლა სწადია და სამშვიდობო პოლიტიკას თანაუგრძნობს. მაგრამ მას ერთი ბიჯგის წადგმაც კი არ სურს თავისი სურვილების სისრულეში მოსაყვანად.

ყოველი საზოგადოების ცხოვრებაში დამდგარა მსგავსი მომენტები. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩვენში ბევრი ცრემლი დაღვრილა ბ. გრიგოროვიჩის ნარკვევებზე გლეხების ცხოვრებიდან და ბ. ტურგენევის მონადირის მოთხრობებზე; საბრალო გლეხის, ანუ, როგორც შემდეგში ბ. შჩედრინი დასცინოდა, „საბრალო პეიზანებს" ცხოვრებას თანაუგრძნობდა ყოველი მკითხველი, ვისაც კი იოტის ოდენი პრეტენზია მაინც ჰქონდა განათლებაზე. მაინც, ვინ არ აცხადებდა ამ პრეტენზიას! მაგრამ ასეთი თანაგრძნობა სრულიადაც არ უშლიდა ხელს იმავე მკითხველებს, „აეწიოკებინათ ათასი გლეხი, რომ როგორმე თავდავიწყებას მისცემოდენ". ამგვარადვე

დღევანდელ ჩვენს საზოგადოებაში იშვიათად შეგხვდებათ ადამიანი, რომ არ თანაუგრძნობდეს „სოვრემენნიკ“-ის აღშფოთებას, რომელიც გამოწვეულია „სხვისი პურის ჭამისაგან“. მაგრამ ეს გარემოება მას მაინც არ უშლის ხელს „მის მიწებზე დასახლებულ“ გლეხებს მოსთხოვოს და ძალათ წაგლიჯოს უკვე არა ღალა, არამედ ნახოლოდ და მხოლოდ „ქირა მიწით სარგებლობისათვის“ და სხვა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ასთ მომენტებს შეიძლება „სენტიმენტალობის მომენტები“ ეწოდოს. ასეთი მომენტები ყოველთვის და ყოველგან წინ უსწრებდა იმ საკითხის სერიოზულ და პრაქტიკულ განხილვას, რომელმაც საზოგადოების ბუნდოვანი თანაგრძნობა გამოიწვია. ეს არის ისტორიული პროგრესის ერთი კანონთაგანი. და ისევე, როგორც ბ. ბ. გრიგოროვიჩისა და ტურგენევის ძალიან ბევრი გულშემატკივარი მკითხველი, როდესაც საქმე ძალიან ახლო შეეხო მის ჯიბეს, ბატონყმობის გაუსწორებელი მოძხრე აღმოჩნდა, - ამგვარადვე ბევრი თანამედროვე მშვიდობიანობის მოყვარული ომის მომხრეთ აღმოჩნდება, როდესაც საკითხი, მისი სერიოზული გადაწყვეტის მიზნით, პრაქტიკულ ნიადაგზე იქნება დაყენებული. მაშასადამე, თუ ჩვენ მოვისურვებთ გავიგოთ, ვის მხარეზე იქნება დაახლოებით თანამედროვე საზოგადოების სიმპატიები, ჩვენ უნდა ვსცადოთ და გამოვარკვიოთ, თუ პრაქტიკულად ვის ინტერესებს შელახავს სერიოზული განიარაღება. *)

საფრანგეთი ინახავს 400.000 კაცისაგან შემდგარ არმიას (1867—1868 წ.წ. არმიის რიცხვი უდრიდა 396.713 კაცს), მის ფლოტში ითვლება 90.365 კაცი, გარდა ამისა, რეზერვში 1865 წ. ითვლებოდა 214.000 კაცი. ჩვენ არ შევცდებოდით, თუ საზოგადოებასთან ერთად საფრანგეთის მთავრობის სამხედრო ძალების რაოდენობათ 600.000 კაცს მივიღებდით.

საფრანგეთის ფლოტი ერთი ცნობით შესდგება 408, მეორე ცნობით—478 და მესამე ცნობით—503 სხვადასხვა ზომისა და აგებულობის (ჯავშნიანი, იალქნიანი და ორთქლმავალი) გემებისაგან.

ამ ურიცხვ სამხედრო ძალას საომარი დანიშნულება აქვს. რადგან ასეა, მას სჭირდება სამხედრო იარაღები, უკანასკნელი კი მზადდება ოთხ თოფიარაღის ქარხანაში, სადაც 8—10 ათას კაცამდე მუშაობს, სამს ვეებერთელა ლითონის ჩამომსხმელ ქარხანაში, ხუთ თოფისწამლის დამამზადებელ (სელიტრისა და გოგირდის დამზადებას

*) სიმოკლისთვის ვიღებთ იმ ფაქტებს, რომელიც მხოლოდ საფრანგეთს შეეხება. ხვა სახელმწიფოებისაგანაც იმავე დასკვნებს მივიღებთ.

თუ არ ჩავთვლით) და 2 კაპსულის დამამზადებელ დაწესებულებაში. ყველა ეს ქარხნები მთავრობის ხელშია. გარდა ამისა, სამხედრო ტყვია-წამალს ამზადებენ უამრავ კერძო ქარხანაში, სახელოსნოში, სამკედლოში და სხვაგან.

გარდა ამისა ომიანობას შეიძლება შედეგათ მოჰყვეს საფრანგეთში მტრების შემოსევა. მაშასადამე საჭიროა თავდასაცავ სამუშაოთა მთელი სერიის ჩატარება. თავდაცვის მიზნით საფრანგეთს ამჟამად მოეპოვება 94 ციხე-სიმაგრე, 100 სხვადასხვა სახის სიმაგრე და ფორტი, რომელიც მუდამ მოითხოვს დამატებით სამუშაოებს, გადაკეთებას და სხვა და სხვა. ციხე-სიმაგრეთა მოსაწყობ სამუშაოებში, საფრანგეთში, კალატოზებისა და მიწის მთხრელების მთელი არმია არის ჩაბმული.

არმიას სჭირდება ტანისამოსი, სჭირდება ტილო, მაუდი, გალუნები და სხვა, რომლის დამზადებაში ურიცხვი მუშა-ხელია დაბანდებული. სამხედრო და საზღვაო სამინისტროს შეკვეთები წარმოადგენს ფრანგული მანუფაქტურის ნახევარის ერთად-ერთ შემოსავლის წყაროს და, მაშასადამე, მრავალი ათასი მუშის ერთად-ერთ საცხოვრებელ წყაროს. საფრანგეთის თითქმის მთელი ზღვის სანაპირო ზოლი ცხოვრობს საფრანგეთის ფლოტით და საფრანგეთის ფლოტისათვის. დოკებში, მექანიკურ სახელოსნოებში, ლითონის ჩამომსხმელ ქარხნებში, ხე-ტყის ქარხნებში და სხვა და სხვა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ფლოტის საჭიროებისათვის მუშაობენ, ჩაბმულია მუშათა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი. ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი სტატისტიკური ციფრები მუშათა იმ რაოდენობის შესახებ, რომელიც ჩაბმულია საფრანგეთის მთავრობის სამუშაოებში. მაგრამ ეს ვერ აბათილებს იმ აზრს, რომ საფრანგეთში მრეწველობის საგრძნობი ნაწილი სავსებით დამოკიდებულია საფრანგეთის სამხედრო არსებობაზე.

მაშასადამე, ყოველგვარი ცვლილება სამხედრო ორგანიზაციაში, ყოველგვარი ნამდვილი შემცირება ჯარის რაოდენობისა და, მით უმეტეს, სრული განიარაღება, ძირს უთხრის და ანადგურებს ფრანგული მრეწველობის საგრძნობ ნაწილს, ულუკმა-პუროდ სტოვებს. ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობა უამრავ რიცხვს. მისთვის, ვინც იცნობს მრეწველობის მდგომარეობას, ამით უკვე ბევრია ნათქვამი.

წავიდეთ ქვემოდ. სრული განიარაღება მშვიდობიანობის ერთად-ერთ მტკიცე გარანტიას წარმოადგენს. ეს უკვე სრული დამაჯერებლობით არის დამტკიცებული. მაგრამ რას ნიშნავს საფრანგეთის

სრული განიარაღება? ეს ნიშნავს ექვსასი ათასი ადამიანის განთავისუფლებას, რომელიც იკვებებოდა ხალხის ხარჯზე; თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ამ ადამიანებმა თითქმის არავითარი ხელობა არ იციან,—საკითხავია, რა დაემართება მრეწველობას, რა დღეში ჩავარდებიან მუშები, როდესაც გაჩნდება ეს ურიცხვი ახალი მუშა-ხელი, რომელიც მოითხოვს სამუშაოს. და ეს იმ დროს, როდესაც მუშათა არსებული რიცხვიც ზედმეტია დღევანდელი შეკვეთების დასამზადებლათ,—ეს შეკვეთები, სრული განიარაღების დროს, ყოველ ექვს გარეშეა, სანახევროდ შემცირდება.

ვინც იცნობს მრეწველობის ვითარებას, მისთვის ცხადია, თუ რა გავლენას ახდენს მთლიანად მრეწველობაზე ერთ რომელიმე მის დარგში გამეფებული ასე თუ ისე ხანგრძლივი კრიზისი. სრული განიარაღების შემთხვევაში კი სამრეწველო კრიზისი განუსაზღვრელად გაიზრდება და გავრცელდება არა მარტო წარმოების, არამედ მოხმარების ყველა სფეროებზე. ცნობილია, რომ მხედრობა წარმოადგენს მომხმარებელთა საგრძნობ ნაწილს. არმიის გაუქმებით მრეწველობა დაჰკარგავს ამ მომხმარებლებს. მოისპობა შესაძლებლობა მუშა-მოსახლეობის ზედმეტი ნაწილის არმიაში გამოყენებისა, ვინაიდან ცნობილია, რომ ყოველწლიურად 10 ან 12 ათასი კაცი თავისი ნებით ეწერებოდა ჯარში. ყოველივე ეს გავლენას იქონიებს მრეწველობის იმ დარგზე, რომლებიც არმიის არსებობით უშუალოდ არ არიან დაინტერესებულნი და რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

არის სხვა უხერხულობაც: მუდმივი ჯარის გაუქმება შეამცირებს სახელმწიფოს შემოსავალს, რადგანაც გაუქმდება მრეწველობის მთელი დარგი და ასეულ ათასს მუშას არამც თუ არ შეეძლება თავისი გადასახადების გადახდა, არამედ, ვინ იცის, შეიძლება მათ კიდეც მოსთხოვონ მთავრობას პურისა და სამუშაოს მიცემა. მათვე მიემატება, ალბად, დღევანდელი ჯარისკაცების უდიდესი ნაწილი, რომელსაც უნდა მიეცეს ხომ რაიმე, თუ სახელმწიფოს არ უნდა, რომ ისინი ყაჩაღებად გადაიქცენ. მაშასადამე, სერიოზულ განიარაღებას შედეგათ მოჰყვება: 1) საფრანგეთის მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაუქმება და 2) მომხმარებელთა რიცხვის შემცირება მრეწველობის დანარჩენი ნაწილისათვის, რაც გამოიწვევს 3) სახელმწიფო შემოსავალთა შემცირებას, 4) ხარჯების უაღრესად გადიდებას, 5) წინანდელთან შედარებით ორჯერ შემცირებულ მრეწველობაზე მილიონობით მუშა-ხელის მისევას.

თუ ამ საკითხს ზერელეთ შევხედავთ, შეიძლება ვიფიქროთ შემდეგი: „არსებითად მოიმატებს მუშა-ხელისა და არა კუპების რიცხვი,

რადგანაც არმია ხომ სჭამდა რამეს. მაშასადამე ცვლილება დიდი აო იქნება. უნაყოფო ჭამის მაგივრად ეხლანდელი არმია რაიმე ნაწარმს მაინც შეჭქმნის“.

ასეთი დასკვნა უსაფუძვლო იქნება. საფრანგეთში ძალიან ცოტა პური მოდის, მას ყოველწლიურად თავისი მოსახლეობის გამოსაკვებად მილიონ-ნახევარი ჰექტო-ლიტრი პური ესაჭიროება. ამ მილიონ ნახევარ ჰექტო-ლიტრს საფრანგეთი იმ ფულით ყიდულობს, რომელსაც იგი სესხულობს მომავალი შემოსავლის ანგარიშში, ეს შემოსავალი კი არსაიდან არ არის მოსალოდნელი.

12 წლის განმავლობაში (1852—1864) საფრანგეთის ყოველწლიური დეფიციტი საშუალოდ უდრიდა 642.592.758 ფრანკს ასე რომ 1864 წლისათვის სახელმწიფო ვალის რაოდენობა გაიზარდა 14.370.113.100 ფრანკამდე, ნაცვლად 6.662.000.000 ფრანკისა 1852 წელს.

სტატისტიკის თანამედროვე მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა ჩვენი ნარკვევის ამ ნაწილს სავსებით მეცნიერული ხასიათი მივსცეთ. ალბათ ჩვენი დაახლოვებითი ჰიპოტეტიური დასკვნები გაუბათილებელი მეცნიერული დასკვნების ხასიათს მიიღებდენ, რომ საფრანგეთის სტატისტიკა დაწვრილებით ყოფილიყო დამუშავებული და რომ დიპლომატიური, ადმინისტრატიული და სავაჭრო ჩვეულებები უცხო თვალთაგან ჭეშმარიტებას არ მალავდენ. რაც არ უნდა, ვთქვათ, სტატისტიკის თანამედროვე მდგომარეობაში, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ წინასწარი შეხედულებები გამოვსთქვათ. ვინაიდგან თავის მხრივ მკითხველებიც, ჩვენი დასკვნების შემოწმების დროს, წინასწარ შეხედულებებს დაემყარებიან,—საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ საკმაოდ ვიცნობთ იმ საბუთებს, რომლებიც მკითხველთა აზრით თითქოს ცხადათ მოწმობენ ჩვენი წინასწარ შეხედულებების შეცდომას. „რატომ არის,—ფიქრობს მკითხველი,—რომ შვეიცარიას შეუძლია იცხოვროს მუდმივი არმიის გარეშე, აგრეთვე ამერიკასაც? ბოლოს და ბოლოს, განა უმჯობესი არ არის, ამდენი მუშა-ხელის ტყუილ-უბრალოდ გაცდენის მაგიერ მისი გამოყენება მიწათ-მოქმედებაში, რომელიც მუშა-ხელის უკიდურეს ნაკლებობას განიცდის“?

შვეიცარია მეზობელ ქვეყნებისათვის მუშაობს. მისი ქარხნები და ფაბრიკები მუშაობენ საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, რუსეთისა და ამერიკისათვის. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ამტკიცებს. ზედმეტი მუშა-ხელი მუდამ ემიგრაციაში მიდის—ამერიკაში, აფრიკაში, დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებში და სხვა,—ეს ყველასათვის ცნობილი ამბავია.

ამერიკა სათვალავში არ არის მისაღები. იქ მრეწველობა საუკუნოებით არ შესჩვევია ნახევარ-მილიონიანი არმიის არსებობას, არ შეწყობია მის მოთხოვნილებებს და სპეკულიაცია არ გაუწევია მასზე. ამერიკული მრეწველობა დიდი ხანი არ არის, რაც ჩაისახა; იგი განვითარდა არა მთავრობის შეკვეთების წყალობით, არამედ კოლონიზაციის ნამდვილ საჭიროებათა გამო და ეხლა იგი ემყარება არა მდიდარ კლასებს, რომელთაც თავისი პრივილეგიებისა და სკივრების დასაცავად ხიშტები და კარტეჩი სჭირდებათ. გარდა ამისა, ერთხელ და სამუდამოთ გამოვტყდეთ, ბატონებო, რომ ჩვენ ძალიან ცუდათ ვიცნობთ ამერიკას. ამბობენ, რომ იგი არც ისეთ არკადიას წარმოადგენს, როგორც ეს ჩვენ გულუბრყვილო იდეალისტებსა და არა ნაკლებ გულუბრყვილო რესპუბლიკანელებს წარმოუდგენიათ.

რაც შეეხება მიწათმოქმედებას, რომელსაც თითქოს მუშა-ხელი ესაჭიროებოდეს, ეს მეტად შემცდარი შეხედულებაა. იგი ფრანგმა ლიბერალებმა გაავრცელეს, რომ ხასიათი გაეფუჭებინათ გაუსმანისათვის. საფრანგეთი არც ისე მდიდარია მიწით, რომ მან მიწათმოქმედებაში ნახევარი მილიონი ახალი მუშაკის ჩაბმა შესძლოს, მაშინ, როდესაც ეხლანდელი მიწათმომქმედნიც ძლივსძლივობით შოულობენ სამუშაოს. ეს დაამტკიცა ცნობილმა „სამიწათმომქმედო გამოძიებამ“, რომელიც 1866 წელს ჩატარდა მიწათმომქმედთა გამუდმებული ჩივილისა და წუწუნის გამო, რომ ოთხი წლის განმავლობაში კარგმა მოსავალმა მეტის-მეტად დასწია პურის ფასებიო.

ჩვენ, რამდენადაც შეგვეძლო, აღვნიშნეთ სიძნელეთა ერთი მხარე—პრაქტიკული, ეკონომიური. პოლიტიკურ მხარეზე ჩვენ ჯერჯერობით არ ვილაპარაკებთ. მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს ეს სიძნელენი, მუდმივი არმიის გაუქმება უფრო დიდ აუცილებლობას წარმოადგენს. ეს აუცილებლობა გამომდინარეობს შემდეგიდან: წინათ მთავრობები ომისა და ჯარის საჭიროებისათვის სახელწიფო შემოსავლის უმეტეს ნაწილს ხარჯავდენ. როდესაც ამ შემოსავალმა არ იკმარა, ისინი შეუდგენ სესხის აღებას, მაგრამ პატიოსან სესხის აღებას. შემდეგ, როდესაც გონიერმა ხალხმა ფულის გასესხებაზე უარი სთქვა, მთავრობებმა მიმართეს ყოველნარ საშუალებებს. ეხლა რჩება კიდევ ერთი წყარო: იძულებითი გადასახადების აკრეფა. ბოლოს და ბოლოს უკვე აღარსაიდან აღარ იქნება შესაძლებელი ფულების შოვნა არა თუ ჯარის შესანახად, არამედ წინანდელი ვალის პროცენტებიც გასასტუმრებლადაც. აქ ძალაუნებურად საჭირო შეიქნება განიარაღება და გმირული ზომების მიღება.

ეს,—რაც შეეხება განიარაღების აუცილებლობის ფინანსიურ მხარეს. არის სხვა მხარეებიც: მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა საფრანგეთში, ისე როგორც ყველგან, მჭიდროთ არის დაკავშირებული ერის კეთილდღეობასთან. ომი და ჯარები ხალხის დოვლათს აჩანაგებს, ამიტომ მოსახლეობის რიცხვის ზრდა კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. ამაში არა ნაკლები დანაშაული მიუძღვის საფრანგეთის ერის უჯანსაღეს ნაწილს, რომელიც ქორწინების გარეშე იმყოფება. დოვლათის შემცირებასთან ერთად მცირდება აგრეთვე ერის გონებრივი შემოქმედებაც: საფრანგეთი ეხლა ჩამორჩა გერმანიასა და ინგლისს და სახალხო განათლების საქმეში მეტად დაბალი საფეხური უჭირავს. ეს გარემოება თავის მხრივ გავლენას ახდენს ერის კეთილდღეობაზე, მის ცხოვრებაზე და სხვ.

არსებობს კიდევ მრავალი სხვა მიზეზი: პოლიტიკური, ისტორიული, სოციალური და სხვა, რომლებიც განაპირობებენ განიარაღების აუცილებლობას. საფრანგეთის ერის ნიჭიერი და განათლებული ნაწილი უკვე თანდათან იგნებს განიარაღების არა მარტო სარგებლობას, არამედ მის აუცილებლობასაც. სხვა გზა არ არსებობს.

ეხლა საკმარისია ჩვენ მიერ აღნიშნული, განიარაღების ხელის შემშლელი სიძნელენი შევუდაროთ განიარაღების აუცილებლობას, რომელიც იმდენად ნათელია ყველასათვის, რომ ჩვენ საჭიროდ არ ჩავთვალეთ მის შესახებ სიტყვის გაგრძელება. ამ შედარებას შემდეგ დასკვნამდე მივყევართ: განიარაღების აუცილებლობა მოითხოვს გმირული ზომების მიღებას—საზოგადოებრივი წყობილების ძირ-ფესვიანად შეცვლას, ისე, რომ განიარაღების შემდეგ საზოგადოებას შეეძლოს თავისი წევრებისათვის სამუშაოსა და ლუკმა-პურის უზრუნველ-ყოფა. მაგრამ ამ სოციალური რეფორმის ნიადაგზე,—რომელიც უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენს, ვიდრე რუსეთში გლეხების განთავისუფლება,—ერთმანეთს პირისპირ შეეტაკებიან პრივილეგიურ კლასთა და მშრომელთა ინტერესები. როდესაც პრივილეგიური კლასების შეგნებაში განიარაღების პრაქტიკული მხარე მკაფიოდ ჩამოყალიბდება, ისინი რეფორმის განზრახვაზე უარს იტყვიან და მათი ეხლანდელი საამო განწყობილება სავსებით გაიფანტება. მაშასადამე განიარაღების საკითხი შემდეგი საკითხით შეიცვლება: შესძლებს თუ არა მშრომელი ხალხი ამ რეფორმის მოხდენას პრივილეგიური კლასების გარეშე და მათი სურვილის წინააღმდეგ?

შემდეგი ნარკვევი დაგვანახვებს, რომ ამავე საბედისწერო საკითხისაკენ მივყევართ განიარაღების ისტორიული და პოლიტიკური მხარის განხილვას.

ნარკვევი მესამე

ამა თუ იმ მიმართულების ბატონობა აიხსნება გარემოებათა გადახლართვით. საზოგადოების ჭკუა-გონებას ამა თუ იმ საგანზე ამა თუ იმ განსაზღვრული შეხედულების შესათვისებლად ეს გარემოებანი ამზადებენ და არა ამ შეხედულების მქადაგებელთა პირადი ნიჭი და ენერგია. ამ აზრის სიმართლეს ყველაზე ნათლად ადასტურებს საფრანგეთის საქმეები.

იმ უამრავი და ათასგვარი საზოგადოებრივი თეორიიდან, რომელიც ამ ოცწლედის დამდეგს საფრანგეთისა და საერთოდ უცხოეთის საზოგადოების ჭკუა-გონებას აღელვებდა, დღეს ცოცხალია მხოლოდ ის თეორია, რომელიც 1848 წელს შემდეგ ყველაზე უფრო მეტად შეეფერებოდა საფრანგეთის საზოგადოების გონებრივ განწყობილებას.

ამას წინად საფრანგეთის ერთმა პუბლიცისტმა ძალიან მოხდენილად დაახასიათა საფრანგეთის ისტორია 1848 წლიდან. მან სთქვა: საფრანგეთის საზოგადოება იმ შეშინებულ მხდალთა ბრბოს ჰგავს, რომელთაც საპყრობილეს მიაშურეს, რათა იქ გადაერჩინათ თავიანთი სიცოცხლე და ქონება; შემდეგ კი ისინი იმდენად გათამამდენ, რომ ამბოხება მოინდომეს ციხის მეკარეთა წინააღმდეგ და ემუქრებოდენ: მთელ საპყრობილეს გადავბუგავთ, თუ კარს დროზე არ გაგვიღებთო. ეს შედარება ფრიად და ფრიად მართალია და მოხდენილია და იგი ნებას გვაძლევს აღარ დავწეროთ ორი ზედმეტი ფურცელი, რათა მოკლედ დავახასიათოთ თანამედროვე საფრანგეთის მდგომარეობა. ამ შედარების წყალობით ახლა ჩვენ უკვე ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი უნდა იყოს სულისკვეთება იმ ბრბოსი, რომელიც მომწყვდეულია კარჩაკეტილ და კარგათ დაცულ ციხეში, სადაც ყოველ მის ნაბიჯს თვალყურს ადევნებს გაუმაძღარი და დაუღალავი მეკარე.

ცხადია, ამ ბრბოს თვითეულ წევრს თანდათანობით იპყრობს ერთი აზრი: მეკარე ძალიან ხშირად ეჩრება ჩვენს საქმეებში, იგი ნამეტანად ავიწროებს ჩვენს პირად თავისუფლებასო, ასეთი ლაპარაკი, უეჭველია, ხშირად იქნება ბრბოში და მხოლოდ ასეთი ლაპარაკი შეიძლება სარგებლობდეს მისი კეთილგანწყობილებითა და ყურადღებით. და თუნდაც ციდან ვარსკვლავის მწყვეტელი იყოთ, თქვენ ვერავითარი სხვა სიტყვებით და აზრით ვერ მოხიბლავთ მას და ნდობას ვერ მოიპოებთ.

მაშასადამე საფრანგეთის საზოგადოების და სხვათა შორის, მუშათა მოსახლეობის დიდ უმეტესობაში ამნაირი სულისკვეთების ბატონობის გამო, საფრანგეთში გავრცელდა ისეთი საზოგადოებრივი თეორია, რომელიც თავის გამოსავალ წერტილად აცხადებდა ეკონომიურ საქმეებში სახელმწიფოს ჩაურევლობასა და საზოგადოების ცალკე წევრების უსაზღვრო პირად თავისუფლებას. რათა მკითხველთა ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ, ვუწოდოთ ამ თეორიას მისი გამომგონებლების სახელი: მას სათავეში უდგას, ერთი მხრით — ს ე ს სკოლის ეკონომისტთა „პროგრესიული ფრაქცია“ (ე. ი. ეკონომისტები, რომელნიც აღიარებენ ასოციაციის და შეერთებულად მოხმარების სარგებლიანობას, მაგრამ განსაზღვრულ ფარგლებში), ხოლო მეორე მხრით — პ რ უ დ ო ნ ი და მისი მიმდევრები.

აქ დრო და ადგილი არაა ამ ეკონომიური თეორიის განხილვისა. ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არის, გავახსენოთ მკითხველებს, რომ ათ შემთხვევიდან ცხრაში, როდესაც საფრანგეთის მუშები გამოსთქვამდენ თავის აზრებსა და მისწრაფებებს, ისინი ზემოხსენებული ეკონომიური სკოლის აზრს იმეორებდენ. რანაირია ეს აზრები, საით-კენ მიისწრაფვის ეს სკოლა?

ჩვენ არ ვლაპარაკობთ ს ე ს მოწაფეებზე რამდენიც უნდა იტრაბახონ თავისი „პროგრესიულობით“, არსებითად ისინი თავის მოძღვარზე შორს როდი წასულან. მაშასადამე ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, თუ რა მისწრაფებანი აქვთ მათ, საით მიმართავენ ისინი ხალხსაცა და სახელმწიფოსაც, პრუდონზე მკითხველებს უფრო ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და ამიტომ კარგი იქნება მასზე ცოტა უფრო მეტ ხანს შევჩერდეთ. კვლავ უნდა განვიმეოროთ, რომ ჩვენ ამ პუბლიცისტის მიმართულებას კი არ ვარჩევთ, არამედ მხოლოდ ვაცნობთ მკითხველს.

თავისი ნატურისა და ცხოვრების გარემოებათა გამო პრუდონი გამსჭვალული როდი იყო საზოგადოთ ყოველგვარი „პიროვნებისადმი“ ნაზი სიმპატიით. მას უყვარდა მხოლოდ ისეთი პიროვნებანი, ისეთი ადამიანები, რომელნიც თავისში საკმარის ნიჭსა და ძალას გრძნობდენ იმისათვის, რომ ხალხში გამოსულიყვნენ, „საკუთრად ეცხოვრათ“, „საკუთარი თავის ბატონ-პატრონნი“ გამხდარიყვნენ. პრუდონმა მთელი თავისი მოღვაწეობა ამნაირი პიროვნების ინტერესებს შესწირა. ეს იმიტომ, რომ თვითონ იგი იყო ზემოხსენებული პიროვნებისთანა მდგომარეობაში. მან ცხოვრების მკაცრი გამოცდილებით შეიგნო და თავის ზურგზე გადიტანა ის, თუ რაოდენ ძნელია ნიჭიერი პიროვნებისათვის, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების

დროს, გაჭირვების გადალახვა და გაუჭირვებელი ცხოვრებისაკენ გზის გაკვლევა. ყველაფერი, რაც ამნაირი პიროვნების გარეშე იყო, რაც მასზე დაბლა ან მაღლა იდგა, პრუდონისათვის უცხო რამ იყო. ის ადამიანები, რომელთაც დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობები ხელს უწყობს, პრუდონს თავისი საყვარელი პიროვნების მტრებათ მიაჩნია. ამიტომ იგი სავსებით შემცდარად ფიქრობს, რომ არც ღირს თავის შეწუხება იმისთანა ადამიანებისათვის, რომელთაც უკვე საკმარისად მფარველობს თანამედროვე კანონმდებლობა და წესწყობილება. რაც შეეხებათ მასებს, რომელთათვისაც კანონმდებლობას არც არასოდეს უფიქრნია ზრუნვა და რომელნიც ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან, პრუდონი მათ უყურებს, როგორც განწირულთ და არაფერი იმედი აქვს მათი ინიციატივისა, არ სწამს მათი მომავალი და ამიტომ იგი მათ ბედის ანაბარა სტოვებს. ამნაირად, თავიდან იშორებს რა მასებსა და პრივილეგიურ წოდებებს, პრუდონი მთელ თავის სიყვარულს, მთელ თავის სიმპატიებს უძღვნის თავის საყვარელ და სვებედით თავის თანამოძმეს. იგი ცდილობს არგუნოს ყველაფერი, რაც კი ხელს შეუწყობს მას, რომ მუშის მდგომარეობიდან წვრილ მესაკუთრეთა კლასში გადავიდეს, არგუნებს—მთავრობის გავლენისაგან განუსაზღვრელ თავისუფლებას, კრედიტსა და შრომის ნაყოფის სრულს უზრუნველყოფას. ამ სამმაგი მიზნისათვის იგი მოითხოვდა სრულს „Laissez faire, laissez passer"-ს და ეს პრინციპი მისი განვითარების უკიდურეს საზღვრამდე მიჰყავდა. იგი მოითხოვდა „სახალხო ბანკის" დაარსებას, ამარადისებდა ოჯახის ისეთ წყობას, რომლის დროსაც ოჯახის მეთაური, ისარგებლებს, როგორადაც ინებებს, „თავისი მარჯვენის ნაყოფით" და თავიანი კერის სიმშვიდით, ხანდახან კი ბრძანებს კიდეც: ჩემი სურვილის ურჩობა არაკინ გაბედოსო. ოჯახში ეს ბატონობა პრუდონის სისტემაში შედიოდა ისევე, როგორადაც გურიები შედიან მაჰმადის სისტემაში: როგორც პირველს ისე, მეორეს ეს მიაჩნიათ ჯილდოდ, რომელსაც ისინი გასცემენ მოთმინებისა და შრომაში გატარებული ცხოვრებისათვის. როგორც პირველის, ისე მეორეს სისტემაში იგი მაინც სავსებით თავის ადგილას არის, რამდენიც ნებავთ იყვიროს ჩვენებურმა პუბლიცისტებმა პრუდონის „ალმაშფოთებელ თანმიუდევრობაზე", რომლის გამოც იგი ქალთა მონობას აკანონებს.

პრუდონის ამ სიმპატიებსა და მისწრაფებებს მუშა ხალხის უდიდესი უმრავლესობა რომ იზიარებს, ამაში გვარწმუნებს უკანასკნელი წლების მუშათა მოძრაობის მრავალი ფაქტი. ამას ყველაზე კარგად ადასტურებს მუშათა ორი კონგრესი, გამართული პირველი ჟენევაში (1866), ხოლო

მეორე—ლოზანაში (1867). ამ კონგრესებზე მიღებულ იქნა თითქმის ყველა „დოგმატი“ პრუდონის მოძღვრებისა, მათ შორის ქალის „საოჯახო, საშინაო“ მოვალეობათა შესახებაც. ფრანგმა მუშებმა რამდენიმეჯერ განახორციელეს კიდეც პარიზში ეს აზრი: ისინი ძალით ერეკებოდენ ქალებს სახელოსნოებიდან.

მაგრამ როგორც ორჯერ ორი ოთხი, ისეა დამტკიცებული, რომ ამნაირ მისწრაფებათა განხორციელება სრულიადაც ვერ სპობს თანამედროვე დაბრკოლებებს. როდესაც ჩვენში ბატონყმობა არსებობდა, ხშირი იყო, რომ გამონაკლისის სახით ზოგიერთ გლეხს, რომელნიც სადმე ქონებას შეიძენდენ, ან ბატონის წყალობას დაიმსახურებდენ რითიმე, განთავისუფლებდენ ხოლმე ყმობისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გლეხთა უმრავლესობის განთავისუფლება მონობისაგან არ შეიძლებოდა სხვანაირად, თუ არა მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის ძირიანფესვიანად შეცვლით, თუ არა საამისო კანონმდებლობის საერთო გადაშინჯვით. იგივე ითქმის მუშათა მდგომარეობაზედაც. თანამედროვე კანონმდებლობა საერთოდ და კერძოთ—ძალიან ემორჩილება მქონებელ კლასებს და ძალიან დაუნდობელია უქონელთადმი. ექსპლოატატორებისგან ამ უკანასკნელთა გასანთავისუფლებლად საჭიროა ძირიან-ფესვიანად, თავით ბოლომდე გაოდაქმნა ამ კანონმდებლობის საფუძვლებისა, რათა მუშათა კლასს, როდესაც უკეთესი მდგომარეობისაკენ მიისწრაფვის, მუდმივად არ აბრკოლებდეს ის პრივილეგიები და უპირატესობანი, რომელნიც მქონებელ კლასებს მოუსწრიათ შემოემტკიცებინათ განატაცებ თუ ნაქურდალ სიმდიდრესთან ერთად. საზოგადოების სარგებლობა მოითხოვს, რომ მან იზრუნოს, რათა ყველა მის წევრს თანაბარი შანსი ჰქონდეს არსებობისათვის ბრძოლაში გასამარჯვებლად. ხოლო ვიდრე საზოგადოება ყრუა ამგვარი მოთხოვნილებისადმი, ცალკე მისი წევრები, რომელნიც დაჯგუფებულნი არიან ასოციაციებსა და მსგავს საზოგადოებებად, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევენ რაიმე წარმატებას, როდესაც ისინი გაერთიანებული შრომით—საერთო ძალების, ხოლო გაერთიანებული მოხმარებითა და უშუალო გაცვლა-გამოცვლით—საერთო სიმდიდრის ეკონომიზაციას მოახდენენ. მაგრამ არაფერ ასეთის ხსენებაც კი არაა მუშა ხალხის მისწრაფებაში.

რევოლიუციონურმა დილეტანტებმა, რომელთაც კეთილ ინებეს გენათლებინათ უბედური მუშები და ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინათ, ჯერჯერობით მხოლოდ მყვირალა ფრაზების ხმარება და მისი ბოროტად გამოყენება თუ ასწავლეს მათ. ამაზე შორს, ჯერჯერობით მაინც, ინტელიგენციის გავლენა მასებზე, არ წასულა. აშნაირი სამ-

წუხარო მდგომარეობის დროს არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მუშათა ხალხი ამ ცოტა ხანში გამონახავს ჭეშმარიტ გზას, მთელი ხალხის საერთო ბედნიერებისაკენ მიმავალს.

„ევროპის ცხოვრების“ ამ სამ ნარკვევში ჩვენ მიზნად გვქონდა ცხადგვეყო, რომ ის საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დგას დღეს— ევროპის სახელმწიფოთა საერთო განიარაღება—ფრიად ღრმად ეხება თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობას; ოცი წლის წინად ამ წყობის შერყევის ბევრად უფრო სუსტმა ცდამ თოფქვეშ დააყენა თანამედროვე წყობილების მრავალრიცხოვანი დამცველნი; ბოლოს ის უნდა ითქვას, რომ მუშათა წოდება აქამდე ემზადებოდა და ემზადება სრულიად არა იმნაირი საერთო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის, რომელიც მოჰყვება განიარაღებისადმი გადადგმულ პირველსავე სერიოზულ ნაბიჯს. მუშები ვერ ხედავენ ვერც იმ მიზანს, რომელსაც ისინი უნდა ესწრაფებოდენ, ვერც იმ ჩასაფრებულთ, რომელთაც მათ უნდა შეუტიონ. და ვიდრე ისინი მუხლებამდე ტალახში ჩაფლულნი ჭაობში დახეტიალობენ, მათ ხალითაოდ დახოცავენ, ან და ხელფეხშეკრულებს კვლავ მიაკრავენ ოცი წლით, ან შეიძლება მეტი ხნითაც, ძველ დაზგებს.

რევოლიუციონერების როლი

ყოველგვარი საზოგადოებრივი მღელვარების წინ, ისეთი მღელვარების წინ, რომელიც მზად არის დაატყდეს ევროპას, ნებაუნებურად უფიქრდები კითხვას: რამდენად მომზადებულია ასეთი მღელვარებისთვის და როგორ მოეპყრობა მას საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც მომავალში გავლენა უნდა მოახდინოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის ცუდათ მომზადებული ხალხის მასების გონებაზე და მოძრავ შთაბეჭდილებაზე და შესძლებს თუ არა იგი დაეუფლოს ამ მასების მოქმედებას და წარმართოს ისინი ერთხელვე დასახული მიზნის განხორციელებისაკენ.

თუ გულზე ხელს დავიდებთ, ამ კითხვაზე აშკარად უარყოფითი პასუხი უნდა გავსცეთ. მაგრამ ვიდრე ჩვენი პასუხის დასაბუთებას შევუდგებოდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ იმაზე, თუ რა გრძნობის ზეგავლენით ვასრულებთ ჩვენ ჩვენს როლს, რომელიც ადვილად შეგვეძლო „სამღვთო მოვალეობად" მიგვეჩნია, ჩვენ რომ წესად არ დაგვესახა—ვერიდოთ ყოველგვარ ზოგად ფრაზას და პათეტიურ გატაცებას.

ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს კაცთმოყვარეობის ძირითადი წესი—არ დაეცე თავს სუსტს და არ ებრძოლო ძლიერი მტრის მიერ დევნილ ხალხს, რომელიც გაძევებულია, ბორკილებშია გაყრილი ან სილატაკეში იმყოფება. ჩვენში სრულ პატივისცემას და სიყვარულს იწვევს იმ ადამიანთა ტანჯვა, რომელთაც ოდესმე არსებითი რამ მიუტანიათ მსხვერპლად იმის სასარგებლოდ, რაც მათ თავიანთ რწმენად ან საზოგადო სიკეთედ მიაჩნიათ, თუმცა ამავე დროს ჩვენ საკვირველ არ მიგვაჩნია ფანდაზედ გადავუშალოთ ყველას ეს ჩვენი მოწიწება. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებდით და, ვიმედოვნებთ არც შემდეგში დავივიწყებთ იმას, რომ ეს ტანჯვა,—ისევე, როგორც მთელი მოღვაწეობა იმ ადამიანებისა, რომელთაც ტანჯვა განუცდიათ ან არ განუცდიათ, მაგრამ მაინც უმუშავნიათ ხალხისთვის სიკეთის მოსატანად,—ჩვენთვის ძვირფასია და იწვევს ჩვენში სიყვარულს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თუნდაც ერთი ნაბიჯით, თუნდაც ნახევარი ნაბიჯით მოგვიახლოვეს ამ სიკეთის განხორციელება. გაწეული ტანჯვისთვის და შეწირული მსხვერპლისთვის ჩვენ მზად ვართ დავხუ-

ჭოთ თვალი და არ დავინახოთ მრავალი პირადი თუ სხვა ნაკლი, მაგრამ მოვიქცევით ასე იმ დრომდე, ვიდრე ტანჯულთა მოქმედებას თუ უმოქმედობას აშკარა ვნება არ მოუტანია იმ საქმისათვის, რომლისთვისაც მათ წარსულ დროთა განმავლობაში ცოტად თუ ბევრად საგრძნობი მსხვერპლი შეუწირავთ. ხოლო როდესაც საქმეს, რომელსაც ჩვენ შეძლებისამებრ ვემსახურებით, ზიანი მოსდის იმ ხალხის მოქმედებისაგან, რომელსაც იქნებ ათასჯერ მეტი სიკეთე მოუტანია მისთვის,—ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ხმა ამოვიღოთ და დავიცვათ ეს საქმე მის წინანდელ ან მოუხერხებელ მოსამსახურეთა მოქმედების პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ჩვენი შენიშვნების თუ განმარტებების თავშეკავება და ზომიერება დაგვყავს არა თუ სირბილემდე, არამედ სისუსტემდეც. ჩვენი ასეთი ყოფაქცევა მკითხველებმა უკვე საქმით დაინახეს იმ წერილში, რომელიც რუსეთის ემიგრაციას შეეხებოდა და რომლის ერთგვარ დამატებასაც დღევანდელი წერილი წარმოადგენს.

ევროპის სახელმწიფოთა მოწინავე პარტიები, დაწყებული 1848 წლიდან, მოქმედებენ მხოლოდ უარყოფითი გზით. გაფაციცებით ადევნებდენ რა თვალყურს მთავრობათა მოქმედებას, ისინი კმაყოფილდებოდენ უბრალო პროტესტაციებით, მთავრობის ამა თუ იმ განკარგულების უკანონობის აღნიშვნით და მიისწრაფოდენ მხოლოდ ერთი მიზნისკენ: დაერწმუნებინათ მასა, რომ მთავრობები ბოროტი განზრახვით არიან განმსჭვალულნი, აღეძრათ მასში სიძულვილი ამ მთავრობებისადმი და გამოეწვიათ მისი მხნე მოქმედება მთავრობის ძალის წინააღმდეგ—დაეპირისპირებიათ ამ უკანასკნელისთვის არჩევნების მორალური ძალა და ბარიკადებზე მებრძოლთა კუნთების ძალა.

ამ მზნის მისაღწევად, ევროპის მოწინავე კაცები სცდილობდენ არ აღეძრათ ის საკითხები, რომელთაც შეეძლოთ ჩამოეგდოთ რაიმე უთანხმოება არსებულ მთავრობათა სხვადასხვა ჯურის მტრებს შორის. სადაო მუხლები იმ მოკავშირეთა შორის, რომელნიც საერთო მტრის წინააღმდეგ მიდიოდენ, მიჩქმალული იყო თითქოს მოკავშირეთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით. ამ ტაქტიკის წყალობით, რომელიც იქნებ ძალიან მოხერხებულია საარჩევნო უმრავლესობის მისაღწევად, უკანა რიგში მოაქცია ის საკითხები, რომლებიც მასების გონებას ეუფლებოდენ, და მოხდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ არსებითი საკითხების გადაწყვეტაში ვერ შეთანხმებულიყვნენ ის ადამიანები, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ერთმანეთთან შეტევითი კავშირი დასდეს. ამის საბოლოო შედეგი ის იყო,

რომ მასებს გული აუცრუვდათ იმ საქმისადმი, რომელზედაც მოწინავე კაცები ქადაგებდენ.

რაკი „მტრის დამარცხებამდე“ გადასწყდა გაჩუმება სადაო და საჭირბოროტო საკითხებზე, მოწინავე კაცებმა,—ხოლო მათ შემდეგ იმ ახალგაზრდობამაც, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლად მისდევდა მათ,—თანდათან დაჰკარგეს ნათელი შეგნება ამ საკითხების არსებასა და მდგომარეობაზე და მათი გადაჭრის საშუალებებზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამას ხელს უწყობდა არა მარტო მოკავშირეებთან არ წაჩხუბების სურვილი, არამედ ის უბრალო მოსაზრებაც, რომ ეხლა მთავარი და უპირველესია მტრის დამხობა, ხოლო ყოველივე დანარჩენის მოფიქრება და მოგვარება შეიძლება ამ სასურველი დამხობის შემდეგ.

ასეთ უმოქმედო მოლოდინში გასული დრო ვერ შესძენდა მოწინავე ადამიანებს უნარს—ჩაეხედათ ცხოვრებაში და გაერკვიათ იმ სიძნელეთა დედა-აზრი, რომელთა თავიდან აცილებაც გადაიქცევა მათ მოვალეობად იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა მათი სასურველი მოლოდინი. მათ ვერ გაიგეს, რომ უარყოფითი დამოკიდებულება მთავრობისა და მიმდინარე ცხოვრებისადმი ვერ ჩაითვლება მათი მომავალი მოქმედების საკმაოდ ძლიერ თავმდებად, რომ იგი ვერ მოაგროვებდა ძალას მთავრობასთან საბრძოლველადაც კი, აღარას ვამბობთ იმაზე, რომ იგი ვერ მიიზიდავს მათ რიგებში ვერც ერთ გარეშე კაცს, რომელსაც მათი დროშის დაცვა თავის პირად გადაუდებელ საქმედ არ მიაჩნია.

პრუსიაში პროგრესისტები, რომელნიც მოქმედების ამ გზას ადგენ, ზეიმით დამარცხდენ, როდესაც ბისმარკის პოლიტიკა ხელსაყრელი აღმოჩნდა მთლიანი და განუყოფელი გერმანიისათვის. ვერ შეაჩერა ისინი ლასალის გაფრთხილებამ და მხილებამ; ისინი გამოფხიზლდენ მხოლოდ სადოვოის ბრძოლის და ბოგემიის ლაშქრობის წყალობით. გზა-კვალ აბნეულებმა თავი შეირცხვინეს და ბისმარკის რიგებს მიუდგენ, რითაც მას თავიანთი სიბეცის და სრული უძლურების საზეიმო აქტი გადასცეს. საფრანგეთში სრულებით საწინააღმდეგო მოხდა. მთავრობამ, რომელმაც შეცდომა შეცდომაზე ჩაიდინა, სახელი გაიტეხა მასების თვალში და გამოიწვია საყოველთაო გააფთრება თავის წინააღმდეგ. ოპოზიცია და საფრანგეთის მოწინავე კაცები დღემდე განაგრძობენ ამ გააფთრების გაღვივებას და სხვას არაფერს აკეთებენ.

საზოგადოებრივ საქმეებში არაფერია ისე ადვილი, როგორც საზოგადოების ამა თუ იმ განწყობილების წაქეზება: საკმარისია მცირედი ნიშანიც კი, რომ საზოგადოებამ იგი თავისი აზრების გამო-

ხატულებად მიიღოს, და მსმენელები თუ მკითხველები გულუბრყვილოდ მზად არიან თავიანთი აზრები და გრძნობები მიაწერონ ყოველ ფრაზას, რომელიც ოდნავ მაინც, თუნდაც გარეგნობით, ეგუება მათ განწყობილებას. მაგრამ ასეთი სიმპატია იმდენადვე მტკიცეა, რამდენადაც ადვილად წარმოიშვება იგი. აი სწორედ აქ სჩანს სიბეცე მოწინავე კაცებისა, რომელთაც არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ მასების სიმპატია და ახლად ჩასახული ნდობა შეინარჩუნონ იმ დროისთვის, როდესაც გაივლის საზოგადოების ეხლანდელი განწყობილება. ამის მიღწევა კი შეიძლებოდა მასების მოთხოვნილების, მათი მისწრაფებისა და საჭიროების უაღრესად სერიოზული და კეთილსინდისიერი შესწავლით. მართალია, ამგვარი საკითხების საჯარო დამუშავება შეამცირებდა თანამგრძნობთა რიცხვს, მაგრამ სამაგიეროდ თანაგრძნობისა და ნდობის ძალა და სიმტკიცე იმ ზომამდე გაიზრდებოდა, რომ არავინ აიტკივებდა თავს ცრუ თაყვანისმცემელთა დაკარგვაზე ფიქრით.

მეორე უბედურება, რომელსაც უკვე მიაღწიეს მოწინავე კაცებმა, არის ის, რომ ისინი არ იცნობენ პრაქტიკულ საკითხებს, ვერ ახერხებენ მოსალოდნელ დაბრკოლებათა და სიძნელეთა თავიდან აცილებას. ოპოზიციონური დეპუტატების სიტყვები და ასეთივე ჟურნალისტების წერილები სავსეა მთავრობის ბოროტ-განზრახვათა აღნიშვნით ან მთავრობის წარმომადგენელთა და მის მწერალთა მხილებით წინააღმდეგობასა და არათანმიმდევრობაში. მაგრამ ყოველსავე ამას ერთგვარი ინტერესი აქვს მხოლოდ დღევანდელ მომენტში; რომ გაჭრეს ამჟამად მთავრობა, ოპოზიციონურ მოღვაწეებს არ ეცოდინებათ, რა გააკეთონ: ისინი არა თუ ვერ მოახერხებენ მეტად აბნეული ფინანსიური მდგომარეობის ლიკვიდაციას ან სხვებზე უფრო ნაკლებად გაძნელებული ისეთი ეკონომიური პირობების თავიდან აცილებას, რომლებიც გაძვალტყავებულ და უკმაყოფილო ხალხს შეეხებიან, არამედ მათ არ ეყოფოდათ ნიჭიერი და მცოდნე ხალხი სამოსამართლო და ადმინისტრატიული დაწესებულებების რეორგანიზაციისათვის. და თანამედროვე მოწინავე კაცები რომ ბედის წყალობით მთავრობის სათავეში მოექცენ, ისინი იძულებულნი გახდებიან კვლავ დააღონ პირი და იწყონ საზოგადოებრივი საკითხის „გამოკვლევა“ და „შესწავლა“, მაშინ, როდესაც ცვლილებით დაჩქარებული ცხოვრების მსვლელობა მოითხოვს მათგან დამზადებულ გადაწყვეტილებებს და ზომებს, ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების სწრაფ გაუმჯობესებას, გადაუდებელ ცვლილებებს კანონმდებლობის ყოველ ნაწილში და უამრავი

ხალხის მატერიალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, იმ ხალხის, რომელიც უპუროდ და უმუშაოდ დარჩება შერყევათა გამო, რაც აუცილებლად მოსდევს ყოველ პოლიტიკურ ცვლილებას. სად გამოძებნიან მოწინავე კაცები სახსარსა და ძალას ყველა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად? საიდან აიღებენ ისინი ცხოვრების პრაქტიკულ ცოდნას, გამჭრიახობას, გაბედულებას და ენერგიას ყოველგვარი ცდისა და ღონისძიებისათვის? ისინი გულხელდაკრეფილნი ისხდენ და მოელოდენ მესამე რესპუბლიკის მოსვლას და ამას უქმად არ ჩაუვლია მათთვის: მათი გონება ვიწრო და ცალმხრივია, ხასიათი — სუსტი და მოდუნებული, ცოდნა არავითარი არ გააჩნიათ, გარდა გაუმჯობესებული, პირადი თავდასხმით გაღვივებული, რიტორიკისა; ასეთი ავლა-დიდებით კი ძნელია გაუძღვე საზოგადოებრივი აღორძინების მეტად რთულ საქმეს.

რა იქნება? ამას ვერავინ გამოიცნობს. მაგრამ ისინი, ვისაც გულწრფელად სურს სიკეთე ხალხისთვის,—დარწმუნებულნი ვართ—ჩვენთან ერთად გაამეორებენ: ღმერთმა ქნას, რომ იმ გადატრიალებას, რომელსაც იწვევს მთავრობათა იდიოტური მეუგნებლობა და გონების სიჩლუნგე, მოუმზადებელი არ დახვდეს ახალგაზრდობა, და ღმერთმა ქნას, რომ მოესწროს ახალგაზრდობის ძალთა გამაგრება და მისი დავაჟკაცება ამ აუცილებელი კატასტროფის დროისთვის, წინაალმდეგ შემთხვევაში მას, ეხლანდელი მოწინავე კაცების მოუმზადებლობის წყალობით და მასების მისწრაფებათა გაურკვევლობის გამო, მოჰყვება ისეთი რეაქცია, რომელზე მარტო ფიქრიც კი შესაზარია.

„ნაროდნოე დელო“

ჩვენ მკითხველებს ალბად უკვე მოეხსენებათ, რომ 1-ლ სექტემბრიდან ჟენევაში, ბ-ნ ელპიდინის და ამხ-ბის სტამბაში (24, Terrosiere) გამოდის ახალი რუსული ჟურნალი „ნაროდნოე დელო“. ჟურნალი თვეში ორჯერ გამოვა, იქნება შიგ ერთი ან ორი თაბახი დიდი in-80 ფორმატისა. დამახასიათებელი თვისება, რითაც ეს ჟურნალი განსხვავდება საზღვარგარეთ არსებულ სხვა რუსულ გამოცემებისაგან, არის ის, რომ მას განზრახული აქვს იყოს მხოლოდ და მხოლოდ როპაგანდის ჟურნალად და ხელი მოჰკიდოს რუსეთში რევოლიუციონურ საკითხების დასმას.

სულ სხვა ადგილის დაჭერას ცდილობს საზღვარგარეთის რუსულ ლიტერატურაში ჩვენი ,,სოვრემენოსტ''-ი: მას უნდა, რამდენადაც ნებას მისცემს საღსარი და იმ მასალის სიმცირე, რომელიც დღეს მოეპოება, იყოს მიმდინარე ცხოვრების მიმომხილველი და ამსახველი, და წარუდგინოს მკითხველს არა თავისი მისწრაფებებისა და იდეალების სურათი, არამედ ნამდვილი ვითარება და საზოგადოებრივ საქმეთა მიმდინარეობა რუსეთსა და ევროპაში. რაც უფრო უკეთ შეავასრულებთ ასეთ პროგრამას, რაც უფრო სისწორით ავსახავთ სინამდვილის სურათს, მით უფრო საგრძნობი გახდება ჩვენთვისაც და მკითხველისთვისაც საჭიროება—ჩვენ მიმოხილვებთან ერთად მოვათავსოთ ესკიზები იმისა, რაც უფრო კარგი და ხელსაყრელია საზოგადოებისათვის; სხვა სიტყვებით—სინამდვილის დასურათება მხარდამხარ უნდა მისდევდეს ამ სინამდვილის კრიტიკას და ისეთ წინადადებებს, რომლებიც შეეცდებიან შესცვალონ სინამდვილეში ის, რის შეცვლაც ადამიანის ხელთ არის.

ამ დიდ საჭიროებას—არ დავკმაყოფილებულიყავით თანამედროვეობის მარტოოდენ დასურათებით—მეტად მკვეთრად ვგრძნობდით თვითონ ჩვენ; იგი ხელს გვიშლიდა მიგვემართა მთელი ჩვენი ძალღონე თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვისაკენ. ნებაუნებურად ვხვდებოდით იძულებულნი გადაგველახა ჩვენი სინამდვილის საზღვრები, რაც საგრძნობლად აძნელებდა ჩვენს მუშაობას და გვაშორებდა ჩვენი მიზნის მიღწევას.

გასაგებია ამიტომ, რა ცხოველ თანაგრძნობას უნდა იწვევდეს ჩვენში ყოველი ცდა, მიშართული პროპაგანდის ორგანოს დაარსებისკენ საზღვარგარეთ, და რა ყურადღებით—ვიტყვით პირდაპირ, რა მზრუნველობით—უნდა მოვეპყრათ ასეთ ორგანოს. ჩვენ შეგნებულად ვერიდებოდით საკუთარ თეორიულ რწმენათა და შეხედულებათა გამოთქმას და ჩავდიოდით ამას მხოლოდ იმიტომ, რომ მოსამზადებელ მუშაობას ამ შეხედულებათა გასატარებლად—თანამედროვე მდგომარეობის გამორკვევას ჩვენი მოღვაწენი სულ არ შეჰხებიან, ხოლო ამ წინასწარი მომზადების გარეშე ყოველგვარი „საკითხის" თეორიული განხილვა ნიშნავდა აბსტრაქციების ბურუსში გახვევას და არავითარი გავლენის არ მოხდენას მკითხველი საზოგადოების გონებაზე. ამიტომ ჩვენ სრულიადაც ვერ მოვეპყრობით გულგრილად საკითხს—როგორ შეასრულებენ სხვები იმ როლს, რომელზედაც ჩვენ იძულებულნი ვიყავით უარი გვეთქვა, და უქმად ხომ არ ჩაივლის ჩვენი ის მეცადინეობა, რომლის მიზანსაც შეადგენს ნიადაგის მომზადება ჩვენი შეხედულებების აზრიანი პროპაგანდისთვის.

ჩვენი მკითხველი საზოგადოება ძალიან ნაკლებად იცნობს საზოგადოებრივ საქმეთა ბუნებას. ჩვენ ვიკისრეთ საქმის ერთი მხარე გადაგვეშალა მკითხველის წინაშე ცოტად თუ ბევრად დამუშავებული სახით, უბრალო ფაქტების სახით ნამდვილი ცხოვრებიდან, ხოლო საზოგადოებრივ მეცნიერებათა „ფილოსოფიის" გაცნობა ამ მკითხველისთვის სხვების წილად დავტოვეთ ან დროებით გადავდეთ. მაგრამ ბოტანიკის ყოველი კეთილსინდისიერი მასწავლებელი, მაგალითად, დაინტერესებულია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შემდგომი შეთვისება მისი მოწაფეების მიერ შეეთანაბრებოდეს მის წინასწარ გაკვეთილებს. იგი გულდასმით ადევნებს თვალყურს იმ პროფესორების მეთოდებს, რომელთაც იკისრეს მის მიერ დამუშავებული ფაქტების განზოგადოება, და გამოჰყავს ამ მეთოდებიდან დასკვნები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მთელ ბოტანიკაში, ხოლო ზოგჯერ მთელ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. და ხდება ხოლმე ხშირად, რომ ბოტანიკის მასწავლებელი, ჩვენ მიერ მაგალითისთვის აღებული, ბუნებისმეტყველების სწავლების საქმეში სწორი ჰარმონიის დამყარებით აღწევს თავის მიზანს.

სწორედ ასეთია ჩვენი როლი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში; სწორედ ასევე ვართ ჩვენ მოვალენი ვიზრუნოთ იმისთვის, რომ პუბლიცისტიკის ის ნაწილი, რომელიც კისრულობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განზოგადოებისა და დასკვნების პროპაგანდას, გონიერად და წარმატებით უძღვებოდეს თავის საქმეს, რომ

მან შესძლოს მიაღწიოს თავის მიზანს—გააცნოს საზოგადოებას საღი შეხედულებანი საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ხალხის ცხოვრებაზე. ასეთი თვალით ვუყურებთ ჩვენ „ნაროდნოე დელო“-ს.

ჩვენ არაფრის გულისთვის არ გვინდა პოლემიკა გავაბათ ამ ჟურნალთან. მაგრამ „ნაროდნოე დელო“ თავის პირველ ნომერშივე შეეხო, ჩვენის აზრით—უსაფუძვლოდ, რამდენსამე პუნქტს, რომელთა გამოც ჩვენ ძალიან ადვილად შეგვიძლია მისი შეცდომების გამოსწორება. შეცდომებს კი, როგორც ცნობილია, იშვიათად ასცდება ახლად ფეხადგმული ჟურნალი. ეს პუნქტები, ამას გარდა, დაგვანახვებენ—რაში არ ვეთანხმებით „ნაროდნოე დელო“-ს, და ვიმედოვნებთ, რომ „ნაროდნოე დელო“-ს, ალბად, ახალგაზრდა და გამოუცდელი ავტორები მხედველობაში მიიღებენ ჩვენ შენიშვნებს, რათა შემდეგში არ გააფუჭონ საქმე ზედმეტი უკიდურესობით და განყენებული „ნავარდით“ ფილოსოფიის მიუწდომელ სფეროებში.

„ნაროდნოე დელო“, რომელიც უარჰყოფს შთავრობის რეფორმებს და გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ მთავრობის როლი მავნებელია ხალხის ბედნიერებისთვის, ერთბაშად მიდის სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფოს უარყოფამდე. ამ უარყოფას იგი პირველ ნომერშივე იმეორებს რაღაც ათჯერ, ამიტომ არ შეიძლება მისი უყურადღებოდ დატოვება. ჩვენ „ნაროდნოე დელო“-ს წარვუდგენთ შემდეგ მაგალითს: 1867 წელს ჟენევაში შეიკრიბა კონგრესი აშკარა რევოლიუციონური მიზნებით, უკიდურესი შეხედულებებით და იმ წარბშეუხრელი განზრახვით, რომ თანამედროვე მთავრობის მექანიზმში ქვა-ქვაზე არ დაეტოვებია. მაგრამ, რადგან წევრები სხვადასხვა პირად და საზოგადოებრივ საქმეებში იყვნენ გართულნი და რადგან ყველას არ მოეპოებოდა საკმაო დრო ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ამიტომ მათ რამდენიმე კაცისაგან დააწესეს მუდმივი კომიტეტი და მას დაავალეს—გაუძღვეთ რევოლიუციის საქმეს, გამონახოს სახსრები ამ საქმის გამარჯვებისთვის და წელიწადში ერთხელ ჩააბაროს ანგარიში თავის წევრებს. მუდმივი კომიტეტი იგივე მთავრობაა, სახელმწიფო,—ყველაფერი, რაც გნებავთ, იგი საზოგადოების წევრთა კოლექტიური ძალის განსახიერებაა, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ერთხელვე დასახული პროგრამა. სახელმწიფოს უარყოფა ნიშნავს „მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგის“ მუდმივი კომიტეტის უარყოფას, ნიშნავს საზოგადოდ უარჰყო ის, რომ სასარგებლო და მოსახერხებელია ასოციაციური საქმეების გაძღოლის გადაცემა საზოგადოების რწმუნებით აღჭურვილი ორი-სამი წევრისთვის.

რა საჭიროა ეს უკიდურესობა? შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ესა თუ ის კომიტეტი, ესა თუ ის მთავრობა უკანონოდ არსებობს, მიჰ-ყავს მას საქმეები საზოგადოების საზიანოდ, ზურგი გამაგრებული-აქვს ხიშტების ან მოსყიდვის მეოხებით და არა საზოგადოების წუ-ვრთა თანხმობით.—ყველაფერი ეს შესაძლებელია. მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ, საზოგადოდ, დელეგაციის როლი ზედმე-ტია ან მავნებელი, ნიშნავს ისეთი რამის თქმას, რაც არ ეგუება არც ლოლიკას და არც საღ გონიერებას. რადგან შეიძლება „ნარო-დნოე დელო"-ს თანამშრომლებმა ჩვენი სიტყვა არ დაიჯერონ, ვურ-ჩევთ გადაიკითხონ ჩერნიშევსკის წერილი: „ეკონომიური საქ-მიანობა და კანონმდებლობა" („სოვრემენნიკ"-ი, 1859, № 2), საიდანაც ისინი ადვილად გაიგებენ—რაშია როგორც მთავრობის როლი, ისე ის მოვალეობა, რომელიც წილად ხვდება „სახელმწიფოს" და საზოგადოებას. „სახელმწიფოს" წინააღმდეგ გალაშქრება ყოვ-ლად უვნებელი საქმეა: იგი ნდობას უკარგავს მკითხველს, სამწუხა-როდ, არა მთავრობისა და საერთოდ, სახელმწიფოსადმი, არამედ „ნაროდნოე დელო"-ს რედაქციისადმი.

ბევრად უფრო საყურადღებოა „ნაროდნოე დელო"-ს ამხედრე-ბა თანამედროვე მეცნიერების წინააღმდეგ. „ნაროდნოე დელო" მი-ვიდა იმ აზრამდე, რომ სახალხო რელიგიის მოსპობა აუცილებლად საჭირო საქმეა, ამიტომ მეცნიერებას მოვალეობად უსახავს—ხალხის ინტერესებისათვის მოსპოს ხალხის რწმენა და აღიაროს ღვთის არ-არსებობა. მეცნიერების ამ მოვალეობის მიხედვით, „ნაროდნოე დე-ლო" თანამედროვე მეცნიერებს ჰყოფს ორ ჯგუფად—რევოლიუციის-მოციქულებად და არარევოლიუციონერებად. სამწუხაროდ, „ნაროდ-ნოე დელო"-ს ცოდნა მეცნიერების დარგში, ისევე, როგორც ფილო-სოფიის დარგში, ცოტა არ იყოს, არეულია. იგი ერთ მხარეს აყენებს ბიუხნერს, კარლ ფოგტს და მოლეშოტს (რევოლიუციის მოციქულე-ბი), ხოლო მეორე მხარეს—ბოკლს, დარვინს, ლიუის, ჰ. სპენსერს და ჯ. ს. მილს (არარევოლიუციონერები). მეცნიერთა ასე დანაწი-ლებამ რევოლიუციის ცხვრებად და თხებად შეიძლება „ნაროდნოე დელო"ს ნდობა დაუკარგოს საზოგადოების თვალში. ვინ არ იცის, მაგალითად, დღეს, რომ ბიუხნერი, ხოლო მასთან ერთად სპენსერი, მეტაფიზიკოსთა რიცხვს ეკუთვნიან და ფილოსოფიის ისტორიაში მხარს უმშვენებენ სენსუალიზმის, ვიტალიზმის, სპირიტუალიზმის, ანიმიზმის, მატერიალიზმის და სხვა ცალმხრივ სისტემათა მოშხრეებს და დამაარსებლებს? და, მეორეს მხრით, ვის არ მოეხსენება, რომ კარლ ფოგტი, მოლეშოტი, დარვინი და ბოკლი ეკუთვნიან იმ მეცნ-

ნიერთა რიცხვს, რომელთაც მეცნიერებიდან ერთხელ და სამუდამოდ განდევნეს ყოველგვარი მეტაფიზიკური საკითხი და რომელნიც შეუდგენ ფიზიკური და ზნეობრივი ბუნების მოვლენათა გამოკვლევას და განზოგადოებას, რათა ამ მოვლენათა თანმიმდევრობას მისწვდენ? „ნაროდნოე დელო“-ს რედაქციის გონებაში შეცდომა მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ფოგტი და მოლეშოტი თავიანთ მეცნიერულ გამოკვლევებს და დასკვნებს აზავებენ სარკაზმით სპირიტუალიზმის წინააღმდეგ, ხოლო ბოკლი და დარვინი მოწიწებით ეპყრობიან თავიანთ ინგლისელ მკითხველთა მორწმუნეობას. მაგრამ მეცნიერთა და გონიერ მკითხველთა თვალში არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვთ არც გერმანელ მეცნიერთა სარკაზმს და არც ინგლისელ მეცნიერთა შენიშვნებს; ეს მხოლოდ ფიორეტურებია, სტილის სამკაული —და აქედან გამანსხვავებელი ნიშნების გამოყვანა მწერალთა კვალიფიკაციისთვის, მეტი რომ არა ვთქვათ, დაუშვებელია მეცნიერების საქმეში უვიცთათვისაც კი.

ბუნებისმეტყველებაში ბეკონის შემდეგ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ეგრედწოდებული დადებითი, პოზიტიური მეთოდი, რომელსაც ნაწილობრივ კონტიც იზიარებდა. ეს მეთოდი ეხლა ოგიუსტ კონტის დამსახურებად მიაჩნიათ, თუმცა ამ მოაზროვნემ, როგორც თითონაც აღიარებს, მხოლოდ ჩამოაყალიბა ის აზრი, რომელიც ძალიან დიდი ხანია მეცნიერების საკუთრებად გადაიქცა. ეს მეთოდი დამყარებულია იმ შეხედულებაზე, რომ ჩვენი გაგებისთვის ხელმისაწვდენია არა იმ ფაქტების რაობა, რომელთაც ჩვენ ვხედავთ, არა მათი ურთიერთობის მიზეზები, არამედ მხოლოდ ის მოვლენები, რომლებიც წარმოიშვებიან თვით ამ ფაქტებს შორის არსებული ურთიერთობის შეცვლის დროს. ამ ფაქტებში ჩვენ ძალგვიძს მივწვდეთ არა მათ მიზეზებს ან ბუნებას, არამედ მხოლოდ გარეგან თანმიმდევრობას ან მემკვიდრეობას, ე. ი. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ერთგვარი გარემოებების დროს წარმოიშვებიან ერთგვარი მოვლენები. მოვლენების თანმიმდევარი რიგი, რომელიც შეესაბამება ამ მოვლენების წარმომშობ გარემოებათა რიგს, გვაძლევს წარმოდგენას მოვლენათა კანონების შესახებ. სწორედ ეს თანმიმდევრობა უნდა გამოსძებნოს მეცნიერებამ და არ შეუდგეს იგი უნაყოფო კამათს თვით მოვლენათა და ფაქტთა რაობის ან ბუნების შესახებ.

მთელი თანამედროვე მეცნიერება, ბეკონიდან დაწყებული, ამ მეთოდს ეყრდნობა და ბიდის წინ მისი წყალობით. ამ მეთოდს უნდა ვუმადლოდეთ იმ წარმატებისთვის, რომელსაც ბუნებისმეტყველებამ მიაღწია (სხვათა შორის, „რევოლიუციის მოციქულთა“, გარ-

და ბიუბნერისა, მოლვაწეობისთვისაც). და ყველა ამის შემდეგ „ნაროდნოე დელო“-ს ფილოსოფოსები მამაცად მოითხოვენ, რომ იმ მეცნიერებმა, რომელთაც „რევოლიუციის მოციქულთა“ სახელის პრეტენზია აქვთ, ხელი აიღონ ამ მეთოდზე და „საყოველთაო სახალხო ენაზე (sic) უწოდონ თავიანთ თავს ათეისტები და მატერიალისტები“, და უნდა ჩაიდინონ ეს იმიტომ, რომ „მეცნიერების მიერ მარტოოდენ დაშვება ნამდვილი ღმერთის არსებობისა, თუმცა ეს დაუშვებელია თვით მეცნიერებისთვის, საკმაოა, რომ, ერთი მხრით, გაუნათლებელ ადამიანთა გულში განმტკიცდეს ამ იდეის მეუფება, მაშასადამე, განმტკიცდეს ადამიანთა მონობაც, ხოლო, მეორე მხრივ, მოისპოს მეცნიერების თვით არსებობაც კი“. თითქოს მეცნიერთა ავტორიტეტი ემყარებოდეს არა იმ მტკიცე, ყველასთვის საგრძნობ ცნობებს, რომლების მეოხებითაც ისინი არღვევენ მეტაფიზიკის ძველ შენობას, არამედ არაფერზე არ დამყარებულ განცხადებებზე ღმერთის არსებობის ან არ არსებობის შესახებ.

მოსთხოვო მეცნიერებას, რომ მან მიზნად დაისახოს სახალხო რელიგიის მოსპობა ღვთის „არ არსებობის“ პირდაპირი აღიარების გზით, ნიშნავს მოისურვო, რომ მეცნიერებამ შებრუნებულად ჩაიდინოს სწორედ ის შეცდომა, რაც კანტმა ჩაიდინა. თუ „ნაროდნოე დელო“-ს ფილოსოფოსები ნებას მოგვცემენ შევავსოთ მათი ფილოსოფიური ცოდნა, გავახსენებთ მათ შემდეგ ფაქტს. კანტი, რომელიც გამომდინარეობდა იმ აზრიდან, რომ ჩვენთვის მიუწდომელია თვით ნივთები თავისით (რომელთა არსებობაც, ვიტყვით აქვე, კანტს დასაშვებად მიაჩნდა) და მისაწვდომია მხოლოდ მათი გარეგანი გამოაშკარავება, ე. ი. ის, რასაც მათ ჩვენი ოცნება და ჩვენი გრძნობები მიაწერენ,—აი კანტი „წმინდა გონების კრიტიკა“-ში მივიდა ღვთის უარყოფამდე, ადამიანის ყველა რელიგიური და ზნეობრივი წარმოდგენის უარყოფამდე. მაგრამ შემდეგ „პრაკტიკული გონების კრიტიკა“-სა და „ვანსჯის უნარის კრიტიკა“-ში კანტი საქმეს შეუდგა სულ სხვაგვარად: ნან გამოსავალ წერტილად დასახა ის აზრი, რომ ადამიანში არსებობს „ზნეობრივი კანონი“ (აბსოლიუტური და ჰიპოტეტიური იმპერატივი) აქედან ლოლიკურად დაასკვნა ღვთისა და სხვადასხვა მისი ატრიბუტის არსებობა. დაე ეხლა „ნაროდნოე დელო“-მ გულზე ხელი დაიდოს და სთქვას, აღნიშნული სამი თხზულებიდან რომელს ჰქონდა უფრო მეტი მნიშვნელობა ფილოსოფიისა და საზოგადოების გონებრივი განვითარების ისტორიაში, და დეე მან, თუ შეუძლია დაამტკიცოს ჩვენი იმ განცხადების უსაფუძვლობა, რომ მხოლოდ „წმინდა გონების კრიტიკა“-მ მოახდინა გარდატეხა

ფილოსოფიაში და მხოლოდ მან გაუწია უდიდესი სამსახური ადამიანთა განვითარების საქმეს. ამ მოვლენის მიზეზი იყო სწორედ კანტის დასკვნათა გამოსავალი წერტილი—მის წინამძღვართა და დამამტკიცებელ საბუთთა დადებითი მხარე. თანამედროვე მეცნიერება უფრო ძლიერად ემყარება იმავე მეთოდს, რომელიც უფრო მეტად განვითარდა ადამიანის გონების წარმატებით. და ეხლა რომ მან კანტის მაგალითს მიჰბაძოს და „ნაროდნოე დელო“-ს რჩევა მიიღოს და იწყოს ლაპარაკი ღმერთის არ არსებობაზე, მთელი მისი მსჯელობა და საბუთები, ნებაუნებურად მეტაფიზიკურ ცნობებზე დამყარებით, ისევე უნაყოფოდ და უკვალოდ ჩაიფუშებიან, როგორც კანტის შემდგომი ნაწარმოებნი, და მოხდება ასე სწორედ იმიტომ, რომ ამ მსჯელობას არავითარი მეცნიერული საბუთი არ ექნება და უნდა დაემყაროს იგი მხოლოდ ჩვენ მიერ „ნაროდნოე დელო“-დან ამოწერილ საეჭვო დებულებას. ეს სწადია სწორედ „ნაროდნოე დელო“-ს წერილს—„მეცნიერება და ხალხი“.

ასეთი უხერხული გზა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უნაყოფოა. ზიანი კი, არსებითი ზიანი მისგან ის არის, რომ ადამიანები, რომელნიც მიუდგომელი თვალით უყურებენ სხვადასხვა შეხედულებას, იტყვიან: „ეს რა დახავსებული ხალხი ყოფილა—ილაშქრებენ ყველასათვის აშკარა მეცნიერულ ჭეშმარიტებათა წინააღმდეგ და მოითხოვენ, რომ მეცნიერებამ, რომელმაც ძლივს დააღწია თავი მეტაფიზიკის არტახებს, ამავე მეტაფიზიკის საჭურველით შეიარაღებულმა იწყოს ჯვაროსნული ომი!?“ შემდეგ, ეს მიუდგომელი ადამიანები იტყვიან: „ალბად, სოციალისტური რევოლიუციის საქმეს მართლაც მოელო ბოლო, თუ რევოლიუციონერები და სოციალისტები ასეთი უგუნური განზრახვებით არიან განმსჭვალულნი“. განა შეიძლება ასეთი დათვური სამსახური საკუთარი საქმისთვის? და ნუთუ სოციალისტები და რევოლიუციონერები ხალხის და მისი საქმის სახელით სხვა მოთხოვნებს ვერ წაუყენებენ მეცნიერებას? ან იქნებ „ნაროდნოე დელო“-ს საეჭვოთ მიაჩნია ასეთი გონიერი მოთხოვნების შესაძლებლობა?

შემდეგ, „ნაროდნოე დელოს“ პროგრამაში, სხვადასხვა საქებურ სურვილებთან ერთად (რომელთა ჩამოთვლაც დაუსრულებლად შეიძლება, მაგალითად: „ჩვენ გვსურს გავანთავისუფლოთ დედაკაცი ისეთი უაზრო ჩვეულებისაგან, როგორიც არის ბავშვების მუცლით ტარება ცხრა თვის განმავლობაში“, ან: „ჩვენ გვალვის მტრები ვართ და გვინდა გავანთავისუფლოთ ხალხი წყალდიდობისაგან“ და სხვა), ვხვდებით შემდეგ აზრს: „ეკონომიური სამართლიანობის საფუძვლად

ჩვენ მიგვაჩნია ორი ძირითადი დებულება: მიწა ეკუთვნის მხოლოდ იმას, ვინც მას თავისი ხელით ამუშავებს—მიწადმომქმედ თემებს, ხოლო კაპიტალები და მუშაობის მთელი იარაღი მომუშავეებს—მუშათა ასოციაციებს". საქმე იმაში არ არის, ვის საკუთრებად მიგვაჩნია ესა თუ ის ნივთი. ჩვენ ავიღებთ „ეკონომიური სამართლიანობის" მეორე ნაწილს და ნათელვყოფთ—რამდენად ნაკლები სიმართლეა თვით მასში. მუშა-მექანიკოსთა ასოციაციამ დაამზადა მსწრაფლმბეჭდავი მანქანა. როგორც შრომის ნაყოფი, ეს მანქანა კაპიტალია, და, „ეკონომიური სამართლიანობის" პირდაპირი აზრის მიხედვით, ეკუთვნის მექანიკოსთა ასოციაციას. მაგრამ იგივე მანქანა, როგორც შრომის იარაღი, იმავე „ეკონომიური სამართლიანობის" ძალითვე უნდა ეკუთვნოდეს სტამბის მუშაკთა ასოციაციას. ჰოდა, მოდი და ეხლა გაარჩიე, „ეკონომიური სამართლიანობის" მეორე ძირითადი დებულების ძალით, მუშების რომელ ასოციაციას აქვს „უფლება" მსწრაფმბეჭდავ მანქანაზე. საზოგადოებრივი ეკონომიის საქმეა—დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომ მექანიკოსების მიერ დამზადებული მანქანა, მექანიკოსთა უწყინრად, გადაეცეს სტამბის მუშაკთა ასოციაციას და რომ ამ უკანასკნელ ასოციაციაში არ იყვნენ პარაზიტები და პრივილეგიური წევრები. აი საით უნდა მიიმართოს იმ ადამიანთა ძალღონე, რომელნიც მოწადინებულნი არიან საზოგადოებრივი ეკონომიის წინწაწევას. ხოლო ისეთი „ძირითადი დებულებების" წამოყენება, რომელნიც ყველაფერს აბნელებენ, შეუძლია ყველას, ვისაც კი ეს თავში მოუვა. ეს აარავითარ დამსახურებას არ წარმოადგენს.

კვლავ გავიმეორებთ, რომ ჩვენ ამ შენიშვნებს მივმართეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დაინტერესებულნი ვართ „ნაროდნოე დელო-ს" წარმატებაში, რომ გულით გვსურს ეს წარმატება. ვიმედოვნებთ, რომ „ნაროდნოე დელო" ჩვენ შენიშვნებს ყურადღებით მოეპყრობა, გაიხსენებს გონიერ წესს, რომ „ფილოსოფოსობა ზოგს კაცს თავბრუს ასხამს" და თავის შემდგომ ნომრებში შეუდგება „მთავრობის რეფორმების" დამუშავებას, რომლის შესახებ პირველი წერილიც, მოთავსებული ჟურნალის I-ლ ნომერში, გვიჩვენებს, რომ ავტორი კეთილსინდისიერად და რამდენადმე საქმის ცოდნით ეპყრობა წერილის საგნად აღებულ საკითხს. ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ მივაქციოთ ჩვენი მკითხველის ყურადღება ამ წერილზე.

ნ. გ. ჩერნიშევსკის შესახებ

ნ. გ. ჩერნიშევსკის შესახებ

ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი
სრული გამოცემის წინასიტყვაობა

სტატიათა უმეტესობა, რომელიც მოთავსებულია ნ. გ. ჩერნიშევსკის წინამდებარე ტომში, ახლანდელი დროისათვის თითქოს ყოველგვარ მნიშვნელობასაა მოკლებული. ამ სტატიებში არაა განხილული ის საკითხები, რომლებიც ასე თუ ეინტერესება ჩვენებურ საზოგადოებას: იქ არაა ლაპარაკი არც საერობო დაწესებულებებზე, არც სამომრიგებლო სასამართლოებზე, არც მსხვილ და წვრილ მიწათმფლობელობაზე, ბოლოს, არც სახეთა წარმოშობის შესახებ. მაშ რატომ არის ეს სტატიები საზოგადოების ყურადღების ღირსი? რას ჰპოებს მკითხველი საინტერესოს, მაგალითად, ვინმე ბ-ნ ორდინსკის აზრების რეცენზიასა, ან ანტიკვარული „Временник Московского Общества Истории и Древностей"-ს გარჩევაში? მაშ, რაღა საჭირო იყო ხელმეორედ ბეჭდვა ამ სტატიებისა, რომლებიც დაწერილია თოთხმეტი წლის წინად ადამიანისაგან, რომელიც ის-ის იყო სალიტერატურო ასპარეზზე გამოდიოდა? ან ღირს ყველაფერი ეს წაკითხვად?

უეჭველია, ამნაირ საკითხს წამოაყენებს მკითხველი, რომელიც ძალიან ძვირად აფასებს თავის დროს და რომელიც მხოლოდ ფრიად საინტერესოსა და თანამედროვე თხზულებებსა კითხულობს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ, თუ რა მხრით აქვთ ჩერნიშევსკის ამ სტატიებს ახლაც ფრიად სერიოზული მნიშვნელობა მკითხველი საზოგადოებისათვის.

ჩერნიშევსკი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა სავსებით ჩამოყალიბებული აზრებითა და მოქმედების გამზადებული სისტემით. ეს აზრები და სისტემა მან შეიმუშავა ლესსინგის თხზულებათა შესწავლით, რომლის პირადი ხასიათი და მოღვაწეობა ჩერნიშევსკის ფრიად მოსწონდა და რომლებსაც იგი ძალიან ძვირად აფასებდა. ლესსინგის მსგავსად, ჩერნიშევსკიმ ლიტერატურაში ფეხის შედგმისთანავე მიზნად დაისახა—შეეცვალა საზოგადოების შეხედულებანი და ცნებანი. როგორადაც ლესსინგს, მას საჭიროდ მიაჩნდა ეს შეცვლა დაეწყო ცნებათა იმ დარგიდან, რომელსაც საზოგადოება ნაკლე-

ბი გულგრილობით ეპყრობოდა; თავისი აზრების დამადასტურებელი მაგალითები და საბუთები მოჰყავდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იდეების დარგიდან, იმ დარგიდან, რომელიც საზოგადოებას ყველაზე მეტად ეინტერესებოდა. ჩერნიშევსკის სალიტერატურო მოღვაწეობის პირველ წლებში ჩვენებური მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ წმინდა ლიტერატურის, ხელოვნებისა და მძიმე, ანტიკვარული მეცნიერების დარგი. ამის გამო ჩერნიშევსკი იძულებული იყო საზოგადოებაში გაბატონებული ცნებების გადამუშავება დაეწყო წმინდა სალიტერატურო, ესთეტიურ ცნებათა შეცვლით და მხოლოდ გაკვრით აღენიშნა, თუ რაოდენ ბევრი რამ აკლდათ ჩვენებურ მეცნიერებს, რომ მეცნიერების ნამდვილი მამოძრავებელნი გამხდარიყვნენ. იძულებული იყო რა ასეთ ვიწრო ფარგლებში ემოქმედნა, ჩერნიშევსკიმ იწყო მხილება „ყალბი შინაარსის მქონე ნაწარმოებთა შინაგანი არარაობისა და დომხალისა". ამითი იგი არყევდა თავისი მომავალი მოწინააღმდეგეების ავტორიტეტს და ნელნელა იპყრობდა მკითხველთა ყურადღებას, მათს ნდობას მოიპოებდა—თავისი სამეცნიერო და სალიტერატურო მსჯელობათა და განაჩენთა საფუძვლიანობითა და სამართლიანობით.

მაგრამ ემზადებოდა რა მომავალი, უფრო სერიოზული მოღვაწეობისათვის, მას მხედველობიდან როდი ეპარებოდა სინამდვილე. ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში იგი ცდილობდა ასე თუ ისე დაეკმაყოფილებინა ის მოთხოვნილებანი, რომელთაც იგი რუსეთის ჟურნალისტიკას მიზნად უსახავდა; ეს მოთხოვნილება კი შემდეგნაირი იყო: „ვასწავლოთ საზოგადოებას იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე იგი ახლა არის, ჩავუნერგოთ მას სიკეთის ცნებანი და აღმოვფხვრათ მასში საეჭვო, ხანდახან კი მავნე მოვლენებისადმი აპატია, რომელიც მას ეუფლებაო". სალიტერატურო და სამეცნიერო კრიტიკა მისთვის იყო საზოგადოებაში საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი ინტერესის გასაღვიძებლად. ამ მიზნის მისაღწევად ჩერნიშევსკი სარგებლობდა ყველაფრით: მოსკოვის უნივერსიტეტის იუბილეზე ბ-ნი სოლოვიოვის მიერ წარმოთქმული სიტყვით, ბ-ნი ბერგის თარგმანებით, ორდინსკის მსჯელობებით, ერთი სიტყვით, სარგებლობდა ყველაფრით, რაც ოდნავ მაინც გამოადგებოდა საბაბად და მიზეზად იმისა, რომ გაკვრით მაინც აღენიშნა: არსებობს სხვაგვარი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანისა, ბევრად უფრო ნაკლებად ცხოველური, რომელიც სრულიად არა ჰგავს იმ ცხოვრებას, რომელსაც მაშინდელი ჩვენებური საზოგადოება ატარებდა...

ეს საზოგადოება კი ძალიან წააგავდა თანამედროვე. ჩვენს საზოგადოებას: ორმოციანი წლების დამლევს, ბელინსკისა და მისი თანამშრომლების მიერ აზროვნების წუთიერი გაღვიძების შემდეგ და მაშინდელი დროის იმედების გაცრუების შემდეგ, რუსის მოწინავე საზოგადოებამ დაჰკარგა რაიმე გამოსავალის გამონახვის შესაძლებლობის იმედი, ჩავარდა სრულს აპატიაში, რომელსაც უხეიროდ ჰფარავდა დესპოტიზმის საზიზღრობისა და თავისუფლების სიკეთეთა შესახებ ნაძალადევი პათეტიური ფრაზებით... საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველმა მარცხმა მაშინდელ ახალგაზრდობას გული გაუტეხა, პირადი ცხოვრების ნაჭუჭში მოაქცია, სადაც მან ფართოდ გაუხსნა გზა მოუხეშავ, ხანდახან კი ნამდვილად უხეშ ინსტინქტებს. პირადი „ინტერესები", რომელიც ფრიად ვიწროდ ესმოდათ, ყოველგვარი გაუმჯობესების იმედის სრულიად დაკარგვა, შიში იმისა, რომ არავის წაერთმია მისთვის გაჭირვებით მოპოებული სიმშვიდე და კომფორტი, სურვილი, რომ, მიუხედავად ყველაფერ ამისა, მაინც თავი მოეჩვენებინათ გულგაუტეხელ მოღვაწეებად, რომელთაც ვითომ წინანდებურად სძულდათ ველური ჩაგვრა და სხვა,—აი, ეს აგვირგვინებდა მაშინდელი საზოგადოების ზნეობრივ დაცემულობას.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამის მსგავსი რამ არსებობს თანამედროვე საზოგადოებაშიაც, მხოლოდ ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში ფართოდ გავრცელებული „პატიოსანი ჩიჩიკოვობის" მიმატებით. რასაკვირველია, აქედან ის დასკვნა როდი გამომდინარეობს, რომ ის ძალღონე, რომელიც ჩერნიშევსკიმ იხმარა თავისი დროის საზოგადოების გასაღვიძებლად,—საკმარისი იყოს ჩვენი დროისათვისაც. ახლა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი გულგრილობა უფრო ღრმად შეიჭრა საზოგადოებაში და ეს აიხსნება, ერთის მხრით იმით, რომ საზოგადოება ლუკმა პურის ძებნას უნდება. ამ მდგომარეობის მოსასპობად ახლა უფრო მეტი ძალღონე იქნება საჭირო და რაც უმთავრესია, დაგვჭირდება ახალ საკეთილო გარეჯოებათა ხლართი. მიუხედავად ამისა, ჩერნიშევსკის მიერ ორმოცდაათიანი წლების დამდეგს ნამუშაკევს ამჟამადაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ნამუშაკევის ისტორიული სიდიადის შესახებ რომ არა ვთქვათ რა, სამოქალაქო განვითარების ის გაკვეთილები, ჩერნიშევსკის პატარა სტატიებში რომ არის ჩამალული, ხელს შეუწყობს მრავალს -- თავი დააღწიოს თანამედროვე სიდუხჭირესა და მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესების ბატონობას, ხელს შეუწყობს ზოგიერთებს იმუშაონ საზოგადოებრივი გათვითცნობიერებისა და თვითმოქმედების გასაღვიძებლად.

* * *

„Что делать“? დავბეჭდეთ 1000 ცალად პირველი ტომი 1320 ცალად. ჩვენ საშუალება არა გვაქვს ჩვენი გამოცემა უფრო მეტ ცალად დავბეჭდოთ. ეს ძალიან დიდ გავლენას ახდენს წიგნის ფასზე. მაგრამ გარდა ამ გარემოებისა, არის კიდევ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი გარემოება. საზღვარგარეთ წიგნის საქმე ისე როდია მოწყობილი, როგორადაც რუსეთში. აქ წიგნის ვაჭრები არ სჯერდებიან 10, 15, 20 და 25 პროცენტის დათმობასაც კი. გარდა ყველა გამომცემელთათვის ამ საერთო უხერხულობისა, ჩვენთვის არსებობს კიდევ სიძვირის განსაკუთრებული მიზეზები.

ვინაიდან საკუთარი საშუალებების ანაბარა ვიყავით მიტოვებული, ჩვენ ძლივს-ძლიობით შეგვეძლო წელიწადში ერთი ტომის გამოცემა. ამნაირ მდგომარეობაში ძნელი იყო საქმის ხელის მოკიდება. წიგნის ვაჭარმა ბ. ბენდამ დახმარება შემოგვთავაზა—შეგვპირდა კრედიტს, ქაღალდს და ფულს ტირაჟისთვის. რასაკვირველია, ბ-ნ ბენდას არ შეეძლო ამ საქმეში ეხელმძღვანელნა მხოლოდ იმით, რომ რუსეთის საზოგადოებისათვის თავი მოეწონებინა: მას არ შეეძლო მხედველობაში არ მიეღო საკუთარი ინტერესებიც და წინადადება მოგვცა—მხოლოდ ის ყოფილიყო ჩვენი გამოცემის ერთადერთი უშუალო დეპოზიტორი.

მთავარი დეპოზიტორი, გასცემს რა წიგნს საკომისიოდ, წიგნის ვაჭრებს უთმობს დაახლოებით 25 პროცენტს. გარდა ამისა, იგი ყოველ ვაყიდულ ათ ცალზე აძლევს თითო წიგნს, რომ არ ვილაპარაკოთ გადაგზავნის ხარჯზე, რომელიც მასვე ეკისრება. მთავარ დეპოზიტორსვე აწვება კისრად დაკარგული ეგზემპლიარებიც, ესე იგი ის წიგნები, რომელთაც უკან აღარ დააბრუნებენ წიგნის წვრილი გამყიდველები; ამ უკანასკნელებს სჩვევიათ მთავარი დეპოზიტორის შეკითხვებსა და მოთხოვნებზე დუმილი. თავისთავად ცხადია, რომ დეპოზიტორს არ შეუძლია ყველა ეს ხარჯი მხედველობაში არ მიიღოს. ამიტომ იგი თავის მხრით მოითხოვს 50 პროც.-ს დათმობას და წიგნის ვაჭრებისათვის მუქთად გასაცემ ეგზემპლიარებს.

ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ ბ-ნი ბენდას წინადადება და პირობები და სრულიადაც არაფერს ვუსაყვედურებთ მას. პირიქით, ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ იმ ადამიანის მიერ გაწეულ სამსახურს, რომელიც ჩერნიშევსკის თხზულებებს მხოლოდ ჩვენი ნალაპარაკევით იცნობს; ზოგიერთნი კი, რომელთაც შეგნებული აქვთ ამ თხზულებათა გამოცემის საჭიროება, თავის დახმარებას უნაყოფო

სურვილებით შემოფარგლავენ, ან და მტრობითა და ინტრიგებით ჩვენს საქმეს ხელს უშლიან.

ყველაფერ ამას ჩვენ ელაპარაკობთ იმიტომ, რომ ადამიანები, რომელნიც წიგნის საქმეს ვერ იცნობენ, ხშირად სჩივიან რომანის „Что делать"-ის „ფრიად სიძვირეს". ახლა ჩვენ მათ ვთხოვთ მხედველობაში მიიღონ ჩვენი განმარტებანი და ტყუილ-უბრალოდ საყვედურს თავი ანებონ. რუსეთის საზღვარ-გარეთელი გამომცემლები, რომელნიც მატერიალური მხრით ჩვენზე უკეთ არიან მოწყობილნი, ემორჩილებიან ამ აუცილებლობას, ხოლო ჩვენ, ცხადია, არც შეგვეძლო არ დავმორჩილებოდით მას.

—

ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა I ტომის გამოცემა დაგვიანდა. შემოდგომის მაგივრად, როგორც მკითხველებს დავპირდით „Что делать"-ის გამოსვლისას, იგი გამოდის გაზაფხულზე. მკითხველები, იმედი გვაქვს, გვაპატიებენ, როდესაც გაიგებენ, რომ ამ ტომისათვის საჭირო შრიფტები, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ „Что делать"-ის გამოსვლამდე შევუკვეთეთ,—მივიღეთ მხოლოდ ოქტომბრის მეორე ნახევარში. მეორე ტომი დასაბეჭდად გადაეცემა სტამბას პირველის გამოსვლისთანავე. ჩვენ იმედი გვაქვს გამოვუშვათ იგი ამა წლის სექტემბრისათვის, თუ რომ რაიმე სრულიად გაუთვალისწინებელმა გარემოებამ ხელი არ შეგვიშალა.

—

ტომებად მასალის განაწილების დროს ჩვენ იგი დავყავით შემდეგ დარგებად: 1) ლიტერატურა და სამეცნიერო კრიტიკა; 2) ლიტერატურის ისტორიის მონოგრაფიები (რუსეთის ლიტერატურის გოგოლისეული პერიოდის კრიტიკა და ლესსინგი); 3) ისტორიული მონოგრაფიები (1815—1852 წ. საფრანგეთის ისტორიიდან); 4) სტატიები პოლიტიკური ეკონომიიდან; 5) პუბლიცისტიკა და 6) სხვადასხვა სტატიები. სალიტერატურო კრიტიკის დასაწყისში ჩვენ მოვათავსეთ ჩერნიშევსკის ზოგადი ხასიათის წერილები ხელოვნების მნიშვნელობის შესახებ. ეს იმიტომ, რომ თუ მკითხველი წინასწარად არ გაეცნო ჩერნიშევსკის საერთო მსოფლმხედველობას, შეიძლება იგი ადვილად შესცდეს ჩერნიშევსკის ამა თუ იმ კრიტიკული სტატიის მნიშვნელობის შესახებ.

1868 წ.

განიარაღება და მისი შედეგები

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩვენის დროის გამოჩენილ ეკონომისტების ნაწერთა წაკითხვაზე, იმ ეკონომისტებისა, რომელნიც საერთო განიარაღებას დიდ სიკეთედა სთვლიან, აზრად დამებადა აღმენუსხა ის სიძნელენი, ამ უაღრესად საჭირო ღონისძიების განხორციელებას წინ რომ ეღობებიან. ამასთანავე საჭიროდა ვსცანი მკითხველთა ყურადღება მიმეპყრო იმ შედეგებისათვის, ამის განხორციელებას დაუყოვნებლივ რომ მოჰყვებოდა, და უმთავრესად იმ აუცილებელ კრიზისისათვის, რომელიც უეჭველად გაართულებდა ჩვენის საზოგადოების ისედაც აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობას. აი, სწორეთ ამ თვალსაზრისით ვარჩიე ჩემს დისერტაციაში უფრო ამ საკითხის დეტალს შევხებოდი, ვ-დრე საეკონომიო პოლიტიკის საერთო პრობლემების გარჩევას შევდგომოდი. თუმცა გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, ცოუნება მეტად დიდი იყო შევხებოდი ძირითადს კითხვებს, რადგან საეკონომიო მეცნიერების დღევანდელს მდგომარეობაში გაცილებით ადვილი გახლავსთ იმსჯელოთ აბა თუ იმკითხვის შესახებ საზოგადოთ, ვიდრე გაარკვიოთ გამოყენებითი საეკონომიო პოლიტიკის ცოტათ თუ ბევრათ ბუნდოვანი კითხვები.

საერთო განიარაღების საკითხი, მართალია, საეკონომიო პოლიტიკის თვალსაზრისით დეტალის საკითხია, მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც ფართე და რთული საკითხია, იმდენათ ფართე და რთული, რომ სულ ადვილათ მთელი ტომები დაიწერებოდა იმის გამო; მე თქვენ მოგახსენებთ და მასალა მოგვაკლდებოდა! რაკი დისერტაცია მქონდა დასაწერი, სწავლულთა კორპორაციისთვის წარსადგენი, გული მითქვამდა „სავსებით“ გამერჩია არჩეული კითხვა, ამიტომ დამეწერა შესახედავად კარგა მოზრდილის ტანის წიგნი, გატენილი სხვადასხვა ციტატებითა და აჭრელებული შენიშვნებითა და ახსნა-განმარტებებით. მაგრამ ცოტათი რომ დავფიქრდი, ისევ ვარჩიე უფრო მარტივად შევხებოდი კითხვას.

მართლაც და, თვით საეკონომიო მეცნიერების ინტერესი მოითხოვს მისი მცნებანი ადამიანმა მარტივათ და ადვილათ გასაგებად გამოსთქვას, განსაკუთრებით როდესაც ლაპარაკია ისეთ კითხვების შესახებ, რომლებიც მკითხველთა უმეტესობას აინტერესებს — ჩვენს

საქმიანობის ხანაში თითქის აღარავინა კითხულობს მსხვილტანიან წიგნებს და გაჭიანურებულ შენიშვნებს. ახლანდელი მკითხველი ისწრაფვის მალე ჩავიდეს დასკვნამდე და გაიცნოს მთავარი არგუმენტები; ასე რომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი უმეტესობა მკითხველებისა მხოლოთ ფურცლავს ხოლმე წიგნებს. ამიტომ ადამიანი იძულებულია მათს გემოვნებ საც გაუწიოს ანგარიში, თუ უნდა ეს მკითხველი დააფიქროს იმ კითხვაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

აი ამ მოსაზრებამ, რომელმაც იძულებულმყო სხარტათ და ზედმიწევნით გამომეთქვა ჩემი აზრი, მსგავსადვე იძულებულმყო ეს წინმდებარე დისერტაცია მსუბუქისა და ადვილის გასაგების ენით დამეწერა და ზურგი შემექცია ოფიციალურ მეცნიერების მკაცრ ენისათვის. ამით თვით მეცნიერებას, ჩემის აზრით, სრულებით არაფერი დააკლდება, ვინაიდან რაც უფრო დააინტერესებს კაცი მკითხველს, მით უფრო განვითარდება საზოგადოებაში კვლევა-ძიებისა და სამეცნიერო აზროვნების გემოვნება. მწიგნობრებმა მშვენივრათ იციან, რომ ამა თუ იმ წიგნის მეცნიერული ღირსება-ნაკლულევანება არც მის ენაზეა დამოკიდებული და აღარც მის მოცულობაზე. ამასთანავე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ამ მწიგნობართ ვსთხოვო: ყურადღება არ მიაქციონ იმ მსუბუქ ფორმას, რომლითაც ეს პაწია-რვეული დამიწერია და მთელი გულისყური ათხოვონ შიგ მოთავსებულ არგუმენტებს იმდენათ, რამდენადაც ეს არგუმენტები ამ ყურადღების ღირსნი იქნებიან.

ციურიხი. 1868.

განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები

(სადისერტაციო შრომა)

I

თანამედროვე პუბლიცისტებმა სულ ახლახან აღმოაჩინეს, რომ მიზეზი ყოველგვარ უბედურებათა, რომლებიც აღონებ-აძმარებენ საბრალო კაცობრიობას, ევროპის მილიტარული ორგანიზაცია, ე. ი. მუდმივი ჯარის პრინციპიაო. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში იმდენი იქადაგეს ამ აღმოჩენის შესახებ, რომ საზოგადოება, რომელიც თავადაც კარგათ იცნობს სამხედრო რეჟიმის ნაკლსა და სიმძიმეს, განიმსჭვალა საერთო განიარაღების სურვილითა და იმედი აქვს ამით თავიდან მოიშოროს თავისი გაჭირვებანი და ტანჯვა-წამებანი. და რაკი ერთად-ერთ მსოფლიო უებარ წამლად იქნა აღიარებული ეს განიარაღება, იმდენათვე სანატრელი, რამდენადაც ძნელია განსახორციელებლად, საქმე იმით გათავდა, რომ საზოგადო მსჯელობის ნიადაგს ჩამოსცილდა მთელი რიგი კითხვებისა, რომელთაც სხვამხრივ აქვსთ მნიშვნელობა და რომელთა განხორციელება ჩვენს დღევანდელს პირობებში შესაძლებელიცაა.

ეს მდგომარეობა, ერთი ბეწოთიც არის, წინ არ წასწევს განიარაღების საკითხს, რადგან არა კმარა მხოლოთ და მხოლოთ ჩაჭკირკიტებდე ერთს რომელსამე აზრს და იმედი გქონდეს მხოლოთ ამ ჩაკირკიტებით შეიძლებ მისს განხორციელებას და სიტყვიდან საქმეზე გადასვლას. სამაგიეროთ, სოციალურ მეცნიერებას თავშისაცემად გახდომია ეს ანორმალური ზრუნვა ბუნდათ წარმოდგენილ და საყოველთაოდ აღიარებულ კითხვის შესახებ. მაშასადამე საჭიროა განიარაღებას კითხვას ჩვენის დროის საზრუნავ კითხვათა შორის თავისი შესაფერისი ადგილი მივაკუთნოთ.

II

ყოველთ უწინარეს ის საპატიო ადგილი, დღეს განიარაღების საკითხს რომ უჭირავს, ამ საკითხს წილად იმიტომ ხვდა, რომ მეტად დიდის მნიშვნელობისაა სამხედრო ტვირთი, და არა იმიტომ, რომ მის შესახებ პუბლიცისტებშა თავიანთი ფანტაზია აამუშავეს. მთელი ევროპის საერთო მდგომარეობა მოითხოვს, რომ რაც სახელმწიფონია, ყველანი იარაღში უნდა იყვნენ ჩამსხდარნი, თუ უნდათ მშვიდობა იყოს ქვეყანაზე, ამას დაუმატეთ ცოტათ თუ ბევრათ

შორეული ექსპედიციები, რომელიც სულმუდამ ძვირადა ჯდება. ყოველივე ეს მძიმე ტვირთად დააწვა ხალხის კეთილდღეობას. და ხალხიც იძულებული ხდება განსაკუთრებული ყური ათხოვოს ყოველივე, რაც ცოტა თუ ბევრათ გონივრულათ ჰპირდება მას ტვირთის შემსუბუქებას, იმ ტვირთისა, რომლის სიმძიმე ამდენი ხანია წელში სწყვეტავს ამ ხალხს.

აბა რა თქმა უნდა, დღეიდან კი არ იწყება საზოგადოების სამხედრო ორგანიზაცია. წინათ, ისე, როგორც ჩვენს დროს, ომობდენ და ურიცხვ ჯარებს ინახავდენ მოხარკეთა ხარჯით, რომ ამით სახელმწიფოს სავაჭრო და სტრატეგიული სარგებლობა მიჰნიჭებოდა და საზოგადოების გულისყური შინაურ ამბებისათვის მოერიდებინათ და თვალები მიეპყრობინებინათ საზღვარს-იქითურ საქმეებისათვის. ამ ხასიათის პოლიტიკის სასურველათ დასამთავრებლად საჭირო ხარჯების გაწევა ჩვეულებრივ გრძელდებოდა და ხარჯის ამკრეფთა და ჯარში გაწვევის მოთხოვნამ ცოტ-ცოტათ მოჰქანცა მოხარკენი. შემდეგ საჭირო შეიქმნა სახელმწიფოს ბიუჯეტის კითხვა ტრიბუნაზე გარჩეულიყო საყოველთაოდ, ხოლო ამან მძლავრათ ხელი შეუწყო პოლიტიკურ შეგნების საქმეს და ხალხმა ეჭვის თვალით დაუწყო ყურება—მართლა სასარგებლო და აუცილებელია თუ არა ის უშველებელი ხარჯები, რომელსაც თანამედროვე სამხედრო სამსახურის ორგანიზაცია მოითხოვსო.

ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში იზრდებოდა თანდათან დეფიციტი ამ სახელმწიფოთა ბიუჯეტში. და სწორეთ ამ დეფიციტის ზრდამ ჩასცა სასიკვდილო ლახვარი იმ პრესტიჟს, ეროვნული ცუდმედიდობა რომ ჰბადებდა ხოლმე. დღეს ყველას ესმის, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ხარჯებს, რომელნიც ორნაირად არიან უკუსაგდებნი: ერთი რომ უსარგებლონი არიან და მეორეთ ისა, რომ გადასახადის გადამხდელთა თვალში ეს ხარჯებია მიზეზი ეროვნულისა ტ კერძო სიმდიდრის ნაკლებობისა ტ გამოფიტვისა. ხალხი თავის თავს სრულებით სამართლიანად ეკითხებოდა: მხარი დავუჭიროთ ამ დოვლათის განიავების პოლიტიკას, რომელმაც ვერ შესძლო მოსალოდნელი სარგებლობა მოეტანა ვისთვისმე, თუ უკეთესი იქნება მხარი დავუჭიროთ სულ სხვა პოლიტიკას, სახელდობრ მეზობლებთან მშვიდობის ჩამოგდებას და საშინაო ეკონომიისათვის ზრუნვასო. ეს აზრი სწორია და გარდა ამისა იმდენათვე მარტივია, რამდენადაც ჭკუიანურია; ყველას მოეწონა იგი და ხალხის მასების გულიც მოიგო

სამწუხაროდ, მეცნიერებმა, რომელნიც შეეხნენ ამ მეტად მწვავე კითხვას, არ განაგრძეს თავიანთი კვლევა-ძიება. იმათ გააკეთეს

მხოლოდ ის, რომ დაუსრულებლივ უცვლიდენ გარეგნულ სახეს ამ უაღრესად სადასა და მარტივ აზრს; შინაარსის მხრივ არაფერი გამოუცვლიათ, თვით არგუმენტაციაც კი იგივე დარჩა, ბუნდოვან მოტივებზე დამყარებული. და ეს მოტივები უფრო სანტიმენტალურია, ვიდრე ეკონომიურისა და დადებითის ხასიათისა. და სწორედ აქა გვაქვს უფლება ვუსაყვედუროთ თანამედროვე ეკონომისტებს, რომ მათ სრულიათ აკლიათ შნო მოგვცენ მეცნიერული განმარტება და პრაქტიკული კვლევა-ძიება. და სწორედ ასეთ განმარტებას და ასეთს კვლევა-ძიებას შეუძლია განიხილოს და შეაფასოს ხსენებული კითხვა და ამ სახით ხელი შეუწყოს ამ დიდმნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც ამჟამად მთელი განათლებული ქვეყნიერების ყურადღებას იპყრობს.

კაცი ადვილად მიუხვდება იმ განუსაზღვრელობას, რომლითაც საზოგადოების უმეტესობა ამ კითხვის გადაწყვეტას შეუდგება ხოლმე და აგრეთვე იმ მნიშვნელობას, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ მას მიაკუთვნებს ეს საზოგადოება: ეს მისი გონებრივი განუვითარებლობის შედეგია. მაგრამ სავალდებულო და გასაოცარი კიდევ ის არის, რომ ეს განუსაზღვრელობა არსებობს თვით იმათს შორისაც, ვისაც ასეთი საგნები კვლევა-ძიებას მისდევენ, მით უფრო რომ ასეთების ხელობაა და მათი სპეციალობაა—ამ ხასიათის კითხვებს ნათელი მოჰფინონ და გასაგები და მისაწვდომი გახადონ იმათთვის, ვინც სრულებით სხვა საქმიანობას მისდევენ და სხვა ხელობისანი არიან.

ამ ეკონომისტების მიერ ნახმარი ხერხი კვლევა-ძიებისა აშკარად ნაკლულოვანია, განსაკუთრებით როცა კაცი გასინჯავს მათს არგუმენტებს, სამხედრო რეჟიმის და მისის შედეგების გასაფასებლად ნახმარს. უმეტესობა ამ არგუმენტებისა დამყარებულია სამართლიანობისა და ადამიანობის გრძნობაზე, რომელიც, მათის აზრით, უნდა მოეპოვებოდეს ყოველ გონიერს ადამიანს. მაგრამ პოზიტიური მეცნიერება უარყოფს ასეთის გრძნობის არსებობას; იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანური გრძნობიერება დამოკიდებულია პირდაპირ ადამიანის გონიერების განვითარებაზე და რაკი იცის, რომ ეს განვითარება სხვადასხვა გვარია, მეცნიერებას არ ძალუძს აღიაროს და სთქვას, ყოველ ადამიანს ჰქონდეს გრძნობიერება, რომელიც შეიძლება მხოლოდ თითო-ოროლა რჩეულთა ხვედრი იყოს. მით უფრო შეუძლებელია მისთვის თავისი იმედები და ანგარიში დაამყაროს ასეთის ხასიათის ცნებებზე ან თავის დასაბუთების დროს ამ ცნებებს რაიმე ფასი და ღირებულება მიაკუთვნოს.

ასე და ამგვარად, ეკონომიურის მეცნიერებისათვის სრულიად არავითარი ფასი არ აქვს სამხედრო წესწყობილების მოწინააღმდეგეთა უმთავრეს არგუმენტს, სახელდობრ იმას, რომ ვითომც „ომი სავსებით წინააღმდეგი იყოს ადამიანის ბუნებისა.“ ასეთის ჯურის სიტყვები, სწორი მოგახსენოთ, შთაბეჭდილების მოსახდენადაა გამოგონილი, ამიტომ რომ ხაზგასმული წინადადება რაც უნდა მცირედ ყოფილიყო საფუძვლიანი, კაცობრიობა დიდიხნითვე მოიშორებდა თავიდან ამ დაწესებულებას, რომელიც, როგორც ამბობენ, ასე ღრმათა ჰსერავდა ამ კაცობრიობის უუბუნებრივეს ინსტინქტებს. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მეცნიერებას არ ახსოვს, რომ ადამიანურს გრძნობას როდისმე თავი ეჩინა ძალუმათ და მტკიცედ, და ამავე მეცნიერებას არ შეუძლია, რაც უნდა ძალიან მოინდომოს, ეს ადამიანური გრძნობა სიბრალულისა მოათავსოს იმ ძალათა შორის, რომელნიც საკმაოდ განვითარებულნი არიან იმისთვის, რომ შეიძლონ კაცობრიობის ბედ-ილბალზე ესა თუ ის გავლენა იქონიონ. ეგევე ითქმის მთელ რიგ არგუმენტებზე, რომელნიც მოტანილნი არიან ხოლმე მშვიდობიანობის სასარგებლოდ; ესენი ყველანი იმავე ხასიათის მოსაზრებებზე არიან დამყარებულნი და მათს შორის ორიოდე მოსაზრებაა, რომელზედაც შეიძლება კაცმა სთქვას —ცოტათი მეცნიერული და პოზიტივური ხასიათისანი არიანო.

ამ ორის არგუმენტის წამოყენებით შვიდობიანობის მეგობრებმა საკმაოდ ხელსაყრელი ნიადაგი გაიჩინეს თავიანთის აზრის საპროპაგანდოდ: მათს მოწინააღმდეგეთ არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ ამ არგუმენტების პრაქტიკულს ღირებულებას ან და შეუმჩნევლად დასტოვონ და არ გამოეკამათონ. ამგვარად, ომისა და შეიარაღებულ მშვიდობის მომხრეთ რაკი თავიანთის არგუმენტაციის სალაროში არაფერი მოეპოვებათ ისეთი, რომ მათს წინააღმდეგ წამოყენებული პრაქტიკული მოსაზრებანი გააბათილონ, ისინი იძულებულნი არიან ხმა ჩაიკმინდონ ხოლმე და მშვიდობიანობის პროპაგანდისტებს თავიანთი აზრი თავისუფლად აქადაგებინონ. მეორეს მხრივ შესაძლებელია ამ ხასიათის არგუმენტები სრულებით უკამათოდ გავსინჯოთ და ხელშიაც პრაქტიკული მითითებანი შეგვრჩეს, რაიცა კითხვის სწორ გადაწყვეტას ძალიან შეუწყობს ხელს.

ამ შრომის შემდეგი გვერდებიც სწორედ ამ აზრითაა დაწეროლი.

III

მოწინააღმდეგენი ომისა და მუდმივის ჯარებისა (ამ ორ ცნების განსხვავებას ანგარიში უნდა გავუწიოთ) ამტკიცებენ, რომ ევრო-

პის ყველა სახელმწიფოთა განიარაღებას შედეგად მოჰყვება შემცირება იმ ხარჯებისა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ხალხ ა და წარმოებას. სახელმწიფო რომ განთავისუფლდება საზღვაო და სახმელეთო რმის სამინისტროების მძიმე ბიუჯეტისაგან, მას შესაძლებლობა ექნება შემოსავლის ზედმეტი მოახმაროს სახალხო განათლებას და ქვეყნის საკეთილდღეო სამუშაოებს, რაიცა სასწაულებრივ განაძლიერებდა ხალხის მასების და მთლად საზოგადოების ქონებრივსა და სულიერს კეთილდღეობას.

ამ არგუმენტს ყველა ეთანხმება და ოდნავადაც არის მის საწინააღმდეგოს არავინ ამბობს. მიუხედავათ ამისა, შესაძლებელია მაინც გამოჩნდეს ვინმე მოწინააღმდეგე. მაგალითად, აი რა შეიძლება ითქვას ხსენებულ არგუმენტის გასაქარწყლებლად.

რაც უნდ ნაკლებათ სერიოზული და ნაკლებათ საერთო განიარაღება მოხდეს, ცხადია პირველ შედეგად ის მოჰყვება, რომ გაჩერდება ყველა დაწესებულება, ვისაც მინდობილი აქვს დამზადება საომარ იარაღისა და საერთოდ იმ საგნებისა, რომლებიც საჭიროა ჯარებისა და ციხე-სიმაგრეთა შესანახად. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ჯარის საჭიროებისათვის შექმნილ ინდუსტრიაში მრავალი ქარხანაა იარაღის საკეთებლად (მარტო საფრანგეთში ოთხია ასეთი ქარხანა, ოთხივე სახელმწიფოს ხელშია და შიგ 8—10 ათასი მუშა მუშაობს), არის ჩამოსასხმელები, არის კაპსულების ფაბრიკები, საგვარჯილე, თოფის წამლისა და საგოგირდე ქარხნები. ბევრი ქარხანა სამჭედური და სამექანიკო სახელოსნოები ან საზეინკლოებია, რომელნიც კერძოებს ეკუთვნიან, მაგრამ კეთებით კი სამხედრო საქმეებს აკეთებენ, და რიცხვი მუშათა, რომელნიც ასეთის სპეციალ ინდუსტრიითა სცხოვრობენ, ბევრით არ უნდა იყოს ნაკლები დროშის ქვეშ მყოფთა რიცხვზე.

გარდა ამისა არსებობს აგრეთვე ერთგვარი ინდუსტრია, რომელიც, პირველ ინდუსტრიასებ, სპეციალათ ემსახურება მხედრობას: ეს გახლავთ ფაბრიკაცია იმ ნაწარმთა, რომელთაც ერთის შეხედვით სრულებით მშვიდობიანობის დროის მოსახმარი სახე აქვთ, მაგრამ იმდენათვე საჭირონი არიან ჯარისათვის. ასეთებია მაუდეულობის ფაბრიკები, მანქანებისა და ხომალდების საშენებელნი, სახელოსნოები

საომხედროთა ტანისამოსის დასამზადებლად და სხვა და სხვა[1]).

თუ ამას მივუმატებთ იმ მუშებს, რომლებიც ციხე-სიმაგრეების[2]) გამაგრებასა და შენახვისათვის მუშაობენ, რომელთაც ყაზარმებს

[1]) აი საომხედრო ფლოტის მდგომარეობა ევროპის სახელმწიფოებში:

	ორთქლმავლები		იალქნიანები	
	ხომალდები	ზარბაზნები	გემები	ზარბაზნები
ინგლისს აქვს . .	524	9.554	119	2.942
საფრანგეთს „ . .	453	10.895	126	1.288
რუსეთს „ . .	258	სულ 2.196	36	—
შვეციას „ . .	179	390	31	560
ისპანეთს „ . .	100	1.225	30	396
ოსმალეთს „ . .	76	1.342	53	415
იტალიას „ . .	69	1.110	35	87
ჰოლანდიას „ . .	57	813	89	1.353
პრუსიას „ . .	47	483	44	208
დანიას „ . .	30	378	73	36
ავსტრიას „ . .	28	448	16	145
პორტუგალიას . .		სულ 33 ხომ., 328 ზარბაზ.		
ნორვეგიას „ . .	16	239	?	?
საბერძნეთს „ . .	10	44	24	138
ოსმალეთის ვასალებს	19	?	?	?
ბელგიას „ . .		სულ 7 ხომ., 42 ზარბ.		

[2]) ევროპაში ითვლება 400 ციხე-სიმაგრე, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ასეა განაწილებული:

საფრანგეთში	119
რუსეთში	32
ჰოლანდიაში	16
იტალიაში	60
პრუსიაში	27
ბელგიაში	11
ესპანეთში	39
ავსტრიაში	25
ინგლისში	11
შვეციაში	11
დანიაში	7
ვიურტ ენბერგში	2
საბერძნეთში	11
ნორვეგიაში	6
ბადენის დიდ სამთავროში	1
ბავარიაში	10
ეკლესიის სახელმწიფოებში	4
პორტუგალიაში	9
საქსონიაში	2
ჰესენში	1
სულ	404

აქ ნაანგარიშევი არ არის პატარა-პატარა ციხე-სიმაგრეები, რომლებიც მრავალია ესპანეთსა და პორტუგალიაში, და აგრეთვე ციხე-სიმაგრენი ოსმალეთისა, რომელთა რაოდენობის ცნობა არა გვაქვს.

აშენებინებენ, არტილერიისა და ცხენოსან ჯარის საჭიროებისათვის საჭმელლოებში ამუშავებენ, მცირეთაც არის, შეუძლია კაცს წარმოიდგინოს—განიარაღებას პირველადვე რა მოჰყვება შედეგად.

ჯერ დაახლოვებით ციფრები არა გვაქვს იმათი, ვინც სამხედრო სამუშაოებზე მუშაობენ, და აღარც ხმ სამუშაოთა სიდიდის ცნობა მოგვეპოვება. სანამ უეკველის ღირებულების სტატისტიკური ცნობები გვექნებოდეს, ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით შაინც აღვნიშნოთ ის თანხა, რომელსაც სახელმწიფო წლიურად ამ სხვადასხვა ინდუსტრიებს აძლევს ხოლმე. ევროპის სახელმწიფონი დღესდღეობით ინახავენ 2.800.000 კაცისაგან შემდგარ ჯარს. წლიურად ერთ ჯარისკაცის საჭმელ-სასმელისათვის 400 ფრანკი რო ჩავაგდოთ, ანგარიში ზედმიწევნილზე მეტი გამოგვივა; ამგვარად, დავინახავთ, რომ ამ ჯარისკაცების ჭამა-სმისათვის წლიურად იხარჯვის 1.120.000.000 ფრანკი. ჩვენ-კი ვიცით, რომ ევროპის სახელმწიფონი წლიურად ხარჯავენ მშვიდობიანობის დროს 2.925.000.000 ფრანკს [1]); მაშასადამე

[1]) სამხედრო და საზღვაო-სამინისტროების ხარჯი, ოფიციალურ ბიუჯეტის თანახმად, შემდეგს ციფრებს ეძრის (ყველამ ვიცით, რომ აკ ციფრებს თუ მივენდევით, ჭეშმარიტებას ძალიან დავშორდებით):

წელიწადები	სახელმწიფონი	სამხედრო ფრანკი	საზღვაო ფრანკი
1867	ინგლისი	366.888.500	266.902.525
1867	რუსეთი	481.341.508	86.520.000
1868	საფრანგეთი	377.704.238	148.051.482
1868	ჩრდილო-გერმანეთი . .	249.065.898	18.633.571
1867	ავსტრია	189.768.000	18.480.000
1867	იტალია	162.878.400	46.163.774
1865-66	ესპანეთი	125.957 013	56.349.675
1864-65	ოსმალეთი	87.733.956	22.666.755
1866	ჰოლანდია	26.808.600	18.990.396
1867	ბელგია	38.416.875	1.961.522
1868	ბავარია	33.882.078	—
1867-67	პორტუგალია	19.552.650	7.314.900
1867-68	შვეცია	13.167.836	5.755.964
1867-68	დანია	9.129.388	5.101.166
1868	ვიურტენბერგი	9.694.926	—
1866-67	ნორვეგია	5.739.030	2.434.740
1867	ბადენი	6.891.625	—
1867	საბერძნეთი	4.810.203	1.908.102
1867-68	ჰესენი	3.849.644	—
1860	შეერთებული სამთავროები	2.764.512	—
1866	სერბია	1.017.347 *)	—
1854	ლუქსემბურგი	500.000	—
	სულ . . .	2.217.562.227	707.234.572

*) ამას უნდა მიემატოს 336.220 ფრანკი წინდაწინ გაუთვალისწინებელ ხარჯებისათვის.

1.805,000.000 ფრანკი ეხარჯებათ წლიურად სამხედრო ინდუსტრიისა და ამ ინდუსტრიაში მომუშავე ხალხისათვის. აბა, რა თქმა უნდა, ომისა ან საომრად მზადების დროს ეს ხარჯები ამაზე უფრო მეტად გაიზრდება. მთელი ევროპის წლიური ნაწარმოები უდრის 56.031.052.500 ფრანკს [1]), ჯარსა და მასთან დაკავშირებულს ხარჯებს უნდება ერთი მეთვრამეტედი წარმოებულ სიმდიდრისა მშვიდობიანობის დროს, და თითქმის ერთი მეათედი ომის დროს.

როგორც ვხედავთ, საკმაოთ მოზრდილი ნაწილი ევროპის ინდუსტრიისა და წარმოებისა არსებობს და მოგებასა ჰხედავს ჯარის და სამხედრო რეჟიმის საჭიროების წყალობით; ცხადია, ეს წარმოება და ინდუსტრია იმავ დღესვე მოისპობა, რა დღესაც საერთო განიარაღება შესრულებული ფაქტი იქნება. როგორც ვსთქვით, ინდუსტრიის ამ ნაწილში ჩაბმულია საკმაოთ დიდი რიცხვი მუშებისა და ეს რიცხვი სრულებით არ არის ნაკლები ნამდვილ შეომრების რიცხვზე. ყველა ეს მუშები და მათი ცოლშვილი, ლაპარაკი არ უნდა, სახელმწიფოს დააწვებიან კისერზე, იმას კი ნუღარ იტყვით, რომ სახელმწიფოს შეუმცირდება პირდაპირი გადასახადი, რომელიც იმ მუშებისაგან შემოუდის დღეს, და გადასახადი არაპირდაპირი, რომელსაც მათ მიერ მოხმარებულ საგნებზე იღებდა.

ცხადია, როცა სამხედრო და საზღვაო ინდუსტრია შეჩერდება, ამას უეჭველად მოჰყვება კრიზისი. ჩვენმა ეკონომიურმა ორგანიზაციამ პროდუქციისა და აგრეთვე მოხმარების ყოველი დარგი ისე გაართულა და ისე გადახლართა ერთმანეთში, რომ თუ რომელსამე მისს დარგს შეეხეთ, თითქმის ყველა დანარჩენ დარგს აურ-დაურევთ. ამ შემთხვევაში უფრო უარესი მოხდება: ინდუსტრიას და საერთო ვაჭრობას მაშინათვე ცუდი დღე დაადგებათ არა მარტო იმისაგან, რომ მოიშალა დაწესებულებანი, რომელნიც ჯარის საჭიროებისათვის არ-

[1]) ამაში შედის ბუნებრივი ნაწარმიცა, რომლის ამოსაღებად შედარებით, ცოტა შრომაა საჭირო. ასეთებია, მაგალითად, მეტალები და თვალ-მარგალიტი (2.191.800.000 ფრანკისა), მარილი, ხე-ტყე და სხვა. იხ. Kolb. Statistik, Seite 533.

სებობდენ, არამედ უმთავრესად იმისაგანაც, რომ მომხმარებელთა რიცხვი შემცირდება. თანამედროვე წარმოებაში დიდი ხეირი აქვსთ ჯარის შემადგენლობისა და სამხედრო დაწესებულებათაგან. ესენი ნაცადი და სახეირო მუშტრები არიან, რომელთა ერთს ნაწილს კარგი ჯამაგირი ეძლევა და თავის მხრივ თამამად შეუძლია კარგათაც ხარჯოს, იმ დროს როცა მესამე ნაწილს ინახავს და აცმევს თვით სახელმწიფო. ამ ჯურის მომხმარებელთა და მათი ცოლშვილის დაკარგვა მოხმარების ბაზრიდან არამცთუ ძალზე შეზღუდავდა ვაჭრობას, არამედ შეამცირებდა თვით წარმოებასაც.

მაშასადამე, წარმოების კლებას და ვაჭრობის განსაზღვრას შედეგად დაუყონებლივ მოჰყვება შემცირება სახელმწიფოს შემოსავლისა; შემდეგ უსაქმურად დარჩება აუარებელი რიცხვი მუშებისა, ფაბრიკანტებისა, ვაჭრებისა, მესასტუმროებისა და სხვა, ასე რომ შეუძლებელია, დაახლოვებითაც არის, აღვნიშნოთ საზღვარი, სად შესდგება ეს საერთო არევ-დარევა და აწეწილ-დაწეწილობა.

მართალი არ არის, ვითომც ჯარის ერთბაშათ დათხოვნას შეეძლოს საგრძნობლათ შეამციროს სახელმწიფოს ხარჯები; პირიქით, ეს ხარჯები უფრო ძლიერად იმატებს, რადგან საჭირო იქნება მიშველება უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ დარჩენილ ხალხისა. აი ასეთი იქნება შედეგი ერთბაშათ მოხდენილ განიარაღებისა.

IV

ახლა გარჩეული არგუმენტი მხოლოდ პრელუდიაა: თვით მთავარი პიესა, რომლით აღფურვილნი გამოდიან ხოლმე მუდმივი ჯარის მოწინააღმდეგენი. გაცილებით ძლიერია და, პირველის შეხედვით მაინც, ძალზე გადამწყვეტია. „დაუბრუნეთ წარმოებას,—ამბობენ ესენი, — ის მშრომელი ხალხი, რომელსაც თქვენ მას ართმევთ ყოველწლიურად ადამიანთა სასაკლაოზე გასაგზავნად, და დაინახავთ, როგორ დაუსრულებლივ გაიზარდოს წარმოება, როგორ იმატოს საზოგადო დოვლათმა“.

გამოანგარიშებულია ყველაფერი და ეს ანგარიში გვიჩვენებს, რომ შენახვა იმ 2,800,000 ჯარისკაცისა, რომელიც დღეს ევროპასა ჰყავს თოფ-ქვეშ, ჯდება რგვალის ციფრებით 2.925,000,000 ფრანკად. ამათი დათხოვნა არამც თუ გამოუზოგავდა ხალხს ამ უშველებელს თანხას, არამედ დაუბრუნებდა ამ დღეს უსაქმურად მყოფ მა-

სების შრომას, რაც წლიურად 1.302,000 ფრანკის ღირებულების ნაწარმს შეჰქმნიდა; ამასვე უნდა მივუმატოთ შრომა, დღეს უნაყოფოდ რომ იხარჯება არტილერიისა და კავალერიის 300.000 ცხენისა, რაიცა წლიურად 1.300,000,000 ფრანკს მოგვცემდა [1]).

თითქოს ყველაფერს გვეუბნება ეს ციფრებიო; მაგრამ ამ არგუმენტის მოჩვენებითს ძლიერებას არ უნდა მოვეტყუებინოთ.

საცაა, დაგანახვებთ მისს ნამდვილ ღირებულებასაც.

მართლაც და პროდუქციის გაფართოვებაზე ადვილი არაფერია; თქვენს ლხენას, ერთი ეს მიბრძანეთ, ესა თუ ის ფაბრიკანტი როდის აქეთ იქმნა მიჩნეული წარმატებულად, თუ იმარჯვა და თავისი საწყობები მშვენივრად დამზადებულ საქონლით გამოტენა და ხეირიან ფასებში მათი გასაღება კი ვერ მოახერხა? წარმოებაში ყველაზე ძნელი—საქონლის დამზადებაა და, ცხადია, ყველას არ შეუძლია ესა, და ისე კი ვინ იცის, რამდენი ბეჩავი ფაბრიკანტია, რომელთაც მშვენივრათ იციან თავიანთს საწყობებში საქონლის მთელი ხვავების დაყენება. დღემდე ასეთი დაგროვება საქონლისა იმის უტყუარ ნიშნად მიაჩნდათ, რომ ამ საქონელის დამგროვებელი მწარმოებელნი უეჭველათ უნდა გაკოტრდენო და ეტყობა, სრულებით საფუძვლიანადაც ჰფიქრობდენ ასე.

მეტი რომ არა ვსთქვათ, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ჩვენის დროის მწარმოებლებმა ანგარიში არ გაუწიონ ბა-

---

[1]) M. Kolb-ი (Handbuch der vergleichenden Statistik, 4. Aufl., 1868 S. 519) ევროპის სახელმწიფოების მუდმივი ჯარის შესახებ შემდეგს სურათს გვაძლევს:

გერმანეთი	380,000
ავსტრია	250,000
ინგლისი	220,000
საფრანგეთი	430,000
რუსეთი	600,000
იტალია	200,000
შვეიცარია	—
ბელგია	50,000
ჰოლანდია	30,000
დანია	12,000
შვეცია	40,000
ნორვეგია	16,000
ისპანეთი	200,000
პორტუგალია	25,000
საბერძნეთი	6,000
ოსმალეთი და მისი ვასალები	140,000
სულ	2.599,000

გარდა ამისა, ამ სახელმწიფოებს 200,000 კაცი ჰყავს სამხედრო ფლოტის სამსახურში.

ზარზე მუშტრის რიცხვის კლებას და ისე გააძლიერონ წარმოება პროპორციულათ იმ მუშათა რაოდენობისა, რომელნიც მათთან მივლენ და სამუშაოსა სთხოვენ. ცხადზე უცხადესია, რომ ეს მწარმოებლები თვალყურს ადევნებენ სულ ჭოსპობას ან შემცირებას წარმოების რამდენისამე დარგისას, სპეციალათ მუდმივის ჯარის საჭიროებისათვის მიჩენილებისას, და თავიანთს საქმეს იმისდაკვალად დაიჭერენ. მაგრამ ერთს წამს წარმოვიდგინოთ ლოგიკურათ წარმოუდგენელი შესაძლებლობა და ვნახოთ, რა გამოვა.

ერთად-ერთი პირობა, რომელმაც შეიძლება შეაცთინოს მწარმოებელი, ცხადია, იქნება მუშის იაფი ხელფასი, რაიცა შედეგად მოჰყვება იმას, რომ სამუშაოს მთხოვნელი ბევრნი იქნებიან. მართლაც და, ცხადია, რაკი სამუშაოს მთხოვნელები აუარებელნი იქნებიან, ხოლო სამუშაოს მიმწოდებელნი თითქმის არც-კი იქნება, მუშათა ხელფასი საშინლათ დაეცემა, იქამდე დაეცემა, რომ უფრო დაბლა იქნება იმაზე, რაც საჭიროა აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთი გახლავსთ აღვირახსნილ კონკურენციის ერთი ყველაზე ელემენტარული კანონთაგანი.

ახალი მუშები იმდენად გაჭირებულნი იქნებიან, რომ თავიანთს აუცილებელს მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც-კი ვერ შესძლებენ და, მაშასადამე, თავიანთის მოხმარების საგნების რიცხვს ვერ გაამრავლებენ: ფული რომ არ ექნებათ, აბა საიდან გაუსწორდებიან საქონლის პატრონთ! და ამგვარათ თავისთავად მნიშვნელობა ეკარგვის მტკიცებას განიარაღების პლატონიურ თაყვანისმცემელთა, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ჯარისკაცები, რომელნიც დღეს იძულებულნი არიან ცოტას დასჯერდენ, ჯარისკაცობისაგან განთავისუფლების შემდეგ კარგი მწარმოებელნი იქნებიან საქონლისა და მაშასადამე, საუცხოვო მომხმარებელნიც თავიანთ მიერ დამზადებულ პროდუქტებისაო.

როცა მრეწველობაში მილიონობით შემოვლენ მუშები, რომელნიც აქამდე სხვადასხვა სამხედრო სამსახურში იყვნენ, უეჭველათ შეუმცირდებათ ხელფასი სამრეწველო დაწესებულებათა ახლანდელ მუშა-მოსამსახურეებს. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ხელფასის შემცირება უდრის მოხმარების შემცირებას, რადგან ცხადზე უცხადესია, რომ ის, ვისაც იმის ნახევარი აქვს, რასაც აქამდე ხარჯავდა, იძულებული შეიქნება შეამციროს ხარჯები და იმაზე იფიქროს, თუ როგორ დააძვრინოს გაჭირებას თავი. ამ მოსაზრებას ცოტა კიდევ რომ ჩავყვეთ, დავინახავთ, რომ ბევრი ვაჭარიც, რომლის მოგებამ ძალიან იკლო, რადგან მისი საქონელი წინანდელივით არა საღდება, იძუ-

ლებული გახდება ხელმოჭერით იყოს და იმანაც იფიქროს ეკონომიურად ცხოვრებისათვის. ყოველივე ეს წარმოებას, უნდა დააწვეს კისერზე, იმ წარმოებას, რომელიც, მართალია, „სახელმწიფოს სიმდიდრის ულეველი წყარო უნდა იყოს“, მაგრამ ზოგჯერ იმასაც ისეთი გაჭირება დაადგება, რომ არ შეიძლება კაცმა უგულებელჰყოს ეს გაჭირება.

უკვე დავინახეთ, რომ მუდმივი ჯარების დათხოვნა და დაშლა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც ემსახურებიან ომის საქმეს და სამხედრო ოპერაციებს, სახელმწიფოთა ეკონომიურს ცხოვრებას ძირიან-ფესვიანად შეარყევს, რადგან: 1) მრეწველობას გამოეცლება ბაზარი, სადაც ის თავისს ნაწარმს ასაღებდა; 2) ქუჩაში იქნებიან გამოყრილნი მოსამსახურენი და მუშები, რომელნიც ტყვია-წამლის და საომარ საგნების დასამზადებელ დაწესებულებაში იყვნენ მიჩენილნი, რაიცა მრეწველობის ნაწარმის გასასაღებელ ბაზარს უარესად მოსპობს; 3) შეამცირებს ნამდვილ სამრეწველო დაწესებულებათა და მოსამსახურეთა ხელფასს; 4) აიძულებს ვაჭრობის აგენტებს, რომელთა შემოსავალი უეჭველათ იკლებს, თავიანთი საკუთარ მოხმარების საგნების ხარჯვას უკლონ. რაც უნდა გულით გვინდოდეს დავმალოთ, მაინც ვერ დავმალავთ იმ დასკვნას, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს: წარმოება, გაფართოების ნაცვლად, იძულებული იქნება შემცირდეს იმ ზომამდე, რომლის წარმოდგენა დღეს დაახლოვებითაც-კი არ შეგვიძლია.

V

ხშირად იმეორებენ ასეთს ფრაზას: მიწადმოქმედებას მუშახელი სჭირდებაო“. მაგრამ ეს ფრაზა სიტყვა-სიტყვით როდი უნდა გვესმოდეს ხოლმე და სწორედ იმიტომ, რომ ასე საფუძველს მოკლებული, როგორც ეს თქმაა, არაფერია. თუ გვინდა ამაში დავრწმუნდეთ, საკმარისია მოვიგონოთ პოლიტიკურ ეკონომიის სულ ელემენტარული მცნებანი.

ყველამ იცის, რომ როცა მუშა-ხელის სიმცირეა, მოთხოვნა იზრდება, ხოლო ამ გარემოებას ბუნებრივ და აუცილებელ შედეგად ის მოსდევს, რომ ხელფასს ემატება. რაც უფრო სჭირიათ მუშა-ხელი, მით უფრო მეტს ხელფასს აძლევენ მუშებს—ეს ცხადზე უცხადესია, და პოლიტიკურ ეკონომიის ერთი ელემენტარული სახელმძღვანელო არ არის, რომ დაუსრულებლივ არ იმეორებდეს ამ ჭეშმარიტებას, რომელიც ისევე უდავოა, როგორც ორი და ორი ოთხია.

თუ გვინდა, რომ სასოფლო-სამეურნეო ხელფასი უტყუარი მაჩვენებელი იყოს იმისი, თუ რამდენადა სჭირია სასოფლო-მეურნეობას მუშა-ხელი, შემდეგს დასკვნამდე მივალთ: იმ დროს, როცა სამრეწველო გასამრჯელო და ხელფასი კალატოზებისა, ხუროებისა, მჭედლებისა და სხ. და სხ. უფროდაუფრო იზრდება, სასოფლო-სამეურნეო ხელფასი უცვლელი რჩება. „სასოფლო-სამეურნეო ხელფასი,— ამბობს ბ. დე-ლავერნი (ინსტიტუტის წევრი) საერთოთ, სამრეწველო ხელფასზე დაბლა სდგას... სასოფლო-სამეურნეო დღიური ხელფასი საშუალოთ შეიძლება ჩავაგდოთ 1 ფრანკ და 50 სანტიმად, ხოლო სამრეწველო ხელფასი 3 ფრანკად. რეალური განსხვავება, კაცმა რო სთქვას, მაინცადამაინც არც ისე დიდია, რადგან საკმელსასმელი და ცხოვრებისათვის სხვა საჭირო მატერიალური საგნები საზოგადოთ მრეწველობის მუშას უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო მუშას; ნამდვილი განსხვავება დაახლოებითუნდა იყოს ერთი მესამედი ანუ 50 პროც. ასეთი განსხვავება სრულებით საკმარისია იმისთვის, რომ მრეწველობას თანდათან უფრო და უფრო მუშების მეტი რიცხვი აწყდებოდეს...“

გაკვრით შევნიშნოთ, რომ განსხვავება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ბ. დე-ლაევერნსა ჰგონია, რადგან ეგრედწოდებული „კვდარი სეზონი“ (წელიწადში მუშაობის შენელების დრო) უფრო მეტს ხანსა გრძელდება სასოფლო-სამეურნეო მუშებისათვის, ვიდრე ინდუსტრიის მუშებისათვის. თუ ავიღებთ „სამუშაო დღეების“ რიცხვს, დავინახავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ხელფასის საშუალო 35 სანტიმიდან 1 ფრანკამდეა; ე. ი. ეს ხელფასი იგივეა, რაც იყო მათი-ოცის წლის წინად. ეს კი საკმაო სიცხადით იმას გვიმტკიცებს, რომ სასოფლო მეურნეობას მაინცადამაინც ბევრი მუშა-ხელი არა სჭირია[1]).

შევეხოთ აგრეთვე იმასაც, თუ რა მონაწილეობა შეუძლიათ ბიილონ სამსახურგათავებულმა ჯარისკაცებმა და უმუშევრად დარჩენილმა მუშებმა საერთოთ წარმოებაში და კერძოდ სასოფლო მეურნეობაში.

დედამიწის ზურგზე თუ სადმეა საუცხოოთ განვითარებული და აყვავებული მეურნეობა, ყოველს ეჰქ გარეშე, ასეთი ქვეყანაა ინგ-

[1]) საფრანგეთში სულ ერთთავად იმას გაიძახიან—სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობისათვის მუშახელი გვჭირიაო, წარმოების ეს ორი დარგი ჯარს ყოველწლიურად უგზავნის 10-დან 12 აოას მოხალისეს, რომელთაგან ნახევრობა იმიტომ მიდის ჯარისკაცად, რომ შინ სამუშაო ვერ უშოვნიაო. ცხადია, რომ ის 6,000 სხვის მაგვგრად წასული, რომელთა უმეტესობა ჯარისკაცად იმავე მიზეზითა ხდება, ამ რიცხვში ჩათვლილი არ არის.

ლისი, ამას მოსდევს ბელგია და ჰოლანდია. ამ სამს ქვეყანაში, მეურნეობამ პირდაპირ დაუჯერებელ სიმაღლეს მიაღწია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორეთ მუშახელის სიმრავლის წყალობით კი არ აყვავებულა მეურნეობა. პირიქით ბ. დე-ლავერნი, რომელიც ამ კითხვაში ავტორიტეტად ითვლება, ამ საგნის შესახებ მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოსთქვამს. „მარტო სასოფლო მეურნეობაში,—ამბობს დე-ლავერნი,—ჩაბმულია უფრო მეტი მუშახელი, ვიდრე სხვა, ყველა ერთად აღებულ მრეწველობაში. საერთოთ ორი მესამედი საფრანგეთის მცხოვრებთა სოფლის მეურნეობის მუშებს წარმოადგენს. ამჟამად ეს პროპორცია უფრო მეტიც იქნება. საზოგადოთ ამა თუ იმ ერის განათლების დონე განიზომება ამ პროპორციის კლებით. ცნობილია, რომ ნაკლებად განათლებულს ქვეყანაში თითქმის მთელი მოსახლეობა სასოფლო მეურნეობას მისდევს, ხოლო იმ ქვეყანაში, რომელიც განათლების უმაღლეს წერტილამდეა ასული, როგორც მაგალითად ინგლისშია, მიწადმოქმედთა რიცხვი მთელ მცხოვრებთა რიცხვის მეოთხედს ან მეხუთედს შეადგენს. სასოფლო მეურნეობას მუშახელის კლებით არაფერი აკლდება, პირიქით: რაც უფრო იზრდება რიცხვი არა სოფლის მეურნეთა, მით უფრო ფართოვდება საქონლის გასაღების ბაზარი და მით უფრო იზრდება წარმოება“.

ეს კლება სასოფლო-სამეურნეო მუშების რიცხვისა, რომელზედაც ბ. დე-ლავერნი ლაპარაკობს, აგრეთვე შედეგია მეურნეობის ტეხნიკის წარმატებისა: რაც უფრო გავანაყოფიერებთ ნიადაგს პატივითა და გავაუმჯობესებთ სამეურნეო იარაღებს, მით უფრო ნაკლები დაქირავებული მუშახელი დაჭირდება მიწადმოქმედებას. ჩვენის ნათქვამის დასამტკიცებლად წინ გვიდევს მაგალითი იმ სამის ქვეყნისა, რომელთაც ყველაზე მეტი წარმატება ეტყობათ მეურნეობაში. მართლაც განსაზღვრულ სივრცის ადგილზე ისე ცოტა ხალხს არსად ამუშავებენ და იმდენი ნაყოფიც არსად მოსდით, როგორც ინგლისსა, ჰოლანდიასა და ბელგიაში.

მაგრამ ყოველივე ეს არა კმარა, რომ ძალა დაეკარგოს იმ არგუმენტს, რომელსაც ახლა ვარჩევთ, ყოველ შემთხვევაში იმათს თვალში, ვინც ხსენებული არგუმენტი წამოაყენა. ამიტომ ერთი რამეც უნდა მოვიგონოთ, რომელიც წინა მოსაზრებათა მსგავსადვე ელემენტარულია.

თუ გინდათ, რომ მეურნე იყვეთ და ჭირნახულიცა გქონდესთ, ამისათვის არა კმარა ლონიერი მუშები გყავდესთ და სახნავსათესი ნიწა გქონდესთ.

ცხადია, ამასთან ერთად სააგრონომიო ცოდნაც უნდა გქონდესთ და დასამუშავებელი თანხაცა. დღეს თუ მიწა ჯეროვანად გაპატივებული, მოხნული და მოვლილი არ არის, თითქმის არ მოგვცემს ნაყოფს. ხოლო, თანახმად ბ. დე-ლავერნ-ის თქმისა, იშვიათია, რომ მიწამ, საფრანგეთის საშუალო პირობებში, კარგის ნაყოფის მოცემა შეიძლოს, თუ ზედ არ დავახარჯეთ 2000 ფრანკი ჰექტარზე, აქედან 1000 ფრანკი თვით ნიადაგის გასაუმჯობესებლად, ხოლო 1000 ფრანკი დასამუშავებელ თანხად. ბ. დე-ლავერნი აქ არ ანგარიშობს გადასახადებს სამამულოს, მოძრავი ქონებისას, პირადა და სხვადასხვა, რაიცა ცოტას კი არ დაიჭერს.

მიწადმოქმედება, უეჭველია, იმატებდა, თუ კაცი მოახერხებდა და გაავრცელებდა სააგრონომიო ცოდნას და განსაკუთრებით თუ შოიზიდავდა საწარმოვო კაპიტალებს, მაგრამ ამას კი ნურავინ იტყვის, ასეთი რეზულტატის მიღწევა შესაძლებელი იყოს აგრიკულტურისათვის ძველ მეომრების მიშველებით. და სანამ კაპიტალის ნაკლებობა იქნება, სამუშაოს მთხოვნელი სულმუდამ ბევრი იქნება და სამეურნეო ხელფასი დიდის გაჭირვებით თუ შესძლებს, ოდნავადაც არის, აბწიოს.

VI

ხსენებულ მოსაზრებათა წინააღმდეგ შეუძლიათ გვითხრან, რომ ხელფასის დაცემა ნაწარმ საქონლის თვითღირებულების ფასს შეამცირებსო და ამას კიდენ რეზულტატად ის მოჰყვება, რომ თვით საქონლის გაყიდვის ფასი დაიკლებსო; და რაკი ნაწარმი გაიაფდება, ე. ი. მყიდველთათვის ხელმისაწდომი გახდება, მოხმარებას შეუძლიან დღევანდელ დონეზე გაჩერდესო.

სამწუხაროთ, ეს ასე არ გახლავსთ. ამა თუ იმ საქონლის გაყიდვის ფასი, როგორც მოგეხსენებათ, ამნაირადაა შედგენილი: თვითღირებულების ფასი,+სარგებელი ვაჭრობაში ჩადებულ კაპიტალისა,+ხარჯები გადატანისა, საწყობში შენახვისა, საქონლის ღირსების დაკარგვისა, გადასახადებისა,+შუამავალთა გასამრჯელო, ასეა თუ ისე აუცილებელი,+ერთგვარი თანხა, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია ბაზრის მდგომარეობაზე, ე. ი. წინადადებისა და მოთხოვნის რაოდენობაზე. მართალია, ყოველსავე ნათქვამს შემდეგ, მოთხოვნა დიდი არ იქნება ; ისიც შეიძლება, მოთხოვნა სულაც არ იყოს. მაგრამ შუაკაცების შენახვა და ზევით ჩამოთვლილი ხარჯები იგივე დარჩება, რაც წინათ იყო. ხოლო რაიცა შეეხება თვითღირებულებას, აი როგორ წარმოსდგება: სარგებელი წარმოებაში დაბანდებულ

კაპიტალისა და მისი ამორტიზაცია,—შენახვა ფაბრიკისა, ფერმისა, ქარხნისა ან სახელოსნოსი,—ნედლი მასალის ფასი,—ხელფასი წარმოების მუშებისა და მოსამსახურეთა. ზედმეტია იმის გახსენება, რომ მუშების ხელფასი თვითღირებულების მეოთხედსაც არ შეადგენს. მათი ხელფასი სანახევროდ რომ შემცირდეს, თვითღირებულება ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთის მერვედით შემცირდება, ასე რომ რომელიმე ნაწარმოები, ფაბრიკანტის მიერ დღეს ოთხ ფრანკის ფასად გაყიდული, ეღირებოდა 3 ფრანკნახევრად, ხოლო მუშას, რომელსაც წინათ 4 ფრანკი ჰქონდა ამ საქონლის სასყიდლად, ახლა ორ ფრანკზე მეტი არ ექნება. საერთოთ ცხოვრება გაიაფდებოდა ერთის მერვედით, სულ ბევრი, ერთის მეექვსედით, იმ დროს როცა საარსებო საშუალება მუშების უმეტეს ნაწილისა სანახევროდ შემცირდებოდა. პროპორცია იგივე დარჩებოდა, ჩვენ თუ წარმოვიდგენდით, რომ მუშების ხელფასი მხოლოდ ერთის მეოთხედით შემცირდებოდა: საქონლის თვითღირებულების ფასი შემცირდებოდა ერთის მეთექვსმეტედით და მებრი სხვა.

ეს მცირე გამოანგარიშება საგრძნობლადა სცვლის ამ თავის დასაწყისში მოტანილ საწინააღმდეგო აზრს და ზედმეტია იმაზე კიდევ ლაპარაკი, თუმცა შესაძლებელი კი იყო კიდევ მოგვეყვანა იმავე ხასიათის მოსაზრებანი.

VII

განსახილველი დაგვრჩა ერთი მოსაზრებაცა, რომელიც შეიძლება წამოაყენონ იმისთვის, რომ, ცოტათიც არის, შეანელონ ის მუქი საღებავები, რომლებითაც დახატულია საერთაშორისო განიარაღების შედეგების სურათი.

შეუძლიათ სთქვან: „რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამ მოსაზრებას, თანამედროვე ურთიერთობის სფეროდან აღებულს; ყოველივე ეს ეკონომიური ფ ი ქ ც ი ე ბ ი ა, მეტი არაფერი. არსებითად არაფერი გამოიცვლება, გამოიცვლება მხოლოდ შრომის უფრო მიზანშეწონილი განაწილება. დაშლილი ჯარი ხვალ იმასვე დახარჯავს, რასაც დღეს ჰხარჯავს; გამოცვლილი ის იქნება, რომ ჯარს დაეკარგვის გამანადგურებელი ხასიათი და გადაიქცევა ნაყოფიერად, პროდუქციის საჭიროებათა ფარგლებში. ამა თუ იმ სახით ჯარი შესძლებს პატიოსანის გზით მოიპოვოს ის აუცილებელი საჭიროების დასაკმაყოფილებელი, რაც დღეს მთავრობისაგან ეძლევა სხვათა მიერ შექმნილ სიმდიდრის გასანიავებლად შრომისათვის“.

მეტად მემძიმება ამ საოცნებო ილუზიების გაქარწყლება, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, ეს არსებობისათვის აუცილებელი სახსარი წინდაწინვე გამორიცხულია სახელმწიფოს მიერ იმავე ჯარის შემწეობით, რომელსაც ამ აუცილებელს სახსარს ურიგებენ. მდაბიო ხალხს, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ საკმაოდ არა აქვს შეგნებული, თუ რა მოვალეობა აწევს მას სახელმწიფოსი, და აბა სწორეთ ვერც გადასახადთა ინსპექტორს შეუძლია და ვერც ხარჯთამკრეფთ— შეაგნებინონ თავისი წმინდა მოვალეობა სამშობლოსა და ფინანსთა სამინისტროს მიმართ. გლეხი, მუშა, თვით ფაბრიკანტიც ტუჩებზე ღიმმორეულები უხვდებიან ხარჯთამკრეფთ არა მარტო იმისთვის, რომ მთავრობის აგენტი გაისარჯა და გადასახადის ფურცელი წარმოუდგინა, არამედ იმისთვისაც, რომ ისინი ხარჯთამკრეფის ზურგთუკან ხედავენ მთელს მწყობრს ხიშტებიან ჯარისკაცებისას, რომელნიც მზად არიან საქმეში ჩაერივნენ, როგორც კი რომელიმე მოხარკე გაბედავს და უარს იტყვის გადასახადის გადახდაზე. სამსახურიდან განთავისუფლებულს ჯარისკაცს, რომელიც უკვე აღარ ატარებს „სამშობლოს დამცველის“ სახელს, თავისუფლად შეუძლია ლუკმაპურიც იშოვნოს ყველასთან, ვისაც კი მიადგება, თუ თან იახლებს „შეიარაღებულ ძალას“ ან მთავრობის ერთერთ წარმომადგენელს, მაგრამ იმავე მთავრობის გავლენას ძალზე მოაკლდებოდა. იმ დღესვე, რა დღესაც მოშორდებოდა მისი მთავარი ძალა—მისი ხიშტები, ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა იცხოვრონ სამსახურიდან განთავისუფლებულმა ჯარისკაცებმა! მეტი გზა არ ექნებათ, უნდა მიჰბაძონ ორიგ-სიციილიის სამეფოს ძველს ჯარს და ფართედ მოაწყონ ძარცვა-გლეჯა. მაგრამ, ცხადია, ეს სრულებით არ შეადგენს წინდაწინვე მოუფიქრებლად განზრახულ განიარაღების მომხრეთა იდეალს. [1])

[1]) მკითხველი კარგს იზამს განიმსჭვალებოდეს იმ აზრით, რომ ამერიკის მაგალითი ყურადღების ღირსი არც კი არის. ჩვენ ვიცით, რომ ამერიკამ ჯერ უზარმაზარი ჯარი შექმნა და მერე იმდენი მოახერხა, რომ ეს ჯარი დაშალა. ეს ჯარი შესდგებოდა მუშებისაგან, რომლებიც გამოაცალეს სავსებით განვითარებულ მრეწველობას; რაკი მუშები არა ჰყავდათ, სამრეწველო დაწესებულებანი იძულებულნი იყვნენ საკმე შეეჩერებინათ და მათთვის ადგილი იყო საკმე იმათთვისვე ჩაებარებინათ, ვის დაბრუნებასაც ასეთის მოუთმენლობით მოელოდენ, გარდა ამისა, ამერიკის მრეწველობა წარმოშვა სრულებით მშვიდობისმოყვარულმა საკეროებამ და სამხედრო დაწესებულების სრულებით უმნიშვნელო რიცხვი ჰქონდა, ამიტომ სრულებით არ ეშინოდა მომავალ ცვლილებისაგან მოსალოდნელ კრიზისისა. ეს ცვლილება, სწორეთ რომ ვსთქვათ, ერთად-ერთი იყო და განიარაღებას სულ ოთხი წელიწადი უძღოდა იარაღასხმულობისა. დასასრულ, მაინცა და მაინც, ნურც მაგრე გენდობით ამერიკის მოთაყვანეთა აღტაცებულ სიტყვებს: იმან, რაც დღეს ამერიკაში ხდება, არა მგონი, ცოტათიც აბის, შორსმჭვრეტელ ხალხის დამშვიდება შესძლოს.

რაკი ჯარზე ვლაპარაკობთ, მეტი არ იქნება მოვიგონოთ ჯარის სხვა „დანიშნულებაც“. თანამედროვე საზოგადოებას არაფრის გზით არ შეუძლია ამ დანიშნულებას გვერდი აუაროს. თანამედროვე პირობებში, ჯარი აუცილებელია არა მარტო გადასახადების ასაკრეფად, არამედ განსამტკიცებლად იმ სოციალურ ურთიერთობათა, რომელნიც წარმოშვა განათლების გზაზე შემდგარმა ცხოვრებამ. შეძლებული ხალხი, აგრეთვე პატარ-პატარა მესაკუთრენი და კომერსანტები თანახმანი არიან დიდის სიამოვნებით გადაიხადონ ხოლმე თავიანთი ხვედრი გადასახადებისა მხოლოთ იმ პირობით კი, რომ შეიარაღებულმა ჯარმა, რომელსაც სწორეთ ამ გადასახადთა მოგებით ინახავენ ხოლმე, უზრუნველჰყოს ისინი და აგრეთვე მათი ცოლშვილი და ქონება ყოველგვარ ფათერაკისა და განსაცდელისაგან. ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიური თვალსაზრისით ეს უზრუნველყოფა წინდია წარმოების არსებობისა. რო გაჰქრეს ეს ჯარი, რომელიც საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ ამათ თავიანთის სიცოცხლის და ქონების მცველად მიაჩნიათ, რა მოსწზრებამ უნდა აიძულოს ესენი შეინახონ ან და, ყოველ შემთხვევაში, დაეხმარნენ ამ ჯარის დამსხვრეულ და ღონემიხდილს ნაშთს? რა სახით და რა მოსაზრებით დასთანხმდებიან ესენი ხელი აიღონ ხოლმე თავიანთს ჩვეულებაზე და შეინახონ „მცონარანი“, „უსაქმურნი“, რომელნიც სულმუდამ ზიზღით ჩაუტარებიათ ხოლმე იმგვარათვე, როგორც ჩაუტარებიათ მათივე მსგავსი „უმაქნისები“, რომელნიც დღეს „მათხოვრების“ სახელით არიან ცნობილნი?

აი ის საზრდო, რომელსაც შოულობენ დღეს ჯარისკაცნი და მათი მოკავშირენი, და რომელიც თანამედროვე საზოგადოების მიერ ამ უკანასკნელთათვის ალბათ უზრუნველყოფილი არ იქნება.

მაგრამ ერთი რამ კიდევ არის სათქმელი შესახებ ამ „საზრდოისა“, რომელსაც მშვიდობიანობის მომხრე პუბლიცისტები ჯარსა ჰპირდებიან — შეგრჩებათო.

საფრანგეთსა და იტალიაში, ისევე როგორც რუსეთსა, ავსტრიასა, ისპანიასა და ოსმალეთში უმეტესი წილი მუდმივის ჯარის შესანახ ხარჯებისა არაპირდაპირის გადასახადებით კი არ იფარება, არამედ ერთმანერთს მიყოლებულ სესხებით, რომლებიც თანამედროვე მთავრობებისათვის მათის ბიუჯეტის ყოველგვარის დეფიციტების დასაფარავ წყაროებად გადაქცეულა. ყველას აშკარათ ეტყობა ტენდენცია ეს სესხი ჩასთვალოს როგორც ერთგვარი სამარადჟამო გადასახადი, და ევროპის სახელმწიფოთა ფინანსიურ მდგომარეობაში ეს სესხი მეტადა ზრდის სახელმწიფო

ვალებს, რომლებმაც ისეთ დიდ ციფრებამდე ააღწიეს, სახელდობ. 71.712.750,000 ფრანკამდე [1]).

მარტო საფრანგეთის სახელმწიფო უზრუნველყოფილი (კონსოლიდირებული) ვალი რომ ავიღოთ, დავინახავთ, რომ ეს ვალი 1851 წელს შეადგენდა 5.345.636.360 ფრანკს და რომ 1865 წ. 13.026.510.614 ფრანკამდე ავიდა. განსხვავება უკვე 7.680.873.254 ფრანკს შეადგენს, რაიცა გვიჩვენებს, რომ წლიურად, ვალი, საშუალოთ 548,633.803 [2]) ფრანკს მატულობს, ე. ი. ცოტათი მეტს იმ

[1]) სახელმწიფო ვალები:

	ფრანკები
ინგლისისა	19.818.750,000
საფრანგეთისა	13.553.000,000
რუსეთისა	8.925.000,000
ავსტრიისა	7.614.250,000
იტალიისა	6.375.000.000
ესპანეთისა	5.250.000.000
ჰოლანდიისა	2.100.000.000
გერმანეთის პატარა სახელმწიფოებისა	2.062.500,000
ოსმალეთისა	1.762.500,000
პრუსიისა	1.631.250,000
პორტუგალიისა	1.068.750.000
ბელგიისა	675.000,000
დანიისა	367.500 000
საბერძნეთისა	240.000,000
შვეციისა	172.500,000
ნორვეგიისა	48.000.000
ოსმალეთის ვასალებისა	37.500.000
შვეიცარიისა	11,250,000
სულ	71.712.750.000 ფრ

[2]) საფრანგეთის სახელმწიფო (უზრუნველყოფილი) ვალი:

იანვრის პირველისათვის	ფრანკები	ზრდა ფრანკებად
1851	5.345.637.360	—
1852	5.516.194.600	170.557.240
1853	5.577.504.587	61.309.987
1854	5.669.655.012	92.150.425
1855	6.082.877.852	413.222.840
1856	7.558.040.822	1.475.162.970
1857	8.031.992.466	473.951.644
1858	8.422.096.777	390.104.311
1859	8,593.288.155	171.191.378
1860	9.334.012.006	740.723.851
1861	9.718.276.913	384.264.907
1862	9.924.874.218	206.597.305
1863	12.080.235.183	2.155.360.965
1864	12.315.946.794	235.711.611
1865	13.026.510.614	710'563.820
	სულ	7.680.873.54

წლიური საშუალო; 548.633.803 ფრანკი და 84 სანტიმი.

თანხაზე, რა თანხადაც უჯდება საფრანგეთს შენახვა თავის ჯარისა, თავის საზღვაო ფლოტისა და სამხედრო კოლონიის ალჟირისა [1]).

ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი გვაქვს, უზრუნველყოფილ ვალის შესახებ: უგარანტიო ვალი, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში 1.100.000.000 ფრანკამდე ადიოდა, ჩამოთვლილ ანგარიშში არ შედის.

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ ამ ციფრების შედარებით?

ჯარისკაცების ჯამაგირები, მათი შენახვა და სამხედრო სამუშაოებისათვის გასაწევი ხარჯები აწვება კისერზე გულდანდობილ კაპიტალისტებს, რომელთაც თავიანთი ფული მოწიწებით სახელმწიფოს სალაროში შემოაქვსთ; პირდაპირი გადასახადი, სარგებელი არაპირდაპირის გადასახადისა და სხვა შემოსავალი სახელმწიფოსი ნაწილობრივ ჰფარავენ სხვა ხასიათის ხარჯებს: ესენი დანიშნულნი არიან გასტუმრებლად სახელმწიფო ვალისა, შესანახად სასახლისა, ადმინისტრაციისა, სასამართლოსი, საუნივერსიტეტო დაწესებულებათა, საპატიმროებისა, საჯარო სამუშაოების ხარჯების გასასტუმრებლად და სხ. და სხ. ეს ცოტაცაა: მოხარკეთა მიერ შემოტანილი ფული არც-კი ჰყოფნის ამ ხასიათის ხარჯებს; ამიტომ ქალაქები, საზოგადოებანი და დეპარტამენტები, საცა კი მოახელებენ, ფულს სესხულობენ, რომ დაჰფარონ ხარჯები კანალიზაციისა, გზებისა, სკოლების შესანახი, საზოგადო საჭიროების შენობების ასაგებად, და სხ. [2]) განიარაღებას არ შეუძლია გადასახადების ჯამი საერთოდ თუნდ ერთის სანტიმითაც შეამციროს. შეიძლება, სულ ბევრი, იმის

[1]) გამოკრეფილი საფრანგეთის 1868 წლის ბიუჯეტიდან:

	ფრანკი
ხმელეთის ჯარი. . . .	363.002.238
სამხედრო ფლოტი . .	148.051.482
ალჟირი	14.702.000
	სულ. 525.755.720 ფრ,

[2]) აი თანახმად ბ. La Barre-ისა, ფინანსიური მდგომარეობა საფრანგეთის დეპარტამენტებისა და კომუნებისა:

1852	ამათ ისესხეს	14.617.000	ფრანკი
1853	„ „	13.416.000	„
1854	„ „	63.057.000	„
1855	„ „	79.219.000	„
1856	„ „	85.754.000	„
1857	„ „	26.825.000	„
1858	„ „	12.557.000	„
1859	„ „	50.000.000	„
1860	„ „	186.544.000	„
1861	„ „	112.000.000	„
	ჯამი	643.989.000	ფრ.

იმედი იქონიოს კაცმა, რომ აღარ ისესხონ ფული ჯარის საქმელ-სასმელისა და შენახვისათვის [1]).

ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობაში, იმ სიმდიდრეს, რომელიც დღეს ჯარზე იხარჯება, ნაღდ ფულად კი არ აძლევენ: ამ ხარჯებს ისტუმრებენ მომავალის შემოსავლის იმედით ამ შემოსავლის აღებამდე; მაგრამ ყოველთვის კი არ მოგვცემენ ამის ნებას და არც ადვილი გახლავსთ წინდაწინ შემოსავლის აღება. სახელმწიფოთა ცხოვრებაში ისევე, როგორც კერძოთა ცხოვრებაში, ზოგჯერ გამოერევა ხოლმე წუთი, როცა ხალხს მომავალი შავის საღებავებით შეღებილად მოეჩვენება და ამ საღებავებიდან ჰორიზონტზე მოეფინება საზარელი შავი ლაქები. დადგება ვადა რომელისამე ვალის გადახდისა და დაინტერესებულთ არ უნდათ ყურშიაც შეუშვან ვადის გადადების ან ვექსილების გამოცვლის შესახებ ლაპარაკი. ნისიად არავინ რას იძლევა, მოითხოვენ ნასესხებ მცირე თანხების დაბრუნებას, სხვადასხვა საქონლის მომმარაგებელნი აქშინებულნი მირბიან და თავისას თხოულობენ, არავის უნდა ყური ათხოვოს თქვენს დაპირებას — საცაა, ყველაფერი მექნებაო, რამდენიც გნებავთ, ელაპარაკეთ თქვენის იმედების შესახებ ან ბედის სიმუხთლეს მოახვიეთ ყველაფერი თავზე, ამით საქმეს ვერ უშველით, შეუძლებელია მომავალი გაანაღდოთ, რადაც უნდა დაგიჯდესთ, უნდა გაუსწორდეთ რეალურისა და ნაღდის ქონებით. ასეთს მდგომარეობას ფინანსიურ débâcle-ს, ეკზეკუციას, ვალებისათვის ქონების აღწერას ეძახიან და ეს მართლაც ეკზეკუციაა, ზოგჯერ უფრო მწარეცაა, ვიდრე თავის მოკვეთა.

---

[1]) ვალიც არის და ვალიცა, ისევე, როგორც ყველა კაცი ერთნაირი არ არის. და უსამართლოება იქნებოდა, რომ არ აღგვიარებინა სარგებლიანობა ზოგიერთის სესხისა, რომელიც საფრანგეთის დეპარტამენტებსა და კომუნებს აღებული აქვსთ გზების გასაუმჯობესებლად და სხვა მის მსგავს საჭიროებათათვის. რაც დავსწერეთ, იმისთვის კი არ დაგიწერია, რომ საგანგებოდ მიგვეჩინა სარგებლიანობა ასეთის სესხისა. ამას, გაკვრით, ისიც დაკუმატოთ, რომ ამ აუარებელმა სესხებმა, ევროპის სხვადასხვა სახელმწიფონი რომ იღებენ ხოლმე, წარმოშვა მოსახლეობის მთელი კლასი, კლასი რანტიეებისა, რომლებიც მიჩვეულნი არიან იცხოვრონ ხოლმე თავიანთის თანხების 3 და 5% სარგებლითა. ამათი რიცხვი მეტად დიდია, ასე რომ ფიქრიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ამათ არსებობის წყარო შევუმციროთ; ესენი მარად თვალწინ უნდა გვედგეს, როდესაც ლაპარაკია ხოლმე სახელმწიფოს ვალების ზრდის შესახებ. ამ რანტიეების სიმრავლეც ნებას არ გვაძლევს ვიოცნებოთ, თუნდაც ერთი წუთით, მაგათს გაკოტრებაზე, როგორც საშუალებაზე, რომელსაც შეუძლია გაჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობისაგან გამოიყვანოს ევროპას სხვადასხვა სახელმწიფონი. ერთად-ერთი საქმე, რის გაკეთებაც-კი შეიძლება, ის გახლავთ, რომ მიჰბაძონ ინგლისისა და ჰოლანდიის მაგალითებს, ე. ი. ამ ვალებს ამორტიზაცია უყონ ცოტ-ცოტათი, იმისდა კვალად, როგორც კი შემოსავალი ხარჯზე მეტი შემოუვათ. მაგრამ ვალების ამორტიზაციისათვის მარტო სურვილი როდი კმარა.

ქონების აღწერის ეს საათი შეიძლება, ერთი დღეც არის, სახელმწიფოს დაუდგეს,—მაშინ საიდგან მოიტას იმ უთვალავს ფულს იმ პურის სასყიდლად, რომელსაც იგი დღეს თავის ჯარს აჭმევს? ამ პურს სოფლის მეურნეთაც ვერ წაართმევს, ამიტომ რომ, მაგალითად, საფრანგეთისათვის პური შორეულ ქვეყნებიდან მოდის, სადაც ერთს დროს მექსიკაში რომ გაგზავნეს, ისეთის ეკსპედიციის გაგზავნა საშინლად ძვირად დაჯდება; ამიტომ რომ მოსალოდნელია რუსეთმა და სხვა ქვეყნებმა, რომლებიც დღეს საფრანგეთს რაღაც მილიონნახევარ ეკტოლიტრს ხორბალს უგზავნიან, ვინ იცის, როგორ აიღონ და დაიღონ, სანამ მარსელში გაგზავნიდენ თავიანთის ხორბლით დატვირთულ გემებს.

ეს უკანასკნელი მოსაზრება საკმაო სიცხადით ადასტურებს იმ ნათქვამს, რომ რეალურათ არაფერი გამოიცვლება განიარაღებით და იგივე ადამიანები იმავე რაოდენობის ნაწარმოებს დახარჯავენ, რასაც ჰხარჯავდენ დღემდე, როცა იმ ნაწარმოებს ისინი სახელმწიფოს ხელიდან ღებულობდენ. მართლაც და, ბევრი რამ იქნება გამოცვლილი: პური და სხვა საგნები მოხმარებისა, რასაც დღეს ხარჯავენ, ნასესხებია მოსალოდნელ სიმდიდრის გარანტიით. ამ მოუფიქრებლად მოხდენილ განიარაღებას აუცილებლად მოჰყვება ქვეყნის ქონებრივად აწეწ-დაწეწვა, და ამ აწეწილ-დაწეწილობის წინადღით ამ პროდუქტების მწარმოებელთ და მომტანთ არაფერი სწამდეთ იქნება ზემოხსენებული გარანტიისა: ისინი მოითხოვენ დაუყონებლივ გადაუხადონ ვალი, ნაღდი ფულით, და რაკი მოვალეები ვერაფერის საშუალებით მოახერხებენ ვალის გადახდას, მაშინ...

VIII

ისიც მართალი გახლავსთ, რომ ევროპა დღეს წარმოადგენს ორს მაგალითს სამხედრო ორგანიზაციისას, რომელიც სამრეწველო და სამეწათმოქმედო საჭიროებას ცოტათი უკეთესად აკმაყოფილებს, ვიდრე სამხედრო ორგანიზაციები ევროპის სხვა სახელმწიფოებისა. ეს ორგანიზაცია არის ერთი ლ ა ნ დ ვ ე რ ი პრუსიისა და მეორე—სახალხო მილიცია შვეიცარიისა.

მუდმივი ჯარების შენახვისაგან წელში გაწყვეტილ ევროპის ერების უმრავლესობის გონებრივისა და სამრეწველო განვითარების სამწუხარო მდგომარეობამ აიძულა ეს ერები თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ შესდგომოდენ განიარაღებას, ამათ აკრძალეს ჯარისკაცად სხვის მაგივრად წასვლა და მოაწყვეს ლანდვერ (landwehr) და მილიცია, ყველა მოქალაქეთა მიერ შემდგარი. ამ თანდათანობის საფუძველი უნდა

ვეძებოთ იმ თავისებურობაში, რომელიც აქვს ჩვენს მიერ მოხსენებულ ქვეყნების სამხედრო წყობილებას: ამ ქვეყნების სამრეწველო დაწესებულებანი, სამხედრო საჭიროებისათვის დანიშნულნი, თითქმის იმნაირათვე მუშაობენ, როგორც იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც მუდმივ ჯარებს ინახავენ. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს გადასვლა, რაც უნდა ზომიერი და თავშეკავებული იყოს იგი, წარმოადგენს სიძნელეს შესასრულებლად, და ამ სიძნელის უგულებელყოფა მეტის-მეტი გაუფრთხილებლობა იქნებოდა. და თუმცა ეს სიძნელე საერთო განიარაღებასთან შედარებით ნაკლებია, მაგრამ მაინც მძიმე დასაძლევია, იმიტომ. რომ მოქალაქეთ ზურგზე წამოიკიდეს ისეთი მძიმე საქმე, რომელიც თითქმის უდრის საეროო განიარაღებას და ამავე დროს განაგრძობენ ჰზიდონ სამხედრო რეჟიმის ტვირთიცა, რომელშიაც შედის სალაშქრო ბიგარა და პირადი სამსახური.

აღარც ის გვეთქმის, ვითომც მეტად ხელსაყრელი იყოს პრუსიისა და ჰელკეციის კონფედერაციისათვის მათი სამხედრო რეჟიმი. ამ ორი მხარის მდგომარეობა სრულებით არ შეიძლება მაგალითად და მისაბაძველად გავუხადოთ სხვა სახელმწიფოებს. ეს მდგომარეობა ოდითვე ვითარდებოდა და ეს პრივილეგიური სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ ბევრი იწროება და გაჭირვებანი განეცადათ და მრავალი მსხვერპლი შეეწირათ, სანამ მიაღწევდენ იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიაც დღეს იმყოფებიან. ამასთანავე მრეწველობა და მიწათმოქმედება ამ ქვეყნებისა თანდათან გაჩნდა და განვითარდა იმ მდგომარეობასთან შეფარდებით, რომელიც შეჰქმნა სამხედრო ორგანიზაციამ. და ცხადია, არც ერთი და აღარც ათი წელიწადი ეყოფოდათ ამ ქვეყნებს თავიანთის დღევანდელ კეთილდღეობისათვის მისაღწევად.

ყოველთვის, როცა ამა თუ იმ ერის წესწყობილება და მისი ზნეჩვეულება გვინდა შევაფასოთ, უეჭველად ანგარიში უნდა გავუწიოთ ხოლმე ამ ერის ისტორიულ განვითარების პირობებს. ამაზე მეტიც უნდა ვსთქვათ: რომელისამე სახელმწიფოს სოციალურს წრეს, ე. ი. მეზობლების ცხოვრების პირობებს ნაკლები მნიშვნელობა არა აქვსთ ამ სახელმწიფოს დაწესებულებათა განვითარებისათვის. ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების ამ ორს ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსთ არამც თუ მის სოციალურ ორგანიზაციის ცოტად თუ ბევრად მძიმე ჩასახვის საქმეში, არამედ მნიშვნელობა აქვს იმ ცვლილებათათვის, რომლებიც უნდა მოახდინონ სახელმწიფოს ძირითად დაწესებულებებში. ამიტომ რომელისამე სახელმწიფოსათვის ადვილი საქმე როდი გახლავსთ თავის ქეიფზე რაიმე ცვლილება შეი-

ტანოს თავის მხედრობაში;—ანგარიში უნდა გაუწიოს მას, თუ მეზობლების სამხედრო ორგანიზაცია როგორია. აი თუნდ პრუსია ავიღოთ. რაკი მეზობლად ძლიერი სამხედრო სახელმწიფო ჰყავდა, რომლის ჯარი მუდმივის ჯარისკაცებისაგან შესდგებოდა, იძულებული შეიქნა 1864 წელს თავისი სამხედრო კანონმდებლობა გამოეცვალა და საკმაოთ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა მოსაწყობად ან, უკეთ, გასადიდებლად თავის მუდმივის ჯარისა.

მეზობლის ცუდი მაგალითის გავლენა ამა თუ იმ ერის განვითარებაზე ისე თვალსაჩინოა, რომ არა მგონი საჭირო იყვეს მაზე მეტს ხანს შევჩერდეთ. მხოლოდ გაკვრით აღვნიშნოთ, რომ გერმანეთი სავსებით ემყარება მუდმივი ჯარისკაცების ხიშტებს და გაფაციცებით თვალს ადევნებს კონფედერაციის (შვეიცარიის) სამხედრო ძალის განვითარებას. და ეს მისი ასე გაძლიერება შედეგია საფრანგეთის მეზობლობისა, რომელსაც არ უნდა ტყუილად ვისმე რამე მისცეს და ამიტომ პრუსიისაგან ისესხა მისი სისტემა ლანდვერებისა. ასეთსავე დღეში არიან ავსტრია, რუსეთი, იტალია და ოსმალეთი, რომელნიც ძულებულნი არიან ერთმანეთს მიჰბაძონ და ერთმანეთისაგან ახალი სისტემის თოფები თუ ყოველგვარი საომარი იარაღი გადმოიღონ ხოლმე.

თუ გვინდა შემოღებულ იქნას მოქალაქეთაგან შემდგარი მილიცია, საჭიროა ევროპის ყველა სახელმწიფონი შეთანხმდენ, რომ ერთსა და იმავე დროს შემოიღონ ასეთი წყობილება და თან თავიანთს ქვეშევრდომთ შეუმსუბუქონ სამხედრო ტვირთი. გვგონია საჭირო არ იყვეს იმის აღნიშვნა, თუ როგორი დაბრკოლება გადაეღობებოდა წინ ასეთს შეთანხმებას!..

IX

წარმოვიდგინოთ—თქვენ ისა ბრძანეთ, რა იქნება ისეთი, რომ შისი წარმოდგენა არ შეიძლებოდეს!—ჰო, და წარმოვიდგინოთ ერთი რამ: ვითომ კაცობრიობა უაღრესად გაინმსჭვალა იმ სურვილით, რომ როგორმე ზურგიდან გადაიგდოს სამხედრო ტვირთი და ეს ვითომ სურვილი ესდენ ძლიერია, რომ არ ეშინის გაუმკლავდეს ზემოთჩამოთვლილ დაბრკოლებათ და რადაც უნდა დაუჯდეს, დასთურგნოს ეს დაბრკოლებანი. სოციალურ ცხოვრებაში ამგვარი მაგალითები, მართალია, ბევრი არ მოგვეპოვება, მაგრამ მაინც წარმოვიდგინოთ.

ჩვენ სრულებით არ გვინდა, ოდნავაც არის, შერყეულ იქნეს თანამედროვე სოციალური ორგანიზაცია, მაგრამ ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ გავიხსენოთ, რომ არ შეიძლება იმის თქმა, ვითომც ჩვენთა

დაწესებულებათა დასაბამი—განსაკუთრებით ქონების განაწილების თვალსაზრისით—ცოტათ თუ ბევრათ მიუკერძველ კრიტიკის გარეშე იყოს ან არ განიცდიდეს ცოტად თუ ბევრად გაცხარებულ საყვედურსა. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ეს ყვედრებანი წამოსულნი არიან ხალხის მასების მხრივ, რომელნიც ნაკლებად არიან განათლებულნი იმისთვის, რომ გაიგონ მომხიბვლელობა „ეკონომიურის ჰარმონიისა“ და თან იმდენად ტლანქნი და მოუხეშავნი არიან, რომ ვერა ჰბედავენ თავიანთს სიტყვიერ საყვედურს მიაშველონ თავიანთი ზოგჯერ მშვენივრად შეიარაღებული ძალაც. თანამედროვე საზოგადოებას შეუძლია თავისი თავი მოატყუილოს და ბოლოს-და ბოლოს დაარწმუნოს კიდეც, რომ ვითომ მისი ეკონომიური ორგანიზაცია მტკიცე და ურყევი იყვეს; მაგრამ სცდება და საშინლათაც სცდება. ისინი, ვინც თავიანთს თავს სვებედურადა სთვლიან, ისინი, ვინცა ჰფიქრობენ, რომ მათ თავიანთის უფლებისა ან და დამსახურების-და კვალად არ ეძლევათ გასამრჯელო, შეადგენენ უმრავლესობას, ყოველს ავე შემთხვევაში, რიცხვობრივ მაინც; ესენი თავისდღეში არ აპატივებენ საზოგადოებას მისის თანამედროვე ორგანიზაციის წარმოშობის მიზეზს: უფრო ძლიერის უფლებას, იღბლიანობას, ჩამომავლობას და კიდევ ნის მსგავს რამეებს. და ამ პროლეტართა მისწრაფებანი მეტად ცოცხალნი არიან და მეტად ღრმადა აქვსთ ფესვები გადგმულნი; ესენი იმას-ღა ელიან, ეს სოციალური შენობა ცოტაოდნად შეტოკდეს, რომ იხუვლონ და სააშკარაოზე თამამად გამოვიდნენ, და მაშინ ივნისის დღეების[1]) მოწყობაც ვერ შეაშინებს მათ და ვერ აიძულებს სოროებში დაიმალნენ.

მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოებას ვინ დაუდგება თავმდებად იმისა, რომ ეს პროლეტარები რაიმე სოციალურ გაჭირვების დროს მშვიდობიანად და სმის ამოუღებლად დარჩებიან? ეს საზოგადოება რა ძალით აღუდგება წინ და გაუმკლავდება ამ პროლეტარებს იმ დროს, როდესაც ესენი, დაინახავენ თუ არა, სოციალური დეზორგანიზაცია ხდებაო, გამოვლენ და მოითხოვენ თავიანთს წილს სოციალურ უფლებათა და მომავალ კანონმდებლობის მიერ ცვა-ფარვას[2]).

---

[1]) აჯანყება 120,000 მუშისა საფრანგეთში სახელმწიფო სახელოს ნოებიდან დათხოვნის გამო. ამ აჯანყებამ სისხლით მორწყო პარიზის ქუჩები და ოთხს დღეს გრძელდებოდა. ალაგმულ იქმნა გენერალ კავენიაკის მიერ.

[2]) შვეიცარია ამ შემთხვევაში მაგალითად არ გამოგვადგება, რადგან კონსერვატორული ელემენტი ისე ძლიერ არის ძლიერი, როგორც აკა, იმის წყალო-

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში — რომელიც სავსებით უნდა იყოს მოსალოდნელი — საზოგადოებას შეუძლია ორი რამ გააკეთოს: ან კანონიერად სცნოს პროლეტარების მოთხოვნა და ისე მოაწყოს საქმე, რომ მათი დაკმაყოფილება შესაძლებელი იყოს, ან და სიჩქაროდ მოუწოდოს შეიარაღებულ საზოგადოებრივს ძალას და ამ ძალას მიანდოს საქმის მოგვარება. თუ საზოგადოებამ ეს შეორე გზა აირჩია და პროლეტარებთან[1]) ბრძოლაში სული არ ამოხდა, იძულებული იქნება შეინახოს თავისი სახელდახელო დამცველები, რომლებიც ათჯერ უფრო ძლიერნი უნდა იყვნენ, ვიდრე დღევანდელი ჯარია. მაშ რალა იქნება გამოცვლილი? არაფერი. და რაკი აგრეა, ნუ თუ არა სჯობია, ხელიც არ გავანძრიოთ იმ ცვლილების მოსახდენად, რასაც განიარაღებას ვეძახით?

მაგრამ თუ საზოგადოებამ გაითვალისწინა მომავლის დამარცხების აუცილებლობა და ამიტომ საჭიროდ დაინახა პროლეტარების მიმართ დათმობის გზით წავიდეს; თუ ის დასთანხმდა თავისი ორგანიზაცია შესცვალოს თანახმად იმ იდეებისა, რომლებსაც აქამდე გაურბოდა და ხშირად სდევნიდა კიდეც, — უმჯობესი არ იქნებოდა ამ საზოგადოებას იქიდან დაეწყო, რომ ეს იდეები ყოველმხრივათ დაპრაქტიკულის თვალსაზრისით გაესინჯა, ნაწილობრივად განეხორციელებინა კიდეც და ფართედ და რადიკალურად შეეცვალა თავისი დრომოჭმული ორგანიზაცია, და არ დაეწყო ცალ-ცალკე განიარაღება, რომლის განხორციელება, თუ მხედველობაში მიეიღებთ ქვე

ბით, რომ კაპიტალისა და ეკონომიკის ქონების დიდი სავსებაა აქ. გარდა ამისა, პოლიტიკურმა თავისუფლებამ, ევროპიის ისტორიულის ცხოვრების ამ მთავარშა საფუძველმა, ხალხს შეაძლებინა აქტიური მონაწილეობა მიეღო კანონების დაწესებაში და ამ ხალხს სერიოზული საბუთი არა აქვს მოსპოს ან დაარღვიოს ის, რის დაარსებასაც თვითონვე შეუწყო ხელი.

[2]) ეს სტრიქონები მუშების დღევანდელს მოძრაობას არ ეხება. მიუხედავად ზოგიერთ სახალხო ორატორის ლაპარაკის სიცხარისა, მუშების მოძრაობა სრულიგით მშვიდობიანია. მაგრამ არსებითად მაინც არსებობს მისწრაფება — თანამედროვე პირობები საზოგადოებისა ასე თუ ისე რადიკალურად გამოიცვალოს, და ძნელი იქნება იმისი თქმა, როდემდის გაგრძელდება ეს მისწრაფება იმ მდგომარეობაში, რომელიც გვიჩვენებს საზოგადოების ბაჭირებასა და უბედურებას. საზოგადოების უმრავლესობა თუმცა მუშათა მოძრაობის გარეშეა, მაგრამ ჩვენის დროის სოციალური ორგანიზაცია მაინცა სძულს და ამ მის სიძულვილს არა აკლდება რა. საერთოდ თანამედროვე აზროვნობის მოძრაობის შესახებ, როგორც ნაკლებად განვითარებულის მასების მოძრაობის შესახებ, ის ითქმის, რომ ვიცით, სად იწყება ეს მოძრაობა, ძნელად შეუძლებელია გავითვალისწინოთ, სად გაჩერდება ხსენებული მოძრაობა.

ყნის არსებულ მდგომარეობას, მეტად განუხორციელებელი და საშიში იქნებოდა.

X

ისეთია ჩვენის სოციალურ ორგანიზაციისა და, საზოგადოთ ყველა დრომოჭმულ დაწესებულებათა, ბედი, რომ როგორც კი ხელს ვახლებთ მისს რომელსამე ნაწილს, მაშინათვე შევარყევთ მთელს შენობას და წვიმასებ ყველა მხრით წამოსული ნამსხვრევები იმას ჰმოწმობენ, რომ ჩირჩილი ძალიან შესჯდომია და ძლიერ გამოუხრავს მთელი შენობა. ასეთი დღე ძველს სახლებს დაადგებათ ხოლმე. საჭირო არ არის უფრო განვაგრძოთ შედარება და მხოლოდ შევნიშნოთ, რომ განიარაღების საკითხი, შემსუბუქება ჩვენის საფინანსო მდგომარეობისა, საკითხი მუშათა და ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებისა, აგრეთვე საშველად ხელის გაწვდენა მიწადმოქმედებისა და წარმოებისათვის, სასამართლოს, სავაჭრო, საადმინისტრაციო რეფორმების საკითხი, საკითხი საერთაშორისო ურთიერთობისა, საზოგადოების სხვადასხვა კლასთა ურთიერთშორის განწყობილებისა, და, დასასრულ, საკითხები წმინდა პოლიტიკური (საპარლამენტო ინიციატივა, პრესის თავისუფლება, ასოციაციათა და საჯარო კრებების თავისუფლება)—ყოველსავე იმას მივჰყევართ პირდაპირი გზით და მიუხვევ-მოუხვევლად იმ მეჯდრო და ურყევ სოლიდარობისაკენ, რომელიც აკავშირებს სოციალურ ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილებს თვით სხეულთან და რომელიც მოითხოვს გულმოდგინე და რადიკალურ წამლობას „ავადმყოფ ადამიანისას“ და არა რაღაც დროებით შვების მომცემს ანბებს, რომელთაც, სულ ბევრი, ის ღა შესძლონ, რომ პირი გარეგნულად მოუშუშონ ავადმყოფობას, რომელსაც მაგრადა აქვს ფესვი გადგმული სოციალურ სხეულის ყოველ ფიბრში.

ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად სამი რამაა საჭირო: ყოველთ უწინარეს ცოტ-ცოტათი გამოვუძებნოთ საქმე იმათ, ვინც უმუშავრად დარჩებიან განიარაღებისა და მისის დაუყოვნებელის შედეგებისა გამო. ხოლო ეს ორი სიტყვა—„საქმის გამოძებნა“ თანამედროვე საზოგადოების თითქმის სრულს რეორგანიზაციას უდრის. ამას 1848 წელს „შრომის უფლებას“ ეძახდენ: საზოგადოება ვალდებული იყო მოეწყო აუარებელი სხვადასხვა სარეწავები, რომლებიც იმდენად მომგებიანნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ თავიანთის შემოსავლით მათზე გაწეულ ხარჯის დაფარვა შესძლებოდათ. მაგრამ მარტო

გახსნა არა კმარა მრეწველურათ მოწყობილ სახელოსნოებისა: საჭიროა გასაღება დამზადებულ საქონლისა, მომხმარებელთა პოვნა, ერთის სიტყვით, უნდა შეიქმნას მთელი სისტემა გაცვლა-გამოცვლისა, რომელიც შემაკავშირებლად უნდა გახდეს ერთის მხრით წარმოებასა და მეორეს მხრით მოხმარებას შორის.

სრულებით არ გვეკითხება ისა, თუ საზოგადოების (და არა თანამედროვე სახელმწიფოს) ჩარევა მრეწველობის საქმეში კარგია, თუ ცუდი. ამ კითხვის გარჩევა შორს გადაგვაცილებდა ამ დისერტაციის მთავარ საგანს და მისს საზღვრებს. მაგრამ სოციალურ საქმეებში ჩარევის მოწინააღმდეგენი და მსგავსადვე მისნი მომხრენი ვალდებულნი არიან ერთხმად აღიარონ, რომ სოციალურ დაცვის ინტერესი—საზოგადოების ყველა ინტერესზე უძლიერესი—მოითხოვს იმპერატიულად ამ ჩარევას იმ შეშთხვევაში, თუ საერთო განიარაღება მოხდა. იმათ, ვინც ჩაურევლობის აბსტრაკტულ პრინციპს საზოგადოების მატერიალურსა და ამასთან მორალურ ინტერესებზე მაღლა აყენებენ, ძალაუნებურად უნდა დასკვნან, რომ ამ ჩარევის ასაცილებლად საზოგადოება სრულებით არ უნდა შეეხოს განიარაღების საკითხს. აქ ოცნების დაწყება და ყოყმანი—განგებ თვალის დაბრმავება იქნებოდა. სხვა გზა არ არის,—ორში ერთი უნდა ავირჩიოთ: ან ხელი არ ვახლოთ არსებულ ორგანიზაციას, მთელს მის ნაკლსა და ყოველგვარ ტვირთსა, ან და, ყოველივე გარდავქმნათ თავიდან ბოლომდე და მივმართოთ იმ პრინციპებს, რომლებიც დღემდე სისტემატურად დავიწყებული ჰქონდათ. ყველას უფლება აქვს თავის საკუთარი აზრი იქონიოს, მხოლოდ ამ ორ მოსაზრებას შორის ერთ-ერთი უნდა აირჩიოს, ერთ-ერთი უნდა აღიაროს.

თუ ვინიცობაა მეორე მოსაზრება იქნა არჩეული, საზოგადოებამ, როგორც ზევითა გვქონდა ნათქვამი, უნდა მოაწყოს ერთი სისტემა წარმოებისა და მეორე სისტემა—გაცვლა-გამოცვლისა. საერთოდ, ამ ორ სისტემის შესახებ ბევრი უწერიათ, ასე რომ საჭიროდ არა ვსთვლით აქ უფრო ვრცლად ვილაპარაკოთ მათს შესახებ. ამგვარად, რჩება შესასრულებლად მეორე ნაწილი ამოცანისა, რომელიც უნდა დღეს-დღეობით ჩვენმა საზოგადოებამ აღასრულოს: დაურიგოს მწარმოებელთ თავიანთი წილი შექმნილ სიმდიდრისა.

მომხმარებელი საზოგადოებანი შვეიცარიისა, გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისისა ცხადლივ და უდავოდ გვიჩვენებენ ამგვარ მოხმარების ხელსაყრელობას. როცა საჭირო შეიქმნება იმისთვის ზრუნვა, თუ როგორ გაუჩინონ საშუალება არსებობისა მილიონ მუშებს და უსაქმურად დარჩენილ ჯარისკაცებს, ამ დროს საზო-

გადოებამ უნდა იფიქროს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მომხმარებელ საზოგადოებათა მაგალითი[1]).

მისივე ინტერესი მოითხოვს, ამ საზოგადოებიდან გარიყულთ უშოვოს ბინები ისეთივე, როგორები

აუზსა და როჩდეილში [1]), მიაწოდოს ბითუმად აუცილებელი სანოვაგე და შეეცადოს მომჭირნეობა შეჰქმნას თუ ერთად, კომუნებად ცხოვრებით არა, ასოციაციის, საამხანაგოს საშუალებით მაინც. ეს სოციალურის ხასიათის საქმე პირველის შეხედვით თითქო ნაკლების მნიშვნელობისაო, მაგრამ ასასრულებლად საკმაოდ ძნელი ასასრულებელი გახლავსთ.

სხვათა შორის ეს რეფორმა ერთი იმ აუცილებელ რეფორმათაგანია, რომელმაც უნდა შეანელოს განუსაზღვრელ კონკურენციის სიმწვავე. მართლაც-და, პოლიტიკურ ეკონომიის კანონის თანახმად, მუშა—საქონლის შემქნელი, რომელიც წელში გაწყვეტილია რეალურ ცხოვრების სიმძიმის ქვეშ, ნაკლებ ხელფასსა სჯერდება, ოლონდ თავის მუშაობით იმდენი იშოვოს, რომ იმით შეიძინოს, რაც არსებობისათვის აუცილებლად სჭირია. ფაბრიკანტის, მოიჯარადრის, სახელოსნოს უფროსის პატიოსნებას თავისდღეში არ შეუძლია უშველოს მუშის გაჭირვებას: თუ კი სადმე თუნდაც ერთი ფაბრიკანტი იარსებებს, ეს ფაბრიკანტი ისარგებლებს მუშათა გაჭირვებულ ყოფით და მეტათ დაბალ ხელფასს მისცემს და ამ გზით დასწევს თავის გაკეთებულ საქონლის ფასს; სხვა ფაბრიკანტები ამას რომ დაინახავენ, იძულებულნი იქნებიან მას მიჰბაძონ, თანამოძმის კონკურენციას ველარ გაუძლებენ და საქმეზე ხელი უნდა აიღონ. მუშებს, რასაც შეაძლევენ, ყველაფერზე თანახმა არიან, ოლონდ როგორმე ორიოდ სუ აიღონ, რაც აუცილებელი იქნება იმისათვის, რომ როგორც თვითონ, ისე მათი ცოლ-შვილი შიმშილით არ გაწყდენ.

ყოველთვის, როცა კი საერთო მდგომარეობა ბაზრისა სამრეწველო დაწესებულებათაგან საქონლის საჩქარო მოწოდებას არა თხოულობს, მუშები ამ კონკურენციის კანონის მსხვერპლნი ხდებიან. ცოტ-ცოტათი ესენი ძაღლუმადურ ცხოვრებას იწყებენ, ე. ი. იმდენს ღებულობენ, რომ ძლივს აკმაყოფილებენ ადამიანის ბუნების აუცილებელ მოთხოვნილებას და აღარც დრო აქვსთ და აღარც საშუალება იფიქრონ ხოლმე სწავლა-განათლებისა ან სიცოცხლის სრულიად კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ყოველი საშუალება, რომელიც მუშებმა სცადეს იმისთვის, რომ თავი დაეღწიათ კონკურენციის შედეგებისთვის, ამაო და დამღუ-

[1]) ბ. დამეტმა (Dametli), ყენეგის აკადემიაში პოლიტიკურ ეკონომიის პროფესორმა, 1867 წ. ლექციები წაიკითხა ამგვარ სახელების ხელსაყრელობის შესახებ. დამეტი ამას არ დასჯერდა: ის მონაწილეობას ღებულობდა, როგორც დამარსებელი წევრი, Association coopèrative inimobilière-ში (უძრავ ქონებათა კოოპერატიულ ასოციაციისა), რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ამგვარივე პატარ-პატარა სახლები ეაშენებინა ხელმოკლე ხალხისათვის.

პველი შეიქმნა მათთვისვე და აგრეთვე მრეწველობისათვისაც, რომელიც, რაც უნდა ვილაპარაკოთ, ამ მუშაობისათვის უფრო აუცილებელია, ვიდრე მეფაბრიკეთათვის. გაფიცვა რომ უებარი წამალი არ გახლავთ, დღეს ეს თითქმის ყველამ იცის; ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათ მუშების დახმარება ნაწილობრივათ თუ შეუძლიათ ისიც მაშინ, ოდეს მუშების მცირე ნაწილია მისაშველებელი და იმ პირობითაც, რომ ამ მუშათა გაჭირვებამ დიდხანს არ გასტანოს. თვით მომხმარებელ საზოგაჯოებათაც ამ შემთხვევაში თითქმის არაფრის გაკეთება შეუძლიათ იმიტომ, რომ ესენი მხოლოთ იმ პირობებში იარსებებენ, თუ მათი წევრები ამათთვის მიწოდებულ საგნებისთვის ხელად და ნაღდად გაუსწორდებიან. მხოლოდ საამხანაგო ცხოვრებას, მკვიდრათ მოწყობილს და ყოველგვარ საქონლით ხელგამართულს, საწარმოვო კოოპერაციასთან შეერთებულს, შეუძლია მუშები კონკურენციის კლანჭებისაგან გაათავისუფლოს იმით, რომ იაფად და ხშირად ნისიადაც მიაწოდებს ყველაფერს, რაც მუშისათვის აუცილებლად საჭირო იქნება; ამავე საამხანაგო ცხოვრების წყალობით, იმ ცხოვრების, რომელიც ერთსა და იმავე დროს საწარმოვოც იქნება და მომხმარებელიც, მუშას შეეძლება თავის დროზე გამოიყენოს სათადარიგო თანხა.

სხვა მოსაზრებაც იმის სასარგებლოდ, რომ საზოგადოებამ დიდი აქტიური როლი უნდა ითამაშოს კრიზისის შენელებაში, გახლავთ ისა, რომ საჭირო იქნება ცოტათი გასტეხონ სიკერპე იმათი, ვინც თავიანთს თავს საზოგადოების „უკანონო შვილებადა" სთელიან. კაცი იძულებულია სხვას მიესიყვარულოს ხოლმე, როცა სხვა მეტი გზა არა აქვს, და საზოგადოებაც სწორეთ ასეთს დღეში იქნება. უნდა თუ არ უნდა, საზოგადოებამ ანგარიში უნდა გაუწიოს აუარებელ მოთხოვნას იმ ხალხისას, რომელიც შეეჩვია საზოგადოება დედინაცვლად მიიჩნიოს ხოლმე. ხოლო ამ ხალხის მოთხოვნანი იმნაირადვე და იმავე ზომით შეიძლება იქმნენ დაკმაყოფილებულნი, როგორც მოთხოვნანი მუშებისა და განთავისუფლებულ ჯარისკაცებისა: ესენი უნდა ჩასთვალონ როგორც მწარმოებლებად და ამავე დროს მომხმარებლებადაც და უნდა მოუპოვონ არამცთუ საზრდო, არამედ შესაფერი საქმეც, თავიანთის ნიჭისა და ძალღონის-და კვალად, რაიცა—მადლობა ღმერთს—ყოველთვის მოეძევათ ადამიანებს, ვინც მაინცა და მაინც ბევრს არ გამოეკიდებიან ხოლმე.

ეს საზრუნავი ძალიან დაამძიმებს საზოგადოებას, მაგრამ რას იზამთ, მისთვის კი აუცილებელი იქნება; რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა იკისროს, თუ არ უნდა სავსებით მოეღოს ბოლო და დაიღუ-

ბოს. თუ საზოგადოებას სწადია არა მარტო შიმშილით სიკვდილისაგან იხსნას თავისი წევრები, არამედ გაიჩინოს შეგნებული დამხმარენი, ამოიყენოს გვერდით ისეთი, ვინც საზოგადოების ინტერესს პირად ბედნიერებაზე მაღლა აყენებენ და ვისაც შეუძლიათ თავისი პირადი ინტერესები ანაცვალონ საერთო კეთილდღეობას, საზოგადოება უფრო შორს უნდა წავიდეს. ამ ნიადაგზე საზოგადოებას ათასი სხვა საქმე ეჭნება გასაკეთებელი, მაგალ., დანაწილება ქონებისა, ცვა-ფარვა ნიჭიერ და საქმის კეთების შნოს პატრონ წევრთა, ხელის შეწყობა ნასწავლ ხალხისა და სხ., და სხ. მაგრამ ყოველივე ეს სრულებით არ შეეხება იმ საგანს, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა მხოლოდ აღგვენიშნა, რომ მომავლის საზოგადოებას დასჭირდება მეტად გამოწრთობილი ხასიათის ადამიანები, ისეთები, ვისაც შეუძლია გულწრფელად თავისი თავი საერთო კეთილდღეობისთვის დასდვას; ხოლო ასეთ ადამიანთ ყველგან კი ვერ იშოვით: უნდა აღზარდოთ, რაიცა არც ისე ადვილია, განსაკუთრებით ჩვენს ესდენ დავრდომილ და დაჩაჩანაკებულ საზოგადოებაში.

XI

ამის შემდეგ, საჭიროდა ვსთვლით მკითხველს მოვახსენოთ, რომ საგანი ამ დისერტაციისა, რომელიც მას გავაცანით, სრულებითაც ის არ არის, რომ დავამტკიცო უსარგებლობა ან შეუძლებლობა საერთო განიარაღებისა. ასეთ აზრზე ძალიან შორს გახლავართ. ეს ისეთი რეფორმა გახლავსთ, რომლის გადაუდებლობა საყოველთაოდ აღიარებულია და ამ სტრიქონების ავტორიც საერთოდ ამ გადაუდებლობის მომხრეა. წინამდებარე ნაწერის დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ ცალად ჰყოს ერთის შეხედვით უჩინარი კავშირი, რომელიც განიარაღების საკითხს აკავშირებს თანამედროვე საზოგადოების რადიკალურ რეორგანიზაციასთან. ავტორს სურდა—გამოეაშკარავებინა საჭიროება ერთსა და იმავე დროს ამ ორ საკითხის გადაწყვეტისა და დაენახვებინა, რომ ერთის გადაწყვეტა შეუძლებელია ისე, რომ არ წამოიჭრას უძლეველი დაბრკოლებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ამ საკითხის მეორე ნაწილისაგან, დღეს ჩვენს საზოგადოებას მძიმე ტვირთად რომ დასწოლია კისერზე.

საერთო განიარაღებისაგან მოსალოდნელი სიკეთე ესდენ აღურაცხელია და შეუძლია იმდენი ბედნიერება მოგვანიჭოს, რომ ადრე იქნება თუ გვიან, უნდა გადავსწყვიტოთ: ვსძლიოთ ყოველგვარი და-

გრკოლება, რომელიც წინ გადაეღობება რეორგანიზაციის განხორციელების საქმეს. ინდუსტრია რაკი განთავისუფლდება მილიტარულ რეჟიმისა და ამ რეჟიმისაგან წარმოშობილ სოციალურ უხამსობათაგან, ერთბაშად ფრთას გაშლის და მთელს კაცობრიობას აღავსებს უხვებითა და ბედნიერებითა. მაგრამ ამ განვითარებისათვის პირველი პირობა იქნება შემდეგი: უნდა ავიცილოთ თავიდან ან, ცოტათიც არის, შევანელოთ ის კრიზისი, რომელიც თავს წამოჰყოფს და რომელიც სათავეშივე სულ ადვილად მოშხამავს განიარაღების სარგებლობა უპირატესობას. ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ და მივეშველნეთ ინდუსტრიას გაჭირვებაში, რომელშიაც ჩავარდება განიარაღებისაგან, და შევუმსუბუქოთ პირველ სიძნელეთა ტვირთი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისს განვითარებას.

როგორც ყველამ იცის, მუდმივი ჯარი ნამდვილი უბედურობაა სოციალურ ორგანიზმისა იმით, რომ ზოგს აუარებელ ტვირთს აჭკიდებს და ზოგს კიდევ აუარებელ პრივილეგიებს ანიჭებს. მოწინავე აზრების ხალხმა, ვინც სოციალურ პრობლემების გადაწყვეტასა სცდილობს, უნდა გამონახოს და გადაგვიშალოს პრაქტიკული გზა, რომელსაც შეუძლია საზოგადოება უკეთეს დღეში ჩააყენოს. საეკონომიო მეცნიერება,—რამდენადაც ის დღეს განვითარებულია—სრულებით უძლურია უწინამძღვროს საზოგადოებას და უჩვენოს, თუ რა გზით და საშუალებით დააღწიოს თავი ყველაფრის შთამთქმელს და გამანადგურებელს მუდმივს ჯარს. და აჰა, ამ ნიადაგზე, მუშაობალაა საჭირო. მაგალითად, სამხედრო ბეგრისათვის სხვის დაქირავების აღკრძალვა,—ამის განხორციელება მეტად სასწრაფოა და სამართლიანიც იქნება, რათგან ამით მოისპობა სიმდიდრის ერთი საზიზღარი პრივილეგია, —ძნელი ასასრულებელია და საჭიროა ამ კითხვის ყოველმხრივ განხილვა. იმნაირივე იქნება მოქალაქეთა სახალხო მილიციის მოწყობის საქმე, საქმე იმ დაწესებულებისა, რომელიც კერაა ყოვლად ამაღლებულ პატრიოტულ გრძნობათა, რომელსაც უმაღლეს ხარისხამდე აყავს სახალხო განიარაღება, საზოგადობრიობის გრძნობა, დისციპლინა და სოციალური თანასწორობა და რომელიც სახელმწიფოს სიძლიერეს განამრავლებს, ისევე როგორც განაძლიერებს თვისის წევრების კეთილდღეობის ძალას, ე. ი. არის წყარო საზოგადო და კერძო წარმატებისა. ყოველთ უწინარეს უნდა გავითვალისწინოთ ყველა ეს დაბრკოლებანი, რაც შეიძლება ყოველმხრივ გავშინჯოთ და გამოვნახოთ მათი ცოტათი თუ ბევრათ დასაძლევი წამალი. რა თქმა უნდა, ეს არც ისე ადვილი გახლავთ, რათგან მარტო პრუსიის ყაიდაზე რეორგანიზაცია სამუდამო ჯარი-

სა—შვეიცარიის მილიციაზე რომ არაფერი ვსთქვათ—მოითხოვს დაუსრულებელ კვლევა-ძიებას და პრაქტიკულ მოსაზრებას. ამ შემ-ხვევაში თანამედროვე ეკონომისტების გასაკეთებელი საქმე მით უფრო რთულდება, რომ იძულებულნი იქნებიან გვიჩვენონ, თუ რა საშუალებით შეიძლება ერთსა და იმავე დროს განვითარდეს ჯარის თანდათანი რეორგანიზაცია და კერძო ინიციატივა, აგრეთვე გრძნობა საზოგადოებრივობის, — ეს ძალა აქამდე უყურადღებოდ იყო დატოვებული, მაგრამ მთავარი როლი ამან უნდა ითამაშოს იმ გაჭირვებულ მდგომარეობაში, რომელშიაც საზოგადოება დღეს იმყოფება.

აბა არც ისე გულგრძელი გახლავართ, რომ ვიფიქრო—გარემოება ამ უკვე აღნიშნულ მითითებითა და საშუალებით შეიძლება გამოიცვალოს-მეთქი. ამ მითითებათა ავტორი თავის მოვალეობადა სთვლის ესენი რაც შეიძლება ფრთხილად და თავდაჭერით გამოსთქვას, რომ ამით სხვა გამოიწვიოს დასაწერად ყოველმხრივად გაშუქებულ გამოკვლევისა შესახებ იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს საზოგადოების საერთო მდგომარეობასა და მისსავე წვრილმანებს შორის, რომელთა ნაკლი და სიმახინჯე დღეს ყველასთვის აშკარაა.

ის აზრი, რომელიც ყოველისავე ზემონათქვამისაგან გამომდინარეობს, შეიძლება ასე მოვსჭრათ მოკლედ: შეუძლებელია სერიოზულათ ხელი ვახლოთ სამხედრო ორგანიზაციას, თორემ მაშინათვე შევარყევთ და გადმოვაჰირქვავებთ საძირკველს, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი საზოგადოებრივი შენობა. საზოგადოების კეთილდღეობისათვის სახიფათოა ისე შევუდგეთ განიარაღების საქმეს, თუ წინდა-წინვე ნიადაგი არ მოვამზადეთ სოციალურ ურთიერთობათა რადიკალურ და ხრულ რეორგანიზაციისათვის. მაშასადანე, ყველამ, ვისაც არაფრის გულისათვის უნდა ხელი ახლოს ჩვენი სოციალურ ორგანიზაციის საფუძველს და ვინც თავის თავს მომზადებულად არა ჰგრძნობს ასეთის საქმისთვის, სჯობია თავი დაანებოს განიარაღების საკითხს.

ყოველსავე შემთხვევაში, სოციალური მეცნიერება ათასწილ მოგებული იქნება, თუ როგორც მოშხრენი, ისე მოწინააღმდეგენი საერთო განიარაღებისა ან სოციალურ რეორგანიზაციის> თავიანთ მიერ ხელმოკიდებულ კითხვას დაიცავენ პოზიტივურის ფაქტებით, საბუთებს მოიტანენ წმინდა მეცნიერულსა და პრაქტიკულს, იმოწმებენ ციფრებს, რომელთაც საგნის საბუთიანობა შეუძლიათ ცხადჰყონ. დღემდე კი ესენი სულ ერთსა და იმავე გაცვეთილ აზრებს იმეორებენ, მათი ნათქვამი ცოტათ თუ ბევრათ პათეტურია და

დამყარებულია ჩვენთა წინაპართა სქოლასტურ რეტორიკაზე. დრო არის შევაგნოთ, რომ მეცნიერება და საზოგადოება არა ჰკავს იმ ერთგვარ ხნიერობის ადამიანს, რომელსაც, შეიძლება კაცმა აღუძრას სანტიმენტალური გრძნობები; მით უფრო დრო არის ამისა, რომ მეცნიერება ღარიბია—განსაკუთრებით ამ საგნის შესახებ—დადებითის ფაქტებით და აუცილებელ ცნობებით ამ მძიმე და ნანატრ კითხვის გადასაწყვეტად.

ჩვენი მიზანი იყო: გვეჩვენებინა ამ პრობლემის სიძნელე, გვეჩვენებია ის კავშირი, რომელიც ამ პრობლემას ჩვენის საზოგადოების ძირითად საკითხებთან აკავშირებს, აღგვენიშნა საჭიროება დღევანდელ დღის წესრიგში მდგარ საკითხების და განსაკუთრებით მათი ურთიერთი დამოკიდებულების ყოველმხრივის შესწავლისა. უსამართლობა იქნება კაცმა სსვანაირად გაიგოს ჩემი განზრახვა, რომელმაც მიკარნახა და დამაწერინა წინამდებარე წიგნი.

დამატებანი

ტფილისიდან

ნუ თუ ბოლოს და ბოლოს, თქვენს ჟურნალში არავინ დასძრაფს სიტყვას ტფილისის მცხოვრებთა აღშფოთების ნამდვილი მიზეზის შესახებ? ტფილისის ქუჩებზე ქვაფენილის დაგებისათვის საჭირო გახდა ამ ქუჩების შეკეთება, დასუფთავება და დაგროვილი ტალახის გადატანა. ხარჯაღრიცხვის მიხედვით ამისათვის საჭირო იყო ყოველწლიურად 7.000 მან.; მაგრამ ვინაიდან შეუძლებელი აღმოჩნდა, გუბერნატორისა და ქალაქის თავის აზრით, გაეკეთებიათ რაიმე ეკონომია ქალაქის ხარჯებიდან, გადასწყვიტეს დაებეგრათ ქალაქის მცხოვრებნი ახალი გადასახადებით. ამ გადასახადის სიდიდისა და მათი აკრების წესის შესახებ, რა თქმა უნდა, არ უფიქრიათ ეთათბირათ ქალაქის მცხოვრებლებთან, როგორც ამას მოითხოვდა კეთილგონიერება. ზოგიერთი ფორმალობის დაცვისათვის გუბერნატორმა მიიჩნია საკმარისად და უფრო მოხერხებულად, რომ ამ საქმეში გამოეყენებია მხოლოდ ქალაქის თავი. როცა საქმე გადასახადთა შესახებ, რომელიც ინახებოდა დიდი საიდუმლოების ქვეშ, წარედგინა დიდ მთავარს დასამტკიცებლად, მაშინ ხალხმა, როგორლაც გაიგო რა ამის შესახებ, გაემართენ ჯგუფ-ჯგუფად გუბერნატორთან და სთხოვდენ ეცნობებიათ სიმართლე. მაგრამ გუბერნატორმა დაარწმუნა ისინი, რომ არავითარი ახალი გადასახადების საკითხი არ არსებობს, და რომ საქმე შეეხება მხოლოდ ქალაქის ხარჯების უმჯობესად განაწილებას, რათა გამოიძებნოს ქალაქის სუფთად შენახვისათვის საჭირო 7.000 მან. ხალხი დაწყნარდა. მაგრამ ამავე დროს დამტკიცებულ იქნა ახალი გადასახადები და გუბერნატორმა ქალაქის თავთან და მათ ერთგულ ხარკის ამკრეფთან ერთად, საიდუმლოდ შეადგინეს სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა კატეგორიის სიები და ბლანკები, რომლებითაც აღნიშნული 7.000 მან. აკრების საბაბით განზრახული იყო მოეკრიბათ ხალხისაგან 60.000 მან.[1]) მე დარწმუნებული ვარ,

[1]) მე არ ვამტკიცებ, რომ გუბერნატორსა და ქალაქის თავს უნდოდათ ეს ფულები ჯიბეში ჩაედოთ; ადვილათ შესაძლებელია, რომ ახალი გადასახადებიდან მათ სურდათ შეექმნათ ქალაქის კაპიტალი, ქალაქის სხვა რაიმე საჭიროების შემოხვევისათვის. მაგრამ თუ ეს სამართლიანია, რატომ არ უნდა გაეფოეცხადებიათ ამის შესახებ და რა საჭირო იყო ხალხის მოტყუილება და თქმა იმისი, რომ არავითარი ახალი გადასახადები არაა განზრახული! ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ მოტყუებული ხალხი მათ სწამებს ამ საქმეში ჯამორჩენის განზრახვას.

როგორც თითქმის ყველა ჩემი თანამემამულენი, რომ როცა დიდი მთავარი ამტკიცებდა ახალ გადასახადებს, მხედველობაში ჰქონდა ხარჯების დაფარვა, რაც სჭირდებოდა ქუჩების შეკეთებას და გაწმენდას, მაგრამ რომ უმნიშვნელო თანხის 7.000 მან. მაგიერ აეღოთ 60.000 მან., დიდ მთავარს ფიქრადაც არ მოუვიდოდა და რომ მსგავსი ფინანსიური კომბინაციის მოგონება არის საქმე მხოლოდ გუბერნატორ ორლოვსკისა, ქალაქის თავის შერმაზანოვისა და ხარჯის ამკრებ ბაშბეუკოვისა.

თუ კი გუბერნატორი პირს შეკრავს ქალაქისა და პოლიციის მოხელეებთან განა გაუძნელდებათ, რომ ხალხს გადაახდევინონ ფულები რამდენიც უნდათ? ჩაუყენებენ საბრალო ქალაქის მცხოვრებს ეკზეკუციას და მოსთხოვენ დაუყოვნებლივ გადაიხადოს ფული, რამდენიც საჭიროა დიდი მთავრის ბრძანების თანახმად... ვის გაეგება წესი გადახდევინებისა და გადასახადის სიდიდე და ვისთან შეიძლება ჩივილი? ვინც თავად-აზნაურთა წოდებას არ ეკუთვნის,—ვაჭარს მიბეგვავენ, წაართმევენ რაც მოხვდებათ; საგუბერნიო სამმართველო მომჩივანთ გარეკავს ლანძღვითა და საყვედურებით, რომ ისინი, უსინდისოები არიან, არ უნდათ გაიღონ გადასახადი ქუჩების სუფთად შესანახად, რაც თვით მათი კეთილდღეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს; უმაღლესი მთავრობა, რომელიც გაფრთხილებული იქნება, რომ ხალხი ჟინზეა გამდგარი, არ მოისურვებს მოუსმინოს მათ, რათა გამოაჩინოს თავისი სიმტკიცე და მით აიძულოს პატივისცემით მოეპყრან მათ განკარგულებებს. თუ რომელიმე აღმაშფოთებელ შემთხვევის გამო მოისურვებს დანიშნოს გამოძიება, მაშინ ამისათვის მიუწერს გუბერნატორს, რათა მან გაგზავნოს მოხელე საქმის გამოსარკვევად, რომელიც თავის მხრით დაავალებს თავის ხელქვეითს მოახდინოს სასტიკი გამოძიება, მაგრამ წინასწარ მისცემს საჭირო დარიგებებს, საქმის მსვლელობისათვის; ამ ხანში ფულებს მოკრებენ და ბოლოს მაინც მომჩივნები გამოვლენ დამნაშავეებათ.

შემთხვევა, რომ ენახა გამოსარჩენი ხალხისაგან, უთუოდ, ეალერსებოდა ორლოვსკის წარმოდგენას, მაგრამ რომ ეს გაეკეთებია თავის შეუწუხებლად და თავისთვის ყოველივე უსიამოვნების გარეშე, ალბათ, მას მოეჩვენა კიდევ უმჯობესად; ამიტომ, ჯერ კიდევ დამტკიცებული გადასახადის გამოცხადებამდე, გასცა რა ყოველივე საჭირო განკარგულებანი გადასახადების აკრებისათვის, ის გაემგზავრა შვებულებაში პეტერბურგს. უნდა ვთქვათ, რომ მასზე წინ გაემგზავრენ ტფილისიდან სატახტო ქალაქში დიდი მთავარი მეფის ნაცვალი, სამოქალაქო სამმართველოს უფროსი ბარონ ნიკოლაი და ზოგიერთი

სხვა წარჩინებული პირნი, დატოვეს რა ტფილისში ბრძანება, რომ ყოველ მიზეზს გარეშე აეკრიბათ გადასახადები. ამ ხარკის სახალხოდ გამოცხადებას მაინცდამაინც არ ჩქარობდენ, მაგრამ ხარჯის ამკრებმა ბაშბეუკოვმა უკვე დაიწყო ჩამოვლა სახლებსა და დაწესებულებებში და დაჟინებითა და თავხედურათ მოითხოვდა შეწერილი ხარკის დაუყოვნებლივ გადახდას. ბევრთაგან ხარკი უკვე აკრებილი იყო, რომ უეცრად ხალხი, რომელმაც ველარ აიტანა ამდენი ცარცვა-გლეჯა და მოტყუილება, აღდგა...

ზედმეტად მიმაჩნია დაწვრილებით ავსწერო აქ ტფილისის მცხოვრებთა სისხლის მღვრელი დემონსტრაციები, ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას იმ შეთანხმების შესახებ, რომლითაც თვით მთავრობამ მიჰმართა ხალხს და რომლის საშუალებითაც შეწყდა აჯანყება.

სამოქალაქო ნაწილში მეფის ნაცვლის მოვალეობის აღმასრულებელმა თავადმა ორბელიანმა, როცა დაინახა, რომ ვერც ტფილისში ყოველი მხრიდან ჯარისა და არტილერიის მოგროვება და საზოგადოთ ვერავითარი მუქარა ვერ აშინებდა აჯანყებულ მცხოვრებლებს, გადასწყვიტა თვით მისულიყო მათთან, რათა პირადათ განემარტა მათთვის ახალი გადასახადების აუცილებლობა და საზოგადოთ მამაშვილურად დაეჯერებინა ისინი რომ დაშლილიყვნენ; თავის სიტყვაში ხალხს მან უწოდა „... შვილები“. მაგრამ ხალხი ყველა მისი სიტყვების საპასუხოდ თხოულობდა ერთს: ან მოეხსნათ ახალი გადასახადები, ან მიეცათ ვადა, რათა ხალხს საშუალება ჰქონოდა გაეგზავნათ დეპუტაცია ხელმწიფე იმპერატორთან, თავისი გაჭირვებული მდგომარეობის ასახსნელად. თავადმა ორბელიანმა არ გასცა ბრძანება, რომ ესროლათ ხალხისათვის, ვინაიდან იმედოვნებდა მშვიდობიანი გზით მიაღწევდა უკეთეს შედეგებს. მართლაც, როცა მეორე დღეს დილით ტფილისის ვიცე-გუბერნატორი თავადი ჭავჭავაძე გამოცხადდა ვანქის ტაძარში, სადაც იმ დროს იმყოფებოდენ სახალხო მამასახლისები და გამოუცხადა მათ მთავრობის სახელით, რომ შეუძლიათ იცხოვრონ როგორც ცხოვრობდენ და რომ ახალ გადასახადებს მათ არ მოსთხოვდენ, სანამ არ დაბრუნდება დიდი მთავარი, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ თავიანთი თხოვნით, ხალხი, მამასახლისების ნიშნის მიცემის თანახმად, იმ წამსვე მხიარულად დაიშალა ზურნისა და დიპლიპიტოს [1]) ხმაზე, დუქნები საჩქაროდ გააღეს და ტფილისმა ისევ მიიღო ჩვეულებრივი ხასიათი, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

[1]) ბარაბანის მსგავსი.

მაგრამ როგორ იქნა მიღებული პეტერბურგში ტფილისის მცხოვრებთა აჯანყებისა და ამ აჯანყების დაწყნარების ცნობა? გუბერნატორი ორლოვსკი პეტერბურგიდან ვენის გზით, ტფილისში დაბრუნებისას ვისაც კი გადაეყრებოდა სულ ყველას უამბობდა, რომ მას პეტერბურგში მუნდირი არ გაუხდია, ვინაიდან იძულებული იყო წარსდგომოდა ხან ხელმწიფეს, ხან დიდ მთავარს ამ საქმის გამო სხვადასხვა ახსნა-განმარტების მისაცემად; რომ ბოლოს, თითქოს, ხელმწიფემ მას უბრძანა გადასცეს ტფილისის მცხოვრებთ: „მე არ შეიჩერდები არავითარი მსხვერპლის წინაშე, ქვას ქვაზე არ დავტოვებო“.

გვითხარით ღვთის გულისათვის, რა საჭიროა ასეთი მუქარა? ნუ თუ რაღაც უმნიშვნელო 7.000 მანეთისათვის, რომელიც საჭიროა ტფილისის ქუჩების გასუფთავებისათვის! სად ხედავთ თქვენ მეამბოხეებს? ხალხი, რომელიც უჯერის თქვენს განცხადებას, რომ სახელმწიფოში არსებობს უფლება და კანონი, გთხოვსთ თქვენ კონტროლი გაუწიოთ მათგან აკრებილ ფულებსა და ქალაქის შემოსავალს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ის საკმარისია ქუჩების შესანახადაც და ქალაქის დანარჩენ ხარჯებისათვისაც. თქვენ კი ამისათვის ეძუქრებით დარბევით? ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ისეთი გონიერი ხალხი, როგორიც არიან ტფილისის მცხოვრებნი და საზოგადოთ რომელიც გინდა იყოს ხალხი, უარს იტყვის გადასახადებზე, თუნდაც უკიდურეს გაჭირვებაშიც იყვეს, თუ კი ის დარწმუნებული იქნება, რომ გადასახადები მოხმარდება საერთო საკეთილდღეო საქმეს და ის აკრებილი და დახარჯული იქნება წესიერად. მაგრამ რა საჭიროა აჯანყება? რას გააწყობ თუკი სხვანაირად არ შეიძლება აიძულო, რათა მოგისმინოს ბატონ-პატრონებმა! მაგრამ აჯანყება კი არ არის საშიში მთავრობისათვის, არამედ საშიშია ამ აჯანყებათა გამომწვევი მიზეზები; მონახეთ და მოსპეთ ეს მიზეზები და აღარავინ აღარ აჯანყდება თქვენს წინააღმდეგ.

ტფილისის აჯანყება უფრო ჰგავდა ინგლისურ მიტინგებს: ხალხი ხმამაღლა გამოსთქვამდა თავის აზრს სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა შესახებ. მთავრობამ ეხლა უნდა ისარგებლოს ამით და გაიგოს აჯანყების ნამდვილი მიზეზები. გუბერნატორი არწმუნებს ყველას, რომ ტფილისი აჯანყდა, ვინაიდან არ უნდოდა გადაეხადა 7.000 მან.; უეჭველია ამაში არწმუნებდა ის ხელმწიფესაც, თუ კი მართლა ჰქონდა პატივი მას წარსდგომოდა. დაბოლოს, ბატონებო, გადასახადი ცხენებზე და ძაღლებზე ჯერ არ არის შემოღებული რუსეთში და რად აჩქარდით, რომ ის შემოგეღოთ ტფილისში? და რატომ გიკვირთ,

რომ უბრალო ხალხს არ უნდოდა ის გადაეხადა, როცა მეფისნაცვლის საბჭოს წევრმა ტაინი სოვეტნიკმა ფადეევმა, სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის დირექტორმა ვიტტემ და რამდენიმე სხვა წარჩინებულმა პირებმა ყველაზე უმალ განაცხადეს უარი ამ გადასახადების გადახდაზე იმ მიზეზით, რომ რუსეთის თავად-აზნაურობა თავისუფალია ყოველგვარი გადასახადებისაგანო?

დასასრულ აღვნიშნავ, რომ მიუხედავათ დაპირებისა, რომელიც მისცეს ტფილისის მცხოვრებთ, მთავრობის სახელით, რომ დიდი მთავრის დაბრუნებამდე მათ შეუძლიათ იცხოვრონ როგორც ცხოვრობდენ, ტფილისში უკვე დანიშნულია გამომძიებელი კომისია ადგილობრივი მოხელეებისაგან, რომლის განკარგულებითაც ხდება ბასიური დაჭერები; დაპატიმრებულია, სხვათაშორის, ბევრი მსხვილი ქონების პატრონი საპატიო მოქალაქე, რომელნიც, უთუოდ, არაფერ შუაში არიან. ამის გამო ნაცნობები მეუბნებოდენ, რომ იმ საცოდავებს, დასაშინებლად, რუსეთში გადაასახლებენო; მე კი ვამტკიცებდი, რომ არაფერი ამის მსგავსი არ მოხდება, რომ ისინი მხოლოდ გამოიყიდიან თავიანთ თავს მეთქი. დავუშვათ რომ მე პესიმისტი ვარ, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი შემთხვევის დროს გამოძიების მოსახდენად არ უნდა იქნეს გაგზავნილი მოხელეები რუსეთიდან? ხომ ნათქვამია, რომ ხელი ხელსა ჰბანს და ორივენი პირსაო; ტფილისის მოხელეები მათთვის ასეთ სკანდალურ აჯანყების საქმეში, გაამართლებენ ტფილისის მოხელეებს. მაგრამ დამერწმუნეთ მე, ბატონო მოხელეებო და ტფილისის ქუჩების ტალახიდან გაწმენდისათვის თავგამოდებულნო ადმინისტრატორებო, რომ ეხლა თქვენ თვითონ ჩავარდით ამ აჯანყების გამო ისეთ ტალახში, რომ თქვენი თანამოძმეების ვერავითარი ღონისძიებით უკვე ვეღარ გაიწმინდებით.

დღეს მე გადმომცეს, როგორც ნამდვილი ამბავი, რომ უკვე მიღებულია ტფილისში პეტერბურგიდან დიდი მთავრის ბრძანება, ახალი გადასახადების აუცილებლად გადახდევინების შესახებ, და აგრეთვე, რომ ტფილისის ბევრ დატუსაღებულ მოქალაქეებს ანთავისუფლებენ.

1865 წ.

საქართველოდან

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ (№ 194) ამიერ-კავკასიის მხარის მდგომარეობას წარმოგვიდგენს მეტად სამწუხარო სახით—რა თქმა უნდა რუსულ-კატკოვურ ნაციონალურ პოლიტიკის თვალსაზრისით, და თანაგრძნობით უყურებს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელიც მოწოდებულია ებრძოლოს სამწუხარო მოკლენებს, რომელთაც ამიერ-კავკასიაში აქვთ ადგილი. ყოველი ბოროტების მიზეზს, ამიერ-კავკასიის მხარეში, ისე როგორც რუსეთში, ის მიაწერს რუსულ ნაციონალურ პოლიტიკის სისუსტეს და მამათა შეცდომებს, რომლებმაც არა თუ დაუშვეს, არამედ, როგორც სჩანს, ხელი შეუწყვეს კიდეც სხვადასხვა ადგილობრივ ეროვნებების ნაციონალურ სულისკვეთებათა მოძრაობას; აღნიშნული სტატიიდან გამომდინარეობს მხოლოდ ერთი დასკვნა, რომ ეხლანდელ მთავრობისათვის აუცილებელია იზრუნ-ს რათა შეჩერებულ იქნას ეს მოძრაობა. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს მიერ, მთავრობისათვის, ასეთი როლის რჩევის გამო, მე გამახსენდა ერთი სასაცილო საშუალება ეტლების დამუხრუჭებისა, რომელიც კიდევ არსებობს ინგლისის ზოგიერთ ადგილებში: იქ სახედარი ასრულებს მუხრუჭის როლს, ე. ი. როცა ეტლი მთიდან ძირს ეშვება, ეტლის უკან მიაბამენ სახედარს, რომელიც, თავისი ჩვეულებისამებრ, მიაბჯენს ხოლმე ოთხივე ფეხებს, რომ არ წავიდეს წინ, თუმცა ამით ის ვერ აჩერებს ეტლს, მაგრამ ხელს უშლის მის ჩქარ მსვლელობას.

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ განსაკუთრებით თავს ესხმის კავკასიის ყოფილ მეფის ნაცვალს თავად ვორონცოვს, რომელიც, თითქოს, ყველგან, სადაც კი ის განმგებლობდა, აღვივებდა ადგილობრივ მკვიდრთა შორის მათი რუსებთან შედარებით უპირატესობის სულისკვეთებას; და ასეთი ბრალდების დასამტკიცებლად, აღნიშნული გაზეთი მიუთითებს, რომ ამ თავადმა, თავისი სასახლის ახლოს ალუპკაში, ააშენა შესანიშნავი თათრების მეჩეთი—რის გამოც ყირიმის თათრებმა სიამაყით დაიწყეს ლაპარაკი, რომ ისინი თათრები არიან; და ვინ-ომდა ტფილისში გამოცემულიყოს სომხური ჟურნალი რუსეთის ფულით—რამაც, რაღა თქმა უნდა, აგრეთვე მისცა საბაბი

სომხებსა და ქართველებს ეფიქრათ, რომ ისინი წარმოადგენენ სხვა რომელიღაც, არა რუსულ ეროვნებებს.

უკანასკნელი გარემოების შესახებ, ე. ი. რუსეთის ცულებით სომხური ჟურნალის გამოცემის შესახებ, მე შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" რწმუნება მტკნარი სიცრუეა; და თუ ეს გაზეთი ამაში არ დამეთანხმება, მაშინ მიგვითითოს, როდის, ვისი განკარგულებით და რომელი ხაზინიდან გაიცა აღნიშნული ფულები. და ბოლოს, რაზე უნდა ზრუნავდეს მთავრობა, იმაზე, რომ გაანათლოს თუ იმაზე, რომ დააბნელოს რუსეთთან შემოერთებული ერები. საყვედურები იმაზე, რომ რუსის სახელი ადგილობრივ მკვიდრთა შორის იქცა ცნებათ ყოველივე დამცირებულისა, შეურაცყოფილისა და ცუდისა და ამიტომ მოთხოვნა ადგილობრივ ენათა აღმოფხვრისა,—ნუთუ არ ნიშნავს რუსეთის საშინლად დამცირებას ევროპის თვალში?

სად გაბედავენ ჩვენს საუკუნეში, გარდა რუსეთისა, გამოამჟღავნონ მსგავსი პრინციპები? ავსტრია, რომელსაც თვით რუსეთშიაც ეროვნებათა მშთანთქმელს უწოდებენ, არ ანვითარებდა ადგილობრივ მკვიდრთა შორის გემოვნებას ლიტერატურისადმი და ხელს არ უწყობდა ადგილობრივ ენათა დამუშავებას? თქვენ გადაასახლეთ ჩერქეზები სამშობლო მთებიდან და ეხლა თხოულობთ სხვა ეროვნებათა აღმოფხვრას... როგორ მოსჩანს ყველა ამაში მონღოლური მიდრეკილება, რომელიც ფიქრობს ააგოს თავისი დიდება განადგურებასა და ნანგრევებზე!

რომ არც ერთ რუს მმართებელს არ უთქვამს ქართველებისა და სომხებისათვის, რომ ისინი უკეთესნი არიან რუსებზე—ამაზე, ვფიქრობთ, ფიცი საჭირო არაა. და თუ ამიერ-კავკასიის მხარეში რუსეთმა შეიტანა ეხლანდელი ცივილიზაცია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იქ რუსები უნდა იყვნენ ბატონებათ და ადგილობრივი მკვიდრნი მათ მონებათ. რუსეთის ღირსება, ჩვენთვის ადგილობრივ მკვიდრთათვის, ისევე ძვირფასია, როგორც რუსებისათვის. რაც შეეხება „მოსკ. ვედ." მტკიცებას, რომ პოლონეთის აჯანყების დროს, სომეხი და ქართველი ახალგაზრდობა გამოსთქვამდენ თავის თანაგრძნობას პოლონელებისადმი, უნდა ვთქვათ, რომ ამ თანაგრძნობის წარმოშობა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის გრძნობით. „მოსკ. ვედ." ნება აქვს ჰქონდეს პრეტენზია, რომ რუსეთისადმი შემოერთებულ ერთა შვილები, ვალდებულნი არიან რუსის მთავრობის ყოველი მოქმედება მიიჩნიონ დიად საქმედ; ევმენიდების გუნდი ოდიდანვე იყო ულმობელი, და ამ გუნდს რუსის

მთავრობის მიმართ წარმოადგენენ ადგილობრივი ტომები: ისინი, ბედისწერის წყალობით, ინაწილებენ რა საერთო მდგომარეობას რუსეთთან ერთად, უკვე იმიტომ რომ ისინი არიან სხვა ეროვნებისანი, არ შეიძლება იყვნენ გატაცებულნი იმ ცრუ-პატრიოტიზმით, რომელიც ეგოისტურ გადაგვარებას განიცდის და რომლის ორგანოც არის „მოსკ. ვედ." ამიტომ ისინი, როგორც მიუდგომელი მოწმენი, მოუთმენელია ამ გაზეთისათვის და თხოულობს მათ აბუჩად აგდებას, ან კიდევ, მათ მოსპობას. ასეთი მოთხოვნილება კიდევ შეიძლება შეუთანხმდეს კრიმინალურ ლოგიკას; მაგრამ დანახვა რუსეთისადმი მტრული განწყობილებისა იმ ფაქტში, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, სომეხთაგან, თავიანთ ბავშებს ნაპოლეონი დაარქვეს, ეს ისეთი წვრილმანობაა, ისეთი შარიანობაა და ამჟღავნებს ისეთ შეურიგებლობას ყოველგვარი თავისუფლებისადმი და განსაკუთრებით ოჯახური თავისუფლებისადმი, რომ ამის შემდეგ ეჭვს გარეშეა, რომ „მოსკ. ვედომ." გამომცემელი თავისი ერთგულებით აღმოუჩენს ისეთსავე სამსახურს რუსის ხალხს (რომ მართლა ემუქრებოდეს ამ ხალხს რაიმე საშიშროება), როგორიც აღმოუჩინა მარატმა საფრანგეთის თავისუფლებას. ის ხშირად აცხადებდა, რომ საკმარისია მხოლოდ მარატი საფრანგეთის თავისუფლების გადასარჩენადო. (ეს იმ გვარად უნდა გავიგოთ, რომ მისი წინადადებები ისე საშინელი იყო, რომ ორი მარატის მოსმენას, უთუოდ, ვერ შესძლებდენ). „მოსკ. ვედომოსტი"-ს გამომცემელსაც თავისი მხრით შეუძლია აგრეთვე განაცხადოს, რომ საკმარისია მარტო ის რუსეთის ხალხის ხსნისათვის.

მაგრამ საყურადღებო სიტყვა იმის შესახებ, რომ, ვითომდა, სახელი რუსული შეიქმნა ადგილობრივ მკვიდრთა შორის სინონიმად ყოველივე ცუდისა, დამცირებულისა და შეურაცჰყოფილისა— უკვე წარმოთქმულია „მოსკ. ვედომოსტის" მიერ. ეხლა გავსინჯოთ რამდენად მართალია ეს და საიდან უნდა წარმომდგარიყო ასეთი სათაკილო აზრი. მთავრობა, როცა ის დაეპატრონება ახალ ხალხს, აცნობს ამ ხალხს თავისთავს, პირველად თავისი სამხედრო ძალების გამართულობით და მეორეთ სამართლის წარმოების წესით, ანუ სხვანაირად, სამართლიანი და ჩქარი განსჯისა და გასამართლების წარმოებით. როგორ გამოიჩინა თავი რუსულმა მთავრობამ კავკასიაში?

დაიწყო რა მართვა-გამგებლობა ხალხის, რომელსაც სწყუროდა მშვიდობიანობა და სამართლიანობა, იმ ხალხის, რომელიც იყო სხვა ეროვნების და არ ესმოდა მათი ენა, და შეიძლება ითქვას, იყო

პატრიარქალური, მთავრობამ მას მოახვია თავისი საქმის წარმოების დაუსრულებელი პროცედურა. ადგილობრივი მკვიდრნი, როცა მიდიოდენ სასამართლოში ცნობის მისაღებად და ესმოდათ ერთი და იგივე პასუხი: მოდი ხვალ, იკითხე ხვალ, რაც გრძელდებოდა ხანდახან ათეულ წლობით და ხედავდენ, რომ ახალ მართვა-გამგებლობის დროსაც ქართამი ისეთივე ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს სამართლიანობის მისაღწევად, როგორც წინად, იმედი გაუცრუვდათ თავიანთ ოცნებაზე ადგილობრივებთან შედარებით, რუსების მორალურ უპირატესობის შესახებ და სიტყვა „ზავტრა" გადააქციეს ქართულ პოპულიარულ სიტყვად, რომლითაც დაცინვით გამოსთქვამენ დაპირებას, რომლის სისრულეში მოყვანას არ ფიქრობენ. ამრიგად, მთავრობამ ძლიერ ცოტა გააკეთა სამართლის წარმოებას საქმის გასაუმჯობესებლად, ყოველ შემთხვევაში მისი პრაქტიკაში გამოყენებისათვის, ამასთან ერთად ზედმიწევნით გაამაგრა გლეხობის მებატონეებთან დამაკავშირებელი ჯაჭვი, ე. ი. ამით გაადიდა უსამართლობანი.

სამხედრო ძალა რუსეთისა, ე. ი. არმიის მრავალ-რიცხოვანობა, მისი საშუალებების სიმდიდრე და რუსების შეურყევლობა ბრძოლაში, ყოველთვის იყო ადგილობრივ მკვიდრთა სამართლიანი გაოცების საგანი, ისინი ყოველთვის გრძნობდენ და იგრძნობენ, რომ ამიერ-კავკასიის საქმეებში რუსების სამხედრო ჩარევის წყალობით არის, რომ ეხლა იქ სუფევს მშვიდობიანობა; მაგრამ რუსის ჯარის კაცის ყოფა-ცხოვრება არ შეიძლებოდა მათ არ მოსჩვენებოდათ უუბედურესათ და ჯარის-კაცი არ ჩაეთვალად შეურაცყოფილ და დამცირებულ არსებათ. არც ერთი უგაჭირვებულესი ადგილობრივი მკვიდრი არ მოისურვებდა ყოფილიყო ჯარის კაცი—ყოველ შემთხვევაში ამ რამდენიმე წლის წინად, ე. ი. ჯარისკაცების წკეპლებით დასჯის შემთხვევების განსაზღვრამდე; და ეხლაც საკმარისი იქნება გამოცხადდეს კავკასიაში ახალწვეულთა გაწვევა, რომ იქ მოხდეს მღელვარება.

ასე, რომ, რუსის მთავრობამ ვერ მოხიბლა ადგილობრივი მცხოვრებლები ვერც სამართლიანობით და ვერც თავისი სამხედრო დიდების მიმზიდველობით. ადგილობრივი მკვიდრნი არ ლაპარაკობენ, რომ მონღოლები და სპარსელები სჯობიან რუსებსო, მაგრამ ისინი არ მალავენ, რომ რუსები ვერ სჯობიან ადგილობრივ მკვიდრთ და, რომ ამიტომ არ უნდა მიეცესო კავკასიაში რუსებს უპირატესობა ადგილობრივ მკვიდრთა საზიანოთ. მაგრამ „მოსკ. ვედომ." ამით შეურაცყოფილია, ასეთ პრეტენზიაში ხედავს არასაკმარის პატივის-

ცემას — და რუსებისადმი რაღაცნაირ მძულვარების გამომჟღავნებას. მართლა კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ, სახელდობ, რომ ბევრი რუსი, უთუოდ „მოსკ. ვედომოსტის“ მუდმივი მკითხველები, ამჟღავნებენ, ბავშური სახითაც კი, თავის ფარულ ძძულვარებას ადგილობრივ მკვიდრთადმი. აი ამისი უახლესი მაგალითი: კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე დეისტ. სტატსკ. სოვეტნიკი მაქსიმოვიჩი, ტფილისში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, როცა დასეირნობდა გოლოვინის პროსპეკტზე, სცემდა ქართველებს (რა თქმა უნდა უბრალო წოდებიდან), რომელთაც გადაეყრებოდა და ამავე დროს აგინებდა მათ ქართულად: აი შენ „მამაძაგლა“. მის თანამომძეებს—მოხელეებს გულწრფელად აოცებდათ მისი პატრიოტული გრძნობების ასეთი სიფიცხით გამომჟღავნება; მაგრამ მაინც გამოჩნდა ერთი მათ შორის, რომელმაც აღშფოთებით შენიშნა, რომ ამის მსგავსი გამბედაობის გამოჩენა სრულიად უადგილოა და შეიძლება მას მოჰყვეს უფრო საზიანო, ვინემ კარგი შედეგები. მაგრამ ბ. მაქსიმოვიჩმა უთუოდ არ მიაქცია ყურადღება ასეთ შენიშვნას და ის მოახერხებს, რომ ჯოხის საშუალებით მიიღოს დაჯილდოება.

მაგრამ როდესაც „მოსკ. ვედომოსტი“ ლანძღავდა მთავრობის პოლიციკას ამიერ-კავკასიაში, როგორც სჩანს, უმიზნებდა უმთავრესად, სრულებით სხვა მხრისაკენ, სხვა ხალხს, არა ამიერ-კავკასიისას, ე. ი. პოლონელებს. ეს პოლონელები მოსვენებას არ აძლევენ მას, ან რაც უფრო სწორია, „მოსკ. ვედ.“ უთუოდ ფიცი დასდო არსად არ მისცეს მოსვენება პოლონელებს. და მართლაც, როგორც კი სიტყვა ჩამოვარდება იმათზე, ზემოდ აღნიშნული სტატია „მოსკ. ვედ.“ იქცევა უკვე ნამდვილ დასმენად; პოლონური საეკლესიო კალენდარიც კი, რომელსაც ყოველ წელს ათავსებენ კავკასიის კალენდარში, ამ გაზეთის თვალში წარმოადგენს რაღაც სახიფათო წინასწარ ნიშანს. მაგრამ ცხადია, რომ ეს გაზეთი ორმოებს თხრის, რათა მოხსნილ იქნენ თავიანთ სამსახურის ადგილებიდან პოლონელი მოხელეები, რომელნიც იმყოფებიან ამიერ-კავკასიაში, და მათი ადგილები მიეცესთ რუსებს; ამით, უთუოდ, ფიქრობენ მიაღწიონ ორმაგ მიზანს: ვააძლიერონ რუსული ელემენტი კავკასიაში და განდევნონ იქიდან პოლონელები. სად უნდა წავიდენ ეს საბრალონი? სამშობლოში, პოლონეთში? მაგრამ იმათ, როგორც გვესმის, იქედანაც ერეკებიან.

დაბოლოს იგივე გაზეთი ამბობს, რომ ტფილისის აჯანყება დღეიდან შეიძლება ჩაითვალოს სავსებით დამთავრებულ საქმედ. მაგრამ მის რწმუნებაში ჩვენ შეგვიძლია ჯერ კიდევ ეჭვი შევიტა-

ნოთ, ვინაიდან თვით დიდი მთავრის რესკრიპტიდან, თავად ორბელიანის სახელზე, რომელიც მოთავსებუთი იყო „მოსკ. ვედომოსტის“ № 192-ში, ხალხმა დაუთმო მხოლოდ ძალას; ამასთანავე, რადგან ახალი გადასახადები ჯერ კიდეგ არ მოუკრებიათ, აქედან გამომდინარეობს, რომ არც მთავრობა, და არც ხალხი ჯერ არ არიან დაკმაყოფილებულნი.

მართლა, რამდენიმე სიტყვა ამ რესკრიპტის შესახებ. მიხეილ ნიკოლოზის ძე, მიმართავს რა მასში თავად ორბელიანს, სხვათაშორის, ამბობს: „თქვენ მოგეხსენებათ თუ რა დიდი ყურადღებით ირჩეოდა საკითხი ქალაქის შემოსავალთა გადიდების შესახებ“. მეფის ნაცვალის ასეთმა მიმართვამ თავის თანაშემწისადმი იმ წამსვე მომაგონა ერთი ქართული ანდაზა: მელამ თავისი კუდი იმოწმაო. დიდო მთავარო, ვინ გატანთ ძალას, რომ თავი იმართლოთ?.. ისარგებლეთ მხოლოდ წარსული აჯანყების გაკვეთილით და მიმართეთ თქვენი გონება არა იქითკენ, რომ მოჰსრათ ხალხი, არამედ რომ ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ მის კეთილდღეობას და მაშინ, მერწმუნეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ მოიპოვოთ თანაგრძნობა საზოგადოებრივი აზრისა, თქვენი რესკრიპტის ყოველივე გასამართლებელი სოფიზმების გარეშეც. ნაკლები პოლიტიკა და მეტი გული—აი დევიზი, რომელსაც კარგი იქნებოდა, რომ მიჰყოლოდით ხალხის მართველობის საქმეში, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ხალხის. ეხლა ყველგან, ჩვეულებრივ სიკვდილის შვილთა შორისაც კი, ფულისათვის ჩხუბი ითვლება როგორლაც უწესობათ: და შეიძლება ამის შემდეგ—ამდაგვარი უმნიშვნელო რამისთვის ებრძოლო ხალხს და კიდეგ როგორ—სამკვდრო-სასიცოცხლოდ! თვით დაუკვირდით საქმეს და თვალყური ადევნეთ, რომ ხარჯები სწარმოებდეს სწორად, ხალხის სასარგებლოდ, მოიპოვებთ რა ამნაირად კრედიტს, დაინახავთ, რომ ენდობიან თქვენს სიტყვას და თქვენ მოგცემენ ფულებს იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება; თორემ ეხლა აი რა უსიამოვნება გამოდის! არ სჯერათ არც რწმუნება თქვენი რესკრიპტისა, არც სხვა ფორმალური მოთხოვნილებანი, და არც რაიმეს იძლევიან თავიანთი ნებით.

სასაცილოა კიდეგ ის, რომ იმ რესკრიპტში მოხსენებულია ხარკის მომკრები ბაშბეუკოვი, როგორც ა რ ა ა დ ა მ ი ა ნ უ რ ა დ მოკლული. რას ნიშნავს არაადამიანურად მოკლული? რომელი მკვლელობა არის ადამიანური: იქნებ ჩამოხრჩობა ან დახვრეტა პოლონელებისა?

მაგრამ შემდეგი ადგილი რესკრიპტისა უკვე აიძულებს კაცს გაწითლდეს დიდი მთავრის მაგიერ: „თუ ტფილისის მცხოვრებთ არა ჰსურთ დაჰკარგონ მონარქის ყურადღება, ამბობს დიდი მთავარი, უნდა გაამყლავნონ წარსულ უწესოებათა დამნაშავენი და გაუწიონ დახმარება ხელისუფლებას მათ დევნასა და გამოააშკარავებაში“... განა ეს კეთილშობილურია? და ბოლოს, განა პრაქტიკულია წინადადება მისცეთ მცხოვრებლებს, რომელნიც ტფილისში ითვლებიან 100 ათასამდე, რომ თვით გასცენ თავისი ძმები, დამნაშავენი ისეთ სახალხო აჯანყებაში, რომელიც იყო ამ ქალაქში?.. რით დაიმსახურეს ამ მცხოვრებლებმა ამგვარი მათდამი სიძულვილი!

რედაქტორის შენიშვნები

წარსულიდან

(გვ. 3—34)

I. ტექსტისათვის

ეს მოგონება ნ. ნიკოლაძის უკანასკნელი ნაწარმოებია. იგი დაწერილია 1927 წელს, როდესაც მისი ავტორი საგრძნობლად ავად იყო. იმ ხანებში (1927 წ.) ხშირად მიხდებოდა ნ. ნიკოლაძესთან საუბარი იმ საკითხებზე, რომელიც დაკავშირებული არის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმესთან. ერთი ასეთი შეხვედრის დროს, მე მივეცი წინადადება ნ. ი. ნიკოლაძეს დაეწერა ვრცელი მოგონება თავის წარსულ მოღვაწეობიდან და მასთანვე ვრცლად გაეშუქებია ის საკითხები, რომელიც დღეს ბნელით არის მოცული და რომელთა გაშუქებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საერთოთ ჩვენი გასულ საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კერძოდ ქართული აზროვნების შესწავლის საქმეში. ნ. ნიკოლაძე სიამოვნებით შეეგება ჩემს წინადადებას და დასძინა, რომ მას დიდი ხანია განზრახული ჰქონდა ასეთი ვრცელი მოგონების დაწერა, ოგრამ შესაფერისი დრო ვერ იშოვა.—„მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი ს ა მ ო ც ი ა ნ წ ლ ე ბ ზ ე“—როგორც თვით ნ. ნიკოლაძეც ამბობდა—რუსეთის საზოგადოებისათვის იყო დაწერილი და ამიტომ ავტორი ვერ შეეხო მრავალ საინტერესო საკითხს ქართველ ახალთაობის ცხოვრებიდან 60—70-იან წლებში.

ასეთივე წინადადებით მივმართე მე სახელგამის გამგეობას, რომელიც სიამოვნებით შეეგება ამ წინადადებას და ჩემი თანადასწრებით მოლაპარაკებაც გამართა ნ. ნიკოლაძესთან. უკანასკნელი შეჰპირდა სახელგამის გამგეს თავისი მოგონების რამოდენიმე წიგნად დაწერას და წინასწარ ჰონორარიც მიიღო სახელგამისაგან; ავტორი დარწმუნებული იყო, რომ ყოველ თვეში შესძლებდა გადაეცა სახელგამისათვის 8—9 ფორმა თავისი მოგონებისა. სამწუხაროთ ეს შეუძლებელი შეიქმნა იმ ხანებში: ნ. ნიკოლაძე მძიმედ გახდა ავად და მხოლოდ ძლიერ მცირედი ნაწილის დაწერა მოასწრო. ავტორს

განზრახვა ჰქონდა თავისი მოგონებანი 60-იანი წლებიდან დაეწყო და მოკლედ თავისი გეგმები მეც გამაცნო; იგი ფიქრობდა ვრცლად შეხებოდა 60-იან წლებში ახალი თაობის ინტელიგენციის გამოსვლას, ბატონყმობის მოსპობას ჩვენში, ახალი თაობის ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ, ეკონომიურ განვითარებას რეფორმის შემდეგ და რკინის გზის გაყვანას, მის მოღვაწეობას საზღვარგარეთ და ემიგრაციასთან შეხვედრას, მუშაობას გაზ. „დროება“-სა და ჟურნალ „კრებულში“, ამ ორგანოების მნიშვნელობას, 70-იან წლების ქართველი ინტელიგენციის დახასიათებას და მოღვაწეობას, ქართველი ნაროდნიკების ორგანიზაციასა და მათ დაპატიმრებას, ბანკების დაარსების საქმეს ჩვენში და სხვა მრავალ საკითხებს, რომელთა ჩამოთვლა აქ ძლიერ შორს წაგვიყვანდა. უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ამ მემუარების დაწერით ავტორი მეტად ძვირფას დოკუმენტებს შესძენდა ჩვენს ლიტერატურას და იგი ჩვენი გასული საუკუნის მრავალ საინტერესო მოვლენას ახსნიდა ფარდას. როგორც აღვნიშნეთ, მოგონებების დაწერა ვერ მოასწრო ავტორმა და ეს დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს ჩვენს სამემუარო ლიტერატურაში.

ამავე საუბრის დროს მე ვსთხოვე ავტორს თავის მოგონებანი უფრო შორიდან დაეწყო და 60-იანი წლების წინა პერიოდიც გაეშუქებია. ამ საუბრის შედეგი არის ამ ტომში პირველად გამოქვეყნებული დაუმთავრებელი ნაწყვეტი „წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ“.

მოგონება ავტორს პირდაპირ რემინიტონზე უბეჭდია და შემდეგ შეუტანია ხელით 'მესწორებანი. დაბეჭდილი გვერდებიდან შემდეგ დანომვრის დროს ავტორს რამდენიმე გვერდი გამოუტოვებია. ჩვენ საჭიროთ დავინახეთ ეს ადგილებიც აღგვედგინა და თავის შესაფერისს ადგილებში შეგვეტანა. ასეთი ახლად აღდგენილი ადგილებია:

1. 21 გვერდზე აბზაცით: „ჯერ ბაბუა ჩემმა და მის შემდეგ მამა-ჩემმა“ . . . წინადადებამდე: „პლანი რასაკვირველია გაგარინს დაახატვინა“.

2. 22—23 გვ. აბზაცით: „როცა მამა-ჩემმა ქვიტკირის სახლი“. . . ამ თავის ბოლომდე.

3. მოგონების დასასრული 31—34 გვ. აბზაცით: „ყირიმის ომის გათავების შემდეგ“... ბოლომდე.

სხვა მხრივ ტექსტი სრულიად უცვლელად და ავტორის მართლწერის დაცვით იბეჭდება.

II. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 3) **ი მ ე რ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო გ ა ა უ ქ მ ე ს** 1810 წლის თებერვალში. ახალციხეში გაქცეული მეფე სოლომონ II იმავე წლის ივნისში მცირეოდენი ოსმალთა რაზმით კვლავ შეიჭრა იმერეთში და ახალი ომი გამოუცხადა რუსებს. მთელი იმერეთი აჯანყდა და მეფეს მიემხრო. რუსებმა, გენერალ სვიმონოვიჩის მეთაურობით, გზები შეკრეს და შეებრძოლენ მეფეს. ამ ბრძოლების დროს დაიღუპა ქაიხოსრო აბაშიძე, სოლომონ მეფის ერთ-ერთი ჯარის ნაწილის მეთაური თავისი სამი შვილით: როსტომით, გიორგითა და სიმონით. ამ ბრძოლაში უკანასკნელად დამარცხდა სოლომონ II და იგი იძულებული შეიქმნა ტრაპეზუნდს გაქცეულიყო თავისი ახლობელი თავადაზნაურობით, სადაც იგი გარდაიცვალა 1815 წ. ქაიხოსრო აბაშიძის შვილი ი ვ ა ნ ე მეთაურობდა იმ აჯანყებას, რომელიც დასაღლეთ საქართველოში დაიწყო 1819—20 წლებში საეკლესიო რეფორმის ნიადაგზე და რომელმაც შემდეგ მწვავე სოციალ-პოლიტიკური ხასიათი მიიღო. დამარცხების შემდეგ ივანე აბაშიძე ოსმალეთში გაიქცა, ხოლო აჯანყებაში მონაწილე თავადები ციმბირში იქნენ გაგზავნილი და მათი გლეხობა ჩაირიცხა სახაზინოდ. ჩვენს ხელთ არის ამ ჟამად ამ აბაშიძეების ყმებისა და შემოსაკლის ვრცელი აღწერა, საიდანაც ჩვენ ვტყობილობთ, თუ რას იხდიდა თვითეული კომლი ყმა თავისი ბ ა ტ ო ნ ი — ა ბ ა შ ი ძ ი ს სასარგებლოთ.

2. (გვ. 4) როგორც ცნობილია, მე-18-ე საუკუნის დიდი პოეტი **ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი** (1751—91)—ბესიკის სახელწოდებით ცნობილი, 70-იან წლების მიწურულებში გაიქცა იმერეთში, ქუთაისში შეაფარა თავი სოლომონ მეფის კარზე, სადაც იგი დიპლომატიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. აქვე მოღვაწეობდა მისი მამა ზ ა ქ ა რ ი ა, მე-18-ე საუკუნის მოღვაწე და მწიგნობარი, რომელიც ანტონ კათალიკოზის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (1762) იძულებული იყო ტფილისიდან იმერეთს გაქცეულიყო. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, ბესიკი მეფე დავითის მდივნათ ითვლებოდა.

3. (გვ. 7) **1875-6 წ ლ ე ბ შ ი ს ვ ა ნ ე თ შ ი გ ლ ე ხ თ ა დ ი დ ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ს ჰ ქ ო ნ დ ა ა დ გ ი ლ ი.** ეს აჯანყება არსებითად გამოხატავდა იმ ღრმა უკმაყოფილებას, რომელსაც განიცდიდენ ქართველი გლეხები, რეფორმის შემდეგს პერიოდში სხვადასხვა გადასახადების ნიადაგზე. აჯანყების ცენტრად გადაიქცა სოფ. ჭალდეთ. კ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე პრისტავათ იყო სვანეთში და მოჰკლეს 1876 წლ. აჯანყებულმა სვანებმა ლეჩხუმის მაზრის უფროსს გრინევსკის-

თან ერთად. ცნობები ამ აჯანყების შესახებ მოთავსებულია გაზეთ „კავკაზ“-ში, „ტფილისის უწყება“-ში და „დროება“-ში. (იხ. „დროება“ № 85, 87, 93, 1876 წ. იხ. აგრეთვე ცენტრარქივში: „Дело военного суда 1876-77 г.г.“ და თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი ს (ბ. ნიჟარაძის) მოგონებანი: „სვანების აღელვება 1875-76 წ.“ გაზეთი „ი ვ ე რ ი ა“ № 129, 130, 131, 132, 137, 141, 1892 წ.).

4. (გვ. 7) **გ. ზ დ ა ნ ო ვ ი ჩ ი მ ა ი ა შ ვ ი ლ ი** (1855—1917 წ.)—ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი. 70-იან წლებში იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში. 1875 წ. დასაწყისში ჯაბადართან, ჩიკოიძესთან და სხვებთან ერთად შეადგინა ჯგუფი—„Всероссийская Социально-революционная Организация“-ს სახელწოდებით, რომელშიაც მეთაურ როლს თამაშობდა. 1875 წელსვე დააპატიმრეს და გასამართლეს „50-ის პ რ ო ც ე ს თ ა ნ“ ერთად. სენატმა აყარა ყოველგვარი უფლება და მიუსაჯა საკატორღო მუშაობა 6 წლითა და 8 თვით. საქართველოში დაბრუნდა 1889 წ. პირველი პუბლიცისტური წერილი მოათავსა „ივერია“-ში 1892 წ. დაბრუნების შემდეგ თანამშრომლობდა ერთხანს „ივერია“-ში 1889—91 წ., „Новое Обозрение“-ში და ჟურნალ „მოამბე“-ში. 1900-იან წლებიდან ითვლებოდა სოც.-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ ლიდერად. 90 იან წლებში არჩეული იყო ჭიათურის მარგანეცის საზოგადოების დირექტორად. ბოლო ხანებში ნ. ნიკოლაძე მეტად ცხარე კამათს აწარმოებდა მის წინააღმდეგ ჭიათურის მარგანეცისა და სხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების გარშემი (იხ. ნ. ნიკოლაძის წიგნები: „Полукопеечный сбор“ (1908 წ.) „Марганцевое самоуправление“ 1910 წ. და „Социал-дворянская борьба“ გაზ. „Закавказье“ № 64—6, 1910 წ.).

5. (გვ. 12) **პ. ჩ ა რ ე ქ ო ვ ი** შემდეგში მონაწილეობას ღებულობდა ჟურნალ „ცისკარში“ და გაზეთ „დროება“-ში. უკანასკნელში იგი სწერდა უმრავლესად ახალი სასამართლოს რეფორმების შესახებ, წერილები ლიბერალური შინაარსისაა.

6. (გვ. 12) **მ. ს. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი** მეფის მოადგილეთ იყო ამიერ-კავკასიაში 1845—54 წლებში, მისი მოღვაწეობა ლიბერალიზმის ხანად ითვლება ჩვენში. მან ხელი შეუწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ა/კავკასიაში, დაარსა „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“—სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის, დაიახლოვა თავად-აზნაურობა, დაუარსა მათ „პრიკაზი“, (ბანკი) ხელი შეუწყო კულტურულ აღორძინებას ჩვენში თეატრისა და ჟურნალის („ცის-

კარის") დაარსებით. თავისი პოლიტიკით და სამოღვაწეო პროგრამით ვორონცოვი რუსეთის სავაჭრო კაპიტალის ინტერესებს გამოხატავდა ა-კავკასიაში. მთელი მისი პოლიტიკა იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ ნშვიდობიანობა დაემყარებია ამიერ-კავკასიაში და რუსეთის კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტთ გადაექცია იგი.

7. (გვ. 15) **გ. ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი**—ქოჩაკიძე (1848-98)—პოეტი, რომელიც 60-ან წლების მეორე ნახევარში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. თანამშრომლობდა გაზ. „დროება"-ში, „კრებულში" და „მნათობში", მის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე საინტერესო ლექსი („ფაცხა" და სხ.) და ორიოდე დრამატიული ნაწარმოები. ითვლებოდა 60-იან წლების ქართული ახალი თაობის მწერლების მიმდევრად. მრავალი მისი ლექსი აკრძალული იყო ცენზურის მიერ.

8. (გვ. 17) **ყ ა რ ა მ ა ნ დ ა თ ე შ ი ძ ე**—შემდეგში ერთ-ერთ ცნობილ მრეწველად და ხე-ტყის ქარხნის მეპატრონეთ ითვლებოდა ქალ. ქუთაისში, გარდ. 1909 წ.

9. (გვ. 23) **ზ. ა ნ ტ ო ნ ო ვ ი** (1820—54) დრამატურგი და არტისტი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 50-იან წლებში, როდესაც ვორონცოვის დახმარებით გ. ერისთავმა დაარსა ქართული თეატრი. ანტონოვი გორელი მოქალაქე იყო. მის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე პიესა („ზზის დაბნელება საქართველოში", რომელიც განახლებული სახით დასდგა რეჟ. მარჯანიშვილმა 1923 წ. „ტივით მგზავრობა ლიტერატორთა" და სხვა). გ. ერისთავის დასში იგი უმთავრესად კომიკურ როლებს თამაშობდა. მისი ნაწერები გამოვიდა 1876 წ. ბიოგრაფიული ცნობების დართვით.

10. (გვ. 23) **მ ე ი ფ ა რ ი ა ნ ი**—ესეც გ. ერისთავის დროს ითვლებოდა აოტისტად. აქვს დაბეჭდილი კომედია „ქმრები გავაბათ მახეში"—(1853 წ.).

11. (გვ. 23) **გ. ე რ ი ს თ ა ვ ი**—(1811—64) ცნობილი დრამატურგი, პოეტი და მოღვაწე, მისი მეთაურობით დაარსდა 1850 წ. ქართული თეატრი და 1852 წ. ჟურნ. „ცისკარი" 1830—32 წ. იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ა. წ. 32 წლის შეთქმულებაში. წერდა რუსეთის საწინააღმდეგო ლექსებსა და თანამშრომლობდა ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი ს (1804—36) „ტფილისის უწყების" ლიტერატურულ დამატებაში. აქ მან მოათავსა პოემა „ო ს უ რ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა", რომელშიაც გატარებულია აზრი საქართველოდან რუსების განდევნის შესახებ. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იგი გადაასახლეს პოლონეთში, სადაც რამოდენიმე წელი დაჰყო გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ თ ა ნ ერთად. 50-იან წლებში იგი ითვლებოდა მეფის-მოად-

ბილის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ. მისი პიესები გამოხატავდა ნატურალური მეურნეობის რღვევისა, თავად-აზნაურობის დაცემისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარების პროცესებს საქართველოში. 1884 წ. გამოიცა მისი ნაწერების სრული კრებული ი. მეუნარგიას მიერ დაწერილი ვრცელი ბიოგრაფიით.

12. (გვ. 23) **არჩილ მეფე**—(1647—1712) ქართული ლიტერატურის აღორძინების პერიოდის ერთი საუკეთესო ლირიკოსი იყო. არჩილ მეფის ორიგინალური საისტორიო პოემა „**ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა**“ დაიბეჭდა ტფილისში 1853 წ. პ. იოსელიანის რედაქტორობით.

13. (გვ. 23) 50-იან წლების დასაწყისში ქართული კულტურის აღორძინება, გარდა ქართული თეატრის დაარსებისა და ჟურნალ „კისკარის“ გამოცემისა, ქართული ბეჭდვითი სიტყვის გაცხოველებაშიაც გამოიხატა: ვორონცოვის დახმარებით იმ ხანებში მთელი რიგი წიგნებისა დაიბეჭდა, მაგრამ შემდეგ პერიოდში—ვორონცოვის წასვლისა და ყირიმის ომის ხანაში—ქართული წიგნების გამოცემა საგრძნობლად შემცირდა. ადგილობრივი მთავრობის მხრითაც ის ყურადღება, რომელსაც ვორონცოვი იჩენდა ქართული კულტურისადმი, უკვე შეწყვეტილი იყო; ამიტომ ქართული თეატრი დაიხურა, ჟურნალის გამოცემა შესწყდა, წიგნების ბეჭდვაც თითქმის მოისპო.

14. (გვ. 23) **მარი ბროსე** (1802—80)—ფრანგი აკადემიკოსი, რომელსაც შესწავლილი ჰქონდა ქართული და სომხური ენები. მას ეკუთვნის მთელი რიგი წერილებისა საქართველოს ისტორიიდან. შედგენილი აქვს ქართული გრამატიკა და ლექსიკონი. გადათარგმნილი ფრანგულად ვახუშტის „გეოგრაფია“, „ქართლის ცხოვრება“ და სხვა. 1849 წ. მოგზაურობდა ამიერ-კავკასიაში. 1836 წ. იგი რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ აირჩია წევრად ქართულისა და სომხური მწერლობის კათედრაზე.

15. (გვ. 24) **დავით დადიანი**—სამეგრელოს უკანასკნელი ფაქტიური მთავარი იყო. მისი უფროსი შვილი **ნიკოლოზი** ჯერ-ლოდ ფორმალურად ითვლებოდა მთავრად. დავითი გარდაიცვალა 1853 წ.

16. (გვ. 24) **ეკატერინე ჭავჭავაძისა**—(1816-82)—იყო მეუღლე სამეგრელოს მთავარის დავით დადიანისა და ასული პოეტ ალ. ჭავჭავაძისა. დავითის გარდაცვალების შემდეგ, მთავრის ნიკო დავითის ძის მცირეწლოვანობის გამო, დაინიშნა სამეგრელოს მმართველად და მთავარ აპეკუნად. იგი ევროპიულად განათლებული

ქალი იყო, მაგრამ სასტიკად ავიწროებდა გლეხობას; მის დროს მოხდა სამეგრელოს გლეხთა გრანდიოზული აჯანყება 1857 წ.

17. (გვ. 24) **სამეგრელოს რუსეთთან დამოკიდებულების საკითხს** ვრცელი ისტორია აქვს. 1803 წ. სამეგრელოს სამთავრო ავტონომიურ უფლებებით შეუერთდა რუსეთს. 1857 წ., როდესაც სამეგრელოში იფეთქა გლეხთა გრანდიოზულმა აჯანყებამ, რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისარგებლა ამ მომენტით და ფაქტიურად აქაც გაამეფა რუსული მმართველობა. 1867 წ., როდესაც სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილი ნიკო სრულწლოვანი გახდა, ხელისუფლებამ აიძულა ის უარი ეთქვა თავის სამთავროზე, სამაგიეროთ მან მიიღო რუსეთის მთავრობისაგან მილიონი მანეთი და ტიტული ბრწყინვალე თავადის მინგრელსკის სახელწოდებით.

18. (გვ. 26) **ქართული მილიცია** შეკრებილი იყო ყირიმის ომის დროს 1853—55 წლებში. როდესაც რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას რომელიმე ომის დროს ამიერ-კავკასიაში გაუჭირდებოდა და რუსულ ჯარს სიმცირე დაეტყობოდა, მაშინ მიმართავდა ადგილობრივ მცხოვრებთ მოწოდებით და ახდენდა მათ მობილიზაციას მილიციის წესით. ყირიმის ომის დროსაც, როდესაც ოსმალეთის ჯარებმა რუსეთს შემოტევა გაუმართეს ა-კავკასიის მიმართულებით და განსაკუთრებით, როდესაც ომერ-ფაშა შემოიჭრა სამეგრელოში, მთავრობამ ვ. ო. ბებუთოვის ხელმოწერით მიჰმართა გურულებს, იმერლებსა და მეგრელებს და მოუწოდა მათი ისტორიული მტრის — ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად. გურულების მილიციამ, როგორც დ. ყიფიანი აღნიშნავს თავის მემუარებში, დიდათ ისახელა თავი ამ ომებში.

19. (გვ. 26) **მ ე ვ ე ლ ე** — დავით მიქელაძის (1844—1918) ფსევდონიმია. მან უმაღლესი სასწავლებელი საფრანგეთში დაამთავრა 70-იან წლებში იგი თანამშრომლობდა გაზ. „დროება“-ში და სხვათა შორის, პარიზიდან რადიკალური შინაარსის კორესპონდენციებსაც გზავნიდა ევროპის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ. 1873 წ. მეველემ, პ. იზმაილოვმა და ნ. ნიკოლაძემ გამოსცეს პარიზში ათ ნომრამდე პირველი არალეგალური სოციალური გაზეთი „დ რ ო შ ა“, გეკტოგრაფზე დაბეჭდილი. ამ გაზეთის სამი ნომრის ასლი ინახება საქ. რევოლიუციონურ მუზეუმში. 90-იან წლების დასაწყისში იგი ითვლებოდა გაზ. „ივერიის“ ფაქტიურ რედაქტორად. ამ ხანებში იგი „ივერიის“ თავად-აზნაურულ ლიბერალიზმისა და ნაციონალიზმის მედროშედ ითვლებოდა.

20. (გვ. 28) **ომერ-ფაშას** შემოსევას სამეგრელოში ყირიმის ომის დროს დ. ყიფიანიც ეხება თავის მემუარებში (იხ. მისი მემუარები გვ. 44—45).

21. (გვ. 28) **ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკი**—დიდი მემამულე და გენერალი. 50-იან წლებში შეუდგა სოფლის მეურნეობის რაციონალურად მოწყობას. ბატონ-ყმობის მოსპობის პერიოდში თავისი განსაკუთრებული აზრი წარმოადგინა გლეხთა განთავისუფლების საქმეში. პოლიტიკურად რეაქციონერი იყო.

22. (გვ. 28) **პოეტი კასრაძე** სრულიად უცნობი პირი არის ჩვენს ლიტერატურაში. იგი ალბად სახალხო პოეტი იყო და მისი ლექსებიც ი.ე დაიკარგა, როგორც სხვა მრავალი მისი დროის პოეტებისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძის მიერ მოყვანილი ტაეპი ცოტა სხვა ვარიაციით დაბეჭდილი იყო 1862 წ. „ცისკარში“ — მეორე თერგდალეულის წერილში. იქ ვკითხულობთ:

„ბუიდუკ ადამ გურჯისტან, ასე ჩემო ივანე, ძველი მეგობარი ხარ, რატომ დაიგვიანე“ (იხ. „ცისკარი“ № 4, გვ. 363. 1862 წ.).

23. (გვ. 30) **მურავიოვი** ვორონცოვის შემდეგ, 1854—56 წლებში იყო მეფის-მოადგილედ კავკასიაში.

24. (გვ. 30) **ნ. პ. კოლუბიაკინი** 1855-58 წლებში ქუთაისის გუბერნიისა და სამეგრელოს მმართველი, 1861—63 წლებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად იყო.

25. (გვ. 32) **გიორგი დიდებულიძე**—ჟურნ. „ცისკრის“, თანამშრომელი უნდა იყოს. იგი ბეჭდავდა ნათარგმნ და ორიგინალ მოთხრობებს და წერილებს. მას ეკუთვნის „პასტორის ცხოვრება“. 1878 წ. გამოცემული, და „იანკოს ცხოვრება“ 1881 წ. მეორედ გამოცემული. 1863 წ. მან დაბეჭდა ჟურნ. „ცისკაოში“ ვ. ჰიუგოს „საბრალონი“-ს ზოგიერთი თავების თარგმანი. იმავე წელს ამ რომანის თარგმანი გ. ჩიქოვანის მიერ დაიბეჭდა „საქართველოს მოამბე“-ში.

26. (გვ. 32) **ჟურნ. „ცისკარი“** გამოკიდა 1852 წ. გ. ერისთავის რედაქტორობით. უსახსრობის გამო მისი გამოცემა შესწყდა 1853 წელს. 1857—75 წლებში „ცისკარი“ ხელახლად გამოდიოდა ივ. კერესელიძის რედაქტორობით. „ტფილისის უწყების“ (1832 წ.) შემდეგ ეს იყო პირველი ჟურნალი ქართულ ენაზე. თავისი მიმართულებით იგი უმთავრესად კონსერვატიული შინაარსისა იყო, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უორგანობის გამო მასში რადიკალური ხასიათის წერილები და მოთხრობებიც იბეჭდებოდა (დ. ჭონქაძე, ანტ. ფურცელაძე, აკ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე და სხვ.), ივ. კერესელიძის რედაქტორობის პერიოდში ამ ჟურნალს უმთავრეს თა-

ნამშრომლებად ითვლებოდენ: გრ. ორბელიანი, ლ. არდაზიანი (მისი ფსევდონიმები იყო: ბიძია თონიკე, გ. ბარათაშვილი), ივ. კერესელიძე (ხშირად მოლაყბესაც აწერდა), გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი—მოლაყბე (შემდეგში მოლაყბის ფსევდონიჰით სხვებიც სწერდენ), დიმ. ყიფიანი (ბაქარ ქართლელი), დ. ბერიევი, გრ. დადიანი (კოლხიდელი), ალ. ორბელიანი, ბარბ. ჯორჯაძისა, რ. ერისთავი, გ. დიდებულიძე, ანტ. ფურცელაძე (ქერეღი ბექა, ულოღიკო, და სხვ.), აკ. წერეთელი, გაბრიელ ეპისკოპოზი. გრ. რჩეულ~ვი, დიმ. ბაკრაძე, მიხ. ჩიგიანი და სხვა. 1861 წ. ჟურნალის დამატებათ გამოდიოდა „მამულის მოვლისა და ვაჭრობის გაზეთი"—„გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის დროზედ ამ ჟურნალმა საკმაო კულტურული როლი ითამაშა ჩვენი ლიტერატურისა და პრესის ისტორიაში. 1866 წ., როდესაც გამოსვლა დაიწყო პროგრესიულ-დემოკრატიულმა გაზეთმა „დ რ ო ე ბ ა", მისი გავლენა დაეცა და შინაარსის მხრივაც გაღარიბდა.

სტუდენტობის პირველი დრო

(გვ. 35—87)

I. ტექსტისათვის

„სტუდენტობის პირველი დრო“ პირველად დაიბეჭდა 1880 წელში ნ. ნიკოლაძის მიერ შედგენილ პატარა კრებულ „საახალწლო“-ში, რომელიც ვ. შავე-დოვის „გაზეთის საგენტოს“ გამოუცია. ამ კრებულში მოთავსებულია: 1. ნიკოლაძის ფრანციულით ნათარგმნი ლიუდოვიკ ჰალევის მოთხრობა: „სიზმარი“ (გვ. 3—37), 2. მისივე „სტუდენტობის პირველი დროი (1861), და 3. მისივე „მამულის სიყვარული და მამულის მსახურება“ (1914 წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა).

„სტუდენტობის პირველი დრო“ დაწერილი უნდა იყოს 1879 წ., რადგან ცენზორის ნებართვა მიცემული არის დეკემბრის 2-ს. შემდეგში იგი არსად არ დაბეჭდილა. მხოლოდ 1898 წელს ამ მოგონებიდან კირიონისა და ყიფშიძის „სიტყვიერების თეორია“-ში გადაბეჭდეს მარტო მერვე თავი.

როგორც მკითხველიც დაინახავდა, ამ მოგონებაში ნიკოლაძე ეხება ჩვენი სტუდენტობის ერთ უშესანიშნავეს პერიოდს, როდესაც იგი რუსეთის 60-იანი წლების ახალი აზროვნების გავლენის ქვეშ მოყვა და შეითვისა ახალი იდეები. მაგრამ ამ მოგონების სისწორით გაგებისათვის საჭირო არის შემდეგ გარემოებასაც მიექცეს ყურადღება.

„სტუდენტობის პირველი დრო“ რამოდენადმე პოლემიკურ ხასიათსაც ატარებს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ როდესაც ეს მოგონება დაიწერა, მისი ავტორი თითქმის გარიყული იყო ქართველ ინტელიგენციის მიერ და მას ცხარე კამათის წარმოება უხდებოდა მაშინდელ ქართველ ჟურნალ-გაზეთების მეთაურებთან და თანამშრომლებთან. 70-ი-ნ წლების დასაწყისში იგი ცხარე კამათს აწარმოებდა ბესარიონ ღოლობერიძესა და ნიკო ღოლობერიძესთან, როგორც პრესაში, აგრეთვე საჯარო სხდომებზე საბანკო საკითხების გამო. 1876 წელში ამ კამათში ილია ჭავჭავაძეც ჩაერია ღოლობერი-

ძეების დასაცავად. 1877 წ. ნიკოლაძე დასცილდა „დროების“ რედაქტორს ს. მელხსაც და საკუთარი ორგანო „ობზორ“-ი დაარსა. ამ პერიოდიდან პოლემიკამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სწორედ ამ გარემოებამ თავისებური დაღი დაასვა ნ. ნიკოლაძის „სტუდენტობის პირველ დროს“, რადგან დიდი უმეტესობა მისი მოწინააღმდეგეებისა 60 იანი წლების სტუდენტთა ჯგუფს ეკუთვნოდა.

დედანში ავტორი ფსევდონიმის ქვეშ ასახელებს 60-იანი დროის ქართველ სტუდენტებს. ტექსტში ჩვენ ეს ფსევდონიმები უცვლელად დავსტოვეთ. ხოლო შ ნ ი შ ვ ნ ებ ში შევეცადეთ გაგვეხსნა იგი. მართლწერა ავტორისა სრულიად უცვლელი რჩება „საახალწლოში“ მოთავსებულ ტექსტის მიხედვით, რადგან ამ წერილის დედანი არ შენახულა.

II. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 36) ლ რ ე ჭ ი ა — ერთ ადგილას ავტორი იხსენებს: ნ ი კ ო ლ რ ე ჭ ი ა. — ამ ფსევდონიმის ქვეშ ავტორს გამოყვანილი ჰყავს ნ ი კ ო ბ ე ს ა რ ი ო ნ ის ძ ე ღ ო ლ ო ბ ე რ ი ძ ე (1838—1911 წ.) ცნობილი საზოგადო მოღვაწე. იგი ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური წევრი იყო პეტერბურგში შემდგარ ქართველ სტუდენტთა წრისა. ღოლობერიძე დაახლოებული იყო რუსეთის მოღვაწეებთან: დობროლიუბოვთან, პანტელეევთან და სხვებთან. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1861 წ. სტუდენტთა არეულობაში. მან დასრულა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი 1861 წ. მას შესთავაზეს უნივერსიტეტში დარჩენა საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ საქართველოში მუშაობა არჩია და შინ დაბრუნდა 1863 წ. იგი ითვლებოდა ი. ჭავჭავაძის ჟურნალის „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ი ს“ ისტორიული განყოფილების თანარედაქტორად. პირველად მასწავლებლობდა. იგი იყო გაზ. „დ რ ო ე ბ ი ს“ (1866 წ.) ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი. 1868 წ. იგი სასამართლოს სამსახურში შევიდა. 1879 წ. იგი ამოირჩიეს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მმართველად. 80-იან წლებში ხელი მოკიდა შავი-ქვის საქმეს და მრეწველი გახდა. 1894 წელს მისი დახმარებით დაარსდა ჟურნალი „მ ო ა მ ბ ე“. გარდაიცვალა 1911 წელს. დიდი ნაწილი თავისი ქონებისა დაუტოვა საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. იგი მწერლობაშიაც ღებულობდა მონაწილეობას. (დაწვრილებით მის შესახებ იხილეთ „ძ ვ ე ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“, ტ. II გვ. 12—20, 1913 წ.). ნ. ნიკოლაძეს ნ. ღოლობერიძესთან ცხარე კამათი ჰქონდა ქუთაისის საბანკო საკითხების შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ

6. ლოლობერიძე გამოყვანილი ყავს გ. წერეთელს თავის „მგზავრის წერილებში“ კიკოლიკის სახით.

2. (გვ. 36) **საულ ქერაძე**—დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი—(1841—1918 წ.), შემდეგში, ნოტარიუსი იყო ქუთაისში. იგი მონაწილეობას ღებულობდა 1861 წ. პეტერბურგის სტუდენტთა არეულობაში. რამოდენიმე თვე კრონშტატის ციხეში იჯდა. შემდეგში პეტერბურგში ცხოვრობდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

3. (გვ. 36) **გიგო თავძარა**—გიორგი სიმონის ძე მესხი—ცნობილ საზოგადო მოღვაწეების: ს. მესხის (დროების რედაქტორი) კოტე მესხის (არტისტი), ეფემია მესხის (არტისტი), ივ. მესხის (ჟურნალისტი) და დ. მესხის (ჟურნალისტი) უფროსი ძმა იყო, რომელიც 70-იან წლებში გარდაიცვალა.

4. (გვ. 42) **ბასილ აბაზაძე**—ნ. ნიკოლაძის დების გადმოცემით ვასილ თუმანიშვილი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტთა არეულობაში.

5. (გვ. 40) **ფილიპე ბერიშვილი**—(1839—1918) კიბილეჟანის ძე ლორთქიფანიძე—ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მის კალამს ეკუთვნის პლეშჩეევის, დობროლიუბოვისა და ნეკრასოვის ლექსების თარგმანი. 1864 წ. მან გამოსცა კრებული „ჩანგური“, რომელშიაც მოთავსებულია ქართველი მწერლების ლექსები და მის მიერ ნათარგმნი ნეკრასოვის პოემა: „პოეტი და მოქალაქე“. 1863 წ. მას უთარგმნია ცნობილი „ბიძია თომას ქოხი“ იმ მიზნით, რომ ხალხში გაევრცელებია ჰუმანიური აზრები. „საქ. მოამბე“-ში იგი თანამშრომლობდა თერგდალეულის ფსევდონიმით. გარდა ამისა მის კალამს ეკუთვნის 1862 წ. „ცისკარში“ **თერგდალეულის** ფსევდონიმით მოთავსებული რამოდენიმე წერილი. 1873-4 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზ. „დროება“, ხოლო 1881—83 წლებში უახლოესი თანამშრომელი იყო ქუთათურ გაზ. „შრომისა“, მას ეკუთვნის მოთხრობა „მოჯალაბე“ 1914 წელს დაბეჭდილი „სახალხო გაზეთის“ დამატებაში კ. **წუთისოფლისშვილის** ფსევდონიმით. მრავალი მისი წერილი ხელმოუწერელი იბეჭდებოდა „დროება-“სა და „კრებულში“. მისი ფსევდონიმები იყო, როგორც ეს პირადათაც გადაუცია პატ. ტრ. **ჯაფარიძისათვის** თვით კ. ლორთქიფანიძეს,—**თერგდალეული. თომა კარგარეთელი, უცხო,** ? ; გარდა ამისა, მას უნდა ეკუთვნოდეს ფსევდონიმი **ცივისელი**. გარდა ლიტერატურული მოღვაწეობისა, კ. ლორთქიფანიძე საზოგადოებრივ ასპარეზზედაც მოღვაწეობდა. ერთი ბიოგრაფიული ცნობით, როდესაც იგი დაბრუნდა რუსეთიდან, სავსე-

ბით გაანთავისუფლა თავისი დროებით ვალდებული გლეხები, სრულიად უფასოდ გადასცა მათ თავიანთი ნადელები; გარდა ამისა მახუარი განაცხადა თავისი მამულის შემოსავალზე და გადასცა ისინი თავის ძმებს. კ. ლორთქიფანიძე დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ქუთაისის ურთიერთ დამხმარე საკრედიტო დაწესებულების დირექტორათ. მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ქუთაისის ქალაქის საბჭოს საქმიანობაში, რომლის წევრადაც იგი ითვლებოდა 1878—82 წ., 1882—86 წ., 1894—98 წ. 1898—1902 წ., 1902—1906 წ. მისი ზედამხედველობითა და დახმარებით აღიზარდა მრავალი ახალგაზრდობა. დარჩა მდიდარი არქივი, რომელიც ქუთაისის მუზეუმში არის დაცული.

იგი 60-ნი წლების რუსეთის ახალი აზროვნების გავლენის ქვეშ აღიზარდა. 1861 წ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა არეულობაში, რისთვისაც რამოდენიმე თვე იჯდა კრონშტატის ციხეში. ამის შემდეგ იგი პეტერბურგში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა. მის არქივში დაცულია რამოდენიმე დოკუმენტი 1861 წ. სტუდენტთა არეულობის შესახებ, რომელსაც ცალკე ნარკვევებში გამოვაქვეყნებთ; უკანასკნელ ხანებში ნაც-დემოკრატებს მიემხრო.

6. (გვ. 47) **ომში მოკლულების სიაში**—იგულისხმება 1863წ. პოლონეთის აჯანყება და ამ დროს დახოცილი და ჩამოხჩობილი პოლონელი რევოლიუციონერები.

7. (გვ. 46-7) აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთივე დადებითად ახასიათებს 60-იანი წლების პოლონელ სტუდენტობას გ. წერეთელიც თავის „მგზავრის წერილებში".

8. (გვ. 50) **შარშან ქუთაისის ბანკის კენჭის ყრის დროს**—ლაპარაკია ქ. საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის არჩევნების შესახებ, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები (იხ. „დროება" № 1879 წ.).

9. (გვ. 55) **ი. ჭ.**—ილია ჭავჭავაძე—(1837—1907) მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც ერთ-ერთი მეთაური იყო ახალთაობის ინტელიგენციისა. როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძემ შეადგინა წრე ახალთაობისა და ენერგიული ბრძოლა აწარმოვა ძველი თაობის წინააღმდეგ. მისმა წერილებმა ცხარე კამათი გამოიწვია „ცისკარში". 1863 წ. მან გამოსცა ჟურნ. „საქართველოს მოამბე", რომელიც ახალი თაობის ორგანოდ გადაიქცა.

10. (გვ. 60) **ეგნატე ბაყაყაშვილი**—
11. (გვ. 62) **მიხა ბაყაყაშვილი** —

ვერ გავიგეთ ვინ ყავდა გამოყვანილი ამ ფსევდონიმების ქვეშ ავტორს.

12. (გვ. 62) **ა კ ა კ ი** — აკაკი წერეთელი (1840—1915) ერთ-ერთი აქტიური წევრი თერგდალეულთა წრისა; 60-იან წლებში თავის ლექსებში იგი გამოხატავდა ახალი თაობის მისწრაფებებს. იმ ხანებში აკაკი „ცისკარში" თანამშრომლობდა. მას თერგდალეულის ფსევდონიმით მოთავსებული აქვს წერილი ექვ. წერეთლის წინააღმდეგ.

13. (გვ. 64) **ბ ე ს ა რ ი ო ნ ლ ო ლ ო ბ ე რ ი ძ ე** (1833—79) ერთ-ერთი შეთაური იყო 60-იან წლების ქართველი სტუდენტობისა. იგი ახლო იცნობდა ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, პანტელეევს. 1861 წლის სტუდენტთა არეულობის გამო იგი დააპატიმრეს, როგორც სტუდენტთა დეპუტატი. იჯდა რამოდენიმე თვე კრონშტატის ციხეში.

1862 წ. მე-III განყოფილების მიერ შედგენილ სეკვო პირთა სიაში სწერია შემდეგი:

22. Утин Никалай, Студ. 23. Печаткин, Студ. 24. Гогоберидзе, Студ.	Замечены в студенческих беспорядках, сделали демонстрацию на лекции Костомарова, знакомы с Чернышевским и подозреваются в печат. возван. в пользу Павлова. (ამოღებულია მ. ლემკეს შენიშვნებიდან: იხ. გერცენის თხზულებანი ტ. XV გვ. 393, 1920 წ.).

მან ბრწყინვალეთ დაამთავრა ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტი. მასაც საპროფესოროდ სტოვებდენ უნივერსიტეტში, მაგრამ საქართველოში მოღვაწეობა არჩია. პირველად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, 1876 წლიდან ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე იყო. გარდაიცვალა 1879 წ. ანევრიზმით*). (იხ. მის შესახებ გ. წერეთლის წერილი, „დროება" № 51, 1879 წ.)

1873 წლიდან ნ. ნიკოლაძესა და ბ. ლოლობერიძეს მწვავე კამათი ჰქონდათ საბანკო საკითხების გარშემო. 1878 წ., როდესაც ნ—ძემ „ობზორ'-ი დაარსა, ამ კამათმა მეტის-მეტი მწვავე ხასიათი მიიღო. ბოლოს იძულებული შეიქნენ ამხანაგური სასამართლოც აერჩიათ (იხ. „ობზორი" 1878 წ.).

14. (გვ. 73) **ლ რ ე ჭ ი ა ს ძ მ ა ჭ ი ჭ ი კ ო** — უნდა იყოს სიმონ ლოლობერიძე, — პედაგოგი და ისტორიკოსი, თანამშრომლობდა ჟურნ. „მოამბე-"ში, გარდ. 1914 წ. მეორე ძმა ნ. ლ—ძისა—დ ა ვ ი თ ი მონაწილე იყო 1861 წ. სტუდენტთა არეულობისა, რისთვისაც იგი რამოდენიმე თვე იჯდა ციხეში.

*) დედანში (გვ. 94) ავტორს მისი გარდაცვალების თარიღად შეცდომით აქვს აღნიშნული 1878 წ.

15. (გვ. 73) **გოგიტა ლენჩი**– გიორგი წერეთელი (1842—1900) მწერალი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია 1861 წელს; მონაწილეობა მიიღო 1861 წლის სტუდენტთა არეულობაში, რისთვისაც რამოდენიმე თვე იჯდა პეტრეპავლოვისა და კრონშტატის ციხეებში. პირველი წერილი მოათავსა 1862 წ. „ცისკარში". თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბე"-ში (1863 წ.) შემდეგში რედაქტორობდა გაზ. „დროება"-ს (1866—69 წ.), „სასოფლო გაზეთს" (1868—73 წ.), „კრებულს" (1871—73) მის კალამს ეკუთვნის დიდძალი ბელეტრისტული, პუბლიცისტური და სამეცნიერო წერილები—1893 წ. დაარსა ჟურნალი „კვალი", რომელშიაც ადგილი დაუთმო ახალი თაობის, მესამე დასის მწერლებს. თავისი მიმართულებით რადიკალ-დემოკრატი იყო. 879 წ. მას კამათი ჰქონდა ნიკოლაძესთან საბანკო საკითხების გარშემო. გ. წერეთლის უმთავრესი ფსევდონიმები იყო: გ.—თელი, გ. წ., გ. გორისელი, XX, მაზავკვალი და სხვა დიდი ნაწილი მისი წერილებისა „დროება"-ში ხელმოუწერელი იბეჭდებოდა.

16. (გვ. 74) **ჩ—ის ცოლი**—ნ. გ. ჩერნიშევსკის (1828—89) მეუღლეზე ოლღა სოკრატის ასულზე არის ლაპარაკი. როგორც თვით ნ. ნიკოლაძის და სხვების ცნობებით ვიცით, ნ. გ. ჩერნიშევსკისა და მის ოჯახობას ახლო იცნობდენ ჩვენი სტუდენტები.

17. (გვ. 83) **კოსტომაროვი ნ. ი.** (1817—85) პროფესორი და ისტორიკოსი. 1846 წ. მონაწილე იყო ე. წ. „Кирилло-Мефодиевского братства", რომელიც ქრისტიანულ სოციალიზმს ჰქადაგებდა და სლავიანთა ერების გაერთიანებას მოითხოვდა ფედერატიულ საფუძვლებზე. 60-იან წლებში მოლიბერალო პროფესორი იყო. ერთ ხანს ახლო მეგობარი იყო ჩერნიშევსკისა.

მოგონებანი სამოციან წლებზე

(გვ. 88—144)

1. ტექსტისათვის

„მოგონებანი სამოციან წლებზე“ პირველად 1924—25 წლების ჟურნალ „კავკასიონსა“ და „ახალ კავკასიონში“ დაიბეჭდა (იხ. „კავკასიონი“ № 3—4, გვ. 81—105, 1924 წ. და „ახალი კავკასიონი“ № 1—2 გვ. 101—118, 1925 წ.) 1927 წლ. ეს მოგონებანი დაიბეჭდა რუსულ ჟურნალ—„Каторга и ссылка“-ში (იხ. № 34—35, 1927 წ.) მკირეოდენი დამატებითა და რედაქტორის შენიშვნებით. მოგონებანი ნ. ნიკოლაძეს დაუწერია საზღვარგარეთ, ლონდონში 1923 წელს, როდესაც იგი ჯერ კიდევ მენშევიკურ ემიგრაციაში იმყოფებოდა—„კავკასიონის“ რედაქცია თავის შენიშვნაში გადმოგვცემს:

„ეს მემუარები დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. პირველი ნაწილი (1861—1862 წ.) დაწერილია ლონდონში 1923 წელს რუსულად, რადგან იგი თავდაპირველად რუსული საზოგადოებისათვის იყო დანიშნული. შემდეგ ნაწილებს ავტორი ქართულს ენაზე ამხადებს“ (№ 3—4, გვ. 105).

სამწუხაროთ, ამ მოგონების მეორე და შემდეგი ნაწილები ნ. ნიკოლაძეს არ დაუწერია. როგორც რუსულად დაბეჭდილ ტექსტიდან სჩანს 1927 წელსაც ჰქონია განზრახვა „პირველი ნარკვევისათვის“ მეორე ნარკვევიც დაემატებია. როგორც სჩანს ეს არ მოხერხდა. ჩვენს გამოცემაში ეს მოგონება ჟურნალ „კავკასიონი-“დან იბეჭდება, რომლის თარგმანი თვით ავტორის მიერ იყო გადათვალიერებული და მოწონებული. ქართული თარგმანი ხელმეორედ შევადარეთ რუსულ ტექსტსა და გამოტოვებული ან ჩამატებული ადგილები ქართულ თარგმანში აღვადგინეთ. მოგონება, რასაკვირველია, სრულიად უცვლელად იბეჭდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძის ამ მოგონებას განსაკუთრებული ინტერესით შეეგება რუსეთის მკითხველი საზოგადოება. იმ ჟამად, როდესაც ნ. ნიკოლაძის მემუარები გამოქვეყნდა რუსულად, 60-იანი წლების მოღვაწეებიდან თითქმის არავინ იყო ცოც-

ხალი და მასთანვე ნ. ნიკოლაძემ რამოდენიმე საინტერესო მომენტს მოფინა ახალი ნათელი. საკმარისი არის დავასახელოთ თუ გინდ ის ფაქტი, რომ ი. სტეკლოვმა თავის ფუნდამენტალურ ორტომიან შრომაში ნ. გ. ჩერნიშევსკის შესახებ უხვად გამოიყენა ჩვენი ავტორის მოგონებანი. რაკი ეს მემუარები რუსეთის საზოგადოებისათვის იყო დაწერილი, ამიტომ ავტორს წმინდა ქართული საკითხებისათვის იმ გვარი სახით არ მოუკიდია ხელი, როგორც ამას საკითხის ინტერესი მოითხოვდა. ამ დანაკლისის შევსებას ნ. ნიკოლაძე ახალი, უფრო ვრცელი მოგონებით ჰფიქრობდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო, როგორც აღვნიშნეთ, მისი დაწერა ვერ შესძლო.

II. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 90) **დ ი მ. ბ ა ქ რ ა ძ ე** — (1827—90) ცნობილი ისტორიკოსი, არქეოლოგი და პუბლიცისტი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ისტორიული და არქეოლოგიური ნარკვევები. იგი ევროპიულად განათლებული კაცი იყო და ლიბერალური აზრების მოტრფიალე. დ. ბაქრაძე იყო ერთ-ერთი ინიციატორთაგანი გაზ. „დროების" დაარსებისა (1866 წ.) და შემდეგ რამოდენიმე ხნის განმავლობაში მის უახლოეს თანამშრომლად ითვლებოდა. აღსანიშნავია მისი პუბლიცისტური წერილები: „ისტორიული მოძრაობა განათლებისა" (იხ. „დროება" № 5—20 1866 წ.), რომელმაც თავის დროზედაც მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება, რომელშიაც იგი ეხება კაპიტალიზმის განვითარებას ევროპაში, მუშათა მოძრაობას, კოოპერაციის საქმეს, ლასალის, შულჩე დელიჩის, პეიფერის მოძღვრებას და სხვა. ავტორი მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას კოოპერაციებისა და ასოციაციების დაარსებისაკენ. დ. ბაქრაძე ერთხანს ცენზორათაც იყო დანიშნული. გარდა „დროებ სა", იგი თანამშრომლობდა „ცისკარში", „Кавказ"-ში, „მნათობში", „იბერია"-ში, „Тиф. Вестник"-ში, „Юрид. Обозрение"-ში, „იმედში" და „Новое Обозрение"-ში.

2. (გვ. 92) **ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი** დაიბეჭდა 1860 წ. „ცისკარში". მისი ბიოგრაფები და თვით ნიკოლაძე მიგვითითებს, რომ მან 1860 წელს „ცისკრის" ოქტომბრის ნომერში მოათავსა წერილი ქართული ენის საჭიროების შესახებ. აღნიშნულ ნომერში მოთავსებულია წერილი: „ქუთაისის ჭორიკანობა" (აზრი ქუთაისის საზოგადოების ქართულ ენაზედ და „ცისკარზედ") (ეს აწერს ქუთაისის მეჭორე. „ცისკარი" № 10 გვ. 296—300. 1860 წ.) ამავე ფსევდონიმით „ცისკრის" სექტემბრის ნომერშ.

მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1) „ხაბარდა და ლოტტო ქუთაისში“ (ქუთაისის ჰორიკანობა) (იხ. სექტემბრის ნომერი, გვ. 134—138 1860 წ.) და 2) „საყვარელ მკითხველს“—ხელს აწერს ქუთაისის მეჰორე (ერთი მეჰორეთაგანი, იგივე გვ. 133—34); ნოემბრის ნომერში განყოფილებაში: „პასუხი“ რედაქციისაგან“—ვკითხულობთ: „უფ. ნიკოლაძეს—თქვენგნით გამოგზავნილი მოთხრობა „ჩამოხჩობილი“ თუმცა კარგია, მაგრამ რადგანაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ჩვეულებას არ მიუდგება, ამისათვის ვერ ვბეჭდავთ“ (იხ. № 1, გვ. 470, 1860 წ.). ეს ნათარგმნი მოთხრობა ერთი წლის შემდეგ მაინც დაიბეჭდა „ცისკარში“ (იხ. № 4, 1861 წ.). რამდენადაც ვიცით, იმ ხანებში მას ამის მეტი წერილები არ მოუთავსებია ქართულად. სისტემატიურ წერას ქართულ ენაზე იგი შეუდგა 1869 წ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როდესაც 1862 წ. „ცისკრის“ ფურცლებზე გაცხოველდა კამათი „თერგდალეულსა“ და „ცისკრის“ მიმდევართა შორის, ამ კამათში ნ. ნიკოლაძესაც მოუწადინებია მონაწილეობის მიღება, მაგრამ ცენზურას არ გაუშვია მისი წერილი. როგორც ცნობილია 1862 წ. ეფ. წერეთლის წერილს (იხ. „ცისკარი“ № 2, 1862 წ) საწინააღმდეგოდ პეტერბურგიდან „სამმა ძმამ“ თერგდალეულმა გამოგზავნა წერილები; ესენი იყვენ კ. ლორთქიფანიძე (პირველი წერილის ავტორი. იხ. „ცისკარი“ № 4), ა. წერეთელი (მეორე წერილის ავტორი უნდა იყოს, იხ. იქვე) და გ. წერეთელი (მესამე წერილის ავტორი უნდა იყოს. იხ. № 5.) მეორე თერგდალეულის შესახებ „ცისკარშივე“ წერილი მოათავსა ქუთაისიდან თომა მაჭავარიანმა (იხ. „ცისკარი“ № VIII გვ. 187—91, 1862 წ. წერილი „პასუხი მეორე თერგდალეულის პასუხისა“) ეს წერილი გაურჩევია ნ. ნიკოლაძეს და გაუგზავნია „ცისკარში“ დასაბეჭდათ. ამის შესახებ „ცისკრის რედაქტორი ივ. კერესელიძე სწერს მას:

ნიკოლოზ იაკობისა ძევ!

დიდადა მსურდა და მსურს დაბეჭდვა „ცისკარში“ თქვენის შენიშვნისა, შესახებ მაჭავარიანისა, მაგრამ ცენზორმა ზოგიერთი ადგილები არ გაუშვა. ამითივე უნდა დარწმუნდეთ, რომ არა მსურებოდა დაბეჭდვა, არც ცენზურაში წარვადგენდი. რა ვქნა, კარგათ იცი თავისუფალნი არ ვართ დარო გორც უნდათ ისე გვათამაშებენ. თუ თანახმა შეიქმნები, როგორც კომიტეტს უნებია ისე დაბეჭდვისა, უკანვე გამოიგზავნეთ, და მაშინვე დავაბეჭდინებ.

თქვენი პატივის მცემელი ივ. ივ. კერესელიძე*)

*) ამ წერილის დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში, რომელიც მოთავსებულია მუზეუმში.

როგორც „ცისკრის" შემდეგი ნომრების გადათვალიერებიდან აღმოჩნდა, ნიკოლაძის აღნიშნული წერილი აღარ დაბეჭდილა.

ივ. კერესელიძის წერილი იმ მხრივათაც არის საინტერესო, თუ როგორ ავიწროებდა „ცისკარსაც" კი მაშინდელი ცენზურა.

3. (გვ. 90) **გ. რ. ერისთავი**—ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად იყო 1858—61 წლებში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1829 წ. იგი ერთ-ერთი მონაწილე იყო მთიელთა წინააღმდეგ მიმართულ ომებისა.

4. (გვ. 90) **გაზ. „დროება"** 1866—69 წლებში გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა; 1869—83 წლებში—ს ერ. მესხის რედაქტორობით, 1883—85 წლებში—ივ. მაჩაბლის რედაქტორობით. იგი პირველი სერიოზული ევროპიული ხასიათის გაზეთი იყო ქართულ ენაზე. თავისი მიმართულებით რადიკალურ-დემოკრატიული იყო. ნ. ნიკოლაძე „დროების" უახლოეს თანამშრომლად ითვლებოდა 1869—73 წლებში და 1876—77 წლებში. ძლიერ ხშირად მისი ფაქტიური რედაქტორობით გამოდიოდა „დროება". 1877 წელს იგი დასცილდა „დროების" რედაქტორს ს. მესხს და საკუთარი ორგანო „Обзор" დაარსა—(1878—80), ამ წლიდან ნიკოლაძესა და მესხს შორის კამათმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

5. (90) **სერგეი ხიმონის ძე მესხი**—(1844—83) 60—70-იანი წლების ცნობილი პუბლიცისტი და მოღვაწე; „დროების" რედაქტორი 1869—83 წლებში, მის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური წერილი ჩვენი საჭირბოროტო საკითხების შესახებ. თავისი მიმართულებით რადიკალ-დემოკრატი იყო. რედაქციაში ხანგრძლივმა და მძიმე მუშაობამ იგი ძლიერ მოქანცა და ჭლექით გარდაიცვალა 1883 წ. აბასთუმანში. მისი ნაწერების პირველი ტომი გამოვიდა 1904 წ. ს. მესხსა და ნ. ნიკოლაძეს ხანგრძლივად მოუხდათ ერთად მუშაობა საზოგადოებრივ და სალიტერატურო ასპარეზზე. 1869 წ. შესდგა ჯგუფი „ახალი ახალგაზრდობისა" ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და გ. წერეთლის მეთაურობით, რომელმაც იკისრა „დროების" ხელმძღვანელობა და რედაქტორობა ს. მესხს ჩააბარა. ეს ჯგუფი 1877 წლამდე არსებობდა, ამ წელს განხეთქილება მოხდა „დროებასა" და ნ. ნიკოლაძის შორის და ჯგუფებიც დაიშალა, რასაც შედეგად მოჰყვა ნ. ნიკოლაძის მიერ რუსული გაზეთის „ობზორ"-ის

დაარსება. ამის შემდეგ დამოკიდებულებამ და პოლემიკამ ნიკოლაძეს და მესხს შორის მწვავე ხასიათი მიიღო.

საინტერესოა მკითხველს გავაცნოთ ის დახასიათება, რომელიც 1876 წელს ჯერ კიდევ მათი მეგობრობის პერიოდში უძღვნა ს. მესხმა ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე ს:

ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. ერთმა გამოჩენილმა მწერალმა სთქვა ნ. ნიკოლაძეზე, რომ ვეფხვს გავსო, მაგრამ ამ ვეფხვს ძარღვებში სისხლის მაგივრად რძე უდგასო, *) თუმცა ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში ვეფხვობა მაინცა-და-მაინც დიდი არაფერია, მაგრამ ნ. ნიკოლაძეს ვეფხვობამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია. ამ შედარებაში მართალი მხოლოდ ერთია:, როგორც რკინის გალიაში დამწყვდეული ვეფხვი თავის დღეში არ ისვენებს, მოძრაობს, ხან ერთს კედელს შეახტება და ხან მეორეს, სწორეთ ისე ნ. ნიკოლაძეც ზოუსვენარი, დაუდეგარი ხასიათის კაცია. მუდამ მოწინააღმდეგეს ეძებს, კბილებს ილესავს, თითქო განგებ უნდა მტერი გაიჩინოს საბრძოლველადო და თუ ვინმე გამოიგდო— ასპარეზზე, აღტაცებაშია, ნამდვილად მხოლოდ მაშინ ცოცხლობს. ჩხუბი, ბაასი, ბრძოლა, ისეთს საჭიროებას შეადგენს მისთვის, როგორც წყალი თევზისათვის..... ის არის ერთსა და იმავე დროს ავი და კეთილი, მგელი და ცხვარი, ვნებით საგსე და მშვიდი. ხან აღელვებული, გაგიჟებული ზღვაა და ხან კი წყნარი, უშფოთველი ტბა, მკრთალი და გამბედავი... პლანები, პროექტები იმის ხელად არის: დიდ ტაქტიკად მიაჩნია თავის თავი. ამ პლანებში და ტაქტიკაში ნათლათ მოჩანს იმის ხასიათი, იმის გამბედაობა, იმის წინდახედულობა და ხან ერთობ შორს, მომეტებულად შორს-გამჭვრეტელობა. ამახ რომ ხანგრძლივად და სისტემატიურად ერთ საკმეზე დადგომა მისცა, ამის შრომას რომ დიდხანს, დაუღალავად გატანა შეეძლოს, თვითონვე. რო შეეძლოს ყველა ამ პროექტების და ტაქტების გაყოლა, რომელსაც ასე მშვენივრად დაგილაგებს და გიქადაგებს, მაშინ რაღა უშავს? ყველას თუ არა, სანახევროდ მაინც აასრულებდა თავის კეთილ-შობილურ განზრახვებსა და საწადელს. უბედურება ეს არის, რომ არ შეუძლიან. ერთობ მგრძნობარე ნერვების პატრონია, ერთობ უდუღს ძარღვებში სისხლი, ერთობ სწრაფად დნება, და ეს საზოგადო კანონია, რომ ამგვარ ბუნების კაცს ხანგრძლივი, სისტემატიური, გამტანი მუშაობის ძალა და ენერგია არა აქვს. ყველა იმის ნაკლულოვანება და ღირსება ამ დაუდეგარის და ნერვიული ბუნებისაგან წარმოსდგება". (მ ე კ ო ნ ჯ ე — ს. მ ე ს ხ ი: „ხელით ნაწერი პორტრეტები", „დროება" № 51, 1876 წ.)

6. (გვ. 91) **ტ ა რ ა ს შ ე ვ ჩ ე ნ კ ო** (1814—61) უკრაინის ცნობილი სახალხო პოეტი და მხატვარი. ახალგაზრდობა ყმობაში გაატარა, ახლო ნაცნობებმა ადრე შეამჩნიეს მასში პოეტური და მხატვრული ნიჭი და გამოიყიდეს ყმობისაგან. 1846 წ. იგი გახდა წევრი „კირილესა და მეთოდეს ძმობისა", რომელიც კოსტომაროვის ხელ-

*) ამ სიტყვებით ნ. ნიკოლაძე დააპასიათა ა. ი. ბ ე რ ც ე ნ ძ ა (იხ. მისი თხზულებანი ტ. XIV, გვ. 448).

მძღვანელობით დაარსდა. ამ ძმობის მიზანი იყო სლავიანების პოლიტიკური და სულიერი გაერთიანება, მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. გარდა ამისა „ძმობა“ ქრისტიანული სოციალიზმის იდეას ქადაგებდა, იგი მოითხოვდა „მონობისა და დაბალ კლასების ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობას“. „ძმობა“ აღმოაჩინა ნიკოლოზ პირველის აგენტებმა და შევჩენკოს გადაუწყვიტეს ციმბირში გადასახლება, ნიკოლოზ პირველმა თავისი ხელით დააწერა მოხსენებაზე: „Под строжайший присмотр, запретить писать и рисовать“. გადასახლებაში გაატარა 11 წელი. შევჩენკოს პოეზიას ახასიათებს პატრიოტიზმი და ღრმა სიყვარული ჩაგრულ წოდებისადმი. რამოდენიმე მისი ლექსი ქართულადაც არის ნათარგმნი. 1912 წ. ა. გ ა რ ს ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა მის შესახებ ქუთაისში გამოსცა წიგნაკი: „უ კ რ ა ი ნ ი ს მ გ ო ს ა ნ ი ტ ა რ ა ს შ ე ვ ჩ ე ნ კ ო“

7. (გვ. 93) **შ ა მ ი ლ ი** (1797—1870)—დაღესტნის იმამი, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა რუსეთის ბატონობას კავკასიაში, 1843 წლამდე იგი მარცხდებოდა რუსებთან ბრძოლაში. მაგრამ შემდეგ მას მიემხრო მთელი რიგი მთიელთა ტომებისა და დიდი დამარცხება მიაყენა რუსის ჯარს. გარდა სამხედრო ცოდნისა, შამილმა დიდი ადმინისტრატიული ნიჭიც გამოიჩინა. შამილი დაამარცხა მეფის მოადგილემ ბარიათინსკიმ 1859 წ. და გუნიბში ტყვედ ჩაიგდო. ეს გამარჯვება შამილზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ა-კავკასიაში რუსეთის მმართველობის განმტკიცების ისტორიაში. შამილის დამარცხებით უკანასკნელი, ყველაზე უფრო მეტოქე, ძალა გაანადგურა რუსეთის მთავრობამ ა/კავკასიაში და ამით შეიქმნა პირობები მშვიდობიანი განვითარებისათვის.

8. (გვ. 93) **ს ა ლ ტ ი კ ო ვ ი შ ჩ ე დ რ ი ნ ი** (1826—89)—რუსეთის უდიდესი სატირიკოსი და პუბლიცისტი. მატერიალურ სივიწროვის გამო იგი დიდხანს მსახურობდა სახელმწიფო სამსახურში და ახლო გაიცნო მაშინდელი ბიუროკრატიის ცხოვრება. იყო უახლოესი თანამშრომელი და თანარედაქტორი „ოტეჩ. ზაპისკი“-სა. იგი სასტიკი მტერი იყო ბატონყმობის, ბიუროკრატიული წყობილების, სასტიკად კიცხავდა კონსერვატორებს და ცრუ-ლიბერალებს.

9. (გვ. 97) **ნ. ი. უ ტ ი ნ ი** (1845-83)—აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1861 წლის სტუდენტთა არეულობაში. 1862 წ. შევიდა „მიწა და თავისუფლების“ საზოგადოებაში. 1863 წელს გაიქცა საზღვარგარეთ, მონაწილეობას ღებულობდა პირველ ინტერნაციონალში, ციურიხში იყო ინტერნაციონალის სლავიანური სექციის წევრი, ხოლო შემდეგ ჟენევაში რუსული სექციის მდივანი. თანამშრომლობ-

და მ. ბაკუნინთან 1868—70 წ. ითვლებოდა ჟურნ. „ნაროდნოე დელოს“ რედაქციის წევრად. 1872 წ. დასცილდა ბაკუნინსა და მის ჯგუფს და სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მათ წინააღმდეგ. 1877 წ. მოინანია თავისი ცოდვები და მთავრობას თხოვნა მისცა პატიების შესახებ. 1880 წ. დაბრუნდა რუსეთში.

10. (გვ. 97) **საზოგადოება „მიწა და თავისუფლება“**—დაარსდა 1861—62 წ. იგი რევოლიუციონური პროპაგანდის მეთოდს იცავდა; მისი აზრით ხალხის განთავისუფლება თვით ხალხის საქმეა, ინტელიგენცია მხოლოდ ორგანიზაციულად და იდეურად უნდა ეხმარებოდეს ხალხს, ამზადებდეს მას რევოლიუციისათვის. ამ საზოგადოების პროგრამა მოითხოვდა: გლეხების სრულ განთავისუფლებას, მიწების გადაცემას გლეხობაზე, ხალხის თვითმმართველობას. ცნობებით ნ. გ. ჩერნიშევსკის ახლო დამოკიდებულება ჰქონდა ამ ორგანიზაციასთან.

11. (გვ. 97) **მ. ლ. მიხაილოვი** (1829—65) 60-ან წლების ერთ-ერთი ცნობილი რევოლიუციონერი და პოეტი. უახლოესი დამოკიდებულება ჰქონდა ჩერნიშევსკსა და ჟურნალ „სოვრემენიკთან“. 1861 წ. შეოგუნოვთან ერთად შეადგინა პროკლამაცია „ახალ-ბიბლიოთეკა“, დაბეჭდა ლონდონში გერცენის სტამბაში და შემოიტანა რუსეთში. 1861 წ. გასცა პროვოკატორმა ვს. კოსტომაროვმა და 6 წლით გადასახლებული იქნა კატორღაში სამუშაოდ, სადაც გარდაიცვალა.

12. (გვ. 97) **ჟურ. „სოვრემენიკი“**—რაზნოჩინური ინტელიგენციის იდეური ორგანო იყო. 1846 წლიდან მის რედაქტორად ითვლებოდა პრეტი ნეკრასოვი. 1848 წლამდე, ბელინსკისა და მილიუტინის თანამშრომლობის პერიოდში ჟურნალს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მაგრამ შემდეგ, 1848 წლის რეაქციის ზეგავლენით, ჟურნალი დაეცა და მხოლოდ ჩერნიშევსკის უახლოეს თანამშრომლობისა და მისი ფაქტიური ხელმძღვანელობით (1855—62) „სოვრემენიკმა“ უდიდეს წარმატებას მიაღწია. იგი ფილოსოფიაში ქადაგებდა მატერიალიზმს, ესტეტიკაში—უტილიტარიზმსა და ტრეალიზმს, პოლიტიკაში—დემოკრატიზმსა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას: პოლიტიკურ ეკონომიაში სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, საზოგადოებრივ საკითხებში—უტოპიურ ნაროდნიკულ სოციალიზმს. „სოვრემენნიკ“-ზე აღიზარდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, მათ შორის, მაშინდელი ქართველი ახალთაობის ინტელიგენცია. „დროებისა“, „კრებულისა“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე ხშირად შეხვდებით მითითებებს ჟურნ. „სოვრემენნიკ“-ზე. თვით ნ. ნიკოლაძე არა ერთხელ მიგვითითებს

თავის მოგონებაში „სოვრემენნიკ“-ის გავლენის შესახებ ქართველ ინტელიგენციაზე. ვ. ლორთქიფანიძის არქივში დაცულია „სოვრემენნიკის“ კომპლექტები, რომელიც თვით კირილეს მიერ არის დანაწილებული თემების მიხედვით.

13. (გვ. 97) **პროკლამაცია „К молодому поколению“**—გამოშვებული იყო ნ. ჩერნიშევსკის ჯგუფის მიერ. იგი შეადგინა მ. მიხაილოვმა და დაბეჭდა ლონდონში გერცენის თავისუფალ სტამბაში 1861 წ. ამავე წელს დაიწერა ჩერნიშევსკის პროკლამაცია საბატონო გლეხებისადმი. ამ ჯგუფს განზრახვა ჰქონდა მოწოდებით მიემართა ყველა იმ წრეებისათვის, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ ალექსანდრე II-ეს „რეფორმებით“. ასეთ წრეებად მიღებული იყო გლეხობა, ჯარისკაცები, ახალგაზრდობა და რასკოლნიკები. აღნიშნული პროკლამაციის გამოცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის ახალ თაობაზე, იგი მოუწოდებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ ხალხის ინტერესების დასაცავად.

14. (გვ. 97) **კ. თ. რილეევი** (1780—1826)—პოეტი-დეკაბრისტი, იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა იმ შეთქმულებაში, რომელიც დეკაბრისტების შეთქმულების სახელწოდებით არის ცნობილი რუსეთის ისტორიაში. ეს შეთქმულება თავისი ისტორიულ საზოგადოებრივი მნიშვნელობით ბურჟუაზიული შინაარსისა იყო. 1825 წ. რილეევმა მონაწილეობა მიიღო სენატის მოედანზე აჯანყებაში, რისთვისაც ნიკოლოზ პირველმა იგი ჩამოაღჩობია. ქართულად ი. ჭყონიას მიერ ნათარგმნია მისი პოემა: „ვოინაროვსკი“ (იხ. ი. ჭყონიას ნაწერები, გვ. 141—64, 1913 წ.).

15. (გვ. 98) ნ. ნიკოლაძის მიერ **მოყვანილი რილეევის ცნობილი ლექსი** ჟურნ. „Каторга и Ссылка“-ს რედაქციას გამოუტოვებია. ჩვენს ტექსტში იგი იბეჭდება ქართულ ტექსტიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო „კავკასიონში“ თვით ავტორის მიერ შესწორებული.

16. (გვ. 98) **«Колокол»**-ი—დაარსა 1857 წ. ლონდონში გერცენმა. 1—196 ნომერი დაიბეჭდა ლონდონში, ხოლო 197—245 ნომრები დაიბეჭდა ჟენევაში. უკანასკნელი ნომერი გამოუშვა 1867 წ. 1868 წ. გამოვიდა ფრანგულ ენაზე. დაახლოებით 1862 წლამდე „კოლოკოლ“-ს დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაზე. გერცენი ამ ორგანოში თავგამოდებით ქადაგებდა გლეხთა განთავისუფლებას მიწით, მოითხოვდა რეფორმებს და სასტიკად ებრძოდა ბიუროკრატიას. აღნიშნულ წრეების შემდეგ გერცენის გავლენა დაეცა და „კოლოკოლმაც“ დაჰკარგა თავისი ძველი მნიშვნელო-

ბა. როგორც დოკუმენტებიდან სჩანს, „კოლოკოლ“-ი ფარულად საქართველოშიაც ვრცელდებოდა. მასში მრავალი საინტერესო წერილები და კორესპოდენციაᲜ მოთავსებული საქართველოს შესახებ. ერთხანს ნ. ნიკოლაძე ითვლებოდა მის თანამშრომლად და კორესპონდენტად. ზოგიერთ წერილებს იგი ხელს აწერდა Рио Нели-ს. სხვა ქართველ თანამშრომელთა ვინაობა არ არის Ჯერ Ჯერობით ცნობილი.

17. (გვ. 98) „Полярная Звезда“—ამ კრებულსაც ა. გერცენი სცემდა 1855-69 წლებში.

18. (გვ. 98) ა. ი. **გერცენი** (1812—70) რუსეთის ცნობილი პუბლიცისტი და ნაროდნიკული მიმდინარეობის მამამთავარი. იგი იყო დიდი მემამულის შვილი. 30-იან წლების დასაწყისში მოსკოვის უნივერსიტეტთან მრაწყო არალეგალური წრე. 30-ან წლებში რამდენᲯერმე იყო გადასახლებული. 40-იან წლებში იგი მეშარცხენე ჰეგელიანელად ითვლებოდა და სათავეში ედგა „ზაპადნიკებს“. 1847 წ. ლეგალურად წავიდა საზღვარგარეთ, რის შემდეგ აღარ დაბრუნებულა რუსეთში; მთელი 23 წელი ემიგრანტობაში გაატარა. 1848 წლ. რევოლიუციის დამარცხებამ დიდი გავლენა მოახდინა გერცენის აზროვნებაზე. მან შეიმუშავა შეხედულება ევროპის ცივილიზაციისა და კაპიტალიზმის „დალპობის“ და რუსეთის განვითარების თავისებური გზების შესახებ; იგი ფიქრობდ:: რუსეთმა კვერდი უნდა აუაროს კაპიტალიზმის განვითარებას და მიწის თემური წყობილებისა და არტელების საშუალებით გადავიდეს სოციალისტურ წყობილებაში. ამით მან საფუძველი ჩაუყარა რუსეთის უტოპიურ-ნაროდნიკულ სოციალიზმს. მაგრამ გერცენი ნაროდნიკების ლიბერალურ ფრთას გამოხატავდა: იგი წინააღმდეგი იყო რევოლიუციისა და თვით მეფესა და მოწინავე თავად-აზნაურობას მოუწოდებდა რეფორმისაკენ. ამ საკითხში მას მკაცრი შეხლა-შემოხლა ჰქონდა ჩერნიშევსკის Ჯგუფთან. რეფორმის შემდეგ პერიოდში გერცენის დიდი გავლენა დაეცა რუსეთში: ლიბერალური წრეები ჩამოსცილდენ Წოლონელებისათვის მხარის დაჭერის გამო, ხოლო რევოლიუციონური ინტელიგენცია უკმაყოფილო იყო მისი ლიბერალური მეთოდით. თავის „კოლოკოლ“-ში იგი ხშირად ათავსებდა წერილებს საქართველოს შესახებ. ნ. ნიკოლაძის პირადი ნაცნობი და ერთხანს მეგობარი იყო. თავის მიწერ-მოწერებში იგი ხშირად იხსენიებს ნიკოლაძეს. 1865 წ. გერცენის წინადადებით ნ. ნიკოლაძემ რამოდენიმე წერილი მოათავსა „კოლოკოლ“-ში. თავის „Былое и думы-ს ერთ თავში შემდეგნაირად გადმოგვცემს ნიკოლაძესთან შეხვედრას:

„მე კი თქვენთან მოვედი რჩევისათვის—მომმართა მე ერთმა ახალგაზოდა ქართველმა, რომელიც გარეგნობით ახალგაზრდა ვეფხს, ჰგავდა,—მე მინდა ვსცეო სკარიატინს (რეაქციონური ორგანოს რედაქტორი იყო. რ. ე. დ.).

— თქვენ უთუოდ მოგეხსენებათ, რომ კარლ მეხუთე . . .

— ვიცი, ვიცი, თუ ღმერთი გწამთ ნუღარ განაგრძობთ,—ვეფხი, რძეთ ძარღვებში, წავიდა" (იხ. გერცენის თხზულებანი ტ. XIV, გვ. 448).

პირადათ მე გადმომცა ნ. ნიკოლაძემ, რომ 1865 წ. ჟენევის კაფეებში გერცენთან ერთად ხშირად იკრიფებოდენ: ვინმე ბაგრატიონი, ტფილისელი ხუბალაშვილი და თვით ნიკოლაძე. ცენტრარქივებში არის ერთი დოკუმენტი, რომელშიაც კონსტანტინოპოლის სომხეთის პატრიარქი აცნობებს პეტერბურგში სინოდს, რომ გერცენს ჟენევაში ხვდება სამი ქართველიო.

დაახლოვებით 1866 წლიდან დამოკიდებულება გერცენსა და ნიკოლაძის შორის გამწვავდა. ნიკოლაძე აღარ იზიარებს გერცენის პოლიტიკას და მისი მოღვაწეობა დამთავრებულად მიაჩნდა. აქედან წარმოსდგა ის მკაცრი კილო, რომელსაც ჩვენ ვხვდებით გერცენის კერძო წერილში ნიკოლაძის მიმართ.

19. (გვ. 98) **ნ. ნ ე კ ლ ი უ დ ო ვ ი** (1840—96)—ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო 1861 წ. სტუდენტთა არეულობისა. იგი დაპატიმრებული იყო, როგორც სტუდენტთა დეპუტატი. შემდეგში სასამართლოს საშსახურში შევიდა და ითვლებოდა სენატის ობერ-პროკურორად, შემდეგში იუსტიციის მინისტრის ამხანაგადაც.

20. (გვ. 103) **მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი** (დაიბ. 1837 წ.) დოკუმენტებში იგიც აღნიშნულია, როგორც 1861 წ. არეულობის მონაწილე, რისთვისაც ორი თვე იჯდა კრონშტადტის ციხეში, შემდეგ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდა.

21 (გვ. 104) **პ. ლ. ლ ა ვ რ ო ვ ი** (1823—1900) რუსეთის მეცნიერი და რევოლიუციონერი სოციალისტი. პირველად სამხედრო სამსახურში იყო და პოლკოვნიკის ჩინი მიიღო. ითვლებოდა აგრეთვე სამხედრო არტილერიის პროფესორად. 60-ან წლების დასაწყისში დაუახლოვდა ჩერნიშევსკის. 1861 წ. მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტთა არეულობაში. 1862 წ. შევიდა „მაწა და თავისუფლების" საზოგადოებაში. 1866 წ. დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1870 წ. გ. ლოპატინის დახმარებით გაიპარა საზღვარგარეთ, სადაც შევიდა ინტერნაციონალის წევრად. მონაწილეობას ღებულობდა პარიზის კომუნაში (1871). პირადათ გაიცნო მარქსი და ენგელსი. 1873—76 წლებში სცემდა (ჯერ ციურიხში, შემდეგ ლონდონში) რევოლიუციონურ კრებულს „Вперед"-ს ინტელიგენციის დავალებით და იმავე სახელწო-

დებით ორკვირეულ ჟურნალს. თავის წერილებში იგი ატარებდა „ხალხში გასვლის“ აზრს, რომ ინტელიგენციას ხანგრძლივი სოციალისტური პროპაგანდის საშუალებით მოემზადებია ხალხი რევოლიუციისათვის. 80-ან წლებში იგი დაუახლოვდა „ნაროდნაია ვოლია“-ს პარტიას და 1883—86 წლებში რედაქტორობდა ტიხომიროვთან ერთად „Вестник Народной Воли“-ს. 1889 წ. იგი დაესწრო მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესს და სხვათა შორის, სომხეთის სოციალისტურ პარტიის მანდატითაც იყო აღჭურვილი. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდი იგი დარჩა ნაროდნიკული მსოფლმხედველობის მატარებელი და შეურიგებელი მტერი მთავრობისა. თავისი „ისტორიული წერილები“-ს გამოქვეყნებით (1868—9) უდიდესი გავლენა იქონია რუსეთის ინტელიგენციაზე, იგი გახდა მამამთავარი რუსული სუბიექტიური სოციოლოგიისა. ამ წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა ქართველ ინტელიგენციაზედაც. „ვპერიოდ“-ის შინაური მიმოხილვის რედაქტორად მოწვეული ყავდა ქართველი ანარქისტი ვარ. ჩერქეზიშვილი (1844—1925) ამ ორგანოში ხშირად იბეჭდებოდა წერილები საქართველოდან ხალხის ეკონომიურ სილატაკის, გლეხთა არეულობისა, მთავრობის პოლიტიკისა და რევოლიუციონური მოძრაობის შესახებ. კორესპონდენციას გზავნიდენ ქართველი ნაროდნიკები, მათ შორის გ. ზდანოვიჩი—მაიაშვილი. „ვპერიოდ“-ი და ლავროვის სხვა რევოლიუციონური ნაწერები 70-ან წლებში ბლომად ვრცელდებოდა საქართველოში არალეგალურად; ნაროდნიკულ ორგანიზაციას ისინი შემოჰქონდა ბათომის გზით და მოსკოვის რევ. ორგანიზაციების საშუალებით. 1876 წ. მღვდ. სამადაშვილს დაუჭირეს მთელი კომპლექტი „ვპერიოდის“ და ლავროვის სხვა ნაწერები.

ნ. ნიკოლაძე არ იზიარებდა ლავროვის რევოლიუციონური პროპაგანდის ტაქტიკას და მის წინააღმდეგ წერილიც მოათავსა „Тифлисский Вестник“-ში (იხ. № 90, 1875 წ. წერილი: „Капризы пера“).—

1882 წ. ნიკოლაძეს, როდესაც მან შუამავლის როლი იკისრა „Священная дружина“-ს და „Народная Воля“-ს შორის, ვრცელი მოლაპარაკება ჰქონდა ლავროვთან პარიზში იმის შესახებ, თუ როგორი პირობები წარედგინა „ნაროდნაია ვოლიას“ მთავრობისათვის განსახორციელებლად.

22. (გვ. 104) ნ. **შელგუნოვი** (1824—91) ცნობილი პუბლიცისტი და 60-ან წლების მოღვაწე. შედიოდა ჩერნიშევსკის ჯგუფში. 1861 წ. მიხაილოვთან ერთად გამოსცა მოწოდებები: „К моло-

дому поколению“ და „К солдатам“. იყო რამოდენიმეჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული. თანამშრომლობდა სხვადასხვა რადიკალურ ჟურნალ-გაზეთებში. აქვს საინტერესო მოგონებანი. 1889 წ. შელგუნოვს და ნ. ნიკოლაძეს კამათიც ჰქონდათ ერთმანეთში (იხ. „Русская Мысль“ № IV და „Новое обозрение“ № 1848, 1889 წ.)

23. (გვ. 105) **სტუდენტთა დეპუტაციაში შედიოდენ**: ნ. ი. უტინი, მიხაელისი, გენი, სტეფანოვიჩი, დანენბერგი, ლევენტალი, ზელენაკი, გრიგოროვსკი და პოკროვსკი, 26 სექტემბერს დააპატიმრეს არა მარტო დეპუტაციის წევრები, არამედ სხვა სტუდენტებიც, დაახლოვებით 28 კაცამდე (ჟურ. „Каторга и ссылка“-ს შენიშვნა).

24 (გვ. 106) **გლეხთა განთავისუფლებისათვის მზადებას საქართველოში**, როგორც ცნობილია გვიან შეუდგენ. რუსეთის თვითმპყრობელობას პირველ ხანებში არ სურდა მოემდურებია ქართველი თავად-აზნაურობა, რადგან ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა მტკიცე დასაყრდენ ნიადაგს ა-კავკასიაში. მას სურდა თავად-აზნაურობის მიმხრობითა და მათზე დაყრდნობით განემტკიცებია თავის ბატონობა, ამიტომ იგი აიმედებდა ამ წოდებას, რომ ბატონყმობის მოსპობის საკითხი შორეულ დროისათვის იქნება გადადებული. „კოლოკოლის“ ერთი უცნობი ტფილისელი კორესპონდენტი 1861 წ. სწერს:

„...Вопрос об освобождении крестьян на Кавказе вовсе не тронут, потому что Барятинский боится раздражать кавказское дворянство“.

(იხ. „Колокол“ № 93, გვ. 786, 1861 წ.).

მაგრამ გლეხთა უმკაყოფილებამ, საგარეო და საშინაო პიროებებმა აიძულა მთავრობა ფორმალურად მაინც შესდგომოდა „რეფორმისაოვის“ მზადებას. 1862 წ. შეადგინეს სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტები თავად-აზნაურობისაგან. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ პროექტის შედგენა მიანდო ცნობილ დიმ. ყიფიანს, რომელმაც სავსებით დაიცვა თავისი წოდების ინტერესები და მოითხოვა ყმების ხიზანთა მდგომარეობაში გადაყვანა. ტფილისის გუბერნიაში „რეფორმა“ გამოცხადდა 1864 წ., ქუთაისის—1865 წ., სამეგრელოში—1867 წ.

25. (გვ. 106) **ა. ი. ბარიათინსკი** (1814-79), მეფის-მოადგილეთ იყო კავკასიაში 1856-62 წლებში. მის შემდეგ მეფის-მოადგილეთ დაინიშნა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

26. (გვ. 109) **„კოლოკოლში“ სტუდენტთა არეულობის შესახებ ბლომად იყო წერილები მოთავსებული.** აღნიშნულ 1861 წ. № 114-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი: „Материалы для истории гонения студентов при Александре II“ (გვ. 950—56). ამ წერილში მოყვანილი არის ოფიციალური სია იმ 240 სტუდენტისა, რომელნიც პეტრე-პავლოვის ციხეში ისხდენ 1861 წ. 12—24 ოქტომბერს.

27. (გვ. 109) მოგვყავს აქ „კოლოკოლ-“ იდან **სია იმ ქართველ სტუდენტებისა**, რომელნიც 1861 წ. იყვნენ დაპატიმრებულნი პეტერბურგში: ნიკო ნიკოლაძე, აბელ ჩოლოყაშვილი, დავით ღოლობერიძე, დავით აბდუშელიშვილი, პეტრე ალხაზიშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, გრიგოლ ჯავახიშვილი, გიორგი წერეთელი, იაკობ ისარლიშვილი [1]), ბესარიონ ღოლობერიძე. რასაკვირველია, არეულობაში მონაწილე ქართველ სტუდენტთა რიცხვი ბევრად მეტი იყო, ვინემ სიაში არიან მოხსენებულნი და ან დაპატიმრებულნი იყვნენ[2]) (მაგ. ჩვენ ვიცით, რომ ნიკო ღოლობერიძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა არეულობაში, მაგრამ იგი დაპატიმრებას გადარჩა). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს პირები შეტანილი არიან რუსეთის რევოლიუციონერთა ლექსიკონში (იხ. „Деятели революционного движения в России“ ტ. I, ნაწილი II, 1928).

28. (გვ. 109) **მ. ს. გულევიჩი**—ითვლებოდა „მიწა და თავისუფლების“ საზოგადოების წევრად. 1863 წ. წავიდა საზღვარგარეთ და ელპიდინთან ერთად მუშაობდა. 1874 წ. თავი მოიკლა.

29. (გვ. 109) **ი. პიატროვსკი** (1841-62) — „სოვრემენნიკ“-ის თანამშრომელი, მონაწილე სტუდენტთა არეულობისა. თავი მოიკლა 1862 წ.

30. (გვ. 110) **ი. როუდესტვენსკი**—ჟურნალისტი და მთარგმნელი. მონაწილე 1861 წ. სტუდენტთა არეულობისა, დაპატიმრებული იყო რამოდენიმეჯერ. თავისი წიგნი „Литературное па-

---

1) ი. ისარლიშვილი (დაიბადა 1842 წ.) არ იყო აქტიური წევრი ქართველ სტუდენტთა წრისა, მაგრამ მაინც ორჯერ იყო დაპატიმრებული 60-იან წლებში ახალთაობის მოძრაობის გამო: 1861 და 1864 წლებში. მისი მოგონება 60-იანი წლების ქართველ სტუდენტთა შესახებ ჩაწერილი აქვს გ. მ. თუმანიშვილს თავის წერილში „Н. Г. Чернышевский и Кавказцы“ (იხ. მისი წიგნი: „Характеристика и воспоминания“ წიგნი I, გვ. 220—33 1913 წ.).

2) კირილე ლორთქიფანიძე ერთს თავის წერილში 1862 წ. იანვრის თარიღით თავის ძმას გრიგოლს სწერს, რომ კრონშტატის ციხეში დაპატიმრებული იყო 13 ქართველი სტუდენტი.

дение Жуковского и Антоновича“ გამოსცა 1868 წ., გარდაიცვალა 1874 წ.

31. (გვ. 110—11) **მიხაილოვიხადმი გაგზავნილი ლექსი და მისი პასუხი** დაიბეჭდა „კოლოკოლის“ № 119-20 ნომერში. მიხაილოვისადმი გაგზავნილი ლექსის ავტორად ითვლებოდა ნ. ი. უტინი; ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ მისი ავტორი იყო როჟდესტვენსკი. ლექსები ნიკოლაძეს მოყვანილი აქვს ზეპირად; ისინი ცოტაოდენად განსხვავდება დედნებისაგან. მოგვყავს აქ როჟდესტვენსკის ლექსის დასასრული, რომელიც ნ. ნიკოლაძეს არ მოუყვანია თავის მოგონებაში.

Но день придет и на свободе
Мы про тебя расскажем все,
Раскажем в русском мы народе,
Как ты страдал из за него.

——

Да, сеял доброе ты семя,
Вещал ты слово правды нам,
Верь, плод взойдет и наше племя
Отмстит сторицею врагам.

——

И разорвет позора цепи,
Сорвет с чела ярмо раба,
И призовет из снежной степи
Сынов народа и тебя.

(იხ. „Колокол“ № 119—120 გვ. 1001, 1862 г.: „Михайлов и студентское дело“. ლექსის სათაურია—„Узнику“.)

„Каторга и Ссылка“-ს რედაქტორს ნიკოლაძის ტექსტიდან გამოუტოვებია მიხაილოვის პასუხი სტუდენტებისადმი. ჩვენს ტექსტში იგი ებეჭდება ქართულ ნაბეჭდიდან. მიხაილოვის ლექსის ქვეშ პოეტის მიერ მიწერილი იყო სტუდენტებისათვის შემდეგი სიტყვები:

„Спасибо за слезы, которые вызвал у меня ваш братский привет. С кровью приходится мне отрывать от сердца все, что дорого, чем светля жизнь! Дай бог лучшего времени, хоть может мне уже и не суждено воротиться“. (იქვე).

32. (გვ. 113) **ნ. გ. ჩერნიშევსკი** (1828—89)—პუბლიცისტი, მეცნიერი, 60-იანი წლების „რაზნოჩინური“ ინტელიგენციის იდეოლოგი. მარქსმა მას უწოდა „დიდი რუსი მეცნიერი და კრიტი-

კოსი, რომელმაც ოსტატურად ნათელჰყო ბურჟუაზიული ეკონომიის გაკოტრება". მღვდლის შვილი იყო. საშუალო განათლება სარატოვის სემინარიაში მიიღო. 1850 წ. დაამთავრა პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1856—62 წლებში იგი შეიქმნა „სოვრემენნიკ"-ის ფაქტიური რედაქტორი და იდეური ხელმძღვანელი რუსეთის რევოლიუციონური ინტელიგენციისა. ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა 40—50 წლების დასავლეთ ევროპის რევოლიუციონური და იდეური მოძრაობის ზეგავლენით: ფეიერბახიდან მან შეითვისა საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი და მისი მქადაგებელი გახდა რუსეთში; ჰეგელიდან—დიალექტიური მეთოდი, მაგრამ მან ვერ შესძლო. დიალექტიურ მატერიალიზმამდე მისვლა და სოციალოგიაში ნაწილობრივ მაინც იდეალისტი დარჩა; კრიტიკა კაპიტალისტური წყობილებისა და სოციალისტური თეორია მან შეითვისა ფურიედან და სხვა უტოპიურ სოციალისტებიდან. ხოლო მისი მეთოდი ბლანკისტურ-რევოლუციონური იყო. უკვე 1848 წლის რევოლიუციის ზეგავლენით იგი გარკვევით დაადგა გლეხთა აჯანყების ტაქტიკას. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მთავრობის რეფორმა და 1861 წ. დაწერილ პროკლამაციაში („Барским крестьянам") გლეხობას მოუწოდებდა რევოლიუციონური აჯანყებისაკენ. 1861—62 წლებში იგი ახლოს იდგა „მიწა და თავისუფლების" საზოგადოებასთან. დააპატიმრეს 1862 წ. 1864 წ. სენატმა „за сочинение возмутительного восстания с целью его распространения и за принятие мер к ниспровержению существующего строя" მას აჰყარა ყოველგვარი უფლება, მიუსაჯა საკატორღო მუშაობა მაღაროებში 14 წლით და სამუდამოდ ციმბირში გადასახლება. შემდეგ კატორღის ვადა შეუცვალეს 7 წლით. ამის შემდეგ მთელი თავისი უკანასკნელი ცხოვრება ციხესა და გადასახლებაში გაატარა. 1883 წ. ნ. ნიკოლაძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო მისი ვილუისკის საპყრობილედან განთავისულების საქმეში. (იხ. ამის შესახებ მისი „Освобождение Чернышевского", „Былое" № 10, 1906 წ.)

ჩერნიშევსკის გავლენა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაზე მეტად დიდი იყო, იგი თავისებური ნაროდნიკული სოციალიზმის იდეოლოგიას ქადაგებდა და თავისი ტაქტიკით დიდათ განსხვავდებოდა გერცენისაგან. ჩერნიშევსკის გავლენა მეტად დიდი იყო 60-იან წლების ქართველ ინტელიგენციაზედაც. ახალი იდეები ჩვენმა ინტელიგენციამ ჩერნიშევსკის ნაწერებიდან და მისი „სოვრემენიკიდან" შეითვისა. (იხ. ამის შესახებ ჩემი ნარკვევი: „ნ. ჩერნიშევსკი და ქართველი ინტელიგენცია"—მოთავსებულია მონოგრაფიაში

ჩ-კის შესახებ.) როგორც წ. ნიკოლაძის მოგონებიდან სჩანს—ჩერნიშევსკსა და მის ოჯახობას პირადათ კარგად იცნობდა ჩვენი მაშინდელი სტუდენტობა. ჩვენ გვაქვს ამის შესახებ კიდევ მოგონება ი. ი ს ა ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა, რომელიც გ. თუმანიშვილმა ჩასწერა 1913 წ. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იყო მითითება ჩერნიშევსკის ნაწერებზე, რასაკვირველია, ავტორის დაუსახელებლად ცენზურულ პირობების გამო. მოწინავე ინტელიგენციაში ფარულად ვრცელდებოდა ჩერნიშევსკის ნაწერები. კ. ლორთქიფანიძის არქივში ინახება ცალკე ტომებად შეკრული ჩერნიშევსკის ნაწერები „სოვრემენიკი"-დან. აქვეა ხელნაწერი ს. პოლტარაცკის შედგენილი: „Б и б л и о г р а ф и ч е с к и й у к а з а т е л ь с о ч и н е н и й Н. Г. Ч е р н ы ш е в с к о г о 1853—1863". 1877 წ.

ნიკოლაძე სწერს კ. ლორთქიფანიძეს კერძო წერილში:

„შენ წიგნებს არ ვავხსნი. მაგრამ გთხოვ კი, როგორც მოგვიდეს, დიდი დავალება-მიქნა, ჩერნიშევსკის კოლექცია მათხოვო. ბეფიცები ყველაფერს, რაც კი მწამს, რომ არც დაგიკარგავ, არც წაგიხდენ, რადგანაც მე მვირია „Журнальное обозрение"-ს შედგენა. ხშირად დამჭირდება მისი სიტყვების ხსენება და გახსენება, და უწიგნოთ არ შემიძლია" *).

33. (გვ. 113) ნ. ა. დ ო ბ რ ო ლ ი უ ბ ო ვ ი (1836—61) ცნობილი კრიტიკოსი და პუბლიცისტი 60-იან წლების ერთ ერთი იდეური ხელმძღვანელი, ჩერნიშევსკის უახლოესი მეგობარი და თანამშრომელი. 1857 წ. იგი გახდა „სოვრემენიკის" მუდმივი თანამშრომელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი. ჩერნიშევსკიმ ლიტერატურული კრიტიკის საქმე მას ჩააბარა. მის წერილებს იტალიის მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მეტად დიდი რევოლიუციონური გავლენა ჰქონდა ახალგაზრდობაზე. გარდაიცვალა ჭლექით სრულიად ახალგაზრდა. ჩერნიშევსკისთან ერთად დობროლიუბოვის ნაწერებს დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენს ინტელიგენციაზედაც. 60—70-იან წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად არის მითითება მის წერილებზე. 1863 წ. „საქართველოს მოამბე"-ში გადმოთარგმნილია მისი სტატია იტალიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ (იხ. № 1 გვ. 54—110) გადმოთარგმნილია დობროლიუბოვის რამოდენიმე ლექსი კირ. ლორთქიფანიძის მიერ, რომელიც დროგამოშვებით იბეჭდებოდა „დროებასა" და „კრებულში". ბელინსკის, დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ესთეტიურ თეორიიდან ჩვენმა მაშინდელმა მოწინავე ინტელიგენციამ შეითვისა უტილიტარული და რეალისტური შეხედულება.

*) ამ წერილის დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

34. (გვ. 115) **ტ უ ს ა ლ ს ტ უ დ ე ნ ტ თ ა ჯ გ უ ფ ი ს ს უ რ ა თ ს,** რომელიც გადაღებული იყო 1861 წ. კრონშტატის ციხეში, ჩვენ ვათავსებთ ამ ტომში. ეს სურათი აღმოჩნდა გ. წერეთლის არქივში. უმეტესი ნაწილი დაპატიმრებულ ქართველ სტუდენტებისა აქ არის მოთავსებული. ეს ეგზემპლიარი ასეთი სურათისა კირ. ლორთქიფანიძის არქივშიც აღმოჩნდა და ინახება ქუთაისის მუზეუმში.

35. (გვ. 115) **ნ. ო გ ა რ ე ვ ი** (1813—77)—პოეტი და პუბლიცისტი, გერცენის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. 30-იან წლებში რამოდენიმეჯერ იყო დაჭერილი და გადასახლებული 1856 წ. სამუდამოთ წავიდა რუსეთიდან და გერცენთან ერთად ჩაუდგა ემიგრაციას საოთავეში. იგი იყო უახლოესი თანამშრომელი და თანარედაქტორი „კოლოკოლ"-ისა, ავტორი მთელ რიგ პროკლამაციებისა და ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი „მიწა და თავისუფლებისა". ნ. ნიკოლაძე პირადათ იცნობდა მას.

36. (გვ. 116) **ნ. დ ო ბ რ ო ლ ი უ ბ ო ვ ი გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა** 1861 წ. 17 ნოემბერს.

37. (გვ. 117) **ნ. ა. ნ ე კ რ ა ს ო ვ ი** (1821—78) პოეტი და პუბლიცისტი, ოფიციალური რედაქტორი ჟურნ. „სოვრემენნიკ"-ისა უახლოესი მეგობარი ნ. ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვისა, მისი პოეზია გაჟღენთილია სამოქალაქო დემოკრატიული მოტივებით. 60—70 წლებში ხშირად თარგმნიდენ მის ლექსებს ქართულად. 1864 წ. კ. ლორთქიფანიძემ მოათავსა თავის გამოცემულ „ჩონგურში" მისი ცნობილი პოემის „მ ო ქ ა ლ ა ქ ე დ ა პ ო ე ტ ი"-ს თარგმანი. ხშირად თარგმნიდა მის ლექსებს ან. ფურცელაძე.

38. (გვ. 117) **ა. ი. პ ა ნ ა ე ვ ა-გ ო ლ ო ვ ა ჩ ო ვ ა** იყო მეუღლე ცნობილი პუბლიცისტის და ნეკრასოვის მეგობარ პანაევისა. მან დასწერა მოგონებანი 40—60 წლების მოღვაწეებზე, რომელიც ამ ორიოდე წლის განმავლობაში ორჯერ გამოვიდა, ხოლო პირველად 1889 წ. დაიბეჭდა. ამ მოგონების შესახებ ნ. ნიკოლაძემ წერილი მოათავსა „Новое Обозрение"-ში (იხ. № 1159, 1889 წ.).

39. (117) **„В р е м я"** გამოდიოდა ცნობილი მწერლის თ. დ ო ს ტ ო ე ვ ს კ ი ს უახლოესი ხელმძღვანელობით. იგი სლავიანოფილური და კონსერვატიული მიმართულებისა იყო.

40. (გვ. 117) **გ ე რ ც ე ნ ი ს ა ზ რ ე ბ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო თ** ჩერნიშევსკიმ 1861 წ. მოათავსა წერილი „О падении Рима". წერილში იგი არ ასახელებდა გერცენს, ხოლო არღვევდა მის ცნობილ დებულებას ევროპის ცივილიზაციის დალპობის შესახებ. გერცენი ჰფიქრობდა, რომ რუსეთს თავისი განვითარების საკუთარი გზა

აქვს და მას შეუძლია გვერდი აუარაოს ევროპის კაპიტალიზმს და თემური წყობილების საშუალებით ევროპაზე უფრო ადრე მივიდეს სოციალიზმამდე და ამით თვით ევროპაც გამოიყვანოს ქაოტიურ მდგომარეობიდანო. ჩერნიშევსკი ძირიანად არღვევდა ამ დებულებას და ამტკიცებდა, რომ ევროპას თავისი „ჭკუა აქვს თავში“ და იგი ყველაზე უფრო ადრე შესძლებს სასურველი წყობილების განხორციელებასო, რუსეთს მხოლოდ ევროპის საშუალებით შეეძლება განახორციელოს სოციალისტური წყობილებაო; 1865 წ. თვით ნ. ნიკოლაძეც ამავე საკითხში ეკამათებოდა „Колокол“-ის ხელმძღვანელებს (იხ. ამ ტომში მისი წერილი „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ გვ. 175).

41. (გვ. 117) ი ვ. ს. ა კ ს ა კ ო ვ ი (1823—86) პუბლიცისტი და სლავიანოფილი: იგი იყო რედაქტორ-გამომცემელი მთელ რიგ სლავიანოფილურ ორგანოებისა. 60-იან წლებამდე მის წერილებში კიდევ სჩანდა ლიბერალური მისწრაფებანი, მაგრამ პოლონეთის აჯანყების და რევოლიუციონური მოძრაობის განვითარების შემდეგ იგი აშკარა ნაციონალისტურ პოლიტიკას დაადგა და რეაქციონურ მისწრაფებას გამოხატავდა. ჩერნიშევსკიმ თავის წერილში სასტიკად დაჰგმო მისი ნაციონალური პოლიტიკა და დაიცვა პოლონელები სლავიანოფილთა თავდასხმისაგან.

42. (გვ. 117) ი ვ. ა ნ დ რ ე ე ვ ს კ ი (1831—91), როგორც „Каторга и Ссылка“-ს რედაქცია შენიშნავს, იყო არა თავმჯდომარე, არამედ კომისიის წევრი უნივერსიტეტიდან.

43. (გვ. 119) როგორც იგივე რედაქციაც შენიშნავს, ნ. ნიკოლაძეს დ ა მ ნ ა შ ა ვ ე თ ა კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ა დ ა და ჯ გ უ ფ ე ბ ა დ დ ა ყ ო ფ ა არა აქვს ვადმოცემული სავსებით სწორად: ახლად აღმოჩენილ საარქივო მასალების მიხედვით დამნშავეთა კატეგორიები ცოტა სხვანაირი ყოფილა. ჩვენ ეს ცნობა არ მოგვყავს აქ, რადგან იგი მაინც და მაინც დიდ ინტერესს არ წარმოადგენს ჩვენი მკითხველებისათვის.

44. (120) „კ ო ლ ო კ ო ლ“-ს მ თ ე ლ ი რ ი გ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი ს ა მ ო ა თ ა ვ ს ა ს ტ უ დ ე ნ ტ თ ა ა რ ე უ ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ „Исполин просыпается“-ს მოთავსებულია № 110-ში და ხელმოწერილი აქვს გერცენის ცნობილი ფსევდონიმი „Искандер“. ინტერესს არ იქნება მოკლებული აქ მოვიყვანოთ რამოდენიმე ადგილი გერცენის ამ წერილიდან, რომელშიაც იგი მოუწოდებდა ახალგაზრდობას ხალხში გასვლისაკენ.

Доброго утра тебе — пора! — пора! богатырский был твой сон — ну проснись богатырем. Потянись во всю длину молодецкую, вздохни свежим утренним воздухом, да и чихни чтоб вспугнуть всю эту стаю сов, ворон, вампиров, Путятиных, Муравьевых, Игнатьевых и других нетопырей; ты просыпаешься — пора им на покой. Есть нечистота движущаяся — все это прусаки, бого-мокрицы, насекомые лишенные крыл, но не лишенные аппетита, несовместные с дневным светом. Чихни исполин и от них следа не останется, кроме несмываемых пятен польской и крестьянской крови...

Но куда же вам деться юноши, от которых заперли науку?.. Сказать вам куда? Прислушайтесь — благо тьма не мешает слушать — со всех сторон огромной родины нашей! с Дона и Урала, с Волги и Днепра, растет стон, поднимается ропот — это начальный рев морской волны, которая закипает, чреватая бурями, после страшно утомительного штиля. В народ! к народу! — вот ваше место изгнанники науки, покажите этим Бистромам, что из вас выйдут не подячие, а воины, но не безродные наемники, а воины народа русского! Хвала вам! вы начинаете новую эпоху, вы поняли, что время шептания, дальных намеков, запрещенных книг, проходит. Вы тайно еще печатаете дома, но явно протестуете, хвала вам меньшие братья, и наше дальнее благословение. О, если бы вы знали, как билось сердце, как слезы готовы были литься, когда мы читали о студентском дне в Петербурге! (Искандер: „Исполин просыпается" — „Колокол" № 110, გვ: 917-18, 1861 წ.).

45. (120) პროკლამაცია „Великоросс" გამოვიდა 1861 წ იულისში, სექტემბერში და ოქტომბერში. ამ პროკლამაციის გამომშვები ორგანიზაცია მოითხოვდა კონსტიტუციონური წყობილების შემოღებას, მიწების გადაცემას გლეხობაზე და უმთავრესად „განათლებულ კლასს" მოუწოდებდა საქმის ხელში აღებისაკენ. მისი სამოქმედო ტაქტიკა უმთავრესად მშვიდობიანი იყო.

46. (120) აკაკი წერეთელი — იმ ხანებში ჟურნალ „ცისკრის" თანამშრომლად ითვლებოდა და მსუბუქი, ნიჭიერი ლექსებით დიდათ გამოირჩეოდა „ცისკრის" სხვა პოეტებისაგან. სტუდენტთა არეულობის დროს აკაკი პეტერბურგში იყო, მაგრამ მას არეულობაში მონაწილეობა არ მიუღია. როგორც თვით პოეტი გადმოგვცემს იგი წინააღმდეგი იყო არეულობისა და ახალგაზრდობას სწავლისაკენ მოუწოდებდა. თავის „მოგონებაში" აკაკი ამ არეულობის შესახებ სწერს:

„იმ ხანებში (1861 წ.) მოხდა არეულობა უნივერსიტეტში. ჩვენებმა მიიღეს მონაწილეობა და კიდევაც იგემეს ცხე. მე მათში არ ვრეულვარ... არა მიტომ, რომ ციხის შემშინებოდეს... მაშინაც ის რწმუნება მქონდა, ოასაც დღესაც ვადგევარ და ვერ ვუ ალატე: მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავ-

ლოს, დაასრულოს სწავლა და მერე კი აღარ დაერიდოს არავითარ მსხვერპლს. ჩვენში კი უკუღმა ხდება ეს"., (იხ. აკაკი წერეთელი: რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 76).

47. (გვ. 122) **ივანე ანდრონიკაშვილი**—უნდა იყოს შემდეგში ავტორი ნარკვევისა: „Скотоводство в Закавказском Крае", რომელიც მოთავსებულია კრებულში „Свод материалов по изучению экономического быта гос. крестьян". (იხ. ტ. V გვ. 157—357, 1888).

48. (გვ. 123) **მ. ა. ანტონოვიჩი** (1835—1918) კრიტიკოსი და „Современник"-ის უახლოესი თანამშრომელი. 1861 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ამ ჟურნალის კრიტიკულ განყოფილებას. 60-იან წლების დასაწყისში აწარმოებდა პოლემიკას დოსტოევსკის ჟურნალების წინააღმდეგ. ანტონოვიჩი პირადათ იცნობდა ნიკოლაძეს და მასთან მიწერ-მოწერაც ჰქონდა. ერთ დროს იგი ნიკოლაძის „Обзор"-ის თანამშრომელიც იყო.

49. (გვ. 123—4) **სიგიზმუნდ სერაკოვსკი**—პოლონელი პოლიტიკური მოღვაწე და რევოლიუციონერი, 1848 წ. გადასახლებული იყო იმის გამო, რომ იგი ემზადებოდა მონაწილეობის მისაღებად აჯანყებაში. ალექსანდრე II-ის მეფობის დასაწყისში, მას მისცეს აფიცრობა და შევიდა სამხედრო აკადემიაში. იგი ახლოს იდგა „Современник"-ის ჯგუფთან და დაახლოვებული პირი იყო თვით ჩერნიშევსკისთან. 1863 წ. იგი მიემხრო პოლონეთის აჯანყებულებს, მას ებარა კოვნოს რევოლიუციონური რაზმის უფროსობა, ჩაუვარდა ტყვეთ მეფის ჯალათებს და მურავიოვმა ჩამოახრჩო ვილნოში. ეს შესანიშნავი კაცი ჩერნიშევსკის გამოყვანილი ჰყავს თავის შესანიშნავ რომანში „Пролог" სოკოლოვსკის სახელწოდებით; მისი მკვლელი მურავიოვი—გრაფ ჩაპლინის სახელწოდებით, რომელსაც ყასაბსა და სისხლის მსმელს უწოდებს.

50. (გვ. 124))—**განხეთქილება ჩერნიშევსკისა და ლიბერალებს შორის** (ტოლსტოი, ტურგენევი და სხვ.)—უკვე დიდი ხნიდან დაიწყო. რუსეთის ლიბერალური მწერლები თავიანთი შთამომავლობით არისტოკრატები იყვნენ, ხოლო „Современник"-ის თანამშრომლები რაზნოჩინულ-დემოკრატიულ წრეებიდან იყვნენ გამოსული. მაგრამ განსაკუთრებული მტრობა მათ შორის მსოფლმხედველობამ გამოიწვია. ლიბერალებს, აღზრდილთ 49-ან წლების იდეალისტურ ფილოსოფიაზე, არ მოსწონდათ „Современник"-ის ახალი თანამშრომლების „უხეში" მატერიალიზმი, ისინი უარყოფდენ ჩერნიშევსკის ესტეტიურ თეორიას, განსაკუთრებით კი აფრთხობდათ

„Современник“-ი დემოკრატიზმი, რევოლიუციონიზმი, სოციალიზმი, და მკაცრი კრიტიკა რუსეთის წყობილებისა და ბურჟუაზიული აზროვნების. ამ ნიადაგზე დასცილდენ რუსეთის ლიბერალები „Современник“-ის ჯგუფს, რომელსაც ისინი ლანძღვითა და გინებით იხსენიებდენ.

51. (124) ი. ზ. ჟუკოვსკი—(1822—1907)—ეკონომისტი, თანამშრომელი „Современник“-ისა და „Вестник Европа“-სი, მის კალამს ეკუთვნის „მე-19-ე საუკუნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი თეორიები“, „პრუდონი და ლუი ბლანი“ და სხვა. 1877 წ. მან გამოაქვეყნა „Вестник Европа“-ში მკაცრი წერილი მარქსის საწინააღმდეგოდ: „Карл Маркс и его книга о капитале“ ამ წერილს მოყვა ნ. მიხაილოვსკის ცნობილი პასუხი; „Карл Маркс перед судом Ю. Жуковского“, და ნ. ზიბერის: „Несколько слов замечаний по поводу статьи г. Ю. Жуковского“, როგორც ცნობილია, ამ პოლემიკამ გამოიწვია თვით კ. მარქსის წერილიც, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

52. (გვ. 125) ნ. ა. სერნო-სოლოვიოვიჩი—60-იან წლების ცნობილი რევოლიუციონერი. 1861 წ. პეტერბურგში გახსნა წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა სამკითხველოთი. მონაწილეობას ღებულობდა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში. მოაწყო საკვირაო სკოლები, თანამშრომლობდა გერცენის გამოცემებში, გაზ. „მიწა და თავისუფლებაში“, მონაწილეობას ღებულობდა პროკლამაციების გამოცემაში. დააპატიმრეს 1862 წ. „ლონდონის პროპაგანდისტებთან“ დამოკიდებულობის გამო. 1866 წ. გარდაიცვალა ირკუცკში გადასახლებული.

53. (გვ. 127) ვ. ვ. პავლოვი (1823—95) პროფესორი, ორგანიზატორი საკვირაო სკოლებისა, 1860 წელს დააპატიმრეს ხარკოვის სტუდენტთა საქმესთან დაკავშირებით. 1862 წ. საჯარო საღამოზე წარმოთქმულ სიტყვისათვის იგი ადმინისტრატიული წესით მეორე დღესვე გადაასახლეს კასტრომის გუბერნიაში. თავის სიტყვის დასასრულში პავლოვი ამბობდა:

„Если не ошибаемся, образованный, достаточный класс в России понял, что ввиду возможности исторического переворота, благоразумие повелевает ему сблизиться с невежественным, недостаточным классом в городах и селах, как к несомненной выгоде этих последних классов, так еще более в видах собственной пользы... На роковом рубеже прожитого нашим отечеством тысячелетия, в переходную эпоху большого общественного переворота, одно это слияние всех интересов может спасти Россию от великой гибели, спасти от

бедствий, угрожающих ей. На краю этой пропасти стоят наши достаточные классы, они стремглав в нее полетят, если не прибегнут к единственному средству их спасения: к общению с народом!!! Имеющие уши слышати, да слышат". (Б. Базилевский: „Материалы для истории революционного движения в России в 60-х гг." გვ. 53).

54. (გვ. 130) **პ. ე. არგილოპულო** (1839—62)—1860—61 წელში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტთა წრეების მოწყობაში; აკრძალულ წიგნების დაბეჭდვასა და გავრცელებისათვის დააპატიმრეს 1861 წ. ციხეში, პ. ზაიჩნევსკისთან ერთად მონაწილეობა მიიღო პროკლამაცია „მოლოდაია როსია"-ს შედგენაში, რომელიც 1862 წ. გამოვიდა, მიუსაჯეს ციხეში ჯდომა 2½ წლით.

55. (გვ. 130) **პ. ზაიჩნევსკი** (1842—96)—60-ანი წლების ერთ-ერთი რევოლიუციონერი, ბლანკიზმის მიმდევარი, არალეგალურ წიგნების გამავრცელებელი. ერთ-ერთი ავტორთაგანი პროკლამაციის „მოლოდაია როსსია"-სი.

56. (გვ. 131) **გრაფ. მ. ლორის-მელიქოვი** (1825—88)—გენერალი, ა. კავკასიის ერთ-ერთი ცნობილი სამხედრო მოღვაწე, ალექსანდრე მე-II-ის დროს გრაფობა მიიღო. იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1880—81 წელში „უმაღლესი კომისიის" თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი. რუსეთის რეაქციონური წრეები მასზედ დიდ იმედებს ამყარებდენ კრამვოლის აღმოფხვრის საქმეში. მისმა პოლიტიკამ ვერ გადაარჩინა ალექსანდრე მეორე ნაროდოვოლცების თავდასხმისაგან.

57. (გვ. 131) **პროკლამაცია „Молодая Россия"**—გამოვიდა 1862 წლის მაისში. იგი არგილოპულო, ზაიჩნევსკისა და სხვათა გამოცემული იყო. ეს ჯგუფი იაკობინულ-ბლანკისტური ორგანიზაცია იყო, რომელიც „სისხლიანი და შეუბრალებელი რევოლიუციით" ცდილობდა თავის მიზნების მიღწევას. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელნი ემიჯნებოდენ როგორც ოპორტუნისტულ-რეფორმისტულ მიმდინარეობის (გერცენი და სხვა), ისე რევოლიუციონური პროპაგანდის მომხრეებს და საკითხს წმინდა ბლანკისტურად სვამდენ: მომზადება და ორგანიზაცია რევოლიუციის, პოლიტიკური აპარატის დაპყრობა, რევოლიუციონური პარტიის დიქტატურის დაწესება, ტერორით განადგურება ფეოდალურ ექსპლოატატორულ წრეებისა—ასეთი იყო ამ ჯგუფის ტაქტიკა.

58. (გვ. 132) **ა. იაკოვლევი** (1844)—მონაწილე სტუდენტთა 1861 წ. მოძრაობისა, ხელმეორეთ 1862 წ. დააპატიმრეს პროკლამაციების გავრცელებისა და ჯარში პროპაგანდის გაწევისათვის.

სამხედრო სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, რაც შემდეგ 6 წლის კატორღით შეუცვალეს. გარდაიცვალა კატორღაში ტიფით.

59. (გვ. 133) **გ. ელისეევი** (1821—91)—პუბლიცისტი, ყოფილი პროფესორი. „სოვრემენნიკ“-ის თანამშრომელი. 1866 წ. დაპატიმრეს სხვადასხვა არალეგალურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულობისათვის, 1868 წლიდან „ოტეჩ. ზაპისკი“-ს თანარედაქტორი.

60. (გვ. 135) **მ. კატკოვი** (1818—87) ცნობილი რეაქციონერი პუბლიცისტი; ერთ დროს იგი ლიბერალობდა, მაგრამ პოლონეთის აჯანყების შემდეგ სასტიკ რუსიფიკატორულ და რეაქციონურ პოლიტიკას ქადაგებდა. მისი რედაქტორობით 1863—87 წლებში გამოდიოდა ერთ-ერთი უძველესი გაზეთი (დაარსებული 1756 წ.). „მოსკოვსკაია ვედომოსტი“, მანვე დაარსა 1856 წ. „რუსკი ვესტნიკ“-ი, პირველად ლიბერალური მიმდინარეობისა. 1862—63 წლებიდან კი—გავლენიანი რეაქციონური ორგანო. კატკოვს არა ერთხელ გამოულაშქრია საქართველოსა და ქართველ პუბლიცისტების წინააღმდეგ. 1865 წ. მას კამათი ჰქონდა დიმ. ყიფიანთან, ნ. ნიკოლაძესთან და სხვებთან. 60—70-ან წლებში ნ. ნიკოლაძე ხშირად ილაშქრებდა კატკოვის წინააღმდეგ „ტფილისის უწყებასა“ და „ობზორში“. 80-ან წლებში ცნობილი არის ი. ჭავჭავაძის, ს. მესხის, ი. გოგებაშვილის და სხვათა კამათი კატკოვის რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ.

პრუდონის გარდაცვალების გამო

(გვ. 149—158)

I. ტექსტისათვის

ეს წერილი გამოწვეული იყო საფრანგეთის ცნობილი ანარქისტის პრუდონის გარდაცვალების გამო (1809—1865 წ.). პრუდონს ერთ დროს დიდი გავლენა ჰქონდა საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში; პრუდონიზმი თავისებური გამოხატულება იყო წვრილ-ბურჟუაზიულ ფენების მისწრაფებისა და იდეოლოგიის. იმ ხანებში პრუდონისა და მისი მიმდევრების შესახებ ბლომად იწერებოდა, როგორც დასავლეთ ევროპის, ისე რუსეთის მწერლობაში. ინტერესი მოძღვრების გაცნობისა უფრო გაცხოველდა პირველ ინტერნაციონალის პერიოდში (1864—72), როდესაც პრუდონისტულმა მიმდინარეობამ გარკვეული ხაზი დაიჭირა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებში.

აქ მოთავსებული წერილი ჩვენ გადმოვთარგმნეთ ჟურნალ „Заграничный Вестник"-იდან (იხ. 1865 წ. ტ. 5, გვ. 373——382), რომელსაც იმ ხანებში რედაქტორობდა ცნობილი პ. ლ. ლავროვი. თავდაპირველად ეს წერილი მოთავსებული ყოფილა 1865 წ. იანვრის გაზ. „Сан-Петербургские Ведомост"-ის ფურცლებზე; ამ გაზეთას გამომცემელად ითვლებოდა კორში. სამწუხაროდ ეს ნომერი გაზეთისა ვერ ვიშოვეთ და ამიტომ იძულებული შევიქენით წერილი გადმოგვეთარგმნა აღნიშნულ ჟურნალიდან. ამ ჟურნალში იგი არ არის მთლიანად გადმობეჭდილი: მას აკლია რამოდენიმე წვრილმანი ადგილი, რომელსაც რედაქტორი თვისი სიტყვით გადმოგვცემს. წერილი პრუდონზე მოთავსებულია ჟურნალის ევროპის ცხოვრების განყოფილებაში. რედაქტორი ლავროვი ნიკოლაძის წერილს „შესანიშნავ სტატიას" უწოდებს, რომელიც საუცხოოთ ახასიათებს პრუდონის ცხოვრებასა და აზროვნებასო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვით პ. ლავროვსაც 1865 წლამდე არა ერთხელ უწერია თავის წიგნებში პრუდონის შესახებ, მაგრამ მას იმდენად მოს-

წონებია ნიკოლაძის წერილი, რომ თითქმის მთლიანად გადაუბეჭდია იგი თავის ჟურნალში და მხოლოდ ნიკოლაძის წერილის ბოლოში მოყვანილია ადგილი პრუდონის შესახებ თავის წიგნიდან: «Очерки вопросов практической философии» (1860 წ.).

წერილი ხელმოუწერლად არის გადმობეჭდილი და არა სჩანს ავტორის ვინაობა. იგი რომ ნიკოლაძეს ეკუთვნის მტკიცდება შემდეგი ფაქტებიდან:

1. ამაზე მიგვითითებს თვით ნ. ნიკოლაძე ერთ თავის კერძო ვრცელ წერილში, რომელსაც ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს და რომელიც დაწერილია 1914 წ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძის (ალბათ ბაქრაძის) მისამართით, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან 1865 წ. კორშის „სანკტ-პეტერბურგის უწყებაში“ მოათავსა წერილი პრუდონზე, რომელიც შემდეგ გადაბეჭდა თავის ჟურნალში ფილოსოფოსმა ლავროვმა.

(ნიკოლაძის ეს ავტობიოგრაფიული წერილი მოთავსებული იქ, ნება მისი ნაწერების მეორე ტომში).

2. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ხელში თვით ნ. ნიკოლაძის კერძო წერილი კ. ლორთქიფანიძისადმი 1865 წ. 14 (26) ივნისის თარიღით, რომელშიაც სხვათა შორის იგი სწერს:

„მე იმედი მაქვს, რომ იმ წიგნში მომწერ სხვათა შორის Катковская революция-ს [1]) ამბავს და იმასაც დაამატებ თან იყავი ს. პ. ბ უწყებაში თუ არა? თუ ჯერ არ ყოფილხარ, ჩემო კირილე, და აწი აპირობ წასვლას დაინიშნე, რომ გუშინ მეორე სტატია გაუგზავნე, რომელსაც საბელათ ჰქვია „П. Ж. Прудон“. მაგრამ, თუ დრო არა გაქვს, ან გეზარება, ამ საქმის დატოვება არა რას წაახდენს. მე მგონია რომ ტყულა უბრალოთ დავხარჯე кровные ფრანკები(?) ამ სტატიების გასაგზავნათ. სტატიები ძალიან, ძალიან ბლახები არიან, მაგრამ ამის თქმა არც კი საჭიროა—რომ იცოდე რა მდგომარეობაში ვარ, ღმერთმანი ისეც გაგიკვირდება თუ კალამს როგორ ვიღებ ხელში“ [2]).

ამ ფაქტებით ნათლად მტკიცდება, რომ ამ წერილის ავტორი ნამდვილად ნ. ნიკოლაძეა.

---

[1]) ამ წერილის სრული სათაური არის „Катковская революция во франции. ეს წერილი 1864 წლის ნოემბერში გაუგზავნია ნიკოლაძეს დასაბეჭდათ. კირ. ლორთქიფანიძის არქივში არის რამოდენიმე ხელნაწერი ნ. ნიკოლაძისა: მათ შორის ერთი რუსული: „Женский фельетон“, რომელსაც ქვეშ აწერია: Н. Аравин. ეს წერილი უნდა იყოს დაწერილი საზღვარგარეთ 1864—66 წლებში. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ხანებში იგი რუსულ გაზეთებში Н. Аравин-ის ფსევდონიმითაც სწერდა.

[2]) ამ წერილის დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

წერილის სათაური „პ რ უ დ ო ნ ი ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ი ს გ ა-მ ო“ ჩვენ მიერ არის გაკეთებული.

II. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 150) **ი ვ ლ ი ს ი ს** მ თ ა ვ რ ო ბ ა — ავტორი გულისხმობს 1830 წლის საფრანგეთის ივლისის რევოლიუციის მიერ წარმოშობილ მთავრობას, რომელიც უმთავრესად ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა.

2. (გვ. 150) **ე კ ო ნ ო მ ი ს ტ ი** ბ ლ ა ნ კ ი (1798—1854)—ეს იყო ცნობილ რევოლიუციონერისა და სოციალისტის ო. ბლანკის უფროსი ძმა. სეის მიმდევარი—ბურჟუაზიული პროფესორი.

3. (151) **ლ უ ი** ბ ლ ა ნ ი (1811—82)—საფრანგეთის ცნობილი სოციალისტი და 1848 წლის რევოლიუციის მოღვაწე. მისმა წიგნმა „შრომის ორგანიზაციამ“ დიდი გავლენა მოახდინა 40-ან წლებში მუშებზე. 1848 წლის თებერვლის რევოლიუციის დროს იგი არჩეული იქნა დროებით მთავრობაში მუშა ალბერტთან ერთად. ბლანს არ ესმოდა მაშინ მათი რევოლიუციის არსებითი შინაარსი და ბურჟუაზიისა და მუშების შეთანხმებას მოითხოვდა. ამ რევოლიუციაში მუშათა საკითხის მოწესრიგებას ნაციონალური სახელოსნოების დაარსებით ფიქრობდა. ბურჟუაზიული მინისტრები დროებით დასთანხმდენ ბლანის პროექტს, რომ პრაქტიკულათ დაემარცხებიათ მისი სოციალური გეგმები. ლუი ბლანიზმი წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველია; მისი მერყეობა დამახასიათებელია წვრილი ბურჟუაზიის მერყეობისა ყოველგვარ რევოლიუციაში. 60—70-ან წლებში საქართველოში ხშირად სწერდენ ლუი ბლანის შესახებ (ან. ფურცელაძე, დ. მიქელაძე, ნ. ნიკოლაძე). 80-ან წლებში არის ცალკე წიგნაკი მის შესახებ გამოცემული. ნ. ნიკოლაძე პირადათ იცნობდა ლუი ბლანს და მასთან მიწერ-მოწერაც ჰქონდა. თავის ვრცელ წერილში „სხვათა შორის“ ნიკოლაძეს ვრცლად ექვს მოყვანილი მისი საუბარი ლუი ბლანთან 1871 წლის რევოლიუციის შესახებ. (იხ. „კრებული“ № 4, გვ. 201—227, 1873 წ. წერილი „ს ა უ ბ ა რ ი ლ უ ი ბ ლ ა ნ თ ა ნ“). როგორც ნიკოლაძის კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილი წერილებიდან სჩანს, 1865 წ. ნიკოლაძეს უთარგმნია რუსულად ლუი ბლანის ორტომიანი წიგნი: „Письма об Англии“. (ამ თარგმანის შესახებ იგი ზემოდ დასახელებულ წერილშიც ლაპარაკობს. ეს თარგმანი უნდა იყოს მ. ა ნ ტ ო ნ ო ვ ი ს რედაქციით გამოცემული 1866 წ. (იხ. Луи Блан: „Письма об Англии т. I—II, 1865. Изд. П. Щепова).

4. (151) **ლედრიუ-როლენი** (1807-74)—საფრანგეთის 1848 წლის მოღვაწე. წვრილ-ბურჟუაზიული რადიკალურ-რევოლიუციონური ფრთის მეთაური.

5. (გვ. 151) **1848 წლის 26 ივნისის გამარჯვება პროლეტარიატზე**—აქ ავტორს მხედველობაში აქვს 1848 წლის ივნისის თვეში პარიზის პროლეტარიატის აჯანყება ბურჟუაზიულ დროებით მთავრობის წინააღმდეგ და მათი დამარცხება. ამ აჯანყებით საბოლოოდ გაწყდა კავშირი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის 1848 წლის რევოლიუციაში და დაიწყო რეაქციის პერიოდი. თვით აჯანყება გამოწვეული იყო ბურჟუაზიის ანტიპროლეტარული პოლიტიკით: ბურჟუაზიამ დაიპყრო სახელმწიფოს ყველა ორგანოები, გამაგრდა და შემდეგ მის მთავარ ამოცანას შეადგენდა თავისი მტრის—პროლეტარიატის შეიარაღებული ძალით განადგურება, რასაც მიაღწია ივნისის დღეებში.

6. (გვ. 157) **ფურიერისტები**—საფრანგეთის გამოჩენილ უტოპისტის შ. ფურიეს (1772—1837) მიმდევრები. ფურიე უარყოფდა რევოლიუციას და კლასთა ბრძოლას; იგი პოლიტიკური ბრძოლის გარეშე ფიქრობდა პატარა სოციალისტურ თემების—ფალანგების დაარსებას. მისი საუკეთესო მოწაფე იყო ვ. **კონსიდერანი**.

7. (გვ. 157) **სენ-სიმონისტები**—საფრანგეთის ცნობილ უტოპისტის **სენ-სიმონის** (1760—1825) მოწაფეები. იგი განსაკუთრებით აკრიტიკებდა ფეოდალურ წყობილებას და მოითხოვდა ისეთ საზოგადოებრივ წყობილების დაარსებას, რომელიც ასოციაციების პრინციპებზე იქნებოდა აშენებული. მისმა მოწაფეებმა უფრო გააღრმავეს მისი მოძღვრება ორი მიმართულებით: შეიტანეს კაპიტალისტური წყობილების მკაცრი კრიტიკა და ნათლად ჩამოაყალიბეს სოციალისტური პრინციპები. სენ-სიმონი დიდ ყურადღებას აქცევდა საზოგადოების აღზრდას ახალი რელიგიის მიხედვით. შემდეგში სენ-სიმონიზმის მოძღვრება რელიგიურ-მისტიურ სექტად გადაიქცა.

8. (გვ. 158) **რობესპიერი** (1758-94)—საფრანგეთის დიდი რევოლიუციის (1789 წ.) მოღვაწე. მეთაური მონტანიერთა პარტიისა. თავი მოჰკვეთეს 1794 წ.

9. (გვ. 158) **მარატი** (1743-93)—საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მოღვაწე. წარმომადგენელი წვრილ-ბურჟუაზიული რადიკალური მიმდინარეობისა.

გლეხთა განთავისუფლება საქართველოში

(გვ. 161—184)

I. ტექსტისათვის

როგორც მკითხველმა უკვე იცის ამ განყოფილებაში ჩვენ მოვათავსეთ ნ. ნიკოლაძის წერილები დაბეჭდილი გერცენის „კოლოკოლ"-ში 1865 წ. როგორც დოკუმენტებით მტკიცდება, ნიკოლაძე ითვლებოდა „კოლოკოლ"-ის კორესპოდენტად 1865 წლამდეც. „ბიო-ბიბლიოგრაფიულ სიტყვარში" მის შესახებ ვკითხულობთ: Корреспондировал в „Колокол" о тифлисских делах". (იხ. „Деятели революционного движения в России" ტ I, ნაწილი II გვ. 272). მართლაც, „კოლოკოლ"-ის ფურცლებზე 1861—65 წლებში ჩვენ ვხვდებით კორესპოდენციებს საქართველოსა და ტფილისის საქმეების შესახებ; სამწუხაროთ ეს კორესპოდენციები ხელმოუწერელია და ამ ჟამად ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანი ეკუთვნის ნიკოლაძეს. აქ მოთავსებული სამი წერილი ნ. ნიკოლაძის უკვე გახსნილი ფსევდონიმით არის მოთავსებული და ამიტომ მათი ავტორობის საკითხი დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

„გ ლ ე ხ თ ა გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი" დაბეჭდილი არის „Колокол"-ის 15 ივნისისა და 1 ივლისის ნომრებში (იხ. წერილი „Освобождение Крестьян в Грузии". ჟურნ. „Колокол" № 198, გვ. 1623—27 და № 199, გვ. 1632—35, 1865 წ). წერილს მოწერილი აქვს ფსევდონიმი Р и о Н е л и. უკვე ცნობილია, რომ ამ ფსევდონიმით ნ. ნიკოლაძე სწერდა. მაგრამ ნ. ნიკოლაძის ავტორობა სხვადასხვა დოკუმენტებითაც მტკიცდება:

1. ა. გერცენის კერძო წერილებით ნ. ოგარევთან. ამ წერილებში იგი აცნობებს ოგარევს, რომ ის ეძებდა ნ. ნიკოლაძეს წერილის დაკვეთისათვის, მაგრამ ვერ ნახა; მეორე წერილში სწერს, რომ წერილი გლეხთა განთავისუფლების შესახებ საქართველოში მალე იქნებაო. როდესაც წერილი დაიბეჭდა „კოლოკოლ-"ში, გერცენი

სწერდა მასვე: „Грузинская статья очень хорошо“ (იხ გერცენის თხზულებანი: ტ. XVIII გვ. 146).

2. თვით ნიკოლაძე თავის ზემოდ დასახელებულ „ავტობიოგრაფიულ წერილში“ მოგვითხრობს თუ როგორ შივიდა მასთან გერცენი და დააწერინა წერილი გლეხთა განთავისუფლების შესახებ საქართველოში.

3. იგივე ნიკოლაძე თავის წიგნში „ჩემს პოლიტიკაზე“ (გვ. 789, 1913 წ.), მოყავს რაციტატა აღნიშნულ წერილიდან, ამბობს, რომ მან სრულიად ახალგაზრდამ მოათავსა ეს წერილი გერცენის „კოლოკოლ-“ში.

ეს წერილი გამოწვეული იყო შემდეგი ისტორიული გარემოებით. როგორც ვიცით, საქართველოში ბატონყმური ურთიერთობა გვიან იქნა გაუქმებული, ვინემ რუსეთში: ტფილისის გუბერნიაში ბატონყმობა გააუქმეს 1864 წ; იმერეთში—1865 წ., ხოლო სამეგრელოში—1866 წ. „რეფორმის“ დაგვიანებით გატარებას საქართველოში ის მიზეზიც ედვა საფუძვლად, რომ ალექსანდრე მეორეს და ადგილობრივ ხელისუფლებას არ სურდა უკმაყოფილება გამოეწვია თავად-აზნაურობაში და კიდევაც ეშინოდათ ამ უკმაყოფილების, მეორე მხრივ ბატონყმურ მონობაში მყოფი გლეხობა აშკარა უკმაყოფილებას აცხადებდა: გლეხობა აშკარად ხედავდა, რომ ისინი მოატყუეს და ის „რეფორმა“, რომელიც რუსეთში იქნა გატარებული, მათთვის სანატრელ ხილად გადაიქცა. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ხალხური ლექსი, რომელიც ნათლად გამოხატავს ამ უკმაყოფილებას:

ბატონყმობა გადავარდა
ასე როდი მეგონა.
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყოდა
ასე როდი მეგონა... და სხვა.

6. ნიკოლაძეს ერთ თავის კერძო წერილში 1862 წ. კირ. ლორთქიფანიძისადმი ამ ლექსის მეორე ვარიანტი აქვს მოყვანილი, და მასში გამოთქმულ აზრს უწოდებს ქართველ გლეხობის „პოეტიკურ მუზის თხზულებას“. დიდხანს ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელი შეიქმნა და მთავრობა აშკარად დაშინდა გლეხთა უკმაყოფილებით, მას შიშის ზარს გვრიდა პოლონეთის ამბები და სამეგრელოს გლეხთა ჯანყების მოგონება. 1862 წ. შეადგინეს სათავადაზნაურო კომიტეტები, რომელნიც ამზადებდენ მასალას და პროექტებს გლეხთა განთავისუფლების შესახებ. დიდი უმეტესობა თავად-აზნაურობის აშკარა წინააღმდეგი იყო „რეფორმის“ გატარების, მაგრამ ბოლოს

იძულებული შეიქმნა დასთანხმებოდა. თავადაზნაურობის სულისკვეთების გამომხატველი გახდა იმ ხანებში დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, რომელმაც შეიმუშავა თავ.-აზნაურობის დავალებით პროექტი და მოითხოვდა ყმების ხიზანთა მდგომარეობაზე გადაყვანას. „რეფორმით“ დიდი უკმაყოფილო დარჩა ქართველი გლეხობა. საკმარისია დავასახელოთ ის ფაქტი, რომ სახნავ-სათესი მიწებიდან, რომელიც გლეხობის განკარგულებაში იყო ბატონყმობის დროს, მას ჩამოაცალეს 2 დესეტინა, ხოლო დანარჩენი უნდა გამოეყიდა გლეხობას. საერთოდ გლეხობამ დაკარგა 28.986 დესეტინა: ბატონყმობის დროს მის განკარგულებაში იყო 84.665 დესეტინა, „რეფორმის“ შემდეგ დარჩა—55.679 დეს. (იხ. С. Авалиани: Крестьянский вопрос в закавказьи, ტ. I გვ. 421. 1912 წ.)

ნ. ნიკოლაძემ პირველმა გაილაშქრა პრესაში ასეთი დრაკონული კანონების წინააღმდეგ და სრულიად საფუძვლიანი კრიტიკა გაუკეთა გლეხთა ახალ დებულებას. ეს წერილი არ შეიძლება მარტო ნიკოლაძის აზრის გამომხატველად ჩაითვალოს: შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოხატავდა მთელი მაშინდელი მოწინავე ახალთაობის, ინტელიგენციის შეხედულებას საგლეხო რეფორმაზე. რადიკალურად განწყობილი ინტელიგენცია სრული თანაგრძნობით ეგებებოდა გლეხთა განთავისუფლების იდეას. ამ რეფორმის მონაწილე ისტორიკოსი დ. ფურცელაძე 1884 წ. სწერდა:

„გლეხთა განთავისუფლების აზრმა ბატონყმურ დამოკიდებულებისაგან მემამულეთა შორის სხვა და სხვა გვარი სიმპატიები გამოიწვია: მემამულეთა უმეტესობა მას უარყოფითად შეხვდა, უმცირესობა კი, შემდგარი განათლებულ ახალთაობისაგან, იჩენდა სრულს თანაგრძნობას მისდამი, მაგრამ მას თავისი უმცირესობის გამო არ შეეძლო რაიმე გავლენა ჰქონოდა არც გლეხთა საკითხის გადაჭრაზე, არც მის გატარებაზე. გლეხთა რეფორმის პრაქტიკულად გატარების საქმეში მემამულეთა უმრავლესობის გამარჯვებას ყველაზე უფრო არასასურველი შედეგი ჰქონდა გლეხობისათვის“ (Пурцеладзе: „Крестьянский вопрос в Грузии“ ჟურნ. „Юридическое Обозрение“ № 159 გვ. 452—58, 1884 წ.).

გარდა ამისა, ინტელიგენციას არ ჰქონდა საშუალება ლეგალურად გამოეთქვა თავისი აზრი საერთოდ ბატონყმობისა და კერძოდ რეფორმის შესახებ, რადგან პრესა ცენზურის სასტიკი არტახებით იყო შებორკილი. ნიკოლაძემ ევროპის შედარებით თავისუფალ ატმოსფერაში გარკვევითა და ნათლად გამოსთქვა ამ ახალთაობის აზრები გლეხთა „რეფორმის“ შესახებ საქართველოში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძის წერილმა საყურადღებო კამათი გამოიწვია რუსეთის პრესაში. რუსეთის რეაქციის წარმომა-

დგენელმა მ. კატკოვმა ეს წერილი თავისი რეაქციონური მიზნებისათვის გამოიყენა (იხ. М. Катков. Собрание передовых статей Московских Ведомостей, 1865 г. გვ. 554 1897 წ.) კატკოვს „კავკაზ"-ში პასუხი გასცა ქართველი თავად-აზნაურობის სახელით დიმ. ყიფიანმა, რომელმაც „ვიღაც რიონელის" წერილი უაზროდ მონათლა და ამ საკითხში სავსებით დაეთანხმა კატკოვს. (იხ. Д. Кипиани „Еще по поводу передовой статьи 194 № „Московской Ведомости", „Кавказ" № 83, 1865).

დიმ. ყიფიანისა და ნ. ნიკოლაძის ეს პატარა შეტაკება დიდი საკითხის გარშემო ნათელი მაჩვენებელი იყო იმისი თუ რამდენად დასცილდენ ერთი მეორეს ეს ორი თაობის წარმომადგენელი „რეფორმის" საკითხში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კატკოვის არგუმენტები ამ წერილის შესახებ 1887 წ. გაიმეორა „Новое Время"-ს რედაქციამ (იხ. № 4150). ს პასუხოდ წერილში „Старые Ошибки", რომელიც ცენზურას არ გაუშვია, ნიკოლაძე ეკამათება აღნიშნულ რედაქციას, მაგრამ რიონელის აზრების დაცვა აღარ მიუმჩნევია შესაძლებლად.

II. შენიშვნები

1. (გვ. 163). **ჩერქეზების გაძევება**—ავტორს მხედველობაში აქვს შემდეგი ფაქტი: შამილის დამარცხების (1859 წ.) შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების მთავარ ამოცანას შეადგენდა დასავლეთ კავკასიის მთიელების დაპყრობაც. 1864 წ. ისინი დამარცხდენ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში და დიდი ნაწილი ჩერქეზთა ტომებისა—სულ 418.000 სული იძულებული შეიქნა ოსმალეთში გადასახლებულიყო, მხოლოდ 90.000 დაასახლეს მდ. ყუბანის მიდამოში.

2. (გვ. 163). **პოლონელების გაყლეტასა და გადასახლებაში**—ავტორს მხედველობაში აქვს 1863 წ. აჯანყება პოლონეთში, როდესაც რუსის ჯალათებმა დიდძალი პოლონელები გასწყვიტეს და მეთაურები ციმბირში გადაასახლეს.

3. (გვ. 163) **1801 წელს**—ფორმალურად გამოცხადდა ქართლ-კახეთის შეერთება რუსეთთან და ახალი სამხედრო ძალებიც იქმნა შემოყვანილი საქართველოში.

4. (გვ. 163) **1810 წელს**—იმერეთში ახალციხიდან შემოიჭრა გაქცეული მეფე სოლომონ II და საერთო არეულობა მოხდა რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დამარცხდა სოლომო-

ნი. იგი გაიქცა ახალციხეს და იმერეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადეს.

5. (გვ. 163) **გურიის სამთავრო**—საბოლოოდ გაუქმებული იქნა 1829 წ.

6. (გვ. 163). **სამეგრელო**—ავტონომიური უფლებებით სარგებლობდა 1803—57 წლებში. 1857 წ. იქ ფაქტიურად შემოიღეს რუსული მმართველობა, ხოლო ოფიციალურად სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა 1867 წ.

7. (გვ. 163—4). **თავადაზნაურთა და გლეხების ურთიერთობის შესახებ**—ნიკოლაძის აზრი სწორი არის იმ მხრივ, რომ რუსეთის მთავრობა ცდილობდა შეექმნა ჩვენში **მსახური არისტოკრატია**,—რომელსაც იგი სავსებით დაეყრდნობოდა,—და მის სრულ მორჩილებაში დაეტოვებია ყმები; ეს დოკუმენტებითაც მტკიცდება. სენატორი მეჩნიკოვი 1831 წ. თავის მოხსენებაში სწერდა: „საქართველოში მემამულეები ყველაზე უფრო საუკეთესო და საიმედო პოლიციას წარმოადგენენ. ისინი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანნი არიან, ვინემ თვითონ მთავრობას შეუძლია იყოლიოს აქ (პოლიცია); ამიტომ ქართველ მემამულეთა ყმებს სრულიად არ უნდა მიეცეს თავისუფლება, ან ეს თავისუფლება უნდა იქნეს დაშვებული უკიდურესს შემთხვევაში“ (იხ. „Акты“, ტ. XII, მ. თუმანიშვილის წერილი: „О крепостном праве в Грузии“).

8. (გვ. 167)—**იმერეთის აჯანყება** მოხდა 1819—20 წლებში. ეს აჯანყება გამოიწვია რუსეთის მთავრობის პოლიტიკამ საეკლესიო საქმეებში და თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. ამ მოძრაობამ ბოლოს პოლიტიკური და სოციალური ხასიათიც მიიღო. ნიკოლაძეს ამ აჯანყების თარიღად ნაჩვენები ჰქონდა 1822 წ. ეს შეცდომა უნდა იყოს და ჩვენ გავასწორეთ ტექსტში. უნდა აღვნიშნოთ, რომ 1821—22 წლებში ადგილი ჰქონდა ოსეთის გლეხების მოძრაობას.

9. (გვ. 167) **გურიის აჯანყება 1841 წ.**—გლეხთა ეს გრანდიოზული მოძრაობა დაიწყო ივნისის 20-ს და აგვისტოს დასასრულს აჯანყებამ მთელი რიგი სოფლებისა და რაიონებისა მოიცვა; მეამბოხეებს ყავდათ 3.000-მდე შეიარაღებული ძალა და ალყა შემოარტყეს გურიის ცენტრს—ოზურგეთს. ხელისუფლებამ დიდძალი სამხედრო ძალები მოაგროვა გურიაში. აჯანყებული გლეხები ვერ გაუმაგრდენ მოწინააღმდეგეებს და 5 სექტემბერს დამარცხდენ; საბოლოოდ გურიის გლეხობა დაამშვიდეს სექტემბრის ბოლოს, 2812 ოჯახზე მეტი დააფიცეს, 100 მეტი გაროზგეს და სხვა. აჯანყება

იმერეთისა და სამეგრელოს სოფლებსაც მოედვა: ამავე ხანებში აღელვება მოხდა ოსეთსა და ბელაკონის მხარეში. გლეხთა მნიშვნელოვანი აღელვება 1861 წელსაც მოხდა გურიაში. 1841 წ. გლეხთა აჯანყებას გურიაში სარჩულად ედვა 1) შებატონეებსა და გლეხთა შორის მდგომარეობის გამწვავება; 2) ახალი მართველობის შემოღება და მისი ცუდი შედეგები, და 3) ფულადი გადასახადის შემოღება გურიაში. ეს აჯანყება მხატვრულად აგვიწერა ე. ნინოშვილმა თავის „ჯანყი გურიაში". დაწვრილებით 1841 წ. აჯანყების შესახებ იხ. „Акты" ტ. IX; ს. ავალიანი: „Крестьянский вопрос" ტ. I გვ. 162-4; В. Чудинов: „Востание Гурийцев в 1841 г." დაბეჭდილია: „Кавказский сборник"-ში ტ. XIV, 1890 წ. „აჯანყება გურიაში 1841 წ." გაზ. „ცნობის ფურცელი". № 1858, 1902 წ. დიმ. ყიფიანი: „მ ე მ უ ა რ ე ბ ი" გვ. 24-6.

10. (გვ. 167) **გ ლ ე ხ თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა 1855-62 წ ლ ე ბ ში**— ყირიმისა და მთიულეთის წინააღმდეგ წარმოებულმა ომებმა საგრძნობლად შეანძრიეს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება: გაცხოველდა ეკონომიური ურთიერთობა და ვაჭრობა; გლეხების უკმაყოფილებამ უმწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია. აღნიშნულ პერიოდში ოფიციალურ დოკუმენტებით ჯერ-ჯერობით ცნობილია გლეხთა სამი აჯანყება: გრანდიოზული აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. (იხ. ქვევით), ამაღლებისა და ბაღდადის რაიონებში 1858 წ. და გურიელისა და ნაკაშიძის გლეხების აჯანყება 1861 წ. რასაკვირველია, ამ პერიოდში გლეხთა მოძრაობა მარტო აღნიშნული ფაქტებით არ ამოიწურებოდა და ნიკოლაძის წერილი მით არის საინტერესო, რომ იგი ადასტურებს ფაქტს გლეხთა საერთო უკმაყოფილების შესახებ; ის თვითონ იყო მომსწრე ამ ფაქტებისა.

11. (გვ. 169) **ო მ ე რ-ფ ა შ ა ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი.**—ოსმალებმა და ინგლისელებმა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ასპარეზად სამეგრელო და აფხაზეთიც გადააქციეს. 1854 წ. ოსმალებმა აიღეს ყულევი: 1855 წ, აფხაზეთში ოსმალებმა დააგროვეს დიდძალი ჯარი ომერ ფაშას მეთაურობით, რომელიც 30.000 კაცით შეესია სამეგრელოს, გენ. მუხრან-ბატონი დააშარცხა სოფ. კოკთან და დაიპყრო სამეგრელო; რუსის ჯარმა ხონისაკენ დაიხია. მთავრინა ეკატერინე დადიანისა ლეჩხუმში გადავიდა. ომერ-ფაშას სურდა მთავრინას მიმხრობა, გამართა მასთან მიწერ-მოწერა და ირწმუნებდა, რომ სამეგრელოს დამოუკიდებლობას დაიცავენ მოკავშირენიო. მთავრინამ არ უღალატა რუსეთს. ნოემბრის დამლევს, როდესაც ყარსის ციხე აიღო მურავიოვმა, რუსის ჯარი სამეგრელოშიც გადავიდა შე-

ტევაზე ომერ-ფაშას წინააღმდეგ, რომელმაც უკან დაიხია და ააოხრა მთელი მხარე: ოსმალოს ჯარი დაბანაკდა ზღვის პირას; მხოლოდ 1856 წლის 19 მარტის პარიზის ტრაქტატის ძალით გაანთავისუფლა სამეგრელო და აფხაზეთი ოსმალეთმა. სამეგრელოს განადგურებამ მეტად გაამწვავა წოდებრივი ურთიერთობანი იქ; ხალხი ეკონომიურად გაღატაკდა.—ამ ნიადაგზედ აღმოცენდა გლეხთა გრანდიოზული აჯანყება სამეგრელოში.

12. (გვ. 169) **ქ ა რ თ უ ლ ი მ ი ლ ი ც ი ი ს** შესახებ იხ. ზევით გვ. 373.

13. (170) **თ ა ვ. ვ. ბ ე ბ უ თ ო ვ ი** (1791—1858)—შთამომავლობით სომეხი იყო. განათლება მიიღო რუსეთის კადეტთა კორპუსში. მურავიოვის დროს მეფის მოადგილის თანამდებობას ასრულებდა. ყირიმის ომის დროს, როგორც კავკასიის ფრონტის უფროსმა, დიდი გამარჯვება მოიპოვა მოწინააღმდეგე ძალაზე (იხ. „Кавказ" № 23, 1858 წ.).

14. (გვ. 170) **პ ა რ ი ზ ი ს ტ რ ა ქ ტ ა ტ ი**,—სევასტოპოლის დაცემამ და მოკავშირეთა გამარჯვებამ შავ ზღვაზე, ყირიმის ომის ბედიც გადასწყვიტა,—ნაპოლეონ მესამემ, რომელიც მაშინ საერთაშორისო პოლიტიკას ხელმძღვანელობდა, დაიწყო მოლაპარაკება რუსეთთან, რომელიც სამშვიდობო კონგრესით დამთავრდა პარიზში 1856 წ. 18 მარტს, რომელმაც გამანადგურებელი მახვილი ჩასცა რუსეთის საგარეო და აღმოსავლეთის პოლიტიკას: რუსეთს აღეკრძალა ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევა, თვით ოსმალეთი ევროპიულ სახელმწიფოებში ჩარიცხეს და დაადგინეს მისი მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვა; გამოცხადებულ იქნა შავი ზღვის ნეიტრალიზაცია და სხვა. ყირიმის ომში დამარცხებამ ხელი შეუწყო რუსეთში განმათავისუფლებელ მოძრაობის განვითარებას, აამოძრავა სოციალური კლასები და რეფორმების აუცილებლობა მორიგ ამოცანად დასვა. ყირიმის ომისა და მის შედეგების გავლენა საგრძნობი იყო საქართველოზედაც. ერთი მხრივ მან ხელი შეუწყო ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარებას კაპიტალიზმის გზითა და მეორე მხრით, გაამწვავა სოციალური ურთიერთობანი და გამოიწვია მთელი რიგი გლეხთა აჯანყებებისა.

15. (გვ. 170) **გ ლ ე ხ თ ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი 1857 წ.**—ეს აჯანყება თავისი შინაარსით გრანდიოზული იყო და აშკარად იყო მიმართული ბატონ-ყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. სამეგრელოში გლეხთა მდგომარეობა აუტანელი იყო. მემამულეები და თვით მთავარი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდენ. მე-

ბატონეთა და გლეხობის შორის ურთიერთობა უფრო გაამწვავა საკაპრო კაპიტალის განვითარებამ საქართველოსა და სამეგრელოში. გლეხთა ამ აუტანელ მდგომარეობას მკაფიოდ გადმოგვცემს აჯანყებულთა მეთაური უ. მიქავა: „მოგვშორდენ ოსმალები, მაგრამ ჩვენი მებატონეები თვით ოსმალებზე უფრო სასტიკად მოგვეპყრენ... ჩვენი შრომის ყოველგვარი ნაყოფი მათ სასარგებლოდ მიდის... პირუტყვი უფრო ფასდება, ვიდრე ჩვენ... ჩვენ შევერთდით ამხანაგურად და ძალადობას ძალადობითვე ვუპასუხებთ... რაღაა ის სამშობლო, სადაც შეუძლებელია თავის შეფარება, სადაც შენზე, ვით მხეცზე, ნადირობენ“. ამბოხება დაიწყო ჯვარის რაიონში და მოედვა თითქმის მთელ სამეგრელოს. გლეხთა აჯანყებით ისარგებლა რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ და სამეგრელოში დაამყარა თავისი მართველობა. (აჯანყების შესახებ იხ. ავალიანის დასახელებული წიგნი, „აქტები“ ტ. XII, ს. კოლხიდელი: „გლეხთა აჯანყება სამეგრელოში“... კ. ბოროზდინის: Закавказские воспоминания“ 1885. და სხვა).

16. (გვ. 170) **დედოფლის გაძევება სამეგრელოდან**—რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება დიდიხნიდან ფიქრობდა სამეგრელოში ფაქტიურად რუსული მართველობის შემოღებას. 1857 წ. გლეხთა აჯანყებამ საბაბი მისცა ამისათვის. ფორმალურად მთავრინა ეკატ. დადიანისა შვილის ნიკოს აღსაზრდელად გაიწვიეს რუსეთში. ამით სამეგრელოს საქმეები უშუალოდ გადაეიდა კავკასიის მეფის მოადგილის ხელში და 1867 წ. საბოლოოდ გააუქმეს სამეგრელოს ავტონომიაც.

17. (გვ. 170) **გურიის გლეხთა აჯანყებაში**—ავტორი გულისხმობს 1861 წლის აჯანყებას, თავ. გურიელისა და ნაკაშიძეების წინააღმდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 500—600-დე კაცმა. ოფიციალური ცნობით ეს არეულობა შედეგი ყოფილა იმ მოლაპარაკებისა, რომელიც გაუმართავთ სხვადასხვა რაიონების გლეხებს ერთმანეთში, რომ გამოეწვიათ საყოველთაო არეულობა. რასაკვირველია, მისი სოციალური საფუძვლები ბატონ-ყმურ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ. (იხ. ავალიანის წიგნი, გვ. 165, „Акты“, ტ. XII, 250).

18. (გვ. 170) **იმერეთის გლეხთა აჯანყება**—ამ პერიოდში ცნობილია 1858 წლის გლეხთა აჯანყება ამაღლებისა და ბაღდადის რაიონში. ოფიციალური ცნობით 400 კაცი ამხედრდა მემამულეთა წინააღმდეგ. მოიწვიეს საერთო კრებები, რომელზედაც მოაწყვეს შეთქმულება შემამულეთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების მიზნით. სამხედრო ძალების ჩარევამ გადასწყვიტა აჯან-

ყების ბედი. (იხ. ს. ავალიანის წიგნი, გვ. 164, „Акты“ ტ. XII გვ. 245—6).

19. (გვ. 170) **ქართლ-კახეთის გლეხთა აჯანყების შესახებ** 1857-63 წ. ამ ჟამად ჩვენ ხელთ არ არის რაიმე ცნობა. ეს საკითხი თხოულობს სათანადო მუშაობას არქივის მასალებში.

20. (გვ. 171-2) **ამიერ-კავკასიაში რეფორმის გატარებას** წინ ეღობებოდა, როგორც აღვნიშნეთ, ერთის მხრივ მთავრობის შიში მეჰამულეებში უკმაყოფილების გამოწვევისა, ხოლო მეორე მხრივ—ამ საქმის სრული მოუმზადებლობა. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობას ქართველ გლეხთა აჯანყებაც აშინებდა, რადგან როდესაც „რეფორმა“ გამოცხადდებოდა შიდა გუბერნიებში და ქართველი გლეხი კვლავ მონურ მდგომარეობაში დარჩებოდა, ეს აუცილებლად გამოიწვევდა გლეხთა არეულობას და უკმაყოფილებას. ამიტომ მთელი ძალღონით ცდილობდენ 19 თებერვლის მანიფესტი დაემალათ ქართველი ხალხისათვის. 1861 წ. მარტის 5 ს კავკასიის კომიტეტის წევრი ვ. ბუტკოვი კონფიდენციალურად სწერდა ადგილობრივ მთავრობას: „Действовать постепенно к освобождению этого состояния... Но действовать с надлежащей осторожностью“. პროფ. ს. ავალიანი თავის ნარკვევში სწერს: „Центральная и местная власть почти с мистическим страхом относились к возможным последствиям обнародования актов 19 февр., и принимали самые строгие в этом отношении меры“. ასე მაგ. მთავარი სამმართველოს გამგე კრუზენშტერნი უგზავნის რა საქართველოს ეჭზარხს მანიფესტსა და გლეხთა განთავისუფლების დებულებას, სწერს: „Манифест не подлежит обнародованию посредством прочтения в здешних церквах, так как возвещаемое оным освобождение крепостного населения до времени не распространяется на Закавказский Край“. (იხ. ავალიანის წიგნი— გვ. 189). აქედან წარმოსდგა ის წინააღმდეგობანი, რომელზედაც ნიკოლაძე მიგვითითებს: ერთი მხრივ, გლეხების დამშვიდება, განცხადებით, რომ რეფორმა მომავალში გატარებული იქნება საქართველოშიაც. მეორე მხრივ განცხადება თავად-აზნაურობის დასამშვიდებლად—საქართველოს ეარსებულ წყობილებაში არავითარი ცვლილება არ მოხდებაო.

21. (გვ. 171) „**მეგონა**“—ერთობ გავრცელებული ხალხური სიმღერაა. 1905 წ. ამ სიმღერას ახალი ეპოქის შესაფერი შინაარსი მიეცა. ბატონ-ყმობის პერიოდში იგი გამოხატავდა დაგმობას მთავ-

რობის იმ უკულმართი გზისას, რომელსაც იგი დაადგა გლეხთა საკითხში. 1862 წ. ნ. ნიკოლაძის ერთ-ერთ კერძო წერილში ქუთაისიდან კირ. ლორთქიფანიძისადმი მოყვანილია ამ ლექსის რამოდენიმე კუპლეტი და ნათქვამია, რომ ამაში გამოიხატა ქართველი ხალხის პოლიტიკური სიბრძნეო.

22. (გვ. 172) **დიმ. ყიფიანი** (1814—87)—ცნობილი მოღვაწე და მწერალი. 1832 წლის შეთქმულობაში მონაწილეობისათვის იგი ვოლოგდაში გადაასახლეს რამოდენიმე წლით. დაბრუნდა 1837 წ. და შემდეგ სახელმწიფო სამსახურში დიდი სისწრაფით წავიდა წინ. ბარიათინსკის დროს იგი კავკასიის მეფის მოადგილის საბჭოს წევრადაც ითვლებოდა, საიდანაც სამეგრელოს საქმეების გამო გაანთავისუფლეს 1862 წ. ამ წელს ტფილისის გ-ნიის თავად-აზნაურობამ ერთხმად დაავალა მას მთავრობისათვის მათი აზრის წარდგენა ბატონ-ყმობის მოსპობის შესახებ, რაც დ. ყიფიანმა პირნათლად შეასრულა. მისი პროექტი მოითხოვდა გლეხების ხიზანთა მდგომარეობაზე გადაყვანას, მიწები უნდა დარჩენოდათ მემამულეებს, ხოლო გლეხობის პირად განთავისუფლებაში უნდა მისცემოდათ ფული. მემამულეებმა სავსებით მოიწონეს და მიიღეს სახელმძღვანელოდ დ. ყიფიანის დებულებანი. ნ. ნიკოლაძის წერილი დ. ყიფიანმა არ დასტოვა ურეპლიკოდ (იხ. „Кавказ“ № 83, 1865 წ.) 1864—70 წლებში დ. ყიფიანი არჩეული იყო ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად; 1875—79 წლებში—ტფ. ქალაქის თავად; 1885-6 წლებში ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. 80-იან წლებში იგი გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებდა ადგილობრივი ხელისუფლების რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ. ექზარხოსთან შეტაკების გამო იგი გიდაასახლეს სტავროპოლში, სადაც მოჰკლეს 1887 წ. (იხ. მისი „მემუარები“ ს. ხუნდაძის რედაქციით). დ. ყ-ნი გამომხატველი იყო თ.-აზნაურთა ინტერესების.

23. (გვ. 174) **„კოლოკოლ“**-ი—როგორც სხვა დოკუმენტებიდანაც სჩანს, საქართველოშიაც ვრცელდებოდა არალეგალურად.

24. (გვ. 175) **„კოლოკოლ“-ის გამომცემელნი**—იგულისხმება ა. გერცენი და ნ. ოგარევი.

25. (გვ. 175) **„კოლოკოლ“-ის გამომცემელთა უიმედობაში**—იგულისხმებოდა ა. გერცენის შეხედულება ევროპის მაშინდელი ცივილიზაციის დალპობის შესახებ, რის ხსნა და შველა მისი აზრით მხოლოდ რუსეთს შეეძლო. აქ გამოთქმულ აზრებში ნ. ნიკოლაძე იმეორებდა ნ. ჩერნიშევსკის დებულებებს.

26. (გვ. 176) ლონდონის (ამიერიდან ჟენევის) აგიტაცია—იგულისხმება „კოლოკოლი-“ს აგიტაცია. 1865 წლამდე იგი ლონდონში გამოდიოდა, შემდეგ—ჟენევაში.

27. (გვ. 176) **მაძინი**—იტალიის ცნობილი რადიკალ-რევოლიუციონერი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა იტალიის გაერთიანებისათვის.

28. (გვ. 176) **ისკანდერი**—ა. გერცენის ფსევდონიმი იყო.

29. (გვ. 176) ჟურნ. **„Будущность“**-ს 1860 – 61 წლებში სცემდა პ. ვ. დოლგორუკოვი (1816—68). რომელიც გერცენს თანაუგრძნობდა და თავის ჟურნალში კონსტიტუციონალურ-ლიბერალურ აზრებს ჰქადაგებდა.

30. (გვ. 177) **„მეფემ ხალხი მოატყუა“**—ეს სიტყვები ეკუთვნის ნ. ოგარევს. „კოლოკოლ“-ის თანამშრომლები პირველ ხანებში „რეფორმიდან“ დიდ შედეგებს მოელოდენ. მაგრამ როდესაც მოლოდინი არ გამართლდა, მაშინ სასტიკი იერიში მიიტანეს საგლეხო დებულებების წინააღმდეგ. ოგარევი სწერდა: „Старое крепостное право заменено новым, вообще крепостное право не отменено. Народ царем обманут“. („Колокол“ № 96. 1861 წ).

31. (გვ. 183—4) **გლეხთა მოძრაობა ლონდონში ჩაისახა**—ე. ი. გერცენისა და მისი „კოლოკოლ“-ის ზეგავლენით წარმოიშვა.

32. (გვ. 184) **ლონდონური დოქტრინების ქადაგება**—ლაპარაკია გერცენისა და „კოლოკოლ“-ის შესახებ.

ჩვენი მომავალი ვექილები „მოხკოვის უწყების“ სამსჯავროს წინაშე.

(გვ. 185 192)

ეს წერილი მოთავსებული იყო 1865 წ. 1 აგვისტოს „კოლოკოლ“-ში (იხ. „Колокол“ № 101, გვ. 1649-51, 1865 წ., წერილი: „Наши будущие адвокаты перед „Московскими Ведомостьями“), წერილის ქვეშ მოწერილი აქვს ჩვენთვის უკვე ცნობილი ფსევდონიმი—Рио Нели.

ივნისის დღეები ტფილისში

I. ტექსტისათვის

წერილი: „ივნისის დღეები ტფილისში“ დაწერილი არის 9 სექტემბერს 1865 წ. და დაბეჭდილია იმავე წლის 15 სექტემბრის „კოლოკოლ“-ში (იხ. „Колокол“ № 204, გვ. 1673-76 1865 წ., წერილი: „Июньские дни в Тифлисе“) იგიც ხელმოწერილია Рио Нели-ს ფსევდონიმით. ნიკოლაძის წერილი საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს.

ეს წერილი გამოწვეული იყო შემდეგი ისტორიული გარემოებით: საქართველოში სავაჭრო კაპიტალის შემოჭრამ და ეკონომიურმა ზრდამ გამოიწვია ქ. ტფილისის სწრაფი განვითარება: იგი, როგორც ეკონომიური ცენტრი ა-კავკასიისა, სწრაფად იზრდებოდა, როგორც მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ისე თავისი ეკონომიური ურთიერთობით. ქალაქი თანდათან ღებულობდა ევროპიულ სახეს. მისი ხარჯებიც სწრაფად იზრდებოდა, ხოლო ამ ხარჯების დასაფარავად საჭირო შეიქნა ახალი გადასახადების შემოღება.

„რუსკი ინვალიდ“-ის ოფიციალურ ცნობებში ვკითხულობთ:

„27 и 28 июня, общественное спокойствие в Тифлисе было внезапно нарушено по случаю введения некоторых дополнительных сборов в пользу городских доходов. Сборы эти, состоящие в увеличении прежде существующего налога с питейных заведений и в установлении нового, с экипажных и верховых лошадей и за занятие улиц и площадей складом строительных материалов, а также за глину и известь, вывозимые с городских земель, были назначены в небольшом размере“. („Колокол“ № 202, გვ. 1659, 1865 წ.).

არსებითად, ისტორიულად ხელისუფლებისა და ქალაქის გამგეობის ღონისძიებები ხელს უწყობდა ტფილიზის კაპიტალისტურ ურთიერთობაზე გადასვლას, მაგრამ ხელისუფლების ახალი ღონისძიებები პირდაპირ მძიმე ტვირთად აწვებოდა წვრილ ბურჟუაზიას, ხელოსნებს, ამქრებს, წვრილ ვაჭრებს, ქალაქის ღარიბ ფენებს და სწორედ ამ ფენების აღშფოთება გამოიწვია ახალმა გადასახადებმა.

„კავკაზ"-ის ოფიციალურ ცნობებში ვკითხულობთ:

„На об'явление казенной полаты о дополнительном налоге, все тифлисские торговцы и ремесленники составляющие корпорации, известные под названием амкар, и в особенности виноторговцы, на коих прямо падал увеличенный налог, отвечали отказом, ссылаясь на существующую дороговизну с'естных припасов и на опасение еще большего возвышения цен на продукты, так как хлебные посевы во многих местах края истреблены саранчею, мышами и градом" („Кавказ" 1865 წ.).

ასეთი იყო ოფიციალური ცნობები 1865 წ. ამქართა აჯანყების შესახებ. თავისი ისტორიულ-სოციალური საფუძვლებით ეს აჯანყება გამოხატავდა წვრილ-ბურჟუაზიულ ფენების უკმაყოფილებას პოლიციურ მემამულეთა ხელისუფლებისა და ახალი ეკონომიური ურთიერთობის წინააღმდეგ. მართლაც, ახალი ეკონომიური ურთიერთობის განვითარებამ და რუსეთის კაპიტალის შემოჭრამ საგრძნობლად დასცა ხელოსნობა და შეავიწროვა წვრილ-ბურჟუაზიული ფენები. მეორე მხრივ, ხელისუფლებისა და ქალაქის გამგეობის, ახალმა ფინანსიურ-კაპიტალისტურმა ზომებმა უფრო გააღრმავა ამ კლასების ეკონომიური შევიწროება. ეს აჯანყება არ იყო პირველი: დ. ყიფიანის ცნობით ტფილისში არეულობას 1829, 1830 და 1853 წლებშიაც ჰქონია ადგილი. 1865 წ. აჯანყება თავისი შინაარსით და სიდიდით გრანდიოზული იყო. გ. წერეთელი 1865 წ. ერთ კერძო წერილში კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „...არეულობა მოხდა საშინელი ტფილისში. გოლოვას მთავრობის ამორჩეულს სახლი დაუნგრიეს და გაცარცვეს. მისი პომოშნიკი ჩამოახრჩვეს და, უკაცრავად პასუხია... მოსჭრეს და პირში ჩაუტენეს. მთელი საქართველო დაინძრა. ეს საქმე, როგორც გამოჩნდა, ამითი არ გათავდება". (ამ წერილის დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში).

1865 წ. აჯანყებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის პრესაში. რეაქციონერმა მ. კატკოვმა იგი თავისი ნაციონალისტური მიზნებისათვის გამოიყენა. (იხ. М. Катков: „Собрание передовых статей Московских Ведомостей 1865 г." გვ. 553—55, 1897 წ.) გერცენის „კოლოკოლ"-მა იგი გამოიყენა მთავრობის პოლიტიკის გასაკიცხავად. (იხ. „Колокол" № 202, 203, 204, 208, 1865 წ.) ოფიციალური ცნობები დაბეჭდილია „კავკაზში" (იხ. № 53, 63, 64, 1865 წ.) ამ არეულობის შესახებ მოგონება აქვს ანტ. ფურცელაძეს (იხ. „Наши обще-

ственные дела и участие в них Вахтанга Тулаева", გაზ. „Закавказская Речь" № 136, 1912 წ. იხ. აგრეთვე ზ. ჭიჭინაძის: „თბილისის ამბოხება ანუ დიდი ბუნტი 1865 წ.) ამ საქმის შესახებ ცენტრარქივში ინახება ორი ტომი მასალებისა. ამ ტომის დამატებაში ჩვენ ვათავსებთ „კოლოკოლ"-იდან გადმოთარგმნილ ორ წერილს, რომლის ავტორები ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული.

II. შენიშვნები

1. (გვ. 199)—ო რ ლ ო ვ ს კ ი—იმ ხანებში ტფილისის გუბერნატორად ითვლებოდა, მაგრამ არეულობის დროს ტფილისში არ იმყოფებოდა.

2. (გვ. 199)—ბ ა რ ო ნ ნ ი კ ო ლ ა ი—1852-59 წლ. იყო კავკასიოსწავლო ოლქის მზრუნველი. 1863-74 წ. წ. კავკასიის მეფის მოადგილის მთავარი სამმართველოს უფროსი; მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ა.-კავკასიაში საგლეხო, სასამართლოსა და საქალაქო რეფორმები. აქვს დაწერილი მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი საგლეხო რეფორმის შესახებ. (იხ. „Русский архив" № 5, 6, 8, 1892 წ.).

3. (გვ. 199) მ ი ხ ე ი ლ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე—დიდი მთავარი, მეფის მოადგილე კავკასიაში 1862-81 წლებში. მის დროს გატარდა მთავარი რეფორმები ა.-კავკასიაში, საბოლოოდ დაიპყრო რუსეთმა ა-კავკასია 1864 წ. დასავლეთ კავკასიის მცხოვრებთა დაპყრობით შემოიერთა ბათომის ოლქის რაიონები. მისი მმართველობის პერიოდი ერთ შესანიშნავს ხანას წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში: კაპიტალიზმი სწრაფი ნაბიჯით განვითარდა, მოხდა კულტურული აღორძინება, ნიადაგი ჩაეყარა პროგრესიულ-დემოკრატიულ პრესასა და ორგანოებს, გამოცოცხლდა რადიკალური აზროვნება და ჩამოყალიბდა რევოლიუციონურ-ნაროდნიკული ორგანიზაცია. მთავრობას სასტიკი ღონისძიებებით სჭირდებოდა ბრძოლა რადიკალურ პრესისა და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ; არ შეწყვეტილა არც გლეხთა მოძრაობა, რომლის დამახასიათებელ მომენტებადაც შეიძლება დავასახელოთ: 1875-6 წლებში სვანეთის აჯანყება, 1875-6 წლებში მეგრელების, 1878 წ.—ქიზიყელების. ამავე პერიოდში ეყრება ნიადაგი მუშათა მოძრაობასაც 1866 წ. მოხდა ჩვენში მუშათა პირველი გაფიცვა;—1872 წ.—მეორე; 1878 წლების შემდეგ მთელი რიგი გაფიცვებისა. ამ რიგად ეს იყო პერიოდი კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარებისა საქართველოში.

4. (გვ. 200) ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გ რ. დ ი მ ი ტ რ ი ს ძ ე (1800-83)—ქართველი პოეტი და გენერალ-ადიუტანტი. 1832 წ. მონაწილეობას

ღებულობდა შეთქმულობაში, რისთვისაც იგი გაგზავნეს ვილნოში და რამოდენიმე წელი აუკრძალეს საქართველოში დაბრუნება. დაბრუნების შემდეგ იგი ხშირად ინიშნებოდა მეფის მოადგილის მოვალეობის აღმასრულებლად. არეულობის დროსაც იგი ამ თანამდებობას ასრულებდა. ამ არეულობის დროს გრ. ორბელიანის მოქმედების შესახებ მისი ბიოგრაფი ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა სწერს:

„ივნისს ქალაქის სახლის მაიდანზე—რევოლიუციები ყოველთვის ქალაქის სახლთან იწყება—შეკრბა მთელი თბილისის შავი ხალხი... შავ-ღრუბელსავით გაპენტილი ჭექითა და ქუხილით... ათი ათასზე მეტი კაცი ირეოდა მაიდანზე მუქარით და ყვირილით... რომ ვერას გზით ვერ შორთეს ხალხის შეგონება, გრ. ორბელიანი თითონ მობრძანდა მაიდანზე. პოეტს ეგონა, რომ მისი დამსახურება, გვაროვნობა, მაღალი თანამდებობა, საზოგადო პატივისცემა და ტკბილის ენით მართალი სიტყვის თქმა საკმაო იქნებოდა ამბოხების დასაწყნარებლად. მაგრამ... დიდათ შეცდა. შეცდომა შეიქმნა იმის მხრით ისიც, რომ მაიდანზე მოვიდა და ხალხს დაენახა... რომ დაინახა ხალხმა მთავარ მმართებელი მქადაგებელი და მთხოვნელი მშვიდობიანობისა, ის უფრო თავს გავიდა. არავითარმა რჩევამ არ იმოქმედა მაზე.

— შვილებო, გონს მოდით, დამშვიდდით, კანონი ყველასათვის ერთია. კაცი მთავარ.მმართებელი ვარ და ცხენის ხარჯს მეც ვიხდი, ხომ ხედავთ,—უთხრა ხალხს პოეტმა.

— ეჰ! დალოცვილო—უპასუხა პოეტს ერთმა კინტომ—თქვენი საქმე სულ სხვა არის. თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვინახავს—აი რა განსხვავება არის ჩვენს შორის. საიდამ მივცეთ მომეტებული ხარჯი, თუ არა გვაქვს.—

.... არეულობა დაიწყო... ეშინოდა სოფლები არ გამოსარჩლებოდენ ქალაქელებს და დიდი უწესოება არ მომხდარიყო თბილისში. იმ ღამეს, ორბელიანის ბრძანებით, ორსავე ავლაბრის ხიდზე, თათრის მოედანზედ, პოლიციასთან, კუკიის ხიდთან და კუკიის საყდრის სიახლოვეს ჯარები დააყენეს. ღამემ მშვიდობიანად განვლო. მეორე დღეს მთელი ქალაქის დუქნები დაიკეტა"... (ი. მეურნაგია: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა" გვ. 89—91, 1905 წ.).

აჯანყებულთა ბანაკიდან ორბელიანს დეპუტაცია მოუვიდა, ითხოვდენ გადასახადების მოსპობას, ან შემცირებას; ორბელიანმა უარი უთხრა. შემდეგ მოხდა სისხლის ღვრა, რომლის დროსაც რამოდენიმე კაცი მოკვდა... ამ არეულობის მცირე მსხვერპლით ჩაქრობისათვის გრ. ორბელიანს დიდი მადლობა გამოუცხადეს.

საერთოდ გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობა მსხვილ მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდა.

5. (გვ. 200) **ნ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე** — იგი 1863 წელს ტფილისის მოსამართლე იყო. გლეხთა რეფორმის პერიოდში მან წარადგინა მოლიბერალო პროექტი გლეხთა განთავისუფლების შესახებ.

6. (გვ. 202) **ვ ა რ თ ა ნ ო ვ ი**—ძველი ქალაქის თავი, რომელსაც შეეპრენ აჯანყებულები ბინაში, მან გაქცევა მოასწრო, მაგრამ მისი ბინა კი სულ ერთიანად აკლებულ იქნა.

7. (ვვ. 202) **ა ბ ე ს ა ლ ო მ ო ვ ი**--ახალი ქალაქის თავი, რომელიც არეულობის პროცესში დანიშნა მეფის-მოადგილე ორბელიანმა.

მთავრობა და ახალი თაობა

(გვ. 203—256)

I. ტექსტისათვის

ეს წერილი დაბეჭდილი იყო ცალკე ბროშურად 1866 წ. ჟენევაში. მოგვყავს აქ ბროშურის სრული სათაური:

Правительство

и

молодое поколение

—:—

По поводу выстрела 4 апреля 1866 г.

Никифора Г...

... Истинно великие и полезные цели всегда достигаются только прямым и открытым образом действий, а не косвенными путями таинственных обществ, всегда оказывавшихся и долженствующих оказаться безсильными.

Н. Г. Чернышевский.

Женева

Отпечатано в Вольной Русской Типографии
40. Pré, L'évegue, 40.
1866

ეს წიგნაკი გამოწვეული ყოფილა კარაკოზოვის ტერორისტულ აქტით. როგორც ვიცით, 1866 წ. აპრილში კარაკოზოვმა ტერორისტული თავდასხმა მოახდინა ალექსანდრე მეორეზე. ეს იყო გამოწვეული იმ მწვავე მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა რუსეთში რეფორმის შემდეგ პერიოდში. ამ აქტის შემდეგ რუსეთში უფრო მწვავე რეაქცია გამეფდა. ნ. ნიკოლაძეს კარაკოზოვის ტერორისტულმა აქტმა საბაბი მისცა ერთხელ კიდევ შეხებოდა რეაქციონურ მთავრობის და ახალთაობის შორის გამართულ ბრძოლის საკითხებს და შეეფასებია

ამ ბრძოლის მეთოდები და შინაარსი. ავტორი უარყოფს ტერორისტულ აქტებისა და შეთქმულების მეთოდს. ავტორი ფიქრობს, რომ მისი აზრები სავსებით ეთანხმება ჩერნიშევსკის შეხედულებას და ამიტომ ციტატაც მოუყვანია მისი მონოგრაფიიდან ლესსინგის შესახებ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ციტატა არ გამოხატავდა ნ. ჩერნიშევსკის ნამდვილ აზრს რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის საკითხის შესახებ. როგორც ვიცით, ჩერნიშევსკი რევოლიუციონური ბრძოლის მომხრე იყო და „ნაჯახისაკენ" მოუწოდებდა რუსეთის ხალხს. ნიკოლაძის გაგებით კი ჩერნიშევსკი მშვიდობიანი პროპაგანდისა და აგიტაციის მომხრე იყო. აქედან წარმოსდგა ნიკოლაძის ტაქტიკური ხაზიც 60-70-ან წლებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაძის მიერ ჩერნიშევსკის მოყვანილ ციტატაში გამოხატული იყო სხვისი და არა ჩერნიშევსკის საკუთარი შეხედულება. (იხ. Н. Чернышевский: Собр. соч. ტ. III, გვ. 773, 1906 წ.).

საიდან მტკიცდება, რომ ეს წიგნაკი და ფსევდონიმი Никифор Г... ნიკოლაძეს ეკუთვნის? ამის დასამტკიცებლად საკმაო დამაჯერებელი საბუთები არსებობს:

1. გალიცინი თავის წიგნში: „История социально-рев. движения", რომელშიაც სხვა რევოლიუციონერებთან ერთად ახასიათებს ნ. ნიკოლაძესაც. (იხ. ჩემი წინასიტყვაობა), პირდაპირ მიგვითითებს, რომ 1866 წ. ნიკოლაძემ გამოსცა ანტისახელმწიფოებრივი ბროშურა: „მთავრობა და ახალი თაობა". გალიცინის წიგნი შედგენილია „მესამე განყოფილების" აგენტების ცნობების მიხედვით.

2. ამასვე აღნიშნავს კავკასიის საცენზურო კომიტეტიც, რომელმაც 1873 წ. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ნიკოლაძეს ჩამოართვა არალეგალური წიგნები; აქ მითითებულია ამ ბროშურაზედ, როგორც ნიკოლაძის თხზულებაზე. (იხ. ცენტრარხივში: Дело К. Ц. К. № 24-97, 1873 წ.)

3. „ახრანკის" ამ ცნობებს სავსებით ადასტურებს თვით ნიკოლაძე ივ. ჯაბადარის წინააღმდეგ მიმართულ თავის წერილში.

მოგვყავს აქ მისი წერილიდან ვრცლად ადგილი, რადგან ერთის მხრივ, იგი გადმოგვცემს ნიკოლაძის მაშინდელ შეხედულებებს, ხოლო მეორეს მხრივ, აქ მოყვანილია ცნობები სხვა მისი წერილების შესახებაც, რომელსაც ჩვენ ქვევით ვეხებით.

„Если я чем и „был известен еще во времена Герцена," то разве пропагандою в заграничной печати мысли о вреде химер террора и заговорщичества. Этой пропаганде мною посвящена была, еще ранее

издания „Современности", брошюра „Правительство и молодое поколение", напечатанная в мае 1866 г. в Женеве в герценовской „Вольной Русской типографии" по поводу Каракозовского покушения 4-го апреля 1866 г. В брошюре доказывалось, что покушения, вроде выстрела 4 апреля 1866 г., приносят пользу только реакции. Такую-же борьбу против романтизма в политике представляла собою и моя общая с Л. И. Мечниковым работа в „Современности" 1868 г. Достаточно указать в подтверждение этого, на мою статью по поводу раскаяния В. И. Кельсиева, (вызвавшую буйный гнев А. Л. Серно-Соловьевича),[1]) или на мой-же разбор первого выпуска журнала „Народное Дело", издававшагося тогда М. А. Бакуниным и И. Н. Утиным (до их разрыва). В обоих этих статьях я утверждал, что несбыточность химер, за которыми гоняются неподготовленные деятели, неминуемо ведет к надрыву и разочарованию, что колоссальность задачи требует огромной подготовки, что плодотворна, несокрушима лишь долгая и невзрачная работа над развитием умственных и материальных сил народа и т. д." (Н. Николадзе: „Как пишется история" გაზ. „Закавказье" № 31, 1908 წ.).

II. შენიშვნები

1. (გვ. 205)—ალექსანდრე II-ე (1818)—მეფობდა 1855 წლიდან. მისი მეფობის დასაწყისში რუსეთი რევოლიუციონურ მოძრაობის დუღილში იყო. იგი მერყეობდა კონსტიტუციასა და „სასტიკ პოლიციურ რეჟიმს" შორის. იგი თითქმის ლიბერალობდა, მაგრამ პრაქტიკაში სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა ყოველგვარ ლიბერალიზმის წინააღმდეგ. მისი რეფორმებით უკმაყოფილო დარჩა როგორც გლეხობა და რადიკალური ინტელიგენცია, ისე მრწინავე ლიბერალების წრეებიც: 60-ინ წლებიდანვე გლეხობა უკმაყოფილებას აცხადებდა სხვადასხვა ფორმით, სტუდენტობა არეულობას აწყობდა, ხოლო რადიკალურმა ინტელიგენციამ რევოლიუციონური ორგანიზაციები ჩამოაყალიბა. კარაკოზოვმა მასზე ტერორისტული თავდასხმა მოაწყო 1866 წ., სოლოვიოვმა—1879 წ. მხოლოდ 1881 წ. მოჰკლეს ის „ნაროდნაია ვოლიას" ცენ. კომიტეტის დადგენილებით.

2. (გვ. 205)—4 აპრილს 1866 წ. ესროლა კარაკოზოვმა ალექსანდრე მეორეს.

3. (გვ. 206) პ. ვალუევი (1814—90)—შინაგან საქმეთა მინისტრი (1861-68), სახელმწიფო ქონებათა მინისტრი (1872—77) მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე (1877—81). თეორიაში ლიბე-

[1]) მან გამოსცა ბროშურა ნიკოლაძის საწინააღმდეგოდ: „Миколка-публицист".

რალობდა. პრაქტიკაში არ სცილდებოდა პოლიციურ ზომებს. იგი ითვლება ორი კონსტიტუციონალური პროექტის (1863 და 1879 წ.წ.) ავტორად. აქვს გამოქვეყნებული დღიური.

4. (215) **სტენკა რაზინი**—XVII-ე საუკუნის გლეხური რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელი. ამ პერიოდში დამოკიდებულება მემამულეთა და გლეხთა შორის ძლიერ გამწვავდა; საფეოდალო კაპიტალის განვითარებამ რუსეთში გამოიწვია ბატონყმური ურთიერთობის გამწვავება და ხელი შეუწყო გლეხური რევოლიუციების წარმოშობას. რაზინი სიკვდილით დაისაჯა 1671 წ. მოსკოვში.

5. (გვ. 215) **პუგაჩოვი**—XVIII-ე საუკუნის მეორე ნახევრის გლეხური მოძრაობის მეთაური. ეს მოძრაობა მიმართული იყო ბატონყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ. იგი სიკვდილით დასაჯეს 1775 წ.

6. (გვ. 216) 1285 **წ. 14 დეკემბერი**—ამ დღეს მოხდა დეკაბრისტების გამოსვლა პეტერბურგში. დეკაბრისტთა შეთქმულობაში სხვადასხვაგვარი მიმდინარეობანი იყო. მაგრამ ეს არეულობა თვისი ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობით პირველ ბურჟუაზიულ რევოლიუციონურ მოძრაობას წარმოადგენდა. დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ ნიკოლოზ პირველის მეფობის პერიოდში (1825—55) შავი რეაქცია გაბატონდა რუსეთში.

7. (გვ. 222—24) **Новые условия крестьянского быта** და სხვები—ჩერნიშევსკის სტატიებია.

8. (გვ. 247) 1856 **წ. ახალგაზრდობამაიწყეს**... იგულისხმება ჩერნიშევსკის ჯგუფის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე.

9. (გვ. 249) **მოყვანილი ციტატა**—ამოწერილია ჩერნიშევსკის რომანიდან „**Что делать**“:?

10. (გვ. 254) **სეი** (1767—1832) ფრანგი ეკონომისტი, კლასიკური სკოლის მიმდევარი და მისი ვულგალიზატორი. იგი ითვლება კაპიტალიზმის აპოლოგეტად.

11. (გვ. 254) **შულჩე-დელიჩი**—გერმანელი კოოპერატორი, რომელიც თავისი საკრედიტო კოოპერაციის გეგმებით სრულიად არ ცდილობდა კაპიტალისტური წყობილების მოსპობას. მის წინააღმდ გ ცხარე კამათს აწარმოებდა ლასალი.

ჟურნ. „სოვრემენნოსტი“ და ნ. ნიკოლაძე

ეს პატარა ჟურნალი (თითოეული ნომერი 16 გვერდია) გამოდიოდა 1868 წელს ჟენევაში. № 1 გამოსულია 1868 წ. 20 აპრილს; № 2—მაისში; (ეს ორი ნომერი ელპიდინის სტამბაშია დაბეჭდილი), № 3—ივნისში; № 4—1 აგვისტოს; № 5—15 აგვისტოს; № 6—1 სექტემბერს; № 7—15 სექტემბერს. ეს ხუთი ნომერი დაბეჭდილია „რუსულ სტამბაში“. ჩვენ მხოლოდ ეს შვიდი ნომერი ვნახეთ 1928 წ. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში მოსკოვში. შეიძლება მეტი ნომრებიც იყო, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ხელთ არავითარი ცნობა არ არის ამ ჟამად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ჟურნალი არ არის მოხსენებული ბ. ბაზილევსკის მიერ გამოცემულ კრებულში: „Материалы для истории революционного движения в России в 60—х г. г.“, სადაც დასახელებულია 50—60-იანი წლების რუსული პერიოდული გამოცემანი და კრებულები საზღვარგარეთ გამოცემული და მოყვანილია მათი შინაარსი. აქვე შევნიშნავთ, რომ ცნობილი მკვლევარი მ. ლემკე გერცენის ნაწერების კომენტარიებში ამ ჟურნალის მხოლოდ ოთხ ნომერს ასახელებს. (იხ. გერცენის თხზულებანი ტ. XXგვ. 295).

„სოვრემენნოსტ“-ის რედაქტორებად და გამომცემლებად რუსეთის ლიტერატურაში მიღებულია ლ. ი. მეჩნიკოვი და ნ. ნიკოლაძე. (იხ. „Деятели рев. движения в Росии“ ტ. I, ნაწილი II, გვ. 241—242, 272 -74) გარდა ამ ცნობებისა, ჩვენ გვაქვს ჟანდარმთა სამმართველოს ცნობებიც (უკეთ მესამე განყოფილების ცნობები):

1. გალიცინი თავის „სოც. რევ. მოძრაობის ისტორიაში“ პირდაპირ მიგვითითებს, რომ 1868 წელს ნიკოლაძე სცემდა „სოვრემენნოსტსო“ (იხ. ამ წიგნში ჩვენი წინასიტყვაობა).

2. გარდა ამისა ვინმე როზანოვი მესამე განყოფილებას 1868 წელს აძლევს შემდეგ ცნობებს:

Элпидин вместе с Мечниковым, Николадзе и Ивановским печатал впервые разные пасквили, грязного содержания брошюрки, а затем революционного направления листки „Подполь-

ное Слово"*) и „Современность"; издание последнего взял на себя потом Николадзе, переехавший вскоре после того в Цюрих... Николадзе слывет за человека умного и дельного, способного, как отзываются его друзья, провести наше правительство". შემდეგ აღნიშნავს, რომ მას ეკუთვნის ბროშურა „Правительство и молодое поколение" (იხ. გერცენი, ტ. XX გვ. 282).

3. გარდა ამისა ჩვენ გვაქვს ცნობები თვით ნიკოლაძისა, რომელიც სავსებით ადასტურებენ ზემოდ ნათქვამს (იხ. მისი წერილი: „Как пишется история";—აქედან ციტატა ზევით არის მოყვანილი—გვ. 427 და დაუბეჭდავი ავტობიოგრაფიული წერილი.

4. ამის შესახებ მითითებებს ვპოულობთ გერცენისა და ოგარევის მიწერ-მოწერებში (იხ. ქვევით).

დასახელებული ლ. ი. მეჩნიკოვი (1838—88)—ცნობილი გეოგრაფი და სოციოლოგი იყო. 60-იან წლების დასაწყისში იგი გარიბალდის ადიუტანტი იყო და იტალიის გაერთიანების ომში ღებულობდა მონაწილეობას. საზღვარგარეთ იგი ახლო დამოკიდებულებაში იყო გერცენთან, მიხ. ბაკუნინთან და სხვა ემიგრანტებთან. 1868 წ. შემდეგაც იგი ხშირად ხვდებოდა ნიკოლაძეს საზღვარგარეთ.

ყველა წერილები „სოვრემენნოსტ"-ში ხელმოუწერელია. ნიკოლაძეს ეკუთვნის უმთავრესად წერილები ევროპის ცხოვრებაზე, რუსეთის ემიგრაციაზე და სხვ. (იხ. ქვევით).

ეს პატარა ჟურნალი თავისებურ მიმდინარეობას გამოხატავდა რუსეთის მაშინდელ ემიგრაციაში. იგი უარყოფდა, როგორც გერცენის მიმდინარეობას, ისე უკიდურეს მემარცხენე რევოლიუციონურ და ტერორისტულს ტაქტიკას. იგი არ იყო რევოლიუციის მომხრე: „სოვრემენნოსტი" ფიქრობდა მშვიდობიანი მოღვაწეობით ჩაეყარა საფუძვლები მომავალ წყობილებისათვის. ამ მხრივ მას ჩერნიშევსკის მიმდევრად მიაჩნდა თავისი თავი, რასაკვირველია, ჩერნიშევსკის თეორია ამ ორგანოში შემცდარად იყო განმარტებული. შემცდარია, რასაკვირველია გ ო რ ო ხ ო ვ ი ს მტკიცება ამ ჟურნალის შესახებ, რომ ის იყო „საერთოდ რევოლიუციონური, მაგრამ არა სოციალისტური მიმდინარეობის"-ო (იხ. „Русская секция первого Интернационала" გვ. 11) ეს შეცდომაა: ეს ჟურნალი საერთოდ სოცია-

*) ეს გამოცემა, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვინახავს. როგორც ბოგუჩარსკის ცნობებიდან სჩანს, ამ სათაურით გამოდიოდა ბ რ ო შ უ რ ე ბ ი 1866 წ. პირველ ნომერში დაბეჭდილია ელპიდინის წერილი Каракозов и Муравьев; მეორეში: „Казань в осадном положении". როგორ როლს თამაშობდა ამ გამოცემებში ნიკოლაძე, არა სჩანს.

ლისტური მიმდინარეობისა იყო, მაგრამ არა რევოლუციონური. ამიტომ გამოუშვა ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ 1868 წ. ცნობილმა რევოლიუციონერმა სერნო სოლოვიევიჩმა ბროშურა: „Миколка-публицист“.

ამ ჟურნალით უკმაყოფილო დარჩა რუსეთის ემიგრაციის მეშარჯვენე ფრთა, გერცენის მეთაურობით. პირველად ის თანაგრძნობით შეხვდა ამ ჟურნალის გამოცემას, მაგრამ, როდესაც შემდეგ ნ. ნიკოლაძემ გაილაშქრა „კოლოკოლ“-ისა და თვით გერცენის წინააღმდეგ, უკანასკნელი უშვერად ლანძღავდა კერძო წერილებში ნიკოლაძეს.

ჩვენ აქ მოგვყავს რამოდენიმე ადგილი მისი წერილებიდან, რომელიც ნიკოლაძეს და მის „სოვრემენნოსტ“-ს შეეხება. „კოლოკოლ“-ში ამ ჟურნალის გამოსვლის გამო გერცენი სწერდა:

„Мы получили пробный нумер нового русского журнала „Современность“, который будет издаваться под не назвавшей себя редакцией. Направление --вполне радикальное и социалистическое. Нам остается только приветствовать появление нового органа действующей в Росии партии. Это разделение труда будет очень полезно. Оно очень полезно. Оно отнимает у „Колокола“ его монополный характер, который многие ему приписывают и который служит извинением в том, что их важные работы не были напечатаны. Мы заранее радуемся, что сможем открыто изучать их“. (გერცენი, ტ. XX, გვ. 294—5, წერილი: „Новый русский журнал в Женеве“. იხ. აგრეთვე ტ. XXI—გვ. 83, სადაც იმეორებს თავის აზრს).

1868 წ. 17 მაისს იგი სწერს ნ. ოგარევს:

„Досадно, что Чернецкий помешал армяшке (იგულისხმება ნიკოლაძე მ. ლერმკეს განმარტებით) высказаться. Жду с нетерпением. но они теперь сгладят его резкость. Честь инициативы будет принадлежать им. Я рад и всегда готов с милосердием за зуб вышибить два. Пока эта сыпь, это сап не сойдет с России, ничего не будет. Теперь и мой „Базаров“ пойдет в ход. Экая досада, что им помешали“ (გერცენი, ტ. XX—გვ. 288).

1868 წ. 5 ივლისს იგი სწერს ოგარევს:

„Современность“ читал. Пока ты защищаешь материнским крылом милых щенят псевдонимизма, они сами себя начинают выводить на свежую воду. Это заставляет меня прощать понихиду об нас. Итак, эта бездарная пена, эта гнил на корню развеет сама себя. Превосходно! Один вопрос им следует сделать, т.-е. высоким порицателям своих: „в чем же их воззрение?“. Они говорят с высока: „Мы мол, знаем а те нет“. Покажите это“ (გერცენი, ტ. XXI, გვ. 11—12).

7 ივლისს იმავე ნ. ოგარევს სწერს:

„Я затерял „Современность", а она мне нужна: хочу писать разбор и похвалить серьезно эти грузины. Я думаю что похвала наша должна их окончательно разссорить" (იგივე ტ. XXI, გვ. 14).

3 აგვისტოს სწერს იმავე ოგარევს:

„Дочитал Кельсиева, я решительно отказываюсь писать, да и тебе не советую. Представ это дело нашим милым Сен-Жюстам из Грузии (იგულისხმება ნიკოლაძე), нашим передовым детям" (ტ. XXI გვ. 34).

1868 წ. 21. თებერვალს იმავე ოგარევს სწერდა:

„Я не верю ни в исправление Николадзе (о котором ты писал), ни дезинфекцию Серно-Соловьевича, ни в „исторически" слой Утина и его романа. В „Колоколе" я их „Современность" приветствовал с иронией, расчитывая на падение, а ты наивно кручинишься" (ტ. XXI გვ. 297).

როგორც თავის ადგილას აღვნიშნავდით, პირველ ხანებში გერცენსა და ნ. ნიკოლაძის შორის კარგი ურთიერთობა არსებობდა. გერცენის ასეთი აღშფოთების მიზეზები ნათელი გახდება მკითხველისათვის, როდესაც იგი გაეცნობა ნ. ნიკოლაძის წერილების შინაარს, რომელიც „სოვრემენნოსტ"-ში იყო მოთავსებული.

„რუსეთის ემიგრაცია“ და „ორი თაობა“

(გვ. 259-274)

I. ტექსტისათვის

პირველი წერილი დაბეჭდილია „სოვრემენნოსტ“-ის ივნისის ნომერში (იხ. „Современность“ № 3, გვ. 40—46, 1868 წ. წერილი: „Русская Эмиграция“); მეორე 1 სექტემბრის ნომერში (იგივე, № 6, გვ. 82—86, 1868 წ., წერილი: „Два поколения“) ორივე ეს წერილი გამოწვეული იყო მაშინ ცნობილ ემიგრანტის ვ. კელსიევის მონანიებითა და ემიგრაციიდან რუსეთში დაბრუნებით. ვ. ი. კ ე ლ ს ი ე ვ ი (1835—72) 1859 წლიდან ემიგრანტად ითვლებოდა; პირველ ხანებში იგი დაუახლოვდა გერცენს; 1862 წ. შევიდა რუსეთში ოსმალეთის ქვეშევრდომის პასპორტით და ცდილობდა ერთი მთლიანი რევოლიუციონური პარტიის დაარსებას. თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. 1867 წ. იგი თავისი ნებით დაბრუნდა რუსეთში და ჩაუვარდა ხელში მესამე განყოფილებას. იმავე წელს დასწერა „აღსარება“ და შეინანია თავისი ცოდვები. 1868 წ. გამოუშვა წიგნი: „Из пережитого и передуманного (1856—1868) Воспоминания“. კელსიევის ამ მოქმედებამ და მისმა წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა რუსეთის ემიგრაციაში. „სოვრემენნოსტ“-იდან გადმოთარგმნილი ორი წერილიც ზემოდ აღნიშნული ფაქტების შედეგი იყო.

„სოვრემენნოსტ“-ში მოთავსებული წერილები კელსიევის შესახებ რომ ნიკოლაძეს ეკუთვნის, ეს მტკიცდება თვით ნიკოლაძის ცნობებით.

1. 1888 წ., როდესაც ცნობილი ლ. ტ ი ხ ო მ ი რ ო ვ ი რევოლიუციონერთა ბანაკიდან გადავიდა თვითმპყრობელობის ბანაკში, ნიკოლაძემ მას წერილი უძღვნა და გაიხსენა თავისი წერილი კელსიევის შესახებ. (იხ. „Новое Обозрение“ № 1620, 1888 წ. წერილი: „На праздники“).

2. ამ წერილების ნიკოლაძის ავტორობაზე მიუთითებს „Письма о Грузии“-ს ავტორი Н. Д. ე. ი. ცნობილი რევოლიუციონერი

ივ. ჯაბადარი, რომელსაც 1889 წელს კამათი ჰქონდა ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე ს თ ა ნ. (იხ. „Новое Обозрение" № 2028, 1889 წ. Н. Д.-ს წერილი. იხ. აგრეთვე მისი წერილი „Процесс 50-и" „Былое" № IX, 1907 წ.).

3. იმავე წელს ნ. ნიკოლაძე უპასუხებს ივ. ჯაბადარს და სხვათა შორის იცავს თავის ძველ შეხედულებას კელსიევის შესახებ. იგი სწერს:

„Кельсиев, писал я тогда (ე. ი. 1868 წ.), был фантазер—идеалист, вообразивший себе, что может осчастливить человечество единным мановением руки. Он вышел на борьбу, не расчитав ни своих сил, ни сил противоположных и, убедившись, что одним прыжком от луны с неба не достал, сейчас же расплакался и начал бить себя в грудь и ланиты. Я утверждал и полагаю основательно, что его пример ничего не доказывает, кроме его личной неподготовленности. что не им исчерпивается вся суть работы над улучшением современности. Я писал, что иные, более серьезные умы стараются над такой же работою, но уже другими методами, что задачи свои они проводят в соответственно с наличными силами, что их цель—улучшить, насколько только возможно, судьбу своих сограждан, а не гониться за сверхестественным эффектом, идя не путем скачков и увлечений, а трезвою и твердою поступью, эти люди, писал я (1868)—не оскудевают ни в своей вере в победу, ни в своей кропотливой и грязной работе над жизнью". (იხ. „Новое Обозрение" № 2032, 1889 წ. ნიკოლაძის წერილი).

4. თავის ავტორობას ნიკოლაძე ამჟღავნებს, აგრეთვე, თავის წერილში იმავე ჯაბადარის წინააღმდეგ (იხ. გაზ. „Закавказье" № 33, 1908 წ.)

II. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 261) მ ე ს ა მ ე გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა—ან „Третье отделение собственной его императорского величества канцелярии". იგი დაარსდა 1826 წ. ნიკოლოზ I-ის განკარგულებით, რომელიც დააფრთხო დეკაბრისტების ჯანყებამ. მის ამოცანას შეადგენდა საიდუმლო პოლიციის დაწესება. მისი ფუნქციები იცვლებოდა. შემდეგში იგი გადაკეთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტად, რომელშიაც თავმოყრილი იყო პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები და მის განკარგულებაში იყო ჟანდარმთა განსაკუთრებული კორპუსი.

2. (გვ. 268) პ ე ტ რ ა შ ე ვ ე ლ თ ა წ რ ე—ჩამოყალიბდა 40-იან წლების მეორე ნახევარში. მისი მეთაური პეტრაშევსკი იყო. ეს წრე

იკრიბებოდა განსაზღვრულ დღეებში და საუბრობდა სოციალურ საკითხებზე. წრის უმრავლესობა ფურიეს მიმდევარი იყო, მაგრამ მასში რევოლიუციონური მეთოდის მომხრეებსაც ჰქონდა ადგილი. პეტრაშევსკი ფიქრობდა განეხორციელებია რუსეთში ფურიეს ფალანგები: მან. თავის ყმა-გლეხებს საერთო საცხოვრებელიც კი აუშენა მაგრამ გლეხობა ამის წინააღმდეგ წავიდა. ეს წრე აღმოჩენილი იქნა 1849 წ. მათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს.

3. (გვ. 269) **Свисток**-ში უმთავრესად ნ. დობროლიუბოვი ანამშრომლობდა.

4. (გვ. 269) **Научились ли?** — ჩერნიშევსკის სტატიაა

5. (გვ. 269) **ვერა პავლოვნას მესამე სიზმარი**— ჩერნიშევსკის რომანის „Что делать"-ის მთავარი გმირია ვერა პავლოვნა.

6. (გვ. 270) **„წარმომადგენლობითი ერობა"** — ეს იყო თავად-აზნაურული ლიბერალიზმის მოთხოვნა. ამით მათ სურდათ რუსეთის თვითმპყრობელობისათვის კონსტიტუციონალური ხასიათი მიეცათ და თავად-აზნაურობის წარმომადგენლობასაც მიეღო მონაწილეობა მართვა-გამგეობის საქმეში.

ევროპის ცხოვრება

პირველი და მესამე ნარკვევები

(გვ. 275-288)

I. ტექსტისათვის

ეს ნარკვევები მოთავსებულია: პირველი „სოვრემენნოსტ“-ის 20 აპრილის ნომერში (იხ. № 1 გვ. 7—12, 1868 წლ., წერილი: „Жизнь Европы“), ხოლო მესამე—1 აგვისტოს ნომერში (იხ. № 4, გვ. 54—56, 1868 წ.) სამწუხაროდ, ჩვენ მოსკოვიდან ვერ მივიღეთ მეორე ნარკვევი; მაგრამ ამით წერილისადმი ინტერესი არ დარღვეულა: ყოველი ნარკვევი ცალკე დამთავრებულ ნაწილებს შეადგენს.

ეს ნარკვევები ხელმოუწერლადაა დაბეჭდილი ჟურნალში. მაგრამ მისი ავტორის გამორკვევა ადვილია: ისინი პატარა კონსპექტს წარმოადგენენ ნიკოლაძის დისერტაციისას, რომელსაც ჩვენ ამავე ტომში ვბეჭდავთ:

იმ ხანებში (1866—68 წ.) ევროპის საზოგადოებრივობა დაინტერესებული იყო ომისა და ზავის საკითხებით. პაციფისტურად განწყობილი ევროპის ბურჟუაზია და სოციალისტური წრეები სერიოზულ ყურადღებას აქცევდენ ამ საკითხს; ამ მიზნით ბურჟუაზიულმა დემოკრატებმა დაარსეს „მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგა“, რომელმაც 1867—68 წლებში ორი კონგრესი მოიწვია. ომისა და ზავის საკითხი დასმული იყო პირველი ინტერნაციონალის კონგრესზედაც. ნიკოლაძე დაინტერესებული ყოფილა ამ საკითხებით და მისთვის საინტერესო შრომაც უძღვნია, რომელიც სადისერტაციოდ ციურიხის უნივერსიტეტისათვის წარუდგენია დოქტორის ხარისხის მისაღებად. იმავე საკითხს იგი აშუქებს „სოვრემენნოსტ“-ის ფურცლებზედაც. დებულებანი და დასკვნები, როგორც დისერტაციის, ისე „ევროპის ცხოვრებისა“ ერთი და იგივეა.

II. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 276) **ერ კ მ ან - შ ა ტ რ ი ა ნ ი** — ავტორებია ცნობილი წიგნის „**გ ლ ე ხ ი კ ა ც ი ს ი ს ტ ო რ ი ა**“, რომელიც საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის პერიოდს ეხება. ეს შრომა ქართულად პირველად გადმოითარგმნა ი ვ. **მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს** მიერ 1896 წ. და დაიბეჭდა „მოამბეში“. ცალკე წიგნად ამჟამად გამოდის მეორედ.

2. (გვ. 276) **ს ა მ შ ვ ი დ ო ბ ო კ ო ნ გ რ ე ს ი ჟ ე ნ ე ვ ა ში** — ავტორს აქ მხედველობაში აქვს „მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგის“ კონგრესი, რომელიც მოწვეული იყო 9 სექტემბერს 1867 წ. ეს იყო ბურჟუაზიული დემოკრატების კონგრესი. იმ ხანებში ევროპის ბურჟუაზიული დემოკრატები დიდ შევიწროებას განიცდიდენ თავიანთ რეაქციონურ მთავრობებისაგან და ისინი ცდილობდენ დაეცვათ საერთაშორისო მშვიდობიანობა. ამ მიზნით დაარსეს **მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ო ბ ი ს ა** და **თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ლ ი გ ა**. ამ ლიგის პირველ კონგრესს დაესწრენ ინტერნაციონალის წარმომადგენლებიც; კონგრესზე მხურვალე მონაწილეობა მიიღო მ. ბაკუნინმაც, რომელმაც შემდეგ წელს (1868 წ.) დიდი ხმაურით დასტოვა იგი.

3. (გვ. 277) **გ რ ი გ ო რ ო ვ ი ჩ ი დ ი მ ი ტ რ ი** — (1822—99) — რუსეთის ცნობილი მწერალი, ავტორი მთელ რიგ ნაწერებისა გლეხთა ცხოვრებიდან („Деревня“, „Антон Горемыка“ და სხვა). ამ ნაწერებით მან საფუძველი ჩაუყარა ე. წ. თავადაზნაურულ ნაროდნიკობას რუსეთის ლიტერატურაში.

4. (გვ. 277) **ტ ურ გ ე ნ ე ვ ი ი. ს.** — (1818-83) — რუსეთის ცნობილი მწერალი. ავტორი «Записки охотника»-სი, რომელშიაც ეხება იგი გლეხთა მდგომარეობას ბატონყმურ პირობებში. შემდეგში ტურგენევი უმთავრესად ეხებოდა რუსეთის ინტელიგენციის ცხოვრებას. მას კონფლიქტი მოუხდა „სოვრემენნიკ-“ის ჯგუფთან, იგი დაცინვითა და ზიზღით იხსენიებდა რადიკალური რაზნოჩინური ინტელიგენციის წარმომადგენლებს. თავისი მსოფლმხედველობით გამოხატავდა თავად-აზნაურულ ლიბერალიზმს. მისი გარდაცვალების გამო რამოდენიმე წერილი იყო მოთავსებული 1883 წ. „დროება“-ში (ა. ნა — ლისა და სხვათა.).

5. (გვ. 286-7) **ჟ ე ნ ე ვ ი ს ა (1 8 6 6 წ.) დ ა ლ ო ზ ა ნ ა ს (1 8 6 7 წ.) კ ო ნ გ რ ე ს ე ბ ი** — ამ წლებში მოხდა პირველი ინტერნაციონალის პირველი და მეორე კონგრესები, სადაც უმთავრესად ერთი მეორეს ებრძოდენ მარქსისტები და პრუდონისტები. უმთავრეს საკითხებში გამარჯვება წილად ხვდათ მარქსისტებს.

რევოლიუციონერების როლი

(გვ. 288 293)

I. ტექსტისათვის

ეს წერილი დაბეჭდილია „სოვრემენნოსტ“-ის 1 სექტემბრის ნომერში—ევროპის ცხოვრების განყოფილებაში. (იხ. № 6, გვ. 89 – 93, 1868 წ. «Жизнь Европы». 1. Роль революционеров). წერილი ხელმოუწერელია, მაგრამ მისი ავტორის ვინაობა ნათელი ხდება თვით წერილის იმ ადგილიდან, საიდანაც მტკიცდება, რომ ამ წერილის ავტორი და რუსული ემიგრაციის ავტორი ერთი და იგივე არის. რაკი ჩვენთვის ასი პროცენტით დამტკიცებულია, რომ რუსული ემიგრაციის ავტორი ნ. ნიკოლაძეა, (იხ. ზევით გვ. 233-4) ამიტომ ამ წერილის ავტორობაც გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს.

II. შენიშვნები

1. (გვ. 291) ბისმარკი (1815—98)—გერმანიის იმპერიის კანცლერი, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა გერმანიის გაერთიანება პრუსიის მეთაურობით. მის დროს შემოღებულ იქმნა საყოველთაო საარჩევნო სისტემა. იგი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა გერ. სოც. დემოკრატიის წინააღმდეგ, რისთვისაც მან საგანგებო კანონები შემოიღო.

2. (გვ. 291) ფ. ლასალი (1825—64)—გერმანიის სოციალისტი და გამოჩენილი ორატორი. იგი მთავარ ყურადღებას საყოველთაო საარჩევნო სისტემას აქცევდა; ამ სისტემით მუშები გავლენას მოახდენენ მთავრობაზე და იგიც იძულებული იქნება კრედიტი მისცეს მუშათა თავისუფალ ასოციაციებს, რის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სოციალიზმის თანდათანი განხორციელებაო 1863 წ. მან დაარსა „გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირი“. ლასალის თეორიას 60—70-ანი წლების ჩვენი ინტელიგენცია საკმაოდ იცნობდა. ან. ფურცელაძე და სხვები ხშირად ეხებოდენ ლასალის დებულებებს ქართულ გაზეთებში. 1906 წ. ქართულად გამოვიდა კ—ის ბროშურა: „ფ. ლასალი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“.

ნაროდნოე დელო

(გვ. 295—302)

I. ტექსტისათვის

წერილი «Народное Дело» დაბეჭდილია ჟურნ. „სოვრემენნოსტ“-ის 15 სექტემბრის ნომერში. (იხ. «Современность» № 7, გვ. 103—110, 1868 წ.) იგი ხელმოუწერლად არის დაბეჭდილი. მაგრამ მისი ავტორობის ვინაობას გვიხსნის თვით ნ. ნიკოლაძე ივ. ჯაბადარის საწინააღმდეგოდ დაწერილ წერილში (იხ. «Как пишется история», გაზ. «Закавказье» № 33, 1908 წ., იხ. აგრეთვე ამ შენიშვნების გვ. 426-7) ამ წერილში ნ. ნიკოლაძე პირდაპირ მიგვითითებს, რომ „სოვრემენნოსტ“-ის ფურცლებზე მან გაარჩია მ. ა. ბაკუნინისა და ნ. ი. უტინის მიერ გამოცემული ჟურნალის პირველი ნომერი.

ამ წერილის დაწერა გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით. 60-ანი წლების მეორე ნახევრიდან მ. ა. ბაკუნინის გავლენა თანდათან გაიზარდა საზღვარგარეთ გაქცეულ და რუსეთში დარჩენილ რევოლუციონურ ახალგაზრდობაში. ამ ხანებში მ. ბაკუნინმა გარკვევით ჩამოაყალიბა თავისი ანარქისტული სოფლმხედველობა. იმ პერიოდში საზღვარგარეთ რუსეთის დიდძალი ახალგაზრდობა გარბოდა. განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენდა მათზე პირველი ინტერნაციონალის (დაარსდა 1864 წ.) მოღვაწეობა, რომელმაც 1866—68 წლებში ზედიზედ სამი კონგრესი მოიწვია. ამ ინტერნაციონალში რევოლუციური ახალგაზრდობა უდიდეს ძალას ხედავდა, რომელსაც უნდა გარდაექმნა კაცობრიობა ახალს საფუძვლებზე. ბაკუნინის ინტერნაციონალში შესვლით (1868 წ.) უკვე ჩამოყალიბდა პირველი ინ—ლის რუსული სექცია. 1868 წ. სექტემბრის პირველში გამოიცა ახალი რევოლიუციონური ორგანო «Народное Дело». ორგანოს ხელმძღვანელად ითვლებოდა მ. ბაკუნინი, რომელსაც შემდეგი ნომრების გამოცემაში აღარ მიუღია მონაწილეობა; სარედაქციო კოლეგიის წევრად 1868—70 წლებში იმყოფებოდა ნ. ი. უტინი (1845—83), რომელიც 1862 წ. „მიწა და თავისუფლების“ საზოგადოების წევრად ითვლებოდა, შემდეგ გაიქ

საზღვარგარეთ და პირველი ინტერნაციონალში მოღვაწეობდა პირველად—ციურიხში მისი სლავიანური სექციის წევრად და შემდეგ რუსული სექციის მდივნად—ჟენევაში; 1871 წ. უტინი დაესწრო ინტერნაციონალის ლონდონის კონფერენციას. 1872 წ. იგი დასცილდა ბაკუნინსა და მის პარტიას და მხურვალე მონაწილეობა მიიღო მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

„Народное Дело"-ს პირველ ნომერში დაბეჭდილი იყო საპროგრამო წერილი, რომელიც მ. ბაკუნინისა და ნიკ. ჟუკოვსკის (1833—95) მიერ იყო შედგენილი. ეს ჟუკოვსკი ბაკუნინის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. იგი 1862 წ. გაიქცა საზღვარგარეთ ბელოდის საქმის გამო. 1867 წ. ითვლებოდა „მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგის" წევრად. ბაკუნინთან ერთად ითვლებოდა ინტერნაციონალის წევრად და მასთან ერთადვე დაარსა ალიანსი. 1872 წ. ბაკუნინის გამორიცხვის გამო გამოვიდა ინტერნაციონალიდან.

როგორც აღვნიშნეთ „ნაროდნოე დელო" ანარქისტულ მიმდინარეობას გამოხატავდა. მ. ბაკუნინისა და ნ. ჟუკოვსკის მიერ დაწერილი პროგრამა ჟურნალისა მოითხოვდა ხალხის სრულს გონებრივ, სოციალ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ განთავისუფლებას. გონებრივი განთავისუფლება აუცილებელია, რადგან უამისოდ შეუძლებელია სრული სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლება მშრომელი მასებისაო. განსაკუთრებულ ყურადღებას ავტორები აქცევდენ რელიგიური ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრას: ამ ცრუმორწმუნეობაზედ არის აღმოცენებული თვითმპყრობელობის დესპოტიზმი და კლასების ბატონობა. ამ ცრუმორწმუნეობისადმი ბრძოლისაკენ მოუწოდებდენ ავტორები მეცნიერებს. სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში ავტორები მოითხოვდენ: მემკვიდრეობის უფლების გაუქმებას, მიწების გადაცემას მშრომელი გლეხობისათვის სათემო საკუთრებად, შრომის იარაღებისა და კაპიტალის—მუშათა ასოციაციებისათვის; ქალთა ემანსიპაციას და სხვა. პოლიტიკურ საკითხებში ისინი სავსებით უარყოფდენ სახელმწიფოს მთელი თავისი ატრიბუტებით და მოითხოვდენ თავისუფალ თემთა ფედერაციის დაარსებას. მათი ტაქტიკა რევოლუციონური და ბუნტარული იყო. ასეთი იყო პირველი ინტერნაციონალის რუსული სექციის ანარქისტული შეხედულებანი. ნ. ნიკოლაძე დაახლოებით იცნობდა ამ ჯგუფს საზღვარგარეთ ყოფნის დროს (1864—68 წ.) მას ცხარე კამათის წარმოება უხდებოდა ამ ჯგუფთან, როგორც წერილობით, ისე სხვადასხვა კრებებზე. ცნობილია მისი ცხარე შეტაკება მ. ბაკუნინთან. „სოვრემენ-

ნოსტ"-ში მოთავსებული წერილიც ანარქისტების წინააღმდეგ მიმართულ ამ ბრძოლის შედეგი იყო. როგორც მკითხველი დაინახავს, ანარქისტულ სოფლმხედველობას ნ. ნიკოლაძე რამოდენადმე საფუძვლიან კრიტიკას უკეთებდა, განსაკუთრებით სახელმწიფოსა და პოლიტიკური ბრძოლის მეთოდის საკითხებში. ამ კითხვის განმარტების დროსაც მან ჩერნიშევსკის ავტორიტეტი დაიმოწმა და განსაკუთრებით დაეყრდნო მის ცნობილ წერილს: «Экономическая деятельность и законодательство», რომელშიაც ნათლად არის გატარებული აზრი სახელმწიფოს მნიშვნელობის შესახებ სოციალ-ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. საერთოდ ნ. ნიკოლაძე მ. ბაკუნინის მოღვაწეობაზე და ცოდნაზე არ იყო დიდი წარმოდგენის. (იხ. მისი წერილი: «Освобождение Чернышевского» «Былое», 1906 წ.) როდესაც 1876 წ. გარდაიცვალა ბაკუნინი, ნ. ნიკოლაძემ გაზ. «Тифлисский Вестник»-ში მის შესახებ დიდი ფელეტონი მოათავსა. ამ წერილში იგი ბაკუნინის პოლიტიკურ სოფლმხედველობასა და ორგანიზაციულ პრინციპებსაც ეხებოდა და აღნიშნავდა მათ მიუღებლობას. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ პრინციპიალურ საკითხებში კ. მარქსი სავსებით მართალი იყო ბაკუნინთან კამათშიო. (იხ. მისი ხელმოუწერელი ფელეტონი: «М. А. Бакунин» გაზ. «Тифлисский Вестник» № 143, 1876 წ.).

II. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. (გვ. 297) 1867 წ. კონგრესის შესახებ იხ. ზევით გვ. 437.

2. (გვ. 298) **კ ა რ ლ. ბ ი უ ხ ნ ე რ ი** (1824—1899) გერმანელი ფიზიკოსი, ფიზიოლოგი და ფილოსოფოსი. საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის წარმომადგენელია. მისი მთავარი შრომაა; „ძალა და მატერია". იგი დაესწრო პირველი ინტერნაციონალის კონგრესს ლოზანაში 1867 წ. და „მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგის" ირკელ კონგრესს ჟენევაში იმავე წელს. სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში ბიუხნერი არ გასცილებია ბურჟუაზიული რადიკალიზმის პროგრამ ას.

3. (გვ. 298) **კ ა რ ლ ფ ო ხ ტ ი** (1817—1895) გერმანელი მეცნიერი. დარვინიზმის მომხრე და მატერიალისტი. გამომხატველი იყო იმავე მიმდინარეობისა ფილოსოფიაში, როგორც ბიუხნერი. მათი აბუნებისმეტყველო მატერიალიზმი გაგრძელება იყო 18 საუკუნის მატერიალიზმისა, მათი მატერიალიზმი მოკლებული იყო დიალექტიუ მეთოდს; უკეთ, მათ ვერ შესძლეს მატერიალიზმის დიალექტიურ მარ ტერიალიზმამდე განვითარება. ერთ დროს დიდი სახელით სარგებ

ლოდბა ევროპაში. 1895 წ. მას წერილი უძღვნა „კვალში“ გ. წერეთელმა (იხ. № 21, 1895 წ.).

4. (გვ. 298) **მოლეშოტი**—(1822—93)—ბერმანიის მეცნიერი და ბუნებისმეტყველი, მატერიალისტი. მოლეშოტს 60-70-იან წლებში საკმაო გავლენა ჰქონდა ჩვენს ახალ თაობის ინტელიგენციაზე. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საბუნებისმეტყველო საკითხებმა ძლიერ გაიტაცა ჩვენი ინტელიგენცია და მათი დიდი ნაწილი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე წავიდენ. (იხ. ამის შესახებ—გ. წერეთლის მოგონება: „მოლეშოტი“, „კვალი“ № 25, 1893 წ.).

5. (გვ. 298) **ბოკლი** (1821—62) ინგლისელი სოციოლოგი, ავტორი ცნობილ წიგნისა: „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“. მიმდევარი იყო კანტის პოზიტივური ფილოსოფიისა. ისტორიის საკითხებში ვერ გასცილდა ტიპიურ იდეალისტურ შეხედულებებს. თავისი პოლიტიკური სოფლმხედველობით ბურჟუაზიული რადიკალი იყო და მომხრე დემოკრატიული წყობილებისა.

6. (298) **დარვინი** (1809—1882)—ინგლისელი მეცნიერი, დარვინიზმის დამაარსებელი. მისი მოძღვრებით ცხოველთა უმაღლესი ფორმები წარმოშობილი და განვითარებულია დაბალი და მარტივი ფორმებისაგან. ეს განვითარება ხდებოდა ბუნებრივი შერჩევის გზით; არსებობისათვის ბრძოლაში უფრო მძლავრი და შემგუებელი სახეები იმარჯვებდა უფრო სუსტ სახეებზე. დარვინიზმს საფუძვლად უდევს ევოლიუციონური პრინციპი.

7. (გვ. 298) **ჯორჯ გენრი ლიუის** (1817—78) ინგლისის მწერალი, პოზიტივისტი. მისი მეცნიერული ღირებულება არ იყო დიდი. ითვლება პოზიტიურ ფილოსოფიის და დარვინიზმის პოპულიარიზატორად. 60-70-იან წლებში დიდი პოპულიარობით სარგებლობდა რუსეთში.

8. (გვ. 298) **ჰერ. სპენსერი** (1820—1903) ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი. თავის მოძღვრებას საფუძვლად დაუდვა ევოლიუციონური თვალსაზრისი. სოციოლოგიაში სპენსერი შეეცადა ორგანიზმის განვითარების კანონები გაევრცელებია საზოგადოებრივ მოვლენებზე და საზოგადოებაზე. იყო სოციალიზმის მოწინააღმდეგე; ბურჟუაზიული ინტელიგენციის სულისკვეთებას გამოხატავდა.

9. (გვ. 298) **ჯ. ს. მილი**—(1806—73) ინგლისელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი. ფილოსოფიაში პოზიტივისტი იყო; ეკონომიკაში კლასიკური სკოლის ეპიგონად ითვლება. ის უკვე ხედავდა კლასთა წინააღმდეგობასა და მშრომელი წრეების განადგურებას კა-

პიტალიზმის სტიქიური განვითარებით, ამიტომ მილი მხარს უჭერდა ასოციაციების დაარსებას. მისი „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“ 60-იან წლებში სთარგმნა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ. ამ თარგმანს ჩ-კიმ დაურთო თავისი განმარტებანი და შენიშვნები, რომელშიც მილის დებულებანი განმარტებულია უტოპიური სოციალიზმის თვალსაზრისით. ჩერნიშევსკის კომენტარიებით გამოცემულმა მილის „საფუძვლებმა“ თავის დროზე დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაზე. გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ „პოლიტიკო-ეკონომიურ შეხედულებაში ის (დასი) ემხრობოდა უფრო პოლიტიკო-ეკონომისტის მილის თეორიას“ („კვალი“ № 46, 1897 წ.). მილის საინტერესო წერილი „ქალთა განთავისუფლებაზე“ ქართულად სთარგმნა ნ. ინაშვილმა, რომელმაც თავის მხრივ არანაკლებ საინტერესო წინასიტყვაობა გაუკეთა იმავე სათაურით. (იხ. „მნათობი“ № 1869 წ.) მილის გარდაცვალებას წერილი უძღვნა დ. მიქელაძემ (იხ. „დროება“ 1873 წ).

10. (გვ. 299) **ბ ე კ ო ნ ი** (1561—1626)— გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი-მატერიალისტი და სახელმწიფო მოღვაწე. ცხოვრობდა ფეოდალურ და კაპიტალისტური ეპოქების გზა-ჯვარედინზე; თავისი მსოფლმხედველობით ახალი ამომავალი კლასის—ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა.

11 (გვ. 299) **ო. კ ო ნ ტ ი** (1798—1857)—ფრანგი სოციოლოგი და ფილოსოფოსი. ითვლება პოზიტივიზმის დამაარსებლად; იგი ფილოსოფიას აიგივებს მეცნიერებასთან და გნოსეოლოგიაში სდგას ემპირიზმის საფუძვლებზე. კონტიმ საფუძვლები ჩაუყარა ს ო ც ი ო ლ ო გ ი ა ს და ცდილობდა ისტორიაში აღმოეჩინა კანონშეწონილება. კონტის სოფლმხედველობა საფრანგეთის ბურჟუაზიის თავისებურ იდეოლოგიას გამოხატავდა. კონტის პოზიტივიზმი 60-70-იან წლებში გავლენას ახდენდა ქართველ ინტელიგენციაზე.

12. (გვ. 295) **ი. კ ა ნ ტ ი** (1724—1804)—ცნობილი ფილოსოფოსი, კლასიკური გერმანული იდეალების წარმომადგენელი. კანტი ცდილობდა მეცნიერული ცდა და რელიგიური რწმენა შეეთანხმებია. მისი გავლენა დიდი იყო მე-XIX საუკუნის ფილოსოფიურ აზროვნებაზე.

ნ. გ. ჩერნიშევსკის შესახებ

(გვ. 305-309)

I ტექსტისათვის

ეს წერილი წარმოადგენს ნ. გ. ჩერნიშევსკის პირველი სრული გამოცემის წინასიტყვაობას. პირველი ტომი ჩერნიშევსკის ნაწერებისა გამოვიდა ჟენევაში 1868 წ. ამ პირველ ტომში მოთავსებული იყო ნ. ჩერნიშევსკის მეცნიერული და ლიტერატურული კრიტიკული წერილები 1853—55 წლების „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი"-დან და „სოვრემენნიკი"-დან. (იხ. **Сочинения Н. Чернышевского.— Первое полное издание—том I, Научная и литературная критика. 1868 г.**). გამომცემელი იყო მ. ელპიდინი და კომპანია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შიგ რუსეთში, სადაც იმ ხანებში გამეფებული იყო „თეთრი ტერორი", ჩერნიშევსკის ნაწერების გამოცემა კი არა, მისი გვარისა და სახელის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა ლიტერატურაში. ჩერნიშევსკი იმ ხანებში უკვე დიდი ხნის გადასახლებული იყო და კატორღაში იტანჯებოდა. ალექსანდრე მეორის მთავრობამ ნება არ დართო პროფ. ა. პიპინს მილის „პოლიტიკურ ეკონომიის საფუძვლების" გამოცემაზე ჩერნიშევსკის გვარი დაეწერა, იმდენად საფრთხობელას წარმოადგენდა ჩერნიშევსკის გვარი შავი რეაქციისათვის. სამაგიეროთ საზღვარგარეთ გაქცეული ინტელიგენცია ენერგიულად მუშაობდა ჩერნიშევსკის ნაწერების გამოცემისა და გავრცელებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ელპიდინის და ამხანაგობის მუშაობა. როგორც მასალებიდან სჩანს, ნ. ნიკოლაძე მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ამ გამოცემათა ორგანიზაციის საქმეში და ჩერნიშევსკის პირველი სრული გამოცემის რედაქტორობაც მას უკისრია.

ჩვენ ხელთ არის ნიკოლაძის ერთი წერილი, საიდანაც მტკიცდება, რომ იგი დიდის ხნიდან აგროვებდა მასალებს ჩერნიშევსკის გამოსაცემად. 1866 წ. 10 მარტს (ახ. სტ.) იგი სწერს კ. ლორთქიფანიძეს შემდეგს:

„ეხლა შენთან ერთი თხოვნა მაქვს: როგორც უნდა იყოს, გაიცანი ვინმე პიპინის [1]) ნაცნობი, და მიშოვნე სრული (ძალიან სრული) სია „რა ვქნათ“-ის ავტორის თხზულებების. ამ სიის გარდა, მიშოვნე გ ა მ ო შ ვ ე ბ უ ლ ი ა ლ ა გ ე ბ ი,[2]) — ეს ძალიან, ძალიან, საშინლათ საჭირო და სასარგებლოა. მე ვიცი, რომ ადვილია გითხრა, „მიშოვნე“, შოვნა კი ძნელია, მაგრამ... თუ ნაცნობი ვერ გაიცანი, აიღე-რე თავი და წადი პირდაპირ,—უთხარი, ასე და ასე, ერთ ჩ-იკის თაყვანისმცემელს სურს შეაგროვოს მისი სრული თხზულებაები თქო და იმედი მაქვს, რომ არ დამიკავებ თქვენი სიის და გამოშვებული ალაგების თქვენი თვალების წინ გარდაწერას თქო.—ღმერთმანი, ამ ნაირი პირდაპირი თხოვნა მიზანს მიახწევს.— შინჯე მაინც.

მე კარგად ვიცი, ძმაო კირილე, რომ შენთვის ეს ძნელია.—შენ ხასიათს სძულს ამნაირი მოქმედება.—მაგრამ ეს ისე საჭიროა, რომ შენი წყენა არ მეშინია ეს იცოდე კარგათ,—უბრალო საქმე რომ იყოს, არ გთხოვდი, და რადგანაც გთხოვ,—ძალიან საჭიროა. ამის გარდა არ დაგავიწყდეს, რომ ეს საქმე მოუთმელია, ესე იგი საჩქაროთ უნდა აასრულო, თუ მაინც და მაინც არ გინდა ამ თხოვნის ასრულება, ხამაშურიძეს [3]) მაინც გადაეცი,—და თხოვე რომ მალე გამომიგზავნოს, რაც კი იშოვოს“ [4]).

პირველი ტომის წინასიტყვაობა ხელმოუწერელია. რომ ეს წინასიტყვაობა ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის ეს მტკიცდება შემდეგი ფაქტებიდან:

1. ა. ი. გ ე რ ც ე ნ ი ს 1868 წ. 15 მაისის თარიღის წერილით ნ. ოგარევთან. „წინასიტყვაობაში“ გერცენმა მის საწინააღმდეგოდ გადმოკრული აზრები დაინახა და ნ. ოგარევს მისწერა:

„Запрятавши грузинские когти, Никол(адзе) в предисловии к Черныш(евскому) зацепил нас и совершенно с той точки зрения, с которой Писарев в „Базарове“ (видно, я не ошибся). Тебе бог попрыскал очи такой водой, что ты розы видишь, шипов не можешь видеть. Заметь, что, как истые подлецы, они о нас не упоминают и бьют намеками, от которых отпереться легко, а нападать на которые трудно“ (იხ. А. И. Герцен: П о л н о е с о б р а н и е с о ч и н е н и й и писем. ტ. XX გვ. 275, 1923 წ.).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გერცენის მკაცრი ტონი აიხსნება იმ გარემოებით, რომ ნ. ნიკოლაძე უკვე დასცილდა ემიგრაციაში ყოფნის დროს გერცენის ჯგუფს და მის წინააღმდეგ აწარმოებდა, როგორც წერილობით პოლემიკას, ისე სიტყვიერ პროპაგანდას.

2. ამ „წინასიტყვაობის“ ნ. ნიკოლაძის ავტორობას ამტკიცებს გერცენის ნაწერების აკადემიურად გამომცემი და კომენტატორი

[1]) ა. პიპინი (1833—1904) ცნობილი კრიტიკოსი, ახლო ნათესავი ჩერნიშევსკისა.

[2]) იგულისხმება ცენზორის მიერ ჩერნიშევსკის ნაწერებიდან ა მ ო შ ლ ი ლ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი.

[3]) ბეჟან ხამასურიძე—ნიკოლაძის ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო წევრი. გარდ. 1869 წ.

[4]) დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

ცნობილი **მ. ლემკე**. (იხ. გერცენის ნაწერების XXII ტომი გვ. 368, 1925 წ.).

დედანში წინასიტყვაობის სათაური იყო „გამომცემლობისაგან“ ეს სათაური ჩვენ შევცვალეთ და გაუკეთეთ ახალი სათაური „ნ. გ. ჩერნიშევსკის შესახებ“. ამ მხრივ უფრო გასაგები იქნება მკითხველისათვის და თვით წერილის შინაარსიც სავსებით შეესაბამება აღნიშნულ სათაურს. წერილს ჩვენ მოვაკელით ბოლო ნაწილი, რომელშიაც მოყვანილი იყო დაწვრილებით ცნობები და ანგარიში ნ. ჩერნიშევსკის რომანის „Что делать?“. და პირველი ტომის გამოცემის შესახებ. ეს ცნობები ქართველი მკითხველისათვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა და წიგნსაც დაამძიმებდა.

II შენიშვნები

1. (გვ. 301) **ლესსინგი** (1729—81 გერმანიის გამოჩენილი მოღვაწე და მწერალი.

ნ. **გ.** ჩერნიშევსკი დიდათ აფასებდა ლესსინგს. 1856-7 წ. „სოვრემენნიკ“-ის ფურცლებზე ვრცელი მონოგრაფია მოათავსა მან ლესინგის შესახებ „Лессинг, его время, его жизнь и деятельность“ (იხ. ჩერნიშევსკის ნაწერები, ტ. III, გვ 585—780, 1906 წ.) ჩერნიშევსკი ერთგვარ ნათესაობას ჰპოულობდა ლესსინგისადმი. „ისეთი ბუნების ადამიანისათვის, როგორიც ლესსინგი იყო,—სწერდა ჩ-კი, არსებობდა უფრო მაღალი სამსახური, ვინემ არის სამსახური საყვარელ მეცნიერებისადმი—ეს არის სამსახური თვით ხალხისადმი“.

2. (გვ. 307) **ბ. ბელინსკი** (1811-48)—რუსეთის გამოჩენილი კრიტიკოსი. 30-იან წლებში გატაცებული იყო გერმანიის იდეალისტური ფილოსოფიით: ითვლებოდა ჰეგელის მიმდევრად; ჰეგელის მოძღვრების მიხედვით ერთხანს ამართლებდა რუსეთში არსებულ წყობილებას. შემდეგ „უკიდურესობაში გადავარდა“ და შეითვისა ევროპის უტოპიური სოციალიზმის თეორია. ხელოვნებისა და ესთეტიკის საკითხში იგი რეალისტურ-უტილიტარული შეხედულებისა იყო და ებრძოდა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ამ მხრივ მან ნიადაგი მოუმზადა ნ. ჩერნიშევსკისა და მის ჯგუფს. ბელინსკის ესტეტიურ-თეორიას დიდი გავლენა ჰქონდა 60-იანი წლების ახალ თაობის ქართველ ინტელიგენციაზე. 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“ მ. ჩიტორელის (მ. ყიფიანის) წერილებში მთელი რიგი თავებია გადმოთარგმნილი ბელინსკის ლიტერატურულ კრიტიკიდან (იხ. № V, VII, VIII, 1863 წ.). ამავე ჟურნალშია დაბეჭ-

დილი მაქსიმ დოლონაძის ვრცელი წერილი: „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ“ (იხ. № IX და X, 1863 წ.).

3. (გვ. 304) „**Что делать?**“—ნ. გ. ჩერნიშევსკის სოციალური რომანია. იგი დასწერა პეტრე-პავლოვის ციხეში 1862-63 წლებში და იმავე წელს დაიბეჭდა ცენზურის უყურადღებობის გამო „სოვრემენნიკ“ში. რაკი ჩერნიშევსკის ციხეში დაპატიმრებით მოუსპეს საშუალება სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებით თავისი იდეების პროპაგანდისა, მან ბელეტრისტიკას მიმართა და ამ საშუალებით მოინდომა სოციალისტური იდეების გავრცელება ინტელიგენციაში. ჩერნიშევსკის რომანი მოწოდება იყო ახალ ცხოვრებისაკენ და ფურიეს ფალანგების თეორიას ქადაგებდა. რომანმა დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის ახალგაზრდობაზე; ცენზურა გამოფხიზლდა და დაუყოვნებლივ აკრძალა იგი; სამაგიეროთ საზღვარგარეთ იგი ხშირად იცემოდა. რეაქციონურმა კრიტიკამ წასტიკად გაილაშქრა ჩერნიშევსკის წინააღმდეგ. ამ რომანს დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენს ახალგაზრდობაზედაც. ნ. ნიკოლაძეს არა ერთხელ მოყავდა ადგილები ამ რომანიდან თავის ლეგალურ ქართულ წერილებში, რასაკვირველია, ავტორის დაუსახელებლად.

განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები

(გვ. 313-349)

ეს ნარკვევი ნიკოლაძის დისერტაციას წარმოადგენს, რომელიც მას ციურიხის უნივერსიტეტისათვის წარუდგენია 1868 წ. დოქტორის ხარისხის მისაღებად. იგი დაწერილია ფრანგულ ენაზე და გამოშვებული ცალკე წიგნად 1868 წ. ჟენევაში. რამდენადაც ვიცით ეს წიგნი პირველი სადისერტაციო შრომა იყო, რომელიც ქართველის მიერ იყო წარდგენილი ევროპის უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხის მისაღებად. ამ ნარკვევისათვის მას მიანიჭეს უფლების დოქტორის ხარისხი. მოგვყავს აქ ამ წიგნის სრული ტიტული:

DU DESARMEMENT

ET DE SES

CONSÉQUENCES ÉCONOMIQUES ET SOCIALES

Dissertation de doctorat

PRÉSENTÉE A L'UNIVERSITÉ DE ZURICH

PAR

N. NIKOLADZÉ

GENÈVE

H. GEORG, LIBRAIRE-ÉDITEUR

10, Corraterie 10

MÊME MAISON A BALE

1868

დამატებანი

(გვ. 353—364)

„ტფილიზიდან“ და „ხაქართველოდან“

I. ტექსტისათვის

პირველი წერილი დაბეჭდილია „კოლოკოლ“-ის 1865 წ. 15 სექტემბრის ნომერში (იხ. „Колокол“ № 204 გვ. 1672-73, 1865 წ. წერილი: „Из Тифлиса“). იგი ხელმოუწერელია და ეხება 1865 წლის ხელოსანთა აჯანყებას ტფილისში. როგორც ვწერდით, „კოლოკოლ“-ის ფურცლებზე, მთელი რიგი წერილებისა იყო მოთავსებული ამ აჯანყების შესახებ, მაგრამ უფრო საფუძვლიანად მას შეეხო ნ. ნიკოლაძე თავის წერილში „ივნისის დღეები ტფილისში“, და ამ კორესპონდენციის ავტორი. უკანასკნელი უმთავრესად საქმის ფაქტიურ ვითარებას ეხებოდა. ამ წერილის ავტორის ვინაობის გამორკვევა ამჟამად ერთობ ძნელია შესაფერისი მასალების უქონლობის გამო.

ამ წერილს ვათავსებთ ამ ტომში დამატების სახით, როგორც საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც ერთი მხრივ საუცხოოდ გვისურათებს მაშინდელი ქართველი ახალგაზრდობის ინტელიგენციის პოლიტიკურ განწყობილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ნათელს ფენს ამქართა აჯანყების საქმეს ტფილისში.

მეორე წერილი დაბეჭდილია 1865 წლის 15 ნოემბრის „კოლოკოლ“-ის ნომერში (იხ. „Колокол“ № 208, გვ. 1706-78, 1865 წ. წერილი: „Из Грузии“) ეს წერილიც ხელმოუწერელია და ეხება იმავე ხელოსანთა აჯანყებასა და „Русские Ведомости“-ის წერილს ამავე საკითხზე. სანამ ეს წერილი დაიბეჭდებოდა, 1 ნოემბრის ნომერში რედაქციის საფოსტო განყოფილებაში აღნიშნულია: „Статья о Грузии, полученная нами, будет помещена в следующем листе“ (იხ. № 207, გვ. 1700, 1865 წ.) ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ წერილი რედაქციას მიღებული უნდა ჰქონოდა ჟენევაში სხვა ქვეყნიდან ან ქალაქიდან და იგი არ უნდა ეკუთვნოდეს ნიკოლაძეს, რომელიც იმ ჟამად ევროპაში ცხოვრობდა. ვინ არის მისი ავტო-

რი—ამის გამორკვევაც ძნელია. ვათავსებთ მას როგორც მაშინდელი ეპოქის დამახასიათებელ საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს.

II. შენიშვნები

1. (გვ. 353) თ ქ ვ ე ნ ს ჟ ურ ნ ა ლ შ ი ე. ი. „კოლოკოლ"-ში, როგორც ვიცით „კოლოკოლ"-ში უკვე იყო წერილები და ცნობები მოთავსებული ამ აჯანყების შესახებ. ცხადია, წერილის ავტორს არ ჰქონდა წერილის გამოგზავნის დროს „კოლოკოლ"-ის ეს ნომრები წაკითხული. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამოწმებს, რომ ეს წერილი ნამდვილად გაგზავნილი იყო ტფილისიდან.

2. (გვ. 353) დ ი დ ი მ თ ა ვ ა რ ი—ლაპარაკია მიხეილ ნიკოლოზის ძეზე, რომელიც მაშინ მეფის მოადგილედ იყო კავკასიაში.

3. (გვ. 355) თ ა ვ ა დ ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი— ლაპარაკია პოეტ გრ. ორბელიანზე.

4. (გვ. 358-9) „М о с к о в с к и е В е д о м о с т и"-ის რედაქტორმა მ. კატკოვმა 1865 წლის აჯანყების შესახებ თავის გაზეთში მოათავსა ულტრა-ნაციონალისტური წერილი, რომელშიაც აღნიშნავდა რა ამიერ-კავკასიაში არეულობისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის განვითარების ფაქტებს, სწერდა, რომ ეს წარმომდგარი არის რუსეთის საშინაო პოლიტიკის ნაციონალური სულის სისუსტით. [1]), კატკოვი სწერდა:

„Между туземною молодежью образовались кружки, в которых в сильном ходу мысль о самостоятельном существовании грузинского, армянского и даже мусульманского царства... Нам сообщают за верное, что именно Закавказские Поляки руководительствуют теми кружками, в которых подростают М о л о д а я Г р у з и я и М о л о д а я А р м е н и я и что в особенности на последную направлено внимание польских крамольников". (იხ. М. Катков: Собрание передовых статей Московских Ведомостей. 1865 г. გვ. 555).

კატკოვის ამ რეაქციონურმა და ულტრა-ნაციონალისტურმა წერილმა, გარდა უ ც ნ ო ბ ი ა ვ ტ ო რ ი ს წერილისა, გამოიწვია მთელი რიგი პოლემიკური წერილებისა: „ს. პეტერბურგის უწყება"-ში წერილი მოათავსა Г. Э., „გოლოს"-ში—დ ა ვ ი თ მ ე ლ ი ქ ო ვ მ ა,—„კავკაზ"-ში დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ მ ა და მ ო ს კ ო ვ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს მ ს ძ ე ნ ე ლ მ ა. დიმ. ყიფიანის წერილი გამოხატავდა ქართველ თა-

[1]) კატკოვი თავის წერილებში ეკამათებოდა რ ი ო ნ ე ლ ს (ნიკოლაძესა) და დ. ყიფიანსაც.

ვად-აზნაურთა პოლიტიკურ კრედოს, რომელიც ხსნას რუსეთის ტახტში ეძებდა. ამის საწინააღმდეგო პოზიციის მატარებელი იყო „კოლოკოლ“ის უ ც ნ ო ბ ი ა ვ ტ ო რ ი, და ნიკოლაძე.

5. (გვ. 358) ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს შ ე ხ ა ხ ე ბ კატკოვი სწერდა:

„Князь Воронцов был государственный человек, просвещенный и благонамеренный, смотревший далеко, как показывают его заботы о проведении южной железной дороги, но в его не было места для того, что называется национальною политикою. Он сам не чувствовал себя русским; либерализм мог сказываться в нем пренебрежением к русскому имени. Где не управлял он, везде оставлял он по себе семена неурядицы... Он довел даже Крымских Татар до того, что они с гордостью говорили: я не русский, а татарин“. (იხ. გვ. 554).

6. (გვ. 359) ს ო მ ხ უ რ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს რ უ ს ე თ ი ს ფ უ ლ ი თ გ ა მ ო ც ე მ ი ს შესახებ სწერდა თავის წერილში კატკოვი და ამაში დიდ ბრალდებას უყენებდა ვორონცოვს. ფაქტიურად იმ ხანებში არც სომხური ჟურნალი და არც სხვა—არ გამოდიოდა მთავრობის ხარჯით. კატკოვის კორესპონდენტებმა ალბად არიეს ის ფაქტი, რომ 1852-53 წლებში გ. ერისთავის რედაქტორობის დროს ღებულობდა „ცისკარი“ მთავრობისაგან სუბსიდიას.

7. (გვ. 360) ბავშვებისათვის ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ს ს ა ხ ე ლ ი ს დ ა რ ქ მ ე ვ ა ში—კატკოვი ხედავდა ნაციონალურ შეგნების გაღვიძებას ადგილობრივ ერებში და ანტირუსულ პოლიტიკას. იგი სწერდა:

„...Император Наполеон, покрыватель идей национальности, пользуется между ними большою популярностью, и многие из них в последнее время стали давать его имя своим детям. (იქვე, გვ. 553).

ასეთს ბრალდებას უყენებდა რუსეთის შავი რეაქციის მოციქული სომხის ერს.

ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ე ბ ი

ქ უ თ ა ი ს ი ს მ ე ჭ ო რ ე—ამ ფსევდონიმით ნ. ნიკოლაძეს მოთავსებული აქვს რამოდენიმე წერილი 1860 წლის „ც ი ს კ ა რ ში“.

ნ. ს კ ა ნ დ ე ლ ი—პირველად ეს ფსევდონიმი მან იხმარა რუსულ გზ. „Н а р о д н о е Б о г а т с т в о“-ში 1863—64 წლებში. სკანდელი ნიკოლაძის მთავარი ფსევდონიმი იყო და უმთავრესად

თავის წერილებს ამ ფსევდონიმით აქვეყნებდა „დ რ ო ე ბ ა“-ში 1869—77 წლებში და „კ რ ე ბ უ ლ შ ი“ 1871—73 წლებში.

ნ. ნ.—რამოდენიმე წერილი ამ ფსევდონიმითაც არის დაბეჭდილი „დროება“-ში.

Н. А р а в и н—ამ ფსევდონიმით იგი საზღვარგარეთიდან ხშირად გზავნიდა წერილებს რუსულ გაზეთებში 1864-66 წლებში.

Р и о Н е л и—ამ ფსევდონიმით იგი წერილებს ათავსებდა 1865 წ. „კ ო ლ ო კ ო ლ“-ში.

Н и к и ф о р Г...—ამ ფსევდონიმით მან გამოსცა წიგნი „Правительство и молодое поколение“ 1866 წ. ჟენევაში.

გ. ჯ ი ო ვ ა ნ ი—ამ ფსევდონიმით რამოდენიმე წერილი მოათავსა 1870 წლის „დროება“-ში.

— ამ ფსევდონიმით რამოდენიმე წერილი მოათავსა 1870 წლის დროებაში.

ჩვენ აქ დავასახელეთ მისი უმთავრესი ფსევდონიმები, რომელთა დადგენა და გამორკვევა შესაძლებელი შეიქნა არსებულ მასალების მიხედვით.

დიდი უმეტესი ნაწილი ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილებისა 60-70-იან წლებში ხ ე ლ მ ო უ წ ე რ ე ლ ი ი ბ ე ჭ დ ე ბ ო დ ა რუსულ და ქართულ პერიოდულ გამოცემებში: აქ შეიძლება დავასახელოთ 60-ანი წლების შემდეგი ორგანოები: „Искра“ „Современник“, „Народное Богатство“, „С.-Петербургские Ведомости“, „Колокол“ „Современность“ და სხვა. 70-ნი წლების ორგანოები: „დროება“, „Тифлисский Вестник“ „Обзор“ და „Голос“.

შემდეგ ხანებში ნ. ნიკოლაძე იშვიათად მიჰმართავდა ფსევდონიმებს. დიდი უმეტესი ნაწილი მისი წერილებისა „Новое Обозрение“-სა (გარდა მოწინავე წერილებისა), „მ ო ა მ ბ ე“-ში და სხვა ორგანოებში საკუთარი გვარის მოწერით, იბეჭდებოდა. ამგვარადვე იბეჭდება ამავე პერიოდის მისი წიგნები და ბროშურებიც.

ს ი მ. ხ უ ნ დ ა ძ ე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვერდი
1. რედაქტორისაგან	IX—XII
2. ნიკო ნიკოლაძე (სიმონ ხუნდაძის ნარკვევი)	XIII—CXXXII
I. მოგონებანი	1—144
1. წარსულიდან	3— 34
2. სტუდენტობის პირველი დრო (1861 წ.)	35— 87
3. მოგონებანი სამოციან წლებზე	88—144
II. წერილი პრუდონზე	147—158
III. წერილი „კოლოკოლი“ დან	159—202
1. გლეხთა განთავისუფლება საქართველოში	161—184
2. ჩვენი მომავალი ვეკილები „მოს. უწყების“ სამსჯავროს წინაშე	185—192
3. ივნისის დღეები ტფილისში	193—202
IV. მთავრობა და ახალი თაობა	203—256
V. წერილები „ხოვრემენნოსტ“-იდან	257—302
1. რუსეთის ემიგრაცია	259—266
2. ორი თაობა	267—274
3. ევროპის ცხოვრება	275—288
4. რევოლიუციონერების როლი	289—293
5. „ნაროდნოე დელო“	295—302
VI. ნ. გ. ჩერნიშევსკის შესახებ	303—309
VII. განიარაღება და მისი შედეგები	311—349
VIII. დაბეჭდებანი	351—364
1. ტფილისიდან	353—357
2. საქართველოდან	358—364
IX. რედაქტორის შენიშვნები	365—452

შეცდომების გასწორება:

წინასიტყვაობაში LXXVII გვ. ზევიდან 5-6 პწკარი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად: „არ მოუწადინებია რ ა დ ი კ ა ლ უ რ ა დ გადაესინჯა 1864 წ. „საგლეხო დებულება“ და დაესვა საკითხი მიწების გადაცემისა. გლეხობაზე უ ს ა ს ყ ი დ ლ ო დ“.

67164